პოეტები საქართველოსი

ტომი I

თბილისი
2022

შემდგენელ-რედაქტორ-გამომცემელი

საზოგადოება „საქართველოს პოეტები“-ს დამფუძნებელი
და ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა, შემოქმედთა კავშირის წევრი,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი,
მარიკა ბარათაშვილის პრემიის მფლობელი, შ პ ს „სალიტოს“ დირექტორი
შ პ ს „გომავანის“ პარტნიორი, ოთხი საკუთარი და ოცდათვრამეტი
საერთო კრებულის თანაავტორი, სამართალმცოდნე,
პედაგოგი **მანანა სამყურაშვილი**

თანაავტორთა შერჩევითი კომისიის წევრები:

მანანა სამყურაშვილი
ნელი საგინაძე
თენგიზ ფანცულაია

© ავტორთა ჯგუფი, 2022

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2022**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-344-6 (ყველა ტომისათვის)
ISBN 978-9941-33-345-3 (I ტომისათვის)

დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია
და სიწყლიანი დგას ანგელოზი.
ახალ ეროვალებს ვწიროვთ სიცოცხლეს
ჩვენ. ჯოტები საქართველოზი!..

ეალაჯიონი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

თქვენს წინაშეა ახალი შემოქმედებითი კრებული „საქართველოს პოეტები“-ს პირველი ტომი. 21-ე საუკუნეში უამრავი ადამიანის სული, გული და გონება პოეზიამ, ლექსმა დაიბყრო, უამრავი ადამიანის სულში ზრიალებს რითმა და ლექსი. ეს ღვთისგან კურთხეული მადლია. მას წინასწარ ვერ გაანალიზებ, ვერ დაგეგმავ თუ უფალმა არ მოგაწოდა სიტყვა, აზრი და არ მოგმადლა გონიერება. ამ კრებულის შედგენა, შექმნა და მასში მონაწილე თანაავტორებიც უფლის ნებაა.

ამ კრებულის და ფორმატის განმსაზღვრელები ჩემი ცხრა წლის შვილიშვილები *სალომე* და *ანამარია ტოგონიძეები* არიან. რომელთაც სურდათ ძლიერი თანაავტორებით კრებული და მკვიდრი, დიდი ფორმატი, მათი თხოვნა ჩემს მიერ შესრულდა.

ნებისმიერი ადამიანის ცოდნა, გონებაში აღწევს კულმინაციის წერტილს. გონებას ჯებირი არა აქვს, გონის ნააზრევი არეზე მიმოფანტული ვერ დარჩება, მას ბინა სჭირდება. სწორედ ჩვენი სასიქადულო ერის მამულიშვილების ცნობილი და მათ შორის ახალბედა დამწყები პოეტების გონის სავანედ შევქმენი კრებული საქართველოს პოეტები.

ლექსი – ადამიანის ძლიერი შემოქმედებითი ნაყოფია, რომელთა დაგემოვნება და ხილვა მკითხველისთვის სულის და გულის საცხი, საკურნებელი მალამოა. ლექსი არის ადამიანის სულის შრიალი, სულში ხეთა ფოთლის შრიალი. დრო და დრო სწყდება სულის უკვდავ ხეს ფოთოლი და ამა თუ იმ კრებულის ლექსად ბინადარი ხდება. არაფერი ახარებს ადამიანს ისე, როგორც საკუთარი პოეზია, მით უფრო თუ სხვათა საქები და მოსაწონია... ადამიანის ცხოვრებაში დიდი სიხარულის მომტანია ის წუთები და დღე როდესაც მუზა სტუმრობს და რითმის რთველი აქვს, ამ დროს ტკბილი მაჭარივით იწურება და ღვინდება გონის მათრობელა, ტკბილი ბადაგი, რომელიც გონიდან ლექსად წარმოდინდება.

„საქართველოს პოეტები“ პირმშოა პოეზიის, რომელიც დაიბადა თანავტორთა პატივისცემითა და ერთურთის სიყვარულით. ამ ღვთითკურთხეული, საქართველოს პოეტები-ს, საგანძურის დაბადება, ღვთით კურთხევაა თითოეული ავტორისთვის.

მანანა სამყურაშვილი

ამირან ამირანაშვილი

სამყაროს შემოქმედს!

უმორჩილესად პატიებას გთხოვ, დიდო მაესტრო,
შენს ნაწარმოებს ვერ ვუწოდებ შემოქმედებას.
უზომოდ მინდა შენს სიმფონიას დიდ ხანს დავესწრო,
„მარადისობას “ უწოდებდი დიად ქმედებას.
ამბიონიდან სადირეჟორო გიდგას კათედრა,
კლავიატურას ანგელოზები გიშლიან ფრთებით.
„მარადიული უკვდავების “ ჟღერს სიმფონია,
მთელი სამყარო ამ მელოდიით ვივსებით ვტკბებით.
უვერტიურა ჰარმონილულად ერწყმის „შესაქმეს“,
შემდეგ გაისმის წყლები როგორ ტოვებენ ხმელეთს.
მაჟორ ტონებში მზე დაადგრა დღის მანათობლად,
მინორ აკორდზე მთვარე კრძალულად ანათებს ბნელეთს.
ტალღის ტყლაშუნში წყალი იკავებს მეშვიდედ ნაწილს,
გამშრალ ნიადაგს მიაკუთვნებენ მხოლოდ მესამედს.
ფლორით, ფაუნით შემოიჭრება ცოცხალი ხმები,
ფორტისიმოთი ელოდებიან მბრძანებელს, მეფეს!
სრული სიჩუმე, მაესტრომ პულტზე გადასდო კვერთხი,
მიწა მოზილა, მეფე უნდა შეგვითხზას ხელით.
ისევ აკორდი და აგუგუნდა მთელი სამყარო,
ყველა არსებამ განიხარა ადამის ცქერით...
დაცხრა ორკესტრი, შემოიპარა წყნარი მინორი.
მუქმა ღრუბლებმა გადუარეს ადამის სხივებს.
მიხვდა მაესტრო და ვიოლინოს აღმოხდა კვნესა,
რომანტიული ფლეიტები სულს მთლად ამძიმებს.
ბულბულთა გუნდი თავს მოეხვია მოწყენილ ადამს,
აქ მელოდია აჭიკჭიკდა, დაისადგურა ორკესტრში სევდამ.
მაესტრო ითხოვს სრულ პიანოს, ოპერაციას.
სევდის მოტივი მიმოფანტა მხიარულ ევამ.

დადგა მუსიკის აპოთეოზი, ზემხიარული.
ექვს-ექვს ფრთიანი ანგელოზები უკრავენ ტაშებს.
ცაში ფრინველთა, მიწაზე კი ცხოველთ ზეიმი,
მხოლოდ ბოროტნი ელოდებოდნენ ცოდვას და ჩამშვებს.
ნება მიეცათ დასარტყმელებს, ტრუბებს ტრამბონებს.
კაკაფონიამ გადაუარა ორკესტრს მთლიანად.
და დაისაჯა სიყვარულისთვის ადამ და ევა.
ჭექა-ქუხილმა ხუთ ფორტეზე დაიგრიალა.
მიწამ მიიღო როგორც მშობელმა ცოდვილი შვილი,
შრომა და ოფლი თანხვედრი გახდა ადამისათვის.
აქ ჰარმონია თანაუგრძნობს მხოლოდ სიყვარულს,
მას შემდეგ ევა მწარედ ტკივილებს ითმენს შვილისთვის.
დაბადების დღეს ჩვენთან – თოფის სროლით ხვდებიან.
ევროპაში კი, ერთხმად მღერიან ტაშით „ happy Birthday“-ს.
ჩვენს ქორწილებში ჟღერს მრავალჟამიერ დღისით ღამემდე,
ევროპაში კი მენდელსონის ქორწილის მარში.
მარადისობის სიმფონია გრძელდება მშვიდი,
მაყურებელი იბადება, ნელა იზრდება.
როცა დაკარგავს სმენის უნარს, ტოვებს და მიდის.
დარბაზი ისევ ახალ-ახალი ხალხით ივსება.
ყოფიერების მელოდიაა მთელი სიცოცხლე,
ადამის ძენი ვართ მსმენელი თავისუფალი.
აწ და მარადის იგუგუნებს „სიმფონიები“,
იდირიჟორებს კვერთხით ხელში ღმერთი უფალი!

ღმერთო გვიშველე

გამიგონია დიდი „რუმბები“
სახლშიდაც გვქონდა ღვინის „ტიკები“
მაგრამ არავინ არ გამაგონოთ,
ბავშვების მკვლელი ნარკოტიკები...
ნოედან იწყო კაცმა დათრობა,
და სამასპინძლოდ ხმარობდნენ ღვინოს.
თვითონ იესოს ქორწილში სთხოვეს,
მან სუფთა წყალი აქცია ღვინოდ.
საკუთარ სისხლად აკურთხა ღვინო,
ხორცად ნარკუთხი გატეხა პური.
განსაწმენელად ქრისტიანისთვის,
კაცთა ცოდვების მიტევებისთვის.
ღვინო არა კლავს კაცში კაცობას,
თუ ზომაზე ვსვავთ გვეძლევა ძალა,
ნარკოტიკი კი კაცს ანადგურებს,
სიცოცხლეშივე აუბედურებს.
არც ცოლი უნდათ და აღარც შვილი,
ცოფიანდება, ხდება შეშლილი,
სიყვარულს კარგავს, იპყრობს სატანა,
აღარაფრის სურს ბეჩავს ატანა.
მცირე ერების გადაშენება,
ასე ინებეს გლობალისტებმა,
კორონებით და ნარკოტიკებით,
ხალხი გაჟლიტეს ამ სატანებმა.
ისევ უფალი თუ დაგვიფარავს,
კაცობრიობას სჭირდება მხსნელი,
გონს მოდით ხალხო, სამყაროს ვკარგავთ,
გვიახლოვდება ცოცხლებს ქვესკნელი.

სიტყვა

ძვირად ფასობდა კაცური სიტყვა,
კაცის ნათქვამი არ გატყდებოდა,
თუ, კი შემთხვევით რამე ხდებოდა,
სიკვდილ-სიცოცხლის ბედი წყდებოდა.
ეხლა სიტყვები გაუფასურდა,
სიცრუის მთქმელთა ჯარმა იმატა,
ყველა ერთმანეთს ატყუებს, „აგდებს“
მიცემულ სიტყვას არაფრად აგდებს.
ამას მოყვება ხოცვა და ჟლეტვა,
ქუrდულ ბაზარში სამის გარჩევა.
დაუნდობლობა, ტყვია თუ დანა,
ბოინად იქცა მთელი ქვეყანა.
ამდენი სისხლი არ იღვრებოდა,
მცირე ომები რომ იწყებოდა,
სამართალს ვერსად პოულობს კაცი,
ყველას გონია თავი მამაცი.
სიტყვის გატეხვას, გაგიტყდეს თავი,
სახელსაც არცხვენ, სახლსაც, ოჯახსაც,
გაზომე სიტყვა, სანამ აღმოთქვამთ,
თორემ მიწაში მატლი აღმოგფხრავთ.

ვედრება

ო, ჯოჯოხეთო, გსურს გადაბუგო,
ააოხრო და დაწვა სამყარო,
ქვესკნელი ზემოთ ამოანთხიო,
კაცობრიობა ცეცხლში ჩაგვყარო.
საბრალო, ძმებო, როგორ ვიქნებით,
ყველა შიშველი, ქედდადრეკილი,
ვეღარ დაგვფარავს ცოდვის სამოსი,
სამოთხიდან ვართ გამორეკილი.
ვეღარ გვიშველის ოქრო და ვერცხლი,
საკუთარ თავზე წარმოდგენები,
თავი, რომ მეფე გგვონია ყველას,
წაგდებული გვაქვს გრძელი ენები.
სადღა არიან ჩვენიბრძენები,
კრიტიკოსები და მწიგნობრები,
თეოლოგები, საბრალო მღვდლები,
ჯოჯოხეთის კარს ახლო მდგომები.
მოვედით ღმერთო, შენი შვილები,
მუხლმოდრეკილნი გემუდარებით,
ღირსებს გვაღირსე სასუფეველი,
ფართოდ გაგვიღე შენი კარები.
შეწყვიტე ელვა, ჭექა-ქუხილი,
მუხის დაცემა, ცეცხლის ალები,
ძალა მოგვეცი შენი დიდების,
და აგვიხილე რწმენით თვალები.

უფალი მეფობს

სვეტიცხოველში გამოგირიეს,
არქიმანდრიტი გახდი მეუფე,
თავზე გვირგვინით და ხელში კვერთხით,
ერთ ეპარქიას შენც დაეუფლე.
ყველა პატივი მოგაგო ხალხმა,
ღმერთმა ისმინა ხალხის ვედრება.
უფალთან დადე მრავალგზის ფიცი,
აღსრულებაში ვინ შეგედრება.
კოხტად მოირგე მეფის სამოსი,
ტახტზე დაბრძანდი შენ დიდებულად.
კვერთხზე დაეყრდენ ბრძანებელივით,
და კუთხეები იწყე მეფურად.
და გადმოხედე, ზემოდან სამწყოსს,
ხელზე გემთხვევა ხალხი miლეთი,
„დიდო მეუფევ“ მოგმართავს მრევლი
და ყოველივეს დასცქერის ღმერთი.

რა მოგდით ხალხნო! თქვენ ძმას აღმერთებთ?
ასე მგონია მე დაგავიწყდით.
მსურს შეგახსენო ძვირფასს მეუფესს,
შენ შემომიდექ „ბერობის“ ფიცით.
სად არის შენი „უპოვარობა“
„მღვიძარება“ და „უწყვეტი“ ლოცვა,
არა განკითხვა ძმისა თვისისა,
მოთბინება და მრევლის დალოცვა!
მშიერი ვიყავ და მოგაკითხე,
მწყურვალი ვიყავ, არ მასვი წყალი,
დღეს არ გეცალა, ისვენებ, გძინავს,
გამომისტუმრე მწირი, საწყალი.
„უფალი მეფობს“ გაიგეთ ძმებო!
სანამ მე ვმეფობ, ნუ შექმნით კერპებს!
ისიც მონაა, თქვენებ ცოდვილი,
და მონას ღთისას, ნუ გააღმერთებთ!

რა ხდება?!

დედა ენის ძეგლი გვიდგას,
გვერდით უდგას მინარეთი,
გუშინ დიდგორს ვზეიმობდით...
ხუთგზის გვრგვინავდა მეჩეთი.
სად ვარ კაცი დავიბენი,
ვინ ვართ ძმებო ამიხსენით?!
ერთი სცადეთ და თურქეთში,
ეკლესია გამიხსენით.
ნანგრევებს არ გვაკარებენ,
ლოცვა გამორიცხულია,
კაბით გავლა თუ გაბედე
ჟანდარმები ჩართულია.
თუ ქვეყანას ვეღარ ვუვლით,
დაგვანებეთ შვილო თავი,
რაღად გვინდა ძალოვნები,
თუ ვართ სხვების სამართავი.
ქვეყანას თუ გავასხივებთ,
ენას მხოლოდ ძეგლში ვხედავთ,
სარწმუნოებას თუ დავგმობთ,
წინაპრებს როგორ შევხედავთ.
რას იცავენ დამცველები,
გველების და მგლების ჯიშებს,
ხალხნო, ჩვენ შვილებს მივხედოთ,
სანამ არ გადაგვაჯიშეს!!!

გამოცანა

ადამიანს ხშირად ავნებს,
ბევრჯერ ჭკუას აკარგინებს,
ხან ახარებს, ხან აშინებს,
აუხსნელი გამოცანა,
ჯერ პასუხი არ არსებობს.
ადამ და ევა დაიღუპა...
არ დაინდობს ბაბუს, ბებოს!
მან არ იცის არც ასაკი,
არც ჯიში და არც ჯილაგი.
არ აბრკოლებს არც საზღვრები,
არა აქვს ზუსტი მარაგი.
სახელი აქვს საოცარი,
ეწოდება „სიყვარული”.
ადამიანს ემტერება,
ვისაც ააქვს მკერდში გული!
ჯერ გულს იბყრობს, მერე პატრონს.
ჭკუა-გონებას აირევს.
თუ მშვიდად არ დამორჩილდა,
პარტნიორსაც გადაურევს.
შეეწირა დეზდემონა,
რომეო და ჯულიეტა.
ზოგიგააბედნიერა,
ზოგიც მსხვერპლად გაიმეტა.



დეკანოზი ილია (ნუგზარ) ჩიკვაიძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
დაბადების ადგილი – თბილისი

მარადიული სიცოცხლის სული

„მარად და ყველგან,
საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თ ანამდევი უკვდავი სული"...

წმიდა ილია მართალი
(ჭავჭავაძე)

ვინა ხარ, შენი ტანჯვა და კითხვა,
ყოველწამიერ ზეცამდე ავა,
ივსება სული და ყოველ სისხამს
ინთება ცა და მძიმდება ჰავა...
მე ვარ ცოტნე და მე ვარ გიორგი,
მე ვარ ზვიადი, მერაბიც მე ვარ,
მე მტრის ბორკილი ვერ დამაოკებს,
ვერ შემაშინებს მეხი და მტვრევა,
მე თაობიდან მოვდევ თაობებს
და ილარიონ ქართველიც მე ვარ...
მზე დასავლეთის მთებს გადავიდა,
ვინ გააბრწყინოს ცა სამზეოსი?!
მე ვარ საბა და მე ვარ დავითი,
მე ვარ შიო და ვარ თადეოზი...
ვეღარც მითებს და ვეღარც არაკებს,
ვეღარ მოისხამს ამ მთის ნაყოფი,
ვარ აბრაამი, ვარ ისააკი,
ვარ ისაია და იაკობი,
მე ვარ ანტონი და მე ვარ ისე,
ეს მადლი გულზე ცეცხლად მომიდეს,
გაბრწყინვებული აღსავლის მზისებრ
ვარ აბიბოსი და ნეოფიტე,

მე ვარ ამ ზეცის ჟამი – მზე უხვი,
მზე სივრცეებში დაუტევნელი,
მე სივრცეებში სიცოცხლე ვპოვე...
მე ვარ ილია, მე ვარ ენუქი,
ღვთისმეტყველი და ნათლისმცემელი,
მე ვარ აბელი და მე ვარ ნოე,
მე ვარ ამ ქვეყნის ცა მეწამული,
მე ვარ მთა–მდელო–ბალახი–ღვია,
მე ვარ გოლგოთა და
წიწამური...
და წიწამურის ჭრილობა ღია,
და ჩანჩქერივით ვედები კბოდეს,
მეუფის სახე – თბილიც და ქუშიც,
და თაობიდან თაობებს მოვდევ
სისხლიდან სისხლში, სულიდან სულში...
მე ვარ ილია, მე ვარ იობი
და ფრთებდაუხრელ მზე – არწივს ვგავარ,
მე შეუცნობელ გზით მოვდიოდი
და მთა-მწვერვალზე მუხლმოყრით
ვდგავარ,
მე ვარ დიდგორის ჟრიალა ხმლების
ცეცხლი და თვალებბრიალა მეფე,



გამოთენდება ზეციდან დილა
და ცრემლებიდან ნისლები ყეფენ...
ლოცვებით ისევ ვაჩერებთ ომებს,
ომებს და ბრძოლებს გარეთ და შიგნით,
ათასწლეულის იწონის ტომებს
ერთი მართალი იობის წიგნი...
მე ნიკოლოზიც ვიყავი ერთ დროს,
მე იოსებიც მერქვა სახელად,
და ჩემი დარდი, და ჩემი სევდა
ამ მთამან ნისლად ამოახველა,
მე ვარ ბრძენი და სულელიც, გიჟიც,
მე ვარ რეგვენი და იდიოტი,
მე მოვდიოდი სისხლიდან სისხლში...
და სულად სულში გადავდიოდი...
და ოდთგანვე მტკიოდა ყველა,
და ამ ტკივილებს ტანჯვით ვყიოდი,
მე ამ ტკივილებს ტანჯვით ვყიოდი,
მადლით, ცრემლებით და ზეცის მტვერით..
მე ვარ გიორგი, მამა გიორგი,
მე ვარ მოსე და გაბრიელ ბერი...
მე ვარ ის წიგნი გაუფურცვლელი,
მარად უხვი და სრულიად სრული...
მე ვარ უკვდავი, მე ვარ უცვლელი
მარადიული სიცოცხლის სული...
და შენი მადლის ცეცხლით ვზეობდი,
თან მომყვებოდნენ ძმები და ყრმები...
მე ვარ ლეონტი, მამა ლეონტი,
მოვიმტვრეოდი, მოვიმსხვრეოდი
და საქართველო მომქონდა მხრებით!...

"ფოლიანტები"

ნაწყვეტი ლირიკული პოემიდან

დგას ათასცხრაასცხრამეტი წელი,
თვალთაგან მოსჩქეფს ცრემლები მწველი...
აკიაფდება მზის სხივი უმალ,
და მე ამ მზისკენ გაფრენა მინდა...
ოთახში დედა შემოდის ჩუმად,
ბავშვებო, ფეხზე ჩაიცვით წინდა.
ჩვენ ერთმანეთში ვბრუნავდით მაშინ,
მართლაც ბავშვები ვიყავით თურმე,
ზე ავდიოდით სიწმინდით ცაში
და მივყვებოდით ფეხდაფეხ ურმებს
თრიალეთისკენ მიმავალ გზებზე...
ვმზერდით მჭმუნვარე მამებს და პაპებს,
მე ახლაც იმ ძველ განწყობებს ვეძებ
და ჩიტი უსტვენს: „თესე და კაფე“...
გადაიდარებს ბინდი თუ ბუნდი,
აწ უკვე ღვინის სურნელით ვთვრები,
მზით აელვებულ ყინულის გუნდებს
ერთმანეთს კუშტად ესვრიან მთები
ცხოვრება ნუთუ კვლავ გაგულისდა?!
და მენატრება სიცოცხლით დაღლილს
სიხარულის და, სიყვარულის და,
სათნოების და სიწმინდის სახლი...
ეს იყო თურმე... წარსულის მზეა...
თვალებზე ცრემლის კიაფობს თრთვილი. . .
ოთახში მდაბლად შემოდის ზეო
და დიდი ხონჩით შემოაქვს ხილი...
და მერმე ხვდები, როდესაც მარტო
დარჩები მათთან, წინაპრის ძვლებთან,
როდესაც წლები, ხმაური ქართა
წარსულის მწარე ტკივილებს შეგრთავს,
ხვდები, რომ მართლაც წარსულით
გმართავს,
აჟღრიალება წინაპართ ძვლების,
რომ თავზე დიდი ჭაღარა გათოვს
და გაფრენილან ბავშვობის წლები...
ფოლიანტებზე ასოებს ვწერდი,

ბავშვობის მზით და პატარა ხელით,
მე გვერდით მეჯდა ჯუზეპე ვერდი
და სამშობლოში ჰღვიოდა რთველი...
ვენახი მწიფდა, მწიფობდა რთველიც,
იმ წარსულიდან მოვდივართ აქეთ,
თვალთაგან ცრემლი სისხლივით მწველი
და გაპობილი ვარდისფრად ბაგე...
ჩვენ ვუყურებდით ათასგვარ ფილმებს,
ნათქვამი გვქონდა წიგნებთან ძმობა,
და სიჭაბუკის ავსებდა ხილვა
სამშობლოსათვის გაწალდულ მყობადს,
ჩვენ არასოდეს ვტიროდით წარსულს
და გვახარებდა მაცხოვრის შობა...
უეცრად მთაში მდინარე შედგა,
გაბრწყინდა დედა ოქროსფერ მზეში –
და – ხეში წყალი როდესაც ჩადგა,
– გარდაიცვალა თებერვლის თვეში,
დედამ სიცოცხლე წაიღო დიდი,
იქ, სამარეში აფერფლდა მზეც და...
შენდობა ბრძანა ძალიან მშვიდად
თუ მასთან ვინმე ოდესმე შეცდა,
იმ ღამეს ნისლი ელავდა ცაში
და ქარიშხალი კარიბჭეს ლეწდა.
თითქოს ცხოვრება დამთავრდა უცებ,
მე ამ ცხოვრებას ტკბილ – მწარედ
ვთვლიდი,
ვშლი საწარსულედ ფირფიტა – ფურცლებს,
ქანდაკებად და ლოდად რომ ვთლიდი,
დღეს წარსულსა და მომავალს შორის
გადებულია სიცოცხლის ხიდი...
ღვინობისთვეში წავიდა ნიკოც,
მე დღესაც ვტირი გარდასულ ძმობილს,
გადავდიოდით სიმღერით რიკოტს
და გვახარებდს მგზავრობის ჰობი,
რა მშვენიერი დღეები იყო,
სამშობლოსათვის ტანჯვის და თრობის.
მე დღესაც ცრემლით მივტირი თამარს,
მივტირი ეთერს, ლუკას და გივის,
მივტირი მამულს – ყველაზე მთავარს
და გულში დიდი ჭრილობა ღვივის
გადაღვითქულა ლოცვებით ტევრი,
სჩანს ცისარტყელა გარდავლილ დროთა,
ჩვენ გვახარებდა ძალიან ბევრი,
და გვამწუხრებდა ძალიან ცოტა...
ცხოვრება ეგრე რად გაგულისდა?!
და მენატრება სიცოცხლით დაღლილს
სიხარულის და, სიყვარულის და,
სათნოების და სიწმინდის სახლი...
ჩვენ დავიბადეთ დიდი ხნის წინათ,
ეს განცდა მთელი ცხოვრება მსდევდა,
ბავშვობის მზე და ბავშვობის წვიმა
და ბავშვობაში დარჩენის სევდა...
ახლაც ბავშვობით ღამეებს ათევს
აბრწყინვებული მზესავით ჭიქით,
გავდივართ მთისფერ მდინარე – ფლატეს,
გავაღწევთ ზეცის და ღრუბლებს იქით,
აღიმართება გოლგოთა მალე,
ვარ მოგონების ბადაგით მთვრალი,
და ზეცისაკენ აღპყრობილ თვალებს
ყოვლადმოწყალე მეუფის თვალი
მზედ დაადგება... ბრწყინდება სახე,
თოვლისფრად ელავს წლები და თმები,
სამშობლოს თავზე აღმართულ მახვილს
ჩამოლეწავენ წინაპართ ძვლები,
ცას უერთდება გული და ზრახვა
შენც ამ იდუმალ სინათლით თბები...
გამოდარებულ დღესა და აწმყოს
წარსულის მზეთა ნათელი ახლავს,
შეიკრიბება ტაძარში საძმო
და გული ლოცვით მიიწევს მაღლა...
შემოსჯარვია ღრუბელი ნოსტეს,
გარდავალს ნისლი ადრე თუ გვიან...
და თაობიდან თაობებს მოსდევს
თვალები მზე და ჭრილობა ღია...
ბავშვობის ჟამი მზის დისკოს მოჰგავს,
ეფრქვევა სხივი განმღთობილ სენაკს,
და მარნის მზეში სიცოცხლე მოჰყავს
პაპის დარგულ და დამყნობილ ვენახს...

სიმარტოვის და სიცოცხლის შუა

მივეახლებით ტკივილით ბევრეთს,
გვეღვრება სულში ღვთიური ხსენი,
არ ესმით შენი ამ სოფლის წევრებს,
და არც არავის არ ესმის შენი,

სიცოცხლე ისევ გრძელდება თითქოს
და ქარიშხალი იალქნებს ბერავს...
ეს საუკუნე მძიმე მსხვერპლს ითხოვს
და სიყვარულის არავის გვჯერა.

რა უღიმღამოდ მიდიან დღენი,
ვკითხულობ რუსთველს, ბაირონს, ბისმარკს,
რას ნიშნავს ნეტავ სიცოცხლე შენი?
უსიყვარულოდ არაფერს ნიშნავს !

ამ ქვეყნად ვიღაც ვიღაცას ართობს,
ხელადა... ღვინო... და პურის ყუა...
ამიტომ უნდა მყოფობდე მარტო,
სიმარტოვეს და სიცოცხლეს შუა...

„ფოლიანტები“

ფრაგმენტი ლირიკული პოემიდან

სიხარულიდან სიხარულამდე
და სიცოცხლიდან სიცოცხლის მზემდე,
ჩამომისხივე სხივი გულამდე
და განმიახლე ათას წლის შემდეგ
ტკივილ-ჭრილობა, რომელსაც შენვე
ამდუღარებდი შენს სიყვარულში –
მზისფერ დღეებში დაყუჩდა გმინვა
– და განაახლე ის მზე მამულში,
რომელიც მისდევს ოცნებებს ცამდე,
ცამდე და ამ ცის კიდეებს იქით...
ბავშვობის ჩრდილი შვილივით დამდევს
და კლდე-ქარაფზე ტორტმანებს ჯიქი,
შენ სამომავლოდ ფიალას მივსებ
და მიბრდღვიალებ ლალისფერ ჭიქით...
ამ მზე – ჭიქაში სამშობლო მოჩანს,
ღვთიურ ნათლით და სულიერ მზეთი,
წინაპართ მადლი ანათებს დრო-ჟამს
და კანდელიდან იღვრება ზეთი...
მადლი და ზეთი გეფრქვევა თავზე,
ელვარებს მზერა დღეების მშვიდის,
სიცოცხლეს დიდი იმედით ავსებს
და გზა-სავალიც მთებისკენ მიდის,
გველოდებიან მთები და მაღლით
გახსნიან მკერდს და გვიკრავენ გულში...,
თიბავენ ყანებს, კვერავენ სახნისს
სამომავლოდ რომ მარხავენ ხნულში...
ამ ხნულში ქართულ მომავალს თესენ,
არ ჩერდებიან წუთით თუ წამით,
და წინაპართა ადათს და წესებს
იმეორებენ დღისით და ღამით...
და წინაპრებზე ვფიქრობ და ვდარდობ,
მათ საფლავებზე შემდგარან მთები...
ხსოვნაში თვალებს ახელენ ფართოდ
წარსულში მოყვრად ქცეული მტრები,
შენ ეს ლამაზი ფიქრები გათბობს
და ამ უწმიდეს ბადაგით თვრები.
ცხოვრება დგას და ცხოვრება მიდის,
წრებრუნვის არსი ნიადაგ დამდევს...
და მოსესავით დინჯად და მშვიდად
აღპყრობილია ხელები ცამდე...
და მთებზე დგება მზიანი ღამე,
მზიანი დღე და მზიანი დილა...
და საათებში გარდაქმნილ წამებს
გაიხსენებენ თბილად და ტკბილად...
ჩამოიხსნიან ყველანი ნიღბებს,
აქ სინამდვილეს მითებიც ერთვის
და წინაპართა ადათებს მიღმა
კიაფობს ცა და ბრწყინდება ღმერთი!...

* * *

მხოლოდ წესები?!
გულის ძგერებით,
მზის გაჟღერებით
ზეცის წიაღში....
ჩამოვლინდება
სულის ნათელი
და დაემხობა
მუნ
პიტიახში....
საქართველოსთვის
საქართველოსთვის
გულმხურვალებით
ილოცებს მახვში
და მტკივნეული
ქართლის ქრონიკა
გამოისახა
ამ ტაძრის თაღში.....

ო, ეს ტაძარი ვინ აღაშენა?
ვინ მისცა ძალა ამ ქვა-კლდე-ლოდებს?!
ჩვენი წარსული ისევ აღსდგება,
მეც მოთმინებით უნდა ველოდე.....
ნუთუ, ასეთი მძლეა ზამთარი
და ასე შორი საქართველომდე?!...

ერთგულება და ზნე-გამტანობა-
ეს მხოლოდ ქართველთ სამეფოშია...
იქ, ზღვის გადაღმა,ხონთქარის კარზე
მიცუნცულებდა მეფის გოშია,
მზე დაბნელდა და მთვარე დაეცა,
ეს ხომ იუდას ვერცხლის გროშია?!..
აღარ გალობდა ბაღში ბულბული
და აღარ ხმობდა სულში შოშია!....

ექსპრომტი

შეგვხიდებია ტკივილი ხმაში,
მოწვეთავს ხელზე კელაპტრის ღვენთი...
და ჩვენც ობლებად დავრჩებით მაშინ,
თუ ობლობისთვის დაგვნიშნავს ღმერთი...
და მწუხარება მჭმუნვარებს ჩვენში,
ვერაფერს ვეტყვით წმინდანს თუ მეძავს;
ჩაგვახეთქებენ სამარის ბნელში,
თუმც უცილობლად მიგვიღებს ზეცა...
გადავურჩებით ეპოქას საშიშს,
მივყვებით მთებში ბილიკებს ვიწროს...
შთამომავლობამ ქუხილის ხმაში
მინდა, რომ ჩემი სიცოცხლეც იცნოს...
გამოიტანენ ზეცაში სარჩელს,
ჩვენ უამრავი ტკივილი ვნახეთ,
მინდა, რომ თქვენში ყოველთვის დავრჩე,
სიყვარულად და სიმართლის სახედ...

*

მე შენთვის ტანჯვას მავალებს ღმერთი,
ტკივილებს შენთვის და ზრუნვას შენზე,
ჩემი ცრემლები ღვთის ცრემლებს ერთვის
და ამ ტირილშიც ღმერთია შემწე.
და დღენიადაგ მე ვფიქრობ თქვენზე,
მე ვდარდობ თქვენზე კარგად თუ ავად
და ვიდრე ამგვარ ჯავრ-ტკივილს შევძლებ,
თქვენი მზე ქვეყნად არასდროს ჩავა...
მე თავზე მადგას ჯვარცმული ქრისტე
და მაცხოვრისკენ მავალი გზა ვარ.
განთიადისას მოგიხმობს ვიღაც,
სხეული მტკივა და სული მელმის
და კავკასიის ქედების მიღმა
ამირანისთვის აღმართეს გრდემლი.
ამ წუთისოფლის ჩამოგვხსნის ნიღაბს
სინანულის და სიმდაბლის ცრემლი.

იწყება ზეცა

ცხოვრება როცა ძირმწარე უღელს
დაადგამს ტანჯვით გაყვლეფილ კისერს
არ მოიდრიკო სოფელთან მუხლი,
ხარ-გუთნეულად იდექი ისევ.

შენ სხვა ვერავინ მიგიყვანს მზესთან,
თუ არა კაცი მდუმარე, უხმო.
ჯავრობ ქაჯეთში დამარხულ ნესტანს
ისევ ფრიდონს და ავთანდილს უხმობ,

ამ ცრუ სოფელში ტახტი და სკამი
არ განირჩევა, არც არვინ იცის,
რომ სამყაროში მხოლოდღა სამი-
– შემოქმედია ცისა და მიწის.

უჟამოობის ჟამი და დრო ვარ,
მატარებელი მიჰქრის და ჰკივის,
ზეციდან ოთარ ჭილაძე მოვა
და მოურჩენელს მაჩვენებს ტკივილს.

არც სიბერე და არც სიჭაბუკე...
სივრციდან თეთრი ფანტელი ბარდნის,
ცის საუფლოში, წარიღეს უკვე,
ჩვენმა ძველებმა, სამშობლოს დარდი.

და ზეცა ისევ შემოდის ჩემში,
მამულის კვამლი ტრამალზე ბოლავს
და სამშობლოსთვის დასისხლულ ცრემლში
ანგელოზები ამკობენ ოლარს.

ოცნება ჩემი ვერაფრით ახდა,
ვერ დავიბრუნე, ვერც ვერსად ვნახე,
კვლავინდებურად დამირჩა სახტად
ცად მიპყრობილი თვალი და სახე.

და ამ ტკივილში ვერავინ შეგცვლის
ვერ დასდებს სამანს ათასგვარ ფერებს,
და ალბათ უკვე იწყება ზეცა,
აუხდენელი ოცნების მერე...

ექსპრომტი

ეს ზამთრის სუსხი შენ გამირტოვე,
ამიბრდღვიალე ატმის ტოტებად,
მხოლოდ შენ უწყი ეს სიმარტოვე,
მხოლოდ შენ გესმის ჩემი გოდება
და ჩემი სულის წმინდა მნათობი
ღვთის სამსხვერპლოსკენ მიებღოტება...

სამოთხემდე...

სამოთხემდე ვინ გაგვიყვანს
წინსვლით, არა გაჩერებით,
შენ ცოცხალი წმინდანი ხარ
მე ეს ვიცი დაჯერებით.

ჩემს სიმძიმეს რადგან უძლებ
 გაბრიელსაც გაუძლებდი
და ეშმაკთა ბინძურ ხროვას
ცის დიდებას აუწყებდი...

მძიმე არის შენი ჯვარი,
რადგან ჩემი ჯვარიც მძიმე,
ცის სამანებს ემართლება
ეს სარკმელი მოციმციმე.

ეს სოფელი ვეღარ დაგვცემს,
გახსნილია ცათა კარი,
უღელს ისევ მძლავრად გასწევს
ღვთით ნაკურთხი ნიშა ხარი.

და ზეცამდეც ის გაგიყვანს,
ის დაგადგამს გვირგვინს ბოლოს,
შენ თამარის შვილიშვილმა
ვარდი უნდა ააქროლო...

ჩემში ფეთქავს ეს ქვეყანა,
ეს სამყაროს თავი, ბოლო,
მსურს აღვკაზმო მერანი და
ჩვეულ გზებზე გავაქროლო!...

კარნავალი და სიცრიუს მითი

შენ როსღა მიხვალ მამულის მზესთან,
გულმართალო და სულანთებულო;
ქარქაშში როგორ ჩაჟანგებულხარ,
ხანჯალო, ბანზე შემოდებულო.

შენს ძვალ-ხორცს ლეწენ და შენს სისხლს სვამენ,
შენს ცაზე ვეღარ გამოიდარა;
შენს მართალ თვალში ჩამოდგა ღამე
და ღამემ დილის მზე მოიტანა.
შენს სიხარულში ცხოვრება ტირის,
შენს ცრემლ-თვალებში ბრწყინავს მზე შინა;
დაყუდებულა მათ მწირთა გლოვა
კლდე-გალავნებად შემოგეშენა...

შენ გენატრება სიცოცხლე დიდი,
ვერ ურიგდები ძაღლ-ტანჯულ ლუკმებს;
ვინ ტირანს ლიქნის, ვინ მამულს ყიდის,
ვინ ამ სიმრუდეს ცეცხლ-გუნდრუკს უკმევს.

ვის ეს ძაღლური დღე-ყოფა ტანჯავს,
ვინ ცას უმღერის ღვთიური ჩანგით;
ვინ მოსართავად ატარებს ხანჯალს
და ხანჯლის პირზე თამაშობს ჟანგი.

ამ სიცრუეში დღეები ვლიან,
ვის შევჩივლოთ და ვის ვკითხოთ რჩევა;
აქ წლები მარტო თოჯინებს ცვლიან
და კარნავალი იგივე რჩება.

ვის თავი ღმრთისა ჰგონია ტოლი,
ვის შიმშილისგან კვლავ ახრჩობს ხველა;
აქ ყველას ერგო თავისი როლი
და მეტ-ნაკლებად თამაშობს ყველა.

2000 წელი...

მეფე აღმაშენებელი

თვალად მზე და ხელად მწიფე,
კაცად კაცი, ჟამად ჟამი,
ჭრილობებზე მზის შუქს იფენს,
ჩქარობს გაფრენილი წამი.
მერმე ძმა-ძმობისას იტყვის,
უფალს შეჰღაღადებს-ამინ!
იმის სიხარულის ნათელს
დასდევს ვერაგობა შხამის.
მაინც ვერსად წაბორძიკდეს,
ვერსად დაეწიოს მშვილდი,
ვინც, რომ იმის ზრახვებს მიხვდეს,
ზეცა გაეხსნება შვიდი,
თავზე დაადგება მცველად
მთავარანგელოსი მშვიდი.
მეფე მეფედ წოდებული,
ყმა-ყმად, ანდა მზე-მსახურად,
თავზე ალ-ცეცხლ-მოდებული
ღმერთს და მამულს ემსახურა.

ცას გაუღო გულის კარი,
მიწას მისცა მხვნელ-თესველი,
დიდგორს დაადევნა ჯარი,
თვალიც სინანულით სველი.

ცად აღაპყრო, და მეუფემ
უწყალობა მტერზე ძლევა,
კაცად კაცმა, მეფედ მეფემ
მიწად მიწა დაატყვევა.
მერმე საგალობელ-ცრემლით
ცოდვის ბინდი გააძევა...

მართალი ხარ! შენს სამართალს
კვლავ სიმართლედ აქცევ შენვე;
ისევ ქართულ დღეებს მართავ,
ზეცა რეკს და ზღვანი ღელვენ.
დროშა აღმიმართე ხანძთას
და ცხენ-რაშიც გამიგელვე.

2002 წელი, 28 ნოემბერი

* * *

ქართულო ცეცხლო, მზევ და მამულო,
ვერ ჩატეულხარ მთის ზღუდეებში;
ჩამოგიტანე პეშვით ცის წყარო
და ბარ-მდელოზე წანწალს შევეშვი.

შემოვედ ჩემი გულის წიაღში
და დამიმკვიდრე ზეცა-სავანე,
ამოიგლოვე მუნ პიტიახში
და შუშანიკი გაათავანე.

მზემ დაგიჩრდილა ღამის მზეობა,
ცამ გამოკვართა შენი სილაღე,
მთებს მიახარე ასულ-ძეობით
და სულში მზეთა-მზე შეინახე,
მერმე მოსძებნე ვინმე მოყვასი
მეგუთნე, მეხმლე და მეინახე;

წადი და შენი ცეცხლის თვალებით
მოსრე და მოსრე მტერი მზაკვარი,
ვინც დაგინგრია უღელ-ველებით
მამულ-მიწა და ზეცა-აკვანი.

აღიღე ხელში ხმალი მართალი,
შენთან იქნება უზეშთაესი,
აღლესე სიტყვა ალალ-მართალი
და ქვეწარმავალს გულში ჩაეცი.

მერმე ზე-გამჩენს უთხარ მადლობა,
მზე აიტაცე ხანჯლის პირებით,
ქვე დამხობილი უსამართლობა
შენს ფერხთით, როგორც ნანადირევი

გმინავს და ითხოვს საშველს არყოფილს,
ერთ დროს უღმერთოდ ყოფნის მდაფნავი,
მერმე მონახე შენი სამყოფი,
შენი ზეცა და შენი საფლავი;
გამოაბრწყინე ცრემლი ნაცარში,
იმღერე ჰანგი საკობზარებო,
ქედდადრეკილი შედი ტაძარში,
შენ კიდევ დაგრჩა სააღსარებო.

ქვევრი დუღდეს და ვაზი ჰყვაოდეს
შენსას, ჩემსას და სადმე სხვისობას,
როგორც არასდროს, როგორც აროდეს
მიჰყევ და მიჰყევ მზეთა მზისობას.
მერმე დასტოვე მწვანე საუფლო
და შეუერთდი მარადისობას.

2002 წელი, 16 ივნისი

მოყმე, მოყმე მიდიოდა...

მთა, მთა, კლდე, კლდე, მინდორ-ველად,
ტყე-ტყე, მითოხარიკობდა,
ხან ომობდა როგორც ყველა
ხან ტაძარში ტარიგობდა.
არცა სხვისი ყმა უნდოდა,
ცისგან მზე და ქარი ყოფდა,
არ არცხვენდა სინდისს-ნამუსს
საწოლს სხვასთან არ იყოფდა;

ჰქონდა სიყვარულის გუდა,
შიგ ღვინო და პური ეწყო,
ზოგს უკვირდა ეს ვინ არის
მადლი ცისა თუ მიეცხო.

ციდან ჯარი მოდიოდა,
ცა ნათლია იყო მისი,
ტყისპირ ღარიბული ოდა,
წყალი არაგვ-იორისი.
იმის ძარღვებ-ცრემლ-ძვალ-სისხლში
ზადქად შეერთებულიყო,
ხან მზის გულზე მღეროდა და
ხან მიწაზე გდებულიყო,
როგორც მწირი ღარიბ-მავრი,
როგორც მათხოვარი ვინმე...
სადაც შენი დარდი წარსთქვა,
იქ ჩემიცა დაიგმინვე.

2001, 21 მაისი

ღმერთო მაღალო!

(ვედრება)

ღმერთო მაღალო, ღმერთო, ძლიერო,
სულის ცეცხლო და სულის მნათობო,
ყოვლადვე გვედრებ გამაციერე
და წუთისოფელს არ შემატოვო.

არ დამიმარხო სულის საუნჯე,
დამიმხე ჩემი ცის დამსეტყველი,
არ განმირისხდე, არ დამამუნჯო,
არ ამომშანთო ენა მეტყველი.

შემინდე ჩემი ცოდვის სიუხვე,
სულის წყლულებზე სალბუნმდებელო,
გამიცისკროვნე კლდე და ჭიუხი,
თავადვე კლდეო აუღებელო!

არ განმიქარვო სულში ღვთის სახე,
შენ რომლისთვისაც ჯვარზე კვდებოდი;
მეც შენთა დღეთა დიდება ვნახე,
როცა ღვთისმშობელს ვევედრებოდი.

დღეს დამხობილმან მამულის მთებზე,
დღისით და ღამით, წვიმად და ცვარად,
მხოლოდღა ლოცვა-ვედრება შევძელ
ყოველთვის, ყველგან, მარად და მარად.

სამშობლოს დღეო, აღსადგენელო,
ამღერებულო პოეტის ხმაში...
ქვეწარმავალი თვალუწვდენელი
სჩანს ბაზალეთის სისხლიან ტბაში.

გარიჟრაჟებით ბურვილ მზეებში
ორთქლდება ცრემლი ფიქრების მჩატის,
ქართულ ტბებსა და მდინარეებში
გულსევდიანი ასული ჩადის.

წარსულის ამბებს იმღერს კანკალით,
სიდარბაისლით, მანდილის რხევით
და სისხლიანი ოქროს აკვანი
საგანთიადოდ ამოაქვს ზევით.

2000-2001

ექსპრომტი

(უსამართლო საუკუნე)

ცეცხლო, ცეცხლო, მამულეთო,
ცაო, მამულ-დედულოო,
ქართლო, ქართლო, მთის გულ-მკერდში
ლოცვად დაყუდებულოო.

ო, რა წმინდა სისპეტაკე,
რა სამართალ-სიხარული,
სივრცე, დედულ-მამულეთი,
ცრემლი ცრემლზე მიღვარული.

ახლა უფრო გაბრწყინდები,
ბრწყინვად გამოციერდები
და ღვთაებრივ დაწინდებით
ივსები და ძლიერდები.

დაფნის რტოებს, ეკლის გვირგვინს
ვინ დაიდგამს, ვინ დაეცეს
ტანჯულ გზებზე, და მომავლად
შენს მარჯვენას გადაეცეს.

ეს ხმალ-დროშა-ბაირაღი,
ეს მზე, ეს ცა, ეს ქვეყანა...
შენი ცა-მთა-ველებიდან
ჟამმან ჟამი მოიყვანა.

ვინ დაგამხოს?! ქართლის ჯარმა
მტერ-მოყვრობა გაიხსენა
და ნაჯაფარ-ნაომარმა
შენს კალთებზე განისვენა.
შენს ცრემლ-ნისლებს ტირის ვინცა,
გზა წრფელი და გზა მართალი!...
ღმერთო, ღმერთო, არ განსაჯო
საუკუნის სამართალი.

2001 წელი, 23 სექტემბერი

ქნარი

... დასისხლულია ქნარი
მზერა ცეცხლოვან მტევნის;
ისევ ამოდის ქარრი,
ისევ სასტიკად მდევნის...

თერგი ძარღვებში მჩქეფი,
მზით დატვერილი თერგი,
თუმცა ტალღების ყეფით
დაგამშვიდებენ ვერ კი...
ისევ სისხლსა და ქარში
ფესვდამსხვრეული ნერგი.

უცდის სამარის ლოდი
ქვეყნის ათასად გამყოფს;
ისევ ტირანი მოდის,
ისევ თავის თავს ამხობს.

ვიღაც ჩააქრობს თრიაქს,
ლოცვით ერთსა და სამ არსს
მზისკენ ნათელი მიაქვს,
მღერით მიჰყვება თამარს.

ცრემლში ასველებს არზებს
გულთა ზედიზედ ბზარვა,
მერმე, ყორნისფერ თვალზე
ჩამომსხვრეული ქარვა...

საით მიხვალ და რისად,
თვალთა ბინდების მთოვლად...
მზე განფენილი მზისად
მადლით ავსილი ყოვლად.

მიწას განერთხმის გველი
შხამით ლოდების დასვრად;
ვისაც დამხობა ელის
უნდა მოასწროს წასვლა...

ძარღვში ატოტილ ზვირთებს
თვალი იაზრებს ლაღად...
და გაზაფხულის კვირტი
ამოფეთქილი ახლად

თვალებს ნელ-ნელა ახელს...
მაინც დააზრობს ზრუნვა;
ისევ მწუხარე სახე,
ისევ ნათელი ჭმუნვა.

სისხლის შეპარვა ხმაში,
მკერდაფლეთილი ღალღა...
მერმე კასპიის ზღვაში
აბობოქრების ტალღა.

თერგი ძარღვებში მჩქეფი
მზით დატვერილი თერგი...
თუმცა ტალღების ყეფით
დაგამშვიდებენ ვერ კი;
მაინც სისხლსა და ქარში
ფსევდამსხვრეული ნერგი.

. . . . .

სახით მნათობებს ჰგვანან
გამჩინებელნი მშვიდად...
მთებზე მგოსნები დგანან,
განცვიფრებულან დიდად.

ისევ ერთმანეთს ჭამენ?!
შენ ამ ტკივილებს არ თვლი?!
დაბინდებულა ღამე,
გაბრწყინებულა ქართლი!

1995 წელი, 5 ნოემბერი

ზამთარ-სიცივის ქვეყანაში

ვაიმე, ჩემო საქართველო,
რა გიყო, ანდა რა გიშველო,
მტრებად აღძრული ბადიშები,
მასწავლე როგორ გაგიშველო.

ბაღ-ვენახს იკლებენ გუგულები,
მტერმა და ორგულმა არ გამთვალოს,
ვაიმე, სოფლის უგულობავ,
მრუდედ მოჭრილო სამართალო.

ვაიმე, ხმალ-გუთანი მივატოვეთ,
მერმე უარვყავით ღვთის წყალობა,
მხარზე შემომჯდარმა იადონმა
შენი დამარცხება იგალობა.

ჩუმად დაცუნცულებს კარისკაცი,
თვალებში – მონურად მზირვალობა,
არ უნდა იყოს ჯარისკაცი?! –
მაინც და მაინც პირველობა.

დაღლილა ვაცი განტევების,
საფლავში ხმალ-ძვლები ალაგია;
ლოდებმონგრეული ნანგრევები,
ნანგრევებია და ქალაქია.

მზისკენ გაფრენილა მზეთა რაში,
თითქოსდა ზეციდან მწე მოსულა;
ზამთარ-სიცივის ქვეყანაში
თითქოს გაზაფხული შემოსულა.

აბჯარს აჟღრიალებს მეომარი,
სისხლის მდინარეში შეტოპილი...
თავზე დაგდგომია ყოვლადწმინდა _
შენი მფარველი და დედობილი.

ბაღ-ვენახს იკლებენ გუგულები,
მტერმა და ოტგულმა არ გამთვალოს,
ვაიმე, სოფლის უგულობავ,
მრუდედ მოჭრილო სამართალო.

1999 წელი

* * *

მიახლებულო მაცხოვრის საფლავს,
მჭმუნვარებ ღამით ლოცვათა დრომდის...
ტალღებში სული ტკივილებს დაფლავს
და სისხლიანი ცრემლები მომდის.

შუბლ-მკერდზე ტანჯვის გადაგდის ხვითქი,
შენ ბნელი ხარ თუ ბნელეთის მზე ხარ;
გგონია, მზესთან მიდიხარ თითქოს
და მაინც ბნელში ჯიუტად დგეხარ.

შენ სულში მოგხვდა მსახვრელი ხელი,
ძველთაგან შენს სისხლს მსტოვარნი სვამენ;
შენ შენთა დღეთა დიდებას ელი
და ვეღარ დადგა მზიანი ღამე.

გაპოხეს სისხლით ნასხეპი თორნი,
თუმც სისხლის წვეთებს თარიღად არ თვლი;
მამულში ბინდი შემოაქვთ ყორნებს,
ყორნებმა უკვე წარიღეს ქართლი.

შენის თქმით მასზე ჩივილი არ ღირს,
ქართველი ქართლში ხიზანი გახდა;
ეს მერამდენედ ჩამიჭრეს ძარღვი,
ეს მერამდენე სიზმარი ახდა!

და შემოგრჩები გოდების გზასთან,
უმზეო ღამის ტრამალში მთევარს...
დაკლავენ მოძმეს, ვითარცა ხვასტაგს
და დამნაშავე ამაში მე ვარ.

მე მრთელი აღარ შემრჩება ნერვიც,
დაგეძებ, ესრეთ ყარიბი, მწირი...
უფალო, შენს მეტს შევჩივლებ ვერვის
და დამმარხველი ცრემლებით ვტირი.

1993 წელი, 5 სექტემბერი

ექსპრომტი

აღარც შენთვის წვა და დაგვა,
არც მზე, არცა რაინდობა,
ვინც მოგნათლა ავაზაკად,
სიკვდილშიაც არ ინდობა.
წამო, იქნებ, იმ წარსულში
ვნახოთ ვინმე მენუგეშე,
მომეც ბაზიერის ღვედი
და მიმინოც დამიგეშე.

ქართლო, ქართლო,
შე, სულქართლო,
შენ, სიცოცხლის სიხარულო,
სულის მზეო, ღრუბელ მთებზე
ცრემლ-კიაფად მიღვარულო.

მოხვალ მზედ და მოხვალ ზეცად,
გზად დაგხვდება ქარი ქართა,
შენი ფრთები ვინ დაკეცა,
რად გძულდა და რად გიყვარდა?!

რად დაგიმხო მტერმა მეფე,
გადგას ბროლი თვალმიმქრალი,
აღარც აბჯარ-ხმლები ყეფენ,
აღარც მოსთქვამს სეფე-ქალი.

არც სტირიან ქართულ ღამეს
და არც მზეთა გადარებას,
შენი რაში ცრემლ-კამკამა
ბაღ-ვენახში რად არ ება?!

განიქარვე ჯავრი ქუში,
მთისკენ ნისლი გამოდენე,
და ამ მზისფერ სიხარულში
საქართველო გამითენე!

ქართლი, ქართლი უქართველო?!
მთა უმთო და ცა უმზეო?!
შენი კლდე-მთა-ველებიდან
გულში გულად ამიმზეო!

ამიცისკრო ცისკრის სხივი,
ძარღვში სისხლად მიქაფქაფო
და ბაღ-ბაღნარ-ვენახივით
მკაფო, მაგრამ ვერ გამკაფო,

დამცე ბაზიერის თოფი,
ქორ-მიმინოც დამიტყვევო,
გაწალდული სიყვარული
ყლორტ-ფოთლებად ამიტყვევო.
ფრთები, ფრთები ვინ დაკეცა,
შენ დამამხე თავზე ზეცა,
ღვინოც შენვე წამიქციე,
მერმე მოდი, მტერ-დუშმანი
ცხრა-მთას იქით გამიქციე,
მტერი მტრად და კაცი კაცად,
რად მიყვარდი ან რად მწყინდი?!
მზის თვალებში ჩანავლდი და
მზის თვალგანვე გამობრწყინდი!..

2002 წელი, 14 ნოემბერი

არქიმანდრიტი სერაფიმე (გოგი) ფილია
მღვდელთმსახური, არქიმანდრიტი

სადღეგრძელო

წამოვა გულიდან გონების წიაღში,
აშლილი გრძნობებით თითქოს და გაგლახავს,
მოვარდნილ ნიაღვარს, სულიდან სიტყვაში,
შეკრავ და ერთ ჭიქა ღვინოში ჩაასხავ.

სხვის გულსაც მიწვდება და მერე ხანდახან,
წარსულზე ფიქრებად, მომავალს დაასხავ,
ღვინოში ჩალბობილ ტკივილის კვალდაკვალ,
მოზიდულ მშვილდისტარს მიზანში გაარტყავ.

შეიცნობ სამყაროს,რაც კი ამ ქვეყნად,
დარდიან საფიქრალს, ლექსებად ჩალეწავ,
მტერისგან დანგრეულ ფუძეს კი ამჯერად,
სულიდან ამოსულ ბგერებით გალესავ.

საზღვრების ძებნაში ვერ ნახავ დასამალს,
შენ თავისუფლებით სხვისას არ გადახვალ,
თვით სიყვარულისგან ნაბოძებ საწამლავს,
კვლავ სიყვარულისთვის ტრფობაში დახარჯავ.

ქუჩის ლექსები

ღამე ნათევი ნაბახუსევი,
სამაიას ბაღს მტკვრისკენ ჩავყვები,
ფიქრები ყველა ზღვარს გასულები,
არ მასვენებენ მაგრამ არ ვყვები.

წინასწარ ვიცი დამიწუნებენ,
ჩემს ქუჩის ლექსებს მუზის ამქრები,
მაგრამ სიმართლეს თუ ისურვებენ,
მათთვის ყოველთვის დავიხარჯები.

მესაიდუმლე მინდა მოვიხმო,.
და დაფარულის გავხდე გამთქმელი,
გონების გულში ჩასვლა მოვსინჯო,
იქნებ მაშინ ვთქვა ჩემი სათქმელი.

გარიჟრაჟს თვალზე ცვარი მოვსწყვიტო,
ჩამოვახიო ზეცას ფარდები
მაცხოვარის წინ ცრემლით მოვკრიფო,
მარადისობის ია-ვარდები.

ღამე ნათევი ნაბახუსევი,
სამაიას ბაღს მტკვრიკენ ჩავყვები,
ფიქრები ყველა ზღვარს გასულები,
არ მასვენებენ მაგრამ არ ვყვები.

შორია ნეტავ გურჯისტანამდე

გარუჯულ ქვიშის ოქროს ტრამალებს,
უდაბნოს ქარით ფერმკრთალ ნაკვალევს,
სევდით გაჰყურებს დაღლილი მგზავრი,
შორია ნეტავ გურჯისტანამდე?

და მერე ფიქრი შორი წარსულის,
გონებას ნისლში ახვევს ყელამდე,
ოცნება ჩემი ნანატრი ქვეყნის,
ნიკოფსიიდან დარუბანამდე!

შორია ნეტავ გურჯისტანამდე?
ისპაჰანიდან ტაშის კარამდე,
უდაბნო ცხელი გზა სატანჯველი,
შუბის წვერიდან შუბის ტარამდე.

სული წარსულის კოცონზე იწვის,
ნუ დამიხურავთ გულის დარაბებს,
ასე არასდროს არ მიმღერია,
ასე ვერასდროს ვერ ვიამაყებ.

დრო აღარ რჩება ღმერთო ხვალამდე.
შორია ნეტავ გურჯისტანამდე?
იესოს ლოცვა უწყვეტ ვადამდე,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!

უნდილაძიდან სააკაძემდე,
დედოფლისა წილ სულის კვეთებით,
უგონოდ ნაგვემ ქეთევანამდე,
ო!რა შორია გურჯისტანამდე.

ტკბილი მეგრული ჩქიმი ნანადან,
ქართველ მამლუქთა ხმალის ტარამდე,
ფერეიდანში ნარწევ აკვნიდან,
სტამბულის გაყიდულ ლამაზმანამდე.

ანკარა ცრემლი თან გაყოლილი,
ლამისყანიდან დაღესტანამდე,
შორია!ძმაო გურჯისტანამდე,
კახაბერიდან ფარსადანამდე.

რჯულგამოცვლილი როსტომ ხანიდან,
ლექსში დაფერფრილ შაჰნავაზამდე,
უბეში ჩუმად გაამალული,
თერთმეტ გიორგის გულის ჯვარამდე.

ვიცი,შორია გურჯისტანამდე.
ვიწრო ბილიკი ცის კამარამდე,
აღმაშენებლის მტკიცე მკლავიდან,
თამარისეულ მეფე ქალამდე.

მაგრამ ჩვენ მაინც ნიკოფსიიდან,
მაგრამ ჩვენ მაინც დარუბანდამდე!
ისევ და ისევ ქართული სიტყვა,
თავის გაჩენას კვლავ ბევრს ანანებს.

გზა ჩავუკეტოთ ახალ ხვარაზმელს,
გული საგულეს განშორებული,
თვითონ გაითხრის თავის სამარეს.
არ არის შორი გურჯისტანამდე,

ნიკოფსიიდან დარუბანამდე!
ნიკოფსიიდან დარუბუნდამდე!
გარუჯულ ქვიშის ოქროს ტრამალებს,
უდაბნოს ქარის ფერმკრთალ ნაკვალევს.

სევდით გაჰყურებს დაღლილი მგზავრი,
შორია ნეტავ გურჯისტანამდე?!
იესოს ლოცვა,იესოს ლოცვა,
შუბის წვერიდან შუბის ტარამდე!

ლექსი

(შიშველფეხება მწერლებო)

ლექსი ფიქრებში ლექსდება,
როცა საფიქრალს ვერ ლევ,
ღამე ფიქრებში ნათენებს,
ფიქრი ღამეში გეძებს.

სულის სირღმეში სინდისი,
რომ გააჭენებს ცხენებს,
და გაშიშვლებულ გულისთქმებს,
შემოატარებს ველებს.

შიშველფეხება მწერლებო,
ვინც კი სიყვარულს ეძებთ,
რა ეშველება მითხარით?
მაჯებ გადახსნილ ხელებს.

ჯვარდაუწერელ ტრფობის ალს,
სიტყვა გატეხილ ბეჭედს,
სხვას რომ გზას უთმობ და მერე,
კვლავ ეჯახები კედელს.

როცა გააფრენ წარსულთან,
მესაიდუმლე მტრედებს,
რწმენით შეხედავ მომავალს,
თუმცა ვერ ხედავ შედეგს.

რა ეშველება? მითხარით,
ამდენ ბრძენსა და რეგვენს,
როცა მტერიც და მოყვარეც,
თავისუფლებას ეძებს.

როცა მორალი ზნეობას,
სიტყვას შეჰკადრებს ზედმეტს,
და გულში ჩასულ გონებას,
ფიქრებს მიუსევ მერყევს.

ლექსი ფიქრებში ლექსდება,
როცა საფიქრალს ვერ ლევ,
ღამე ფიქრებში ნათენებს,
ფიქრი ღამეში გეძებს.

ღამის თბილისი

ფიქრის გორაზე ფიქრი ფიქრობდა,
გონება დუმდა და ნაფიქრალი,
ღამის თბილისში იკარგებოდა,
მონატრებული სახლკარს ფირალი.

ღამე ტკივილით კვლავ გაჰკიოდა,
მიჯნურ მთვარესთან ცრემლად მდინარი,
ღამის თბილისი თითქოს ჩიოდა,
წარსულისაკენ სევდით მზირალი.

თითქოს თბილისსაც რაღაც ტკიოდა,
თუმცა მალავდა და უჩინარი,
გულში მალამოდ შემოდიოდა,
მტკვარის ღიღინი მრავალხმიანი.

ღამის სიშიშვლეს თითქოს ციოდა,
მკერდს იფარავდა გული მტირალი
სისხლი ძარღვებში ისევ ყიოდა,
ღამის თბილისი თვლემდა სიამით.

ფიქრის გორაზე ფიქრი ფიქრობდა,
გონება დუმდა და ნაფიქრალი
ღამის თბილისში იკარგებოდა,
მონატრებული სახლკარს ფირალი.

გალაქტიონის დაბ. დღე გალამ თბილისს დაუტოვა.

სიჩუმეა, მდუმარებით მიუყვება ნაპირს მტკვარი,
შემოპარულ ცისკრის მზის სხივს, გაუყინავს თითქოს წამი,
ღმერთო! ნუთუ სადმე არის, კიდევ ამის შესადარი,
ამომავალ მზეს რომ ხედავ, ყოველ დილით თუნდაც მთვრალი.

სიჩუმეა, მდუმარებას ეფერება დილის ცვარი,
ღამემ ცისკარს გაუმხილა საიდუმლო საფიქრალი,
მზის სხივმა კი დაგვანახა, ჩუმად თავის ტყუპისცალი,
გალაქტიონს გაუსწორა განთიადმა თვალში თვალი.

სიჩუმეა, ვერის აღმართს, კვლავ ეტყობა მისი კვალი,
მისი სუნთქვის ნიავქარი და გრძნობების ქარიშხალი,
თითქოს დღესაც ნაბახუსევს აუღია ისევ ვალი,
გალაქტიონს კვლავ თავს უხრის, გარიჟრაჟის დილის საარი.

სიჩუმეა, მდუმარებას გასჩენია გულში ბზარი,
ლექსთა წერის მეფეთ-მეფემ დღეს ჩამოკრა სიტყვის ზარი,
თვალწინ მიდგას მტკვრის ნაპირას ნამთვრალევი, გაღმითმდგარი,
გალამ თბილისს დაუტოვა უკვდავების ოქროს ქნარი.

ბრძოლა

ბრძოლის ველზე ხარ! როცა ფიქრებით,
გადახსნილი გაქვს მაჯა-ვენები,
კვლავ ბეწვის ხიდზე ორი ბუნებით,
ვდგავარ და ვერცერთს ვეღარ ველევი.

ფიქრი წაგიყვანს გაგიშლის სივრცეს,
ფიქრივე გახრჩობს ცივი ხელებით,
განახებს ხილულ სამყაროს შიშველს,
და ვეღარ ძღები მისი ფერებით.

ეს გასახედნად გამზადებული,
ფაფარაშლილი ვნების ცხენები,
გაგაჭენებენ ხელაღებულნი,
გაუმაძღარი სისხლისმსმელები.

სული სულს ღაფავს და არ ჩერდება,
მაინც წინ მუდის სვენებ-სვენებით,
თავისუფლება მაშინ ღმერთდება,
რომ გაიმარჯვებ და თან ნებდები.

ბრძოლის ველზე ხარ როცა ფიქრებით,
გადახსნილი გაქვს მაჯა-ვენები,
კვლავ ბეწვის ხიდზე ორი ბუნებით,
ვდგავარ და ვერცერთს ვეღარ ველევი

თბილისი

დაკიდებულან მეტეხის კლდეზე,
ფერადფერადი შუშაბანდები,
შეყვარებული თბილისო შენზე,
მტკვართან კვლავ
ფლირტით გავიბლანდები...

ჩემო თბილისო ჩემო ქალაქო,
თვალში წამწამად ჩაგივარდები,
მინდა მოგიყვე ასე სახალხოდ,
ჩემი ურიცხვი გულისნადები.

ზემელის კუთხე და რუსთაველი,
თან დამყვებიან როგორც ლანდები,
მთაწმინდის გორას, მისი დამცველი
შემოხვევია შარავანდედი.

დიდუბის ველზე დიღმის ხევამდე,
აყვავებულან ნორჩი ვარდები,
მუხლებს გიდრეკენ თავის თხემამდე,
ვერა-ვაკელი დარდიმანდები.

ჩემო თბილისო ჩემო ქალაქო,
შენი სურნელით ისევ დავთვრები,
არ შორდებიან ხარფუხს არასდროს,
იარმურკელი მსუყე ვაჭრები.

ვარაზის ხევის მძინარე აღმართს,
გააღვიძებენ წვიმის წვეთები,
აქ,ცოდნის მძებნელს თუ გინდა წარმართს,
ქედს მოუხრიან სიბრძნის ღმერთები.

მდუმარე მტკვარის სანაპიროზე,
გამაქროლებენ ურცხვი ვნებები,
ჯარდაწერილი ოქროს უბანზე
(ვფიცავ ყურანზე)
გულის ამბოხში მაინც გნებდები.

ჩემო თბილისო, ჩემო ლამაზო,
შენზე მლოცველი ქაშვეთს სანთელით,
სოლოლაკიდან სულო ამაყო,
სიონის ჭერ ქვეშ დაგემალები.

ორთაჭალიდან სიტყვას გიბოძებ,
საწერ კალამის ხელში ამღები,
პურის მოედანს, გვერდს ჩაუქროლებ,
და სინაგოგას დავეჯახები.

ჩემო თბილისო, ჩემო ქალაქო,
შენზე ფიქრებში მე ვერ დავცხრები.
ნარიყალას რომ ხელი არ ვახლო
ისტორიაში მაინც დავთვრები...

ღვინის აღმართზე ავლაბრელ ამქრის,
ალბათ კვლავ ახსოვთ დანაბარები.
თბილისელი ვარ! ვამაყობ ამით,
და ჩემს თბილისში დავიმარხები.

გულს მოგლეჯილი ბებერი ტაო

როცა გარშემო შემოდგომაა,
და სექტემბერი ცელქობით რაობს,
ხეთა სიყვითლე ფერთა წვდომაა,
ფოთოლცვენა კი განავრცობს ქაოსს.

როცა ფიქრს ისევ იმედი სწყალობს,
ბევრი და მრავალ მიზეზთა გამო,
უდაბნოს ამკობს სიწმინდის წყარო,
გულს მოგლეჯილი ბებერი ტაო.

ამ გაშიშვლებულ ტყეთა საფარში,
მარგალიტებით მორთული პანო,
გარდასულ დღეთა მყუდრო საკანში,
პატიმრობაში მყოფობას ნანობს.

ალაპარაკდა მთვარე.

ისევ შავთვალა ღამე,
ვარსკვლავთ კაშკაში წვავთ,
შეყვარებული მთვარე,
აღარ მაშორებს თვალს.

სულის პატიმარ სათქმელს,
რომ გამოუღებ კარს,
მის ფსკერზე მკვეთრად ამჩნევ,
ოცდაათ ვერცხლის კვალს.

კვალავ გადაუხდი სახდელს,
კაცობრიობის ვალს,
თუმცა სინდისი გამხელს,
ძალა კი აღმართს ხნავს.

წარსულს გაუღებ სარკმელს,
მესაიდუმლე ცას,
და გააგრძელებ ცოდვის,
მოპირკეთებულ გზას.

სულის სირღმეში მწარე,
დუმილი კარგავს აზრს,
ალაპარაკდა მთვარე,
მე უთქმელობა მკლავს.

სიყვარულში რომ იწყებ წამებას

(პოეზია)

როცა კალამი ეხება ფურცელს,
და ეს შეხება ლექსით მთავრდება,
მაშინ შეიცნობ ზეციურ სურნელს,
და სიყვარულში იწყებ წამებას.

როცა ტუჩები ეხება მის ხელს,
და ეს შეხება ლექსში მჟღავნდება,
სიცოცხლეს თითქოს ახლიდან იწყებ,
და ლექსს სიცოცხლე რითმად დაჰყვება.

ვერ იმახსოვრებ დაწერილ სიტყვებს,
თუმცა სიტყვებში ფერისცვალება,
ვარსკვლავებისგან შეგიკრავს მძივებს,
და ეს მძივები ლექსში მრავლდება.

დრო და სივრცეში აჟღერებ სიმებს,
საუკუნე კი თითქოს წამდება,
ლექსად კვდება და გიყვება მითებს,
დაბადება და გარდაცვალება.

ლექსი პოეტს რომ საომრად გიწვევს,
ომი არასდროს აღარ მთავრდება,
და ვერ ივიწყებ ვერასდროს იმ დღეს,
სიყვარულში რომ იწყებ წამებას.

თუკი ოდესღაც ვიყავ მართალი

კვლავ შემომიჩნდა სულში მავანი,
ღირებულებებს გაუჩნდა ბზარი,
ისევ და ისევ ხელში კალამით,
სულის სარკესთან აღმოვჩნდი მთვრალი.

თითქოს ამებნა ისევ გზა-კვალი,
და ამერია ცხოვრების გზანი,
თუკი ოდესღაც ვიყავ მართალი,
დღეს ალბათ ისევ ვიქნები მტყუანი.

წუთისოფელმა ხელში ალამით,
უბიწოებას დაადო ბრალი,
ცნობიერება ყოფის მარაზმით,
შეწუხებული მიცქერდა მფრთხალი.

დრო გაიყინა სულის სარკეში,
და გააჩერა სიცოცხლემ წამი,
ისევ აღმოვჩნდი თევზი ბადეში,
ჭეშმარიტების მძებნელი ხამი.

ვერ მოვახერხე

ვერ მოვახერხე შევკრიბო ერთად,
ეს მაწანწალა ჩუმი ფიქრები,
არადა ვიცი პოეტის სევდად,
გაყვითლდებიან კვლავ ტირიფები.

გაყვითლდებიან და მერე მწკრივზე,
როგორც ქალწულის მკერდზე მძივები,
დალაგდებიან ჩემს კალმის პირზე,
ლექსში რითმებად გარდაცვლილები.

ვერ მოვახერხე რომ ვწერდე ნაზად,
ალბათ მერევა ისევ სიტყვები.
ძნელია განვლო და დარჩე კაცად,
უსამართლიბის ლაბირინთები.

ძნელია განვლო და დარჩე სუფთად,
ამ წუთისოფლის ბეწვის ხიდები,
იყო პოეტი და წერდე სუსტად,
თავისუფლებას როცა მიწვდები.

ვერ მოვახერხე რომ შევაჩერო,
ეს ფოთოლცვენა ყვითელ სიზმრებით,
სინამდვილესთან რომ შევაჯერო,
პატარა ბიჭი როგორ ვიზრდები.

ძნელია ნახო მსგავსება მასთან,
საკუთარ თავთან როცა შიშვლდები,
და ხელთუქმნელი მაცხოვრის ხატთან,
თვალებზე ცრემლით როგორ მდიდრდები.

ვერ მოვახერხე შევკრიბო ერთად,
ეს მაწანწალა ჩუმი ფიქრები,
არადა ვიცი პოეტის სევდად,
გაყვითლდებიან კვლავ ტირიფები.

დაბადებაში გარდაცვალება

"მე რომ გაფრენა არ შემიძლია
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას"
ტერენტი.

ჯერ ლექსის წერა არ დამიწყია,
გული კი გრძნობს რომ ვეძებ ფათერაკს,
ცაში ფრენა თუ არ შემიძლია,
ვფიქრობ არ ნიშნავს გარდაცვალებას.

ფიქრი სათქმელად თუ ზრდასრულია,
იგი გონებას უწყებს წამებას,
არყოფნა ყოფნის თუ სასრულია,
მაინც არ ნიშნავს გარდაცვალებას.

თუკი სიყვარულს ეტრფი სრულიად,
სრულყოფილების გხიბლავს სავსება,
ვიცი ეს ლექსიც არასრულია,
მაგრამ არ ნიშნავს გარდაცვალებას.

სულს როცა სიტყვის რწმენა სწყურია,
მუდამ დაეძებს მასთან მსგავსებას,
სიცოცხლე სიკვდილს თუ მიბმულია,
ესეც არ ნიშნავს გარდაცვალებას.

იქ გონიერი სადაც სულია,
თავისუფლება გაძლევს არჩევანს,
დრო და სივრცეც თუ განწირულია,
არ ნიშნავს არც ეს გარდაცვალებას.

როცა ზამთარშიც გაზაფხულია,
როცა ჯვარცმულის იგრძნობ ხატებას,
მიხვდები რომ არც ისე რთულია,
დაბადებაში გარდაცვალება.

ცელქი გარიჟრაჟი

უძირო ღამე განთიადს დაემალა,
სულში ბოდიალით გულს ვერ გავიჯერებ,
ნეტა დაღლილ მთვარეს ეს რა დაემართა,
ხედავს ყველაფერს და მაინც არ იჯერებს.

თუმცა ნაადრევი სხივი გამობრწყინდა,
ცელქი გარიჟრაჟი მაინც არ ისვენებს,
გულში იმედი და რწმენა გამომიჩნდა,
ვიცი განთიადი მაინც დამიჯერებს.

დილა სიყვარულში ჩუმად გამომიტყდა,
ამ დღეს კვლავ ღიმილით ბევრჯერ გავიხსენებ,
ფიქრის თქმა მინდოდა ლექსი გამოვიდა,
მჯერა გამიგებთ და გულსაც გამიმხნევებთ.

სიტყვა რომელსაც ეძებდი ბოლოს

მე კი ვერაფრით ვერ მიპოვნია,
" სიტყვა რომელიც ახსნის ყველაფერს."
ოთარ ჭილაძე

მოჩვენებაა თითქოს ეს სივრცე,
და დროც თითქოს და თვალებს მარიდებს,
სიყვარულია იცოდე მყისვე,
ამაოებას რომ გაგარიდებს.

სიყვარულია რომელიც ოქროს,
დახშულ კარიბჭეს ფართოდ გაგიღებს,
თუნდა უთქმელი დარჩება ოღონდ,
სისხლს კვლავ ძარღვებში რომ ააყვირებს.

როდესაც სული მას ეტრფის მხოლოდ,
გული კი დახევს ყველა სამხილებს,
სიტყვა რომელსაც ეძებდი ბოლის,
მარადისობას შენში აღვიძებს.

"უსახო ნიღბით შეკრული, უნიღბო სახეს მიწუნებს."

(ლექსი)

ლექსს მაშინ ჰქვია ხალხური,
სიტყვას რომ შემოგიბრუნებს,
სულის ფსკერამდე ჩასული,
სულ რომ თვალებში გიყურებს.

სიბრძნით ნათქვამი ფარული,
თოფივით რომ დაიქუხებს,
დღემდე არასდროს არ თქმული,
რომ აამღერებს სიჩუმეს.

როცა გულიდან მართული,
სისხლი ძარღვებში იყივლებს,
დაგემონება წარსული,
ვით შემოდგომა სიყვითლეს.

ლექსად ფიცი მაქვს დათქმული,
და ვემიჯნები სისუსტეს,
ბროლის მძივივით ასხმული,
ლექსი შეშვენის სიტურფეს.

ხდება ასეც რომ მერწყული,
მწყურვალზე ვეღარ იზრუნებს,
უსახო ნიღბით შეკრული,
უნიღბო სახეს მიწუნებს.

გმირი საქვეყნოდ განთქმული,
უცებ რატომღაც გიმუხთლებს,
სიტყვა კი ჯვარზე გაკრული,
გამკვრელს სიკეთეს გისურვებს.

ლექსს მაშინ ქვია ხალხური,
სიტყვას რომ შემოგიბრუნებს,
სულის ფსკერამდე ჩასული,
სულ რომ თვალებში გიყურებს.

და გადასცილდა ათასხუთას წელს

თბილისის სისხამ დილის ანაბეჭდს,
მივესალმები და ეშხით მთვრალი,
გამოვექეცი ამ სილამაზეს,
უკან, ფიქრების მომსდევდა ჯვარი.

გავესაუბრე წელთა გადამწერს,
წარსულმა სულის გამიღო კარი,
გავეთამაშე ცაში ალალბედს,
და გავაჩერე წუთი და წამი.

როცა სიკვდილი გულსაც არ დაგწყვეტს,
მაგრამ სიცოცხლის სულ გრჩება ვალი,
ამ ისტორიის შავბნელ სამარხებს,
შევყურებ, ფიქრით დაღლილი მგზავრი.

დროს, მის სივრცეში როგორც განაჩენს,
კვლავ სიამაყის დაეტყო კვალი,
და გადასცილდა ათასხუთას წელს,
დაუჟანგავი გორგასლის ხმალი.

დიღმის ხევიდან ამ სიამაყეს,
ისევ შუაზე ყოფს მდუმარე მტკვარი,
როგორ გიხდება ტახტზე მჯდომარეს,
დედაქალაქის გვირგვინის შარმი.

სიტყვა ყოველთვის სათქმელს ვერ აღწერს,
თუნდაც ლექსმაც რომ აუბას მხარი,
და ვერ მიწვდება იმ დიდ სიმაღლეს,
სამების ტაძრის რომ ადგას ჯვარი.

თბილისის სისხამ დილის ანაბეჭდს,
მივესალმები და ეშხით მთვრალი,
გამოვექეცი ამ სილამაზეს,
უკან, ფიქრების მომსდევდა ჯარი.

მწარე პრელუდია

მთვარეს ვარსკვლავებთან სტუმრად შეუვლია,
იქ მზე დახვედრია მას კი ვერ უცნია,
ვიღაც მართალს თურმე სწორად ვერ უვლია,
მგონი გამოვიდა მწარე პრელუდია.

ეს რა მომხდარაო შფოთავს მასმედია,
თურმე ეს ცხოვრება მართლა წამებია,
მტყუანი მართალს ბაძავს, შედგა კომედია,
კაცი რომელია?ქალი რომელია?

მღვდელი რომელია? მკვლელი რომელია?
ვინც რომ გრძნობით ხედავს მისთვის ტრაგედია,
ვინც კი ფიქრობს მისთვის მხოლოდ კომედია,
ვითომ სასაცილო, ვითომ სატირელი,
როდის დამთავრდება ტრაგიკომედია.

შეგიყვარდება როცა მიხვდები

შეგიყვარდება, თვალს რომ გაახელ და დაინახავ ცას,
ლურჯად მღელვარე თეთრი ტალღებით გაცისკროვნებულ ზღვას,
ჰორიზონტიდან შენსკენ მომავალ ოქროსფერ სხივთა ჯარს,
მწვანე მდელოზე მარგალიტებად, მძივად მოფენილ ცვარს.

როცა, განთიადს თვალების ფშვნეტით სული გაუღებს კარს,
იასამანის დაბალ ხმით ნამღერს მოასმენინებ ვარდს,
შეგიყვარდება თავს ვერ გაართმევ და კვლავ გადახვალ ზღვარს,
დაისის წითლად შეღებილ ზეცას, რომ გაუსწორებ თვალს.

გამოღვიძებულ სიჩუმის სიზმარს რომ მოუყვები სხვას,
და სევდიანი მთვარის სხივები გაგინათებენ გზას,
ამოუცნობი თავის სიმწუხრით დაბურულ ტყეს რომ ჰგავს,
შეგიყვარდება თვით სიმარტოვე, მარტოობაში მდგარს.

შეგიყვარდება როცა მიხვდები რომ სიყვარული გწადს,
შეუცნობელი და აღუთქმელი დაგალევინებს წყალს.
მაშინ მებრძოლი სულით გონება გულს მიანებებს თავს,
და სიყვარულზე შეყვარებული ღმერთის გაიგებს ხმას.

მაშინ მიხვდები რომ თვით დასასრულს სულ სხვა ელფერი აქვს,
და უკვდავება წუთისოფლის სულს კვლავ გაუმიჯნავს ზღვარს
თავისუფლება შეისისხლხორცებს ჩვეთვის მოცემულ მრწამს,
რომ ჩვენი ხელით ჩვენთვის ჯვარცმული, სიკვდილს სიკვდილით კლავს.

გურამ დოჩანაშვილის გარდაცვალებას

იყო ნათქვამი ასე ოდესღაც,
ყოფნა არყოფნის არის მძევალი,
ნეტვ რა ხდება? ზეცაში სადღაც,
გარდაიცვლება როცა მწერალი.

წუთისოფელი ვეღარ თმობს იმ წამს,
ნიჭი სიკვდილის ხდება მდევარი,
ის არყოფნითაც მიაღწევს მიზანს,
ქართულ კლასიკის ბოლო მწვერვალი.

დროში ამ უწყვეტ გარდაცვალებას,
ვერასდროს შეცვლის ალბათ ვერავინ,
კალმით ფურცელზე ცეცხლის ანთებას,
დაემშვიდობა მისი მკვლევარი.

ვაშლის გემო რომ გასინჯა ერთმა

როგორ უცებ გაირბინეს წლებმა,
თუმცა გული ძველებურად ძგერს,
თითქოს ზურგი შემაქცია ბედმა,
მაგრამ ჩუმად კვლავ წერილებს მწერს.

სინამდვილის ჩამოქცეულ ჭერმა,
ისევ თავი შემახსენა დღეს,
სულის ფსკერზე მოფათურე ხელმა,
კვლავ დასცინა კარზე მომდგარ ბედს.

წუთისოფლის სიავკარგე ჭრელმა,
სიტყვა ბანზე გადაუგდო ღმერთს,
ვაშლის გემო რომ გასინჯა ერთმა,
დღეს ცხოვრებად გადაექცა ბევრს.

დრომ სივრცეში ამიტეხა დევნა,
შედეგი კი ხელისგულზე დევს,
სიყვარულსაც თუ მოაკლდა რწმენა,
ზღაპარიც კი სინამდვილედ ჟღერს.

როგორ უცებ გაირბინეს წლებმა,
თუმცა გული ძველებურად ძგერს,
თითქოს ზურგი შემაქცია ბედმა,
მაგრამ ჩუმად კვლავ წერილებს მწერს.

აპრილის თოვლი

ალბათ გინახავს აპრილის თოვლი,
ღამე, ჩუმად რომ ეტრფის ძველ მთვარეს,
ისევ გამექცნენ ლექსებად მგონი,
სიტყვები, თუმცა ვერ ვცვლი ვერაფერს.

დრო ისევ სივრცის გახდება ტოლი,
როცა კალმისტარს ფურცელს შევახებ,
და გაიტაცებს წიწილებს ქორი,
მარტოდ დარჩენილს თუ კი შეამჩნევს.

მიუსხდებიან კვლავ სუფრას ორნი,
და ვერ უგებენ მაინც ერთმანეთს,
ხომ ლამაზია ის სხვისი ცოლი,
ჩუმად რომ გჩუქნის ღიმილს შესახებს.

თავისუფალი და თანასწორი,
გული გონებას როცა შეარხევს,
ცნობიერება, აპრილის თოვლი,
ყოფიერებას უთმობს ყველაფერს.

ყველას უნახავს აპრილის თოვლი,
როცა დნება და ყვება ძველ ამბებს,
თითქოს სიტყვებიც კი აღარ ყოფნის,.
თუმცა პოულობს შენთვის შესაფერს.

მაისი

განთიადის ჟამს დილის სიჩუმეს,
გულისფანცქალით არღვევს აისი,
და გაზაფხულის მწვანე სიტურფეს,
ოქროს ძაფებით ქარგავს მაისი.

მასში ზღვისფერი ცისკრის სილურჯე,
მზესთან ამბორის ხვეწნად გაისმის,
და სილამაზის უთქმელ სიუჟეტს,
ლექსებში მოქსოვს ჩუმად დაისი.

შემოპარული გულში სიურჩე,
ისევ წინსწრებით,ვნებად გამირბის,
როცა სიყვარულს, სულის სიუხვეს,
ვარდობის თვესთან ერთად განიცდი.

განთიადის ჟამს, დილის სიჩუმე,
გაშიშვლდება და გულს გადამიშლის,
თუმც ვერ გაკრული ჯვარზე სისუსტე,
ხან აგვიანებს, ხან კი არ იცდის.

ქაქუცას მოგონება

გახსოვს მარო, ტყეში გასვლა,
შეფიცულთა წმინდა ფიცი,
გაზაფხული ხევსურეთში,
დამარცხება მტრის და შიშის.

გახსოვს მარო კოჯრის ტყე და,
გმირ ქართველთა მცირე რიცხვი,
მტერთან ბრძოლა სამშობლოსთვის,
შეძვრა ქართულ ცის და მიწის.

ღალატი და დამარცხება,
ხშირად ახლავს გმირთა ჭიდილს,
ცეცხლში დაწვა როგორია,
ჰკითხეთ! ნაკვერჩხალმა იცის.

გახსოვს მარო, ბათუმიდან,
სტამბულამდე ის გზა დიდი,
ხვევნა-კოცნა წაღებული,
ერთი მუჭა ქართულ მიწის.

კოჯრის ტყეში თებერვალმა,
ფოთოლცვენა აღარ იცის,
მშვიდი წყნარი ზღვის ნაპირი,
ვის რად უნდა ფრანგულ ნიცის.

გახსოვს მარო, ბინდისფერი,
სოფელი და ტანჯვა ნიჭის,
ცეცხლში დაწვა როგორია,
ჰკითხეთ ნაკვერჩხალმა იცის.

წუთი სოფელს როგორ მისდევს

ვერის აღმართს მივუყვები,
გულის ძგერით ღია ცის ქვეშ,
მთვარესაც კი ვერ ვუყვები,
უთქმელობით ნატანჯ ფიქრებს.

ფიქრებს გულში შემონახულს,
სევდას როგორც სულის სიზმრებს,
გულში ჯვარზე, სიტყვად გაკრულს,
და გამომკრთალ მასში სიბრძნეს.

ვერის აღმართს მივუყვები,
და ვიხსენებ ისევ ომ დღეს,
ხან ვაქებ და ხან ვუწყრები,
წუთისოფლის დრო და სივრცეს.

თან ჭაღარა შემოპარულს,
ვგრძნობ სიბერე როგორ მიჭერს,
სიყვარულზე შეყვარებულს,
სულს სამყარო ვეღარ იტევს.

ვერის აღმართს მივუყვები,
ამ ცხოვრების ჟღერად სიმებს,
ვაკვირდები და ვრწმუნდები,
წუთს სოფელი როგორ მისდევს.

ალბათ დიდხანს მოვუნდები,
მივაღწიო სულის სირღმეს,
გვიან მაგრამ დავბრუნდები,
ვიცი შევცვლი შავ-თეთრ რითმებს.

მაყვალა გონაშვილი
პოეტი

ღირსახსოვარი

მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

თვალებში სხივი, გულში რწმენა, ბეჭედზე ჯვარი,
ვარ ბედნიერი და ურიცხვი განძის მფლობელი,
რადგანაც თითზე მზითნაფერი ბრწყინავს ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
ვეღარ ვგრძნობ მიწას, ბიწი სულის ჩამოვიბანე,
როგორ მინავლდა ატეხილი გულში ომები,
მექცა ნუგეშად და მფარველად ჯვარი ბეჭედზე,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
სამაგიეროს ვუხდი როცა გულღრძოს, ავყიას
როდესაც სული ამევსება ლიქნით, ჭორებით,
ვგრძნობ თითზე როგორ მიმძიმდება ერთი ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
ოდეს ჩემი მზეც დასალიერს ჩაიწვერება,
და გულწრფელ ცრემლებს დამაყრიან როცა სწორები,
ბევრს არასა გთხოვთ, ჩამატანეთ მხოლოდ ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.

ხმა მესმა

ამოახველებს ზეცა ქარ-წვიმას,
ღრუბლის ფილტვები კვამლით აევსო,
გზა ამერია, გამჭვარტლულ ცაზე
როგორ გიპოვო, უზენაესო?

სიტყვებს წაერთვა ძალა ღვთიური,
ხმას ვეღარ გაწვდენ, ვხავი ამაოდ,
გაუდაბურდა სამოთხის ბაღიც,
მე სად გიპოვი, დიდო მამაო?

დაწყევლილ წრეში ვბრუნავ, დავყვები
ერთფეროვანი დღეების ქოროს,
ხმა მესმა:
– „თუ გსურს მართლა მიპოვო,
საკუთარ გულში მეძებე მხოლოდ“.

დემო(ნ)კრატია

სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას. უწმიდესისა და უნეტარესის 2006 წლის საშობაო ეპისტოლედან.

თვალი სარკეა გულისაო, მეც სარკე გულის
საგულდაგულოდ გადავრაზე მწვანე ლინზებით,
გაოცებული საუკუნე გაოც-და-ერთდა,
გაუფასურდა ანდაზები, აფორიზმები,
ლექსი მავანთვის გახდა ტექსტი –
სიტყვანაკლული,
ვით ბალღი დედას, წარსულ დღეებს გავეტირები
და მმოძღვრავს ცისფერ ეკრანიდან, თავად
ცისფერი,
ყოველდღიური უზნეობის გაკვეთილებით.

აცახცახდება ვარსკვლავების ხომლი ცარგვალზე
თრთიან, შფოთავენ წინაპართა წმინდა სულები
და დასცინიან მამა-პაპის გაკვალულ გზაწვრილს
ცოდვით მორევში მცურავნი თუ ფონს გასულები.
აღარც მე ვგავარ რწმენით, ჟინით,
ამაყ წინაპარს,
როგორც არა ჰგავს შოთას შაირს ჩვენი
ქართული,
და დააბიჯებს ჩემს ქუჩებში მშვიდად, ამაყად,
დემოკრატია – სიძულვილი ნებადართული.

სხვაგ რა ძალმიძს

ფეხზედ მაცვია ქალამნები, სხივით ნაქარგი,
ჰა, გიშრის თმაზე მზემ თავისი ჯიღა დამადგა,
ეს ხარ-ჯიხვია დღეს მეუფე და ჩემი სწორი,
და ეს ბერმუხა უბერები – მინდვრის თამადა.
რა ბევრსა ნიშნავს ეს მზის რკალიც თითზე ბეჭედად,
ჰო, დღეის იქით სულ სხვაგვარი მედება ვალი,
გადვილეწები თავთუხებში ექვსჯერ კივილით,
დედას მიწოდებს ოთხი ვაჟი და ორიც ქალი.
ვაჟებს ყოველჟამს ამირანის ზღაპარს მოვუთხრობ,
ეთერის ზღაპარს და წიქარას ვუამბობ ქალებს,
ვასწავლი ქალებს ერთგულებას, ვაჟებს სიმხნევეს,
სიკეთის ნერგი სიპ ქვაზედაც რომ გაიხარებს.
თუმცა ავკაცნი ზოგჯერ ამ ნერგს ამტვრევენ ტოტებს,
ჰო, ასეც ხდება, ზოგჯერ ქვეყნად ყვავი არწივობს,
ასე ექვსივეს ხელთ სიმართლის მივცემ კელაპტარს,
საქართველოს მზე რომ ლამაზი მხრებით ასწიონ.
ვეტყვი, რომ სხვა მზე მეც არ ოდეს დამიფიცია,
რომ არასოდეს არ მიცვლია ფერი და ნირი,
უხილავ ხელმა გამომთალა ლერწმის ღეროდან,
მიწას სიმღერით მოვუქარგო რომ გულისპირი.
სხვაგ რა ძალმიძს? მეც ამ მიწის ვარ ერთი ბელტი –
ადევნებული ოცნებებით უხედნავ ქარებს...
და ჩემი სულის, ჩემი სულის თეთრი შროშანაც
მხოლოდ ამ ცის ქვეშ, ჰო, ამ ცის ქვეშ თუ გაიხარებს.

სიტყვის „საწოვარა“

მე არც „გრუზია“ მინდა ვიყო და არც „ჯორჯია“
ჩემი სამშობლო, ჩემი მიწა ერთი გოჯია,
აქ თითო კენჭი ჩემი სისხლით დაწინწკლულია,
ასე რომ ბორგავს ზღვა კი არა ჩემი გულია.

და რახანია შეხსნილი მაქვს მკერდზე იარა,
მომხვდურის ჩექმამ ამ მკერდზედაც გადაიარა.
გადაშლილია დედამიწა – დაფა ჭადრაკის,
ჭადრაკის ნაცვლად ყომარბაზი ნარდით ერთობა.

და პირდაფჩენილ ხალხის მასას, ვით საწოვარას
ტენიან სიტყვებს „სამართალი“, „ხალხთა ერთობა“,
„ადამიანთა უფლებები“, „დემოკრატია“
სცენაზე ქოროდ ჩამომდგარა ათი პარტია.

მთავარ როლისთვის ლიდერები შებმიან ერთურთს,
ტაკიმასხარა ტანზე ირგებს გმირის მანტიას.
ტირის ქალწული ქორწილამდე დაქვრივებული
ბავშვებს აცვიათ მეორადი ტანზე ჭინჭები.

და ვირტუალურ სამყაროში სიკვდილის ჩრდილებს
სიცოცხლის ფასად ამარცხებენ ჩვენი ბიჭები.
ჩემი სიმცირით მამცირებენ, ჩემი სიკეთით,
პოლიტიკას კი საძაგელი სუნი აქვს შმორის.

ვდგევარ დაღლილი სიმართლის და სიცრუის კართან
და ვეძებ საზღვარს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.
ღმერთო, შენ მიხსნი, კიდევ... ჩემი ძველი ფესვები
მე რა გამტეხავს სანამ ჩემი ზეცა მახურავს.

როგორ ვასმინო მე სიმღერა ბრძნული, ქართული,
კაცობრიობას, გადაქცეულს ფულის მსახურად:
„ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადია ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა ოღონდ ამშორდეს მგელობა!“

ღვთისმშობლის მონოლოგი

რატომ დამხატეთ მწვანე წალკოტში
ბაგით მღიმარით? თვალებით მშვიდით?
თქვენ ხომ არ იცით, როგორ გავრბოდი,
ნაკვალევს ცრემლით როგორა ვშლიდი,
თქვენ ხომ არ იცით, როგორ ვეწამე,
როგორ ვთრთოდი და როგორ ვტიროდი
და ჩემს სარკმლიდან შემოსულ ლანდებს
ჰქონდათ პროფილი დიდი ჰეროდის.
ვნება – ზმანება, შვილი – სიშორე,
სისხლის ცრემლებით გამოტირება.
რწმენა – სიმაღლე, გოლგოთა – ჯვარცმა...
მამაუფალმა ასე ინება.
ჰო, აღასრულა, რაც გარდუწყვიტეს,
რაც დაუწერა განგებამ ბედად,
თქვენთვის ის ღმერთის ძეა მაღალი,
მაგრამ მე მაინც დედა ვარ, დედა.
და მეც ვიტვირთე თქვენი ცოდვები,
მეც რწმენის ჯვარზე ათასჯერ მაცვეს.
ზეცის ბილიკზე დამზრალ შროშანებს
ცრემლებით რწყავდა შემკრთალი მაცნე.
სხივი, რომელიც გინათებთ გზაწვრილს,
ჯვარზე გაკრული ღმერთის წულია,
ხეებს რომ ასე აკვნესებს ღამით,
ქარი კი არა, დედის გულია.
თუ განსაცდელი ელის ქვეყანას,
დღეები სევდით თუ დაიბინდა,
გფარავდეთ ჩემი ტანჯული შვილი,
მამაუფალი და სულიწმინდა.

რაც ჩემი და შენია

როცა ბინდი ეწვევა
ამ საოცარ მზიანეთს,
როცა ჩემი ბატონი
ძლიერ დაიგვიანებს,
როცა ღამის პეპლები
ლამპიონებს მორთავენ,
როცა იჭვი მეწვევა,
ყველა დარდის მოთავე.
ვიწყებ ლექსით გართობას,
თან ლოდინით ვთავდები.
ქარის შეჟრჟოლებაზე
ვნებით კრთიან ფარდები.
ჟამი გადის ტაატით,
იწურება პირველი,
გულიც ჩამომეწურა,
გულო, ასე ვის ელი?
აჰა, შემობრძანდება
ცოტა ნაბახუსევი,
უხერხულად მიღიმის,
როგორც პირველკურსელი.
მე ცასავით ვმრისხანებს,
ის თამაშობს მონის როლს,
ამდენი ხსნის სინათლე,
ლამის ეჭვმა მონისლოს.
მე დუმილით ვქვავდები,
ის დაკარგვით მაშინებს,
მერე ღამე გვარიგებს,
მერე ღამე გვამშვიდებს.
მე ვთამაშობ სეფე ქალს,
ის თამაშობს მეფის როლს,
ლამის ვნების პერანგი
ტანზე შემომეფლითოს.
ასე გადის წამები
ვნებითა და წამებით,
ასე გადის დღეები,
ასე გადის ცხოვრება,
რაც ჩემი და შენია,
რაც არ განმეორდება.

ოჯახი

სთქვი: – ვინ არიან ჩვენი შვილები?
ხიდი, რომელიც გვაერთიანებს?
ჯაჭვი, რომელიც გვაბამს ოჯახზე?
შოლტი, რომელიც სამუშაოდ მიგვერეკება?
ჩვენი გენების ოქროს ყულაბა?
ვნება, რომელსაც უკვდავება ჰქვია სახელად?
ან იქნებ ჩვენი საუკეთესო მესაფლავენი?
ხომ ასეც არის?
შვილი ფასდება მეტადრე იმით,
რაც უფრო კარგად, ღირსეულად დაკრძალავს მშობლებს.
იქნებ სარკეა ჩვენი ნაკლის და ღირსებების?
და ამიტომაც, თუკი თავის მოწონება გვსურს
შვილებს ვახსენებთ. ანდა პირიქით
დაუსრულებლად ვცდილობთ რაიმე შევასწოროთ
მათ წრფელ ღიმილში.
ჩვენ საკუთარ ხინჯს სარკეებშიც ვერ ვხედავთ ხშირად,
და თუ ბავშვებს ვსჯით, ერთმანეთის ჯინაზე ვტანჯავთ.
შვილებში მხოლოდ ერთმანეთის ნაკლი გვაცოფებს.
– დედაშენივით დაბნეული რატომ ხარ, შვილო?
– მამაშენივით, როგორ მუდამ ბურტყუნებ, შვილო!
– დედაშენივით გინდა მხოლოდ სიტყვით იცხოვრო?
– მამაშენივით ფიცხი ხარ და დაუნდობელი!
და ტირის ბავშვი, უმწეო და მიუსაფარი
და მხრები ისე უკანკალებს, ვით მშობლებს გული!
ვიხუტებ მკერდში, თავბრუს მახვევს შენი სურნელი,
იხუტებ მკერდში და ჩემეულ თვალებში კოცნი.
მშვიდდება ბავშვი ბედნიერი და სანუკვარი
ბავშვის ღიმილით გვიშუშდება ყველა ჭრილობა,
ბავშვის ღიმილით გვავიწყდება სოფლის ავ-კარგი,
ბავშვის ღიმილით გვინათდება მთელი სამყარო,
– სთქვი, სად არის შენი სული?
– ჩემი სული შვილებშია!
– სთქვი სად არის შენი სული?
– ჩემი სული შვილებშია.
მხარს მხარზე გადებ და გვეზრდება მხრები ფრთებივით,
რომ დავიფაროთ ავთვალისგან ჩვენი კერია.
თვით უკვდავებაც მათ ღიმილთან, არაფერია!

ხმით ღვთაებრივით

ჰამლეტ გონაშვილს

გარდაცვალება კაცთა ხვედრია,
უკვდავთან სიკვდილს არა აქვს ხელი,
შენ შეუერთდი ზეციურ წიაღს
და ისევ უფლის სახელით მღერი.
შენი ხმა ჰგავდა სამშობლოს წარსულს,
რაც გვალაღებს და თანაც გვაწამებს.
და ასდიოდა საკმევლის სუნი,
ვით წმინდა ნინოს ლეგა ნაწნავებს.
ეგ ხმა პირველად თვით უფალს დასცდა,
ლოცვამ დაფარა ათასეულთა,
გამოიარა საუკუნენი,
შენში გაცოცხლდა და განსხეულდა.
მიტომ გიჭირდა ყოფნა მიწაზე,
ზეცაში იყო შენი საუფლო,
ახლა ხელმარჯვნივ უზიხარ უფალს
და ღვთაებრივი ხმითა საუბრობ.
მანდ თუ ნახულობ ჩვენეულ სიზმრებს,
ან როგორ მოჩანს ეს მიწა ციდან,
ხომ შეავედრებ უფალს ჩვენს მამულს,
გულივით მფეთფავს და ერთი ციდას.
ან თქმა რად უნდა, მხოლოდ იმღერე,
ისე, ქართულად, აქ რომ მღეროდი,
შენი ნატანჯი, შენი ამაყი,
შენი ლამაზი საქართველოთი.
სიმღერა იყო ლხენაც და კვნესაც,
ლოცვაც და ჯვარცმაც იყო სიმღერა,
და დავამარცხეთ მხოლოდ სიმღერით,
ვინც ხმალი მტრულად შემოგვიღერა,
სიმღერა იყო ჩვენი წარსული,
სიმღერა იყო ჩვენი დიდება,
ოღონდ იმღერე ისევ ქართულად,
და ვარსკვლავეთი გაირინდება.
გარდაცვალება კაცთა ხვედრია,
უკვდავთან სიკვდილს არა აქვს ხელი,
შენ დაუბრუნდი მშობლიურ წიაღს
და ისევ უფლის სახელით მღერი.

ვალი

არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
საქართველოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.
ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი
გაჰყვე ეკლიან უცნობ ბილიკებს,
ვიღაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,
ვიღაც ქარივით გაგაქილიკებს,
ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე
მზის სხივით ქსოვდე ჩალისფერ დროშებს
და სიმართლისთვის ზღაპრის გმირივით
რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს,
ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით
აკვანს არწევდე, სად სხივი ჩადგა,
ხოლო მეორით კემსავდე ძველი
მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს.
იყო ერთგული დედა და ცოლი,
თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,
ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,
სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო.
და სხვა კეკლუცი ქალების დარად,
არ შეგისრულდეს ნატვრა არადეს,
არ იყოს ვინმე, სიმარტოვიდან
შენს დასახსნელად მოუხაროდეს,
ეს იმას ნიშნავს, არ განუგეშონ,
როცა სიცოცხლედ გიღირს ნუგეში,
ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი
კაცის და მიწის მძიმე უღელში.
არა მარტოდენ მამულის, ანდა,
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.

აღმაშენებელი – ივერთა დიდება

მხოლოდ პირჯვრის წერა როდია უფლის რწმენა,
მხოლოდ შეძახილი გმირობა როდია.
დგებიან სულეთიდან შემკრთალი მამები
და ღამით არეულ სიზმრებში მოდიან.
როდესაც წყალიც კი წამით ჩაიძინებს
და ცაზე ობოლი ვარსკვლავი ბრწყინდება,
ვინ მიცქერს მთვარიდან წმინდა გიორგია
თუ აღმაშენებელი ივერთა დიდება.
„ვაშენე, ანგრიეთ, ვამტკიცე საზღვრები,
დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს.“
მე კი იმ ბინდბუნდშიც თვალებს ვერ ვუსწორებ,
ვარ შიშნაჭამი და უჭმელი,
მიწიდან ზეცამდე რა ხელმა აზიდოს
ეჭვებით დაბზარული ჭურჭელი?
თვალნო, რა არ ნახეთ, როგორ არ დამევსეთ,
რა ძალა გქონიათ, თვალებო,
მოძმესთან მოშუღლენო, ოქროსთან მოშურნენო,
მტერთან მიმნდობნო და მხდალებო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის???
სანამდის ძმანო და მამანო,
ჩემო სატკივარო, ჩემო საფიცარო,
ჩემო დარღვეულო სამანო.
ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი
არ მშველის წამლად და მალამოდ.
უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო
ჩემო დაფლეთილო ალამო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის დანო და დედანო,
არ თქვას უკეთურმა, შეხედეთ, ქართველნი
მხოლოდ სატირალში სხედანო!
სანამდის ვახაროთ ჩვენს ბაღში ეკალი,
მტრის კარზე ვარდი და პირიმზე?
რა ვუთხრა ჩემს შვილებს, რა თვალით შევხედო?
ან მკვდრებთან რა პირით მივიდე?

უდედოდ ზეცისკენ გზას ვერ გაიგნებენ
ბუდეს შერჩენილი ბარტყები,
ხიდი ვართ ნამყოდან მომავლის ნაპირამდე,
ვაი ჩვენ, თუ ერთხელ ჩავტყდებით!
ეს მტკვარი დუდუნებს თუ კვნესის დავითი,
„დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს.“

სიზმარეთიდან შენამდე

მე შენს სიზმრებში რა შემკრთალი შემოგეფეთე,
შენ ჩემს სიზმრებში რა თამამად შემომიარე.
ცხადში, ჰო, ცხადში ადვილია, უწამლო ტკივილს,
მაგრამ რა ვუყო სიზმრებიდან გახსნილ იარებს?
სიზმრებში გტანჯავ, რადგან ცხადში არ მსურს გაწამო,
რადგანაც ღალატს, ვიცი ფიქრშიც რომ არ გავივლებ,
ვით დედამიწა, ვარ მდუმარე და მომლოდინე,
შენთვის ამოვყრი გაზაფხულზე მზისფერ ყვავილებს.
შენ ხარ ღრუბელი, ვიცი, ცხრა მთა გადმოიარე,
ჩემთან შეჩერდი, რადგან ღმერთმა ასე ინება,
აქეთ ჩვენა ვართ, იქით რაა? იქითაც გნახავ?
მერე რად მოვალთ? ყვავილებად? სხივად? წვიმებად?
იქნებ სიზმრებად, ჰო, სიზმრებად ვიქცეთ იქნება
და ჩაქრეს ჩემში ფიქრი, ვნება, სხივი ქალური,
მიწა უარვყოთ და დავკარგოთ, ზეცას ვეშვილოთ
და მოგვენატროს რაღაც ნაღდი და რეალური.
შენ ხარ იმედი, როგორც ტაძარს შემოგეკედლე,
რადგან ქვეყანა სავსე არის ავი მხეცებით,
მზე იკბინება ვნებიანად, მგესლავს სინათლე
და სიზმრებიდან გამოვდივარ ხელის ცეცებით.

სიტყვა

შრიალებს სხეული,
ვერხვივით შრიალებს
წაქცევის შიშით...
იმ ბოლო სიტყვამდე
პირველად, პირველის
ბაგიდან ვიშვით.
ჩემს მკერდთან ეძებეთ,
ისარი, რომელიც სამიზნეს ასცდა.
რა ჟამი დამდგარა, ჟამი უჟამური
უსიტყვო კაცთა.
მე მაინც გავრითმე, ლექსებად ვაქციე
სიტყვების ფეთქვა...
მამაო, უსიტყვოდ წყვდიადში
ვით გასძელ? ან რაი გერქვა?
– სიტყვა ვიყავ!
ვიყავ მუდამ!
სიტყვა ვარ და
სიტყვად ვრჩები!
სიტყვა – თქვენი გადარჩენა.
სიტყვა – ჩემი განაჩენი...
ერთი დიდი სიზმარია
ყოველივე დანარჩენი.
სიტყვების ტყე...
სიტყვების ტყვე...
სიტყვა – სეტყვა
სიტყვა – ტყვია.
ირგებ სიტყვებს, როგორც გვირგვინს
ქვემძრომი და თვითმარქვია,
როცა სიტყვა ტლუთა ტყვეა
იფოთლება ანარქია.
სიტყვა – სული, სიტყვა სრული
სიტყვა – სევდა. სიტყვა – დედა.
თუმც შვილივით ვზარდე სიტყვა
დედასავით დამიბერდა.
ერთი სიტყვით,
მხოლოდ სიტყვის
მსახურება დამებედა.
სიტყვა – მკვლელი. სიტყვა – მჭრელი...
სიტყვა – ჭრელი, სიტყვა – ხაზი...
სიტყვა – ნება. სიტყვა – ვნება,
ტკბილი, როგორც ალვახაზი,
ლოცვის მტევნებს დაიმშვენებს
უსიერ ველს, უსურვაზი...
– სიტყვა ვიყავ!
ვიყავ მუდამ!
სიტყვა ვარ და
სიტყვად ვრჩები!
სიტყვა – თქვენი გადარჩენა.
სიტყვა – ჩემი განაჩენი!
ქარია და სიზმარია
ყოველივე დანარჩენი...

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი და
ჟურნალ,,ათინათის“ მთავარი რედაქტორი

მეოცნებე ბავშვი

ჩიტის ბუდე ისევ აქ ჩანს,
ჩიტი გუნდად გაფრენილა...
გადაყვითლდა მწვანე ფარჩა,
თავთავებიც ჩაცვენილა.
სოფლებს მგლები შესევია,
ცხვრებს და ხარებს გაკრეს კბილი,
მთა მთის გულზე ასვენია,
ღრუბლის ფთილით დაფლეთილი.
რით ვუშველო ღობე-ყორეს,
ვერ ვპატრონობ სახლს და კერას,
კუთვნილ მიწას დამაშორეს,
ჩემიც აღარავის სჯერა.
ბუდეს გვერდი ჩამოშლია,
ჩიტიც სადღაც კენკავს ნამჯას,
ვნატრობ სიმინდს ულვაშიანს
და ვისინჯავ ხელის მაჯას...
ფეთქავს, მაგრამ სულ ნელი-ნელ
ვაყურადებ გულის წიკწიკს,
თვალს მოვავლებ მწვანე ველს და
კვლავ განვაგრძობ ნაბიჯს წინ-წინ.
რწმენას რწმენით ჩავეხუტე,
სიცოცხლე კი ღმერთს მივანდე...
წარსულს სულ მთლად გავებუტე,
გამყინა და უნდა დავდნე.
დავუქნიე ასაკს თითი,
გავაწანი სილა ყბაში.
მადლი ვარ და მე ვარ მითიც,
ცად დავფრინავ ლექსის რაშით.
შეიმოსა ჩიტის ბუდეც
ბალახით და ბუმბულებით.
დარდი მუჭში გამოვგუდე,
ჟღურტულებენ გუგულები.
ხელმეორედ დავიბადე,
მომეშველა ლექსის რაშიც,
ფიქრს იმედი დავაბედე,
გავხდი მეოცნებე ბავშვი.

მტკივა

ცრემლიც შენ წაიღე დედი,
გულიც შენი არის შვილო,
შენ მე დამიძიხგნე მკერდი,
მტკივა ვისთან გავამხილო.
ახლა შენს აჩრდილებს ვეძებ,
ძილშიც, სიზმარში და ცხადში,
ვიბრძვი სანამდისაც შევძლებ,
რომ არ გავიგუდო დარდში.
იქნებ რაღაც შევქმნა შენზე,
ლექსით უკვდავების ძეგლი,
ვიცი რომ მე ამას შევძლებ,
თუმცა ბედისწერა მებრძვის!

წვიმს

წვიმს... და ქარიც გამუდმებით ქროლავს,
ვატყობ უკვე აღარ გადიკარებს...
ბეღურებმაც მოუმატეს თრთოლვა,
გულშიც ითოვს, აღარ დაიდარებს.
რა ვუშველო, ამ ჩიტუნებს ვფიქრობ,
საცოდავად, ფრთები გაწკუმპლიათ.
დედა ჩიტი ბარტყებს ღინღლებს უშრობს,
ეკლიანი გზებიც გაუვლია.
გალიები მოვამზადე წამში,
სახლი ვნახე მისთვის შესაფერი.
ჩიტმა მითხრა, იმ წვიმაში, მაშინ,
არ მჭირდება შენი არაფერი.
მაშ რა გიყო, ქარია და წვიმა,
გავძლებ თუნდაც სული გამძვრეს წუთში.
ასე მიჯობს, თავისუფლად მძინავს,
ვიდრე შენი გალიების ხუფში.

მოდი მესროლე

მოდი მესროლე,დიდი ხანია მკვდარი ვარ უკვე,
ოღონდ მომავალს არ ესროლო, გაზარდე გმირად,
გთხოვ, გაუფრთხილდი საქართველოს ღუღუნა ხუნდებს,
თვალს ნუ ამოთხრი შენს ანგელოზს, ასე ნუ წირავ....
მოდი მესროლე, გავნადგურდი ამ სიძულვილით,
როგორ ღრნი ამ გულს, ვიტანჯები, ჯიჯგნი და სერავ,
შორს დაფრინავენ,ტოროლები, ტირის ბულბული,
ქართული სისხლით იღებება, ფუძე და კერა...
სკამი შემძულდა, საკუთარსაც ვარიდებ თვალებს,
ხელით დავამსხვრევ, მაგრამ ამით რა შეიცვლება,
ან ეს ეკლები, რისთვის ვკაფე,რით მიხდი ვალებს,
უქართველებოდ საქართველო, ეს შეიძლება?...

ს ა ნ თ ე ლ ო

რამდენ საიდუმლოს ინახავ,
რამდენ ცრელსა და ვარამს.
დედა დაჩოქილიც მინახავს,
ტკივილს რომ ვეღარ მალავს.
მეც განმიცდია ეგ, ცეცხლი,
ბედმა მცემა და მჟეჟა,
ცოდვით ტიროდა, ტყის ძმერხლიც,
მთები იწყვეტდა ეჟვანს.
სანთელო, გეტყვი რაც მტკივა,
ჩუმად რად ვტირი-ვკვნესი...
არ მორჩა გული და მტკივა,
არ დაილია გესლი.
შობის ღამეა, ერს ვლოცავ,
სიტყვას არც გავაციებ...
ბედიც ნუ მიწყობს გამოცდას,
იმედს ნუ გამაცილებს...
საქართველოში გამეფდეს,
ერთგულება და ძმობა,
ქარი არასდროს გაცოფდეს,
ძმებს აღარ ჰქონდეს მტრობა...
სანთელო, გეჩურჩულები,
რაც მტკივა შენთან ვიტყვი,
მტერს თუკი ვეერთგულები,
იცოდეს, არ ვარ ბრიყვი.
დავლოცავ დღეს ერს, შობაა,
და ვწყევლი მტერს, ვით ჰეროდეს...
გაქრეს, თუ სადმე მტრობაა, დაე,
სამყარო მღეროდეს!
„ამინ!“

შენი მსგავსი

არ მინახავს შენი მსგავსი,
გეფერები პოეტ დედას,
ჩვენ ლექსებით მადლი გვასვი,
უფლიგან რომ დაგებედა!

სამუდამოდ აქეთ არვინ დავრჩებით

სიყვარულის მარგალიტებს ვარიგებ,
უძვირფასეს, ულამაზესს, საუნჯეს...
ძალიან გთხოვთ, წინ არავინ დამიდგეთ,
ამ შრომაში წლები უკვე გავრუჯე.
სათნოების დიდ სასახლეს ვაშენებ,
მარმალილოს კიბებით ასასვლელს,
ვაზებს ვრგავ და ღვინოს გასმევთ შარშანდელს...
შამანით კი... გადმოვდივარ ალავრდს.
საქმე მიყვარს, არა სიტყვის ლიკლიკი,
გულის ბაღი არის შრომას ნაჩვევი...
ჩემთან გინდათ? დაგიტოვეთ ბილიკი,
სამუდამოდ აქეთ არვინ დავრჩებით!

დათუჩი

გრძელდება ცხოვრება ცრემლებით,
ვდარდობ და... ვკამათობ ფიქრებთან,
ზეცისკენ ავღმართე ხელები,
ვერ გნახე, მეგობარ ბიჭებთან.
მნათობმა ჩამომიღიმილა,
ღიმილი, შენს ღიმილს მოგავდა.
ძირულამ ჩაიღიღინა,
თუ, დათა ძირულაც ბორგავდა.
რა ხდება, ზეცაში არ ვიცი,
ის, მჯერა შენ, რომ ხარ მნათობი
და მაინც შენს წასვლას განვიცდი,
რადგანაც, მზესავით მათბობდი.
დათაო, გვიყვარდა ძალიან,
მითხრეს და... დუმილი მიჯობდა...
გულს მომწვდა ცეცხლის ალი და...
ღვთის რწმენა ამ დიდ ცეცხლს მიქრობდა.
ჰო, რწმენით ვაგრძელებ ცხოვრებას,
მნათობო, გამათბე ზეციდან...
ავიტან ამ დარდთან ცხოვრებას,
მივიღო იმედი დედისგან.
ხათუნამ გაუძლოს ჩემსავით,
ბრძოლა და... დარდებთან ჭიდილი...
ვინ ეტყვის დათუჩი შენსავით,
რომ მზეს გავს, დედიკოს ღიმილი.
ბედს ვკიცხავ, როგორ არ გავკიცხო,
რად ჩაგრავს, ალალს და რწმენიანს,
და,,გონო,,... ჭკუავ და ნაკითხო,
დედების განაჩენია?

ვახშამი

თქვენი სიყვარულის ვახშამი მაქვს,
თქვენით მეღვიძება დილით,
თქვენთვის სამომავლო ნერგებსა ვრგავ,
ღმერთო მტრისაც მიყვარს შვილი!

კაბას შეუცვალე ფერი

კაბას შეუცვალე ფერი,
ლურჯი შეუხამე სევდას...
ობოლს გამომიცხვეს კვერი,
რადგან აღარ მყავდა დედა.
ძმების იმედებად დავრჩი,
ქმარიც გამიფრინდა ცაში,
ბედი შავ სამოსელს მაჩრის,
ჰოდა, გადავყარე მტკვარში.
სკივრი გადავხსენი ძველი
ჭრელი მოსაცმელი ვნახე,
ისიც ცრემლით იყო სველი,
ბედმა სხვაც დამიგო მახე!
მახე, სეტყვის კაკლით სავსე
ყველა ტკივილებზე მწარე,
ასეთს ვერ იხილავთ მსგავსებს,
ნეტავ მოვეკალი ბარემ.
მერე შემეცოდნენ ირგლივ,
გული, გამოვკვერე გრდემლში...
ვივლი თოვლიანი იღბლით,
ბედს კი გამოვგუდავ ცრემლში!
მიტომ მოვისროლე, სევდის,
შავი რაც კი მქონდა სახლში,
გავხდი, ყველას დიდი დედა,
ბედთან აღარავარ ვალში.

45 ნომერი

კიდევ დაიბადება „ათინათი,“
უკვე შემოაღებს კარებს,
ლურჯი, წითელი და თეთრი ბაბთით,
სულს არ მიაკარებს ქარებს.
შენი, სხვისი და ჩემი ფიქრით,
სულ მთლად აუვსია კალთა,
რწმენა მაქვს იცოცხლებს საუკუნით,
ზეციდან წმინდანები ნათლავს!

ერს ვხედავ სიახლით...

ვიცი, რომ ჩემს იმედს დრო ვეღარ გათიბავს,
ამ დილას ყვირილას გამოვესაუბრე...
ნაქარგო ზაფხულო, ნაზო და ქათიბავ,
ოდითგან გეტრფი და სულ შენთან ვსაუბრობ.
გამოზაფხულება რარიგად გიხდება,
ორთქლი რომ მისწვდება ყვავილებს ფაქიზად.
შენეულ სიეშხით ფიქრები დიდდება,
ამ წუთშიც ეს გული თქვენ მოგეფაქიზათ.
ძირულის ტალღავ და ძირულის ყინვებო,
ენძელავ, ძმერხლო და... პეპლების ფარფატო,
საჩხერის მოდგმავ და... საჩხერის სიმებო,
იმედით გჩემობთ და... გულშიდაც დაგხატავთ.
მოვედი სითბოთი და ღია ბარათით,
ერს ვხედავ სიახლით, სინორჩის ასაკით.
ო, როგორ მხიბლავს მე წინაპრის ადათი,
უფალთან რომ სახლობს მგოსანი აკაკი.
ლოცულობს ზეციდან, მუხრანიც იქ არის,
იქ არის ბეჟანი, ლექსებად ჩართული...
გულღია მგოსნებით გაიხსნა ცისკარი,
უფალთან სახლობენ ღმერთების ნათლულნი.
ლოყაზე ლურჯ ზეცას მზე ჩამოეკიდა,
უელავს სხივები მგოსნებით საჩხერეს.
ხვანი და ჭალვანიც ჰყოლია მემკვიდრედ,
ველ-მინდვრის ეკლები ლექსებით აჩეხეს.
ამავსე სიკეთით, ბუნების სამყაროვ,
თბილ სიტყვებს ღრუბლები არ უნდა ფარავდეს.
ვეცდები ლექსებით დარდები გავყარო...
იმედო, მომყევი სამარის კარამდე.
საჩხერის მთებო და საჩხერის ყვირილავ,
ბალახის ცვარო და მდინარე ძირულავ...
მინდვრების ყაყაჩოვ, ლამაზო გვირილავ,
ლექსების რითმები აქ გამოპირულა.

საიდან მოვდივარ

ჩემი ბავშობის ხანა,
უდარდელობის წლები,
მახსოვს ვით დედის ნანა,
არ არის ნაწამები.

აი, რით მახსოვს იგი,
ტყეში მარწყვი და სოკო,
არ მჭირდებოდა რიგი,
მას ვკრეფდი ცელქი გოგო.

ხიდიდან წყალში ხტომით,
სისხლიც კი მომდიოდა,
მაშინაც ჩემი შრომით,
არასდროს არ მშიოდა.

მიყვარდა წიგნის კითხვა,
ვხატავდი ვარდს და იას,
მიყვარდა ქვიშის თითხნა,
არაფრით ვგავდი ნიავს.

ოი, რა ცელქი ვიყავ,
ქარიშხალაც და თბილიც,
დღესაც ის წლები მიყვარს,
ის იყო ტკბილზე-ტკბილი.

შეყვარებული ჩემი,
იყო ძირულის ტალღა,
ახლაც იმ ფიქრთან ვრჩები,
მას დავდევ აღმა-დაღმა.

სკოლაში სწავლის წლები,
ვარდის და იის ფერი,
ღამით სულ მასთან ვწვები,
ძილში ვცეკვამ და მღერი.

ვჩხუბობდი მაშინ როცა,
საწყალს რომ ესროდნენ
ტალახს,
ვეომებოდი ოცსაც,
თუმცა არ გამილახავს!

ფერისცვალება

ფერი იცვალე ცა და სამყარო,
მიწავ მამულო აღარ იტირო,
შენ ჩემი დარდის გუდამაყარო,
მეგობრობაზე უნდა იყვირო.
ამიმზიანე ხვალის საწუთრო,
მზის სხივებივით, გამიწიკწიკე,
დარდო, იმედით შენც რომ გაკურთხო,
წარსულის დარდი არ იწიკვინებს.
ფერი იცვალე, გულღრძო ბოროტო,
ირწმუნე წახვალ როგორც მოხვედი,
აღარასოდეს არ იბოროტო,
თუ დამიჯერებ აღარ მოკვდები.
შეიფერადე სახე ფერებით,
წითელ კვერცხივით გულიც გაღებე,
სიტყვები ჩემგან მონაფერები,
სამოთხეშიაც კარებს აღებენ.

სიკეთის ქვევრი

დედაშვილური სიყვარული მინდა გაჩუქოთ,
ფიფქივით ნაზი, ია-იას სურნელის ფრქვევით,
სიცოცხლე დარდით რატომ უნდა დავანაქურჩო,
გულის კარს გიღებთ, ამოცალეთ სიკეთის ქვევრი.

სინდისი

რომ გტკივა არ მითხრა, ისედაც მივხვდები,
თვალებში ვკითხულობ, თუ რამე გაწუხებს,
ჯიუტობ, ქარიშხლებს ყოველთვის წინ ხვდები,
დამშვიდდი, მოგიქსოვ ყასნაყით ბაჩუჩებს.
სინაზით შეხედე გვირილებს, ვარდებსაც...
ნუ გიკვირს სიყალბის ცის ცისარტყელები,
შევიგრძნობ რას ფიქრობ მაგ გულში ნადებსაც,
არ აყვე მჟავეა შინდი და ტყემლები.
მომენდე, მიგიღებ, საკუთარ შვილივით,
გაკვალულ ჩემს გზებზე შუქია სიწმინდის,
ვაჯობე, მომდევდა ქარი სულ კივილით,
სიმდიდრედ შემომრჩა ქალური სინდისი!

სიცოცხლის ღვედი

ფრთები მაქვს მაგრამ არსად არ ვფრინავ,
დარდი ცვარნამში უნდა გავავლო,
ბოლოს ცის თოკზე ისეც გავფინავ,
ამჯერად ჩემში უნდა დავმალო.
გამთენიისას ვუღიმი ცისკარს,
არც წვიმის ხმაურს არ ვუშინდები,
ღვედს სიცოცხლისას, ჯერ წელზე ვიკრავ,
ბოლოს კი ღმერთში გადავფრინდები!

დიდ წყალს უნდა გავაყოლო

მეწვის კანი ისე როგორც,
მდუღარე, რომ გადაგსხმია,
წლები როგორ გამოვზოგო,
ხეს ფოთლები არ ასხია.
დარდიანობს ღვთისმშობელი,
ზეცას ცრემლი წასკდა უცებ,
სახლი დარჩა ობოლი და..
კედლებს გული თითქოს უცემს.

წარსულის წლებს გაზაფხული,
მოგონებად შერჩენოდა,
ჩემი თვალით დანახული,
ყველა ხალხში ირჩეოდა,
აღარც არ ღირს მოგონებად,
სევდის ფურცელს ვფურცლავ მხოლოდ,
შევკრავ ერთად დარდს კონებად,
დიდ წყალს უნდა გავაყოლო!.

ბათუმის მზე

ბათუმში მზე სხვანაირად ანათებს,
იქ მზის სხივი სხვა ფერებით ბრწყინდება,
ზეცა გზავნის სიყვარულის ბარათებს,
კითხულობ და კითხვა არ მოგწყინდება.
ბათუმური მასპინძლობა სხვა არის,
სხვა გემო აქვს ყავას, თუნდაც ხაჭაპურს,
ქართველობა მეტი აბა რა არის,
რომ ცეკვავენ სვანურსა და აჭარულს.
თუკი ღამით ტალღა აბობოქრდება,
ზღვა აძინებს მზეს, სიმშვიდის მკლავებში,
ცისკრის დილით ნისლი ქრება– ორთქლდება,
თოლიები ცეკვავს ლამაზმანებში.
ზღვის პირებზე ალბატროსი დაფრინავს,
კოლიბრები, სულ პატარა ჩიტებიც,
ალბატროსი ძირს დიდ ფრთებს, რომ დაფინავს
ქართულს ცეკვავს მაშინ გოგო-ბიჭები!

ლოდინი

დამანახა გულის სარკემ
დრო, ყასნაყით შესაკერი..
კვლავაც შევქმნი ერთ დიდ ნარკვევს,
თუ ცა იყო ლურჯი ფერის.
მატყლის თბილი საბანივით,
ზეცა მიწას ეფარება,
ხან ირწევა აკვანივით,
ხან ახლოს არ ეკარება.
კვლავ ლოდინი დილის ცისკრის,
კვლავ ფიქრებთან შეხიზნება,
არაფერი აღარ მიკვირს,
ძილში რა არ მესიზმრება.
მესიზმრება ჩემს ეზოში,
ორქედეა ამოსულა,
აუტეხავს მთას დებოში,
ციდან ღმერთი ჩამოსულა!

მესტია

მთების წალკოტში იკარგები, მიდიხარ სადღაც,
თვალწინ იშლება, მარადმწვანე ნაძვი და ფიჭვი,
ტყეთა სიღრმეში ორქიდეა ყვაოდა გაღმა,
გადავიწყება იმ დღეების ძალიან მიჭირს.

ქ ა რ ე ლ ს!

ამ ლექსს ჩემი ცრემლი ნამავს სიხარულის ცრემლები,
შენს ხილის ბაღს გაუმარჯოს, შენს ხედს შემოვლები,
შენი მიწის მოტრფიალე, ვინც ვიყავი ისა ვარ,
კვლავ მიყვარხარ დედასავით, მართლა დედას ვფიცავარ.
ფუძე-ჭერი დაგელოცოს ყინწვისს ვანთე სანთლები,
არასოდეს დაგელიოს ძმურად ხელის გამშლელი.
რამდენ დარდს და ომებს უძლებ, სამაჩაბლოს მიწები,
ჩვენს გმირ ბიჭებს გული უძგერთ, ვლოცავ თავდავიწყებით.
წითელ ვაშლებს დაბრაწვიათ, ძველებურად ლოყები,
შოთას წყაროს მოურწყია, გაგიმრავლდეს მოყვრები.
ეს ტიტები ჩემს ეზოში, ვიცი ბევრჯერ ტირიან,
ცისკრის დილა მოთქვამს ოხვრით, დარდი უნაპიროა.

როგორც მშობელი

უნდა შეიგრძნოთ სულის ნათება,
დედის გულივით რომ გითბობთ სხეულს,
რატომ ყვირიან რა ემართებათ,
ან რატომ სჯიან უფლისგან რჩეულს.
მიენდეთ ამ გულს ალალს და კეთილს,
გაზაფხულივით სიამეს იგრძნობთ,
მე ჩაგიტარებთ ნდობის გაკვეთილს,
რომ ერთმანეთი ბოლომდე იძმოთ.
სანთლის ალი ვარ, ნაფიქრს ვინახავ,
თქვით და მოგისმენთ როგორც მშობელი,
სასწაულები თვალით მინახავს,
მინახავს ღმერთის უარმყოფელიც.
გამომიყენეთ სანამ ჩავედი
მიწაში, როგორც ხორბლის მარცვალი,
სიბრძნის გონი ვარ გზა-გზა დაგდევდით,
მტრისიც არავარ დედინაცვალი!

++++

ღვთისმშობლობას მოგილოცავ საქართველოვ
და დავლოცავ მიწას, ნაჯიჯგნს, ნაომარს,
ღვთისმშობელო, ქართველებმა იქართველოს,
მოუარონ პაპისეულ საძოვარს.

ყელსაბამი

ეს ყელსაბამი როგორც თილისმა,
მივიღე უფლის ნაბოძვარ განძათ,
და როგორც იცის ცხელმა ივლისმა,
წარსულის დარდებს ვხარშავ და ვძარცვავ.
არ ვეძებ განძს და ოქროს განედებს,
როგორც თევზი წყალს, სიწმინდეს ვეძებ,
არ მინდა დარდებს სულ მთლად დავნებდე,
და ვერკინები რკინას და ძეძვებს.
დედამ მასწავლა, ბრძოლა ქარებთან,
სიკეთე მადლად უნდა დამეგო.
თუ მათხოვარი იდგეს კარებთან,
რომ მისთვის უფრო უნდა გამეგო.
მიეცი რამე, თუნდაც მცირედი,
ყურადღებაა მთავარი შვილო,
ტყისკენ რომ გარბის მატოდ ირემი,
იმიტომ გარბის შიშობს და ფრთხულობს.
ეს ყელსაბამი მიიღე ისე,
რაღაც გაჩუქა უფალმა თვითონ,
ძილში და ცხადშიც გულს დარდი გისერს,
მწირ ყურადღებას ამიტომ გითმობს!

დედამიწაზე

დედამიწაზე ვისწავლე ენა, ავლაპარაკდი ლამაზ ქართულით,
რა ლამაზია ეს დედაენა, ღმერთის მადლია მასში ჩართული.
აქ არის შოთა, ვაჟა, ილია, მირზა, ბეჟანი, მუხრანი, ანა,
ისე კარგია, ისე თბილია, არსად არ არის ვგრძნობ ამისთა.
მაინტერესებს და ცას შევცქერი, ვეფხისტყაოსნის გმირი სად არის,
სად ინახება ხელით ნაწერი, ან სად მარხია, მეფე თამარი?
იქნებ ცაშია მართლაც სავანე, ცაშია მათი სულის ბაღნარი,
მეც გულის გულში ცეცხლი დავანთე და ამოვავსე გრძნობის მარანი.
ხშირად ცაში ვარ, ღამის სიზმრებში, ვიცდი სიახლეს სიმშვიდით ველი,
იქ იყო სივრცე ლამაზ ირმების, არვინ იცოდა რა იყო ცრემლი.
დიდ გალავანში სრული წესრიგით, შოთა ყვებოდა ვეფხვისტყაოსანს,
ქართული ენა ცოცხლობს მერმისშიც, მარადისობა ქართველ კალმოსანთ!

მივწი-მოვწიე

ღურუბლის ფენები მივწი-მოვწიე
და აქვე მათთან მოვიკალათე,
დედამიწიდან გამოვაღწიე,
ზეცაში ვგზავნი ცრემლის ბარათებს.
წერილს ვწერ ზვიადს, ქალდანს, კოსტავას,
ედგარპოს, შექსპირს, ჰიუგოს, შოთას,
რომ რაც შევქნენი ეს ჯერ ცოტაა,
არ მინდა მნახონ, მე როგორ ვშფოთავ.
ძალა მომეცით კვლავ ზეციური,
ღვთიურმა საქმემ, რომ კვლავ იბრწყინოს,
სულაც არავარ ემოციური,
ზოგრჯერ მეც ალბათ უნდა მეწყინოს.

მე ის ვარ

მოვდივარ საიდან ვფიცავარ არ მახსოვს,
ან დედის ხელებში საიდან აღმოვჩნდი,
რა უნდათ ამ დარდებს ნეტავი ვინ მაქსოვს,
სიკეთის ვაგონებს მაინც არ ჩამოვრჩი.
მგზავრი ვარ, არც პურს და წყალსაც კი არ ვითხოვ,
წლებს ვკენკავ მიწაზე, ვით მარცვალს ბეღურა,
წიგნებს და,,ათინათს“ წავალ და თქვენ გითმობთ,
მე ის ვარ, სიწმინდე მხრებზე რომ მეხურა.

ძირულა

შენ გიყვებოდი თუ რამ მტკიოდა,
ძირულავ, ჩემო სულის აკვანო,
ქარი საშინლად ტყეში კიოდა,
შეყვარებულო და სათაყვანო.
შენ ხარ მშობელი ჩემი ბავშობის,
ძმებიც შენა ხარ ჩემი გამზრდელიც,
მას შემდეგ ვტირი რაც შენ დაგშორდი,
ფიქრიც გამიხდა გამოსაზრდელი.
არვინ შეეხოს შენს ლამაზ ტალღებს,
მამაპაპური ეგ დამრჩა მხოლოდ,
რა ეშველება უშენოდ ბალღებს,
ან დარდი ჩემი რას გავაყოლო.
სხვისთვის წვეთიც კი არ მემეტება,
თუმცა ხელუხვად მნათლავენ ხშირად,
შენთან შეხვედრა მომენატრება,
როგორ ჩამოვჯდე ძირულის პირას.
ან ტყემ წყურვილი როგორ ჩაიკლას,
უწყლოდ ტყე პარკი არ გაშენდება,
ცხვარი უფლისთვის უნდა დაიკლას,
თორემ სოფლები გადაშენდება.

დიდ წყალს უნდა გავაყოლო

მეწვის კანი ისე როგორც,
მდუღარე, რომ გადაგსხმია,
წლები როგორ გამოვზოგო,
ხეს ფოთლები არ ასხია.
დარდიანობს ღვთისმშობელი,
ზეცას ცრემლი წასკდა უცებ,
სახლი დარჩა ობოლი და..
კედლებს გული თითქოს უცემს.

წარსულის წლებს გაზაფხული,
მოგონებად შერჩენოდა,
ჩემი თვალით დანახული,
ყველა ხალხში ირჩეოდა,
აღარც არ ღირს მოგონებად,
სევდის ფურცელს ვფურცლავ მხოლოდ,
შევკრავ ერთად დარდს კონებად,
დიდ წყალს უნდა გავაყოლო!.

იღბალი

გაგიკვირდებათ მაგრამ ასეა,
განსხვავებული იღბალით ვცხოვრობ.
თვალები გლოვით, ცრემლით სავსეა,
არადა, დღე და ღამითაც ვშრომობ.
დავრგავ ვარდებს და ისევ მე მჩხვლიტავს,
პურს დავთესავ და იქცევა ეკლად,
ვითმენ რას ვიზავ, ყველაფერს ვიტან...
სხვებს ჩემნაირი არ მოხვდეს ელდა...
ბევრი ბარტყებიც დავაფრთიანე,
დედა ვარ უფლის მავედრებელი...
სიტყვით არავინ დავაზიანე,
გული გავხადე რკინის კედელი.
ვერ გავიმეტე მტერიც ცუდისთვის,
მე ვერ ვიკადრე უკადრებელი,

არ გავბოროტდი, ფულის გულისთვის,
კვლავ ღმერთს შევთხოვე, სავედრებელი!
მტკივა... მეტკინა ყველა ტკივილი,
მაინც სიკეთის, ღვთის გზა ვირჩიე,
არ დამიწყია სხვებთან ტირილი,
სიცოცხლე ჩემით გადავირჩინე.
ჰქონდეთ ქონება, მილიონები,
მე კი ჩემს ლუკმას გავყოფ ნაწილად,
არაფერს სხვისგან არ ველოდები,
მგელი გლეჯია არ ვარ ნამდვილად.
მზად ვარ გაუძლო, ამას ყველაფერს,
ოღონდ იბარტყე პურის ჯეჯილო,
დროს ველოდები, ჩემთვის შესაფერს,
მტერი არ მინდა გავაჯეჯილო!

შთამომავალნო

მე ჩემი გული ყურძენივით გამოგიწურეთ,
მოგიბადაგეთ ანგელოზის
ღვთის გზით მავალნო,
თქვენ გეკითხებით,
კარგი იყო თუ დამიწუნეთ,
თქვენ გეკითხებით საქართველოს შთამომავალნო!

ამოდის მზე

ამოდის მზე,
თოვლს სხივები აატირებს,
თიბათვის თვე,
აბრწყინდება ათასფერად,
იმედია, შემისრულებს დანაპირებს,
ნაზამთრ გულში რადგან ასე მომეფერა.
ალიონზე, აშრიალდნენ ხის ფოთლები,
თბილი სიო დაათბუნებს არემარეს,
იწვის ალით,
სალოცავში, ღვთის სანთლები,
წამოვდექი,
ბედო, ტკივილს ხომ მაკმარებ?
მიბალახობს, ეს ზამთარი იძულებით,
იცოხნება...ააშენა, ღრუბლის გორა,
ნინო წმინდავ,
შენ მშველელად მეგულები,
დარდებს უკვე,
ქვა და ღორღით ამოვყორავ...
ამოვავსე საწნახელი,
ყურძნის მტევნით,
ნამიანი მარცვლებიც მწამს,
არ დაჭკნება,
იქნებ ჩქარა ყანწით შევსვა,
ყურძნის წვენი,
ნაწვიმ ბადაგს არ ვაცალო დამაჭრება.
ო, ვილოცებ ჩემს ხატებთან
ყოველ დილით,
საუკუნეს ტკივილებით გავეტოლე,
მუმლი მჯაბნის,
მწუხარებით ვეღარ ვივლი,
ათჯერ მომკლან,
მაინც სხვის რჯულს არ ვიტომებ.
დარდი თუკი ისევ-ისე მომერევა,
ლოცვას ვიტყვი,
იმედს ფარად ავიფარებ,
იფქლის ღეროს,
თუკი ღვარძლი შეერევა,
პურის თაველს,
ჩემს უბეში შევიფარებ.
აფრებს გავშლი,
ისევ ხვალის მომავლისთვის,
არწივის გუნდს,
ისე როგორ დავეწევი,
შური მძაგს და
დამითმია ბევრჯერ სხვისთვის,
ერთი ათად, გაჭირვებულს შევეწევი...
მე თუ მტერი,
ძველებურად კვლავ ამხანჯლავს,
ომს მოვიგებ, მოთბინებით ალბათ ისევ,
სინაზით და სიფაქიზით,
სიტყვებს ვხარჯავ,
იაც ნაზად ბუჩქებიდან,
ჩუმად მიცქერს...
ლურჯ ზეციდან შენ მფარველობ,
წმინდა ნინოვ,
იქნებ ქება იანუსზეც აღარ მეთქვა,
მისი არ მწამს, ორპირია,
არ მიწყინო,
შენი ხატით ათინათის გული ფეთქავს!

რწმენა

მინდა იცოდეთ, რწმენამ მაცოცხლა,
ბედმა კი ბევრჯერ გამანადგურა,
მე, ვეკითხები ჩუმად მაცხოვარს,
დარდმა ჩემთან რად დაისადგურა?

დღეს შვილების დღეა

გაუჩენია უფალს,
ყველაზე ტკბილიც, მწარეც,
შვილს ტკბილი სიტყვა ვუთხრათ,
გვკლავს, კიდეც გაგვახარებს,
შვილია მზე და მთვარე,
ცის ვარაკვლავების მწკრივი,
მიწას თუ დაგვაფარებს,
ისიც იქნება თბილი.
ხშირად იცვლება როლი,
სიკვდილზე მეტად მწარე,
ეს არის ზეცის ტოლი,
ბედი, რომ დაგთხრის თვალებს.
მე რაც ბედისწერით ვნახე,
აშორე მტერსაც ღმერთო,
ეს არის მკვლელი მახე,
გულს ცეცხლის ალი მენთო.
არ მოვკვდი ისევ ვცოცხლობ,
თუ ამას ყოფნა ჰქვია,
ვარსებობ, სხვისთვის მხოლოდ,
ვუღიმი ვარდსა და იას.
ძმამ, ძმის სიმწარე ნახა,
გავმაგრდი სხვა რა მექნა,
ვიგონებ სითბოს ახალს,
რომ სხვა სამყარო შევქვნა.
ჰოდა, მოვირგე როლი,
როლი, ყველაზე რთული,
მსახიობი ვარ მგონი,
ცას დავამშვიდე სული.
სხვა გზა არც არის ხსნისა,
ჩემი ტკივილი მე მაქვს,
შვილი მე მიყვარს მტრისა,
გულით მოსისხლეს, რომ ჰყავს.
გთხოვ, დაიფარე ღმერთო,
შვილი და შვილიშვილი,
მე ჩემი ცეცხლი მენთოს,
აცოცხლე ყველას შვილი.
დღეს შვილის დღეა, ვლოცავ,
შვილებს სხვისას და ჩემსას,
ცაში გავგზავნი კოცნას,
გული ვინც დამიკემსა.

გაუცხოება

არ მეშინია, თუნდაც სიკვდილის,
გაუცხოების კი მეშინია.
ყურს აღარ ესმის, ხალხის სიცილი,
ეს, კოსმიური ბრძოლის ჟინია.
ცა ეჩხუბება, დედამიწელებს,
დაფიქრებაა ახლა საჭირო,
სახლში დარჩენა, რომ გამიწელეს,
დარდი კვლავ უნდა გავინაპირო.
ცხვირახველი, შევნიშნე კაცი,
შემოტმასნოდა, ქალსაც პირბადე,
სალამს თუ შიშით, ჩუმად დავმარცვლი,
მაშინ ქართველად, რად დავიბადე?
უკაცრიელი გახდა ქუჩები,
ნაცნობი ნაცნობს არ ესალმება,
გაქრა იმედიც შენაქუჩები,
ზურგი მაქციეს უბნის ქალებმა.
ამის მიზეზი, ვძებნე და ვნახე,
გაუცხოების რად მეშინოდა,
კოსმოსი მცემდა ამ მწარე სახრეს,
ანტი ქრისტეც კი მე დამცინოდა.
ფრთებს ანტი ქრისტე რას დამიკეცავს,
გულს შეჯავშნული რწმენა მაცვია.
დროს მოთმინებით, მაინც დავკევავ,
ანტის ვაჯობებ იმედ ძარცვიას!

ჩემო სულის ზიარნო

როგორ ავხსნა არ ვიცი,
სიყვარულით გალობა,
როცა ტკივათ განვიცდი,
ვიჩენ ამორძალობას.
ზეცას მინდა აუხსნა,
ფიქრის უსამანობა,
იქნებ დარდი მომისხნას,
ან მასწავლოს წამლობა.

ჩემი სულის შვილები,
ზეცის ვარსკვლავებია,
არა ევნოთ ვშინდები,
მთვარის დაქალებია.
ჩურჩულობენ ვარსკვლავთან,
გულის კარებს უღებენ,
ზოგიც შვილის საფლავთან,
ტკივილს შეაუღლებენ.

ასე მიდის ეს წლები,
დარდის ქვებით ნაშენი,
ღამით ცრემლთან დავწვები,
დღე თეთრ კბილებს ვაჩენდი.
ჩემო სულის ზიარნო,
მომიკითხეთ ხანდახან,
იქნებ შემომიაროთ,
ანდა მითხრათ სადახართ.

დუმილის თევზი

ფიქრებით დავცურავ მდინარე ძირულას,
ხანაც კი ჩიტი ვარ ნაზი და ჭიკჭიკა,
ლექსებს ვწერ უბრალოს თუ მომესურვილა,
ხელში კი სიმართლის კალამი მიჭირავს.
დუმილის თევზი ვარ და ბევრჯერ მომხარშეს,
ვშიშობდი უმადურთ ყელზე არ დავადგე,
ვცურავდი უჩუმრად წყალიც კი დამიშრეს,
და მაინც გულიდან ვერავინ გავაგდე.
შეცდომა ისევე ვეძებე ჩემშივე,
გავჩხრიკე ქურდივით, ნათქვამი სიტყვები,
დამჭირდა ოჯახში მტერსაც კი ვეწვიე,
მივართი ჩემს ტყეში ნაკრეფი ნიყვები.
მომრავლდნენ მლიქვნელნი, დავდუმდი თევზივით,
რჩევისთვის უფალო, შენ უნდა მოგმართო,
არ ძალმიძს ვურქინო მას ურჩი ვერძივით,
ან კი მე რა უთხრა შენთან რომ წარმათობს.
გაგანდე სათქმელი და გულიც დამშვიდდა,
შენ იცი მე რაც ვარ ტკბილი და კეთილი,
ხორცს არა უფალო, სულს ძლიერ მოშივდა,
მგლები რომ მომრავლდა, ვარ გულგატეხილი.!

ბაღათერ არაბული
პოეტი

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

...ცაზე მავალნი ვარსკვლავნი
დილისპირს სად ჩადიან?
კვლავ თუ ნახავენ მთა-გორებს, –
ქუდნისლას, საჩალიას?..

კვლავ თუ ნახავენ მაწმაოს,*
გველეთს, შუაფხოს, ლიქოკს?
რა სიხარულასაც იგრძნობენ,
იმათთვის ალალ იყოს...

შენც კვლავ თუ გნახავ, ლამაზო? –
ყელბროლს და თმაგიშრიანს,
„ხშირ-ხშირ თვალებში ნუ დამკვლევ",
სიყვარულს დაგვიშლიან...

დაგვაშორებენ ერთმანეთს,
წყაროსებრ დაგვაშრობენ,
აგვიკრძალავენ შეხვედრებს, –
წაწლობის თამაშობებს...

ფშავის ჭალებში ფერებას,
ღამეთა თეთრად ტეხვას;
ნეტავი ახლა სადა ხარ?
ანდა ვის მკლავზე წევხარ?..

ნეტავი ბალღებს ვის უზრდი?
ანდა ამრავლებ ვის ჯიშს?
თუმცა რა ჩემი საქმეა,
ვინ მეკითხება, ვინ მრჯის?..

ცაზე მავალნი ვარსკვლავნი
დილისპირს სად ჩადიან?
კვლავ თუ ნახავენ მთა-გორებს, –
ბოროლას, საჩალიას?..

წარწერა წიწამურის ობელისკზე...

...გზა-გზა ფარავენ მწარე შეცდომებს
და დღეებს – ჩავლილ ცრემლებით სავსეს
და ივიწყებენ თუ რამ შესცოდეს,
თუ რამ სირცხვილი გადახდათ თავზე...

...გზა-გზა წამლობენ სულის ჭრილობებს
და არ უმხელენ ქვეყნად არავის,
ანდა დამალვას მაინც ცდილობენ,
რაც აქვთ ყველასთვის დასამალავი...

...შენ კი... აქედან, როგორც კივილი
აკრთობ სივრცეებს და მთებს გასცქერი;
მეტი ხარ ჩვენთვის, ვიდრე ტკივილი, –
ნ ი შ ა ნ ს ვ ე ტ ი ხ ა რ ე რ ი ს დ ა ც ე მ ი ს!..

შ ე მ ო დ გ ო მ ა ნ ი ღ ბ ი თ
(ეტიუდი)

ეს შემოდგომა ყვითელ ფერის იკეთებს
ნიღაბს,
ყვითელ ფერებით იფერება ტყეები ჭადრის
და დანისლული ქედების მიღმა
დალეული მზე წუხილით ჩადის...
იღვიძებს ქარიც
და დაბინდულ სივრცეებს ჰკიდებს
გაცრეცილ ფოთლებს ქარვის მძივებად
და ამ ქარებით შემოსილ მინდვრებს
მალე ღრმა ძილით ჩაეძინებათ...
შენც წახვალ, ალბათ,
ვნებიანი შენი სხეული
სულ სხვა მკლავებში ელვად იელვებს,
შემრჩება ღამე, –
სევდით სავსე შავი რვეული,
და მთვარის სხივით დაფერილი
სიცარიელე...
.....
ეს შემოდგომა ყვითელ ფერის იკეთებს
ნიღაბს,
ყვითელ ფერებით იფერება ტყეები ჭადრის
და დანისლული ქედების მიღმა
დალეული მზე წუხილით ჩადის...

ს ა მ ა ს ი ა რ ა გ ვ ე ლ ი

სამასი არაგველის
ხსენების დღეა..
სამას ცხენს სამასი მხედარი მოაგელვებს,
ფლოქვების თქარუნზე კრთებიან მთებიც;
ბარისკენ ეშვება სამასი არაგველი,
არაგვის ხეობის ჯვარ– ხატის ყმები...
ქარქაშში წკრიალებს სამასი მახვილი,
ერთმანეთს ჟღარუნით ამხნევებს ფარ-ხმალი
და მთვარე სამასი ვაჟკაცის მნახველი
მწვერვალთა გადაღმა ეშვება ფართხალით...
და მზედ ანთებული სამასი გული
ერთად ძგერს მტრის ხილვის და ძლევის ფიქრით,
სამასი რჩეული, სამასი ლომგული
კრწანისის ველისკენ ყიჟინით მიქრის...
რამდენი ხირჩლა და რამდენი ბეწინა
და კიდევ ვინ მოთვლის, სხვა გმირი რამდენი,
სამასი გრგვინვა და სამასი თავგანწირვა,
მამულისთვის დანთებული სამასი სანთელი...
სამასი რისხვა და სიკვდილი ურჯულოსთვის,
დღეს ციდან მოგუგუნე სამასი ზარი,
ქვიტკირით ნაშენები სამასი ციხე-ბურჯი,
ხსოვნაში ჩაუქრობ სინათლედ მდგარი...
.....
სამას ცხენს სამასი მხედარი მოაგელვებს,
ფლოქვების თქარუნზე კრთებიან მთებიც;
ბარისკენ ეშვება სამასი არაგველი,
ფშავ– ხევსურეთის ჯვარ-ხატის ყმები...

ა ფ ხ ა ზ ე თ ი

დაცემის დღეა...
ზღვა პატრონტაშივით არტყია გაგრას,
გემები ჰგვანან დასატენ ჰილზებს;
ჩვენ ქალაქიდან გავდივართ, მაგრამ
მალე დავბრუნდებით ისევ...
ყოველი მხრიდან გვიტევენ მტრები,
ცალცალკე ი ყ ო ფ ე ნ სამშობლოს მიწას,
ჩვენ სახლში არავის ვუვარდებით,
ჩვენ მხოლოდ საქართველოს ვიცავთ...
და ვებრძვით მიზნებს და ოცნებებს აბსურდულს,
ვიღაც მომხდურების ვერაგულ ნებას
და დღესაც მშვიდობის მოყვარე აფსუებს,
როგორც ყოველთვის, მივიჩნევთ ძმებად...
.....
OBJ OBJ ზღვა პატრონტაშივით არტყია გაგრას,
გემები ჰგვანან დასატენ ჰილზებს;
ა ფ ხ ა ზ ე თ ი დ ა ნ გავდივართ, მაგრამ
მალე დავბრუნდებით ისევ...

ს ი ზ მ ა რ – ც ხ ა დ ი...

...რადგან შენ ისევ ჩემ სიზმრებში ყოფნა გიზიდავს,
მე ვერ გაგიშვებ სხვის სიზმრებში ჩემი სიზმრიდან...
რადგან არ ვიცით ჩვენი ბედი თუ რას გვიმზადებს,
როგორ ვიმგზავრებთ ამ სიზმრიდან ახალ სიზმრამდე...
ჩვენი ცხოვრებაც სიზმარია მხოლოდ და მხოლოდ,-
გღვიძავს თუ გვძინავს ჩვენ ყოველთვის სიზმარში ვცხოვრობთ...
და ლექსის ლოდებს სიზმარ– სიზმარ, როგორც სიზიფე,
დავატარებთ და კვლავ მივიწევთ მწვერვალ სიზმრისკენ...
ჯერ კი... ჩემ სიზმრებს ვარსკვლავები უნდა დავკიდო,
მოვადარბაზო და მოვხატო შენთვის სამკვიდრო...
ლამაზ ხალიჩად მთვარის შუქი შენს წინ გავშალო,-
მოვრთო, მოვკაზმო ყვავილებით, ვით გულანშარო...
.....
რადგან შენ ისევ ჩემ სიზმრებში ყოფნა გიზიდავს,
მე ვერ გაგიშვებ სხვის სიზმრებში ჩემი სიზმრიდან...

ა რ ე უ ლ ი ა კ ე თ ი ლ– ბ ო რ ო ტ ი...

...არეულია კეთილ– ბოროტი,-
გაუტანლობით, შურით, ღალატით,
ვეღარ ვიცხოვრებთ, როგორც ვცხოვრობდით,
ვეღარ დავმალავთ, რასაც ვმალავდით...
დღევანდელ დღისთვის პასუხს ვინ აგებს?
ან მომავლისგან მაინც რას ელი?
დაცემულია ციხე– სიმაგრე
და მეციხოვნეც– უკანასკნელი...
არც გამკითხავი და არც გამგები,
დიდი ხანია, არავინ არ ჩანს,
შენი კოშკები ბროლით ნაგები
გზად მოთარეშე ეშმაკებს დარჩათ...
უელავს ღამეს მთვარის ნისკარტი,
ზღვა გადაშლილა ულურჯეს მინდვრად,
მე კვლავ მიყვარხარ,
როგორც მიყვარდი,
ასე დიადი და ასე წმინდა...

“ზაფხულის დღიურები”

სადაც ხმელეთი ზღვას ეუღლება,–
ბინდით დაფარულ სარფის ნაპირთან,
და სადაც ტალღებს ლურჯი მუხლები
მოუჩანს ქაფის თეთრი კაბიდან...
კვლავ გამახსენდი, ნაიარევი
გული შეუცნობ სევდით ამევსო,–
იქნებ სხვის ლხენად დაიარები,
სხვის ბაღს უხდები, უძვირფასესო?!.
ამ ცრუ სოფელში, სადაც ხსნა არ ჩანს,
სადაც სავსეა გზა ნარ– ეკლებით,
იმედად შენი ღიმილი დამრჩა
ციური შუქის ანარეკლივით...

მაწმაოში

(ხალხური მოტივებიდან)

ნეტავ შენ, ბოროლას წვერო,
ქარი დაგშუის თავზედა,
ზედ დაგბიბინებს ღრუბელი
ფეხასხლეტილი ნამზედა,
ცა– ვარსკვლავთ შატოლებულსა,
მზე– მთვარე გიდგას კარზედა,
გვერდს მაგდგომიან მთა– კლდენი,
მავალნი შენსავ კვალზედა,
სულმუდამ გულჯავრიანნი
ავდარზედა და დარზედა,
თაოდაც შაწუხებულნი
ამ ქვეყნის საწუხარზედა...
...
ნეტავ შენ, ბოროლას წვერო,
ქარი დაგშუის თავზედა...

კრწანისის ველზე

ისევ მიღვიძებს ტკივილი ძველი
მოუშუშებელ დარდებს, იარებს,
ყაყაჩოებად სისხლს აფრქვევს ველი
და კოცონივით მზეზე ბრიალებს...
.....
...ხმალთა კვესებით,ხმაურით, გრგვინვით,
შეურიგებელ ყიჟინით, ზარით
ჩემს წინ დაეცა სამასი გმირი,
“ მე ერთადერთი გადავრჩი მგზავრი”...
კიოდა ქარი,ტიროდა ქარი
და ცახცახებდა დაჭრილი არე;
ო, ვერ შევძელი, ვერ მივუსწარი,
ვერ ვუერთგულე, ვერ მივეხმარე...
თავს მადგას მათი ციური ჩრდილი
და მავედრებენ ჩვენს მფარველ ღმერთებს,–
მე–შერცხვენილი და თავდახრილი,
გადარჩენილი სამასმეერთე...
მამულო ჩემო, არასდროს ვეძებ,
ბედმა ცხოვრება გამიიოლოს,
მე მათ მაგივრად უნდა დავეცე,
მე მათ მაგივრად უნდა ვიომო...
.....
ისევ მიღვიძებს ტკივილი ძველი
მოუშუშებელ დარდებს, იარებს;
ყაყაჩოებად სისხლს აფრქვევს ველი
და კოცონივით მზეზე ბრიალებს...

შატილში

(ეტიუდი)

შამბით შებურვილ შავ კლდესთან,
შუღლობის ეშხში შესული,
შატილიონი,შემთვრალი,
ფშავლებს შარობდა ხევსური...
მდიდარი ბატკან– ციკანით,
უდედიძმოდ და უძმოდა,
დაიაური ჯიგანი
ჩამოდიოდა მუცოდან...
მოღრიალებდა არღუნი,
ანუ არღუნის არღანი
და ჯიგნის ავი ძაღლები
ბალღებს ართობდნენ ღავღავით...
ცას ღრუბლის ფთილა ეკიდა,
ნისლი ესვენა წყაროსთან
და ნამით სავსე ბექისთავს
მზის სხივი დასწკანწკარობდა...
იქ კი... შარაზე,შავ კლდესთან,
შუღლობის ეშხში შესული,
შატილიონი, შემთვრალი,
ფშავლებს შარობდა ხევსური...

ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...

(სავედრებელი)

მამ-პაპათ წეს-ადათის ერთგულად შემსრულებნი,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...
არაგველებივით რომ იყვნენ გულადები
და მამულს იცავდნენ კვლავაც გულანთებით...
ლესავდნენ ფრანგულებს და ფარებს ფერავდნენ,
სულით კი ატარებდნენ კვლავ ჯაჭვის პერანგებს...
რომ მათი საბრძოლო ხაფი და ყიჟინა
მტერსა და ორგულს კვლავ სცემდეს შიშის ზარს...
მთა-ბარს ავედრებდნენ სამყაროს გამჩენს
და ღმერთებს სწირავდნენ ჯიხვებს და არჩვებს...
ჯვარ-სალოცავების წეს-რიგის შემსრულებნი,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...
მაწმავლებ– დათვისლები, ბარისახოვლები1,
მთებივით ლაღები და მთებივით ახოვნები...
ქმოსტელებ– ხადუვლები, გველეთლებ-სახილელნი,
დუშმანთან ვაჟკაცურ ბრძოლებში სახილველნი...
ჩირდილელ – ლიქოკელნი, გუდანელ-ხახმატელნი,
თვით უფლის ყმანი და ყმანი ჯვარ-ხატების...
გვარ– ტომად ფხოველნი და ძირად-ქართველნი,
პირიქითელნი და პირაქათელნი...
არღუნის, ასაის, არაგვის პირელნი,
საბრძოლო ლაშქარში ყოველთვის პირველნი...
არდოტლებ-ანდაქლები, ატაბლებ– ჯუთელები,
რომლებიც სამშობლოს ღამეებს უთენებენ...
შთამომავლები გმირი წინაპრების,
მამულის გულისთვის სიკვდილთან წილნაყრები...
ბლოელებ-ბისოვლები, ღულელებ-ჭიელები,
მომხდურზე კვლავაც რისხვად რომ იელვებენ...
მუცოელ-შატილელნი, არხოტელ-როშკელნი,-
თოვლიან მწერვალებით და ციხე-კოშკებით...
თავის მთასიქითით და თავის გორშეღმით,
ჯვარ-კვრივში შენახული საბრძოლო დროშებით...
მიუწვდომ მთა-გორებით, გაუვალ ტყე-ველით,
უტეხად რომ იდგნენ კვლავ მიღმახეველნი...
წინაპართ საფლავებით და შვილთა აკვნებით,
არც ვისზე მეტნი და არც ვისზე ნაკლებნი...
ახალგაზრდებით და ხანში შესულებით,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...

თ ვ ა ლ ე ბ ი

ვიცი თვალები – სავსე შურით, მტრობით და გესლით,
როგორც მახვილი ულმობელი და ალესილი...
ზოგჯერ მოწყენით მომზირალი, ნაზი და ჩუმი,
ზოგჯერ კი შავად მოშრიალე, ვით აბრეშუმი...
მათში ნიავის ხმა იგრძნობა, ხან – ქარიშხალის,
ხან კი გამოკრთის ელვარება დილა-სისხამის...
არის თვალები ცივი, უტყვი,არაფრისმთქმელი
და შიგ ანთია შემოდგომის ფერი ყვითელი...
რომლებიც უკვე ფერფლად იქცნენ
ცეცხლის ალებით, –
ათასნაირი,ათასგვარი ვიცი თვალები...
არის თვალები, – არ უხილავთ შუქი ციერი, –
შიშის მომგვრელი,უკარები, უკაცრიელი...
ცრუ და ორპირი, – უვიცობის უცნაურ მზერით,
თითქოს ებურვის უდაბური უდაბნოს მტვერი...
როგორც ყინული შეუგრძნობი
ანდა კლდე სალი,
ათასნაირი,ათასგვარი არსებობს თვალი...
მაგრამ ხომ არის სავსე უცხო იდუმალებით
მუდამ ძვირფასი,
სანატრელი ჩვენთვის თვალები...
წმინდა და ნაზი, ვით მზის სხივი,
ან დილის ნამი,
სიყვარულისთვის,სიკეთისთვის
ნათილისმარი...
მთელი სამყარო მათში სუნთქავს,
მათში ეტევა
ყვავილთა ფშვინვად,ველთა თრთოლვად,
ანუ ედემად...
სავსე ალერსით, სიანკარით, ღვთიურ ალებით
სიყვარულისთვის ანთებული
მიყვარს თვალები...

დიდგორი

(ფრაგმენტი პოემიდან)

„მეფემან დავით უშიშმან და ყოვლად უძრავმან
გულითა... წინა განაწყო სპა მისი და...
ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ჰყო“.
ქართლის ცხოვრება

I

...გარდადგა დავითი ლაშქრითურთ დიდგორს,
ცა და დედამიწა იძროდა თითქოს...
ვინ ხმალს და ვინ ჰოროლს სინჯავდა დინჯად,
აღმაშენებელი თეთრონზე იჯდა...
და ხელმოჩრდილული გამზერდა სივრცეს,
ბურუსით დაფარულ მშობლიურ მიწებს,
იქ, სადაც სულ მალე მტრის ლაშქარს მოსრავდა
ჯერაც უძლეველი ჯარი ქართლოსანთა...
...ღუოდა ცისპირი ცისფრად და ალისფრად,
წინასწარ ილხენდნენ შაჰიც და ხალიფაც...
წინასწარ უხდიდნენ მადლობას ალაჰს,
„იყოფდნენ“ მიტაცებულ მიწებს და ალაფს...
წინასწარ ზეობდნენ და უჩნდათ არაფრად
ქართვლის დამარცხება – სპარსსაც და არაბსაც...

II

...ხოლო თვით მეუფე და მეფე ქართველთა
ჯარში თავგანწირვის ნაღვერდალს ანთებდა...
...ქართველთა მხარდამხარ ყივჩაღთ, ოვსთ, მოფრანგეთ
უთხრობდა თუ მტერი სად მივფანტ-მოვფანტეთ:
– შობიდან ჩვენ ბედი გვებედა ასეთი:
რამდენჯერ დავემხეთ, იმდენჯერ აღვზევდით!..
აროდეს დავცემულვართ არც რწმენით, არც სულით
და ჩვენი ძეგლია ჩვენივე წარსული...
ბრძოლებით მოგვიყვანა აქამდე გზაწვრილმა
და მამაზეციერი დღეს როგორ გაგვწირავს...
მისულებს სიკვდილ-სიცოცხლის პირზე,
ქართველნო, აქედან უკვდავება გვიმზერს!..
ნურავინ იფიქრებს ბრძოლიდან გაქცევას,
დღეს ჩვენს მოღალატეს რისხვა არ ასცდება...
დღეს ჩვენი სიცოცხლეც, სიკვდილიც, დიდებაც
უპირველესად სამშობლოს სჭირდება!..

სხვის მონად, მორჩილად და ხასად ყოფნას
არყოფნა ჯობია ამ წუთისოფლად!..

III

...და უცხო ხმაურით ცხენთა და აბჯართა
დავითის ლაშქარი საომრად დაჯარდა...
ფარ-ხმალის ჟღარუნით, ნაღარით და ბუკით
თითქოს ამოვარდა მთებს შორის ქარბუქი...
ორასი რჩეული, ლომგული ორასი
შიშისმგვრელ ყიჟინით ჩაება ბრძოლაში...
მხარი მხარს უმაგრეს და ზვავად შექუჩდნენ,
შუბისებრ ეკვეთნენ შემცბარ თურქ-სელჯუკებს...
შეკრთა მტრის ლაშქარი უეცარ თავდასხმით,
შეკრთა ორას კაცთან სამასიათასი...
მარჯვნიდან დავითმა თავის ფრთა გაშალა,
ზევიდან დაუარა დემეტრეს ლაშქარმა...
გამოღმით თვით მეფე, გაღმით ძე დავითის
რისხვად მოვლენილნი იყვნენ დუშმანისთვის...

IV

„მოიკლა მუსლიმანთაგან უთვალავი
რაოდენობა და დარბეულ იქნენ“...
(ალ-ფარიკი, მუსლიმანი ისტორიკოსი)
...მზის გადასვლამდე მომხვდური ხოცეს,
ყორნების ჭვარტლი ეფინა ბორცვებს...
და ოდეს დადგა საღამოს ჟამი,
ოდეს ბრძოლების მიწყნარდა ჩქამი,
ოდეს ცისპირი ბინდით გამუქდა,
უკუ სვლა იწყეს სპარსთა და თურქთა...
არევ-დარევით, შიშით და ძრწოლით
გარდავლეს რბენით მათ ველი ბრძოლის...
...მრავალი ტყვედ იქმნა, მრავალიც მოისრა
იმ დღეს მტერ-დუშმანი საქართველოისა...



თემურ ჩალაბაშვილი – პოეტი
მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე

* * *

კვლავ ავიარე მე წიწამურთან,
მკერდს შემაფრინდა ეშმა ფრთოსანი,
ღმერთო, გულწრფელი ვიყავ მამულთან,
ვით სიკვდილის წინ დიდი მგოსანი.
მზე გაქცეოდა წვიმებს ღრუბლიდან,
სადღაც ყმუოდა ქარი ტიალი,
ასე მეგონა, დაჭრილს შუბლიდან
ჩამომდიოდა სისხლი თქრიალით.
და საქართველოს სუნთქვა მესმოდა,
როგორც ილიას დინჯი ქართული
და ჩემი მზერა მცხეთას ეკვროდა,
და ვიყავ მცხეთის ჯვარზე გაკრული...

* * *

იქნებ მტვართან დასცდა ფეხი, ვინ იცის,
როცა მთვარე ქართლის მთა-ველს ქარგავდა,
რა ჯანდაბამ დააძინა თბილისი,
არ იცოდა, რა დიდებას ჰკარგავდა.
თუ მთაწმინდამ დაიშურა ნიავი,
ვერ უკოცნა შუბლი დასადაფნავი,
რა ყოფილა ბედი ოხერტიალი –
არ აღირსა სამშობლოში საფლავი!
იქნებ ღამით ქართლის მთებიც კვნესოდენ,
როცა თვალი გასაქცევად ეჭირა,
რად უყვარდა საქართველო ესოდენ –
გოჯ მიწაშიც ქართველს არ შეეცილა...
...და მამულის შეკრთა მიწა – მტკივანი,
მისი ხვედრი მწარე სევდად დარჩა ერს,
საქართველო და მთაწმინდის ნიავი –
დღესაც ეძებს კვალდაკარგულ მაჩაბელს...

* * *

ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა
და წუთისოფლის ზანტი ეტლები,
ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ,
ასე შეშლილან სხვა პოეტები.

ვიცი გამამხელს სადმე ცდუნება,
დრო ჩამემსხვრევა თვალში სიზმრებად,
ქარი წამოვა ვით ერთგულება –
და შენსკენ, მავალს შემეხიზნება.

თეთრი ქედნები მასხედან მხრებზე,
ვიღაც მაკავებს ცისკრის ძაფებით –
თქვენ ჩემში პოეტს ამაოდ ეძებთ,
მე მხოლოდ სურვილს ვეთამაშები.

ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა
და წუთისოფლის ზანტი ეტლები.
ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ,
ასე შეშლილან სხვა პოეტები.

* * *

რაც უფრო ახლოს მივედი თავთან,
მით შორეული გავხდი თავისთვის.
მატარებელი ჩერდება მგზავრთან,
ჩერდება ერთი მომაკვდავისთვის.
ღამეა მშვიდი,
დაემხო ზეცა,
რაა მანძილი ახლა მიწამდე.
შენ სამოსელი ღვთიური გეცვა,
გეძახდი, მაგრამ არ დამიცადე...

(...მე სხეულიდან მინდა გაქცევა)

ისევ აღზევდა ჩემი ქალაქი,
მიძინებული ჩემი სავანე,
მხრებზე მაყრიან მთვარის ნამსხვრევებს –
ამ წუთისოფლის ავან-ჩავანნი.
მე სხეულიდან მინდა გაქცევა,
სადმე შეშლილთა შემკრთალ საფარში,
ხელს ვერ შემიშლის ზღვის მიმოქცევა
ჩავეჭიდები ტალღებს ფაფარში.
ერთხელ ხომ მაინც უნდა დავეცე,
რომ გავუბრწყინო მიწას ცისკარი,
ჩემი სიმორცხვე ნუ გაგაოცებს,
ნუ გაიკვირვებ – რად მივიჩქარი...
მკვდარი იმედი მე არ მეკუთვნის,
თვით სისხლის წვეთებს მწოვენ ქარები.
და როგორც დაღლილ ბებერ მეგუთნეს,
ხნულზე დამცვივა ალბათ თვალები.
რა ვქნა, სამოთხის სახე მაოცებს,
შენი იერი მარად მეფური.
ნეტავი მიწის მარტივ ნაოჭებს
თუ აქვს სიმშვიდე კვლავინდებური –
შენ გეკითხები, ჩემო სიცოცხლევ,
ვეღარ ვტეულვარ ფერთა გამაში,
შენ ერთმა მაინც მინდა იცოდე,
რომ არ არსებობს კაცი – თამაში.
რომ ყოველივე არის ნუგეში,
უცხო ლარნაკში დაჭკნენ ვარდები,
რადგანაც ცრემლი სახლობს გუგებში,
სადაც ვიწყებით – იქვე ვთავდებით....

* * *

ამ გაზაფხულსაც ტყვილად გელოდი,
სული დალიეს ბოღმით იებმა.
მე გაპატიებ, მაგრამ ... ყვავილთა
მკვლელობა რომ არ გეპატიება?!.

აღსარება

(გეტას)

* * *

შეგაჩვიე სიღარიბეს,
ჩემს არეულ ყოფას.
არ გაცალე, საყვარელო,
შენს ფიქრებთან ყოფნა.
ვაი, როგორ გაგიმეტე,
"აგიმღვრიე" სული, –
ჩვილ ბავშვივით შეგაჩეჩე
შლეგი სიყვარული.
შენ პოეტის ბედი გშვენის,
დანახვამდე გიგრძენ...
თუმც ვერ გავხდი დედაშენის
სასურველი სიძე.
წლები გადის, მედარდება,
გული მიაქვთ ეჭვებს, –
მაპატიე – ვერ გაღირსე
შეპირებულ ბეჭედს: –
და, ცხოვრება ისე მიდის,
მიმდევს შენი ვალი,
შენ სულ სხვა ხარ –
პოეტისთვის საოცნებო ქალი.

* * *

სულს ისე ეძვირფასები,
როგორც მთებს დილის ნისლი.
აივსებიან თასები
ცრემლგარეული სისხლით.
მზე გადასერავს ბილიკებს,
კოცონს დაანთებს მთაზე,
ჭინკა რომ ჩაიქილიკებს,
რაზე? – ვინ იცის, რაზე....

განა მხოლოდ უნეტარესს

არ ვუჯერი ყურს და თვალებს
ო, სიკვდილი მერჩია
განა მხოლოდ უნეტარესს –
საქართველოს ერჩიან.

ვინ ორგულმა გაგვიმეტა
რისი ჰქონდა ცილობა
როგორ გვესირცხვილებოდეს
ჩვენი ერის შვილობა...

...დაგვიფარე წმინდა ჯვარო,
ნინოს თმებით შეკრულო.
მებრალები საქართველოვ,
ოდიდგანვე ბედკრულო...

ჰამლეტ გონაშვილს

* * *

შენ წამოიწყე ,,დაიგვიანეს”
და შუბლზე გაჩნდნენ ოშკის ბზარები,
იქნებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ
ბექა და ბეშქენ ოპიზარები!
კრთოდნენ შენი ხმის მინანქარები,
როგორც ჩანჩქერი კლდიდან ვარდნილი
და არწივული შენი თვალებით
მეხატებოდა წინ ავთანდილი.
...მღეროდი რაღაც სულ სხვა თილისმით,
თითქოს სიმღერით ტაძარს ხატავდი,
თავზე გეხურა ზეცა თბილისის,
რომლის მიწაზეც ამოთავთავდი!
დაიგვიანეს, მაგრამ სალამურს
ყური მოჰკრეს და აღარ დარდობენ
და ის პატარა მწყემსი ბიჭები
კახეთის მთებში დანავარდობენ.
შენ წამოიწყე ,,დაიგვიანეს”
და შუბლზე გაჩნდნენ ოშკის ბზარები,
იქნებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ
ბექა და ბეშქენ ოპიზარები.

პოეტის დედას

*

რად გამიმეტე ასე დედილო,
ვით განიზრახე ჩემი ღალატი,
სირცხვილით ვის გსურს გააგებინო,
რომ შვილს ჩააცვი მგოსნის ხალათი.
შენ ცისფერ ეტლებს მიმეც მსახურად,
მიფრთხობენ სიზმრებს შლეგა ქარები,
მე თავზე ეკლის ჯიღა მახურავს
და შეშლილს მიგავს ხშირად თვალები.
რად გამიმეტე, ასე, დედილო,
ჩემგან რა წყენა მოგაგონდება?
ჩემს ტვინში ახლაც ლექსი ნებივრობს
და, იცი, ტანჯვა მიახლოვდება?
რად გამიმეტე ასე, დედილო,
მოგეცა ჩემთვის ნიჭი მეგუთნის.
იცი თუ არა, დედავ, დედილო,
რომ თავი ჩემი მე არ მეკუთვნის.
რომ ლექსს დავყავარ უმისამართოდ,
ავკვრივარ ქალაქს მზერადაღლილი,
რომ ეს ცხოვრება მე ვერ გამართობს
და მომკლავს სადღაც ქუჩის ძაღლივით.

რად გამიმეტე ასე დედილო,
ვით განიზრახე ჩემი ღალატი,
სირცხვილით ვის გსურს გააგებინო,
რომ შვილს ჩამაცვი მგოსნის ხალათი..

ნაცნობი მტერი

* * *

ძალიან ბევრი ვეცადე, მაგრამ
სტრიქონში სევდა გამომერია,
როგორც სხეულზე დარტყმული დამღა,
ჩემს ბედში შენი ხელიც ერია!
არ მიძებნია დიდიების მტვერი,
ხშირად ცრემლებიც დარდით ბერწია
და წინათგრძნობა – ნაცნობი მტერი
შენთან მოსვლამდე წამომეწია...

* * *

საუბრობდნენ ისინი, –
(მტერი გვერდით მოისვა)
როგორც გველის სისინი,
მკლავს ცა საღამოისა.
ნისლი აწვა მიდამოს,
ვით ლაშქარი მონღოლთა,
ეჰ, ნუ შისობ, წმინდანო,
ახლოსაა გოლგოთა.
საუბრობდნენ მარტონი...
ველი იწვა პატარა,
თვლემდა შური – ბატონი,
არ ეძინა სატანას.

ვეღარ გავიგე

* * *

ვეღარ გავიგე ცხოვრების
უბრალო იწილ-ბიწილო,
ან როდის უნდა ვიტირო,
ან როდის უნდა ვიცინო,
ან როდის უნდა ვიცოცხლო,
ან როდის უნდა წავიდე.
უბრალო იწილ-ბიწილო –
ვერ იქნა, ვეღარ გავიგე.
ვერ იქნა, ვერარ გავიგე,
თიმც კაი ხანი ვიდროვე
და თავი ჩემი საწყალი
მოვკალ და გამოვიგლოვე.

ავტობიოგრაფია

* * *

ჰა, საცაა ვბერდები, გამითეთრდა თმა-წვერი,
მტერი ბევრი ვიპოვე, ცოტა – გულის დამწველი.
ვიღას უნდა ლექსები, მახლას* შენი ნაწერი,
მუზაც არ მეკარება, ხდება თითქმის ცხრა წელი.
ყველა გადასხვაფერდა – ლენჩი მხვდება სხვა ტონით,
აღარც პრეზიდენტის მწამს, აღარც გუბერნატორის.
ვეღარავის ვჩემულობ, გავცვდი, როგორც დედანი,
ვკვდები, როცა საუბრობს პარლამენტში ცვედანი.
და მე ვხედავ, დღითი-დღე აღარავის ვჭირდები,
არაფერი მაოცებს, არც არაფრით ვკვირდები.
სულ სხვა ხალხი მომრავლდა, სხვა ყაიდის, სხვა რჯულის,
სახეები მაგიჟებს – ათასობით ტანჯულის.
აღარა ღირს სიცოცხლე, ვაგლახ, მივხვდი რა ხანი,
ეს სასმელიც მომბეზრდა – სულთან ჭიქის ჭახანი.
ვევევდრები ღვთისმშობელს, შემიწყალოს ცოდვილი,
მღლის ამ ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთის ლოდინი.
ჰა, საცაა ვბერდები, სულს მიწამებს ფიქრები,
როგორც სულ არ ვყოფილვარ, ისე სულ არ ვიქნები.

შემოაცვდი ცხოვრებას, თემურ, ნათელს აწ ელი?
ხელთ გეცლება სამშობლო, მახრას შენი ნაწერი....

ამას სჯობია

* * *

ისეთი გული რად გინდა,
გქონდეს და არა გტკიოდეს,
ისეთი თვალნიც დავსილან,
ცრემლი არ ჩამოსდიოდეთ.
ისეთი ხმალი რად გინდა,
მტერთან შეყრა არ შიოდეს,
ისეთი შვილი რად გინდა,
სამშობლო არა სტკიოდეს,
ისეთი ცხენი რად გინდა,
ლაშქარში არა ხვიოდეს,
ისეთი მეფე რად გინდა,
მხედართ არ მიუყიოდეს.
ისეთი მიწა რად გინდა,
სხვის ხელში გადადიოდეს.
ამას სჯობია, ქართველი
სამზეოს არ დადიოდეს.

დილა ლხინისა!

ს ა ნ თ ე ლ ი

შენ ციური ხარ, სუსტი, ცდომილი,
ო, პაწაწინა თაფლის სანთელო,
გყოლია მრევლი ხელაპყრობილი,
შენ შეგინახავს ეს საქართველო.

ჩამოგიქროლებს სული ტაძართა
და ეგ სიწმინდე გასაკვირია.
ბევრჯერ მომხდურმა ცრემლი წაგართვა,
ბევრჯერ დაღვრილხარ, და გიტირია.

შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო,
მაგრამ რამდენი კვნესა მიგვრძნია,
შენ, საქართველოს ჭირისუფალო,
ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია..

მეხარები?

* * *

ხშირად მწყინხარ,
თუმცა ხშირად მეხარები,
შენს უღელში
მებრალება მე ხარები.
რად შეჩერდი,
რად დამორცხვდი,
წამო წინა,
ქართლის მინდვრებს,
ნახე, როგორ წამოწვიმა.
შინდის შტოზე
ის პაწია ჩიტი გალობს,
იმ პაწიას ის პატარა
ჩიტი წყალობს.
აღარ მინდა,
აღარც მზე და აღარც ღვინო,
როგორ მინდა,
შენს ბაგეზე ვიღირინო.ხშირად მწყინხარ,
თუმცა ხშირად მეხარები,
შენს უღელში
მებრალება მე ხარები.

* * *

(1991 წლეს დიდი მიწისძვრა მოხდა)
ცა იძრა თუ მიწა იძრა,
თავად უწყი, უფალო!
მებრალები საქართველოვ, –
სხვათა ჭირისუფალო.

ძველი მოტივიდან

* * *

რაც კი ლექსად მიწერია,
ყველა ჩემი ნარითმია,
მახრჩობს სულის მისტერია,
მტანჯავს გულის არითმია..
შენ ერთადერთს – მამულს ნუ მთხოვ,
დანარჩენი – დამითმია!...

ფული

* * *

დასაბამიდან მით ხარ,
სახელად გქვია ფული,
ვისთვის სახარჯო ნივთი ხარ,
ვისთვის სული და გული.
წყალობ, ვინც შენს ბედს გაუგებს,
სიტყვას შენ ამბობ სეფეს,
მონას სასახლეს აუგებ,
ქოხს მოანატრებ მეფეს.
მჭირდები შავი დღისათვის,
ნატვრით არასდროს გნატრობ,
ტუმც კაცის გაცნობისათვის,
ფულო, ძვირფასო,
გმადლობ!

შენს სუნთქვასთან ჩამაძინა

* * *

შენს სუნთქვასთან ჩამაძინა,
გაზაფხულზე აგიფეთქდა ხეხილი,
როგორც ტაძარს, დამწვიმს წვიმა,
მე ჯვარი ვარ მცხეთას გადაჩეხილი.
შემოდგომა მენატრება
და ნოემბრის ალეწილი ქარები,
ტყეში მთვარე დაენთება,
მთვარის შუქზე მარწყვს დაკრეფენ ქალები.
მთას გადაველ თუ არაგვში ჩავიძირე,
სევდა მკლავდა მარტოეულს ფშანებთან,
გადამჩეხეს, გავიკვირვე –
ტანჯვით მივწექ დარიალის კარებთან.
მოღალატე შენ არ გერქვა,
მე მტკიოდა დაჩეხილი სხეული,
მერე დაღლილს ჩამეძინა,
შორს კიოდა ჭოტი ბოროტეული...

მთიელ გოგონას

* * *

დიდთოვლობისას ამოვალ მთაში,
ისევ მომინდი უცნაურ ჟინით,
გაგეჯიბრები ლექსების თქმაში
და ამოგიტან ზაფხულს ხურჯინით.
მაგრამ, ვაი, თუ აღარ გახსოვარ
და მკერდის სითბოს სულ სხვას ჰპირდები....
მე დიდთოვლობას ამოვალ მთაში,
 გეწყინები თუ გაგიკვირდები...

გოგლაური

* * *

გეხვეოდი, ლამის ტრფობამ დაგვახრჩო,
ტყეში შურთხმა თუ დააფრთხო მთვარე,
ივირს პირას ვკრიფეთ თეთრი ყაყაჩო
და გომბორზე გავათიეთ ღამე.
ტანზე იის სამოსელი გემოსა,
ფერხთ გეფინა ზოწეულის ფარჩა,
ვით აღლუმში გამარჯვებულ ცხენოსანს,
არ მელოდა სიყვარულის ჯვარცმა.
გზად მიმავალთ მტერი გადაგვეყარა,
რა ყოფილა, ეჰ, მუხთალი ბედი,
გაგიტაცეს და წამართვეს ქვეყანა,
მეც გადმომწვდნენ, გამიჩეხეს მკერდი.
გული მოკვდა... ნეტავ ვინ გამიმეტა,
ვისი საყდრის გახვევია მრევლი.
შორს მიმავალს რა მიმყვება იმედად?
მხოლოდ წყვილი სიყვარულის ცრემლი...

* * *

შენი ისარი გულზე მესობა,
რაც კი გავძელი, შენით გავძელი.
ო, სიყვარულის უმაღლესობავ,
ვისთვის ჯილდო ხარ, ვისთვის სასჯელი.

მე დავმარცხდები*

* * *

ნე დავმარცხდები, როგორც მგოსანი,
თქვენ გაიღიმებთ ალბათ დაცინვით.
დრო დამარცხდება მიმინოსავით,
გავირიყები შეშლილ კაცივით.
მე დავმარცხდები, ვიცი, ასეა
ჩემი ბედი და ჩემი იღბალი.
ვიცი, ეს სახე გრიმით სავსეა,
ვიცი, გიფარავს სულსაც ნიღაბი.
მე დავმარცხდები, მერე რა მოხდა,-
მარცხი ალალი კაცის ხვედრია,
მკერდს ყველა ლექსი კვნესით აღმოხდეს,
ჩემს ურა-კვიცებს ვერ გახედნიან.
მე დავმარცხდები, როგორც წარმართი
და სხვანაირად არც მიფიქრია.
აჰა, ეს გული დღესვე წამართვით,
ლექსიც წამართვით, თუ შეგიძლიათ.
მე დავმარცხდები, ბედთან თავნება,
როგორც ქარისგან ლეგა ღრუბლები.
ბოლოს მომძებნის თვით უკვდავება, –
ლექსები, ცემი წირისუფლები.
მე დავმარცდები, როგორც მრავალი
და გამაკრავენ ჯვარზე ლეშები,
ვიცი, არა მაქვს მე მომავალი,
მაგრამ თქვენამდე ვერ დავეშვები.

მე ვიტირებდი

* * *

მე ვიტირებდი,
მაგრამ, ვაჰ, თუ
ცრემლი არ მეყოს.
უშენოდ ჩემი სიცოცხლე
რა ასატანია.
შენა ხარ ჩემი დანგრეული –
ციხის სამრეკლო,
ჩემი ყინწვისის ანგელოზი
და ბეთანია...

ბებიაჩემს

* * *

რამდენი წელი გასულა, ბები,
და ერთი ლექსიც ვერ დაგიწერე,
მე ახლაც შენი ლოცვებით ვთბები
და თვალებს მიმღვრევს ცრემლის სისველე.
გარადსულ სიზმრებს მივტირი, ბებო,
როგორ წახვედი ბოლოს მწუხარე,
აღარა დამრჩა რამ საოცნებო,
დაინგრა ჩვენი ძველი ბუხარი.
ძველი ბუხარი და ზამთრის პირი,
წყნარი ჩურჩული, თუ წყნარი ნანა,
გამახსენდება და ჩუმად გტირი,
შენ წაგყვა თითქოს მთელი ქვეყანა.
და ახლა თავთით ვუზუვარ შვილებს,
მწარე ცხვრების მეც ვიგრძენ გემო,
ბეჟანი, მზესთან რომ მაკავშირებს,
ხშირად გიგონებს, ბებიაჩემო.
რამდენი წელი გასულა, ბები
და ერთი ლექსიც ვერ დაგიწერე,
მე ახლაც შენი ლოცვებით ვთბები
და მენატრება შენი სიბერე....

* * *

მესიზმრები, ისე ხშირად მესიზმრები,
შენზე ფიქრმა, კარგო, სად არ მატარა.
რა ხანია გაიყარა ჩვენი გზები –
თუ შემოგრჩა სინანული პატარა.
არა მკითხო, სიყვარული უკმეხია,
უკარება, სულელი და თავნება.
მოვა, თავზე დაგადგება უთენია,
მერე წავა შორს და დაიკარგება.
ნუ შემხვდები, აღარ მინდა დავიჯერო,
დარდი მომკლავს გაციებულ გულისა.
დღეს წარსულზე მინდა ჯვარი დავიწერო
ნიშნად ჩვენი ძველი სიყვარულისა.

* * *

მთაწმინდაზე ნისლს ეძინა,
ქაშუეთთან ღამის ბინდი ეყარა.
გაიავდრა, – შენ გეწყინა –
მტკვარს გაჰქონდა თბილისიდან ქვეყანა.
მთების ლანდმა მთვარე შორით გაიტაცა,
თუ მეტეხთან მიამსხვრევდა ტიალად,
გაგახსენდა შენი ჯვარცმა
და წაქცეულს ტანში გაგაჟრიალა...
მერე მთვარეს ირემივით დაეძებდი,
შენი ცრემლით ცა ათასჯერ გაწვიმდა,

მთაზმინდაზე ნისლს ეძინდა
და მთვარეზე არ ფიქრობდა მთაწმინდა...

საუბარი გულთან

* * *

თეთრი აპრილის სუნთქვა მაწვალებს
და ცეცხლად მიქცევს ჭაბუკ იმედებს.
გულო, რა მოხდა, ცოტა მაცალე,
გულო, რა მოხდა, ნუ გამიმეტებ.
ჯერ შემოდგომის ქარით ვფითრდები,
ზამთრის ყინვაში როგორ დავსახლდე.
გულო, რა მოხდა, რატომ ფიქრდები,
იქნებ არ მოგწონს შენი სასახლე,
იქნებ არ გჯერა ჩემი ოცნების,
აღარ გსურს ჩემთან ერთად იარო?
როგორ გივლიდნენ ძველი მგოსნები,
მითხარ, რო ისე მეც მოგიარო.
მეც გიმეგობრო ისე ერთგულად,
რომ სატირალზეც აღარ გატარო,
ისე მოვიქცე, რომ ჩემთან ყოფნა
და სიყვარული არ ითაკილო.
ჯერ მსურს, აგიგო რწმენის ტაძარი,
ხმა მოგაწვდინო ცისკრის ზარების,
მერე დამიგზნე ტრფობის ხანძარი,
ჯანდაბას, ნუღარ დაგენანები.

* * *

ააკანკალა უძირო მთვარეს,
მთას დაეკიდა აშლილ ფაფარზე,
და მომეჩვენა, მტირალი ღამე
სულს ლევდა ჩემი ფანჯრის რაფაზე.

* * *

მე გაზაფხულის ვინატრე წვიმა,
შენი თვალების კამკამა ცრემლი,
მინდოდა მერე დიდხანს მეტირა,
არყის ხეების შემეკრთო ტევრი.
მე გაზაფხულის ვინატრე წვიმა,
შენი თვალების კამკამა ცრემლი....

მშობლიურ სოფელზე თქმული

* * *

მე მინდა შენზე ლექსები ვწერო,
ყოველი სიტყვა დაგეფინოს გულზე ვარდებად,
რომ დავარხიო, ალბათ, შენი მაყვლის კენწერო,
ჩემი ბავშვობა გადმოვარდება...

ნაგვიანევი ლექსი

* * *

ყველა მიყვარდა და ჩემგან თურმე,
ყველას თავისი წილი მიჰქონდა.
ასე ნელ-ნელა სიცოცხლე ჩემი
დავანაწილე სტრიქონ-სტრიქონად...

* * *

შენ ოცნების მზე ხარ დაკარგული,
ეს წყეული სად არ დაგდევდა,
დამეუფლე, როგორც გაზაფხული,
შემოდგომის მშვენიერო სევდავ...

ვაჟაის სისხლო, ნიკო – ბაჩანა...

* * *

სად გახიზნულან შენი ლექსები,
საქართველოში რაღაც არ ჩანან?
გაგიხსენებ და ვეღარ გეხსნები,
ვაჟას უმცროსო ძმაო, ბაჩანა.
ვაჟკაცი იყავ და მეოცნებე,
შენ შენი სულის ზეცა ასწიე,
რა ვუყოთ, ნურვინ გაიოცებენ,
ვაჟასებრ თუ ვერ გაიარწივე.
გვერდში ხომ ედექ ლომს წაუქცეველს,
მხრებით გეჭირა მისი ბეჭები.
ერთი შენც იყავ ძმა და მგოსანი,
სისხლით და ნიჭით შეუეჭვები...
რარგი გესმოდა მთების გოდება,
ტიალ საწუთროს გულზე მოები,
გაგიხსენებ და მომაგონდება
"ის მუხა" – მდგარი განმარტოებით.
მაინც სხვა იყავ მთა – საუფლოში,
შენ საკუთარი გზებით იარე,
მონატრებიხარ აფხუშოს ნისლებს,
სასოვეთავი გიხვევს იარებს.
შენ აგანთებდა ცეცხლად ცარგვალი,
შენი ლექსები რატომ არ ჩანან,
შენი ფშავით და შენი ჩარგალით,
ვაჟაის სისხლო, ნიკ – ბაჩანა.

ახლა როგორც არასდროს...

*

როგორ მინდა წაქცეულს
შეგაშველო ხელები,
ახლა, როგორც არასდროს,
ისე გექართველები, –
გხედავ სისხლით შეღებილს,
გგლეჯენ უცხო ტომები,
სულის კარის შემღებო –
გულის გულზე მომები.
ვის შევჩივლო, არ ვიცი,
რა ვქნა, ბოღმამ იათა,
მსურს დაჩოქილ ჩემს მამულს
თავი ხარკად მივართვა.
იმ ჩემს ძველთა წინაპართ
რომ მართალი ვეწვიო,
ჩემთა შვილთა გინება
გზად არ წამომეწიოს.
მტერი მოვუგერიო –
ჩემს ნირწამხდარ ქვეყანას,
სხივი რომ გაერიოს
გადაბუგულ მზეყანას.
როგორ მინდა, წაქცეულს
შეგაშველო ხელები,
რა ვქნა, როგორც არასდროს –
ისე გექართ-ველები...

განა მხოლოდ უნეტარესს

არ ვუჯერი ყურს და თვალებს
ო, სიკვდილი მერჩია
განა მხოლოდ უნეტარესს –
საქართველოს ერჩიან.

ვინ ორგულმა გაგვიმეტა
რისი ჰქონდა ცილობა
როგორ გვესირცხვილებოდეს
ჩვენი ერის შვილობა...

...დაგვიფარე წმინდა ჯვარო,
ნინოს თმებით შეკრულო.
მებრალები საქართველოვ,
ოდიდგანვე ბედკრულო...

როგორ მიყვარდი

* * *

შენ ფაქიზი ხარ, ისე ფაქიზი,
ისე ფაქიზი – როგორც სიკეთე.
როგორ გიყვარდე, როცა შენს გულში
ჩიორაც ბუდეს ძლივს გაიკეთებს.
ო, როგორ მინდა, გადაგარჩინო,
გული გავწირო კარგი გულისთვის.
შენ პატარა ხარ, ისე პატარა,
"არ მემეტები სიყვარულისთის"...

* * *

ამ გაზაფხულსაც ტყვილად გელოდი,
სული დალიეს ბოღმით იებმა.
მე გაპატიებ, მაგრამ ... ყვავილთა
მკვლელობა რომ არ გეპატიება?!.

* * *

სიცოცხლე ერთი წამია,
გულზე ზღვა ცეცხლის წამდები,
წამი სულ წამში წამივა,
წამო, ნუ გამიწამდები.

* * *

წვიმამ თქვა: – მე რა მაღონებს?
ადამიანთა ცოდვები.
მივდივარ ნამტირლაევი,
ბალახს თუ მოვაგონდები.

* * *

უცნაურად წამოწვიმა,
ჩემთან წამო, წამო, წვიმა....

* * *

თმებს გიწეწავდა ქარი,
ოდნავ შეგხსნოდა მკერდი,
შენი მოხუცი ქმარი
დინჯად მოგდევდა გვერდით.
და, წამოვიდა წვიმა,
თვალთა იტირეს ცათა,
შენ რაღაც მოგეწყინა
და აბუზღუნდი ქმართან.
და როცა ჩადგა ქარი,
აღარსად იყო წვიმა,
გვერდით არ გყავდა ქმარი,
აღარც შენ მოგეწყინა.

* * *

ბევრჯერ მომინდა შენი ტყვეობიდან
თავის დაღწევა, მაგრამ ამაოდ,
ვერა და ვერ გეხსნები...
შენი ბორკილები ხერხემალს
მიღუნავს, ზურგის ტვინს
მიმღვრევს, ვიტანჯები.
ორთავ მაჯა გადამიტეხა ჯაჭვების სიმძიმემ.
აქამდე ფართხალს მაინც ვახერხებდი,
ვეღარც ვფართხალებ.
აჯა წამერთვა.

* * *

პოეტს უყვარს ყვავილები –
დობილები ლირიკის,
აფეთქება გაზაფხულის,
მეგობრების ქილიკი.
პოეტს უყვარს მამული და
არწივული ყივილი,
მაინც ცოცხლობს მალული და
განუყრელი ტკივილით.

განა მხოლოდ უნეტარესს

არ ვუჯერი ყურს და თვალებს
ო, სიკვდილი მერჩია
განა მხოლოდ უნეტარესს –
საქართველოს ერჩიან.

ვინ ორგულმა გაგვიმეტა
რისი ჰქონდა ცილობა
როგორ გვესირცხვილებოდეს
ჩვენი ერის შვილობა...

...დაგვიფარე წმინდა ჯვარო,
ნინოს თმებით შეკრულო.
მებრალები საქართველოვ,
ოდიდგანვე ბედკრულო...

როგორ მიყვარდი

* * *

შენ ფაქიზი ხარ, ისე ფაქიზი,
ისე ფაქიზი – როგორც სიკეთე.
როგორ გიყვარდე, როცა შენს გულში
ჩიორაც ბუდეს ძლივს გაიკეთებს.
ო, როგორ მინდა, გადაგარჩინო,
გული გავწირო კარგი გულისთვის.
შენ პატარა ხარ, ისე პატარა,
"არ მემეტები სიყვარულისთის"...

* * *

ამ გაზაფხულსაც ტყვილად გელოდი,
სული დალიეს ბოღმით იებმა.
მე გაპატიებ, მაგრამ ... ყვავილთა
მკვლელობა რომ არ გეპატიება?!.

*

შენ წამოიწყე ,,დაიგვიანეს”
და შუბლზე გაჩნდნენ ოშკის ბზარები,
იქნებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ
ბექა და ბეშქენ ოპიზარები!
კრთოდნენ შენი ხმის მინანქარები,
როგორც ჩანჩქერი კლდიდან ვარდნილი
და არწივული შენი თვალებით
მეხატებოდა წინ ავთანდილი. . .
. . .მღეროდი რაღაც სულ სხვა თილისმით,
თითქოს სიმღერით ტაძარს ხატავდი,
თავზე გეხურა ზეცა თბილისის,
ღომლის მიწაზეც ამოთავთავდი!
დაიგვიანეს, მაგრამ სალამურს
ყური მოჰკრეს და აღარ დარდობენ
და ის პატარა მწყემსი ბიჭები
კახეთის მთებში დანავარდობენ.
შენ წამოიწყე ,,დაიგვიანეს”
და შუბლზე გაჩნდნენ ოშკის ბზარები,
იქნებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ
ბექა და ბეშქენ ოპიზარები.
შენ სანთელი ხარ უფლის ხმობილი,
ო, პაწაწინა თაფლის სანთელო.
გყოლია მრევლი ხელაპყრობილი –
შენ შეგინახავს ეს საქართველო
ჩამოგიროლებს სული ტაძართა
და ეგ სიწმინდე გასაკვირია.
ბევრჯერ მომხდურმა ცრემლი წაგართვა,
ბევრჯერ დაღვრილხარ და გიტირია.
შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო,
მაგრამ რამდენი კვნესა გიფრძვნია.
შენ საქართველოს ჭირისუფალო,
ბედნიერი ხარ წვა შეგიძლია...

* * *

ბევრჯერ მომინდა შენი ტყვეობიდან
თავის დაღწევა, მაგრამ ამაოდ,
ვერა და ვერ გეხსნები...
შენი ბორკილები ხერხემალს
მიღუნავს, ზურგის ტვინს
მიმღვრევს, ვიტანჯები.
ორთავ მაჯა გადამიტეხა ჯაჭვების სიმძიმემ.
აქამდე ფართხალს მაინც ვახერხებდი,
ვეღარც ვფართხალებ.
აჯა წამერთვა.

* * *

პოეტს უყვარს ყვავილები –
დობილები ლირიკის,
აფეთქება გაზაფხულის,
მეგობრების ქილიკი.
პოეტს უყვარს მამული და
არწივული ყივილი,
მაინც ცოცხლობს მალული და
განუყრელი ტკივილით.

* * *

ისეთი გული რად გინდა,
გქონდეს და არა გტკიოდეს,
ისეთი თვალნიც დავსილან,
ცრემლი არ ჩამოსდიოდეთ.
ისეთი ხმალი რად გინდა,
მტერთან შეყრა არ შიოდეს,
ისეთი შვილი რად გინდა,
სამშობლო არა სტკიოდეს,
ისეთი ცხენი რად გინდა,
ლაშქარში არა ხვიოდეს,
ისეთი მეფე რად გინდა,
მხედართ არ მიუყიოდეს.
ისეთი მიწა რად გინდა,
სხვის ხელში გადადიოდეს.
ამას სჯობია, ქართველი
სამზეოს არ დადიოდეს.

* * *

სიცოცხლე ერთი წამია,
გულზე ზღვა ცეცხლის წამდები,
წამი სულ წამში წამივა,
წამო, ნუ გამიწამდები.

* * *

წვიმამ თქვა: – მე რა მაღონებს?
ადამიანთა ცოდვები.
მივდივარ ნამტირლაევი,
ბალახს თუ მოვაგონდები.

* * *

უცნაურად წამოწვიმა,
ჩემთან წამო, წამო, წვიმა....
(თემურ ჩალაბაშვილი)

* * *

თმებს გიწეწავდა ქარი,
ოდნავ შეგხსნოდა მკერდი,
შენი მოხუცი ქმარი
დინჯად მოგდევდა გვერდით.
და, წამოვიდა წვიმა,
თვალთა იტირეს ცათა,
შენ რაღაც მოგეწყინა
და აბუზღუნდი ქმართან.
და როცა ჩადგა ქარი,
აღარსად იყო წვიმა,
გვერდით არ გყავდა ქმარი,
აღარც შენ მოგეწყინა.



დავით ახლოური – პოეტი. საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე
დაბადების ადგილი – ახალგორი

* * *

მზის საუფლოში დავიბადე, მზისგან მოვდივარ
და ამიტომაც გარიდებდით თვალებს ნამიანს.
ჩემი სამშობლოს ხავსისფერი ტაძრის ლოდი ვარ,
შენი ქონგურის ჩუქურთმა ვარ, ავე მარია!

მე თუბალი ვარ, მესხი ვარ და კოლხთა ბადიში,
დედა ვუტირე, ვინც ჩემს მიწას მტვერი ადინა...
მოყვარეს გული გავუღე და მტერს კი ბოდიში,
თუ დაამიწა ჩემს ედემში ავმა წადილმა.

მე მივულეწე ასურელებს ბედის კარავი,
ვპირველობდი და მომყვებოდა ტომი ხალდების.
ისე მოვედი, არ დავუთმე არსად, არავის...
ღვთის მონა ვარ და სიკვდილითაც უფალს ვბარდები.

გამოვიარე ქვის ხანა და ხანა ოქროსი,
წარსულში დარჩა სიდიადით აქეს რომელიც...
არ გამიცვლია შაჰის ხმალზე ციხის ბოქლომი,
არ შემხვედრია უძლეველი მაკედონელი.

მე დავიბრალე არტაანთან აზოს სიკვდილი,
ჩემი ბრალია ფირუზისფერს
დღესაც რომ ჰგავს ცა...
მაწამეს, მაგრამ არ ვყოფილვარ სასომიხდილი,
როცა დასჭირდა, ინდოეთში ვახლდი გორგასალს.

მზეს წვიმა ცვლიდა, ღრუბლისფერი იდგა ამინდი,
ელვა და ჭექა მილეწავდა ზოგჯერ დარაბებს,
ათასჯერ დაჭრილს სისხლიანი მეცვა ქლამინდი,
სამასი წელი გავუძელი იმ ყრუ არაბებს.

მცხეთაც ავაგე, ნიკორწმინდაც, ხანძთაც, ბედიაც...
და ღვთის ტაძრიდან, ღვთის სახლიდან ღმერთს მივესალმე.
მემკვიდრე ვიყავ სამი ტახტის, ესეც ბედია,
აფხაზეთიდან გავამეფე ბაგრატ მესამე.

დიდგორის ველზე დავამარცხე ურიცხვი მტერი,
ვიშამქორე და დავაჩოქე რუმის სულთანი
და როცა მწვერვალს გავუსწორდი, ვითარცა ერი,
თურმე მონღოლებს გვიმზადებდა ბედი მუხთალი.

წახდა ქართლი და გადარჩენა ისევ ვივალე,
ჟამი – ბედკრული ამოსუნთქვას როდი მაცლიდა...
უფლის განგებით მხსნელად მოველ, მოველ ბრწყინვალედ,
ოსიც, მონღოლიც გადავრეკე ჩემი ქართლიდან.

მეთხუთმეტედან კვლავ მესმოდა ხმები ველური,
არაბს და მონღოლს ჩაენაცვლა მტერი ახალი;
არ გვასვენებდა ბარლასელი კოჭლი თემური
და დაგვიტოვა ნასოფლარი, ნავენახარი.

დაგვყვეს, დაგვშალეს ცალკე ქართლად, ცალკე კახეთად,
ცა იქცეოდა, ერთმანეთთან როცა ვომობდით...
იშიშვლა ხმალი სვიმონმა და უფალს გახედა,
თრიაქით მთვრალი დარაჯობდა მამულს ბოლომდე...

ბევრჯერ ჩავხედე წყვდიადისფერ სიკვდილს თვალებში,
მაინც არ დავთმე, ბებერ ქსანზე ციხე ავაგე.
გადავიტანე თურქთა, სპარსთა, ლეკთა თარეში,
რა ვუყოთ, თუკი ბოლო ბრძოლა რუსთან წავაგე...

ისევ ომში ვარ, დაღმართიდან ვეძებ აღმართებს,
ამ ბინდისფერსაც გადაუვლის სხივი დილისა,
დაგვიბრუნდება უფლის ნებით ის, რაც წაგვართვეს,
ჩემს საქართველოს ხატი იცავს ივერიისა...

მზის საუფლოში დავიბადე, მზისგან მოვდივარ...

* * *

მოწყენილია უშენობით ჩემი ოთახი
და ყოველღამე ეშინია სიზმარს თენების,
შემოირბინე სიყვარულო, თუნდაც ცოტა ხნით,
თორემ ხელებში მიკვდებიან ქრიზანთემები...

გახსოვს? –
სარკმელთან ატუზული მთვარის პროფილი,
დილით, რომ სადღაც დაემალა ღამის ნათებას,
სიყვარული კი, უფალივით უარყოფილი,
ლექსებს შემორჩა ვით ამაო თავის მართლება.

ქარიც ხომ გახსოვს,
აშარი და სასომხდილი
(შენს მოსახიბლად რა არ სცადა, რა არ იღონა)...
ახლა ისე ვარ, ვით ედემში სიკვდილმისჯილი,
რომელმაც ევას სიყვარული გამოიგონა...
....
მოწყენილია სიმარტოვით ჩემი ოთახი,
მაგრამ არ მინდა, უშენობამ გამატიალოს...
შემოირბინე სიყვარულო, თუნდაც ცოტა ხნით
და დედამიწა ჩვენს გარშემო დავატრიალოთ...

ქსნის ხეობას

ვეღარ ვიშუშებ ჩემი წყალ-ჭალის ნატყვიარს,
მინდა დავბრუნდე,
მაგრამ გზა ჯერაც არ ჩანს...
იქ დედაჩემის ნაფეხურები ატყვია,
იქ საფლავების ცივი ლოდინი დარჩა.

ვფურცლავ დღიურებს – ატირებულებს ბალღივით,
ისევ ვინახავ
ქსანზე მოწყვეტილ ყვავილს...
დავეხეტები ხიზნის მანტიით დაღლილი
და მონატრება გულში ხარივით ბღავის!

* * *

მტერი რომ მერევა,
დავითის მრცხვენია,
თამარის მრცხვენია,
გიორგი ბრწყინვალის...
კი ვიბრძვი,
კი ვამბობ –
ეს მიწა ჩემია,
მაგრამ სისხლისფერი
შორს დარჩა ცხინვალი...

დამჩეხეს...
დამაგდეს ლიახვთან,
ენგურთან...
დაშალეს ქსანზე რომ
ტაძარი ავიგე...
ათასჯერ აღმართეს
მახვილი ჩემს გულთან...
სხვა ვერა, ამ ტკივილს
ერეკლე გამიგებს!..

მაინც ხომ ტრიალებს
ოხერი საწუთრო,
მაინც ხომ ხან მზეა,
ხანაც თუ ბნელდება.
არ მინდა წარსულით
ვინმე შევაწუხო,
რაც დავთმე,
მახსოვს და...
სიცოცხლე გრძელდება!

* * *

ჩემი გზა-ბილიკი დარდია და,
ასჯერ გაცვეთილი სინანული,
როგორ წაგვიხდა და გატიალდა,
მტერს რომ შევატოვეთ – ი მამული...

აღარც ქარჩოხისკენ გავიხედეთ,
ვეღარც მოვიკითხეთ ძმა-მოყვრები.
გული მიეცემათ ა იმ ქედებს,
შენ თუ ახალგორში წამომყვები...

* * *

დილით მეგობარი შემეხმიანა – სოფელში
ხომ არ წამოხვიდოდიო...

(ლექსს ვუძღვნი ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ მოსახლეობას და ამასთან ერთად, სრულიად საქართველოს)

....
ნეტა ვიყო შენსავით წასასვლელი სოფელში,
ვალაგებდე ჩანთას და მეზედმეტოს „ბოტასი"...
კელაპტრები მიმქონდეს დასანთებად ქოხებში
და სიყვარულს ვუხსნიდე გოგოს ჯინსებ მოტმასნილს...
ცოტა მენანებოდეს ქალაქური იერი –
მთის ვნებიან მზეებთან ნებით შესაფიცხები,
იქ, ღრუბლების ჩეროში, რომ არ დავრჩე მშიერი,
რომ არ გამიჯეჯილდნენ ძველ ამბარში ვირთხები,
მქონდეს უკვე ნაყიდი წამალი და ტყვიები,
ოღონდ გადანახული და სადღაცას საძებნი...
ავიდოდი თუ არა, სანთლებს მოვიძიებდი,
გავკაფავდი ხატის გზას, ნაცნობს შავი ძაძებით.
უფალს შევავედრებდი ჩემს საფიცარ ქვეყანას,
დედაჩემის სულსა და მზეგარდასულ ბავშვობას,
ამ გულსა და სიყვარულს მივართმევდი ბეგარად
წარსულს, იქ რომ დავტოვე, დღეებს,
აქ რომ დამშორდა.
მტარვალსა და მამაძაღლს ავიკლებდი გინებით
ისე, მორცხვი იები გასაქცევად იწევდნენ...
სოფლის თავში ტყემლების ტყეში დავიძინებდი,
ვიდრე დილით ირმები რქენით გამაღვიძებდნენ.
ნეტა ვიყო შენსავით სოფელში წასასვლელი
და ვფიქრობდე სახლის წინ გადასაფენ ჭილობზე,
სულ არ მენაღვლებოდა ალბათ საჭმელ-სასმელი,
თუკი წამიკითხავდი ანასა და ჭილაძეს...
მერე ლექსსაც დავწერდი ჩემეულს და უხიაგს,
მზეზე გამოვაშრობდი გადათხაპნილს მიტარბით...
ხშირად ვინახულებდი საწილოს და მუხიანს,
სოფლის სასაფლაოზე ღვინოს გადავიტანდი...
....
დღეა რაღაც უჟამო, მგონი უფრო შავ-თეთრი,
ვინ დამინთებს კელაპტრებს მიტოვებულ ქოხებში?!
სულ ამ მონატრებით და მოლოდინით გავთეთრდი...
ნეტავ ვიყო შენსავით წასასვლელი სოფელში...

* * *

რომ არ ხარ მარტო
(მარტოობა
არ უყვართ ქალებს),
შენზე რომ ვდარდობ,
რომ არ გაკლებ
სითბოს და ალერსს,
რომ მათბობ ისე,
როგორც დილა,
როგორც მზის სხივი,
იმედს რომ მივსებს
შენი ხმა და
შენი სიცილი,
რომ ვფიქრობ ბევრზე
(უმიზეზო
ცრემლის მიზეზზეც),
ხან თვალის ფერზე,
ხან შეჭრილი
თმების სიგრძეზე...
რომ არ მაგონებ
სხვის სიყვარულს
შეღებილს ინით,
რომ შემაგებებ
ვნებას ფარულს,
შეხსნილი მინით,
რომ აგათრთოლებს
ტუჩის ახლოს
კოცნა უცები,
რომ დამატოლებ
მხრებს და მერე
მეკეკლუცები
სიცოცხლისათვის
ესეც კმარა
ჩემო ფერია,
სხვა ყველაფერი,
ყველაფერი
არაფერია!..

* * *

მიმაქანებს ბედი, როგორც
წყალწითელა ტივტივებს...
მე რომ წავალ, ერთი გოგო
გულამოსკვნით იტირებს...

ჩამოყვება ტაძრის კედლებს
ცრემლი, მსგავსი თოვლისა...
წავალ, ჩემს სულს შეიკედლებს
დიდებული ლომისა...

მივეცემი რაღაც ახალს,
რაღაც უცხოს, ღვთის ნებით...
მერე იქაც დამინახავთ,
სადაც აღარ ვიქნები.

მერე ზოგჯერ წვიმად მოვალ,
სხივად მოვალ ან მთვარედ...
გადაივლის როცა თოვა,
ქსანზე დამასაფლავეთ.

შემიმშრალეთ ქართლის ცრემლი,
ნუ დამტოვებთ თალხიანს,
იქ დამმარხეთ, სადაც ჩემი
პაპის პაპა მარხია,

რომ შემოვრჩე ცხმორის კედლებს
შეძახილად ლომისა...
წავალ... ჩემს სულს შეიკედლებს
დიდებული ლომისა...

* * *

ქალი ვაზია,
უნდა ეფერო,
უნდა ჩაიკრა გულში
და გათბე...
მზით დაფერილი
მწიფე მტევანი
უნდა დაწურო მერე და
დათვრე...
ქალი ვაზია,
სხეული მდედრის
უნდა აქციო
ყურძნის მარცვლებად.
უნდა დაცალო
ქალი ბოლომდე
და კვლავ შეავსო
გამოსაცლელად...

* * *

ღმერთმა დიაცი აჩუქა ადამს,
ჯერ არცდომილი მზითა და გველით...
მერე დავკარგეთ ადგილი, სადაც,
სიხარბის გამო არავინ გველის...

ვდარდობ... განვიცდი... მატულობს წნევა...
ბაღში კანს იცვლის ისევ წყეული,
აღარავინ ჰგავს ადამის ევას,
თუმც ყველა ქალში ევას სხეულით

მოხიბლულია ოდითგან მამრი,
გაუმაძღარი მდედრით და მიწით,
აუტანელი გამხდარა ჯავრი,
რომ იჩემებენ ყოველდღე „მის წილს"...

მაგრამ ხომ იცის – ამ მთებს ამ ველებს,
ერთი ჰყავთ მხოლოდ მისთვის შობილი...
ანდაც იპოვის იმ ერთს ან მერე
დარჩება ღვთისგან უარყოფილი...

* * *

ვუძღვნი ბებიის –
ქეთევან პავლიაშვილის ხსოვნას

ჩემს ბებოს ოთახში ეკიდა სურათი
ბრძოლებში დაღლილი, ნაჯაფი პაპისა,
არაყს შემოდგამდა ტაბლაზე სურით და,
ჭანჭურის შარბათი მოჰგავდა თაფლისას.

ერბოკვერცხს შეწვავდა პატარა ტაფაზე,
ვიტყოდით ღვთისას და მშვიდობას ყოველთა,
ცრემლივით შემორჩა წარსულის დაფაზე
ტკივილი, რომელიც თან გაჰყვა
„პოვლეთ ქალს"...

მე დღესაც მგონია ღმერთივით უნაკლო
ბებია, ჩუმად რომ თვალებს იოსებდა,
სიკვდილმა წაართვა შვილები უმანკო,
მათ თავს აბარებდა პაპა იოსებას...

ძალიან მიყვარდა ჩემი ქეთო ბაბო,
სურდა შევხვედროდი ღვთისდარ მზექალასა,
თითქოს ახლაც ჩემს წინ დგას და
მშვიდად ამბობს:
„სულსაც მირჩევნიხარ და
მთელ ქვეყანასაც"...

ალბათ იქაც ჯავრობს, მზეს რომ მეცილება
ის, ვინც ქარჩოხიდან სადღაც გამაძევა,
ჩემი თბილი ბებო... როგორ ეციება,
ისეც ცივი იყო მისი ტაბარძენა.

მაინც მანუგეშებს: „ჩემი არე-მარე,
სხვას ვერ დარჩებაო, გეწამლოს ბებია"...
ღმერთო მაპატიე, რომ ვერ მოვუარე
მიწას, რომელშიაც წინაპრის ძვლებია!

ვნების კვირა

ვნების კვირაა...
დარდით მოცული
რაღაც მისტიურ სიზმრებს ვნახულობ...
ახლა ჩემს ირგვლივ ყველა ლოცულობს,
ყველა რაღაცას სწუხს და მარხულობს.

ვნების კვირაა
და უჩვეულოდ
უფრო მწუხარე ხდება თაბორი...
(როგორ გაბედე ნეტავ, წყეულო,
ოცდაათ ვერცხლად ქრისტეს ამბორი)...

ვნების კვირაა...
როგორც არაკში –
სული თითქოსდა ძაფით განასკვეს...
მოჰყავთ იესო,
ღმერთის ზვარაკი
და გვიმზადებენ წითელ პარასკევს...

ქრისტეს სისხლია ახლა შარბათი...
გაუძნელდება
მთვარეს ამოსვლა...
მაგრამ იმედად გვრჩება შაბათი,
მრევლის რწმენა და
ცეცხლის გარდმოსვლა...

ღმერთო გვიშველე,
შენი სახლია
დედამიწა და მიყვარს აქ დგომა...
ჯერ დაცემაა,
ჯერ ღალატია...
მერე ჯვარცმა და
ისევ აღდგომა...

* * *

ვინ იცის, უკვე რამდენჯერ ვცოდე,
რამდენჯერ მწარედ ვინანე მერე,
„მომიხსენიე, უფალო ოდეს"...
– ვეღარც კი ვამბობ
და ვმალავ ცრემლებს.

ნუ განმიკითხავთ,
თვით განმსჯის ღმერთი,
მძიმე იქნება საფლავის ლოდი...
ათი მცნებიდან რომელი ერთი
გამხსენებია ხორცში მყოფ ცოდვილს.

ათი მცნებიდან რომელი, როდის
იქცევა მერე გზებზე ეკლებად...
ასე ყოფილა კაცთათვის ოდით,
ლიბრი ამ ცასაც გადაეკვრება

და მზე – სამყაროს მხურვალი ცოლი
გაცემის ღამეს მთებთან იწვება...
რაც უნდა თეთრი მოვიდეს თოვლი,
მიწის ალერსით შეიბილწება.

მაცხოვრის ფრესკასთან

ვინ იცის წინ კიდევ რამდენი ფიქრია,
რამდენი დარდია, რამდენი ტკივილი...
სადაც აღმართია, დაღმართიც იქვეა,
ცრემლმა წამიშალა ამ დილით ღიმილი.

ვემხობი... უფალთან შეხვედრა მწადია,
არ ვიცი, ტაძრის გზით ბოლომდე ვინ ივლის...
მაცხოვრის ფრესკასთან ამ დილაადრიან
რატომღაც ბავშვივით მომინდა ტირილი...

* * *

თუ კაცი სულით მგელი არა ხარ,
თუ ვერ შეგყარეს „ხორველა",
უნდა მოხვიდე ურცის ბალახად,
მაგრამ ნუ მოხვალ ცხოველად...

წესი წესია, მზე რომ გამწირავს,
ხატს შემოსავენ შავებით...
მე დავბრუნდები მერე არწივად,
რადგან არ მიყვარს ყვავები...

ჩემს მერე, როცა ქსანზე ჩაივლი,
როცა გადიფრენს შველი კორდს...
სადმე თუ შეგხვდა უცხო ყვავილი,
ვინ იცის – იქნებ მე ვიყო...

* * *

მომენატრები,
უსაშველოდ მომენატრები,
„არაფერია" –
ვიტყვი თუკი
შემნიშნეს ცრემლი.
დღეს ჩემს სიხარულს
ხვალ ტკივილად
მოემატები,
შენს ღიმილს
ვეღარ აირეკლავს
ღიმილი ჩემი.

ვეღარ ვისწავლი
მარტოობის
წლებთან შეჩვევას
და ყოველღამე
გამოვყვები
სიზმრებს შენთან მე...
არ დამიღონდე
უშენობა თუ შემემჩნევა
და ეს ცრემლები
გულიდან თუ
ამოხეთქავენ.

* * *

მინდოდა შენთვის რაღაცა მეთქვა,
მინდოდა, მაგრამ... რა ვიცი, ვერ ვთქვი.
როგორ მიყვარხარ, ხომ იცის ღმერთმა,
გარდასულ დღეთა მოწმეა ღმერთი.

თუკი ვერასდროს ვიქნებით ერთად,
ვიქნები მარტო, ვილოცებ შენთვის.
როგორ მინდოდა რაღაცა მეთქვა,
მინდოდა, მაგრამ, რა ვიცი, ვერ ვთქვი...

* * *

ამ ღამემ დილამდე რომ ვეღარ გასტანა,
ქსნის პირას გაექცა ლორწომს...
პატარა გოგო ხარ, ფიფქივით პატარა
და დიდი ბიჭები მოგწონს...

რამდენმა სცადა და ვერ მოგინადირა
მზისფერა, უმანკო კრავი.
ვინც გხიბლავს, ვინც გიყვარს იმისთვის,
ნამდვილად,
უკვე დაქალდი და რა ვი...

იცელქე, იგიჟე... რა დიდი რამეა,
ეს წლები მოწყენად არ ღირს...
ქსნის პირას ისეთი მაცდური ღამეა,
დილამდე ალერსით დაგღლის.

დილით კი რიჟრაჟი აგიწვავს ღაწვებს და...
გახდები ბავშვივით მორცხვი.
მერე კი, მზე როცა მთვარესთან დაწვება,
სურვილი აგიტანს კოცნის.

და ღამემ დილამდე თუ ვეღარ გასტანა,
აისად ეწვიე ლორწომს...
პატარა გოგო ხარ, თუმც რაღა პატარა,
ქალობ და დიდობა მოგწონს...

* * *

ხანდახან რთული ვარ,
ხანდახან მარტივი...
შენ ჩემსას
ვერაფერს გაიგებ...
ყოველდღე იცვლება
ამინდი მარტივით,
რაც მქონდა
ღრუბლებმა წაიღეს...

ხან ფიქრი,
ხან დარდი,
ხან ნიჭი მოთმენის...
ნოემბრად შემოვრჩი
ამ ქუჩებს...
ზედ გულზე მეყრება
ყვითელი ფოთლები,
მოდი და
ამ გულსაც გაჩუქებ!

* * *

...და იდგა მაშინ აპრილი თეთრი,
ცივი დღე იყო,
დილიდან წვიმდა...
წვიმის ალერსით შეშლილი მდედრი
ანგელოზს ჰგავდა, ხატივით წმინდას...

სხვა ხიბლი ჰქონდა ღმერთების ნაგრამს,
ხან მზეობდა და
ხან გერგეთობდა...
მთელი არსებით მიყვარდა, მაგრამ
როგორც ამბობდნენ – არ მერგებოდა...

და მეც ვიყავი
ყველასთან მორცხვად
გზა აურიეს ღამეს ბიძებმა...
გამახსენდება სოფელი, როცა
წვიმასთან ერთად
გამეღვიძება...

* * *

მქონდა საფიქრიც და საბატონოც,
მზესთან სიახლოვეს არ ვიშლიდი...
გულში ჩამისახლდა, ქალბატონო, –
თქვენი მომხიბვლელი ქალიშვილი...

მისი სილამაზის დავალებით,
დღესაც იწერება სტრიქონები...
ბევრჯერ ჩამოვშალე დალალები,
მერე რაღაც მიზეზს ვიგონებდით.

ისე შემიყვარდა თქვენი გოგო,
ყველგან სიყვარულზე ვსაუბრობდი.
ოი, რა ვუთხარი მთვარის მომგონს,
მთვარეს ქურდებივით გავურბოდით...

დღესაც გულში მრჩება საბატონოდ,
დღესაც ვერ შევძელი დავიწყება...
მეტს ვერ მოგიყვებით, ქალბატონო,
მეტი როგორ გითხრათ, გამიწყრება!

* * *

გუშინ უშენობით მოვიწყინე,
მერე თეთრ ღამეებს მოვემატე.
აღარ ვიკამათოთ... მომისმინე...
უკვე უსაშველოდ მომენატრე.

როგორ მოწყენილი საღამოა,
რაღაც საწყალი და სევდისფერი.
წავა სიყვარული, აღარ მოვა,
მერე სინანული ვერ გვიშველის.

ჰოდა, სიყვარულსაც უნდა შველა,
ჰოდა, მეც ყოველდღე გინახულებ.
შენ არ მოიწყინო ჩემო ყველავ,
შენთვის ზამთარშიც კი ვიზაფხულებ.

* * *

ორმოცს უახლოვდები, იქნებ ცოტა გადაცდი,
მაგრამ კი არ მშორდები,
სხვა მიყვარდეს, არ მაცდი...

არ გიცნობდი სულ ადრე, ახლა უფრო ვივსები,
ხომ მოხვედი სულამდე
დახეული ჯინსებით.

არც ეს წლები გადარდებს – მოდიან თუ მიდიან,
სიყვარული გადამდე
და ფეხებზე გკიდია

ასაკი და დროება შენიცა და ჩემიცა,
გახდა ამაოება
შენს გარეშე ჩემი ცა...

მთელ სამყაროდ იბევრე, მოგდევს უფლის წყალობა...
ახლა უფრო იფერებ,
მე თუ მკითხავ, ქალობას...

ორმოცისაც იქნები... მაგრამ რა დროს წლებია,
როცა შენზე ფიქრები
ისევ ჩემთან წვებიან...

* * *

შევხვდით...
ვეღარ მიცნო თითქოს...
წყენით მარიდებდა თვალს –
„ჩემი სხეული და სითბო
რატომ დაუთმეო სხვას"...

ვდარდობ...
მენანება... ვწუხვარ
სხვაგან დაღამებულ მდედრს,
მაგრამ, რა გინდა, რომ უთხრა...
ესეც დაბრალდება ბედს...

ვნების ღამე

ჩაგიხუტებ,
დაგიკოცნი
ლამაზ თვალებს,
გაგათბობ და
სურვილები ასრულდება...
მომეხვევი,
შეიფერებ
მამრის ალერსს
თითები რომ
საკინძისკენ ჩაცურდება.
შეხსნილი თუ
შეწყვეტილი
ყველა ღილი
სარეცელთან
ატეხავენ
ურცხვად წრიალს,
კოცნის ჟინი
ტალღასავით გადაგივლის
და კერტები ტუჩებს
თვითონ მოძებნიან...
მომეცემი
შეშლილი და განაბული,
მერე მთვარე
გადაგვაფენს
ნათლის სვეტებს
და სხეული
სურვილისგან დანამული
ჯერ არ თქმული
სიგიჟისთვის
გაგვიმეტებს!
მყვირალობის
ჟინისფერით
შეიმღვრევი,
მინებდები უცნაურ და
თბილ სიამეს,
შენს სხეულზე...
როგორ გითხრა...
როგორც გველი,
ვნება ისე
მოუთმენლად ისრიალებს.
დააჩნდებათ მერე ტუჩებს
კოცნის კვალი,
ეს იქნება
სულ სხვა რაღაც,
სულ სხვა რამე...
იმ ერთ ღამეს
ბევრჯერ იგრძნობ
რომ ხარ ქალი
და უბრალოდ
ეს იქნება
ვნების ღამე!

* * *

მე რომ მიყვარხარ,
მგონია, რომ
უყვარხარ ყველას,
მთელ სამყაროზე
ეჭვიანობს
ახლა ეს გული.
ვინც სიყვარული
იწამა და...
ღმერთს სთხოვა შველა,
ასე მგონია
შენზე იყო
შეყვარებული...

რა ეშველება,
აღარ ვიცი,
უშენოდ ამ ხალხს,
რა ეშველება
ამ ქვეყანას
შეცვლილს, ვნებიანს...
ასე მგონია,
ვერ ამჩნევენ
ჩემსავით,
სხვა ქალს,
ასე მგონია
შენს სიყვარულს
მეცილებიან...

ჰოდა, ამიტომ
მიმაჩნიხარ
სამყაროს ფასად,
ჰოდა, ამიტომ
გნებდებიან
ვნებულს
გულები...
მე რომ მიყვარხარ,
მგონია, რომ
უყვარხარ სხვასაც,
ვეჭვიანობ და
უმიზეზოდ
გებუზღუნები!

* * *

ხდება ყველაფერი ღმერთის ნებით,
ხელში მისი ხელი მიკავია,
ისევ სიყვარულზე ვეფიცები,
ისევ ერთად ყოფნა გვიხარია.

ის კი ცახცახებს და მეხუტება...
წამიც აღარ გვინდა სიშორისა.
თანაც სული ისე გვეხუთება,
თითქოს ბეჭედს ვჩუქნი ნიშნობისას.

ახლა არ იქნება შეჩერება,
უნდა იტრიალო დედამიწავ.
მიყვარს ეს გოგო და მეჩემება,
ჩემთვის გააჩინა დედამისმა.

მინდა ხელი მაგრად ჩავკიდო და
მთელი მზისქვეშეთი მოვიაროთ.
დღემდე მის გარეშე რა მინდოდა,–
ჩემთვის ვჩურჩულებ და ვბოდიალობ...

დღეს რომ სიყვარული გავაერთეთ,
მგონი მთელ სამყაროს უხარია.
მწამდა ეს გოგო და გავაღმერთე,
ჰოდა, ახლა ჩემთან უფალია!

* * *

ხანდახან ისე თბილია მიწა,
ხანდახან ისე ცხელია გული,
მოგენატრება იმ წუთს და იმ წამს
მიენდო ფიქრს და მიეცე სურვილს

და ის სამყარო აჩუქო დიაცს,
რომელიც შენი არასდროს იყო,
გაექცე ყველა ჭორსა და გნიასს,
ჯოჯოხეთიდან შორს გაირიყო

იქ, სადაც მეტი ჯოჯოხეთია
და მხოლოდ შენთვის ჰქვია სამოთხე...
იქნებ ყოფნაზე უფრო მეტია
მის სიყვარულში სული ამოგხდეს,

ვისაც შენს გამო შეაცდენს გველი,
ვინც შენთვის შვეს და სხვაგან გათენდა...
შენ ადამი ხარ და სადღაც გელის
მკათათვის ცხელი ამონათება...

გიყვარს... მის იქით ვერაფერს ხედავ...
გათბობს... ნებდები ფიქრსა და სურვილს...
ზოგჯერ ღმერთივით მშვიდია მზე და
ზოგჯერ მზესავით თბილია გული...

შენა ხარ ევა

ჩამოშლილია მხრებზე დალალი,
მუხლს ზემოთ ურცხვად მიიწევს კაბა,
სურვილიც არ გაქვს ვნების დამალვის
და ლამაზ თვალებს მაცდურად ნაბავ.

მზეს მიელტვიან ცხელი წვივები,
და გაურბიან უბეს კერტებიც...
გალუმპული ხარ ვნების წვიმებით...
გვალვისთვის როგორ არ მემეტები

იცი და მიმხელ შეხსნილ გულისპირს,
ალბათ გინდა, რომ კოცნით დამღალო...
აჰა, გავიღე გული გულის წილ,
აჰა, გაჩუქე მთელი სამყარო...

ამ ცისქვეშეთში შენი სადარი
არც თვით მზეა და არც ღამის თევა...
მე ღვთის ხატი ვარ, მე ვარ ადამი
და შენ კი ჩემთვის შექმნილი ევა...

* * *

გაშიშვლდა ხალხი,
რაც აცვია,
იმასაც იხდის,
რა გითხრა კიკუ,
ეს სიშიშვლე,
ალბათ არ გსურდა...
ნუღარ გაიხდი,
ე, მაგ გროშებს,
რა თავში იხლი,
მაგათი ფული,
რა ხანია,
გაუფასურდა...
შესცოდეს კიკუ,
შესცოდეს და
ხვდებიან ვერც კი,
მუცალის ნაცვლად
ჩამოტეხეს
მხარი ალუდას...
კაცობრიობას ოცდაათიც
ეყოფა ვერცხლი,
ქრისტეს ჯვარცმიდან
შეუცვლელი,
მყარი ვალუტა!

* * *

ხმაურობს სისხლი
ზღვარწაშლილი
და ამღვრეული,
ცხელმა ტალღებმა
ბაგეები
ურცხვად ალეწეს
და ჩემი სუნთქვით
დაორთქლილი
შენი სხეული
ათრთოლებული მისცემია
ვნების სარეცელს...

ხმაურობს სისხლი,
სისხლი ცხელი
და ამღვრეული,
ხორბლისფერ ძუძუს
დაგიეკლავს
ვნების თარეში...
ამ ერთ ღამეში
დაქალდება
შენი სხეული
და მთელ სიცოცხლეს
გისახსოვრებ
ამ ერთ ღამეში...

ბროწეული

მწიფობის თვეს იფერებდა ბროწეული,
სამოსელი ვერ იტევდა მკერდს...
მთვარე მყავდა შუამავლად მოწვეული,
მზის ტრფიალი მე მიქებდა ბედს.

მწვერვალზე რომ ამღვრეული ნისლი იწვა,
როგორ ჰგავდა ჩემს საყვარელ „ცას"...
ქვეშაგებად არ გვყოფნიდა დედამიწა
და საბნადაც ვერ გვწვდებოდა ცა.

ცახცახებდა ქალი, როგორც ჯეირანი,
მავედრებდა ათრთოლებულ გულს...
არ ივიწყებს ჩემი სახლის ხეივანი
ასჯერ ნათქვამს: „მეყვარები სულ"...

ღამე იყო შეშლილი და მოწეული,
უსირცხვილოდ იღეღავდა მკერდს
და მწიფობაშეპარული ბროწეული
ქალწულობას აგონებდა მდედრს...

ერეკლე საღლიანი
პოეტი

მეუფე დიმიტრის ნაამბობი

„ჟინვალში არქეოლოგიური გათხრების დროს ასინეთა შავერდაშვილის საფლავზე აღმოჩნდა შემდეგი წარწერა: დედამან ჩვენმან გაგვზარდა 18 შვილი, მე – 19, შენ?“

უფალო, მყოფნის მცირედიც,
შვილებში რომ ვმეორდები,
ჩემს ფესვზე ამოყრილები
არიან ჩემი ყლორტები.
დედამან ჩვნემან თვრამეტი
შვილი წვალებით გაგვზარდა,
მე კი რა მექნა სხვა მეტი?
ცხრამეტი დავსხი ტაძრადა.
ჩემს დარდებს მთებიც დარდობენ,
საქმემან ჩემმან მიწამა,
მიწა ვარ, მაგრამ მარტოდენ
არ მსურს მივიქცე მიწადა!
შენ გიხმობ, შენი ხმა ისმის,
მსურდა ხვალის დღე მენახა,
დედა თუ გქვია, დაისხი
ნაყოფი, როგორც ვენახმა.
მერცხლის მსგავს ბუდეს ვიშენებ,
გული მაქვს ზედ სხივნახალი,
ცხრამეტჯერ ჩავეც სიბნელეს,
ცხრამეტჯერ ჩავეც ლახვარი!
ჩემს თავს საით უნდ გავქეცე,
ხეთა ჩრდილს ვით ვიფარებდი,
მე ჩემს წიაღში ცხრამტეჯერ
გამეხსნა ზეცის კარები!
სიკვდილი ყველას მოგველის,
მასზე ფიქრმა მეც დამსუსხა,
ვსვამ ახლა კითხვას, რომელიც
შეიცავს თავად პასუხსაც...

სერაფიტა

დაგეძებ კვლავაც, ათასწლებში დაგეძებ ძევახ,
ვერ შერყვას ჩემი სილამაზე არმაზის მზემაც,
დავდივარ, გეძებ და ამ ძებნად ვფიცავ, რომ ღირხარ,
მთელ სამყაროსთან ვინც ერთობას გრძნობს, იგი მე ვარ!

„1938 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მცხეთაში, პატარა მწყემსი ბიჭს საფლავში აღმოაჩინა სალამური. მოგვიანებით ამ სალამურზე დაუკრა ომარ კელაპტრიშვილმა“

* * *

ვერც გითვისა და ვეღარც წაგრეცხა დრომა,
სწევ მაღლა სასმისს – დირბულას ღვინით სავსეს,
იმ სალამურზე დაუკრავ დღეს შენ ომარ,
მწყემსი ბიჭი რომ უკრავდა თხოთის მთაზე.
მიზნისკენ მსრბოლი ისარი მწარედ წივის,
ჰკიდია ზეცას სიცოცხლე მიწის ბურთათ,
იმ ძველი დროის საწუხარსა და ტკივილს,
დღევანდელი დღის ურვას და წუხილს ურთავ.
დაუკარ, ცრემლი დააღვრევინე ქვასაც,
დაე, ბალხმაც შენს წინ დახაროს თავი,
იციან სიკვდილ-სიცოცხლის ყადრი აქაც,
შენთვის ბალახი აქ რა სხვაგვარად ჰყვავის.
იტევს მცირე დიდს, დიდი ხომ იტევს მცირეს,
ტყდება ცას კენჭი სარდიონის და მარჯნის,
შენს მსგავსად ვერვინ ეხება სულის სიმებს,
შენს მსგავსად მათი შეხება ძალუძს არვის!
აკვნესეს აკრავს და იწყებ ახალ ერას,
ტოვებ მიწას და მიწის გადაღმა მიქრი,
იტევს მსოფლიოს შენი დაღლილი მზერა,
წვდება მსოფლიოს შენი დაღლილი ფიქრი.
ყოფნა-არ ყოფნას შორის ხიდი ვით გადე
ბინდი ეხვევა კავთისხევსა და ოკამს,
ბგერა, რომელიც ტივტივებს მუქ ლურჯ ცაზე
ხელის თითებში დაჭრილ გულივით ტოკავს.
ვერც გითვისა და ვეღარც წაგრეცხა დრომა,
სწევ მაღლა სასმისს – დირბულას ღვინით სავსეს,
იმ სალამურზე დაუკრავ დღეს შენ ომარ,
მწყემსი ბიჭი რომ უკრავდა თხოთის მთაზე.

ჩვიდმეტი შიდისელი გმირი

ხართ ჩვენი სანაქებო,
თქვენთვის ცრემლიც არ დაშრა,
დაამშვენედით, ძმებო,
ვახტანგ გორგასლის ლაშქარს!
ცა ახლაც გაწვდით თითქოს
სინათლეს – სულის სამყოფს,
დაამშვენებდით დიდგორს,
ბასიანსა და მარტყოფს!
ჩანს ის, რაც ბინდში არ ჩანს,
იშიშვლებთ ელვის მახვილს,
მომხდურს ჯავშანში ჩამჯდარდს
შიშველი ხელით დახვდით.
მიიღეთ, როგორც ქება
სიტყვა ლექსად რომ დამდის,
სარკოფაგიდან დგება
ანწუხელიძის ლანდი.
ცას მიეკრობით ორთქლად,
იხილავთ მთებზე აისს,
ჩვენ შეიძლება მოგვკლან,
მაგრამ არ გავტყდეთ მაინც.
არ გვაქვს უჯიშო გვარი,
არ ვგავართ წელში წახრილს,
თქვენი წყალობა არის
ომში რომ არა წავხდით!
ჩემს სათქმელს ვეტყვი თუ წყალს,
ბინდს წარვხოც სანათელოს,
თქვენ ჯერ მოუკვდით უფალს
და შემდეგ საქართველოს!

მიხეილ ხერგიანს

უკვდავებას უნდ ეტოლო,
ცა ჩვენი ჰგავს ნავენახარს,
შენ შეგეძლო, შენ ერთს, მხოლოდ,
მთების ცრემლი დაგენახა!

სვანი კაცი

სიცოცხლის ძალა იწამე,
ცაში ხარ, ნისლთან იძინებ,
ვეღარ გაკავებს მიწაზე,
შენი სხეულის სიმძიმე,
ვით იას დაცვარ-დანამულს,
სჭვრეტ ტკივილს სულში ნატანებს,
სვანურ ქუდის ქვეშ დამალულ
მსოფლიო სევდას ატარებ.

* * *

თავს თეთრი მთები მადგანან,
ირგვლივ გრიგალი მივლისა,
კი გავხდი ღირსი, რადგანაც
ურყვნელ სამყაროს ხოლვისა.
ვიტყვი: ღირს ღმერთო აქ მოსვლა,
ღირს ჩემი ქვეყნად გაჩენა,
ვიშორებ პირველ სამოსს და,
ველი თვალწამის ჯვარჩენას.

* * *

შევნატრით მარადისობას,
მინდობილი ვართ მესაჭეს,
კაცთაგან არა იცნობა
არა იცნობა,,შესაქმე''.
დღემ ბნელს უნდ შავდღე აყაროს,
გულ არა ხანჯროს ეჭვითა,
დაბეჭდილია სამყარო
შვიდი, შვიდფერი ბეჭდითა.

ერთი დღით...

,, პირველ მსოფლიო ომში მტრებმა-გერმანელებმა, ინგლისელებმა, და ფრანგებმა ერთი დღით შეწყვიტეს ომი და ერთად აღნიშნეს ქრისტესშობა.“

ყველა ომს ჯვარი დაესვა სულაც,
ჯვარი დაესვა მსოფლიო დრამებს,
ცისკენ მიშვერილ ზარბაზნის ლულამ
ამოანთხია უკუნი ღამე.
ღამე, რა ღამე, ვერ აღწერს ენა,
ძაძა ჩაიცვა გარემომ თითქოს,
იქნებ ეს ბოლო სისიხლისღრვა, სვრემა,
იქებ ეს ბოლო გასროლა იყოს!
ვჭედავთ, კვლავ რვალის ბორკილებს
ვედავთ,
უამურ ფიქრებს წამიწამ ვისევთ,
იხსნება მთელი სამყაროს ბჭე და
დედამიწაზე შემოდის ქრისტე.
არცა შუღლი და აღარცა მტრობა,
რაც კაცთა მოდგმას საძირკველს უთხრის,
ერთი წუთიც და იწყება შობა,
გაცხადდეს უნდა სასწაულ უფლის.
გვხრავს ხანიერად სიხარბის მახრა,
ევროპის გული ვაგლახით სცემს და
ამ ერთ დღით თუნდაც გონების გახსნამ
უკეთურება გააგდოს ჩვენგან.
წავგლიჯოთ ერთ დღით სიკვდილს ცელი და
ვიყოთ ერთი დღით ყვლეფრის მცოდნე,
ვიყოთ ყველანი ბედკეთილი და
ნეტარებითა ჩვენითა ვცხონდეთ
ნუღარ მივაპყრობთ ხარბ თვალს სხვის
მიწებს,
არადა, ცოდვილთ ვერვინ გვიშველის,
მშვიდობა შენდა, სუფრასთან იწვევს
გერმანელს ფრანგი და ინგლისელი.
შეგვძრა სიცოცხლის გაქრობის შიშმა,
სხულის ჩრდილში ჯერ ისევ ბნელა,
ქრისტე ჩენს სულში თუ აღარ იშვა
ნუ ველოდებით გარედან შველას!
საჯოს კაცთ ბედი ღვთისმშობლის ძემან,
სიკვდილ-სიცოცხლეს თანაბრად ვიყობთ,
იქნებ ეს ბოლო სისხლის ღვრა, სვრემა,
იქნებ ეს ბოლო გასროლა იყოს!

ვივო, ანუ ადგილის დედა

ვივო, ვივო, თეთრ მზის სხივო,
მცხუნვარევ და თანაც ცივო,
ცაში კი ხარ, მაგრამ მიწად
დამკვიდრებას მაინც ცდილობ.
დაღლილ სულის მობრუვებავ,
უსაზღვროვ და უნაპიროვ,
სხვის სალხენი ლხინი მილხინს,
სხვის სატირალს ცხარედ ვტრიობ.
დიდ სიცოცხლის დასაბამო,
არსებობის ძირისძირო,
გევედრები, კაცთა მოდგმა
    დაინდო და არ გაწირო!

მზექალა წიკლაურის მიერ ლეო ჯაბუშანურის დატირება

ჯავრს ვეღარ ვიკლავ, მოვთქვამ და გელი,
კურცხალი თვალთა უპეებს მიწვამს,
ვეღარ შეიშრო მზექალის ცრემლი
ვერც არხოტის და ვერც ღილღოს მიწამ.
დაგტირი, სულზე ბორკილი მადევს,
გზას ძლივს მივიკვლევ ბნელში წვალებით,
ასე სტიროდნენ ღირსეულ ვაჟებს
ოდესღაც ფხოვის მთებში ქალები.
ცა თოვლისფერად ფქვავს თავის საფქვავს,
იკითხავს უცხო – მოჭირე ჭირის,
რაღა ატირებს ნეტავი ამ ქალს?
ეტირება და რა ვიცი, ტირის!
ო, შენი სახე თან დამდევს, მახლავს,
დამეპატრონე მილეულს სულ მთლად,
შენს არსებობას ისე ვგრძნობ ახლა,
როგორც მოწამე საკუთარ სუნქვას.
ლექსით ივსება ღრუბელი მთაში,
აქ ხარ, მე როცა მგონიხარ იქ რომ...
მე ცოცხალი ვარ მარტოდენ მაშინ,
როდესაც შენზე მთელი დღე ვფიქრობ.
იძრა ხმელეთი კვლავ წყალთა ზედა,
მიწასაც ესმის ძახილი თესლის,
გიმზერ და იქ მყოფს თვალნათლივ გხედავ,
გისმენ, ჩემს ხმაში შენი ხმა მესმის.
ვავსებ იდუმალ სამყაროს ღრიჭოს,
ცხად-ბურანს შორის დგომას არ ვუფრთხი,
ერთხელ სიზმარში რომ გნახო ის სჯობს,
გათხოვებაზე ფიქრსა და წუხილს.

დიდგორის ველზე დაღუპული ყივჩაღის ხმა ცხრაასი წლის შემდეგ

ბრძოლაში შესვლა, ხმლის ქნევა მშვენის,
ჰკიდია ამ ცას მზე ცეცხლის ბურთად,
ფლოქებ ქვეშ ჩემი ქედფიცხელ ცხენის
ისმოდეს ნედლი ბალახის სუნთქვა.
ისმოდეს როგორ იშლება ბელტი,
აქა ვდგავარ და ვევნები რახან,
მე ომში სიკვდილს მეტადრე ველტვი,
ვიდრე სიცოცხლეს შენ ელტვი ახლა.
საწუთრო ცრუა, ბიდისფრად ბინდობს,
მთელს ჩემს ცხოვრებას იტევს ეს წამი,
გავყურებ ნიჩბისს, გავყურებ დიდგორს,
მარადისობას გავყურებ ამით.
მე მტრის სიმრავლეს არ ვუდრკი, ვფიცავ,
თავზე აგვისტოს ალმური დამდის,
როცა ამ ქვეყნის ღირსებას ვიცავ,
მე ამ სივრცეში ვიმკვიდრებ ადგილს
შევდივარ ორას მხედართან ერთდას,
მტრის რიგებში და მოუვლენ ავდარს,
ო, მართალი ვარ უხილავ ღმერთთან
ო, მართლი ვარ საკუთარ თავთან!
ტოკავს ჯავშანქვეშ პერანგი ხაკის,
დღევანდელ დღეს მტერს დავუსვამ ძვირად,
მე საქართველომ შემიტკბო რაკი,
დაუნანებლად თავს მისთვის ვწირავ.
ბრძოლაში შესვლა, ხმლის ქნევა მშვენის,
ჰკიდია ამ ცას მზე ცეცხლის ბურთად,
ფლოქებ ქვეშ ჩემი ქედფიცხელ ცხენის
ისმოდეს ნედლი ბალახის სუნთქვა.

ნანა მომცელიძე – ფილოლოგი, იურისტი
დაბადების ადგილი – ქ. თბილისი

არგათენებული დილა

ჩემში უეცრად ხმა დაკარგა
ქარმა, ფოთლებმა და წვიმამ,
მერე უხმო ცრემლმა დაიტირა
არგათენებული დილა.
დუმილით შევურაცხყოფ
თქვენგან მოყენებულ კითხვებს,
მონოლოგს და ტკივილს,
განსჯის სურვილიც კი დამეკარგა,
ვუსმენ სულის უხმო კივილს.
დროს რა ეშველება, იმ წლებს,
იმ გარემოს, როცა გამჭოლია აზრიც.
იქნებ ბოლო ზარმაც არ დარეკოს,
იქნებ გაიყოლოს დარდიც.
მე თავს ვკარგავ, მაგრამ ლანდს დავეძებ
ისიც ჯვარცმულია ვატყობ.
გულზე მიკრულ ვარდებს მგონი ვემსგავსები
და თავს მხოლოდ ამით ვართობ.
უღვთოდ ჩამოიქცა სამყაროს სიმართლე
სისხლიც აღარაფრად გვიღირს,
აბა სადღა მოსჩანს პატარა სინათლე
არგათენებული დილის?!

თეთრი ლექსი და შავი ფიქრი

ვფიქრობ და რაც უფრო ბევრს ვფიქრობ,
ვიკარგები.
ვინდობ და რაც უფრო მეტად ვინდობ,
მწირავენ.
ვფხიზლობ და რაც უფრო მეტად
ვფხიზლობ, ძილბურანში ვარ.
ვცდილობ და რაც უფრო მეტად ვცდილობ,
არ გამომდის.
ვენდო?-მეშინია.
მენდოს-გავამართლებ?
სიმართლის გვეშინია,
სიკეთეს ვასამართლებთ.
ცხოვრება დუხჭირია,
საზომი ერთეული,
ზოგისთვის სულ ჭირია,
ზოგისთვის დღეთეული.
ვარ ასე არეული,
დავდივარ მთვარეული,
სიძულვილს ვემალები,
ცხოვრება არეული.

თბილისი სიყვარულია

ნამგალა მთვარე დაჰყურებდა ლიცლიცა წყალს და
გალაკტიონი ჩურჩულებდა ეულად მტკვარზე.
ჩემი თბილისი, ციხე-ბურჯი თავისთვის თვლემდა
და არ ესმოდა მოქიშპეთა ნავარდი კარზე.
ეხ, ნაისრალო ციხე-ბურჯო, დამხვედრო მტერთან,
იუდას ვერცხლად გაყიდულო ქართულო მართვევ.
რა პასუხს ვაძლევთ შთამომავალთ ცალკე თუ ერთად,
კი არ ვაშენებთ, ვისაც რა აქვს იმასაც ვართმევთ.
ქართულ ჩოხას და ქართულ მანდილს არა ვცნობთ ღმერთად,
ღვთისმშობლის კალთას ვეფარებით უწმინდურ აზრით.
ტალახის სროლით, სხვების ლანძღვით ნუ დგებით ერთად,
ნუ მივცემთ სიტყვას, ვისაც რა სურს ისე რომ გასდით.
ცისფერ-ვარდისფერ ფერთა შლიგინს დავუსვათ დამღა,
თბილისის თავზე გავაღმერთოთ ქართვლის დედები.
ნუთუ არასდროს შეგიგრძვნიათ ტკივილით დაღლა,
ჩემო თბილისო, თუმცა ისევ მეიმედები.
ასი ათასი მოწამისგან დანამულ სისხლით,
ისევ ამაყად გაიმართე ქართვლის სიწმინდევ.
შენ საქართველოვ, განგმირულო შინა მტრის ისრით,
შენზე დაღვრილი ცრემლი ჩუმად ხშირად ვიწმინდე.
მაგრამ დრო დადგა სიყვარული დაგიდგათ ფარად,
ბოღმიან ქართველს შემოვავლოთ ეკლის გვირგვინი.
იქნება მიხვდეთ, დაიჩოქოთ თბილისის კართან
უსიყვარულოდ ერთად ყოფნა არის სირცხვილი.

ჩვენი სამშობლო

ცის კიდეს, სადღაც, არწივი ჩანდა
მიკიოტი კი ყველგან კიოდა,
ჩვენი სამშობლო სირცხვილის გარდა
გულში სიღრმემდე ისევ გვტკიოდა.
გვტკიოდა, მაგრამ ვერ აველთ მთებზე
აწყვეტილ გრიგალს ვერ დავეწიეთ,
ბურუსთა წყება დაგვდევდა გზებზე
წარსულო აკვნად ვერ დაგერწიეთ.

იღვრება სისხლი, ჩემობს სატანა
მაგარ ბურჯებზეც ვერ დგამენ ტაძრებს,
გაუფერულდა მოძმის გატანა
და არაკაცებს უნთებენ სანთლებს.
წარღვნამ წალეკოს ეშმა, წაგვართვას
ვინც ხელყოს გენი, ჯიში და მოდგმა,
ძეგლი დავუდგათ ქრისტეს სამართალს
არ ვაპატიოთ მტერს ავი ბორგვა.

ცხოვრებას ვსწავლობ

ცხოვრებას ვსწავლობ წვიმიანი ფანჯრის მინიდან,
ჩამორეცხილი, დაღარული გზები ჩნდებიან.
ყოველი დილა კვლავ იწყება ისევ დილიდან,
ჩანაფიქრები ანარეკლად კვლავაც რჩებიან.
მოგორავს წვეთი და ჩამორეცხს გზადვე ნაკვალევს,
ჩაინთქმებიან "ჩვენი ჩუმი ჩანაფიქრები",
წუთისოფელში ჩამოსარეცხს ნეტავ რა დალევს,
ნეტავ ვინ იცის სად, როგორ და რატომ ვიქნებით.
შხაპუნობს წვიმა, ხმაურობენ ფანჯრის რაფები,
ტალღებად მიაქვს ჩუმი ექო გადაღლილ ფიქრებს,
ირგვლივ ბურუსში კიაფობენ სადღაც ჭრაქები,
იქნებ არ იყოს ხვალ სულერთი ან იყოს იქნებ.
წვიმის წვეთები მისხალ-მისხალ მინდა ვაგროვო,
რომ გავიტაცო მოგონება შენი და ჩემი,
წვიმის წვეთების ანარეკლში აღარ დამტოვო
გადავარჩინოთ მოგონება ჩემი და შენი.
ცხოვრებას ვსწავლობ წვიმიანი ფანჯრის მინიდან.

ცხოვრობდე მზეში

ცხოვრობდე მზეში ნიშნავს იწვოდე,
იწვოდე, როგორც მზის სხივი მზეში,
არ გაერიო ბნელეთს იცოდე,
არ შეამოკლო მანძილი დღეში.
ცხოვრობდე მზეში ნიშნავს გინდოდეს
ხელის გულივით ყოფნა სივრცეში,
მოკვდავთა რიგმა მინდა იცოდეს,
მინდა თვრებოდეს ლამაზ ფიქრებში.
ცხოვრობდე მზეში ნიშნავს გადარჩი,
დატოვე ყოფა მიწიერ ხიბლის,
ოხ, საფიქრალო, მეტი არ დამრჩი
მარტივი ყოფა უკვე თავს მიხრის.
ცხოვრობდე მზეში ნიშნავს რომ გხედავ,
გხედავ მზის სხივად დიად სივრცეში,
მე კი უგნური იმასაც ვბედავ,
ვბედავ ჩაგტიო მზისფერ მიზნებში.
მზისფერი დილა თავს გიხრის ჩუმად
მზესუმზირებით მოფენილ ბაღში,
მზისფერი მზერა მესროლე უხვად
და ჩვენს ანარეკლს მზეში ვერ წაშლი.
ცხოვრობდე მზეში ნიშნავს იწვოდე,
იწვოდე, როგორც მზის სხივი მზეში,
არ გაერიო ბნელეთს იცოდე,
არ შეამოკლო მანძილი დღეში.
ცხოვრობდე მზეში ნიშნავს იწვოდე.

სხვას არას ველი

გაოგნებული დრო დარჩა მარტო
პირჯვარს იწერდა ისევ მაცდური,
მინდა მჯეროდეს ისევ სიმართლის
არ გავხდეთ მეტად მათი საცდური.
მე აღარ ვნატრობ,მწამს და მოველი
სხვა მეტეორი აელვარდება,
რა ძვირფასია წუთი ყოველი
როცა სიმართლე ადიადდება.
პირისპირ მიდგას დრო და წარსული
და ვეჭიდები სანატრელ ყოფას,
მომავლის ხაზზე მხვდება გასული
აღარ აპირებს სიკვდილი მოსვლას.
გადაეკეტა მოთმენას აზრი
უკიდეგანო სივრცეებს გასცდა,
რაღაც რეალურს თუ კიდევ ავცდით
დასამარდება ნამდვილი განცდა.
და უსახურნო ამა სოფლისა
მოდით ერთმანეთს ჩავჭიდოთ ხელი,
ვილოცოთ ჩვენი ერთად ყოფნისა
ამა სოფლისგან სხვას არას ველი.

დრო ბრუნავს

თეთრი პეგასი მოაგელვებს მითიურ ღმერთებს,
დრო ბრუნავს,ბრუნავს,
არ შორდება საზღვარს და სივრცეს.
პულსი აფეთქდა,შემოაწვა სისხლი ურჩ კედლებს,
მე მივატოვე, აღარ ვეძებ წარსულში კერპებს.
მე მივატოვე გაღმერთება უღმერთოების,
მხოლოდ საკუთარ წუთ-წამებში გამაქვს დროება,
ჩქარი ფერხული ტალღებისა, ბრუნვა მორევის,
დაცლილ სხეულებს რომ მოუწევთ იქ დაბრუნება.
სული მშვიდია,მიუყვება აღმა ნაპირებს,
სულ ცოტა დარჩა,სულ ცოტა და დაიწყებს ციალს.
იქნებ იცოდეთ, ვინ რატომ და რისთვის აპირებთ,
წუთისოფელში წუთ-წამივით დღედაღამ ტრიალს.

დღემდე მჯერა

დღემდე მჯერა ცრემლის,
რა ვქნა?
მჯერა ღიმილისა,
არ ვთქვა?
დღემდე მჯერა შენი
ართქმა,
არ თქვა იმედები გაქრა.
დღემდე მჯერა ბევრის,
რა ვქნა?
სიყვარული მშველის,
არ ვთქვა?
სადღაც წისქვილის ქვამ დაფქვა,
ზოგმა საიდუმლო გათქვა.
მიჭირს სინამდვილის აღქმა,
მიჭირს სინამდვილის აღქმა.
სიყვარული მშველის,რა ვქნა?!

ტყეწანწალა ფიქრი

ოხშივარი ავარდნილა ტევრზე,
ფეხისგული ეძებს ლორთქო ბალახს.
გვირილები შემოვიწან თმებზე
და ვუღიმი ახალი დღის ნახვას.
ამიცეკვდა ტყეწანწალა ფიქრი,
დარდი გაჰყვა ეკალსა და ღვიას.
დრო წამივით უსასრულოდ მიჰქრის
და სიბნელე ციმციმებით მიაქვს.
გამითენდი უჩვეულო დილავ
გამიყუჩდი ტყეწანწალა ფიქრო,
ახლა ახალ ზმანებასთან მივალ,
ძველი უცებ დამეხსნება,ვფიქრობ.
ოხშივარი ავარდნილა ტევრზე,
ფეხისგული ეძებს ლორთქო ბალახს.
გვირილები შემოვიწან თმებზე
და ვუღიმი ახალი დღის ნახვას.

რა მაისია

რა მაისია ის მაისი თუ არ მაისობს
ვარდის სურნელით არემარე თუ არ გაივსო,
თუ არ ამღერდა სიყვარულით შოპენის ვალსი
თუ ვერ გავიგეთ სიყვარულის ნამდვილი არსი.
რა მაისია ის მაისი თუ არ მაისობს
კვირტების ხეთქვას თუ არ მოყვა ცვენა კოკრების,
გული გაივსო სიყვარულით, გული გაივსო
უკვე დრო დადგა ერთად დგომის, ძალის მოკრების.
გავაქროთ ის დრო, როცა ქართველს ქართველი სძულდა
გავაქროთ ფიქრი, როცა შურით ერთმანეთს ვჭამდით.
ოცდაათ ვერცხლში არ ავიღოთ არასდროს ხურდა
არ ჩავიმუხლოთ ბოღმისაგან ავსილი დარდით.
რა ბედენაა მხოლოდ სიტყვა გვერქვას ქართველი
გული კი წრფელი სიყვარულით არ იყოს სავსე,
ჩემო ქვეყანავ, რამდენი რამ მრჩება სათქმელი
შენი სახელიც მისხალ-მისხალ დღითიდღე მავსებს.
რა მაისია ის მაისი თუ არ მაისობს
ვარდის სურნელით არემარე თუ არ გაივსო,
თუ არ ამღერდა სიყვარულით შოპენის ვალსი
თუ ვერ გავიგეთ სიყვარულის ნამდვილი არსი.

სიყვარულისთვის იწერება ჩემი ლექსები

მოფერებაში გადგმული მაქვს ჩემი ფესვები,
სიყვარულისთვის იწერება ჩემი ლექსები.
ვხატავ და ფუნჯი ნარინჯისფერ სინათლეს ეძებს,
მე კი დავეძებ უსასრულოდ თვალწარმტაც ედემს.
მოფერებაში გადგმული მაქვს ჩემი ფესვები,
მეც პლატონივით მიუწვდომელ გულებს ვეხები.
ვიკმაყოფილებ,ჩემი ჭკუით,უნახავ ეგოს,
ვცდილობ უფლისგან პატიება ცოტა მეც მერგოს.
მოფერებაში გადგმული მაქვს ჩემი ფესვები,
მიყვარს სითეთრე და სიწმინდის მკაცრი წესები.
გამოგონილი სიყვარულით მიყურებს მტერი.
დღეს გულწრფელობას ეფარება ჯანღი და მტვერი.
მოფერებაში გადგმული მაქვს ჩემი ფესვები,
სიყვარულისთვის იწერება ჩემი ლექსები.

ვიწამე!

ვიწამე!
მეგობრობისა,მაგრამ ამაოდ.
ვიწამე!
სიყვარულისა და დღესაც ვდაობ.
ვიწამე!
სიმშვიდისა და ვგიჟდები.
ვიწამე!
იმედების და დამემსხვრა.
ვიწამე!
სიკეთისა და ვერ ვხედავ.
ვიწამე!
ერთგულების და არ იციან.
ვიწამე!
თავისუფლების და სადაა?
ვიწამე!
სითბოსი და გავიყინე.
ვიწამე!
უანგარობის და გამომიყენეს.
ვიწამე!
და რაც უფრო ვიწამე,
ვ ე წ ა მ ე!!!!!!

სატრფიალო

ჩამაიარა ალალმა,
ერთმანეთს შავხვდით გულისად.
ერთად შაგვყარა სწორფერნი,
მოფარებულში, ჩუმისად.
მე ვერ გავუძელ,ვერც შენა,
ტანში ცეცხლების ბრიალსა.
აქამდე რად არ ავყევით,
წუთისოფელსა ტიალსა.
თურმე როგორა გყვარებავ,
რად არ ვიცოდი აქამდის.
შენ შემხედვარე ვაჟაუ,
სახეს ფერ-ფური გადამდის.
მაგრად ჩამიკარ გულში და
ხელი არასდროს გამიშვა.
ეს ჩემი გული,ტიალი,
იქნებ შენს გულში ჩაისვა.

უსიყვარულოდ ეს ცხოვრება არაფერია

ფრაზებად მოსულ სინამდვილეს ეხდება ფარდა,
ვერავინ იგებს ფლიდისა და ორპირის გარდა.
რადგან სიტყვებით უწესრიგოდ აზრებს ლამბავენ,
ამით კი ხალხის გულს და ნდობას უფრო კარგავენ.
ფრაზებად მოსულ სინამდვილეს ეხდება ფარდა,
არავინ უსმენს მზაკვარის და სულელის გარდა.
დღეს გარყვნილების პროპაგანდა უფრო მეტია,
დღეს სიბინძურეს აფეტიშებს ირგვლივ მედია.
ფრაზებად მოსულ სინამდვილეს ეხდება ფარდა,
ყველაფრის სჯერათ ღმერთისა და
სიწმინდის გარდა.
სიცოცხლე განა ხანგრძლივია? წუთია წუთი!
და ნუ გაავსეთ შურისა და სიბილწის ყუთი.
ფრაზებად მოსულ სინამდვილეს ეხდება ფარდა,
მარტოობაში იქარგება ცხოვრების ქარგა.
გალაღდით ხალხო,დაუბრმავეთ
ირგვლივ მტერს თვალი,
გადაუხადეთ უფლის სიტყვას კუთვნილი ვალი.
საქართველოში ერთად ყოფნა ისე ძნელია,
რომ ვერ მიხვდები,ვინ მოკეთე,ვინ კი მტერია.
ჩამოიხსენით ცრუ ნიღაბი იყავით ნაღდი,
არ ხარ ასეთი? ეცადე და ასეთი გახდი!
გული აანთეთ სიყვარულის ფერადი სხივით,
უფლის გაკვალულ ბილიკებზე ნელ-ნელა მიდით
და ნუ გექნებათ წარმოდგენა საკუთარ თავზე,
მოძმეს გულწრფელად გადახვიეთ ხელები მხარზე.
უსიყვარულოდ ეს ცხოვრება არაფერია,
რომ ვეღარ არჩევ,ვინ მოკეთე,ვინ კი მტერია.
გაიაპრილეთ ბოღმისაგან ავსილი გული,
განა ასეთი ძნელი არის ეს სიყვარული?!

ეპოქა მოკვდა

ეპოქა მოკვდა, ჟამია მკვლელი
ჟამი, რომელიც ვერ შევაჩერეთ,
სიზიფეს ლოდით განაჩენს ველით
უკან მოწოლილს რომ ვერ ვაჩერებთ.
ეპოქა მოკვდა, ჟამია მკვლელი
ღმერთების მიმართ ღალატის მსგავსად,
უკვე დავკარგეთ ჩვენში ქვის მთლელი
ჭირისუფალიც და ღმერთიც ხატად.
ეპოქა მოკვდა, ჟამია მკვლელი
სიცოცხლის ძლიერ წყურვილად დარჩა,
სიკვდილისადმი სიძულვილს ველით
ჩამოეფარა სიმშვიდეს ფარჩა.
ეპოქა მოკვდა, ჟამია მკვლელი
მწვერვალზე ლოდით
ამსვლელნი ჭარბობს,
ფუჭი შრომისგან ფუჭდება ერი,
მაგრამ არავინ არაფერს ამბობს.
ეპოქა მოკვდა, ჟამია მკვლელი
ყველას ცოდვები ჩვენ გვაწევს დარდად,
დრო შევაჩეროთ, ჩავკიდოთ ხელი,
სანამ სიცოცხლე დაეშვა ფარდად.
ეპოქა მოკვდა, ჟამია მკვლელი
ცისფერი ფერი სულში ფათურობს
და ცისარტყელას ფერები ჩვენი
აღარ ანათებს სასიხარულოდ.
ეპოქა მოკვდა, ჟამია მკვლელი
რადგან სიყვარულს
აღარ ვცნობთ ჩვენად,
მივყვებით მწვერვალს ფუჭად და თმენით
ვეცადოთ, ჭირი ვაქციოთ ლხენად.
ეპოქა მოკვდა, ჟამია მკვლელი.

მზერა მდუმარების

ფანჯრიდან მომყვება მზერა მდუმარების,
ბოროტ ფიქციას გავურბი განზე,
აზრი ოცნებებში დგება მწუხარების
და უკვე ვბრაზდები საკუთარ თავზე.
დროა უცნობი, ამოუცნობი,
სულს ვერ ამშვიდებს ზეწოლა აზრზე,
ახლობელი ხარ ვიღაც უცნობის,
მაგრამ ნაცნობი გაგირბის განზე.
დროა უცნობი, ამოუცნობი,
დროა სივრცეში გაკრული ჯვარზე,
მე დამიტოვეთ ჟამი ნაცნობი,
იქნებ ვიმარჯვო საკუთარ თავზე.
დროა უცნობი, დარეკეთ ზარი,
აზრიც შეშლილა ამ თეთრ ღამეში,
უკვე გავავლე ცისაკენ კვალი,
უკვე დავიწყე ფიქრთან თარეში.
დროა უცნობი, ამოუცნობი,
სულს ვერ ამშვიდებს ზეწოლა აზრზე,
ახლობელი ხარ ვიღაც უცნობის,
მაგრამ ნაცნობი გაგირბის განზე

ღმერთთან

ხელებში შემრჩა დამსხვრეული ილუზიები,
ზეშთაგონებით მოვილტვოდი უფალო შენთან.
მიუღწეველი რომ მეგონა ჩემი მიზნები,
მაშინ დავიწყე გადარჩევა სიცოცხლის ფერთა.
გაწამებულა ჯვარზე ცმული მისტერიები,
სული სამანთან ახლოსაა, როგორაც კლდესთან.
გაავებულა ძალმოსილი იმპერიები,
ვხედავ კვლავ მიჭირს მიახლება იგივე ბჭესთან.
დამსხვრეულია ოცნებებით სავსე იზმები,
დარეკეთ ზარი რომ სიმართლე ავიდეს მზესთან.
აღარ მაწუხებს ამ საწუთროს ისტერიები
აღარ მეძებოთ,მე წავედი,წავედი ღმერთთან.

მწვანე ტბა

ციდან იკრიფება ლაღი ვარსკვლავები.
წყლისგან მოქსოვილი ბადე დაჰფენია.
თხელი სამოსელის აკრავს მაქმანები,
მწვანე ტბის სიმშვიდე ტყის პირს აფენია.
მისი სილამაზე აკრთობს ცას და მიწას,
ათრთოლებულ ხეებს ნისლი განფენია.
გიჟმაჟ ჩანჩქერებში დამზრალ დედამიწას,
გულიც ნისლისფერად ზედვე აფენია.
აჭარის სინამდვილეს უძლებს აჭარელი.
მას ხომ დღის ცისკარი ბავშვად ებადება.
ასეთ სამოთხეში მარტოდ დარჩენილი,
სიტყვა საქართველო გულზე ექარგება.
მინდვრად გაშლილია ჭრელი ყვავილები,
ბუნების ბილიკებს ხავსი გასჩენია.
ნაღდი სილამაზე, სულის აპრილები,
თითო ყვავილში და თითო ჩანჩქერშია.
ციდან იკრიფება ლაღი ვარსკვლავები
წყლისგან მოქსოვილი ბადე დაჰფენია.
თხელი სამოსელის აკრავს მაქმანები,
მწვანე ტბის სიმშვიდე ტყის პირს აფენია.

უფალს მინდობილმა

უფალს მინდობილმა გრდემლი მოვისროლე,
რაზეც ჩემს ცხოვრებას ვჭედავდი.
უფლის ბოძებულის შეცვლა მოვინდომე,
ხშირად ამასაც კი ვბედავდი.
უფალს მინდობილმა ცრემლიც მოვიშორე,
გულსაც მოვაშორე დარდები.
ხვალე რა იქნება, აღარ მოვიგონე,
აღარც მოვინდომე ვარდები.
დილის გათენებას მშვიდად ველოდები,
უფალს მადლს შევწირავ ამისთვის.
ალბათ გამოვჭედე კარის გასაღები,
მხოლოდ საკუთარი თავისთვის.

ასე ვარ

პალმის მარაოდან მოჩანდა ცის სილურჯე,
სადაც პაწაწინა სამოთხე ელვარებდა.
იმდენ ხანს ვუყურე,თითქმის გავირუჯე,
სადღაც კი ლურჯი ზღვა თავისთვის მღელვარებდა.
სულს პაწაწინა ნამცეცი მოვაგლიჯე,
ვიფიქრე ვამსუბუქებ ამით სინამდვილეს.
თითქოს სამოთხეში ნელა შევაბიჯე,
მაგრამ სულის შფოთვა მაინც მინაპირებს.
თეთრი ღრუბლის ქულა მზის სხივს აედევნა
და ცას ჩამოგლიჯა ლურჯი მძიმე ფარდა,
შორეთს გავექანე,ფიქრიც დამედევნა
ირვლივ მოვიხედე ღმერთი არსად ჩანდა.
პატარა სამოთხეც სადღაც გამქრალიყო,
უცებ შევეჯახე ჩემს წინ სინამდვილეს.
თითქოს ჩემს ზურგს უკან ორი თვალი იყო,
ჩემი სახელი კი სადღაც მიაყვირეს.
პალმის მარაოდან მოჩანდა ცის სილურჯე,
სადაც პაწაწინა სამოთხე ელვარებდა.
იმდენ ხანს ვუყურე,თითქმის გავირუჯე,
სადღაც კი ლურჯი ზღვა თავისთვის მღელვარებდა

დროა პედანტი

სისხლიან დრო-ჟამს ჩამოეხსნას უნდა ნიღაბი,
შეძრწუნდეს სული, ინანიოს ლამის ზეცამდის.
ცოდვების გალას განუწყვეტლივ ღმერთთან მივყავდით
ზეცას ასული ხატებისგან მიწიდან ცამდის.
დრო აწრთობს ბორკილს, დრო სიმართლის და ადებს ხუნდად,
ჟამგადასული მოჩვენებით ანგრევს გისოსებს.
სული, ო, სული მარტოსული ღმერთსაც სთხოვს ხურდას,
გულისამრევი რეალობით სხვას არ იცოდებს.
ყრმობის პარნასზე ვერ ვაცოცხლებ სიცოცხლის საწყისს,
ვხვდები თუ როგორ მომყვებიან ბნელი ნისლები.
და მე ვშორდები ჭეშმარიტი ცხოვრების საზრისს
და ვგრძნობ სიმძიმეს ნაგვისაგან როგორ ვისვრები.
დროა პედანტი, ვერ იფერებს ჭეშმარიტ საწყისს.

დრო ყველაფრის მკურნალია

ამბობენ, რომ დრო ყველაფრის მკურნალია.
მე კი ამ დროს არასოდეს ველოდები.
პირჯვარს ვიწერ დაჩოქილი, მუხლმოყრილი.
უფალს შევთხოვ მოაცილოს სულს ბორკილი.
დრო ყველაფრის მკურნალია?-ტყუილია!
გუნდრუკს ვუკმევთ ტრიბუნებზე ტრიუმფატორთ
და ჩვენივე აშენებულ არენაზე,
თავებს ვაჭრით უვაჟკაცეს გლადიატორთ.
ჩვენ ხომ ისევ ამაღლებულ პარნასებზე,
ხოტბას ვასხამთ არარსებულ რეალობას.
ჩვენ ხომ ქვეყნის ბედ-იღბალი გვაბარია
და გავკივით ერთობას და მთლიანობას.
სულო ჩემო,გაეცალე ფიქრის ნიღაბს.
გაიყოლე ტკივილი და რთული ჟამი.
დრო ყველაფრის მკურნალია-ტყუილია,
ვერასოდეს გავარჩიე ცრუ-მართალი.
ჩემს გარშემო ციმციმებენ კენტავრები.
იმართება ცრუ ნიღბების კარნავალი.
დრო ყველაფრის მკურნალია?-არ არსებობს.
სიმართლეს ხომ აღარა აქვს გასავალი.
დაუძახეთ გადაჩეხილ ფიქრს კივილით.
დააწიეთ ექო სულის ლაბირინთებს.
დრო ყველაფრის მკურნალია-აღარ მითხრათ.
სულის ტკივილს ვერაფერი დამავიწყებს.

ომარ ხაიამ

მე უშენოდაც სულ მთვრალი ვარ,ომარ ხაიამ.
მე უშენოდაც ღვინის ფერი დამედო ღაწვზე.
ჩამქრალ სინათლეს მე ავანთებ,ომარ ხაიამ
და შენს მაგივრად მე ავიღებ საკუთარ თავზე.
სიბნელეს ჩემით გავექცევი, გავყვები ქარებს.
გაგეცინება და ეს შვენით საკუთრივ ქალებს.
ომარ ხაიამ,ნუ დამიშლი გამოვთვრე ღვინით,
ეგებ გავიღო მოწყალება ვინმესთვის დილით.
მე უშენოდაც სულ მთვრალი ვარ, ომარ ხაიამ
და ყველაფერი მე ავიღე საკუთარ თავზე.

სულის ბიბლია

ზეცის თაღიდან ლოცვა გაისმის.
სიცოცხლე ახლა სულ სხვა ხიბლია.
მინდა, რომ იყო ჩემი მაისი
და იყო ჩემი სულის ბიბლია.
თავნება სიო მეალერსება.
ოქროსფერ დალალს იშლის აისი.
შენს თვალებს ნეტა რა შეედრება
როცა ცეცხლისფერ სხივებს გაისვრის.
მაშინ ვხვდები, რომ შენში მარტია.
აპრილის რიგში ჩამდგარი სიო.
ვარდის ფურცლების გხურავს მანტია.
მინდა ეკლებში გამოგარჩიო.
ზეცის თაღიდან ლოცვა გაისმის.
სიცოცხლე ახლა სულ სხვა ხიბლია.
მინდა, რომ იყო ჩემი მაისი
და იყო ჩემი სულის ბიბლია.

ჩემი სხვა

სწორედ ის სხვა ხარ,რომლის გარეშეც
ფიქრს და ზმანებას შენსას ვერ ვწვდები
და მიფრინავენ თვალსაწიერში,
ჩემი და შენი სულის მერცხლები.
შენ ხარ ჩემი სხვა,სხვა აღმოჩენა,
როგორც იტყოდა ამას ჰეგელი.
თავის სხვა მანაც გამოიგონა
და მეც სხვაგვარად ვეღარ შევძელი.
ფიქრში ვეწამე, ფიქრში ვიწამე
და დაიბადა პოეტის ლექსი.
მე კიდევ ვუდგამ ძეგლს ამ სასწაულს
და სასწაულად მზე სხივებს მესვრის.
და დადგა წუთი დუმილის, ხილვის,
განგაშისა და შენამდე წვდომის.
ლტოლვამ დაიწყო ფიქრში ირაო
და ეშაფოტზე ავიდა თრობის.
მე ვიოცნებე და აჰა, ლექსიც.
კვლავ ჩემს გულს ვატან ალალ სტრიქონებს.
შენ ჩემი სხვა ხარ, გაიგე?გესმის?
ეს იმედი ხომ მე მოვიგონე.
შენ ხარ ჩემი სხვა, სხვა აღმოჩენა,
როგორც იტყოდა ამას ჰეგელი.
თავის სხვა მანაც გამოიგონა
და მეც სხვაგვარად ვეღარ შევძელი.

იქნებ წამიყვანო მთაში

თეთრი ტყემლებისფერ კაბას შევიკერავ.
გვირილებს ჩავიწნავ თმაში.
ცელქ და მიუწვდომელ სიოდ დაგიბერავ,
რაშით ჩაგიქროლებ ქარში.
ყაყაჩოს დავკრიფავ სიყვარულისფერად,
ბალახს გაგითიბავ მთაში.
გვირილჩაწნულ დალალს გავშლი
ხელისხელად,
მინდვრად სარეცელსაც გავშლი.
სიყვარულს მოვპარავ იქვე ნაკადულებს,
ბაგეს დაგისველებ წამში.
ყვავილთა ფოთლები ცვარ-ნამს
დაგაპკურებს,
მეც გულს ჩაგეკვრები მაშინ.
ჩემო ერთადერთო, იქნებ გამიტაცო,
იქნებ წამიყვანო მთაში.
იქნებ ოცნებებში ხელში ამიტაცო
ისე გამაქროლო ქარში.
თეთრი ტყემლებისფერ კაბას შევიკერავ,
გვირილებს ჩავიწნავ თმაში.
ცელქ და მიუწვდომელ სიოდ დაგიბერავ,
რაშით ჩაგიქროლებ ქარში.

მახვში

თემის მთავარი სვანეთს დამჯდარა.
მახვშის სკამზეა მთავარი მახვში.
მსაჯულ-მორვებიც გვერდით მოუსხამს,
ქვეყანა მათი დღეს არის თალხში.
ამ ვაჟკაცებმაც ვეღარ გაიგეს,
რა ჭირს სამშობლოს, რას ჩადის ხალხი.
რატომ ტრიალებს უმისამართოდ,
წუთისოფელი და ბედის ჩარხი.
დაფიქრდა მახვში და ხალხს მიმართა,
ნუ გეშინიათ ქართველნო წარღვნის.
"ოქროს საწმისის"მქონე ქართველებს,
ისტორიიდან ვერავინ წაგვშლის.
ჩვენ ადათ-წესზე გვიდგას სამშობლო.
ყველა კუნჭულში ცეცხლი ბრიალებს.
"ლამპრობის"მადლით ბევრი ვაჟკაცი,
გადავთვალეთ და გავამთლიანეთ.
ახლა ელიას ვუხმობთ საშველად.
გამოგვიგზავნოს წვიმა, ავდარი.
იქნებ ჩარეცხოს ჩვენდა სალხენად,
ამდენი ჭირი,დარდი,ვარამი.
და თუ სამშობლოს ისევ დაჭირდა,
სისხლის აღება ჩვენი ვალია.
ვინც საქართველოს ზურგი აქცია,
ის უსინდისო და მტარვალია.
ასე გრგვინავდა სვანეთში მახვში.
მას მხარს უბამდნენ მსაჯულ-მორვები.
სვანეთში ისევ ქუხდა "ლილეო".
ბანს დასძახოდა ირგვლივ ყოველი.

დაბადება იწყება

ქაოსიდან ქაოსში.
ფიქრებიდან ფიქრებში.
ახალ სინამდვილეში.
დაბადება იწყება.
ლოდინიდან ლოდინში.
ხილვებიდან ხილვებში.
მთვარე ამონათდება,
უსასრულო მითებში.
ეს სამყარო თავისი
საწყისით და არსებით,
უცებ გადასხვაფერდა
და ჩვენც გადავსხვაფერდით.
მოდის სხვაგვარ ფერებით.
მოდის სხვაგვარ ზმანებით.
ეს ხომ ბედისწერაა,
დიდი ლურჯი თვალებით.
ულმობელი ღამიდან.
ზეცის ნათელს ვუღიმი.
უფალ ღმერთის მიგნებით,
გაუმხელელ ფიქრებით.
გაუმხელელ ნატვრებით,
გამოვივლი ჰორიზონტს.
როგორ მინდა ამქვეყნად,
ყველა კარგად რომ იყოს.
ქაოსიდან ქაოსში.
ფიქრებიდან ფიქრებში.
ახალ სინამდვილეში.
დაბადება იწყება.

მე მიყვარხარ,შენ?

მე მიყვარხარ შენ?
რავი,ალბათ მეც.
მე მახსოვხარ,შენ?
მეც მახსოვხარ, მეც.
მხოლოდ ერთი კი,
რა გაგიხდა შენც.
მითხარი და ჰა,
გადავივლით მთებს.
მინდა გითხრა რაც,
არც კი უთქვამთ სხვებს.
სიყვარულის ზღვავ,
შენ მანახე მზეც.
მე მიყვარხარ,შენ?
რავი, ალბათ მეც.
მე მახსოვხარ, შენ?
მეც მახსოვხარ, მეც.
შენსკენ სავალ გზას,
გამოვყვები დღეს.
წამიყვანე და
გამოგყვები მეც.

მერე რა?

არის ღვთაება შენზე ძლიერი
სიყვარულის ღმერთს უნდა გაგება.
რატომ ვერ იგებ ადამიანო,
რომ სიყვარული არის განგება.
მერე რა?– თუკი ისე ვერ ვწერე,
როგორც ზოგიერთს ესმის ლექსები.
მერე რა?-თუკი ჩემი ფერებით
სხვების პალიტრას არ ვესესხები.
მერე რა?-თუკი შენ მე მჯობიხარ,
ამ უსასრულო გალაქტიკაში.
მე, როგორც მოკვდავს, ღმერთი მგონიხარ,
ერთი მარცვალი ოქროს ქვიშაში.
მერე რა?-თუკი ჩემმა სიმღერამ
შენს გარდა ყველას გული გაუთბო,
იქნებ გიყვარდეს ადამიანი,
იქნებ ღმერთს შენი გული დაუთმო.
მერე რა?-თუკი შენ მე მჯობიხარ,
ამ უსასრულო გალაქტიკაში.
მე, როგორც მოკვდავს, ღმერთი მგონიხარ,
ერთი მარცვალი ოქროს ქვიშაში.

ტრიოლეტი

მე მინდა მშვიდი ცისფერიდან ვიქცე მზისფერად.
სარეცელს ვიწვე და ვუსმენდე ჩუმ რაფსოდიებს.
მელანქოლიურ სითეთრეში სიმართლე ითქვა.
მე მინდა მშვიდი ცისფერიდან ვიქცე მზისფერად.
რა მინდა იცი? ისევ ვგრძნობდე, ისევ იგივეს.
ისევ მათოვდეს სიყვარული თბილ, თეთრ ფიფქებად.
მე მინდა მშვიდი ცისფერიდან ვიქცე მზისფერად.
სხვაგვარად მოაქვს ჩემთვის სითბო თეთრ მაგნოლიებს.
ერთი სიტყვაა, ერთი ბწკარი და აქ ხარ, ჩემთან.
მე ვუსმენ ისევ ზღვის ტალღებად მოსულ სიგიჟეს.
მონატრების და გახელების ფერად ბუშტს ვხეთქავ.
ერთი სიტყვაა, ერთი ბწკარი და აქ ხარ, ჩემთან.
მაისის წვიმა ჩამოუვლის თქეშად ალუბლებს.
კვლავ გამოყვება, ის სიწითლე იქცევა თეთრად.
ერთი სიტყვაა, ერთი ბწკარი და აქ ხარ, ჩემთან.
ისევ შენ მოხვალ, ისევ იქ და ისევ იგივე.

ბელა ალანია – სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
დაბადების ადგილი – ქ. თბილისი

სიყვარული დავაბინავეთ

გაცნობის დღიდან ვაშენეთ სახლი,
სულის ფაქიზი ფთილები ვზიდეთ,
ვმარგლავდით ყანას და ვენახს ვსხლავდით,
მზისფერი ედოთ ჭალებში ზვინებს...
ჩვენ უფლის თვალი დაგვმზერდა მაღლით,
ელავდა ჩვენი სამყაროს კიდე.

ვცხოვრობდით სხვისთვის უხილავ დროში,
ჩვენთვის რომ მუდამ ხილული იყო,
მაშინაც, როცა გვსუსხავდა თოში,
მისხლით ნაზომი გვკმაროდა სითბო
და ზოგჯერ, როცა ვიყავით შორით,
ერთსულ და ერთხორც ვიყავით თითქოს.

შემოვაქსოვე ჯავშანი ლოცვის
ავი თვალისგან დასაცავ ფუძეს,
ვიყავი შენი მზისფერი ცოლი,
მედექი კედლად და ურყევ ზღუდე.
ჩვენ უფლის თვალი დაგვმზერდა მაღლით,
იცავდა ჩვენს ჭერს და ციცქნა ბუდეს.

ჩვენს სამკალს ვმკიდით, ჩვენს სახნავს ვხნავდით,
არც არვის ჯიბრით, არც ვის ჯინაზე,
გაფანტა ქარმა კვამლი და ბოლი,
განვლილი გზები ბინდშიც ბრწყინავენ...
ჩვენ ავაშენეთ ოცნების სახლი,
შიგ სიყვარული დავაბინავეთ!

რაღას ვერჩი

ამ შემოდგომას რაღას ვერჩი
თუკი ავად ვარ,
არ მეგულება სიმყუდროვის
ერთი ოთახიც,
რომ შევაფარო ასერიგად
დაღლილი სული,
გუშინ ძილშიაც ვბორგავდი და
მფრთხალ ლანდს მოვგავდი.
მერე გათენდა და გაქცევა
გადავიფიქრე,
ისევ თავიდან ჩამოვუშვი
სიმშვიდის ფარდა,
ვალაგე ასე არეული
ორშაბათები,
ვერავინ რომ ვერ დაალაგებს
ჩემ და შენ გარდა...

*
ამ შემოდგომას რაღას ვერჩი?!

ქარი მოვიდა

ქარი მოვიდა,
მოლოდინი ისევ გამართლდა,
შემომეხვია
ვნებიანი ფოთოლთ შრიალით,
ნისლისფერ თმებზე
მომიტანა ერთი სიმღერა,
ფანჯრის მინებზე
კაკუნით და ორომტრიალით.
არავინ იცის,
სად ცხოვრობს და საიდან მოჰქრის,
რა მოხდებოდა,
ქროლვა-ქროლვით თან წავეყვანე?
ეთქვა –უშენოდ
ეს სილაღე არაფერია,
ასე უღმერთოდ
საიდან სად გადამეყარე?!
ჭკუა რომ ჰქონდეს,
აბა, როგორ მიმატოვებდა?!

არ დამირჩენდა
გულში ეჭვის ნასახს მცირედსაც,
ამიყვანდა და
თავის მკლავზე დამაძინებდა,
არ აქვს სასრული
სულის სივრცეს და ცის კიდესაც...
დასალიერში
გავყვებოდი დაუფიქრებლად
და ამქვეყნიურ
ტკივილებსაც ამაცილებდა.

*
ქარი მოვიდა,
მომიტანა ერთი სიმღერა...

ვიდრე ქარიშხალი ჩადგება

დამმალე თბილ გულში სათუთად,
სიყვარულს გიტოვებ თავდებად,
თვალებში ჩამდგარი ჩრდილები
ქრება, ინავლება, თავდება.
ფრთიანი ოცნების გზამკვლევად,
თან ჩემი ვარსკვლავი დამყვება.
ჰორიზონტს ერწყმიან ველები,
იქ ლურჯი მთებიც კი მაღლდება.
მზის ცეცხლი დამინთე ცისკარზე,
ვიდრე ვარსკვლავები ჩაქრება,
მილიონ ენაზე მახარე –
მიყვარხარ ასეთი თავნებაც!
მოგყვები ბარზახის მიჯნამდე,
სიცოცხლე სადაც არ თავდება...
დამმალე, თბილ გულში დამმალე,
ვიდრე ქარიშხალი ჩადგება...

სანამ გელოდები, მოდი, შემიყვარე!

სანამ გელოდები, მოდი, შემიყვარე,
რატომ დამეკარგე წლებში?!
ყველა ცისარტყელა რკალად დამაბნიე,
სხივად ჩამიმაგრე თმებში.
მინდვრის ყვავილების ფარჩა დამიფინე,
ისევ წამიყოლე მთებში.
სანამ გელოდები, მოდი, მომეფერე,
კვლავაც მომიქციე პეშვში.
როგორც ანკარა წყალს, ისე დამეწაფე,
გრძნობად ჩავიღვრები შენში,
შენი მოტრფიალე ველად გავიჭრები,
რაა ქარი, თოვა, თქეში?!
მოდი!

უბრალოდ გიყვარდეს

გვერდით ხარ, ცრემლი ხარ რიჟრაჟზე, თუმცა კი
სიშორეს თრიმლივით თავისი ხიბლი აქვს,
რამდენი წელია უკვე გაფრენილი,
შენთვის კი ისევ ის ჩიტი ვარ, ნიბლია...
ცხოვრებას გზადაგზა სიყვარულს ვპარავდით,
ვერავინ წაგვართმევს ერთმანეთს მე და შენ,
ძვირფასო, მომინდა მოვიდე ამ ღამით,
თვალზე სიხარულის ცრემლებად შეგაშრე!

ეგ შენი აჩრდილი, ჩემში რომ სახლობდა,
ყვაოდა, ღვიოდა –მაისში მარტოხედ,
ღმერთმანი, მიმაჩნდი ყველაზე ახლობლად,
ვიცი, რომ ეს გრძნობა არასდროს დამტოვებს.
დრო მიდის, დრო ფეთქავს სისხლივით სხეულში,
ნეტავ მას, ვინც ხედავს სიკვდილშიც სინათლეს,
როგორი რთულია დღეს იყო ეული,
როგორი მარტივი –უბრალოდ გიყვარდეს!

თენების ცა

დილა ჩემს თავს ისევ გამოსტაცებს ღამეს,
სულ არ ფიქრობს, რა მსურს და არც მკითხავს რამეს.
წამში წამებს წაშლის, წუთებს კვალში დასდევს,
ეპარება მზეს და ცის მანანას ასმევს.
შევაგებებ ცისკარს ძილუკარებ თვალებს,
თენების ცა ისევ სიყვარულში მამხელს.
მეფერება, მკერდზე ნაცნობ ღიმილს მაფრქვევს,
მოღუღუნე გვრიტებს სულში ჩამისახლებს.
როგორც ნამი ყვავილს, დააკვდება ტუჩებს,
ოცნებებში გამხვევს, ტკივილს გამიყუჩებს.
ამილეწავს სახეს, შემიფაკლავს ღაწვებს,
სულ ცოტა რამ მყოფნის და იმედით მავსებს.
ო, რამდენი დილა გადარეკავს ავდრებს,
გაუძლებთო ერთად წყენასა და დარდებს.
სიხარული ციცქნა არ მანებებს სათქმელს
და სხივჩამდგარ ცრემლებს კვლავ შენს სახელს არქმევს.

ბაქანზე მგზავრი

ყველა გზა, თუმცა სადღაც მიდის,
მაინც მთავრდება,
ბაქანზე მგზავრი წლებს ვაცილებ,
როგორც ვაგონებს.
თუ დასასრული რაღაც ახლის
დასაწყისია
და ძველ ტკივილებს, როგორც სიზმრად
ნანახს გვაგონებს...
ეული მთვარე არ დაიშლის,
ჩახტება მტკვარში,
გადაიფიქრებს მერამდენედ
თუმც თვითმკვლელობას,
სულაც არ მინდა, დამეუფლოს
უიმედობა,
არც უგზო-უკვლოდ ხეტიალი
მექცეს ხელობად.
მარადი რაა ქვეყანაზე?
ესეც გაივლის!
მოვა მარტი და დედამიწას
გულში ჩავიტევ!
ქარი დაარწევს აბრეშუმის
ლილისფერ ფარდებს
და მზეს ოთახში დაავანებს
დღეიდან ისევ,
ტყიდან მონაბერ ყვავილების
სურნელს მოიტანს,
კვლავ შემაგებებს ენძელებს და
ედელვაისებს.

*

მარადი რაა ქვეყანაზე?!
თუმცა მე შევძლებ,
ჩემი ფიქრების ნაზი ფრთებით
ცაში ავიდე!

გიყვარს და მორჩა,

გიყვარს და მორჩა,
უსახურიც, ზოგჯერ ბოგანოც,
რისთვის და რატომ?
ზედმეტია, ვგონებ კითხვები...
გიყვარს და მორჩა,
არც კი გახსოვს, ეს როგორ მოხდა
და არც ის იცი,
ვისგან როგორ განიკითხები.

როგორ ხდება, რომ
მილიარდში იმ ერთ ცალს ირჩევ,
იმ შენს ნახევარს,
იმ შენს ნაწილს პოულობ როცა,
ხვდები, რომ მხოლოდ
უფალია ასე მოწყალე
და რომ უბრალოდ
და მარტივად გიყვარს და მორჩა!

თითქოს სიტყვები
აცაბაცა ისე გარბიან,
გიჭირს, რომ შენად
დაიგულო და გყავდეს მუდამ.
წლებით ნაგროვებ
საკუთარ თავს ისევ აჯერებ,
რომ მხოლოდ მისი
არსებობა გყოფნიდეს უნდა.

გათენება და
მზის ამოსვლა რომ დავინახო,
მე მინდა ჩემად
დაგიგულო და მყავდე მუდამ,
როგორ ძნელია
ყველაფერი, როგორ რთულია,
რადგანაც შენი
არსებობა მყოფნიდეს უნდა.

სულ ამაოა
სილამაზეც, ალბათ, დიდებაც,
ლტოლვა, ცილობა,
ყველაფერი როგორ რთულია,
შენ მხოლოდ მისი
უპირობო გრძნობები გსურდა.
გიყვარს და მორჩა!
მბრძანებელი მხოლოდ გულია.

საით მიდიან
ოცნებებში ნაპოვნი გზები,
არასდროს იცი,
სად მკრთალდება გრძნობის საზღვარი
და ღობის იქით
ისევ იწყებ ბავშვურ სიანცეს
და გადარჩენის
იცვამ იმედს, იმედგამქრალი.

თუ მწვერვალების
გადალახვას არ შეეშვები,
მფეთქავ ძარღვებში
გაზაფხულიც გაშლის იალქნებს
და სიყვარულით
და სიგიჟით შემკრთალ ღამეებს,
ალმოდებული
ქარიშხლები სადღაც მიაფრენს...
გიყვარს და მორჩა!

უნდა მოვასწროთ სათქმელი დღესვე

არ ვიცი, ხშირად რატომ მგონია,
მოლოდინისთვის არ გვაქვს ბევრი დრო,
რომ გაყინული თითებით ზოგჯერ
მაჯისცემასაც ვეღარ შევიგრძნობ.

უნდა მოვასწროთ სათქმელი დღესვე,
ხვალ, ალბათ, უკვე გვიან იქნება,
ფანჯრის მინაზე წვიმა გადაშლის,
ცარცით რაც წერეს ცივმა თითებმა.

მზე გაახუნებს ხასხასა ფოთლებს,
გულზე ნაკაწრებს დაგვითვლის წლები,
სახელს შევარქმევ ცაში ვარსკვლავებს,
თუ ოცნებებით ვეღარ შევწვდები.

თუ მონატრების სევდა წრიალებს
და ეფარება მზესაც ნისლები,
უნდა მოვასწროთ სათქმელი დღესვე,
რადგან არ ვიცით, ხვალ თუ ვიქნებით.

*

მე ვთქვი, მიყვარხარ!

სულ მენატრები

მზის გულზე თბებიან კვირტები, კოკრები,
სარკმელთან ჩიტები იმედად მენიშნა.
დრო იყო, მტკიოდი, უშენოდ ვერ ვძლებდი;
დრო იყო, შორიდან მათბობდა შენი ხმა.

სუროზე შაშვები ბუდეებს ქარგავდნენ,
გალობდნენ, არჩევდნენ ჭორსა და სიმართლეს,
ვიცოდი, გავძლებდით ხის ტოტზეც ჩვენ ორნი,
ბედს თუ არ დანებდი, ისიც გაგიმართლებს.

მას აქეთ გავიდა მრავალი მაისი
და ჩვენი ბუდიდან დაფრინდნენ ბარტყები...
შენს სუნთქვას ვინახავ, ვიცოცხლებ სანამდე,
წლებით და ცხოვრებით ვიდრე არ გავტყდები.

*

გაქცეულ დღეებს კი ვერ გამოაპარებ,
რომ გულში გინახავ, რომ სულ მენატრები.

ერთი წამია თენებამდე

ხდება ისე, რომ ჯავრაყოლილს დღე მეცრემლება,
არ გაიმქვრევა ღამის ბინდიც, არ მიმატოვებს,
ისე გავქრები, ერთხელ ვერსად ავბრიალდები
და პაწაწინა ნაკვალევსაც ვერსად დავტოვებ?!
აღარ გაცისკრდა. ვდგავარ ბინდში და გულისგულში
ვგრძნობ, როგორ ბორგავს სისხლში ურჩი მეხოტბე ნათლის,
ჩამომიღამდა, ვმარტოსულობ გზაგასაყართან,
ჯიუტად ველი გარიჟრაჟს და ცა ვარსკვლავს მაცრის.
ვდგავარ დღე-ღამის, სიკვდილის და სიცოცხლის ზღვარზე,
ლექსებად ითქმის, რაც მაქვს ცა და მზესთან საერთო,
ერთი წამია თენებამდე, ერთი ნაბიჯი
და ოცნებამდე, იქნებ მოხდეს, ერთხელ ავენთო.

ბედნიერება, ნეტავ, რა არის?

როდესაც მიხმობ, ხშირად ვკითხულობ,
ბედნიერება, ნეტავ, რა არის?
მზით დაფერილი დღის გათენება,
ფანჯრის მინაზე კაკუნი ქარის?
მოსარკულ თოვლზე სხივის ციაგი
ან გვირილებში შვლის ნუკრის კვალი,
გაშლილ მდელოზე ყაყაჩოები,
საკინძეშეხსნილ ყელ-გულზე ხალით?
როდესაც მიხმობ, მე ფეხშიშველი
მოვრბივარ შენთან გულის ფანცქალით.
ქარში, ყინვაში, თოვლში, წვიმაში,
ვეღარ მაშინებს გულღრძო ავდარიც.
და მნიშვნელობა სულაც არა აქვს,
რა დღეა, რა თვე, წელი, საათი...
თუ მისაკლისებ, ისევ მეძახი,
სულ არ მაბრკოლებს დაღმართ-აღმართი.
ბედნიერებას იქნებ ვერც ვამჩნევთ,
როგორც გაფანტულ წვიმის სხივილებს
და რადგან ასე ძლიერ გიყვარვარ,
სიკვდილზე უკვე აღარ ვიფიქრებ!

უნდა გამოგიტყდე

ხშირად მეორდება ის წამები,
როცა ეულ ხეებს ვემგვანებით.
ადრე ვოცნებობდი, იქნებ ერთხელ,
თუნდაც შემთხვევით რომ ისევ შეგხვდე.
ჩემს დარდს სახელიც ვერ მოვუნახე,
ნუთუ აღარ გვწყალობს ბედი არცერთს.
აღარ გვზოგავს დროც და ყინვით დამზრალთ,
ჭაღარას გვიმატებს ახალ-ახალს.
იქნებ დროა, უკვე გავიმარტოთ,
დარდი ერთად ვცელოთ, არა მარტოდ.
ნამდვილ ზამთარსა და ნამდვილ ყინვას,
თოვლს არ ვნატრულობდეთ მთელი კვირა.
თუკი სამყაროც კი ბერიკაცის
გმინავს ტკივილით და აღარ გვაცდის,
ხელი ჩამკიდო და ჩუმად მითხრა: –
უნდა გამოგიტყდე, შენთან მინდა!

საღამოს ლექსი

ღმერთო, რა უსასრულოდ
გაიწელა დღე,
ფურცელს ფურცელს ვამატებ,
გამალებით გწერ.
ჩემი ფიქრის გზაწვრილზე
ჩამომჯდარა მზე,
სხივებს ვართავ, ვიხსენებ
გადაკვეთილ გზებს...
ციდან მთვარე მიღიმის
და ვარსკვლავებს მფენს,
როგორ ამეკვიატე,
სევდას მიჩენ ძველს.
ღრუბლის ფთილას ვემსგავსე,
ცაზეც ნისლი წევს,
მაინც რა უსასრულოდ
გაიწელა დღე...

ერთი დღე

ერთი დღე სიცოცხლეს ამართლებს,
ერთი დღე სამყაროს ცვლის,
უეცარ ქარტეხილს დაგაწევს,
ვერ ხვდები, თუ რატომ გსჯის.
მიწასთან გასწორებს ხანდახან,
განგრევს და ჭკუიდან გშლის
და მერე გაცოცხლებს იმედი,
იმედი – იმ ერთი დღის.
მე და შენ ვერაფერს დაგვაკლებს,
ჩვენ ხომ ერთმანეთი გვჭირს!
ერთი დღე ცხოვრებას აგირევს,
ერთი დღე ბედნიერს გხდის...
და მაინც, იმ ერთი დღისთვისაც,
მერწმუნე, სიცოცხლე ღირს!

ჩუმად დაგელოდები

ყურში ჩაგჩურჩულებენ შარიშურა ფოთლები
(თავბრუდახვეულები, სიყვარულის ლოთები).
გული შეიფრთხიალებს მოლოდინის ნოტებით,
სადღაც შაშვიც იმღერებს მაყვლის შიშველ ტოტებში
და მე ქუჩის ბოლოში ჩუმად დაგელოდები.

ნუ აგვიანებ, შემისრულე დანაპირები!..

წამომიყოლე მთის გვირგვინი – ფთილა ნისლები,
უდაბურ ტყეთა ნაირფერი ხმელი ფოთლები,
წამომიყოლე მარადმწვანე კედრის ნერგები,
მალე გაიდგას უკვდავების მძლავრი ფესვები.
წამომიყოლე იელები –გონშემშლელები,
დედამიწას რომ მინდობიან, დაბნეულები,
გზის გასაყართან ნეკერჩხლები, სისხლისფერები,
ღიმმორეული ასკილები –გულისხელები...
ჩამომიკრიფე კუნელები თბილი ხელებით,
შროშანები და გვირილები მზით ნაფერები.
არ დაგავიწყდეს შინდი, სოკო, ანწლის ღერები,
არც ბეღურები დაივიწყო და არც მერცხლები,
არც ახლომახლო მოფარფატე ნაზი პეპლები,
მზეს რომ ჰყვარობენ, ჩურჩულებენ: "შემოგევლები"...
წამომიყოლე რუდუნებით, ფერებ-ფერებით,
ტირიფები და მოელვარე თეთრად ვერხვები,
მიწის სურნელი ჭალებიდან მონაბერები,
დაისები და აისები –ღვინისფერები!
მწყემსე ცისპირას ცხვრის ფარები მატებ-მატებით,
იქ დასარჩენად დიდხანს მაინც არ მემეტები.
ნუ აგვიანებ, შემისრულე დანაპირები,
შენს მოლოდინში თავს დამადგა დარდის ჩრდილები.
უღრან ტყეში რომ წახვედი და ჯიხვებს ედრები,
გემუდარები, ქვა-კლდეს ჯიქურ ნუღარ ედები.
წამომიყოლე სიყვარული –დანაპირები,
თვალი შემიშრე, უშენობით ანატირები!

გაიღვიძებ და გეტყვი, მიყვარხარ!

ისეთი ვნებით ანათებს მთვარე,
ღამეს შეაცდენს ახლა უთუოდ,
მე მომწონს, როცა შენზე ფიქრებში
ვხდები ცელქი და ვხვდები უჭკუო.
მე მიყვარს ყველა დაღლილი ღამე,
დილის იმედით რომ მითენდება.
ის ადგილები, სადაც გხვდებოდი,
ისევ რომ ბევრჯერ გაგვახსენდება.
მიყვარს თებერვლის სუსხით ნაკვები
დუნაის ლურჯი, მშვიდი პიანო,
გიგზავნი ლოცვას, როგორც სინათლეს,
რომელიც ახლა ლექსად ხმიანობს.
მე მიყვარს შენი უთავბოლობა,
გამოგონილი ჩემზე მითები,
მაშინაც, როცა ეშვება ფარდა,
კულისებს მიღმაც ვნებით ინთები.
გადარეული, მშფოთვარე შიში ვიცი,
არაფრად უღირს სამყაროს,
მე მეშინია, ეჭვიანობამ
შენი თავი რომ გადამაყვაროს!
მე მიყვარს შენი სუნთქვით გამთბარი
ოთახი, სახლი... მთელი სამყარო,
არ გამიმეტო უშენობისთვის
და ტკივილებიც იქნებ მაკმარო.
ბედი არ მცდიდეს და მარტოობის
ძნელი გამოცდა ვერ ჩავაბარო...
არ დამავიწყდე, როგორც სიზმარი –
ჩემო ყველაზე ჭრელო ზღაპარო...
წამიდან წამზე შენს ძილს ვდარაჯობ,
გაიღვიძებ და გეტყვი: მიყვარხარ!
მე მიყვარს ყველა დაღლილი ღამე,
გულში რომ მზეს და სითბოს ინახავს.

მოვალ შენამდე

შევეგებები მეწამული ფერის განთიადს
და გადავირბენ ლაჟვარდოვან
მთათა მწვერვალებს,
ჩამოვუჯდები დაუდგრომელ
მფრინავ ღრუბლებს და
სულ გადავსერავ არემარეს,
მოვალ შენამდე.
ჩამოვუყვები ბილიკ-ბილიკ
სოფლებს, ქალაქებს,
მერე დაგიფენ ფერად-ფერად
სიტყვის ფარდაგებს,
ხან შემოვირბენ მინდორ-ველებს,
ჭალებს, სათიბებს
და კონა-კონა შევაგროვებ
მინდვრის ყვავილებს.
სულ მუჭა-მუჭა მოვუყრი თავს,
ეჭვებს ნათიბებს
და გულისგულში მისასვლელ გზას
გავიმარტივებ,
აღარ დავტოვებ კუთხე-კუნჭულს,
ყველას ავიკლებ
და მალე მოვალ,
დამელოდე, არსად წახვიდე...
ვიცი, დამხვდები,
ხელებს ისევ ძლიერ ჩამკიდებ,
მეტყვი: "გელოდი,
თვალისჩინო, დასაბამიდან,
შენ მოხვედი და
არასოდეს არსად გაგიშვებ!"

სიყვარულია მზე

თუკი ვერაფრით შემოვირიგე
და ტყვიასავით მომაგნო სიტყვამ,
თუკი უგულოდ დამრჩა სხეული,
ლანდების ხორუმს ფეხდაფეხ მიჰყვა...

წლები ჩამაქრობს, ნაოჭებს იქით
დარჩება მთელი ჩემი ცხოვრება,
ჩემი დიდგულა თეთრი ლექსებიც
ნუთუ არავის ემახსოვრება?

თუ განურჩევლად წახვეტავს ქარი,
წლობით ნაგროვებ სიკეთეს, ღიმილს,
მაინც არავის დავემდურები,
რადგანაც წყენად არა რა მიღირს...

სიკვდილი მოსვლის აგროვებს მიზეზს,
თარიღსაც მირჩევს იმქვეყნად წასვლის,
ვინმეს გულში თუ ხსოვნას გავკაწრავ,
წლები ჩამაქრობს, თუმცა ვერ წამშლის.

ფოტოზე ღიმილს დაჰყვება სევდა,
რამდენი რამე რჩება კადრს მიღმა,
გარდაცვალება სიყვარულს ვერ კლავს,
სიყვარულია მზე და ქარიზმა!..

რა მეშველება

დავუძლურდები, საწოლიდან ვეღარ ავდგები,
შვილი მოვა და შემაშველებს თავის მარჯვენას,
აქამდე განცდილ სიხარულს და უთქმელ ოცნებებს
არ ეწერებათ გადარჩენა, კვლავაც ახდენა.
რა მეშველება თუ მოვკვდები უშენოდ სადღაც?
სიკვდილის ზღურბლთან მარტო დგომა იქნება ძნელი,
გამაყოლებენ მოგონებებს, ცრემლიან ოდებს,
ჩემი ლექსი კი გიერთგულებს მრავალი წელი.
დარდად გამყვება ეს ტკივილი ვერნაწამლები –
სიკვდილის წინ რომ ვერ შევძელი დამშვიდობება,
რომ სიყვარული საამქვეყნო დარდი ყოფილა,
მტირალა ტირიფს ვმგვანებივარ მთელი ცხოვრება.

გარეთ ცივა

გარეთ ცივა ისე, როგორც შარშან,
თოვლქვეშ დუმან თეთრი ენძელები.
თმაში შენი სურნელება ჩამრჩა,
ძველებურად შორით გეფერები.
გამაგიჟებს დღესაც შენზე დარდი,
ჩემს თავს ისევ ისე ვეურჩები,
გავრბივარ და ქარში დაკარგული
ერთსულ, ერთხორც მაინც შენთან ვრჩები.
შესევიან ლურჯ ზღვას თოლიები,
კანკალებენ ტოტზე ბეღურები,
მე კი, მართლა, არაფერი მინდა,
გულის გულში თუ არ მეგულები.

ცხოვრებას ასე სცოდნია...

ჩვენ შორის დიდი ნისლები
და ქარბუქები ჩამდგარა,
ბედი ტკივილებს მიბევრებს,
ან მოვერევი, ან არა...
ჩემს გულს აღელვებ, აალებ,
მოკითხვა მყოფნის პატარა,
ეს სიყვარული ერთბაშად
სულის ამკლები გამხდარა,

ცხოვრებას ასე სცოდნია,
ხან "კი" ხდება და ხან – "არა",
შენს შესახვედრად უფალმა
მთელი ცხოვრება მატარა,
გავა დრო და ჩვენ დავრჩებით
კვლავ ერთმანეთის ამარა.
*
ცხოვრებას ასე სცოდნია...

ემიგრანტის წერილი

როგორ მოხდა, რომ
ყოველი დღე მართმევდა შენს თავს?!
ვეღარ გავძელი,
ავდექი და თვითონ წავედი,
ის რომ მცოდნოდა,
რა გოლგოთაც მელოდა შენთან,
მოვკვდებოდი და
არასოდეს შეგიყვარებდი.
ასე ცალ-ცალკე,
მისხალ-მისხალ ვკლავდით
ერთმანეთს,
შეგვრჩა დღეები
უგულო და უერთმანეთო,
ვეღარაფერი
დააბრუნებს დაკარგულ ნდობას,
ერთ დროს ვფიქრობდი,
ბევრი რამე გვქონდა საერთო.
როცა მეგონა,
უხმოდ უნდა გაგეგო ჩემთვის,
გაუგებრობის
ჩამოეშვა ჩვენ შორის ფარდა,
მე მიგატოვე
და ეს დრამაც დასრულდა ასე,
დამნაშავე კი
არვინაა ჩვენ ორის გარდა.
ისე დაგშორდი,
სინანული არც კი მიგრძვნია,
გაბრაზებულმა
შევიხსენი გრძნობის ხუნდები,
თუ არ გელიან,
დაბრუნებას არა აქვს აზრი
და რომც მელოდო,
უკან მაინც არ დავბრუნდები.

*

მე მიგატოვე...

მოლოდინის ნოტები

უთოვლო ზამთარს ისე ვხვდები, როგორც თოვლიანს,
მონატრებებით ვკემსავ დღეებს შენით ავსილებს.
ნაბიჯ და ნაბიჯ ვხვდები, აზრი მხოლოდ იმას აქვს,
მე და შენ შორის სიყვარული რომ არ გაცივდეს.
წყაროსავით რომ მორაკრაკებს ასე ანკარა
და მერცხალივით გაზაფხულის გვამცნობს აისებს,
ძველი წელია თუ ახალი, სულ არ მაღელვებს,
ვიცი, რომ კვლავაც გულის გულში გამითავისებ.
და მნიშვნელობა სულაც არ აქვს, სად ხარ, ძვირფასო,
აქვე ახლოს ხარ თუ მთებს იქით, ცის სიახლოვეს.
მზისა და მიწის სიყვარულს ჰგავს ეს მონატრება,
ვერსად წავუვალთ, დღის შუქივით ვერ მიგვატოვებს.
და ზოგჯერ თუკი ვემსგავსები უთოვლო ზამთარს,
შენ ყველა ნოტით ჩემთან ხარ და მუსიკა მათრობს,
თუ ციდან აღარ ეჩქარება ფიფქების ამქარს,
ქარს მოაქვს შენი მონატრება, მათოვს და მათოვს...

მგზავრი

ოკეანეს და ზეცას შორის, სილაჟვარდეში,
მრავალ მგზავრთაგან მგზავრი ვიყავ, როგორც ასეთი,
გვერდით შენს სუნთქვას, ძილმორეულს, დავკანკალებდი,
ვინანე კიდეც, ამ წამებს რომ არ ვაფასებდი.
მთელის მისხალში და სამყაროს რაღაც წერტილში,
მე შევიგრძენი გაყინული სულის დერვიში.
ეფერებოდა მზის სხივები შემკრთალ კაეშანს
და არ უნდოდა გზაში ჩემთვის ხელი გაეშვა.
ცად მოლივლივე თვითმფრინავის ბოლო სარკმელში
მანუგეშებდა უთეთრესი ღრუბლის თარეში,
ფეთქავდა გული, გული ჩემი, ასე ვნებული,
ბოლო სუნთქვამდე ისევ შენზე შეყვარებული.

თუკი

ვერასოდეს გაიგებ, რას გიმზადებს ცხოვრება,
სულ სხვის ომში იბრძვი და სულ შენ მოგეთხოვება.
ბედისწერის პირისპირ ყოველ წამში მარცხდები,
მერე სუნთქვას გიძნელებს უთავბოლო განცდები!
ხშირი უამინდობა ძნელი გასაძლებია,
უიმედო დღეებიც ხომ სულის თანმხლებია,
დროს თუ ვერ ისაკუთრებ, გრჩება გულზე იარა,
ტალღასავით ცხოვრებამ თუკი გადაგიარა,
მიუყვები მომავლის გამოუცნობ ბილიკებს,
ვისაც გული ატკინე, თუკი ვერ შეირიგებ,
ვერასოდეს ამოშლი მოგონებებს ფიქრიდან,
რაც არ უნდა ეცადო, უთხრა: „შენგან მივდივარ!“
თვალებიდან ვარსკვლავთა თუ არ მოდის სინათლე,
მაშინ ისე მითხარი, ჩუმად შემომითვალე:
როგორ უნდა ვიცოცხლო, როგორ უნდა მიყვარდე,
კვლავაც თოვლის მოსვლამდე ან ზაფხულის წვიმამდე?!
სიყვარული ცისგულა თუ წვეთ-წვეთად აგროვე,
ცოტა კიდევ აცალე, ცოტა კიდევ ადროვე...
ნუ გადადებ ხვალისთვის ნურც ერთს, ათას ფიქრიდან,
გაზაფხული ჩიტივით თუკი შემოგიფრინდა.

როგორც ადრე...

როდესაც ბურუსი მშთანთქავს
ან დროის ქარბუქი წამშლის,
მინდა, ისე დაგწყდეს გული,
როგორც ადრე, როგორც მაშინ...
იქნებ მონატრება გაქრა
და ვერ მოვერიე მანძილს,
უდაბნო ჩამოწვა სულში,
იმედის წვიმებიც არ წვიმს.
თუ ვერ გავუძელი ლოდინს –
უხმო ოცნებებით დაღლილს,
თუკი ვეღარაფერს შევცვლი,
იქნებ სინანულიც არ ღირს?!
ალბათ, ვერასოდეს მნახავ,
სევდამ დაივანა ხმაში,
მინდა, დაგენანო ისე,
ფიქრი დამადევნო გზაში,
იქნებ დამაწიო კიდეც
გრძნობა –დაკარგული ქარში...
მითხრა, გიყვარდეო, ნეტავ,
როგორც ადრე, როგორც მაშინ...

ჰორიზონტთან

გულში მიკრავდა ღამის სიჩუმე,
სხივმოლივლივე მთვარე.
ვიცვამდი გრძნობებს, ჰორიზონტთან კი
ჩამომდგარიყო ხვალე...
მზე ჩადიოდა მეწამულისფრად,
გვნუსხავდა მისი არე,
ნაწვიმარზე კი ცისარტყელებით
ვიფერადებდით თვალებს.
გაუდიოდა გულს ბაგა-ბუგი,
ეჭვებით ისე ვღალე,
სიყვარულისგან დაღლა და ცრემლი
არ უხდებათო ქალებს.
ვაკაკუნებდი კრძალვით და რიდით
მიღებდი გულის კარებს,
ვიცვამდი გრძნობებს, ჰორიზონტთან კი
ჩამომდგარიყო ხვალე...

ხანდახან

ნისლივით რონინით მიდიან დღეები
ხანდახან, როდესაც შენ არ მეფერები.
ცარიელ ქუჩებში დავდივარ დაღლილი,
თითქოსდა სისხლისგან სრულიად დაცლილი.
ცხოვრების მარხილიც მიჩოჩავს ზარმაცად
და როგორ მარტო ვარ ამ გზებზე ხანდახან...
მე კი იმ წამისთვის, გნახავდი როდესაც,
მზად ვიყავ, სიცოცხლეც ადვილად მომეცა.

ირაკლი ნადარეიშვილი – სამართლის
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
დაბადების ადგილი – ქ. თბილისი

განდაგანა
(ბუკნარელებს)

ერთმანეთის დასაკლავი აგვილესეს ბევრჯერ დანა,
ბევრჯერ სცადეს შინ და გარეთ აემღვრიათ წყალი, მარა
გულმა მაინც არ გაგვიშვა, აზრმა მაინც არ გვიგანა,
ერთმანეთს ვერ დაგვაშორეს, ვერ გაგვყარეს განდაგანა...
ქართველობას გვასწავლიდნენ შენი ნენეც, ჩქიმი ნანაც,
ერთ ენაზე სიყვარულით გვიმღეროდა იავნანაც.
შენ ალაჰს თხოვ შეწყალებას, მე ჩემს ქრისტეს ვვედრი, მარა
საქართველოს დასაცავად ერთად ვდგავართ, ოდითგანა.
ერთ სისხლსა ვღვრით, ერთმა დარდმა გამოგვჭამა თანდათანა,
ორ ღმერთსა ვთხოვთ ერთ სათხოვარს, ერთმა წერამ აგვიტანა.
ღმერთო, სამშობლო გვიცოცხლე, გვამსახურე მისთვის თანა,
არსად, არვის არ ჰქონია ერთად დგომა ჩვენისთანა.
ჩვენი გენის დღეგრძელობას, ნუთუ, ერთად არ ვთხოვთ, განა?
შენ მეჩეთთან დამლოცე და მეც დაგლოცავ საყდართანა.
ის პაპასთან, შენ ბაბუსთან და მეც ვიტყვი ბაბასთანა,
რომ ერთნი ვართ, როგორც უწინ, რომ მტერმა ვერ დაგვიტანა,
ერთმანეთი რომ ვერავინ შეგვაძულა, შეგვანანა...
რომ კამათი ძმებსაც მოსდით, ერთ ჭერქვეშაც, ხანდახანა...
ერთმანეთის სიყვარულის რომ სისხლში გვაქვს ანა-ბანა,
ჩვენი ძმობა რომ ვერავინ ვერ დაფლა და ჩაიტანა.
მე ვინა მყავს შენი ფასი, ან შენ ვინ გყავს ჩემისთანა?
ჰოდა, ახლაც ერთ სუფრაზე მჭადებს ვამტვრევთ განდაგანა,
კაკალ გულში ჩვენი ძმობის წმინდა გრძნობამ დაივანა,
შენ რომ მეჩეთში მლოცავ და მეც რომ გლოცავ საყდრიდანა.

15.01.2021 წ.

ქისტის ასულო

ქისტის ასულო, გულზვიადო, თვალებხატულო,
ვერცხლის ქამარით ფაშატივით შემორახტულო,
მკერდაზიდულო, წარბ-მთვარისებრ გადარკალულო,
გრძნობამეწყერო, კლდის ჩქერებად გადმოღვარულო.

მყინვარწვერიდან ჩამომდნარო წყაროვ მალულო,
მზერაუკმეხო, უკარებავ, ჟინგაგვალულო.
კლდის ციცაბოზე საცალფეხოვ, არგაკვალულო,
ვნებავ, მღვიმეთა სიღრმეებში გადამალულო...

თავშალიანო, ტანზე ფარჩა შემოტმასნილო,
თვალშარიანო, ვერ ნათქვამო და ვერ ახსნილო,
გავათქვირულო, ტან-ნარნარო, მკერდგამოხსნილო
იდუმალებავ, ცის კიდიდან გარდამოხსნილო.

ხმაბზარიანო, მორაკრაკევ, ხანაც ქუხილო,
თავნებიანო, სიხალისევ, ხანაც წუხილო,
ღამევ, ვარსკვლავით მოჭედილო, ხანაც უძილო,
მადლო ხილულო, შესახებო, ხანაც უხილო...

დალალნაშალო, თვალგიშერო, ტუჩ-კბილ ასხმულო,
სულო უდრეკო, სიამაყევ ქვაში ჩასხმულო,
ჰანგო, სალამურნაკვნესებო, ზეცად ასულო...
აფერუმ! ვინაც შეგიშნოვებს, ქისტის ასულო!..

29.05.2021 წ.

მეეზოვე

ეჰ, მეეზოვევ, მხოლოდ შენ იცი,
როგორ ეძინა რიჟრაჟზე ქალაქს...
და შენი ცოცხი ასუფთავებდა
ღამის ცოდვათგან ამ წმინდა ალაგს.

ჰო, მეეზოვევ, მაგრად მოუსვი,
ააშრიალე ფოთოლთა გროვა
და ყვითელ ფოთლებს თან გაატანე
წუხანდელ ღამის ცრემლი და გლოვა...

რადგანაც თავი სურთ, რომ იხილონ,
სუფთა, რომელიც წუხანდელს არ ჰგავს,
მხოლოდ შენ ხედავ, მხოლოდ შენ ამჩნევ
ადამიანში დაგროვილ ნაგავს...

ჰო, მეეზოვევ, შენ მეც მჭირდები,
მინდა ეს სული ისე გახვეტო,
რომ ხვალე დილით ყველა დარდისგან
თავისუფალი გამოვეხეტო.

ჰოდა, კვლავ მინდა, ისე ვით უწინ...
სინდისის სუფთა სამოსი მეცვეს,
არ დამიღამდეს, ისეთი ცოდვით,
სინანულისგან დილით, რომ შემრცხვეს...

21.08.2019 წ.

არ ენდო

ე, მაგ შენს სუნამოს ღალატის სუნი აქვს,
დამსკდარი ტუჩები ჩურჩულებს – არ მენდო,
თვალები ველური თამაშით როკავენ,
მიწვევენ საკოცნად –,,ჰე, იქნებ გაბედო!“

ჰე, იქნებ მომხვიო ხელი და ჩამიკრა,
ვნებების ქალღმერთი და სიძვის ფერია,
გიყურებ თვალების სევდიან უფსკრულში,
თვალებს კი ზღვისა და ღალატის ფერი აქვს.

თეძოსთან თამაშობს ნიავი დალალით
და მკერდიც ისწრაფვის აზღუდის გარღვევას,
სისხლს მიმღვრევს გული და მიბიძგებს
მცნებების,
ერთისას ვინ ჩივის, ათივეს დარღვევას.

ანგელოზს აცდუნებს, შენ კი რას ყოყმანებ,
ყისმათი გქონია, შეხედე, რა გერგო?!
შენ გელის, გაბედე, შეხსენი საკინძე,
აფერუმ, ქალია! ღმერთების საბედო.

და დახშულ ყურებში ჩამძახის სამყაროც
რას უცდი?! შენია, – ჰე, იქნებ გაბედო!
და მხოლო ბუ კივის გონების ჯაგებში
დაგღუპავს, არ ენდო, არ ენდო, არ ენდო!

26.04.2022 წ.

მე ის ვაზი ვარ

ზაფხულის ცა ხარ, ხოლო მე კი აგვისტოს ვაზი,
მუდამ მწყურვალეს, მზის სხივებით თავს რომ მევლები,
შვებისმომცემად შენგან ველი გადაწვიმებას,
რომ გაფურჩქვნისას არ შემატყოს ვინმემ ცრემლები.

ჰო, მე ვაზი ვარ, გაგვალული, მუდამ მწყურვალე,
შენ – ალაზანი, სულ რომ ცდილობს ფესვთან შეხებას,
ჰო, ვენახი ვარ, ის ზვარი ვარ, მუდამ რომ ელის,
შენი გრძნობებით გადასეტყვა-გადამეხებას.

მე ის ვაზი ვარ, ყოველ დილას შენად რომ ხვდება,
ქარვისფერ გრძნობით შეფაკლული შენთვის მტევნებით,
ჰო, ის ფესვი ვარ, წყლითა და მზით რომ ვერა ძღება,
რომ ვერ მოპირე ალერსით და ხვევნა-ფერებით...

მე ის ვაზი ვარ, ლერწმობაში რომ დაგეწინდე,
შენ კი ის წვეთი, რომ ათრთოლდა ჩემთან შეხებით,
ჰო, ის ვაზი ვარ, ყლორტს რომ იშვერს ზეცისკენ ჯერაც
და რომ საზრდოობს ვნების სეტყვა-გადამეხებით.

30.06.2021 წ.

ჯიბრში არ ჩამიდგე

ჯიბრში არ ჩამიდგე, ისე გამეჯიბრე,
ვინ მეტს გაათენებს ქვეყნის ფერებაში,
მამულს კი ნუ მიყოფ, ადგილს კი ნუ მიჩენ,
მხარი შემაშველე ქვეყნის შენებაში.

მოდი, მეგობარო, ისე შემეჯიბრე,
ლანძღვა არ დამიწყო, ცილი არ დამწამო,
გული არ მომიკლა, გენი არ მიგინო,
რწმენა არ მითელო, სული არ მიწამო.

ჯიბრში არ ჩამიდგე, ისე გამეჯიბრე,
ჩემი წილის მომკას, შენი წილი თესე,
ერთხელ ზომიერი სიტყვა შემაგებე,
სოფლის საშენებლად მკლავი ამილესე.

ჯიბრში არ ჩამიდგე, ისე გამეჯიბრე,
სათქმელს კი ნუ ითვლი, თუ რა დამასწარი,
მოდი, მეგობარო, ერთხელ ასეც სცადე,
სალამი ღვთისაააო ჰოდა, დამასწარი.

ჯიბრში არ ჩამიდგე, ისე გამეჯიბრე,
ცოდვებს კი ნუ მითვლი, თუ სად წამასწარი,
მოწყალება თესე, მადლში შემეჯიბრე,
ბაგეს ასხლეტილი ღიმი დამასწარი.

ჯიბრში არ ჩამიდგე, ისე გამეჯიბრე,
გზაში კი არადა, ხვნაში გამასწარი,
ჰოდა, მეგობარო, ერთხელ ასეც სცადე,
წყევლა კი არა და ლოცვა დამასწარი.

ჯიბრში არ ჩამიდგე, ისე გამეჯიბრე,
ტახტთან კი არა და თოხთან მიმასწარი,
თუ ვერ დამამარცხებ, მტრად ნუ შემაჩვენებ,
მოძმის ჩახუტება გულში დამასწარი.

ჯიბრში არ ჩამიდგე, ისე გამეჯიბრე
ენის, მამულის და ღმერთის ხსენებაში,
ჩემი შვილისა და შენი შვილებისთვის
მხარი შემაშველე ქვეყნის შენებაში.

25.02.2021 წ.

გერი

ამ ცხოვრებისთვის გერი ვარ,
ხორბალში – ფეტვის მარცვალი,
იღბალი ჩემთვის – მოსისხლე
სამყარო – დედინაცვალი...

სიცოცხლე ბრძოლის ველი და
გზა... კლდე-ჭიუხით სავალი,
რწმენა – ბზარმოკიდებული,
გრძნობა – დამწვარი ტრამალი...

დაღვრილი სითბოს სანაცვლოდ,
ვიმკე ყინული სატეხი,
ვისაც კი გული მივანდე
აღმოჩნდა სიტყვის გამტეხი.

გულმკერდით ვისაც ვუჩრდილე
ცრემლით მოვურწყე ფესვები...
წამოიზარდნენ, ისევ მე
დამიღრჭიალეს ეშვები...

გავჩნდი მარტოსულ კალმახად...
დინების წაღმა წამყოლი,
გვერდით – მოყვასი არავინ...
უკან – არავინ მამყოლი...

ჰოდა, მივყვები შარაგზას
მიზანს – ფიქრებში გაქცეულს,
დაჩოქებამდე აღვსრულდე,
არვინ წამადგეს წაქცეულს...

არვის დავურჩე სარჩენად,
საპალნედ არვის გავუხდე,
სანამდის დავძაბუნდები,
სიკვდილს თავადვე ჩავუხტე.

ამ ცხოვრებისთვის გერი ვარ,
ხორბალში – ფეტვის მარცვალი
იღბალი მოსისხლე გახდა,
სამყარო – დედინაცვალი...

01.02.2019 წ.

შინაბერა

ეგ შენი თოლები იმ თოლებს კვლავ ეძებს,
იქნებდა იმასაც ეწადა, ენახა...
დღეს თუ ხარ წალამი აჩეხილ-ასხლული,
გუშინ შენც ხარობდი გაფოთლილ ვენახად.

წლები არც შენ გინდობს, დაგატყო ღარები
და მოგონებების სევდაში გაცხოვრებს...
ეჰ, რარიგ გშვენოდა წელამდე ნაწნავი,
ახლა კი მიჰვები ფიქრების საძოვრებს...

მაისის თოვლივით რა უცებ ჩამოდნი,
აპრილის ყინვებმა კვირტები მოგიწვა,
,,კაი ყმას“ სწუნობდი და ახლა მის ნაცვლად
ვხედავ, რომ ქვეშაგში სიბერე მოგიწვა.

მაგ ჭროღა თოლებმა რამდენი მოწამლა,
ვინ იცის, რამდენი გაუშვი სნეული,
ნეტავი ამ ქვეყნად აგრე ვინ დაგწყევლა,
რომ ცალსიყვარულად დაბერდი ეული.

იგონებ სიყრმეს და თოლები წყლიანი
თითქოს ირეკლავენ ნისლიან მაყრიონს,
შენს ნაცვლად სხვა მიჰყავთ მზითევის მარხილით
და თეთრი ჩოხაც სხვას შეიყვანს საყდრიონს...

სულ სხვისი სურვილი გკლავდა და გწყუროდა,
სხვის ქმარზე ჩაიკალ უთქმელი წადილი,
ეგ ვერცხლის ქამარიც, ბალთებად ნაკეცი,
დაძველდა, როგორც ის ნაქარგი მანდილი.

დღეს შენი თოლები მის თოლებს კვლავ ეძებს,
ამ ღამით, ვით უწინ, გეწადა, გენახა,
და თუნდაც აჩეხილ– ასხლული წალამი,
კვლავ გაიხარებდი გაფოთლილ ვენახად.

27.08.2019 წ.

ის გატყორცნილი ისარი ვარ

ის გატყორცნილი ისარი ვარ, რომ ასცდა მიზანს,
მაგრამ მავანის თვალსა და გულს რომ დღემდე ვხვდები,
რომლის დაცემას და დაკარგვას ელოდა ყველა,
თუმც, ეკალ-ბარდში გაჩხერილსაც მოუჩანს ფრთები...
ჰო, ისარი ვარ შელახული, თუმც ჯერაც ბასრი,
ახლაც რომ ძალუძს ჩაჩქანის და აბჯრის შენგრევა,
მრავალგზის ნასროლს, ფრთებშელახულს, ბუნიკდაჭყლეტილს,
მოყვასის გული მტრის გულმკრდში რომ არ ერევა.
ის ისარი ვარ, ცხოვრებამ რომ აწრთო და ლესა,
ნიავის ქროლვით თავის გეზს რომ არასდროს იცვლის,
ერთია მხოლოდ, ხელის კანკალს ვერ ვგუობს დღესაც,
მიზანში ვხვდები, თუ კი მშვილდიც მიზანში ისვრის.
ის გატყორცნილი ისარი ვარ, რომ ასცდა მიზანს,
კაპარჭში დღემდე უქმად მყოფი რომ ვერა ვრჩები,
ვიცი, დაცემას და დაკარგვას ელოდით ჩემსას,
თუმც, ეკალ-ბარდში გაჩხერილსაც მომიჩანს ფრთები.

29.06.2021 წ.

მითი

არაგვზე ნისლი ჩამოწვა
აბღავლდა თეთრი ხარიო,
ხეობას ამცნო ამბავი,
ყველასთვის გასახარიო
ღვთისშვილთა შეკრეს ლაშქარი,
ზანზარებს მთა და ბარიო,
წინ უძღვის წმინდა გიორგი
ზურგს იცავს იახსარიო.
მარჯვნივ კოპალა ლახტსა სცემს,
მარცხნივ - გუდანის ყმანიო
ერთიანად სურთ გაწმინდონ
ეს ჩვენი მიწა - წყალიო,
თქვენც ქუდზე კაცი გამოდით,
წელზე შაიბით ხმალიო,
ღმერთი მაღალი ახსენეთ
გფარავდეთ მისი ჯვარიო.
ჭინკებს და დევებს შეება
ეს კურთხეული ჯარიო,
იჩქარეთ, ლაშარის ყმანო,
გამოიჩინეთ თავიო!
შუაფხოს ზარი ჩამოკრეს,
დამდგარა ჩვენი ჟამიო,
ლომისას მაცნე აფრინეთ
მათაც აქვთ ქვეყნის ვალიო,
თუშები მგლურით მოდიან,
კლდე აქვთ სავალი სალიო,
გაშლილი დროშით მოუძღვით
გაფრინდაულთა გვარიო.
მოხევეთ შეკრეს ხეობა,
რომ არ დაუსხლტეთ ავიო,
გაცოფდნენ არაგველები:
ვის გავუსწოროთ თვალიო,
კლდე -ჭიუხებით ვიაროთ,
არც ვინ ვართ პატარძალიო.
სთქვეს და დაეშვნენ ზვავივით,
როგორც ხეობის ქარიო
მათ შემხედვარეს ავსულებს
გულში გაუჩნდათ ბზარიო,
აივსო მათი ძვალ-ხორცით
ცალკე მთა, ცალკე ბარიო,
კოპალას გატყორცნილ დევის
ახლაც დგას ნაგუბარიო.
ერთიან ლაშქრის ცქერითა
ვერა ძღებოდა თვალიო,
სანამ მთა მთაობს, ქართველნო,
ნურც რა გაქთ საწუხარიო,
გამართეს დიდი დღეობა,
თამადობს ხევისთავიო,
ფიცვერცხლით შეკრეს პირობა,
ყველამ მხარს მივცეთ მხარიო,
ჯერ კვლავაც ბევრი სისხლი გვაქვს
ქვეყნისთვის დასაღვარიო.
მას მერე არვის უნახავს
არაგვზე თეთრი ხარიო,
ყველას აქვს იმის იმედი,
გაივლის დრო და ხანიო,
ღვთისშვილთა მთავარსარდლობით
კვლავ შაიყრება ჯარიო,
კვლავ დაიბღავლებს არაგვზე
ეს მითიური ხარიო,
ღვთის მადლის გარდმოსვლას გვამცნობს
დიდი გერგეტის ზარიო.

2014 წ.

მე შეშლილი ვარ

–მოგესალმებით! მე შეშლილი ვარ,
თქვენ ვინ ბრძანდებით? წარმომიდექით,
სურვილი არ გაქვთ? მე მომიტევეთ,
თითქოს ჩანდა, რომ მარტო იდექით.

მე შეშლილი ვარ, არ დამიმალავს
არც თქვენ მგონიხართ ჭკუადამჯდარი,
განა იმ ხალხის ნაწილი არ ხართ,
თავის ნაჭუჭში როა ჩამჯდარი?

რატომ მიწყინეთ? ისეთი რა ვთქვი?
ვის აკადრეო – რატომ მიყვირით?
თქვენც ხომ ჩემსავით უსახლკარო ხართ
ცხოვრებას სტუმრობთ ვალით და ქირით.

თქვენ ხომ სიცოცხლეც მოგცეს ნისიად
და საკუთარი ესეც კი არ გაქვთ,
ყოველი დღეც ხომ ამ ვალს აკლდება
და სიკვდილამდე ეს ვალი დაგაქვთ.

გიჟი არა ხართ? მაშინ მითხარით!
რა დროა ახლა, როგორ გგონიათ?!
საათი არ გაქვთ, ზუსტად ვერ მეტყვით?
ეჰ, საკუთარი დროც არ გქონიათ.

მე მაპატიეთ, რომ მოგაცდინეთ,
თითქოს იერი გქონდათ ჭკვიანის,
რას ვიფიქრებდი შვიდ მილიარდში
პოვნა თუ ჭირდა ადამიანის.

თავად ვინა ვარ? აკი გითხარით...
დღეს თოლია ვარ...ხვალ – ჯერ არ ვიცი,
ახლა ღრუბლებში უნდა ავიჭრა,
მე მომიტევეთ, ვეღარ დავიცდი.

მე, შეშლილი ვარ, ჰოდა ნახვამდის,
იმ ცხოვრებაში უთუოდ გნახავთ,
ნუ სწუხართ, გიცნობთ, ჩემი არ იყოს
სისულეებს თქვენც უხვად ჩმახავთ...

31.01.2020 წ.

ცხოვრება ტილოა

ცხოვრება ტილოა, ათასი ლაქებით,
დღეები – პალიტრა სხვადასხვა ფერებით
და წლების ფუნჯებით ევლება კონტური,
განგების ცივი და უხეში ხელებით.

აქ ხდება ყოველის მონიშვნა–დატანა,
განა გასაკიცხად ან ვინმეს საქებად,
ვიღაცა უფერო ფერებად დარჩება,
ვიღაცა დარჩება ტილოზე ლაქებად.

აქ ვიღაც ნოემბრის პეიზაჟს წააგავს,
ვიღაცა ქელეხის ნასუფრალ ნატურმორტს,
ყოველი ღიმილი ზედ ტოვებს თავის კვალს,
ყოველი ტკივილი – ტონების ქარაშოტს...

გაავლებს სიკვდილად ნაცრისფერ აბსტრაქტებს
და ვინმეს ცრემლებით გადღაბნის აკვარელს,
ვიღაცა იპოვის და ვიღაც დაკარგავს
ფერების ქაოსში იმ ერთს და საყვარელს.

ვიღაცას შუქჩრდილად დატოვებს მარადჟამს,
ვიღაცას ხასხასა ელვარე ფერებით,
ყველას ფერს ასახავს ცხოვრების ტილოზე,
განგება ცივი და უხეში ხელებით.

30.09.2020 წ.

მკრეხელობა

აზრი დამწყვდეული გონის ლაბირინთში,
ტვინის ხვეულებს რომ ანთებს სპირალებად,
თორმეტ წყვილი ნერვის ცხელი ოხშივარით
სათქმელს, ანადუღარს, მაწვდის ფიალებად.

არქივს შერჩენილი მხოლოდ სახელები,
როგორც წარსულიდან მზერა ნაცეცები,
თითქოს მოგონების გზავნის ამანათებს
სულის ასამღვრევად ნერვულ საცეცებით.

ისევ ყორღანებს ვდგამ გრძნობა–ემოციის,
ისევ ენა დამაქვს კბილით დაბეჭდილი,
ყველა ნააზრევს ვშლი, ყველა ნეგატივს ვწვავ,
რაც კი გამაჩნია მზერით აღბეჭდილი.

აზრებს ემბრიონად ვხოცავ ჩანასახში,
თითქოს მეშინია სიტყვად მოვლინების,
ნებისყოფით ვიშრობ ცრემლის სადინარებს,
აღარც სურვილი მაქვს მათი მოდინების.

რისთვის დავღვარო, ან ვისზე დავიღვარო,
არც რამ უვადო მწამს, არც რამ ვადიანი,
ვუყურებ და ვეჭვობ, რომ ამ სამყაროში
თავად ქრისტე იყო ბოლო ქრისტიანი.

ჰოდა, ვინ ვიწამო... ჰოდა, ვის მივენდო,
აზრი მეწვის უკვე ღამის მტეხელობით.
ჰოდა, თუ არსებობ, იქნებ, წაგთვლიმა და
იქნებ, შეგაღვიძო ჩემი მკრეხელობით.

12.01.2021 წ.

გარეჯი

გუმბათნაფრესკალი, ტაძრებნახატარი
ლავრაგაძარცვული, კედლებნახანძრალი,
იდგა გარეჯი და ფიქრებატეხილი
კლდეებს ღორღად შლიდა ფიცი გატეხილი.

ხევებამომშრალი და მთებნამეწყრალი,
ზეცამოქუფრული, თითქოს შემომწყრალი,
ჭიშკარმოგლეჯილი, თაღებდაღებული,
ღმერთის ანაბარა, კაცხელაღებული...

სულამღვრეული და რწმენააჩეხილი,
ენაშერყვნილი და ანბანგალახული,
ფესვებს მოწყვეტილი და გენგამოხრული,
ქვაში შერჩენილი სული არნახული...

იდგა, ვით ზმანება, შორით დანახული,
სმენადახშული და თვალებდაბლარული
ნაერალი ერის, კაცი ნაკაცარი,
გარეჯს შეჰყურებდა, სტომაქგაბადრული.

ქართულ საგალობელს სმენადანატრული,
იდგა გარეჯი და იმედდაღადრული,
უფლის ანაბარა, ცაში აღმართული,
წარსულს გაჰყურებდა წელში გამართული...

02.02.2021 წ

ანანია

მზეს ვერ დაინახავ მხოლოდ მიწის ცქერით,
თავი წამოსწიე მაღლა, ანანია!
ვარსკვლავს ვერ იხილავ ცაში მოკიაფეს,
რადგან ოცნებები მთვარეს აბარია.

ღიმილს ვერ იპოვი ასე, თავდახრილი,
აჩრდილთ ძიებაში, მენდე, არა ყრია,
სხვისთვის ცოდვა-მადლის მუდამ მოკითხვაში
სულს ვერ გაილაღებ, ჩემო ანანია.

დროს ვერ გაუსწრებ და არ ღირს მისი ათვლა,
შრომა უნაყოფო, ფუჭი, არამია
მიწა მხოლოდ მაშინ, ალბათ, თანაგიგრძნობს,
როცა ჩაგიხუტებს გულში, ანანია.

ცოდვა საკუთარ თავს უნდა მიუტევო,
კმარა, რაც აქამდე უტყვად გინანია,
თავი წამოსწიე, ზეცას გაუღიმე,
სხივი აირეკლე თვალში, ანანია.

ღრუბელს დაურახტე უზანგ-უნაგირი,
ოხრად დარჩეს ყველა, რაც კი სანანია,
იღბლის მაწყევარი, მენდე, დამიჯერე,
ღმერთსაც ეზარება, ჩემო ანანია.

მზეს ვერ დაინახავ მუდამ მიწის ცქერით,
მტვერში ოცნებები არსად არა ყრია,
შვებას ვერ იპოვი დარდში თავჩახრილი,
ფრთები წამოსწიე, ფრთები, ანანია!

08.02.2020 წ.

დღეს მე მოგიტევებთ

ერმა შემომძარცვა იმედი და
რწმენა შემირყია ბერმა,
სიხარულის ცრემლი თვალზე ვერ შეიშრო,
ისე იხარხარა მტერმა,
სხვისთვის დასარტყმელად მოქნეული ჯვარი
უფალს მოახვედრა ბევრმა,
დაუნდობლობით და ერთმანეთის ზიზღით,
კვლავაც ვერ იყივლა გენმა.
ნუღარ მიქადაგებთ მიმტევებლობაზე,
დღეს მე მოგიტევებთ ყველას...
ქალზე ნავაჟკაცარს, ერთის ათით მდევნელს,
არც კი შეგიბრუნებთ ენას...

სხვის იმ უმსგავსობას ცოდვა წავამატეთ,
ცაც კი სინანულით ელავს,
ჩვენი შემხედვარე, მოთქვამს ღვთისმშობელი,
ცაში მამა ღმერთი ღელავს.
ჯვარს ნუ მოუღერებთ ცოდვილს დასარტმელად,
წყევლით ნუ დაუწყებთ კივილს,
ასე, მათ კი არა, ასე უფალსა გმობთ,
ასე, ჯვარს აყენებთ ტკივილს...
აბა, მე რა გითხრათ, მეც ხომ ცოდვილი ვარ,
დაე, განმიკითხოს ერმა...
სხვისთვის დასარტყმელად მოქნეული ჯვარი
უფალს მოახვედრეთ ბევრმა.

05.07.2021 წ.

გაფიცებ!

(მეუღლეს)

გაფიცებ ფიქრებში ნათენებ ღამეებს,
ვარსკვლავებს გაფიცებ, თვალებში არეკლილს,
ბაგედან მოწყვეტილ იმ ღიმილს გაფიცებ,
იმ გრძნობებს გაფიცებ, წყენისგან ჩალექილს...

სიმართლე მითხარი, ჭაღარას გაფიცებ,
გაფიცებ ლოდინში დაორთქლილ სარკმელებს,
უპეზე შეყინულ ცრემლის წვეთს გაფიცებ,
მკერდში რომ აგროვებს ვერნათქვამ სათქმელებს.

პირველად დაცდენილ,,მიყვარხარს“ გაფიცებ,
იმ ელვას გაფიცებ, თვალებში ნაკვესებს...
იმ პირველ წყენას და იმ პირველ გაბუტვას,
იმ პირველ დუმილსაც, ეჭვით რომ გაქეზებს...

თუ ილუზიების ტყვე ვიყავ, მითხარი,
თუ ცხადში არ მყავდი და მხოლოდ ზმანებად,
რადა ვგრძნობ ვნებებით გაჟღენთილ სუნთქვას და
რად მესმის შენი ხმის ბგერები ზარებად?!

პირველ შემხებლობის ჟრუანტელს გაფიცებ,
პირველ ჩახუტების ტალღას მკერდისმიერს.
აფეთქებულ ვნების პირველ შეკავებას,
თავს რომ აკარგვინებს ირგვლივ ნებისმიერს.

პირველ აღტყინების სიშლეგეს გაფიცებ,
პირველ ხელიხელზე ნაზად ჩაჭიდებას,
პირველ კოცნასა და პირველ დამორცხვებას,
პირველ გაქცევას და პირველ გაკიდებას.

პირველ მოგონების სიმძიმეს გაფიცებ,
პირველ შეცდომას და პირველ უღმერთობას.
მითხარ, იმ პირველ დღეს როგორ გაატარებ,
პირველად რომ იგრძნობ ქვეყნად უჩემობას.

14.01.2021 წ.

შვიდჯერ შვიდგზის

შვიდი სიმის, შვიდი ნოტის ელეგია
დიეზებად, ბემოლებად, ბეკარებად...
გაიკვალავს გზას მეშვიდე ემოციად,
გრძნობად, დრო რომ ვერასოდეს ეკარება.

ჩემს მეშვიდე მატერიკად მოვლენილი,
შვიდი ტალღის, ვნების შვიდჯერ მოზღვავებად
გზა შენამდე შვიდ ბილიკზე გამავალი,
შვიდ განედზე – შენი სითბოს მოძალება...

შენი მზერა?! – ზეცის შვიდჯერ გაელვება;
მრისხანება?! – შვიდჯერ შოლტის შემოცხება;
ეგ ღიმილი?! – როგორც შვიდგზის ნეტარება
და ამბორი – სულის შვიდგზის ზეთისცხება.

შემოგარტყამ შვიდი გრძნობის შვიდ გალავანს,
აგაყვავებ ვაზის რქად და ვაზის კალმად.
გაიბრწყინებ, როგორც ზეცა წვიმის შემდეგ,
ცისარტყელას შვიდფეროვან გადარკალვად.

შვიდგზის ცოდვილს, მოკვდინების არ მაქვს შიში,
რადგან მწამს, რომ შენს გრძნობებშიც გავშვიდდები,
შევიქნები შენს მეშვიდე ემოციად
და შენს გვერდით ბოლო ჟამსაც დავმშვიდდები.

შვიდი სტროფით, შვიდჯერ გეტყვი, რომ მიყვარხარ,
შვიდ მარცვალად დაგიმარცვლავ, დაგიღერებ.
მე დაგიყოფ წელიწადის დროებს შვიდად,
დროდ ჩემთან და ჩემს გარეშე, დროდ ჩემს მერე.

შვიდ კელაპტრად, შვიდგზის ლოცვით ანთებული,
მანათობლად ჩავიწვები შენი იმ გზის,
რამაც ჩემთან მოგიყვანა შვიდ შეგრძნებად,
გავიშვიდებ, შენს სიყვარულს შვიდჯერ, შვიდგზის.

13.03.2021 წ.

ნეტავ, რად შამხვდა

თვალებში ხვლიკი დაგირბის,
ბაგეზე მარწყვი გასკდება,
მაგ შენ საკინძეს ეგ მკერდი
გამოსარღვევად ასკდება.

ღიმილი გწყდება პეპლებად,
დალალმა შალა ირაო,
მაგ ცხელი სუნთქვის ალმურით
ცა მექცა თავდაყირაო...

სეტყვად მოხველი, სამკალმაც
თავთუხი დაბლა ყარაო,
გაგვალულ ვაზად მაქციე,
მწყურვალს მითხარი – არაო.

შემომაცალე ფოთოლი,
წალმად ამჩეხე, თანაო,
ქვენა ქარივით დამქროლე,
მომთხარე თანდათანაო.

წარბი აზიდე ღრუბლებში,
არც ენამ დაახანაო,
რა მრჯიდა, რისთვის ვიხილე
გველს ხვრელით გამოყვანაო.

დამგესლე – სწორი იპოვე!
მგელს არ გერგება ფარაო,
იქნებ, ნადირი ხევ-ხუვმა
კალთაშიც შაგიფარაო...

მაგრამ, სად შენი საკბილო
და სად მე წყაროს თვალაო,
რადა გგონია, გამჩენმა,
რომ შენად გამომთალაო.

შენ გზას ეწიე, საკინძეს
არ ვხსნი დღესა და ხვალაო,
ამ საწმერთულის შამყურე
ბევრი ყმა დაიღალაო.

შენც ერთი იმათგანი ხარ,
ჟინი რომ ბინდავს ხანაო,
შენი ნამყენი საძირეც,
სჯობს, სხვაგან ჩაგეყარაო.

ფესვს ვერ გაიდგამ ყამირზე,
ლერწს ვერ მომახვევ თანაო,
ჭიგოდ არ გამოგადგები,
ეს არის ანა-ბანაო.

წადი, გალალე, გზა ნახე,
მეც ჩაგიქროლებ ჩქარაო,
ვაზმა, ქარიშხლის ალერსით,
აბა, სად გაიხარაო...

ეს მომაძახა, გაფრინდა,
დავრჩი დამბალი ალაო,
მხოლოდ თვალიღა წაგკიდე,
ხელით ვერ წაგწვდი ქალაო.

ნეტავ, რად შამხვდა, ჩემ ჭირად,
გამიხდა სადარდელაო,
კოჟრად მიქცია გული და
ამაოდ გამახელაო.

29.04.2021 წ.

მარინე ცხვედიაშვილი
პოეტი

ყაყაჩოს სანთელი

დასჯილი მინდვრები მომდევენ ბარბაცით,
საბრალო შროშანაც ზედ გულზე მაგდია,
„ოსანა“! – ჯვარს აცვით!, „ოსანა“! – ჯვარს აცვით!
ზეობის ჟამი თუ სიკვდილის ბანგია.

ფიცნაჭამ რაინდთა ღალატი უგვანო
უმზეო გულების აღლუმი მგონია,
ოდესღაც მაგ ხალხმა გაგწირა, უფალო,
და დღესაც სამართალს ოქროთი წონიან.

როდის ხართ მართალნი, საიდან სადამდის,
ჯილდო და სასჯელი სასწორზე ნანაობს,
პაპათა ცოდვანიც კისრამდე გადაგვდის,
ახალი როგორღა ვიტვირთოთ, მამაო.

როდემდე ვებრძოლოთ ამ ქარის წისქვილებს,
ნეტავ მათ, ვისთვისაც ჯილდოა სიკვდილი,
ჯვარცმა და დოზანა სიცოცხლემისჯილებს –
მეფეთა სულიც ხომ მათშია მითვლილი.

გუგუნებს ზარები – გასრულდა „ოსანა“,
გოლგოთის ჟამია – მლოცავენ მნათენი,
გმადლობთ, რომ მატარეთ სულშეუმოსავად
სისხლიან მინდორზე ყაყაჩოს სანთელი.

რეკვიემი

აკი გითხარი, ხვალ წითელი პარასკევია,
მიწასაც არვინ შეატოკებს შენთვის, ნიკალა,
მოგონებები სვავებივით დაგაცხრებიან,
სიყვარულივით ტკივილსაც ხომ ვერ
აგიკრძალავ.

იზედმეტაო მარგომა და მარგოს პარიზმაც,
ხაზინის გველი დაგედევნა ქალის ვუალით,
სად იყო მაშინ ეგ თილისმა ან ეგ ქარიზმა,
შინისკენ ურმით რომ მოგქონდა დიდი უარი.

გიბადაგებენ, ჯვარცმულ დღეებს გიბადაგებენ,
ახლა ღიაა დარბაზები, – „აქეთ, მაესტრო“, –
და სანამ მიწას უნიშნობლად მიგაბარებენ,
იქნებ ინებო და შენს სიკვდილს აღარ
დაესწრო.

ხომ დაიხსომე, ხვალ წითელი პარასკევია,
არ გაუყადრო დუქან-დუქან თავი მიკიტანს,
მეთულუხნენი მტკვარს პეშვებით გადაწვდებიან
და ხელუხლები დილა ღმერთთან ამბავს
მიგიტანს.

ამქრის წუღებში ფეხგაყრილი შენი ქალაქი
ვნებიან ღამის მძიმე სამოსს შეიშილიფებს
და შემოგისევს ნაირ-ნაირ ფერად თბილისებს.
იმ მრავალთაგან ერთი მაინც ფლიდი იქნება,
ერთი გამცემი, ერთიც კიდევ ნუკრისთვალება;

შენ ვის ნაპირთან მიგაცილეს ზურგის ქარებმა.
მითხარი, თორემ დამეკარგა სიტყვის მაზანდა,
საზანდარს მეტი რაღა უნდა, დასტის
დოსტები...
და მერე ჩემს სულს, როგორც მწვერვალს, ისე
მოსკდები.

არ დაანარცხოთ, მეგობრებო, ჩვენებურია,
გული დაუგეთ, გევედრებით, გული დაუგეთ!
ნუ დაანებებთ უთენარო ღამის დარაჯებს,
თორემ ცხოვრება გულის გულზე გადაალაჯებს.

შენი გოლგოთა, ო, რა ძნელი დასაძლევია,
ადე, ნიკალავ, ხვალ წითელი პარასკევია!
ნეტავ რომელ ძელს მიესჯება შენი სხეული,
უფრო ეული, ვიდრე ყველა მჭლე და ბოგანო.

როგორ მოგაგნო, უსაშველო სულის საშველო,
ასე ჩემიანს, იდუმალს და მაინც შორებელს.
თენდება, მაგრამ არა შენთვის, არა საშენოდ,
მზეს კახელები ტიკებივით მოაგორებენ,
ნაქურდალ მთვარეს ბოლო უჩანს მამლის
კუდივით;

კვამლი ამოსდის არემარეს, როგორც ყალიონს,
ზეცა გადაწვეს მოთარეშე ცეცხლის ენებით,
რა ბალამწარა ჩააცეცხლეს ნეტავ ალიონს,
ვინ დაამწყრალა ამ საცოდავს მადლი თენების.

– არც არავინა, დილას ფეხი თვითონ
წამოვკარ,
კოჭლი ჭედილა ფარას მივდევ, როგორც
მზიანეთს,
დედით ობოლო, ოი, დედავ, დედავ, დედილავ,
სად ხარ ქალილო, ალილოზე დავიგვიანეთ.

წელიწადები გველებივით გაასრდებიან,
იქნება მართლაც ერთი ძელი შენთვის
გარანდონ,
რაის ალილო, ხვალ წითელი პარასკევია,
შენ კი ურითმო ლექსებივით დავიდარაბობ.

ფურისულები გამოშლილან, თითქოს დოლია,
მიწის მიწიდან მოგბღავიან ქვეყნის
სადარდელს,
კედელში ნებით ჩატანებულ გრძნეულ გოლიათს
იმასაც არვინ გეკითხება, შვილო, სადამდე.

პარასკევია, მწუხრისაგან აჟრჟოლებს ტაძარს,
და მორწმუნენი გვერდით დებენ ხსოვნის
სასმისებს,
როგორ მოგძებნო, შენთვის მიწას არავინ
დაძრავს
და რაღა მაინც სწორედ ახლა მოგისაკლისე.

აკლდამა უნდა ყველა ბღენძს და ყველა
ჩინოსანს,
კაცმა არ იცის შენი ნეშტი სად ასვენია,
შეგითამამდი, ბოდიშს გიხდი,
ნიკო ფიროსმან,
მაგრამ რა გიყო, ხვალე მაინც პარასკევია.

პატიება

სულში ხვატია და ვქარტეხილობ,
ბათუმის ზეცას ვეჩონგურე,
ბოდიში, ყისმათდასეტყვილო,
მამის სახლო და ეზო-ყურევ.

ახლა რომ ჩემში მორევია,
ზღვამ როგორ დანთქას, სვეტიალო,
შენ მანდ ეკალი მოგრევია,
მე კი ბულვარში ვხეტიალობ.

ჩათავდა ლამის სამი წელი
და თითქოს უცხოდ გეჩვენები,
კიდეც დამწყევლე და გამიწყერი,
ღირსი ვარ, ღირსი შეჩვენების.

დღეები უქმედ მეპარება,
ანჯახი დროება შავრაზმელობს,
არამი იყოს ნეტარება,
დედ-მამის კარის ჩამრაზველო.

მეტყვიან, ბედთან რად უმძრახობ,
ქონება განა ოხრად ყრია,
მაგათ რა იციან, ნაფუძარო,
უყრმო სასახლეც რომ ქოხ-მახია.

ნუ მიმზერ აგრე მომდურებით,
ჩვენს შეყრას ისევ ჟამი ჩქარობს,
მლოცავენ შენი ქონგურებიც:
„ობოლი არვინ დაგვიჩაგროს“.

ვაი, თუ ფუჭად ილოდინე,
და ეულს ვეღარ მოგიარე,
ისევ ტკივილებად მილოგინებს
ხსოვნა – უსხეულო მშობიარე.

მანდ რომ ჩემი ყრმობა იასამნობს,
ვიცი სალარნაკედ გაწირავენ,
შენთან ამყოფე, რომ გიაღსაროს
ვიდრე ზეობიდან სამძიმრამდე.

მონატრება

შენ გაზაფხული უბით მოგქონდა,
მზის სარეცელზე იწვა კახეთი,
და გაბაწრული ეგდო გომბორთან
ღამე, ეშმაკის რჯულზე ნახედნი.

თვინიერ ჟამთა ცბიერი ხელი
ცისფერ საკინძეს გიხსნიდა ხარბად,
და ცახცახებდა ალაზნის ველი,
დაწაფებული სიამის შარბათს.

თვეში ჩამდგარი ქალივით სავსე,
თრთოდა ზვრები და პურის ყანები,
და ივრისპირას ჩამომხდარ მთვარეს
ჩუმი ალერსით ისე დანებდი,

როგორც ხანგრძლივი წვიმების შემდეგ
მზის სხივს პაწია მინდვრის ღიღილო.
მომეცი ნება, რომ კიდევ ერთხელ,
ჩაგეხვიო და სიზმრად გიხილო.

შენით სავსეა ჩემი არსება,
და მელოგინე ქალივით მტკივა,
ის, რაც სხეულში აღარ თავსდება
და რაც შენს გულთან ლექსებად მივა.

მე ვწერდი წუხელ ვიდრე დილამდე,
შემოვიარე მთები პიტალო,
და ასე ძლიერ რომ არ მიყვარდე,
ხვალ სისხლი უნდა გამოვიცვალო.

ვიცი, წამლეკავს გრძნობის მორევი
თუ მონატრებამ კვლავაც იძალა,
და შენს წადილში ისე მოვკვდები,
როგორც კიბის ქვეშ ერთ დროს ნიკალა.

უსიყვარულოდ და უგრიგალოდ

დევის ხვრელიდან ვიდრე ლელიანს
დრო მზის მკლავებზე წავიკაპიწე,
ყრმა ხევსურები ნისლებს წველიან
და ბერწ ოცნებებს ცეცხლზე ვაფიცხებთ.

განთიადი კი, როგორც ბოჩოლა,
ივრის პირიდან მომყვა ბღავილით,
გადაგეხვევი, ძმაო ჯოყოლავ,
და შენს სანახებს რიდით დავივლი.

ხონჩით მოგართმევ ალაზნის ღამეს,
სიზმრის დედა რომ ყვარობს მალულად
და საწნახელში ჩავარდნილ მთვარეს,
მთას რომ საწაწლოდ გამოპარულა.

აგიფერადებ ნაზამთრალ ხნულებს
„ლილეოთი“ და „შენ ხარ ვენახით“,
და თუ გაჭირდა, ჯავრიან გულებს,
ვით ჯიხვის ყანწებს, ზეცას შევახლით.

წამოვუძღვები ფიქრის არმადას
და დაგაფიცებ დამფრთხალ ალიონს,
მე თეთრ არაგვთან გული დამვარდა,
შავი არაგვი როგორ დავლიო.

თუმცა შირაქში ნაბარტყი ხოხბის
ნაზი ყელიდან ისევ გეძახი,
ჩვენს სინორჩესაც ქაფივით მოხდის
დროა ცხოვრების მღვრიე ზედაპირს.

და თუ სტუმრობა, შარის ამტეხი,
მაინც ეავდრა ბრძენკაც მინდიას,
ეს დალოცვილი ხსოვნის ნატეხი
ძველ ხურჯინში ხომ საგზლად მიგდია.

ჰოდა, ამხსენი ვენახში ჭიგოს,
ვიდრე ფხიზლობენ ღამის მეხრენი,
და თუ ოდესმე საშველად მიხმობ,
ზედ ქამარ-ხანჯლად შემოგეხვევი.

ოღონდაც მერე ამ მთებს პიტალოს
შემნივთე, როგორც მიწის ნაფლეთი,
უსიყვარულოდ და უგრიგალოდ
არ მაწერინო ლექსი არცერთი.

ნატვრა აღდგომის ღამეს

მიწის, პურისა და კაცის
სუნს ნუ მომანატრებ, ღმერთო,
თუ კი მწყურვალისთვის დამცლი,
და თუ სანთლად უნდა ვენთო,

სუნთქვა გამაგონე შვილის,
სიო მაგ ზეციურ ჰანგთა,
მერე ერთ მშვენიერ დილით
ლოცვად დამაყუდე კართან.

ლიბოდ მომიქციე ძვლები,
ანდა გამიყენე ბექობს,
ოღონდ დაკარგული გზები
ისევ მაპოვნინე, ღმერთო!

ერთგულება

უნდა გეაჯო და გედავითნო,
თავი მოგაწონო საფიხვნოთი,
ნეტავი შენი დედა ვიყო,
სიყვარულს ვეღარ გამიყოფდი.

სულში ამოზრდილო ბაზილიკად,
მადგახარ როგორც მეხამრიდი,
შენს უბეში რომ გავზრდილიყავ,
ვერავის ვეღარ შემადრიდი.

ღმერთი მამის რჩეულს მირონს მცხებდა,
სულით გვამსგავსებდნენ მძვინვარეთი,
და ამ სიყვარულზე ილოცებდა
ყველა ტაძარი და მინარეთი.

ჟამმა უხეირომ მომქილიკა
დღეთა უმანკოთა სიშიშვლენი,
შენი დაი რომ ვყოფილიყავ,
ხანჯალს ხომ მაინც იშიშვლები.

ამბობენ, უწინ რა დრო იყო,
ზურნით, შოთებით და მამიჯვრითი,
ნეტავი, ბიჭო, სატრფო ვიყო,
მომავლის სარკმელს გამიჭრიდი.

რკინის ქალამანი მეცმებოდა
ნაცვლად დათბილული ფაჩუჩების,
მერე ოცნებების კენწეროდან
ნანატრ ქალ-ვაჟებსაც გაჩუქებდი.

ხე ხარ სიცოცხლის და ბებერ ნუჟრებს
ახლა თუ მიუგებ, არც რა ვიცი,
იქნებ ფრთებვეშ შეგეყუჟე
ვითომ ნათლია და დათნაფიცი.

ფიქრობ, ამ სიყვარულს გადაურჩი,
როცა ხსოვნის სახრით მიგერიებ,
როგორც ლორეთით და არტანუჯით
ფლოქქვეშ ჩანავლებულ მისტერიებს.

მეც რა გზაწვრილები გიფარდაგე,
თითქოს არ გყოფნიდა სადარდელი,
ყველა სურვილზე რომ ხიდად გამდე,
განვლე ამ სულეთის დარდანელიც.

მჯობნი აღარავინ მეგულება,
როცა სიზმარშიაც უხმოდ გეტრფი,
გფარავდეს ჩემი ერთგულება –
ქვეყნად ყველა მდედრზე უფრო მეტი.

მანდილი

ხსოვნა ქორივით ჩაგფრენია,
ბოლთას სცემს ჟამი გამთვალავი,
მანდილი შენთვის სამშვენია,
ჩემთვის – ცრემლების სამალავი.

სეფე სიზმრებში გახიზნულა
წელთა მიმქრალი ჩირაღდნები,
მთოშავს იღბალი ზამთრისგულა,
ვკვდები და ისევ ვიბადები.

ყოფნა არყოფნის საშველია,
ჰოდა, ბევრი ვარ სათვალავით,
მანდილი სხვისთვის სამშვენია,
ჩემთვის – ცრემლების სამალავი

სულის სარკმლიდან

მე წამაწერეს პაპირუსებს უსათაუროდ,
ისე ვით ლექსი, აფრენილი მწერლის უბიდან,
და რა ხანია შენს ნაპირთან ჩუმად ხმაურობს
სარკოფაგიდან გაჟონილი ცრემლის მუსიკა.

ვინა ვარ, რისთვის ვიარები ასე უკვალოდ,
გემუდარებით ამომხსენით, გამომიცანით,
იქნება, რქა ვარ სამამულე, ანდა უბრალოდ
სახელდახელოდ გაჩორკნილი ოთხი ფიცარი.

დროზე უხსნესი მოგონება მქვია ეგება,
ან მუჭა-მუჭა გაბნეული ფეტვის მარცვალი,
ჩემს ნაფეხურებს უფლისწული კი არ ეძებდა,
წუთისოფელი, გოლბოროტი დედინაცვალი.

იქნებ, სევდა ვარ, ახდენილი ოცნების გზებზე,
მაშვრალ მოყვასთა სანუგეშოდ შემონაფეთი,
მე თქვენს პოვნაში ამოვარდნილ გრიგალებს ვეძმე
და თან მიმყვება ჩემი წილი ზეცის ნაფლეთი.

რატომ მეკრძალვი, მიწა ვარ და ბარი დამკარი,
ნუ გეშორები, გზა კი არა, ნათლის სვეტი ვარ,
ღვთის შვილებსა და ეშმაკს შორის რწმენად ჩამდგარი,
პერგამენტებზე უფლისადმი ლოცვად ვწერივარ.

გინახავს კაცი, გადამხტარი სულის სარკმლიდან,
ცოდვილ მოკვდავთა მარწუხებში ვერჩატეული,
და სანამ ბედი ყვავ-ყორანთა ლუკმად დამყრიდა,
მუზებს მიჰქონდაღ მგლოვიარე ჩემი სხეული.

ლექსი ვარ, ლექსი, გაზაფხულში ხომ არ გეშლებით,
რა მოხდა, თუკი ჩემს კალთაში სძინავს აპრილებს,
ვარ მუხლმოყრილი თქვენს წინაშე შიშველ ფესვებით
და პაპირუსთა სიჩუმეში ყოფნას ვაპირებ.

ეთერ ჭელიძე – ფინანსისტ ეკონომისტი
ამჟამად მუშაობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში
დაბადების ადგილი – მესტიის რაიონი, სოფელი უშგული

ჯვარო უფლისაო!

ბოროტების შემმუსვრელო,
ჯვარო, მწყალობელო!
მართლისა და მადიდებლის
შემწევ და მფარველო...
ყრმის და შენი მოიმედის
უშურველო რწმენავ,
ერთარსების გულისხმა და
გულს ჩაკრულო ზენა...
სათნოების წინამძღვარო,
გამარჯვების ენავ,
ქრისტეს მცნების დედააზრო,
ქრისტეს მტრების გვემავ...
ჯვარო, ვაზის წმინდა ქნარო,
მოვლენილო მხსნელად,
ამა სოფლის მფარველი ხარ,
ნათელსა ჰფენ ბნელსაც.
ჯვარო, პატიოსანო და
მწყალობელო ყოვლის,
უწინამძღვრე ყველა მართალს,
გზა უჩვენე ცოდვილს!

ზღვასთან...

ტალღა აცეკვდა გულის მდელოზე
გზა გაიკვალა შენთან,
იდგა ქარების ორომტრიალი
გეთქვა, ნეტავი გეთქვა...
ცერულს ცეკვავდნენ მაგნოლიები,
მთვარე იკლავდა წყურვილს,
ეომებოდი შენში სიჩუმეს
ნეტავ დამეგდო ყური...
გულგატეხილი თვლემდა ცა, კენტი,
მასაც მეწყვილე სურდა,
დამორცხვებული მზერის ნამქერში
გული ზღვასავით ფეთქავს...
გაუბედავი კრთოდა ცის სკვერში
შემოთენება მზეთა,
დრომ გამოწურა გრძნობის მტევნები
გეთქვა, ნეტავი გეთქვა!...

მომყიდეთ მშვიდობა!..

მომყიდეთ მშვიდობა! ვიცი, რომ ძვირია,
ჩემივე სიცოცხლით გადვიხდი საფასურს!
ოღონდაც პატარებს ქვემეხის ლულიდან
ნუ ესვრით სისხლიან იების გაზაფხულს!
მომყიდეთ მშვიდობა! ვიცი, რომ ძნელია –-
ერთ გოჯა მიწისთვის სისხლის ზღვა დინდება,
ჩარაზეთ სარკმელი ცისა და მიწისა,
ბომბების ღრუბელი დღითიდღე იზრდება!
მათხოვეთ მშვიდობა, სანამდი ბუნკერში,
ტყვიების ხრიალში სიცოცხლე თენდება...
ორსული ქალები დედობის უღელში –-
სანამ მზეუხილავ ჩვილებთან ერთობა!
მითხარით, გავიღებ მშვიდობის საფასურს,
ოღონდ არ ჩააქროთ სიცოცხლის სურნელი
და გმირი დედების მონისლულ გაზაფხულს
ესროლეთ, ოღონდაც მშვიდობის იები!
მომყიდეთ მშვიდობა! ვიცი, რომ ძვირია,
ჩემივე სიცოცხლით გავიღებ საფასურს,
ოღონდაც პატარებს ქვემეხის ლულიდან
ნუ ესვრით სისხლიან იების გაზაფხულს!
მომყიდეთ მშვიდობა!!!

18.03.2022 წ

საშემოდგომოდ!

მზის მარანში ქინძმარაულს დაგიწურავ,
ადუღდება სიჭაბუკის მაჭარი,
ღვინის ხაფზე თუ გუნება აგიცურდა
დარდის კედელს შეაყარე ნაცარი.
მერე ერთად ვაგემოვნოთ გრძნობის ვაზი,
სიყვარულის ფიალები დავცალოთ,
ვინც ინდომებს მეგობრობის ურღვევ კავშირს,
ჯამ-ჩაფიდან ალალ გულზე დავთვალოთ...
შემოდგომის გადაღეღილ საკინძეში
ოქროსფერი მარათონი გავმართოთ,
და ერთობის ჩამოშლილი საძირკველი
კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ ავღმართოთ!

19.09.2022 წ

უკრაინის ომის გმირებს!

და ეცემოდნენ ჭურვები მიწას,
ვით გაზაფხულის წვიმის წვეთები...
სტკიოდა ზეცას მურტალი ტყვია,
რადგან ეწვოდა მიწას ტერფები...
და შავ არშია მოსხმული ნისლი,
დათარეშობდა თითების კვნეტით...
დანახშირებულ სიცოცხლის ქურანს
მზე აპურებდა სისხლიან პეშვით...
მოძმე მიწაზე გმინავდა სისხლი,
უფლის ბეჭებზე დატეხილ რისხვად.
გმირებს არ მოსდგამთ სიკვდილის შიში!
გმირი სიცოცხლით თავს სხვისთვის სწირავს!
სიცოცხლე მათი ქარიშხალს ჰგავს და –
მეომრის კვერთხიც ატარეს ღირსად...
მათ აფხაზეთი საფიცრად ჰყავდათ
და სამაჩაბლო დაჰქონდათ სიზმრად...
იცოდნენ, რადგან თავისუფლებას
ბორკილდადებულს ვერ გუობს კაცი,
გაუთელელი ღირსებით ახლა
ზეცაზე მაღლა დაიდგეს ტახტი.
დღეს მიწას ისევ ასკდება ჭურვი,
ძმათამკვლელია ეს ომი – ძმათა...
აქ მყინვარები გლოვობენ გმირებს
იქ – უკრაინა, გატეხილ ჯვართან!

* * *

ვერა გწევ ბედსა ჩემსა დამიჯერე,
აღარ ღირს წარსულის გაღვიძება...
აწმყოსთან ბავშვობა შევაჯერე
დავტოვე ბავშვური ახირება!
დრო დღეებს ქარივით
მოატროლებს,
წარმტაცეს სისავსე ამინდებმა,
თეთრ ფურცლებს ანდერძად შევატოვე;
რაც იყო...
რაც არის...
რაც იქნება!

წიწამურთან!!!

თეთრი ჩრდილები მიჰყვებიან
ღამის დერეფნებს
და ფეხაკრეფით ეპარება მთვარეს
კიოტი,
მგზავრი, წიწამურს, ეპოქასთან
ჩამოისვენებს,
აქოთქოთდება სისხლ-ნაშხეფი
მწვანე ხრიოკი!
და გახლეჩილი გული შუა
გადაიხსნება,
სარკინოზები სიბნელის ფერდს
აეკვრებიან,
მზე, ავკაცობის ცხელ თონეში
გადაიწვება...
მზე, ერისკაცის ბოლო სხივის
ჩასვენებიდან...
და ჩაინთქება დროის ლტოლვა
სადღაც, ეპოქის,
რადგან ღალატის სუნი ასდის
უძღებ ალიონს
და არსაით ჩანს... არსაით ჩანს,
კაცის შემნდობი
და ერის მამაც შეუერთდა
ცათა მაყრიონს...
თეთრი ჩრდილები მიჰყვებიან
ღამის დერეფნებს
და, ფეხაკრეფით ეპარება მთვარეს
კიოტი.
მგზავრი, წიწამურს, მცხეთის
ჯვართან ჩამოისვენებს,
შეიღებება სისხლფერად
მტკვარი, რიონი...

სინდისი...

სინდისი ურმის ბორბალი არაა,
სავსემ და დაცლილმა იჭრიალოს...
სინდისი შუბლის სუფთა დაფაა,
ნამუსის ტარზე სატრიალო.
სინდისს თავის მართლება არ უყვარს!
მას არ სჭირდება დაცვა!
ვაზის ფესვებია მადლიანი,
შარბათის მტევნებად ასხმა!
ნივთი არ არის გროშებად მოიგდო,
რადგან ვერ იყიდი ვერსად,
სინდისი, შენთან ერთად იბადება
და, შენთან ერთად კვდება!

წიგნი

წიგნი, წარმატების შესაძლებლობაა
გონიერების გასაღები,
აზროვნების თავისუფლებაა
ნიჭიერებაზე მოსარგები...
წიგნი შესაძლებლობის გამოვლინბაა
შენივე განცდებით შესაქმნელი,
შენი ისტორიის დაკაბადონებაა
საუკუნეში შესაყრელი...
წიგნი შენი სიცოცხლის დაზღვევაა
შენივე გონებით დასაწერი,
გრძნობათა ზეცად აღზევაა
დროსა და სივრცეში გასაცემი!
წიგნი შენი ქვეყნის წარსულია
საუკუნეების ხელნაწერი...
შენი მომავალიც დაცულია
თვითმყოფადობაზე მინაწერი!!

ოღონდ მოდი ახლოს...

მთებზე ქარბუქია, როკავს თოვლის ფიფქი,
ჟინი უნდა მოვკლა, უნდა მოვკლა ფიქრი.
ეს ჩემი ფრთებია, შეკვეცილი ფრთები,
დამიბრუნეთ ნიჭი, მაღლა, მაღლა ფრენის.
ცაზე ვარსკვლავები მწირად გარჩენილან,
შენზე სალოცავად თუ მიმაცილებენ?
გადავთელავ ტყე-ველს,
ლომის მზერას ვესვრი ან სევდიან ლექსებს
ვინც ასე უგულოდ დამაცარიელეს.
ისევ ავინთები, ისევ ავლლამპრდები,
ოღონდ მოდი ახლოს მიწილადე შუქი,
დედას გეფიცები, დედას გეფიცები,
კვლავ მონა გავხდები შენი სიყვარულის,
ოღონდ ნუ გამწირავს, ოღონდ ნუ გამრიყავს,
შენთან განშორების მწარე სინანული!

აბა შენ იცი წიქარა!

აჰა გაგიღე ჭიშკარი
დაღონებული სახლისა,
დედის დაცხობილ ჭიშდვარი
რომ შეგაგებო დაღლილმა.
დაღონებული, – გითხარი,
გული ვეღარა მაისობს
გუშინდელს, როგორც სიზმარი
ვიგონებ და ვერა ვხალისობ.
ვირთხამ შეცვალა გვირაბი
სამყაროს ბოლო ვაგონის,
დღე-დღევანდელი მირაჟის
მგონია გამონაბოლქვი.
მზესაც კი ფერი ეცვალა,
მოიშიმშილა სიცოცხლემ,
აბა შენ იცი წიქარა
სამშობლო გამომიცოცხლე!!!

ქალს!

ქალს ცოტა რამ უხარია,
ცოტა რამე სწყინს...
მოგიზგიზე ბუხარია
როცა გარეთ წვიმს...
ქალი ხშირად ავდრიანობს,
ელვაც არის მზის.
იგი მუდამ ელოდება,
სიჩუმეში ზის...
ქალი ტკივილს ისე იტანს –-
ღიმილს არ წაშლის,
ქალი ფურცლავს, მაგრამ მშვიდად
დღეებს გარდაცვლილს...
ქალს ცოტა რამ უხარია
ცოტა რამე სწყინს,
გული მისი მზისდარია,
როცა სულში წვიმს...
ქალი მყარი კედელია
მისი ნდობა ღირს,
იგი ბედის მჭედელია
იასავით თრთის...
ქალებს უყვართ თაიგული,
სურნელება მზის,
ფურცელ-ფურცელ აკინძული
გვირილები მთის.
ქალს ცოტა რამ უხარია,
ცოტა რამე სწყინს,
ქალი დარდის ბუხარია
როცა,,შიგნით“ წვიმს!...

გული გამოტარებით!..

გული გამოტარებით,
გული შემოსახლებით,
სული რატომ შიმშილობს
საით მივექანებით!
უხერხული სიჩუმე...
ყოფა ისევ ცივია,
ხელოვნური სიშორე,
ბევრი გამომივლია,
გული გამოატარეთ
გულო, მოდი მიშველე!..
შემახსენე ვინა ვარ,
ვერაფრით ვერ ვიხსენებ!
შემახსენე ვინა ვარ
ბოროტი თუ კეთილი,
წასულს, ტაძრის კარები
დამხვდა გამოკეტილი!
განა შიში მაწვალებს
შიში, ფოთლის შრიალი...
გაყიდული სიმშვიდე...
ოქრო-ვერცხლის ჩხრიალი!
გული შემორიგებით
ორომტრიალ შოუში,
დაიცალე, დაცალე,
მიეკედლე, მოუშვი...
ეგ არც ისე ადვილი
და არც ისე ძნელია,
გული შენი სახლია
შენი ფუძე-ჭერია!..
გული სიყვარულია,
და სულ სევდის ფერია,
გული მოხეტიალე, –
ვინ არ, – სად არ ელიან!
გული შემოირიგე,
შენთან დააბინავე...
გულო, გულს მოეფერე
არასოდეს ინანებ!

დილის მნათობი..

და დედამიწის კონტეინერში
მნათობი დილით ღრუბლებს წურავდა,
მზეს თოკზე ჰქონდა გადაფენილი
და სიცრუისგან კაცთა, კურნავდა...
წუხდა სამყარო და მოავადე
ჭირხლი ბლოკადებს შლიდა, ანგრევდა...
ცრემლი სდიოდა ცას მოკაშკაშეს
და ნოსტალგიას ძველის, არბევდა...
გზას ვერ იკვლევდა ბრმა მოშუღარი
და აცაბაცა კლდე ღრეს მისდევდა...
მოყვასის ხელით მტრის ეკალ-ნარი
სისხლ მოწანწკარე ხეებს ამტვრავდა...
მზეს, დედამიწის აქოჩრილ პულსზე
კაცობრიობა ხელით ეჭირა,
დუღდა ვულკანი და ერთდროულად
ღვთიურ სანახებს ცეცხლი ეკიდა...
დღეს დედამიწის კონტეინერში
უცხო ძალები ღრუბელს წურავენ,
ჟამი ლოცვის და ჟამი ღვთისმშობლის
ჩაქვესკნელებულ ყოფას კურნავენ...

დღეს უნდა გითხრა...

დღეს უნდა გითხრა,
დღეს უნდა გითხრა,
ხვალე? იქნება გათენდეს აღარც,
რომ ყველა ტკივილს,
რომ ყველა წყენას
შენსას და ჩემსას დავედო წამლად...
დღეს უნდა გითხრა,
დღეს უნდა გითხრა,
რომ დასათმენი ბევრია, რადგან
ცის დარად დარდის ცური მოვწველე
და შეუცნობელს ვაშენებ კარავს!
დღეს უნდა გითხრა,
ჰოო, უნდა გითხრა,
კეთილმა, მხოლოდ უფლის გზას სდია,
შენდობის დილა მოგიტანს ნათელს
სანამ არ არის, ძალიან გვიან!...
დღეს უნდა შეძლო,
დღეს უნდა შეძლო!
რომ სიყვარულით დაათბო მტრობა,
რომ შენდობისთვის დაწყებულ დილას
წყალობა ღვთისა, უსურვო უნდა!

როგორც ფოთოლი...

იხეტიალა ქუჩა-ქუჩა, ქარში, ავდარში,
მზეში, წვიმაში, მთაში, ბარში იხეტიალა!
და ბედი მისი არ ეწერა წიგნის დავთარში
და ბედი მისი ქარის ნიჩბებს გაეტიალა...
იხეტიალა ხიდან ხეზე, ქარიდან ქარში,
წვიმიდან წვიმას გაედევნა, ეძებდა, სძაგდა
კვირტი, რომელზეც მოევლინა და გაიშალა
ტოტი, რომელმაც ვერ შეიძლო ვერ შეიფარა!
იხეტიალა, იხეტიალა...იხეტიალა...
უმისამართოდ, უგზო-უკვლოდ იხეტიალა
და როცა ქარის ყულფში გაყრილ ღამეს მიაგნო,
მთვარის წამწამზე მიეძინა, მიეტიალა...

* * *

დილის ცრემლების ნამტვრევებს
მუზის სტრიქონზე ვამშრალებ!
მზის ტაბლა, არც კი მიკითხავს
დილის სისხამზე გავშალე...
მოაგელვებენ მხედრები
ჯერ ვერ წაკითხულ ბარათებს...
საჩემოდ წერდა პრინცი და
არ წამაკითხეს, დამალეს...
დილიდან ვქექავ გონებას
თითებს ვიმტვრევ და ვაწვალებ,
დამსხვრეულ სარკის ჩარჩოში
გრძნობის სურები დავცალე...

შემომათენდა, სათქმელი
მეტად უტყვი და გრძელია,
ვით ობმოდებულ ბარათი
წასაკითხად რომ ძნელია!
რადგან ცხოვრება სპექტაკლის
ამონარიდი ყოფილა,
სხვისი სცენარით თამაში
სიავკაცეში შობილა...
ახლა მაისის მზეა და,
მთას უჩვეულო ფარა ძოვს!
ენგურის ტალღის ქაფიდან
ქარაფს დავცქერი დანათოვს!

დამილოციხარ პატარავ!

შენ უმანკო ხარ, სიცოცხლე –
ღიმილა, ვარსკვლავიანი...
მინდა მომავალს გითბობდეს
გზა სახვალიო, მზიანი!
არ შეგაშინოს თუ ყოფა
შენც დაგხვდა დარ-ავდრიანი,
ვერ დაგახვედრე სამშობლო
ერთიანი და მთლიანი!
შენ ახლა ქერუბიმების
ფრთების სურნელი გალაღებს,
დაჭრილი ბედაურები
ლეწავენ ცისკრის დარაბებს!
შემინდე, ჩემო პატარავ,
აქ ბრბოა, ირგვლივ – სიჭრელე,
ქანცი გასცლია ღირებულს,
ახლებურს, თუნდაც სიძველეს!
შენ უფრო უნდა იკარგო,
ისწავლო მამა-პაპური,
თორემ საძვალეს გმირების
სირცხვილით ასდის ალმური!
იცი პატარავ რამდენი
შემოგვრჩა საძმო საფლავი?

დღეს გასხვისებულ მიწებთან
მათი ღირსებაც ჩავფალით!
სიყვარულია მთავარი,
მთავარი, უნდა ისწავლო:
მიწაა დედის სადარი,
ეს რწმენა არ შეიცვალო!
მამაცი, შეუდრეკელი,
სისხლი გიდუღდეს ძარღვებში,
შენ უნდა იყო კედელი
დანაწევრებულ საზღვრების!
დავითის დროშის ძალა ხარ,
მისი ხმალივით მჭექარე,
თავი გეჭიროს ამაყად
მამულის მცველად იხარე!
მეგობრის ფასიც იცოდე,
ვაჟკაცობისაც უცილოთ,
რუსთველის ენა ისწავლე,
ბეცია ყველა უწიგნოდ!
დამილოციხარ, პატარავ,
წმინდა ნინოს ჯვარით იარე,
მჯერა, დალეწილ გალავანს
შენ გაუმრთელებ იარებს!

გადაუსხით დედამიწას სისხლი!

გადაუსხით დედამიწას სისხლი,
სიავადე რომ განკურნოს კაცთა...
მეწამული დრო არაფრით იცდის
და აღრევაც დროს და მანძილს გასცდა!
გადაუსხით, სანამ დროა, თორემ
გენეტიკა წაიშალა, დაშრა...
უცხო ნექტარს, მტვერთან მონაქროლებს,
აღარ შერჩა ქართველობის განცდა.
გადაუსხით, სანამ სინდისს მტერი,
გადაუჭერს ტალახიან მათრახს,
თვითმარქვია ყველა,,ბრძენი-შტერი'',
ერის ფლოქვებს,,წიხლსაც" ამოარტყამს!
გადაუსხით დედამიწას სისხლი,
დედო ზარი შემოჰკარით ზარზმას,
გოლგოთაზე იზმორება ნისლი,
ბრძოლა არის უბადრუკთა ძალთა...
გადაუსხით, თორემ დღეის მყოფადს,
მოსულელო სიშლეგე სჭირს კაცთა,
თაობები ყალიბდება მონად
და ღვთისმშობელს ურცხვად აჭრის კალთას.
გადაუსხით დედამიწას სისხლი,
იქნებ იშვას დიდგორელთა გენი,
არაგველთა დაუმცხრალი სისხლით
რომ ავწიოთ საქართველოს ბჭენი!
გადაუსხით დედამიწას სისხლი,
გაიღვიძოს წინაპართა ძვალმა,
დრო ჭირხლისგან მოტირალი იცდის,
არ წაგვლეკოს სიძულვილის ჭავლმა!
გადაუსხით საქართველოს სისხლი,
იქნებ ავცდეთ გოლგოთას და ვარამს,
დაამყენით მუხის ფესვზე კვირტი,
გადაფურცლეთ უსახურთა,,დრამა"...
გადაუსხით დედამიწას სისხლი!
იქნებ ავცდეთ,მერამდენე ჯვარცმას!

დილის განწყობა

წამოიღე ღიმილი შენი სულის ექოდან,
სიყვარულის მარაო ქარებს შემოატარე,
შეათბილე გულისხმა ყოველდღიურ ბექობთან,
მოეფერე ცხოვრებას ისე როგორც პატარებს!
დაიხსომე ერთი რამ, წუთი, მხოლოდ საამო...
დარდმოყრილი მზერიდან ყველა წყენა წაშალე,
უნდა გაითავისო რომ მოყვარეს აამო
და სიკეთის სიმღერა მზის ფრთებივით გაშალე!
წამოიღე ღიმილი შენი გულის ექოდან,
მტრის წისქვილის დოლაბი შენკენ მოატრიალე,
სიყვარულის ყანების ამაღლებულ ბექობთან
სიკეთის და სიცოცხლის დროშა ააფრიალე!
წამოიღე ღიმილი შენი სულის ექოდან
და რაც გინდა ჩაუთქვი...და– რაც გინდა ინატრე...
შენ მიხვდები სანაცვლოდ ქერუბიმთა მდელოდან
მადლი ნაწყალობევი შენსკენ შემოინაცვლებს...
წამოიღე ღიმილი შენი სულის ექოდან
და სამყარო უთვალავ ფერით გაამზიანე!!!

მიბედნიერე პატარა გოგო

ქეთის

იწვნიე რა არ, რარიგ და როგორ
ტკივილშეყრილმა პატარა გოგომ!
ზაფხული როცა კვირტობას იწყებს
ცრემლი სდიოდა ატმებს და შინდებს.
ფორიაქობდა უმწველო მზეში
ცრიდა ტკივილი ცრემლების თქეშით
და შენ, მაისის ფოთლების შრიალს
ითვლიდი დამზრალ დღების დილას...
გესმოდა სუნთქვა გარდაცვლილ პულსის,
ზღვა ღვარცოფოფბდა უმანკო სულში...
იწვნიე რა არ, რარიგ და როგორ
შენ, სულ უმანკომ, პატარა გოგომ...
შემოგატარა განგებამ მლეთა,
სადაც სინათლის ღიმილი წვეთავს...
შენ ნაფეხურზე ყვაოდა ძეწნა
და საკუთარ თავს თავადვე ძერწავ...
და ვმადლობ უფალს სიმართლის სკვერში
მტერი ვერასდროს ვერ ნახე მტერში.
დღეს, შენი ბედი შეყრილა მზესთან
ჯვარი დაგწერათ რადგანაც ღმერთმა
მე ვმადლობ უფალს, რისთვის და როგორ?
მზის მტევნებს წურავს პატარა გოგო!...

სიზმრად გნახე!

დედას

ახლა შენზე მოგონება მათბობს,
მადლიანად შეხებული ხელი,
– მოწყენილხარ, ხომ არაფერს დარდობ?
დარდი შვილო, დარდს არასდროს შველის...
ჩამიკარი ისე თბილად თითქოს
ცხელი ლავა ჩამეღვარა მკერდში,
გაცრეცილ გულს ცხელი ცრემლით მითბობ
და ჭრილობებს შენი თბილი ხელით...
ამეტირა, გამახსენდა როცა,
სიზმარია, რეალობის მსგავსი...
ჩაგეხუტე, არ ისურვე მოცდა
გაგეტირე ვით პატარა ბავშვი...
გაიშალა ცეცხლისფერი ლავა
და ნისლებმა გაგიყოლეს ფრთებით,
შენ წახვედი ისე შორს და მაღლა,
მე ვერაფრით შეგაჩერე დედი!
ახლა ისევ მოგონება მათბობს...
შუბლზე მადევს შენი თბილი ხელი,
წახვედი და უშენობას ვდარდობ,
მონატრებას, ვერაფრით ვერ ვშველი...

სიტყვა!...

კაცი სიტყვით ფასდება,
სიტყვა ღვთისგან ქმნილია,
როგორც ადამიანი,
ისიც უფლის შვილია!
სიტყვას ვეღარ იყიდი,
მას ანბანი სჭირდება,
გული რასაც კარნახობს
გონებიდან დინდება!
სიტყვა ზოგჯერ ტკბილია-
თაფლია და შარბათი,
გულს მალამოდ ეცხება
თბილი ბგერის ღაღადი...
ხან ბასრი და მჭრელია
ალესილი ხმალივით,
ნასროლ ტყვიას იცილებს
აღმართული ფარივით!
სიტყვა? სიტყვა ქალს ჰგავს,
გიყვარდეს და ეფერო,
რუდუნებით ჩამოქნა,
სული უნდა შთაბერო...
სიტყვა სალი კლდეა და
სიტყვა ზღაპრის გმირია
სივრცე უკიდეგანო
დაუპყრია, უვლია...
სიტყვა ყველაფერია-
სუნთქვაა და აორტა,
შეგრძნებაა სიცოცხლის,
არსებობის გამოცდა!
სიტყვა? სიტყვა მტერია,
ისე, როგორც მოყვარე,
სიტყვა ზოგჯერ ბრძენია,
სიყვარულის მოხარკე...
სიტყვა ცაა, ხმელეთი,
უფლის თბილი კერია!
სიტყვა არაფერია,
სიტყვა ყველაფერია!

დრო...---

მედავება დრო, რომელმაც
გამიხედნა წლები,
იქადნება ეს ჭაღარა
გაბზარული ხმები..
დრომ დათვალა მაჯისცემა,
დრომ შემმოსა თეთრით,
დრო, ყველაფრის
მინიშნება...
დრო,
ყველაფრის მთქმელი!

ქართულო ცაო!

ბევრი სამადლობელი მაქვს,
ბევრიც სავედრებელი...
კარგი რაც მაქვს შენითა მაქვს,
ცოცხალს საფერებელი!
მე არწივის ჯიშისა ვარ
მთის გულბუდეს შობილი,
თეთრი კოშკის იარა ვარ,
უკვე ხავსმოდებულის.
უშბის ბილიკს ნავალი ვარ
თეთრი რაშის ჭენებით,
გზას ზეცისკენ მიიკვლევენ
მთები, როგორც მხედრები!
წინაპრების ფესვიდან ვარ
ასჯერ გ ა დ ა ჯ ე გ ი ლ ი ს,
დღეს ყლორტებად წამოსხმული,
მაინც გადარჩენილი...
დედაღვთისას სხეული ვარ
ხორცებშემოგლეჯილი,
მტერ-მოყვარის ნადავლი ვარ
ჯერაც ვერ გაყოფილი...
სისხლ ნაჭორფლი ყვავილი ვარ,
ხალდეს მთებში დარგული!
,,გაულ-გავხეს“ გრიგალი ვარ,
მტრის გმირულად დამხვდური!
სამას არაგველელი ვარ,
სამშობლოსთვის ჯვარცმული...
კრწანისის ველს ყაყაჩოებს
ისევ ასდით ალმური!
ექვსიათას ბერის ხმა ვარ
მოწამეთად შობილის!
მე აღსავლის კარიბჭე ვარ,
ქრისტეს კვართით მოსილი!!!

* * *

მუზებს ცეცხლი აუკრავთ
შემოდგომის ჭიხვინში,
ქვევრებს ღვინო დაუთბათ
ოდოიას ღიღინში!
ყელმოღერილ ქალწულებს
მთვარე შეყრის ცისკარისას,
როცა ყარაჩოღელი
შოლტს გადაჰკრავს დილიჟანს!
ჯამში ათუხთუხდება
სიყვარულის ქარიზმა,
შემოდგომა მოქარგა
ოქროსფერმა აისმა!
მუზებს მადა გაეხსნათ,
ბადაგს წურავს სტრიქონი...
მოდით, ღუზა აუშვათ
პოეზიის ციკლონის...
მერე დავაშაიროთ
ვაზის ფესვის დიდება,
უფლის სადიდებელი
მის მარცვლიდან დინდება!...
ღმერთო, შენი ნაკურთხი
ერი გაგიბრწყინდება
და შენს ზვრებში ჩაკიდულს
არ მოაკლებ დიდებას,
ღმერთო, ყოვლედ მოწყალევ,
შენს კალთის ქვეშ შეგვყარე,
შენი მადლის მოხარკე
მტერიცა და მოყვარეც...
ისევ დააგუგუნე
ლილე, მრავალჟამიერ
და ქართულად მაცხოვნე
იმიერს და ამიერს,
ღმერთო, მარად დიდება!
მრავალ, მრავალჟამიერ!!!

დავაგვიანე...

შენ, კაცის თრობის სურვილო
და აღმაფრენავ ვნებისა,
გულთა ნაკემსო გონისა
ვის ფიქრისპირას კვდებისა?
ის, ვინც ვერ მოგწვდა და ვერცა
შეგიგრძნო შენად მწყურვალმა,
ეს მოზვინული ფიქრთ გორა
ვინაც სასთუმლად გიცვალა,
შენ, სისხლად ანაჩქროლო და
მზევ ღრუბლის ჩამონაწურო,
ქალო-სამყაროს შენებავ
რარიგად გაგინაპირო?
რომ ასავსები ფიალა
ერთხელაც იქნებ დავცალო,
შენი წამწამის ჩეროს ქვეშ
გამოძინება მაცალო...
თორემ გასცვივდა სოფელსა
შემოგარენი ფიქალო,
ვერა მოვდრიკე შენებრი
ქალი სიწმინდით პიტალო...
ხელი და გული ვითხოვე
ვიცი რომ დავაგვიანე
შენი ლოდინის სამოთხე
ვერაფრით დავაბინავე...

სიყვარულო!

მე რომ დაგმალო, რაა მერე,
გულის კარებთან მოგაყურადო?
იმ ბედს ვიგუებ, რომლითაც მერგე,
რომლითაც ალბათ დღემდე ვპურადობ!

მე რომ შეგრისხო, ვინ დამიჯერებს,
რომ შენი ცეცხლი არა მწვევია,
და ჩემი გრძნობის ფერად ბისერებს
შენზე ლექსი არ დაუწერია?

რომ გიუარო, რაა, მერე...
ისე შემომრჩი, როგორც საუნჯე,
ერთხელ მოსული ხომ შეგიფერე,
თუმცა რამდენზე თვალი დავხუჭე...

და ყრმობის ელვა, მოგონებიდან
სულ რომ წავშალო, გამიძნელდება,
სანამდე გულის სარქველი ფეთქავს,
ის არასოდეს აღარ ძველდება!

და რომ დავმალო, რაა მერე
მეკითხებიან როდესაც – გიყვარს?
ვინ შემაჩვენებს თუ სიყვარული
დაბადებიდან და, დღემდე მიყვარს?!

ნანა ცინცაძე
პოეტი

სახადი

სახადივით გამომაყარა შენმა სიყვარულმა,
სისხლით გაიპენტა ურჩი ბატონები,
ტორეადორივით ააფრიალა ჩემი უძილობა,
სხივებს გამოაბა წითელი კვირტები....
მზერამ დანავიწყა ბებიის სიტყვები,
– მოუოხეთ ბატონებსო.
ჩურჩულით წაკითხული გამოლოცვა და ჩუმად ნათქვამი,
– ხედავთ ცაეძინა, აღარ აბოდებსო...
აღმოვაჩინე რომ ვილევი, არ ვიცი რატომ,
სურვილი ჩემში მიძინებულს აღვიძებს ატომს.
ის კვირტები კი დარჩენილ სისხლს მწოვენ მთლიანად,
მე წასვლა მინდა, მოლოდინმა დააგვიანა.
სიცოცხლის ფასად გაიპენტა სულში კვირტები,
სახადივით გამომაყარა ურჩმა სიყვარულმა...
აღარ მინდა მესმოდეს ბებიის სიტყვები:
– მოუოხეთ ბატონებოს...
რადგან დამარცხებული ტორეადორივით
წითელ ბაირაღად აფრიალებული
სიყვარულის სიკვდილი მიჭირავს ხელში.

2015

პროფილი

ვიპოვე მეორე ნახევარი,
ჩემი ნახევარი პროფილში,
მრუდე გზის მუდმივი მადევარი,
ახლა დაღალული ლოდინში.
ევრიკა! მომხდარა საოცრება,
ერთ მხარეს არა ჰგავს მეორე,
ერთი სიკვდილისთვის გამოდგება,
მეორე ყოფილი მეკობრე.
მარჯვენა ლოყაში შემომარტყეს,
მარცხენამ დააძრო ხანჯალი,
მარჯვენა ჩამქრალი ვულკანია,
მარცხენა ვნებების ხანძარი.
მაინც ერთდროულად გასცქერიან
დროის სათარეშო პრერიას,
ერთმანეთს ვერსაით გაქცევიან,
მაინც ერთმანეთზე მღერიან.
არადა,როგორ გამიჭირდა,
მეცნო ჩემი თავი პროფილში,
ერთი რომ მუდმივად არ იცდიდა,
მეორე კვდებოდა ლოგინში.

1999

* * *

სიზმარში ვნახე ჩემი მეტოქე,
მეორე ნანა, უფრო პატარა,
ვატყობ, ფიქრებში როგორ შევტოპე,
დღეს აღარ მინდა მეტის ატანა.
მინდა, მოვუგო თამაში წარსულს,
როცა დავრჩები ზღვა ხალხშიც მარტო,
ვერ შეველიე ჟამს დროგადასულს,
სეზამ.... გახსენი კარები ფართო.
გულს ავუჯანყდე? – უცნაურია,
ეს გული იტევს ორივე ნანას,
ბედი, ცხოვრებით უმადურია,
ჩემთვის აპრილი რომ დაენანა.
მე წამოვიწყე ომი ჩემს თავთან,
ხელში ორივე ერთად მოვიგდე...
თმაში შევნიშნე ვერცხლის სევადი
და დიდ ნანასთან ბრძოლა მოვიგე.

2000

ვართ პატიმრები

ჩვენ ვართ პატიმრები,
გვაქვს ორი საკანი,
ერთში სხეული განისვენებს,
მეორეში კი სული ფართხალებს.
სული აწვება სხეულის კედლებს,
და თავის დაღწევას ლამობს,
ხანდახან მიყუჩდება, მიწყნარდება,
ხან კი ვერ ისვენებს, ავობს.
ხანდახან ეწვევა ლამაზი ოცნება,
აკიაფდება იმედის სხივი,
როცა ჰგონია ზეცა გაეხსნა,
მაშინ უწყდება მძივი.
ჩვენ ვართ პატიმრები,
ჩვენი ბრალდებებით,
განაჩენს ვუმზადებთ საკუთარ თავს,
ჩვენივე სისხლით ვწერთ ჩვენს ეპიტაფიას,
ამიტომ ვერ ვუხდით სიცოცხლეს ვალს.

1992

მარტივი და რთული

ყველაზე მარტივი ყველაზე რთულია,
ურჩხულებს უპყრიათ ხელში საყვირები.
დრო უდროობაზე თუ გადართულია,
თუნდაც ჯვარს გამაკრან ვეღარ ავყვირდები.
მართალი ოდითგან ტყუილში იწვება,
სკიპტრის მფლობელია ყველაზე თავხედი.
გენია ამ ღამეს თივაზე მიწვება,
უნდა რომ მირაჟში დახატოს სხვა ხედი.
ნეტავ რამ არია ერთ წამში სამყარო,
უეცრად გამეფდა შავბნელი ქაოსი.
სულეთში მივდივარ, გიჟები ავყარო,
ჭკვიან იუდებთან უდროოდ დავოსდი.
როგორ დაიხლართა გზები სამოთხისკენ,
ზედაშის მაგივრად ცდუნების სიდრია
და ვის რა უნდა როცა გამოვკითხე,
ასიდან ას ერთი გენიის მკვიდრია.
დროა რომ გააღო მეშვიდე კარიბჭე,
ოლიმპზე ცოცხალი ღმერთები ტირიან
და ვისაც სიკვდილი სიმშვიდეს ანიჭებს,
დღეს ყველას მაგივრად ის გადაირია.

მამა

უცნობი კაცი შემომხვდა გზაზე,
მეგონა მამის მხრებით მელოდა.
სახლში ჩემს ცრემლებს მოწყვეტილს ბზაზე,
ვეღარაფერი ვეღარ შველოდა.
ვიგრძენი როგორ ბერდება სული,
სხვაში რომ ეძებს ნაცნობ სახეებს;
ჩვენი ცხოვრება, ისედაც რთული,
დროში დაკარგულ ძვირფას სახელებს
ზეცაში აკრავს საფლავის ქვებად.
სურს ვარსკვლავები ციდან აჰყაროს...
თურმე არც მაშინ არ არის შვება,
სხვის მზერაში რომ ეძებს სამყაროს.

ადამი

შენ ჩემი ჩონჩხის ნაწილი გქვია,
ერთ ნეკნს ეწოდა სახელად ქალი,
და სანამ კიდევ არ არის გვიან,
გადამიხადე გაჩენის ვალი.
დასაბამიდან გეძებ და მაინც,
წლები უშენო ყოფნით ავრიე
და თუკი სადმე გადარებ მაისს,
რატომ მიტოვებ კოცნას წამიერს.
ჩემი ცხოვრების დაღლილ ფრაგმენტებს
სულ, სულ აკლია ის ერთი ძვალი,
არ დაიჯერო რამეს ვამეტებ,
ეს მე გიწოდე, ძვირფასო ქალი..
მე უნეკნობას ვერ შევეჩვიე,
არ შემოგხვიე წელზე ხელები,
პატიებისთვის როცა მეწვიე,
დაგხვდი სხვა გრძნობით განახელები.
შენ სხვა არჩიე გრძნობას გათელილს,
არპატიება იცით ქალებმა...
გულში ვატარებ ცოდვას გამხელილს,
როგორ მოგიხდა ჩემი წვალება,
იმ დღის მერეა სულ რომ დაგეძებ,
აღარ შეხორცდა ძველი აიარა.
კვლავ შემეშალე... უკვე რამდენჯერ,
ძველმა სურვილმა გადამიარა.

2004

საზღვარი

ჩვენ ტრაგედიის საზღვართან ვდგავართ,
რადგან არ არის შვება სიკვდილი,
მე ოდილია... ოდიტას ვგავარ,
შენ არმანი ხარ ღონემიხდილი.
ღამე უბელოც მახსოვს რამდენი,
დღეს მინდა შენი გრძნობა მოვთელო,
თუ ჩემში ცხოვრობს გიჟი კარმენი,
რაში მჭირდება მკვდარი ოტელო.
რაში მჭირდება მომაკვდავ გედად,
ვიქცე, როდესაც გავგლეჯ ბორკილებს,
სიცოცხლით თრობა შემომრჩა ბედად,
გამქრალი ვნება ვერ შემომკივლებს.
შენ თუკი გინდა იყავი მკვდარი,
მე კი ყველაფერს ვიწყებ ხელახლა,
თურმე თერგივით ღრიალებს მტკვარი,
თუ სიყვარული მასაც ეახლა.
მე შეშლილებთან უნდა წავიდე,
რომ არ გაძნელდეს შენი ატანა,
თუ სიყვარულის ვალი დავიდე,
უნდა შევიძლო მზესთან ატანა.

2010

მზე მსტუმრობს

გულო, რას ითხოვ, ველურო,
გულო, არ დასვა წერტილი,
რომ ერთხელ კიდევ მესტუმროს,
მზე-ღრუბელს ჩამოწყვეტილი.
გულო, კვლავ თავი აიშვი,
გულო, ფიქრები გახედნე,
არ შემეკითხო რაისთვი...
სალ კლდეზე გადამახედე.

ისეთ სურვილებს შეები,
სულ ვნების ღამე მთიშავდეს.
ცხრა ციხეს გადავევლები,
რო თმები გადამიშავდეს.
შენც დაივიწყე ჭაღარა,
გულო არ დასვა წერტილი.
ჰაუ... შემოჰკრეს ნაღარას,
მზე მსტუმრობს თავაწყვეტილი.

2010

ცხელი გენი

ეს ლექსები... აჯანყებაა სისხლის,
ეს ლექსები... გოლგოთა და ჯვარცმა,
პატიება ვერ ვისწავლე მისხლის,
ვერც სურვილთა ნატვრის ხეზე აცმა.
ვერ გავკიდე დაზავების დროშა,
სულ ყორნები მიჯიჯგნიდნენ სხეულს...
ვატყობ, სულით დავიბადე ბოშა,
ვინ დამიჭერს შლეგს და გადარეულს.
ტრამალ-ტრამალ ვაჯირითე ცხენი
და სასურველს დასარწყულად გევნე.
მიტოვებულს, ჩემი ცხელი გენი,
ყორღანებში ქარით დაგადევნე.
მერე, როცა გზა გავხედნე გიჟმა,
ლექსთან ერთად ჩაგაწანი თმებში...
სურვილმა რომ გულზე დამაბიჯა,
კვლავ ვნებების ზღვაში გადავეშვი.

2010

ვინ ხარ?

თუ ხარ ისეთი, როგორიც უნდათ,
შენ სადღეგრძელოს სვამენ ჯამებით,
არა გაპატიებს არავინ იმ დღეს,
როცა გოლგოთას გალევ წამებით.
თუ კალმასობით აგროვებ იმ პურს,
რასაც სხვის კარზე ტოვებ ღიმილით,
მხარზე ეშმაკი ტვიფრული გიხურს,
როცა მათრახს გცემს ბნელში კივილით.
თუ შენ ტკივილებს იშანთავ მარტო
და ღამ-ღამობით ისინჯავ დამღას,
თან შენი ბედის ზეციურ პატრონს
არ აგრძნობინებ დარდსა და დაღლას;
თუ ამ უცნაურ წუთისოფელში,
ვერ დაგიმსგავსა ვერც ერთმა ევამ,
მოიძებნება სადმე იუდა
და პილატესთან ზეიმით შევა.

1995

ხელოვნება

რაც შექმნილია დიდებული ქვეყნად,
ყველას ახლავს ტკივილების ხიბლი.
მე მეგონა სიყვარული მეფობს,
თურმე მხოლოდ ქაოსია ირგვლივ.
ვერ ვუთვალე სალიერი მოცარტს
და ვერც პუშკინს ავარიდე ტყვია.
ვისაც ღმერთმა დაანათლა ნიჭი,
თურმე ქვეყნად მხოლოდ მსხვერპლი ჰქვია.
რის დუელი, რის ეჭვი და მტრობა!
თვითმკვლელობას ატარებენ თავად.
თანახმა ვარ პოლ გოგენის ბედზე,
რომ ვიცოდე, მათი გზით ვარ ავად.

არაგვი

რად დამღრიალებ, არაგვო,
გადარეული მთებშიო,
გინდა უღვინოდ დამათრო,
გინდა ჩამეწნა თმებშიო.
გინდა მიამბო ვაჟაზე,
ჭიუხვზე როგორ იდგაო,
მთვარის ალერსში გაათევ,
რად გინდა ჩემი რითმაო.
შენ თვითონ ახვალ ვარსკვლავეთს,
რო გაიხლიჩო ორადა,
შავის და თეთრის ანარეკლს,
იქ დაუდგები მონადა.
იქ ააშენებ ხევსურეთს,
მკერდზე გატარებს ფშავიო,
თუმც ცაში ღმერთებს ესტუმრე,
მიწის ნატრული ბღავიო...
და ამიტომაც არაგვო,
კლდიდან გიცდება ფეხიო,
რო მე უღვინოდ დამათრო,
თმებში ჩამაწნა მეხიო.

ევა

ქუჩაში მოდის ცოცხალი ევა
და ენატრება ნეკნი-ადამი,
მე მსხმოიარე ვაშლის ხის ტყვე ვარ,
კაცის ხელიდან დაუნამავი.
ჰო, ისტორიას შევრჩი ეპოსად
და დავდიოდი ურცხვად შიშველი,
ტანზე ვნებების კაბა მემოსა,
ეშაფოტზე ვარ, ვეღარ მიშველი.
მე ვმარცხდებოდი ზოგჯერ ომებში,
უფრო ხშირად კი მომქონდა ზავი,
მერე მიმღერდა ვიღაც სონეტში,
ვისაც ვეგონე უბიწო კრავი.
ხანდახან მაინც სხეული მტეხდა,
რადგან ვიყავი ნეკნის მპარავი
და მოდიოდა ვიღაცა ჩემთან,
არ მახსენებდა ის სხვა არავის.
შვილებს ვზრდიდი და ვარწევდი აკვანს,
მახვილს ვპარავდი თავად დამოკლეს,
ვინც მინდა მაინც არსაით არ ჩანს
და მარტოსული ვტოვებ სამოთხეს,
მაინც გადავრჩი... ცოცხალი ევა,
ადამის გარდა არ მსურს არავინ...
ქალს თუკი უნდა ეშმასთან შევა,
რომ ტრფობისათვის დასცეს კარავი.
ნეკნი ადამი-ცოცხალი ევა,
დასაბამიდან ცოდვების ტყვე ვარ.

1998

დიოგენი

დიოგენივით ჩავჯექი კასრში
და გადავაგდე სადღაც ფარანი.
არ გამჩენია ჭაღარა თმაში,
მე მარტომ ვიცი ჩემი ვარამი,
გამოგიტყდებით, აზრია ჩემი,
რომ მომავალი მოისპო ნოემ,
არ გამრავლდება მიწაზე სენი,
გადაშენდება ანი და ჰოე...
ღმერთო, გადავრჩი! ვეღარ ვიყვირებ,
აღარ არსებობს ფორმულა კაცი.
გვიან ვდგები და ადრე ვიძინებ,
შემომეჩვია დაღლილს ბარბაცი...
რადგან ყველაფრის მართლდება ეჭვი
და გულგრილობა გადიქცა სენად,
დღეს სულ ერთია გახმება ვერხვი,
თუ აღარავინ არ გაგიხსენა.
მე ამიტომაც ჩავჯექი კასრში,
დიოგენივით ვეძებ რჩეულებს.
გთხოვთ, გამარკვიოთ სიკეთის არსში,
პასუხს ვერ მოვთხოვთ გადარეულებს.

წამისოფელი

რაღაც უცნაური, ჯერ არ დანახული,
იქნებ ჩემეული, იქნებ სულაც არა,
ახლად გაჩენილი და უკვე მარხული,
გრძნობა მოვიდა და ძველი გადაფარა.
ოი, შემაშინა ჩემმა ურწმუნობამ,
ჩვენ ხომ სიყვარულით გვიპყრია სადავე.
მერე გამახსენდა სიტყვა ,,უგულობა"
და ფიქრში ოცნება კვლავ გავასადავე,
ცრემლი ტირილამდე სადღაც დამეკარგა,
თვალებიც გალახა მშრალად დანამული.
ხელში წინაპრების სისხლით დამექარგა,
ბებიის საფლავი, მიწა და მამული.
ახლა ხელოვნური ღიმილით დავდივარ,
პირჯვარს გადავიწერ ნათხოვარ ხელებით.
ატლასის ლოგინშიც გულაღმა ვაგდივარ,
ვეღარ ვიხიბლები მზით განახელები,
რადგან უცნაური, ჯერ არ დანახული,
გრძნობა მეპარება ალერსის ბაღიდან.
რა ვქნა, გამახსენდა სევდა დამარხული
და მივხვდი, წამება წამებად არ ღირდა.

შეცდომები

შემიცვალეს ბედისწერა,
სხვისი გზებით ვიარები,
სხვამ ჩემი მზე შეიფერა,
მე კი მისი იარები.
ვინც აკვანი დამირწია,
ვინც მეგონა დედაჩემი,
მისმა ლოცვამ არ მიწია,
ალბათ იყო განაჩენი.
ბედმა და-ძმაც შემიცვალა,
ვერსად ვპოვე ჩემი მსგავსი,
სულში ეჭვი შეითვალა,
ყველაფერი არის ფარსი.

ამერია დაწყობილი
ფიქრები და აზრთა კონა,
რომ მეგონა ჩემი იყო,
სხვისი ქმარი ჩამეკონა.
უყურებ და ვერ ვიცანი,
შვილში ჩემი სისხლის წვეთი,
როცა თავის მოკვლა ვცადე,
ჩემს მხარეზე დადგა ღმერთი.

ბედისწერამ გაიმეტა
ჩემთვის სხვისი იარები,
მისთვის ცაზე მზე ანათებს,
მე გოლგოთით ვიარები.

ცრემლები ობლის

ფურთხის კი არა, მეტის ღირსი ხარ,
შენ, საქართველოვ, პატივაყრილო,
ეს რა იუდას გზებით მიდიხარ,
ერთ დროს ერო და ახლა ნახირო.
არ მეცოდება შენი წარსული,
სიმართლეს არ წერს მემატიანე,
ბაზალეთის ტბის ვაჟი ოქროს თმით,
ისევ საშოში შევატრიალე,
გამოვიტანე ჩემი ვერდიქტი,
აქ დაბადება უნდა ავკრძალო,
ღმერთო! აქამდე რატომ ვერ მივხვდი,
რომ სხვის მამულში უნდა დავკრძალო,
ყველამ ვისთვისაც დაფნის გვირგვინი
არ მოიძია მიწაზე მშობლის...
გადაავიწყდა ქართველს ღიმილი
და თბილისს დასდის ცრემლები ობლის.

მტრედი

იქნება, ეს მტრედი საკენკთან მოფრინდა
და უნდა კენკოს სულის ნამცეცები...
მე მტრედის ფიქრების გაგება მომინდა,
კლანჭებად ჩავჭიდე მძლავრი საცეცები.
საბრალო... ისედაც გულივით პატარა,
ხელისგულს დაადნა როგორც ფანტელები,
მერე, ხელისგული ეგონა ქანდარა,
თითებს მიკორტნიდა ურცხვი გახელებით.
პიკასოს მტრედს ჰგავდა, ფრანგული მანერით,
უნდოდა ერთ წამში თავბრუ დაეხვია,
გალია ავუგე ქართული ფანერით
და მტრედიც ფიქრებში ისე გაეხვია,
რომ გადაავიწყდა სულიც, ნამცეცებიც,
გალიის ჩიტობა მონობად ატარა...
მე რატომ შევკარი მძლავრი საცეცებით?
რადგან სუსტი იყო და ჩემზე პატარა.

მიყვარს

ჩაცმულიც რატომ ხარ შიშველი...
ვინ დასვა ასეთი კითხვა.
ღმერთია ვინც ახლა გიშველის,
პასუხსაც ის გაგცემს, – ვინ ხარ.
რად გინდა დაღლილი სიტყვები,
ანდა უპასუხო კითხვა,
შარას უგზო-უკვლოდ მიჰყვები,
ერთად – ღიმილი და რისხვა.
დაგდევს კოშმარული სიზმრები,
თითქოს ზიზღით ავსებ კითხვარს,
როცა სიკვდილისკენ იხრები,
სიტყვა გადაგარჩენს: მიყვარს!
მიყვარს შეცდომილი კაცის ძე,
მიყვარს მოყვარე და მტერი,
მიყვარს, ვინც ვერასდროს გამიძლებს,
მიყვარს ობლის ბოლო კვერი,
მიყვარს მამაჩემის საფლავი,
მიყვარს ვინც მესროლა ტყვია,
მიყვარს ყველაფერი ამქვეყნად,
რასაც სიყვარული ჰქვია.

აქა ხარ, შინა

მე შევევედრე სამოთხის მკვიდრებს,
რომ ვყოფილიყავ მათი სტუმარი.
ვნახე კედელი ნაგები მკვიდრად,
მკადრეს უარი...
მერე ვინატრე ღრუბლებთან
ცაში ლაღად ნავარდი, ერთად გალობა,
სერაფიმს ვთხოვდი ზეციურ კავშირს,
არ ჰქნა წყალობა...
ჩუმად ვევედრე გამქრალ საბედოს
სულ ერთი წამით შეხვედრა მასთან,
ღიმილით მითხრა, აღარ გაბედო
გნახავო, არ თქვა...
როგორ მინდოდა მენახა დედა
და ერთხელ კიდევ მეკოცნა კრძალვით,
შეხვედრას ერქვა ფარული სევდა,
ძლივს შევხვდი მალვით...
სიზმარში ვნახე შორი ედემი,
დაღლილი ევა გველზე გამენდო.
კაცი მიშორებს როცა ვნებდები,
ალბათ, არ მენდო...
მხოლოდ სატანამ დამტაცა ხელი
და ჯოჯოხეთში დამიდო ბინა.
ყურად მესმოდა ჩურჩული მწველი:
– აქა ხარ, შინა...

ნინო უძილაური – მშენებელ-ინჟინერ-პედაგოგი
პოეტი, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი
დაბადების ადგილი – ყვარელი

ვაკოცებ, მერე....

დღეს ნუ დამიშლით ვნებიან კოცნას,
მთელი სიცოცხლე ველოდი რასაც,
თეთრი ღრუბლები ცეკვავენ როცა,
ფერი ეცვლება მიწას და ცასაც.

ბედნიერება იფრქვევა ჰანგად,
ბახუსი სიტყვის თქმასაც აპირებს,
ახლა მინდა რომ გადავთვრე მაგრად
და მივეხეთქო ტრფობის ნაპირებს.

დღეს ნუ დამიშლით ვნებიან კოცნას,
სიცოცხლე მიქრის, მუქდება დარიც,
ნუ მაიძულებთ აქ დიდხანს მოცდას,
ვაკოცებ....მერე ვიცოცხლებ მკვდარიც.

ზღვა ირხეოდა

ზღვა იყო წყნარი და ისე მშვიდი,
თითქოს დანებდა ცა დედამიწას,
ტალღებმა მზესთან გამართეს ფლირტი
და ათამაშეს ნაპირთან მიწა.

მე კი სიმშვიდით ვუცდიდი სათქმელს,
მაგრამ სათქმელი იყო ამაო,
მწველი სხივები ფერავდა ტალღებს,
ზღვაც ირხეოდა, როგორც მარაო.

თოვლს ელოდება თბილისი

ნისლში მოცურდა მთაწმინდა,
თოვლს ელოდება თბილისი,
ჯანდაბას, მგონი გაწვიმდა,
წამოითოვებს? ვინ იცის.

მომყვება ლამპიონები,
ქუჩას მინათებს ნამიანს,
სულიერიც კი არა ჩანს,
გზაც გულს ამძიმებს დარდიანს.

გადანისლულა მთაწმინდა,
ალბათ ითოვებს? ვინ იცის,
ჯანდაბას, ისეც გაწვიმდა,
ცაც მოწყენილა თბილისის.

იმსხვრევა დოგმა

გონიერება მიაპობს ზვირთებს,
იმსხვრევა დოგმა თავისუფლებით,
წრფელი აზრების წვიმაში ცეკვით,
მარწუხებისგან თავისუფლდები.

სისხლი დუღდება ბგერათა სმენით,
რითმა იქცევა გრძნობების ღმერთად
და მაშინ გივლის სხეულში დენი,
ლექსი რომ იწვის პოეტთან ერთად.

ფრთები ჰქონია...

ფრთები ჰქონია... ანგელოზის გაშალა ფრთები,
პატარა ბიჭი მზის სამეფოს უკვე ეწვია,
ცოდვილი მიწის შემზარავი გაისმა ხმები
და ცრემლის ზღვაში იძირება უხმოდ მზეწვია.

მარადიული სიცოცხლისთვის უმანკო კრავმა,
დედამიწაზე არ ისურვა ქორწილი მზესთან,
რადგან ჩამოჰკრა უფლის ნებით სამოთხის ზარმა
და ღმერთის შვილი ანგელოზად აფრინდა ღმერთთან.

04.05.2022

ღმერთთან საუბრობს კავკასიონი

ღმერთთან საუბრობს კავკასიონი,
თალხი მოუსხამს დღეს მზეს დარდიანს,
ზარებს დარეკავს ახლა სიონი,
ლოცვად აანთებს სიტყვას მადლიანს.

ფიქრად ჩავყვები დანისლულ ხევებს,
სადაც ავდარი გათელავს ღრუბელს,
სიმწრისგან ვიფშვნეტ მოცარულ ხელებს
და გაზაფხულის ვეღარ ვგრძნობ სურნელს.

ნეტავ რას ამბობს ღმერთთან მყინვარი,
ან მოწამენი ტანჯული მიწის,
მამულიშვილი ჩვენში ის არის,
ვინც სამშობლოსთვის სანთლებად იწვის.

შენით ვიცოცხლებ

გათენებულ დღეს ჰქვია სიცოცხლე,
ცხოვრება ღირდა სწორედ ამ დღისთვის,
ქვეყნად მე მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ,
რომ აგიშენო სამეფო მზისთვის.

უსაზღვრო გრძნობამ, უხილავ ზომით,
ისევ ჩემს გულში აგიგო ბუდე,
მე ვლამაზდები შენს გვერდით დგომით
და მაძლიერებს დედობის ზღუდე.

გამიფერადე ეს სიყვარული,
ღიმილით ვითვლი წუთებს და წამებს,
როდესაც თვალებს დაფარავს რული,
სიცოცხლე შენით გაინავარდებს.

17.12.2020.

შენთვის და ჩემთვის

რა მინდა ჩემთვის?
შენი სიცოცხლე ჰგავდეს გაზაფხულს,
რომ მიღიმოდე ატმის ყვავილად,
თვალებში გენთოს ბედნიერება,
ადამიანი იყო ნამდვილად.

რა მინდა შენთვის?
გული გიცემდეს სამშობლოსათვის,
უფლის ტაძარში ენთო კელაპტრად,
ანგელოზები როგორც ღვთის რჩეულს,
გიგალობდნენ და გიცავდნენ მარად.

უყვარხარ ამ გულს, მარად და მარად!

წითელი ვარდები

შენ რომ მომართვი,
ის წითელი ვარდები ახლაც,
აფრქვევს სურნელს და
ჩემ ოთახში იკავებს ადგილს...
როგორც სიმბოლო სიყვარულის,
ანთია სანთლად,
წარსულზე დარდი ამ ვარდებით
იცოდე, არ ღირს.

კი არ ჭკნებიან,
მზის სხივებით ცოცხლობენ თითქოს,
მათი სურნელი
ძველებურად ათრობს ჩემ ოთახს,
იქნებ ვარდები შენ სიყვარულს ისევე ითხოვს,
როგორც ეს გული...
უშენობით
ჩუმად რომ ოხრავს.

გული ქართული

წარსულო, იყავ სამიზნედ,
მიწავ, დღესაც ხარ ტანჯული,
სადაც მივდივარ დილის მზედ,
დამყვება გული ქართული.

ზოგჯერ ვმუნჯდები, ზოგჯერაც,
სიტყვები ზარებს რეკავენ,
არ დავიჩოქებ იქ, სადაც
უფალს გულით არ ხედავენ.

მუხლზე მოწვეთავს დღეს სისხლი,
მზეს რომ გულიდან სდიოდა,
შემოვინახე ის ფიცი,
ცრემლად რაც ჩამომდიოდა.

სამშობლოვ, ყველგან გულში ხარ,
სადაც გადავდგი ნაბიჯი,
შენ მთელს სამყაროს უდრიხარ,
როგორ მიყვარხარ, არ იცი.

ნინო უძილაური

დედოფალი ვარ

დედოფალი ვარ, შენ ჩემი მეფე...
ცისკენ მივყავარ მითიურ ელფებს,
თუ ვერ მიპოვნი, შენი ბრალია,
ჩემში ეს გრძნობა ახლაც მთვრალია.
მიყვარხარ... შენც თუ გიყვარვარ ისევ,
თუ სიყვარულით გულს ისევ მივსებ,
შენთვის მოვხატავ მომავლის გზებს და
ღიმილით ერთად ვიცეკვოთ მზესთან.
დრო რა უეცრად მიფრინავს ჩემო,
თუ სიყვარულში ერთმანეთს ვჩემობთ,
გავულამაზოთ სიცოცხლეს წამი,
ვიდრე სიკვდილი დღეს შეცვლის ღამით.
გაღმერთებ, ჩემი გრძნობის ხატი ხარ,
და ჩემს ფიქრებში მარტო ხატიხარ,
დედოფლის გვირგვინს მოვირგებ როცა,
ზეციდან ისმის თვით უფლის ლოცვა.
სიზმარში ახლა შენს თვალებს ვკოცნი,
გავაფერადებ სამყაროს ლოცვით,
ვგრძნობ, ძველებურად გიყვარვარ ისევ
და მეც ფიალას ამბორით გივსებ.

მზე საგურამოსი

გაანათა საგურამო, მზემ, ილიას გულიდან,
ამოხეთქა სიყვარულმა ზეციერის უბიდან,
მხოლოდ ერთი სხივი იწვა დედამიწის გულ-მკერდზე
და იმ ერთი სხივით წერდა სულნათელი ჩვენს ერზე.

უკვდავებამ აქ დახატა სიყვარულის პორტრეტი,
საგურამომ აამღერა ვერ ნამღერი სონეტი,
განმეორდა საუკუნის დროდქცეული მისია,
ჯერ ზვარაკად შეწირული, დღეს დიდების ღირსია.

მზე აენთო სატრფიალოდ საგურამოს ცის კარზე,
თან სხივები ათამაშა უღმერთობის მიჯნაზე,
კალამს ცრემლი დასდიოდა და მგოსანთა ენაზე,
იქმნებოდა ბრძენი სიტყვა საგურამოს მიწაზე.

მლოცველი ქალი

ტაძარში ერთი სულ იდგა ქალი,
ყოველ ცისმარეს და ყოველ ჟამთა,
იდგა მუხლებზე თვით ღვთისმშობელი
და იღვრებოდა სურვილად სამთა.

ჩამოქნილ თითებს ეპყრა სანთელი,
პირჯვარს იწერდა ხატება ხატთა,
თვალებში ედგა შუქი ნათელი,
შარავანდედად მაცხოვრის კალთა.

ზე სიყვარული არხევდა სიმებს,
გალობდა სული და ხმები ზართა,
ახშობდა გლოვას, ცაში კი წვიმებს,
ცრემლი სდიოდათ ამ ტაძრის კართან.

ცარიელია ალაგი ტაძრის,
ამ ერთ ცისმარეს და ლოცვის ამ ჟამს,
მუხლზე დაჩოქილ მლოცველი ქალის,
ზეციდან ესმის ჩურჩული ტაძარს.

მტკივა სამშობლო

მტკივნეულია სამშობლოს ცრემლი,
წარსულს გაჰყურებს მთები მეფურად,
დაღონებულა აწმყო მიწაზე,
ფრთამოტეხილი როგორც ბეღურა.

ვეღარც დაჩოქილს დავყვები ხევებს,
ვეღარც დარიალს ვუსწორე თვალი,
დარდად დაღვრილი დავყურებ ხელებს
და მთრგუნავს შორი კლდეები სალი.

მტკივა სამშობლო, როგორც იარა,
ღრიალებს თერგი დარიალს იქით,
წარსულმა გულზე გადამიარა,
ნასუფრალს შევრჩი დაცლილი ჭიქით.

ნეტავ სად ხარ

ნეტავ სად ხარ,
ამ გულს რატომ ენატრები,
იქნებ ფიქრთა გადმოლახე ჯებირები,
გულს მგლეჯენ და
საფლავს თხრიან ჩემი მტრები,
ვიცოცხლებო,
ვერ გპირდები,
ვერ გპირდები...

ნეტავ სად ხარ,
ნეტავ თუ გრძნობ, რომ მჭირდები,
არ თენდება,
უშენობით უკუნია,
ჩემ სიყვარულს,
ხომ იცი რომ, შენ გპირდები,
შენ მჭირდები,
კოცნას ვატან ფიქრთა ნიავს.

ნეტავ სად ხარ,
ახლა ისე გვიანია,
სარეცელზე გაწოლილა სევდა კრული,
ასე რატომ,
რატომ დაგიგვიანია,
თვალს ვერ ვხუჭავ,
თვალზე მკოცნის სევდის რული.

ნეტავ სად ხარ,
ნეტავ სად ხარ ჩემო ახლა,
უშენობით,
გულს მოუნდა
ტყვიის დახლა.

სისხლის წინწკლები

სისხლის წინწკლები,
მიწა აქაც ბრძოლით ტანჯული,
ფეხქვეშ ბორგავს და
ვერ ისვენებს გმირთა საძვალე,
ყაყაჩოები, თან რამდენი,
წითლად გაშლილი,
ყაყაჩოებსაც აქ დაღვრილი სისხლი აწვალებს.

მდუმარე ზეცა,
წითელ ფარდაგს ცრემლებით კოცნის,
სურნელი მიწის
სიამაყით მახსენებს წარსულს,
ბრძოლით დაღლილი
გმირთა სისხლი კოცონად იწვის,
ყაყაჩოები ლამაზ ზღაპრად არხევენ მათ სულს.

სიყვარულის სტრიქონი

„აი, ნამდვილი სიყვარულისთვის
ყოველთვის ღირს ბრძოლა
და არავინ არ თქვას,
რომ სიყვარული ომი არაა“....
გოდერძი ჩოხელი

მალე არ ღამდებოდეს,
მალე არ თენდებოდეს,
შენს მკლავებზე მეძინოს,
ტუჩებს კოცნა წყდებოდეს,
შენი ტანი მფარავდეს,
შენი სუნთქვა მესმოდეს,
მზის სხივები ღრუბლებში,
სიყვარულზე მღეროდეს.
ვნების ალში მხვევდე და
დილის ცვარით მნამავდე,
მარადიულ ტრფობისთვის,
ხან მთვარესთან მმალავდე;

ზღვას ფეხებთან მირწევდე,
ღრუბლით ტანს მიფარავდე,
წვიმის წვეთით თვალებს და,
მთელ სახეს მინამავდე,
შენთან ყოფნის წუთები,
არასოდეს ქრებოდეს,
ვნებიანი ჩურჩული,
აღარც მენატრებოდეს.
სიყვარულის სტრიქონებს,
თხზავდე გემეტებოდეს,
თან მიწნავდე გვირგვინებს,
მზე სიცოცხლით ტკბებოდეს.

ყანობთან თერგი

თერგი და დილა მიყვებიან ღამის ოინებს,
მზე იმალება ქაბარჯინას მოლურჯო ქიმზე,
ცელქი ნიავი დასთამაშებს ზღაპრულ სამყაროს,
ზღაპრული დილა იხატება ყანობის პირზე.

გრძნობააშლილი მამულისთვის კოცონად ვიწვი,
მშვენიერია უსასრულო ფიქრთა თარეში,
ყაზბეგს გაჰყურებს თერგის ჰანგზე ყანობი, ვით ცის,
უსასრულობად მოხატული მზე ამ მხარეში.

ცად ლოდინი

რა საჭიროა
ხმამაღლა ვთქვა გულის ძახილი,
ერთადერთი ხარ, უხილავო,
რამდენის მთქმელი,
შენზე ვლოცულობ...
ქვეყნად თვალი რაც გავახილე,
და წყალობასაც აწ შენგან ველი.

შემომციცინებს
ძირს დაყრილი ფოთოლთა ჯარი,
რომელიც მალე იქცევა ბორცვად,
მათი სული კი,
სამოთხის კარით,
ცად ამაღლდება,
ღვთისადმი ლოცვად.

ცდებით ბატონო

ქალებს სიყვარული აწვალებთო,
დიახ, არა სცდებით ბატონო.
სევდა ჩადგომიათ ამ თვალებსო,
არც ეგ გეჩვენებათ...ბატონო.
ქალებს სიყვარული გვამოძრავებს,
საზრდოც სიყვარულით გვეძლევა,
რომ არ ყოფილიყო სილამაზე,
ღმერთი ამას როგორ შეძლებდა?!
ქალის დედოფლობა ნუ გაკვირვებთ,
როცა მეფის გვირგვინს ისწორებთ,
სადაც კაცის აღიარებთ,
სცდებით...მწარედ სცდებით, იქ სწორედ.
ქალებს ერთგულება არ უნდათო,
ხშირად იმეორებთ უნივთოდ,
ამით რა გსურთ, ანდა რის თქმა გსურდათ?!

ქალიც პასუხს გაგცემთ უსიტყვოდ.
მხოლოდ სიყვარულად ანთებული,
გრძნობით მონაბერი ზეფირი,
გრძნობა, თქვენც რომ ასე გალამაზებთ,
ეგეც ქალს ეკუთვნის, ზე-ფრთხილი.
მისი სუსტი მხრებით, ის ძლიერი,
კაცის დასაყრდენი ბოძია,
სიტყვით არ დატოვო არც მშიერი,
სიტყვით თვალებიც კი გკოცნიან.
ქალებს სიყვარული ასწავლეთო...
აქაც ძლიერ ცდებით ბატონო,
ქალის სიყვარული თქვენ ისწავლეთ,
იქნებ ბატონობა აწონოთ...

ცხრა აპრილი

ცხრა აპრილი, სისხლი ძარღვში გაიყინა,
და სიკვდილმა მოინდომა აქ თარეში,
კიდევ ერთი თავგანწირვა გაიწირა,
კიდევ ერთხელ მზე ჩაგვიქრეს ამ მხარეში.

შეწირულთა გული მიწას უსალბუნებს
და წვეთ-წვეთად, უმანკოთა სისხლით ნამავს...
ზეციური საქართველო დღეს დამუნჯდა,
ზეციური საქართველო ცრემლებს ყლაპავს...

მარადიულ სასუფელის კარს აღებენ,
საფიქრალად კვლავ სამშობლო დარჩენიათ,
ღმერთს მხურვალედ საქართველოს ავედრებენ,
დაჩეხილ გულს მტრის ნიჩბები ამჩნევია.

ცხრა აპრილი, სიამაყის და ტკივილის,
ერთობის და თავგანწირვის თარიღია,
მიწიერი საქართველოს სისხლი ყივის,
ზეციერის კარი ერთად გაგვიღია.

ბალადა

(ნამდვილი ამბავი)

სიტყვა გავარდა მეხივით,
ძმამ ძმა დაკარგა ხევსაო,
საძებრად მარტო წავიდა,
ფიქრს არ წაეღო ბევრსაო.
მთა-მთა და ხევ-ხევ იარა,
მუხლჩაუხრელმა გზებსაო,
ბოლოს მიაგნო ალაგსა,
სადაც მისი ძმა წევსაო.
სიკვდილით გამწარებულმა,
შეჰბღავლა: ვაჰ ჩემ ბედსაო,
ნადირთ საჯიჯგნად დაგდებულს,
ვერ გავიმეტებ მტერსაო.
ბეჩავო, ბედმა გაგწირა,
სიკვდილ გვაშორებს ძმებსაო...
მკლავი მოჰხვია, ჩაიკრა,
თან უკოცნიდა მხრებსაო,
რომ ვერ აზიდა ვაჟკაცი,
პირქვე დაემხო ხევსაო,
ატირდა დედაკაცივით,
როგორ დავჩეხავ ძვლებსაო.
ბინდი ჩამოწვა ხეობას,
ნისლი ფარავდა მთებსაო,
მაინც მოჰქონდა ცხედარი,
ძმის სისხლი ბანდა მხრებსაო.
დაჭრილს და დანაკუწებულს,
თან ავედრებდა ღმერთსაო,
სიკვდილთან თანაზიარი
ნატრობდა მხოლოდ ერთსაო –
ასეთსა ჭირისუფლობას,
მტერს არ ვუსურვებ ჩემსაო.

გავთავისუფლდი...

გავთავისუფლდი,
დარდი უკან შემოგაყარე,
დავცილდი ლოდინს,
მონად ქცეულ შენ აზროვნებას...
მჯერა, ღვთის ნებით უკეთესი დადგება ხვალე
და აფეთქებულ სამყაროსთან გავშლი ამ ვნებას.
შემომაჩერდი საუკუნის ნაფლეთი მზერით,
ვერ აიტანე სილამაზე ვარდების ბაღის,
ვერც სიომ მთისამ ვერ მოგხიბლა ჯადოსნურ ბგერით,
დარჩი წარსულში შეცდომებით...
და შენთან არ ღირს...
დატყვევებული მზის სხივები ვითვალოთ ერთად,
ცისფერ ალიონს ცრემლიანი უმზერდეს თვალი,
გავთავისუფლდი...
დღეს იმედი დაბრუნდა ღმერთად
და შენ სიყვარულს დავუტოვე უვადო ვალი.

გალაკტიონი-მეფე მუზათა

რა უფლება მაქვს დავივიწყო გალაკტიონი,
რა უფლება მაქვს ავედევნო ცად ლურჯა ცხენებს...
მას მერე ჭყვიშთან არ ბობოქრობს ისე რიონი,
რომ დაემსგავსოს წყალს მოვარდნილს და განახელებს.

ცაში ატყორცნა სულის სხივი და მესაფლავედ,
დატოვა დროსთან მოთამაშე მონანიება,
მეფემ მუზათა, მეფემ ლექსთა, მეფემ მზის ტახტთა,
დედამიწაზე უკვდავ სულად ყოფნა ინება.

17.11.2021

გომბორი

გომბორს უხდება სიმწვანე მთების,
გზები ულევი და უსასრულო,
სიმღერა შენზე...როგორ მიყვარდი,
ამ სიყვარულსაც უყვარხარ უფრო.

გომბორი რჩება ცის გასაყართან,
მომდევენ შენი სულის რითმები,
მე მეყვარები ისევ და მარად,
ვგრძნობ, მეხებიან შენი თითები.

დარდი ქუჩას

მიუყვება დარდი ქუჩას,
გზად ქსოვს ქსელის აბლაბუდას,
თვალი ვისაც გააყოლა,
საგზლად ატანს დარდის გუდას.

ზოგსაც სევდას შემოახვევს,
გატანჯავს და გააწამებს,
სიყვარულს ტანთ შემოახევს,
ძლივს შეკერილ ფარჩის კაბებს.

ატირებს და ცრემლად დაღვრის,
დაუსველებს ხშირ წამწამებს,
თუ შემოგხვდეს, მენდე, არ ღირს,
დარდს ატანდე ოქროს წამებს.

თვრება სიცოცხლე

ქარი აცეკვებს ფოთლებს მიწაზე,
ცას სიყვარულად აენთო მთვარე,
ღამე დაახრჩობს ქალის სინაზეს,
რომ მოგონება გაფანტოს მწარე.

ფარდად ეშვება ნისლები მთებზე,
ალიონს სტაცებს ნათებას მწუხრი,
ტვირთი ჰკიდია სიცოცხლეს მხრებზე
და ეკვეთება სიმძიმით მუხლი.

გარდაიცვალოს უნდა სიკვდილი,
რადგან ფოთლები ცეკვავენ ქარში,
თვრება სიცოცხლე ბებერ მიწაზე,
როცა ბახუსი ღვინოს სცლის ჯამში.

მერე წახვალ და...

მერე წახვალ და... იტყვი ვუყვარდი ნინოს,
სევდისფერ ღრუბლებს ცრემლს გამოატან ბევრს,
თავად დაისხამ ტრფობით დაფერილ ღვინოს
და გაიხსენებ წარსულს, ბედნიერ წლებს.

მე კი წავალ და... დავწერ ვერნათქვამ სტრიქონს,
დავუცდი დროს და ჩემად გასავლელ გზებს,
მერე სიმშვიდით გავყვები ბილიკს იქ... შორს,
სადაც არავინ აღარ დამითვლის წლებს.

უცხო მიწაზე

ასე მგონია იქ ვდგავარ სადაც,
ჩემი რწმენის და სულის კარია,
უფალი ზეცით მიხმობს გალობად
გულსაც ამიტომ გაუხარია.

ციდან სიცოცხლის დაეცა სხივი,
უცხო მიწაზე დღეს სხვა დარია,
ქართული სული, ქართული გენი,
მარადიული და უკვდავია.

17.06.2022
კაბადოკია

ქარვისფერია ახმეტა

ქარვისფერია დილა ახმეტის,
მზე შემოდგომის სხივებზე მარწევს,
სიყვარულია ახლა აქ მეტი,
რადგან სამშობლო ზედ გულზედ მაწევს.

მთები, ველები და ყურძნის ზვრები,
ათამაშებენ ფერებს ცის ნამზე,
ხარბად ვსუნთქავ და სიცოცხლით ვთვრები,
მღერის ბახუსი დოქის წამწამზე.

ქარვისფერია დღეს დღე ახმეტის,
სიყვარულია ახლა აქ მეტი.

შვილის თვალები

მეტი რა უნდა ვინატრო,
გაცისკროვნებულ თვალებით,
შვილს ვხედავ, პირმშოს შეჰხარის
ბაგეს უმშვენებს ლალები.

ლაღობს სიცოცხლე სიმრავლით,
მზე ცეკვავს ფერად სხივებით,
ღმერთო ნუ მოშლი ნურასდროს,
დედა ტკბებოდეს შვილებით.

ხარობდეს შთამომავლობით,
ალგეთს დაზარდოს ლეკვები,
ქრისტეს მცნებათა წამლობით,
სულს მოაცილოს ეკლები.

მეტი რა უნდა ვინატრო,
მარტო ეს დამრჩა სათქმელი,
დედაშვილობის სახელით,
სულ გვენთოს წმინდა სანთელი.

სალომეა ლომინაძე
პოეტი

* * *

ქარების იქითაც ქარებია,
წვიმების შიგნითაც წვიმს,
ლექსივით
არაფერი მყვარებია,
ლექსივით არაფერი მწყინს...

ლექსია,
ქარს იქითაც ქარი თუა!..
ლექსია,
წვიმებშიც თუ წვიმს!..
მის გამო, არავინ რომ არ მიგუა,
(და მაინც, რომ მიყვარს და მწყინს)!

დაგთმე!
გაგეცი!
დაგთმე ...

უკვე იმდენჯერ გაგეცი,
უკვე იმდენჯერ დაგთმე,
რომ ხეტიალით გაცრეცილს
გზას უნდა გავყვე სადმე,
სადმე შორს, სადაც არ წერენ
არაფერს, ლექსის მაგვანს,
არასდროს გადაარწევენ
მეტაფორების აკვანს.
ლექსები ჭორებს მიგორებს,
მათ ვერა, შენ კი გთმობ და

წუხელ ვკინძავდი სტრიქონებს,
რადგან უღმერთოდ თოვდა...
დილისკენ ისევ გაგეცი,
დაგთმე დილამდე ისევ...
ქარს ვატან ფურცელს გაკეცილს
და ქლაიდერმანს ვისმენ...
მაჟორულს ჰანგზე მიაფრენს
ქარი ჩემს წერილს ცისკენ,
ქალი თავის ქმრის პერანგს ჰფენს,
მე – ქლაიდერმანს ვისმენ...

ასაკი...

✧

რა მატყუარა ასაკის ვარ და
ეს რიცხვი რამდენ ტყუილს ინახავს...
ისე ვიგემე სუყველა ვარდნა,
ერთი გაფრენაც კი არ მინახავს!..
ტყუილი იყო მაშინ ის ოცი,
ის ოცდართი და ეს ოცდარვა,
ასე შევჭამე ჩემივე ხორცი.
ჩემი სულისთვის მე არ მოვმცდარვარ!..
სხვის სახლში მძინავს უკვე წლებია,
წლებს საუკუნეს რაკი ვადარებ,
ჩემი შვილები დარდზე წვებიან,
ჩემს ნამსხვრევებზე სძინავთ პატარებს...
ასაკო ჩემო, ასაკო ურცხვო,
რა დიდებულად ირგებ განაჩენს,
ჯერ შვილებს მჭადის კვერებს დაუცხობ
და არ პასუხობ მერე მამაჩემს...
მიდი, უთხარი მამას ან დედას,
ვინმე მეგობარს, ძმას ან ბებიას,
რომ ეს ასაკი დაათრევს ცხედარს,
რომ ბავშვობაც არ დაგბედებია.
ხვალ რას აპირებ ქალი–პეტარდი,
საით სიარულს აპირებ ნეტავ,
პოეტობასაც ვერ გაბედავდი,
მაგრამ ურცხვი ხარ,
ურცხვი და
ბედავ!..
მე მატყუარა სახისა ვარ და
მას არასოდეს გავუყიდივარ,
თუმც განმიცდია ისეთი ვარდნა,
რომ დედაჩემზე ბევრად დიდი ვარ!
ხელჩაქნეულთა...
დაკარგულებმა უკეთ იციან
ხელის ჩაქნევა როგორიც უნდა,
ღმერთო,
შენ იცი რაც გამიცია
ისიც,
სანაცვლოდ რა მცირე მსურდა...
დღეს, ხელჩაქნეულს არა მაქვს გზები,
ჩემი სავალი – ქარაფებია,
და მინდა ვწერო ისეთი გზნებით,
გადაჩეხვაც რომ არაფერია...
იმგვარად ვწერე გაიმზე, გაცზე,
თითქოს შვილები სამსხვერპლოს მყავდა,
მაგრამ ვერაფერს ვეღარ ვწერ კაცზე,
თავდავიწყებით რომ შემიყვარდა...
მიმყვება დარდი დაკარგულ ჭერზე,
არ უწერია ჩემს წარსულს გლოვა,
რეალობაში ვერასდროს შევძლებ
იმას, რაც მერე ლექსებში მოვა...
აღარ შემორჩა ჩაქნეულ ხელებს,
აღარც სურვილი და აღარ ძალა,
ეს ქალის შხამიც ისე მახელებს
– წადიო!..
ჰოდა ქარაფით წავალ.
დაკარგულებმა კარგად იციან,
ხელის ჩაქნევას რა ძალა უნდა...
ღმერთო, რამდენი რამ გამიცია
ხოლო სანაცვლოდ რა მცირე მსურდა...

✧

ამასობაში
ვისწავლე ლოცვა
და უფლისადმი მადლობის წირვა...
გადაყვლეფილი მუხლებით ვცოცავ
და მაინც ერთი ნაბიჯით წინ ვარ...
ხომ ხედავ,
როგორ დამწრიტეს,
გავშრი,
მზეგამოწველილ მკერდზეც დამხედე,
ამოიცანი ჩემ სულში ბავშვი,
რომელიც ასე გაათავხედე.
ნეტავ ამ მკლავებს რაღად გინახავ
არსაითის გზად ვნებებს თუ ვხოცავ,
თუ ამ უკუნში ვერ დამინახავ
და თუ არ გესმის პოეტის ლოცვა.
ბედის ტალღებმა ჩამიხსნეს ხიდი,
ვით გაიმეტეს ის ერთი ბეწო...
გადაკარგვამდე ცხრაკლიტულს ხსნიდი,
რომელშიც მხოლოდ ლექსები მეწყო.
ხომ მოისვენე ჩემი ხის ჩრდილში,
ბოლოს ბონსაი რომ შერჩა ხელებს,
არაფერია, სიკვდილი შიში
ერთ ორ ლექსს თუკი ამომახველებს.
ჰოდა ნუ სწუხხარ და ფიქრობ ნუღარ,
რის ვედრება და მადლობის წირვა...
ჩემი სამყაროს კიდესთან თუ ხარ,
ფეხი გადმოდგი – ნაბიჯით წინ ვარ!

✧

მესაფლავემ რა იცის?!
მესაფლავემ რა ნახა?!

ახლადდაქვრივებულო, ქალო შავთავშლიანო,
ამ სულელმა ზამთარმა სოფელს თალხი გახადა,
ისე ფიფქავს ორღობეს, თითქოს სუფრას შლიანო,
მე კი უფლის სამართლის დამლოცველი გამხადა.
ახლადდაქვრივებულო, თხელო ქალო შავებში,
ნუ შეგრცხვება სითეთრის, თავშალს ნუ დაიბერტყავ,
გაუყევი ორღობეს, მერე შენს მკვდარს მკვლავებში
ჩაუგორდი, გუშინ ხომ უთხარი, რომ ისევ გყავს.
ახლადფრთამოტეხილო, ქალო სევდისამარა
ნუ გაშინებს სითეთრე, უკან რისთვის ბრუნდები?
გაუყევი ორღობეს, თქვან – გაგიჟდა თამარა
და ჯერ კიდევ თბილ საფლავს დაუშენე გუნდები.
ნუ გაშინებს სითეთრე – ყველაფერი თალხია,
ახლადძუძუგამშრალო ქვრივო ქალო თამარა,
გამო ნახე ხეები, სირცხვილისგან თავს ხრიან,
დასცქერს გაფითრებული ცის მწუხარი კამარა.

ახლადდაქვრივებულო ქალო ძაძისფერება,
მესაფლავემ რა იცის? მესაფლავემ რა ნახა?
არემარიამება მკვდარზე დედის ფერება,
მას რომ კაცი ეგონა შენი ღმერთი დამარხა.
ჰოდა შავი ძაძებით ამ თოვლს რად ემალები,
იმ ძუძუს დაატირე, ახლა რომ გაგიშრება,
დააყვედრე სამყაროს მისი მწვანე თვალები
და ეგ შენი ძაძებიც ჩვილის აკვნის გიშრებად
რომ ატყვია სამყაროს – შენ სიგიჟეს ვინ ჩივის,
ამ სულელმა ზამთარმა, რა უდროოდ ათოვა,
დაუშინე გუნდები ხათრით, თუნდაც იმ ჩვილის
შენმა ქმარმა წუხელის სიზმრად რომ გაათხოვა.
ახლადდაქვრივებულო, ვიცნობ შავთავშლიანებს,
გამოყევი ორღობეს, წამო წავიგუნდაოთ,
ქარია თუ სულია, ყურთან რომ გიშრიალებს,
მესაფლავემ რა იცის...
– გიჟიაო უდავოდ –
იტყვის, ხელებს აიქნევს, ხელებს – ღმერთის მმარხველებს,
წამო ქალო, კი არ თოვს, დედამიწა გაფითრდა,
განა ქარის ხმებია, შენი ქმარი ახველებს,
შენ კი, შავთავშლიანო – გუნდაობაც არ გინდა.
მესაფლავემ რა იცის, მესაფლავემ რა ნახა,
სიზმრად არ სტუმრებია ნეტარების ნავარდი,
მან უბრალო კაცივით შენი ღმერთი დამარხა,
ჰოდა, წამო თამარა,
წამო, მუხლზე დავარდი,
დააყვედრე სამყაროს შენი მწვანეთვალება,
ზამთარს უსაყვედურე, უთხარი, რომ არ კმარა
და როდესაც საფლავებს შორის მიიმალება
მესაფლავე, მე და შენ ვეგუნდაოთ თამარა
შენს ქმარს, ახლა რომ შვენის ეს სითეთრე ზამთრისა,
ახლდადდაქვრივებულო,
სულ ახალო,
ამთვისა...

პოეტის ქმარი...

წერდა და სახელს ვერ უძებნიდა,
რჩებოდა ლექსი სახელის მიღმა,
ლექსი კი არა, უფრო... ნერვიდან
დაბადებული ახალი ნაღმი,
რომელზეც, ხვალ-ზეგ, იფეთქებს ჭორი,
და ზედ გაივლის პოეტის ქმარი,
იქნება ალბათ აღდგომის სწორი
ან უფრო ზუსტად, აპრილის სამი.
ჰო, ამ თარიღზე იფიქრებს დიდხანს,
და სულ სხვა რიცხვით დაათარიღებს,
მერე, პირველად, ქმარს წაუკითხავს,
ქმარი კი უსმენს
და ხმას არ იღებს...
და იბადება ნაღმი ნერვიდან,
უსათურო ლექსების სახით...
ლექსი კი არა,
სტროფსაც ვერ იტან,
როცა სხვის სულში არა გაქვს სახლი...
ლექსი კი არა, არ გინდა ბწკარი,
ვერავინ ვერ გრძნობს იმის სიმძიმეს,
პოეტს არა აქვს ისეთი კარი,
რომ შეაღებს და
მშვიდად იძინებს...
და ახლოვდება აღდგომის სწორი,
და უფრო ზუსტად აპრილის სამი,
ლექსებს ნაღმებად ალაგებს ცოლი
და
ყოველ ნაღმზე ფეთქდება ქმარი...

შენ, მამაჩემო!

შენ, მამაჩემო, ჩემზე რა იცი?
არც არაფერი – ობოლი მქვია.
და ნურც იდარდებ, თბილად ჩაიცვი,
„გამიცივდები“ ადრე თუ გვიან.
მა, შევიყვარე უშაქრო ყავა,
გაძლებას ვსწავლობ თითქოს მე ასე,
პირველად კაცმა რომ დამიყვავა,
გაბრაზდი, დღეს კი უკვე მეასე
კაცი მამშვიდებს... ჰო, მიალერსეს.
გული მიმდის და ვერსად წამივა,
ვწერ „მორზეულად“ უაზრო ლექსებს,
ხან საუკუნე, ხანაც წამი ვარ.
აქ ყველა ჭორი შენს შვილზე დადის,
აქ ყველა ქალი მე მწყევლის, მამა.
რომ გვაძლიერებს, დედაც იმ დარდის,
შენ რა გითხრი დალაი ლამა.
როცა ქალაქში შხაპუნებს წვიმა,
შავი ფარდებით ვაბნელებ ოთახს...
ვინიშნავ ყველა „უზომო“ წვრილმანს,
და მერე ასე, ლექსებად მოვთქვამ...
ხან ცისარტყელას ვხატავ, ორზოლას,
ის ხუთი ფერი ზღვაში წვეთია.
არ შემიძლია იმის მოზომვა,
რაც საარსებოდ გადამწყვეტია.
ჩემს თავს ვექეცი მემატიანედ
რაც კი დავწერე, ნელ-ნელა ხდება.
ზოგჯერ სასმელი გამატიალებს
და შენი გოგო ხიდიდან ხტება.
მინდა შემოვკრა, ავაფაფხურო
ფრთები ჩემს მხრებზე, ჯერ დაუცდელი.
მამა, სუდარა არ დამახურონ,
არ მინდა რომ თქვან, ვერ გავუძელი.
მაგრამ როდესაც შიშით ღმერთებზე,
საუბრობენ და ჯვარცმას უცდიან,
ძნელია, იყო მათთან მეთევზე,
ბადეში ყოფნაც რომ განუცდია.
ჩემს ღმერთს არ უყვარს შუამავლები,
არავინ იცის, რომ მე მაგი ვარ.
აყივლდებიან, ვიდრე მამლები,
საფლავებს შორის კვერთხით დავდივარ.
მამა, შენს შვილზე, რა იცი შენ და
რა იცის დედამ? რატომ და როდის?
ჩემში საყდარი ისე აშენდა,
რომ სალოცავად არავინ მოდის.
იქნებ შენდობაც არ არის გვიან
ასეა, როცა მოყვარედ გზრდიან,
მტარად გამოზრდილებს ვერ ეგუები.

ვაჩე რაინდელი (ილია ჭკადუა)
პოეტი

მალე გაზაფხული მოვა

„მალე გაზაფხული მოვა“,
მალე მზე გამოშლის კვირტებს,
ზამთარს შეუწყდება თოვა
და ტყეც შემოისხამს მძივებს.
როცა თვალს გაახელს ია
ცვარნამს მოიწმინდავს პირზე,
შენი თვალებია ღია,
გულში საყვარლად რომ მიმზერს.
სიო მიეპარა ფრთებქვეშ,
თვალებ თბილ სინორჩის კოკორს
და მეც დაგინახე მზის ქვეშ,
სულთან გაზაფხული მოთოვს.

2015 წ

ქალგულ

ნაღველ ვერ გამავიჩეხე,
ამღამ მივყვები ღამეს,
მჭირვალ გზას ვზარდე ვაჩე ხე,
მრავლად შავუყევ ღრმა მეს.
ჯავრმა ჯავრს სისხლი ადინა,
გლოვ მესმა, იმა მზის სწორის,
მეხმა, ჩემფერმა გამდინა,
ლომგულავ მახვილ კლდის’წონის!
ქალგულ მხვდა, ცრემლ მალ გამიშრო,
გათბივ, მამშვიდნა, დამაძინ,
მასმივ მზის სხივი, ცა პირო,
სურნელ მამაწვდინ, საცა’მძინ.
შენავ ხარ გულას მალამო,
მადლ ვწირე ზეშთას შემქნელის,
ყვავილ მაპკურე გულსამოს,
სულსა ნაწამებ მიმშველის.

ნათლის ყვავილო

დავეძებ ტყეში დაკარგულ ყვავილს,
სად მდუმარების წამი კიაფობს...
და ვისმენ ჩურჩულს ლოცვაში აღვსილს,
სადაც მზე ჩადრით წყვდიადს მიაპობს!
სად მშობლიური თეთრი ნისლია,
წმინდა სიცხადე გულში ტარდება,
მე ისევ ვივლი როგორც მივლია,
მდევს ზეციური განავარდება!
ამაყად იდექ ნათლის ყვავილო,
არ მოუდრიკო ბნელეთს კისერი
რომ მზის სიკეთით კვლავ იყვავილო
და ლამაზ ფერებს შერჩე ციერი.
ჩემ ლექსს ფერებით შენ აკოწიწებ,
სამყარო ნაცნობ კოსმოსით მიმზერს
და თუ იმედის სუნთქვას მომისწრებ,
გარდამატარებ გარდამტეხ იერს.

2017წ

სურნელი ვარდის

მზისფერ ბილიკზე ამღერდება ეგ შენი რაში,
მზერით განაბულს გეპარება ნაფენი მთვარის,
მაგ თვალებს მორცხვად ეფინება ცისფერი მარში,
მადლიან სახეს გეფინება სურნელი ვარდის.

ნაზი სიამით გამოთლილი შენი თითები,
უხვი მდინარის გამჭოლ ნარეკლს ეფერებოდა,
მესმოდა ხმები, წყლიან თვალებს როგორ გითბები,
კოსმიურ სიტყვებს თანალმობით კოცნი ზემოდან.

გატკბობს ციურად აღტკინებულს ჩემი რითმები,
ზეცის ღიმილით იღვრებოდა მადლი ზემოდან,
ფურცლებს მიფერავ, ნაზ ბგერებით გულში გითბები,
ჩემი სიტყვები ძალმოსილან ნათლის გემოდან.

მე სუნთქვაშეკრულს შენი სული მამხელს მკრთალ სევდად,
შემომხვეოდი თავგანწირვით, ცად მზემ იელვა,
უცხო ნაპირთან იდუმალი გოგონა შემხვდა,
მისი სურნელით დამიფარეს თითქოს იებმა.

სურვილისაგან აფრთხიალდა ჩემი არწივი,
გამორკვეული მთვლემარ ნისლებს, შლიდა, გალობდა...
ცისკენ იშვერდი მახსოვს თითებს და სულს აწვდიდი,
რომ ზეციური უფლის კალთა გადმოგვფარვოდა.

ალმოდებული გამიცოცხლდა გული ეული,
იდუმალ ლტოლვას ასტეხოდა მიჯნურთ ზეობა,
უჩინარ ჰაერს მიაპობდა შენი რჩეული,
თავისუფლების შარავანდედს იგი ემოსა.

სული ყვავილთა მახლობელად ჩვენ გულს ეფინა
და ამ სიყვარულს ვით იარაღს კვლავ იყენებდა.

შემოდგომის აღსარება

მარად ეპოქით გავემგზავრე მზის სამყოფელში,
ლამაზი იყო შემოდგომის ეს აღსარება...
შენი თვალები ცრემლიანნი დამრჩნენ სოფელში,
იმალებოდა ფიქრის ზღვაში ხსოვნის სერობა.
გარდაცვლილიყო მდუმარების ვრცელი ნუგეში,
ნაზ ცრემლთა რვალში დაგეფინა ცით სასოება...
სასოწარკვეთა აღიბეჭდა ღრუბლის გუგებში,
სადღაც ისმოდა მწარე ხვედრი ბრმა ექოებად.
არაფრის ყოფას გაემიჯნა ხავერდის ჟამი,
ვიწრო ბილიკით გაჰყოლოდა ზეცის ზმანებას,
მოვარდნილიყო ქარიშხალი ულმობელ წამით
და გულს უმღვრევდა ჰარმონიულ გამონათებას.
ამაოება დაბინდული გონის ბრალია,
წუთისოფელი სიზმარია მარადისობის,
დამონებულნი ამქვეყნიურს შერჩნენ გალიას,
ფრთებ მოფარფატეთ დაუკარგეს მზე დაისობის.
ვხედავ ლუციფერს ანგელოზებს როგორ იტაცებს,
შავი მაგია ბნელთა სწავლულს ირგებს დამცველად
და კვლავ იტყუებს თეთრთმიანი კაცი დიაცებს,
რომ გამოსცადოს უბიწობის გრძნობის დაცემა.
ბავშვის ფაქიზ გულს ნუ დაატყობთ შურს და წამებას,
ნუღარ დაუსხამთ ცრემლმდუღარე სითხეს ყვავილებს,
ვინ დაინახავს დედამიწის სულის სამებას,
მზის და მთვარის გულს ვინ მიუძღვნის ლექსით წადილებს.
მაშინ როდესაც აღარ ვივლი სევდიან ბაღში
და ნორჩ ყმაწვილებს მოუყვებით ცხოვრების იგავს...
თქვენთვის ვიცოცხლებ მარადიულ ჟამის წიაღში,
დაე საწუთრომ ის მიიღოს რაც მას იზიდავს.

* * *

კლდისა ნაპრალში ყვავილად მოველ,
ვხეთქე ლოდები, ხვალ ხედ ვიქნები...
წვიმის ამარა სიცოცხლეს ვმონებ,
მსურს ავისრულო მძლავრი მიზნები.

ნაღვენთი სანთლის

არცერთი ხაზი, არცერთი ლექსი,
ეს არის მხოლოდ განცდების თქეში.
ყოველი წამი, ყოველი წვეთის,
აღვიძებს მგოსანს გამოცდილს წლებში.
შემომესია ცხოვრების მწუხრი,
სული ხორციდან გაქცევას ფიქრობს,
მომეფინები სხივებად სრული,
წამომაყენებ დაცემულს თითქოს.
ღიმილი შენი უკუნეთს მაცლის,
ნაზ სურნელებით მიფერს სტრიქონებს,
სასთუმალთან კი ნაღვენთი სანთლის,
წვეთავს და უხმოდ იმედს მიტოვებს.

დავდგეთ იქ სადაც...!
(გალაკტიონის მოტივებზე)

„დავდგეთ იქ, სადაც“ წმინდა სისხლია
და წინაპრების მოსჩანს გზა-კვალი,
ერის ტკივილებს ცრემლად მომდინარს,
თან დავურწიოთ უნდა აკვანი.
დავდგეთ იქ, სადაც გადაშენებას
ყიჟინით ებრძვის ქართული სული,
დავდგეთ იქ, სადაც მოსჩანს იმედი,
სუფევს სიკეთე და სიყვარული.
დავდგეთ იქ, სადაც ურდონი მტერთა,
ჩვენს სამშობლოსკენ შლეგად მიქრიან,
იმ კარიბჭესთან უხმო ფესვებში,
სისხლჩამომდინარ გულთა ფიქრია.
სადაც ქართველი მამულისათვის,
ხმალსა და სახნისს ისევე ლესავს,
სადაც იმედი ჩვენი მომავლის
მტრისგან დაფლეთილ სამშობლოს კემსავს.

მისტიკა და რეალობა

ვხედავ ტარიგებს სულებს ელტვიან,
ვხედავ ცვლილებას ხავსულ სურათში.
კვნესით მოჰყვები მგოსანს ჩემიანს
და ირინდები რიდით მწუხარში.
ტკივილებს, ღამის მღვიმის მონაგებს,
ვერაფრით ვუცვლი გულთა წამებას
და სანამ მშვიდი მკვდარი მომაგებს,
მანამდე ვითვლი ცისფერ ზმანებას!
ველტვი სინათლეს – ბერულად ვსუნთქავ,
უკან მეწევა ბრბოთა თარეში...!
ცის სევდას ასჯერ სიმართლე უთქვამს,
დამეჯახება ჟამი სახეში!
ქალის ცრემლები დარდად დამყვება,
ავი ძაღლია ცისმარე ღამეს...
მესმის ვარსკვლავო მისი წამება,
ჩემი სონეტის დარაბს შეაღებს
და გამაქროლებს ლექსის სიცხადე,
სიკვდილის ზღვიდან – სიცოცხლის მზეში
და სულანთებულ გულის ციტადელს
ბედნიერებას შევიგრძნობ ღმერთში!
ჰანგები გაშლის დანაცრულ აფრებს,
უცხო ნავები უნიჩბოდ მაფრენს,
საფლავებიდან მომიხმობ ნაფრენს,
როგორ ვაცოცხლე ქვეყანა ამ ფრთებს...!
ჩამესმის სულთა ხმაური ღამეს,
მარადიულნი ახლოს ჩნდებიან,
ეტირებიან ფიქრნი ნაწამებს,
თუმც მოგონებით გადარჩებიან.
მეწამულია მზის ჩასვლა ახლა,
მე გავერიე სიყვითლეს ჩასვლის,
შუაგულ მზეში მე უფრო მცხელა,
მე უფრო ვიწვი სულეთში გაღმის.
ვერ შველის ტალღის ნამღერის დევნა,
ღრმაწალკოტოვან მჭვუნვარე არილს
და ვრცელ მინდორზე თვალების ფენა,
შენი მომიხმობს – მიშველის აპრილს.

2016 წ

* * *

ჰომოფობია აუმხედრდა ეთნოსს ინაბით,
ტამპლიერები შემოაცვდათ გეოსს, ჰეროებს...
მხსნელი არსად ჩანს შაგანეა მარტო იაფი,
იწვის ქალდეა ოლარი და სული ჰეროდეს.

ბელზებელია ის სიმაღლე სინდისს რომ კრძალავს,
თორემ სამხარში პლებეები მშვიდად მიდიან,
ჰომოსაპიენს ცა დაჰყურებს მალავს კალათას
ფურუნკულებს კი არტახს ადებს, აგდებს მიწიდან.

მრავალგან დელტა ლაღ მოსახლეს კვლავ გადაარჩენს
და ნაზ სოსანში ზე სონეტი გაირინდება...
ავანგარდია როცა ფთილი აჩენს სანათებს,
როცა უბრალო პარადიგმა ამხელს ქმნილებას.

ჯერ კიდევ ვხედავ

ჯერ კიდევ ვხედავ უმანკო თვალებს,
ლამაზ მთა-ველებს,
როს შერჩენია დროებას აზრი,
კაცს კიდევ – სახე
და ეს ღირსება,
სულში დაცლილი თითქოს ამრთელებს,
გადამწვარ არსის, უქონელ საყდრისს,
მკრთალ ლანდთა ნახევს.

მზის სხივებს ვეძებ შენს თვალებში,
დუმილი მაკრთობს,
გამშრალ გრძნობებში გარინდებულს გდევს ჩუმი სევდა,
არ მინდა თოვდეს შენს გარეშე უმისამართოდ
და ამ თოვაში მიდნებოდეს იმედი ჩემდა.

უსამართლობამ დაიარა კაცთა სინაფსი,
ნორჩსა სამზერებს უცხო ყოფის წვავს შებრძოლება,
ნუ გააუქმებთ ჩემს ცხოვრებას, არ იცით ფასი,
აქ სილაჟვარდე სასოებას არ ეურჩება.

იბერიონის გაბრწყინება

გამოიდარებს, გარდიცვლება შავი ღრუბელი,
შავბნელ ბილიკებს დაეცემა სხივი თაკარა,
უგულო ყოფა შეიქმნება კვლავაც მხილველი,
ერის გულს ზეცამ უნდობლობა როგორ აკმარა

და გაანათებს უკუნეთში სიმართლით სული,
გადმოდინდება უხსოვარი განცდა გულიდან,
აღარ იქნება წამი სისხლით გაჯერებული,
დაიბადება სიყვარული სიყვარულიდან!

ამიმღერდება იმედები ნიღბების ქარში,
გარდიქმნებიან ცრემლნი ლხინად და ცის ნაპირას,
უსაზღვრო ფიქრით, გრძნობის ძალით წმინდა თამაშში,
ჩვენ იმას ვიტყვით რაც არ თქმულა და უნდა ითქვას!..

ეს საქართველო უხსოვარი დროიდან მოდის,
მისტერიული მხარე მზიდან დანაბადია
და გადარჩენა არის ჩვენივ სულის წალკოტში
და ჩვენი ბედიც ჩვენივ არსით თვითნაბადია!

დღეს კვლავ გამტყდარი ერის გული გამთლიანდება,
ნანგრევი ფესვი, ვით ტაძარი, აგვიმაღლდება!
ჩვენი ქვეყანა, დაჩაგრული, ახმიანდება,
შვილთა გულებში ამხედრდება უფლის მსგავსებად!

მექნება ჩემი მიწა-წყალი, ძველი – ქართული,
სულში – უფალი, მამული რომ გადამირჩინა.
ავახმიანებ ქვეყნად ზარებს წელგამართული
და თეთრსა ღრუბლებს მიმოფანტავს ხალხთა ყიჟინა!

გენით მდიდარი საუკუნო შედევრს აგრძელებს,
ახდა ნათქვამი, ელიოზი წყდება სამალავს
და ეფინება დამძიმებულ სისხლიან ველებს,
ის სიხარული, ტკივილიან ფიქრს რომ დაკრძალავს!

აღარ მოწყდება ცხენთ თარეშით მთებში გვირილა,
ობლის ცრემლები გასხივდება მზის განათებას...
დიდ ომში ოხვრით, ცხრა ძმის დედა აღარ მიგვრილა
და ჩვენს წმენა-წესს ვერ მისცემენ ბრმა ანათემას.

ვხედავ, მოხუცში ვაზის ცრემლებს გულში მომდინარს,
უმღერის მიწას, შვილებს ლოცავს, უმზერს სახარეს,
ერთი სანთელი მუდამ იწვის უფლის ბინადარს
და იგი ერთი მამულს მოჰგავს, ქართველს ახარებს!

აფარებს მანდილს „მდუღარე გულს“ დედა მარია!
აფარებს კალთას დაჭრილ ფესვებს მამა ზეცისთვის!
ლოცავს მებრძოლებს ზეცის შვილი, ისმის არია!
რომ მათ იბრძოლეს ერის სულის გადარჩენისთვის!

სულში ანთებულს, ამოგვძახებს ჩვენივე ექო:
– საით მივდივართ? – ამ კითხვასაც დავუსვამთ წერტილს.
მამულის კალთას დავკოცნით და გავივლით ბექობს...
გავამთლიანებთ მძლავრ ჯაჭვს, მტრისგან უღვთოდ გაწყვეტილს.

და გავგრძელდებით...!!!

ედემის ჩიტი

სიო ნაზად სოფელს მიმოქროდა,
მოისმოდა შორს მდინარის ექო...
ტყე სუნთქავდა,
სრიალებდა ნისლი,
ეხვეოდა მთის კალთებს და ბექობს.
სიწმინდეში იფრქვეოდა ფერი,
უსასრულო წამიერი ვნებით...
და გრძნობიერ თვალებს მონაბერი,
წინათგრძნობას აღვიძებდა ნებით.
ზე ვიხილე მთად ცა იხსნა თითქოს,
ცათა შუა შემოფრინდა ჩიტი,
სულ მწვანეა,
ვით ფოთოლი ხეთა,
ჩვენ ორს შორის გაიმართა ინტი.
მხოლოდ გულზე მეწამული ფერით...
იმჩნეოდა
უცხო სურნელებით.
იქცეოდა ჩიტი ფოთლის მსგავსად,
ცის ნაფერი,
ვერ ვარჩევდი ცქერით.
მეწამულად მოხატული გულით,
ხისა ფოთლებს შეერია ცალად...
მე ვიყავი სიმწვანეში მარად,
ის ხატავდა ტყის ფერს,
ბედის მალვად.
კამერული მოვიმარჯვე ხედვა,
თუმც უარით გავისტუმრე ხელი,
ჩავიბეჭდე კადრი გულის ალვად,
გავამყარე შეგრძნებების ველი.
ვუყურებდი ამ საოცარ ფრინველს,
უყურებდა ის ჩემსავით სოფელს...
იყო რაღაც იდუმალი ჩვენში,
რაღაც ფარულ კავშირებით სავსე.
ქარი არხევს ფოთლებიან წყებას
და ირხევა საოცარი ჩიტი...
კადრი იყო ღვთაბრივის მოწმე,
მე ვიყავი,
მაშინ უფრო დიდი.
იგრიალა ჭალებიდან თოფმა,
თვალებშუა ჩაგვიტეხა ხიდი.
ვუყურებდი მარტოსული სოფელს,
და'ვეძებდი,
არს'სად იყო ჩიტი.

მიფიქრე

თოვლია,
ხეებს კი ფოთლები დასცვივდა,
ქარია,
უღონო წარსულით ნაშენი!
ნისლია,
სიჩუმე ლამაზად მაწვიმს და
მცხვენია
ამდენი სევდა და ნაღველი.

ძნელია
ცხოვრება უთქმელი ნამღერით,
ვიწვნიე
მრავალი ცოდვა და კაენი...!
დრო მიდის...
დრო არის ჭრელი და რამდენი
კაცია,
ქალია, ტყუილით ნაშენი.

ცრემლია,
ობოლი ტანჯული ბავშვების...
სისხლია,
ლამაზი სხეულით ნაკვები...
მელიან,
ცნობები ღვთიურის გამშვების,
ილტვიან,
ზღვის გულში მებრძოლი ნავები.

ვჯავრობ
და ვავედრებ სამყაროს, სამებას,
გამცემის
ხელები მოდიან ნამხელნი...

ვაზრობ
და გავყმუვლებ სინდისის დაცემას,
დაცემის
ცნობაში იმჩნევა სახელი.

გაცივდა
სიკეთე ბრმა გულთა სარკმელში,
განივთდა
გულიდან სხივები რამდენი...
გაექცა
კალაპოტს მდინარე გზაკვეთში,
ადიდდა
გრძნობები, ცრემლებად ნადენი.

გრძნობაა,
წვიმაში თამაშობს ქალვაჟი,
დიდია,
სიყვარულს არა აქვს საზღვარი,
დამშვიდდით,
ეფერეთ, იგრძენით ლაჟვარდი,
იგრძენით
ერთ სულის ღვთიური რადარი.

მიხმე
და გიპოვი, გიპოვი დაკარგულს,
მომენდე,
ავავსოთ დაცლილი თასები,
სიყვარულს
არ უნდა სახელი, დანახულს,
მიფიქრე,
სიკვდილთან სანამდე წავედი.

* * *

ხშირად ცხოვრება უხმოდ ჩაივლის,
ხშირად გზა არის მწვავედ სავალი,
თუმცა რწმენა ხომ ჩემი წესია
და სიყვარული გამოსავალი.

* * *

სულის გულში მოფრენილო ჩემი არსის საჩინო,
შენს სუნთქვაში მომეწყურა გისმინო და მისმინო,
ჩემს ბგერებთან მოვლენილო ლოცვად გამოგაჩინო,
ჩამისახლე გულს ოცნება სიყვარულის მიმინო.
სამი ვაზი მზის მტევნებით მქონდა ერთი გაჩუქე,
ჩემი გენი თან გამოგყვა ცის და მიწის ქადილი,
ერთი არის სიყვარული ვუწილადე ჩაუქებს,
ნერგებს ვუსხამ ციურ წყაროს საქართველოს გაზრდილი.
ცრემლი მავსებს, მთვარე მაკრთობს, უბეს ლექსით ავივსებ,
გეცილება ჩემს თავს უცხო, ულმობელის წადილი,
ხელში მრჩება ობლის გული, შევერიე დაისებს,
ზღვად მომყვება ჩვენი ერი მზიდან გადმოვარდნილი.
ზეცამ გიხმო და მე ზღვაში უფრთოდ ცამ შემატოვა,
შემახეთქა მძლავრად ქიმებს მომასხურა ტალღები,
თუ სიკვდილი მიწერია, ვიყო მერმის სამყოფად...
გავყვებოდი ლამაზ მინდვრებს ლექსით ნაყაჩაღები!
მოქრის რაღაც ახლებური, უჩენელი გრიგალი,
იმედიანს დამეწია, უიმედოთ გაგება...!
მაწვდის ალქნებს უკვდავების ტალღოვანი გორგალი!
დროის გმირმა გაფრენა და მზის დაცემა მაგება!
სიკვდილის და მზე სიცოცხლის მიჯნაზე ვარ გასული,
შორეული სიმარტოვე, შორეული წარსულით,
ვგრძნობდი სადღაც დაგეწიე, დაგისახე ასული,
სულის ზღვაში უნაპირო, გელტვი არ დასასრულით.
ელვამ გაჭრა ზეციური შეგრძნებების არია,
ტკივილებმა მიწის მკერდზე, დამლეწა და ამრია,
ჩანს სიკვდილი მეტანება, მეტანება, ქარია!
უშენობით ვერ ვვარგივარ, ვერ ვვარგივარ მარიამ!!

მგოსანთან

გველი მჭრის მაჯას, ვდგავარ ბერივით,
გავდივარ გაღმა, უცხო მხარეა!
აჩრდილი ჩემი დამყვება სხივით,
თვალებში მოჩანს ნაღდი მარეა!
დავეძებ მზის ლანდს, სუნთქავს წყვდიადი,
ვპოულობ ფარანს გასანათებლად...
აქ ვარსკვლავები ინთება მზარდი,
ყოველ წერტილში ცვივა სანთლებად.
გადავიარე ცხელი საზღვარი,
უცხო მიდამო ხილვით დავძარი,
ვატარე ქარაფთ ცხენი მაშვრალი
და უცნობ ქვაბულს შევყევ ნამგზავრი.
განვღე კარიბჭე იდუმალ შრეთა,
ცხრა გრძნობის პირის განვღე კარები,
ვხედავ მეწამულ პატარა ბრებთა,
უცხო სუნით და ნაცნობ ღარებით.
ვისმენ ტყის შრიალს, დღე ღამეს ირევს,
ზღვა იდუმალის ქარები ქრიან...!
მრავალხმიანი ხმაურობს სივრცე,
წინ მივალ, უკან ნერბნი რჩებიან.
მოჩანს, ოდაქოხს ფოთლები მოსავს,
გარშემო ხეთა სუნთქვის ხმებია...!
სარკმელის თვალი მიჩვენებს მგოსანს,
სევდა-ფიქრებში ნაღამებია.
ის მგოსანია, დიდზე დიადი,
თითქოს მომელის და სუნთქვით მიგრძნობს,
მეცნო ნეტარი განცდა-ზიარი
და გალაკტიკის მზერების სითბო.
შევდივარ კარში, ვტოვებ სამარეს,
ფოთლებზე ლექსნი იხატებიან,
მეფანტებიან ბგერები არეს
და კოსმიურად მეცხადებიან.
– ეჰ ჩემო გენო, გულო და თვალო,
რა სიამეა ომში სიკვდილი.
მე თავგანწირვა ვით დაგავალო,
შენ გამოიხმე განგების შვილი.
არ დავიბენი, არ დავიდუმე,
შუბლზე მესახა სიტყვა ფრთამალი,

მუნ განვიფანტე მძაფრი სიჩუმე,
რადგან მყვებოდა სიტყვა მართალი.
– რისთვის იღწვოდით შენ და ილია,
შოთა, აკაკი, ვაჟა და სხვები...!
თუკი სიმართლე გამოილია
და გაუცხოვდა ცხოვრების ბედი!
ვინ თანამიდგეს, ხმა ვინ აწვდინოს,
მთვარის წყალობა რად იგვიანებს?
არავის ესმის, არავინ ინდობს...
დღეს არვინ არვის არ იმზიანებს.
როდემდე უნდა ზიდოს ჭაპანი,
გულმა ერთმა და არა ათასმა,
ნუთუ დაგვაკლდა „იორდს ნაბანი“,
ხმები წაგვერთვა, დაგვცალა თასმა.
მგოსანს სიმშვიდე სამარის კართან,
არა სწყდებოდა სახის უბნებში,
ის ახლა მთვარის მონატეხს გავდა,
დაღვენთილს სევდით კოსმო უბეში.
–შენ პოეტი ხარ, განგების მადლმა,
გარგუნა ბედი მიუსაფარი...
იყავ ხარივით ერთგული, ლაბა,
გწვდებოდეს ზენურ შუქთა ფაფარი.
გიღირს სიცოცხლე ღირსი სიკვდილით,
მზე თავგანწირვის ერის ფესვშია,
ის ხე სიცოცხლის აღდგომის ჟინით,
ჩვენი ერისა განაწესია.
შენ აგირჩიეს, შენ აირჩიე,
შენ ხარ იმედის ერთი მაშუქი,
მაშ გამარჯვება ჩემო "ილიე",
შენ მომავალო გმირი ჩაუთქვი.
ამგვარ ნუგეშსა არ მოველოდი,
ამგვარ სიტყვების არ ვიყავ ღირსი.
საყრდენი სიტყვით ჩამომხსნა ლოდი,
მივხვდი ვიყავი მე მიწა – ცისი.
ამ შეგრძნებებში ნისლმა შებურა,
მგოსანი იგი, დიდზე დიადი.
თვალი მიხილა ხილვების სურამ,
ვიყავ, სად ვიყავ, მოჩანს წყვდიადი.

7 მარტი – 2021 წ.

ყიდიან სამშობლოს

ყიდიან სამშობლოს, ყიდიან ყველაფრით...
სინდისით, ნამუსით, ილაჯით, ჯილაგით...
ყიდიან ქალ-ვაჟებს და გულებს კელაპტრით,
ცვივიან თვალებში ცრემლები სილაჩრით.
ყიდიან ხეობებს, ტეხავენ ზნეობებს,
სიმრუდე ძერწავენ, ერს და ბერს ეომნენ,
სად არის ნაპირზე მშველელი მენავე?!
სად გაქრა წინ კარი, მზაკვარნი მზვერავენ.
ყიდიან სინანულს, ამსხვრევენ სიყვარულს,
ამსხვრევენ ოცნებას ზეცაზე მინაბულს...
გვიხსენი ზეცაო, უცხო გვდევს სიარულს,
უფრთოა ეს მიწა, ვერ იცავს ია გულს!
ყიდიან სახეებს, იცმევენ ნიღაბებს,
სისხლს წოვენ ღამიდან იმანკო თავშლიანს...
გაყიდეს წალკოტი დემონი იწამეს,
მტანჯავენ დარდები, ვბარდები მადლიანს!
ყიდიან ღიმილებს, გულწრფელთა სახებას,
გენისა და მეობის მეომრულ მსგავსებას...!
მიყიდეს უცხოებს სული და ზმანება,
თავნება პარპაშობს გრაალის თასებთან.
ყიდიან ზეციურ საუნჯეს არსიდან,
იმედამ საშველად მოიხმო სიმთვრალე...
მავანი სიმდაბლე სილაჩრით დასივდა,
უნაკლო ღალატი ბოლოჯერ ითვალე.
ყიდიან სხეულებს, მახველებს დაბანგულს,
ახშობენ ბნელები ჩემს იერემიას...!
სადამდე შემრჩება ფესვები გადარგულს,
დავეძებ ობოლი საშველად მესიას!!
ყიდიან დასაყრდენს, მოვათრევ ნაბიჯებს,
სხვა მხარე მთავაზობს უცრემლო ჟამიერს,
დავდექი მე ცაზე, დავეძებ ნათლიებს,
მიჭირავს მიწა და შევყურებ ამ'იერს!
ვლოცულობ ეული აფრენილ სახატეს!
მზე მელტვის – მთვარეა! უკუნეთს
მინათებს...!
ერთია სიშორე, აღანთებს სანათებს,
უძველეს შარა-გზას, დაფარულ მზიანეთს!
ვიბრუნებ მიწა-წყალს, ვიბრუნებ ქალ-
ვაჟებს,
ზნეობას, ღირსებას, სინდისზე ვიმაღლებ...!
ყველგან ვარ და სულებს სინათლით
ვაკაჟებ!
დავფანტე თითქოსდა სიბნელის სიმაღლე.

2018წ

თენგიზ ხუციშვილი (ქრისტეს მხედარი)
პოეტი

ა ღ ს ა რ ე ბ ა უ ფ ლ ი ს ა დ მ ი

მიყვარხარ, სულ ვამბობ და ალბათ სიტყვებით,
ვიცი, რომ ამ ჩემს გულს, ვერ ვატყობ ვერაფერს
და როგორც არასდროს, დღეს ისე მჭირდები,
დავთმობდი ყველაფერს..!
საწოლზე მიყრია ეს ჩემი სხეული,
მე ვამბობ-ეყაროს, მაგრამ არ მამშვიდებს,
„ცხოვრებით“ გავავსე კვლავ დიდი რვეული,
მჯერა, რომ გამიგებს..!
სული კი შიშველი, ვით ალვის ხეები,
ქარისგან გაძარცვულ, დატეხილ ტოტებით,
წინ ბევრჯერ მომელის გოლგოთის დღეები,
მაგრამ არ გშორდები..!
ვინ იცის, რამდენჯერ ჯვარს გაცვი უფალო,
რამდენჯერ მშიერი, მწყურვალი, შიშველი,
დაგტოვე რამდენჯერ, შემინდე უფალო,
ვიცი რომ მიშველი!
რამდენჯერ დედაჩემს ვადინე ცრემლები,
მპატიობს! შვილი ვარ, წლებია შემიცნო,
უფალო, შენს წმიდა დედიკოს, ვედრებით
გთხოვ, თხოვე შემინდოს!
შემინდოს, რამეთუ არ ვიცი რას ვჩადი,
ცხოვრების დინებას არასდროს მივყვები,
წარსული დღეები გახდება განსჯადი
და ჩემი სიტყვები..!
მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ-იესო!
შემინდე-ვით პეტრეს! არა ვარ უმანკო,
„კეისარს-კეისრის, ღმერთს-ღვთისა“-მიეცო,
მადლობა უფალო!
მადლობა იესო!

გვჩვევია პოეტებს

პოეტებს გვჩვევია ფიქრებში წანწალი,
ლამაზი,თავნება, მუზების გახედნა.
ყოველთვის მაწვალებს მზე,როგორც წაწალი,
ყოველთვის მაშინებს მთვარისკენ გახედვა.
გრიგალზე შემჯდარი ზეცისკენ მივჰქრივარ
და ღრუბლებს ცხვრებივით ვაგროვებ ფარაში,
ერთგული ძაღლივით,ერთგული ფიქრი ვარ,
ხანდახან მეც მიყვარს ბავშვივით თამაში.
ფურცელზე მელანის ნაკვალევს მივყვები,
ცეკვავენ სიტყვები,მღერიან გამაში,
არ მინდა დიდება! არაფრად მჭირდები,
შემასვით ლექსები! აჰა, თქვენ შაბაში!
გონებას სიფხიზლე წაართვა უნარმა,
სიმართლეს თვალებში აყარეს ნაცარი.
გვჩვევია პოეტებს,შეგვინდოს უფალმა,
შუბლზე რევოლვერი და ყელზე ბაწარი...

ჩემო უფალო, არ გემალები

ეს მერამდენე დღეა უმზეო,
დათარეშობენ ღრუბლები ცაზე
და სული ჩემი, როგორც უმწეო,
ხელგამოწვდილი აგდია გზაზე.
ვიცი, ეს ქარი რასაც მიპირებს,
უღვთოდ დათოფილ ცოდვილ მაჯებზე.
მჯერა, ოდესღაც ვინმე მიტირებს,
არ შეაშრება ცრემლი ღაწვებზე.
ნელი ნაბიჯით ვსერავ ბილიკებს,
არ მინდა მიწას რამე ვატკინო,
წვიმა კი ისევ შოლტავს ტირიფებს,
მთვარე კვლავ ცდილობს ღამე ატიროს.
ციხედიდს რეკენ ტაძრის ზარები,
ძაფებმა ტანზე გაიძრეს ცვილი.
ჩემო უფალო,არ გემალები,
შენთან მოვდივარ უძღები შვილი!

იებით ხელში...

იებით ხელში, წვიმისგან სველი...
ვიწრო ბაქანი და ორთქლმავალი...
და შენ არ ჩანხარ... მე მაინც გელი,
ჩაფიქრებული და შორს მავალი...

იებიც დაჭკნენ... ოცნებაც გაქრა...
და ორთქლმავალიც უკვე წავიდა...
გაცრეცილ მუზას, თითქოს რომ ჩაქრა,
მე სულს ვუბერავ,ისევ თავიდან!

და მაინც ისევ, ნორჩი იებით,
მე, ყოველ დილით, ჩემს თავს ვაქეზებ...
მე, ისე გელი, როგორც მთიები
ელიან ღმერთის ღიმილს ბაგეზე...

მე მოვალ შენთან...

მე მოვალ შენთან, ძალზედ დაღლილი,
დაღლილი არა ლოცვით ან შრომით,
შენი მზერისგან ბევრგზის დაჭრილი
და ჩემს ფიქრებთან გამართულ ომით.
მე მოვალ შენთან,ჰო, მე მოვაღწევ,
არ მომიხურავ ვიცი დარაბებს,
იქამდე კიდევ ბევრ ომს მოვასწრებ,
არ ვერიდები დავი-დარაბებს.
მე მოვალ შენთან, ან მომიყვანენ,
შენი მფარველი ანგელოსები,
მაგ თვალებიდან ამომიყვანენ,
რომ ჩავვარდი და არ გეცოდები.
მე მოვალ შენთან და მაპატიე,
თუ ვერ შევძელი მოსვლა შენამდე...
რადგან სნეულმა ვერ გავათიე,
დაგელოდები, იქვე ღმერთამდე!

ნუ სტირი ცაო

რად სტირი, ცაო-რად ხარ მწუხარე?!
ამდენი დღეა, რომ გაკვირდები.
შეწყვიტე ხველა ასე მქუხარე,
თორემ სახეზე სულ გაფითრდები!

მითხარ, სად გტკივა, ან რა გაწუხებს,
ღრუბლებს-შენს ფილტვებს, იქნებ შესცივდათ?!
ან იქნებ ჩვენი ცოდვის მარწუხებს,
ვეღარ იშორებ, გულიც შესივდა.

ან დედამიწამ რა ქნას, ცოდვილმა?!
ზედ რომ დასტირი მწარე ცრემლებით...
რით განუგეშოს შავად მოსილმა,
როგორ გაგითბოს სული ფერებით!

რითი გიწამლოს, რით აგარიდოს,
აწყვეტილ ქარებს-როგორც ქოფაკებს,
რომ დედამიწას არვინ არ ინდობს
და ყველა უთხრის ღრმა სარკოფაგებს!

რომ ყველა ჯიჯგნის, უხსნის იარებს,
დაკარგეს კაცის სახიერება...
სულ დაავიწყდათ ცოდვის ტრფიალებს,
სიცოცხლე-როგორც წამიერება!

ნუ სტირი, ცაო, ნუ ხარ მქუხარე,
შეუნდე ყველას, ნუ გაფიცხდები...
შენ, დედამიწის თავო-მწუხარევ,
აქ რასაც ხედავ, ნუ გაკვირდები.

ჩემს მეუღლეს

შენ-სამი შვილის დედას,
მე-სამი ბიჭის მამას,
ცხოვრება, როგორ ბედავს,
რაღაც ხლართების გაბმას!
დასამდურავი რა მაქვს?!
დასამდურავი ბედთან,
ჩემი "მოზვრების" ამაგს,
მე, დაგიფასებ ღმერთთან.
შენ, ჩემი უღლის გამწევს,
შენ, ჩემი სულის მხევალს,
შენი გრძნობების დამრწევს,
შენი ღიმილის მდევარს,
არ გავიკარებთ სევდას,
ან ვინ გაგვიწყვეტს ჭაპანს?!
შენ-სამი შვილის დედას,
მე-სამი ბიჭის მამას!

დაველოდები

დაფარფატებენ შენს მუცელში თეთრი პეპლები,
არ გაუბრაზდე, იფარფატონ და გაიხარონ,
ვით გაზაფხულზე ნუშის კვირტი, ისე ფეთქდები
და ველოდები შენს ბაგეებს, რომ გაიბადრონ.
დაველოდები, მაგ შავ თმათა დიდრონ ნაწნავებს,
რომ ვით ჩანჩქერი მწვერვალიდან, ჩამოიღვარონ,
წარბები შენი, ვაზებს ჰგვანან მოვლილს, ნასხლავებს,
ელოდებიან მაგ თვალებს, რომ გამოიდარონ.
დაველოდები... თუმცა ვიცი ისე შორია,
ჩემს წვერს ქურდულად შეჰპარვია უკვე ჭაღარა,
ზღვის ტალღებივით აჰყოლია, გული ფორიაქს,
უწინდებურად ვეღარა ჰკრავს ბუკს და ნაღარას!
დაველოდები... თუმც პეპლებიც გაფრინდებიან
და ალბათ სადმე, მონახავენ სულ სხვა სამყოფელს,
სხვა გაზაფხულზე, სხვა კვირტები განიხსნებიან,
აყვავდებიან, მოისხავენ ლამაზ ნაყოფებს!

შენ ჩემო ცოლო...

შენ ჩემო ცოლო,არა-მეუღლევ,
ნეტავი ხომ არ დაგღალე უკვე?
ჩვენი მოზვრების დიდო მეურვევ,
დარდით გაქვს სავსე თვალების უპე.
მე მაპატიე ესე სასჯელი,
რომ შენ პოეტის გერქვას მეუღლე,
სხვა ბედისწერის გერტყას სარტყელი,
და ნებას გაძლევ,მოდი მეუფლე.
ჩემი ნეკნიდან განსხეულებულს,
ჩვენ თოხის ტარზეც გვწვდება საბანი,
მე პოეზიით დასნეულებულს,
შენ უფრო მეტი გადგას ჭაპანი.
არ ჩაიმუხლო ჩემო სულიმტევ
არ დამეღალო შენს გახარებას,
რომ ჯერ გავზარდოთ,შენ მათ სულს იტევ,
ჩვენი მოზვრები ძლიერ ხარებად!
მერე სიცოცხლის გავალთ ფინალში,
და ვივლით ასე, სვენებ-სვენებით,
და ბოლოს, ერთად ქართულ მიწაში,
ჩვენ საუკუნოდ ჩავესვენებით!

###

ვიცი, რომ შენზე ფიქრიც რთულია,
ჩანასახშივე კვდება ოცნება,
მე, დღე უშენოდ არ მიგულვია
და სამზეოზე ჩემი ცხოვრება.
წახვედი, კარი დატოვე ღია
და ღია კართან ვტოვებ იმედებს,
უსასოობა და ფანტომია,
ამ ირონიას, როგორ იფერებს!
ვდგავარ და გელი ხელებგაშლილი
და წლებთან ერთად გახუნდა კარიც,
ვიცი, დადიხარ შენ თმებგაშლიში,
პილიგრიმული არ გიჟღერს ქნარი.
მოხუც კაცივით წლებგამოცლილი,
მზერადაცლილი, გავყურებ შარას,
როგორც ადამი ნეკნამოცლილი
და ვაშლნაჭამი დავეძებ წამალს!
რა კარგი იყო ოცნება ჩვენი,
შვილ-დახუნძლული,როგორც მტევანი,
რამდენჯერ თოფით ავხადე სხვენი,
რამდენჯერ ვიყავი შენი მდევარი!
გავიდა წლები, შენ გქვია დედა,
მე-მამის განცდა დამაქვს ულევი,
ჩვენი ოცნება, ახდა და ხდება,
მაგრამ ცალ-ცალკე გვადგას უღელი!

„ი ა“

შენ პატარა ხარ, თითქოს უმწეო
და გაზაფხულის მშვენება გქვია,
მოიწყენ, როცა დღეა უმზეო,
ყვავილთა შორის, ყვავილო-„ია“!
უეცრად გნახე, უფრო წაგაწყდი,
ცივი ფიფქების გარემოცვაში,
ხმელ ფოთოლივით მიწას დავაწყდი,
რომ დაგვთენოდა ერთად ლოცვაში.
ან როგორ გაჩნდი ასე უეცრად,
მარტის თოვლიან, ქარიან, თვეში..,
მითხარ, რომ გცივა! და მეც უებრად,
რომ ფესვიანად გადაგრგო მზეში!
მე გიპატრონებ, როგორც მებაღე
პატრონობს თავის ყვავილს ქარისგან,
ან მევენახე, როგორც ვენახებს,
დაიცავს ყველა ცუდი წამლისგან!

შენ პატარა ხარ, ურჩიც-მორჩილიც,
სიცოცხლით სავსე, თვალებღიმილა,
დედამიწიდან ამონორჩილი,
ჩემი სული, რომ გააღიმილა!

ფრესკები...

მე ვდგავარ გზაზე, ოცნებით სავსე
და ოცნებასაც ხიბლი ჰქონია,
ჯერ გამახარებს მე ეს სისავსე,
მერე დამტანჯავს მელანქოლია!
გეთაყვა, ჩვენი სავალი გზები,
ვიცი, არასდროს გადიკვეთება,
მაგრამ ოცნების იები, ბზები,
ჩემს მიწიდან არ განიკვეთება!
ვიცი, შროშანებს, რომ ენატრები,
ედემი-შენი მისამართია,
როგორც შანდალზე ის კელაპტრები,
შენი თვალებიც ისე ანთია.

###

შუაღამეა, თითქმის რიჟრაჟი,
ჩემს სხეულს ვკრიფავ სარეცელიდან
და ფიქრებს ჩემსას, სულით გიჟმაჟი,
ვათავისუფლებ სარეველისგან.
ზეამაღლებულ,წმინდა განწყობით,
ჩვენ მივუყვებით ზღვისა ნაპირებს,
არ მეშინია,მზად ვარ განცხრომით,
გადავაბიჯო საშიშ რაპირებს!
ზღვის ტალღები კი ვნება აშლილნი,
გელაქუცება სანამ კარგი ხარ
ვით მონაზონი სულ თმებ გაშლილი
ისეთი უცხო სანახავი ხარ

მთვარე კი ზღვაში ისე დაცურავს
ვით ჩემი მზერა მაგ შენს თვალებში,
ვიცი ვერასდროს,რომ ვერ გაცურავს,
ჩემი სხეული ამ ღრმა ღამეში.
კრძალვით გიყურებ,დამდგარი მუხლზე,
როგორ ბავშვივით ცახცახებ მხრებში
და ვეჭვიანობ იმ მთვარის შუქზე,
ასე ვნებით რომ გაგჩრია თმებში.
და ვეჭვიანობ მე იმ სიოზეც,
შენს სარკმლიდან რომ შუბლზე გაკოცებს,
როგორც კაქტუსის ყოფნა ხრიოკზე,
ჩემი ცხოვრებაც ისე მაოცებს!
შუაღამეა, თითქმის რიჟრაჟი,
ჩემს სხეულს ვკრიფავ სარეცელიდან
და ფიქრებს ჩემსას, სულით გიჟმაჟი,
ვათავისუფლებ სარეველისგან.

როცა იღიმი, მზეს უხარიხარ,
ამ გულში უკვე, ღრმად გაქვს ფესვები,
ისეთი კარგი სანახავი ხარ,
როგორც ტაძარში წმინდა ფრესკები!
როგორც განთიადს მზისა ამოსვლა,
ან პოლარული უცხო ციალი,
ო, როგორ მინდა ახლა გამოსვლა,
ამ სხეულიდან!-ოხ ეს ტიალი..!
მე ვდგავარ გზაზე, ოცნებით სავსე
და ოცნებასაც ხიბლი ჰქონია,
ჯერ გამახარებს მე ეს სისავსე,
მერე დამტანჯავს მელანქოლია!

ნეტავი ახლა...

ნეტავი ახლა რატომ ვარ ასე...
ნეტავი ახლა რა მემართება...
შენ, ეგ თვალები ჩემით გაქვს სავსე,
რომ ჩავვარდი და არ გედარდება.
ახლა მჭირდება მე ეგ ღიმილი,
მზესავით თბილი და საოცარი.
მაგ ბაგეების თრთოლვა, ტირილი...
და ყოველი დღე კვლავ „საომარი“...
ნეტავი ახლა ვინ იცის სად ხარ
და მზეც ვერ გათბობს შემოდგომისა,
ვიცი, ეს ქარი წამაქცევს, მზად ვარ
მე, ბეწვის ხიდზე, ჩემო, დგომისას!
ამ გულს, ეგ მზერა ისევ გაყრია
და იარები მაქვს ვით ხნულები,
როგორც კეთროვანს ისე მაყრია,
ამ მონატრების დიდი წყლულები.
დამღიმი-ასე, კრძალვით და რიდით,
დაგღიმი-ალბათ ცოტა უხეშად...
„ომისგან“ დაღლილს, მაგ შენი ხიბლით,
მე, მომევლინე ასე ნუგეშად.
ნეტავი ახლა რატომ ვარ ასე...
ნეტავი ახლა რა მემართება...
შენ, ეგ თვალები ჩემით გაქვს სავსე,
რომ ჩავვარდი და არ გედარდება.

მე გწერ...

მე გწერ...
და ამით ვახარებ ამ გულს,
რომელიც უკვე თავის თავს არ ჰგავს
და შემოძარცვულს ვუყურებ ამ სულს,
სენისგან, როცა გტკივა და არ გკლავს!

ღია სარკმლიდან, გავყურებ იმ ხეს,
რომელიც მალე ნაყოფს დაბადებს,
კედლის საათი რაღაცას მიმხელს...
ქარი კი ისევ მიმტვრევს დარაბებს!

მე გწერ...
და შენ კი ვინ იცის გძინავს
ან კი ვინიცის სიზმრად ვისთან ხარ...
ჩემი სხეული ტყვესავით გმინავს,
როცა ვერ ვამბობ –
მე შენ მიყვარხარ!

მე ვდგავარ გზაზე,
ტკივილით სავსე
და გზის დასარულს მელის გოლგოთა,
მე – "ჯვარზე გაკრულს",
იმედით მავსებ,
ყველა ტკივილი თითქოს მომშორდა.

და მაინც,
ყველა ომში ვარ მარტო...
ვცდილობ სიკვდილზეც ვიყო ჭკვიანი,
იქნებ არც ღირდეს მოწერა, კარგო,
ან იქნებ იყოს უკვე გვიანი!...

###

ხარ დასაწყისი სტრიქონთა სეტყვის,
გაუცემელი პასუხი კითხვის,
რომ სიახლოვე სჯობია-გეტყვი,
უნდა გჯეროდეს ამ ჩემი სიტყვის!
ძვირფასო, შენი თვალების სიღრმე,
ისე მაოცებს, ისე მაშინებს,
იმდენი მაინც კი მყოფნის სიბრძნე,
არ ჩავიხედო!– თან ეს მაფიქრებს!
ხანაც კი ვიტყვი-რატომაც არა!,
განა რა არის ასეთი რთული,
ემაგ თვალების ტყვეობაც კმარა,
ემაგ სხეულის, ასეთი სრულის.
მე ვარ კაცი და მე ვარ პოეტი,
თავისუფალი, როგორც ის მთვარე..,
ისე ღამე, როგორც ტკბილი სონეტი,
ნუ შეგაშინებს ჩემი სიმთვრალე.
მე შემიძლია, როგორც პოეტმა,
გრიგალზე მჯდარმა ვმწყემსო ღრუბლები,
ვერ შემაშინოს მიეთ-მოეთმა,
ყველა შუკის თუ ყველა უბნების!
მე, შემიძლია ნისლიან მთებით,
ქურდულად დავყვე ყველა ხეობებს,
მერე ძლიერი არწივის ბრთებით,
რომ აგარიდო უცხო ტყვეობებს!
მე, შემიძლია ძლიერ ქარებშიც,
შენი წარბების კიდეც დავიპყრო,
მერე ჩაგხედო მაგ ღრმა თვალებში,
გადავეშვა და თავი დავიხრჩო!

ხათუნა მითაგვარია – დიასახლისი
დაბადების ადგილი – სამტრედია

წუთისოფელი ღმერთმა შეეგვიქმნა

წუთისოფელი, რას მიგვანიშნებს,
ყველაფერს ამბობს, ამ, ერთ სიტყვაში,
წუთისოფელი ღმერთმა შეგვიქმნა,
ნუ დაიხრჩვებით,ამ წუთს ბოღმაში.

ყოველი წუთი საოცრებაა,
გამოიყენეთ, ეს დრო, შრომაში,
ზოგს ცუდად ესმის, ოცნებებს ქმნიან,
ეს დრო კი გაჰყავთ უქმად წოლაში.

კარგად დაფიქრდი, წუთი, რას ნიშნავს,
ფანტაზიებით, აფრებს რომ გაშლი,
წუთისოფელი უნდა განსაზღვრო,
ნუღარ დატოვებ, ცოდვას მოდგმაში.

წუთს შეუძლია, ცაში აგაგდოს,
ძირს დაგანარცხოს, თუ კი „მოსლაბდი“,
ადამიანად გაჩნდი ამქვეყნად,
სუფთად გაფრინდი შემდეგ ზეცაში,
წუთში მოსული, წუთშივე წახვალ,
ნუ გაიფუჭებ, სახელს, მოყვასში,
შენ გზას მიყევი, ნუ გადაუხვევ,,
შენ გზას ნუ ეძებ, სხვისი კომპასში.
რომელ, ტოტზედაც, თავს იმაგრებდი,
ცულს, ნუ გაცვითავ, იმის მოჭრაში,
შენს ადათწესებს, პატივი ეცი,
ნუ, აგერევა, მტერი, მოყვასში,
შენ, შენი რწმენის გქონდეს სიწმინდე,
ღმერთს, ნუ გადაღლი, შენზედ ლოცვაში.

ვერ გავიგე, რა სჯობს

წუთისოფლის გზას შეუდექ,
სწორს და მრუდეს ვერ ვარჩევდი,
იქეთ აქეთ მახეთქებდა,
ხიფათს მაინც თავს ვაღწევდი.

ჩემს ცხოვრების ბედისწერას,
ღმერთო მითხარ რად ადგენდი,
ხან სიყვარულს ავყევი და
ხან სიძულვილს ჩამოვყევი.
ვერ გავიგე რა ჯობია,
ბევრჯერ სადღაც ჩამოვჯექი.

შენ კი, ეი, ვიღაცა ხარ,
ჩემს ნაკვალევს გამოყევი,
თუ გეტკინოს, არ იკვნესო,
მეც მეტკინა, არ მოკვდები.

ბედისწერას ნუ დასცინებ,
თორემ კაცი არ იქნები,
სხვას ზეპირად თუ კი განსჯი,
შენ უზნეოდ ჩაითვლები,
თუ შეგნებულ ცოდვას იდენ,
ჯოჯოხეთში დაიწვები...

შენს ტკივილს ნურვის ნუ მოუყვები

შენს ტკივილს ნურვის ნუ მოუყვები,
დადგება დრო და უფრო გატკენენ,
შენს ტკივილს ვერვინ განკუნავს მაინც,
უარესს გეტყვით, იმედს გართმევენ.

გინდა რომ დარჩე ადამიანად,
მაგრამ ვაი რომ მხეცად გაქცევენ,
არის ისეთიც ტუჩსაც მოიკვნეტ,
შენი განკითხვას ღიად ახდენენ.

თუ კი რობოტად გადაიქცევი,
შენს ცხოვრების წესს სხვები ადგენენ.

ძალზედ უსუსურს თუ შეგამჩნევენ,
გავლენას შენზედ იოლად ახდენენ.

აღმზრდელობითი დამრიგებლები,
დიდ ქვას გესვრიან, არც კი არჩევენ,
დაგიფიცებენ სანამ სჭირდები,
და თუ არა და ვეღარც გამჩნევენ.

შენი ტკივილი ერთეულს ტკივა,
დანარჩენები ცრუ კოშკებს აგებენ,
წვიმას და ქარს სჯობს უთხრა სათქმელი,
ქარი წაიღებს – თუმც არ გატკენენ....

ადამიანო შენ ნუ გადამივლი

თუნდაც აისბერგი ყველა ერთად გადნეს,
წყალი მოვარდება – გშთქანთავს,
ადამიანო შენ ნუ გადამივლი,
იცი ამის უფლება, რომ არ გაქვს.

ღმერთი ამქვეყნიურს თავის მფარველს
ჩუქნის,
ანგელოზს კი – ნაპირს გაყავს,
ეშმაკი გამოიცან, ხელი თუ ჩაგკიდა,
ყველა მის ჭკუაზე დაყავს,
==========
ყველა მოვლენები გარდაუვალია,
შენ კი სადარდელი სხვა გაქვს,
სანამ ფეხზე დგეხარ ნუღარ იწუწუნებ,
მაშინ ხეიბარმა რა ქნას.

წინასწარ თვალებს ნუღარ დაიბრმავებ,
შენაც ღამურა ხომ არ ხარ,
მიწის მტვერი ვართ და ვერსად გავექცევით,
დრო მოვა და მიწა გვშთანთქავს,

ეშმაკზე ფიქრით ტვინს ნუ გადაიღლი,
იმას უბრალოდ დრო გაჰყავს,
თუ კი შეამჩნიო – წყალს გაატანე,
შენ დასაკარგი რა გაქვს.

ყველა მოვლენებმა თავი გაიგიჟა,
მზეც თუ გაგვიბრაზდა, დაგვწვავს,
ჩვენ კი ველოდებით იქნებ ქარი ჩადგეს,
არადა – დასასრული არ ჩანს.

ემიგრანტო შენ ნურაფრის გეშინია.

არა, არ იტირო გაიღიმე,
შენ ხომ უფრო გაღიმება შეგიძლია,
არა, არ იყვირო თუ გატკინეს,
იქნებ და დღეს ეშმაკების ქეიფია.

სანამ ზეცას შავი ღრუბლი გადაფარავს,
გაიღიმე ეს სიცოცხლის დევიზია,
მერე რა თუ უცხო მიწას დააბიჯებ,
ემიგრანტო შენ ნურაფრის გეშინია,
==========

სიხარულიც ემიგრანტის სხვა ფერია,
რატომ გიკვირთ მონატრების ეს ფიქრია,
დრო გველივით მისრიალებს, შხამს კი ვერ გრძნობ,
აქ ყველა დღე გრძნობ რომ უკვე ზედმეტია.

ემიგრანტი დასალიერს ჩაკეტილი,
თქვენ თუ იცით რომ ის მართლა დევგმირია,
ყოველივე რაც კი ხდება სამყაროში,
ღმერთმა იცის და ნურაფრის გეშინია.

სკოლის მერხები სულ სხვაა

ცხოვრება ბევრჯერ, თავს მოგაბეზრებს,
ყველაფერს წაშლი, ბავშვობის გარდა,
ადამიანებს ვერ ამოიცნობ,
სითბო რაც იყო ნელ ნელა გაქრა.

ბავშვობის წლები,ლამაზად მოდის,
ახლაც რომ ვწერდი ცრემლები მადგა,
ის წრფელი გული და სიხალისე,
ვერ დავინახე – არსად არ ჩანდა,
==========
მე ის ბავშვობა მიყვარს უსაზღვროდ,
როცა ვერა გრძნობ რა არის დაღლა,
პატარა გოგოს, გრძნობებიც აწვიმს,
დედის ფერება,, სკოლა და, სხვა რამ.

ვიღაცას იგრძნობ, თვალი დაგადგა,
ესეც წმინდაა, ლამაზი განცდა,
და სამწუხაროდ, ლაღი ცხოვრება,
სკოლის კედლებში, მერხებზე დარჩა.

ის მონატრებაც წმინდად ანათებს,
შეფუთულია და აღარ ჩაქრა,
სხვა ყველაფერი, გულს ტვირთად აწევს,
იმ ბედნიერი, ბავშვობის გარდა.

ახლა ბავშვობა დიდობას აგავს,
რაც კარგი იყო ოცნებად დარჩა,
ღმერთო მადლობა, რომ დამიტოვე,
ის ერთადერთი ბავშვობის აღთქმა...

შემოაბრუნე ქუდი და წადი

სიმართლის თქმას, თუ აღარ გაცლიან,
შემოაბრუნე ქუდი და წადი,
ტყუილს თუ ისმენ და ამას ხვდები,
ეს იგივეა, რომ შენაც წახდი.

შეურაცხმყოფელ ტკივილს გაყენებს,
როცა ისმენდი და სულელს გავდი,
და თუ, სიყალბეს, მშვიდად ჩაყვები,
ტალღები გშთანთქავს, ზღვის ფსკერზე
დარჩი.

აი, ასეთი არის ცხოვრება,
მტყუანს და მართალს, ერთნაირს გაგხდის,
კეთილი ტყუილი, კარგი არისო,
მწარე სიმართლეს, ნეტავ რად ჩათვლით.

როცა, ბოროტი, ამარცხებს კეთილს,
მართალი კაცი შეშლილი დადის,
თუ კი სიმართლე, წითელ ზოლშია,
მაშინ, სიცრუეს ვერაფრით დაღლი.
და, თუ, ტყუილმა ხეირი მოგცა,
მაშინ, სიმართლე, აიღე, დაწვი..

ყველა მოვლენა რაღაცას გვამცნობს.

ბევრი ითმინა, ღრუბლებმა მაგრამ,
ბოლოს დაუშვა, ვერ დაიკავა,
ყველას ცოდვები ზეცას ადიან,
ღმერთმა ეს ცოდვა, იქ დაითვალა.

აქ, ცოდვის წვიმა, თქეშად დაეშვა,
ღრუბლებმა მეტი, ვერ დაიცადა,
სეტყვას გრუხუნი მოჰყვა ხმაურით
და, ამ დროს ვიღაც კვლავ დაიბადა,

წვიმა, რაღაცას, მართლა გვაუწყებს,
ზეცა გაიხსნა და გაიხარა,
ერთის გაჩენას გვაუწყებს ღმერთი,
ვიღაც მეორე, იქ დაიბარა.

ზოგი ვერ უძლებს, ქარის სიმძლავრეს,
ფრთები გაშალა, მთლად დაიკარგა,
აი ასეთი არის განგება,
ბუნებამ მისი კვლავ გაიტანა...

ღრუბელო ყვავილს ნუ დამისეტყვავ

ღმერთო სიხარულს როცა ვერ ვმალავ,
ნუღარ დამიშლი ნუ აღმიკვეცავ,
ჩემს გულში როცა ყვავილი ფეთქავს,
ღრუბელო ყვავილს ნუ დამისეტყვავ.

ნუ გადამივლი, თორემ გადავლილს,
უკან ვერა და ვერ მომიხედავ,
ნუღარ გადამღლი ჭექა-ქუხილით,
იცი? საშველად ზეცას ავხედავ.

ხელის ფათურით ვერას მიაღწევ,
სულში ამ ხერხით ვერ ჩამიხედავ,
ამდენ ჭრილობებს გულში რომ გაჩნდა,
არ მოშუშდება – ვერ დამიწებავ.

თუ გული ფეთქავს, ნუ შეეხები,
გული სუსტია, ნუ გამიხეთქავ,
ცხოვრების კიბეს ჩემით ვამაგრებ,
თუ არ მიმაგრებ – ნურც დამილეწავ.

კარი რომელიც ღმერთმა გამიღო,
ნუ შეეხები, ნუ დამიკეტავ,
შენ მზე იყავი და გაანათე,
ჩემს კუთვნილ სხივებს ნუ ამირეკლავ.

რასაც შენ სხვისგან აღარ იკადრებ,
ისეთს ნურასდროს ნუ გამიბედავ,
ღმერთის პასუხი მწარე იქნება,
თუმცა ზეცაში თუ აიხედავ.

მე ასე ვისურვე ცხოვრება

მე ასე ვისურვე ცხოვრება,
ბილიკი ვარჩიე შარაგზას,
მე აქაც ლანდები დამდევდნენ,
არჩევნის უფლება არა მაქვს.
ჰაერში დავრჩი მგონია,
ფეხით ვერ ვწვდები ნიადაგს,
ცოტა თუ თვალი დახუჭე,
ეშმაკი კიბეს მიადგავს.
ადამიანებს შევცქერი –
როგორ ერთმანეთს მიაგავს,
პატარა ახირებებით,
სუყველას ატანთ ნიაღვარს.
იმდენ ცოდვებში დავცურავთ,
საფლავში ვახრჩობთ წინაპარს,
მე ასეთი ვარ – მართალი,
მე სხვა სიმდიდრე არა მწამს.
ღმერთის ცოდვილ შვილს – რა ძალმიძს,
მადლობას უხდი ყველა წამს,
ამ დროს დაჭრილ გულს ვიღაცა,
ნაიარებზე ფეხს ადგავს.
თქვენ რომელ სიყვარულს გვთავაზობთ?
– უფრო მეტ სიძულვილს რომ აგავს?...

ქალი სიყვარულია

ქალი სიყვარულია და არა სიძულვილი,
ქალი თავს იტყუებს – იგი არ ტყუვდება,
ქალი ვერ გელევა გულში ჩაგიხუტებს,
შენ კი ვერც კი ამჩნევ დარდისგან ხუნდება.

ღალატი ტვინს აურევს, გრძნობებიც აეშლება,
არადა საკვირველია მაინც რომ ჩუმდება,
ქალს სიყვარული წრფელი აალებს,
და თუ გაუცივე ის გრძნობა უქრება.

სიყვარულს ერთ დროს თუ ზეცაში აჰყავდა,
ფრთებს ნუ მოამტვრევ, ვერ იფრენს, სუსტდება,
ქალს რომ გგონია ვერ დაგთმობს დადნება,
არ დაიჯერო უბრალოდ ჩუმდება.

ერთ დღესაც მიხურავს,
შენს ცხვირწინ კარებს და
სიყვარულიც ვერ ცოცხლობს,
ნელ ნელა უკვდება..

ცხოვრება სპექტაკლია

ცხოვრება არის დიდი სპექტაკლი,
მსახიობები ათასი რანგის,
ცხოვრება არის ზოგჯერ მეძავი,
უფულოდ არვის, არაფერს გაწვდის.

ცხოვრება ხშირად, თვითონ გეძახის,
თუ მოუბრუნდი, რაცა გაქვს გაგხდის,
და თუ ვერ შეძელ მარტო ებრძოლო,
იძულებულს გხდის – მის მონად გაგხდის.

და თუ ცხოვრებას გადააბიჯე,
თავზე მაცდური ეშმაკი გაზის,
ამ დიდ სპექტაკლში, ბევრი თამაშობს,
ვინც ვერ თამაშობს, თავისით გადის.

ერთმანეთს, ისე ეპრანჭებიან,
შენ მოგინდება დამალვა სახის,
ჩემო სიცოცხლე და სიხარულო,
ფრაზებს ისვრიან სასწაულს გაგხდის.

და საქმე-საქმედ, თუ კი წავიდა,
მოსისხლე მტრადაც მაშინვე ჩაგთვლის,
ზოგჯერ, ცხოვრება ცირკად იქცევა,
კლოუნად-ქცეული, ხალხიც კი დადის.

აქ რეჟისორი, თუ რას დაგიწერს,
მისი ხარისხიც, ამაზე გადის,
თუ კი, ჭირდები თავზე გევლება,
მოგეფერება ვითომ ხარ ბავშვი.

და თუ, შეგატყო, არას არგიხარ,
არც მოგიხედავს, საოცრად გარბის,
აი ასეთი, არის ცხოვრება,
თუ ვერ თამაშობ, მონა ხარ დარდის.

ქარი კი სანთლებს არას ერჩოდა.

ქარის შრიალში, ჩუმი ხმა მესმის,
ცხოვრებას ვიღაც, უშიშრად ებრძვის,
სანთლები იწვის, მაგრამ არ ქრება,
ქარი ქრის, მაგრამ სანთლებს არ ერჩის.

ისიც, არ იძვრის, რომ არ ჩააქროს,
სანთლებს კი მისი ტკივილი ეწვის,
ფეხის ხმას მივყევ, ყური დაუგდე,
ეკლესიაში, ქალს ვხედავ, შედის.

ქალის თვალებში ცრემლი გამშრალა,
ღმერთს, ევედრება, ნეტავ რას ეტყვის?
ხატების წინ დგას, არ იმალება,
სანთლებით ხელში წყალობას ელის.

ადამიანის მსგავსად ქარიც ქრის,
ვეღარ წყნარდება-მოვლენებს ებრძვის,
ვერას გაუგებ ვის რა დარდი აქვს,
თუმცა არსებობს იმედი ღმერთის.

ქალის ჩურჩული, სანთლებს ესმოდა,
აღარ ჩაქრეო, რაღაცას, თხოვდა,
ლამაზი სახეს, სანთლები რეკლენ,
სხვისთვის იბრძოდა, მისას კი თმობდა.

აფერუმ ქალო ამ ძლიერ ძალას,
ანაწილებდა თანაბრად ჰყოფდა,
და ასეთ, ლამაზ ღმერთის ქმნილებას,
ფიქრია ჰქვია, მუდამ ფიქრობდა.

ყველას ტკივილი გულთან მიჰქონდა,
მას რა შეეძლო? თუმც ქარი ქროდა,
საოცარია ქარიც უგებდა,
საითაც სურდა იმ მხარეს ქროდა...

ნადირთ მეფე ლომია

ნადირთა მეფე, ტყეში ლომია,
მას ეკითხება ნადირთ ცხოვრება,
მეფე განკარგავს ტყის კანონებს და
ბინადართ შორის თუ რამე ხდება.

ადამიანი მართავს სამყაროს,
ყველას ცალკე აქვს მისი წოდება,
მის ხასიათში არის ცინიზმი,
ეს კი სამყაროს სივრცეს შორდება.

ლომი-ლომობას აღარ მოიშლის,
ადამიანი ზოგჯერ ბონდება,
ლომი მკაცრ კანონს ემორჩილება,
ის ლომად რჩება, კი არ ღორდება.

ადამიანის შური და ბოღმა,
ყველაფერს ანგრევს, ისე ბოღმდება,
და, სამწუხაროდ ბევრი ხელმწიფე,
ქვეყანას დაშლის, როცა უნდება.

ადამიანი ძალზედ რთულია,
პასუხმგებლობას ჩუმად შორდება,
ნადირთ ტკივილი, ლომს ამძვინვარებს,
ადამიანში ეს არ მოხდება.

ახლა მეფობა, ყველას სწადია,
მთავარი არის, ნიღბის მორგება,
ტემპერატურა, როცა იმატებს,
სკამს მორგებული, ყველა ორთქლდება.

აი, ვინ არის ნამდვილი მეფე,
ადამიანი ზოგჯერ ღორდება,
პირველობისთვის ნამუსს კარგავენ,
სანამდე რქები აღარ მოტყდებათ.
სამარცხვინოა, ადამიანი,
ადამიანად, რომ არ მოკვდება.

შენ ნარკომანო, იქნებ დაფიქრდე

შენ ნარკომანო, იქნებ დაფიქრდე,
ვინ იყავი და ვიღაცა გახდი,
შენ ნარკომანო, იქნებდა გვითხრა,
ამქვეყნად მხოლოდ, წამლისთვის გაჩნდი?

არა და ადრე, სულ სხვა იყავი,
დღეს შენი ხელით, სულს შენს თავს აცლი,
გუშინ სიცოცხლეს ალამაზებდი,
ახლა კი სიკვდილს გხედავდი ახლდი.

შენ ნარკომანო იქნებ შეჩერდე,
ჰაერში ფრენით, ეშმაკს ვერ დაღლი,
ეშმაკი ამ დროს გულში ღიღინებს,
როგორ სუსტი ხარ ჩემთან რომ დარჩი.

და შენს მაგივრად ანგელოზს ტკივა,
მუდამ დაგეძებს ნეტავ სად გაქრი?
საქართველოში გლოვის დღე დადგა,
ადამიანებს უკვე არ ჰგავდით.

ეს ყველაფერი ცოდვად გედებათ,
რაღაც წამლებით ვენებს რომ წვავდით,
იქნებდა ერთ დღეს ეშმა განდევნო,
ზოგჯერ ეშმაკსაც ანგელოზს გახდი.

ეს შავი ჭირი რად აიჩემე,
 გიჯობს კუთვნილი ცხოვრებით დატკბი,
შენ ნარკომანო ესე სუსტი ხარ?
კაცური-კაცი, ასე რომ წახდი...

დოროთეა
პოეტი

გველების მოდგმა

გველების მოდგმა წამეკიდა,
 დამიწყო მტრობა,
სისხლი, დაწმენდილი,
ამიმღვრია მე ამ ბრძოლამ,
მოდით შამამხვდით,
რად დადექით შორად?
ერთად ვუზიდოთ
საჭმელი ყორანს.

ძირ-ძირ დათხრილი ხეებით
შეგიკრავთ ბორანს,
სისხლის ტბას
 გაკვეთს სწორად,
საიმქვეყნიოს
ხომ არა ჰგონებთ შორად?
მაგ თქვენს ცუდ ყმობას
 გაგიფენთ ფონად.
არ გაგიმუხთლეთ,
ამოგეგებეთ,რაიღა დამირჩა
 წამეკიდეთ, დამიწყეთ მტობა.

გასწით, გამზადეთ ველები,
უნდა გაწვიოთ ზიანი,
ზოგს აგიტირებთ დედებსა,
ზოგთ მტვერი ჭამეთ გზისანი,
თუ მთის თავს შამაგეყარეთ,
 მოსკდება ზვავი მკვდრისანი,
თუ ჭალას შამომეფეთეთ
 ადგილ ვერა სცნათ ცდისანი,

წადით, აწვიეთ გლოვითა
 თქვენ სულთა გამომტირალნი,
ჭურნი აავსეთ ცრემლითა,
 ნაწნავზედ ჩამომდინარით,
თორემ თუ შამამეყარნეთ,
 უკვე იქნება გვიანი.
მუხათ შტო შამაემტვრევათ,
 ქარი იდგება ხმლისანი,
გასწით, დათხარეთ საფლავნი
 თქვენ ზომა სიდიდისანი.

ცხენზე თუ ნახოთ სიკვდილი,
 ჩემი ნაფიცი ის არის,
თუ შაგეყაროთ ბინდი რამ,
ჩემ ჩოხის ნაწყვეტ ის არის,
თუ შაგეპარათ ნისლი რამ,
უფლისკრულთა პირსა მძინარი,
იცოდეთ ჯავრი რამეა,
 ჩემ მკერდით გამომზირალი,
გულის მჯიღს დაუტევნელმა,
 ცაც გამოჭედა მტირალი,
თუ სადმე წამაგელალათ,
დაგძალოთ შიშმა, ის არის.

ჩემ მტერი წამკიდებელი,
მხოლოდ მკვდარ ნახოთ მძინარი,
ასრე გავუხდი საწუთოს,
სხივნი ცივოს მზისანი!

კვირტებს

ერთ დღესაც
ძალიან მეტკინება
გული.
ერთ დღესაც
კვირტებს დაეყრდნობა
თოვლი.

და ნუშების
აყვავების ნაცვლად
ღრუბლებს აპენტავენ
ჭიშკრის გაღებულ
კართან.

იტყვი :
„არ გახვიდეო გარეთ,
წინდა
გაგაციებსო სველი.“

მე კი ველოდებოდი
ზამთარს,
ოღონდ არა
გაზაფხულისთვის,
რომ შეეშალა
ხელი.

ნუშის
ნაზი ყვავილი
იზმორებოდა კვირტში,
უკვე მიწაში
გადაბრუნებას ფიქრობდა
თესლი.

მოვიდა
წვიმაშემოსილი თოვლი,
და სამყარო
ფურცელი–შეიქნა
თეთრი.

რაღაც ახალს წერს
ცხოვრება ზღაპარს,
მუსიკა იკინძება
ნოტებზე ძველი.

ხელისმომწერი
დასასრულში არ ჩანს.
ვკითხულობ
და თოვლივით
ვიპარები, ვდნები.

სულ ერთი პეშვი
ვიქნები ალბათ,
თოვლი
ნუშის კვირტებს
რომ დაიჭერს ხელში.

რა ვქნა?!
თოვლი შემოიპარა ჩუმად
და სამყარო–
ფურცელი– გახდა
თეთრი.

მჭირდები საშინლად,
მაგრამ
იქნები სარკე
აპირთავებული ჩემით.

...
ყვავილობას
ფიქრობდა ნუში,
წვიმა ფიფქს
იწნავდა თმებში.

06.12. 2020.

არწივი გზას გაუდგა

ამ სამზეომ გვერდ იცვალა,
დედისერთა დიაცივით
საჯაროზედ დაბზრიალდა,
დახნულ მიწას დაემსგავსა,
ბელტებივით ატრიალდა,
გველებრ ჩაწვა, ჩაიხლართა,
ბოლო პირით დაიჭირა,
ბუდე კარგად გაიმაგრა,
სველი წელი დაკოკრილი
საჯაროზედ არ იმართა,
ცრემლის ჯაჭვმა არ ივარგა,
ჩალისაებრ დამიფანტა.
თხოვნის საგზალ არ იკადრა,
საარაფროდ გამიხადა,
ორკაპ ენა გადმოაგდო,
მათრახივით ათამაშა,
ჭურს ნაბზარი დაუჩინა
სისხლს ღვინობა არ აცალა,
წითელი ტბა გაიმზადა
ჩაწვა შიგ და იცურავა,
როცა გაძღა, გაილაღა,
ენა სახრედ ამუშაკა.
სული – მატყლის თეთრი ქულა,
გამიჩეჩა, გამიფანტა,
გულს ფეხებში ჩაუგორდა
სულ ფესვები დაუთხარა,
მუხა, მთვარის ნაუღლები,
მიწის მტვერით დამიფარა,
მუხა, ქარს რომ კოჭს ამტრევდა,
ჭია-ღუათ გზად გაუხდა,
მუხა, მზეს რომ აბნელებდა,
ბალახებთან გამიცუდა,
მუხას მხარს რომ არწივ ეჯდა,
ის არწივი გზას გაუდგა.
უცხო მხარე მოიარა,
ჩემთან უკან არ დაბრუნდა,
უცხო რამე სახილველი
ნახა, თვალი მით აპურა,
ჩემი ნატვრის მსურიელი,
გული ამით გაიცუდა,
უნდო ყვარებულს მიმაგდო
არ ვიცი, სინდისს რა უქნა.
გველის ნაფერებ რო მნახა,
გული იჭვებმა დაუღრღნა,
ორკაპი სახრე სულს მოხვდა,
მატყლებ დაჩეჩა– დაწეწა,
ქარმა ხელი წამოავლო,
მთებს გულ-მკერდზე მიაფეთა.
თითქო მომკვდარა არწივი
ბუმბული მოდიდდა მტვერად,
არ ვიცი მოკვდა არწივი
არ ვიცი გველმა სული ჩეჩა.

მომატყუე

მე გთხოვ ცოტა ხანი მომატყუე,
მჯეროდეს მინდა, რომ გიყვარვარ....
რაღაც უსაშველოდ გავიტრუნე,
ფიფქებად მძიმე ღრუბლებს მივყავარ.
..
ხეებზე ფოთლები ოქროსფერნი
დიდხანს გაჩერებულნი გინახავს?!
მოუვლის ქარაშოტი მთიანების
და ქალაქი გადიქცევა წრიალად.
რაღაცას მეუბნები, მე არ მესმის,
ღელავენ, თამაშობენ სიაფანდს.
მქონდა დამალული ეს ლექსები –
ტკივილით ალესილ ხმალს მიაგავს.
უცებ გაიბრწყინებს გაუგები
სინათლე წყვდიადების საფუძველი,
ღამე მზიანებში მიყავხარ.
გთხოვდი მომატყუე სიყვარულით,
მაგრამ ისედაც გადავრჩები.
ეს შენ მილოდინე იყავ და.....
თოვლმა მზე მთვარისფერი გამოხადა
და ღრუბლის კალთებზე მიაბა.
მიყვარს ეს ზამთარი მოწყინების...
სიყვარულს უნატერფალოდ რომ მიყავხარ.
წავალ მაღლა მთებში– მყინვარებში,
რომ გვანან ოცნებების იალქანს.
მიყვითლებული ფოთლების
ხეებზე გაჩერების
ძალა აღარა აქვს მზის კალამს.
გევედრები მილოდინე,
მთელი გულით –
გინდა გიყვარდე, გინდ არა!
ფიფქივით დნებიან მეგობრები,
ფოთლებით გვიგზავნიან მისამართს.

2018.11

ცხელა

ცხელა,
არაბული ასოებივით
გართხმულან ძაღლები,
შენ ჩემი გჯერა
და სიყვარულით
გიცინის თვალები,
დუმილის ფარდას
არწევს გრძნობათა
ნიავქარები,
მაისობს ახლა
სხვათა ეზო და ბაღჩა.

მხოლოდ ნიავი მოიტანს
ვარდებით სავსე კალათას,
თუკი შეიძლო
მდუმარების მძიმე
ფარდის გადახსნა.

– მიყიდე ვარდი
წითელი, თეთრი,
მაგრამ ყავლი გასვლია
იმ ფულს,
შენ რომ გიჭირავს ხელში.

იღვრება ვარდების
სურნელოვანი თქეში
ამ მდუმარების
ფარდების ქვეშით.

ცხელა,
არაბული ასოებივით
გართხმულან ძაღლები,
ვკითხულობ ზაფხულის სცენარს –
ახლა ჯერ არს –
მოქმედება დაიწყოს მეორე,
პირდაფჩენილ
მაყურებელთა ტაშის გრიალში,
გაისმის მდუმარების
მძიმე ფარდის
ზანტი შრიალი.

გამოდის სიშიშვლე ქალის
ბერძნული ქიტონით
და ვარდებით შემკული თავით,
მონოლოგი – დაუგლიჯავს ბაკქი,
დიალოგი – ბაკქანალიით
დაღლილი ხალხის.

ფარდა ეშვება,
მოვიდა ცხელი
წვიმის ორთქლი,
სცენარი წაიშალა
– კლასი ნახატი ფორთხვით,
და ცხელ ზაფხულის ღამეში
ჩაეცხო მთვარის შოთი.

სცენა ვერ უცვნია,
ფარდა ვერ უგრძვნია,
ყოფილა თეატრში ლოთი.
ძაღლები ყმუიან,
თვალებიც ტყუიან,
ტრიალებს ჰაერში
წვიმის ორთქლი.

ნასროლმა ვარდებმა
დაკაწრეს მდუმარების
დაშვებული ფარდა.

ცხელა,
ძალიან
ცხელა ახლა.

ურაკპარაკი

მზე გაძვრა
ხვრელში ღამის,
აეცვა მძივი
ძაფით მსხვილით,
დღეს-დღე მიჰყვა
კიდევ ერთი,
დავიწყების ფრთებით,
იქნება ღამის
შავი გიშრი
გვერდით,
სიკვდილმოსილი
სუდარის ქვეშით.

მხოლოდშობილი
გავიდა ჟამი,
მზე ჩავიდა და
ღამის ჩადრქვეშ
აღმოსავლურად
იღიმის მთვარე.

ვხედავდი თვალებს
და თვალწინ მედგა
ბაგე-მთვარით
განპობილა ღამე.

ღამის მსხვილი ძაფით
ჭრელი დღეების
ეცმევა მძივი.

სიკვდილის კართან
მდგარო ვაჭარო,
გარდმიხდი რა ფასს?!

ახლა გავალ ურაკპარაკს,
დაგეძებ,
რომ ვერ გიპოვო,
თან მდევს წკარუნი
თვლების ჭრელის.

ვარ ბოშა ქალი,
მხოლოდ დარდით
და ვნებით, არ ვიცი,
საით მიდის ჟამი,
უღრმესი კალაპოტით ღამის.
და სად თავდება
ცხოვრების ხაზი!

ისე კი მაინც
დავალ ურაკპარაკს
და ვბედავ ლაპარაკს,
ურცხვს და ხმამაღალს,
გეტყვი მომავალს,
ტყუილ-მართალს,
და ცხოვრებაც გავა!
როგორი დამცინავი
ღიმილით მწარედ,
წონის წამებს მთვარე!

1996.04

• კ ვ ა რ თ ი

ეს მიწა
შემოსილი უფლის
კვართით
ჯვარცმას აარიდე,
ღმერთო!

ღმრთისმშობლის
საფარველს შეაფარე
– ჩვენ ხომ ვნებულება
გვერგო!

ვიდრე ფერდს უგმირეს,
ჯვარზე მყოფს
ტკივილებში,
დედა მოწაფეს
ავედრა ერთგულს.

იცოდა, ბავშვივით
ვიჭირვიულებდით და
მის კალთას შეგვავედრა
შემდგომ.

ის, მხოლოდშობილი,
უფლის ძედ ცნობილი,
იყო გოლგოთაზე
ჯვარცმისთვის შობილი,
თუმც ჯვარი პაჰრაკმა
ზიდა – ემხრო.
წყალიც ძმრიანი სვა
– "ელი ლამა საბაქთანი".
მამას უღაღადა
და სიკვდილამდე
ჩვენი პატიება შეძლო!

ეკლით შეთხზულ გვირგვინს
და მხედრების სიცილს,
გაუძლო!
ვერ უძლებს მხოლოდ
ჯვართან დედის ტირილს.
უმრწემეს მოწაფეს
საყვარელს აბარებს
და ქვეყნის აღსასრულს
ისე ანახებს,

რომ ეს ქმნილება
როგორმე გადარჩეს
უსიყვარულებას ჩვეულს.

გზად, გოლგოთისკენ,
მრავალგზის დავარდნებს
არ აპატიებენ
და ჯვარზეც აკრავენ
"რატომ დამტოვეო
ღმერთო!"

დედის ნაქსოვი
კვართი ათბობდა,
მხოლოდ ის ეკვროდა
მის წმინდა სხეულს.

და მერე გვისახსოვრა,
ასე მოგვიწოდა – მისთვის
რომ გვეომა რჩეულთ!

მრვალი ჩინებული,
მცირედი რჩეული
და არავინ ჩვეული –
ჯვარს და გილგოთას.

ეს ჩვენ ვიყავით
სიკვდილით ძლეულნი
– შენ გვააღდგომებ,
ღმერთო!

დედის ნაქსოვი
კვართი ათბობდა,
მხოლოდ ის ეკვროდა,
მის წმინდა სხეულს.

მერე საიდანაც
ვიყავით აღებულნი –
რისგანაც გვქმნიდა
რჩეულთ,
ის მიწა შეიტკბო,
ის მიწა შეიმოსა,
ვიდრე აღსგდგებოდა –
ძლევაი საკვირველი შეძლო.

რომ ასე დაშლილებმა
ესე ნაწამები
– სისხლი წვეთებად
მიწაში ვთესოთ;

ვაზის ლერწებად
აღმოგვიყვანე და
შენს ზენა დიდებას
მტევნად შეგვაბი,
შეგთხოვთ!

ოღონდ წინაპრების
ძვლებზე შეკიდებული
მიწა შეგვინახე,
ღმერთო!

დედის სიყვარულს
ისევ მიგვაჩვიე
და კვართში ჭრილობებით
ისევ შეგვახვიე,
შენთვის მოგვაკვდინეს,
ღმერთო!

წარმოცალიერდი
მხოლოდ ჯვარცმისათვის.
რომ:ეკლით დაკაწრულ,
ჩვენს უძლურ სხეულს
ისევ აღდგომა ერგოს.

იდგა მოციქული –
სიყვარეულს უგალობდა,
ოღონდ ჟამის სისავსის
შემგომ!

იდგა ქალწული –
დედის ტკივილებში,
რომ ჩვენ ვშობილიყავით
უფლისთვის, ღმერთო!

2019.14.09

ყ ო ლ ი ს ა

ნაშუაღამევო ფიქრებო,
ნეტამც მამწყინდეთ ყოლისავ,
სწორპირ გიჭვრეტდეთ ნაყვარევთ,
თავ არ მტკიოდეს ქონისგან,
ვიყო და ვყოვნო ყოფისას
სიკვდილზე გადაზომისგან.
გულ–სიყვარულის ნატერფალს
პირთამდე ცრემლით მოიბანს.
ავსებს და ვერღა ივსების,
მწვერვალთა თოვლის დნობისგან.
შეგეფეთები თოლით და
განვიზიდები ყოვლითა,
ყოილთა ჩქამი ნიავში
ან წვეთი
ღრუბლის წყობისა...

არცრა მინდოდა აროდეს.
თავი არ მქონდა თხოვნისა.
თავისით ჩნდება სამყარო
ერთი პატარა მდოგვისგან.
გული ნატერფალს მიაგავს.
ნახჭნში ჩავარდნილ ყოფისას,
შიგნი კამკამებს
ცრემლები,
წამწამზე ჩამობროლვისა.
მზიანებს ყორნის ბალანი
სისხლისფრად ჩამოქროლვისგან,
არარის?! ჭრაქი ჩააქრეთ
სული მეხუთვის ხრჩოლვისგან.
შავ ჩოხას მბზინავ ყაწიმებს
დარდ ჟანგად შაშჭამს, ომისგან
ვკვდებოდე, აღარ ვრჩებოდე,
აღსრულდა რისთვის შობილ ვარ....

მკვდარ გულ აბრუნდეს ბელტისებრ,
გიყვარდე – მარცვლად მდოგვისა,
ნაალაფარი კი არ ვარ,
ცალი ვარ შემოხვდომისა!!!

2019.15.04

მ ჭ ი რ დ ე ბ ი

მთვარით დაკემსილი დღეა,
ცივა მიტოვებულ სახლში.
როგორც მიგდებული ჩუსტი,
გამოდებული კარში,
მ ჭ ი რ დ ე ბ ი, მაგრამ არ ხარ,
წაგიღეს წლებმა მაშინ, როცა
დაიზლაზნებოდა კატა.
რიკულებიან ბანში.....
მწიფე ყურძნის მტევნებს
ეხუტებოდა ვაზი....
მე შეშინებული გისმენ,
თვალს ვეღარ გიყრი თვალში;
მეგონა ბრძნობდი, თუმცა
წვიმას მივყვებოდი ტაქტში.
მუდამ დანაშაულია ჩემი,
მუდამ შეუნდობლად ბარდნის.
ჩამოიზლაზნა დილა,
მთვარიდან ისე ცივად,
რა გადაიტანს ნეტავ.
ყოველდღიურობის ფიცარს?!
მეყოფოდი ვფიქრობდი მუდამ,
შენკი აღმოჩდი უკან!
გრძელდება ცხოვრება თურმე.
სიკვდილი ყოფილა ხურდა
ჭრიჭინა ნაბიჯებს გაუკვალავ თოვლში
ზამთარი აცაბაცად. მიყავთ.
მ ე ნ ა ტ რ ე ბ ი, მაგრამ არა.
წარსული განგოზილი მიყვარს!!!.

20.02.2018.

შესაქმის თავი

.....და როცა მთვარიან ღამით
სული თითის წვერებზე შედგება,
რომ მიწვდეს უხილავ სიღრმეს
და ისწავლოს მარადისობასთან შეხება.
ვერ ხვდები, რას ელოდი უწინ,
და თუკი ეს ლოდინი გრძელდება,
მოდიხარ, დატოვე სახლი,
გზაზე ბილიკი ფერდდება;
მუდამ ტკივილის განცდით
ეს მოლოდინიც ბერდება.
უკან დაბრუნების ტრფობით
უბელი რაშების დევნება,
ყველაზე გათელილი ბილიკით,
ყველაზე მიუწვდომელი გეხება,
წინ მიერეკება წუხილს
განთიადის ნამიანი შეგრძნება.

და როცა მთვარიან ღამით
სული თითისწვერებზე შედგება;
უნდა გაიხედოს იქით,
სადაც აუკრძალეს შეხება.
როგორც დამფრთხალი ჩიტი,
ყველაფერს უგზო-უკვლოდ ედება.
ვიყავი, გგონია, ვიცი?
ვიქნები? არ მექნება შეგრძნება,
ბალახი აავსებს მიწას,
რომელიც ერთხელაც
უხმოდ შემხვდება;
დუმილი იდგება სახლშიც,
რომელშიც მინდოდა შეხედვა,

.....და როცა მთვარიან ღამით
სული თითისწვერებზე შედგება,
ვიცი, ყოველი დღის ანი“
უფალთან „ჰოესავით შემხვდება,
და თუ მე დავივიწყე თავი,
არც რამ დაიდო მტვერად
ჩემი უგვანი ფეთება;
გაქრა –გაიქროლა ყოფამ,
როგორც სარკეში მედუზის შეხედვამ,
შენ დაიმახსოვრე, ვიცი,
ჩემი ყოველი კვნესება;
ყოველი ჩემი ჩქამი
ტაძრად ექოსავით ჩერდება,
ნუთუ მე ვიყავი მაშინ,
მამა რომ მიპირებდა შეხვედრას
-ზვარაკს მირჩევდა ნასუქს,
და სამოსელს პირველს ეძებდა.

.....და როცა მთვარიან ღამით
სული თითისწვერებზე შედგება,
მე ვიქნები პატარა ბავშვი
მეპატიება მარადისობასთან შეხება;
მოდი, ამიყვანე ხელში,
მექნება მოლოდინის შეგრძნება,
ეწერა შესაქმის თავში,
რომ ვარსკვლავებით გვეძებნა,
ჩვილი გახვეული მჩვარში
და სულთათთანა შეხვედრა!

10.12.2004.

სიკვდილს

სიკვდილს რა უნდა ჩვენთანა?!
სიკვდილს მემგონი ვუყვარვართ,
ასე დედური გუმანით,'
სულ მუდამ გვყავს გვერდთანა.
ასე ქალური ალერსით,
მოგვეფინება ფერხთანა,
არ იცის მაგან ღალატი
იცის პირობის შენახვა.
მე და სიკვდილი შავფერი
დავიარებით ერთადა
სულ მუდამ ვემახსოვრები
გამოგზავნილსა ჩემთანა.
ჩოხის კალთაზე დანაფლეთს
ამ საწუთოის კბენასა,
სიკვდილი გარდაუვალი
მოეფინება მხსნელადა!
სჯობდეს ვინ იცის სიკვდილი,
ამ უაზროსა გდებასა;
სამშობლო გაგივერანეს
ვერა ტვირთულობ ვერასა!
სისხლით ნაერთებ მიწასა
უსისხლოდ უთმობ ყველასა,
სჯობია ნაღდად სიკვდილი
უპატრონოსა გდებასა,
მიწაში გამოხვეულსა
სინდისი ვეღარ გქეჯნავსა,
კავკასიონზე ამირანს
გამოშიგნულსა ვხედავ და
სიკვდილთან ვიყვე ჯაბანი
ჟანგიანი ხმლის ჭერასა,
ალგეთს ლეკვების თამაში
აუტანია წერასა.
ბაზალეთის ტბის აკვანში
ყრმასა ვერავის ვხედავა.
სიკვდილი თუ არ მიჯობდეს,
მე ამისთანა თმენასა.
მოდი დაჰყეფე არწივო
სიკვდილის გამოჩენასა!
იყვე და საქმე ვერა ქმნა
ეწიოს დამაწყევარსა!
დარლამსაც შეწირული ხარ,
ყელთან ჭრილობა შეგახმა,
მტრის კარს კიდია მარჯვენა.
ელის ქარების რხევასა,
თუ არა ჯობდეს სიკვდილი
ასეთსა დაბადებასა,
მიწაში ვიწვე ჯობია
ამ არტახების ჭერასა.
შავ ჩოხაშია სიკვდილი
ფრანგული ხელში ელავსა,
ერთი წუთია სოფელი
გავს წელზე ქამრის შეხსნასა;
მარადი ყოფა სულისა
ვერ დატეული ვერსადა,
შენ გაიხარე სიკვდილო
მიმყვანებელო ღმერთთანა!

10.10.2016

მარი ჟღენტი – ფილოლოგი, ჟურნალისტი
დაბადების ადგილი – ზესტაფონი

ჯიხვის სიმღერა
(ჩემს საქართველოს)

ეს ტანი კლდიდან კლდეს თუ ვერ ან... არ
მისწვდა,
სული სხვის დაკრულზე მაინც ხომ არ როკავს,
რა უშავს, თუ ძაფი სიცოცხლის გამიწყდა,
გავფრინდი? უფლის ხელს ფრენითვე ავლოკავ!

გამზარდა ხრიოკთა ძვალმა და კუნთალმა
და ენა თუ არ მაქვს, რა მოხდა, რა ვუყოთ?
იმდენი ჭკუა კი მარგუნა უფალმა,
ეს კლდენი ზიარად არავის გავუყო!

მერე რა, თქვენსავით ხელი თუ არა მაქვს,
ამ თვალთა ფიალამ ცა შესვა – წამუყო,
ისე თქვენ განგებამ გაჩუქოთ ბარაქა,
მზის ფერდობს სათიბად არავის გავუყოფ!

მიჭირდეს? არა ვცნობ მორჩილთა მაყრიონს,
საბრალო სხვის ხეზე მტირალი ყვავია,
„ფეხს დავკრავ“ გადავფრენ ამ კლდეთა
„ბახტრიონს“,
ჩემს ფეხქვეშ ღრუბლების ვარდები ყვავიან!

დაბლობში ბაღჩა თუ... ბაღი თუ... სოხანე –
სასუნელმწვანილე, საჩრდილო, სავარდო...
მერე რა, თუ არ მაქვს? მე ცა რქით მოვხანი
და თეთრი ნისლების მინდორზე ვნავარდობ!

ამაყი იმად ვარ, თავის ვარ პატრონი,
თუ მძლევენ, ჩემს „აფხას“ სუფრაზე დადებენ,
ეს ძვლები არცროდის რჩებიან მარტონი,
რადგან რქებს ვერცხლით და მზით მისევადებენ!

ბუნებამ პატივი ამგვარი მაწვია,
წვიმებით ვნადიმობთ მე და მთის არწივი,
არხოტიც ყანწია, შატილიც ყანწია...
ზედაშით უფლისთვის სასმისად გაწვდილი!

დალიეთ, დალიეთ, მათი სიდიადე,
სულებო, ჩემს სულთან მზით შენაერთებო,
დათვრებით? თავი მთის ბალიშებს მიადეთ,
ამ კლდეთა, ტყეთა და უფსკრულთა ღმერთებო!

ჰო, ღმერთმა... "ღმერთები" სტუმრებად მაწვია,
ვთამადობ ჭიუხში ამ ქვათა ნაწილი,
თეთნულდიც ყანწია... შატილიც ყანწია...
დარდებით სავსე და უფლისთვის გაწვდილი!

ფრენა არ მაშინებს, თუ ჩლიქი შემიცდა
კლდის ძგიდეს, დევების ნაცეკვარ-ნაროკავს...
და სული ფრენითვე – თუ დღენი შემიწყდა –
განა, მტრის ნატერფალს? – უფლის ხელს
ალოკავს!

***

„მატრიცა“ ანუ თოთხმეტმარცვლიანი ლექსის მაგია

(პასუხი საყვედურზე, თუ რად მივმართავ
ხშირად ე.წ. „შექსპირულს.“)

ცხელი აგვისტო მუჭში წურავს თავად ეკვატორს,
ამთქნარებს ღამეც, თითქოს, წუხელ არც რა ეკადროს...
მღლის ჭრაჭაჭრუჭი მოძველებულ კედლის ფიცართა,
სხვათა და სხვათა სამყოფლიდან კუთვა „ციცართა“...
    განთიადის წინ დაიბუდებს ცხელი დღე ყურში,
    ბოლოს და ბოლოს, გამოზომა კალამმაც კურსი...
    თუმცა, შიშები „შექსპირულის“, კრძალვებით მკლავენ,
    თოთხმეტი მარცვლის ლაბირინთით მაინც ვერ გაველ...
ჰო, როცა ვირჩევ თოთხმეტ მარცვალს – ყვავდება შიშიც
და ცრემლის წვეთი სტრიქონებზეც იწყებენ შიშინს!
ვიხსენებ, ვფიქრობ, მაცხოვარი რისთვის, რად მოკვდა
და მადლი კაცთა, ვით შუადღის ჩრდილი დამოკლდა?!
    შენდობას ვითხოვ, შემწეობის მირონს მოველი,
    მსურს გავიაზრო ჩემში რაც დუღს, არსი ყოველის,
    სიტყვის მაგიამ მშობა, მაგრამ „მეც“ ის... თავად ვშვი...
    შემიყოლია ათოთხმეტის, სისხლში თამაშით.
ფრთხილი მიხვედრით ულაციცებს აზრი ცის წამწამს
და სულ ეს არის, რაც ვიცი და... ახლა, რისაც მწამს,
მორწმუნის მზერით ვინახულე ლაჟვარდი ცის მტე:
თორმეტი არის მოციქული, ცამეტი – ქრისტე!
    თავს ვეუბნები (აღარ ძალმიძს გულში შენახვა):
    რომ მეთოთხმეტე – ფეხთა მტვერი – თავად შენა ხარ!
    სხვაგვარად როგორ? როცა ყოფის ხვედრი მძიმდება,
    ღმერთი შეიცნოს! ამას... სწორედ... კაცი სჭირდება!
თუმცა, „არ ვცნობო!“ – ოდენ პეტრემ, ერთ დროს, ამტკიცა,
თოთხმეტი სრულის, განფენილა სულში მატრიცა!
აქ წუთისოფლის ფართლის ფუთა რაში მარგია?
რაც ჩემში დარჩა – ამ თოთხმეტი რიცხვის მაგია!
    რითმამ მიმგზავრა, მომახილა ცას იქით, ცანი
    და უფლის სევდა შექსპირამდელ გენებით ვცანი!
    ჩემში „თოთხმეტი კლავიშია“ – აწმყოს... თავს... ვიცავ!
    და როცა... ამას ამიშლიან – აწყობს „მატრიცა!“

არ მესროლოთ!

არ მესროლოთ!
მე ისედაც დაჭრილი ვარ,
ოცდაათი ტყვია ჩამრჩა ლავიწებთან,
სირცხვილისგან სახეზე მთლად აჭრილი ვარ
და შიშისგან ყველა ლოცვა
მავიწყდება...
არ მესროლოთ!
ზოგს... „ბერიკაცს“... თუ იცოდებთ,
ჩემმა დარდმაც, ცისკიდური გააშავა,
გაიხსენეთ,
სანამ მკვლელი არ გიწოდეთ!
სუსტმა ქალმა, თქვენთან
რაღა დააშავა?!
ბურუსი აქვს დაფენილი გზა-ბილიკებს,
ხენი დუმან, სული უსმენს ღამის სოლოს,
ყურს ვარიდებ, ქარი როგორ მაქილიკებს...
არ მესროლოთ!
სიძულვილი... არ მესროლოთ!
მფრთხალი ფიქრის ცეცხლს ანთებს და
უცქერს გიზგიზს,
შელეწილი ფრთებით გული თავის
წლებთან!
არ მესროლოთ!
თქვენი სიყვარული მიზის...
საგულეში...
გადამსხრეულ ლავიწებთან!

ცოცხალი შორისდებული

დაღლილ მაჯაზე თრთის ფიქრის ხაზი,
ნოქტიურნივით... მთვრალი გერშვინის,
ძგერს მელოდია მთვარის ცვლის ფაზის
და მზის წნულს ლეწავს გული შეშლილი.
რა გინდა, ხსოვნავ, გაჩრილო ძარღვში?
შენი იმპულსი მომდის სიზმრებად
და როგორც ბალღებს დაღლილი მახვში,
რითმებს გულისკენ ვუხმობ ხიზნებად.
შემემსხვრა სულის ცისფერი რკალი,
ვით, არბალეტით – დისკო სამიზნის
და მზერის კუთხეს ცვლის ბეცი თვალი,
ქვეცნობიერის ასტიგმატიზმით!
დრო დღეებს და წლებს ადრეც მითვლიდა,
ახლა, ხელიდან მტაცებს ამ წამებს!
ზამთრის ქარივით ირგვლივ მივლის და...
ვით ხიდან ფოთლებს, მაცლის წამწამებს,
მაინც მაქვს ერთი სათქმელის თავი,
თუმცა, წარსული მექცა საკირედ,
ცხოვრებავ, ზურგზე ამაძვრე ტყავი,
ვიცი, უარესს ხვალაც აპირებ!
ვერ დაგაოკე! ჰოდა, მეც ვყვირი
(გუგებს მიფარავს ნისლების ტბორი):
შენ გსურვარ, როგორც გამხმარი წკირი
დეფისად... სიკვდილ-სიცოცხლეს შორის!
გეტყვი: არა ვცნობ დადგენილ წესებს,
ქარის დაწერილ ნოლებს გადავშლი
და დავანაყრებ... შენითვე... ლექსებს,
ვით გნოლებს, ხორბლის მწიფე ყანაში!

"ნეგატივი" და "პოზიტივი"

მთვარემ ჩამოირბინა კენტი ღრუბლის ფერდობი,
რაკი შევრჩით ერთმანეთს, ერთმანეთით ვერთობით!
ერთმანეთის იმედით, სხვას არავის ვენდობით!
მაყვლარიანს ბინდბუნდის ჩიხტიკოპი ახურავს,
ლამაზია ისეთი, ყველა წუხილს განკურნავს...
წუხელ დაბადებული, ორი, ტყუპი ვარსკვლავი,
დედას გამოპარული...
ღრუბელ-ღრუბელ დახტუნავს!
ენკენისთვე დედოფლობს, მეცხრე ცაზე მარტია...
შეცივნული კლდის კერტი ორბმა ფრთის ქვეშ დატია,
"ჰორიზონტის გადაღმა", სადაც ვნება გადახმა,
მაინც, ცხელი სიზმრების
ლურჯი ათინათია!
ქარმა წამოუკეცა მიწას ნისლის მანტია,
მან კი ეს თავხედობა, სულ სხვას არ აპატია...
გაღმა „ნაძრახ ტაფობებს" – ბევრნი ვერას ატყობენ –
ცა კი ხედავს: კოცნების
არმურები ატყვია!
ამით როგორ "ვერთობი?" რომ ვიცოდე, გეტყოდით!
მაგრამ რა ვქნა, არა ვარ ყოფის „მაჯის შემტყობი",
ოდეს, რაც მინახია, ვფიქრობ, ჩემთვის ახია...
მთვარემ ჩამოირბინა
კენტი ღრუბლის ფერდობი!
ხეთობენ და სკვითობენ, სისხლში დაჯირითობენ
და ხილვების კოცონზე ხელისგულებს ითბობენ
ის ყაჩაღი ვარსკვლავნი, ერთი... სენს რომ განკურნავს,
დედას გამოპარული
ღრუბელ-ღრუბელ დახტუნავს!
შორს, სატურნის რგოლების ფერად ჩრდილ-ლაფაროში,
ეგრეგორი გამწყრალი მნათობს ამწყვდევს ხაროში!..
რადგან არ სწამს ცდუნების სიზმარ... ზღაპარ... ნაროში,
ცნობიერი სიმთვრალეს „ფართუკივით" იფარებს
და სელენა დაცურავს... სულის რიბი-რაბოში!

მაყვლარიანი* – მთა იმერეთში;
სელენა, თეთრი მთვარე* – ზოგჯერ განიხილება, როგორც ემოცია;
ეგრეგორი* – აზროფორმა, ენერგო-ინფორმაციული სუბსტანცია;

ღმერთო შემარგე!

„ ნათელ იქმენო!“ – შობა სიტყვამ „შორისდებული“,
როცა განგებამ, სიცოცხლისთვის მიწა გაწირა
და ჩირაღდნებად ანთებული ცდომილთ კრებული,
ამალასავით, აქეთ-იქით გაუნაწილა...
დაიფსკვნენ გზები, ატორტმანდნენ ტალღები ზღვათა,
ფითილაწევით დღემ უდაბნოს ფერი დაფიტა,
სადღაც მძინარემ გაიღვიძა ჩქერმა ისხართა
და აღმოცენდა სააქაოს მზე-სერაფიტა!

მას შემდეგ ჟამმა წამოხვეტა ცხრა საუკუნე...
მერე ურიცხვი ათორმეტი... ერთი კი არა,
თან გაიყოლა ყველა წამი, რასაც „ვუყურეთ“,
შეემსხვრა უკუნს აურაცხელ სულის იარა!
სერაფიტები, ბარბალენი, ნეფერტიტები,
უვალი გზების თეთრ ქარავანს შორს რომ გაება,
ჰოდა, ხანდახან „კანფეტს“ გვიგდებს უფლის თითები,
ვარსკვლავ-გალიას და იქ ჩასმულ ცივ უკვდავებას!

რა ვქნა, ვერ ვიგებ, ამ სამყაროს ჩვენგან რა უნდა
და ჩვენ რაც გვინდა, ვიცი, მაინც ვერვინ ირგუნებს
და სანამ დღე და... სანამ... ღამეც ერთფერ გახუნდა,
ასს რომ წაიყვანს, ღმერთი იმდენს უკან გვიბრუნებს!
„აღებ-მიცემის სარგებელის" თუ იცით რამე?!
კაცის გონება, ალბათ ჯერაც არის საპყარი,
მაშინ შემარგეთ, კლდის წვერზე რომ ბარბაცებს მთვარე,
როგორც არხოტში შუმი ღვინით მთვრალი მაყარი!

ყოფის ფაცერში ვაფარქთალებ გულის ორეულს,
ვფრთხილობ, დედანიც იმ ბადეში რომ არ გაებას,
შორით ვუყურებ, როგორც კატა უცქერს გოლეულს
სანატრელს, მაგრამ ვერშეწვდენილ ცის უკვდავებას!
შემარგე, ღმერთო, რაც ჩემია... რაც ჩვენ გვარგუნე...
ხვამლის სიმწვანე, ფირუზებთან სვე-წილნაყარი,
ნუ გვაწიოკებ ბედო, როგორც ნისლის თაბუნებს,
მასვი ცხოვრება, ვით ჯიხვის რქას შესვამს მაყარი!

"მზეო მარიამ!"

დღეს ტკივილები დამშვიდდნენ იქნებ, ცრემლს... წითელ მიწას... ცამ რომ გარია,
გიკოცნი ჯვრისკენ ზეაწვდილ თითებს, ყოველთა დედავ, "მზეო მარიამ"!
მკაწრავს, როგორც ტყვეს დანა თურქული, ძარღვში რომ ვნების სიმი ხმაურობს
და ვეხეტები ტერფდათუთქული, იმ მწარე დროში სამოგზაუროდ...
აქ, ჩემი სული ბევრ რამეს ხედავს და ვით ბატკანი წარსულს დანებდა,
ვუსმენ, მომსკდარი ტალღების ნებას, იმ შორეული იორდანედან,
მოაქვს ხორშაკებს სიზმრები უხვი, უდაბნოს ეშმა ნიღაბს არ იხსნის,
მისუსხავს ლოყას იმ წლების სუსხი და ამომტყდარი გრგვინვა ქარიშხლის!
გამოცლილი აქვს ზეცას საყრდენი და სადაცაა მიწას დარისხავს,
კითხვები მომაქვს ღმერთო, რამდენი, მაინც, შენდობის ველი ზარის ხმას!
სისხლის ფორმულას ქსოვენ გრძნობები, თან ჰემატრიულ კოდში ვიშლები
და მხურვალებენ სულში ლოცვები, როგორც უდაბნოს ცხელი ქვიშები!
გაწურულია მზის დისკო ოფლად, უფლის მუჭიდან ჟონავს წვეთებად,
მაფრთხობს ჩემივე ყოფნა ამ სოფლად, ვით შუნს – დევების შემოფეთება,
ვიღაცას გული ყინულს მიუგავს, ვიღაცა კივის: „მაინც ტრიალებს!"
ვიცი, მომწყდარი უფალს იუდაც, სულ დიუნებში იხეტიალებს!
ჩემს სისხლშიც დადის სამყაროს ბრალი, როგორც სხეულში უცხო სხეული
და მწვავს ბაგეებს სწორედ „ის ძმარი", სითხე... სამსალად გადაქცეული!
თითქოს, აქ გდია მკვდარი პილატეც, ხელში გამსკდარი პანდორას ყუთით,
იცხებს მირონად ცრემლის მინარევს, ძველი იდიში და ბირ ელ-ყუტი,
იშლება სულში მკვდარი ზღვის კარი და ტალღის ქაფის ნამი ჯებირთან...
და ითვლის ძველ წლებს უდაბნოს ქარი, ფინიკიელთა ნაბიჯებიდან...
მას მოაქვს ლოცვაც – ადრეც და ახლაც – სული კი უსმენს წინწილის წიაქს
და იორდანეს ცოდვებით დაღლა, ფსკერისკენ მღვრიე ტალღებით მიაქვს!
მსურს: შენს დაღლილ ტერფს შუბლი მივაყრდნო, დღეს სიყვარულით გული კმარია!
ადამის მოდგმის სიცოცხლის ვარდო, ვაზო ცხოვრების! "მზეო მარიამ!"
ცის სამრეკლოდან წკრიალი ისმის, გუგუნებს ქვეყნის დედო-ზარი და...
პლანეტებს ღმერთი, ვით ხურდას, ისვრის შეუცნობელის მეცხრე კარიდან!
მე ვნატრობ, თავი შენს კალთას ვანდო, დღეს ჩემი გული ნდობით კმარია!
ადამის მოდგმის სიცოცხლის ვარდო, ვაზო ცხოვრების, "მზეო მარიამ"!
ლოცვის საფეხურს მივყვები აღმა, სული კი უსმენს წინწილის წიაქს
და იორდანეს, ცოდვებით დაღლა, ფსკერისკენ მღვრიე ტალღებით მიაქვს!

იდიში* – ძველებრაული ენა ივრითთან ერთად;
ბირ ელ-ყუტი* – V საუკუნის ტაძარი ისრაელში;
პეტრე-იბერმა ააგო და იქვე მსახურებდა.

ვიცი, ქალი ვარ...

ვიცი: ქალი ვარ!
მარადია ეს განჩინება!
მგონი, სუსტი ვარ –
ზენაარმა ასე ინება!
მაგრამ, მზემ მითხრა:
როცა მე ცას
კეკლუცით ვართობ,
შენ, შუბლგაშლილი,
საყველპუროდ,
კერიას ათბობ!

კერიამ მითხრა:
შენს სითბოსთან,
ჩემი – ხუნდება
და ეს კვაწიაც
შენი ლოცვით
აჩუხჩუხდება!

კვაწიამ მითხრა:
ვდუღვარ ცეცხლის
აგურგურებით,
მაგრამ მათბობენ უფრო...
შენი ხელისგულები!

შვილებმა მითხრეს:
დედის რძე რომ
მირონს გვაპკურებს,
შენი ჩურჩული, ამა ქვეყნის
სიბრძნით გვაპურებს!

ამ კაცმა მითხრა:
შენ ხარ ჩემი ნავთსაყუდელი
და ყველა ხიფათს,
მხოლოდ შენით
თუ გავუძელი,
ჩემი თვალები აქაც, იქაც
შენს კვალს გაჰყურებს,
შენი ყურძნების შარბათები,
მწყურვალს მარწყულებს!

იმ კაცმა მითხრა:
ფიქრი ხარო, თეთრი ოცნება,
შენი სურათი ჩემი ცრემლით
დაიკოცნება!
გათენებისას, შენ გიღიმი,
შენით ვიწყები,
ღამით სიზმრებად მოგიპარავ...
თავდავიწყებით!

გაზაფხულმა თქვა:
მოვდივარო – შენ გინახულო,
შენს ხელებს თესლი
დავსტყუოო,
საჭირნახულო!

ყვავილმა მითხრა:
მეშინია, არ გაგაბრაზო,
მკერდს გადავიშლი, მინდა,
ცოტა
შენს გულს წავბაძო!

ფოთოლმა მითხრა:
შემიცოდებ, ხეს რომ
მოვწყდები,
მე კი შენს ტერფთან გაშოტილი
შვებით მოვკვდები!

სიკვდილმა მითხრა:
შენს მოსისხლეთ, ყოჩად ვერიე,
ოდითგან გებრძვი, მაგრამ
დღემდე
ვერ მოგერიე!

საფლავებმა თქვეს:
იმედი ხარ, ზეცის კუნთალი,
ჩვენი პატრონი და ღირსების
ჭირისუფალი!

შორმა გზამ მითხრა:
მივყვებითო ერთურთს
ფეხდაფეხ,
გლუვი კენჭებით უკვდავების
არაკს შეგახებ!

შიშებმა მითხრეს:
გვითხარიო, გიჯობს რა
უფრო,
მიწისა იყო, ზეცისა თუ...
მსხვერპლი საუფლო?

უფალმა მითხრა:
შიშებს მოკლავ ჩემი
დანახვით!
ქალი ხარ, მაგრამ...
მე სიცოცხლე –
თავად დაგარქვი!

მე – ნასრედინი!

ცის უბეს ვკაწრავთ,
ათასერთი თხოვნის პათეტით,
მას კი... ჩვენ ნაცვლად,
მეწამული ფერი ედება,
თავად დავყავით
თითო გოჯი მიწის ნატეხი
აქ ჯოჯოხეთად,
იქ უდაბნოდ... ზოგან... ედემად.
დავდივართ მერე,
შიშველ სულზე ფოთლებს ვიფარებთ,
თუმც, არ სჭირდება
სამოსელი, არც მერდინები,
ცოდვებს ვყიდით და
კვლავ ვყიდულობთ, დარდს არ ვიკარებთ,
ვით, საკუთარ ვირს
ყიდულობდნენ ნასრედინები...
და ნასესხები
სინდისებით ყულაბას ვავსებთ,
ყვარყვარეთ ვნათლავთ
სააქაოს კუკნა ღმერთებად,
ბნელში დავეძებთ
სჯულის კანონს ხელის სავსავით,
ერთმანეთი კი
საყრდენად არ გვეიმედება.
ასე სანამდე?
ოდენ, კერპებს „ამინ“ წამოსცდათ?!
რას შეგვაწევენ,
თუნდაც, მიწა ჩოქვით გაცვითო,
დრომ რომ გვასწავლა,
დაგვაკისრა იქვე გამოცდა:
ღმერთი არსებობს –
სიყვარულით! კაცი – კაცითო!
მე?! მე ისა ვქმენ,
ეს სიმართლე გარეთ გავკიდე...
რამეს მასწავლი,
სამილეთოდ გადმოკიდულო?!
სამოცდაათი
წელი (სარფით) უკვე გავყიდე,
გავყიდე მაგრამ...
შემიქეს და... თავად ვყიდულობ!

კაცები...

სხედან კაცები...
სალაყბოზე სხედან კაცები,
თვალთა ფერადებს შესცქერიან
ხბოს აღტაცებით,
ცოხნიან დროს და გუშინდელი კოცნების
"ერბოს" –
„წუხელ, ის ჯინსი რად ეცვაო, ცინგლიან
რემბოს...“
სხედან კაცები...

***

სხედან კაცები! სამჭედლოსთან კაცები სხედან,
ეფერებიან დაღლილ მზერით
ნამზეურ ზეგანს,
მუხლებზე უდევთ
ქვადქცეული უხეში მუჭი
და უსაშველო გარინდების დარღვევა უჭირთ,
აგერ, მზის წნულთან უფართქალებთ
სევდა ამ მიწის,
თითოეული, წინაპართა ვალებს განიცდის,
სხედან კაცები...

***

გაღმა გორაზე, მუხის ჩრდილში
წვანან კაცები...
ოხრავენ მძიმედ, ერის სულის
პირქვე დაცემით,
შეგვშრიალებენ იდუმალი ხმით უმხილებით
და გვაფრთხილებენ: ხან მიწისძვრით, ხან ქუხილებით...
წვანან კაცები!
წვანან კაცები, მქუხარეა დუმილი იგი,
ყველა იპოსტასს აწესრიგებს უწყვეტი რიგი,
სხვადასხვაგვარი უფლის აღქმით
და მისი რიდით –
დრო არც დგას, არც წევს, არც იღიმის...
მიდის და მიდის!
მილიონები, ერთეულნი, თუ ათასები,
არწივის ცხვირით, ორბის მზერით,
გლუვ ანფასებით...
ზოგი ჯირითით, ზოგი ფორთხვით... წაბარბაცებით,
სხედან კაცები... წვანან კაცები... დიან კაცები...

***

დიან კაცები!
და თვალებში წუხილი უწევთ,
დღე ხვალინდელი – დღეს გუშინდელს,
წინ როგორ უსწრებს?!
გულს უძევთ ხელნი მიწის... ქალის... ნაალერსები,
რად უღირთ იმათ, დღეს, ზღაპრებად თქმული ლექსები?!
აიგივებენ გინდ გათენდეს,
გინდა დაღამდეს,
ეკვრიან მკერდზე შემოჭდობილ
ფესვთა ავჟანდებს...
დიან კაცები: ჯელალ, ჯემალ, გურამ თუ ნავენ...
დიან და... ღრენით... წუთისოფლის ალიკაპს ხრავენ!

დიან კაცები!

ხვარამზეს ბალადა

ბინდი ბინდს ნაბიჯით უსწრებს
და მკერდით წვება წკვარამზე,
შენი ჩაშლილი ნაწნავიც
ხევს ბლონდით ბინდავს
ხვარამზე!

მაგ შენი ლექსის ნიავით,
ჩვენამდე მოაქვთ თავი წლებს
და შენი დროის სიავე
დღევანდელობას მავიწყებს.

ამბობენ: იყავ ქალაი,
დილის მზე გეჯდა წამწამზე,
კლდით, დევის თავის ქალაიც
თვალს რომ ვერ გწყვეტდა...
ხვარამზე!

აქ, მთის რითმათა კარავით,
შენი სახება წინ გვიზის,
გვწვდება, ეგ სულის მპარავი,
სიზმრებთან კოცნის გიზგიზი!

შევყურებ... შენად მივიჩნევ,
ხან იმ მზესა და ხან ამ მზეს,
სწორფერ ვაჟიკას ამბავი
სიმღერად გვითხარ,
ხვარამზევ!

ყოფილხარ: იერ-ქალაი,
დეკა: თამამი – თამამზე,
დევების თავის ქალანი,
შენს კვალს მოსდევდნენ
ხვარამზე!

ჩვენს გრძნობებს აქ აქვთ სასრული,
შენ... იქ ბნელეთიც განამზე
და „პირიქითეთს“ წასულიც
თავად ტრფობა ხარ...
ხვარამზე!

თებერვლის ღამე... მირკანის დილა...

ქარიშხლის ზვირთი აგორებს ღრუბლებს,
ალოკეს რტონი წვიმის ლეკვებმა,
ბებერი მთვარე სურდოს ვერ უძლებს,
საცაა ხველით წაილეკება...

ამ მიწიერი აღგზნების რიტმით,
გულგადაშლილი მრუმე წიაღით,
ცა ვარსკვლავების ყელსაბამს იხსნის,
ერთ-ორ პლანეტას ზედვე მიათვლის...

მოიქნევს პეშვს და ორთქლაყრილ ხნულებს,
მადლი დალოცვილ პურად აჩნდებათ,
ცის ნაჩუქარი გარდაცვლის წყლულებს
 წიაღის სუნთქვად და მზის "ჭრაქებად".

მირკანის ბოლოს იფეთქებს თესლი,
მოლოგინებულ მიწის ოცნებად,
თავს ვერ დამალავს ყვავილთა ცეცხლიც
და აფეთქდება ფერად კოცნებად.

ცისგახსნის ჟამი აიქნევს ხელს და...
ოქროცურვილი ფერებს ასწორებს...
მიწა დათრგუნავს სიცივის ელდას,
მზეს შეაბრალებს ზამთრის ნაწოლებს...

დრო ყველგანმყოფი, უფლის თიკანი,
იქცევა სრულქმნილ თავდავიწყებად,
არავინ ვუწყით, ეს თვე – „მირკანი“,
როდის მთავრდება ან სად იწყება?!

ზამთარს ვუძებნი საკანს შესაბამს,
არყნარში წვეთავს ცრემლი სიარყნის,
ცა ვარსკვლავების იხსნის ყელსაბამს
და ორთქლაყრილ ხნულს პეშვით მიაყრის!

ხვარამზე* – ცნობილი სახალხო მელექსე, ვაჟა-ფშაველას დედის დობილი ხვარამზე მინდოდაური, რომლის ლამაზი და ტრაგიკული სიყვარულის ისტორია საყოველთაოდ ცნობილია!

რამდენი წლის ვარ?!

შემომაწერა რაც ცხოვრებამ, უკვე მზად არი,
თითქოს სხვის კუთვნილ ჰაერის წილს, ჩემად ვუნთქავდე,
წუთისოფელი – საჩემდღეო – გახლავთ კვაზარი –
ამ ჩასუნთქვიდან, იმ ნახევარ ამოსუნთქვამდე.

ვერ დავიჭირე შობა-წასვლის შორის ღიობი,
და მე არ ვიცი, რა – განგებას – უნდა ნებავდეს,
ვთვლი ოცნებების აბლაბუდას, როგორც იობი
და ვქსოვ პირბადეს მოთმენიდან– მოთმინებამდე!

რამდენი წლის ვარ? თქვენ მითხარით, რა არის წელი?
რას ნიშნავდა ის... ცა და მიწის შექმნისთანავე,
იმ დღიდან ველი... ირმის ნახტომს ვიღაც რომ წველის,
და ჩვილ ანგელოზს – ბაღში ნაპოვნს – ჩრდილს ვუნანავებ!

რამდენი წლის ვარ? მე რაც მითხრეს, იმისი მჯერა –
როდესაც სული ფეხზე დგომას ყრმასავით ნატრობს –
ხვალ ვის მკლავს უნდა ჩაეჭიდო არ იცი ჯერაც
და რომ სიცოცხლე ანტონიმზე მეტადაც გაფრთხობს!

ყლუპს ველოდები სიცოცხლისას – მიწა ურწყული,
ჩემს გრძელ ლოდინთან ვინ განსაზღვროს რა არის წელი?
არ დაითვალოთ! არ დააფრთხოთ დროის ურჩხული...
დღეს ურანია ირმის ნახტომს ბოლოჯერ წველის!

იმედის კათხა ხელთ მიჭირავს, არ ვარ გამშვები
და მაინც ვიცი, რიგში ბოლოს, შემდეგ ვიქნები...
შეასკდებიან ცის უფსკრულებს წელთა რაშები
და დროს თავნებას მუჭში მოსჭყლეტს უფლის თითები!

... ჰო, სადღაც აქვე უნდა იყოს კარის ღიობი,
ზესანატრელი, ზეასული ღვთიურ ვნებამდე,
მანამდე ვზივარ მტვრიან გზაზე, როგორც იობი
და ვითვლი... ვითვლი... მოთმენიდან – მოთმინებამდე!

მეფე დავითი და გვანცა

(ასოციაციები)

იმ აზიური ვნებების ცეცხლმა,
მეც წამიერად... მუხლებზე დამცა,
მათოვდა შენი ალერსის დელგმა,
მე კი სხვა თვალებს ვეძებდი
გვანცა!
გეფერებოდი, როგორც შროშანას
და მხურვალებამ ბაგისამ გამცა,
გისმენდი, როგორც მაღლით ოსანას,
ფიქრში... დროშის ჯვარს ვკოცნიდი
გვანცა!
შემოგიმწყვდიე მკერდზე, ვით როჭო
და დავეწაფე შემიპყრო რამცა,
სუსტი მკლავებით გინდა შემბოჭო?
კავკასიონს ვით შებოჭავ
გვანცა?!
შენი ბორცვების ბილიკს შევყვები,
ვიპოვნი დამფრთხალ გვრიტთა თუ კრავთ-
ცა,
ხანჯალს შემომრჩა სისხლის შხეფები?
რა ვუყოთ, მე ხომ... კაცი ვარ,
გვანცა!
დავეძებ ყოფის ანსა და ჰოეს
და სწავლით ვწურთნი ბრიყვთა თუ ხამთ-ცა,
იმ წამს, მაგ ტუჩთა სიტკბო რომ ვპოვე,
გელათში ვიყავ... უფრორე,
გვანცა!

და აღარ ვიცი, ახლა ვის სწამხარ,
ჩემთვის ვინა ხარ, ხან მზე თუ... ხან ცა?
შენ რომ უდაბნოს ცხელი მიწა ხარ –
დედისიმედი... ზეცაა
გვანცა!
სატრფოზე ფიქრებს შორით გავტყორცნი,
ბეჭს შევუხიდებ ამ კლდეს და ამ ცას,
ქალზე უმეტეს ვნებით დავკოცნი
ამ მიწას, რადგან... მისი ვარ,
გვანცა!
სხეულს კაცისას არ ძალუძს, მაგრამ
სულს ერთგულების აცოცხლებს განცდა,
ჰოდა, ტყუილად ცრემლებს ნუ კარგავ,
ასე ნუ ტირი, ნუ ტირი,
გვანცა!
ტრფიალს თავადვე ჯებირებს ვუქმნი...
თუმც, დავთმობ მისთვის ძოწთა და
განძთცა, –
რადგან არავის სხვას არ ვეკუთვნი,
მე ჩემს ქვეყანას ვეკუთვნი...
გვანცა!
ნატრობდი, მაგრამ მე ვით შევძლებდი? –
მასში ჩავხატე ხმელიც და ზღვაცა,
შენ რომ ჩემს გულში ბუდეს ეძებდი...
იქ, საქართველო... ღმერთია!
გვანცა!

ჯუბა ღებელი
პოეტი

რუსთაველი დავარქვათ!..

რადგან დღემდე მასზე დიდი,
არც ვინ გვყავს და არც რა გვაქვს,
მოდით, ყველამ საქართველოს,
რუსთაველი დავარქვათ!..
იქნებ იგი ქრისტე იყო,
ჩამოსული ქადაგად,
ჰოდა, მოდით ამ მიწა-წყალს,
რუსთაველი დავარქვათ!..
"ვეფხისტყაოსანი" არის,
ბიბლიაც და ბალადაც,
ჰოდა, მოდით ამ ცა-ფირუზს,
რუსთაველი დავარქვათ!..
ახლა მალვას გამხელა სჯობს,
ახლა თქმა სჯობს არა თქმას,
ჰოდა, ვამბობ ამ ქვეყანას,
რუსთაველი დავარქვათ!..
რა გრძნობების შეჯახება,
რა ფერთა და გამათა,
არა, უნდა სიყვარულსაც,
რუსთაველი დავარქვათ!..
ვერ ვივარგებ მქადაგებლად
და არც ბრძენი არა ვარ,
მაინც ვამბობ, ამ სამოთხეს,
რუსთაველი დავარქვათ!..
ვრჩებით ბოლოს მხოლოდ ღვთის და
ღვთისმშობელის ამარა,
ჰოდა, უნდა მის წილხვედრილს,
რუსთაველი დავარქვათ!..
მომიტევეთ ეს უბრალო,
პოეტური ქარაგმა,
მე ვინ მკითხავს რამეს ვინმე,
ვინმეს რამე დავარქვა!..
ისე ჩუმად, ჩემთვის ვფიქრობ,
რა მედინა, რა მექა,
დიახ, ვამბობ დედამიწას,
იბერია დაერქვას!..

ო, ლაილა ილალა!..

ხდება ზოგჯერ, ისე ხდება,
ფიქრი სადღაც წაგიყვანს,
ვინც გიყვარდა, მასზე მეტად,
ხვდები, უკვე სხვა გიყვარს!..
ხდება, როგორ არა ხდება,
ისე გულმოდგინებით,
თავზე მეტად გიყვარდება,
ვისზეც არ იფიქრებდი!..
ვინც დაიწყო დროის ათვლა,
დრომ ქარივით მიჰლალა,
გაუმარჯოს, ვისაც უყვარს
და ვინც უყვარს იმასაც!..
ნისლებს ცაში აფრენილებს,
მზეზე გაშლილ იალაღს,
სიყვარულის ფრთებით მივდევ,
ო, ლაილა ილალა...
(სიყვარული მაბედინებს,
რასაც ახლა მივქარავ!..)
ხდება, ზოგჯერ ისე ხდება,
შენს წინ დგება სამყარო,
ვინმეს, ძლიერ მოგინდება,
თავი რომ შეაყვარო!..
ვისით ცოცხლობ, ვისით იწვი,
მისგან გინდა ნუგეში,
დედამიწას გამოიწვევ,
სიყვარულის დუელში!..
როცა გიყვარს, როცა გიყვარს,
ღრუბელივით ცაში ხარ,
სიზმარია ეს ცხოვრება,
თუ სიზმარიც ცხადია?!.
ხან ყველაფერს გვეუბნება,
ხან რაღაცას გვიმალავს,
მაგრამ მაინც ერთმანეთთან,
სიყვარულით მივყავართ...
გაუმარჯოს, ვინც გვიყვარდა
და ვინც გვიყვარს, იმასაც...
სიყვარულის ფრთებით ვფრინავ,
ო, ლაილა ილალა!..

როცა ვკითხულობ რუსთაველს...

როცა ვკითხულობ რუსთაველს,
ჭმუნვით გავცქერი რუსთა ველს,
დრო მოვა მე მის ტრამალებს,
ჩარჩოში დავასურათებ...
ეგება მადლად იდინოს,
სამყაროს აღსასრულამდე!..
როცა სულს უნდა იმწუხროს,
"ვეფხისტყაოსანს" ვკითხულობ,
მსურს სამოთხეში შევიდე,
კარი შიგნიდან მივხურო...
რა გიყო ჩემო სამშობლოვ,
გაყიდულ-გამოყიდულო!..
რა გიყოთ ქართვლის ხეებო,
კაცთავით სასახელებო,
მინდა მოვიდე, შემოგწვდეთ,
ჟღალ კენწეროზე შეგეხოთ,
თქვენც მოგეფეროთ ფოთლებო,
სიტყვებად გასალექსებო!..
სამშობლო ჩვენი ერთია,
ჩვენთან უფალი ღმერთია,
სანამ არ ვნახავთ ერთიანს,
ხმალს ნუ ჩავაგებთ ქარქაშში,
ვიხილავთ დედა-მიწაზე,
ვეფხის ტყავივით გადაშლილს!..
როცა ვკითხულობ რუსთაველს,
ჭმუნვით გავცქერი რუსთა ველს,
დრო მოვა მე მის ტრამალებს,
ჩარჩოში დავასურათებ...
ეგება მადლად იდინოს,
სამყაროს აღსასრულამდე!..

ღამე იყო მთვარიანი

რა კარგია პაემანი
და ღამეთა გათევანი,
არადანი სხვისი როა,
შენი როა არჩევანი!..
გოგნი-გოგნი გოგოსაო,
თოვლის კაბა ემოსაო,
ბიჭს თვალი ჩაუპაჭუნა,
ბიჭმა გუნდა ესროლაო!..
ღამე იყო მთვარიანი,
მთვარე იყო დარდიანი,
დარდმა მთვარეს, მთვარემ ღამეს,
დაუყენა განთიადი!..
ჩიტი ჩიტი ჩიორაო,
მერცხალს შემოჩიოდაო,
შენ მიფრინავ, მე აქ ვრჩები,
რა წესია ბიჭო, რაო?!.
მიფრინავენ წეროები,
ციურ გზათა მდელოებით,
ვიცი, აღარ დაბრუნდები,
მაგრამ მაინც გელოდები!..
აინები, მაინები,
ტირეები, თარიღები,
ხან მოვკვდებით, ხან ვიცოცხლებთ,
წავალთ, მაინც აქ ვიქნებით!..
"ლექსი თითო ოროლაო,
მეც მასწავლე ტოროლაო",
აღარ გახსოვს?.. რომ გწყუროდა,
პეშვით წყალი მომქონდაო!..
მუმლმა, მუმლმა მუხასაო,
ძირი გამოუთხარაო,
მამლი ეწონწილებოდა,
იმიტომ რომ უყვარხარო!..
აი თიხა, აი თოხი,
ღრუბელს ვმარგლავ, წვიმას ვთოხნი,
ქვეყნად სიყვარულის გარდა,
ჩემდა თავად რამის მთხოვნის!..
სერზე მიდის სამი მგელი,
ვით სამასი არაგველი,
იბერიის გაბრწყინებას,
მზის ამოსვლასავით ველი!..
გავიარეთ გოლგოთაო,
გზა სპარსთა და მონღოლთაო,
თავს რას ვჩივით, საქართველო,
გადაგვირჩეს ოღონდაო!..
გოგნი-გოგნი გოგომაო,
ბიჭს ისარი ესროლაო,
ბიჭმა კოცნა გაუგზავნა,
სიყვარულით შემოსაო!..

შენ ფეხქვეშ ავბალახდები

არ ვიცი რად გამირბიხარ,
რად მემალები მზექალო?!.
გადმოდი ისლის ხიდიდან,
თვალი რომ ოდნავ შეგავლო,
ისე ხარ თვალცრემლიანი,
ვით ნისლიანი შენაქო!..
თუ გინდა ჭიმღას გადმოვალ,
თუ გინდა ამღას ავყვები,
ჩაღმათუშეთიც ახლოა,
გვიცდიან ნასახლარები,
შენს თმაში სიოდ ვიქროლებ,
შენს ფეხქვეშ ავბალახდები!..
შენს მკერდზე მოვკრეფ ვარსკვლავებს,
ქვეშ მთვარის ნაბადს გაგიშლი,
არ ვიცი, რაღა მაკავებს,
შენამდე მოსვლას რა მიშლის,
ამ ქვეყნად უსიყვარულოდ,
ყოფნაა მხოლოდ საშიში!..

ამაღამ ღებში უნდა წავიდე

გადაუარა ელვამ ხეობებს,
ნაწვიმარ ბელტებს მიწის სუნი სდით,
მდინარეები მთებში ღრეობენ,
სვამენ ამ მთების სადღეგრძელოებს,
მზეზე ბრწყინავენ იაგუნდივით!..
აკრთობთ ჭიუხებს ჭექა-ქუხილი,
ძილი არა აქვთ ჯიხვებს, არწივებს,
მოიპარება ღამე ქურდივით,
მერე რიჟრაჟიც ნისლის ქუდს იხდის
და ვგრძნობ, რომ მთებში უნდა გაწვიმდეს!..
ამაღამ ღებში უნდა წავიდე,
შოდა კედელა მიხმობს, მეძახის,
მზეს გადაიწვენს ნატკენ ლავიწზე,
მკერდზე მოიხდენს ლამაზ ყაწიმებს,
კავკასიონის ლურჯი მხევალი!..
როცა იქა ვარ, გულიც მხნედ არის,
იქ მიამდება ყველა იარა,
ჩემი რიონი, როგორც მხედარი,
ხან როგორც კვიცი გაუხედნავი,
ტალღებს მოაპობს ქვა-ღორღიანად!..
ვუმზერ მზის გულზე გაშლილ იალაღს,
წვიმა ვივალდის "ზამთარს" ასრულებს,
თავზე დამხარის ზეცა კრიალა,
მე აქ, ამ მთებში ღვინო კი არა,
სალი კლდეების ცქერა მარწყულებს!..
ჯიხვებს, არწივებს რა მოარჯულებს,
დახოკილი აქვთ რქები, კლანჭები,
ნისლებს, ამ მთების ნაფიც მსაჯულებს,
სამშობლოსავით მრავალტანჯულებს,
ატრიალებენ ქარ-ბორბალები!..
ნაძვებიც, როგორც ჯარისკაცები,
ფეხზე უდგანან ამ მთებს დარაჯად,
მე – გახვეული თევზი ფაცერში,
ამ მთაგრეხილებს ღელვით გავცქერი
და ვქსოვ ღრუბლებზე ლექსის მაჯამას!..
ყველა სარკმელი, ყველა დარაბა,
გამოხსნილია ზეცის თაღისკენ,
ბედნიერი ვარ, როცა აქა ვარ,
როცა აქა ვარ მხნედ და კარგად ვარ,
ღმერთო, სამშობლოს ლხენას მაღირსე!..
ამაღამ ღებში უნდა წავიდე,
შოდა კედელა მიხმობს, მეძახის,
მზეს გადაიწვენს ნატკენ ლავიწზე,
მკერდზე მოიხდენს ლამაზ ყაწიმებს,
კავკასიონის ლურჯი მხევალი!..

ბისიავ!..

მოწმაოს მთაზე ნისლია,
არხოტზე დადნა მყინვარი,
ნეტავ იცოდე, ბისიავ,
რა წრფელი გულით მიყვარდი!..
გელოდებოდი არაგვზე,
იქ ვიშუშებდი იარებს,
რამდენი ცრემლი დავღვარე,
რამხელა დარდით ვიარე!..
გიწერდი ლექსებს, სიმღერებს,
გიკრეფდი ციდან ვარსკვლავებს,
რამდენჯერ იმ დროს ვიხსენებ,
იმდენჯერ გამაკანკალებს!..
ნეტავი, ახლა სადა ხარ,
ვის ოჯახს უთბობ კერიას,
უსიყვარულოდ არც ახლა,
სიცოცხლე არაფერია!..
არხოტზე დადნა მყინვარი,
მოწმაოს მთაზე ნისლია,
რა წრფელი გულით მიყვარდი,
ნეტავ, იცოდე ბისიავ!..

წუხანდელი ლექსი

რაღა თქმა უნდა, ახლა შენ გძინავს,
მზეზე უფრო მწველს, თოვლზე უთეთრესს,
მე კი შენზე ფიქრს, მოსულს ზეციდან,
კვლავ ამ სევდიან ღამეს ვუთენებ!..

დროს ვერ უბიძგებ უკან მიწოლით,
ვერ შეაჩერებ ქარებს დახლებთან,
გაიღვიძებ და ლაღად მიწოლილს,
ეს წუხანდელი ლექსი დაგხვდება!..

ალბათ გათბება ოდნავ საწოლიც,
მზე აგიალებს სისხლის უჯრედებს,
გულში ყველაფერს აწონ-დაწონი
და ბოლოს მაინც გულს დაუჯერებ!..

ახლა გარეთ წვიმს, სუსტი ქარია,
ცამ ვარსკვლავები უნდა ატიროს,
მე კი არ ვიცი, რა მიხარია,
ალბათ რომ გნახავ, ჰოდა ამიტომ!..

გადმოვეშვები სულის სარკმლიდან,
ეს ქროლვაც სადღაც უნდა დამთავრდეს,
მოვალ და გულში ისე ჩაგიკრავ,
რომ მივწვდე შენი მკერდის თავთავებს!..

მერე ბაგეთაც მივეყინები,
მზეზე უფრო მწველთ, ხორბლისფერიანთ,
შენ არ გეგონოს, რომ ეს ნისლები,
სადღაც მიდიან, მართლა ქრებიან...

ქარაფებიდან ასხლეტილები,
ცაში გაშლილი ჩვენი ფრთებია!..

რაჭავ, ჩემო სიყვარულო!..

არ მენახა, ვნახე შქმერი,
ხეორულას ტალღის ჩქერი,
ჩემი მამა-პაპის მთები,
სახლები და საფლავები!..
საჩხერიდან გადავდივარ,
კვალში მივდევ ნისლს და ნიავს,
ამის იქეთ საქართველოს,
სამოთხე და რაჭა ჰქვია!..
ახლოსაა უკვე ღები,
მივდივარ და მივიმღერი,
შევეყრები, შემეყრება,
ჩემი მამულ-დედულეთი!..
გადადიან მთები ყირას,
ვუმზერ შაორს, აქეთ მყინვარს,
აქაური ხეც და კაციც,
ერთნაირი გულით მიყვარს!..
რაჭავ, ჩემო სილამაზევ,
რად მიყვარხარ ნეტავ ასე,
მადლობა, რომ დედამიწას
და ცხოვრებას მილამაზებ!..
რაჭავ, ჩემო სიყვარულო,
ჩემო გულო, ჩემო სულო,
ღმერთმა არ ქნას, სადმე ვიყო
და ყველგან თან არ გიგულო!..
მომივლია მთა და ბარი,
მაგრამ შენი შესადარი,
ჩემო კოხტა საქართველოვ,
ქვეყანაზე არსად არი!..
საჩხერიდან გადავდივარ,
კვალში მივდევ ნისლს და ნიავს,
ამის იქეთ საქართველოს,
სამოთხე და რაჭა ჰქვია!..

არა რა, რაჭა რაჭაა

არა რა, რაჭა რაჭაა,
სხვა არის მისი ბუნება,
ღვინო გინდა და ხვანჭკარა,
ძარღვებში აგუგუნდება,
ლამაზად გაშლილ ტაბლასთან,
"ფეჩუკა" აღუღუნდება!..
ღებიდან მოდის რიონი,
აიას ქალაქს ჩაივლის,
სამყაროს გადაიწონის,
ედენას მთა და ფაზისი,
აქედან იყო მედეა,
აქ არის "ოქროს საწმისი"!..
ამ მთებისა და ქედს უკან,
მზე – ონი გამობრწყინდება,
რაჭველი კაცი ქე თუ ხარ,
აღარც რა გაგიკვირდება,
ადიდებულა ქვედრულა,
ხმა ისმის, რავარც სიმღერა!..
რაჭველი კაცი დინჯია,
ფიცხია ქალი რაჭველი,
ჰაი, დედასა, ძროხუკა,
თუ დაგრჩა გამოსაწველი,
ხარები ბალახს ჯიჯგნიან,
ძვლებს ილოკავენ ძაღლები!..

არა რა, რაჭა სხვა არის,
სხვა არის ცეკვა რაჭული,
თოფს რომ ისვრიან სხვავაში,
იქ ისმის ამბროლაურში,
სიმღერა უყვართ ხალასი,
არ უყვართ აურზაური!..
ლორს დაგიწყობენ ტაბლაზე,
ღვინუკას ჩამოგიდგამენ,
სუფრაზე, როგორც ტატამზე,
ყანწებით ჯახანს იზამენ
და ასე, შენი ჭირიმე,
იქეიფებენ დილამდე!..
დაიცლებიან ზამთრობით,
რაჭის სოფლები, სახლები,
შემორჩებიან დათოვლილ,
მთებს გზები, ნასახლარები,
ბრწყინავს მზე კავკასიონზე,
ეს გულის გასახარელი!..
არა რა, რაჭა სხვა არის,
სხვა არის მისი ბუნება,
ზამთარი როა, ზამთარიც,
სულ თბილად გესალმუნება,
ამ სამოთხიდან მივდივართ,
კვლავ უკან დასაბრუნებლად!..

მანანა სამყურაშვილი – სამართალმცოდნე
დაბადების ადგილი – ყვარელი

რამ დაამუნჯა...

კუთხეში ვდგევარ დასჯილ ბავშვივით,
სულის ტაძარში სანთელი დნება
და წუთისოფლის ბრიალა ცეცხლში
ქვა შეყოლილი ცოდვითა სკდება.

რამ დაამუნჯა ჩემს გვერდით მყოფი,
მტერი სამიზნედ ისრებს რომ მესვრის,
აქუხებული სისხლი მოსჩქეფს და
ცოდვის მდინარეს ტალღებით ერთვის.

რამ დაამუნჯა მოყვასი ჩემი,
ნუთუ არ ესმიის ჩემი წუხილი?!
ცა მოშავბედდა ცრემლები სცვივა
ქვეყანას ახშობს მისი ქუხილი.

ის კი რატომღაც დღევანდელი დღით,
კმაყოფილების სურვილს იოკებს,
და შეყუჟული სულის ნაჭუჭში
ტუჩის კუთხეებს ღიმილს აფერებს.

* * *

სიყვარული მოიპოვეთ,
იქროს სინით ვიბ მოგართმევთ!
დაგიტოვე?! –ვერ დაფიქრდი?!
ვერ იკუთვნე?!-წაგართმევ!!!

მინდა იყვავილოს...

სული მოშრიალე ფოთოლს დაემსგავსა,
არ მსურს შეარხიოს უგნურთა ქარებმა,
სანამ არსებობს მინდა იყვავილოს
შვება მოჰგვაროს ცისკრის ზარებმა.

მზეს ფიროსმანის მოხატულს ცაზე,
ემჩნიოს მუდამ მშვენება ხატის,
და ვარსკვლავები ცაზე ნაბნევი
ყვაოდეს როგორც იანი მარტის.

მაშ ჩემი სული დარად გამოვა,
საკინძეს შეხსნის მძინარე აპრილს,
ყვავილთ გულებზე ჩამოკრეფს მძივებს
სახეს შეაცხებს ნაზ ფერუმარილს.

და მთებზე ჩაწნულ ჩანჩქერთა დალალს
ქნარზე გააბავს ვით ნაზი სიმი,
ბუნება მგოსნად გადაიქცევა
იმღერებს სანამ გაწყდება სიმი.

* * *

ისეთი პაპა მყოლია,
მტრის გულზე ლესდა ხმალსაო,
მისივე ხელით სინჯავდა
მჭრელად ალესილ ფხასაო.

მოგიხმობ დიდო მოსამართლე
ი ე ს ო!..

,,ვაი, რა კარგად საჩინო
რა ავად მიმიჩნ-იესო",

შვილობილი ვარ მე შენი
რატომ ვერ გამარჩ-იესო,

ჩემი ნათქვამი აზრები
რატომ ვერ გაარკვ-იესო...

გულით ნათქვამი სიტყვები
ცუდად რად მიიჩნ-იესო,

იციან? ცრემლებმა გული რომ
შუაზე გამირღვ-იესო!

მომათმენინე იესო თუ
გული გამიც-იესო,

ჩემს გულში რწმენა კეთილი
მით უფრო განაღვ-იესო,

თუკი როდისმე შევცოდე
სიტყვა არ მაპატ-იესო,

გულით კეთილი მხევალი
ბოროტად მიმიჩნ-იესო,

ამღერებული გულისთქმა
ტირილად გადმიქც-იესო,

გული ჩამიგდეს ღადარში
ნაცარი მოაფრქვ-იესო,

მეც ამ საწუთროს შვილი ვარ
სწორად ვერ გამარჩ-იესო,

უფლის მცნებებსაც ვიცავ და
ვკითხულობ მეტან-იესო,

თვალში ნაცარი მაყარეს
ცრემლები მაღვრევ-იესო,

სხვის თვალში წამწამს ეძებენ
თავისში?! დირე ვერ გაარჩ-იესო,

ურწმუნოებმა მცნებები
ზედ თავზე დამახ-იესო,

გულის პერანგი ბოლომდე
ერთ გაკვრით გამიხ-იესო,

ოქროს ასოთი ნაქარგი
სიტყვა ვერ გაარკვ-იესო,

რატომ და რისთვის ნეტავი,
გუნდრუკი დამაკმ-იესო.

გოლგოთას მთაზე შენსავით
მეც ჯვარი მაზიდვ-იესო...

წავალ...

ქრისტიანის მუნდირი მაქვს
სხვა ვერაფერს მოვირგებ,
ბრძოლაში და ყველა გზაზე
პირველობას მოვიგებ...

მე ყველაფერს დაგიტოვებთ...
უფლის რწმენა თან მიმაქვს,
ღმერთს მივყვები რადგან ვიცი
ჩემს ცოდვებზე დარდი აქვს.

მას ვუყვარვარ მჯერა, ვიცი,
ეს უდაო ფაქტია,
რადგან მისსა ათ მცნებაში
ყველაფერი ატყვია...

ღალატი ბევრჯერ შევატყე,
პირმოთნეობა კაცშია,
ვინც ბევრს გიცინის თეთრ კბილში
ხან დიდი მტრობა მარხია.

წავალ და მცნებებს წავიღებ
რადგან ეს გულში მარხია,
კაცთა გულებში სიყვარულს
ეკლის მესერი არტყია...

წუხილი ვიგრძენი...

წუხილი ვიგრძენი, თვალს წასკდა ღვიარა,
ტკივილმა დაჯიჯგნა გულს ყველა იარა...
გზად არვინ გამოჩნდა შვებით რომ მეარა,
ვინ იცის, გულმა რა სადარდელი გამოიარა!..

მორჩილი მოვედი, დედაო მარიამ!
იები მოგართვი, გულით რაც შევძელი,
შენამდე მანძილი ისეთი შორია,
გზად ეკლიან ბარდს სულ ხელით ვცელავდი...

სისხლით შევიფერე დაღლილი მაჯები,
მაგრამ ტკივილები... რატომ ვერ ვიგრძენი?!
ალბათ იმიტომ რომ გზად თან მომყვებოდი
და ყველა იარას მირჩენდი, კურნავდი...

და როცა გიხილე ფეხდაფეხ მომდევდი,
ჭრილობებს რარიგად სათუთად კერავდი,
სულმა შვება იგრძნო, თვალები გაბრწყინდა,
ჩემს სულის სამყაროს იმედით ვფერავდი...

ახლა მაქვს სურვილი თავი რომ გავკიცხო!
ტაძრის გზა აქამდე ნეტავ, რად მეშორა!..
ალბათ შენახარ,შენა ხარ მიზეზი,
გულში ყველა დარდი რომ ჩამომეშორა.

აქამდე ჩემს გულში სამყაროს ვეძებდი,
ვარდების რომ მსურდა,ეკლების კი არა!..
სულ არ მაქვს წუხილი, სულ არ მაქვს ფიქრები,
ტაძრამდე ტერფებმა რა დარდით იარა...

ვიპოვე, ხელთა მაქვს, ოდეს რაც ვინატრე,
ვიშრომე, ვიღვაწე, არასდროს ვიპარე,
არ ვდარდობ, არცა მსურს, არ მინდა ვიცოდე...
ტაძრამდე ვიცი რომ იებით ვიარე.

და თუ შევცოდე დედაო! შენთან მე...
აქამდე გზად, სწორად ვერ ვიარე?!..
გთხოვ, მომიტევე, რამე თუ ცოდვილს!
არა მცოდნია მე შენი ფასი...
სიცოცხლე აქამდე თუ იყო ფარსი,
შენ მომეც ნუგეში, დამედო ფასი...

რად დავიბადე?..

პასუხი ზოგ ადამიანს...

მე სიცოცხლეში ვერ გაგცემთ პასუხს,
არ ვიცი ამ კითხვის არსი...
სიცოცხლის შემდეგ უფალი იტყვის
ჩემს დაბადებას რა ჰქონდა არსი...

არაკაცკლაო...და რა თქმა უნდა...
მე ზოგთა ხელით დავალ ვით მკვდარი...
სიტყვით აჩეხილს, ნაცემს და ნაგვემს,
დასაცავად? არ მიხმარია ფარი!

ბევრჯელ გავაღე მის მერე კარი
და დაუყენე ლამაზი დარი,
გზიდანაც ბევრჯელ ჩამოვაშორე
სასიკვდილოდ რომ დასდევდა ქარი.

ბევრჯერ უგუნურთ ქცევიდან ვიგრძენ,
ამავ ცხოვრების ძლიერი არსი,
რაგინდ სიკეთის მქნელი იყავი...
ზოგისთვის ამას არა აქვს ფასი...

ვის დავემდურო, რისთვისდა რათა!
თვით დროებამაც დაკარგა ფასი,
სიკვდილ სიცოცხლის გზაგასაყართან
ვეღარ გავიგე რას ააქვს ფასი.

უფალო, მხოლოდ ერთ რამესა გთხოვ,
არ მქმნა უგუნურთ ნავსაყუდელი,
სული მაქვს შენი ნაბოძვარი და
არ მაქვს ვერცხლზე გასაყიდელი.

მე მიანდერძეს, ვასრულებ იმას!
მამის ქცევა რაც უფლით მერგუნა.
სულ არ მინდა რომ მესმოდეს
ზოგთა, ეშმამ რა სიმი დააგუგუნა.

ასე დაბადა კალამმა ლექსი...

ჩამავალი მზის სხივები მაკრთობს...
როგორ ცვივიან დედის კალთიდან...
დილით ასეთი ახალგზრდანი
ხანმოკლე დროში რად ბერდებიან?

ზღვას შევედავე,რატომ და რისთვის,
წყალს ჩაცვივნილნი რად წითლდებიან?
ნუთუ აკრიფეს ცოდვანი ქვეყნის,
ცოდვილთ სანაცვლოდ სხივნი კვდებიან?!

დადუმებულმა ღელვა დაიწყო,
ვერა გავიგე მდუმარე ზღვიდან.
მზემ კი კარები გამოიკეტა
ჩამომიშორა უთქმელად გზიდან...

დილით როდესაც ცისკარი გახსნა,
მზემ სხივი შალა უბე – კალთიდან,
სული მოვითქვი, მეამა ისე,მწყურვალე
კალამს რითმა ვაწოვე მზის გულ –მკერდიდან.

ასე დაბადა კალამმა ლექსი,
სიტყვა უთქმელად, რითმით შემკული,
ამიტომ ვერსად ვეღარ გავუშვი,
გულში მყავს ვითა შვილი ჩაკრული.

დავდივართ ერთად ცვრიან მდელოზე,
მთა, ველად ყოველს რითმებით ვქარგავთ,
ერთად ვათანხმებთ სიტყვას – სიყვასთან,
დროს არასოდეს უქმად არ ვკარგავთ.

ასეა, როცა მზე სხივრბს გაშლის
ცვივიან სრულად ჩემს გულის კარზე,
სული ააფრენს ცად სულის რაშებს,
ფლოქვებისცემით მიდიან ცაზე.

კალამს რა უნდა სხვა ამის მეტი,
ის იმას ავლენს ირგვლივ რაც ხდება,
თქვენ რა გგონიათ, მან ის არ იცის?
ცის კაბადონზე დილით რა ხდება?!

უკუნი ღამე ჩამიგორდება...

და როცა ჩავალ, შავ დედამიწას
დარდით სავსე რომ ჩავეკონები,
მაშინ ზეციდან დიდ გლოვის ნიშნად
ნაზი, ჟუჟუნა წვიმა წამოვა,
რადგან იცის რომ ჩემს სიახლოვეს
ჭირისუფალი დედა არ მოვა...

და როცა ჩავალ, შავ დედამიწას
დარდით სავსე რომ ჩავეკონები,
ჩემს სასთუმალთან ვიხილე უკვე
სიკეთის ხე და ვარდი ამოვა...
ღამე შეშლილი დარაჯად, მცველად,
დღესთან კვლავ ისევ ის მზე გამოვა...

მთვარე დამინთებს სხივების სანთელს,
ვარკვლავთა გული აგიზგიზდება...
ნეტავი მაშინ ცის სიახლოვეს
ლექსის საწერად კიდევ მეცლება?!
ან ჩემი მუზა, დღეს ჩემი კულტი,
ჩემგან ვის სულში გადასახლდება...

და იქ, იმ სოფლად, ნეტავი ჩემთან,
ახლობლები ვინაც ცადა მყავს,
ჩემს შესახვედრად არვინ გამოვა?
ბეწვის ხიდი რომ არ გამიწყდეს,
შავმა ნაგაზმა
        არ დამიღრინოს,
ბებია ჩემს შესახვედრად იქ, არ გამოვა?

ფიქრი ჩამეფსკვნა, აღარ მშორდება,
დროის გორგალი კი მიგორდება...
ეული მთვარე ნაბახუსევი
ცის ლურჯ ფარდაზე გადაგორდება.
ვშიშობ და ვიცი, ცის კაბადონზე
უკუნი ღამე ჩამიგორდება...

ჯაჭვი მაბია...

ჯიხვივით ვუმზერ სამყაროს,
ჩემი მთის ქიმზე მწოლარე,
ქისა ადვილად ავავსე,
არა ვარ სხვისი მოლარე,

მზეცა ვარ პირად-მცინარე,
უხვ-სხივიანი ცაზედა,
ჯაჭვი მაბია იცოდეთ
ამირანივით მკლავზედა,

სამშობლომ გულზე მიმიბა
არ ვემეტები სხვაზედა,
კამკამა ზეცა დამყურებს
ყოველდღიურად თავზედა,

სამშობლოს არვის გაგიცვლით
ვერცა რამ ოქროს ბაკალზე,
სიკვდილს აქ დაველოდები
ულიანდაგო ბაქანზე...

მაინც არ დავენარცხები...

წყლის პირზე არა ვლოცულობ,
არცა მტერს მივდევ ცხენდაცხენ,
თავს მუდამ წყლულებს უშუშებ,
მტრობას ოდესმე დამალვენ...

გავწყვეტ მტერს ესეც იცოდეთ,
როცა წელს გავიმართები,
გინდ ფრთები ძირში დამაჭრან
მაინც არ დავენარცხები.

* *

სიცოცხლე მინდა ისეთი,
ყველას რომ გამოადგება,
უღრუბლო ზეცა ნატიფი,
მზე თავს რომ ჩამიადნება.

,,ბოროტსა სძლია კეთილმა"...

ქარი და ფოთოლი...

ძოწის მძივები,დიბა ატლასი,
ქარმა ხეს ტანზე შემოახია,
ნაგლეჯ-ნაგლეჯი კაბის ბაბთები
ჩაძენძა, ფეხქვეშ შემოაბნია.

რამ განარისხა,ფოთოლთა ჯარი
ქარმა გულ-მკერდზე შემოიხვია,
ყველას კი არა,მხოლოდ ერთს,
გულის წერილი ამოახია.

სტუმრად დარჩენილს ერთი დღით,
შიშველ ხის ტოტზე ჩამოეძინა,
ქარი ზუზუნით დასტრიალდბდა
მარტოდმყოფელს რომ არ მოეწყინა.

ბოლოს მოსწყვიტა ფოთოლს გული და
ცაში გაქცეულს სწრაფ გაეკიდა,
ხეს გაუკვირვებულს ცრემლები წასკდა,
ასე პატარას, ეს ბერბიჭა რომ გამოეკიდა.

ქარმა გაიძრო სიმწრით მანტია,
ბოღმა ბოლომდე ვერ დაიტია,
შემოურბინა ველ მინდორს ელვად
ხეებს ტოტები ძლიერ არხია,

ვერსად ვერ ნახა ქარმა ფოთოლი,
ის თურმე შიშით თავს დაეფარა,
ჩამოეძინა ქარს დაღლილს ხეზე,
ფოთოლი, საბნად გადაეფარა.

* * *

სიცოცხლე ილევა? სიბერის ჟამია!
უკვე გალეული, მოღლილი ჯანია,
დღენი პაექრობდნ, სიციცხლე წამია...
ყურს უკან უგულო სიკვდილის ქარია...

,,ბოროტსა სძლია კეთილმა,
არსება მისი დიდია."

ჩემი არწივის ბუდიდან...

პეშვით შეგასვავ მთის ნაჟურს
გადმოღვრილს მთათა უბიდან,
მართვეებს დავაფრთიანებ
ქედზე არწივის ბუდიდან.

მთას სამოსელად ჩავაცმევ,
შეიდიშს, ატლასის ფარჩას,
მაგრამ თარგისა ამჭრელი
ჯერ თერძი არსაით არ ჩანს...

მანამდე კლდეებს დავივლი,
ვეძებ მიჯაჭულ ამირანს,
გული აქვს გაავებული
კავკასიონი თან მიაქვს...

მეც ამ მთებისა შვილი ვარ!
მსურს რომ ჯაჭვები შეუხსნა,
სამშობლო მე ეს ერთი მაქვს,
ვეცდები მკაცრად აუხსნა!..

წავიდეს, თვითონ იაროს,
მთას მე ვერ შემხსნის გულიდან,
ვერ გადმომაგდებს ვერავინ
ჩემი არწივის ბუდიდან!..

წუთისოფელი...

პეშვით მიჭირავს ჩემი სიცოცხლე,
დავყურებ ჩუმად როგორ ილევა,
ტაძრად ნანთები სანთელის მადლი
ჩემს წინ ცრემლებად მიტომ იფრქვევა.

წამი – წამებში, წუთი – წუთებში
თოვლის ფიფქივით ხელში მადნება,
თვით წელიწადი გაოგნებული
დროის მანქანას უხმოდ მიჰყვება.

გულმა შეიფსკვნა ოქროს საკინძე,
სული ჩამავალ მზის სხივს გაჰყვება,
გაოგნებული ბედის ვარსკვლავი
დედამიწის გულს ზედ დაასკდება.

და ოდეს მიწა, უფლის ხელთ ქმნილი ნეკნის
მწირ ძვლიდან...გარდავიქმნები მიწის საკვებად.
წუთისოფელი საზღვრებს აწესებს,
სივრცე ცოტა აქვს ფრთებს გასაშლელად.

სანამდე სიქა გამომეცლება...

ჩამომიკენკეს სული დარდებმა,
ჩემი და სხვისი სწრაფ მომერევა,
ვგრძნობ,დასუსტებულ გულს
მწირი მტერიც კი მოერევა.

მაგრამ, ლაჩრობას მე არ ვაპირებ,
წინაპართ სული განაწყენდება,
მივყვები მტერთა ლაშქარს, ურდოებს,
სანამდე სიქა გამომეცლება.

სულის დაცემა წესად არა მაქვს,
მონობის უღელს მე არ დავიდგავ,
გწამდეთ, მერწმუნეთ, ესეც იცოდეთ,
სულს უკვდავების ტაძარს დავუდგავ.

სულთან საუბარი...

სიზმრად დედის სულთან...

ეხ...ოდეს გავქრები მზის სამყაროდან,
სხეულს კი ბინად მიწა დარჩება,
ცაში აჭრილი სული, ზეცად მავალი,
ალბათ ოდესმე ხეზე დაჯდება.

ხელს ნუ ამიქნევ, დარაბა გახსენ...
შვილთა ხილვა სულს ენატრება...
იცოდე ამით არ შეგაწუხებ
ჩემს სულს თუ შენთან დაათენდება.

და თუ დაგადგა ლუკმა ძვალივით
მის წინ იყოსო, დარდიც გაქრება...
ჩემი და შენი სულის ძაფები
მჭიდროა ძლიერ ის არ გაწყდება.

ღამით მოვალ და მოგეფერები,
სასთუმალს ლოცვა თავს დაგადნება,
ცისმარე დილას თვალს რომ გაახელ
სიზმარიაო გაგახსენდება...

მზესთან ჩამოყრი ერთიორ კურცხალს,
ჩემი სიცოცლე მოგენატრება...
თუ მოფერების სიტყვებს გადმოშლი,
იცოდე ისიც სულს ეფინება.

გაავებულის სიტყვას არ ვისმენ,
არცა გინება მომეკარება,
ცაში დავფრინავს სულთა სამყარო,
მათ არაფერი მიეკარება.

ვერას დააკლებს მაცდური სიტყვა,
იცოდე, გზადვე დაიკარგება,
აქ სიყვარულით მზრუნველი გული
ზეცად არასდროს დაიკარგება.

იცოდე რასაც გამომიგზავნი
შენი მოსვლისას იგივ დაგხვდება,
მე შენს გვერდით ვარ დედი, იცოდე,
დედაშვილიბა არ იკარგება.

დაბადებითვე ცის კაბადონზე,
ოქროს ძაფებით აღიბეჭდება,
შორს რომ წახვიდე,არასდროს მნახო,
გულშია ის და არ იკარგება...

დედა შვილობა უფალმა შექმნა,
მის ძლიერებამ სამყარო შეძრა,
დედა-შვილს შუა მჯდარი ეკალი
იცით?! რარიგად ძლიერად შეცდა?!

ფიქრი...

რამდენი ფიქრი მქონია თურმე...
რამდენმა გული მისერ-მისერა,
რამდენი უხმოდ გამოვასახლე,
რამდენმა უხმოდ მიმწელ-მომწელა...

ფიქრი დარდების არის სადავე,
მას კარგად უნდა გონით დაჭერა,
სწორად ბჭობა და სწორად აღწერა
ხანაც, ლმობიერება ანდა დათმენა.

ფიქრი აგიჟებს, ფიქრი აწამებს,
ფიქრმა შორს იცის გულის გათრევა,
გრძნობის მორევში ისე ჩაგახრჩობს,
ვერვინ მოასწრებს მძორის გათრევას...

და თუ გულშია ის გახლართული,
უნდა ეცადო მისი გამოსვლა,
უკუაქციო დარდი, ვარამი და
მიაწყევლო,უკან არ მოსვლა!..

ფიქრში რამდენი მდინარეა და
ფიქრი ნაღელი როგორც იორი,
შენ უნდა იყო მისი შენქმნელი,
შენ უნდა იყო ფანტაზიორი.

წყალში გადაყრილი ამაგი...

მელოდებოდა ჯვარცმა და ურვა,
მაგრამ ჰაი რომ მე ეს ვიცოდი...
მაწამეს, მაწრთეს ო, რა საშინლად,
ამ წუთებს ნეტავი რატომ ველოდი?

ჩემი გული შენ ვარდებს გიფენდა,
ისარი მწველი გულში დატოვე...
ასე ურცხვად და მოულოდნელად
არცკი ვიცოდი რომ მიმატოვე...

მის მერე მიწას ცრემლითა ვნამავ,
ნაფეხურებზე ღვარი ჩამომდის,
ნეტავ რა ვცოდე წმინდაო ღმერთო!..
გულზე დარდები ეკლად ამომდის?!..

წავალ ოდესღაც, აქ არ დავრჩები,
შენს თვალებს დარდად არ შევეყრები...
შენ მიმატოვე ურცხვად, უგულოდ,
მეკი იცოდე ვერ გაგეყრები...

და თუ ოდესმე გადამეყრები,
საპირისპიროდ გზას არ შევიცვლი,
შენს თავს იცოდე, მე არასოდეს,
არასოდეს არვის გავუცვლი...

გულში ფესვები ძლიერ გაიდგი,
სიყვარულის ხე ვერ ამოვგლიჯე,
რამდენჯერ იყო სიკვდილსაც
შენი სიცოცხლე რომ გამოვგლიჯე...

* * *

პირში ლაქუცი არ მიყვარს,
არცა უგვანო ქილიკი,
მე ჩემი გზა მაქვს სავალი,
სუფთაა ჩემი ბილიკი...

დედაშვილობის მადლი ვირწმუნე,
შენკი ეს გრძნიბა ვერ დაგარწმუნე,
ბევრჯერ გითხარი, ბევრი ვეცადე,
ფიქრები ვეღარ გადაგირწმუნე.

ასე დავდივართ შორიშორს ახლა,
ერთმანეთს თითქოს და ვემალებით,
ბევრჯერ ვისმინე სიტყვა ფარული...
მტერსაც ცრემლი სდის და ვენანებით.

ნეტავი მითხრა! რად დამამუნჯე!..
გულს შავი კატა რად გადმომიგდე?!
გული მოჰკალ და შენივე ხელით
მკერდიდან ძაღლებს რად გადაუგდე?!

მჯიჯგნიან,ფრჩხალებს გულზე მისვამენ,
ჩემი ტკივილი ნუთუ არ გესმიის?!
ცრემლის მდინარე აღვარებული
ოკიანეებს ტკივილად ერთვის...

ახლა დავდივარ უგულოდ ყველგან,
ჩემთვის სიცოცხლეც კი მენანება,
ეხ, რომ იცოდეთ... ქვით ჩამქოლავდით,
ჩემი თავი არ დამენანება.

ძილ ღვიძილში ვარ დღეცა და ღამეც,
ტრიალებს ჩემს წილ ეს დედამიწა,
წუთით გაჩერდი, უნდა ჩავიდე,
ვატყობ ეს გული ცოცხლად დამიწდა.

* * *

ქუჩა, ცხოვრების აკადემიაა,
გარს დააკვირდი, ვის რა შვენია,
ფეხი აუწყე იმას რაც
მრავალთა სამშვენისია,
ქალმა, ქალურად იცხოვრე
ესაა შენი მისია.

რატომ ვეღარ მიცანი?!..

არ გიცნობდე ვინა ხარ,
ყვავილს დაგადარებდი.
მთის იას და ბაღის ვარდს,
შენ ერთს შეგადარებდი.

გუშინ გზად რომ გიხილე,
სახეს რად მიმალავდი?!
ემაგ თვალთა ჩეროებს
ცრემლით დაგინამავდი.

ცის კიდიდან ვარსკვლავებს
მძივად ჩამოგაბნევდი,
მზის ჩადრებს და მოსასხმს
მხრებზე შემოგახვევდი.

გაიხსენე, მთის წყაროს
ჩემი პეშვით გასმევდი,
ხელუკარებ ლამაზ ტანს
ლერწამივით არხევდი.

გიშრის თმას და კულულებს
მხრებზე ნაზად გაფენდი,
მთის შროშანებს, კესანეს,
დალალებზე გაბნევდი.

გამაოცა დუმილმა!..
რატომ ვეღარ მიცანი?!
ნიავისგან ბევრჯელ ხომ
გულში ჩაკრულს გიცავდი.

ჩემი გული მაშინ ხომ
გულის ფეთქვას გისმენდა,
ნეტავ, გრძნობა სულელი,
ამას როგორ ითმენდა?!..

კვნესის საქართველო!..

ღმერთო! ამიყვავე ჩემი საქართველო! –
მზისფერ მომიქარგე მისი მთა და მდელო!
მინდა საწირავად თავზე შემოვევლო,
უფლის მირონივით გულზე ჩამოვევლო!

ღმერთო! განდეგილი მისთვის არ ვყიფილვარ,
გულში ჭრილობად მაქვს მისი საწუხარი,
ღმერთო,ჩემთვისაა დიდი საჩუქარი,
მისი შვილობაა განძი სანუკვარი.

ბევრჯელ გამითელა მტერმა უმოწყალოდ,
დაჭრილი გული დამრჩა უმოყვაროდ,
მისი ძარღვიდან ჩქეფს სისხლი უშრეტელი
მტერს რომ გაუხდია უკვდავების წყაროდ...

ღმერთო! გამიმთელე ჩემი საქართველო!
ისევ ამიმღერე მისი მთა და მდელო!
მტერი ხელს მიშლის და განზე გამიწიე!
გულის ჭრილობებზე წამლად ჩამოვევლო!

ფესვი ძლიერი აქვს მაგრამ გაფანტული,
დედა შეიბრალე ღმერთო, დატანჯული!..
შვილთა მოლოდინში ცრემლად დაღვარული,
დარდით ნაწამები, ძლიერ გატანჯული.

ცრემლად დავედინე ნაგლეჯ მიწას გულზე...
უიღბლოდ, მარტოდ, იმედად დარჩენილი...
სურს რომ შემოკრიფოს შვილნი გაფანტულნი,
მათთვის შეუნახავს მკერდი გაფატრული.

შვილთა მოლოდინში დედა საქართველო!
წელში მოხრილი და თმადაც ჭაღარაა,
მკლავებ ჩამოჭრილი, კალთებ დაგლეჯილი,
გულამოკვეთილი და მთელი აღარაა.

რადგან სიცოცხლე...

რა ლამაზია დღის და ღამის ერთურთთან გაყრა!..
მთვარე გაუწყრა ვარსკვლავებით მოქარგულ ფარდაგს...
მის სიახლოვეს დღის ჯალათი ღამესა ხანჯლავს,
რად გარდასულა ძილ-ბურანიდან უეცრად გარდას?!

ღამე გაგორდა ვით დაჭრილი ხარი ბღავილით და
მისი მწუხრი სრულიად, სამყაროს სძრავდა.
გამოიხედა დილის სარკმლიდან ადამის მოდგმამ,
დღე ფრთებგაშლილი მზის ისრებით ღამესა ჰკლავდა...

დღე როგორც თეთრი პატარძალი მორთული იდგა,
ზურმუხტისფერებს კიდით-კიდეზე ლამაზად შლიდა,
ხარობდა მისი შემხედვარე ყოველი მხრიდან,
რადგან სიციცხლე დღესთან ერთად ამაყად იდგა...

მადლისთვის არა...

მომეცი ღმერთო! პური არსობის!
მშიერ მწყურვალი რომ დავაპურო!
მინდა ყოველსა, გლახაკს-მათხოვრას
ყოველ წამიერ ვასვა, ვაპურო...

უბოძო, მასაც გავუნაწილო,
პური არსობის მე რაც მიბოძე...
რომ მანუგეშე და არ გამწირე,
ტვირთად ავიღე, ნება ვიბოძე...

შენც გელოდები უფალო ჩემთან!
შემომიარე, გლახა მივიღე!..
ადათ –წესიდან მე ეს კურთხევა
უფალო! შენი ნებით მივიღე!..

არ მიფიქრია ის იყო გლახა,
ჩემი თვის ტომი გულით მივიღე,
ღმერთო! წინაპრის სულს მიაგებე,
მადლისთვის არა, მათვის გავიღე.

-|-

ბუნებამ გამოიდარა...
რიჟრაჟს თვალებში ჩახედა,
ბინდის გაიძრო სამოსი,
კაბა არაფრად ჩათვალა
მუქი ფერებით ნამოსი.

არეზე მიმოიხედა,
თვალს ახილებდა ყოველი,
დღე რიჟრაჟს გადაეხვია
ამაყად უთხრა მოვედი.

ცამ ჩამოაგდო თვალთაგან
სიხარულისგან კურცხალი,
ცაში აიჭრა ჭიკჭიკით
ბუდიდან შავი მერცხალი.

შაშვი ხის ტოტზე შემოჯდა
ბულბულს გაუბა ბაასი,
ბუნებამ ყანწი მიართვა
მთის წყაროს უთხრა, დაასხი!

სიცოცხლის ყანწი შეავსე,
ნაჟურს შევაქებ მაღალ მთის,
მისი სიმების წკრიალი
ყურს საამურად მოესმის.

მზემ სხივი გულზე გაშალა,
ცოტა ხანს დაზრდა აცალა,
აღარ დაფიქრდა უეცრად
მიწას ზედ გადაშალა.

მიწას ნეკნები დაეწვა,
აღმა დაიწყო ტრიალი,
ხემ მწვანე კაბა ჩაიცვა
კალთისა იწყო შრიალი.

ია ხის ჩრდილში იჯდა და
გულზე ცრემლები სდიოდა,
უღრანში მოეწყინა და
თავის ბედ-იღბალს ჩიოდა.

შენსკენ მომიყვანს...

ვიცი, ოდესმე მეც შემევსება,
ერთკაციანი საგზური ცაში.
ია-ვარდების არ მაქვს უფლება,
რადგან ვიღლები ეკლების მკაში...

დე, იყო ნება დიდო უფალო!
მე ეს საწუთრო რა გზით მატარე.
ნაცნობ ბილიკებს ნუ ამაცილებ,
შენამდე ისევ ამ გზით მატარე.

და თუ წამართმევს მიწა სხეულს მე,
სულიდან ვიცი მზე განათდება
და მისი სხივთა ათინათები
მწამს, შენი ნებით აღარ ჩაქრება.

მაშინ დაცხრება ყველა ვნებანი
რომ დადუმდება ბაგეს ბგერანი,
ცაში კი ღამით გაინავარდებს
გზააბნეული სულის მერანი.

შემინდე ღმერო! – ვითხოვე ბევრი?!
სამყაროს კაცთა თუ მაწევს ცოდვა...
სული არა მაქვს უძირო ქვევრი,
უნდა მეთხოვა მცირედი, ცოტა.

არ მომაყარო თვალში ნაცარი,
სულის საბზარად ვიჩნიე ვერცხლი...
და თუ პილატეს გზა კიდევ არის,
შენსკენ მომიყვანს მადლისა ცეცხლი.

ნაკვალევი წაშალა...

წვიმა ისევ შემეგება,
დილა იყო ქარიანი,
მზეჭაბუკად მომეჩვენა,
ქამარ-ხანჯალ-ფარიანი.

მევედრა და მეალერსა,
ცრემლის ღვარი მაყარა,
რომ იცოდეთ მისმა ლხენამ
დიდ დარდებთან გამყარა.

წვიმამ ჩემს წინ იტრიალა,
ცრემლი მიშალ-მოშალა,
დარდები ქარს გავატანე
ალბათ მიკარგ-მოკარგა...

სიყვარულის ცრემლები
გულზე შემომაყარა,
შემდეგ ჩუმი, საალერსო
სიტყვა შემომაპარა.

მიყვარხარ და დაგეძებდი,
ქალავ, ქალავ შავთვალა!
რად შეშინდი ლამაზმანავ,
ქარმა ხონ არ გაგთვალა?!

ოდნავ თვალი გაახილა,
სიტყვა აღარ მაცალა,
სიყვარულის სავსე სურა
თავზე ჩამომაცალა.

მერე ხმალი მოიმარჯვა,
ფარი გულს მომაფარა,
ალერსით და ნაზი კოცნით
ქარი ჩამომაცალა.

წვიმად მოველ სიახლოვეს,
ქალავ ჩემო შავთვალა!..
სურვილი რომ დაიოკა,
ნაკვალევი წაშალა.

* * *

ბრიყვისგან კეთილს,
სასარგებლოს რამეს ნუ ელი,
მისი ოქროც კი ყურადღების
ღირსი არ არის:

შესაძლო არის
გულკეთილი იყოს სულელი,
მაგრამ სიკეთც
სულელური იქნება მისი.

დედა მზე...

ჩამადნა დილას მზე სულში,
რამდენი რამე მახარა,
მოსიყვარულე მოწყალემ
თავი ძირს ნაზად დახარა.

ჩემი განვლილი დღეები
სხივებით სწორად დათვალა...
გამიღიმილა,მივხვდი რომ
ყოველი სწორად ჩათვალა...

კაფანდარა და ლამაზი,
კორდზე კრეფავდი იასო,
დედა გირჩევდა ყოველთვის
დღეს, ლამაზსა და მზიანსო.

ზეციდან თვალს ვადევნებდი,
ცეკვას, თამაშს და ტრიალსო,
ყვავილთა მოფერებაში
თვალთა ალერს და ციალსო.

ეზოს კიჟინით იკლებდი,
იწყებდი კაბის ფრიალსო,
ვერ გიხილავდა ვერავინ
თვალცრემლიანს და მტირალსო.

მე სხივებს უხვად ვაბნევდი
შენს კარ-მიდამო სახესო,
დედა მზე თავზე დაგნათი
სხივით გიკოცნი თვალებსო.

თუკი მას დაუმოყვრდები...

ნეტავ რად გინდა, არ გირჩევ,
აშარი ქარის მზერასა.
ცად ავარდნილი ბობოქრობს,
ხევს, ღრუბელთა ცვრიან ზეწარსა.

იდუმალებით მოსილა, ჩახჩახით
იკლებს ზე კარსა,
მისსა სულელსა ქცევებსა
ვერ მოუძებნი სწორ აზრსა.

სახლი არა აქვს უგვანოს,
უნდება, აღმა ფრენასა,
თუკი მას დაუმოყვრდები
მაშ, შეეყრები სნებასა...

რადგან კუდი აქვს ვადარებ,
ეშმას, კუდიან დედაბერს
თუ გადაგივლის იცოდე,
დაარჩენს მძიმე ნაკვალევს.

სულით და ხორცით ღატაკი,
არის ძლიერი მაჯათი,
მიგინგრ-მოგინგრევს სამყოფელს
ესაა მისი ადათი.

ნელი საგინაძე – ფილოლოგი
დაბადების ადგილი – თელავი

როგორ არა ვთქვა

როგორ არა ვთქვა, მესიანელ ერზე ხმამაღლა,
როგორ არა ვთქვა, ქრისტეს კვართის მცველნზე თამამად,
რად არ ვახსენო „აია“ და ძველი კოლხეთი
და წინაპართა წინაპარი შუმერი, ხეთი!
როგორ არა ვთქვა, გონთ საძმოზე, „ოქროს საწმისზე“,
დღემდე ჭალაში დატოტებულ რიონ-ფაზისზე,
გელათი, როგორ არ ვაღმერთო სულის ცხონებად
და ერთად თავი არ მოვუყარო „ქართლის ცხოვრებას"!
როგორ არა ვთქვა, რისთვის მინდა მაშინ კალამი
და ვაზის ძირთან შეგროვილი ოქროს წალამი,
თუ ოჯალეში ქინძმარაულს გვერდს არ უმშვენებს
მაშ, ქართლის მიწას იქნებ მითხრათ, რაღა ამშვენებს!
როგორ არა ვთქვა, „სიბრძნის კბილზე“ ამ, ხვამლის მთაზე
ვარსკვლავთ კრებული, რომ მოგროვილა ამ მთების თავზე,
რად არ ვახსენო „მედეია“, ქართველი ქალი
დიახაც, რომ მაქვს თქმის უფლებაც და მათი ვალიც!
როგორ არა ვთქვა „ამირანზე“ ხმამაღლა სიტყვა,
დასაბამიდან ეს მითი ხომ იყო და ითქვა,
კავკასიონს, რომ მიაჯაჭვეს, ესეც ხომ ვიცით
და ქართველებმა ერთგულების დავუდეთ ფიცი!
როგორ გგონიათ, ეს როდისმე ერს ავიწყდება?! –
ქართველთ ჯაჭვი, რომ მტრის ჯინაზე არასდროს წყდება,
დაფიქრდი მტერო, გამოფხიზლდი, მოიგე გონი,
თორემ, ქრისტესთან არ მოუგია არავის ომი!!!

სვეტიცხოველი

განა ქვა არის სვეტიცხოველი?! – ჩემო შორენა,
ქვადყოფილია, უკვე ამჟამად ჩემო ბატონო,
იაკობია, სიზმრად ღმერთთან და სიკვდილთან მბრძოლი
ამ მიწის გულზე ვერა მტრებმა, რომ ვერ იბატონონ
განა ქვა არის სვეტიცხოველი?! – არა და არა
უკვდავებაა და უფრო მეტიც ჩემო ბატონო,
მარადისობა გარდასახა თვით ქრისტე ღმერთმა
და არა მკითხო არაფერი, ვითომ რატომო!
განა ქვა არის სვეტიცხოველი?! – ჩემო შორენა,
ოქროს სკივრია ჩემი უფლის, ჩემო ბატონო,
ვერცერთი რწმენა ვერ გადაწონის აქ დადებულ ლოდს
რამდენ სასწორზეც, რაც არ უნდა ვინმემ აწონოს!
განა ქვა არის სვეტიცხოველი?! – არა და არა
უფრო მეტია და მეტის მეტიც, ჩემო ბატონო,
ქრისტე უფალის საუნჯეა დავანებული
არც კი იფიქრო, ამ ადგილას მაინც რატომო!
აქ ყოველ ღამით ღვთისმშობელთან, ანგელოზებთან
ჩემს ღმერთსა ვხედავ ამ ადგილზე, ჩემო ბატონო,
აქ შეუნახა ივერიას ურღვევი კვართი
და არასოდეს არა ტოვებს მას უპატრონოდ!
თვით ეს ტაძარი სიმბოლოა საქართველოსი
ჩემო ბატონო, სიმართლეა ესე ყოველი,
ქრისტემ არასდროს მიატოვა ეს დედამიწა
და მით უმეტეს საქართველო და სვეტიცხოველი!
განა ქვა არის სვეტიცხოველი?! – არა და არა
რწმენათა რწმენის ადგილია ჩემო ბატონო,
ქვის სიმფონია მარადისობის დავასრულე უკვე შორენა,
ყაყაჩოს ველზე, თავთუხებით დამელოდე, არ მიმატოვო!!!

საქართველოსთვის

დღეს დარბაზობა შემდგარიყო ცის იმ ნაწილში,
სადაც მართალნი განისვენებენ,
მობრძანებულან აქ სულების კორიფეები
საქართველოზე ფიქრი დღესაც, რომ არ ასვენებთ!
და თვით ეს კრება გაუხსნია აღმაშენებელს,

თამარის სიტყვამ ცად ასწია დარბაზი მთელი,
აქ, სააკაძე პაატასთან ერთად მოსულა
მობრძანებულან მებრძოლები დიდგორის ველის!
თვალი მოვკარი ბაგრატ მეფეს, მეფე გუარამს,
მითრიდატეც კი მოსულიყო და ფარსმან ქველიც,
მირიან მეფე წმინდა დედოფალ ნანასთან იდგა,
ვხედავ დიდოსტატს შემთელებია მარჯვენა ხელი!
წმინდა გიორგიც დავინახე ამხედრებული,
გულს უნათებდა აქ ტარიელს ცეცხლი ღვთიური,
მძლეთამძლე გმირსაც „ამირანსაც“ მოვკარი თვალი
ნესტანს ჩაეკრა სახარება იბერიული!
სადღაც კუთხიდან ბრწყინვალებდა მეფე გიორგიც,
ერეკლე მეფეც თავის ჯართან აქ გაჩენილა
მამა გაბრიელს, ილარიონ ქართველსაც ვხედავ
ცხოვრება მათი სიმართლისთვის ცად, რომ დევნილა!
მე არგვეთელი გმირების მზეს შევავლე თვალი
აქ კონსტანტინეს და დავითის გვირგვინი ელავს,
ვახტანგ გორგასალს მუზარადი თავს შემოუდგამს,
ბრძოლას აპირებს მამაცურად მტერთან კვლავ ველად!
აქ ილიაა, აკაკი, ტატო, გალაქტიონი
თვალი მოვკარი თევდორე მღვდელს, ცოტნე დადიანს,
საქართველოსთვის ანთებული ცათა სულები
სიცოცხლის კიბეს ფრთებშესხმულნი ფრენით ადიან!
თვით შუშანია დავინახე, ბერი ალექსი
ვაჟას და შოთას მხრებზე დიდი ნათელი ედგათ,
მამა გიორგი შევამჩნიე მოწამეთლი
მეუფეს ჩვენსას ილარიონს წელს ხმალი ერტყა!
და ქეთევანიც ფეხშიშველი მობრძანებულა,
ქალთა პლეადას ამშვენებდნენ შუშანიკ, ნინო,
ასიათასი მოწამენიც მდუმარედ იდგნენ
საზიარებლად დოქით ედგათ წითელი ღვინო!
გაიხსნა ცა და გამობრწყინდა თვით დედა ღვთისა
აქ ელიას და ნათლისმცემლის ნათელი ბრწყინავს
იესო ქრისტე შემობრძანდა ანგელოზებით
და დედამიწამ ვერ გაუძლო მათ ხმათა გრგვინვას!
რა გუგუნია ზეციური საქართველოსი
დღეს სიდონია უფლის კვართით მზედ ნათდებოდა
ცამეტ ასურელ მამათაგან თვითეულ მათგანს
მართლად დიდების სიყვარული გულს ანთებოდათ!

წმინდა ნიკოლზს ეკლესია ეჭირა ხელში,
მხოლოდ ქართულით ისმინებოდა ლოცვები ხმათა,
კვერთხი დაარტყა უზენაესმა – „იყავნ დიდება“
საქართველოსთვის, საქართველოსთვის ისმოდა ცათა!

ქალი

ქალი სუსტიაო?! – ჩემო ვაჟბატონო,
არც კი გაიფიქრო, არ თქვა,
საქმეს თუ დასჭირდა იგი სულ ერთ წუთში
ზურგზე მოიკიდებს ცხრა მთას!
ქალი სუსტიაო?! – ვერ დაგეთანხმები,
რა ვქნა რიდიც კი მაქვს თქვენი,
ამ სამყაროს ისევ ქალი ალამზებს,
ამ სამყაროს ქალი მშვენის!
ქალმა თუ გაბედა, ვგონებ ჩემო კარგო,
სისუსტეს ერთ წამში დაამარცხებს,
ქალს თუ უნდა ოჯახს ცაში ააფრენს და,
თუ უნდა მიწაზეც დაანარცხებს!
ქალი, რომ სუსტი იყოს,როგორ გაატანდა,
ამ ცას უსასრულოს ფიქრთა თვალებს,
იცით?! რომ ამხელა დაღლილ დედამიწას
ქალის სიყვარული ატრიალებს!
როგორ დაგეთანხმო, რა ვქნა, ძლიერ
მიჭირს,
ზღაპრადაც ვერ გეტყოდნენ ამას,
ქალმა თუ ჩაიფიქრა, ქალმა თუ გაიწია,
ვერ დააჭერინებენ ცხრა ხარს!
სულიც, რომ გაუპონ, სიტყვით დაუჩეხონ,
ცრემლებს შიგნით იშრობს მყისვე,
გულიც, რომ მოუკლან, უსიცოცხლო ნაწილს,
წუთში შეიმრთელებს ისევ!
ქალებს უძლურება არა, არ სჩვევიათ,
სიცოცხლის საწყისია რადგან,
ყველა ქალს და დედას ღვთისგან ნაბოძვარი
თავზე მზის გვირგვინი ადგას
ქალი სუსტიაო?! – ჩემო ვაჟბატონო,
არც კი გაიფიქრო, არ თქვა!!!

შენთვის რჩეული

ამდენ ყვავილებს ერთად რომ მჩუქნი
ვხვდები, ქალი ვარ რჩეული შენთვის,
მე კი მინდა რომ ეს მზე გაჩუქო
და მზესთან ერთად წყალობა ღმერთის!
ამდენ სითბოს და სიკეთეს ერთად
მხრებზე, რომ მაღვრი ვხედავ ამასაც
და ყოველ დილას, დღეს თუ საღამოს
რომ მიფერადებ ფუნჯით ლამაზად!
შენი თვალების სიღრმესაც ჩავწვდი
და შენი გულის ვკითხულობ ფიქრებს,
თუ გინდა ზღაპრად გადამასახლე,
რომ ცაში ფრენაც მასწავლო იქნებ!!!

მარადისობა

მარადისობა, ეს არის ზენა,
უფალი, მამა და სული წმინდა,
საქართველოა მარადისობა
ღვთისმშობელს, რომ ხვდა თვით წილად ღვთისგან!
ანგელოზთ დასნი, ნათლისმცემელი,,
ასიათასი მოწმე ერთად,
სიყვარულია, სიმართლეა, დიდი სიკეთე,
დამეგობრება თავმდაბლობით შენს ნარგებ ბედთან!
მარადისობა ღვთის ტახტია, უფლის ტაძარი,
სვეტიცხოველი, ნიკორწმინდა,გელათი, ჯვარი,
მარადისობა გრემია და ალავერდია,
კიდეც რიონი, ალაზანი, არაგვი, მტკვარი!
მარადისობა ლაზარეა – ქართული ენა,
სამგვირგვინოვან მარგალიტებს ქრისტე დარაჯობს,
მარადისობა აისია კავკასიონით
და დაისია, მის ყურებას სხვა რომ არა სჯობს!
დიდმოწამენნი და წმინდანნი რეკავენ ზარებს,
წმინდა გიორგი, წმინდა ნიკოლოზ, ნინო მხევალი,
მარადისობა საფერავის, რქაწითელის ვენახებია,
უფლის სისხლად, რომ გადაქცეულა თვითო მტევანი!
მარადისობა განთიადზე მზის ნათელია,
მარადისობა ეს ცა არის,ხმელეთი, ღამეც,
თეთნულდი, შხარა, უშგულია და ლაზეთია,
ვარსკვლავებია მოციმციმე და ღამით მთვარე!
მარადისობა ხარის გუთანი, კერიაა, ოჯახი მყარი,
ცაში არწივთა ლაღად ფრენა, ლომთა ღრიალი,
მარადისობა წინაპართა მძლე ფესვებია,
ბაზალეთია, ენგურია და დარიალი!
მარადისობა ჩვენი ბერი გაბრიელია,
მოწამეთელი გიორგია, ტკბილი მეუფე,
ამდენი წელი ველოდებით მის გამოჩენას
მარადისობა ნიკოლოზია ვიცი მე უკვე!
მარადისობა ცხოვრების წიგნი – ბიბლია არის,
მორწმუნის გულში, იმედად, რომ დღესაც ანთია,
მარადისობა ჩვენი დედა სვეტიცხოველის,
მის საძირკველში დაფენილი უფლის კვართია!
მარადისობა სვანეთია, სამეგრელო, ქართლია რა ვქნა,
სახარებაა, თორა, ეფუთი და მყინვარის მთა,
ზიარებაა ქრისტეს სისხლთან მარადისობა,
და სხვანაირი მარადისობა სულაც არა მწამს!!!

ღვთისმშობელი

რა სათნოება ხარ ზეცით მონაბერო,
ბაგეს უხარია სიტყვა ქების თქმისა,
ზესთა მბრძოლელო და კარო მოწყალების,
ჩემო დედოფალო ცისა და ქვეყნისა!
სძალო უსძლოო და უშრეტელო წყარო,
სწრაფადშემსმენელო ვედრების ჩვენისა,
აღსავლის კარიდან საკურთხევლის მცველო,
მცველო უფლის ბაგის იბერის ენისა!
ყოველთ მწუხარეთა სიხარულად დგახარ,
სულთა სნეულების დამშრეტელო ჩვენო,
ქართველთ ჯიშ–ჯილაგის ლოცვად მვედრებელო,
რწმენით გიქარგია ჩემი საქართველო!

სადღეგრძელო

მე სვეტიცხოვლის თვითოეულ ლოდს მოვეფერები
და ვადღეგრძელებ იმ მარჯვენას, ვინაც ააგო,
ვინც, რომ სიმართლე ღმერთთან ერთად განძად დაგვიდო
და ვხედავ დღესაც ქარქაშს ხმალი რომ არ ჩააგო!
მე ბეთანელი მამების გზას ვარდებს დავაფენ
აღმართს ავივლი ისე, ალბათ არ დავიღლები,
ქართველი ლაზის ნაკვეთ ფრესკებს მოვეფერები
ტაძართა ლოცვას გულს ჩავიბნევ და დავითვრები!
მე იმ სიწმინდეს დავულოცავ ყველა ქართველ კაცს
ნამუსის ქუდი დღესაც თავზე, რომ ახურია,
ღვინის დოქების ტუჩებიდან ღვინო შემივსეთ
რადგან ეს სითხე ღვთიურია და კახურია!
სიტყვა მინდა ვთქვა სადღეგრძელოდ, აბა რაღა ვქნა
იქნებ ამ სიტყვით მოვუშუშო ხალხს იარები
თქვენ არ იფიქროთ ქალიაო და დაითვრება
მე საფერავით მხოლოდ ღმერთთან ვეზიარები!!!

დედა

როგორ შეიძლება დედა ბერდებოდეს,
როგორ შეიძლება, ღმერთო,
დედა, თვალების წინ ხატად უნდა გვედგას
ჩაუმქრალ კელაპტრად გვენთოს!
როგორ შეიძლება დედას, რომ დარდები
ტვირთებად ეკიდოს მხრებზე,
ოხ, როგორ არ მინდა ასე მეტად, ძლიერ
თეთრი, რომ ერევა თმებზე!
მე, არ მემეტება ღმერთო, სიბერისთვის
ჩემი დედა, ჩემი ღმერთი,
მინდა მის თვალებში სულ მზე იღიმოდეს,
მინდა სულ, რომ მყავდეს გვერდში!
რა ვქნა, სულ არ მინდა მისი ასაკი, რომ
ვერცხლის ზღურბლთან ახლოს იდგეს,
მინდა გადავმალო ჩემს ბავშვობის წლებში
ზამთრის მოვაცილო კიდეს!
დროს ვერაფრით ვჯობნი, როგორ აღარ ვცდილობ,
ხელზე შემჭკნარ კანს ვერ ვაშორებ,
შუბლსაც ნაოჭები მკვეთრად დაემჩნია,
ვითვლი ხაზთა სიგრძეს, მათ შორებს!
ვის მოუგონია დედისთვის სიბერე,
როგორ შეიძლება ღმერთო,
დედა თვალების წინ ხატად უნდა გვედგას
ჩაუმქრალ კელაპტრად გვენთოს!!!

პოეტი და პოეზია

რის პოეტობა, რა პოეზია
ამ ხელოვნების, არც კი ვარ ღერი,
საქართველოს, რომ ყოველწუთს ვხატავ
ესაა სულის ამონამღერი!
თუ საქართველო ლექსად დამღვრის დაე, დამცალოს,
სულით ხორცამდე სიყვარული,ოღონდ მაცალოს,
სადმე, კუნჭულში შემომმინახოს ლექსთა რითმები
და ვარდობისთვეს ჩემს ქვეყანას გულზედ აშალოს!
მაინც მას ვიტყვი, რის პოეტობა, რა პოეზია,
ამ ხელოვნების ჩრდილი კი არა, არც კი ვარ ღერი,
ეს საქართველო, გულმა თუკი ვერ დაიტია
ესაა, ჩემი სულის დიდი ამონამღერი!!!

სამშობლოს თუ გაუჭირდა

თუკი ისევ გოლგოთაზე
გასავლელი უნდა გავხდეთ,
დღესაც თუკი მტერი ფიქრობს,
რომ მოგვამსხვრევს გულის ნატეხს!

დიდგორს ისევ ვადიდგორებთ
მარტყოფს მივალთ საბრძოლველად,
ჩვენთვის უკვე ყაყაჩოებს
ულოციათ კრწანისს ველად!

სააკაძის და ერეკლეს
ჯარი ბრდღვინავს, როგორც ლომი,
ძველებურად ლახვარს გვცემენ
არ დასრულდა ჩვენი ომი!

მაშ, ჩვენ რაღა ქართველნი ვართ
ან რა კაცი, ან რა ქალი,
სამშობლოს თუ გაუჭირდა
უნდა ჩავაბაროთ ვალი!!!

წმინდა გიორგი

ღვთისგან დალოცვილ ამ,პატარა საქართველოში,
სამას სამოცდასამი, რომ მყავს წმინდა გიორგი,
ნუ შეეცდები მტერო, ჩემი მიწის გაყოფას,
ჩვენი დაპყრობა არ გეგონოს ასე იოლი!

რამდენსაც სცოდავთ, ზურგზე იმდენ მათრახს დაირტყავთ,
წმინდა გიორგი, მაგ ბოროტ სულს შუა გაგიპობთ,
თავი ანებეთ ჩემს მიწა-წყლის უღირსად წეწვას,
ამ წმინდა ადგილს, ქრისტეს მეტი ვერვინ დაიპყრობს!!!

რომ არ შემეძლოს

მე, რომ ღიმილები არ შემეძლოს,
თოვლის თეთრი ზვავი დამფარავდა,
მე, რომ სიყვარული არ მქონოდა
ალბათ ქარიშხალი გამფანტავდა!

მე, რომ ხელის გაწვდა არ ვიცოდე
ძალა სიხარბისა დამფარავდა,
სხვისი ტკივილი, რომ არ მტკიოდეს
ღმერთი მე აქამდე დამკარგავდა!

მე, რომ სიხარული არ შემეძლოს,
როგორ გავახარებ სხვის გულს ნეტავ,
მინდა, ყველა სულში ჩავისახლო,
მინდა, მოგეფეროთ უფრო მეტად!

მე, რომ სიმართლის თქმა არ მიყვარდეს
ღმერთი ასეთს როგორ მიგუებდა,
მე, რომ ქართველობა არ დავკარგე
მტერი შლეგი თვალით მიყურებდა!

მე, რომ დაპურება არ შემეძლოს,
მშიერ-მწყურვალის და გლახაკისთვის.....
ღმერთო, მადლობა, რომ ჩამესახლე
სულში სანაცვალოდ ამ ხარკისათვის!!!

ლაზარე

შეუძლებელი არაფერია,
ცად ანგელოზნი დარეკენ ზარებს,
„ოთხიათასი წელი“ მთავრდება
გამოღვიძების დრო გაქვს „ლაზარე“!

არვის არ ძალუძს ქართული გენი
მიძინებული ასე ტყვედ ჰყავდეს,
ალბათ ყველაფერს თავისი დრო აქვს,
დრო სიზმრადყოფნის უნდა დამთავრდეს!

და გაცხადდება ირგვლივ ყოველი,
რაც დაფარულა, დამალულა რაც
მორჩა გვეყოფა ამდენი ძილი
ქრისტე აღვიძებს უკვე ქართველ კაცს!

მოდის სხვა ძალა, სხვა შემართება,
აღმაშენებლად და არა ნგრევად,
ხალხთა გონების გასაღვიძებლად
დღეს ასეთია ძე ღმერთის ნება!

აქ გათავდება ალბათ მელანი,
კალამს გადადებს გვერდზე ზოსიმეც,
გაბრიელ ბერი და ნიკოლოზი
„ჩონგურს“ უბამენ მთლად ახალ სიმებს!!!

უქართველოდ

უქართველოდ, ცაზე მზე აღარ ინათებს
და ღვთისფერი თვალში შუქი ჩაქრება,
უქართველოდ, დილა აისს არ შეხვდება
ცისკრის ვარსკვლავს ჩაუქრება ნათება!

უქართველოდ, ვაზი აღარ აყვავდება
და სიონის არ დარეკენ ზარები,
უქართველოდ, მყინვარი მთლად ჩამოდნება,
ჩამოწვება დარიალის კარები!

ერისიონს ბრწყინვალება გაუქრება
უქართველოდ, ვინ იმღერებს „ზამთაროს“,
დაისს ფერი ვარდისფერი არ ექნება
ღვთისმშობლის ცრემლს
ვერ გაუძლებს სამყარო!

უქართველოდ, დედა თბილისს მეტეხის კარს
შემოუნგრევს ისევ ავი ხვარაზმა,
ოპიზრები ხატებს თუ ვერ მოჭედავენ
სევდის სიმებს ხელს
ჩამოჰკრავს კვლავ ზარზმა!

უქართველოდ, ვარსკვლავები ჩაქრებიან
უქართველოდ, მთვარეც აღარ ამოვა,
უგულობა სამუდამო ტახტს დაიდგამს
უქართველოდ, გაზაფხულიც არ მოვა!

ცის ტატნობზე მერცხალი არ იჭიკჭიკებს,
ველზე ია დაიღლება ტირილით,
ქართველი თუ არ იხილე ამ ცის გვამში
ვის გინდა, რომ შეეგებო ღიმილით!

უქართველოდ, ტაძარი არ აიგება
უქართველოდ, სილამაზე წაიშლება,
მეგობრებთან სუფრა აღარ გაიშლება
უქართველოდ, ოჯახები დაიშლება!

უქართველოდ, ვინ იმღერებს „იავნანას“,
„დედაენის“ ვინ გადაშლის
კვლავაც ფურცლებს,
უქართველოდ, შოთას „ვეფხისტყაოსანიც“
ავბედობის ჟამთა სვლასაც ვერ გაუძლებს!

ამ ცხოვრების ფერებს,
ფერი არ შერჩებათ,
ამ ენაზე თუ არ ისმენ სახარებას,
უქართველოდ, სიყვარული აცრემლდება,
ვეღარ ნახავ დედა-შვილის გახარებას!

უქართველოდ, ლოცვაც არ შეიწირება,
უქართველოდ, სულიც აღარ ამღერდება
უქართველოდ, კავკასიაც დაბერდება
უქართველოდ, დედამიწა გაჩერდება!!!

როგორ მეწყინა

როგორ მეწყინა, რომ მიმატოვე
და ნაადრევად სულშიც აცივდა,
გულს უმეგობრა დღეს ამ თვალებმა
და დარდის ნისლი ცრემლად აწვიმა!

რაც იყო იყო, მორჩა, წავიდა,
მე არ ვაპირებ შენს საყვედურებს,
ქუჩაშიც თვალს არ გამოგაყოლებ,
აღარც მოვძებნი შენს ნაფეხურებს!

იცი რად ვტირი?! – ამ ხნის მანძილზე,
რომ ვერ შეგიცან, ნეტავი ვინ ხარ,
სანთელთან ერთად ჩავწვავ ტკივილებს,
რადგან მივხვდი, რომ ჩემად არ ღირხარ!!!

გადაშენება არ გვიწერია

დღეს მზის სხივები ცად აიწივნენ,
ამ დილას სულ სხვა ზეცას ველოდი,
ხონთქარს დაუდგამს უკვე უღელი
გადაჯიშების საქართველოსთვის!

ეს როგორ ღმერთო?! --ნუთუ ქართველებს,
კვლავ დაგვადგამენ მეწამულ გვირგვინს?!
კვლავ აჩეხავენ ქართულ ვაზის ჯიშს?!
ერთურთის შუღლი ნუთუ კვლავ ღვივის?!

ისევ მურვან ყრუ და თემურ ლენგი?!
ხვარაზმელს მტკვართან დაუდგამს ტახტი?!
მეტეხმა ცრემლი ღვარა იმდენი,
რომ არ წაბილწონ ღვთისმშობლის ხატი!

კი უარესიც და უფრო მეტიც,
დღეს ჩვენი ხელით ვითხრით სამარეს,
მაგრამ მე მესმის დიდგორი ყვირის,
მებრძოლთ ყიჟინა სწევს არე-მარეს!

ვხედავ თამარის, დავითთან ერთად,
მოაქროლებენ ერთგულ მერანებს,
მათ საქართველო აქ მხრებით მოაქვთ
და მას ვერავინ გაავერანებს!

ჩვენშიც ხომ ყივის ქართული სული?!
რა დაგემართათ, ვისას დაჰხარით?!
გულზე დავადგეთ ქართულ მიწა-წყალს
რადგან სხვა არ გვაქვს მისი სადარი!

გიორგი ისევ იბრძვის მარტყოფში,
პაატაც იქვე გვერდში ჰყოლია,
მე ზეცას ვხედავ ისე კრიალას,
ღვარცოფმა გვშთანთქოს, არა მგონია!

ჩვენ, რომ გაგვათბობს ის სხივი მინდა,
მზე თუ არ მზეობს ეს რა დარია?!
სულ წაუმურავს ბუხრის კვამლს დილა
და გაზაფხულზეც კვლავ ზამთარია!

ქართველ ოპიზრებს კვლავ მოუჭედავთ,
ღვთისმშობლის ხატი ოქრო-ვერცხლითა,
გელათის გუმბათს მაცხოვრის ჯვარი
მეფეს დაუდგამს თავის ხელითა!

სულ ბევრი გვყვავდა ყოველთვის მტერი,
უღმრთო, ურჯულო, ავი-ზნიანი,
ბევრი ეცადეს მაგრამ ქართველებს,
ვერ შეგვაძულეს დავითიანნი!

და კვლავ ოსმალო?! და ისევ შაჰი?!
შეფარებული ქართველთა სახით?!
მოვუხმოთ ვახტანგს, გიორგის, ცოტნეს,
თევდორე მღვდელი ეძახის დავითს!

მე საქართველო მიღირს ქართველით,
საქმე ქართული,რომ ჩაიბარონ,
არვის არ ვერჩი, ვფიცავარ ჩემს მზეს,
უცხო ტომებმა თვისით იხარონ!

ასე გგონიათ, რომ საქართველო
გაქრება ციდან – დაიკარგება?!
არა და არა – ეს ცაც და მიწაც
სულ უფლის რწმენით დაიქარგება!

ფეხი დავადგათ, ძლიერ დავადგათ,
ჩვენს საძვალეს და ჩვენს იბერიას,
რაც უნდა მტერმა სახე იხოკოს,
გადაშენება არ გვიწერია!!!

არ მიყვარდიო სიგიჟემდე, ოღონდ არ მითხრა

კვლავ აფეთქდება ცეცხლისფერი ბროწეულები,
და სილამაზეც დაიღვრება ისევ მარიტად,
შემოენთება გულს წარსულის გატაცებები,
არ მიყვარდიო სიგიჟემდე, ოღონდ არ მითხრა!

მოგონებები კვლავ ბზარავენ სარკეს სულისას,
პირი აერთოთ სკივრში ნადებ გულის იარებს,
მერე რა მოხდა წლები ჩემგან თუ გაპარულან,
და გაზაფხულზე მერცხლებმაც თუ დაიგვიანეს!!!

ალავერდი

ჩემო ქნარო, საფიცარო, დალოცვილო სალოცავო!
ალვერდო ჩემო მზე და მთვარე!
ქონგურებზე შემომსხდარი, ფრთანათელი, მზენათელი
ანგელოზთა ფრთები ვერ დავთვალე!

ცის ლაჟვარდში ატყორცნილი, შენი ჯვარი და გუმბათი,
მთელ კახეთს რომ გადაჰყურებს ლოცვად,
წმინდა მამათა ლამპარო, ჩაუქრობელო ტაძარო,
გულს გიბრწყინებს მზის სხივების კოცნა!

მზემოფენილ საკურთხეველს სხივადმდგარო ვედრებაში,
ქეთევანის ბოლო ლოცვა გეტკინა,
შენ დავითის სინანულის ცრემლის საგალობელიც ხარ,
სულნათელს რომ გულს ცრემლები ედინა!

შუამთაში თინათინის აყვავებულა ტყემლები,
მისი რწმენა მიურქვიათ ფრესკებს!
იყალთოდან ზენონის და შოთას ჩანგით დალოცვილი,
მადლის სხივი გადმოღვრილა შენსკენ!

კავკასიონზე აისს და ცისკრის ვარსკვლავს ეგებები,
ალაზნის ხმა ჩაგჩურჩულებს ყურში,
გრემის მთავარანგელოზი კურთხეული დალოცვილი,
სიყვარულით ჩაგიკვრია გულში!

ჩემო ქნარო, საფიცარო, დალოცვილო სალოცავო!
ალავერდო ჩემო მზე და მთვარე!!!

წვიმა

შეხედეთ, წვიმასაც სცოდნია ტირილი,
ჩვენსავით სევდაც და დარდიც,
ჩემს ფანჯრის მინაზე მოვერცხლო წვეთებსაც
სულ სველ-სველ ცრემლებად აღვრის!

მე, ერთი წუთითაც არ მინდა არაფრით,
რომ გული უქუხდეს დარდით
და უბე წყლით სავსე სიბრაზის დაცალოს
შხაპუნა წვიმიან ავდრით!

ვეფერე, ვეცადე გამერთო როგორმე
ამ ლექსის ლამაზი რითმებით,
სველ-სველი ცრემლები შევუშრე ლოყებზე
ჩემს ხელისგულით და თითებით!

გაყუჩდა, როგორაც ყოველთვის სჩვევია,
ოდნავღა ნამავდა და ცრიდა,
ნისლისფერ ეტლებით გრუხუნა ღრუბლები
შორს, შორს გააფრინა ამ ციდან!!!

შემოდგომა თელავში

შემოდგომის ზეცას ბინდი შეჰპარვია
ცის პირი კი შემუქდა და ელავს,
ვერცხლისფერი წვიმა ოქროსფერ ფოთლებთან
ფეხქვეშ ქარვად დაჰფენია თელავს!

ეს ბურჯები მეფის ძველი სასახლისა,
როგორ დიდჭირნახულები სჩანან,
ბევრის მთქმელი ტაძრები და გალავნები
ძველთა ძველ მემატიანეს ჰგვანან!

წლის ყველა დრო შენთან გულს ეხალისება
სიყვარულს კი ნუღარ მკითხავ , ნუღარ,
შენს ქუჩებში ჭადრის ყვითელი ფოთლები
ქარვად მიმოფანტულან და დუმან!!!

შენსას უსმინე

სხვისი ფეხის ხმას ნუ აუყვები
შენსას უსმინე, შენი გათვალე,
მორწმუნეობა არ მომაჩვენო
რწმენაშიც შენი კვალი გაკვალე!

დროება აწი სულ უფრო ხარბად
მუხანათურად მზესაც დაგვინთქავს,
არაფერი სჯობს ამ ქვეყნად სიტყვა
გულში ანთებულ სიმართლით ითქვას!

სიფრთხილეს უნდა დაუმეგობრდე
თორემ სიყალბე სულს გაგიძარცვავს,
მაცდურის ბილიკს ნუ დაადგები
მათრობელაა – და ჯვარზე გაცვავს!

კმაყოფილებას ნუ მიეცემი
უნდა დაფიქრდე, იფხიზლო სულით,
ყოველთვის საქმე აკეთო ისე
მართალი იყოს ამ მართალ რჯულით!

წინ დაგიწყობენ კანონის წყებას
აქეთ სამართლის ვითომ სიმართლეს,
მათ შორის თუკი სინდისი არ დგას
ბნელში სად ჰპოვებ აბა სინათლეს!

ხმამაღლა ვამბობ, დღევანდელ ყოფას
ვერა გავუგე ამ ოხერტიალს,
როცა სცენიდან გმირები წავლენ
იქვე ჯამბაზი იწყებს ხეტიალს!!!

თენგიზ ფანცულაია – ხერგილელი ოქროპირი.
სამართალმცოდნე-პოლიციის პოლკოვნიკი
შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი
დაბადების ადგილი – სამტრედია, დაბა კულა

მადლობა უფალს

მადლობა უფალს, ყოველი დღისთვის,
ამ ქვეყანაზე ჩვენ მოვლენისთვის,
თვალის გახელა, ცხრათვალა მზისთვის,
ცივი წყარო და შრიალა ტყისთვის.

მადლობა უფალს ძმისა და დისთვის,
და ამაგდარი თბილ მშობლებისთვის,
დიდი მადლობა, მეგობრებისთვის,
დაუვიწყარი სკოლის წლებისთვის,

მადლობა უფალს, ჩვენი სულისთვის,
ყოველი დილით გზის დალოცვისთვის,
გულს,რომ გვიძგერებს სიყვარულისთვის,
ვაჟკაცს განაწყობს ქალის ტრფობისთვის.

მადლობა უფალს ოჯახისათვის,
თბილი მეუღლის, შვილებისათვის,
მადლობა ჩვენი გამხნევებისთვის,
ჩვენი ცოდვების მიტევებისთვის.

მადლობა უფალს გაჩენის დღისთვის,
არიდებული ბნელი სენისთვის,
სიკეთე, მადლი, სიხარულისთვის,
იმედით სავსე ჩვენი გულისთვის.

მადლობა უფალს, ყოველი დღისთვის,
ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენი ერისთვის,
ერთიანი და მუდამ მთელისთვის,

ქართველი ხალხის მოფერებისთვის.

ტესტი ქართველობაზე

თუ კაცი ხარ და არ ფიქრობ ასე,
არ გემღერება ჩაკრულოს ხმაზე,
არ გეცეკვება დაისის ჰანგზე,
არ გარბის თვალი მშვენიერ ქალზე.

არ შეკრთომილხარ საბედოს ხმაზე,
არ ეფერები სატრფოს დალალზე,
არ გეტირება ახლობლის დარდზე,
არ გელექსება შენ ფესვს და გვარზე.

არ სწუხხარ მტრისგან წართმეულ სახლზე,
არ აწყობ გეგმას მის განდევნაზე,
არ დარდობ ერზე და ქართველ ხალხზე,
არ გეფიქრება მის მომავალზე.

არ გხურავს ქუდი, ნამუსის თავზე,
არ ზრუნავ, გვერდით წაქცეულ კაცზე,
არ ცდილობ, ობლის დაყვავებაზე,
არ ეფერები, დედიკოს თმაზე.

არ ანთებ სანთელს და ცრუობ ხატზე,
არ ნატრობ გავლას, შენ დილის ცვარზე,
აღარ ამაყობ კოხტა, მთა-ბარზე,
არ ბრაზობ მოძმის, ღალატის ფაქტზე.

არ გეკვრის სუნთქვა, დიდების ჰანგზე,
და არ ოცნებობ დავითის ხმალზე,
არ ნერვიულობ, დაზე ან ძმაზე,
არ ფიქრობ მამაც,ჩვენ ქართველ ხალხზე.

თუ კაცი ხარ და არ ფიქრობ ასე,
რა გინდა მაშინ, ამ ქვეყანაზე,
ვეღარ ყოფილხარ, ძმობილო აზრზე,
დროზე დაბრუნდი, წინაპრის გზაზე.

რატომ მაწვალებ ქალაუ

რატომ მაწვალებ ქალაუ,
რად გამირბიხან განსაო,
ხომ ხედავ, აღარ ივიწყებს,
ეს გული შენსკენ კვალსაო

ხშირად ავუვლი-ჩავუვლი,
შენ საცხოვრებელ სახლსაო,
ერთხელაც შემომამარცხებ,
მაგ შენ უბედურ ქმარსაო.

არად ჩავაგდებ იცოდე,
ტრფობით ატეხილ შარსაო,
რა ვქნა გულს ვეღარ ვაჩერებ,
ჯიუტს და თავნებასაო.

იქნება ჩუმად მანიშნო,
გამოვასწრებდი ქარსაო,
გადმოვახტები დიდ გორაკს,
ფეხით გავივლი წყალსაო.

მოგეფერები ლამაზო,
მშვენიერსა და წყნარსაო,
უმალვე დაგიკოცნიდი,
დალალებსა და თვალსაო.

ჩავიხუტებდი ნანატრი,
ალვისა სადარ ტანსაო,
ვნებაში დაღლილ-დაქანცულს,
გადაგიწვენდი მკლავსაო.

რა ვქნა,რომ ვეღარ გივიწყებ,
ვეღარ განებებ თავსაო,
რომ ვეღარ ვაქრობ ამ გულში,
ატეხილ გრიგალ-შარსაო.

ნუღარ მაწვალებ ქალაუ,
ნუ გამირბიხარ განსაო,
მოდი და გული გამითბე,
შორით დაგვა და წვასაო.

გმირი ხევსური ქალი

შატილში მაცნე მოიჭრა,
განგაშის დაკრეს ზარიო,
მოგვადგა მტერის ურიცხვი,
ძალზე საშიში ჯარიო.

ჩვენი ამოთხრის მოსურნე,
უნდათ გვილეწონ კარიო,
აგვიწიოკონ ცოლ-შვილი
და შეგვიგინონ ჯვარიო.

ხევისბერები სარდლობენ,
შეკრიბეს ყველა გვარიო,
სათოფურებში ჩამოდგნენ,
მტერი სულ ახლოს არიო.

დაგმანეს შესასვლელები,
კოშკების ყველა კარიო,
შეჰფიცეს, არ შეარცხვინონ,
მტერთან გუდანის ჯვარიო.

და საბრძოლველად დაეწყო,
ხევსურთა კაცი-ქალიო,
თავი აქვთ მძიმე ბრძოლაში,
საომარ-გასატანიო.

რომ დაავიწყონ
მომხვდურებს,
შატილისაკენ კვალიო,
შემდეგ კი იქეთ მიუხტნენ,
თავს დააქციონ ბანიო.

ერთის მეუღლე ყოფილა,
ნორჩი და ტანად თლილიო,
მომხვდურ მტრის
დამარცხებაში,
ყოფილა მისი წვლილიო.

კოშკის კუთხეში დამალა,
აკვანში მყოფი ჩვილიო,
მაგრამ ბრმა ტყვიამ
შეწყვიტა,
ბავშვის ტიკტიკი ტკბილიო.

არ უნდა ქმარმა გაიგოს,
აკვანს ჩაუკლეს შვილიო,
ტირილის ხმა არ წამოცდეს,
სიმწრით მოკუმა პირიო.

ლეჩაქი წამოიფარა,
არ დამინახოს, ვტირიო,
ტყვია-წამალს კი აწოდებს,
არ მოცდეს, ჩემი გმირიო.

გათავდა ბრძოლა, თავის
ბალღს,
კითხულობს უკვე ქმარიო,
ცოლმა დალალი გაშალა,
ჭირის გაისმის ზარიო:

„მტრის ტყვია მოხვდა
აკვანში,
კუთხეს რომ იყო მდგარიო,
წაგვართვეს ჩვენი იმედი,
ცოცხალი აღარ არიო.

„რომ მეთქვა შვილი აკვანში,
გვიწევს ტყვიითა მკვდარიო,
არ გექნებოდა სროლაში,
ხელი მტკიცე და მყარიო.

დაგიცდებოდა ბრძოლაში,
მჭრელი,ნაცადი ხმალიო,
სამშობლოს შვილი შევწირეთ,
ხომ გადვიხადეთ ვალიო“.

„მგონი ინებებს უფალი,
რომ გავაგრძელოთ გვარიო,
შვილებს გვაჩუქებს,
გავზარდოთ,
მომხვდურთან მეომარიო.

დაიცვან მისი სამშობლო,
წმინდა ხატი და ჯვარიო,
არავის დაარღვევინონ,
ქვეყნის სამანი-ზღვარიო“.

დღეს რომ ხმაურობს არაგვი,
შეურყვნელია ჯვარიო,
ან კიდევ რომ გაამრავლეს,
მამაც ხევსურთა გვარიო.

ხეობაში, რომ გაისმის
ხევისბერების ზარიო,
მამაცი ქართველ დედების
დამსახურება არიო.

პ.ს:
ასეთი ბევრი გვყოლია,
გმირი მებრძოლი ქალიო,
ოჯახის, ქმარის,სამშობლოს,
რომ გადიხადეს ვალიო.

მე ასეთ გმირებს ვცადე და
მივუძღვენ ლექსის ბწკარიო,
სიმართლე გითხრათ,
ვიგრძენი,
დადენილ ცრემლის კვალიო.

დამილოცეთ ეს ქვეყანა

დამილოცეთ ეს ქვეყანა,
ჩვენი გმირი წინაპრების,
სახელოვან მეფეების და
ჭკვიანი დედოფლების.

აზნაურის, ერისთავის,
ყველა კუთხის თავადების,
ერის ღერძი-ხერხემალი,
მუდამ მშრომელი გლეხების.

დამილოცეთ მე სამშობლო,
ერზე ჩაფიქრებულ ბრძნების,
საუკუნეთა მანძილზე,
ვაჟკაცურად მეომრების.

სამშობლო და ერისათვის,
მუდამ თავდადებულების,
უთანასწორო ბრძოლაში,
ზურგზე ვაზის კალმის მდების,
ამ კალმისგან, გმირის ძვლებზე,
ამოფეთქილ ვაზის ზვრების.

დალოცეთ და მოეფერეთ,
მიწას ამაყი კოლხების,
არავინ არ განაწყენდეს,
ამერ-იმერის-ერთ ძმების.

მსოფლიოში პირველების,
მეტალურგი ხალიბების,
ღვინის პირველი სამშობლოს,
პირველ ძაფის დამრთველების.

დამილოცეთ მე სამშობლო,
ხორბლის პირველ მთესველების,
უძველესი ანბანის და
დამწერლობის შემქმნელების.

მსოფლიოში კულტურულად,
თაფლის პირველ დამწურების,
ერთხელ არჩეული რწმენის,
სულ ბოლომდე დამცველების.

სადღეგრძელო მათქმევინეთ,
ჩვენი ლამაზი ქალების,
მზეთუნახავ ასულების
და შემდეგ გმირი დედების.

ფუძე-კერის დედა-ბურჯის,
ყრმათა ლამაზ აღმზრდელების,
განათლებული შვილებისა
და მამულის დამცველების.

მათქმევინეთ სადღეგრძელო,
ლომგულოვანი ვაჟების,
ცხოვრებაში უღალატო,
მუდამ თბილი მეგობრების.

სუფრაზე კი მოქეიფე,
მჭერმეტყველი თამადების,
ფიცხელ ომში დაუნდობელ
და მამაცი მებრძოლების.

ქალის მანდილის დამცველი
შეყვარებულ რაინდების,
მოტრფიალე ცხელი გულის,
მერე კი ერთგული ქმრების.

ოჯახზე გადაყოლილი,
მოსიყვარულე მამების,
სამშობლოზე მოფიქრალი,
მუდამ შემართული მგლების.

მათქმევინეთ სადღეგრძელო,
ფოლკლორის და ხელოვნების,
ქართულ გენის წარმომჩენი,
თავბრუდამხვევი ცეკვების.

მსოფლიოს გამაოგნებელ,
მრავალხმიან სიმღერების,
და კოსმოსში გაგზავნილი,
“ჩაკრულოს“ უკვდავი ხმების.

მოფერება მინდა მუდამ,
ქართულ სიტყვის ჯადოქრების,
პირველად აღიარებულ,
დიდ რუსთველის ტაეპების.

სადაც გრძნობა ისწავლება,
სიყვარულის, მოფერების,
მეგობრისთვის გვერდში დგომის,
ძმობისა და თავდადების.

გირჩევთ აღარ დაგეზაროთ,
კითხვა ლექსის, პოემების,
არჩევანი საკმაო გვაქვს,
კალმოსანთა შედევრების.

აკაკის, გალას, ვაჟასი,
კიდევ მრავალი მგოსნების,
დიდ გურულის თამადობით,
სახელოვანი მწერლების.

სახელს უნდა დაფასება,
ომში ძირს დაცემულების,
სამშობლოსთვის გულანთებულ,
დიდი მამულიშვილების.

ბევრჯერ ერის გადამრჩენი,
სახელოვანი გმირების,
და მათ მაგალითზე აღზრდა,
მომავალის და შვილების.

მადლი აღარ დაგვავიწყდეს,
ქრისტეს რწმენის მომტანების,
ოთხი მოციქულის ღირსი,
ვართ ქვეყანა ქადაგების.

ხსოვნა გვქონდეს რწმენისათვის,
წამებულთა, წმინდანების,
ჯვარის შეკვრას შეწირული,
წმინდა ნინოს ნაწნავების.

დაფასება გვინდა მუდამ,
ტაძრების და მონასტრების,
სვეტიცხოველს ადგილს წმინდას,
ქრისტეს კვართის დაბრძანების.

აღდგენა და გაფრთხილება,
ციხეების და კოშკების,
სახელი არ დავივიწყოთ,
მშენებელის და ამგების.

დრო მოვიდა მხილებისა,
ვერაგი და შიდა მტრების,
მძიმე არის ერის ხილვა,
ცალ-ცალკე დაფანტულების.

მირჩევნია თქვენი ნახვა,
უფრო მეტად შეკრულების,
და ერთობით დამარცხება,
ორგულის და მომხვდურების.



რა ვქნა თავს ვეღარ ვიკავებ,
ბოღმა მახჩობს კოლხი ძმების,
ამად დედებს მოვიკითხავ,
ოქროს საწმისის ქურდების.

დასაქცევად ჩამოსული,
კორინთოელ ყაჩაღების,
კოლხეთიდან ტყავთან ერთად,
ფარული სიბრძნის წამღების,
არ იხაროს დარგულ ნერგმა,
მოღალატის, გადამგდების.

გამახარეთ ერთად დგომით,
ქართლისა და კახელების,
აჭარლების და ოსების,
ჩემი მორდუ აფხაზების.

მოხევეთა,თუშელების
და ასევე ლეჩხუმლების,
მთიულების, ფშაველების,
ტალავრიან ხევსურების.

ქცევით სხარტი გურულების,
ჩემი მკვირცხლი მეგრელების,
გულით გოროზი სვანების,
თავაზიან იმერლების.

ძველისძველი სამცხელების,
მუდამ დინჯი რაჭველების,
ამ მიწაზე დაბადებულ,
ემიგრანტი „კულაშლების“,
აღთქმულ მიწაზე წასული,
სულით აქ დარჩენილების.

დამილოცეთ საქართველო,
კახეთს გადაჭიმულ ზვრების,
მოსავლიანი ჯეჯილის და
თვალუწვდენელ მაღალ მთების.

ხვავიანი შემოდგომის
და ღვინით სავსე ქვევრების,
ღონიერ კაცს უხარია,
გამასპინძლება სტუმრების.

არასოდეს მოგეშალოთ,
ნახვა გაშლილი სუფრების,
ღიმილიან მასპინძლების,
ხმაურიან ქორწილების.

რიტუალის შესრულება,
ჯვარისწერის და მირონცხების,
გრძელი რიგი დამანახეთ,
ლამაზ ქართული აკვნების,

ღმერთმა მოგცეთ სული მტკიცე,
ცუდი ჟამისა გაძლების,
დრო დამდგარა მტერზე მისვლის
და მეტოქის დამარცხების.

სამაჩაბლო-აფხაზეთის,
დედის გულში დაბრუნების,
ყველა კუთხის ერთად შეკვრის,
და ერთადვე აყვავების,
დამილოცეთ ეს ქვეყანა,
ჩემი ძმების-ქართველების.

რატომ გვაშინებ სიკვდილო

ხომ ყველას კარზე მოდიხარ,
მოსვლით გვაშინებ შენითა,
რომ დაგინახავთ ცელიანს,
კაის არაფერს ველითა.

ხან დილას მოხვალ, ხან ღამით,
დაგვტანჯე გულის ტკენითა,
ხანდახან ისეთს აარჩევ,
გვაოსებ, ცრემლის დენითა.

გვადროვე, ცოტა რომ დავტკბეთ,
ლამაზი ქალის ცქერითა,
გვარი და ერი ვამრავლოთ,
ჩვენი ქართული კერითა.

იქნებ სამშობლოს ვჭირდებით,
ალყა შემორტყმულს მტერითა,
გვაცალე ხმალი გავაძროთ,
რომ დაგვერევი ცელითა.

იქნებ შვილიშვილს ველოდით,
რამდენი წელი თმენითა,
მოუმზადებელს რად გვისწრებ,
ვეღარ მომწონხარ ქცევითა.

ნუთუ ვერ ხედავ ოხერო,
როგორ აგვავსე წყენითა
ახალგაზრდას, რომ წაიყვან,
აქ ცოცხალ მკვდარი ვრჩებითა.

ეტყობა შენაც საქმე გაქვს,
დავალებული ზევითა,
თორემ ხომ შეწუხდებოდი,
დედების ცრემლის ქცევითა.

რა დაგიშავეთ ამდენი,
ჩემი პატარა ერითა,
ხანდახან ცოდვიანით და
უფრო კი გულით წრფელითა.

ბოლო დროს ძაან შეგვიჩნდი,
გვცელავ ვირუსით ბნელითა.
იქნებ ნაკლები დაკავდე,
ხალხით ამ ძველის ძველითა,

ვერ შევკრებილვართ სუფრაზე,
დადგენილ შეზღუდვებითა,
რად მოგვანატრე ქეიფი,
კეთილი მეგობრებითა.

აწი დრო მაინც გვითხარი,
რომ დაგხვდეთ, პურით, ყველითა,
წასვლის წინ დაგვალოცინე,
ვისთვისაც მივალთ, ვკვდებითა.

გპირდები, ბოლო სუფრაზე,
დაგლოცავ ჩემივ ხელითა,
ანდერძად დავიბარებდი,
საკუთარ ლექსის ენითა.

„სანამ ხართ, ლაღად იცხოვრეთ,
დროს ნუ დაკარგავთ ღრენითა,
იცოდეთ, ერთხელ მოდიხართ,
ყველა წამოხვალთ ზევითა“.

წასვლის წინ შემოვძახებდი,
ვაჟას უკვდავი ენითა:
„შენი ჭირიმე სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა“!!!.

პ.ს:
არ დაგავიწყდეთ ქართველნო,
დავალთ უფალის რწმენითა,
ბევრჯერ დაგვსაჯეს ქრისტესთვის,
გვაწამეს ცეცხლის ენითა.

აღდგომის ცეცხლის გადმოსვლას,
გულის ფანცქალით ველითა,
სიკვდილით, სიკვდილის თრგუნვა,
ხდება უფალის ხელითა.

რომ შემეძლოს, ვინატრებდი:

რომ შემეძლოს ვინატრებდი,
ცოტას, განა ბევრს,
რომ შემეძლოს მივხედავდი,
ჩემს საყვარელ ერს.

რომ შემეძლოს ვუშველიდი,
მოვურჩენდი სენს,
რომ შემეძლოს შევუშრობდი,
მოძმეს თვალზე ცრემლს.

რომ შემეძლოს დავუჩოქებ,
ხშირად მუხლზე ღმერთს,
შევავედრებ ჩემს სამშობლოს,
ერთიანს და მთელს.

რომ შემეძლოს გავახარებ,
მოფერების ნერგს,
ალალს წავახალისებ და
დავსჯი ცუდის მქმნელს.

რომ შემეძლოს ვინატრებდი,
მე ჯადოსნურ კვერთხს,
ანდა სულაც ვინატრებდი,
ლამაზ ნატვრის ხეს.

ვინატრებდი მე ჟანგბადით,
გადავსებულ ტყეს,
წყაროს წყალი, რომ ჩუხჩუხებს
და გიგრილებს ყელს.

ვინატრებდი მე ქართველ კაცს,
ფუტკარივით მხნეს,
დაუღალავ გუთნისდედას,
ყამირ მიწის მხვნელს.

ვინატრებდი მე ქართველის,
ბარაქიან რთველს,
სტუმარს გულით რომ გაუხსნის,
ღვინით სავსე ქვევრს.

მოსავალით ავსებული,
ვინატრებდი გლეხს,
უფალ თამადას ვინატრებ,
ტკბილს და ენამჭევრს.

ვინატრებდი სუფრის ღვინოს,
ბატის ჭუკისფერს,
და მასპინძელს დავულოცავ,
ფუძესა და ჭერს.

ქართველ დედას ვინატრებდი,
იავნანას მთქმელს,
ღირსეულად შვილის
აღმზრდელს,
სასახელოს მხნეს.

ვინატრებდი ქართველ ვაჟკაცს,
ერთგულს, ქვეყნის მცველს,
ვინც არასდროს დაივიწყებს,
მამა-პაპის გზებს.

მკაცრად დავგმობ და გავკიცხავ,
ძალადობის მქმნელს,
ქართველ ქალზე ხელის ამწევს,
უხეშსა და ბნელს.

ქურდს კი მაჯამდე მოვაჭრი,
სულის მაცდურ ხელს,
ყველა ცუდი, რაც დღეს ხდება,
გულს სასტიკად მტკენს.

ვინატრებდი ქართველების,
გამრავლებულს ფესვს,
გავაქრობდი მოძალებულ,
გოგო ბიჭთა მსხვერპლს.

დავსჯი და არ გავახარებ,
ბოროტსა და მკვლელს,
არ დავინდობ, ჩემი ერის,
კარზე მომდგარ მტერს.

ჩემს მეგობრებს მივუძღვნიდი,
ხალისიან დღეს,
ვინატრებდი ლამაზ სუფრას
და ქორწილებს ბევრს.

სუფრის თავში ლამაზად
მსხდომ
სიძე-პატარძლებს,
ცხრა თვის თავზე
აღნავლებულ,
გოგო– ბიჭუნებს.

რომ შემეძლოს ვინატრებდი,
ყოველ დილას,დღეს,
ჩიტივით გადავუფრენდი,
ამ ჩვენს ლამაზ მთებს.

„გაიღვიძეთ, გამოფხიზლდით“
შევძახებდი ერს,
ერთ მუშტად შევკრავდი
ძმებო,
ჩვენს ერსა და ბერს.

ქალავ ჯიუტო

წამამყევ, ქალავ ჯიუტო,
გავინავარდოთ მთაშია,
სანამდე უნდა იმალო,
ოჯახის მტკიცე კარშია.

იალაღებზე ვირბინოთ,
დაღლილს ჩაგხედო თვალშია,
ბახმაროს ჰაერს გაგემებ,
ნისლი შემოდის სახლშია.

მთა თუ არ გინდა ლამაზო,
ერთად დავეშვათ ბარშია,
მოდი და ერთად შევცუროთ,
სიყვარულისა ზღვაშია.

იქნება გადნეს ყინული,
როცა მოხვდები წყალშია,
მენდე, ჩამიჯექ ლამაზო,
ჩემი ცხოვრების ნავშია.

ო, როგორ მინდა დაგქანცო,
მთა-ბარის ძებნა-გზაშია,
ისეთი მინდა გაგხადო,
თვითონ ჩამიდგე კვალშია.

სულით, სხეულით მომენდო,
ნაზად მომეყრდნო მხარშია,
ფერებით გადაგავიწყო,
თუ ვინმე გყავდა თავშია.

იცოდე, არ დავიღლები,
ქათინაურის თქმაშია,
კოლხი კაცი ვარ, ჯიუტი,
არ შეგეშალო სხვაშია.

შენი ტუჩქვეშა ღიმილი,
ხშირად მანახე ცხადშია,
მსურს სიყვარულით ავიჭრეთ,
ბედნიერების ცაშია.

პ.ს:
ძირძველი კოლხი გახლავარ,
ძმობას ვუდგავარ მხარშია,
შევატყვე, რომ გაიკვირვეთ,
ლექსის წყობა და არშია.

ქალა, ხეობის ასული,
ჩამვარდა გულს და თვალშია,
სიყვარული კი აგიჟებს,
ზოგს ჭკუას აცლის თავშია.

ზოგს მხეცებს მიახრჩობინებს
და გახვევს ვეფხვის ტყავშია,
ზოგსაც მწვერვალზე აიყვანს,
ზოგს გადაჩეხავს ხრამშია.

მეც შემომიჩნდა ბოლო დროს,
დამარბენინებს გზაშია,
აღარ მასვენებს, მაწამებს,
ხოდა ვარ ლექსის თხზვაშია.

თავი დავკარგე, ტრფობისგან
ვეღარ ვჩერდები სახლშია,
და თენგომ ველად გავარდნას,
ლექსებით ტრფობა არჩია.

რა გამოდექ ამისთანა

ჩემო ტკბილო, მადლიანო,
რა გამოდექ ამისთანა,
შენი ტოლი სხვა ერები,
დრომ უწყალოდ დაიტანა.

ფინიკია,შუმერები,
გამქრალია რუკიდანა,
შენი ჩაკრულოს ჰანგები
კოსმოსშია ღმერთებთანა.

აღარ გაკლდა მომხვდურები,
ყველამ მოგიღერა დანა
შინაურიც გღალატობდა,
ძირს გითხრიდა თანდათანა.

დამყრობელი ბევრი გყავდა,
ძალზე ცნობილები თანა,
შენ გადარჩი, ისინი კი,
დრომ მიწისქვეშ ჩაიტანა.

ახლა უნდა ჩამოვთვალო,
არ გამომრჩეს სიიდანა,
შაჰ აბასი, თემურ ლენგი,
მონღოლი და ყრუ-მურვანა.

პომპეუსიც ჩვენ გვერჩოდა,
მეომარი არტაგთანა,
მისი ხიდი ძველ.მცხეთასთან,
ხომ შემორჩა და მოჩანა.

გიტევდნენ და
გასახლებდნენ,
გაშორებდნენ კერიდანა,
დროს, წამებას გაუძელი,
არ გადახვედ რწმენიდანა.

ბევრი გყავდა შენ გმირები,
დალოცვილი უფლისგანა,
სათავეში დავითი გვყავს
რომ იმარჯვა დიდგორთანა.

თეთრი რასის აკვანი ხარ,
აქ გაისმა იავნანა,
ზეზვა, მზია პირველები,
ხომ ცხოვრობდნენ
დმანისთანა.

შენი ხალიბური ხმალი
სულ პირველობს
სპარსულთანა,
ყველამ.იცის მედიცინა,
კავშირშია კოლხეთთანა.

ქალები გყავს ეშხიანი,
ლამაზი და ალვისტანა,
მათმა სითბომ და გმირობამ,
ერი დღემდე მოგვიტანა.

არწივი ხარ შენ დაჭრილი,
მოშხამული ისრისგანა,
მოიშუშებ და კვლავ იფრენ,
შენ ჯიში გაქვს იმისთანა.

სულ ცდილობდნენ შენ
გაქრობას,
აღგვას პირით მიწისგანა,
რწმენამ, ენამ, მიწის დაცვამ
დღემდე სისხლით მოგვიყვანა.

დღესაც ისევ ბრძოლაში ხარ,
გაშორებენ მორალთანა,
მაგრამ ვეღარ მოგერევა,
ფარისეველთა მანქანა.

ნეტავ როდის დაუდგება,
ჩემ ქართველებს, ოქროს
ხანა,
ალბათ მაშინ,თუ აღდგება,
ძმობა, ერთურთის გატანა.

ქართველი ვარ
ძველისძველი,
კოლხი გვარი დამაქვს თანა,
სიამაყის ჟრუანტელმა,
გულს მოედო,ამიტანა.

ყოველ დილას გევედრები,
მუხლზე დამდგარი ხატთანა,
ღვთისმშობელო დაგვიფარე,
დაიცავი ეს ქვეყანა.
პ.ს:
ჩემებურად ლექსად
გაწვდით,
როგორ მიყვარს ეს ქვეყანა,
მოდი ერთად
გავუფრთხილდეთ,
აღვადგინოთ თანდათანა.

ეს სიტყვები ნაფიქრია,
წამოსული გულიდანა,
აგურია დადებული,
საქართველოს კედელთანა

ძველებურად დავაქუხოთ,
ქორწილებში ოჰოი ნანა,
სიძე პატარძალს ვაცეკვოთ
დაისი და განდაგანა.

აღარასოდეს-ადამიანში,
არ დამიკარგოთ ადამიანი!!!!!!!.

დღეს ყველაფერი შეცვლილია და
ჩვენ დარდი გვახრჩობს ვირუსიანი,
აშკარად ძნელად სანახავია,
კაცი კეთილი და მადლიანი.

მომრავლდა ბევრი ენაწყლიანი,
განათლებული, დიპლომიანი,
მაგრამ ახლოდან ხელში შეგრჩება
დილეტანტი და „სირისტიანი“.

იშვიათია კაცი ერთგული,
მეგობრული და სამართლიანი,
ვუცქერ ტკივილით, გულცივ სახეებს,
ღიმილი არ ჩანს ხალისიანი,

სოფლებში თითქმის აღარსად დარჩა,
ქალი, ლამაზი სანდომიანი,
ფულის მანქანად გახადეს ბევრი,
და მოსაწველი მოხუციანი.

ვერ ნახავ გმირებს, მამულის მცველებს,
სულ გადაშენდნენ, გორდა ხმლიანნი,
ჩალიჩი, ბიზნეს-ფულის კეთება,
გამხდარა უფრო სარგებლიანი.

ვაზელინების აღლუმი მიდის,
გვერდზე გასწიეს, დღეს საქმიანი,
დამსახურებულს ხშირად ჩაგრავენ
ყეყეჩი ლაღობს, პატრონიანი.

ზამთარში მარწყვი მარტივად მოჰყავთ,
სულ არ სჭირდება, დღე მას მზიანი,
წვეთოვანებით გამოყვანილ ხილს,
კაცისთვის მოაქვს მხოლოდ ზიანი.

არ ჩანს ლამაზად შვილის აღმზრდელი,
დღეს ქალბატონი ზრდილობიანი,
არვის არ უნდა ნატურალური,
მოდას შემოჰყვა ბოტოქსიანი.

სამუშაოზე ბლომად გავუშვით,
ემიგრანტები გულ სევდიანი,
„დედა ბოძი“-სგან დაცლილ კერაზე,
ოთახებია უკვე მტვრიანი.

გამხდარა ხალხი ქლესა,უგულო,
უფრო დახვეწილ ფანდებიანი,
ნიჭიერება დღეს აღარ უნდათ,
აღარც ნასწავლი და არც ჭკვიანი.

განათლებული მოდის თაობა,
გაბღენძილი და „ენა წყლიანი“,
გაცივდა გული, დამკვიდრდა შური,
ურთიერთობა ყინულიანი.

მომრავლდა ბევრი ქონებიანი,
ლუარსაბები, დიდ ღიპიანი,
საქმის მცოდნენი ჩარეცხილია,
და მოდაშია შავ ჯიპიანი,.

ქვეყნის სათავეს უნდა მოვიდე,
ითხოვს პარტია სამ კაციანი,
ეკრანიდან კი ყოველდღე გვმოძღვრავს,
ლიდერი 0,1 პროცენტიანი.

მგონი ქორწილში, მე მეტი მისმენს,
ტაშის დამკვრელი და გულიანი.
დღეს ლაღობს მხოლოდ დიდ ფულიანი,
თანამდებობით ხალისიანი,
მაგრამ რად გინდა, არ წაუკითხავს,
მგონი, კაცია-ადამიანი?!.

ობოლი დადის გულ ჩათხრობილი,
მთლად უიმედო და სევდიანი,
არავინ მოჩანს, რომ დაეხმაროს
და მიაწოდოს ჭიქა წყლიანი.

სოფლად მშრომელი გულ დარდიანი,
მთლად უიმედო განწყობიანი,
თვალები მისი კი ნაღვლიანი,
ის ყოველ დილას იმაზე ფიქრობს,
როს გათენდება დილა მზიანი.

ამდენი რამის მთქმელსა და მნახველს,
დასკვნა გამომდის ბევრ ფურცლიანი,
მე რა მაწუხებს,თქვენც კარგად ხედავთ,
გული გამიხდა ჭრილობიანი,
ადრეც ვხედავდი, ახლა კი გეტყვით,
დამწუხრებული, სუსტი ხმიანი.

თქვენც დამეხმარეთ, ჩემო კარგებო,
ბევრი ხომ მყავხართ, აქ საზრიანი,
გული გამისკდა, სისხლი მიშრება,
და ძველებურად ვერ ვარ ფხიანი.

დღეს ძველებურად რატომ აღარ სჩანს,
ღირსეული და ავკარგიანი,
მითხარით, ხალხო!!! ადამიანში,
დღეს რადა ჰკვდება ადამიანი.????!!!!!!

ამ პასუხს ზუსტად თუ გამოვიცნობთ,
ქცევაც გვექნება შედეგიანი,
ადამიანში უკვე არასდროს,
აღარ მოკვდება ადამიანი

პ.ს:
ახლა მთლად მასე არაა საქმე,
ბევრი გვყავს კაცი სამართლიანი,
შვილი დამჯერი, ზრდილობიანი,
კოხტა მეუღლე, ხელხვავიანი.

ბოლოს იკითხავთ,რამ შემაწუხა,
და რად „ვაფრქვიე“, აზრი ფრთიანი,
რად ვარ გავსილი მძიმე ფიქრებით,
და რად არა ვარ ხალისიანი.

დებო და ძმებო, ხომ არ დაგძაბეთ,
ან ხომ არ არის, ლექსი გვიანი,
მინდა ამ ლექსით გამოგაფხიზლოთ,
და სიტყვა გითხრათ, სწორი გზიანი.

ამიტომ მინდა ცამდე ვიყვირო,
ხმა გაგაგონოთ ომახიანი,
უბრალოდ მინდა :„ ადამიანში,
არ დაიკარგოს ადამიანი“!!!!!!!.

აღარასოდეს-ადამიანში,
აღარასოდეს-ადამიანში,
აღარასოდეს-ადამიანში,
არ დამიკარგოთ ადამიანი!!!!!!!.

რადგან სიცოცხლის მთავარი განძი,
რადგან სამყაროს მთავარი აზრი,
რადგან მთესველი ნერგისა მადლის,
არის კეთილი ადამიანი!!!!!!

დავით ძნელაძე – თეატრის რეჟისორი
დაბადების ადგილი – ქობულეთი

უნდა მიყვარდეს უთუოდ ვინმე

მე ყველა სიტყვის წარმოთქმა მიჭირს,
საკუთარ ცოდვებს ლექსებში ვამხელ.
ის, რაც შემემთხვა სიჭაბუკეში,
მე დღესდღეობით ვერ ვარქმევ სახელს.

სურვილს დავნებდი და მოგეხვიე,
(მზე ჰორიზონტზე პეშვით შარბათს სვამს).
გული აღმერთებს შეხვედრას შენთან
და საოცნებო გაღიმების წამს.

მაღალი შუბლი, თხელი წარბები,
ქათქათა კანი, თმები ხვეული.
ალერსი მსურს და თვალებს გიკოცნი,
შენ კი, ნუკრივით გიკრთის სხეული.

„რა საჭიროა, რომ დაგინახო,
მე უნდა გიგრძნო... როცა ჩემთან ხარ“.
დღეს შენში ვპოვე რაღაც,.. და ვშიშობ,
როგორც გიცნობდი, – ის თუ არა ხარ?..

ლამაზ თვალებში სევდას ვკითხულობ,
შენ უმანკო ხარ, მე – ცოდვით სავსე.
შენგან ველოდი მე განკურნებას,
არ დამცალდა და დავეშვი თავქვე.

ეჭვმა გაგლიჯა პირით ლაგამი,
ახლა ყველაფერს სხვა თვალით ვხედავ.
– რამ გამაცოფა, რამ გადამრია,
ან მლიქვნელობას რიგორღა ვბედავ.

ბედისწერაა სხვა არაფერი,
დამჭკნარი გრძნობით გესაუბრები.
მაინც მიმზერენ შენი თვალები, –
უკვე საეჭვო უცხო სტუმრები.

ჩვენს წარსულს სადღა დავემალები,
(ფიქრმა მომტაცა ტუჩზე ღიმილი).
ვიცი ყოველთვის მომენატრები,
არ მომშორდება გულს სიმძიმილი.

უნდა მიყვარდეს უთუოდ ვინმე,
რომ ჩემს ცხოვრებას ხალისი ჰქონდეს.

აქ, სიყვარული უნდა შემეძლოს,
რომ იქ – ზეცაში სული მიცხონდეს.

მე ყველა სიტყვის წარმოთქმა მიჭირს,
საკუთარ ცოდვებს ლექსებში ვამხელ.

* * *

პატარ-პატარა ჰიპოთეზებით
და რაღაც მსგავსი აქსიომებით –
მთელი ცხოვრება ქაღალდზე დადის...

ადამიანი გონებას ძაბავს,
ადამიანი ძალასაც ხმარობს,
ადამიანი გიჟდება კიდეც –
ხოლო საშველი?

დრო კი ხარხარებს, ტაატით დადის,
– მაშ გაუმარჯოს ამ,,მრუმე ფაზისს“!

* * *

დროა მეტად არეული,
ვინ მიაგნოს სიყვარული.
ვინ ინატროს სიმშვიდე და
ვინ ვერ ჰპოვოს სინანული.

მე შემომრჩა სიმარტოვე,
ცოტას სკამი, ბევრს ინფარქტი.
ზოგი ცოდვის ლაფში ჩადგა,
ზოგს ჩაუწყვეს სეკის კარტი.

საითაც კი მივიხედე,
ყველგან ვალი, ყველგან ვალი.
აქეთ ვალი, იქით ვალი,
ქალი?.. არა ვალი, ვალი!

ამიჭრელდა უკვე თვალი,
ყელში მომებჯინა სული.
დომინირებს ყველგან „ჭუჭყი“,
კვდება გული, რჩება ფული.

მიიჩქმალა ის გრძნობები,
რითაც კაცი მიდის კაცთან...
და გართხმულებს ცხელ ასფალტზე,
გვავიწყდება მისვლა ხატთან.

დროა მეტად არეული,
ვინ მიაგნოს სიყვარული.
დაიჩაგრა ახალგაზრდა,
კვდება გული, რჩება ფული.

* * *

არ მძინებია, – უფრო სწორად ვერ დავიძინე,
პირველი თოვლის სინატიფე მეძალებოდა...
ვიდექ სარკმელთან – გათოშილი მინის წინაშე
და მთვარის შუქზე – „ფაფუკები“ მესლმებოდა.

ბაზალეთიდან მომიტანეს „ოქროს აკვანი“,
ზეცა გაგიჟდა – ფანტელების დათვლა დაიწყო.
ათას მეერთეს ყბა მოექცა რეზინის ღეჭვით,
– თუმც მის ზღაპარში უჩვეულო ბევრი რამ იყო.

ღამეს მრავლად ჰყავს ჩემნაირი მესაიდუმლე,
სანთელი დადნა... ბედად ცისკრის მესმა სალამი
და დილის შუქის გამოჩენას უცდიდა თითქოს,
მუზა გაღმერთდა და შეეხო თაბახს კალამი...

და მაინც რამდენ საიდუმლოს მიმალავს ღამე.

კაც-ძაღლიანი

სამუდამო პატიმრობა
მოგვისაჯეს მე და შენ.
შენ, დიდ ეზოს ყარაულობ,
მე კი, – „მარკეტს“ დილამდე.

შენ ძაღლი ხარ, მე კი – კაცი,
მე ვმეტყველებ, შენ კი – ჰყეფ,
საქმის კარგად წარმართვისთვის
მე ლარს მჩრიან, შენ კი ძვლებს.

ვიცი, ენას ამოიდგამ,
ჩემი ცოდვით ძაღლო, შენ,
მე კი, ყეფას შევისწავლი,
(გულმოსული უკვე ვღრენ).

დღეს არავინ არ სცემს პატივს
ბარში მზეს და მთაში თოვლს,
ჩვენ სხვა ძნელად შეგვიყვარებს,
ჩვენ უბრალოდ ყველა გვნდობს.

...მაგრამ თუ კი ძაფი გაწყდა
და აივსო ფიალა,
მცირე ცოდვას ჩვენც ჩავიდენთ,
უზარმაზარს – კი არა.

* * *

ჩემი ცხოვრების – „დონ კიხოტი“ ვარ
და სიყვარულის ვზივარ აბჯარში,
„ბასრი მახვილი“ დიდებას მჩუქნის,
მეც ბრძოლით გამაქვს ლელო ამ ქარში...

დღეს გამარჯვება არის მიზანი,
ვხედავ – სოფელი ბინდისფერია.
გამარჯვებულებს ხალხი დაგვლოცავს,
გამარჯვება ხომ გმირთა ხვედრია.

დრო ტუჩებს შეჰყოფს რეპროდუქტორში,
მეტყვის: – „ცხოვრება ბრძოლის ველია“...
ერთხელაც გწამდეს, რომ დამარცხდები,
სულ გამარჯვება – მოსაწყენია.

ჯერ დამარცხების გემო არ ვიცი
და გონს მიწვალებს – გულის დარდები.
ჩემს დღეს ხვალინდელს – „ქიში“ ჩავუსვი,
სხვა დღეებშიაც რამეს გავხდები.

დრო მომიგზავნის თავის მოციქულს,
ფიქრი გაიყო მისი და ჩემი.
მოციქული კი ამატკივებს გულს,
ნაპირს ასკდება – იმედის გემი.

ყოველთვის მქონდა დროსთან კონფლიქტი,
ახლაც ვერ ვიტან იმის მეფობას,
დუელში ვიწვევ და თუ შევაკვდი,
ხალხო, ნუ მომცემთ მისგან შენდობას.

საფლავის ქვაზე ასე დაწერეთ:
„იყო, ბრძოლობდა, მიეცეს ძილი“...
ხოლო იქ, სადაც თარიღებს სვამენ,
უბრალოდ დასვით მრავალწერტილი.

მიმწუხრის შამს

სულო ჩემო, კაეშანი დაძლიე,
გულო ჩემო, ისევ შენად მიგულე,
კაცურ კაცის სახე შემინარჩუნე,
სიტყვას გაძლევ არასოდეს გიმუხთლებ.

ბედო ჩემო, არ წამართვა საბედო,
მუზად მოდი გულში დიდხანს ნადებო,
ერთხანს ვიყოთ ჩემო სალოცავებო,
დამივიწყეთ ცელიანო ლანდებო.

დამიამდით, ძველო ნაიარევო,
შემაწუხეთ, სულ ახალო დარდებო,
ქრისტეს ასაკს შვენით ფიანდაზებო,
მომეფერეთ საქართველოს ვარდებო.

გამიფრთხილდით სანამ შემწევს უნარი,
ვერ ვიქნები მე ვერასდროს მდუმარი,
ლექსი ჩემი – მართალი და მწუხარი,
შიგ რითმები – მისაღები სტუმარი.

მე ხომ ლექსით ვაახლოვებ ღმერთთან კაცს,
ვიცი, როდის რაზე უნდა დავწერო,
ვის ღრუბლები გავაკიდო კარდაკარ,
ვისი ეზო მზის ფლისებით დავსერო.

სულო ჩემო, კაეშანი დაძლიე,
ბედო ჩემო, არ წამართვა საბედო,
შემაწუხეთ, სულ ახალო დარდებო,
ერთხანს ვიყოთ, ჩემო სალოცავებო.

* * *

დღევანდელები – ასე ამბობენ,
ხვალინდელები – სულ სხვას იტყვიან...
მაგრამ პასუხი ცრუ ამოცანის,
სოფლის შესახებ მათ არ იციან.

ქახათი

შურდულით რომ თესენ ყანას,
იქ ვიყავი ასული.
გოლიაძის კაცი ვნახე
არ მყოლია ნატრული,

მაგრამ სუფრა გამიშალა –
ნაღდი მამა-პაპური,
გვერდით გოგო მომიჯინა,
მომაწოდა ფანდური.

ორ დღეს სანთლის არაყს
ვსვამდი,
რას უძლებდა რა გული,..
თაფლში ჩაყრილ თხილს
მაწვდიდა
თვალხატულა მაგული.

კინტრიშიდან კალმახები
გოდრით მოაქვს ნარგულის,
ცოტა გვიან ბაღჩა ვნახე
იმ ნარგულის დარგული.

მეთაფლიე მეუბნება
აქ მაქვს თაფლის სადუღი,..
ნაბახუსევს მოგიხდება
სალათა და ნადუღი.

აქ კი ცხრამეტ ფუთიანი
ჭურები მაქვს ჩაფლული,
მოდი ჭაშნიკს გაგასინჯებ
ნაღდი ალადასტურის.

... ყანას ნადი ჩამდგარიყო
და ისმოდა „ნადური“,
გოლიაძე დამთვრალიყო,
იწყო თავის კანტური.

– შენ თუ მოგწონს, ჩემო ძმაო,
ტყე, მინდორი ქარგული,
ან ლამაზი ნარგული და
თვალხატულა მაგული...

სამოსახლოს მოგცემ დარჩი,
სართულს ადგი სართული;
გოგო ბიჭის გაჩენით და
გაზრდით იყავ გართული.

თხუთმეტ ოჯახ სკას გაჩუქებ,
სიტყვა მოგცე კაცური,
არ იფიქრო გაგიწიო,
სამსახური დათვური.

... გმადლობთ, მაგრამ ვერ
დავრჩები,
მე მაქვს ჩემი სადგური,
ვარ ცოლ-შვილის პატრონი
და
კაი ლექსის მსახური.

,,პანასონიკი“

იაპონურმა ქარმა დაბერა...
შეუჩერებლივ იღებს კამერა.
ოპერატორმა ლამის ჩაბერა,
ასი ათასი ფირი ჩაწერა.

აქეთ წამება, იქით ხარება,
გოლგოთა, ჯვარი და განდიდება;
ბევრი ქორწილი, დროისტარება,
ფიქრი, აზარტი და გარინდება.

ეს ყველაფერი იღო კამერამ,
„პანასონიკის“ შავმა კამერამ,..
შეეხმიანეს მის ოპერატორს –
არ დაიღალე კაცო, ჭამე რამ!

ცხოვრობდნენ ერთად, იღწვოდნენ ერთად,
მარტო კაცი და შავი კამერა...
იაპონურმა ქარმა დაბერა,
უკანასკნელი ფირი ჩაწერა.

...რატომ ჩაწერა, რისთვის ჩაწერა,
მოკლეს კაცი და დაწვეს კამერა.

ნათლიას ჩივილი

ჩემმა ხელებმა სხვებისთვის
სასახლეები აღმართა,
მაგრამ საკუთრივ ფორტუნამ
არასდროს არ გამიმართლა.

მთელი ცხოვრება ვმუშაობ,
ტონა ოფლი მაქვს დაღვრილი,
ჯერ უნაგირი დამადგეს,
მერე ამომდეს აღვირი.

ასი კაციდან ჩემ ნაშრომს
ორმოცდაათიც არ მიხდის,
მე კი ვირივით ნაჯაფი
ბოტკინს, პროსტატას, გრიპს ვიხდი.

დავჩიავდი და დავგლახდი,
ხახვს პურზე ვატან სადილად,
ჯიბეში ქვა რომ არ მედოს,
ქარი წამიღებს ნამდვილად.

ათი რჩევა

თუ ის „კალათბურთელი“ ხარ,
ფართან ახლოს ვინც დგება,..
და თუ გიყვარს შენი „ბურთის“
სხვის „კალათში“ ჩაგდება,

თუ იცი რომ დღეს მოყვარე,
მოყვრისათვის აღარ ხამს,
სპრინტს ვინ აღარ თამაშობს და
კოკა-კოლას ვინ არ სვამს.

ქალი ნახო, მოგეწონოს,
თავი არ დააცილო,
შანსი ერთხელ გეძლევა და
ბედი არ გააწბილო.

სიტყვა არვის შეარჩინო,
არემარე დაზვერე,..
„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“ –
მერე, სხვა დროს გათელე.

თქმა და საქმე ერთი ჰყავი,
„სცენა“ არ გააცივო,
საღამოთი სახლში წადი,
სხვაგან არ გაათიო.

ძველი ასი მეგობრიდან
მხოლოდ სამი ირგუნე,
წარა-მარა ამოწმე და
ჩიკორივით იბრუნე.

თუ გინდა რომ მოიხვეჭო
სახელი და დიდება,
არავის არ აპატიო
შენი თავის გინება.

ქალთან კაცი არა სცემო,
დააფასე ქალები,
ორი წუთიც არ ადროვო
მოითხოვე ვალები.

შენი სუსტი მხარეები
ეცადე რომ დამალო,
სასმელს თავს ნუ გაუყადრებ,
გული არ გადაღალო.

ხელფასს მაღალს, წნევას დაბალს,
ვერავინ შეგპირდება,
ჭკუით თუ არ იჩალიჩე
დედა აგიტირდება.

თუ ის „კალათბურთელი“ ხარ,
ფართან ახლოს ვინც დგება,
ამ ათ რჩევას ყური უგდე,
თორემ წინ დაგიდგება.

გამზირის ქარი

პატარა ქუჩა შეიყვარა, სადაც ცხოვრობდა,
მერე გაზრდილი, დიდ ქუჩებშიც დასეირნობდა,..
გამზირზე ალბათ, თვეში ერთხელ გამოდიოდა
და უთავბოლოდ დადიოდა, რადგნ შიოდა.

ხშირად იტყვიან – „ლამაზია ქართული გენი“,
მაგრამ ეს გოგო, ლამაზია ლამაზებს შორის,
წიწილასავით დანავარდობს მდედრი ქუჩაში,
შიშიც არა აქვს, ქუჩის ბოლოს აფრენილ ქორის.

... პატარა ქუჩა დაივიწყა, სადაც ცხოვრობდა,
თუმცა, გამზირის სიყვარულში მან სხვას აჯობა...
და სწორედ მაშინ, სავალ ნაწილს როცა გადმოცდა,
თეთრი მანქანის საბარგულში იგი აღმოჩნდა.

ისე გათელა „მონადირემ“ არც გაუგია,
ღამით, გამზირზე, სკვერთან ახლოს გადმოუგდია,
მერე გაქცეულს სამჯერ უკან მოუხედია,
შეხვედრა მასთან სხვა დროისთვის გადაუდია.

„ინა მარკების“ სალონიდან გასცქერის გამზირს...
დღეს სულ სხვა არის, მასზე ყველამ შური იძია,
თუ კაცმა ნახა, არ არსებობს ფული დაზოგოს,
არ უჩურჩულოს საყურესთან – „მოდი ბიძია“.

„ლამაზი ქალი მაინც სხვისია“, – სარკესთან ამბობს,
ვინ იცის გულში სულ სხვანაირ ცხოვრებას ნატრობს;
მაგრამ ჩვეულ გზას ვერ ღალატობს და შემდეგ ნანობს...
.....
სინდისის ქეჯნა, მწუხარება, ტკივილი, დარდი.
ნეტავ როდემდე ათრევს ფოთოლს გამზირის ქარი.

ბებერი ძაღლი

დაბერდა ძაღლი,
ყეფით ვეღარ ჰყეფს,
თუ რამეს მიწვდა
კბენით მაგრად კბენს.

თუ გააბრაზეს,
თავს დახრის და ჩუმად წკმუტუნებს.
თუ რამ დაპირდნენ,
აიტუზება მათ კარებთან დიდხანს
კრუსუნებს.

ბებერი ძაღლი უბნის გოშიებს
წვრთნის და ასწავლის,
(იმათ მოკითხულს
სუნი ასდის უფრო ახალის).

დაძრწის უბანში,
ყველა ამჩნევს, ძაღლი ღორდება,..
მალე ჩაკვდება ბნელ ბუნკერში
და აყროლდება.

სულის სიმდიდრე

ჩემი სული გადასახლდა
უჩვეულო სხეულში...
ახოვანში, ჯანმრთელში და
უფრო გამორჩეულში.

... თუმცა, ჩემ სულს არეალი
ამ სხეულშიც არ ეყო...
სხვა სხეულებს მიმდგარიყო,
ცხვირი ყველგან ჩაეყო.

როცა სული ვერ ეტევა
ღვთის ნაბოძებ ყალიბში,
მაშინ იგი თავად ადის
აღმატებით ხარისხში.

მდიდარ სულს ვერ დაატყვევებს
სხეულების გალია...
რადგან სულის ფორიაქი
სიყვარულის ბრალია.

უთავბოლო დროსტარება

დედამიწა დაპატიჟა
მზემ თავისთან სადილად,..
სუფრას არაფერი აკლდა,
თვით ჩიტის რძეც ნამდვილად.

ილხენდნენ და ყანწებს ცლიდნენ,
ვახტანგურად ზედიზედ,
ერთურთს რას არ პირდებოდნენ,
ფერი ფერს და მადლი ღმერთს.

მთის მწვერვალზე იმავე დროს
ქარი ღრუბლებს ართობდა,
მზის და მიწის წინააღმდეგ
შეთქმულებას აწყობდა.

– „ხვალ დილიდან მზე დაფარე“,
ეუბნება ღრუბელს ქარი,
მე, მიწაზე მათარეშე,
არ შემკადრო ძმობილს ვარი.

...დღისით ნაბახუსევ მიწას
წამოადგა თავზე ქარი...
მტვერის ბუღი დააყენა,
დაუბრმავა ორთავ თვალი.

მზემ ივარგა მცხუნვარებით,
ღრუბელს ცრემლი დაადინა,
ცრემლზე ქარი წაბორძიკდა
და ზღართანი გაადინა.

გადარეცხა წვიმამ მიწა,
მზემაც პირი დაიბანა,
უთავბოლო დროსტარება
დღეს ორთავემ დაინანა.

ჩემი სახლი

აჭყვას პირას სახლი მიდგას
მწირი ბაღით და ვენახით,..
მოვლილია ჩემი ეზო,
ყველა ტკბება მისი ნახვით.

ქვის მაგიდა, ხის სკამები,
ზღვის ქვიშა და კოინდარი,
მათ გარშემო ყვავილნარი,
ნარცისები მომცინარი.

სახლი თეთრი, დიდი სახლი,
მამაჩემის ნაოფლარი,..
დღეს ამ სახლში ექვსნი
ვცხოვრობთ:
ოთხი კაცი, ორი ქალი.

კაცებს შორის უფროსია –
ნაბოლარა ჩემი ბიჭი,
ყველა მის დაკრულზე
ვცეკვავთ,
რაც რომ გამოუჩნდა კიჭი.

ქალებს შორის მარიამი
(ნასწავლი და ბიბლიური),..
ცოტა ბრძენი, ცოტა ქველი,
ცოტაც ალბათ მითიური.

მისი ჩაზელილი ღომი,
ცხელი ჭადი ჯვარდასმული,
კეცზე შემწვარი ვარია,
ხორცი შამფურზე აცმული.

უყვარს ოჯახი ბებიას,
სუფრა, ფანდური, სტუმარი,
ღიმილი სახეს უნათებს,
გულს სევდა აწევს მდუმარი.

ათი წელია შვილს გლოვობს,
ცრემლს იშრობს ათი წელია,..
ქრისტეშობა დღეს გაჩენილს,
ერგუნა მწარე ხვედრია.

ახლა მამაჩემზე ვიტყვი, –
ქვეყნად ვაჟკაცი ბევრია,
მაგრამ რჩეული მათ შორის
ჩვენი ოჯახის წევრია.

უღალატო და მართალი,
კაცის გული და სულია,
უყვარს მოლხენა, ქეიფი,
მიტომ არა აქვს ფულია.

მისი სახელით პატივს მცემს
მემლექეთი და დუნია,
ვგონებ, არც მე ვარ ურიგო,
ბევრმა ვერ დამდოს წუნია.

მეუღლის ქება ვინა თქვა,
სანამდე არ მოვბერდებით,..
„არა უშავს რა“, – ვიტყვი და
თვალებით მოვეფერები.

მეექვსე წევრი ოჯახის
ზვიადი არის ძნელაძე,
კარგი გათლილი ბიჭია,
(მრავალჯერ მდგარა სცენაზე).

მამის სპექტაკლში თამაშობს
და ამით ბედნიერია,
სკოლაში ცეკვაზე დადის, –
მოკლედ ოჯახის „მერია“.

ჩვენს სახლში სუფრა გაშლილა,
იუბილე აქვს ბებიას,
რვა ათეულის შესრულდა,
რა სწრაფად გარბის წლებია.

შობა დღე არის მზიანი,
თამადა ენაწყლიანი,
ალავერდები არ წყდება,
ბოცა დავცალეთ მთლიანი.

ფანდურს დაუკრავს ბებია,
ყველანი გავხალისდებით,
წუთისოფელი ასეა,
დღესა ვართ – ხვალ არ
ვიქნებით.

აჭყვას პირას სახლი მიდგას
მწირი ბაღით და ვენახით,
ელოდება სტუმარს ეზო...
მოდით, გვნახეთ და გვიცანით.

* * *

ჩამომძივებულ ოცნებაში დავეხეტები,
მე მუზას ვითხოვ, ვიღაცა მაწვდის ტირიფის ფოთოლს.
მერე კი ლურჯი სტრიქონები – მოთოვს და მოთოვს,
გაკვირვებული დავყურებ ჯერ ლექსს, მერე კი ფოთოლს.

* * *

გულის ხომალდს ასკდება,
სევდის აისბერგები...
სადღაც ჰორიზონტისკენ,
ზღვიდან ცას ვუერთდები.

დედა და სამშობლო

(რასაც საქართველო ჰქვია,
ისიც დედა არის ჩემი)

მე, თუ თვალები მაქვს შენი,
მე, თუ შენზე ფიქრი მღლის,
უნდა შევებრძოლო მტერს,
ჩვენი სიყვარულის წილ.

თავისუფალ საქართველოს ვაღიარებ
და წარსულის ნოსტალგია მჭირს...
ჩემი გადატეხა იოლია,
გადახრით – ვერავინ მხრის.

შენგან ნასწავლ ხალხურ ფანდურს,
შუქი ადგას მზის.
აბა, მტერი რას დამაკლებს,
ამ მომღერალ ბიჭს.

რამ წამართვას ეს ჰანგები,
ჩემი ბარის – მთის,
ყველა ლამაზ სიმღერაში,
საქართველო ზის.

ჩემი ძალა ჩემს ხმაშია,
ის დაჯაბნის სხვისს,
ყველა ქართველს გადავუსხამ, –
მეამბოხის სისხლს.

ვფიცავ ტოტსაც არ მოვამტვრევ,
ამ ბუნებას,,გიჟს“...
და ყველა ხეს სათითაოდ,
გავუმაგრებ ძირს.

მეც დავუზრდი საქართველოს,
ალგეთს ლეკვებს მგლის,
არცერთ მტარვალს არ მოვასწრებ,
ჩვენი ხალხის ძილს.

ჩემი ახალგაზრდა სული,
საგმირო საქმისთვის მწიფს,
და თუ გამარჯვება შემიძლია,
ისიც – საქართველოს წილ.

... იქ, საფლავზე თეთრ ვარდებში,
ჩემი ცრემლი კრთის...
აბანოზის აკაცია,
ფოთლებს მაყრის გზირს.

დღეს საფლავთან მზე ამოდის,
აკაცია დუმს...
ცისარტყელა ჩაეზარდა,
განთიადის ბუმს.

ტკბილი ქალი

ის ქალი ხარ, ვინც ყოველდღე მაღვიძებ...
მეხუტები, მეფერები, მაგიჟებ.
ის ქალი ხარ, ვინც ყოველდღე მაოცებ,
ამიტომაც გაკოცებ.

ის ქალი ხარ, ვინც გონებას მიბინდავ,
ტკბილი ხარ და უფრო ტკბილი მინდიხარ.
,,შოკმანჟე“ და ჩემი,,შექერლამა“ ხარ,
მიხარია კარგად ხარ.

ის ქალი ხარ, ვინც სიცოცხლედ მიღირხარ,
თაფლი ხარ და გულში სანთლად მინთიხარ.
შენთან ვრჩები, უკვე არსად მივდივარ...
ტკბილეულის ღირსი ვარ.

ჩემი სიყვარული

რამდენი წელია გიცნობ...
მაინც ვერ მიცვნიხარ, – სად ხარ...
რამდენი წელია გეტრფი,
სულ მიკვირს, ჩემი რომ არ ხარ.

რამდენი ოცნება გაქრა,..
არ ვიცი, არ ვიცი რა ვთქვა.
რამდენი სანთელი ჩაქრა,
მაინც მიყვარხარ და რა ვქნა.

შენი სილამაზე მართობს,
ცისფრად მოლივლივე ზღვა ხარ...
როგორ დამიმონე ქალო,
თითქოს ჩემი ხარ და არც ხარ.

იქნებ სიკვდილამდე მნახო,
ასე ჭირვეული რად ხარ...
ჩემი ღვთაება ხარ ქალო,
მაინც მიყვარხარ და რა ვქნა.

სიკეთის მადლი

საქმის კეთება ძნელია,
სიკეთის უფრო ძნელი...
სიცოცხლე წარმატებული –
თუ კი კაცია ქველი.

ჰუმანურ-ტოლერანტები,
ვიყოთ ერი და ბერი...
ჩვენს ლამაზ ბიოგრაფიას
არ დაედება მტვერი.

ერთხელ მოვდივართ ამ ქვეყნად,
ვთესოთ სიკეთე უხვად...
და ჩვენი ამპარტავნებით
არ გადავშენდეთ ურცხვად.

დიდსულოვნები, გმირები,
ვიყოთ ერი და ბერი...
სიკეთის მადლით ცხებულებს,
ვერ მოგვერევა მტერი.

გამოვფხიზლდეთ

არად ვაგდებთ ტრადიციებს,
ადათებიც გადახუნდნენ...
ჰოდა ჩვენი წინაპრები
საფლავებში გადაბრუნდნენ.

სიძულვილის ენით ვლაყბობთ,
ბოღმა-შური არ გვივიწყებს...
ევროპაში ან „ნატოში“,
ღმერთო ჩემო ვინ მიგვიღებს.

ანარქიის ფერხულში ვართ
დავარღვიეთ კვლავ პირობა...

სიყვარული გავთელეთ და
ხელში შეგვრჩა ჩვენ „სირობა“.

ვკარგავთ პატრონს, მტერ-მოყვარეს,
რწმენასა და შემოგარენს...
ჰოდა სანამ გავქრებოდეთ,
ხომ არ ჩამოგვეკრა ზარებს?!..

გამოვფხიზლდეთ ახლა ყველამ,
დავიბრუნოთ ეს ქვეყანა...
და არავის არ დავუთმოთ,
წინაპრისგან რაც გვებადა.

მოგეფერები

ყვავილები ვთვალე, – ვერ დავთვალე,
ყვავილები ნაირფერები...
საყვარელო, მოდი ჩემთან, მოდი მალე,
მოდი ჩემთან მოგეფერები.

ყვავილების სურნელება მათრობს,
ტურფა ბაგეს დაგეკონები...
სიახლოვე, რომ იცოდე, როგორ მართობს,..
შენს სიყვარულს დავემონები.

ყვავილები მაგიჟებენ კარგო,
ფიანდაზად მოფენილები...
ბულბულები უგალობენ ჩვენს სიყვარულს,
ამ ბაღნარში მოფრენილები.

ყვავილები ვთვალე, – ვერ დავთვალე,
ყვავილები ნაირფერები...
არ გაგიშვებ, აქ დაგტოვებ სამუდამოდ
და ყოველთვის მოგეფერები.

კუკული

ბათუმ ქალაქს გავჯეჯილდი
ყიატკბილი კუკული...
იქ კი ქალი შევიყვარე
თავბურძგალა გუგული.

ქუჩა, ქუჩა დავყიალებთ,
გვიყვარს ერთად ცუნცული,..
ერთმანეთის მოფერება,
სიყვარულზე ჩურჩული.

... მუდამ სხვის დაკრულზე ვცეკვავ,
აბა, ტაში კუკული...
ბევრ სხვა კაცსაც ჰყვარებია,
ჩემი კოხტა გუგული.

ვინცხამ წიხლი ჩამაზილა,
გამიწითლა დუნდული...
ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე,
რა ვქნა მიყვარს გუგული.

დედაჩემი მეხვეწება
არ იტირო კუკული...
დაივიწყე, დაივიწყე,
ის ოხერი გუგული.

აბა, როგორ დავივიწყო,
ჩემი,,თეთრი ჭუჭული“...
მის სიყვარულს კვლავ ინახავს,
ჩემი გულის კუნჭული.

აღსარება

ჩემი გულის კარი შენთვის გამიღია,
ფიანდაზები კი გზებზე დამიგია,..
მაგრამ სიყვარულში თავი წამიგია,
რადგან შენი მოსვლა მე არ გამიგია.

არეული გონი ფიქრებს აჰყოლია,
ვერაფრით ვიჯერებ ვინმე არ გყოლია.
ეჭვის დიდი ლოდი გულზე დამწოლია
და თუ გამახარებ უკვე არ მგონია.

გარეთ ქარია და ცივი ამინდია,
გარეთ სიყვარული მე არ გამიგდია.

შენი საქციელი ცუდად გამიგია,
ჩემი გაბრაზება უკან წამიღია.

ახლა წამალი ხომ შენი ამბორია,
მოდი შენ დააცხრე ჩემი აგონია...
მოდი დამიბრუნე ძველი ჰარმონია,
რომ კვლავ აყვავილდეს ჩვენი მაგნოლია.

ჩემი აღსარება შენთვის გამინდია,
ქარი უკვე ჩადგა, კარგი ამინდია...
სიყვარულში ბევრი ვერა გამიგია,
მაინც შენ მიყვარხარ გული წაგიღია.

ქალი მინდა

მიღიტინებს ჰორმონები,
ხეზე მწიფს,,ქირიზა“ მსხალი.
სიყვარული მომეძალა,
ვაი, ჩემი თავის ბრალი.

რა ვაკეთო აღარ ვიცი,
კვლავ ვიღაცის მეცა თვალი.
ჩემ გამოთაყვანებაში
დამნაშავე არის ქალი.

ქალი მინდა, მინდა ქალი,
გართობა და ტუჩთან ხალი...
ხანძარი მაქვს მოდებული,
ვეღარ მაქრობს ,,აჭყვას“ წყალი.

ქალი მინდა, მინდა ქალი,
ოცნება და ნატვრისთვალი...
ჩემი სულის ნეტარება
და ვნებების ამორძალი.

აქეთ-იქით ვეხეთქები
სიყვარულით გადამთვრალი,
მგონი ჩემი გადარევა
არის ყაიმაღის ბრალი.

... მაგრამ არა, მაგრამ არა,
ვიცი, რად ვარ ასე მწყრალი,..
ყველაფერში დამნაშავე,
დამნაშავე არის ქალი.

თამარ ფიცხელაური – იურისტი
თელავის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსი

✧

როდემდე უნდა გითმინო,
სიბრაზევ, გულს მტკენ, რაღადა?!.
დაუთმენელი ვერა ხარ,
ჩემთან თავსა გრძნობ ლაღადა;
გულში გიკლავ და გიოკებ,
თუ არ ვიქცევი საღადა?
გაგიშვა, ანდა ამოგთქო?
დაგკარგავ თავისთავადა!..
მაგრამ არა მსურს, არასგზით,
სხვას მოგახვიო თავადა!..
ვიცი, ბრაზისგან ბუნება,
როგორა ნაგვიანდება,
ხან ნაადრევად მოდიხარ,
ხანდახან – გაგვიანდება;
იქნებ, დროულად წახვიდე?
დამტოვო, არ გეძრახება,
ყინვა არა ხარ, სითბოზე,
თავისთავად რომ დადნება...
ან სიგულჩვილე გაგტეხავს
ან ისიც დაიკარგება,
შენი მომრევი სიმშვიდე,
თუ გულში დაბინავდება,
გულამღვრეული გუნება,
უთუოდ დაწმინდავდება,
ჯავრსმორეული სიმშვიდე,
იწყება, არა თავდება...
თავსმორეული – კაცია,
ვერმორეული – თავნება,
ბრაზსმორეული – ბრძენია,
არასდროს არა მთავრდება!..
სიბრაზევ, მეტს ვერ დაგითმენ,
გითმინო, ანდა რაღადა?
უნდა გძლიო და გაჯობო,
ზეცას შევხედო ლაღადა;
მგონი, მიგიხვდი გულის დარდს,
არ გინდა, მშვიდად ვიარო;
ჩემი დარდი გაქვს, უჩემოდ,
არა გსურს, იხეტიალო;
ვინძლო, უჩემოდ, მთა-ბარი,
ნახო და შემოიარო;
შენ სიმშვიდე გკლავს, მე – ჯავრი,
დამეხსენ, გულჯავრიანო,
ან – გაპატიო, დაგითმო,
ზედ გულზე გადამიარო!..
ვეღარ დამშვიდდე, მეც მომკლა,
გულქვავ და გულღვარძლიანო!..
არა მსურს, შენს გულისწადილს,
მიგიხვდე ან მაზიარო,
ბრაზი ჩავიხშო გულშია,
სული კი – დავაზიანო...
...ვიბადებით და ბრაზი გვჭამს...
სიბრაზევ, ნუ ხარ თავნება,
გგონია, შენით იწყება,
სამყარო, შენით მთავრდება?!.

✧

...ქარმაც კი იცის, რა არის დარდი,
ქარმაც კი იცის, რა არის სევდა...
ამეკვიატე შუა ღამიდან,
ვერაფრით შევძელ, რომ რაღაც მეთქვა;
რომ უსუსური ყოფილა სიტყვაც,
მაშინ, როდესაც ძალიან გტკივა...
ჟამიდან ჟამზე მიდის და მოდის,
ჩნდება იმედი, სულ პაწაწინა...
და სანამ გჯერა... და როცა გჯერა,
შენში ღვთიური იღვიძებს წამით...
ნეტავ შემეძლოს ხელი გაგიშვა,
სულ ცოტა დროით, სულ ერთი წამით...
მოვისურვებდი ნეტარ სიმშვიდეს,
შენს კარგად ყოფნას დღისით და ღამით...
მე რა დამრჩება, ან რას მოვიგებ?
ჯანდაბას ჩემი ცოდვილი თავი;
ისიც მეყოფა, შენ თუ მშვიდად ხარ
და ფორიაქის აღარ გაქვს განცდა...
ჩემიც გეყოფა მოდარდე გული
გული, რომელიც შენს ჭიშკარს გასცდა...
...ვერ დაგიფარე განსაცდელისგან,
მარტო დაგტოვე საკუთარ მარცხთან,
ვერ მოგიშუშე ვერც ის ჭრილობა,
ნამზეურ გულზე ჩემგან რომ დაგრჩა...
ვით სიმშვიდეში, შესამოსელი
ღრუბლით ნაკერი მზისფერი ფარჩა...
მთვარის ფიალა, მზის აზარფეში,
დაულეველი ნაკლული სირჩა...
ზოგიც – დაღვრილა, ზოგიც – დამშრალა
და ის სასმისიც ვერ გადაგვირჩა,
ალავერდი რომ გადმომილოცე,
მე კი ვახსენე იქ სულიწმინდა...
არადა, როგორ გჭირდა ამური...
ნეტავ ისეთი რა გაგიჭირდა?...
ვერ მოიზიდე ისრების კონა...
მიზანსაცდენილს სიტყვაც არ გითქვამს...
და არაფერში ყველაფრით შესულს,
გხედავ ნისლს მიღმა...თუ ნისლიც გრიყავს...
ან სინანული თუ შეგიძლია,
იქნებ, უფრო გძულს, ან, ისევ გიყვარს?!.
თეთრ ღამეებში ჩამოსუდრულო,
ფრთები შეგიჭრეს ვარდისფერ რიჟრაჟს,
ჟამიდან ჟამზე რომ მესიზმრები,
ნეტავ ისეთი რა გაგიჭირდა?...

✧

...ბედს არჩევანი არა ჰქონია...
რად უნდა ამას გულთმისანობა?!.
არადა, მსურდა, შენ ყოფილიყავ,
ბედის რჩეული, უფლის წყალობა.
...უბრალოდ, ვერ ვთქვი...დღეს, ამ ტაძართან,
შენს ყველა ცოდვას მივეც შენდობა!..
მაგრამ რწმენასთან ვერაფერს გავხდი,
როგორც ძე ცდომილს, ვერ მოგენდობა.
რწმენას, შერყეულს, ვერას უბრძანებ!..
ალბათ, არც სურდა შენი შეცნობა...
რა იყავ, დღემდე ვერ ამიხსნია,
ღვთის საჩუქარი, თუ...ღვთის შეცდომა?!.

✧

...ამღვრეულ ცაზე მერამდენე მეხის გავარდნა!..
ცრუ ჭორ–მართალი, შეჩვეული ერთფეროვნება...
რაღაც მიზეზი, უმიზეზო, არცთუ – მარტივი,
რომ ვერ მეშვება–მეზავება, ვერც – მეომება...
...და უსასრულო მტკიცება თუ თავის მართლება!..
საკუთარ თავში, არა მარტო, საკუთარ თავთან!..
უნდა გაუძლო!...ჩამჩურჩულებს იმედის სხივი,
შერისხულივით ატუზული ჩაკეტილ კართან;
...ბოლოს, არ ვიცი, გულმა იგრძნო, თუ თვით ვიგრძენი,
უკურნებელი შეჰპარვია თვითონ დროებას...
და როცა სულით საპყარი ხარ, ვერასდროს შეძლებ,
ამაღლებას და თვით უფალთან მიახლოვებას!..
რომ უფლის კართან არ ეგების, ვიცი, ღალატი!..
რომ ეს ცოდვაა, რომ ეს რაღაც სასტიკს მაგონებს,
მეორედ მოსვლის დასტურია, აბა სხვა რაა?
სიანკარესთან მისასვლელი რომ აქვთ მამონებს!..

✧

ჩემი დიდგორი ჩემში დაემხო,
ჩემი კრწანისიც ჩემი მარცხია...
საკუთარ თავთან ატეხილ ომებს,
ჩემი პირმზითიც მოუფარცხია!
ფარ–ხმალდაყრილი ვდგავარ ჩემ თავთან,
როგორც მომხვდურთან ტყვე და ვნებული,
მე – ლანდი და მე – როგორც აჩრდილი,
გამარჯვებულთან – დამარცხებული!..
ერთი,,მე“ ითხოვს მის კუთვნილ ზვარაკს;
ვერაფერს იტყვი, წესი წესია;
ერთ,,მეში“ ავობს ჩემი დემონი,
მეორე,,მეში’’– ჩემი მესია...
საკუთარ თავთან ყველა მარტოა...
მარტოში მარტო ჩემ თავს მივყვები,
ვერ გავეშორეთ, ვერ დავეშორეთ,
სწორი გზები და ლაბირინთები;
ყველაზე მძიმე და უსასრულო,
ალბათ, საკუთარ თავთან ომია;
აქ მოგებულიც და წაგებულიც
ორივე, მაინც, ერთი მგონია...
ოდესღაც, მართლა, როგორ მჯეროდა,
რომ ზღაპრის ბოლო იყო კეთილი...
და მამშვიდებდა ჩემივე თავი,
საკუთარ თავში გამოკეტილი.
...და მთლად უცოდველს ცოდვად მითვლიან...
საკუთარ თავთან ვერ დავდე ზავი!..
და დგება ჟამი საბედისწერო,
საკუთარ თავში მოვიკლა თავი!..
საკუთარ სულის ლაბირინთებში,
ორს ვერ დავუსვი დიდი წერტილი;
და მეცოდება ჩემი ორი,,მე“,
ჩემ თავში ერთად გამოკეტილი...
ყველაზე ძნელი, უდასასრულო,
მივხვდი, საკუთარ თავთან ომია...
ბოლო ყოველთვის კეთილიაო,
არ მჯერა, თუმცა, გამიგონია!..

✧

...უკვე აღარ მჭირს შეცნობილის შეუცნობლობა...
მძიმე ჟამია...უნდა ვეყმო გუდანს სრულიად!..
სიფერმკრთალეში მიინავლა ძოწისფერულიც,
ვინ იცის, ეგებ, დასაბამის დასასრულია!
ავალ შატილში, ვესტუმრები ბებერ ციხეებს...
საკუთარ თავში გავაცოცხლო, იქნებ, გმირები!..
ვით ზნემაღალი ხევსური და ანატორელი,
საკუთარ სულის აკლდამებეში ჩავიკირები!
სხვა ჟამი მოვა, ჟამი ჩვენი ერთად არყოფნის!...
აღარ ჩამოჰკრავს შერიგების, ალბათ, ზარები...
იქ, სარკოფაგში გამოკეტილს და თან ფერნაცვალს,
არ მომბეზრდები და არასდროს დამეზარები!
გადახუნდება ხატაური ძილისპირულის,
არც იმედების ნაპერწკალი აღარ იალებს,
ველურ დინებას აყოლილმა შენმა ზვირთებმა,
მე ვერ მიპოვნეს... აკლდამებზე გადაიარეს!

✧

...შეჭირხლულ ამინდს შეჭირხლული მზერით ვუცქერი,
ყინვა თამამობს და თან, ურცხვად, ტანში მიჯდება...
რა კარგი იყო, მზისქვეშეთში როცა ვიყავი,
დღეს კი უმზეოდ ყველა ფიქრი გამიგიჟდება;
დამიმტვრევს სითბოს უკანასკნელ ცისფერ ბასტიონს,
ჩემ წილ მიწაზე დადგამს ყინვით მოსილ კარავებს...
რომ დამატყვევოს, იმ კარავში რომ გამომკეტოს,
ნიშნი მომიგოს ყველაფერზე უკვე არაფერს...
...და უფერული, უხალისო ერთფეროვნება,
ჩამომიფაროს თვალის წინ და თვალი მაფჩინოს...
უკვე ის დროა, თვალის წილ და კბილის წილ როა,
ეგებ მზის სხივმა გაბედოს და... გადამარჩინოს...
მზის სასახლეში წამიყვანოს და მერე... იქნებ...
გზაც მასწავლოს და... უცნაურ ფიქრს გადამაჩვიოს!..

✧

უნდა დაგასწრო... მოგაბრუნო დროის მიღმადან,
შემოვაბრუნო შორს წასული ზეოცნებები!...
თითქოს აღარ ვარ დარჩენილი დროის ამარა,
და მაინც...დროის მიღმა ისევ მეოცნებები!..
ან არყოფილი რატომ იყავ?.. ზმანება იყო?..
ჩვენი ფერმკრთალი ნაცნობობა და იმედები?..
ყველა სურვილი ამისრულდა, შენ რად მაღელვებ?..
და უდრო–უდროდ მაინც რატომ მეიმედები?
...დამიღამდი და უნებურად შემომათენდი,
შემომეპარე ჩემ ბაღნარში, როგორც იელი...
უშენობა თუ არ ყოფილა ბედის დაცინვა,
რად მეჩვენება, თითქოს ამით ვარ ბედნიერი?!.
...ეს ისე, ჩემთვის...მე საშენოს ვერაფერს გეტყვი!..
ბევრჯერ სიტყვები უძლურია, როგორც ფიქრები...
და მაინც...ისევ, რომ შემეძლოს თავიდან ფიქრი,
დაუფიქრებლად, ისევე შენ ჩაგიფიქრებდი!..
...არ იქნებოდი არც ქიმერა და არც იმედი...
ალბათ შევძლებდი, ამ ზღვარს იქეთ, სადღაც მენახე
სულ ერთი წამით...როგორც ცოდვა ან
როგორც მადლი...
ანდა – ორივე ერთად...მერე... შემომენახე!

✧

ქუჩაში შემხვდა ის ბერიკაცი,
ბიჭობაში რომ არ ჰყავდა ტოლი...
და ქუჩა იყო სასომიხდილი
და ვიღიმოდით ჩუმად, ჩვენ, ორნი;
მალულად ვგრძნობდი მის ფარულ
მზერას,
მეც გამირბოდა შეფარვით თვალი;
თითქოს ვიყავი ისევ ის გოგო,
იმ ბერიკაცის რჩეული ქალი...
ის – ნირწამხდარი, მე – ნირშეცვლილი,
მოკრძალებულად ვავსებდით ქუჩას,
ჩვენს შორის იდგა სიცარიელე
და სინანული, სულ ერთი მუჭა...
იყო მანძილი შორიც და ახლოც...
და არ ვიყავით მხოლოდ ჩვენ ორნი,
ის – ბერიკაცი, მე – დედაკაცი...
იყო მესამეც...იმ ქუჩის ჭორი!...
...აღარც ის ქალი...არც ბერიკაცი...
შორ ზმანებებსაც ბოლო არ უჩანს...
აღარც ჩვენ ორნი, არც – ის ღიმილი,
მხოლოდ – მესამე...ჭორი და ქუჩა!...

✧

...და ბოლო ქუჩა...

ქუჩაში გამვლელს მოელის სახლი,
ქუჩაში დამრჩენს – სახლი აკლია...
ქუჩაა ბევრის თავშესაფარი,
ბევრისთვის ქუჩა დიდი სახლია...
ბილიკი, გზა და გზაჯვარედინი...
და ცოტა მიწა...სულ ერთი მუჭა...
ენაცვლებიან მშვიდად ერთმანეთს,
ქუჩა და სახლი, სახლი და ქუჩა...

ქუჩის და სახლის ჯავრის კარვები,
დრომ გაახუნა, ქარმა დახია...
ბევრისთვის ქუჩა ვერ გახდა სახლი,
ვიღაცისათვის – მაინც სახლია...
...და ბოლო გზა და გზაჯვარედინი...
ქუჩაც და სახლიც...სულ ერთი მუჭა...
...და ბევრი მიწა... ია და ვარდი...
და ბოლო სახლი...და ბოლო ქუჩა!...

✧

...ღალატი ზეობს...

ღალატისფერმა შესუდრა ზეცა,
გაჟღენთილია ღალატით მიწა;
ღალატი ზეობს, ღალატი ფასობს,
ყველა ღირსება დღეს ნაკლად იქცა;
იშვიათია დღეს ერთგულება,
ვით მომაკვდავთან ღამისმთეველი,
კარჩაკეტილი, ხელშეუხები,
როგორც ღირსების სასუფეველი...
დღეს პატივშია სოდომ–გომორი...
და დღეს იუდა უფრო მშვიდია...
დღეს ისე ფასობს ყველა ღალატი,
რომ ერთგულების პანაშვიდია!..
მე არშემდგარი ღალატი მიკვირს...
და ერთგულება უფრო მაკვირვებს;
ისე საზარლად ხარხარებს მიწა,
ჩამოეხია ზეცას საკინძე!..
როგორც არასდროს, დღეს უკვე ისე,
არა აქვს აზრი პოვნას, ძიებას...
მოღალატეებს ადგამენ გვირგვინს,
ერთგულება არ გეპატიება...
,,კბილი – კბილის წილ“,,,თვალი – თვალის წილ“,
ბზა ფეხთ უგია შურისძიებას...
დროს შერჩენია, დროში ჩამრჩალა,
მიტევება და მონანიება...
...მოღალატეებს დრო შეიტოვებს
და ერთგულებას დრო სადღაც რიყავს...
...და ღალატს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი,
როცა ძალიან გძულს... ანდა... გიყვარს!..

✧

დგება ისე, რომ არ გეკითხება,
მიდის და მიაქვს თან იმედები...
დამიღამდი და შემომათენდი,
ხან რომ და ხან არ მეიმედები,
როგორც აქამდე, დროვ, მხარნაცვალო,
წერტილი რომ ხარ, ხან რომ ხარ ტირე;
ერთხელ რომ უკვე ამოგიკვნესე
ბევრჯერ რომ უკვე ამოგიტირე!
თუ კარგავ, იქვე ბადალსაც იძენ...
მე მარტოობის ხიბლში გავები,
როცა შენ ყველას დიდი ჰგონიხარ,
მე სწორედ იმ დროს მეცოტავები!..
 დრო გქვია, თითქმის ყოვლისმომრევი...
შენ შუქ–ჩრდილებით და სხვაფერებით,
რა უკითხავად შემომეჩვიე,
თითქოს, აღარც მე მესხვაფერები!..
მგელი ბეწვს იცვლის, არა – ხასიათს!..
და ბეწვნაცვალი, ისევ მგელია!..
და ვიხდი დროის მრუმე ციფერბლატს
სამოსელში რომ შემომერია...
და ველოდები... და გელოდები...
დროს, დროის მკურნალს
გულისფეთებით...
უბედურებას შენთან დავტოვებ
შენგანვე მოგვრილ ბედნიერებით!
...მოდის ისე რომ არ გეკითხება!..
მიდის და მიაქვს თან იმედები!..
დრო ხარ, იმედს რომ ბევრჯერ მიკარგავ,
და მაინც... თან რომ მეიმედები!..

...ღმერთო, რანაირი საფიქრალი,
ღმერთო, რანაირი საწუხარი?!.
მიწა, უნდობლობით გაჟღენთილი,
ზეცა, უღმერთობით ნაწუხარი...
კაცი? რანაირი არაკაცი...
ქალი? ქალობიდან გადასული...
თითქოს და მართლა მეგობარი,
ვინ იცის, შენგან, სად წასული...

✧

...შ ე ნ, შ ე ნ ა რ ა ხ ა რ!..

შენ, შენ არა ხარ, თუ შენში არ ხარ...
შენი თუ არ ხარ, შენ ვერ იქნები!..
მე, ჩემი მე ვარ, რადგან ჩემში ვარ,
არავის მეში ავითქვიფები!..
...მიყვარს ჩემი მე, სხვის მეს პატივს ვცემ,
არ გავცვლი ჩემ მეს, სხვების დიდ მეში...
თუკი კაცი ხარ, შენ წილ ჯოჯოხეთს,
ნურაფრით გაცვლი სხვის სამოთხეში!..
იყავ, ის, ვინც ხარ!..შენი გიყვარდეს!..
შენი ჭერი და შენი მამული...
სხვების დიდებას, სხვის იდილიას,
გერჩიოს შენი აურზაური!..
შენ, ჩემი მე რომ ასე გაშფოთებს,
რა საჭიროა განსჯა, ხმაური,
ვერ შევიცვლები, მე ასეთი ვარ,
განსხვავებული და...უცნაური...
...უწინ,შენი მე მიყვარდა, შენში!..
ახლა შენი მე, ვეღარ ვიცანი...
აღარც დევი ხარ, აღარც–წიქარა,
არც სიზმარა და აღარც–მისანი!...
არც– ისე წრფელი და ისე სათნო,
მაშინ...წლების წინ, რომ გაგიცანი!
... ახლა, სულს ღაფავს, ჩემში, შენი მე,
არც ოცნება ხარ, აღარც–მიზანი!..

✧

ჰაერი? სამსალა შერეული,
სისხლი? უსასრულოდ მოწამლული...
სინდისი? მართლა შელახული,
ნამუსი? უკვე დროგასული...
ეს არის, განა, დედამიწავ,
ჩვენი სამოთხე და აღსასრული?!.
...ღმერთო, რანაირი დასაწყისი?!.
...ღმერთო, რანაირი დასასრული?!.

შენ, ჩემო ჩრდილო და ჩემო ლანდო!..

შენ, ჩემო ჩრდილო და ჩემო ლანდო,
წინ დამიხვდი და მზეზე მიამბე...
რად დამიტოვე ცხადში მანძილი,
ისტერიიდან მისტერიამდე?..
ყველა ვიღაცის ჩრდილია, ნუთუ?..
ან შუქ–ჩრდილების არის მძევალი?..
თავს რომ დამართებს, კაცი, მსმენია,
ვერ გაუკეთებს ქვეყნად ვერავინ!..
...და ყველა, სადღაც მივდი–მოვდივართ...
საიდან მოსულს, სად რიყავს ღმერთი...
სადღაც, მირაჟში, ალბათ, იქნება
ლანდების რისხვა და ერთადერთი,
ვინც არ ყოფილა არასდროს ჩრდილი...
და არ ყოფილა არასდროს ლანდი...
წინ რომ დაგხვდება, მხარს გაგისწორებს,
მაშინ, თვით როცა ლანდივით ჩანდი...
და ჩრდილში მდგომი ლანდებს ლეწავდი,
და გიხაროდა, ლანდებთან ომი...
რადგან არც ერთი ჩრდილი და ლანდი
არ იყო შენი ტოლი და სწორი!..
... ჩემო მზევ, ჩემო ჩრდილების რისხვავ,
მზისქვეშ ჩამოვჯდეთ, შენზე მიამბე...
ბევრი მზის წელიც რომ აღარ გვეყოს,
იმ მზიდან ამ ჩემს მისტერიამდე!..

მარტის ბინადრებს

...ამ მარტს, კვლავ ისე გამახსენდი, როგორც მახსოვდი...
შენი სიშორით, ისევ ისე დაზაფრული ვარ!...
არა, მარტს როგორ შეგადარებ, არა ხარ მარტი,
შენ დღემდე ჩემი მარტისფერი გაზაფხული ხარ!..
...ჩემ ჭიუხებში გამეტაცე, რარიგად მსურდა...
მთებში დავეცი ოცნებების ლურჯი კარავი,
დღესაც იქა დგას, ხელუხლები და შენ მოგელის,
ის ბილიკებიც, ჯერ არავის გაუკვალავი...
იქნებ ნანობ და გული ბარში აღარ გეტევა?..
ნურაფერს იტყვი, მოთმინება თუკი გეყოფა...
ჭირვეულ მარტში, ჯვარს დაგვწერენ მარტის ქარები,
მეც მოგიტაცებ, ჩემი მარტის უცვლელ დედოფალს!...
...იმ მარტს, შენ როგორ შეგადარებ, შენ სხვა მარტი ხარ!..
ჩემი სიზმარი უსასრულო, ჩემი ზღაპარი...
მინდა მოვიდე, ყველა მარტი ფეხქვეშ გაგიგო,
შენ ჩრდილში ვპოვო ჩემი ბოლო თავშესაფარი!..
...მარტში მოვალ და მიმოზისფერ სევდას შემოგხსნი...
ალბათ გავბედავ...მონატრება საგზლად მეყოფა...
ბარისთვის როგორ გაგიმეტებ, მთების ღირს ასულს,
მთებში წაგიყვან, ჩემი მარტის უცვლელ დედოფალს!..

✧

...საკუთარ თავის ანაბარა შევრჩი საწუთროს...
ვმარტოობ ბევრში...სინაკლულე სიბევრეს გასცდა...
დასაბამიდან აუხდენელ სურვილებს ვევნე
იმ სწორი გზების, ლაბირინთს რომ ვერაფრით ასცდა...
მელაციცება უთქმელობის ნაცნობი შიში...
ან რა აზრი აქვს ნათქვამსა და სწორი გზით სავალს?..
და დღემდე ვეძებ გოლიათებს იმ ზღაპრებიდან,
რომ ვეძებდი და ვერ მივაგენ ვერც გამოსავალს!..
ლაბირინთებში ვბორიალობ... მხოლოდ ჩვენ ვიცით...
და არყოფილის უხილავი ცეცხლით ვინთები...
შენი მიზანი – მე და...შენი სწორი გზა-შარა...
ჩემი ოცნება – შენ და...ჩემი ლაბირინთები!

... ძველი წავიდა...და ახალიც, უკვე დაიწყო...

...ძველი წავიდა...და ახალიც უკვე დაიწყო...
თავის მადლით და უკეთური თავის ცოდვებით,
წასვლა ან მოსვლა ვერ იქნება გამოსავალი,
გავჩერდები და მხოლოდ იმედს დაველოდები,
რომ ძალა მომცეს, ლოდინისგან ღონეგამოცლილს,
შემომიძახოს, არ დამტოვოს კენტად, ცალივით;
ფეხი დავადგი დროის კიბის ყველა საფეხურს
და ამ საფეხურს ვემსგავსები ტყუპისცალივით;
რომ ნაკვალევი, დატოვილი ქათქათა თოვლზე,
აღარ დავტოვო, ყოველჯერზე, უკვე თავიდან...
ჩემს ბედაურებს დრომ ამოსდო რკინის ლაგამი,
იმ ბედაურებს, რომ მოდევდნენ დასაბამიდან,
დასასრულამდე...მერე ყველა გაქრა, წავიდა...
ზოგი მოვიდა თოვასა და წლის დასაწყისში,
ზოგიც, წლის ბოლოს, ამქვეყნიდან, ისე გავიდა,
სიტყვაც ვერ დაძრა, ვერ გაბედა, ვერ იპირველა,
გულისნადები წაიღო და ჩუმად წავიდა...
...ყველა გულისთქმას დრომ ამოსდო რკინის ლაგამი...
ჟამს შემატოვა სასურველი პატარძალივით;
სიტყვაც ვერა ვთქვი, დადგა რადგან ჟამი ყოველთა,
ის ჟამი, მე რომ ვემსგავსები ტყუპისცალივით!..

...წ ვ ი მ ს, რ ა ნ ა ი რ ა დ...

წვიმს, რანაირად, როგორი ჟინით,
ლამის ცამ მიწას პირი აჰყაროს...
ქუხს შურისგება, ელავს ვენდეტა
და შეშლილია თითქოს სამყარო!..
მეც წვიმის ველურ დინებას მოვყე,
დაუფიქრებლად და თან შორიდან...
შენ შემოდგომას არ ჰგავდა ჩემი,
მოვდივარ სულ სხვა შემოდგომიდან.
ვერ შეაჩერებ წვიმის მაყრიონს,
მე ვარ და ჩემი ლეგა ღრუბლები,
მოვალ და ისეთ წვიმებს მოგიტან,
ზეცას დააჩნდეს ნაფეხურები!..
...წვიმს უცნაურად, სულ ჩემეულად,
ცამ ჩამოიხსნა რისხვის გუდები,
შენ თუ წვიმის დროს გამიბრაზდები,
მე წვიმის მერე გაგებუტები...
...არ უჩანს პირი აქაურ ამინდს...
უამინდობამ სულში იალა,
შენსავით გვიან მოვიდა წვიმა,
დამენახა და...გადაიარა!

...წვიმს...ერთადა ვშლით მე და დილა წვიმის ნაკვალევს...

...წვიმს...ერთადა ვშლით მე და დილა წვიმის ნაკვალევს...
მხრებზე ღრუბლების ნისლისფერი რწმენა გვაცვია...
ვეღარ ვიხსენებ, ის მზისფერი უსაზღვროება,
ვინ მომპარა და წვიმისფრად რამ გადამაქცია?!.
ალბათ, სადღაც, აქ, დაცემულმა სიცარიელემ,
სისავსით დაღლილს, რომ მიგებდა ვიღაც ფეხებთან...
თვლემდა მიმწუხრში ბინდისფერი ამაოება,
როცა მეგონა, ისე ძლიერ დაიჭექებდა,
გულს შეაკრთობდა, შუადღისას მთვლემარ ბავშვივით...
თუ სინაკლულემ, ჩემ ბილიკზე ცა რომ ტოვებდა?!.
არ იყავ წვიმა, ჩემს მიწაზე ჩემთვის მოსული...
და არც ის ვინმე, რომ ეგონა, მიმატოვებდა,
მზისფერ ამინდში, მზისფერსა და სხივისფრად ნატიფს...
დროის მიღმა ხარ, დარჩენილი ჩემს წინ, ფეხებთან...
სისავსის ჩრდილში თავდახრილი სიცარიელე,
ჩემთვის სამყოფად ვერასოდეს დაიჭექებდა!..

ხომ ხედავ, მუმლი შემოგეხვია?

ხომ ხედავ, მუმლი შემოგეხვია?
უნდა გაუძლო, როგორც უძლებდი!..
შემოგხვევია შენივე ჯიშის,
როგორც მაძღარი, ისე – უძღები;
გადავსებულა დარდის ფიალა,
შენ ფესვებს, ალბათ, ვეღარ ეყოფა,
ეს სხვანაირი ჯიშის მუმლია,
მტერს დაასწრო და გადაგეღობა;
შემოგესია შენივე ჯიშის,
შენი ფესვიდან ნაკვები ურცხვად...
სად გადაჯიშდა, ან ვინ დაბადა,
ვის შევჩივლო და ან ვის რა ვუთხრა?!.
ჩემი ხორცია...ჩემი სისხლია...
მიწას სირცხვილით ვეღარ ვეხები...
თვალს ვერ ვუსწორებ საქართველოს ცას,
მოკვეთილი მაქვს ცოდვით ფეხები;
ეს რა მოგსვლიათ, რა დაგმართიათ,
ვით სარეველა, როგორ მრავლდებით?
ჩემი სისხლი და სირცხვილი რომ ხართ,
გრცხვენოდეთ, ნუკი გამიჯავრდებით!...
რა შაჰ–აბასი, რის თემურ ლენგი?
მე თქვენმა ხილვამ შემაჟრიალა!..
თქვენ საქართველოს სირცხვილი გქვიათ,
ქართული სულის დიდი იარა!
როგორ დაეცით, ვინ მოგცათ ნება,
ეს რა უჟმურმა გადაგიარათ?
თქვენ ჯოჯოხეთის ღირსიც არა ხართ,
ჩემი სამშობლოს ღირსი კი არა!...
დღეს ისე შემრცხვა, ჩემს ბედკრულ მიწას,
სირცხვილით ფეხი ვეღარ დავადგი!..
ჩამოდგა ჟამი, მუმლს შევესიოთ,
ავაკვრევინოთ გუდა–ნაბადი!...

(ძველი რვეულიდან)

...ცდუნებასავით მომეახლა ბინდი ღამისა,
ციდან ღრუბლებმა გაასვენეს გრძნობის ცხედარი...
გამოიტირა უსასრულო მარტის წვიმებმა,
ის სიყვარული, იმ ქარივით დაუდეგარი!
ალბათ, ქარებსაც, სასტიკ ქარებს ასე ენებათ...
იმედის ხეებს შემოატყდათ ლამის ყლორტები...
ჩემგან წასულო მონატრებავ, ნუთუ არასდროს,
ნუთუ არასდროს...სულ არასდროს, განმეორდები?!.

ცხადში მეზმანა..

ფერნაცვალ დღეებს ფერუცვლელი სიმშვიდით ვხვდები
და ამ სიმშვიდით ვეტოლები ამინდს ქარიანს,
თითქოს ვიღაცამ ჩემი ზეცის წყნარი ღრუბლები,
წამოყარა და შენს ზეცაზე არივ–დარია...
შენ ვერა, თუმცა შემოდგომამ დამიმარტოვა...
შემომაძარცვა მე სიმშვიდე, ხეებს – ფოთლები,
თუ შენს სიზმრებში ქარცემულს და ფერნაცვალს მნახავ,
ნუ გაჰკვირდები, ნურც ნურაფრით ნუ გაოცდები!..
...ცხადში მეზმანა: ხორხოცებდა ვიღაც, მესამე...
მეტოლებოდა, აღარ ვიყავ შენი რჩეული...
და დარცხვენილი შემოდგომაც შენი სახლის წინ,
იდგა შემკრთალი და საკინძეჩამოხეული!..

✧

...იჟიჟრიბინდა...და მესამედ ყივის მამალი...
არსად გამცემი...გასაცემი და გაცემული...
დილაადრიან მართლა ვიგრძენ ღალატის სუნი,
გალეულიყო, აღარ ჰქონდა გულს თითქოს გული...
ხან – გულის რეჩხი, ხან კი – გულის ამაოება...
როგორც უგულოს, მომძახოდა მკაცრი დროება...
და ეს არ იყო გულისცემა მხოლოდ გულს იქეთ,
ეს იყო გულის თვითონ გულთან გაუცხოება...
გაჩერდება თუ გააჩერებს გულს განთიადი?!.
ვინ იცის, გულში რა უდევს და რას ფიქრობს გული...
ჩვენ – არა, მხოლოდ გულმა იცის, რომელი დილა,
ვისთვის იქნება დასაბამი ან დასასრული....
....იჟიჟრიბინდა და იყივლა სამჯერ მამალმა...
გულში კი არა, საგულეში კრთოდა დროება...
და ეს არ იყო გულისცემა მხოლოდ გულს იქეთ,
ეს იყო გულის თვითონ გულთან გამოთხოვება...

✧

მე შენთვის ისევ ის აპრილი ვარ....
შენ ისევ, იმ ჩემ ბილიკს გაჰყურებ...
გასაოცარი ეს სიყვარული,
მითხარი, რითი დავიმსახურე?!.
შენთვის ისევ ის გაზაფხული ვარ,
შენი ზამთარიც ჩემი ბრალია...
ავად გამხდარან შენი იები,
ის ენძელებიც ავად არიან...
როგორ ვუშველო, მართლა არ ვიცი,
რით შევეშველო,მოდი, მირჩიე...
შენი ლამაზი მარტოობიდან,
რა უცნაურად ამომირჩიე...
იქ, სადღაც...ჩემგან, მიუწვდომელში,
კრძალვით იწვდიდი იმ ჩემ აპრილებს...
შენი ზამთარიც უხმოდ ჩაივლის,
ჩემი აპრილიც გაინაპირებს...
დღესაც არ ვიცი, შენთვის ვინ ვიყავ...
და რას ელოდი ჩემგან სასურველს...
თუ, იმ ღალატსაც თავის ფასი აქვს...
ღალატს, რომელსაც არ იმსახურებ?!..
რით გიერთგულო, მართლა არ ვიცი;
როგორ მოგენდო, მოდი, მირჩიე,
არ ვიცი, ასე თანდათანობით,
ეს, რანაირად შემოგიჩვიე?!.
ფერმკრთალი ფიქრი აღმართს შეუყვა...
სასურველამდე კიდევ შორია...
ვიცი, რიჟრაჟთან დამელოდები,
გათენდეს? რაღაც არა მგონია...
და მე არ ვიცი, გნატრობ თუ...მსურხარ...
შენ კი ოცნების სიზმრად გებარე...
მონატრებამდე თვალებს დავხუჭავ,
მოდი და.... ჩუმად შემომეპარე!...

✧

თამაში დამთავრდა... ცხოვრების დაფაზე,
ვინ დადო თამაშის უდავო შედეგი?..
მე არც მომიგია და არც, წამიგია,
მე მხოლოდ ცხოვრებას შუაში ვედექი!
არც – მარცხნივ, არც–მარჯვნივ, უბრალოდ,
თანაბრად,
ვიღებდი დარტყმებს და... თან ვიგერიებდი...
დრო აღარ მრჩებოდა, გამეცნო ორივე,
ვინ სუსტი იყო და... ვინ–ჩემზე ძლიერი.
ვინა თქვა, თამაში, რომ თითქოს დასრულდა?..
ნამდვილი თამაში სწორედ აქ იწყება...
შუაში ჩამოდის ცხოვრების მდინარე,
ორივე ნაპირის ქვა–ღორღით ივსება...
ვინ იცის, რამდენჯერ ამ ორი ნაპირის,
ყოფნის და არ ყოფნის ზედ ზღვარზე მივედი,
ცა ცისკენ მიხმობდა, მიწა კი–თავისკენ,
იმედი მქონდა და... არც მქონდა იმედი...
სახეს ვერ ვნიღბავდი, სულში რაც ხდებოდა,
წუხილს და სიხარულს ვერაფრით ვმალავდი...
სიყალბე ვერ მომწვდა, მადლობა უფალო,
ვიცოდი,უფალო, რომ დამიფარავდი!..
თვალი გავუსწორე ცხოვრებას თამამად!
ჩემი სინამდვილით მე თვითონ ვმშვიდდები...
ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე,
ვერ შევძელ, გამედო სიცრუის ხიდები...
...თამაში დასრულდა...ცხოვრების დაფაზე,
რა ვქნა, თუ ვერ დავდე რჩეული შედეგი...
მე, არც მომიგია და არც, წამიგია,
უბრალოდ, ცხოვრებას... შუაში ვედექი!..



ლალი ორმოცაძე – პედაგოგი, საქართველოს ხელოვანთა, მწერალთა კავშირის წევრი
დაიბადა 1949 წლის 23 ნოემბერს

პატრიოტული ლექსები.

ქართა-ველი! ხელთუქმნელი საოცრება!

(სონეტი)

* * *

კლდე-ჩანჩქერნი, ტბა-მდინარე, ველ-ზურმუხტნი, მყინვარწვერნი,
ცა-ფირუზი,
პონტოს წყალი ლომ-გულივით მოღმუილე, დაუთვლელი ჯიშის ვაზი,
უფლის ენით მგალობელი ანი-ჰოე, ოქროს ვერძი, სიმამაცე,
ზნე, ადათი, მეომარი რაინდები, დედა-ბოძი დიაცები...
ვინ ჩამოთვლის, ან რა აღწერს საქართველოს სამოთხის-ფერ სიდიადეს?
რად მოგვართვა უფლის ნებამ სანცვიფრელი მიწა, წყალი, მზე და ჰავა?
ან რაისთვის აგვაშორა ქარიშხლიან, ხორშაკიან ვრცელ ტრამალთა?
წყალდამშრალსა, უნაყოფო საცხოვრისსა, ან თვალუწვდნელ უდაბნოთა?
მამის ერთას, პირმშოს დედის წილი-ხვედრი სრულყოფილად რად გვიბოძა?
უთვალავი შეკითხვები შთამომავალთ ნუ დარჩებათ მიღმა გონთა.
დაფარული გაგვიმხილა, განგვანათლა, ზე-ცის ენა გვიწილადა,
ათასწლეულ ვაზის ლერწით, ქალწულ ნინოს წმიდა ჯვარი გვივარაყა.
მარადიულ ჟამიერით, მირონცხებით გადარჩენა დაგვანათლა!
დღემდე მოსულს სულიერი აღმატებით, მკერდში იკრავს მაცხოვარი,
ნამარტვილევ ტარიგებსა, ნაგვემსა და მკლავძლიერსა – თავის ერსა.
ვერ დათრგუნა, ვერ იმონა ბოროტ ძალამ მამონისამ ვერა გზითა
უნაპიროდ ბრძენი ხალხი, გონიერი, ენა-სიტყვა უწვდომელი,
მჭრელი ხმალით, თავმდაბალი, ამაყიცა, არა სხვისა ქვეყნის მნდომი,

რჩეულთ შორის რჩეულები, მომლოცველი, საამო და წმინდა სულით.
დედაო ღრმთისა, შენი ფესვია კავკასიონი,
ჩემი ცრემლია შავი ზღვის სივრცე, შენი სულია
ნიავი რომ ჰქრის, შენი ჯიშია მამულ–მზიანი,
დედაო სათნო, ასე რომ ფეთქავს ჩემი გულია,
შემიშრე ცრემლი შენთვის მდინარე, წმიდა მარია,
მფარველო ჩვენო, დღემდე მოსვლამდე ხარ მისტერია...
ფერხთ გეფინება აქაფებული არაგვი, ენგური,
ალაზანი და მტკვარი დიადი, ჭოროხი, იორი,
მირონცხებული, ნაკურთხი, ცხენისწყალი და რიონიც...
სამოთხის კარებს გვიმტვრევდნენ მუდამ, ახალგაზრდები გაუტაცნიათ,
ვინ არ მოსულა ოქროს ალაგში? ირგვლივ ყოველი დაუჩეხიათ.
ვერ დაგვაჩოქეს, უცხო ურდოთა ბნელი ღრუბელიც შემოგვხვევია,
ვერ იავარგჰქვმნეს, ამ ცის ქვეშეთში ჩვენი სახელი ვერ წაუშლიათ,
მოსჩქეფს ძარღვებში ქართული სისხლი, ასი ათასი წმინდანთ ჯიშია!
გვწეწდნენ, გვფლეთდნენ, ჩემივე სისხლის ნიაღვარს ტაძრებზე გადუჩქეფია,
სასახლე–გოდოლთ, ბაღ–ვენახების ყოველ კუნჭულშიც გადაუვლია...
დედა ღმრთისმშობლის ნადენი ცრემლით, ჩვენ იარები მოგვშუშებია.
სისხლიან ცრემლით ანატირები ვაზისა ფესვით, ნინოსი ლერწით
გადავრჩენილვართ! ისევ აღვმდგარვართ! ნაზიარები გოლგოთას გზებით
კვლავაც აღვსდგებით ლაზარეანთა ენის მფლობელნი, ჯვარისმტვირთველნი!
ვინ მოგერევა ჩემო სამშობლოვ? თავგანწირულთა გმირთა ჯილაგო?
ფარნავაზ მეფის, ბაგრატის, დავითის, შოთას, თამარის, ქეთევანის,
ლაშას, ერეკლეს, სოლომონ ბრძენის, საბას, ილიას, ვაჟას, აკაკის,
გალაკტიონის, ჯავახიშვილის, უთვალავ სხვათა აკვან–დიადო,
გავარვარებულ მზეებისაებრ აღბრწყინებულო, სულის მშობელო!
ჩემო თვალისჩინო, ჩემო საქართველოვ, სალამურის კვნესას ჰგავხარ,
ოქროვანი კოლხ–ვერძი ხარ, იალბუზით, ჩანჩქერებით, არწივებით,
ირმებით და შევარდნებით, პოეტებით, თვალხატულა ქალ–ვაჟებით,
სიყვარულით, ერთგულებით მეცხრე ცაზე მიწვდენილი ქრისტეს სისხლით,
რწმენითა და ტარიგობის სიდიადით ზღაპარივით ქვეყანა ხარ!
შენ, ნაზარეველო ჭაბუკო, მზეო, სხივო და წმიდად შობილო,
შენ სინათლეო, მუხლდაჩოქილი, ქედმოდრეკილი გვედრებს შენ ერი,
ნუ მიგვატოვებ, კვლავაც გვაღირსე ერთიანობა სამოთხის, ჩვენი.
რომელ სჯულსა, ქვეყანას ჰყავს სასწაული, უდრტვინელი ღვთის ტარიგი?
ერთი დღის სივრცით ექვსი ათასი, ან ასი ათასი სული ზვარაკი?
ზეციური საქართველოს პირნათელნო, გასაოცრად ზნემაღალნო,
ედემს შინა სიწმიდითა, შარავანდეთ საცხოვრისად მიმავალნო,
სასუფევლის კარიბჭეში დასავანნო, ნეტარნი ხართ სულმამაცნო,

ჯვარ–სანთელით აგიტაცათ სადიადოდ საარაკო, საამაყო,
ღაღად–ლოცვით მტკვარს შეერთეთ, უკვდავებით, სულით ცის თაღს
აწვდევნილნო...
გევედრებით, გევედრებით დაიფარეთ, დამილოცეთ კვლავ სამშობლო,
ქართველ კაცის საბუდარი, სამოსახლო, საუფლო და საყუდარი.
ოჰ! ვაზის სიწმინდის მაღმერთებელ, დედის მამულში ვის არ უვლია?
უცხო ტომი ჯირითობდა, თარეშობდა დასაპყრობად, აჰა დღემდე!
დაუნდობლად ურბევიათ, ულეწიათ, უხანძრიათ, უძარცვიათ...
დაჰხვედრიათ მშვილდ–ისარნით, შურდულით და მახვილებით კოლხნ–იბერნი,
დაჰხვედრიათ, ჰრკინებიათ, უჟლეტიათ, სისხლთ მდინარე უდენიათ,
დამარცხებულან? არ უჩოქიათ! ოდენ მრავალგზის გაუმარჯვნიათ!
არა აღგვილან! განმრავლებულან აკვანთა რწევით ქართველთ ჯილაგნი,
ჰეი! დაზრდილან ლომის ბოკვერნი, მგლის–მუხლ ვეფხვები, არწივთა ფრთებით!
აღზევებულან მეფე–სარდალნი, აღმდგარა ისევ ერი დიადი,
ქარცეცხლიანსა, ლაშქარმცირესა, რჩეულ ვაჟკაცებს უძლიერია
მუმლ–მრავალ მტერზედ, უკაფიათ, უჩეხიათ, ხელდახელ უგლეჯიათ,
ღვთაებრივი, სამემკვიდრო სისხლის ფასად რუდუნებით უქარგიათ...
ჭირთათმენითა, იესოს მადლით ომები, ნგრევა დაუძლევიათ.
კლდის ქარაფებში, ქარაშოტებში აფთარ–მგლებივით ცეცხლი უნთიათ!
ავი, მზაკვარი, ცამდე აწვდილი ხმლითა და რწმენით დაუთრგუნიათ,
ერის ღირსება და უკვდავება სამშობლოსათვის აუკინძიათ.
მომავლის ერო! ჩვენო შვილებო, შვილიშვილებო, შვილთაშვილებო,
ნუ, ნუ შეგიპყრობთ უიმედობა! არ მსურს ამაოდ გაჰქრეს და დაშთეს
ღაღადი ჩემი! ფხიზლად! თქვენ, პატრონებო ოქროის საგანძურისა...
ცრემლით დაცვარეთ, მუხლებზე ჩოქვით შემოილოცეთ ყოვლი გოჯისა!
ჰო, სიყვარულით გაუთბეთ სული, ჟამი–ერებით ნატკენ ჭრილობებს,
ღვთისგან ნაკურთხი მიწა ქართული, კვლავაც ბოროტის რჩება სამიზნე,
ავიანობა ისევ შეგვიტევს, ნუ შევშინდებით, ნუ ვმორჩილდებით,
სულს ჩავინერგოთ ქართულ ადათის ერთობა, რწმენა და სიყვარული!
ყოველ კუთხეს, განნათლებულს საფირონის ემბაზში,
მოსჩქეფს მადლი მამა ღმერთის, წყლულზე ესალბუნება,
მევენეხის ვაზის ყლორტად იკვირტება მრავლება,
ლახვარს ჩასცემს ალიონზე იუდას და პილატეს,
ნაზარევლის წმიდა სისხლით გრაალის თასს აღავსებს.
აღასრულებს ყოველ ნატვრას, ნეტარების გალობით,
ერის, ბერის სიძლიერე განჩინდება სამებით...
ქართა ველებს ვერ დატბორავს ავი ჟამიანობა.
მძლეთა მძლეი გივარგი კავკასიონს გადმოჰყურებს,

უფლის მხარეს მეოხსა ჰყოფს, აზიარებს ბარძიმით,
მახვილს დაჰკრავს ლუციფერთა ავ-ზნეობას სიმძლავრით,
ჩვენი ჯიშის ღვთიურობას შემოსძახებს:- დასტურ მითქვამს!
ქართველობის ქართველობა გადაწყვიტეს ზეცაში!
გადარჩება, იძლიერებს, გამრავლდება სიყვარულით
მძლეთა მძლეობა ყოველი, უფლის ნებითა ძლევაი ჯვარით!
სხვა ხსნა, სხვა გზა არ არსებობს ერთობის და სიყვარულის გარდა!
საქართველო! - გალობს გუნდი ქერუბიმთა, მემკვიდრეთა
მარადიულ შობა-მრავლით, აის-დაისს მზირალ თვალით,
ცით დაშვებულ სვეტის ნათლით, მყარად დგება ქრისტეს ჯვარით,
სჯულით-მტკიცე, მტერ-მოყვრისთვის სულ-დიადი საქართველო!
იბერ-კოლხთა საცხოვრისი - მოწამეთა სამოსახლო!
მაცხოვარის - პირი ღვთისა, მაცხოვარის - კვართის ერი!
დავითის და თამარისა ქართა-ველი! - ძალმოსილი!
დღემდე სისხლით, რწმენით, სიყვარულით ნატარები თქვენია!
გაიღვიძეთ, დაინახეთ, შთაინერგეთ, შეიმეცნეთ მისტერია!
უპატრონეთ! მოუარეთ! შეინახეთ საქართველოს ისტორია!

* * *

სვეტიცხოველი და მე!

+ + +

უფლის სავანე და უმრწემესი ძე!
წმინდა კედელზე ედემ-სიცოცხლის ხე!
წმიდაი ნინოს ვარაყ-ლერწამი, ხნე!
ზეცას აწვდენილი არსუკისძის მზე!
უხუცესი სვეტიცხოველი, კონსტანტინე და მე!
სვეტიცხოველი!
მარადიული, თვალ-ფირუზა, ამაყი ორბი!
ზურმუხტ-ფერად აკინძული მთა-ველებით,
ღრმთისმშობლისა დაფრქვეული მირონ-მადლით,
სიფრიფანა, ქალწულ ნინოს ნაფეხურით,
სულიწმიდით განწმენდილთა სულთა ოხი.
სვეტიცხოველი...
სამთა საიღბლოს ნავარამევი ვარსკვლავთ საფიხვნო,
ვერუცხრომელი...
დიდოსტატ უტას ნაამბორევი, ათასწლეულთა
ვერუძლეველი!
მეფე გიორგი, უშიშ-უხორცო, მრავალ მტერთაგან

ვერუთქერელი!
შორენა, ერისთავის ასული, სიყვარულითგან
ვერდათოვლილი...
სვეტიცხოველო,
შემცივნულ სულთა მარად ტკივილო,
ავდარ-ნამეხარ იბერთა ერო,
დამდუღრულ ბედის დარდ-საზიარო,
ჟამი-ერებით მტკიცედ ნავალო,
მართალთმავალთა სვეტის ნიშანო,
ქართულო სულო დაუდგრომელო,
ირმის ნახტომით ზე-აწეულო!
სვეტიცხოველი!
სამთ სიყვარულის უკვდავი ძეგლი,
უზღვრო სამანებს ვერუტეველი ცრემლი.
შემოშრიალდა
ტაძრის არეში ლეგენდა ძველი!
მდუმარებას ნაზად ერთვის
ღრმთისმშობელის სულ-სანთელი,
სხივ-საკმევლის სურნელებით,
მთრთოლვარე და გუმბათ- ვრცელი...
უტას მარჯვენას ქრისტესთან ელის
სულ-საოხად, წმიდა დედის
სულ-საამო, მკურნალ-ცრემლი...
სევდიან რიდით საუკუნენი მიწყივ და მიწყივ აუკეცია,
სარწყულებლად ხეკორძულას უსვამს წყალი,
მაინც მწყურვალს, მცხეთა ჩოქვით, მადლით აუგია,
განუძარცველი ჭეშმარიტებით მარადისობას შესჭიდებია...
ზე-ციური, საუფალო, მაცხოვრისა გონი-ალით
ჯვარცმულ ოსტატს, კონსტანტინეს, ღვთის ტაძარი
კრძალვით, რწმენით, სიყვარულით უძერწია...
უტას კვნესა დღესაც იწვის ცეცხლის ალით,
სულში მცრის და შემომენთო ჩუქურთმების მელოდია,
ქვა-ლოდებში ნამ-ჭმუნვარი დიდოსტატის ჩურჩულია...
აღზევებულა სამეფო კარზე რისხვა, ბოღმა-შური...
ოჰ! ვაი! მკაცრი სასჯელით წაჰგლიჯეს ოქროსა მკლავი...
ბელზებელთ განჩინებითა შხამით კვებეს მომაკვდავი,
მაცხოვრის დედულეთელი, დიადი ხუროთმოძღვარი...
არ იკმარა! ვერ გაიძღო საქვესკნელემ ცოდვით გული,

ტაძრის მუზა, ქერუბიმთა დარი, ერისთავის ქალი
შავი ფრთებით შეიმოსა, უფსკრულს ჩაჰყვა ვითარ ქარი...
ბორგავს, ბორგავს ღვთის რჩეული, სულდაღლილი, სავარსკვლავო

არსუკისძე, შვენიერი, მთოვარ–მზისა უფლისწული,
სიზმარეთში გაფრენილა, ოდენ ცხადის ვერმწვდომელი,
პირ–ღიმილით მადევარი ქარვის–ფერი აჩრდილების...
სულის სწორის დაძახილზე, ბავშვობიდან მოტრფიალე
აცახცახდა, თრთის და ტირის მკლავჰკვეთილი, სასაუფლო
მსხვერპლ–ზვარაკი, ერის შუბლი, დიდოსტატი, სულ–მფეთქვარე...
ავაზას–ფერ ტანასხლეტილს მრუმე ღამე გაუპია,
ზღვის–ფერ გრძნებით ანაღელვებს სიყვარული უფრქვევია,
სოსანის–ფერ სიფაქიზით კვეტარისკენ მოუხმია...
ფიქრთმეტყველსა სიყმაწვილის მშფოთვარება ალანდვია...
ნარინჯის–ფერ ზმანებაში მუგუზლები უფერფლია...
მეფე გიორგის ხუროთმოძღვარი შორენას ხმას აჰყოლია...
ბნელ სენაკში აფარფატდა შველის–ფერი სიჭაბუკე...
მზის–ფერ თმების დალალებით მზე სენაკში ჩამოცურდა...
თანჯიშიერს სული სთხოვა... სიჩუმეში სიჩუმითა ახმაურდა
ფხოვის კლდოვან მთებში მოჯირითე, უტას გული მგრძნობიარე...
სული? სული ლომის–ფერი შთაუბერა ტაძრის ლოდებს,
და გული კი, ხარ–ირემის ზნეთა დარი სიყრმის სატრფოს
შეაფერფლა, მარადიულ სიყვარულით მობრდღვიალე...
ყაყაჩოთა სისხლმა ქარგა მგლოვიარე მცხეთა მაშინ...
უცნაური ქარიშხლებით მიილია მწუხრის ჟამი...
კლდის მწვერვალმა ჩამოხეთქა სულფიცხელი, ფხოველ დედის
ცრემლი, ურვით მოკივარი, თვინიერის სამარტვილო...
–,,დედის სულო, თვალის ჩინო, სიყვარულით გამოზრდილო,
ვაიი, ავაიიი! რად გაგწირეს იღბალ–კრულო?!
დედის ხატო, საფიცარო, გვარ–ჯალაბის საძირკველო!
ვინ დაგღადრა ჩემო ბურჯო?! ქრისტესავით ნამსჭვალავო...“
კრჩხიალებდა იავარჰქმნილ, შუქმოსილი შვილის დედის,
შავ ზვირთებად მოჩხრიალე მოთქმა სულის, ზე–ჩქერალი...
გოლგოთითა გაიდრიკა უფლის სახლი სხივუმცხრალი...
ნიაღვარით დაილეწა დედამიწა, ცის ცარგვალიც...
!.....!.....!
ო! იხილა დასავსებმა თვალმა დედის
სისასტიკის განჩინება! ვერუჯერი!
ჯალათისგან ნაწამები,

პირმშო ბორგავს ნამზაკვრალი,
მორიელთა ნაგესლარი...
ჰკივის სული გადარჩენას!
ჰკივის სული, სული დედის,

ერთა წულის, უმრწემესის
სულ-სხეულის განმრთელებას...
ტაძრის კედელ-გუმბათების მანცვიფრებელ ვარაყებში,
ქვა-ლოდებში ამღერებულ, უნარნარეს ჩუქურთმებში
განსხეულდა სულ-შეშლილი!...
დედის თლილი
ქანდაკება, ნაწამები...
მარადიულ ჰარმონიის თალხ-ფერებად დაფერილი...
ათასწლეულთ სულთ გოდება ცათათანას შეფერილი...
ხარხარებდა ტაძრის ბჭესთან ხვლიკის-ფერი მორიელი!
უზნეო და ბორნისკარტა, დღესაც დაძრწის შესაზარი
ხმა-ხარხარით, დაძრწის მცხეთის ეკალ-ბარდში, ხევ-უფსკრულში
ჩაკარგული, ამაზრზენი, ჯოჯოხეთსაც დანატრული
სულ-ბოროტი, წარწყმენდილი, პირ-დემონი ფარსმან სპარსი...
დაძრწის... დაძრწის მიწისძვრათა, წყევლა-კრულვის მთესველ-მკელი,
მჩხიბავი და უბედურთა ჯადოქარი, უნდობელი,
სიკვდილთანაც პირ-შეკრული, ავი, შავი მორიელი...
ქვემძრომი და ბედისწერის ჭრელი გველი სრიალებსო,
შიშიანად ჩურჩულებენ მცხეთას, თითქოს ახლაც ქირქილებსო...
წყვდიად ბნელში ფუთფუთებსო ქოსა-ბოღმა... ეპარებაო,
ტაძარში ჩაქვითკირებულ, დიდოსტატის მარჯვენასო...
ტაძრის გუმბათზე მზის სხივი დღისით,
მთვარე შუაღამით
მოავარაყებს ბწკარებს სტრიქონთა,
სარწმუნოების ასომთავრულით,
ზე-სამყაროდან ჩამოფრქვეულსა...
უტას წარჰკვეთილ მკლავის მარჯვენას
შორენას ცრემლი ეშვება თქეშად...
მეფე გიორგი ჰგრგვინავს ქარიშხლით!
ლამის აჰხადოს ტაძარს გუმბათი...
დგას უსასრულო დელგმით მტირალი,
სამთ სიყვარულის მძიმე იღბალი....
სვეტიცხოველო!
სულთა მფლობელო,

კლდე–ველები შენ გელოდა ქვა–ლოდებით...
საუკუნენი ჟინიან ჰრბოლვით
მოთქარუნობდა,
უტას მოვლენას მიესწრაფვოდა,
როს მითოსური, სამთ მძიმე ჯაჭვი
სავარსკვლავეთში კვანძს განასკვავდა
საწუთისოფლოს...

საბედისწეროს...
დღესაც, უსამანო შორ–ჟამიდან
მოირწევა სწორპატივით
რახსის–ფერი კლდე–ტაძარი...
სვეტიცხოველო!
სანთლის ალებად როკავ შენ ერში, გასაოცარო,
დრო–ჟამის გამძლევ, რაინდო ქვეყნის, ვერ–დაძლეულო,
ცამდის ასულო, მზის დარო მზეო, შენ საზეპურო!
ვარსკვლავთ კრებულზე აღმატებულო,
ნაზარეთელის მადლი–მირონით აღბრწყინებულო,
ზესკნელ–ქვესკნელის სამანთან ლოცვით
ქედს ვიხრი შენთვის, ჩემო ტაძარო.
რეკავს ზარები ათასი წელი!
კვლავაც დარეკავს მოყვასთ სიყვარულს, მტრის დაჩოქებას,
ქრისტეს მოძღვრებას, ქართველთ საუფლოს განსანათლებლად.
მადლი გეღვრება ზეცის ჩანჩქერით გარდმოვლენილი,
სვეტიცხოველო,
სულო მგვინავო, არტერია ხარ ერის არსობის,
გულის ცემა ხარ არა ათას წლის,
არამედ, ქართველთ შობიდან შობილს, არ გაქვს ასაკი!
ტაძრის სივრცეში მორცხვად აჩქერდა ცრემლთა ფრქვევაი...
აჰა! ო, ესერა... გლოვის ხმად ჰკვნესის სამთა ტრფობაი...
ნაჰოროლარ–დარეცილი, ხუროთმოძღვარ არსუკისძის...
მტერთან რისხვით მორკინალი, რაინდ–მეფე გიორგისა...
შორენასი, სასუფევლის მარადიულ მონაზვნისა...
აჰ! ზეცას აჰკივის ჰაერწნულზე გოდების ზარი!
ფხოველთა კლდიდან ფაფარაშლილა ცეცხლოვან რაში!
ანაზდეულად მან გადათქერა ამაო სოფლის, ყოფა მტირალი...
აღესრულა ბედმწერელის განჩინება განგებისად...
ზეცის კარმა ბჭე განიხვნა გარდასულთა საცხოვნებლად...
შარიშურობს მზე საუფლოს, სამთა სულში ზე–ნათლისად,

სავარსკვლავო საფიხვნოში უფალია შვილთა მხსნელად,
საზვარაკე ყრმათა იღბლის სასალბუნო, შუქ-სანთლისად...
გალობა ერის ცხოველ სვეტიდან,
დაწეწილ სულში ეფინებოდათ
მარადისობის ერისიონად...
სველ თვალებში ჩაურეკლავს პიპას, ნებიერას სიყვარული...
სვეტიცხოვლის ზეგუმბათზე ჯვარს გაჰკვრია უტას სული...
ფრესკებიდან ბროლის ცრემლად იცვარება მთის ასული...

სამივენი ერთნი იყვნენ!
მღელვარების, სიყვარულის
ისტერია!
არა! არა... არ ხუმდება
ეტრატებზე ჩაწერილი
ულამაზეს ტრფიალების,
უძველესი მატეანის
მისტერია!
აღსდექ მეფეო!
სიდარბაისლით,
რწმენით, დანდობით,
რაინდობითა,
დედა ღმრთისმშობელს
თხოვე შენდობა,
ჰქმენ სათნო სამართალ,
სულგრძელობითა,
ბაგრატიონო!
ხელმწიფურ სულით,
ლომებთა წესით
აახლე უტას გამოწვდილ,
ოქროს მარჯვენას
დაღლილ შორენას
სათუთი ხელი!

* * *

პეტრას ციხე!

\+ + +

აჭარელი?
უფალ-კაცი მზე-მთვარისა, ცა-მიწისა,
ფოლად-მტკიცე, რვალ-ზნიანი, სულ-მზიანი,
კუთხე ძველი, ხალხი გამძლე, სიცოცხლის და
ღვთის სადგომი ათასეულ წელთა სივრცის,
კოლხთა, ლაზთა გუთნისდედის ფესვის ძირი
საგალობო, სარუდუნო, საარაკო
მშვილდ-მახვილით, ვაზით, ხარით, აკვნის რწევით,
ნასისხლარი ჭოროხით და ქრისტეს რწმენით.
პეტრას ციხე!
განუწყვეტელ ხმალკვეთებით და ღირსებით,
ყოფნა-არყოფნას გადარჩენილი ბრწყინავს დიდებით,
მყოფადობით, ზნე-მაღლობით, უდრეკ სულით

გაიმარჯვა, მოიქროლა დღემდე ჰრბოლვით!
მარადიულ ნათლისღებით და გოლგოთით
დაივანა სულ–ქართული ღვთის სივრცეში.
პეტრას ციხე!
ცისარტყელით მოქარგული, გულზვიადად,
აღმატებით აღმართული აბჯარ–ფარი,
დაჩეხილი, დაჭრილი და ჯვარმტვირთველი,
ერის, ბერის, საქართველოს გულ–ფიცარის
მცველ–რაინდი, ეტრატებად აგრაგნილი
მატეანე გულ–ღადარა, ნაკვერჩხალა,
მჭად–ჯვრიანი, ნაწამები ქრისტეანი,
ნატყვევარი, ნაწვიმარი, ნათოვარი,
ნამეწყრალი ათას ჯურის ნატომარით.
პეტრას ციხე!
დიდი პაპა, უხმობს შვილებს დასეტყვილებს,
დაკარგულებს, ნატკივარ და ნასიზმარებ
გურჯისტანლებს, ოსმალოში დარჩენილებს
ცვრიან მზერით, შთაგონებით მომლოდინებს,
კაბადონზე მოქარგული ცისარტყელით
შეუერთდნენ თავის რწმენის უფლის მხედრებს!
პეტრას ციხე!
დალეწილი, დაგლეჯილი, დაქანცული,
ხავსკიდული, სევდიანი გოდოლებით,
ზეცისაკენ აზიდული ნანგრევებით
კვლავ დარაჯობს აზვირთებულ პონტოს ტალღებს,
,,ქაჯთა ციხედ“ წოდებული, ვეფხის ტყავით
შემოსილი, მითოსურად არეკლილი,
ათას ტანჯვით დაფერილი, მძლეთ მძლეობის გმირი,
უკვდავი და მრავალ ჟამის ჟამიერი!
უძველესი საქართველოს მხრებგაშლილი,
ღირსეული ხელმწიფე და მბრძანებელი ერის!

+ + +

პ.ს.– ვახუშტი ბაგრატიონი:–,,ზღვის კიდეს, არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალსა კლდესა ზედა შენი. აქუს გვირაბი–კლდე გამოკუეთილი გზად” (ქართლის ცხოვრება).

აღსდექ მეფეო!

+ + +

ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე;
ესე მთნავს: აქა დავემკვიდრო მე.
(გელათის მონასტერი. დავით მეფის ეპიტაფია)

+

ზე-კაცო, მეფეო მძლეთა მძლეო,
რისხვავ მტრისაო,
მთა-ბარისა მზეო, ლომ-ჭაბუკო,
იბერთ სამეფოს ლეგენდარულო,
რვალის რაინდო.
ბერძნულ არესის, რომაულ მარსის,
ფხოველ კოპალას ნაზავ-რჩეულო,
ბრძოლის კაც-ღმერთო,
შენ! გიგანტურო და მითოსურო,
წმიდა გიორგის გამობრძმედილო,
უფლის რჩეულო,
ქართველთ სატახტოს განმჩინებელო!
მახვილ-ძლიერო მხედართმთავარო,
მშვილდო, ქიბურჯო,
სისხლიან მტკვარის ებგარ-დარაჯო,
ლაშქართქებულო, ჩანჩქერ-ქარაფო,
წმინდა ტაძრებში ჩამკვიდრებულო,
ქართველთ იღბლისა მარად მზრუნველო,
შენ, საფიცარო,
აღსდექ მეფეო!
დიდო ხელმწიფევ,
მეფეთ მეფეო!.
შენკენ ვისწრაფვით ჩვენ, სისხლო ჩვენო,
გენო დიადო,
მამაცი სულის შარავანდედო!
ლეკთა, ჯიქთა, ირანელ, ოსმალთა,
ბიზანტიელთა, მრავალ მონღოლთა,
ყოველ ურჯულოს, მტერთა მახვილო.
ჰელიოსის სხივო, ჯიშო,
მზე-ჭაბუკო,
ეჰეიი!
ქნარ-დავითის დიდ -დავითო!
მწიგნობარო,
გალობისავ სინანულო,
აღმსარელო, ნაზიარო,
სჯულთაებრივ ქრისტეს შვილო,
გონიერო, სულძლიერო,
დაჩეხილო წინაპარო,
ზეცისაკენ აღმავალო,
მოგუზგუზე ცეცხლის ალო,
ერთიანი და მზიანი

საქართველოს აღმდგენელო!
ერის მამავ, ლომთა ჯიშო,
ცოდნის წყარო,
სიბრძნის ზარო,
უფლის დარო,
ქართაველთა ფარ-აბჯარო,
შენი ხალხის ზე-გოდოლო,
კოლხ-იბერთა და აფხაზთა,
განვრცობილი საქართველოს
მფარველო და მტერთა მძლეო,
ნაგოლგოთარ მაცხოვრისა
აღვსებაჲთ მოწმუნეო,
სრულჰყო ღმერთმან
შენი შობით
ქართაველთა აღდგომაო!
სულზიაროვ წმიდა ნინოს,
ღრმთისმშობელის წილხვედრილო,
წმინდა ხატო და სიონო,
მბორგავო კავკასიონო!
გეთსიმანიის ბაღნარის
ციხე-სიმაგრევ უტეხო,
სულისაჲთ განნათლულო,

უფლისაჲთა ნათლულო,
ქრისტეს ტარიგთა ტაძარო,
ასი ათასი მარტვილის,
გარეჯელი წმიდანების,
ნაწამები დედოფალის,
ქეთევანის, შენი ჯიშის,
ქართველ ხალხის და ჯალაბის,
თორ-ჰორროლო, მეოხეო,
მიწიერი, საწუთსოფლო,
ზეციერი საქართველოს
სხივოსანთა სულ-სამზეო!
ვალ-მოხდილო, სულ-ნათელო,
ლომ-მგელო და სამართალო,
შენი ერის
ჟამთ სიავის, გმირ-მთრგუნველო,
დღეის ყოფით სულნატკენო,
აღსდექ მეფეო!
ბუმბერაზო, არვის სწორო,
უბადლოვ და საარაკო,
უკვდავო და მტკიცე სულო,

ქართველთ მცველო, გულთ იმედო,
უშიშრობის ბერმუხაო,
კვარცხლბეკს ზედა აღმართულო.
სიდიადევ საქართველოს,
ერის, ბერის დიდ-პაპაო,
ოდეს ზეცას აღევლინე,
ჩვენს მამულში დადგა ავი,
ძნელბედობის მძიმე ჟამი,
გნატრობს, გნატრობს დღეს საძეო,
ცამ რაჲ ღოს ბჭე საზეო,
რომ დაირწეს ქვეყანაში
კურთხეული, მზის აკვანი!
გაუსაძლის ჟამთა ჰრბოლვის,
დღეს? რისხვაჲ ყოლგნით ჰქროდის,
ბოლო ჟამის ნუგეშ-მზეო,
დააქუხე
მამულს შენსას, სამეოხო,
გონიერი, საფხიზელო
გადარჩენა!
რომ,,მართალნი ნეტარებდნენ“,
,,ცოდვილთა და ეშმაკეულთ
ჰგუემდეს ცეცხლი“, დემონური,
ჯოჯოხეთურ ალ-არმურით!
აღსდექ მეფეო!
შემოსძახე ბრძოლა მგლური,
ძველებური და ლომური!
ქართველური!
გააღვიძე შენი ერი,
საღათაში ჩაძირული!

+ + +

სულიკო ჯამალაშვილი
დაბადების ადგილი – საგარეჯო

მადლობა სამყაროს

მოგიძღვნი სამყაროს, შეშლილი ფერებით,
ზედ ლექსსაც დავურთავ, ლამაზს და მშვენიერს,
(თუ შენმიერს? ეს უწერია)
თუ ვერ ვთქვი ისეთი, როგორიც შედევრი,
შემინდე უფალო, უფალო შემინდე.

წყაროზეც ჩაიყვან, შეგასმევ პეშვებით,
ჩანჩქერსაც დავხედავ, შენსავით თავნებას,
აქ მარადისობავ, წამიერ გაჩერდი,
გაგანდობ ხვაშიადს და მეტი რა გნებავს.

ჩვენ რაღას დაგვაკლებს, ზვავი და მეწყერი,
გიტოვებ სიყვარულს, გულიდან სამოსულს,
და გინდაც ჯვარზედაც გამაკრან, გავუძლებ,
და ასე ვიგლოვებ, ამ ლამაზ დასრულს.

და სანამ ჩემ ხსოვნას, შენ პატივს მიაგებ,
მე ძალმიძს ვიყვირო, სყყველას მაგიერ,
და იმერ ამიერ, მაისი გრიალებს,
რა ძალა ჰქონია სიყვარულს წამიერს.

ტაძართან ჩაივლი, დაანთე სანთელი,
არასდროს, არასდროს, თავი არ დახარო,
რომ ცოცხლობ, რომ სუნთქავ და რომ
ხარ ქართველი,
მადლობა უთხარი დღეიდან სამყაროს.

* * *

სიცოცხლეს ვუწოდებ შარაგზას ხელიდან
ხელში, რომ გადადის უფატო პატარძალს,
წააგავს ეს ღამეც უმთვარო ალხაჯი,
აგვისტოს ხვატში ვარ ჩაფლული.
უდაბნოს ქარები არ მთმობენ
სულები წყაროზე ჩასულნი
ადამის მოდგმაზე დაობენ.
ნაქარალ თვალებში ჩაგხედე,
იწყებენ მიმოსვლას ვნებები
ერთ ვაშლზე გაგცვლიდი, არ მენდე
ვცოცხლობ და სიცოცხლით ვერ ვძღები!

* * *

ტყეში პატარა მიწურi სახლი
კერიის სითბო, წელში მოხრილი,
დღიური შრომა, ჩამწვარი ნავლი,
კარებზე თოვლი უხვად მოყრილი.

გადანახული ტყე დანაზოგი
ხელში გიპყრია ყოველი საშვი,
მგლების ყმუილი, ირმების ჯოგი,
ყრუ ხეობათა, შენა ხარ მახვში!

*

ო, ბედისწერავ მე ისევ გენდე,
ვით სალ კლდეებზე ნისლი მცურავი,
ანგელოზებმაც არ შემიკედლეს
ანგელოზებმაც მტკიცეს უარი.

ბებერი ცხენი გზაზე წამექცა
მოქილიკეთა დასტას რა დალევს,
მიწიდან ცისკენ თვალი გამექცა
და მეუცხოვა ზეცის სიმაღლე.

კვლავ სიღარიბემ სილა გამაწნა
უღირსთა ხროვა ქილიკობს ისევ,
ერთ კრებულს მაინც დავტოვებ თქვენთან
და მერე სული ცისკენ გაიწევს!

*

მოყვრისა უფრო მწარეა
ზურგში მორტყმული ლახვარი,
ბედნიერებას დავეძებ
გოლგოთა ვიცი რაც არის.

თუმც ხანმოკლეა სიცოცხლე
ზოგისა არი, არც არი
ამ ძაღლუმადურ ყოფაში
ესეც მეყოფა რაც არი!

* * *

ნეკნიდან გშობა განგებამ,
გოლგოთა გადანატარო,
უფლის რად გინდა დასტური
თავად შენა ხარ სამყარო.

ქალს სილამაზე უხდება,
სიმღერა ნაირ-ნაირი,
ქალის გარეშე სამყარო
არის დამჭკნარი ყვავილი!

*

ხან გიყვარდეს ხანაც არა
სიყვარული როდია,
სიყვარული მარადმწვანე,
მარადმწვანე ყლორტია.

ნაკადულად წამოვედი
მთათა ნაჟურს მოვდენი,
მე ნისლებში დაგეძებდი
შენ, კი ბარად მელოდი.

იებს გვერდით ჩავუაროთ
ერთხელ კიდევ მოდი და
გაზაფხული გვეგებება,
გვეგებება შორიდან!

*

ბოლოს მაინც გავიღვიძებთ,
მაინც ჯვარი გვწერია,
მტრის ხახაში გაჩხირული
საამაყო ერი ვართ.

ილიას გზებს მივუყვები,
ცა ზურმუხტიდ ფერია,
გადავლახე არაგვი და
ახლა მტკვრისა ჯერია.

გვითამადა ილიამ და
ვაჟას ხელიც ერია,
მატიანევ გეკითხები
ახლა ვისი ჯერია!

* * *

იქნება ქარი იქნება დელგმა,
ფიქრი წალეკავს გონების საზღვარს,
ტალღა ტალღას, რომ მიეხეთქება
ცელქი ბავშვივით მომიტანს ამბავს

და აღარ მკითხოვინ ვინა ვარ რა ვარ,
სისხლსაც მოსწყურდა, რომ იქცეს ლავად,
სამარადჟამოდ არ მოვლენილვარ
დროებით მოველ ამ ქარის დარად!

*

ვით ერეკლე უშიშარი, გადმომდგარა მთვარე,
ოქროსფერად შენიღბული სხივებს მიმოაფქვევს,
აქ ერეკლემ გაათია ხმლის ქნევაში ღამე,
მოუყვება ნარიყალას იმ ღალატის ამბებს.

მაჰმად ხანი უკუიქცა მაგრამ ისევ ღალავს,
კვლავ მოხუცის იმედი აქვს ჩაძინებულ ქალაქს,
მარცხდებოდა თან უკვირდა ეს ხდებოდა მტკვარზე,
ერთხელ კიდევ გაიბრძოლა არაგველთა ხმაზე.

არ ნებდება გაიწია და თან ბოღმა ახრჩობს
ურჩევნია აქვე მოკვდეს,აქვე დაიმარხოს,
მთვარე ენად გაიკრიფა მაღლა, მაღლა იწევს
აქ, – სამასმა არაგველმა მეფე გამოიხსნეს.

ის უყვარდა ქართლს და კახეთს
ფშავ-ხევსურეთს ზემო,
გარე მტერზე საძულველო
შინაურო მტერო!

სხვა ეშხი

საზარ ღამეში,არეულ ცაზე,
მგელივით მიყვარს თარეში,
ურითმო ლექსებს რაფერს ვერ დავწერ,
მაგრამ რითმიანს აქვსო სსვა ეშხი.

სხვა ვინ ჩაწვდება იმ საიდუმლოს,
შავი არაგვი, სადაც თეთრს ერწყმის,
ან ჩანაფიქრსა ცისას უცილოს,
ან საიდუმლოს ზღვისას ვინ გეტყვის.

მოდი გეძახის ჩემი გზაწვრილი,
ვით უსასრულო გზათა მკვლევარი,
პოეზიაა სულის ნაწილი
და უგვირგვინო ბედის მწვერვალი.

უსაზღვრობა ზღვარს დაეძებს

სანუგეშოს გეტყვი რამეს,
მომაკითხავს ჰუნე ვიდრე,
ფიქრი მღალავს მომავალზე,
კიდით-კიდე კიდით-კიდე.

ეს ის დროა და ის ჟამი,
წყურვილს როცა იკლავს ჰუნე,
ბრძოლის ველზე გარინდულმა,
ზღვას და ხმელეთს გზა დავუთმე.

საუკუნე მე ამგვარი,
შეგატოვე ადამისძევ,
ზღვარს მისტირის უსაზღვრობა,
უსაზღვრობა ზღვარს დაეძებს.

დაჟანგებული აღვირი

უზანგზე ფეხი დამიცდა
და მთელავს სოფლის ნახირი,
ხელში მიჭირავს მონღოლთა,
დაჟანგებული აღვირი.

ერთი ცისაკენ წასულა,
დანარჩენები აქ არი,
წვიმაში ელავს ისაა,
თამარის ცხენის ფაფარი.

ცხენ-და-ცხენ გამოვედევნე,
სიზმრებით ნაირ-ნაირი,
სახეში შემომაყარა,
ვაჟას ნასხლეტი შაირი.

გზად შევიარე ალავერდს,
დავანთე წყვილი სანთელი,
გუმბათზე მთვარე ეკიდა,
მრავალ ჭირ-ვარმის მნახველი.

ღრუბლის ფარჩები

შემოაცვდება მაისის დილას
ღრუბლის თექალთო ღრუბლის ფარჩები,
მირაჟს შეგიცვლი ისევ მირაჟით,
თავისით მოვა სხვა დანარჩენი.

მერე კი მერე ვარსკვლავნი ცაზე,
აელვარდება ბოლო ოცნებად,
ამ პაწია ლექსს ან შენ მოგიძღვნი
ან გავაჩუქებ სადმე გროშებად.

როცა ჩაკვდება ბოლო იმედიც,
ქარი ხმელ ფოთლებს აურ-დაურევს,
ქარს შემიცვლიან სისხლის წვიმებით
და ისევ სევდა დაისადგურებს.

ბოლო სათქმელი თუ რამე დაგრჩა,
ბარემ ისიც თქვი სულო ჯვარცმულო,
ათასი წირვა ათასი ჯვარცმა,
აღარ მოუჩანს ჯოჯოხეთს ბოლო.

შემოაცვდება მაისის დილას,
ღრუბლის თექალთო ღრუბლის ფარჩები,
მირაჟს შეგიცვლი ისევ მირაჟით,
თავისით მოვა სხვა დანარჩენი.

რაზე ვიოცნებო

გულო მითხარი რაზე ვიოცნებო,
ამდენ ფიქრებში რამდენ დროს ვხარჯავ,
მოდის გაზაფხული და მსურს მოგეფერო,
ჩვენი ბედისწერა საით გადაგვკარგავს.

იქნება ჭიდილი ჩემი და ნერვების,
და იცი წინასწარ მე გული მწყდება,
დადგება წუთები ბნელი დერეფნის,
შენ აღარ მოისურვებ ღამის გათენებას.

იხარე გულო,ერთხელ მოხვედი

ჰქუხდა ორკესტრი ტანგო და ჯაზი,
ზღვარს გადასული მამრი თუ მდედრი,
ყველა ერთისთვის ერთი ყველასთვის,
კურო სასწორი ლომი და ვერძი.

საიდან როგორ ამდენი ლედი,
კაცი ცოლშვილთან ისევ ცხრაპირობს,
იხარე გულო ერთხელ მოხვედი
მე ამ ცხოვრების დედა ვატირე.

რით გვანუგეშებ ქართველო კაცო

არ დაგიკარგავს ვატყობ ხალისი,
კარგავ მამულებს და გიხარია,
იქნებ დაბრუნდეს დიდი დავითი,
და შენ მოგთხოვოს ის ბიზანტია.

იქნებ დაბრუნდეს ის დიდი შოთაც,
რაც დაგვიტოვა, რა დავამატეთ,
როგორ შევხვდებით საყვარელ მგოსანს,
რით ვანუგეშებთ რით გავახარებთ.

იქნებ კვლავ აღდგეს ჯალალედინი,
საქართველოსკენ იბრუნოს პირი,
გადმოანგრიოს მტკვარზე ჯებირი
და ასაკლებად მოადგეს თბილისს.

იქნება მოსკდეს ციდან გრიგალი
და შეგემუქროს ქართულო ცაო,
არ დაგვიტოვოს ერთი მიხაკიც
და ერთმანეთის ხორცი გვაჭამოს.

საუკუნეებს სისხლითა ვღებავთ,
მომავლის იმედს გვავიწყებს აწმყო,
ბავშვებს სჭირდებათ უღრუბლო ზეცა,
რით გვანუგეშებ ქართველო კაცო.

პასუხს ველოდი

კითხვაზე პასუხს დიდხანს ველოდი,
ვინ მოიტაცა მთვარე ხალასი,
ან გაზაფხული საქართველოსი,
ან საქართველო ასე ლამაზი.

სადაც ჩნდებოდნენ პაატა, ცხრა ძმა,
გალამაზებდა ქალი ორსული,
ხარ ურჯულოთა ცეცხლში ნაწრთობი,
როგორც ყაყაჩო ცალად მოსული.

ქართველმა ქართველს რაღა გიბოძო,
როგორ ჩაგხედო მყობადს თვალებში,
გალაღებულა ისევ ურჯულო,
ამ ულამაზეს ტურფა მხარეში.

სამარადჟამო სანთელი იწვის

სამარადჟამო სანთელი იწვის,
წინ-წინ მიიწევს აღძრული ვნება,
უფალო გმადლობთ ქალის შექმნისთვის,
კაცო გილოცავ ნეკნის გაღებას.

ჟამი მომყვება მათრახით ხელში
და გარინდებულ დროთა ქავილი,
მე ზამთრის ყინვა ქარი და თქეში,
შენ გაზაფხულის ნაზი ყვავილი.

ქუხს პოეზია, ფოთლებზე რთვილი,
კლდეებზე ნისლი, ქვევრში მაჭარი,
ატირებული აკვანში ჩვილი,
ყრუ აკლდამებთან ქარი საზარი.

შემდგარ სტრიქონებს,ვდგევარ და ვუმზერ
როგორ იღვრება მარგალიტებად
აგვისტოს თვეში როგორც თეთნულდზე,
სპეტაკი თოვლის გამონათება.

* * *

ო აღგვილია სათნოება მატულობს სევდა,
რეკენ ზარები ჭოტი ღამით ყეფით მაოსებს,
მწუხარებისთვის მოგგიწვიე სასოწარკვეთავ,
რომ წავსულიყავ ჩუმი სევდით სასაფლაოსკენ!

დავდე ზავი ნავსაყუდელს

დრო ყველაფერს ანადგურებს,
მიუწვდება რაზეც ხელი,
თუ სიცოცხლე არ გწყალობდა,
სიკვდილისგან რაღას ელი.

ეს ქვეყანა წარმტაცია,
რაღად უნდა ანი-ბანი,
მოვდივართ და მოვიმღერით,
მე და ჩემი კაეშანი.

ჟრუანტელი მივლის ტანში,
ხან მეწყერი და ხან ზვავი,
სიცოცხლეს და სიკვდილს შორის,
კიდევ ერთხელ დავდე ზავი.

ნავსაყუდელს გამოიცვლის,
ბუნება და ქარიც დგება,
ხან სიცოცხლე აგათრთოლებს,
ხან შეგხედავს ალმაცერად.

ფოთოლცვენას სად წაუვალ,
მიუყვები ნება-ნება,
ასაკს კბილი გავუსინჯე,
ფითილივით ხელში დნება.

წყარო მინდა შევსვა პეშვით,
არ ვნატრულობ მეფის ხანას,
მაშ ამ მიწას გაუმარჯოს,
ზეცასა და ზეცის თავანს.

გამაქანე დიდგორისკენ

სიცოცხლე ვერ შეანელა,
უღიღამო ფოთოლ ცვენამ,
გამიტაცა გრიგალივით,
ჩემი მერნის აღმაფრენამ.

გამაქანე დარუბანდზე,
შევატოვოთ ელვა ტაფობს,
გამაქანე დიდგორისკენ,
საქმენი ვქნათ საარაკო.

დაე, ჩვენი ნატერფალი,
შემოდგომის ქარმა ჰგავოს,
ერთხელ კიდევ ვეამბოროთ,
თამარივით ობოლ ტაოს.

გამაქანე მახმადხანი,
მეტეხისკენ გაჭრას ცდილობს,
გამაქანე კაეშანი,
საზანდარმა გადაჩრდილოს.

შენთანა ვარ სევდიანო,
ჩემო ჭარო ბელაქანო,
ჩემი მოსვლა სიზმარია
და გრიგალი უსახლკარო.

სამაჩაბლოვ აფხაზეთო,
ვერ გაგწირავთ როგორც ტაოს,
ედემი ხარ თვალწარმტაცი,
არა ძმათა სასაკლაო.

სიცოცხლე ვერ შეანელა,
უღიმღამო ფოთოლ ცვენამ,
გამიტაცა გრიგალივით,
ჩემი მერნის აღმაფრენამ.

აქ არის აქ არის, აქ არის,
წყარო და ის ჩვენი ბავშვობა,
ახლა მზე პირს იბანს.იმ ადგილს,
წუხელის, მთვარე რომ ვახშმობდა.

ლექსი ვარ, მეწყერზე, ნაგეში.
ნამეხარ ჭრილობებს ვიშუშებ,
ცდილობენ, შემხედონ თვალებში,
მათაც ხომ წარსულში მიმუხლთეს.

მაისი დედოფლად ირთვება,
მარტი კი მზადაა ზავისთვის,
მდუმარე ალავერდს მპირდება,
აპრილი გამსვლელი პაიკი.

არც ეს წელი არის ჩემთვის იღბლიანი,
ცივი ზამთარია ღამე გაიწელა,
დღე პატარაა თანაც ნისლიანი,
კვლავ თავს დამტრიალებს ფიქრი გაიძვერა.

ამიყვავილე მაისი

ხან ვარსკვლავებსა გადარე,
და ხანაც სავსე მთვარესა,
ამიყვავილე მაისი,
სამყოფად ვარდსა მხარესა.

როს სიო წამოუქროლებს,
მაგ შენსა დალალ-კავებსა,
ქეთევანივით ვეწამოთ,
ამ ტურფა არე-მარესა.

ისევ ღალატი ვინ ვისთვის,
მარტი თებერვალს შაეკრა,
აპრილი ატირებული,
მაისსა გულში ჩაეკრა.

ქარის ღრიალი

მარწუხებს ვუჭერ დღეებს დარჩენილს,
ვზომავ და ვუფრთხი ბილიკს შენამდის,
ეს დღეც წავიდა და მიიწურა,
ზღვარი დაუდო შეძლო ვერავინ.

და როს სჯობია ეჭვს აღარ იწვევს,
ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი,
და ხვალინდელი დღეების ჯიბრზე,
ჩემს განვლილ დღეებს ისევ გადავშლი.

ეს დაწერილიც თაროს შემოვდე,
ჰანგები დაცხრნენ ჩემს როიალში,
ვენაცვლებოდით ერთ-მეორეს,
მე შენ მარტი და ქარის ღრიალი

გილოცავთ ქალბატონებო დედის დღეს

სამარადჟამო სანთელი იწვის,
წინ-წინ მიიწევს აღძრული ვნება,
უფალო გმადლობთ ქალის შექმნისთვის,
კაცო გილოცავთ ნეკნის გაღებას.

ქალი ტაძარი, გუმბათი კალთა,
ქალი მშვენება, ცისა და მიწის,
განრისხებული ხანაც ავაზა,
ხანაც სევდისგან სასო მიხდილი.

დაუშრეტელო სიცოცხლის წყაროვ,
ლექსი მეწყერი მინდა მოგიძღვა,
ერთ დროს გოლგოთა გადანატარო,
ახალი ნეკნი თუკი მოგინდა.

* * *

ბავშვობა არის ლაღი და წრფელი
და სიჭაბუკე არანაკლები,
აღარ მადარდებს აღარ მადარდებს,
იყოს ეს წელი უკანასკნელი.

მატიანევ, შენ რას მეტყვი

ვარდს და სუროს ერთად სძინავთ,
ერთად მაცნეს გაზაფხული,
ბედმა რომელს დააკისრა,
საუკუნის აღსასრული.

როგორც ბედთან მონადირეს,
ვინ ამიღწერს დღეს რაც ხდება,
დედამიწა ვის ხელშია,
მისი ბედი სადა წყდება.

უძლურია დედამიწა,
უძლურია ვით ეს გული,
მერამდენედ ვაზიარეთ,
ქრისტესავით ჯვარს გაკრული.

ვხედავ ისევ მედროვენი,
კვალს სტოვებენ,წყლულზე წყლულად,
ვხედავ მათი სასაფლაოც,
ალმასებში გარინდულა.

როგორ გინდა შენ სიცოცხლე,
აისრულო ნება-ნება,
როცა თავად გალაქტიკებს,
მეეზოვე ენატრებათ.

მატიანევ შენ რას მეტყვი,
იქნებ მკადროს ვინმემ რამე,
ხანაც არაყს მივეძალე,
ხან თუთუნით მოვიწამლე.

როგორც ბედთან მონადირეს,
ვინ გამანდობს დღეს რაც ხდება,
საუკუნე ვის ხელშია,
ბედი მისი სადა წყდება

სილა გამაწნა

ო, ბედისწერავ, მე ისევ გენდე,
ვით სალ კლდეებზე ნისლი მცურავი,
ანგელოზებმაც არ შემიკედლეს,
ანგელოზებმაც მტკიცეს უარი.

ბებერი ცხენი გზაზე წამექცა,
მოქილიკეთა დასტას რა დალევს,
მიწიდან ცისკენ თვალი გამექცა
და მეუცხოვა ზეცის სიმაღლე.

კვლავ სიღარიბემ სილა გამაწნა,
უღირსთა ხროვა ქილიკობს ისევ,
ერთ კრებულს მაინც დავტოვებ თქვენთან
და მერე სული ცისკენ გაიწევს.

* * *

რაც არ უნდ დამტოროს დღეებმა
სამყარო დაიტევს ტიალი,
ეს ლექსიც იმ ტორებს შეება
ახელებს ვარსკვლავთა ციალი.

ქუჩები სევდისგან გაწვიმდა
დასრულდა უიღბლო რომანი,
დაბრუნდა ძველისძველ ალხაჯზე
ბავშვობის ნატრული ყომარი.

მითხარი რა დროა მითხარი,
მითხარი გაფატრულს ეჭვებით,
მითხარი, რომ არის სიზმარი
ეს სულში მქროლავი ნისლები!

* * *

დღევანდელობა კითხვებსა ბადებს,
ჟამმა გვარგუნა გველის ნარწყევი,
მოვა დრო,სული სხეულს დასტოვებს
ლექსი გამყვება ჩემი გზამკვლევი!

* * *

წამებულის ფიცი ვიგრძნო,
სადაც ჩვენი ბედი წყდება,
დასაწინდი დაიწინდოს
ვით ტალღათა მოძალება.

გეტყვი ტურფავ ამ ჰანგებზე
მოჩუხჩუხე არაგვი ვარ,
ხან ვთეთრდები ხან ვშავდები
ლექსსაც გიძღვნი არაფრისგან.

ნამეტანი წარმტაცია
გრძნობა, როცა ზენიტს აღწევს,
სიყვარული მეწყერია
წაგლეკავს თუ ზურგს შეაქცევ.

მითხარი რომ გაისარჯე
არ დაზოგე წრფელი გული,
მითხარი რომ არ არსებობს
სხვა რამ როგორც სიყვარული!

* * *

ჰანგეგებზე

არცა ვალსს გავუტაცნივარ
და არც შეგირდათ შოპენს,
მე ჩემი კიდობანი მაქვს
ჩემი მყავს ღმერთიც, ნოეც.

მადლობა დავით, ერეკლევ,
ქეთევან, დიად ცოტნევ
და ვინაც კიდევ ჩვენს მიწას,
სულს ნაკუწ-ნაკუწ მოჰფენს!

* * *

მეამაყები სამყაროვ და გულიდან ვერ გშლი,
და ყველა დილა ჩემთვის არის სიცოცხლით თრობა,
ქარი დაქრის და ღამე მიდგას წინაც სალეწი
და ფერხთით მიწევს მირაჟოვით მარადისობა.

ზოგჯერ ურითმო ლექსი ვიყავ, ზოგჯერ ცდუნება,
მზის საუფლოსი მსტოვარი ვარ, შენსკენ მოვილტვი,
ღმერთს შევავედრე წილნაყარი ჩემი ბუნება
სანამ საუფლოს, ჩემი რწმენით ისევ მოვღლიდი.

ვიცი, რამდენი ქვა მარილი უნდა მეჭამა,
რომ კიდევ ერთხელ დამერღვია ჟამის სიავე,
ჩემი ღალატი მიმიტევონ ბევრს თუ ეამა
მათ ნამსხვრევებზე მოვიშუშებ ჩემს ნაიარევს.

მზესა და მთვარეს ჯვრის წერაზე ვერ მივუსწარი,
თუმც მოვიხილე დღე და ღამემ როგორ იომა,
სულში ხელს მიყობს გახრწნა იწყო მარადისობამ
ცაც უკუიქცა დამაწია მეხის ხარხარი!

* * *

ცად ატყორცნილი გუმბათია ჩვენი ხედები,
ჩვენი ხედები მტრის გულებს, რომ ზეგნებს უსერენ
სანთლის წვეთივით მირონცხებულს დაგეწეთები
გვჯიჯგნონ სვავებმა სანამ ნისკარტს დაიჩლუნგებენ.

ცისკენ მზირალი მიზეზ-მიზეზ გავშინაურდი
ფეხი დამიცდა, წამოვდექი და ხმა გამეცი,
ხარის ნაოფლარს ზურგს ნუ აქცევ ყანავ დაპურდი
ლუკმას გავიყოფთ არავისთან არ გვაქვს სახვეწი!

* * *

იმ ლექს რა ვუთხარ წაიკითხო და
ხმა ვერ გაიგო სისხლის გრიალის,
ო, როგორ მინდა ო, როგორ მინდა
ბავშვობის წლებთან,კვლავ ხეტიალი.

მაშ, გაუმარჯოს ყველა მეხოტბეს,
ჩემი ლექსების ყველა მოტრფიალს,
უფრო ახლოს ვარ მარადისობავ,
როცა მუზებთან ვიწყებ ხეტიალს.

ლამაზი არის მაისში ყველა,
მაგრამ დავეძებ სულით ლამაზებს,
მე ვეტრფი შენსას, ყველაფერს, ყველას
დახვალ და სხვასაც რომ ალამაზებ.

მახსოვს მე ის დღე, როცა გაგიცან
და ის დღეც, როცა წიგნი გაჩუქე,
მე შენს ლარნაკში ფესვი გავიდგი
და სიცოცხლეში ნუ გამაჩუქებ.

მე სიცოცხლეში ერთხელ წავიქეც,
წამოვდექი და ისევ დავბრუნდი,
ლექსი ვიყავი მეწყერად ვიქეც
მეწყერი ვიყავ ლექსს დავუბრუნდი.

დალოცვილ იყოს კიდით-კიდემდის,
ვინაც შეიცნო სამშობლო მიწა,
და რომ უყვარდა მხოლოდ ის ერთი
სიკვდილის მერეც არ დაივიწყა!

* * *

ცა, ფიროსმანი, ნახატი მწველი,
წავეპოტინე უცხო ნაყოფს და
სთქვი პოეზიავ ჩემი უღელი
გეცოტავება უკვდავსაყოფად.

მგოსნის სიყვარულს აქვსო სხვა ეშხი,
მარადისობის მაცდურო წამო,
გზა არის ჩემი ელვით ნაგეში
ცისარტყელათა მკლავზე ციცაბო.

გზა არ მიყელო მომეცი სივრცე
მანათობელი ვარსკვლავი შორი,
ცას შევუხსენი ყველა საკინძე
და ვეპაექრე როგორც ტოლ-სწორი!

* * *

თუმცა უღელი დამიმძიმდ,ა მაინც მივათრევ,
ზოგჯერ ვნებებით დაოკილი, ზოგჯერ თავნება,
ელადის ღმერთი მაგიური, როცა ვინატრე
გვირგვინს ვიდგამდი პოეზიის ო, საოცრებავ.

უფრო ტკბილია მონატრებულ მთათა ნაჟური
ასე ამბობდნენ წინაპრები ჩვენი ძველად
და მთა გრეხილებს ქარბორბალა კვლავ გადაუვლის
გინდაც დაეცე წამოდექი, როგორც ელადა.

შეუმოსავ,ი ფეხშიშველი თუნდაც ცალ-ცალი,
ოღონდაც კრთოდეს კაბადონზე ერთი ვარსკვლავი,
და მე კი ვწერო, შედევრები ბოლო სუნთქვამდე
თუნდ ცხელი ლავა ბაგიბუგით პულსს მისინჯავდეს!

* * *

ერთი სათხოვარი მაქვს
მომისმინე, ოღონდ
ქუჩა-ქუჩა ნუ დაგაქვს
ეგ, სიმკაცრე გოგოვ.

რაცარუნდა ყინავდეს,
რაცარუნდა თოვდეს,
არ დაკარგო სინაზე
მუდამ თან დაგქონდეს,
არ დაუხშო კარები
გქონდეს მისთვის ღია.
უკეთესი მითხარი
თუ რამ გაბადია!

* * *

მიყვარს საქართველო ფუჭი სიტყვებია
თუ ვერ იდიდგორებ, მამულს თუ ვერ უვლი,
ხმალი მომხდურების კბილით გიკვნეტია,
თორი სარკინოზთა ზვავად შემართული.

ლერწმად გინახავდით, სამტროდ გაგიმეტეთ,
რაღა დაგვრჩენია, რაღა გვაიმედებს
ჭედდა სატევარი ცათა სასუფეველს.
მხმობდა წინაპარი თორის მოლოდინში,
ჩვენი მამულები მტერს ნუ განუტევე.

თორემ გაგამხილა ზემან შუა ძილში,
ქრება არწივეთი მხოლოდ ყვავის ჩვილი,
ავო მუსაიფო, გველო შხამიანო,
ნისლი მოგხვევია ჯაჭვის პერანგივით.

ალგეთ ლეკვებივით ვეღარ აბჯრიანობ,
ხმალი მომხდურების კბილით გიკვნეტია,
თორი სარკინოზთა, ზვავად შემართული
მიყვარს საქართველო ფუჭი სიტყვებია,
თუ ვერ იდიდგორებ მამულს თუ ვერ უვლი!

* * *

მთვარიან ღამეს როგორ შვენის ლალი ალმასი,
ცის კიდურიდან მოალერსე მაისის მზერა,
ჰე წამოდექი ვარდი კოკორს ამაღამ გაშლის
ნაღამურ ნისლებს მთის ნაპრალნი ელიან ჯერაც.

დღის სინათლეზე დაივანებს ღამის აჩრდილი,
განთიადს ელის სიმსუბუქე ჰარმონიული
სიოდ იღვრება უთენია სალი კლდე თლილი
მთასა თუ ბარაბ მოპაექრე ძალნი ციურნი.

დრო უნიათო გალეშილმა წლებმა შემუსრეს,
მეწამულ ზეცას სისხლიანი აჩნია ღარი,
ეს მეხთა –ტეხა დროებითი უნდა დასრულდეს
ქარვასლას მიწყობს გობელენთა მიმოდის ჯარი.

რაც გულზე მაწვა იმასა ვწერ მემატიანევ,
მემატიანევ, ტაძრებისთვის ვიღას სცალია,
აგერ შეხედე შეუმოსავთ გზები ლიანებს
და ჩვენი სევდა უკურნებელ ჯარად ავლია!

* * *

მიყვარს საქართველო, ფუჭი სიტყვებია,
თუ ვერ იდიდგორე, მამულს თუ ვერ უვლი,
ხმალი მომხვდურების კბილით გიკვნეტია,
თორო სარკინოზთა ზვავად შემართულო,
ლერწმად გინახავდი სამტროდ გაგიმეტე
რაღა დამრჩენია რაღა მაიმედებს,
ქრება არწივეთი მხოლოდ ყვავის ჩვილი,
ავო მუსაიფო, გველო შხამიანო,
ნისლი მომხვევია ჯაჭვის პერანგივით.
ღამის გუშაგივით ვეღარ ვაბჯრიანობ
ჩვენი მამულები, მტერს ნუ განუტევე,
თორემ გამამხილა ზენამ შუა ძილში
ჭედდა სატევარი ცათა სასუფეველს,
ხმობდა წინაპარი თორის მოლოდინში,
ისევ მოშურნენი ტვირთი ვეღარ ვზიდეთ,
ისევ შევეგუეთ ჩარხის წაღმა ტრიალს,
ტახტი შეგირყიეს ფრესკა შეგიბილწეს.
სისხლში ამოსვრილო, ერთ დროს ბიზანტიავ,
ლერწმად გინახავდი სამტროდ გაგიმეტე,
რაღა დამრჩენია, რაღა მაიმედებს!

* * *

ჩვენ შემოდგომა გვაერთიანებს
ყველა დრო მიყვარს, არ უჩანს ბოლო,
სექტემბერს ვჩემობ მე, დავიბადე
და ოქტომბერიც მიყვარს უზომოდ.

მე, შენ მიყვარხარ მრავალჯერ მითქვავს
ეს ვიცით სამმა მე, შენ და ღმერთმა,
შენ, ოქტომბერი და მისი სუნთქვა
მე, სექტემბერი მარგუნა ბედმა!

* * *

ო, აღგვილია სათნოება მატულობს სევდა,
რეკენ ზარები ჭოტი ღამით ყეფით მაოსებს
მწუხარებისთვის მოგიწვიე სასოწარკვეთავ,
რომ წავსულიყავ ჩუმი სევდით სასაფლაოსკენ!

* * *

ნაბიჯ და ნაბიჯ მოგიზომავ მთვარის ბილიკებს
ცოდვილ მიწაზე საზიარო მძულს ხეტიალი,
ჩვენს საიდუმლოს თაიგულად ცაში გავკიდებ
თუნდაც ცის თაღი ჩამოიქცეს ოხერტიალი.

ჩემი რითმაა ბოლო-ბოლო მივხვდი ახლაღა,
ცეცხლის ენები გაფანტული არე-მარეში,
უნდა გამიგო ჩემს ნაბიჯებს ფრთები შევასხათ
მერე, შევცუროთ სიმარტოვის ლურჯ მდინარეში.

მარადისობის გზებს შეგიმკობ აღჭურვილ ნდობით,
მერე კი მერე გალაღებულს რითმაზე რითმით
შევასკდებოდი ცათამბჯენსაც არ დავინდობდი,
გაფანტულ ღრუბელს ადევნებულ ქარაშოტივით!

* * *

უფრო ლურჯია დღევანდელი ცა,
ვიდრემდის იყო გუშინ, გუშინწინ,
უფრო სათუთი და უფრო ღრმაა
ასე არ მახსოვს, რატომღაც უწინ.

ერთ დროს მხიბლავდა აბჯარი თორი,
საცალფეხოზე სურო და მუმლი,
და გაუშლელი ვარდის კოკორი
უსასრულობის, რომ იკლავს წყურვილს.

მეუცხოვება რატომღაც ეს მზეც
და განშორება ვატყობ, რომ მიჭირს,
რამდენი ჩრდილი გადავაგორე
ვერ გავუქარწყლე ყოფა და იჭვი.

მთვარეც მარტოა და მეც მარტო ვარ,
ქარი საფრენათ რამის მზად არის,
ამ ჭადარივით სული მაქვს წმინდა
და ვიყოფთ სევდას ღია საყდარის!

* * *

დრო იცი?! –– გეტყვის გეყოფა, კმარა,
განრისხებული ხშირი წირვებით,
სამყარო კელტებს ნისლებით ფარავს
ეპოქალური გამოსხივებით.

მერიდიანსაც თვალწარმტაცს ხდიდა,
ცა ბრილიანტის საყურეს ისხავს,
სასთუმლად მიდევს იმ წელთა ხილვა
პრომეთემ რაიც ეპოქას მისცა.

გაუფერულდა მდელო და კორდი,
ცა ვარსკვლავები ქვეყნად სამყოფი,
რა სარგებელი ჩემი აქ ყოფნით,
ან რას დაკარგავ ჩემი არყოფნით.

ყოფნა არყოფნის ზავი იდება,
არ ვნანობ იმას, რაც ვუარყავი,
შანდლის შუქს ითხოვს ჭეშმარიტება
მეგზურობას კი ქარი აფთარი!

* * *

ო, ბედისწერავ ყოფნა არყოფნა,
ნაბიჯო ჩემო, გზავ უნაპიროვ,
ისე ვინატრებ მეორედ მოსვლას,
როგორც შენ მოხველ ერთ დროს აპრილო.

კი, მოვიხილე ყოფა რაც არის,
უზენაესი ხანდახან მბორკავს,
ვხედავ მოარღვევს ხევ და ხევ ქარი,
თოვლიან ზეგანს ძუძუს ულოკავს.

მწვავდა სურვილი, ნატვრა, შეგრძნება,
რომ ყოფილიყო ტანგო ან ვალსი,
დასალიერთან ჩემი შეხება
ცაში გაფანტულ ვარსკვლავთა მზგავსი.

უფანტაზიო ლექსებს ვეღარ ვცნობ,
აკრძალულ ხილზე წამასწრო ზენამ,
ისე დავაცხრი მახლობელ ტატნობს,
ვით დასალიერს არწივის მზერა!



ნიკოლოზ ჭიკაიძე – ფილოლოგი
დაბადების ადგილი – მცხეთა

TITANIUM

ზეციერო, გადმოხედე ექვს მილიარდს,
ლურჯი მზიდან მარადმწვანე დღე იშლება,
დედამიწის ნახევარი შეშლილია,
ნახევარიც ალბათ მალე შეიშლება.

ყველაფერი დაუკარგავს ადამიანს,
განთიადი შეცვლილია დაღამებით.
პოეზია ჩემი სულის ტაძარია –
ლექსებს ციდან ლოცვასავით აღვავლენდი.

მთვარე თეთრი ოცნებების სამოთხეა,
სურს ზეცაზე ვარსკვლავებთან რომანტიკა.
ჩემი გული საუკუნის ამბოხია,
მოთმინებით მომზირალი ხომალდიდან.

ვწყვეტდი მთვარეს ვარსკვლავების მტევნებიდან,
ტიტანივით ატლანტიდა გადავცურე,
დღეს გამოვალ საკუთარი მერნებიდან
და სამყაროს საიდუმლოს აღვასრულებ!

თუ ღმერთი გწამს, ნუღარაფრის გეშინია,
რადგან მხოლოდ უფალშია შენი შვება.
დედამიწის ნახევარი შეშლილია,
ნახევარიც ალბათ მალე შეიშლება...

მზეს მოვტაცე მოთმინება სალოსური,
ღმერთს ვუამბობ მოკვდავთათვის აღსარებას:
ცოდვის წვიმა – წარღვნასავით წამოსული,
ემუქრება საუკუნეს წასალეკად.

ტიტანიურ ზღვებს მუსიკით ვაწყნარებდი
პრომეთესთან მისტიური ომი მქონდა,
დღეს კაცთათვის დაფარულის გაცხადებით,
ღმერთებს ცეცხლი გამოვტაცე ოლიმპოდან.

ცისფერი მზე ლოცვასავით ცას მიადგა,
აბრეშუმის ღრუბლებიდან სულს აღანთებს,
როგორც ნოე – პოეზიის პატრიარქად
დედამიწას სათნოებას უქადაგებს.

სიოსავით არ იძვრება დროც არსაით,
კვლავ მოითხოვს ფიროსმანი სათნო ღვინოს,
რომ წარსული – მარადმწვანე დროშასავით
ღრუბლებიდან ცისარტყელად გადმოფინოს.

თუ სამყაროს განთიადი შეცვლილია,
საუკუნეს გადასცდება შენი მცნება...
დედამიწის ნახევარი შეშლილია,
ნახევარიც ალბათ მალე შეიშლება...

ხვალ იქნება ანგელოზთა ცაში კრება,
მინდა, ზეცა მოწყალებით გადავკვეთო.
ყველა ქალაქს უწერია დამშვიდება,
წილად ხვდება მრისხანება არმაგედონს.

მოჩანს ქრისტე – ღრუბლებიდან მხრებგაშლილი,
და ბავშვივით საკუთარ თავს ვკარგავ ურცხვად.
ჩემი სული – დღეს წიგნივით გადაშლილი,
მალე ღმერთმა მოწყალებით გადაფურცლა.

აქ წერია – რასაც ენა ვერ აღგიწერს,
რომ მეგონა, დედამიწის შემქმნელს ვგავდი,
გამაოგნა ჩემი სულის სიმახინჯემ,
რასაც დღემდე ვერასოდეს ვერ ვხედავდი.

ვფიქრობ, მორჩა, მე საერთო რა მაქვს ღმერთთან;
ამ დროს მღვრიე ჯოჯოხეთის ხმა მომესმა,
მაშინ ქრისტემ დამშვიდებით შემომხედა
და ამგვარი მოწყალებით მანუგეშა:

კმარა, შვილო, ნუღარაფრის გეშინია,
რადგან მხოლოდ უფალშია შენი შვება...
დედამიწის ნახევარი შეშლილია,
ნახევარიც ალბათ მალე შეიშლება...

დღეს დაისი ედემისფრად დაიბინდა,
მარადმწვანე სიფერადით გხატავ სულო.
მაშ, გამოვალ საკუთარი მერნებიდან,
რომ სამყაროს საიდუმლო აღვასრულო!

დღემდე გული მცოდველობამ გადარია,
ყოველივეს საკუთარი გვწამდა ღმერთი.
პოეზია ჩემი სულის ტაძარია –
ლექსებს ციდან ლოცვასავით აღვავლენდი.

საკუთარ თავს მსურს დავუსვა გამოცანა,
სიკვდილამდე, ვიდრე პატივს ვცემ გონებას:
დედამიწავ, აქამდე რამ გამოძრავა,
რომ არასდროს მოგიწია შეყოვნება.

მსურს, შევხედო გალაკტიკის სულს გარედან
და შევკადრო, ადამიანს რაც არ უთქვამს:
შენ შეიგრძნობ შენი სულის უკვდავებას,
მაგრამ მაინც თავს იმეტებ დასაღუპად.

ადამიდან ქედმაღლობის დგას ქაოსი,
სიბნელისგან სინათლე ვერ განვასხვავე,
როცა „მე ვარ“ ერთადერთი სამყაროში
„ყველას გამო ყველაფრისთვის დამნაშავე".

მაგრამ მჯერა, უფალი არ დაგვივიწყებს,
ცოდვის გამო რაც არ უნდა დავუძლურდეთ;
დედამიწის ნახევარიც გაიღვიძებს,
რომ სამყაროს საღი აზრი დაუბრუნდეს...

ღმერთს რომ ასული ჰყოლოდა

ვარ საუკუნის მხედარი
და ბოლო ჟამის ბოლოთქმა...
რა იქნებოდა ნეტავი,
ღმერთს რომ ასული ჰყოლოდა.

მე მსურდა, ქრისტეს დიდება
სამშობლოს გზად გამყოლოდა.
თან მუდამ ის მაფიქრებდა,
ღმერთს რომ ასული ჰყოლოდა.

სამყაროვ, ერთი მისმინე,
ასე რამ გაგაბოროტა? –
წამით შენც წარმოიდგინე,
ღმერთს რომ ასული ჰყოლოდა –

დრო სულით შეიძვრებოდა
და სიბრძნით განიღმრთობოდა...
ნეტავ, თუ შეიძლებოდა,
ღმერთს რომ ასული ჰყოლოდა.

ცაც ლურჯად განათდებოდა
სულით მზის საიმთოვოდან...
იქნებ, შენ დაგმსგავსებოდა,
ღმერთს რომ ასული ჰყოლოდა!

სიტყვის სასახლე

ბინდში ზედაზნიდან ვიხედები.
ვფიქრობდი, აქ ქრისტეს რა ნახავდა.
ჰყვავიან ზმნები და ზმნიზედები
და მღვრიე ღრუბლების გასაყართან

მე ვდგები. მკლავს ფიქრი და სურვილი.
თვლემს მთვარე რკალივით გადახრილი.
შენ სდუმხარ კვლავ ღმერთის ასულივით,
და ღამე სიზმრებით გადაღლილი

მოიწევს ღრუბლების სასთუმალთან.
ჩამესმის წვიმების ხმა და თქეში.
კუპრისფერ ეპოქას გავცურავ და
შევდივარ სიტყვების სასახლეში,

რომელშიც ამ სულმა იყვავილა
და ღმერთმა ზეცაში იამაყა.
მე მუდამ ღარიბი მდიდარი ვარ –
სიტყვა მაქვს ასხმული იარაღად,

რომლითაც მითებში გადაგიყვან,
სიცოცხლის სიფხიზლით დანათრობი.
მე და დრო ბავშვობის ასაკიდან
როდესაც სიტყვებით ვთამაშობდით,

შეშლილი წვიმების გადარევით
სიზმრების სასახლე ავაშენეთ...
დღეს მორცხვი ღრუბლების აკვარელით
ღმერთების სტრიქონებს გაგახსენებ:

თუ პური სიძველით დაობდება,
თუ წყენას ვერ იშლი გონებიდან,
თუ სული სიცრუით ჭაობდება
და დღეებს კვლავ ხავსი მოეკიდათ,

სიმართლეს სიცოცხლე გააჩნია,
თვალებით სულსაც რომ მიმალავდე.
ცხოვრება ღმერთების თამაშია...
ამ მკვდარი დღეების ფინალამდე

ეპოქა სხვა დროში გადამყავდა
დამშრალი გონების განედიდან...
და მღვრიე ღრუბლების გასაყართან,
მდინარის მოწყალე თვალებიდან

კვლავ სულის სარკეში ვიხედები,
და შუა ლექსების მკათათვეში
დავტოვე ზმნები და ზმნიზედები
მზისფერი სიტყვების სასახლეში.

აპოკალიფსი

მოგელოდა შენდობა. ქრისტეს აღმსარებლობამ
გამცნო სულის შეცნობა. დარჩი შეურაცხადი,
და კვლავ შენსას არ იშლი...
გაფითრებულ შენობის შენ სიცოცხლეს შვენოდი
და სიკვდილი შემოდის, რადგან გამოაცხადე
ქვეყნად აპოკალიფსი!

დადგა ღამე უკუნი – ვნებით გადაბუგული
და სიკვდილის გუგუნი საუკუნეს სცილდება!
ფრთების ცემით ემონა

წყვდიადს დილა მზიანი, სულს დაატყდა ზიანი,
სადაც ადამიანი ირგვლივ წარმოჩინდება,
გადიქცევა დემონად.

შემზარავი აჩრდილი, თვით სიზმარში განცდილი,
მოჩანს ხელებგაწვდილი, უკაცრიელ კუთხიდან
ჩემ წინ დაიბინადრა,
წყევლა წყევლამ აიკლო, სული გრძნობამ გაიხმო,
გზა ვერავინ გაიგნო, ღმერთო, ამ ბურუსიდან,
ვინც სიცოცხლე ინატრა.

ფანტაზიურ საგნებთან აღტაცება გაღმერთდა!
მოთქვამს სულში სხვა ღმერთი, მოთქვამს თავგამეტებით:
"ცეცხლითა და მახვილით"...
ლუციფერის იდეა ახლა დიდზე დიდია,
დედამიწის რიდეა ცრემლის მარგალიტებით
გლოვის გამოძახილი!

სადაც მოიძახიან: წყევლა თქვენზე ახია,
ყველგან შენი სახეა, ღვთაებრივი სინდისით
ყველგან შენი სულია!
საუკუნე რბიოდა, სისხლის ცრემლი სდიოდა...
ვხედავ, კაცობრიობა – ჯოჯოხეთის პირისპირ,
სულმთლად განწირულია.

ამაოა ყოველი, ხსნას მე აღარ მოველი,
რადგან ცეცხლის მორევი, მუდამ ჩვენთან მყოფელი
არასოდეს გვშორდება.
დაივიწყე მზიური სასწაული – ციური,
სადაც მარადიული ძილი და უშფოთველი
წამი აბობოქრდება!

ფანტაზიამ ამგვარმა, სული წყვდიადს ამგვანა,
დასწვი ცოდნის ლამპარი, დასწვი, ქარს გაატანე,
ახლა წარსულს ბარდება...
მივდევ უცხო ნაბიჯებს, სულს ვედრებას ანიჭებს,
ჯოჯოხეთის კარიბჭეს, როგორც ცას იადონი –
უხმოდ მიემართება.

განწირული საუბრობს ოკეანის საუფლო:
ყველაფერი დასრულდა, სუნთქვას ვეღარ შეიგრძნობ
მზის სიცოცხლის იერით!
მწუხარების დიდება ფანტაზიას სცილდება...
დროში დაემკვიდრება წამით და უსასრულოდ
ქვეყნის დასალიერი...

მოგელოდა შენდობა. ქრისტეს აღმსარებლობამ
გამცნო სულის შეცნობა. დარჩი შეურაცხადი,
და კვლავ შენსას არ იშლი...
გაფითრებულ შენობის შენ სიცოცხლეს შვენოდი...
და სიკვდილი შემოდის, რადგან გამოაცხადე
ქვეყნად აპოკალიფსი.

სიტყვისყლორტი

მზის სხივებს კენკავდნენ ბეღურები,
როცა მე ვერცხლისმდინარის წინ
ანდაზების ჩრდილში ვისვენებდი
და სხეულგაცვეთილ ასოთაგან
უცხო სიტყვისყლორტი ამომყავდა.

წარსულის ყველა საფეხურს
ნაბიჯ – ნაბიჯ რომ გავუყევი
და ყველა მოგონება წამოვკრიფე
ვერცხლისმდინარის თვალებიდან,
სიტყვები – საუკუნის სულში მსხდომნი
ყორნებივით აიშალნენ,
ზეცას სუდარასავით გადაეფარნენ
და თითოეული თავის ხმაზე
მოთქვამდა რაღაც გაუგონარს.

მე კი გავიფიქრე: უნდა მოვახერხო
მათგან დროზე გაცლა...

მერე, ანდაზების ჩრდილში მყოფმა
მოულოდნელად დავხედე
იმ სიტყვისყლორტს,
სხეულგაცვეთილ ასოთაგან
რომ გამოვძერწე, და...
დიდება ღმერთს: მას უკვე
ლექსისნაყოფი გამოჰქონდა...

დრომ ყველა ტკივილი
ქვიშისსაათივით რომ წამოაპირქვავა,
მათი წყალობით დღეები
სიტყვისყვავილებად გადაიქცნენ
და ჩვენი სულის სიღრმეში
პაწაწინა პეპლებივით აციმციმდნენ,
მაშინ დავრწმუნდი:
რომ "ღმერთი იყო სიტყვა იგი"...

როცა ზეცისკენ გავიხედე,
დავინახე:
რომ ყორნები გამქრალიყვნენ,
სამყაროს სუდარა გაეხადა,
მზის სხივებს კი კვლავ ბეღურები
კენკავდნენ მადიანად.

დღეს

მთვარე სამყაროს მონოლითია,
ზეციდან სანთლად ჩამოღვენთილი.
ეს შუაღამეც როგორ მშვიდია,
ჯვარზე გაკრული ქრისტე – ღმერთივით.

ნეტავ, ბავშვობა რა გამახსენა,
მზის უკვდავებით გარემოსილი...

დროსაც ღიმილი დასთამაშებდა
ბაგეზე, წმინდა ანგელოზივით.

წარსულს მოჰყვება მრავალწერტილი,
მივეგებები მარტის სინათლეს.
დრო კი ცხოვრებით ქანცგაწყვეტილი
გარბის და ახალ ცოდვებს მიმატებს...

შენ

წვიმდა, წვიმდა, წვიმდა წყნარად,
წვიმა სულში ჩამეღვარა,
შენ კი ჩემგან კვლავ შორსა ხარ... შორს...

თოვდა, თოვდა, თოვდა ლურჯად,
თოვლი სიკვდილს გადაურჩა,
მაგრამ მაინც ვერ გაექცა დროს.

ქროდა, ქროდა, ქროდა ქარი...
ჩნდება მთვარის სალოცავი
და ჩემ გულში ახალ იმედს ქსოვს...

დრო შემომხვევს ცისფერ მკლავებს,
დარდსაც წლები წალეკავენ,
შენც უეცრად ხელს სხვა ვინმე გთხოვს.

დადუმებულ ქრისტეს ზარებს
წამით სულში დარეკავენ
და გაჰყვები წვიმას, ქარს და თოვლს...

მე, შენ და ღმერთი

თოვლს მოსვლა ისევ მე მოვასწარი.
დუმს მთვარე, ღამის მონა – მორჩილი.
გუშინ ჩვენ ღმერთმა დაგვწერა ჯვარი
და დღეს ზეცაში გვქონდა ქორწილი.

იყო სიზმრების გადაფითრება,
მერე გაიხსნა სულის ჯებირი
და დაივანეს თოვლის ფიფქებმა –
ხეებზე მსხდომი ბეღურებივით.

მახსოვს, იების მზესთან ქილიკი
როგორ გიყვარდა გაზაფხულობით.
ჩვენ ცისარტყელის ფერად ბილიკით
ყოველდღე თითქმის უფალს ვსტუმრობდით.

მალე ჩვენ გვერდით დროც ამოძრავდა,
დადგა სამოთხის სათნო ბილიკზე –
უფალი როცა მშვიდად გვმოძღვრავდა,
ანგელოზები გარს რომ გვივლიდნენ.

მერე აიმღვრა ცა მოწმენდილი,
ბავშვივით წრფელი და მომღიმარე,
ის დროც – თოვლივით ჩამოფერფლილი
თანდათან იქცა ცრემლის მდინარედ.

რადგან იმ გრძნობას ვერ ვუერთგულეთ
და აღარც უფლის ვართ მოკავშირე,
ცალ-ცალკე ზეცის ბილიკს შევყურებთ
და თვალზე ცრემლი გვწყდება მაშინვე...

მე და შენ

ღმერთს სამოთხიდან
მარადმწვანე მზეს გამოვტაცებ,
დროა შესაქმის – სიცოცხლის დროა.

შევქმნი სიყვარულს დედამიწაზე:

მთვარის სულიდან გამოვძერწავ
ჩემ საუკუნეს,
და დროს შთავბერავ სულს სიტყვისაგან.

გამოვაფხიზლებ:

დამშვიდებულ ზღვებს,
უფერულ ქარებს,
ფეხზე მდგომ ხეებს.

მერე შენ შეგქმნი,
შეგქმნი მთვარის სულსავსე ყვავილს

და შენ დაჩრდილავ:

ვარდსადიდებელს,
ფეხადგმულიებს,
ცისორქიდეას.

ჩვენ ერთმანეთი ისე გვეყვარება,
როგორც:

კაკტუსს – უდაბნო,
სულს – ოაზისი,
ცას – ვარსკვლავთხედი.

ჩვენ ორნი აღვზრდით საუკუნეს
თოთო ბავშვივით,

და შევასწავლით:

თავისუფლებას,
იესოსხსოვნას,
მზისფერსიყვარულს,

რომ საუკუნოდ:

უძირო ზღვები კვლავ ამოძრავდნენ,
ქრისტეს ქარები კვლავ ბობოქრობდნენ,
ხეებმა სულში სულიშრიალონ...

ადამიანები

ბინდში რომ იები
ბიბლიისფრად აბიბინდებიან,
ცა ნისლებს შემოიფრცქვნის
შემკრთალი სხეულიდან
და მთვარე აინთება
ჟასმინის სურნელებით, –
ისევ აღდგებიან უდაბნოში
სხვადასხვა ფერის ადამიანები
და სიცოცხლით შეიმოსებიან
ყვითელი, შავი და თეთრი
ფერის ქსოვილისგან,
რომ შავ – ბნელ სამყაროში,
სულდამშრალ ოაზისში
ობობას მრისხანე
სურვილით განიკვებონ.
დრო ერთს ღრმად ჩაისუნთქავს
და უმალ ღმერთს შესთხოვენ:
"გამოჩნდი, რომ გიწამოთ"!
ბინდში რომ იები
ბიბლიისფრად აბიბინდებიან,
ზეცა რომ ვარსკვლავებს დაამწიფებს
ზეთისხილის ნაყოფივით,
ადამის მედროვე გვამების
მკვდრადშობილ მომავლიდან
დახედავს ანგელოზი
"კურთხეულ" სამყაროს –
შიშველს და ობმოდებულს,
მერე კი თავს დახრის
საბრალო იობივით
და ღმერთს თვალცრემლიანი შეჰღაღადებს:
როდემდე?!!

ფანტაზიის სურათი

ცაზე, მთვარის სალოცავთან
ღვინოს ვსვამდი გუშინ,
სამი ღმერთი ამოძრავდა
ფიროსმანის გულში.

დილით მთვარემ ალიონი
ამოქარგა მკერდით,
იდგა მტკვარი და რიონი
რაფაელის გვერდით!

ცამ ცრემლებით დაამდორა
ვარსკვლავების კალთა,
მზე ღრუბლებში ნაამბორალ
ალიგიერს ჰგავდა!

მკლავდა ფიქრი და სურვილი
მზის ტაძარზე წმინდა
და ცა ღმერთის ასულივით
უკვდავ სტრიქონს ქმნიდა.

ვიდრე მთვარე დაფრინავდა
ვარსკვლავების ირგვლივ,
სამი ღმერთი აღიმართა
ღვთაებრივი წიგნით...

მაშინ, როცა დაფიქრებით
დაფრინავდნენ დროსთან,
მათ ცხოვრება ერთი ბედით
განსაზღვრული ჰქონდათ!

და ყველასგან განსხვავებით
დღეს ერთურთის ნახვით,
კვლავ შეამკეს ვარსკვლავებით
პოეზიის თაღი...

ცა ღრუბლებში დაფერფლილი
გამქრალიყო სულაც
და ვუმზერდი ღვთაებრივი
ფანტაზიის სურათს.

დილით მთვარემ ალიონი
ამოქარგა მკერდით
და ბრწყინავდა კვლავ რიონი
ფიროსმანის გვერდით!

ყველა ფერი

ვუამბობ მცხეთის ცას ბიბლიურ წერილზე
და სულში ამოვა დღეს ქრისტესფერი მზე.

დროს გადავეხვევი და ღვინოს დავისხამ,
შევმოსავ სამყაროს კვლავ ფიროსმანისფრად.

ვინც იგრძნობს ეპოქის ტკივილს და გულისთქმას,
აგინთებს ლექსებით ცას საუკუნისფრად.

მზე სულ სხვა ოცნების განედებს მისდევდა,
ვერც სული ვერასდროს გაედემისფერდა.

მწყინს, ჯვარზე გაკრული დღეს რომ არ მიხსენი,
გწამს ათასწლეული შენც ხომალდისფერი.

შორს მიაქვთ ნაღველი ზღვებს ნოეს თილისმად,
მე ვხედავ სამყაროს დღეს პოეზიისფრად...

ციფერბლატი

მე ვინაიდან
ყველა დროში მაქვს ნაცხოვრები
და ვერც ერთმა დრომ
საკუთარ ორბიტაში ვერ მომაქცია,
დანამდვილებით მჯერა და მწამს,
რომ ადამიანი
ერთხელ და სამუდამოდაა ამქვეყნად მოვლენილი,
რომელიც შეიქმნა
ღმერთის ყველაზე დიადი ფიქრის შედეგად,
სხეულს კი ასე გამუდმებით იმისთვის იცვლის,
რათა ხელახლა წარმოგვიდგეს
სახეშეცვლილი ფორმით
და გაშმაგებით აედევნოს
იმ ყველა თავის აბსურდულ მიზანს,
რაც ვერ შეძლო რომ განეხორციელებინა
ერთ სხეულში ყოფნისას...

თავად განსაჯე: რა იცვლება ამ სამყაროში,
თუ ის, რაც მოხდა,
გამუდმებით კვლავ მეორდება?!
და თუ ბუნება შლის თავის სულს
მრავალ ნაწილად,
რომ ისევ აღდგეს და დაიშალოს,
მაშ, ერთდროულად "მთელიცაა" და "ცვალებადიც",
და მას გარდაქმნას შენ როგორ მოსთხოვ? –
ქარს ვერ უბრძანებ – ჩადექიო,
ვერც ზღვას, რომ დაშრეს,
წვიმას ციდან ვერ შეაჩერებ
და მზის ლურჯ ღიმილს...
ადამიანის ბუნებაც ხომ სწორედ ასეა:
ვერ ამოაცლი საგულედან იმ ნება – სურვილს,
თავისი სულის გამოძახილს რაშიც პოულობს.

... და ეს სიტყვები წარმოადგენს
ყოველთვის აბსურდს,

სასაცილოა, როცა ამბობ: "ვაპირებ წასვლას",
შენ ვერსად წახვალ,
ვინაიდან ერთ წრეზე ბრუნავ
წელიწადის იმ დროებივით,
რომელთაც დღემდე გაქცევაზე
არ უფიქრიათ,
მაგრამ თუ მოხდა სასწაული
და თავს დააღწევ
დედამიწის ამ მრგვალ დერეფანს,
მაშინ დაბრუნდი და გვიამბე
ამის შესახებ...

დრო წელს მიითრევს გამუდმებით
კუს ნაბიჯებით,
წვიმის წვეთივით უწკაპუნებს
სხეულს ციფერბლატს,
რომ დაიფერფლონ ვარსკვლავივით კაშკაშა წლები,
და დემონივით ბნელი ღამე აღმოცისკარდეს,
და როცა ღმერთი, ჩვენი ღმერთი დარჩება მაღლა,
ჩვენ დავრწმუნდებით, იმაშიც კი, რაც არ ვიწამეთ:
კაცობრიობა, რომელიც შექმნილია
ღმერთის ყველაზე დიადი ფიქრის შედეგად,
დასაბამიდან ადამიანს
ერთ "ადამში" ანსახიერებს,
რომლის სულიცა და სხეულიც
დაყოფილია იმ უთვალავი
მანათობელი გალაკტიკის მსგავსად,
ზეციურ თაღზე რომ ჩამომსხდარან
მილიარდი ვარსკვლავის სახით
და დღემდე განასახიერებენ
წამის ნიშნულთა იმ მუქ წერტილებს,
მწკრივში მდგომნი რომ
არსაიდან არსად იძვრიან...

მზის სურნელი

საათი. კალენდარი. დროის ათვლა. –
მე მათ დავიწყებას გისურვებდი...
მთებზე შემოდგომა მოკალათდა,
იგრძნო სექტემბერმაც მზის სურნელი.

მოძღვართან ტაძარში საუბრები,
მტრედების გოგმანიც მენატრება.
... დამლოცე მამაო – ვეგებები,
ღმერთმა დაგლოცოსო – შემაგება!

ის, ვინც შეგინდობდა, კვლავ შეგინდობს,
რადგან ქრისტეს აქეთ გწყალობს ბედი...
მალე ღმერთი იტყვის – აღდექითო,
და შენც საფლავიდან წამოდგები.

ცა ლურჯი ცრემლებით გაწვიმდება,
მერე კი ცისარტყელად გაიცინებს,
მრავალი ლაზარე აღდგინდება –
ბრმათაც მიეცემათ თვალისჩინი.

ეს გვიან... სათქმელსაც არ განგივრცობ,
აგიხსნი, ამას რად ვიხსენებდი:
თითებზე წლებს კი ნუ ანგარიშობ –
ადიდე ცოცხალი ქრისტე – ღმერთი!

საათი, კალენდარი, დროის ათვლა, –
არის ერთი დიდი სისულელე...
მთებზე შემოდგომა მოკალათდა,
იგრძნო სექტემბერმაც მზის სურნელი.

ეპოქა და ადამიანი

ღმერთებმა ლექსის შექმნა შემთხოვეს,
მომავლის ჯილდოდ მხვდება წარსული.
არასდროს აკლდა სმენა ბეთჰოვენს –
სამყარო იყო სმენადახშული.

ქარმა მსოფლიოს სევდა მობეროს,
ცას პოეზიის რითმად ჩავბარდი.
ვიდრე ართმევდი ხედვას ჰომეროსს,
შენ, დედამიწავ, ვით არ დაბრმავდი?!

მზეს ამოვყვები აღმოსავლეთით,
რომ მარადმწვანე სხივად ჩამოვდგე.
თუკი ჯოჯოხეთს არ გრძნობ დანტეთი,
როგორ იხილავ თვალით სამოთხეს.

მოჩანს ღრუბელი – ზეცის ნარინჯი,
დღეს უკანონოდ იქნებ არ ვმსჯელობ,
და ბედნიერი იყო და ვინჩი,
ან ღვთაებრივი მიქელანჯელო.

ჭირს ხელოვანის ბედის განდობა,
თავი უღმერთოდ ვისთან ვიტყუოთ.
რისთვის მოიჭრა ყური ვან – გოგმა,
მაშინ, მსოფლიოვ, ნუღარ კითხულობ.

შენ რომანტიკულ ჰანგებს შემოთოვ,
ზეცა დიდებით დგას დახუნძლული,
მერე უფალი ბრძანებს: ლერმონტოვ,
სიკვდილი შენთან გახდა უძლური.

პეტროპოლისთან თეთრი ცა იდგა,
დრო ცვალებადი გახდა მარტივით,
ვერ დაიბრუნა ღმერთი ცვაიგმა,
ჯეკ ლონდონივით წახდა მარტინი.

როცა ეპოქის გვერდით არა ხარ,
დროება ჯერ არ გკადრებს არაფერს,
მაშინაც, თუკი – ბედის თანახმად,
"მერნით" ქართულ სულს ცამდე განაფენ!

შენ ანგელოზის ფრთები შეისხი

შენ ანგელოზის შეისხი ფრთები
და შეუერთდი ზეცას მაშინვე,
მაგრამ მსუბუქი შენი ზვირთები
დღეს დედამიწას ისევ აშინებს.

შენ ანგელოზის ფრთები შეისხი,
სამყაროს თვლიდი ნოეს კიდობნად –
და ტალღის ზვირთად გადაქცევისთვის,
ბოლოს, სიკვდილი ჰპოვე მშვიდობად.

თუ დედამიწას შეინივთებდა
ხმა კოსმოსიდან – მრავალფერადი:
შენ ანგელოზი შეისვი ფრთებად,
თვალებით ცას და მიწას ზვერავდი.

შენ უღმერთობის ქაოსი გმოსავს,
ეძებ იდუმალ ნიშნებს განღმრთობის:
შეხედავ ქარში გათელილ შროშანს
და ულმობლობას ახალგაზრდობის.

მიდიხარ... და თავს აფარებ ბინას,
თვლი, სიცოცხლეზე ფიქრი არა ღირს...
ციდან უცნობი გრიგალი გრგვინავს
და კვლავ არ ესმის ეს ხმა არავის?!

ო, მწუხარებავ, მზესთან მერკური
ღმერთმა შენს გულში ცეცხლად დაანთო.
მთვარე – ზურმუხტის თვლებით შემკული,
გიხმობს ზეციდან სამასლაათოდ.

მიხვალ... დადგები სუნთქვაშეკრული,
ბნელში უეცრად იგრძნობ: შეგცივდა...
და ანგელოზი შენ, ფრთებშესხმული,
კვლავ "დემონივით" გიმზერს ზეციდან!

და უსვამ კითხვას სულის თანასწორს:
თუ ახლო დგახარ თანაგრძნობასთან,
ნუთუ სიკვდილი ყოფნას არა სჯობს?
და უშფოთველად სული მოგმართავს –

გირჩევ, წამიერ აღმაფრენისთვის
ბნელში სიცოცხლის წამებს ითვლიდე;
ჯერ ანგელოზის ფრთები შეისხი
და შემდეგ ჰპოვებ სიკვდილს სიმშვიდედ!..

ო, მწუხარებავ, მზესთან მერკური
ღმერთმა შენს გულში ცეცხლად დაანთო!
მთვარე – ზურმუხტის თვლებით შემკული,
გტოვებს ნისლებთან სამასლაათოდ...

და ტალღის ზვირთად გადაქცევისთვის,
ბოლოს, სიკვდილი ჰპოვე მშვიდობად...
შენ ანგელოზის ფრთები შეისხი,
შენ ანგელოზის ფრთები შეისხი!

დავით ლომიძე – ბიზნეს ადმინისტრატორი
დაბადების ადგილი – ხაშური

* * *

ცოდვის ფიქრები დამაწვა სევდად,
სევდამ აქცია ლექსად მელანი....
უფალო, გზები არა ჩანს, ბედად,
ცხვრის ფარას ვგავართ, ახლა ყველანი!

ეშმა შეუყვა ცოდვების ბექობს,
უსამართლობის განცდა გამეფდა!
გაბოროტებულ ჩვენსავე ექოს
უკან ვიბრუნებთ, ცოდვის კარებთან.

ავცდით უფალო, ბილიკებს შენსას,
შენს მიღმა ვეძებთ, ბილიკებს ახალს....
და, უნებლიედ შეცდომით შემცდარს,
შეუბრალებლად ჩავარსობთ ლახვარს!

ჩვენ დაფიქრება სხვაგვარი გვმართებს,
რომ, მხოლოდ უფლის აღსრულდეს ნება....
სხვაგვარად, ერის ხსნა არ იქნება,
სჯობს, გავიხსენოთ ჩვენ ათი მცნება!

***

შემოესია მუხას ყორანი,
ჯერ რკო დაჯიჯგნა, მერე ფოთოლი!
და, ახლა, ფესვებს აშორებს მიწას,
სურს, დაგვიტოვოს ნერგი ობოლი.

და სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძვის,
ვით განწირული ლომი ღრიალებს,
თუმცა, საშველად არავინ იწევს,
ბერ მუხა ძლივსღა, სუნთქავს, შრიალებს.

ჩამოამტვრიეს მუხას ტოტები,
თვალცრემლიანმა მზემაც იგლოვა,
მთვარემ სევდისგან სული დალია
და შებრალება უხმოდ ითხოვა.

გარს შემოარტყეს მძიმე ჯაჭვები
და, ქრისტესავით, მათრახით სცემენ!
მუხა ბებერი საქართველოა,
მტრებს არ ანახვებს სისხლისფერ ცრემლებს...

არ გატყდე, მუხავ, ნუ დაეცემი,
ოდეს იყავი დაუთმობელი,
შენთან არს შენთვის ჯვარცმული ღმერთი,
კალთას გაფარებს, კვლავ, ღვთისმშობელი...

***

მხოლოდ ღამეა, ჩემი სადარი
აჰკიდებია ჯვარი, საზიდად
მასაც ჩემსავით, ლაღი ღიმილი
მოშორებია ვატყობ სახიდან.

გარინდებული და ქედ მოხრილი
ამოგორდება მთებიდან მთვარე,
და მაშინათვე, ჩემ სანუგეშოდ
კალთად მაფარებს უკუნით ღამეს.

შევიმალები კალთების შორის
და ამოვიდებ თავ-ქვეშ ბალიშად.
გათენებამდის, ნიაღვარდ მოდის
ცრემლი ნადენი, ჩვენი სახიდან.

ტირის ღამე და ჩემ სანუგეშოდ
ვარსკვლავებს ცაზე აათამაშებს.
მეც გავმხნევდები, ლაღი ბავშვივით
მთვარე ღამესთან გამათამაშებს.

გათენებისას, შეწყდება სევდა
ახალი დღისთვის გრძელდება ხანა,
ნეტავ გულიდან, ან ცხოვრებიდან
ეს სიმარტოვე როდისღა წავა?

***

ღამეს შეჰპარვია, დილის ალიონი
ღელვა დასტყობია ზეცას,
სოფელს მოსდგომია თურმე მაყრიონი
მზე კი, ოქროს სეფას ძერწავს.

ჩოხა-ახალუხში ნეფე ბატონი და
მხარში ამომდგარი ქალი.
ღმერთო შენ დალოცე ჩემი ქვეყანა და
მდორედ მოდუდუნე მტკვარი

ჭიქის ჭახუნით და, ძმობის ალავერდით,
ორად გაყოფილა ტალავერი.
აღარც წყენა იყო აღარც გაჭირვება,
მარტო სიყვარულის ბარათები.

შერიგებულანო, ერთ დროს უბრები და
ისევ გაუდიათ ხიდი
ღმერთო დამილოცე ჩემი სოფელი და
ძმობა დამილოცე, დიდი.

მცხეთა დამილოცე ღმერთო გევედრები
მტკვარი დამილოცე სანახევრო.
ღმერთო დამილოცე ჩემი ჰერეთი და
ჩემი დატანჯული საქართველო.

ნასახლარი

დადუმებულა ძველებური, კედლის საათი,
ლაქებად, მტვერიც მოსდებია კედელზე სურათს.
რა სიჩუმეა, ამ ძველ სახლში, რა სიჩუმეა...
თუ რამე სუნთქავს, საკითხავი ეს არის, სულაც...

გამოქცეულან კედლებიდან ბავშვობის წლები,
წყალმა ჩარეცხა მოგონება, ნაკადულივით...
და სახურავსაც ძლივსღა უძლებს ძველი კედლები
თითქოს, უნდა, რომ შეინახოს საგანძურივით.

ძველი ჭადარი, ჯერაც ცოცხლობს ორღობის ბოლოს,
ბებერი თონეც, ალბათ, ისევ ელის ბებიას...
ბაღში ხეხილსაც გახმობია მხცოვანი ფესვი,
მხოლოდ ჭრიალით ჰყვება ქარი ამბავს, სევდიანს...

ომი გრძელდება

ომი დამთავრდა? – არა გრძელდება!
ომი, ფეხდაფეხ, კვალში მოგვყვება!
სიკვდილის მაცნე – შავი აჩრდილი
წამზომს ითვლის და გვიახლოვდება.

გაქრა სინდისი, როგორც სიზმარი,
სუფთა გული და რწმენა, ზნეობა...
ქართველმა სახე უკვე დაკარგა,
იმედიც გაქრა, გაქრა მხნეობა.!

აღარც ერეკლე, აღარც თამარი,
აღზევებულა „მავანთ-მავანი''!
მორალს გვიკითხავს მამათმავალი!
თავზე გვექცევა ზეცის თავანი!

გულში ეშმაკმა ბინა დაიდო,
ომი გრძელდება, ომი წყეული!
ქართლის გული და ქართლის სავანე
წარსულს მისტირის, როგორც სნეული...

მხოლოდ მე და შენ

მხოლოდ მე და შენ
სხვამ არავინ, ვიცეკვოთ ტანგო
და დაიხუროს სიყვარულით, ყველა დარაბა.
დღეს შენ ხარ ჩემი, ჩემი სულის თანაზიარი
და სიყვარულშიც ჩემი გული, ისევ გალაღდა.

შეეთამაშა ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას
და აყვავილდა ტანჯულ გულში ისევ იები.
სხვა რა ვინატრო? სხვა რა არის ამაზე კარგი
როცა სრულდება ჩვენ ორ შორის დანაპირები.

შორს გაგიტაცებ, უღრან ტყეში, პატარა ქოხში
და ავიშენოთ სიყვარულის ცათამბჯენები.
სხვა რა ვინატრო? ან რა არის ამაზე კარგი
როცა მეხება სიყვარულით, შენი ხელები.

მე შემიყვარდი, ისე როგორც ჩვევიათ მიჯნურთ
და ისე ძლიერ, ვერ აგიღწერ ძვირფასო ლექსად.
არა, არ მინდა ეს დასრულდეს, ან მსგავსი მისი
და ჩვენ ვიქნებით სამუდამოთ, ორივე ერთად.

ღმერთია მეტი, ჩემიდან და შენს საგულემდე
და ღმერთის ნებით აგირჩიე ჩემ შვილის დედად.
არა, არ მინდა ეს დასრულდეს, ან მსგავსი მისი
და ჩვენ ვიქნებით სამუდამოთ, ორივე ერთად.

***

თუშის ქალავ, ალმა ცერად ნუ მიცქერ
ნუ აპარებ გიშრის თვალებს მალი-მალ.
გადავკეტავ გულის კარებს იცოდე
დაგერქმევა ჩემი ცოლი ხვალიდან.

გაგიტაცებ, მთის წვეროზე ჩემ ქოხში
აგიშენებ ციხე-კოშკის გალავანს.
გადავკეტავ შენსკენ ყველა მოსასვლელს
და დავხურავ ყველა ფანჯრის დარაბას.

მე აგირჩევ ჩემი გულის მბრძანებლად
მითხარი და უმალ დავთმობ სიცოცხლეს.
თუშის ქალავ, ალმაცერად ნუ მიცქერ
მოიშორე მაგ სახიდან სიმორცხვე.

გამომყევი, მთის წვეროზე მზადა მაქვს
სიყვარულით დანთებული ბუხარი.
მე მიყვარხარ, თუშის ქალავ მიჯნურად
მოწმე არის, მთა-ბარი და უფალი.

გამომყევი, შავ თვალება ასულო
სიყვარულით, ჩემ გულში ჩასახულო.
'' მე ზამთარი,, შენით ვიქეც აპრილად
ახლა მინდა გრძნობით გამაზაფხულო.

***

სიყვარულისთვის გაჩენილხარ, ჩემო, ამქვეყნად,
ლამაზ ფერებად დამანახო გინდა, სამყარო.
იქნები ჩემთვის მუდამ ერთი, მე – ერთადერთი,
გზაზე წაქცეულს, შენი მადლი გადმომაყარო.

აღარ იქროლებს ცივი ქარი, რადგანაც ჩემთან
უფლის ბილიკით მოხვედი და იქეცი ღმერთად,
იასამნების ყვავილობა მოგვიფენს სურნელს
აპრილის თვეში, თუ ვიქნებით ორივე ერთად.

შემოდგომისას კვლავ შევცუროთ ტრფობის მორევში,
ვერცერთი ტალღა ვერ ჩაკეცავს გრძნობების აფრებს,
დარჩი ყოველთვის ერთი ჩემთვის, მე – ერთადერთი,
ლამაზ დღეთასვლის არ მოგაკლებ ჯადოსნურ ზღაპრებს.
.... და შენ იქნები ჩემთვის ერთი, მე – ერთადერთი....

ჰო და ასე

ლექსის წერა შევწყვიტე და
არტისტობა მოვინდომე,
მრავალსახა ჯამბაზების
მასკარადი მოვიგონე.

ხან მგელი ვარ რეჟისორის,
ხან – ცხვრის ქურქში გახვეული,
ხან მაცვია მეფის ჩოხა,
ხანაც – ფლასი დახეული.

ზოგჯერ მონა სიყვარულის,
ნასროლ ტალახს მეც ავიტან,
გულში უსამართლო ლახვარს
ვერ მოვითმენ, ვით მარიტა.

ხან წარსულის გმირი ვარ და
მტერთან შეყრას ვნატრობ გზაზე,
ზოგჯერ გულში ვტირივარ და
სხვის ჯვარს ვზიდავ გოლგოთაზე...

პოეზია აღარ მინდა,
ჯამბაზობა მირჩევნია...
და ვეღარ ვცნობ შორი გზიდან
ვინ სხვისია, ვინ ჩემია!

ჰოდა, ასე,,დამევასეთ''
მოსეირე ჯამბაზები,
,,ბედნიერი'' ცხოვრებისგან
აღარასდროს გავბრაზდები.

რომ არ მიყვარდე

რომ არ მიყვარდე, ჩავაქრობდი მზეს და უშენოდ
გავათენებდი ყოველ ღამეს ფიქრში, ჩემ თავთან.
რომ არ მიყვარდე, ვიქნებოდი მართლაც უღმერთო
და მექნებოდა დადებული ზავი ეშმაკთან.
        რომ არ მიყვარდე, გავყვებოდი უცხო ნაპირებს
        და ზღვის ტალღებში დავიდებდი პატარა ბინას.
        რომ არ მიყვარდე, უშენობა სულს აატირებს
        და მეც მნახავდით ატირებულს, მდინარის პირას.
რომ არ მიყვარდე, არ გვიყვარდეს ახლა ერთურთი
აზრს დაკარგავდა ლექსები და რითმებიც ჩემში
არ მოვიდოდნენ. ჩემ სხეულს კი ლექსებთან ერთად
მივუკიდებდი გრძნობის კოცონს, დავწვავდი ცეცხლში.
        მაგრამ მიყვარხარ, ისე ძლიერ, რად მინდა ლექსი?
        ვიცი ვერ დავტევ ერთ ფურცელზე, იმას რასაც ვგრძნობ.
        ისე მინდიხარ, ისე მჭირდები ისე მიყვარხარ
        ალბათ შენს გამო სიცოცხლესაც უმალვე დავთმობ.

***

მე ქართველი ვარ, ნათქვამია ამით ყოველი
და არ ვაპირებ განმარტებას. ანდა სხვა ახსნას.
მიყვარს ჰერეთი, სოხუმი და ნატანჯი გაგრა
ჩემ მიწაზე დგას იმიერში, ოშკი და ხანძთა.
        მე არ ვდუმდები, რაც ჩემია, კვლავ ერქვას ჩემი
        თუნდ გამიყიდოთ, ან გამყიდოთ, მე ვარ ქართველი.
        მე უფალი მყავს, საფიცარი მყავს მხოლოდ ღმერთი
        თქვენ კი რანი ხართ? ვერ გახდებით ჩემი მმართველნი.
ვიტყვი მუდამ და უკუნითით, მრავალ ჟამიერს
რომ ქართველობა იწყებოდა ქრისტეს ჟამიდან
და ნიკოფსია, კავკასიის ქედის გმირები
მტრის მძიმე უღელს ვიცი, მჯერა, აღარ დაიდგამს.
        მე ქართველი ვარ, ნათქვამია ამით ყოველი
        და არ დამღლია ეს მკლავები ბრძოლა, ომებით.
მე ქართველი ვარ, მითქვამს ერთხელ, იკმაროთ უნდა,
და ამ სამშობლოს, ღვთისმშობელი დაიცავს მუდამ.

***

მოდით, მივიღოთ ღიმილის სახე
არ დავუკარგოთ სიყვარულს ფასი.
აღარ დავუგოთ მეგობარს მახე
ძმურად, შევავსოთ ეს ღვინის თასი.

პირველს მე ვიტყვი, ავდგები ფეხზე
და ალავერდის გფარავდეთ მადლი.
დიდება უფალს, მშვიდობა ჩვენ-და,
მარად გაჟღერდეს მრავალხმის ჰანგი.

ძეს დაგილოცავთ, ასულს და ისევ
გამოზრდილიყვნენ ალგეთს ლეკვები.
შვილს დაგილოცავ ჩემო ძმაო და
ჯიშს დაგილოცავთ პაპის ფესვებით.

***

ვიდრე დამასწრებს სხვა შენს სიყვარულს,
სანამ ოცნებას ხატავს მაისი,
მინდა, სამყარო შემოგატარო
და დაგიბრუნო ძველი ხალისი.

ვიდრე მზის სხივი ცაზე ანთია,
ამ სიყვარულის მინდა, გჯეროდეს.
მინდა, გვირილა თმაში ჩაგიწნა,
ყაყაჩოსფერი კაბა გშვენოდეს.

ველური ვარდის ვადარებ სურნელს
ჩემს დამათრობელ მაგ სურნელებას,
ყოჩივარდის და იის სინაზე
უფალს, გულუხვად, შენთვის ენება...

მსურს, გაგიფანტო ავდარი დარით,
მინდა, მაისის სურნელი იგრძნო,
უშენოდ, უტყვი, მდუმარე არის, –
შენ დამიმშვიდო, ეს გული, ვინძლო....

დედას დავლოცავ, ღვთისმშობლის სახეს
ქართველი კაცის, იმედს და შვებას.
დედას დავლოცავ, მართალს და წმინდას
რომ უანგაროდ გაგიწევს შველას.

მამა-პაპანი გვიცხოვნე ღმერთო
წინაპრები და ომის გმირები.
მათ გულზე დაყრილ მიწის მცველები
ვიქნებით მუდამ, ღმერთო გპირდები.

იდღეგრძელე და გაბრწყინდი ერო
ძმობის ფიალა შემივსეთ ერთიც.
მინდა სამშობლო დაგილოცოთ და
ფარავდეს მუდამ მას ღვთისმშობელი.

გამიზაფხულდი

შენმა ღიმილმა გადამავიწყა სხვა მე.
დილამ შეცვალა, უკიდეგანო ღამე.

ჩემი ცხოვრების ნათელ მომავლად მექეც,
მხოლოდ შენ გიწერ, ამ სიყვარულზე ლექსებს.

მხოლოდ ჩემია დილის მზის სხივი როცა
ჩუმად მიგზავნი და მორიდებით კოცნას.

სხვა რა ვინატრო? არა, არ მინდა მეტი
მე ესეც მყოფნის, რომ გქვია ჩემი ბედი.

გამიზაფხულდი, ამიყვავილდა სული
და არ ყოფილა, ეს სიყვარული რთული.

მხრებზე დაფენილ, ლამაზ ნაწნავი გშვენის
მე შენი კოცნა, და მოფერება მშველის.

გამიზაფხულდი, ამიყვავილდა სული,
და არ ყოფილა, ეს სიყვარული რთული.

***

როს სული ეშმაკს გადაულოცეთ,
და ხორციც უკვე იხრწნება ნელა.
ზოგისთვის თითქოს არაფერია,
ზოგისთვის უკვე დღითი დღე ბნელა.

აღარ ამშვენებს,ქართველს მანდილი.
აღარ ივსება გრძნობის ფიალა!
ასე, მამული, სარწმუნოება.
ჩვენივე ხელით, იქცა ტიალად.!

გადაეფარა სამყაროს თალხი
და დედამიწამ იცვალა მხარი,
რას დაემსგავსა ადამის მოდგმა.?
როს დაიხურა,სამოთხის კარი!

კვალ-არეული სული მაშინებს,
გამოფიტული ხორცი და ლეში,
ჩამოძონძილი ცოდვების გროვა
და მიჩქმალული ფარულად, ბნელში.

ადამიანი!? სახელიც მზარავს.,
მზარავს კაცთაგან ბოროტი ზრახვა.
ოცდაათ ვერცხლად კვლავ იყიდები!
ადამის მოდგმავ, სადამდე დახვალ.?!

რატომ იცვალე პირველი სახე?
რას დაემსგავსე, ადამიანო?
ქრისტეს წამების წამიდან, დღემდე,
შენი ნიღაბი ისევ ხმიანობს...

კვალ– არეული სული მაშინებს,
სიმრავლე სჭარბობს კვლავ იუდების..
შენ, ღმერთზე მეტად, ეშმაკს ერთგულობ
და სამოთხეში ვეღარ ბრუნდები!..

***

ერთი უბრალო მეეზოვე ვარ,
ვგვი და ვალაგებ მტვრიან სტრიქონებს,
არ ვერიდები და არც ვთაკილობ
საქმეს, – მუზა რომ გამომიგონებს.

გამხმარ ფოთლებში ვაგროვებ ხმოვნებს,
სიტყვას უფალი მანანად მაყრის,
ზოგჯერ ვიპარავ, ზოგჯერ ვმათხოვრობ, –
არსთა გამრიგე რასაც გადამყრის.

ერთი უბრალო მეეზოვე ვარ,
ულექსოდ, ვიცი, გამიჭირდება,
გთხოვთ, მე მაჩუქოთ თქვენი რითმები,
თუკი ფიქრობთ, რომ არ დაგჭირდებათ.

ახლა მაისია, ვარდობის თვე
სულში მონატრება აიშალა.
ის რაც, სიყვარულით დაგიწერე
თითქოს, ერთიანად წაიშალა.

ფერი დაჰკარგვიათ ნაწერებს და
აღარ იკითხება აზრი უკვე.
შენთვის დაკრეფილი გვირილები
ხელში ჩამაჭკნა და დავიღუპე.

არა, მონატრებას ვერ გაუძლებს,
ჩემი დაფლეთილი საგულე და
მოდი, სიყვარული შევისწავლოთ
სანამ შეგვიძლია დაბრუნება.

თორემ გზებს დაფარავს ნამქერი და
შენი მონატრება გამაგიჟებს.
თუ კი ვერ მოვედი სანახავად
ჩემში, უშენობა ამატირებს.

***

დაგტოვე მაინც ჩემი ფიქრის მემატიანედ
ვინძლო უშენოდ ვერ გავუძლო ოქტომბრის თავსხმებს
და დაჭრილ გულზე დამიამებს ისევ იარებს,
გრძნობა, რომელსაც არარსებულ.იმედად.... გახვევ.

მინდა გიყვარდე ისე ძლიერ როგორაც მაშინ
როგორც გიყვარდი გაცნობისას, და პირველ ღამეს.
ახლა ოქტომბრის წვიმებში და უღმერთო ქარში
ვდგევარ და შენზე მოვუყვები ფიქრებით მთვარეს.

რომ სიყვარული შემძლებია შენზე ძლიერად.
ჩემი არ გქვია თუმცა მაინც ჩემში დარჩები.
და ყოველ ღამეს, შენთან მოვალ იმის იმედად
რომ სიყვარულით მიმიღებ და მეც გადავრჩები.

და როცა სულში გაზაფხული გამოანათებს
და როცა ტყეში აყვავდება ია ლურჯთვალა.
მინდა მე ვიყო ის პირველი, ვინც ლამაზ თვალებს
დაგიკოცნის და აგისრულებს ნატვრას, უთვალავს.

***

ჩემი სულის ნაწილი ხარ
ჩემი გულის ფეთქვა
ამ ქვეყანას მოგავლინა
ანგელოზად ღმერთმა.

მზის სხივები გინათებდნენ
ამ ცხოვრების გზა-კვალს.
შენი ფასი ანგელოზო,
ქვეყნად სხვა მე არ მყავს.

პრინცესა ხარ, კეთილ ზღაპრის
აგარიდებ სხვას მე.
შენი მოსვლით, პაწაწინა
სხივი ჩამისახე.

გაიზარდე სამზიანოდ
ტკბილ ბავშვობის დღეთა.
შენ დაგითმობ სიცოცხლეს და
ჩემი გულის ფეთქვას.

შემიყვარდი შვილო
ძლიერ
მიყვარს სუნთქვა შენი.
იდღეგრძელე, იმზიანე
გლოცავს მამაშენი.

* * *

ვისი დრო არის, ახლა ღმერთო, ვინ მიგყავს ჩემგან?
იქნებ წინასწარ გამაფრთხილო, შევძლო ფერება.
ხვალ, ნაგვიანებს, განშორებით მაგუებ ბედთან,
გაყინულ სხეულს, რა უშველოს მწველმა ცრემლებმა?

შემომეცალა საგულედან ბავშვობის ფიქრი,
გუშინ ბავშვი და, ახლა უკვე ვფიქრობ სდასრულად.
როგორ გაფრინდა სიყმაწვილე, მერანიც მიჰქრის,
მიქრის და თითქოს სიყმაწვილე, ჩემშიც დასრულდა.

რა ნაადრევად დამაბერა დარდმა და ფიქრმა
თმაშიც ჭაღარა ფეხს იკიდებს ასე, თავნება.
ყველა წავიდა, ვინც მიყვარდა, ვისაც ვუყვარდი
და ჩემი გულიც სიმარტოვეს, ვფიქრობ დანებდა.

ამიფრიალდა აფრები და ჩქარი დინებით
მივემართები ამ ცხოვრების მოუსავლეთში.
რაც კი დავწერე, რაც კი მითქვამს, ან უნდა მეთქვა
ყველა სტრიქონს და ყველა განცდას მალავს თვალები.

დაარქვით სახელი

დაერქვას სახელი ყველა ტკივილს, ყველა იარას
ყოველ უღმერთოდ ამოსროლილს,,აღარ მიყვარხარ'' – ს!

დაარქვი სახელი, თუ ღმერთი გწამს, ადამიანო
თუ კი შენშივე რამე მაინც ადამიანობს.

გამიშვით ხელი, უნდა გავყვე უცხო ნაპირებს
ვერ ვითმენ როცა, შვილმკვდარ დედას, ღმერთი ატირებს.

სხვას ვეღარ გეტყვით, ჩემ სიცოცხლეს, ყველას დაგითმობთ
იქნებდა ერთხელ, თუნდაც ერთხელ, ჩემიც გაიგოთ.

წავალ, გავყვები გოლგოთისკენ მიმავალ გზებს და
ღმერთებს ვუამბობ გასაჭირს და გავუმხელ სევდას.

უნდა წავიდე, აქ სიცოცხლეს აღარ აქვს აზრი
ადამიანსაც ეკარგება დღითი-დღე ფასი.

***

ჩემ ღმერთს მოვსტაცე სიყვარული, აზრი და გრძნობა
რადგან ამ ქვეყნად დაჰკარგვია სამივეს ფასი.
ახლა მთვრალი ვარ, აღარ ვიცი ლექსს ვწერ თუ ვბოდავ
მაგრამ ნუ მკითხავთ, ერთიც უნდა დავლიო თასი.

ფეხზე ადგომით,
ბანცალ-ბანცალით ავხედავ ღმერთს და
ვეტყვი... აღარ ხარ ჩემი ღმერთი, ისევ გაგყიდე.
როგორც იუდამ, როგორც ბარაბამ, როგორც მედროვემ
მეც ჩაგაბარე ჯალათებს და, რამდენს დაიტევ?!

იქნებდა ოდეს, ჩარაზული სამოთხის კარი
მათთვის გაიღოს, ვინც შობიდან, მარტო შენია.
მე კი ჟამთასვლას ველოდები ყოველდღე მთვრალი
რადგან ფხიზელი ვერ ვუყურებ როგორ კვდებიან.

უცოდველები, უმწეონი, პირმშო ბავშვები,
ატირებული დედები და შვილთა ცხედრები.
მე ვერ ვუყურებ, ეს არ არის ის ჩემი ღმერთი
ვინც ვიწამე და ვისაც ვანდე სული ვედრებით.

სწორედ ამიტომ გაგყიდე და ნუღარ იჩივი
რადგან შენ გქონდა სიყვარული, აზრი და გრძნობა.
ახლა კი მარტო მე და შენ ვართ, პირისპირ ჰო და
ის რაც აქამდის მითხოვია, ყოფილა ბოდვა.

***

გარეთ ისევ წვიმს
გარეთ ისევ ცრის
სულზე მაჩნდება ნაჭდები
    სულო მიფრთხილდი
    გულო მიფრთხილდი
    გულო, ნუ შემომაკვდები.
აღარ იდარებს
აღარ ინაღვლებს
აღარ ინათლებს დილა.
  აღარც სიცოცხლე,
    აღარც სიკვდილი
    და აღარც გული მტკივა.
        აღარც გარეთ წვიმს
        თითქოს სულში თოვს
        აღარც ნიავი დაჰქრის.
    ვიცი ჩამოთოვს
    მართლა ჩამოთოვს
    სუსხი მოვიდა ზამთრის.
        ცივი ღამეა
        სველი ქუჩები
        თოვას დაიწყებს მალე.
    თუ არ მოხვედი
    თუ არ მიშველი
    ვეღარ გავათევ ღამეს.

    გარეთ ისევ წვიმს
    გარეთ ისევ ცრის
    სულზე მაჩნდება ნაჭდები

    სულო მიფრთხილდი
    გულო მიფრთხილდი
    გულო, ნუ შემომაკვდები

უღმ-ერთობა

მე მონატრება დავარქვი კარგო
ყოველ უღმერთოდ გათეულ დილას.
ვით ბოლო ჭიქის, არყის დაზოგვით
კვლავ ვუფრთხილდები სისხლისფერ მელანს.

ვფიქრობ რაღა ვთქვა, ან რა დავწერო?
ან-თუკი ნახავ ბოლო ლექსს, ოდეს.
ან რა ერქმევა ლოთის დაწერილს
ან თუ ჩავატევ მასში, ჩემ გრძნობებს.

წვეთ-წვეთად, ჩუმად, იცლება ბოცა
და აღარ უნდა ამ გულსაც მოცდა.
უნდა გაქცევა, უნდა გაფრენა
უნდა გაექცეს ფიქრების ცოდვას.

მონანიება? არის გვიანი
უსიტყვოდ წასვლა, უფრო სწორია.
ეს სამყოფელი, და ეს ლექსები
კვლავ უღმერთობის თანასწორია.

და მოვა როცა, ბოლო დღის მადლი
მზად ვარ მე მომხვდეს პირველი ტყვია.
ის რაც დავწერე, შენით-უშენოდ
ყველას დღეიდან, უღმერთო ჰქვია.

სიმარტოვის ზეიმი

დღესაც დავრჩი შენი ნახვის გარეშე
ამიფეთქდა სულში ყველა იარა.
რაც გულში მაქვს, თუ ვერ გითხარ გპირდები
უღმერთობით, გადავტენი იარაღს.

თავს მოვიკლავ? არა, თავს მოვუკვდები.
შენზე ისევ, ღმერთებს ვესაუბრები
რომ მიყვარხარ, რომ მჭირდები, ვდუმდები
წამზომი და თითქოს, უკვე ვყუჩდები.

მიათრევენ ტკივილები სხეულს და
გადაშლილა შავი ფერის მიხაკი.
ნუ გამიშვებ, შემაჩერო იქნება
მიყვარხარო, ერთხელ მაინც მითხარი.

ფერებს კარგავს, ფერკმთალდება ხვალე და
სამზადს ვიწყებ, სიმარტოვის ზეიმის.
უშენობით, თავი თავად მომიკლავს
სისხლის ზღვაში, გამოცურავს წერილი.

მოვა შენთან, ბოლო ფეთქვის ამარად
,,მიყვარხარ'' და ჩაგაკვდება ხელებში.
ის რაც შენთვის სათქმელი მაქვს ძვირფასო
სულ ყველაფერს, დაგიტოვებ ლექსებში.

***

ისე უხდები შენ ჩემ სიცოცხლეს
როგორც გაზაფხულს ია ლურჯთვალა.
მინდა ყოველთვის ჩემი იყო და
მე გისრულებდე ნატვრას, უთვალავს.

მინდა სამყარო შემოგატარო
სურნელი იგრძნო ყოჩივარდების.
მე შენი გულის მცველი ვიქნები
და უსასრულოდ შემიყვარდები.

შენ ჩემი ცოლი გქვია უკვე და
თანამგზავრი ხარ ჩემი ოცნების.
არ მოგვაკლდება სავალ ბილიკზე
ღვთისმშობლისა და უფლის ლოცვები.

***

თამბაქოს კვამლში გახვეულა ჩემი სხეული
სულზე მემჩნევა იარები, შენი არყოფნის.
დღეს ყველა ტკივილს ჩამორეცხავს წვიმის წვეთები
მე კი შენამდის მოსასვლელად, სიტყვა არ მყოფნის.

რთული ყოფილა რომ გაუძლო სულის სატკივარს
თითქოს ამოსვლა უნდა მაგრამ... დაასხით ერთიც
მე უშენობა ვიცი კარგო დღეს თუ ხვალ მაინც
გულს ამატკივებს, ამატირებს და ბოლოს შემშლის.

სიცოცხლეს ალბათ დავასრულებ მეც თეთრ ხალათში
და თან გამყვება, ღვთის კარამდე შენზე ოცნება.
ალბათ ბოლოჯერ, თეთრ ხალათზე მივაწერ სისხლით
რომ ერთხელ მაინც, თუნდაც ერთხელ, შენთვის მეკოცნა.

***

აჩქარებული გულისცემით გეტყვი მიყვარხარ,
ათრთოლებული ჩაგიწნავდი გვირილებს თმებში.
მე ვიქნებოდი იმ პირველი კოცნის ავტორი
რომელიც მუდამ დარჩებოდა ღიმილად შენში.

გაგილამაზებ ყოველ დილას, ჩუმი კოცნებით
გულში ჩაგიკრავ, სიყვარულში გამოგიტყდები.
დღეს მე ვიქნები შენი გულის, გულთამპყრობელი.
დღეს მე ვიქნები შენი სულის, გულის ფიქრები.

რითმებს ვაგროვებ, ხელის გულზე დაგიწერ ლექსებს
და ამღერდება სიყვარულით ქრიზანთემები.
დღეს მე ვიქნები შენი გულის, გულთამპყრობელი,
გამობრწყინდება ცის კიდიდან ცისარტყელები.

გურამ სახვაძე – გემო-კვების ტექნოლოგი.
დაბადების ადგილი – ხარაგაული.

სიყვარულს ძალად ვერ ისწავლი

სიყვარულს ძალად ვერ

ახალ გულს
ვერავინ ჩაგიდგავს,
უგულოს ვერც სხვას
ვერ შეასმენ
გულიანს
შეაჩვევ ადვილად.
სიკეთეც
სიყვარულს ერთვება,
არიან
ურთიერთ ზიარნი,
როგორც რომ
განწყობას გვიმაღლებს,
დარები
თბილი და მზიანი".

* * *

ეხლა დრო გვიდგას
იმნაირად მიუსაფარი
ტალახს გვესვრიან
ვისაც სროლა არ
ეზარებათ,
მაგრამ უფალმა გაარჩიოს
მტყუან-მართალი,
და დაამოწმონ სალოცავთა
წმინდა ზარებმა.
ასეც მოხდება, დალაგდება
შავი და თეთრი,
ბედის განმრიგე თავის ადგილს
მიუჩენს ყველას,
ცოდვიანთათვის ცხელი კუპრი
ისევ თუხთუხებს
კარგებისთვის კი იმქვეყნიურ
სამოთხის მჯერა.
ჰო და სანამდის
ღვთის სამსჯავროს
კართან მივდგებით,
სიცოცხლეშივე შევისმინოთ
მცნება უფლისა,
რომ შავი აზრი შინაგანად
არც გავიკაროთ
და ფართი გვქონდეს
სიკეთის და სიყვარულისა.

მაიმუნი, გველი და კაცი

მაიმუნი მაიმუნობს,
გველი გველობს,
        კაცი კაცობს,
და თავისი ცოდვა მადლის
ზომა – წონით ხალხში ფასობს.

თუმც ხალხს ვინ რას ეკითხება
როცა ამ ორს დარჩა ველი,
სისინსა და მასკარადში
გაჰყავთ დრო და ყველაფერი.

ქვეყნის დოვლათს მისევიან
თაობების ნაჯაფ – ნაშრომს,
თვითონ ყვლეფენ სახელმწიფოს
მშიერი ჰყავთ ხალხი ამ დროს.

პირადულად ერთმანეთში
არ აქვთ შუღლი, არ აქვთ
            მტრობა,
მაგრამ ჩვენდა დასანახად
სულ ერთ – ურთის უწევთ გმობა.

გველი სისინს ვერ ეშვება
ყველას მიმართ აუგს ამბობს,
მაიმუნი ყურს არ იბერტყს
იღიმის და მასკარადობს.

კაცი ამ დროს რჩება კაცად
მიუთითებს ორთავ მხარეს,
მაგრამ აქაც ერთობლივად
იმ კაცს ბევრჯერ შეედავნენ.

მათ თავისი აქვთ საზომი
სამართალშიც, წესშიც, აზრშიც,
მის ჭკუაზე მოქმედებენ
შიშს ვერ გრძნობენ
        თითო კაცში.

ხალხი ისევ წყნარად არის
თუმც დაეტყოთ ხმაში ღელვა,
მაგრამ როგორც საჭიროა
ვერ შეიკრა ჯერაც ყველა.

გველი ისე მონსტრი გახდა
სასარგებლოს იწერს ქულებს,
და წინმდგომელ მაიმუნსაც
სათავისოს აიძულებს.

ამ დღეში ვართ დიდი ხანი
უკუ სვლაში გაგვყავს წლები,
დაგვეჩაგრენ მოკეთენი
გავალაღეთ ირგვლივ მტრები.

მაიმუნი მაიმუნობს
წინ სვლა გვაქვსო ჩაგვჩიჩინებს,
გველიც თითქმის კვერს უკრავს და
თან მის ბოღმას არ ივიწყებს.

კაცი კაცთან თუ არ დადგა
არ შეეკრა ხალხის მასებს,
ეს გველი და მაიმუნი
კიდევ დიდხანს გაგვამასხრებს.

ჩემო ძვირფასო ადამიანო

რამდენი ლექსი მოგიძღვენ უკვე
რამდენი პწკარი ექსპრომტად თქმული,
რატომ? – რავიცი, ღირსი ხარ ალბათ
ასე მკარნახობს ტვინი და გული.

ვერ მოგილია საქებრად ენამ,
ვერ მოგიწყინა თვალმა საცქერლად,
შეხედულებით კი არ ვკვირდები
ხასიათებით უფრო ამდენად.

მხიბლავს მაგ შენი ბუნებრივობა,
და მთელი ეშხიც არის მაგაში,
რომ რაც ხარ ის ხარ, და არასოდეს
არც კი გიცდია სხვისი თამაში.

უნიღბოდ ცხოვრობ შენი ცხოვრება
მუდამ ნათელი შუბლით და აზრით,
არასდროს იმჩნევ საკუთარ ტკივილს
გული რაც უნდა გჩხვლეტავდეს მაინც.

დადიხარ, ცხოვრობ ათასებს შორის
პოზიტივს მატებ ნაცნობს თუ უცნობს,
და როცა სევდა მატულობს ხალხში
შენ იმედად ხარ ყველასთვის

ო, როგორ მინდა გხედავდე ხშირად
ო, როგორ მინდა შენთან ვიარო,
და მინდა ბევრი გგავდეს სიკეთით
ჩემო ძვირფასო ადამიანო.

მე ვიცი რამდენს შეშველებიხარ
არ გყოფნის მაგრამ სხვებზე
რით ანუგეშო ამდენ უმწეოს
საკუთარ თავთან ბჭობ და განიცდი.

წინათ თუ ბევრი გვყავდა თქვენებრი
და ის ცხოვრება მოჰგავდა წალკოტს,
ნეტავ სად გაქრა ის ყოველივე
და შევიცვალეთ ამდენად რატომ?

რად გარდაიქმნა ეს ხალხი ასე,
უმრავლესობა რატომ გაცივდა,
შენ თავს ვფიცავარ ძალიან მიკვირს
და დაჯერება ამის არ მინდა.

არ ვიცი არა, – თუმც ბევრი ვიცი
მაგრამ ეს ახლა სადღაც წაგვიყვანს,
წარსულზე თხრობა თუ ვერას შეგვძენს
მაინცდამაინც დიდად არ მიყვარს.

აწმყოზე ვდარდობ,
ვდარდობ ხვალის დღეს,
ვდარდობ გაყოფილ აზრებს

ჩემო ძვირფასო ადამიანო
ნეტავ გვიმრავლდნენ
თქვენებრნი ისევ.
ნეტავ თქვენსავით ტკიოდეს ყველას
ერთმანეთის თუ სამშობლოს ბედი,
მაშინ ომებიც არ იქნებოდა
ყველა რომ იყოს კეთილი ხედვის.

და, მე ლექსებით თუ გეფერები
ნუ ჰკვირობ თითქოს მეტის მეტია,
რადგან თქვენებრი ხალხი დღეისთვის
ჩვენი ქვეყნისთვის ყველაფერია.

ფიქრები აწმყოსა და მომავალზე

დრო დაგვდგომია ისეთი
რომ, გვენატრება ყოველი,
სანათესაო, საძმო და
ყველა კეთილის მყოფელი.
შემოგდებულმა ვირუსმა
ვიცით რაც ჭირი გვაწია,
ორი წელია სულ გვჭირდა
შიში და გაწამაწია.
ვერც სტუმრად ვერსად წავედით,
ვერც ჩვენთან ვერვინ სტუმრობდა,
ქვეყანა თითქოს თვლემდა და
ხალხი ერთმანეთს მდურობდა.
ნიღბით ვცხოვრობდით, ვწვალობდით
ჰაერის სუნთქვა გვიჭირდა,
ჭირი უეცრივ მოსული
გვაწუხებდა და გვიკვირდა.
არ იყო მიკითხვ – მოკითხვა,
აღარც გულწრფელი სალამი,
კორონამ გადაგვავიწყა
ტრადიციები მრავალი.
ჭირის და ლხინის სუფრები
ალაგმა ჩვენი ყოფიდან,
ნანატრი ძმების შეხვედრას
მუჭს მუჭზე მირტყმა ჰყოფნიდა.
მშობლები შვილს ვერ ჰკოცნიდნენ
ქმარი ცოლს, ანდა პირიქით,
გამასხარავდა მსოფლიო
მასონთა ქცევა – ქილიკით.
იმსხვერპლეს ამდენი ხალხი
არ ვიცით ჩვენც რა გვეწევა,
ალბათ ხვალ და ზეგ უთუოდ
ახალი შტამი გვეწვევა.
მე ჩემი ქვეყნის ბედს ვდარდობ
ქართველთა მოდგმა მადარდებს,
თორემ მსოფლიო აუვა
თავის ტკივილს და სადარდელს.
ჩვენ ისე ცოტანი დავრჩით
ამბობენ გველის გაქრობა,
ღმერთმა ნუ ჰქნას რომ განგებამ
დაუშვას ამის თანხმობა.
– მაგრამ უფალი არასდროს
არ მიგვატოვებს ქართველებს,
და ეს იმედი ჩვენ გულებს
შესაბამისად ამრთელებს.
ერი ისე არ გაქრება
საჯიშე გახდეს საძებნი,
თუ დავკნინდებით ისევე
ავღორძინდებით ქართველნი.
მთავარი ისევ ჩვენზეა
რწმენას ზურგი არ ვაქციოთ,
და გულგრილობით სამშობლო
თავადვე არ დავაქციოთ.

თ უ

მხოლოდ წარსულით
ვერ იარსებებ
თუ არ გეღირსა
ნატვრის ახდენა,
თუ სიყვარულმა
არ ანგანმაღლა,
თუ არ ეცადე
გრძნობის გამხელა.
თუ შენი გული
არვის მიუძღვენ
არ გაიმეტე
შარბათის თასად,
თუ არვინ გიყვარს
შენს თავს უშავებ
და არც სხვებისთვის
ივარგებ არსად.

კეთილთა ხსოვნით სული მძიმდება

ამჟამად მიდგას
მწუხრი დღეები,
და მხოლოდ სევდას
ვამჩნევ თვალებით,
გამოწვეული
უდროოდ წარსულ
საყვარელ ხალხის

მტკივა სული და
ცრემლი მიშრება,
ყელში გაჩრილი
დარდი მაწვალებს,
ეს სადარდელი
ისე გროვდება
აწი და აწი
მეტს გამაწვალებს.
რამდენი კარგი
წუთები დამრჩა
იმ ხალხისაგან
მოსაგონარი,
ნეტავ სიცოცხლით
დამაშვრალიყვნენ
და ყოფილიყვნენ
ნეტავ მხცოვანნი.
მაგრამ დღევანდელ
წუთისოფელში
ვინ შეჰყოლია
ბოლომდე აღმართს,
ისე სტრესული
გახდა ცხოვრება
შუა ასაკში
ვგრძნობთ უკვე დაღლას.
და მიდის ხალხი
ასე უდროოდ
ზოგიც სიცოცხლეს
მისით ისწრაფებს,
მათ სახელზე კი
ტკივილი გვრჩება
ცოცხლად დარჩენილ

ბედის განმრიგე
ბედს რომ განკარგავს
მის ძალთან ვჩანვართ
უძლურ ბავშვებად,
ამიტომაა რომ
სიკვდილის წინ
ვერვინ გვიდგია
ღმერთთან თავდებად.
მაინც სუყველას
სიკვდილს განვიცდით
კეთილთა ხსოვნით
სული მძიმდება,
და ისევ ღმერთს ვთხოვთ
როგორც მორჩილნი
რომ იყვეს ყველას
არდავიწყება.

სულ მენატრები

სულ მენატრები მაგრამ
ღამით ყველაზე მეტად,
თუმც ვერ აგიხსნი რატომ
ამას რა ჰქვია ნეტავ?
ამიყოლიებს ფიქრი
და მათევინებს ღამეს,
სრულ სიბნელეშიც ამ დროს
ვხედავ მხოლოდ შენს

ამ დროს მოსკდება მუზად
შენთან ყოფნობის განცდა,
მსგავსი რომელიც ალბათ
არ განმიცდია არსად.
დაგვებინდება მზერა
გიჟმაჟ ამურულ ცეცხლში,
ცუნამივით რომ მოვა
და წუთიერად შეგვშლის.
ცალკე მუზა მთხოვს შველას
ლექსი რომ შევქმნა რამე,
ცალკე კი შენი ხიბლი
მათენებინებს ღამეს.
მოყოლა მინდა ამ დროს
ათასნაირი რამის,
ჩემი მუზების ერთავ
სიამევ ორთავ თვალის.
– ჩამეძინება გვიან
პოეტურ მკვდარი ძილით,
იქ არაფერი მახსოვს
და ვერც გამოვთქვავ
სიტყვით.
მაგრამ როდესაც უკვე
ამზიანდება დილა,
ლექსიც მზადა მაქვს
ამ დროს,
და შენც ჩემ გულში ზიხარ.

დ ა გ ვ ი ლ ო ც ე უ ფ ა ლ ო

კარგი ხალხის შეცნობას
არ სჭირდება კითხვები,
მათი გულის სიმდიდრეს
თვალებითაც მიხვდები.
თვალებია ის სარკე
რაც შეგვაცნობს ასიან,
პიროვნების ავ კარგს და
იმათ ზოგად ხასიათს.
ოღონდ ეს რომ ამოვხსნათ
არც ნაკლები არც მეტი
ჯერ თავად უნდა ვიყოთ
ზედმიწევნით კარგები.
მაშინ კარგ ხალხს ვეცდებით
უფრო დავუახლოვდეთ,
გულით შევიყვაროთ და
ვთვლიდეთ როგორც
კარგი – კარგებს მოვიძევთ
ცუდს – ცუდები მოსწონან,
მოკლედ ყველანაირებს
აქვთ ამ ქვეყნად მოთხოვნა.
თუმც კარგები სულ სხვაა
ამინდს ჰგვანან დარიანს,
და განწყობას გვიქმნიან
რომ იტყვიან მადლიანს.
მათთან ყველა შეხვედრა
გვანმაღლებს და გვახარებს,
პოზიტივით რამდენჯერ
მივწვდენივართ ვარსკვლავებს.
– დაგვილოცე უფალო
ამას გემუდარები
ვისაც სითბო – სიკეთით
ანთებია თვალები.

კ ვ ლ ა ვ შ ე ხ ვ ე დ რ ი ს ი მ ე დ ი თ

მაგ თვალების ათინათი
თბილ დარსა ჰგავს ქარიანს,
ვერიდები მე მათ ხილვას
თუმც მხიბლავენ ძალიან.

ქარიანი ამინდივით
ამიწეწენ სადარდელს,
ზოგჯერ ისეთ ფიქრს
მომგვრიან
ბოდიშს ვუხდი მაღალ ღმერთს.

ჭაბუკივით ამამჩატებს
შემყრის ვნების სურვილებს,
და წუთიერ მონაკვეთში
რას არ მომასურვილებს.

ამ დროს კაცის
"ბავშვურ
უცებ მოვსდებ სადავეს,
არ ავყვები, რადგან ვიცი
უფრო გამათამამებს.

და მერე ეს სითამამე
მომიმატებს საფიქრალს,
საფიქრალის მომატება
კი არავის არ გვიყვარს.

ამიტომაც გზას ვაგრძელებ
დინჯი კაცის იერით,
და ღიმილში ღიმილს გიცვლი
კვლავ შეხვედრის იმედით.

პოზიტივებით გევსოს სამყარო

ლექსი ეძღვნება ყველა პოზიტიურ ადანიანს რომელთა თუნდაც დანახვა კეთილი მუხტით გვავსებს.

შენ გაქვს ის სხივი
მზეს რომ ვუტოლებ,
ავდარშიდაც რომ
მისებრ მანათებს,
რადგან მაშინაც
სითბოს მასხივებ
როცა თავად მზე
თავს მომანატრებს.
და თუნდაც იმ დროს

ანდა უეცარ
წვიმების თავსხმა,
თუნდაც გარშემო
სასოწარკვეთის
მეტი შეგრძნება
არ სჩანდეს არსად.

საკმარისია
მხოლოდ წამიერ
შეხვდნენ ერთმანეთს
ჩვენი თვალები,
სიტყვაც რომ არ თქვა
თავისდა თავად
განწყობილებით
ავფერადდები.
მაგ პოზიტივი
გადმომეცემა
გული შეიგრძნობს
ტკბილ რაფსოდიებს,
და უცაბედად
გადამავიწყებს
უამინდობის
მელანქოლიებს.

მაშინ ჩემთვის სულ
მზე და დარია
მიადვილდება
გზები სავალი,
და ვიცი ჩემებრ
შემოგციცინებს
შეგნებულ ხალხთა
თვალი მრავალი.
ღმერთმა დაგლოცოს
ჩემო თოლიგე
პოზიტივებით
გვივსე სამყარო,
ოჰ, როგორ მინდა
შენისთანები
იმდენი გვყავდეს
ვერც კი დავთვალოთ.

ჩანახატი ლექსად

ბურთი გაექცა
პატარა გოგოს,
და შევატყვე რომ
გული ეტკინა,
მაგრამ გამვლელმა
პატარა ბიჭმა
დაუფიქრებლად
მოურბენინა.
ხელში მისცა და
აჰაო უთხრა,
სიტყვა წარმოთქვა
თითქმის ჩურჩულით,
შემდეგ მობრუნდა
და დედიკოსკენ
გამოემართა
ისევ ცუნცულით.
მესიამოვნა
მისი ეს ქცევა
და მონახდელი
"კაცური ვალი",
და ის რომ, ციცქნა
პატარა გოგომ
მას გააყოლა
მადლობის თვალი.
ბიჭმა დედასთან
გზა გააგრძელა
სკვერი ლაღობდა
ჩიტთა ჭიკჭიკით,
მე კი ხან ბიჭს და
ხან ციცქნა გოგოს
შევსცქერდი ჩვეულ
თბილი ღიმილით.

ნუ ამიგდებთ სიტყვას ბანზე

არაფერი არ მიზიდავს
(ნუ ამიგდებთ სიტყვას ბანზე)
არც სიმდიდრე, არც ქონება,
და არც ვინმეს სილამაზე.
ერთად ერთი რაც რომ მომწონს
და დავეძებ რახანია,
მართალ ხალხთან მეგობრობა
ვგრძნობ რომ ჩემთვის წამალია.
ვნატრობ ისეთ ხელისუფალთ
ვისაც სტკივათ ხალხის ბედი,
ვისაც მართლა ეყვარება
ჩვენი ერი, ჩვენი ხვედრი.
ვერაფრით ვერ ვეგუები
მლიქვნელების ბრბოს თუ ჯგუფებს,
ყველა მათგანს მე თუ მკითხავთ
კრიმინალთან დავაჯგუფებ.
მაგრამ უკვე სადღა არის
მე რაც მომწონს, მე რაც მხიბლავს,
ყველაფერი გადაგვარდა,
სიცუდისკენ გარდაიქმნა.
ადრე რასაც კარგი ერქვა
იხსენებენ იმას ცუდად,
მეფეები გაგვილანძღეს
ეკლესიებს სვრიან ფუნას.
ჩვენ ეროვნულ სიწმინდეებს
უკნინებენ იდიალებს,
მაგიერში გარყვნილება
ლამის გაგვიიდიალეს.
მიდის გეი პროპაგანდა,
შეკრებები, აღლუმები,
ეს ყოველი გულს მირევს და
ვერაფრით ვერ გავჩუმდები.
ახალგაზრდებს გვიწამლავენ
ასწავლიან უცხო წესებს,
ეროვნული რაც კარგი გვაქვს
სანაგვეზე გაამწესებს.
იზრდებიან გულგრილები
პატრიოტულ გრძნობებს მიღმა,
საამაყო არ დასცდებათ
ჩვენ წარსულზე რამე სიტყვა.
აღარც შრომა არვის უნდა
გადაუსვეს ყოველს ხაზი,
სილაღე და ტყუილად ყოფნა
არის უმრავლესის არსი.
სოფლელები ქალაქს გარბის
ქალაქლები საზღვარგარეთ,
ერი გამოფურფუტდა და
რიცხობრივად დავიცალეთ.
იმის მერე გავხდით ასე
პირფერი და ენაქლესა,
რაც ეროვნულ ღირსებებში
უცხო "თესლი" ჩაითესა.
სხვების გრანტებს ვანაცვალეთ
საკუთარი ფუძე – ჭერი,
ეროვნული აღარ დაგვრჩა
თითქმის არც რა დანარჩენი.
ჯერ სადავართ, სოროსელთა
კლანი სანამ იძლიერებს,
ვერასოდეს ვეღირსებით
ჩვენი ქვეყნის სიძლიერეს.
ჰო და ასე რომ არ მოხდეს
ყველამ უნდა შევიფხიზლოთ,
ნუ დავკარგავთ ერის მტრებთან
ფუჭ კამათში ისევ დიდ დროს.
მტრებს თუ მტრები არ ვუწოდეთ
არ ვისწავლეთ მოყვრის ფასი,
წასულია მაშინ ქვეყნის
სასიკეთო ყველა შანსი.
სამ ათეულ წელზე მეტი
თავს ვიტყუებთ ნეტავ რატომ?
მატყუარა არვინ მომწონს
არც ევროპა, და არც ნატო.
– არაფერი არ მიზიდავს
(ნუ ამიგდებთ სიტყვას ბანზე),
სიმართლე და სიკეთეა
უმთავრესი სილამაზე.

არ დაამკვიდრებს ვიცი უფალი

არ დაამკვიდრებს ვიცი უფალი
ქართველთ მოდგმაში
ცრუს და სატანას,
ხოლო თუ მცირედ შემოგვეპარა
შეგვაძლებინებს იმის ატანას.

მოგვმრავლებია ავის მსურველნი
მოკეთესავით გვიღიმის მტერი,
რთულია მისი შეცნობა მაგრამ
არ თქვას რომ ვიყოთ
მართლაც და შტერი.

გვატყუებს, გვმოძღვრავს
ტკბილი სიტყვებით
ათწლეულები გრძელდება ასე,
თითქოს სიკეთე ჰქონდეთ მიზანი
და იყვნენ ჩვენი სითბოთი სავსე.

მაგრამ მიზნები შორს გამიზნული
უკვე ნათელს ჰფენს

მათ სხვა ერები სულ არ ადარდებთ
მთავარი არის ყმები უმრავლდეთ.

გასცემს შრიალა ფულებს
გულუხვად
ამით იმრავლებს კეთილის მდომებთ,
ყიდულობს ყველა სულის გამყიდველს
ქვეყნად რა დალევს
ურწმუნო თომებს.

მიდის ცხოვრება ნერვების ომში
ავ კარგს აღვიქვავთ

ცისარტყელების ფერი დროშებით
და გუნდრუკებით გვივლის სატანა.

სურთ გარყვნილება ნორმად აქციონ
კარგი რაცა გვაქვს მათთვის ბნელია,
სოდომ – გომონის დაკანონება
საქართველოში ძალზედ ძნელია.

არ გაახარებს ვიცი უფალი
ტრადიციების შერმყვნელ სატანებს,
და კაცი სანამ იკაცებს ჩვენში
ყველა სიბილწეს დაასამარებს.

* * *

თავად ყვავილს, ყვავილები
გახარებს და გაზეიმებს,
მეც ამიტომ ხშირად გჩუქნი
და ბავშვივით განებივრებ.
რომ მიყვარხარ ამ სიცხადის
რეალობა იცის ღმერთმა,
თუმც არ გინდა დაიჯერო
რატომღაც შენ ერთად ერთმა.

გრილი ზაფხული

ამინდებიც ჭირვეულობს
როგორც ჩვენი ცხოვრება,
მაგრამ გვიწევს შეგუება
მასთან თანაცხოვრება.
სულ თქორია, სულ სიგრილე,

ძირითადად წვიმიანი
გვქონდა მაის ივნისიც.
ობის ფერი გადაეკრა
ეზოებს თუ სარდაფებს,
ტენი სჭარბობს,
მზე ნაკლებ სჩანს
და ნაკლებად გვანათებს.
იმერეთში ზაფხულშიდაც
მოგვეჩვია წვიმები,
სევდისფერი ღრუბლები თუ
თმაჭაღარა ნისლები.

როდის უნდა აგვისიცხდეს
დარჩა ერთი აგვისტო,
ხშირად ვკვირობთ
ეს როგორი
ამინდები არისო.
ბავშვებს წყალი ენატრებათ
მდინარეზე გართობა,
იქ, სადაც მე გავატარე
მთელი ჩემი ბავშვობა.
ნუ, რას ვიზავთ შეიცვალა
ბუნებაც და ცხოვრებაც,
ეხლა გვიწევს შეგუება
მათთან თანაცხოვრება.
ადრე წვიმაც თბილი იყო
ზაფხულობდა ზაფხულიც,
ხალხი კიდევ ერთურთისთვის
ვიყავთ თავგადაკლული.

ვერვინ ამოხსნა

ჩაიღვენთება სანთელივით
ფიქრში სურვილი,
ისე რომ ვერვინ ვერ გაიგებს
მის არსებობას,
თითქოს იყო და არცა იყო
გულის ტკივილი,
ანდა საერთოდ ლექსის მთქმელიც
თუ არსებობდა.
ვერვინ გაიგებს ვის გულს
ვისი სიტურფე სწვავდა
და რამდენ ჩუმალ შეყვარებულს
ადგას ნათელი,
მხოლოდ მე ვამბობ მიყვარხარო
და სანამ ვცოცხლობთ
ყოველდღიურად მსურს დაგინთო
თითო სანთელი.

ეშაფოტზე დგას ყველა გრძნობა
რითმად აშლილი,
სიყვარული კი იმათ შორის
მზესთან ტოლდება,
რამდენი წელიც არ იცოცხლა
ადამთა მოდგმამ
ვერვინ ამოხსნა სიყვარულის
ეს განტოლება.
ყველას სხვადასხვა გვარად ესმის
ამურის ენა,
სხვადასვაგვარად დასტყობიათ
გულს მისი კვალი,
მეც ჩემებურად, პოეტურად
მივყვები დროჟამს
და დიდი ზომის სიყვარულით
ვარ მუდამ მთვრალი.

მ ე უ ღ ლ ე ს

შენი მზით მათბობ
და თან დამყვები
ოთხ ათეულზე
გამაძლებინა
შენმა ღიმილმა.
გადამატარა
ბევრი ქარაფი,
შემაბედინა
მრავალ განსაცდელს,
როცა შვილები
ფრთიანდებოდნენ
არ დავეძებდით
სხვა რამ დანარჩენს.
ორივემ განვვლეთ
რთული ცხოვრება
გამოვიარეთ
შიმშილიც, ომიც,
მაგრამ უქმად არ
დაგვიკარგია
არცერთი წუთი
არა თუ დრონი.
დღეს კმაყოფილი
ვართ ჩვენი შრომით,
კარგი შვილებით
გული ლაღდება,
მათი იმედით
ასე გვგონია
არ დაზამთრდება
არც დაღამდება.
სიცოხლეს გვმატებს
შვილიშვილებიც
ხუთი ერთურთზე
კარგი ბავშვები,
კარგ საძირეზე
აღმონაცენებს
თავს ვევლებით და
ვენაცვალებით.
და ვცხოვრობთ ასე
დარდს და ღიმილში
ოთხ ათეულზე
მეტი წელია,
პატიოსნებით
ნაშოვნ ლუკმაზე
ტკბილი რამ იყოს
არამგონია.
გილოცავ შენს დღეს
ჩემო ძვირფასო,
ვისურვოთ ღმერთმა
სევდას გვაკმაროს,
მაგრამ თუ ჩვენ ერს
არ ეშველება
წყალს წაუღია
მთელი სამყარო.

ე რ თ ფ ე რ ო ვ ნ ე ბ ა

თუ კი, გრძნობები
განაცრისფერდა
მაშინ მზეც თითქოს
მოსჩანს ღრუბლებად,
მაშინ ყველაზე
ლამაზ წუთებსაც
ჩათვლი უბრალო
ნაფეხურებად.
მაშინ არცერთ დღეს
აღარ აქვს ხიბლი,
არც მომავალი
აღარ არსებობს,
გადაგეკვრება
თვალებზე ლიბრი
თუ ნაცრისფერი
შენში არსებობს.
გაიგივდება
მაშინ ყოველი
კარგი და ცუდი
არ აგაღელვებს,
დაგეკარგება
იმედის მუხტი
რომელიც ყველა
ჩვენგანს გვამხნევებს.
და, ღმერთმა ნუ ჰქნას
ასეთ დროს ყველა
ვკარგავთ ცხოვრების
აზრსა და ხალისს,
ერთფეროვნება
ისე ძნელია
ჩემ თვალით ნახულს
ვუსურვებ არვის.

დგია უღირსთა დრო სანატრელი

ალალი გულის
საძებრად დავალ,
მართალი სიტყვის
მომწყურდა სმენა,
რატომ შემცირდნენ
ასეთი ხალხი
ეგებ შენ მითხრა
მაღალო ზენა?
სად დაიკარგა
ნდობა ერთ ურთის,
რად გარდავიქმენთ
ამდენად ყალბად,
ვინ ვის უძვრება
სულის წიაღში
თან რომ მალვენ და
მაინც რომ სჩანან.

ყალბ გარემოში
ყალბი ღიმილი,
ნერვების წყვეტა
ცრუსთან დავაზე,
არაფრის მქნელნი
იხვეჭენ ფულს და
პასუხს არავინ
არ სთხოვთ ამაზე.
გულნათელ ხალხის
ღიმილს ვნატრულობ,
პატიოსნებას დავეძებ

ზოგჯერ მრცხვენია
კიდეც სიცოცხლის
რადგან მიჯდება
სიკვდილის ფასად.

ღირებულებებს
გაუცვდათ ყავლი
დგია უღირსთა
დრო სანატრელი,
უკან სვლით მიდის
ცხოვრების ბედი
არც იმედად გვაქს

მე კი ასეთ დროს
ბავშვის სიწრფელით
ისევ მაკვირვებს
ხალხის სიცივე,
ვერ გამოვედი
იმ ასაკიდან
და სიალალე
ვერ დავივიწყე.

დ ი ლ ა მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა ო

მოგესალმები კრძალვით
ღიმილს დაგატყობ ბაგეს,
გეამბორები ხელზე
ტკბილად გიამბობ სათქმელს.

გისურვებ ლამაზ დილას
უკეთესს ვინემ გუშინ,
აგიხდეთ ყველა ნატვრა
რაც კარგი გქონდეს გულში.

სულ გეღიმილოს ჩემო,
ბევრჯერ ნათევო ღამევ,

ხშირად გამითბე გრძნობა
ტკბილი მითხარი რამე.

სიძულვილს ვუთხრათ არა
ხალხი სიყვარულს ითხოვს,
სხვებსაც გადავდოთ ჩვენი
პოზიტივი და სითბო.

ღმერთმა მშვიდობა მოგვცეს
ღმერთმა დაგვსწეროს ჯვარი,
სიყვარულია ყველას
უპირველესი ვალი. ❤❤❤

მარი კუბლაშვილი – პედაგოგი
დაბადების ადგილი – ტყიბული, ცუცხვათი

შუაღამისეული ქაოსი

ეშაფოტზე ადიან განწირული ფიქრები
და პოეტის სულიდან იბადება სიცოცხლე,
იქ იქნება სამსხვერპლო, სადაც მარტო ვიქნები,
სადაც გარდა სიმართლის, არაფერს არ ითხოვენ.

შეიცვლიან მისამართს მოღალატე წუთები,
ჩემამდე თუ მოვლიან, ალბათ გავაცამტვერებ,
ჰო, ასეა, ამ ღამეს მრისხანე თუ ვუხდები,
იმიტომ, რომ თითები უშენობას ამტვრევენ.

დამწყვდეული სულიდან თავს დაიხსნის ჯინი და
ჩემი სამი სურვილი, ერთში გადაიცვლება,
სულელური ლექსები მეკარგება ჯიბიდან,
ვხვდები, არარსებულზე დარდი არ შეიძლება.

საიდან სად დადიან მთვარეული ფიქრები,
ახლა იქ ვარ, სადაც შენ, ყაყაჩოთა ველზე და,
ისე უნიათოა უფერული საღამო,
ვფიცავ, ეს საუკუნო სიცოცხლეც კი მბეზრდება.

სადღაც მითქმა– მოთქმაა, უჩერებელ ამბების,
ვხედავ, გაკვეთილია მარცხიცა და რევანშიც,
უკვე ვეღარ მშველიან ეს,,პატარა აბები",
ააჰ... თამაში მეგონა ყველაფერი მე, მაშინ.

ეშაფოტზე ადიან განწირული ფიქრები,
და პოეტის სულიდან იბადება სიცოცხლე,
წავალ, სადაც არასდროს მარტო აღარ ვიქნები
და ღიმილის სანაცვლოდ არაფერს არ ითხოვენ.

ლექსამდე

ლექსივით ვერაფერი შევიყვარე,
ლექსივით ვერაფერმა ვერ მიშველა,
საათი, მოლოდინი, უცხო მხარე
და ისევ ნერვიული, მძიმე ხველა...

ლექსამდე არაფერი არ ვიყავი,
ვიყავი ჰაერი და ღია სივრცე,
იმდენჯერ ნაწილებად გავიყავი,
რომ მზად ვარ, ჩემი გულიც ვინმეს მივცე.

გამიქრა ძილისფერი ღამეები,
სიზმრებმა უსულგულოდ მიმატოვეს,
დღესაც ხომ წამალივით არ ვერგები,
ლექსები შემომრჩა და სიმარტოვე.

ასეა, რაც შენია, შეგერგება,
რაც არა, უკვე ჭირსაც წაუღია,
ლექსია, ვისაც ჩემი გაეგება,
სხვა ყველა სიყალბე და აუგია.

ლექსამდე არაფერი არ ვიყავი,
ლექსივით ვერც ვერავინ ვერ მიშველა,
ამიტომ მთელს სამყაროს გავეყავი
და ახლა ერთი ვარ და მე ვარ ყველა.

გარეთ ქარია

გარეთ ქარია. მე ვიკედლებ ღამეს, რომელიც
ყეფს უპატრონო ძაღლივით და ელის ვიღაცას.
გარეთ ქარია და მგონია ვიღაც მომელის,
მაგრამ ხომ ვიცი, ამ ლოდინსაც ისე მივნაცრავ,

როგორც დარჩენილ მოგონებებს, უკვე უფეროს
და ხსოვნის დღეებს რომ გადაჰყვა, აიმ მომენტებს.
შორს, ჰორიზონტზე, მინდა მთვარე ცას შევუფერო
და ვინმეს ერთხელ კიდევ ვუთხრა– თუ გსურს, მომენდე!

რადგანაც უკვე ბევრჯერ გასცეს ღმერთი– სახელად
სიყვარული, და ეს არ არის მხოლოდ ბრალდება,
არამედ ძილი, სადაც არ ღირს თვალის გახელა,
მანამდე, სანამ მოსალოდნელ ბრალს არ დაგდებენ.

მე ვიცდი შიგნით, გულის შიგნით, უცხო ადგილას
და ასე ველი, ამდენ რისხვას როდის მივნაცრავ,
გარეთ ქარია, ღამე ყეფს და ვერ დავადგინე,
ნუთუ ასეთი ტკივილებით ელის ვიღაცას...

გაგიბევრდები

გაგიბევრდები. სულ ცოტაც და მერე ვაი რომ,
როგორც შავ დღეებს გაუსაძლისს, ძალით ამიტან,
დამიმახსოვრებ, (ვით ეპოქა– შეშლილ ბაირონს),
შენს თეთრ ანგელოზს, ან უბრალოდ როგორც შაითანს.

ცოტაც და ალბათ, ვერ მომისწრებს წვიმა სექტემბრის,
გადაკერებულ სტრიქონებით გავშლი სარეცელს,
რომ ერთხელ კიდევ შემასმინოს ღამემ ეგ ტემბრი,
რომელიც თითქოს სიმარტოვის შიშით გარეცხეს.

გაგიბევრდები, სიცოტავით რამეთუ შემძრეს
და ზუსტად ვიცი, ამ სიბევრეს შენ ვერ აიტან,
დამტოვებ მარტოს, ერთ დროს შენთვის ყოველისშემძლეს,
მე, შენს ანგელოზს, ან უბრალოდ როგორც შაითანს.

მე და შენ, ღმერთო

რაღაც გამომრჩა, არა, უფრო მე გამომტოვეს,
ჰოდა, პირველად დავიძინე მშვიდად წუხელის,
ჰოდა, პირველად არ მესმოდა ვინმეს წუხილი,
ვინ დაგვტოვებდა აბა ღმერთო, ჩვენ აქ მარტოებს...

დამტვერილია ყველა კუთხე. თითქოს და მოცლილ,
ბრმა თვალით მეძებს სავსე სივრცე, სადმე დამტიოს,
რომ მერე, იქნებ ეს ქაოსი თავად ვამტვრიო,
ან სულაც, ამ ჩემს მოთმინებას მაინც გამოვცდი.

რა გვაკავშირებს ასე მძაფრი, ასე ნაცნობი,
მრწამსივით, ანდაც ღალატივით, როგორც იტყვიან...
კლავს ყალბი სიტყვა! რის დუმილი, ანდა რის ტყვია...
სიტყვა, რომელიც ისმინება ცრუთა განვრცობით.

რაღაც გამომრჩა, მაგრამ ვიცი, გამახსენდება,
არ არის რამე დაფარული, რაც არ ამხილონ,
არც ცხოვრებაა ამ მიწაზე მხოლოდ სალხინო,
რადგან უწვიმრად, სხვისი მძიმე ცრემლით ვსველდებით.

არაფერს ვითხოვ და არც ვიცი, რა მსურს საერთოდ,
ხომ შეიძლება ის, რაც შემრჩა, აღარ წამართვან,
ხომ შეიძლება დაცემულის წელში გამართვა
და სულაც, იქნებ ჩვენც გვაქვს ღმერთო, რამე საერთო.

არავის კმარა სიცოცხლისთვის ერთი მანტია,
დადიან გარეთ ფიტულები, ანდა ცვილები
და არ იციან რომ არიან გარდაცვლილები,
რადგან სუნთქავენ– ესეც ჰყოფნით მათ გარანტიად.

მერე, ნელ-ნელა ადამიანს კეთრი ერევა,
როცა სიკვდილის აჩრდილები უთვალთვალებენ,
ჰოდა, მანამდე მაპოვნინე სუფთა თვალები
და ამ თვალებში დატეული ბედნიერება.

არ მკითხო

არ მკითხო, რატომ მიყვარს ღამე ასე ძალიან...
რატომ ვერ ვუღებ სარკმელს დღეებს ყინვაგამოვლილს,
ვერ შეავსებენ რადგან ოთახს, შენგან ცარიელს,
სანამ ლექსები ძარღვებიდან აღარ გამოვლენ.

არ მკითხო, რისთვის დავივიწყე ენა საჩვენო,
რატომ ვიღიმი, როცა მტკივა, ანდა პირიქით,
ასი სიცოცხლე არ მეყოფა მე, რომ გაჩვენო
ჩემი სამყარო, მიწაზე და მერე მის იქით.

ღამეს რა უჭირს, გათენდება, ასეც და ისეც,
გასწორდებიან წელში მზეზე ოდა-სახლები,
გაგიფრინდები, მეოცნებე სულ სხვა გაისზე,
თავადვე, სანამ ამ ტყავიდან გამასახლებენ!

*

დერეფნის ბოლოს თეთრი კარი, მერვე პალატა...
(რომ შემძლებოდა მთელს სამყაროს გვერდზე გავწევდი),
ღია ფანჯრიდან თბილი სიო ბარათს არწევდა –
„მე ავირჩიე ერთგულება, შენ კი – ღალატი".

ლურჯი სინათლე

თითქოს სამყარომ ჯილდოდ მარგუნა,
ყოველი ღამე, სავსე კაეშნით,
რამდენი ბრძოლა საკუთარ თავთან...
ოცნება, ბედს სულ სხვა გზით გავეშვი...

კართან ჩამომდგარ დროის აჩრდილებს,
თვალებში უდგათ ლურჯი სინათლე,
ბედი მქონია მე, თუ მქონია,
ასეა...დღემდე ჩემს ბედს მივათრევ.

მიწიდან ცამდე, ციდან მიწამდე,
სადღაც აქ არის სულის სასახლე,
და როგორც ჩემი ოცნების ჩიტებს,
შემეშინდა და ხელი არ ვახლე.

დავალ, დავეძებ ვით უსინათლო,
რაც წარიტაცეს უცხო ქარებმა,
გადაღლილს გული საითაც მიწევს,
გონებაც იქით მიექანება.

ადამიანის დარდია ალბათ,
ხვალ რა იქნება, ან სულაც მერე,
და ასე მიდის წუთისოფელი,
და ასე მშვიდად დიდდება ღელე!

და გადმოხეთქავს როცა ნაპირებს,
სევდა თვალთაგან, გულთან მისვლამდე,
ლურჯი სინათლე მოიტანს შვებას
უკუნითიდან უკუნისამდე!

IL TEMPO PASSA

ნერვებს რას ვერჩი, უფრო სწორად ნერვები მერჩის,
არ შემიძლია უცხო ქალაქს დიდხანს ვუსმინო,
ვით თანდაყოლილ შიშებისგან ჭკუიდან შეშლილს,
გაქცევა უფრო მეხერხება, მოსვლას თუ ვცდილობ.

გადავიხადე ყველა ხარკი, რაც კი მემართა,
დაგვიანების, ტკივილების, ლექსის, იმედის
და მაინც, ვერა შევასმინე უქმად მდევართა,
გრძელი გზა იყო და ბოლომდე ერთად მივედით.

მერე დღეები ჩამოლაგდნენ, უხმო, უმზეო,
რადგან უკვალოდ დაიკარგა დროის მესაჭე,
IL TEMPO PASSA! – მე კი ჩემს თავს ისე ვუმზერ,რომ
ასე მგონია, ყველას დარდი მე მომისაჯეს.

ნერვებს რას ვერჩი?!

პროექცია

ისევ მოირგებს თეთრი ღამე ზოლიან პერანგს
და ისაუბრებს სხვა ენაზე გული იქამდის,
სანამ ხელახლა არ დაახრჩობს სიცოცხლეს ვერაგს,
სანამ მეორედ დაბადებას არ დაიქადნის.

არის უბრალოდ პროექცია, აბების მსგავსი-
მოდის ვიღაცა შენნაირი და უხმოდ გისმენს,
დაგავიწყდება ავად ქმნილი შენივე ნავსი
და შენი ფერის ტანისამოსს ჩააცმევ ვინმეს.

მას, რასაც სხვისი აზროვნება ვერასდროს სწვდება,
უთქმელად დგები, თეთრი ფერის აფარებ ფარდას,
და უბილეთოდ იმ სპექტაკლზე ითხოვ დასწრებას,
რომელიც არვის არ უნახავს ამ ღამის გარდა.

ძველი კადრები

აღარ ხმაურობს მატარებლის ძველი სადგური,
მოგონებები კადრებივით სწრაფად გარბიან,
აღარც ის სახლი, ნაშენები სულ მთლად აგურით,
აღარ არსებობს, დანგრეულა, ჩემო გაბრიელ.

იერშეცვლილი ქუჩები და ხის აივნები...
(ალბათ სარეცხსაც აღარ ფენენ თეთრს და ლილიანს),
აგერ ჯიხური, დაჟანგებულ კარზე წარწერით-
,,არ გაიცემა ნისიად" და,,დაკეტილია".

ასე მგონია ქუჩის ბოლოს სხვებიც გვიცდიან,
(გზა ღორღიანი), მოდიანო, შემოგვძახებენ,
ამ სიჩუმეში გაღიმებაც არ შემიძლია,
რომ იქნებ ვინმემ ამომიცნოს ჩემი სახებით.

აღარ ხმაურობს მატარებლის ძველი სადგური,
მოგონებები კადრებივით სწრაფად გარბიან,
ჩვენ აღარ გვახსოვს სად გზა დაგვრჩა, სად მზე, სად გული,
შავ-თეთრ ფირს მიღმა მოვიტოვეთ წლები, გაბრიელ!

შემომესახლე

შემომესახლე, როგორც სევდა, სევდა არ ყოფნის,
ისე მარტივად, ისე უხმოდ და უნებართვოდ...
რომ აღარ მიკვირს ეს სამყარო რატომ არ მყოფნის,
ან რატომ მინდა ცხრა სიცოცხლე შენი მემართოს.

მკვდარი ფოთლების სეზონია, მაგრამ დამარცხდნენ,
ახლა მარტია, მე კი მზეზე მშვიდად ჩაის ვსვამ,
შენ ალაგ-ალაგ თავს ახსენებ ამინდს და აცდენ
მიზანს, რომელიც მზის სხივივით შთანთქა დაისმა.

შემომესახლე...ეს შენა ხარ ჩემში დღეს მეტი,
ვიდრე სევდა და ვიდრე ყოფის აუტანლობა,
იყოს ავდარი, იყოს მუდამ სიგიჟე მარტის,
მაგრამ შენ რომ ხარ, ამისთვისაც დიდი მადლობა!

ამოძახილი

ცამდე ატანილ
მძიმე ღამეებს
და ამ ცხოვრების
ყველა გაკვეთილს,
ვერ ჩაატევენ
ვერც ერთ სტრიქონში
და უნაპირო
სივრცეს გაკვეთენ.

გაფრინდებიან
მსგავსად ჩიტების,
სიტყვები შორს და
როგორც მარხილი,
ცხრა მთის გადაღმა
გადაიქროლებს,
სიცოცხლის ერთი
ამოძახილი.

გათენებამდე
ჯერაც ადრეა,
ჯერაც ადრეა
თოვა ნუშების.
მე საუკუნოდ
დავთმობ სიცოცხლეს,
თუ ეს მცირედით
მაინც უშველის

ცარიელ დღეებს,
გულებს ცარიელს,
გვალვისგან უღმრთოდ
დამჭკნარ შროშანებს...
აღარ ღაღადებს
სიტყვაში ღმერთი
და უღმერთობით
რას არ როშავენ...

დაუშვებს ფარდებს
ღამე პირქუში,
შენ წახვალ, მეც და
მძიმე საფიქრალს
ჩვენს ნაცვლად უკვე
სხვა გააბევრებს,
სხვა იტყვის იმას,
რაც ჩვენ არ გვითქვამს...

მე მაინც მივდივარ

არ შვენის ამ ღამეს ეს წვიმა. ღიაა სარკმელი.
ბორკილებს იხსნიან ფიქრები, ქარივით მშფოთვარე,
ადიდდა ერთბაშად გულში და გაბევრდა სათქმელი,
უფლება რომ მივცე, წამწამებს ცრემლებით მორთავენ.

მემგონი, მისამართს შეიცვლის ეს ლექსიც ამაღამ,
(ვინ იცის, რამდენი იარა... იარა უკვალოდ),
ამ სულის სამყოფელს საძირკველს უთხრიდა ვინ აღარ...
და მაინც, ასეთად დავტოვე, სუფთა და უბრალო.

გამოგვრჩა ბევრი დრო, დღეს გახსნებაც კი არ მიყვარს,
(არც შენ და ცოცხალი თავით რომ არაფრით არ ამხელ...)
მე მაინც მივდივარ, საითაც ჩემი გზა წამიყვანს,
მაგ ღიმილმისჯილი იერის მოწმე რომ არ გავხდე.

ბედის საქანელა

უსასრულო გზა მგონია ყველაფერი
და ამ გზაზე ბედის ერთი საქანელა,
ოცნება რომ ოცნებაა მზის საფერი,
ალბათ იქაც ვერ მოვასწრებ დაქალებას.

ყველა წამი უწესრიგოს ქმნის ნაკვალევს
და დამშრალი მიწის სურნელს აფრქვევს დილა,
მე ვერ ვიტან ირონიულ, შავ-თეთრ დღეებს,
მე ვერ ვიტან დაბრუნებას ძველ ადგილას.

წლების მერე, ვერაფერი გამაკვირვებს,
ვერც სიტყვა და ვერც უსულო შედევრები,
ჩემს მაჯებზე გადატანილ მძიმე კვირებს,
ვიხსენებ და ფიქრისთვისაც მებევრები.

შენ რომ იცოდე

ფრენით ვესწრაფვი იდუმალებას,
ბევრჯერ მივუშვი ბედის სადავე,
ღიმილში ცოცხლობს ვინც დუმს ალებად,
უნდა გასრულდეს, კმარა, სადამდე!

და შფოთავს ღამის მოუთმენლობა,
არ მეძნელება გოდება ახლა,
რამდენჯერ უფალს ვთხოვე შენდობა,
იმდენჯერ შვებად შემომისახლდა.

კვლავ უცოდველი ჩნდება სიშიშვლე,
სიტყვის გარეშე მწვავენ ეჭვები,
გზადაკარგული წამი ვიშიშვლე,
უფსკრულის პირას დგომას ვეჩვევი.

შენ რომ იცოდე, შენ რომ იცოდე...
რასაც დავეძებ, როგორ მეშორვის,
ეს არც ჯვარცმაა, არც ზეიმია,
სიყვარულია დიდი ჩვენს შორის!

სიმარტოვე

მზისგან გადაღლილი სანაპირო,
თეთრი თოლიების სიმარტოვე...
ახლა რაც არ უნდა დავაპირო,
ვიცი, უსათუოდ მივატოვებ.

ქუჩებს ვეღარაფერს ვერ ვუყვები,
ვეღარ გამოვლიე ზღვა სიშორე,
დავრჩი იმ ზღაპარში, სადაც სხვები
სინამდვილისათვის მოვიშორე.

ახლა, ახლა გულზე ხელს ვიდებ და
გულსაც ვერ გპოულობ, აი, ვერსად,
გარეთ სადაცაა შებინდდება
და მზე ჩამოდნება სევდის ლექსად.

მაინც ვერაფერი გავიმეტე
დასავიწყებლად და სიმარტოვეც,
ისე შემეჩვია, სულში ვერ ვტევ,
ჰოდა, ყველაფერი მივატოვე.

მოვალ

მოვალ! იქნება სადმე შევჩერდე,
უცხო ლაჟვარდებს ზურგი ვაქციო,
მანამდე, სანამ გიყვება ჩემზე
შენ, მშობლიური ქარი და სიო.

გულის სიღრმეში ისევ ის ერთი,
მთელ ამ უბადრუკ სამყაროდ ღირხარ,
რამხელა შვება იქნება ჩემთვის,
თუ გაიხსენებ, სად ხარ და ვინ ხარ!

ვითვლი, თუმც აღარ იღება კარი,
არც თვალის ჩინი არ მემატება,
მე, შემრჩა მხოლოდ ღრუბლის ზეწარი
და პანიკური აკვიატება.

მოვალ! იქნება სადმე შევჩერდე,
უცხო ლაჟვარდებს ზურგი ვაქციო,
რომ რასაც სიო გიყვება ჩემზე,
ერთ დიდ ქარიშხლად გადავაქციო!

ჯერ არდაწერილ ლექსებზე ვდარდობ

თვალებს ვახელ და ყველა კუთხე-კუნჭულს ვამოწმებ,
ოთახი თითქმის დაუფარავს მტვერს და ცარიელ
ფურცლებს, რომლებიც უწესრიგო, ძალაგამომცლელ,
ჯერ არდაწერილ ჩემს ლექსებთან უბრად არიან.
აქ არაფერი აღარ დარჩა ხელშეუხები,
ახლა ყველაფერს უშენობის კვალი ატყვია,
და განაჩენის აღსრულებას ვერ შევუდგები,
როგორმე უნდა ავიცილო ბედის ბრმა ტყვია.
ჰო, არ მოგესმა, არდაწერილ ლექსებზე ვდარდობ,
სასიქადულო ამბებივით გულში ვინახავ,
და როგორ ფიქრობ, მე როგორ ვარ ან რას ვგრძნობ ამ დროს,
როცა დღის შუქი შენი თვალით არ დამინახავს.
გრძნობებს ვიტკიებ, აღარ ვეძებ ჩემთვის დასტაქარს,
სადაც– შენ, იქაც –მე და მოდი, ასე დასრულდეს,
მე თანახმა ვარ, თუ სიჩუმე დიდხანს გასტანს და
თუ ძველ ტკივილებს ღამე ქურქად შემომახურებს.
თვალებს რომ ვახელ, ვხედავ მხოლოდ მტვრიან მაგიდას,
ჰო, ამ აბსურდში უშენობამ სივრცე გადახრა,
იწერებიან აუხსნელი ჩემი ლექსები,
მაგრამ შენ ამ დროს არსად არ ხარ...არსად არა ხარ!

არ დაიჯერო

ისე მიდიან დღენი, როგორც ჯარისკაცები,
შიშველ ხეებზე წვიმის წვეთებს ახრჩობს მარტის თვე,
გარშემო უტყვი სიჩუმეა, დარდის გამცემი...
გაზაფხულდა და ვცდილობ ყოფნა გამიმარტივდეს.

ხვალ რა რიცხვია, ან რა დღეა, ვფურცლავ კალენდარს,
ამაღამ ისევ დაიტევენ ლექსებს ფურცლები,
მჯერა, ოცნება თავის მოკვლას ვეღარ გაბედავს
და მაინც, ღმერთმა მაპატიოს ახლა თუ ვცდები

მაგრამ აღარ მწამს, ჰო, აღარ მწამს, რომ სიცხადეა,
მშვიდი და თეთრი აპრილების ტკბილი სავანე,
გარეთ ისეთი თავსხმაა და ისე დადიან,
რომ პაციფიზმიც ამ ღამესთან დავასამარე.

კვლავ დგანან რიგში დღენი, როგორც ჯარიკაცები,
შიშველ ხეებზე წვიმის წვეთებს ახრჩობს მარტი და
მე რომ კარგად ვარ, ან ეს ყოფნა, დარდის გამცემი,
არ დაიჯერო, თითქოს მართლა გამიმარტივდა!

ერთმანეთს სიჩუმეს დავპირდით

გესმოდეს, უბრალოდ სიჩუმე გესმოდეს,
სიტყვები საერთოდ არ ცვლიან არაფერს,
მიდიან, მოდიან და მაინც ჩემოდენს
სიყვარულს სალბუნად არავინ დაგაფენს.
        გასრულდა უთოვლო ზამთართა გოდება,
        ცივ წყაროს წყალივით მეწამლა ფერი ცის,
        ვინ იცის, რამდენი რამ მომაგონდება,
        ვინ იცის...არავინ, ეს მხოლოდ მე ვიცი.
ათასი დაღლილი სულიდან ერთი ვარ,
რომელსაც სიმშვიდე ვეღარც კი აწყნარებს,
არც ანგელოზი ვარ, ვფიცავ, არც ღმერთი ვარ,
საწოლთან გიტოვებ ჩემს დაჭრილ ნაწნავებს.
        ვიღვიძებ ყოველთვის ჩიტივით დამფრთხალი,
        ოცნება მარტოდენ დილიდან დილამდე
        მცალდება, რადგანაც მეასედ მაფრთხილებს,
        ეგ მზერა, რომელსაც სიცოცხლე მივანდე.
ჩემამდე მოჰყავხარ ეკლიანს თუკი გზებს,
აქ, ჩემთან დაგხვდება სითბო და აპრილი,
სად დახვალ, მომავალს გზადაგზა თუ გკითხეს,
გახსოვდეს, ერთმანეთს სიჩუმეს დავპირდით!

დამშორდა ეს დღეც

ბინდი წევს მთებზე, პირი უჩანს ღრუბელს საავდრო,
მე ისევ ჩემი ლექსი მახვევს მზისფერ მანტიას,
გადამარჩინა მხოლოდ ერთმა სიტყვამ და ამ დროს,
სხეულმა სულის სატკივარი ვერ მაპატია.

ახლა ბავშვივით ცეცხლთან ვზივარ, წერილს ვწერ ჩემს თავს
(და ინტერვალი სიტყვებს შორის ისე ვრცელია...)
ახლოს რომ არის, ის ფიქრები გულივით ფეთქავს,
თუმცა ეს უკვე სხვა რამე და სხვა ფურცელია.

თვალუწვდენელი ნაპირივით დამშორდა ეს დღეც,
სულში მაცილებს ვეღარ მიფრთხობს ჩემი სიურჩე,
დე, ასე იყოს, თუ რამე გსურს ან ახლა მკითხე,
ან სამუდამოდ ჩვენს ძველ სკივრში ადგილს მივუჩენ.

ბინდი წევს მთებზე, პირი უჩანს ღრუბელს საავდრო,
ახლა მე და შენ ლექსი გვახვევს მზისფერ მანტიას,
მე ერთმა სიტყვამ, ერთმა სიტყვამ მიხსნა და ამ დროს,
შენ, ჩემმა გულმა ერთხელ წასვლა ვერ გაპატია!

დაკარგული სიყვარულის რექვიემი

ვკარგავ სიმშვიდეს, როცა ვფიქრობ, რომ გულს განდობდი,
როგორ დავმარხე სულში ის, რაც ასე მტკიოდა,
არ ვიკარებდი ახლოს არვის და რასაც ვგრძნობდი,
დაუფიქრებლად, სტრიქონებად გადმოდიოდა.

შენიღბავს ცრემლებს უსასრულოდ ყალბი ღიმილი,
სასწაულია ისიც ახლა, ამას რომ ვცდილობ,
მზვერავად დარჩა ერთგულება, სიკვდილმისჯილი,
რომ ხელისგულზე სხვას არავის არ აკოცნინო.

რომ გავიხსენო, მეშინია, სულ სხვად არ ვიქცე,
რომ გავიხსენო...მაგ ხელებით სხვას მოეხვიე,
სხვას, ვინც ოდესღაც მიშუშებდა იარებს იქნებ,
ახლა კი სარკმელს ვდარაჯობ და ვისმენ რექვიემს.

რა მინდა...უკვე არაფერი, თუ მკითხავს ვინმე,
ვზივარ ჩემს ფიქრში, ვწრუპავ ღვინოს და შენთან ვცილობ,
მე ვკვდები, მაგრამ ერთგულებას ვტოვებ დარაჯად,
რომ ხელისგულზე სხვას არასდროს არ აკოცნინო.

ვიღაც

ვიღაც ჩემს სიზმრებში ხელებს აფათურებს,
ყელზე ყულფს მიჭერენ ღამის აჩრდილები,
შიში სიკვდილისა სულაც არ მაქვს თურმე,
უფრო მეშინია, რომ შენ დაგჭირდები.

მე რომ ვერ გიპოვო, შენც რომ მეძებდე და
ხელში შეგრჩეს მხოლოდ ჩემი თილისმები...
ახლა უმიზეზოდ ისე მეცრემლება,
რაღა გამაღიმებს ჩემო, იმის მერე.

უხმოდ ვაკვირდები დაწვრილებულ მაჯებს,
ძარღვში პოეზიას ვისხამ წვეთ-წვეთობით,
ვდგავარ და ვამრთელებ გულს, ვით ძველ ფარაჯებს,
ვინმეს დასჭირდება, ვისაც ვერ ვეთმობი.

ვიღაც ჩემს სიზმრებში ხელებს აფათურებს,
ყელზე ყულფს მიჭერენ ღამის აჩრდილები,
შიში სიკვდილისა სულაც არ მაქვს თურმე,
უფრო მეშინია, რომ შენ დაგჭირდები!

მე პოეტურად განვიცდი მაინც

ვერ აგარიდე ტკივილები, ვერ გირჩენ წყლულებს,
ვერ მოგიყვანე აპრილები და დღემდე რაიც
იყო უსაზღვრო, იყო მძიმე და დასათმენი,
გამქრალა, მე კი პოეტურად განვიცდი მაინც.

თუ მოვიხვეჭე სიყვარულად დღეცა და ღამეც,
თუ ადუღებულ სისხლს შარბათი კვლავ შეერია,
გეტყვი, რომ ძველი ოცნებების აღარ მაქვს დარდი,
და რომ ცხოვრება ამბოხითაც მშვენიერია.

ხომ ხედავ, ჩემში გარდაქმნილა უკვე ყოველი,
აღარ მადარდებს ძველებურად მკლავდა რომ რაიც...
აღარც საზღვრები, აღარც ტვირთი, რომელი ერთი...
მე კი აქ ვარ და პოეტურად განვიცდი მაინც...

ნუ მეტყვი

ისევ ორგულთა შემოტევებს ვუმკლავდები და
ისევ ისეთი საცდურია დღეს ეს სამყარო,
არ დამიკარგავს, ნებით დავთმე ის, რაც არ მინდა,
დავთმე და ვცდილობ უსარგებლო ფიქრი დავმალო.

მივყვები ახლა უთავბოლოდ აზრთა დინებას,
ვიცი, ამ ბავშვურ სამყაროდან წასვლას ვინანებ,
ვერა და ვერა, ვერ გავუხდი მორჩილი ნებას,
ხვალ სიბერესთან პაემანზეც დავაგვიანებ.

კვლავ შმაგი მზერა გავაყოლე იმ წლებს გარდასულს,
შეუბრალებლად რომ მოგვპარა ჩვენ აპრილის მზე,
შევხვდებით სადმე, გავიხსენებთ ცრემლებით წარსულს,
მაგრამ ნუ მეტყვი, ნუ მეტყვი, რომ ვერ დამივიწყე!

გიორგი კუბლაშვილი – იურისტი, ფსიქოლოგი
დაბადების ადგილი – ტყიბული, საწირე

***

არ შეგრცხვეს, პაპაშენს თოხი თუ ეჭირა,
წელზე კი ეკიდა პირბასრი ფრანგული.
ნერვებმა უმტყუნა და უფალს შესჩივლა,
მიწა გაგვითელა მომხვდურმა ქართული.

არ შეგრცხვეს, ქალები ძუძუებს იკვეთდნენ,
ვაჟკაცთა გვერდი-გვერდ მტერი რომ ეკაფათ.
ჩოხები მრავალჯერ სისხლისფრად შეღებეს,
სურვილის, შვილები ბრძოლაში ეწაფნათ.

მე იმის მცხვენია, მტკივა და მაფიქრებს,
დღეს ვიღა დაგვიცავს? ან და ვის მოვთხოვო?
როდესაც სატანა სარეცელს გაიგებს
და როცა ახლოს ხარ გარყვნილო სოდომო.

მე იმის მცხვენია, როცა ძმა ძმას ესვრის,
როდესაც ჰყიდიან დასისხლულ ტრამალებს.
მე იმის მცხვენია, არავის არ ესმის,
შიმშილით ნერწყვები ადგებათ პატარებს.

იტირეთ, იგლოვეთ, ჩაიცვით ძაძები,
გმირ ძმათა საფლავებს ნათელი ეფინოს.
სისხლი რომ ადუღდეს, დაგვისკდეს ძარღვები,
გული? გული კი არავის ეტკინოს.

ილოცეთ, ილოცეთ, მხურვალეთ ილოცეთ,
დაწერეთ, ადიდეთ, წმინდანთა ხატები.
მხოლოდ თქვენს გულისთვის, უფალო, სამშობლოვ,
დავანთებ სანთლებს და მუხლებზე დავდგები!

******

ცხოვრება გვიგებს ათასგვარ მახეს,
როგორც ბალღები ციცქნა ბეღურას.
მე ვუყურებდი როგორ დამმარხეს,
თავზე ბურუსის ქუდი მეხურა.

ნეტავ ვინ არას ადამიანი?
ამ ქვეყნად ნეტავ რისთვის მოსულა?
ბევრი ყოფილა ჩემზე ჭკვიანი,
ბევრი კი დღესაც გონს ვერ მოსულა:

რა ძალა სჩადის ამოდენ ცოდვას?
რაში ეძებენ შვების სთავეს?
მე მივეცემი უსაზღვროთ ლოცვას,
ეშმაკს ვერ მივცემ წმინდა სადავეს.

არ მიცხოვრია სახელისათვის,
უფალმა მომცა ერთი მისია:
რომ მოვემზადო მარადისათვის,
ქვეყანა მეტათ რა მაქნისია.?

******

ნაპირიდან სივრცე ზღვისკენ,
მოსჩანს, როგორც ნორჩი ყანა.
რა ტკბილია ფიქრი შენზე
და ნამღერი იავნანა.

რა შორია, როგორც წინათ,
ოცნებებით ფრთების გაშლა
და მინაზე დაწერილი
სახელების მორცხვად წაშლა.

ლაბირინთებს მიუყვება,
როგორც მგზავრი უცხო მხარეს,
გონება და ვერ ვგებულობ,
რა მწყინს? ან და რა მახარებს?

ფრესკაა თუ ჩუქურთმაა,
მზე არის თუ სავსე მთვარე.
ყველაფერში შენ ცოცხლდები,
ვარსკვლავივით გადაგთვალე.

გადაგფურცლე, როგორც წიგნი,
გზეპირობდი, როგორც ლექსებს
და საყდარში ლოცვის ნაცვლად,
გადარებდი წმინდანთ ფრესკებს.

ავირიე, ავიშალე,
რა ცუნამი? ქარბორბალა?
დროს ვთელავდი, როგორც მიწას
და ოცნებამ გადამღალა.

ღამეების სითეთრეში,
არ უჩანდა დარდს საშველი.
იდგა სუფრა მგლოვიარედ,
უშენობით განაშლელი.

არც თამადა-მერიქიფე,
არც სიმღერა ქალაქური.
ქვითინებდა განწირული,
გული უხმოდ, დანავსული.

სადღაც ქარებს გაეტაცათ,
ლექსი მთაში დანაჭექი.
იღვიძებდა ჩემთან ერთად,
თვალში შენი ანაბეჭდი.

უსასრულო მოლოდინმა,
გამოძერწა შენი სახე.
სულს ვნატრულობ, სულს, რომელიც
გრძნობით მთვრალმა დამანახე.

ახლა აფრებს, ზღვებს და ქარებს.
ვანდობ, როგორც უფალს შენს თავს.
მჯერა ერთ დღეს ვიღაც დაწერს,
საარაკო ამბებს ჩემსას.

ერთ დროს, როცა გულწრფელი და
მდუღარ ცრემლით დავსველდები.
ჩამომძახებ ჩუმად, თბილ ხმით,
საფლავიდან აღვზევდები.

რომ გაჩუქო უკვდავება,
ანგელოსთა შესადარო.
სულზე ტკბილო, გულზე თბილო,
ქარზე ანცო, ზურმუხტ-ლალო.

სიმშვიდევ და რწმენის ქიმო,
თავი უნდა განაცვალო.
წვიმის წვეთო, მინდვრის ნამო,
ხან ცივო და ხან გამთბარო.

ხან ღრუბელთა სიმსუბუქევ,
გზავ შამბნარში განაკვალო.
ოკეანის გულის სიღრმევ,
დასიცხულთა მგზავრთა წყაროვ.

ხან ქვესკნელის ხილვის შიშო,
უღშფოთველოვ ხან სამყაროვ.
ხან სიამევ ჭრილობათა,
ღვთიურ მადლო უანგაროვ.

შემიფარე, შემიკედლე,
თავი მეტად შეგაყვარო.
ხვალინდელ დღის იმედი ხარ,
მოხდენილო, კოხტა ქალოვ.

შენს გულისთვის შემიძლია,
წამში დავთმო ეს სამყარო.!
გთხოვ დამპირდე,
ცივ სამარეს,
თბილი ცრემლი ჩამაყარო.

გამაყოლო წრფელი დარდი,
გულს სხვა არვინ გააკარო.
საფლავს ხშირად
სტუმრობდე და
ზედ ვარდები ააყვავო.

ჩემი სულის ზიარებავ,
გულჩვილავ და სათაყვანოვ.
უპირობო ერთგულებავ,
საძირკველო მუხლმაგარო.

მომეც ნება გარდაცვლილმა,
თავიდან რომ შეგიყვარო.
ეგ ღვთიური სინატიფე,
შენც გეყოს და მეც მაკმარო.

გამინათე ღამით გზები,
რომ დილით კვლავ გაგახარო.
დაწერილით შენზედ ლექსით,
თვალს ცრემლი კვლავ
ჩამოგღვარო.

გულს მითბობ და
სულში სახლობ,
ერთადერთო სანუკვარო!

****

დამსხვრეულ შუშებს დამსჩნევიათ სისხლის ტალები
და ახლა როცა შუაღამის ოთხი გამხდარა.
მოსჩანს სიშორე ობოლ ნუკრის, როგორც თვალები,
კვლავ უშენობით გამომხედავს ღია ფანჯარა.

სივრცე მიაგავს გაჭენებულს რემას ცხენების,
წვიმს, თუ სიმწრისგან ოფლი გასდის დედაბუნებას?
მე სანთლის შუქი ვიგრძენ კარგო შენი ხელებით
და აღარ ვფიქრობ მირაჟებში კვლავ დაბრუნებას.

სულის სიშიშვლე უცნაური მელის ფერებით,
სიტყვა კი ჩემი გავარდნილი როცა ტყვიაა.
მინდა გიხილო და შეგიგრძნო კვლავ გახელებით,
შენი სუნთქვა ხომ უსასრულო პოეზიაა.!

არ დავლევ, მეყო ალკოჰოლის სუნი ამიდის,
არ მოვწევ, რადგან სიფხიზლეში მეტი ვნებაა.
დღეს მენატრება კვლავ შეგრძნება მზიან ამინდის,
უგონოდ ყოფნა პრობლემებთან გარიდებაა.

კვლავ ქარი ლეწავს, ხის ტოტების ისმის ლაწუნი
და თოლიებმაც მიუცხოვეს თითქოს ტალღებში.
დამწიფებული ვით მტევანი ხარ დასაწური,
მეც შემოდგომის სიყვითლეში თავით ჩავეშვი.

და მაინც ვფიქრობ, ვერ ვისვენებ, გული ხმაურობს,
რადგან ერთ დღესაც დაიღლება ჩემით სამყარო.
გაემგზავრება სული როცა სამოგზაუროდ,
მოხვალ საფლავზე, ვარდები რომ გადამაყარო.

განა სხვა რამ არს უსასრულო დროსთან ჭიდილი,
თუ სამუდამოდ ჩამესმება შენი გოდება.
შენ შეგიძლია დაამარცხო ჩემში სიკვდილი,
მაშინ ვიტყვი რომ უკვდავი ვარ, თუ ეს მოხდება.

მუდამ მისტიურ ოაზისებს ვხედავ სიზმრებში
და ახლა ალბათ ბოლოჯერაც ამოვაბოლე,
ვერ შევძელ ახსნა, თუმცა ვცდილობ მაინც რითმებში,
დაგიძახე და ბულბულის ხმით რად გამაგონე?

არეული ვარ, ალბათ გიჟის დამკრავს იერი,
გარედან ძლიერს შინაგანი მტანჯავს სისუსტე.
ბევრი ოცნება გამიშვია დასალიერში,
შენს წინაშე კი გვერდით მედგა მუდამ სიზუსტე.

ვწუხვარ, ჩემი დრო აღარა გავს ახლა გრინვიჩის,
არც წასაკითხად მირჩევს დედა ვინმეს მემუარს.
ეს ბედისწერა მე შევქმენი იქნებ ვინ იცის?
მოვა სიკვდილი და ვერ ვეტყვი ვშიშობ მეც უარს.

მერე კი იქაც, სადაც არის მხოლოდ ბნელეთი,
სადაც სიცივით გათოშილი წარსულს დავათრევ.
შეგევედრები, ჩემთვის კიდევ ერთხელ იტირო,
გულწრფელი ცრემლის სიმხურვალით ისევ გამათბე.

მერე იტყვიან საცხოვრებლად მიწა ემცირა,
გალაქტიკების ხიბლმა შთანთქა მისი არსება.
ვერც გაიგებენ ჩემი წასვლით, რომ მაღლა ცაში,
როგორც ვარსკვლავი უკვდავება დაიბადება.

თუმცა ერთი რამ კარგად ვიცი, როგორც იქნება,
მარადიული სიყვარულით ჩემით იწვები.
დანთებულ სანთლის შუქს მოყვება თან უკვდავება,
სანამ იცოცხლებ, მეც არავის დავავიწყდები.

მერე კი ცაში იკაშკაშებს ორი ვარსკვლავი,
საფლავსაც მხოლოდ ესტუმრება მთვარე ნამგალა.
აღარავის არ ეხსომება ჩემი ლექსები
და არც მიზეზი თუ სიცოცხლემ რატომ დამღალა.

ჩვენ კი იქ მაღლა, გავაშენებთ ლამაზ ხეივანს,
გახსოვს? ვინატრეთ ზღვის ნაპირას, გრძნობით მთვრალებმა,
რომ გვექნებოდა ზეციური, მშვიდი სამყარო,
რომელიც ყველა მიტოვებულს შეიფარებდა.

ისევ წამლეკა, ამომგლიჯა სული გოდებამ,
დაპატარავდნენ სულ ერთბაშად თითქოს სიზმრები.
გათებებულზე დამამშვიდეს შენმა თვალებმა
და მივხვდი უნდა ვიცოცხლო, რომ რადგან გჭირდები!

****

გაისათ ალბათ მოგიწვები ცამეტში გვერდით,
გაისათ მგონი ხუთშაბათი იქნება მაგ დროს
და სისხლს აუვა დენთის სუნი ჩამოღვრილს შუბლზე,
ჩამოღვრილს შუბლზე ათიანში სიზუსტით ნასროლს.

სროლის ხმა აფრთხობს, გუმბათებზე ჩამომსხდარ ყვავებს,
ქვითინებს ვიღაც და რატომღაც ვგრძნობ სულ ერთია.
საწოლის ნაცვლად ავირჩიე ცივი სამარე,
დეკემბრის სუსხში ღამე შენთან რომ გამეთია.

მკითხველებს უკვირთ, სევდიანი ლექსების წერა,
გაღიმებაშიც ვერ მატყობენ ტკივილის კვალებს.
მე შევეგუე, ცეცხლზე იწვის რომ ბედისწერა
და უბედობა ვიცი ერთ დღეს უთუოდ დამლევს.

ისევ გაწვიმდა, ისევ ზმუის ქარი ჭალაში,
ავდრებით სავსე მეფინება ღრუბლები საბნად,
მე მიკვირს ახლა, რად გამწირა, რად შემქმნა ნეტავ?
უფალმა ეშმას ან საკბილოდ, ან დასაჯაბნად?

დროს გავუსწარი, გავიარე მწვერვალთა ქიმზე
და გამარჯვება მომეჩვენა თითქოს ამაო.
კვლავ გზა მომიჭრა უსასრულო ტკივილის განცდამ,
ნაღველი სულში შემისახლა დაუსაბამო.

და დღეს დეკემბრის სითეთრეში შავბნელ ცხოვრებას,
დასამარებას მოუნდომებ, ხოდა არ ვიცი.
ეს სიზმარია, შეცხადება გარდასულ დღეთა,
თუ უკანასკნელ ემოციის რეგრესს განვიცდი?

დეკემბრის ცამეტს მომაყრიან გათოშილ მიწას,
განა წყვდიადი შემაშინებს, ძმად გვერდით მდგომი?
ბნელი ახლოა, დასისხლული სულისთვის რადგან,
მთელი ცხოვრება სინათლესთან მიწევდა ომი.

ჩამესმის ხმები, ღმერთო ჩემო, ო რატომ? რისთვის?
მარილის გემო შემორჩება, ცრემლნანამ მიწას,

დღეს ცამეტია? მეპარება რატომღაც ეჭვი
და ხრინწიანი ხმით შეგკადრებ ჩურჩულით კითხვას.

ძნელია, როცა ვერ გრძნობ რაა სიცოცხლის არსი,
ან სიყვარული, ან შენდობა, ან თუნდაც სითბო.
ვნატრულობ ღილაკს, დავაჭირო რადგანაც თითი,
"RESTART" ახალი აზროვნება რომ ჩამოვტვირთო.

ვერ გამიგია მაინც, ვინ ვარ? რატომ? ან რისთვის?
რად მოვევლინე დედამიწას, როგორც ქმნილება?
მაგრამ ერთი რამ კარგად ვიცი და შევიცანი,
სიმარტოვეა, სრულყოფილი ჭეშმარიტება.!

დღეს აღარავის ვსაყვედურობ, რატომ დამტოვა,
მე სულ მარტო ვარ, მე სულ მარტო ვარ, მე სულ მარტო ვარ!

****

არ მიყვარს წვიმა, მაგრამ მიყვარს წვიმაში წერა.
არ მიყვარს ზეცა, თუმცა მიყვარს სიშორე მისი.
არც უშენობა მიყვარს, მაგრამ ვერ დავთმე ვერა,
განცდა სიკვდილის და ვერ გავხდი დღეს შენი ღირსი.

არ მიყვარს ღამე, მაგრამ მიყვარს ღამესთან დარდი.
არ მიყვარს ღვინო, მაგრამ მიყვარს უგონოდ თრობა,
არც მისურვია დამეკრიფა უეკლოდ ვარდი,
ან დამემალა განწირული სულის განწყობა.

არ მიყვარს ქარი, თუმც ქარივით ვბორგავ ეული.
არ მიყვარს მიწა, სუნი ასდის რადგან ქვესკნელის.
სამყარო მიყვარს, უღშფოთველი, სიზმარეული
და თმების ვარცხნა ჩანჩქერებათ, ქალის, ფეხშველის.

დავსუსტდი, მორჩა, ვატყობ სენმა ხელი დამრია.
უწყლოდ დამირჩა ბედ-იღბალის ვხედავ წისქვილი.
სულ მალე მოვა, შემიკედლებს და მიხარია,
მარადისობას მაზიარებს რადგან სიკვდილი!

რომ გყვარებოდი

რომ გყვარებოდი შევიცვლიდი ალბათ ხასიათს,
ყოველი დილა რა ლამაზად გათენდებოდა.
გარდასულ დღეებს ცხრაკლიტურში გამოვკეტავდი,
ჭრილობა გულზე ერთიანად გამთელდებოდა.

მერე მდელოზე დავკრიფავდი ფერად ყვავილებს,
და ლამაზ თმებში ჩაგიწყობდი როგორც იმედებს.
ნიშნის მოგებით ჩავხედავდი უფსკრულებს სულში,
სამარის კართან მისასვლელად რომ გამიმეტეს.

ქოხს ავაგებდი, შიგნი ბუხრით, რომ ხალიჩაზე,
ვნებებისათვის აღვირები მიგვეშვა დროში.
შემოგარტყავდი წელზე სარტყელს თამარ დედოფლის
და წითელ ვარდებს მოგართმევდი ძვირფასო თოვლში.

მოგატარებდი ზღვებს, ხმელეთს და ციურ მნათობებს,
დაგიკოცნიდი თვალთა სიღრმეს, სადარებს სანთლის,
აგარიდებდი ყველა ტკივილს, ყველა განცდას და
ვეღარ ვიგრძნობდი ჟამთა სვლაში სივრცეში მანძილს.

წინ ნატურმორტად დაგისვავდი როგორც მხატვარი,
სულ ავავსებდი ნახატებით ოთახის კედლებს.
გავაცოცხლებდი კლავიშებით ეტიუდებს და
ტრაექტორიას შევუცვლიდი სამყაროს ღერძებს.

სახლის წინ ბაღში მოგიყვანდი ბულბულ-იადონს,
რომ გათენება მოსულიყო როგორც მაისი.
ყველა ოცნებას რეალობად ვაქცევდი, რადგან
მარადიული დამენახა შენში ხალისი.

მომინანქრებას ვისწავლიდი სიუჟეტების,
ბედნიერების რომ გიკრთოდა ღიმი ლოყაზე
და უფალს ვთხოვდი დავეტანჯე როგორც "გიორგი"
იტანჯებოდა მიჯაჭვული ერთ დროს ბორბალზე.

რადგანაც ტანჯვით გამომეხსნა ვნების უფლება,
რომ ამეყვანე სიყვარულის სულ მთლად ზენიტში,
შენი ხატება მქონებოდა თვალში ყოველთვის
და შემეცანი როგორც ფრესკა ყველა წერტილში.

რომ გყვარებოდი გავმართავდი ბრძოლას სიკვდილთან,
უკვდავებასაც მოგართმევდი მერე ლანგრებით.
მაგრამ თუ ახლა არ მომეცი ამის უფლება.
არ მჯერა რაღაც, რომ მეორედ დავიბადებით!

****

ღვთისა რჩეულის რჩეულო,
სისხლით მორწყულო მიწაო.
ნინოს ჯვარს შევედრებულო,
მყვარებელ გიორგისაო.

ფესვთ ვაზის დაძარღვებულო,
სამშობლოვ რუსთველისაო.
გიცავს ვახტანგი, დავითი
და ლოცვა თამარისაო.

გამოკვეთილო ვარძიათ,
მნახველო დიდგორისაო.
ჩუქურთმავ ნიკორწმინდისავ,
დარბაზო გეგუთისაო.

წითლად ნაღებო მდინარევ,
მახვილით მომხვდურისაო.
მყარო, ბებერო ხერთვისო,
ბალადავ ვეფხვ-მოყმისაო.

ტყვევ, გაყიდულო სტამბულსა,
ჩუმ ნატვრავ მამლუქისაო.
კახ-ფერეიდანს ახარებს,
ამოსვლა შენი მზისაო.

ასიათასი მოწამის,
სისხლით შეღებვა მტკვრისაო.
ცხრაჯერ მოკლული დედაის,
დროშის არ დახრავ ძირსაო.

ბრძოლაში გამოჭედილო,
მხნედ მყოფო გასაჭირსაო.
ლოცვაში ამაღლებულო,
არას მოშურნევ სხვისაო.

ჩემს ლეშის მიმბარებელო,
გნატრულობ, ცრემლი მდისაო.
ღვთისა რჩეულის რჩეულო,
სისხლით მორწყულო მიწაო.

მე მიყვარს

მე მიყვარს ცაზე მოჭედილი ვარსკვლავთა დასი,
ვაზის ცრემლებით ავსებული პირამდე თასი.
მიყვარს უბელო ცხენზე ჯდომა, ჯირითი ველზე,
ღილი მაცდურად ასხლეტილი, შენს სავსე მკერდზე.

მე მიყვარს ღამით საუბარი, მთვარესთან მარტო,
რომ ხილვა შენი მოწყენილმა კვლავაც შევნატრო.
სიშორე მიყვარს სიკვდილამდე სავალი გზების,
უცხო საფლავთა პატრონობა, მიტანა ბზების.

რიჟრაჟი მიყვარს, მზის სხივების ნისლებში ქსოვა,
მიყვარს ქარები, მიყვარს წვიმა, ყინვა და თოვა.
შეხნულ მიწიდან ავარდნილი ნოტიო სუნი,
ვეცადე, მაგრამ ვერ ვუპოვნე სამყაროს წუნი.

მიყვარს წაბლნარში რომ ჩამოთოვს ყვითლად იელი,
ყველა სულდგმული, შინაური, გადამთიელი.
სიცოცხლე მიყვარს, სიკვდილს მარად რომ უშლის ნერვებს,
რომ სიყვარულის ისრით გმირავს დაგეშილ მდევრებს.

რომ არ მიყვარდეს, განა ქვეყნად მეგულვის რამე?
სულს მიამებს და ცქერით მატკბობს ეს არემარე.
ნაკლის საძებნად მოგვავლინა უფალმა განა?
ან და ღვარძლისთვის? რომ დავგესლოთ მთელი ქვეყანა?

შეხედეთ, როგორ ეფერება ბალახი მიწას,
გასაჭირის ჟამს ძაღლი პატრონს თუ როგორ იცავს.
ტყეში ხეები უმაგრებენ ერთმანეთს ფესვებს,
ჩიტები როგორ ამრავლებენ მცენარის თესლებს.

როგორ აპურებს ოკეანე უსიტყვო თევზებს,
როგორ იცავენ ცხოველები უმწეო მდედრებს.
ცოდვით დაღლილი, როგორ ტირის უფალი ციდან,
შეხედეთ, როგორ გადავედით სწორსავალ გზიდან.

დედაბუნებას ვებრძოლებით რობოტთა ჯარით,
უკმაყოფილო ვრჩებით მერე მისსავე ჯავრით.
განა ღმერთს ვებრძვით? განა ვებრძვით დედაბუნებას?
ადამიანის გამოვხატავთ ამით ბუნებას.

მე მაინც მიყვარს, ნირწამხდარი, თავსლაფიანი,
ჩემი ჯიშის და გენის მქონე ადამიანი.
ოდითგან მოგვდგამს, ბედ–იღბალის ორომტრიალი,
ჭარბობდნენ მუდამ სულელები, ვიდრე ჭკვიანნი.

მე მაინც მიყვარს, არ იკარებს სიძულვილს გული,
ცოდვიანი თუ უცოდველი ყველა სულდგმული.

თანამედროვე " ადამიანი " მიმართავს უფალს

მტვრისგან შექმნილი, ვაცალმტვერებ ახლა ყველაფერს,
თეატრს ვქმნი, მერე ჩემს ხელშია როლის მორგება.
მხატვარიც მე ვარ, უკითხავად ვარჩევ ყველა ფერს,
მიზანი ერთი! განდიდება, მეტის მოგება.

ვეღარ იტევენ საკიდები, ნიღბებს ჩემეულს,
დასტად მიწყვია, გასაწირთა გვარ-სახელები.
ვეთაყვანები პირველობას, ამოჩემებულს,
ზეცას მიხედე! აქ მიწაზე ნუ ჩაერევი!

აქ მე ვქმნი წესებს, კანონებსაც ვირგებ მშვენივრად,
მადლიერი მყავს, დამშეული "ბრბო" თითო გროშის.
ისტორიაში, როგორც გმირი ისე შევდივარ,
ვწამლავ მომავალს იმედად, რომ შენს სახელს მოშლის.

განმადიდებენ! დაგეცემა მათ თვალში ფასი,
სისხლის გუბეებს შენეული მზე ვერ დააშრობს.
სანთლის დანთებას ერჩივნებათ ერთი ნაფასი
მოსაწევი, რომ ეშმაკს თავი გაუთანაბრონ.

ახლაც აქ ვდგავარ, გაქნილ ბრბოში გარჩევა გიჭირს,
მასკარადია დედამიწის ავანსცენაზე.
ყველა ჩემნაირს, მოწყენილი სახე აქვს დინჯის,
რეჟისორები თავადავართ ამ კარნავალზე.

იაფ მწერალთა ნაწერებით ვშთანთქეთ ბიბლია,
"ადამიანმა" გაგიყავი, შევძელ სამყარო.
"გიყვარდეთ ყველა" მეცინება. რა ცინიზმია,
თვლას ვსწავლობთ ცხრამდე, ათი მცნებით რომ არ დაგვღალო.

იქნებ ეშმაც კი მოგეჩვენოს თავაზიანი,
დღეს ისე ძლიერ სასტიკი ვარ " ა დ ა მ ი ა ნ ი " !

*****

წუხელ გისმენდი, მთელი გულით გისმენდი წუხელ,
მერე ვფიქრობდი, ვეღარაფრით ვერ დავიძინე
და ყველაფერი განვიცადე დამდგარმა მუხლზე,
თუ რა ხდებოდა მაშინ შენში წარმოვიდგინე.

მერე ავტირდი, ხატების წინ ვიტირე დიდხანს,
მციოდა, მაგრამ ტანზე მაინც არ მოვიხურე.
მხოლოდ ერთადერთს, ხო ერთადერთს ვხედავდი იმ წამს,
ათას ზუგნაქცევს კარი როგორ არ მომიხურე.

აღარ წვიმს გარეთ, ახლა სრული ოთხია ღამის,
ათრთოლებული, სანთლით ხელში ძლივს ვბედავ ლოცვას.
ბედნიერი ვარ, ბედნიერი და ღრმად მწამს ამის,
იმ ქვეყნად წასულს უანგარო გამატან კოცნას.

****

დამიფრთხა ძილი, დილის ხუთია,
ცაზე ვარსკვლავთა არის ქორწილი.
შენი თითები რა სათუთია,
ჩემს მხარ–მკლავებზე შემოწყობილი.

დილა კიაფობს ახლა სარკმელთან,
შემოეპარათ ტყეებს ნისლები.
ნამთვრალებივით ვდგავარ სარკესთან,
შიგ მოსჩანს ბედი არ ნაღირსები.

აშრიალდება ბაღში ალუჩა,
ყმუის ძაღლები, ვიღაც გათავდა.
სულის ტკივილი ვერ გააყუჩა,
ფუნჯმა დილამდე შენ რომ გხატავდა.

შემორჩენია სადღაც გონებას,
ნაწვიმარივით სველი თვალები.

ქარი ამირევს კვლავ მოგონებას,
ჩანს ვენა დანით განაწვალები.

ზაფხულშიც თოვდა, ბარდნა დეკემბრის.
გულზე მაყრიდა ნამქერს ყინვიანს.
დღეს მე საყვედურს ვერვინ ვერ მეტყვის,
რომ შეხედავენ სულს ტკივილიანს.

ისევ დავჯდები ღრუბლის ქულაზე,
ხელში ლექსების კრიალოსანით.
დამიფრინდება თოფის ლულაზე,
სიკვდილის მაცნე შავი ფრთოსანი.

დამიფრთხა ძილი, დილის ხუთია,
ცაზე ვარსკვლავთა არის ქორწილი.
შენი თითები რა სათუთია,
ჩემს მხარ–მკლავებზე შემოწყობილი.

****

წვიმს, ბაღში სკამის ქვეშ უმწეო ფოთოლი,
მაგონებს შენს თავს და ტირილი მინდება.
არ მიყვარს მზე როცა ირიბად ანათებს,
ზაფხულის სითბო და სიშლეგე მჭირდება.

ბეღურის გუნდები მოუსხავთ ხეებს და
მხატვრის წინ ნატურმორტს მიაგავს ქედები.
სახეზე არცერთი ნაოჭი, არა და
ვგრძნობ გულო, ადრიან თუ როგორ ბერდები.

ოქტომბერს გავუთევ ღამეებს ბაასში,
ნოემბერს შევუქებ გათოშილ ალიონს.
ვინატრებ დაღლილ მგზავრს, ავსებულ სასმისით,
რომ იქნებ დაგვლოცოს, ბოლომდე დალიოს.

ტყისპირა საყდარში, დანთებულ სანთლებთან,
დავუცდი უფალს და ღვთისმშობლის ფრესკაში,
შევიცნობ შენს თვალებს, რომლებსაც
ჟამთასვლა,
ვერ მოერევა და გულიდან ვერ წაშლის.

რა ვქნა თუ დამჩემდა? ოდითგან ასეა,
ამინდი ატყვია ზოგჯერ ჩემს ხასიათს.
ხან აპრილს წააგავს უთვალავ ფერებით,
ხან კიდევ მერყეობს, მარტივით ანცია.

ასეა ძვირფასო, უსაზღვრო სივრცეში,
ვდგავარ და უშენო წუთები მაგიჟებს.
მივყვები ხეივანს, ქარიან ღამეში,
ფოთლები ფარავენ შენს განვლილ ნაბიჯებს.

ამ დღეებს, ღამეებს, წინ ელით ზამთარი,
დეკემბრის მთვარე ხომ ყველაზე დიდია.
მე გულით ვატარებ შენს წმინდა სიყვარულს,
რომელიც კისერზე ჯვარივით მკიდია.

თებერვლის თოვასაც შევაბავ მარხილში
და ცაზე ვარსკვლავთა რიგები გაჩნდება.
სულ უკან დარჩება სევდა და ნაღველი,
შენს ნუშის თვალებშიც აპრილი ჩაჯდება

და მაინც დღეს გული ლოდინმა დაღალა,
სკამის ქვეშ აგდია საბრალო ფოთოლი.
თითქოს და მომელი, უშვილო ძიძა ხარ,
მე კიდევ უმწეო და სუსტი ობოლი.

ამ სულის სიღრმეში ის რაც კი გიხილავს,
მძიმეა საზიდლად, ალბათ შენც მიხვდები.
როდესაც ქარია, წვიმა და სიცივე,
ნუ გიკვირს თუ ზოგჯერ წელში მეც ვიხრები.

დასისხლულ სტრიქონთა ერთგული მედროშე,
ცრემლნანამ ბილიკთა ჯირითით დაღლილი.
გმადლობ., რომ მიმიღე და გული გამითბე,
ვიცი, რომ გიყვარდე არ არის ადვილი.

თუკი კვლავ სექტემბრის წვიმებმა დამღალეს,
განცდა მაქვს, რომ თითქოს სამყარო
მთავრდება.
არ მომცე უფლება საწუთროს გავექცე,
დამპირდი რომ ისევ აპრილი დადგება.

***

მარტი მოვიდა, მომიტანა მწვანე ფერები,
სული მშვიდდება რომ გეხები და გეფერები.
შენი თვალების სიშავეში მე მინათდება,
არ გიღალატებ, შენ ღალატი არ გეკადრება.

გააპრილდება, აფეთქდება ჭრელად ბაღები,
გათენაბა ხარ და არასდროს არ დაღამდები.
არ მომბეზრდები რომ ჯვარივით გულზე
მესვენო,
შენ მაძლევ ძალას, ბედნიერი დედას ვეჩვენო.

როცა მიღიმი უთვალავი ფერთა გამებით,
ვიჯერებ კიდევ რომ მეორეთ დავიბადებით.
სულგამთვარივარ, ვერ ვიგრძენი ზამთრის
სიცივე,
თუ მოვიწყინო, შენებური ეშხით მიღიმე.

შენს არსებობამ მე სიკვდილი დამაძლევინა,
ხელი უაზრო გოდებაზე ამაღებინა...

* * *

გული საგულედან ამოვარდა,
ფიქრი ქვითკირივით ჩაიშლება.
დღეს რომ ყველაფერი აირია,
ნეტავ მომავალში რა იქნება???

რატომ მოგვეძალა სიძულვილი???
აღმართს ზარმაცივით მივუყვები.
ბედი უკუღმართათ დატრიალდა,
ვაჟას შესძულდაო ჭიუხები.

ბორგავს გაყინული დედამიწა,
გრძნობს რომ დაამძიმეს ცოდვილებმა.
ვიბრძვი მაგრამ როგორც ამირანი,
კლდეზე მიმაჯაჭვეს ბორკილებმა.

ღმერთიც გაგვიბრაზდა ცოდვისშვილებს,
ეჭვი ეპარება უკვე ჩვენში.
იქნებ ჩააბაროთ აღსარება,
მე ხომ ვაღიარე, როცა შევცდი.

იქით სამშობლოზე დარდი მკლავს და
აქეთ ერთმა ქალმა დამიმონა.
გრძნობა ყველა წმინდანს შევავედრე,
ჩემი არცერთმა არ გაიგონა.

ქარმა გამიტაცა ღრუბლიანში,
წვიმამ ჩამომრეცხა იმედები.
რატომ შემახვედრე ღმერთო ჩემო,
თუკი სატანჯველად მიმეტებდი.

ნეტავ ვის შევჩივლო მწუხარება,
მინდა სხეულიდან ამოვფრინდე.
იქნებ წაგეკითხათ ოცნებები,
გულზე ტკივილებად ამოვტვიფრე.

როგორ შეგიძლიათ სხვის გრძნობებზე,
შეძლოთ შანტაჟი და დამძიმება,
ღამით დარდებს ვეღარ მოვერიე,
უკვე მენატრება დაძინება!!!

იქნებ სხვასაც ჰკითხოთ რა აწუხებს,
თვალში ჩრდილი რატომ ჩაჯდომია.
სხვისი მწუხარება გამიხარდეს???
ღმერთმა დამიფაროს არ მგონია!!!

ისე დაგიბნელდათ გონება რომ
შავი თეთრში ვეღარ გაარჩიეთ.
უფლის ბილიკებით მივდიოდი,
ეშმა შუა გზაზე დამაწიეთ.

ნახეთ რამხელაა დედამიწა,
თქვენ კი საკუთარი ტყავი გიჭერთ.
რა მოსატანია მიშველება,
წაქცეულს ზედ გულზე დააბიჯებთ.

იქით სამშობლოზე დარდი მკლავს და
აქეთთ ერთმა ქალმა დამიმონა.
გრძნობა ყველა წმინდას შევავედრე,
ჩემი არცერთმა არ გაიგონა.

მაგრამ იქით უნდა გავექანო,
სადაც გაჭირვებულს დავჭირდები.
უნდა გამამხნევო ღმერთო თორემ,
ამდენ ბოროტებში გავგიჟდები.

ვერიკო პარწიკანაშვილი – მათემატიკოსი
დაბადების ადგილი – თელავი
საცხოვრებელი ადგილი – სიღნაღი

წადი

თუ-კი, უსასრულოდ დაგამცირეს,
ნუ დაემზგავსები სხვას,
ისე ჩუმად წადი,
ვერც გაიგონ,
წადი, მოერიე თავს!

თუ-კი, გულს-გადაღმა გაწვიმდა და
სულში უსამართლოდ თოვს,
თუ-კი, აღარ ფასობს
მონატრება,
ნუღარ შეაჩერებ დროს!

თუ-კი, მისი სუნთქვა
ვეღარ გათბობს,
თუ-კი, მისი აღარ გწამს,
წადი, უკან აღარ მოიხედო,
წადი, მოერიე თავს!

ნუ შეეგუები დამცირებას,
ახალს შეუდექი გზებს
და დროის სასწორზე
ნუ შეაგდებ,
შენს საუკეთესო წლებს!

ადამიანი არ იცვლება,
ის რჩება,
რაც ღმერთმა-ჰქმნა,
ჰოდა, წადი თუ-კი
აღარ გიღირს,
წადი, თუ-კი ღმერთი გწამს!

შატილი

აუცილებლად
უნდა გაიცნოთ,
ხალხი ალალი და
გულ-ახდილი,
ვფიცავ,არასდროს
დაგავიწყდებათ,
არც ხევსურეთი და
არც შატილი!

გადაიწვინეთ
მკლავზე ნისლები,
კვალი მოძებნეთ
ჯიხვის-ნახტომის,
ჩამოურბინეთ
ქალებს-ყუდროზე,
გაესაუბრეთ
კოშკებს-არხოტის!

წადით, იხილეთ
ეს საოცრება,
მისი ტაძრები
მუდამ გფარავდეთ,
ვფიცავ, ვერასდროს
ვერ დაივიწყებთ,
როგორ წევს დილით,
ნისლი-ქარაფზე!

,,ასწიეთ დროშები!"

ასწიეთ დროშები
სამშობლოს საზღვრებთან
და დასცხეთ ყიჟინა,
ყველამ რომ გაიგოს,
ჩვენი მიწა-წყალი,
ჩვენი სამოთხეა,
ღვთის-მშობლის-წილია,
არავინ წაიღოს!

ასწიეთ დროშები,
გაშალეთ აფრებად
და უსამართლობის
დაამხეთ-სამყარო,
მოყვარე მიიღეთ,
მტერს, ჭკუა ასწავლეთ,
ასწიეთ დროშები,
არასდროს დახაროთ!

იმღერეთ,,შავლეგო",
რწმენა გაიმყარეთ,
ნუ დაგავიწყდებათ
გმირული წარსული,
გახსოვდეთ
კრწანისი,
დიდგორი,
შინდისი,
9 აპრილს დაღვრილი,
სისხლი-მეწამული!

ერთხელაც გარისკეთ,
ერთხელაც გაბედეთ,
თავს ნუ მოიტყუებთ
იუდას-გროშებით
და ყველა დაკარგულ,
მოპარულ მიწაზე,
აღმართეთ ქართული,
ჯვრიანი დროშები!

გახსოვდეთ,
გოლგოთა
ყველას გველოდება,
ისევ გამოჩნდება
ვიღაცა-პილატეც,
,,თუ-კი მიუტევებთ
მოგეტევებათო",
ლოცვა ისწავლეთ და
გულწრფელად ილოცეთ!

ჩვენი მიწა-წყალი,
ჩვენი საუნჯეა,
არასდროს დავუშვათ,
მტერს, ფეხ-ქვეშ-გავუგოთ,
ასწიეთ დროშები,
არასდროს დახაროთ,
ჩვენს-წილ-სიკვდილსაც-კი,
ნურავის დავუთმობთ!

****

თბილი ბორიო კლდეს და
ტოტებზე კვირტებს ლოკავს,
შენ, შეგიხსნია ღილი,
საკინძე გიჩანს მორცხვად!

ამოიოხრებს მთვარე
და გადიღლება ფიქრით,
ჩაიხრიგინებს დროის
მატარებელი რიხით!

მას, თან გაჰყვება ჩვენი
სიხარულიც და ბოდვაც,
მოვა ახალი დრო და
მოვა უგულოდ ლოცვა!

ვყვირივარ ჩუმად, უხმოდ,
საცაა გასკდა გული,
აღარსად არის ნდობა,
არც წრფელი სიყვარული!

წარსულ დღეებზე ფიქრით,
ჩუმად ვჩურჩულებ ლოცვას,
თბილი ბორიო კლდეებს
დაუსრულებლად ლოკავს!

შენი სურნელი თმების,
მაბრუებს, ხარბად ვსუნთქავ,
ღილი შეიკარ, თორემ
საკინძე გიჩანს ურცხვად!

* * *

არ ვარ პოეტი,
ვარ გალაქტიკა,
მარტოობას და
ფიქრებს ჩვეული,
ადამის ერთი ნეკნი ვარ მხოლოდ,
უბრალო ქალად გადაქცეული!

დღე შეასკდება
ღამის ნაპირს და
ცა როცა მთვარეს
ამოახველებს,
დავჯდები მაშინ
ლექსების-წერად,
დავხუჭავ თვალებს,
ღამე-ნათენებს!

გზა-გასაყარზე,
ფიქრით-დატბორილ,
თავს ვერ ვერევი,
თითქოს ვბერდები
და დახუნძლული
ცის-კიდურიდან,
წვიმად-იღვრება
ჩემი ლექსები!

და ისე, როგორც შორს,
ბავშვობაში,
დავაკვირდები
ღრუბლის ფიგურებს,
მომეჩვენება,
თითქოს ცის-თაღი
გახეულა და დედა მიყურებს!

არ ვარ პოეტი,
ვარ ღმერთის შვილი,
აღმართს მივიკვლევ
ხელის-ცეცებით,
თავზე-მემხობა
მთელი სამყარო,
ჩქეფს ბოროტება
თავ-გამეტებით!

ხოდა, მრცხვენია,
მე რომ ასეთ-დროს,
ვერ გამოვნახე
დრო და მხნეობა,
ვერ დავიცავი ჩემი ქვეყანა,
ალბათ, არ მეყო გამბედაობა!

არ ვარ პოეტი,
ვარ-მარტო-სული,
მე ამ სამყაროს
ვერ შევეჩვიე,
(იყო დრო, როცა
ყველა მამჩნევდა
და ახლა, შენც-კი
ვერ შემამჩნიე!)

არ ვარ პოეტი,
არც-კალმოსანი,
დიდი– სამყაროს
ერთი ფესვი ვარ,
უბრალო ქალად გადაქცეული,
ადამის,
მხოლოდ-ერთი
ნეკნი ვარ!

,,ფერისცვალება"

ცხოვრებაში,
ერთხელ მოვალთ
ამ-ქვეყნად,
ხასიათით,
ჩვენეული – მიგნებით,
ერთხელ – ვცხოვრობთ,
ერთხელ – გვიყვარს,
ერთხელ – გვძულს
და ასევე, ერთხელ
გარდავიცვლებით!
მაგრამ
ამ-ერთ-ცხოვრებაში,
ღმერთისგან,
ბედად-დაგვყვა,
სასწაული-წყალობა,
შეგვიძლია, ბევრჯერ
ნირი-ვიცვალოთ
და ყოველ-წელს-ვცადოთ
,,ფერის-ცვალობა! "

ამ ცვლილებებს,
ნუ გაიგებთ პირდაპირ,
განა-მართლა
სახის-ფერი-გვეცვლება?
ხალხო, უნდა სულიერად
ავმაღლდეთ,
და-ვიმკვიდროთ
,,სინდისი" და შეგნება!
შევეცადოთ,
სიკეთისკენ-მოვექცეთ,
გადავლახოთ
ბოროტების-ტრამალი,
არ არსებობს,
უფრო-მეტი-სამოთხე,
უფრო-ტკბილი,
უკვდავების-წამალი!
არ დავუშვათ, ძმამ,
ძმის-სისხლი-დაღვაროს,

შევაჩეროთ,
,,უ-სქესოთა" აწყვეტა,
შვილებს, ენის-სიყვარული
შთავბეროთ,
არ დავუშვათ,
,,შუბლის-ძარღვის"
გაწყვეტა!

ჰა, ეს ღამეც,
,,ფერის-ცვლისა"
თენდება,
დღევანდელი
ყველა ფიქრი
ღვთის-იყოს,
ალბათ ღმერთი,
უკვე მოდის-საჩვენოს,
ყველას სახლში,
დღეს სტუმარი
ის იყოს!

* * *

ხოხბის-ყელს გადარებ ქალაუ,
ხან-მოკლე-სიცოცხლის
წამი ხარ, ჩემს გულში,
ეკლებად – მოსული,
თოვლისფერ – ვარდების ნამი ხარ!
ცის – თაღებს, ექოდ – ასხლეტილი,
თოფის ხმა, ყურში რომ ჩაისმა,
ასე, ექოსავით შემომრჩი,
გულში, ვით ხსოვნა და თილისმა!
ცოდვებს რომ დაითვლი თითებზე,
(არ ვიცი, ცოდვა თუ ითვლება)

მათ შორის, ჩემი ტკივილები,
ერთ-ერთი-პირველი იქნება!
გული მომპარე და წახვედი,
აღარ დამიბრუნე, საბრალო,
იარაღ-აყრილი დავდივარ,
აღარ-მე-ჩემება სამყარო!
შველივით ყელ-მოღერებულო,
ამ მოკლე სიცოცხლის შოკი-ხარ!
– დაიცა, არ მიცდი – ქალაუ?
სადაც – შენ,
მეც, იქით მოვდივარ!

****

ნუღარ გამიმძაფრებ ლოდინს,
სანამ შემიძლია მოცდა,
სანამ შემოდგომის ქუჩებს,
მსხვილი, ცივი წვიმა მორწყავს!

ნუღარ მიბრაზდები, თითქოს,
ცრემლი მორევიათ წამებს,
იწვის გრძელი ღამე უხმოდ,
ჩუმად ახამხამებს თვალებს!

უკვე გამოფიტულ ბაგეს,
შენი მოლოდინი მორწყავს,
ვიცი, არ მოიხდი ბოდიშს,
მაგრამ უსათუოდ მოხვალ!

გული-გულში-მალავს ცრემლებს,
ბაგე, კვლავ ჩურჩულებს ლოცვას,
ის, ჩვენი ჭადარი ბაღში,
უხმოდ და მხურვალედ მლოცავს!

მოდი, გელოდები ისევ,
ბაღში,
ბალი იმტვრევს ტოტებს,
მოდი,
შემოდგომა-ვიდრე,
ტანზე შემოიხევს,
ფოთლებს!

***

ამ ქვეყნად,
ერთი უ-ცოდველი,
მაჩვენოთ-იქნებ,
უნებლიედ თუ
ნებით ვცოდავთ,
ყველა-ჩვენს-წილად
და სულ არ არის
ამ ცოდვების
ზიდვა იოლი,
არ მოგეჩვენოთ ყველაფერი,
ასე – ადვილად!

კარებს – ჩავრაზავ,
ღმერთს-ჩურჩულით
შევთხოვ-შენდობას,
ზურგზე დაცემულ,
საკუთარ სულს წამოვიკიდებ,
მერე,
მუხლებით შევუყვები
ქვიან –,,გოლგოთას",
ამით, ცოდვების
ნაწილს-მაინც, გამოვიტირებ!

და მერე, მერე ზეცის-კარი,
თუნდაც დაკეტონ
და არ შემიშვან,
დავრჩე – ასე,
წელში მოხრილი,
დავიჩოქებ და
ღმერთს – ჩურჩულით
შევთხოვ შენდობას,
რომ ჩემი სახით
შეიწყალოს,
ერთი – ცოდვილიც!

ამ-ქვეყნად,
ერთი – უცოდველი,
იქნებ – მაჩვენოთ!.....

*****

უფალო, შენ-ჩემი
ყოველთვის გესმოდა,
ღამეებს მითევდი,
მაშორე დარდები,
ალბათ, შემიწყალებ
ერთ ცოდვილს, მაშინაც,
როცა შენს წინაშე,
სამსჯავროს-წარვსდგები!

უფალო, ვიცი რომ
არ ვარ ანგელოზი,
მაგრამ ჩემებურად,
გულ-წრფელად-გიწამე,
ცხოვრებას ნამუსი
ისე-წარხოცვია,
აღარც ღირს სიცოცხლე,
ამ ცოდვილ მიწაზე!

უფალო, ეკლიან-გზაზე
მეც მივლია,
უკან მოვიტოვე
რამდენი აღმართი,
რამდენი შავ-თეთრი
დღე-გამომივლია,
იყო სიმარტოვეც,
დარდიც და კამათიც!

მაგრამ ნათლის სვეტად,
ელვარე დღეებიც,
შენ რომ მისახსოვრე,
მქონია-უდავოდ
და იმ სხივებისთვის,
შვილები რომ ჰქვია,
მადლობა-უღრმესი,
მადლობა-უფალო!

ჩემი ხელ-ფეხი და
ჩემი თვალის-ჩინი,
ახდენილ-სიზმრებად,
გულში რომ ჰყვავიან,
ჩემი შვილებია
ჩემი – ყავარჯნები,
ამისთვის მადლობა,
დედაო-მარიამ!

მუდამ-ჩემეულად,
გულ-წრფელად-ვლოცულობ
და გულის-გულიდან
უსიტყვოდ გადიდებ,
იქნებ, მაპატიო
თუ-კი-რამ-შევცოდე
და-ვით-იმსახურებ,
ისე ვერ გადიდე!

უფალო, შენ ჩემი
გული და სული ხარ,
ფიქრი-ხარ,
ზე-ციდან ნამღერი-არია,
ვიცი რომ ნამდვილად
არ ვარ ანგელოზი,
კალთა დამაფარე,
დედაო-მარიამ!

* * *

,,ეს შემოდგომაც ისევ
ფოთოლცვენით დაიწყო,
ფოთოლთ-ფანტელი
კვლავ ეფრქვევა
მიწას და ბაღებს,
ცისფერ ყვავილთა გულებიდან
დაწრეტილ ზეცას,
მხოლოდ გაცრეცილ მთვარის
ნაზი კამკამი ავსებს.
ასდევნებია ქარის ნებას
თეთრი ფოთოლი,
ქარი გრილ თითებს ახებს
ფოთლის ვნებიან ტუჩებს,
მერე გიჟდება და მის ნებას
აყოლილ ფოთოლს,
მოულოდნელად შეატოვებს
მდუმარე ბუჩქებს.....
--– და უტიფარი ქარი,
ყველა ფოთოლს ატყუებს,
გაუშვებს, როცა ერთ,
მხოლოდ ერთ,
კოცნას დასტყუებს.“

*****

ჩვენი შეხვედრა
წარსულში დარჩა,
ჩვენი შეხვედრა იყო გვიანი,
შენს სულშიც,
მიტომ ვიქექებოდი,
მსურდა, მეპოვა ადამიანი!

გადაუარა შრიალით ქარმა,
ბაღის – კუთხეში
ფოთლებს – გვიანებს
და ვიცი, დღემდე
ვერ მაპატიე,
შეხვედრაზე რომ
დავაგვიანე!

მიდის წლები და
დღეების გროვა,
ხან წინ გვისწრებს და
ხან აგვიანებს,
როცა გრძნობებში
გულ-წრფელნი არ ვართ,
ამით, სიყვარულს
ვანაგვიანებთ!

დაუკითხავად,
ქარებმა – ცივმა,
ქშენით,
სამყაროს გადაუარეს,
მომეფერნენ და
ირბინეს თმებში!
ჩემი კოცნებიც არ იუარეს!

ჩვენი შეხვედრის
მოწმენი უტყვი,
ვერხვები, ისევ
იწყებენ შრიალს,
შენ მაინც ჩემი
გქვია სამყარო,
შენ მაინც ჩემი
სიცოცხლე გქვია!

ნაადრევ ქარებს,
გავუძლებ ვიცი,
ფერი ეცვლებათ
ფოთლებს-გვიანებს
და თუ გრძნობებში
ტყუილი ჭარბობს,
ამით, სიყვარულს
ვანაგვიანებთ!

*****

სული-უსხეულოდ ფეთქავს,
სხეული-უსულოდ გდია,
შენზე ოცნებები ქრება,
უკან მოხედვაა გვიან!

ყორნების საჯიჯგნად იქცა,
შენთვის მოფართხალე გული,
დაბრუნდი, იქნება ღირდეს,
სანამ შევუყვები ბილიკს!

ვერა, ვერ გაუძლო გულმა,
რეჟიმს, უ-თავ-ბოლო-ყოფის,
მე, შენი ერთი კოცნა, ხომ იცი,
რამდენ ხანს მყოფნის!

ზეციდან, ფარფატით-ფრთების,
პეპლები ყვავილებს-შლიან,
სული – უსხეულოდ ტირის,
სხეული-უსულოდ გდია!

******

ეს ღამეები არ იცდის,
ტკივილად გარდაისახა,
ცაში მზეებს რომ მიმრავლებს,
იცი, რომ სწორედ ისა ხარ!

მზემ მთები, მისწი-მოსწია,
მწვერვალებს ვუცქერ
შორიდან,
რად გიკვირს,
თუ-კი ამ დილას,
შენი დანახვა მომინდა!

დილის-ცის-ნამით გაჟღენთილ,
ფიქრებს გავურბი თარეშით,
აქ უფრო მომნატრებიხარ,
თურმე, ამ უცხო მხარეში!

და მაინც ვერ გამიგია,
მიწისა ხარ თუ ცისა ხარ?
მხოლოდ ერთ-ვიცი
ამ ქვეყნად,
ვინც მიყვარს,
სწორედ ისა ხარ!

****

გადამიკითხე, გადამშალე,
ძველი წიგნივით
და ჩემს ფურცლებში
სიყვარულის-იქეც-ძიებად
და თუ შენს კითხვებს
მე, დროულად ვერ ვუპასუხე,
იცი, რატომაც
და დუმილი, მეპატიება!

მე ის წიგნი ვარ,
საგანგებოდ,
შენთვის რომ წერეს
და ყველა სტრიქონს,
ყველა სიტყვას რომ გაზიარა,
თუმცა, განგებამ სტრიქონები
მიყარ-მოყარა
და ზოგიერთი
სამუდამოდ დააზიანა?!

მაგრამ შენ, მაინც გადამშალე,
აგავსო ჩემით,
მამღერე, მხატე,
შემოდგომის
თბილი ოცნებით,
წყალი მაპკურე,
დამაპურე,
შემიკარ სუნთქვა,
მომრწყე და ნახავ,
ისევ როგორ გავიფოთლები!

ავშრიალდები, ავყვავდები,
მოვისხამ კვირტებს
და მერე გული
დამამძიმებს,
ისევ ფიქრივით,
სხვა არაფერი,
არაფერი არ მინდა ახლა,
გადამშალე და
წამიკითხე
ძველი წიგნივით!

****

ისეთი ლამაზი ღამეა,
რომ მთვარის
სუნთქვები ჩამესმის,
ამ ღამეს
როგორ არ მოხვედი,
როგორ მოითმინე,
არ მესმის!

სულეთი დაიწყებს ფორიაქს,
აწყდება გუმბათს და მინარეთს,
ისეთი ლამაზი ღამეა,
დავხუჭავ თვალებს და გინატრებ!

შორს – ჭოტის
მოისმის – კივილი,
არ მინდა
უცეცხლოდ ვიწვოდე,
მოდი, გელოდები – უშენოდ,
სიცოცხლეც არ მინდა იცოდე!

ლოდინით და ფიქრით დაღლილი,
ალბათ ვერც მივაღწევ შინამდე,
ეს რა საოცარი ღამეა,
ვბედავ და ხმამაღლა გინატრებ!

წვეთები წუწუნს რომ იწყებენ,
მე-შენთან
ყოფნა – მომინდება,
დაბრუნდი,
მეტს ნუღარ იფიქრებ,
მერე – სხვა-გზა,
აღარ იქნება!

გაწვიმდა,
წვეთები – ჩუმ-ჩუმად,
სიმშვიდეს ეძებენ მინაზე,
ჩვენი დრო მოსულა, დაბრუნდი,
არ გინდა, რომ
ისევ მიყვარდე?

,,უბისა"

თვალებს ვხუჭავ და უჩვეულოდ
მითბება სული,
ჩანს, უსასრულო
ლაბირინთად,
ყვავილთ-უდრისად,
დგას შემართული და
გასცქერის
შორეულ ბილიკს,
ბინდ-მორეული
და მდუმარე,
თბილი,,უბისა"!

ღამე-ნათევი-თვალებიდან
მოგორავს-ცრემლად,
დრო, რომელიც-რომ
არასოდეს არ გაჩერდება,
ის, დაჭრილ-გულზე
წამალივით-მომისალბუნებს
და დედასავით,
დედასავით მომეფერება!

თვალს თუ გავახელ,
მირაჟებიც გაიფანტება,
სულში-კი,
რწმენა აყვავდება,
რუის-ურბნისად,
დგას ახლობელი,
ისე თბილი, ისე ამაყი
და ყველას ლოცავს,
ღირსეულსაც,
ყოვლად უღირსსაც!

ფიქრი და დარდი
უჩუმარი ამეკვიატა,
სიკვდილ-სიცოცხლის
საზღვართან-თუ
მოვხვდი,,უღირსად",
გრძნობა ისეთი მეუფლება,
ცუდს არ დაუშვებს,
ცუდ გზას,
არასდროს შემიყენებს,
ჩემი,,უბისა"!

* * *

სულში მადნება და
სულში მეღვენთება,
ის ტკბილი დღეები,
რომ ერქვა ჩემი,
ყვითელ ყაყაჩოებს
ეცლებათ ფოთლები
და დღეებს გაფრენილს,
ვერაფერს ვშველი!

ვცდილობ, შევაჩერო
დროთა მოზღვავება,
ცხოვრების შევცვალო-ნირი,
იმ სამოთხის დღეებს
სანთლებით დავეძებ
და ჩემთვის,
ჩუმ-ჩუმად ვტირი!

მე მახსოვს შენს ტანზე
კაბა-ჯადოსნური,
კაბა-ფურისულის-ფერი,
თმებზე მოციმციმე,
ვით-შარავანდედი,
ხვატი და ივლისის მტვერი!

მახსოვს, მობინადრე
სულში-შადრევნები,
თვალებში,
კურცხლების-წყვილი,
დაისი და ჩემი
მეგონა სამყარო,
კოცნები-კოცნების-წილი!

ჯოჯოხეთს წააგავს
დღეები უშენოდ,
მინდა დამატყვევო მზერით,
დღემდე, სულს-არ ვიცი
რად მიფორიაქებს,
კაბა-ფურისულის-ფერი!

ცხოვრებას მივყავართ
თავისი ბილიკით,
ცხოვრება, არ გვაცდის
ფიქრებს,
იქნებ, ის ივლისი
შენც გახსოვს, ვინ იცის?
იქნებ შენც მისტირი?
იქნებ!

******

მთის ქოხში ღამე,
უსაშველოდ გვიან გათენდა,
ზეცა აენთო,
იღვიძებენ კლდეზე ორბები,
ისე ახლოს ხარ,
მეშინია ხელის გაწვდენა,
ვგრძნობ, ვარსებობ და
არასოდეს აღარ მოვკვდები!

ცის თაღს ნათელი შეეპარა,
მგონი თენდება,
ჩემს სასთუმალთან
ჩამომსხდარან
თეთრი მუზები
და მარტოობენ,
მარტოობენ ფანჯრის გადაღმა,
ველური მარწყვის
ბუჩქები და კვიპაროსები!

მუზებს მოვუხმე,
ჩემთან ერთად
ღამენათევებს,
ვხედავ, კლდის პირებს
გაზაფხული,
ფეხით მოჰყვება
და მოგილოცეთ კოცნით,
შენ და ორბებს აფრენილს,
აისი, მზე და
უეცარი გამოღვიძება!

***

ზამთარმა, ოხერ-ტიალმა,
მთებს გულზე გადაუარა
და კლდიდან-კლდზე მფრინავი,
ჯიხვები ააწრიალა!

ტყის პირებს, ნისლი მოჰყვება,
ვით მგელი,
ჩუმი სიფრთხილით,
დროებამ მონად გვაქცია,
წინ მიგვიძღვება ხითხითით!

საწუთროს, ოხერ-ტიალის,
რაც გულზე ფეხი დამედგა,
აღარ მგონია ამ ქვეყნად,
მოსვლა რომ ღირდეს რამედა!

ამ წუთისოფლის
სტუმარ-ვარ,
სული დამძიმდა, ამწიეთ,
სიცოცხლე მიყვარს,
თუმცა-ღა,
სიკვდილს დროულად დამწიეთ!

არაფერ-ვარგა უდროოდ,
არც ყოფნა,
არცა სიკვდილი,
უდროოდ,
არც ტირილ– ვარგა,
არც კოცნა,
არცა სირბილი!

ყველას მოგვივა ჩვენი დრო,
ჯვარი, ყველასი მზად არის
და დასრულდება ოდესმე,
ამ წუთისოფლის ზღაპარი!

გადით,
იცეკვეთ წვიმაში,
ბუნება აახმიანეთ,
ქარს დაედევნეთ მინდორში
ოცნება გაამზიანეთ!

არ ვიცით, სად დასრულდება,
ცხობა-კვერისა-ობლისა,
რადგან დროებით მოვსულვართ,
სტუმრებ-ვართ
წუთისოფლისა!

* * *

დაისია, ცის კიდურზე
გაჩნდა ცეცხლი,
სანაპიროს
მიუყვები შილიფად,
თვალს ვერ გწყვეტ და
ვფიქრობ, ჩემო საოცარო,
ღმერთმა ასე,
როგორ მოგაგვირისტა!

ყელი ბროლი,
თითები ხომ
მთლად სანთელი,
მთების ჩრდილი
ეფინება გვირილებს,
ლურჯი ტბები,
თვალებიდან გეღვრება და
შენს ღიმილზე, გზად
სიცოცხლე იღვიძებს!

ჰორიზონტზე,
ფორთოხლები იღვრებიან,
თოლიები,
თავს იხრჩობენ მთვარეში,
შენ კი, როგორც
ხელთ-უქმნელი ქანდაკება,
ანარეკლად ჩანხარ
მთვარის თვალებში!

დაისია, მზე იღვრება
ცის თასიდან,
მეწამული შერევია
კაბადონს,
შენ ანთიხარ ზღვის ნაპირზე
სანთელივით,
მე ღმერთს შევთხოვ,
არასოდეს ჩაგაქროს!

დაისია, გულშიც ცეცხლი
დათარეშობს,
შენ, ზღვის ნაპირს
მიუყვები შილიფად,
თვალს ვერ გწყვეტ და
ვფიქრობ,
ჩემო საოცარო,
ღმერთმა ასე,
როგორ მოგაგვირისტა!

* * *

ატეხილ ჭალებს ვესტუმრე,
კლდეებს ნისლები აწვიმდა,
ფრენა ვინატრე, ხოხობი
ისე ლამაზად აფრინდა!

ტყის და ბუნების მშვენება,
ფეხს არ აკარებს მიწაზე,
ვერ დაეწია მწევარი
და მეც, ირმობა ვინატრე!

არწივი ძერას ჩამოჰყვა,
ამოფრენილსა ბუდიდან,
მყის არწივობა მომინდა,
ნატვრა აღმომხდა უბიდან!

მაიმუნს, ხეზე მორბენალს,
დრო რომ აქვს
თავზე საყრელად,
მაიმუნობაც მომინდა,
დარდების გადასაყრელად!

ბუნება მბრძანებელია,
რა კარგად უთქვამს ვაჟასო,
ან ნეტავ რისთვის გიყვებით,
ამ უღიმღამო ამბავსო?

ამდენმა ფიქრმა დამღალა,
ნატვრებიც მექცა იარად
და გადავწყვიტე დარჩენა,
უბრალო (დ) ადამიანად!

პირიმზე

დილის მზის
სხივებით განბანილ,
არაგვს ავუყვები ბილიკზე,
მუხლამდე ნაწნავჩამოშლილი,
წინ შემეფეთება პირიმზე.

არხოტის კალოზე აფრენით,
ცას დააბნელებენ ქედნები,
ცხენი ყალყზე დგება და მე კი,
ჩემდა-უნებურად ვჩერდები.

კლდის ქიმებს
ექოდ მოეხსნება,
თოფის ხმა და ცხენის ჭიხვინი,
ქიმიდან-ქიმზე გადაირბენს,
მისი ხმა და ლაღი სიცილი.

ცის ნამით პირს როცა დავიბან
და არაგვს ავყვები ბილიკზე,
ქვაზე დადებული მადლივით,
წინ შემომეყრება პირიმზე.

* * *

სად სუნთქავდა,,შოთა",
თუ არ გაგიგია
და,,იყალთოს" – მტვერი,
თუ არ გისუნთქია,
თუ არ მოილოცე
,,გელათი" და,,ჯვარი",
,,სვეტიცხოვლის" – სვეტებს,
თუ არ შეეკარი!

არ გინახავს თუ-კი,
,,ნიკორწმინდის"-ყელი,
,,შუა-მთის" –გზას-დილით,
თუ არ შეუყევი!
,,კვეტერა" რომ დილით,
ცის-ლაჟვარდში-ქრება,
თუ არ გინახავს და
თუ არ გესიზმრება!

თუ-არ-აგებ-პატივს
,,ჩარგალსა" და,,სხვიტორს",
ნუ იტყვი, რომ შენ-შენს
საქართველოს იცნობ!
,,ჭყვიშთან",
მღვრიე,,რიონს",
თუ არ სთხოვე-ფიცი,
როგორ დავიჯერო,
სიყვარული-იცი!

,,აფხაზეთზე", გული
თუ არასდროს გწყდება,
თუ არ გააჭენე,
ის,,,ცხენები ლურჯა",
მისი გულის – ფეთქვა
თუ არ შეისმინე,
მისმა სიყვარულმა,
თუ არ დაგამუნჯა!

მისთვის, თუ არ გითქვამს,
თუნდაც, ერთი ლექსი,
შენში, თუ არ ცხოვრობს,
შენი-წილი-ღმერთი!
მისმა სიყვარულმა,
თუ არ გაგაბრუა,
არ თქვა, საქართველო,
შენი სამშობლოა!

* * *

თითქოს ტყეში
გაზაფხული გადნა,
სიყვარული შერჩენია
ლოდინს,
ისევ ჩემთან
მოგიყვანა წვიმამ,
თითქოს, ლურჯი გაზაფხული
მოდის!

ისევ ჩემთან
მოგიყვანა წვიმამ,
წვიმის წვეთებს
შევაგებე პეშვი,
თითქოს, სითბოდ
ჩამეღვარე გულში,
თითქოს, ხელებს
მიფათურებ თმებში!

ყოჩივარდებს
შემოადნათ თოვლი,
წვიმა, ზეცას მართლაც
თავზე იმხობს,
ისევ, ჩემთან
მოგიყვანა წვიმამ,
მოიყოლე, წვიმის
გრილი-სითბო!

მონატრება,
შერჩენია ლოდინს,
ბროლის-მძივად
შევაგროვებ ლექსებს,
ისევ, ჩემთან
მოგიყვანა წვიმამ,
ისევ-ჩემთვის,
ჩამოჰყევი წვეთებს!

თითქოს ტყეში,
გაზაფხული გადნა.....

ეთერ ბერიშვილი – ეკონომისტი
დაბადების ადგილი – ქუთაისი

* * *

მოგისაკლისე... ორი დღეა არ გიკითხივარ,
ნეტავ კარგად ხარ?! თუ მოკითხვას ჩემსას მოელი,
ყოველ ზარებზე ვდუმდები და გულში ვკივივარ,
არ გპასუხობდი მაგრამ მსურდა მაინც ყოველი.
ორი დღე უკვე გადამექცა ორ საუკუნედ,
თვალები გეძებს, გული გრძნობას ემორჩილება,
რომ ყველა წუთებს უშენობით ვეღარ ვუმკურნე,
ჰოდა გეძახი, ძახილი არ მეჩოთირება.
გახსოვს მიხსნიდი?! –"ბოდიშები რჩეულთ ხვედრია,
თუ სიყვარული არის სუფთა და არის სათნო,
ლამაზ გრძნობაში რომ ყოველთვის ღმერთი ერია,
მაშინ როდესაც ჩუმად ფიქრობ და ჩუმად ნატრობ".

დაუფიქრებლად ორჭოფების ვიცილებ ხუნდებს,
ახლა მე ვკრიბავ შენს ნომერს და გთხოვ მიპასუხე.

* * *

წლებს არ ვითვლი რაც
ფიქრებს
შემაჩვიე ღამ-ღამ
ვზივარ სარკმლის პირას და
მივუყვები აღმართს.
მეცხრე ცაზე დავფრინავ,
შენთან განა მარტო,
ვარსკვლავებიც გვიღიმის
როცა ტრფობით მათრობ.
ბედნიერი ფიქრებით
მერე ჩამეძინება,
თუ სიზმარშიც გიხილე
ჩუმად ჩამეღიმება.
დღეა მუდამ ერთად ვართ,
სიზმრად კიდევ ერთად,
ამიტომაც ერთმანეთს
სულ მივიჩნევთ ღმერთად.
სიყვარულზე ამბობენ
თუ კი წლები გავიდა,
ქრება მაგრამ ვფიცავ მე
სუნთქვა გამიადვილა.

* * *

ღამე რამდენის მომსწრე,
ფიქრის, დუმილის, დარდის,
მხოლოდ ამ გულმა იცის,
ირგვლივ თუ როგორ ბარდნის.
დავხეტიალობთ შენთან,
მე და ღრუბლების ფთილა,
იმედით რომ გათენდეს,
გნახავ უცილოდ დილას.
და თუ ვერ გნახავ მერე,
გავყვები შორით რელსებს
და ასე შენს ნატვრაში,
გიძღვნი ურითმო ლექსებს...

გარიჟრაჟისკენ როცა,
უძილო თვალებს ვახელ,
ჩემს ლამაზ ლექსებს ვტირი,
ვატყობ უთქმელად მამხელს.
რაც კი ოდესმე ვწერე,
მერე ხმამაღლა ვყვირი,
არ დაიჯერო არა,
მე გთხოვ არცერთი სიტყვის...
ღამე, მთვარე და მუზა,
ვზივართ სულ ერთად მარტო,
ვამბობ დასრულდა მაგრამ,
გული მაინც შენ გნატრობს.

18.05.22

* * *

მომხვიე ხელი სანამ ჯერ კიდევ არ არია გვიან,
სანამ ჯერ კიდევ შენით ხარობს ირგვლივ სამყარო,
სანამ ფიქრები შენსკენ სავალს მიჰყვება ნიავს,
სანამ ჯერ კიდევ ცამ და მიწამ სულ არ გამყაროს.
მომხვიე ხელი სანამ ყვავის გულში ვარდები,
სანამ ჯერ კიდევ არ მოედო ჩვენს გულებს ხავსი,
სანამ ჯერ კიდევ არ მომკვდარა გული დარდებით,
სანამ ჯერ კიდევ ისევ არის იმედი ხვალის.
თორემ ღრუბლები დაეშვება ციდან ულევი,
წალეკავს ფიქრებს რაც კი დღემდე სულში გადარჩა,
გავყვები ზეცას და დამრჩება მხოლოდ უცვლელი,
სული რომელიც შენ გაჩუქე რაც კი გამაჩნდა.

ერთხელ შემომხვდი, ერთხელ გნახე, გიწამე ერთხელ,
მომხვიე ხელი მოდი ისევ ერთხელაც შევხვდეთ.

12.05.20

* * *

დრო ვერ მიშუშებს ტკივილებს,
შენს ნათითურებს ყველგან ვგრძნობ,
თითქოს და ეზო-გარემოს,
კვლავ პატრონობას განაგრძობ.
ბოსტანი ახლაც სავსეა,
შენგან რჩენილი კვალებით,
ერთ სარეველას ვერ ვამჩნევ,
ცრემლით მევსება თვალები.
ჭიშკართან ისევ ისე დგას,
მგზავრებისათვის ძელსკამი,
ბუხარიც მუდამ გიზგიზებს
დე სულ ამოდის ზედ კვამლი.
ბლომად მოისხა ატამმა,
კამფოტისთვის რომ გინდოდა,
ყველა ქილები დავავსე,
სიმწიფით სულ ძირს ცვივოდა.
მურაბაც ბლომად ვამზადე,
შენ რომ დე ასე გიყვარდა,
რასაც კი ხელსაც შევავლებ,
სევდით სულ შენთან მივყავარ.
ყველა კუთხეში შენს ხელს ვგრძნობ,
დე, შენი სული ტრიალებს,
საბძელიც დე რომ იცოდე
სულ ძველებურად კრიალებს.
ობლობა რომ არ შევნიშნო,
ვაზსაც სულ ვეალერსები,
როგორც უვლიდი ოდესღაც,
შენი ნაჯაფი ხელებით.
ახალ წლის ღამეს გობს ვავსებ,
მეკვლეს რომ დავხვდე მარაგით,
სანთელს ვანთებ და ღმერთს შევსთხოვ,
სავსე სულ გვქონდეს მარანი.
ყველა კუნჭულში შენ გხედავ,
სადაც კი დე გავიარე,
ამიტომაა გულისას,
რომ ვერ ვიშუშებ იარებს.
თუმც ხან სიმღერა დამცდება,
ზოგჯერ ვკისკისებ კიდევაც,
მაგრამ მარტო რომ დავრჩები,
ცრემლებით ვავსებ კიდეარხს.
ტაძარში სანთელს რომ ვანთებ,
ანგელოზები გალობენ,
ნათელში უფალს შენს სულს ვთხოვ,
შენ კი დე, მუდამ დაგვლოცე!
დე, კიდევ დამრჩა სათქმელი,
მომავლით მიდის ცხოვრება,
მაგრამ მე მტკივა ის წლები,
რომ აღარ განმეორდება.
დე აქ შევწყვიტავ დღეს წერას,
(ვისწავლე ფიქრების მოვლა)
დანარჩენს მანდ მოგიყვები,
როდესაც მე შენთან მოვალ.

16.05.22

* * *

ნეტავ ვიყო შენთან,
ამ ბედობის ღამეს,
იქვე ჩუმად "ფეჩთან",
მიკითხავდე ზღაპრებს.
მიკოცნიდე თვალებს
და მიკრავდე გულში,
სიყვარულის სანთლებს,
სულ მინთებდე სულში.თუ
გინდ იყოს თოვა,
იყოს სუსხი, ბუქიც,
სიყვარულით ლტოლვაც,
კიდევ სანთლის შუქიც.
მერე ზამთრის ღამეს
შენთვის ვაზაფხულებ
და ბედნიერ წამებს
გიძღვნი არნახულებს...
ამ ბედობის ღამეს,
მინდა ვიყო შენთან,
მინდა მუდამ მწამდეს,
სულ ვიქნებით ერთად.

24.02.19.წ

* * *

დავწერდი შენზე რომ მოგეცა მაშინ უფლება,
როგორ ლამაზად ამოვიდა ჩემთვის ცისკარი,
შენს ღიმილებთან თუ რას გრძნობდა გული პატარა,
როცა გაგიღო ბედნიერმა ტრფობით ცის კარი.
დავწერდი შენზე რომ მოგეცა მაშინ უფლება,
როგორი იყო სიზმარი და ან როგორ ვხსნიდი,
ფანჯრის რაფაზე შენზე ფიქრში უიმედობას,
იმედიანი მოლოდინით თუ როგორ ვცვლიდი.
შენზე დავწერდი რომ მოგეცა მაშინ უფლება,
ჩუმად კიარა სუხმამაღლა რომ მყვარებოდი,
ბედნიერებით მეცხრე ცაზე ერთად გვევლო ან
შეგემჩნია უუფლებობით რომ ვმთავრდებოდი.

დავწერდი ბევრ ლექსს ქარებს გული როგორ უფეთქავთ,
ოღონდ მოგეცა სიყვარულის მაშინ უფლება.

მემორი

დღეს შენს სარკმელთან მოფრენილ ჩიტს ვგავდი ღაბუას,
ო, როგორ მსურდა ფარდის მიღმა წამით მენახე,
ჰო, ვიდექ დიდხანს დავემსგავსე თითქმის ღამურას,
ვერ გიხილე და მოგონებებს ისევ ვეახლე.
არ გამერიდა მიმიზიდა თითქოს პირველად,
ფიქრში გხედავდე და მახსენებს როგორ ვიარეთ,
პირველ წამიდან მომიფინა ჩემს ირვლივ ველად,
მაშინ შენდამი სიყვარულში როგორ "ვიმკაცრე"...
ვიხსენებ ახლა იმ წლებს გასულს ლამაზს და მზიანს,
გულის კარნახი თვალდახრილს რომ არაფრით დამცდა,
ეჰ რა ვიცოდი დუმილი თუ მომგვრიდა ზიანს,
ახლა ტყუილად რომ ვბუტბუტებ მე გულის განცდას.

გულმა გამთქვა და საიდუმლო გაგიზიარე,
შენ კი რჩენილი ეს ცხოვრება გამიმზიანე.

10.03.20

* * *

ბაბუაწვერავ,
შენ მოგანდობ
ახლა ჩემს ფიქრებს,
წადი, გაფრინდი,
ხმა აწვდინო
ჩემს სატრფოს იქნებ.

ისევ მიყვარხარ,
მენატრები
და ისევ გჩემობ,
მოდი ერთხელაც,
შემაფარე
ისევ შენ ჩეროს.

თორემ მერე დრო
დამიმონებს
ძლიერ დარდებით,
გვიან იქნება
როცა აღარ
მომენატრები.

აღარ შერჩება
სხეულს სული,
ცაში წაიღებს
და რომც დაბრუნდე
თეთრი ვარდით
მე რას გავიგებ.

მითხარ ვინ ნახა
ეს ცხოვრება
უკან მოსვლებით,
მერე ინანებ
უშენობით
როცა მოვკვდები...

12.05.19

* * *

ვერ დატეულა გულში უკვე შენი დუმილი,
ხმა გამწირავის აღარ ძალუძს სმენა გულის ყურს,
ვერ ამისრულე ნაოცნები ყველა სურვილი
და გამეცალე, ჩემ გულს მხოლოდ სიყვარული სურს.
ჰო, აღარ მინდა ხის კენწეროს შემოვათენდე
და ლექსად ვხატო მოტრფიალე თვალთა ციმციმი,
ეს მერამდენე ჩემ გზავნილებს ისევ ვათეთრებ,
თვალებს ცრემლიანს ჩუმად ვმალავ ვეღარც ვიცინი.
ცას მოფენილი ვარსკვლავები მთვარეს დარაჯობს,
მესაიდუმლეს ჩემსას ჩუმად ოხვრას რომ ისმენს,
მე თავს ვარიდებ დარიგებებს, ჩემთვის და რა სჯობს,
ჩემს სიჯიუტეს თვითონ ხსნის და მდუმარედ მითმენს.

ამ შუა ღამეს თავს ფიქრები ისევ დამესხნენ,
გამიხანგძლივე სიცოცხლე ან... ანდა დამეხსენ.

24.07.22

* * *

რა დრო გავიდა შენთვის რომ არ მომიწერია,
ვემალებოდი ფიქრებსაც კი შენამდე მავალს,
ფიქრებს რომელსაც ცეცხლოვანი შფოთი ერია,
ფიქრებს რომელსაც ფიქრებისგან ვერასდროს ვმალავ.
ვეძალებოდი ღვინოს ჯერაც დაუმდგარ მაჭარს,
მსურდა გაქცევა სამყაროდან სადაც შენა ხარ,
სადაც შენამდე სიყვარული მე ისე მჯაჭვავს,
დაფიქრდებოდი სიძლიერე შენ რომ გენახა.
ახლაც თეთრ ღამეს სარკმელიდან ფიქრებს ვაცილებ,
სულ ცრემლებამდე რომ მივყავარ ამის ხსენებას,
ბედნიერებმა ზღვის ტალღები როცა ვაცინეთ,
მერე გულის პულს ვუსმენდით და.... გვწყინდა თენება.

ცრემლი დამცვივდა, თუმც ფიქრებმა გული მიამეს,
შენს გულზე არ გთხოვ, ჩემს თვალებზე მოდი მიამბე.

04.07.22

* * *

ახლა შენს ფიქრებში
ისევ ამერია,
გაზაფხულია თუ
არის შემოდგომა.
გულში ყვავილნარის
ნაზი ველებია,
როცა ეგ თვალები
სულ მეფერებიან.
ალერსით მათრობენ
ვნებას მიღვიძებენ,
მიძინებულ ღადარს
ისევ მიღვივებენ.
შენი სიყვარული
გულს სხივებს მიფენენ,
ხან კი ეს ფიქრები
მიმღერენ სიმებზე.
ჰო, ეს ის სიმია,
ნერვს რომ ეძახიან
გულზე რომ გაწყდება
აბა მას რა ჰქვია.
როცა გაზაფხულზე
ზამთარს მომიყვან და
სულსაც მტკივნეულად
მაშინ უნანია.
ახლა, ჰოი, ახლა,
შემოდგომის პირზე,
გვირილებს მიკრეფ და
მიბნევ გულისპირზე.
ახლა დამარწმუნე
თურმე სიყვარული,
წამიც არ ყოფილა
თურმე სინანულის.
სულ შენ მეყვარები
სულ შენ დაგიფიცებ,
გულში ჩაგიკრავ და
ისე დაგიმტკიცებ.

* * *

წარმოსახვაში გადავსახლდი ავიღე ახო,
გაუსაძლისი ტკივილი რომ ცოტა ვიამო,
წარმოსახვაში სხვაგან აბა მითხარ სად გნახო,
და ოცნებების ახდენაზე ან სად გიამბო.
თუ როგორია დილა ქოხში მთაში ტყის პირას,
მხოლოდ ჩვენთვის რომ მზის სხივები მოჰფენს ხალიჩებს,
გულჩახუტებულს სიყვარულით ზეცაში მფრინავს,
ბედნიერების ლაბირინთებს სადაც დავიმჩნევთ.
სადაც შენ სახლობ ტრფობის ძალით მივყვები ბილიკს,
სანამ სიცოცხლე კვლავ ეყრდნობა ისევ ყავარჯნებს
სანამ მზე მათბობს გაუსაძლის გავუძლებ ტკივილს,
სანამ გული გგრძნობს, სანამ გრძნობით გულში მყავხარ მე.
როგორ მწველია ოცნებები, თან ვუძლებ ღვარცოფს,
გულის სიღმეში ყვავილები ჯერაც არ ჭკნება,
ყოფილა ტანჯვა სიყვარული როცა ვერ ლაღობს
და ოცნებების ვერ ახდენის ცას ესმის კვნესა...
მესმის შენი ხმა, მოტანილი ქარის ჭორებიც,
ღვინოში ჩამხრჩვალს როგორ გიცემს გული ტანჯული,
ქარს დავუტოვოთ ყველა ჭორი დანატბორევი,
და გულის ყური იყოს მხოლოდ ჩვენი მსაჯული...
წავიდეთ მთაში ავაშენოთ მზით სავსე ქოხი,
ეკალ-ბარდისგან ია-ვარდი ერთად ვარჩიოთ,
წლებით ნაქარგი ნაოცნები ბაღი ვახაროთ
და ერთმანეთის სიყვარული გადავარჩინოთ.

02.09.22

* * *

ნეტავ იცოდე რა ძნელია თვალზე ცრემლები,
არ შეგამჩნიონ გადამალო სათვალის უკან,
გაიღიმებ და ცრემლებს მხოლოდ ღამით ეხები,
მარტო დარჩენილს რომ მიხურავ კარებს ზურგსუკან.
გადაიშლება ყველა დარდი ყველა ტკივილი,
ცრემლების ზღვასაც მიეცემა მაშინ გზა ფართო,
შენს მონატრებას ვეღარ უძლებს გული და კივის,
ისევ გეძახის თბილი სიტყვა რომ გამაგონო.
კვლავ შენს ფიქრებში გათენდება ალბათ ეს ღამეც,
განთიადისას ნიღაბს ვირგებ და ცრემლს დავმალავ,
ცრემლების მალვით ღიმილის მიღმა ისევ გინატრებ,
ამ მონატრებით, სრულ ჭკუიდან თუ არ გადავალ.

* * *

გული უსიტყვოდ რასაცა გრძნობს თვალებს უთქვია,

ან როდის იყო ლამაზ გრძნობას სიტყვებს უთვლიან.

თუ ჩემი გული უთქმელადაც ვერ მოგაწვდენს ხმას,

მაშინ მითხარი რა აზრი აქვს ასი სიტყვის თქმას.

ან რა აზრი აქვს წუთითაც კი წუთების თმენას,

ერთი შეხედვით გული წამითვე თუ კი ვერ თბება.

იქნებ შენ სიტყვებს ელოდები წამს რომ მოხვიდე,

არა ძვირფასო თუ გიყვარვარ ხელი მომხვიე.

20.06.22

* * *

გაფრენა მსურდა სიყვარულით ცაში ბედნიერს,
როცა მინდორში ვკრეფდით ერთად ვწნავდით გვირილებს,
როცა ლამაზი ცისარტყელით ვშლიდით ფეირვერკს
და ვნების ალში თმებს მადგამდი ლამაზ გვირგვინებს.
ლამაზი იყო მაშინ წვიმაც, ქარი აშარიც,
ტანს მოტმასნილი სველი კაბაც არად მიღირდა,
სუნთქვას მიკრავდა კოცნისაგან პირი გამშრალი
და ჟრუანტელი მთელ სხეულზე ნაზად მივლიდა...
კვლავ გაზაფხულობს წლების მერეც დღეს გაზაფხული
და სიყვარულით გამთბარ სულში არ დაზამთრდება,
წამსაც არ ვუთმობ გული იყოს წამს დაზაფრული,
რადგანაც ერქვა ჩვენს შეხვედრას ბედგამართლება.

დრო მიდის ალბათ ან თუ მოდის მაშინ შევხედავ,
ჩვენი ტუჩები რომ იგრძნობენ ისევ შეხებას.

12.06.22

* * *

აღარ დამირეკო,
აღარ ამატირო,
აღარ დამადინო
ცრემლი.
შენთან საუბარი
ახლა აღარ მინდა,
აღარც ნახვა მინდა
შენი.
გული რად მატკინე,
ისევ მაწყენინე,
ისევ გაიყარა
გზები.
ჩემი სიყვარული
თუ არად გიღირდა,
მაშ რად შემასწავლე
შენიც?!
ჰო, მე ახლა ვხვდები,
შენ სულ თამაშობდი,
როლიც ვერ მოირგე
წრფელის.
ახლა არ გეწყინოს
თუ უკან დაგიბრუნო
შენი ერთი ცალი
ნეკნი.

* * *

გულმა გუშინ მიკარნახა
ხვალინდელი დილა,
–ფრთხილად იყავ პაწაწინა,
სწორედ ასე მითხრა,
მზის სხივები დღეს რომ ბრწყინავ,
ხვალ იქცევა ღრუბლად,
შენი წრფელი სიყვარული
დღეს არავის უნდა.
საყვედური გავუბედე
გულს ვეურჩე დიდხანს,
გულო იყავ შენთვის ჩუმად,
ვუყვარვარ და მიყვარს.
თურმე მწარედ ბედისწერა
დამცინოდა თავზე,
გუშინ გულმა რაც კი მითხრა,
ახლა გამოვცადე.

* * *

დედი მინდა დარიგება
შეისმინო ერთი,
მუდამ გწამდეს ქვეყანაზე
მხოლოდ, მხოლოდ ღმერთის!
და შენს წმინდა ქალის მანდილს
გაფრთხილება უნდა,
სულ გახსოვდეს ქართველობით
ამაყობდე მუდამ.
გაამრავლო ჩვენი ერი,
ბევრით განა ერთით
და სიყვარულს გილოცავდეს
სულ უფალი ღმერთი.
მტერს, მტრულად გთხოვ რომ არ დახვდე,
გაუწოდე ხელი,
პური მიეც, ღვინო ასვი,
ამას შენგან ველი.
დე, რასაც გთხოვ, დაიხსომე,
სულ არ არის ძნელი,
მინდა ღმერთმა დაგილოცოს
სტუმარ–მასპინძელი.

* * *

გული ვეღარ უძლებს ამდენ ტკივილს,
ვფარე ცრემლები ღიმილის მიღმა,
სულის კივილის დაფარვა მიმძიმს,
ვტირი, ჰო, ვტირი, ვიცილებ ნიღაბს.
იმ დღეს ვიხსენებ არ მავიწყდება,
როს თვითმფრინავმა გაშალა ფრთები,
ცრემლი, ტკივილი, თვალთგაფითრება,
მშვიდობით ჩემო, ცრემლით ნამღერი.
გადის დღეები, თვები თუ წლები,
არდაბრუნების წამები მტკივა,
პრობლემის მოხსნას ისევ ვერ ვწვდები,
თითქოს ზეციდან ფიფქივით სცვივა.
როდემდე ნეტავ, ღმერთო როდემდე,
დედაღვთისაო გვაფარე კალთა,
სულით და გულით მე შენ მოგენდე
და გთხოვ მაკმარე ტკივილი კმარა.
ერთს შემოგბედავ, მხოლოდ ერთსა გთხოვ,
ეს მონატრება გამაძლებინო,
თვითონ ვეძებე მაგრამ ამაოდ,
ღამე ცრემლებს სურს გამათევინოს.
როს დასრულდება გრძელი გზა მაშინ,
მიწას ვემთხვევი, ვემთხვევი კრძალვით
და სიყვარულის ცრემლებსაც დავღვრი,
ოღონდ ხმამაღლა და აღარ მალვით.

* * *

–ტიროდი?
–არაფერია, გამივლის ალბათ,
–დარეკე!
–მორჩა, დასრულდა, წავიდა, გაქრა,
–სცადე!
–გული ვატკინე, ბოლოს თქვა კმარა!
მე შენ მიყვარხარ, არ გესმის არა!..
კარის ჯახუნი თან ახლდა წასვლას....
ბოდიშის მოხდაც აღარ ღირს მასთან,
ბერჯერ ისმენდა უაზრო კამათს,
ჰო, ახლა ვხვდები ვუყვარდი მართლაც,
დღეს, ჩემს თავს ვისჯი და ვსჯი თან მასაც.

* * *

რადგან ლექსსა ვწერ ნუ გგონია პოეტი მქვია,
ყველა სტროფები სიყვარულის არის კარნახი,
სუყველა სიტყვა, ჰო ავკინძე და ასე მიმაქვს,
ამ თეთრ ფურცელზე რაც გადმოდის სიტყვის მარაგი.
გაცისკრებისას შენზე ფიქრი ისევ მაღვიძებს,
ისევ ცრემლები მონატრების ცხარედ მცვივდება,
ან ღამე თეთრად ნათენები როდი მაძინებს,
ანდა ფიქრებში საუბარი რად არ მწყინდება.
ფიქრებში როგორ გეფერები შენ ხომ არ იცი,
რამდენჯერ ცრემლებს შეუცვლია ღიმილის ფენა,
მე უშენობას რომ იცოდე ისე განვიცდი,
ასიათასჯერ მდომებია მერცხვივით ფრენა.
ვერ შევეჩვიე უშენობას შენი სიშორით,
ან რა სიშორე გულში ხარ და ისევ რად გნატრობ,
დილის სხივი ხარ ღამე მთვარე ჩუმი მიმოსვლით,
მაგრამ ეს გული მონატრებით ყოველ წუთს გდარდობს.
და გთხოვ ამიტომ ნუ დამიშლი ლექსების წერას,
თუ კი ლამაზად ვერ გავრითმე და ვერა ვქარგავ,
განა პოეტებს მისცენ მარტო უფლების წერა,
მეც ხომ ლამაზი სიყვარული ამ კალმით დამაქვს.
ერთხელაც ალბათ გამაგიჟებს შენი სიშორე,
მოვალ, ჰო, მოვალ, გავბედავ და შენთან დავრჩები,
რადგან ფიქრები სიყვარულის ვერ მოვიშორე
და მთვარის შუქზე ვნების ალში შენი გავხდები.

* * *

ძლიერ მომენატრე
და ფიქრს გამოვყევი
აღარ შევუშინდი
ზამთარს.
თუმცა დამათოვა
თმებზე ფანტელებმა,
წლები მეუბნება
მთავარს:
– ახლა სიყვარული
შენი ზღაპარია,
შენთვის გაზაფხული
გაქრა...
წლებს ვერ დავუჯერებ,
გულსაც ვეურჩები,
მართლა მიყვარხარ და
რა ვქნა.
ახლა გაზაფხული
შენი სიყვარულით
თმებში გვირილებად
მაწნავს.
ჰოდა დამაცადე
წლებო სიყვარული
სანამ ამ ქვეყნიდან
წავალ.

* * *

გემშვიდობებით თუმც არ მინდა მე თქვენგან წასვლა,
წუთისოფელმა ჩამორეკა გლოვის ზარები,
ვხედავ საათსაც დაუწყია წამების ათვლა,
გტოვებთ, ჰო, მაგრამ მე თქვენ ისევ კვლავ მეყვარებით.
არ დაიდარდოთ როცა მოვა კვლავ გაზაფხული,
იებად მოვალ, ენძელებად და გვირილებად,
მოგესალმებით სიყვარულით და არ ნახული
გავალამაზებ კვლავ სამყაროს ნაზ ღიმილებთან.
ზაფხულის მზეში, მზის სხივებად მოგეფერებით,
სულს დაგიამებთ ისე ნაზად ჩაგეხუტებით,
გთხოვთ არ იდარდოთ ისევ ცხადად თუ ვერ შეგხვდებით,
ღამე სიზმრებში კვლავ ლამაზად დაგიბრუნდებით.
შემოდგომის პირს როცა ქარი ფოთლებს მოხვეტავს,
თითო ფოთოლი მე ვიქნები ის ფერშეცვლილი,
ახლა უფერო თქვენთან მოსვლას მე ვერ მოვბედავ,
მაინც ვერ მიცნობთ ყვავილი ვარ ფერგაცრეცილი.
ზამთრის ყინვებმა გული თუკი სულ მთლად დაიპყრო,
ნურც მომინატრებთ სიცივისთვის არ მემეტებით,
ჩემი სიცოცხლე ზღაპარივით იყო, არც იყო,
პატიებას გთხოვთ რომ დღეიდან მე ვერ შეგხვდებით.
არ გამიხსენოთ ძალიან გთხოვთ თვალზე ცრემლებით,
ლამაზმა წლებმა, თუმც კი ბევრჯერ ჩვენთან იარა,
ხსოვნის სასმისით მე სუფრასთან მუდამ შეგხვდებით,
თუ სიყვარულმა არასოდეს გადაგიარათ.

* * *

წვიმს ახლა სულში მომაშველე შენი ხელები,
სითბოთი სავსე მომახურე ტრფობის ფარაჯა,
თორემ ძვირფასო გაზაფხულსაც ვეღარ შევხვდები,
დაიხურება სიყვარულის ღია ფანჯარა.
გული კვლავ გიხმობს სიყვარულით თბილი ნუგეშით,
ერთად ვიბრძოლოდ სიყვარული ისევ ვაშენოთ,
კვლავ დავიგულოთ საგულეში ჩვენი გულები
და სიყვარული არასოდეს გადავაშენოთ.
გლოცავ ძვირფასო, ხვალ ხომ შენი დღეობა არის,
სულ მინდა იყო ბედნიერი, გხედავდე დღეგრძელს,
სანთელს დავუნთებ ჩვენს სიყვარულს წმინდა ტაძარში,
მერე მოვალ და მთელი გულით შენ გადღეგრძელებ.

* * *

როგორ მინდა
განთიადზე,
ვიყო შენი
მაღვიძარა.
ის მზე მინდა
ვიყო შენი,
სარკმელთან რომ
ჩამომჯდარა.
ცივი წყარო
მინდა ვიყო,
წყურვილს რომ კლავს
ცხელ ზაფხულზე.
ის ღუმელი
მინდა ვიყო
რომ გაგილღო
ყინვა გულზე.
მინდა შენი
ვიყო მუდამ,
შენ არ გინდა?
მიპასუხე!
მიპასუხე,
სანამ დროა,
სანამ სხვასთან
ვიდგამ უღელს,
თორემ მერე
ბედისწერა
არ აბრუნებს
ნანატრ წუთებს.
ახლა ფიქრით
მოვალ შენთან,
დაგიკოცნი
ლამაზ ტუჩებს.
მერე ძილში
დაგეწვევი
და ავიხდენთ
ლამაზ სიზმრებს.
სიყვარულის
ქარიშხალი
მოგვატარებს
ირგვლივ სივრცეს...
ჰოდა ახლაც
აღარ მეტყვი?
უშენობას
ვეღარ ვითმენ.

* * *

ჰო, შენთვის მსურდა მომეწერა გული რას გრძნობდა,
შენზე ფიქრებით რომ ვხვდებოდი ხშირად განთიადს,
თუ როგორ ცემდა მკერდში გული როგორ ანცობდა,
ან სიყვარულის ნაპერწკალი როგორ ანთია.
ანდა თუ როგორ ვუღიმოდი ცაზე ვარსკვლავებს
და ცისარტყელის ყველა ფერებს ვეფერებოდი,
მზეში ვხედავდი ულამაზეს შენს ლამაზ თვალებს
თავს რომ ვერ ვძლევდი ლამაზ გრძნობას ვერ ვერეოდი.
ჰო, შენთვის მსურდა მომეწერა გულის განცდებზე,
ვერ იყო მშვიდი უშენოდ დღე და თანაც წყნარი,
პირველ წუთიდან შენზე ფიქრი რომ ვერ განვდევნე,
მაგრამ ძვირფასო ყოველივეს თქმა დამასწარი.

უშენოდ მართლა მეშინოდა ზამთრის და სეტყვის,
დღეს კი სიცოცხლე შენით მიყვარს ათასჯერ გეტყვი!

15. 06. 22

* * *

მინდა დაგიკოცნო ეგ თვალები,
განა ცისფერი ან თაფლისფერი,
ჩემი გულგონების გზაამბნევი
და და ჩემი სიყვარულისფერი.
მინდა შემოგხვიო მხრებზე ხელი,
გულში ჩაგიხუტო ისე მაგრად,
კოცნით დაგავიწყო ყველაფერი,
ვნება გაგიღვიძო სევდის ნაცვლად.
მინდა ეგ თვალები სულ ბრწყინავდეს,
დარდი გულს არასდროს გაიკარო,
თუ გინდ არასოდეს არ გიყვარდე,
არ მსურს ცრემლიანი დაგინახო.

მინდა დარდიანი შენი გული,
ერთ დღეს წიგნივით რომ გადაშალო,
დარდი გულს რაცაგაქვს დამარხული,
მითხრა და ქარს ერთად გავატანოთ.
მინდა მუდამ იყო ბედნიერი,
შენი ეგ თვალები მომანათო,
მერე საყვარელო ჩვენი ბედი,
ცალკე არასოდეს არ გავყაროთ.
მინდა! რომ იცოდე როგორ მინდა,
გულზე დარდი მალე გადიყარო,
მერე სიყვარული ამიხსნა და
ბედნიერმა სახლში წამიყვანო.

* * *

წუხელ მესიზმრა კაცი ცელით, შავი სამოსით,
თავზე მადგა და ჩამძახოდა ჩემთან წამოდი,
არც რა გინდაო დატოვეო ტანისამოსი,
ნუ მალოდინებ მაჩქარებდა ფეხი გადმოდგი.
მიმოვიხედე ვერვინ ვნახე ჩემი მშველელი,
ვინმესთვის სიტყვა დამებარა ჩემი სათქმელი,
არ გავყოლოდი თავს ვერ ვძლიე ეს ვერ შევძელი,
ისიც არ ვიცი სად მივდივარ ანდა რა მელის.
თვალცრემლიანი გავუყევი ბილიკს დაღლილი,
არც ერთი სიტყვა, არც იმედი ირგვლივ არ სჩანდა,
მახსენდებოდა ბედნიერი დრო გადავლილი
და კიდევ მეტი, ჩემს ცხოვრებას ცრემლი რომ აჩნდა.
მივდივარ ახლა სიყვარული მრჩება მე თქვენთან,
მე მახარებდა სიხარული ვფიცავ სულ თქვენი,
ერთადერთია რაც რამ მიმაქვს მხოლოდ იმქვეყნად,
შენთვის ძვირფასო რაც კი დამრჩა დღემდე უთქმელი.

ნიკოლოზ ღვინიანიძე – საიმფორმაციო ტექნოლოგი
დაბადების ადგილი – ვანი

მ ხ ი ლ ე ბ ა

შენ, დროება შენიღბულო
რა გგონია, ვერა გხედავ?
ან რომ სახე დაგიკარგავს
მხილებასა ვერ გავბედავ?

რაო, რა გსურს წარმავალო?
რაა შენი სინამდვილე,
როცა ყოფის ღალატია
გადარჩენის სიადვილე.

ალბათ, გინდა დამაჯერო,
რომ მართალი ახალს იცავ,
რომ სუყველა სანდობია,
რასაც სიტყვით დაიფიცავ.

მაგრამ არა, არ გამოგდის,
გამოვიცან შენი სახე,
გუშინ ჩუმად შემოგხედე
და უნიღბოდ დაგინახე.

დაგინახე გამოცვლილო,
ყურებაც რომ აღარ ღირდა,
შენ ის იყავ, ვისაც სითბო,
სიყვარული არ დასჭირდა.

ვინაც ცვალა მომავალი
ხალხი ტოვა გულ მშიერი,
თავის დროის მიჯნურობის
სიმდიდრე შვა ნაშიერი.

სიმდიდრე შვა არსებობად
ერთადერთი, ბედნიერი,
სულიც მაღლა დაამარცხა,
დღეს ყველა ყავს მიწიერი.

მიწაც მიწის ჭაობშია,
დაგიგია ყველგან მახე,
ვეღარც იმით გამაკვირვე
შიგ რომ თავი დამანახე.

ამიტომაც დრო და ჟამო
ასე ვერსად გაგამართლე,
ჰო და მოველ მხილებელი
მოგევლინე მოსამართლე.

შემომხედეე...შემიცანი...
სინამდვილე და ეს ვარ მე,
ნუ ხარ ასე თავ დახრილი
გამიღიმე... მომესალმე...

ბ ა რ ტ ყ ი

წუმპეს ბარტყი შევამჩნიე,
ვთქვი აქ მატო რატოა?
ავიხედე, ბუდეც არჩანს,
ალბათ, ვინმემ დატოვა.

სველი იყო, გაწუწული
შიშით აკანკალებდა,
თავალები კი ცრემლიანი
ვეღარ ახამხამებდა.

შევიბრალე პაწაწინა
გული გავყე ნაწილად,
მეც ისევე ვერ ვიზამდი
როგორც სხვებმა გაწირა.

ავიყვანე, მივეფერე,
ჩავსვი გამთბარ უბეში,
თან შინისკენ გავეშურე,
ვერ დავტოვე გუბეში.

ვზარდე, ვევლე და ციება
ზამთარს არ დავაცალე,
ხანაც კატას დამშეულსა
პირში გამოვაცალე.

არ ვაკარე ნიავქარი
არც გალიით ვაწვალე,
ასაკი რომ, მოუვიდა
ფრენაც მე შევასწავლე.

ყინვა ერთად გავაცილეთ,
მაბრაზებდა, მართობდა,
ცელქსა ისე შევეჩვიე
ვთვლიდი, არა დამტოვდა.

მაგრამ როცა გაზაფხული
მზემ სხივებით მოჭედა,
ზეცას ისე მიაშურა,
ერთიც აღარ მომხედა.

ისე სწრაფად მიიმალა,
თვალმაც ვერსად ეწია,
წავიდა და არც მიკითხა,
სტუმრადაც არ მეწვია.

აი ასე გამიფრინდა
ჩემი ცქნაფა ნიბლია,
არა ვმალავ, მაწყენინა
და ჩვენ შორის ნისლია.

თუმც, ესაა სინამდვილე,
გული მაინც ელოდა,
როდის იყო კაცის ენა
ფრინველებს რომ ესმოდა.

ალბათ, იქაც კარგადაა
მიტომ ეშვა სხვა ბუდეს,
ალბათ, ახლა სადაცაა
უკეთესად გაუგეს.

ვინაც ტოვა, ის არჩია
სისხლმა ძლია ცდუნებას,
ჩიტმა უნდა ცად იფრინოს
ასე უთქვამს ბუნებას..

გ ა მ ო ი დ ა რ ე ბ ს

გამოიდარებს... მოვა ზაფხული,
მზე შეუდგება ფერების მორთვას,
გაიფანტება ზამთრის სიცივე
და გაზაფხული მორჩება მოთქმას.

გამოიდარებს... მოვა ნუგეში,
რწმენას იმედის მოყვება ბოდვა,
შეიმოსება ძველი ჭადარი,
უფოთლობისა შეწყდება შფოთვა.

შეიმოსება ნუში... ატამი...
ლალი, ზურმუხტი დაიწყებს ქსოვას,
მოვა სითეთრეც, მოვა ფანტელიც,
ყინულად არა, კვირტების თოვად.

გამოიდარებს... გამოიდარებს...
ნაცნობ ფერებში წარსულის ხსოვნა,
ისევ ვარდებით, ისევ პეპლებით,
მოვა ზაფხული... ის ისევ მოვა...

დაგვიწყებია ვაჟკაცო

რამ დაგაბეჩა ვაჟკაცო,
რამ შეგიცვალა ფერიო,
მოხუცსა სიტყვა აკადრე,
უღირსი ყველაფერიო.

ვეღარ ითმინე, მოზომე
სიტყვები უფიქრელიო,
რასა ჩადიხარ, ვისა სტკენ
სულ აღარ უკვირდებიო.

დაგვიწყებია წარსული,
როს იყავ სუსტი, სველიო,
დაგვიწყებია მშობელი,
მისგან ნაფერი ხელიო.

დედისა სითბო, ალერსი,
თვალები შენით მფენიო,
კალთაი მისი სიწმინდე,
გასაჭირისა მხსნელიო.

მამისა სიტყვა, სიმტკიცე,
გადავარცხნილი წვერიო,
გული შვილითა ნაძგერი,
უდრეკი, ფარი მცველიო.

დაგვიწყებია ვაჟკაცო,
არც გახსოვს არაფერიო,
არცა ღირსება გაჯავრებს,
არცა სულით ხარ მწველიო.

წამოგიმართავს ოჯახი,
ამაყობ, ხარობს ჭერიო,
ტანითა კი ხარ ნაზარდი,
თავი შემოგრჩა თხელიო.

ვინც შვილად არა ივარგე,
ის, მამაც დარჩა ბნელიო,
დაიცა, დრომა იაროს,
იაროოს... გახდე ბერიო.

დამშვიდდი გულო

გაჰყევ ბილიკებს, რად ფრთხიალებ შენ ჩემო გულო?!
რაის დაეძებ, რაის ელი მშფოთვარე სულო?!
სად სოფელია ათასფერი ვერას გამგები,
სად სიცოცხლეა უნიათო არას წამღები.

დღენი დღეთა ტყვე, უსასრულო, უგზოდ მავალი,
დრონი უდროოდ შეუცნობნი, მიუსაფარი,
სად იმედია, ილუზია, ფიქრის მათრობი,
სად ოცნებაა ერთადერთი ფერთა მაქსოვი.

გონი ბინდული, მინდობილი სხვისა ნაფიქრზე,
ხორცი უგრძნობად შერჩენილი უცხო ნაპირზე,
განცდა ფარული, შეჩვეული დუმილს, სიყალბეს,
სად სულერთია იპოვის თუ ვეღარ მიაგნებს.

დამშვიდდი სულო და მიჰყევი ჩვეულ ბილიკებს,
ამშვიდე გულიც არ ემონოს წყეულ სიგიჟეს,
ეს სოფელია უნიათო, ვერას გამგები,
არას შემრჩენი, არას მცველი, არას წამღები..

სიცოცხლის მადლი

მოგონებები... შემსევიან,
როგორც არასდროს,
სულის ტკივილმა რწმენა მათი
ისევ გამანდო,
გულს მისერავენ გაყინული
ძველი ვნებები,
ვდგავარ მუხლებზე, დაცემული,
ალბათ ვნებდები.
ვნებდები მაგრამ მაძლიერებს
მე ნდობა მისი,
როს ასე ცოდვლის განმიცდია,
ვყოფილვარ ღირსი,
ღირსი გრძნობისა, რასაც ერქვა
წმინდა ხატება,
დღესაც რომ მყვება საიქიოს
შუქად, ნათებად.
ჰო სიყვარულო ეს ყოფილა
შენი მშვენება,
დღეს რომ მიმავალს
მაგალობებ, მიმემღერება,
მუხლად დაცემულს, ვერ
მაშინებს ნაპირი შორი,
რადგან ამ ბილიკს მიუყვებით
მე და შენ ორნი.

ჰო, გრძნობავ ჩემო, არ გრქმევია
შენ მჭკნობი ვარდი,
ეს შენ ყოფილხარ სიამაყე,
სიცოცხლის მადლი,
და თუ ვინმემ თქვა შეგონებად
შენი მქრალობა,
ვაი მის ყოფას სიცოცხლისა,
მისსა ბრალობას.
ვინაც ვერა გცნო, ვერ გიხილა
ნეტარად წამის,
ვერა შეგიგრძნო, დაგეწაფა
უშრეტელ სასმის,
ვაი მის ყოფას, სიყვარულო
რქმევია წყევლა,
და მე გამოვლილს, მიმავალსა
მებრალის ყველა.
მებრალი შენაც, საცოდავო...
სიკვდილო მწარევ,
რომ ვერ მაშინე და რადგან დროა
მიჩვენე მხარე,
მაგრამ... თუ თვალებს დამამჩნიე
მაინც ცრემლები,
მაინც ღირსებით, ვდგავარ მუხლებზე
ასე გნებდები..

ფასი მითხარ

შენ სიცოცხლევ ფასი მითხარ,
თორემ სუნთქვით ვის რა არგე?!
თუ არც კაცი გქვია ქვეყნად
და არც შვილად არ ივარგე.

ვეღარც მიწა იცან შენი,
ვეღარც გრძნობა ამოქარგე,
მომავალსაც ვერსად იცავ,
მისთვის ერთი ხე ვერ დარგე.

გქვია მხდალი, გქვია მონა,
სულიც, გულიც გადაკარგე,
და მიზანი შეგრჩა მხოლოდ,
არ მოგაკლდეს სანოვაგე.

შენ სიცოცხლევ ფასი მითხარ,
თორემ სუნთქვით ვის რა არგე?!
საუკუნეს ლოდიც უძლებს,
არ მსუნთქავი, არას მარგე.

ქალის სიმართლე

ქალი ვნახე მომტირალი ცრემლებით,
სევდიანი თმას იგლჯდა ხელებით,
გულსა ჩამწვდა ის, რაც შორით ვიხილე,
ვუახლოვდი თან მიზეზიც ვიკითხე.

მივეფერე, შეუმშრალე ცრემლები,
ვცადე სიტყვით დამეცალა ეკლები,
ფეხ მავალმა დროს სიჩქარე ვუთმინე,
მერე ერთხანს დამშვიდებულს ვუსმინე.

მითხრა ველი სატრფოს გზიდან მომავალს,
ვინც დამპირდა ხვალ უკეთეს მომავალს,
და მეც მისკენ მიმიპყრია თვალები,
რომ მიზიდოს ალმას, ზურმუხტ, ლალები.

მაგრამ რაღაც შეაღამდა გზაშია,
ალბათ ეხვა სადმე ხიფათ-შარშია,
იგვიანებს უკვე ათვლაც გაჭირდა,
ამ ლოდინში წლები, წლები გაფრინდა.

ამიყოლეს ფიქრებმა და დარდებმა,
უკვე ბერჯერ გადიქროლეს ქარემბა,
და რადგანაც ოცნებებშიც დაბინდდა,
ალბათ ცრემლიც უნებურად დამდინდა.

ერთხანს წყნარმა სმენით არ დავიღალე,
გულ დამწვარმა ისევ მისკენ ვიხარე,
ვუთხარ ტურფავ, მშვენიერო ფერია,
აქ სამყარო იცი?! სულ სხვა ფერია.

აქ სიყვარულს არ უხდება ბოგინი,
არც იმედით, უსასრულო ლოდინი,
როცა გრძნობა მონატრებით შორია...
იქ მიზეზი ყველა ცრუ და ჭორია!

რად დამჯდარხარ? ჩამოგტირის პირ-სახე,
წადი შენთვის სულ სხვა გზები მონახე,
დროს რად უცდი უსასრულო ვედრებით?!
ჟამთა ცვლაში ბოლოს ყველა ვბერდებით.

რომ შენატრი უსაფუძვლო იმედებს,
რომ ამართლებ, რომ დაეძებ მიზეზებს,
გაგიმართლა დღეს ეს მზერა მიიპყრე
აჰაა ხელი, გულიც ჩემი მიიღე...

შემომხედეს ცრემლიანმა თვალებმა,
თითქოს ცეცხლი მომიკიდეს ალებმა,
კვლავ მომნუსხა, მიმამსგავსა მაქციას,
დამამუნჯა... სმენად გადამაქცია.

მკითხა, ვირო გინდა ზიდო საპალნე?
კაცი ხაარ თუ ბოროტების სავანე?
რა გინდოდა? რად მიმატე იარა?!
წასულიყავ, შენ შენი გზით გეარა.

ცქერა რომ გაქვს უცოდველი შველისო,
შენ რა იცი გრძნობას როგორ შვენისო,
მეც თუ მალე გავიქარვე ფიქრები,
მაშ რა ქალი, ან რა სატრფო ვიქნები?!

თუ ვერ ვიცან, საწყისი და სათავე,
თუ მეც ვუშვი არ ვიჭირე სადავე,
მაშ რას ერქვას სიყვარულის სიდიდე?!
მაშ რას ერქვას, ქალის სულის სიწმინდე?!

წადი განვლე ის გზა, სადაც დიოდე,
ნუ იჯავრებ მას, რაც არა გტკიოდეს,
ვერვინ იგებს, სხვა სხვის გულის იარებს,
წადი... წადი... წადი... განვლე იარე.

შემრცხვა მკითხველს, ჩუმად თავი დავხარე,
ქუჩას შევყევ და სხვა მხარეს გავხარე,
მაფიქრებდა სიტყვის, აზრის სიმწარე,
მერე გზები სულ ბარბაცით ვიარე...

კაცმა უნდა გაბედო

მივაქროლებ ფაფარაშლილს,
თეთრ ბედაურს სამეფოს,
წინ მორევი, უკან ხიდი,
მაგრამ უნდა გავბედო.

მივაქროლებ არ ვაჩერებ,
თუ გინდ იყოს საბედო,
მორევს იქეთ წალკოტია
და მეც უნდა გავბედო.

მორევს იქეთ ხედებია,
საიმედო, საღმერთო,
და რას ქვია სიღრმე, შიში,
კაცმა უნდა გაბედო.

გასწი, გასწი ჩემო რაშო,
ვიცი უნდა გამენდო,
მაგრამ ახლა გამომყევი
და შენც უნდა გაბედო.

მორევს იქეთ სამშვიდობო,
გზები ერთად დავგეგმოთ,
ოღონდ ახლა არ შეშინდე,
ახლა ერთად გავბედოთ.

სულის ყვავილო

ჩემი სულის ყვავილო,
შენთვის ვხატავ ამ რითმებს,
ლამაზ-ლამაზ ფერებად,
გამოგონილ ნაზ მითებს.

სულის იასამანო,
დაუშრობო ოცნება,
მინდა ბაგეს დაგაჩნდე
დაწებებულ კოცნებად.

გულს გებნიო სიცოცხლედ,
სიყვარულით გათრობდე,
შენი წმინდა თვალების
ეშხის ხილვით ვხარობდე.

ღამის ვიქცე სინათლედ,
დილის სხივად კამკამა,
დამეძებდე მხედავდე,
მეძახოდე არ კმარა.

შენიც მერქვას ოცნება,
ვიყო გრძობის მეზღაპრე,
რომ მანძილი წავშალო,
გადავლახო შენამდე.

* * *

ვის ენახოს დანებება
შენი მიწის, შენი წყლის,
ვის ენახოს დაბნელება
სამუდამოდ შენი მზის.
რამ გაშინოს საქართველო?!
დღეს თუ ისევ ბინდია,
ეს დროება, ეს ნისლები,
ბევრჯერ გამოგივლია.
მერე რა თუ ჩამოღამდა
ვანთოთ რწმენის სანთელი,
ხორცზე დაბლა არასოდეს
დაცემულა "ქართველი".
და ეს წლებიც გადაივლის,
დრო წაიღებს ყველა ჭირს,
დაილევა სადღეგრძელო
დაბადებულ ალგეთს მგლის.
დაილევა საყიჟინო,
ცაც რომ აღარ იდუმებს,
გაყინული ძველი სისხლი
ძარღვში ისევ იდუღებს.
ისევ ისე გაბრწყინდება,
განათდება ცისკარი,
აკვნესდება, ამღერდება
მოჭედილი ხის ქნარი.
რამ გაშინოს საქართველო?!
შენ წარსული გპირდება,
კიდევ ბევრჯერ გაისმება
ციცქნა მიწის დიდება!!!

* * *

ქუჩას ჩავყევი ნაპირზე
უცნობი ქალი შემომხვდა,
თუ რამე მზერა აფრქვია
სუყველა, გულში მე მომხვდა.

ვთქვი ბედის წერა ყოფილა
მიტომ დამიგო მახეო
აბა... ასეთი ლამაზი
ასე გზად, როგორ ვნახეო.

არ მომასვენა გონებამ,
დამაწყებია შფოთვები
ერთი, მეორეს მივაწყვე
დაცლილი ღვინის ბოთლები

დღე და ღამ მასზე ფიქრებით
სულ დამეკარგა სიმშვიდე,
რა არ ვაკეთე, შეშლილმა
სულიც კი, ეშმაკს მივყიდე.

აღარ მოვეშვი, ლამაზმანს
მე, მოვიგონე გმირობა
მის მოსახიბლად ვაფრქვიე,
ბევრი სიტყვა და პირობა.

ისიც დამნებდა, ვერშეძლო,
ვერგაუმკლავდა ცდუნებას
ჩემ საქმეს თავი გავართვი
ვისწავლე ქალის ბუნება.

დრო იყო, სულში შევძვერი,
როგორც მორევში ბადეო
ყურში მომიგო ჩურჩულით,
თავიდან დავიბადეო.

ბევრი ვუსრულე პირობა
გულში რაც ჰქონდა ნატვრები,
ბევრიც ვეხვიე, ვეფერე
მზეს დავუმსგავსე თვალები.

მისთვის შევცვალე ამინდი
აღარც წვიმს, აღარც ქარია,
ოცნებას... ისე შევყევი
სხვის ქალს გავუღე კარია.

ამის მნახველი შეშინდა,
უკან გადადგა ნაბიჯი
იფიქრა დროა გავასწრო,
სხვისთვის არ გავხდე მახინჯი.

მითხრა გიჟი ხარ, გაჩუმდი,
შენ თავი ვინა გგონია?!
მე არ ვიცოდი, დღეს მივხვდი
სხვა ვინმე, რომ მყვარებია.

გაბრაზებულმა გამლანძღა
მიჩვენა ჩემი ადგილი,
ბევრი ტყუილიც მაკადრა
წასვლა გახადა ადვილი.

სიტყვა მიტოვა ამაყი
მსურს დაივიწყო სახეო,
თუ სადმე გადამეყრები
თქვი რო პირველად მნახეო.

მერე შემაქო, მადიდა
ტკბილად მისურვა მშვიდობა,
ვერ გამიმეტა ბოლომდე
გულთბილად დამემშვიდობა.

ასე სრულდება ამბავიც,
სხვა ფინალს ვწერდი არადა,
თურმე შეცდომით დავარქვი
მას, სიყვარულის ბალადა.

მე, რომ მეგონა ვატყვევე
ლამაზ სიტყვებში, ნაქარგში
აქეთ აღმოვჩდი გაბმული
ჩემს მიერ ნაქსოვ, ხაფანგში.

პასუხს ვეძებდი, ვერ ვპოვე
ალბათ, ცდუნების ბრალია
გულით სხვას, თუ მიენდობი
ცოტა არ იყოს შარია.

ვერას გაუგებ ცხოვრებას,
ვინ რას ფიქრობს და აპირებს
ქალი თავის გზას გაუდგა,
მე, კვლავ გავყურებ ნაპირებს...

* * *

და იქ სადაც, სიყვარულმა
აიშენა წმინდა ბუდე,
ვეღარ მიწვდა მას, ღალატი
ვერ ამოხსნა გზები მრუდე
რომ ვერ ნახა, მისასვლელი
ხიდი, კიბე ვერ უპოვნა
მერე ბრაზთან დაძმობილდა
და შარებიც მოუგონა
თქვა რომ ცრუა, მონაჭორი
ასე მისთვის იმალება
როცა ნატრობ, როცა ელი
სწორედ მაშინ იკარგება
ავსულია, ჯადოქარი, ხან
მნათობი, ხანაც მქრალი,
თუ კი თვალი მოაცილე,
აღარსად ჩანს სადმე კვალი
რადგან მხოლოდ იმედია,
დაგებული დროში მახე,
ამიტომაც არასოდეს
არუნახავთ მისი სახე,
რომ უბრალო, არ ყოფილა
მისი მხელა, მისი გმობა
თავის სიტყვის დასტურადვე,
დაიმოწმა ეჭვი, ბოღმა
და ღალატმა ურცხვმა, მწარემ
რაც სიცრუე დაიმღერა
უგნურობით სულკარგულმა
ხალხმა ყველა დაიჯერა

თქვეს ოცნებას, რას შევნატრით
სიცოცხლე გვაქვს, უღირალი
რად გვჭირდება ჩვენ მასეთი
ვითომ, რაღაც უხილავი
უჯერებლის დაჯერება,
გავიხადოთ თვით მიზანი
ნახულიც, თუ ვერ ვიცანით
გაქრეს ისევ, ვით სიზმარი..
ასე კაცთთვის, რაც წესია
ნდობისადმი რეაქცია
იმ უხილავს, შეუცნობელს
ყველამ ზურგი შეაქცია...
მაშინ, გრძნობამ გულნატკენმა,
ცრემლიანმა დაიფიცა,
რომ ამ ქვეყნის სტუმრობიდან
სამუდამოდ გაიფიცა,
რადგან ფასი სულერთია,
ბოლოს გულში მაინც კვდება
მისი სიღრმის სილამაზეს,
ვეღარავინ ვერ ჩაწვდება
მან მიჯნურთთვის, იმ დღეიდან
მხოლოდ ჟინის ცეცხლი ანთო
და ნამდვილი შეგრძნებების
ოცნებები შერჩათ მარტო,
შერჩა ასე დედამიწას,
სიყვარულის მითი მწარე
გამეფებულ ეჭვ-ღალატში,
შენიღბული სულ სხვა მხარე...

* * *

ეს ცხოვრება ახია
ვისთვის გოგრა-კვახია
ვისთვის კიდევ უსასრულო ზღაპარი
დღე დღეს მისდევს ბერდება
ღამე ფიქრში თენდება
სხვა დღეებიც გამქრალან და არ არი
ღვინოვ ავსე ფიალა
დარდმა გამატიალა
შენღა შემრჩი სილამაზის მხატვარი

მომაშველე თემები
იქნებ ვცვალოთ ფერები
ხელთ ავიღოთ ტილო ფუნჯი ფანქარი
სულში სევდა დავცალოთ
გული გულს ვანაცვალოთ
დავასრულოთ გავაცილოთ ზამთარი
სანამ წლები გასულა
სულიც შორეთს წასულა
ჩვენც დავხატოთ ერთი ტკბილი ზღაპარი

* * *

ქუჩას მავალსა სიცოცხლეს,
გზაში შემოხვდა სიკვდილი
დაღლილსა ჰგავდა სახეზე
გუდით მოჰქონდა ტკივილი.

ფეხსა უნელეს, შეჩერდნენ
ქვას გადებულსა, ხიდადა
დრო გამონახეს საცდელი
ერთურთის მოსაკითხადა.

სიცოცხლემ სიტყვა დაასწრო
რად არ ასვენებ ხალხსაო
ზოგს ქუჩად გადაეყრები,
ზოგსაც ესტუმრე სახლსაო.

ყველასა, თავი აძულე
განურჩევლადა ნაციას
ვერცერთი, ვეღარ გიცვნია
ბავშვი, ქალი თუ კაცია.

რად ხარ ეგეთი ბოროტი
სახელად გარქვეს საზარი
იქნება, სმენად მიიღო
აღარა დაგვცე თავზარი.

იქნება გვეშვა, გვეცილო
ნახო ქვეყანა სხვა მხარის,
მაცადო მარტოს ცხოვრება
მე, მათ თვალისა გამხარის.

ან დარჩე სადმე, ზეცასა
შენ იქ ხარობდე მაღალზე
მითხარ, ეგება გინდოდეს
შენაც გეფიქროს ამაზე...

ამოიხვნეშა სიკვდილმა,
განა ეს ჩემთვის შვებაა?!
ყველასა ბოლო გახლავარ
ეს ხომ უფლისა ნებაა.

ასე წერილა ქვეყანა,
აბა მე რასა შევცვლიდე
თქვენი ცოდვისა საზღვარის
დასასრულსა რომ შეგპირდე.

თუმცა, ერთი კი გირჩიო
ფიქრით რომ ვერ გაგიგიათ
რად გინდათ მარად ყოფაი
რაცა გაქვთ ვერ შეგირგიათ.

ვინა ცნო, შენი ფასობა
აქ რად მიწონებ თავსაო
ფულად და ოქროდ გაყიდულ
რაღასა ითხოვ სხვასაო.

გადაგიკარგავთ ყვარობა,
ვის გულში ხედავ ნათესებს
სიტყვითა თუ შეგხარიან
ნუთუ, ვერ ხედავ ნაკეთებს.

ძმამა, ძმისა თქვა შარობა
შვილს, დედა ვეღარ უცვნია
ის გაგიხდიათ მოყვარედ
ვის გამორჩენას უცდიან.

ვერ გიქცევიათ სიკეთე
ენიდან, ხელად საქნელად
სხვის დასანახათ დიდდებით,
ჯვარი გკიდიათ სახელად.

თავის მართლებად იმედი,
ხვალისა როგორ დადგება
ხვალ, თუ მე მიწევს ჩამოვლა
მაშ გული, ჩემზე რად გწყდება.

და შენ, თუ გერქვა ღირსება
სადღაა, სიტყვაც გამტყდარა
რა გითხარ ისეთ სიცოცხლეს
როცა სულერთი გამხდარა.

ამიტომ, იქნებ ის დროა
თქვენვე ისმინოთ ნათქვამი
იქნება, რჩევაც მიიღოთ
შეცვალოთ გულის ნაფქვავი.

ეგება შენვე დამპირდე,
ზეცას მაბარო პირობა
თქვენგან დამჩნეულ იარებს
არ გსურთ ამატოთ ჭრილობა.

სხვისა ბრალისა ძიებას
მიჰყვეთ სულისა ნებასა,
მერე კი, ღმერთიც შეგისმენთ
მოხედავს თქვენ ოცნებასა...

გაშრა, გაყუჩდა სიცოცხლე
პასუხად რაღას ეტყოდა
ამდენსა მწარე სიმართლეს,
ალბათ ერთად არ ელოდა.

შებრუნდა, ზურგი აქცია
მანაც ვერაფერს დაჰპირდა,
ისევ გზას უყვა, მდუმარე
და გზა ხსნისაზე ჩაფიქრდა...

* * *

მე მოვიგონებ ლამაზ სამოთხეს,
ედემს უცოდველს, ორი სულისთვის
თეთრ ოცნებებად გადავშლი სითბოს,
ერთი ნამდვილი სიყვარულისთვის.

შემოვაქარგავ გრძნობით სინაზეს
ერთვოდეს ყვავილთ ნაირფერება,
ნატურმორტებში გაშლილ სიცოცხლეს
მოკვდავი გული მოეფერება.

და სადაც მხოლოდ ვიქნებით ორნი,
ჩვენს სურვილებთან ყოვლად ეული
ვარდზე უკეთესს სუნთქვად შეგიგრძნობ
არ მომწყინდება შენი სხეული.

არ მომწყინდება ცქერა თვალების
სახის, ალერსით მე რომ დაგითბობ,
უსასრულობად ბაგეს დამდნარი
ჩემ სიცოცხლესაც, შენ ერთს დაგითმობ.

* * *

ამბობენ რომ პოეტებს,
ბედისწერა იმეტებს,
არ ელევათ დარდები
და არც ეკალ-ბარდები.
დაჰყვებიან ბილიკებს,
სააღმართო სავალში,
არ მონობენ ცხოვრებას,
ფუფუნების წამალში.
სულს კარგავენ სასმელში,
ხანაც ლამაზ ქალებში,
იღვრებიან სანთლებად,
პოეზიურ ჰანგებში.

გულით რთავენ სამყაროს,
სხვა უხილავ ფერებში,
გამოგონილ სიყვარულს,
გამოგონილ ბგერებში.
სილამაზით, სინაზით,
შეგრძნებებსაც ბედავენ
და სიკვდილის მორევში,
სიცოცხლესაც ხედავენ.
ამბობენ რომ პოეტურს,
თვალებს სევდა ამშვენებს,
მაგრაამ... დედამიწაზე,
მაინც ედემს აშენებს.

კახა გორგაძე – განათლება საშუალო
დაბადებული ქალაქ თბილისში

,,ტერენტი გრანელს"

ციდან დაეშვნენ ხმელი ფოთლები
და შემოდგომის შევსვი ფიალა,
ვიცი,სულ მალე მეც დავობლდები
ვიგრძნობ ცივ ავდრებს და ძველ იარას

და უცაბედად გამოჩნდნენ ფრთები
კვლავ გამაღვიძა ფრთათა შრიალმა,
მეც ფოთოლივით მიწას დავეცი,
შორს წარმიტაცა,ქარმა,ნიავმა.

ისევ გაწვიმდა,ჰქრიან ქარები
გარეთ ფოთლების "ისმის შრიალი",
მწამს,შემოდგომის ქარს ვეამები
და ვერ გავძღები მისი ტრფიალით.

არ მიმატოვა ჩემს ანგელოზმა
მესალბუნება ცათა ფერებით,
თვით შემოდგომაც მას დაემონა,
ჩანს ლამაზ ფრთებით და ვეფერები.

ეს ის მნათია,ის ანგელოზი
ვის ციაგებსაც ვერ შეველიე,
ხმებია ლამაზ,იდუმალ ლოცვის,
ვგრძნობ,უცაბედად ტერენტს ვემთხვიე.

მიყვარს გრიგალით სულში თარეში
და ვეფერები სულით პოეტებს.
თავს ვერ მოვუხრი მიეთ მოეთებს,
ვეთაყვანები,ტერენტს,გოეთეს.

,,გულის ძახილი,,

მე არ დავიწყებ რითმებით
მგოსანთა ნიჭის ხელყოფას
და არც ლამაზი სიტყვებით
ქალთა შებმას,ან შემკობას.

მე არ მაოგნებს თვალები
გიშრის ფერივით ნახატი,
არც წამწამები მაოცებს
კლდეზე ღვთის თითით ნაქარგი.

მე მიყვარს სული უბრალო
ვით წმინდა,ღვთისგან ნაბერი,
მიყვარს ცრემლები უბადლო
ბროლის ტბის მსგავსად ნაფერი.

არც ტკბილი ხმები მაოგნებს
და არც მთის წყარო ანკარა,
მე იმ მავანზე მაბოდებს
ვინც დარჩა ლექსის ამარა.

მივესალმები იმ მგოსნებს
კაცებს,ქალებს და პატარებს
რომლებიც ლექსთა იარებს
სულში რითმებად ატარებს.

მივესალმები იმ ნიჭებს
მუზა აკვანს რომ დაურწევს,
მიყვარს გედს მზე რომ იშვილებს
და სამოთხის კარს გაუღებს.

ვნებათა ღელვა

ვუძღვნი გალაკტიონს

,,ძვირფასო ო ლ,,ჟამი დამიდგა გარდაცვალების
ქარები ღელავს,ზამთრები კი მოსვრას მიპირებს,
მე მოხუცებულს,ცივ სამარხში ვინ დამიტირებს,
ვინღა მიმიღებს?არ მასვენებს ცივი ავდრები,
თუმც ღამეებმა მიპოვნეს და ხსნა დამიპირეს...
ტკბილი ჰანგები,ქართა ქროლვა სულში იღვიძებს
შენს თავს იფიცებს,შენს ნაზ თვალებს,აი იმ თვალებს
ჩვენს გაყრამდე, ორიოლამდე რომ დამიტირეს.
ლურჯმა სხივებმა,ზამბახებთან ერთად მიტირეს.
სულის საზღვრები ცივ ავდრებმა შორს გამირიყეს,
თუმც ლურჯ ცხენებმა სამოთხისკენ გზა გაიკვლიეს,
სხვა სტიქიებმა,სხვა ქარებმა უმალ მიმიღეს
მწვანე პალმებმა ზენიტებთან,კვლავ გამიღიმეს.
აღარ ციმციმებს ლოლოები შენ რომ გიყვარდა,
აქ,სიცივეში,ზამბახები მთლად გაიყინნენ,
ღამის მძივებიც ლურჯ სხივებთან უეცრად გაწყდა
გაქრნენ და უმალ სივრცეებში,შორს გაირიყნენ.
გახსოვს?გიყვარდა ვით გედს,ტბაზე ფერების ბნევა
მე კი მხიბლავდა ამ ფერებში მუზათა ღელვა.
ლურჯი ციაგი ღამით ცაზე მძივებს რომ რთავდა
უეცრად გაქრა და დაიწყეს ფოთლებმაც რხევა,
ო,რა ძნელია პოეტისთვის ასეთი განცდა,
მე მთელი ღამე,მოხუცებულს გრიგალმა მცემა.
შემცივდა ოლოლლ,უშენობით ძლიერ შემცივდა
სულს ვეღარ ათბობს,ალმასების სულ მარტოდ ცქერა,
ყინულთა პირას მარტოს მიწევს ლექსების წერა
პოეტს,უმზეოს,ტანჯვა მერგო აქ ბედისწერად..
დავობლდი როგორ,ქართა ზღვებში მარტო აღმოვჩნდი
ორიოლს ვხედავ,ნაზი სიო აღარ მიბერავს,
ტბის ციალებთან და გედებთან ჩვენ რომ ვლაღობდით
უფსკრული გაჩნდა,თან განქარდა გედის სიმღერაც.
სულს სზარავს დღემდე ლოლოები და ხმა რიონის
ისევ გამოჩნდნენ ჯალათები,ჩანს ორიოლი,
ჩანს მედვედის ტყე ოლოლ,გხედავ მოგდევს რიონიც
აი,მოვედი,აქ ვარ შენი გალ აკტ იონი.

აქ ხდება შეყრა ქარისა და დიდი სტიქიის
სული მიზნისკენ,გედის მსგავსად სევდით მიილტვის.
იღვიძებს ნიჭი,მგოსნის ნიჭი,სულთა რითმებით
დაცურავს მუზა ქარში,მთებში,ზღვებში,ნისლებში.
აჰა,ხმა ისმის ლოლოებში და ცივ ზვირთებში:
ო ლ ო ლ,მოვდივარ,დღესვე,მალე,აი გპირდები...
შეიგრძნო მიწამ დიდი გენი,დიდი ნიჭები
ცამ დაიქუხა,ელვა იყო მგოსნის სიტყვებში,
გამოაფხიზლა ქვაფენილი დაცემის ხმებმა,
თან გაიქროლა ცის კიდეზე მოლურჯო ცხენმა
უკვდავად იქცა ცხენთა რბოლა,ვნებათა ღელვა,
გადააფრინა ზენიტებთან მგოსანი,ფრთებმა.
და აქ იწყება უკვდავება დიდი მგოსნისა,
ხელოვანის და გენიოსის სულის პოვნისა.

,,გულის მძარცველი,,

შენ ხარ მძარცველი,ჩემი გულის მთლად დამტანჯველი,
ვხატავ შენს სახეს ყოველ ღამე ლამაზ ფერებათ,
ვგრძნობ რომ დამიპყრე,გახდი სულის გამომძალველი
შენს ცისფერ ლანდებს გული ჩემი,კვლავ ეფერება.
ლექსის ტყვედ ვიქეც,მესმის ხმები მელოდიებად,
გრძნობა ავაწყე ლამაზ რითმად,ძლიერ ჰანგებად,
მაქციე ცრემლად,ნიაღვართა ამდენ დინებათ
შენს ტყვედ ვიქეცი,ვერ გივიწყებ,დამდევ ლანდებად.
რატომ თარეშობ?გულს ძარცვავ და თან ხდი ბზარებად
სული გაივსო წვიმის წვეთად,ცრემლის ნამებათ,
სიმწუხარეში ვიმყოფები ვიქეც ავბედათ
სნებად მაქციე,გული ჩემი არ გენანება?
ო,რა ძნელია,შემიყვარდი თურმე ყაჩაღი,
ვერც კი ვხვდებოდი,ჩემი სულის შენ ხარ მძარცველი,
თუმც უარესი,მეც შევიქმენ უკვე ყაჩაღი
შეგიყვარდი და გავხდი, გულის გამომძალველი.
გული მომდრკალი სიყვარულს მზად ეგებება,
სულის წიაღში აღწევს გრძნობა,არის მძარცველი,
ჩემი რითმები შენს ნაფეხურს სულ ეფერება,
მივხვდი,შენა ხარ,ჩემი სულის გამომსახველი.

,,ა ნ ა თ ე მ ა''

ო,რა ქარია,რა ტკბილი ქარი
ეს ხომ მიჯნურის ხმა,ამბორია,
მესალბუნება ცის მონაქროლი
ხან საფირონს ჰგავს,ხანაც ბროლია.

ვიცი ვუყვარვარ,ისევ ვუყვარვარ
ჩემ კდემამოსილ სატრფოს,თავნებას,
ვხედავ სხივს ლალთა ფერებით მოსილს
მის ლამაზ ფერებს,სული დანებდა.

ლოცვა მომესმა,ძლიერი ლოცვა
სიო დაჰქროდა კატამონებთან.
ალები იყო,ქარების ქროლვა
აღმოვჩნდი ღვთიურ ნაამბორებთან,

და შევიგრძენი უეცრად ფრთები
გადაიშალა ჩემს წინ სამოთხე,
აქ დაცურავდნენ ლურჯი გედები,
ანდამატებიც უკან გამოჰყვნენ,

აქ ქარი იყო,უცხო ქარები
ვგრძნობდი შეხებას ციურ ლანდებთან,
ირგვლივ დაჰქროდნენ სხვა გრიგალები
მათ მონაბერებს,სული დანებდა.

და აჰა,ზღვათა ძლიერ ქარებმა
ზეციურ დასთან ქლორვით დარეკეს,
საფირონის მსგავს უნაზეს ფრთებმა
სული წაიღეს,ვით ზღვა,წამლეკეს,

ვნებით წამლეკეს,აი იმ მხარეს
უწინ რომ მწვრთნიდა,ძლიერ მიყვარდა,
ის,ვინც მიცავდა,იმ მზის ნათებას
დღის ანათემა,ფრთებათ ისხავდა.

წამით გამშორდა და სხივმა სათნომ
ზეციურ გარსში თბილად მიმიღო,
ძლიერ მომხიბლა მის სათნოებამ,
ო,როგორ მინდა,სულ გამიღიმოს.

ვგრძნობ ციურ ამბორს,უბერავს ქარი,
მესმის სატრფოს ხმა,თან ნაამბორი.
მესალბუნება ცის მონაქროლი
საფირონია,ხანაც კი ბროლი.

,,გრიგალთან შეხება,,

გადაიკარგა მზის თაიგული
ასე ინება,დიადმა ღმერთმა,
მუზათა ხმებით მეც გავჯიუტდი
და მოვისურვე,ნისლებთან შებმა.
ჰქრიან ფოთლები,შემოდგომაა,
ქარების ხმებმა ზეცა მიქარვა,
თუმცა უეცრად ვიგრძენი ფრთები
გრიგალმა,ვით ყრმა ხელთ ამიყვანა.
ო,რა სათნოა ქარებთან შებმა
მათ ხან მზის სხივიც ვერ შეედრება,
სულში საამოდ დაჰქრის ნიავი
სიოც გრძნობს,ქართან ნაზად შეხებას.
ასეთი სხივი,ქართა ბროლება
სხვაგან,ცაშიც კი არ იპოვება,
არ იპოვება,არადა არა,
მწამს,არ იქცევა ცა,ლურჯ თოვლებად.
ვერ გავექეცი მუზათა განცდას,
წვიმს და გუბეა,თანაც ტბორებად,
ქარში,წვიმაში მუზა გამძაფრდა
ლურჯი იები,კვლავ იტბორება,
კვლავ იტბორება და ხმელ ფოთლებში
ვიგრძენი ქართა ტკბილი გალობა,
ხელახლა ვიშვი ციურ ქროლვებში
მუზამ,გრიგალში იწყო ცხოვრება.

,,ნ ა ტ ი ფ ი"

შენ ხარ ნატიფი,გულში ცრემლით ამონატიფრი,
სულ მუდამ დამდევს,მეყვარება შენი მშვენება,
გაგიმხელ გრძნობებს და მოგიტან რითმად,ლექსებად,
,,მოგიძღვნი რითმებს,გვირილებად,ხან ენძელებად,,.
გეტყვი:მიყვარხარ,უშენობით სულს ეძნელება,
შენს ნაფეხურებს სული ჩემი კვლავ ეფერება,
კვლავ ეფერება,გხატავს მუზა ლამაზ ფერებად,
შენს სიყვარულში,ვივლი მუდამ,დაუბერებლად.
მოგართმევ რითმებს როგორც იებს,თანაც უკლებლად,
მინდვრებს იები,გვირილები ხომ არ ელევათ?
განა ნაძარცვ გულს მუზა ღამით გამოელევა?
შენ ხარ ნატიფი,გულში ცრემლით ამონატიფრი
და ამ სიყვარულს,ვერც რა ძალა ვერ მოერევა.

,,ქარი ალში"

ქარი მზის ალით მწვერვალებს ფერავს
ზეგანს კი უხმოდ გაინაპირებს,
მინდა ხანდახან მზის ფერი მეცვას
ვეცეკვო მის ფრთას და მის აჩრდილებს.

სარდინოქსი ხომ ღვთის ნაფერია,
ლუციფერი კი მზეს ალამს პარავს,
პოეტის სულში ის ნაფრქვევია
რაც ამჩნევია,მის ლამაზ კალამს.

ვერ შეიმაცნებს მგოსანთა ფერებს
ზღვის ნაშიერი ხრწნადი გვირგვინით,
მე,სერაფიმის ფრთით ნაფერები
გავდივარ ზღვიდან და ცას მივტირი.

,,ცხონება,,

მე შევიგრძენი რა არს ცხონება
და წმინდა ალში ციდან განბანვა,
შორს წარმიტანეს ღვთიურ ლოცვებმა
მზემ ოაზისში სხივად დამბადა.

,,ტონალობა,,

ვერ შეიშვენა ტავტოლოგიამ
ხმის ჟღერადობა იმ ნაზ ბგერების,
სადაც მუზათა ტონალობაა
და სიუხვე დგას,მზის ნაფერების.

ბგერას, ბგერებით მოსტაცეს სხივი
და მზის ნაზავში აალდა სიტყვა,
შენ ცის მაგია თუ ფრთებში იშვი
არ განქარდები,ღვთის საცავიდან.

აცალეთ გრიგალს იქროლოს წამით
და ნუ დაუშლით იმ ლამაზ ჰანგებს,
რაც ნამღერია მუზათა კალმით
და ნამთვრალევი,თბილ ქარებს აფრქვევს.

,,მუზა,,

გადმოიღვარა ღამის ცა მუზად
და აფრთიანდა ლურჯი ციაგი,
მუზა ლაჟვარდში მწუხრად ადუღდა
მას უხვ მძივებათ,სული მივართვი.

"ცათა ნაფრქვევი,,

იცი რას ნიშნავს ცის ალამში ნაზი გრიგალი?
მიწა რომ ვერ სცნობს და ვერ იტევს,ალბათ ის არის.
ჩამოეფინა მზეთა მნათი იმ სულთ ნატანჯთა,
სადაც ზღვა იყო და უეცრად ზეცა დაბადა.

ბევრს ფრთები დააქვს,მაგრამ სხივებს ვერ აციაგებს,
ლუციფერიც ხომ მზის პარვებით აფრქვევს ტრფიალებს,
ხმის ჟრღერადობით შეფასდება განა ჰანგები?
ხმას რა ძალა აქვს,თუ ქარებში არ იბადები?

* * *

ზეცა ბურუსში,ნისლში ეხვევა
ადიდებულა როგორ რიონი,
უმზეო ცას დღე ვეღარ ეჩვევა
სარკმელთან მოჩანს,გალაკტიონი,

ცას ეგებება ბოლო სიტყვებით:
ოლოლ,მოვდივარ,დღეს უნდა შეგხვდე,
ზღვაში მიცურავს გედივით,ფრთებით
სული ნატანჯი,სატრფოს რომ შეხვდეს.

გადმოდგა სარკმლით სული ეული
პოეტს,უმზეოს ტანჯვა ეგემა
და გაყინული,ცივი სხეული
უეცრად,მიწას მძიმედ ეცემა.

* * * *

ღრუბლის ფრთილამ გადაჰფრინა
ცად გაჰფრინა,მზის ნარნარად,
ამიტანა მაღლა სხივმმა,
თან საამო ფრთით დამფარა.

სამშობლოა ჩემი სული
მზის ალებში,მონავარდე,
დავინახე,ცად ასული
მთა ბარები,მონარნარე.

"არწივები,,

შეაზანზარა მთის აკლდამები
ცაში ამაყად არწივთა ფრენამ,
ჩემი სამშობლო,სათაყვანები
ცას გაერია,მზის ნარ ნარ ფერად

და შევიგრძენი არწივის ფრთები
ფსკერზე დაეშვნენ ყვავნი,ყორნები,
ამოისუნთქა სამშობლომ შვებით
ცაში გაბრწყინდნენ,ცით ნაომრები.

"ნიამორები"

მე დავინახე ნიამორები
იდგნენ ამაყად,როგორც ჯიქები,
ტყეთა ჯარებთან რქით ნაომრები
არ ეშვებოდნენ,მტრებს გაჯიქებით,

და სულ უეცრად მოჰკვეცეს ფრთები
გააფრთებულ მხეცს და ტყის ავაზებს,
ცის ნიაგრებთან ფრთების შეხებით
მტერთა რაზმები,გააფარჩაკეს.

ჯიხვმა ავაზას მოჰკვეცა ფრთები
ფსკერს დააწვინა,მკერდ გაპობილი,
ამოისუნთქა სამშობლომ შვებით
და ცა შეიგრძნო,ჯერ არ შობილი,

კვლავ შეზანზარდნენ მთის აკლდამები
გამოეფინემ ჯიხვები შვებით,
მათ უთვალავ რაზმს არ დავაკლდები
მტერთა ურიცხვ რიცხვს,მეც შევებმები.

* * * *

მზის ალმურებს ზეცა სწვავდა,
მზეთა ალი ცას ალმად სწთვრნის,
მე გაფრენა იმ ცად მწადდა
სადაც ქარი ლამაზად ჰქრის.

,,ჩემს სოფელს,ზემო ხანდაკს,,

მე ჩემს სამშობლოს ვეთაყვანები
ნაღველნარევი ღვინის თასებით,
დუღს მიწა თბილი,თიხის მარნებით
მიწის წყურვილით ვარ ნამთვრალევი.

და მახსენდება ჩემი ხანდაკი,
თეძმის ჭალები,მთა და ბარები,
ძველი ადათით,გენის კარნახით
შევიგრძენი მიწა,სათაყვანები.

მომეალერსა სხივი საამო,
გლეხის ამბორით ნასათუთევი,
ვაზებს ალერსით სურთ რომ მაამონ
და შემივრდომონ,ნაბახუსევი.

ძველი მარნები,გლეხის მარნები
ჩემ სულს უღონოდ,უზომოდ ათრობს,
ღვინის ბახუსით ვარ ნამთვრალევი
მიწის ამბორი სულს უგზომ ატკბობს,

ვენახიც მატკბობს,თან ისე მატკბობს
რომ მის ფესვსა და ფრთებს დავეწაფე,
ვიცი,ბახუსით ისევ გამათბობს
ვაზი,რის გამოც ვევნე,ვეწამე.

მომწყურდა ძლიერ,ისევ მომწყურდა
თეძმის ჭალები,ნაზ ნარნარები,
შენი დინების მტერს მუდამ შურდა
მე გვერთამიწის წყლებთან დავები.

* * * *

ციდან მორღვეულ გრიგალმა
მოწყვიტა ვარსკვლავთ ამალა,
ქარმა,ღვთის ფრთებში დამმალა
და დავრჩი ლექსის ამარა.

ო, ნინევ,ნანოვ,ბუნებავ სათნოვ
მინდა ჩვილივით ხელთ ამიყვანო,
შენ ჩემო მხარევ,მთლად სათაყვანოვ
შენში მუზები,მსურს დავავანო.

ჩემო ხანდაკო,სულის კარნახო
ძველო ადათო,გულს შესანახო,
ათინათივით ცაში მავალო
შენს ნაზ სხივებში,მსურს გადამმალო,

მსურს გადამმალო და როგორც გედი
ზღვის იალქნებში,ქროლვით გამაქრო,
შენს სურნელებას თუ ფრთებში შევხდი
ტკბილი ამბორით,ვიცი დამათრობ,

ვიცი დამათრობ,ნაბახუსევი
ვერ შეველევი მე შენს მიწა-წყალს.
თუმცა მარნები არის ულევი
წყურვილს,თასებით ვერ გავიქარწყლავ.

და აჰა,ისმის ხმა ფალავნების
ზურნების ხმაა,ჩანს საჭიდაოც,
ძლიერთან ჭიდილს მეც ვეწაფები
სული გენთან ხომ მუდამ ჭიდაობს,

მუდამ ჭიდაობს და სულიც ხარობს
გენს ვერ ამარცხებს დროთა მპარველი,
ძმათა ერთობა ზღვის ტალღებს ამხობს
უძლეველია,დღემდე,,ქართველი,,

* * * *

მე დავინახე მზის თაიგულში
ოქრო სხივები,როგორც საბადო,
მგოსანი,მუზათა ხმამ აიძულა
ღვთის ნაზ სხივებში,ლექსად დაბადოს.

"დაწიწკნული სამშობლო"

უწინ,როცა საქართველოს ოსმალო და სპარსი მტრობდა,
როცა მტრისგან იავარქმნილს ჭრილობებიც ბევრი ჰქონდა,
როცა სნეულს,ბრძოლით დაღლილს ხორცი ძვლამდეც კი სტკიოდა
ნაიარევს,ხან კი დაჭრილს,სისხლი მკერდიდან სდიოდა
ამ დროს,ლოცვით,თანადგომით ერეოდნენ მტერთა ძალებს,
აჩერებდნენ დიად ზვირთებს,აოგნებდნენ მტერთა ჯარებს.
ყმაწვილებიც კი ომობდნენ,დედა ცრემლით,შიშით კრთოდა,
მოხუც დედებს აობლებდნენ,შვილის ჯავრი გულში ჰქონდათ,
სულში თრთოდა,გული კრთოდა,ერი შველას ღმერთს შესთხოვდა,
ერისადმი სიყვარული,სამარემდე თან მიჰქონდათ,
წინ უსწრებდა შიშს და თრთოლვას მამულისთვის ინტერესი,
ერთიანი ძალით,ძმობით ბრძოლობდნენ და არვინ თრთოდა.
სიმამაცე,თავდადება,რაინდობა იყო ერში,
ქვეყნის წიაღს,მის ლამაზ სულს ეტრფოდნენ და არვინ სთმობდა,
ერთი ლტოლვა და მიზანი იყო მკერდში,ერში,ბერში,
სამოთხე და სურნელება მამულისა, სულს ათრობდა.
გმირად იქცა თვით დემეტერე,მეფე ჩვენი,თანაც დიდი,
მონღოლთა ბრბოს შეეწირა,წინ დაუდგა ურდოს ჯარებს,
თავი დასდო,არ შეშინდა და დაარქვეს მას რაინდი,
არ დაგმო მან ერი თვისი,არ ჩააუგდო ხელთ ჯალათებს.
გავიხსენოთ თუნდაც ცოტნე,ერისთავი,თან დიადი,
ქართველ ტყვეებს სული მისცა,ჩააკითხა მათ ანისში,
ბრბომ შიშველი მზეს დაუგდო,თუმცა მაინც იყო მშვიდი,
აოხრებდნენ საქართველოს,გახვეული ჰყავდათ ნისლში.
მარაბდის ველს კვლავ ატყვია სისხლი ცხრა ძმის ვაშკაცისა,
ერთი ძალით,თავგანწირვით,რომ ეკვეთნენ მტრებს უშუშრად,
იყო ბნელი,სისხლის გუბე,დრტვინვა იყო თვით ზეცისაც,
მტრებს გასაქანს არ აძლავდნენ,ხალხთა წარყვნა არ ეღირსათ.
რუსთველი და ხარჭაშნელი და თვით დავით ჯანდიელიც,
აღესრულნენ ბრძოლის ველზე და ატყვიათ სისხლი მკერდზე.
ლომგმირივით დაიღუპნენ,თვით სამასი არაგველნიც,
მტერი მუდამ ბევრი იყო,მოდიოდნენ ასნი ერთზე,
თუმცა ძმობით,თანადგომით,უძლეველი იყო ერი,
რჯული ჰქონდათ,ლოცულობდნენ,რწმენით იყვნენ ბედნიერნი.
განა მსგავსი სიმამაცით,თავდადებით სცნობდნენ სხვა ერს?
სამშობლოსთვის მოკვდინება ჰქონდა გულში ერსა და ბერს,

იყო მსხვერპლი,იყო გმირიც,სიმამაცეც იყო ბევრი,
მოსინჯეს და ვერ დასძლიეს,ვერა უყვეს,ჩვენს დიად გენს,
ვერ წაბილწეს სული ქართლის,თუმცა ირგვლივ იდგა გუბე.
მაგრამ,თითქოს უცაბედად,ბედი სხვამხრივ დატრიალდა,
დაიბადნენ უცბად მხსნელნი,თვალწინ დროშა აფრიალდა,
აფრიალდა,აშრიალდა და გაცოცხლდა უცბად ე რ ი
ილიას და მსგავს მგოსნების საქართველო,გახდა ბედი,
გახდა ბედი,თუმც შვილებმა მთლად არიეს ყველაფერი,
მოჰკლეს ბრძენი ილიაც და ამით წ ახდა სულმთლად ერი.
ერთ დროს მთელი,ერთდროს ბრძენი,ეხლა ვხედავ გატიალდა,
ერი ერთ დროს წილხვდომილი, დასუსტდა და დაჩიავდა.
ნახეთ,როგორ დაიწიწკნა,ერი როგორ გაიყიდა,
გაიყიდა,გაიცვითა,ერთ დროს მთელი დაიფლითა,
უფალმაც კი გოლგოთამდე დღემდე ჩვენთვის ჯვარი ზიდა.
გულს ასტკივდა,სულს ასტკივდა,ცრემლიც ვიგრძენ,რომ დამცვივდა,
შევიგრძენი მე სამშობლო,სისხლში,სულში კვლავ ამტკივდა,
ალბათ,მეც ვერ ვიმამაცე ჩემი თავი რომ დაგჭირდა.
ბევრი შვილი,შენს კალთებში გამოზრდილი,კვლავ განგიდგა.
მთლად დამძიმდა,შენს ტვირთს გოლგოთამდე ვინღა ზიდავს?
ჯვრის მტვირთველიც აღარ არის,კვლავ ობლობის დრო დაგვიდგა,
უფალსაც ხომ მიეშველნენ როცა ჯვარი მხრებით ზიდა,
ერთად დგომით,მტკიცე ძმობით შევძლებთ მხოლოდ უღლის ზიდვას.
ირგვლივ ვამჩნევ დაგვდევს ლანდი,ილიასი,აკაკისი,
დემეტერესი და ცოტნესი,და სამასი არაგველის,
დაგვდევს ჩრდილი ერეკლესი და ჩაგვესმის ხმები მისი,
ასე წამხდარს და დაწიწკნულს,ცემლით, შფოთვით, კვლავ მოგველის.
კვლავ მოგველის,თუმცა ირგვლივ ერის მტრობა მთლად თარეშობს,
სიყვარული,თავდადება,სულში ვეღარ,ვერ კ ა ე შ ნ ო ბ ს.

,,დაისის სხივი,,

დაისის სხივმა ცა ლამაზად,უკვდავად შობა,
ტბის ზედაპირებს მოეფინა მზის ნაზი სხივი,
ფერთა ნაზავებს,ტბის ციალებს ეგემათ შვება
მე ამ ნაზავში,ღვთის წიაღში ხელახლა ვიშვი.

აქ,თილისმებში,სარდონიქსის უნაზეს ფრთებში
დავიბადე და თან ავიდგი პოეტის ენა,
ოქროს ციაგში სულ რომ ცურავას მოლურჯო ტბებში
ვისწავლე ვნება და გედივით ანაზდად ფრენა.

,,ქარი მზის ალში,,

დავინახე,მზის ალებში,გახვეული ქარი ალმად,
ცის ნაღვათი გადმოღვარა,მზის ნაფერმა ღვთიურ კალმად,
ქართა მასა ფრთებ გაშლილი,მიებარა,ზეცის სხივებს
ზეციურ ნაამბორით,მწამს გრიგალი,მეც მიშვილებს.
დახვეული გრაგნილები,ზეცის ქარებს დაემონა
ალთა დიდი,ფერ ალამი,მზის ნარნარებს ჩაეკონა.
მზის სხივებით გაფოთლილი გავეშურე იმ გრიგალში,
სადაც ალთა დიდი დასი,დავინახე სხივ გაშლილი.
რა კარგია,როცა სულში საამოდ გრძნობ იმ ნარ ნარებს,
რაც აკვნიდან მზის მანდილი,მზის თაიგულს,ფრთით გატარებს.
ციურ ქარმა,ცის წიაღში გადაჰქროლა,გადმოჰქროლა
და მეც სულით ავმღელვარდი,ამიყოლა ცათა ფლორამ.
დავინახე,დავინახე მზის სხივები ქარში ალმად,
არ მომაკლო,გთხოვ უფალო,მე მუზები ციურ კალმად.

"ტანჯული საქართველო,,

ვნახე ვით ეული,უდედო,ობოლი,
შიოდა,სციოდა,თუმც არა ჩიოდა,
ქარმა წარიტაცა ვით ნაზი ფოთოლი
ცას,ვით ზღვას ფერდიდან, ცრემლები
სდიოდა.

საქართველო,ტანჯული საქართველო
,,შველის ნუკრისავით,,უღონო,დაჭრილი,
ლექსთა ნაზ ჰანგებით მინდა გავამთელო
წამოავაყენო,ფეხზე სისხლ დაცლილი.

ენა აცოცხლებსო ამ ბავშვს იძახოდნენ
და გულის ნაფლეთი მკერდში რომ
უძგერსო,
ვაჟას ნაფერები სიტყვები ამკობდნენ
წამით მტრით წაქცეულს,განა რა უქნესო...

გული საბასია,იმ სულხან საბასი
ვინც ახლდა ბავშვს ობოლს,ოსმალ და
სპარსეთში,
მტერი კი აბასია,ხო,ის აბასი
სუსტთან მზაკვრულ ჭიდილს,რომ იყო ნაჩვევი.

ნანა მსურს ვუმღერო,ბავშვს გედის ჰანგებით
იქნებ გავახსენო მას დედის ნამღერი,
გარდმოხდა ღვთის სხივი და რითმად ავყევი
ლექსად მივიტანე ამ ჩვილთან,ნაფრქვევი.

საქართველო,ტანჯულო საქართველო
შენ ხომ ოდიდგანვე ჯვარზე ხარ გაკრული,
ლექსთა ნაზ ჰანგებით მინდა აგამღერო
და გითხრა სხივივით ზეცად ხარ ნაფრქვევი.

"ვაზის ნაშური,,

ვაზის ამბორით,ღვინის ბახუსით
ვერ შეველიე ლხინთა ორგიას,
ცვივა მტევნები ვაზზე ასხმული
გლეხს რა რიგ,რა ტკბილად უშრომია.

თრობის თასებით ნაბახუსევი
ვკოცნი ვაზის და გლეხის ნატერფალს,
ციდან მოჟონავს მტევნები უხვი
მსურს,მივეახლო ღვთიურ ნახელავს.

აქ სამოთხეა,იგრძნობა სხივი
ისმის ჰანგები,თან საამური,
მე და მტევნები ერთ მზის ქვეშ ვიშვით
ჩქეფს ძარღვში სისხლი,სუფთა ქართული.

აქ,ამ მიწაზე ბევრს უომია
თურმე ყოფილა მტრის ნასახლარიც,
თუმც ვხედავ ეხლა მწვანე მოლია
დგას წინაპართა ნაქალაქარი

და აჰა,ცამდე აწვდილა ვაზი
დგას ძლიერ სათნო და გულზვიადი,
ღვაწლით და ვაზთა წნელებზე ასხვლით
გაბრწყინდა გლეხი ღვთიურ წიაღში.

ო, რა კარგია,რა ნეტარება
გერქვას გლეხი და იყო ქართველი,
სული ქართული სულ მეყვარება
ეხლაც კი მესმის ვაზის ნამღერი.

ძველი მარნებით ნაბახუსევი
ვკოცნი და ვკოცნი,ღვთიურ ნატერფალს,
აქ,სხივი სუფევს თავისუფლების
ამ ლამაზ სხივს კი,ვერვინ გათელავს.

"ნიაგარები,,

შორს გავქროლდი ნიაგრებში
და შევნიშნე,მზის სხივები,
ღვთის ფრთებისგან ნაფერები
დაიბადნენ,მზის შვილები.

შემივრდომა ცამ და მოლმა
ლურჯ სხივებით ნაელვარი,
ციურ ქარმა გამაქროლა
ზურმუხტივით ჩანს მწვერვალი.

ტურფა არის ის ყვავილი
მზის სხივში რომ მშვიდად ლაღობს,
მისი სხივი ცად აწვდილი
სულში ზამბახს,მზის ფრად ამკობს.

ხსნა არ არის არსად სხვაგან
გრიგალშია მხოლოდ შვება,
ქარი ზამბახს ალში აბავს
და ცათა რკალს,მზის ფრად ღებავს.

სულს გაათბობს ის ალები
სადაც სულთა არის ჟამი,
ცის ანბანებს ვებარები
შვილი გავხდი,მზის და მთვარის.

"ს ი ბ რ ძ ნ ე"

დიადმა სიბრძნემ ცა გაიტაცა
და მზის წიაღში განავრცო სივრცე,
ალთა შრეებმა ცა ორად გაჰყო
აწყმო და ჟამი დაფარა სხივ ქვეშ.

მერიდიანმა უხვი მძივები
მზეს შეაგება დიდი პათოსით,
მე ცა ვიხილე იმ შენივთებით
სადაც ღვთის სული,სხივად გადმოდის.

"საქართველო,ჩემი ტკივილია"

მე მებრალება ჩემი სამშობლო,
ვით "შველის ნუკრის",ნატანჯი დედა,
"დგნალების მიღმა,არყის ბოლოში"
დედა,შემზარავ მტერს შეეფეთა.

მტერს შეეფეთა და შვილისათვის,
უმწეო შველმა,თავი გასწირა,
პატარა ნუკრის გადარჩენისთვის,
შველმა,მტრის ხელში სული დალია.

ნაიარევი,მკერდ ამოჭრილი
ტყის ფერდობებზე დაგორდა შველი,
რა რიგ ძნელია,თვალ გახელილი
უყურებ დედას და ვერას შველი.

ო,ვაჟავ,ვაჟავ,მამავ ბუნების
სამშობლოს ტრფობა შენ შემასწავლე,
მე ეს მუზები ცრემლში ნაბანი
ამ სტრიქონებით,ლექსში გავბანე,

ლექსში გავბანე,ვღელავ და ვღელავ,
ნახე,მუზები სტრიქონში ტირის,
ვხედავ სამშობლოს უღონოდ მავალს
მეც შვლის ნუკრივით,უღონოდ ვტირი,

უღონოდ ვტირი და ნაიარევს
დღემდე ჭრილობა ისევ მატყვია,
ო,რა უგულოდ გადაუარეს
ჩემ სათაყვანებ მიწას,ნატყვიარს.

არა,არ მინდა ამაზე ფიქრი
დედა უღონო მე ტანში მზარავს.
ცრემლი დამცვივდა,უძლური ცრემლი
მიწას მადლიანს,ცრემლები ფარავს.

გული ატირდა,ისევ ატირდა
და მომეძალა სულში იარა,
უწინ უფალმაც ხომ ჯვარი ზიდა
გზა გოლგოთამდე,ვნებით იარა,

ვნებით იარა და თან უღონოდ
გზად ეცემოდა,ისევ დგებოდა,
ჩემი სამშობლოც უწინ უენოდ
მტერს მამაცურად ეგებებოდა,

ნუ გეშინიან,დადგები ფეხზე
აი,სულ მალე,ნახავ,დადგები,
კვლავ გამოჩნდები ცათა ფერებში
უფალს ვით შვილივი სულ ეყვარები,

სულს ეყვარები და იალქნები
ცაზე უეცრად აშრიალდება,
კვლავ გაბრწყინდება მთა და ველები
ცაზე დროშები,აფრიალდება,

აფრიალდება და შვილი სათნო
ლექსთა ამბორით,ისევ გაამებს,
ჩემო სამშობლოვ,მთლად სათაყვანოვ
გთხოვ,გლოვის სამოსს ნუღარ ჩამაცმევ,

ნუ დამამგზავსებ უმწეო ნუკრის
თვალწინ დედა რომ უგზომ უწამეს,
შენს გაბრწყინებას ისევ დავუცდი
ცრემლით დავუცდი,იმ ლამაზ წამებს.

ზაირა კეღოშვილი – ქიმიკოსი
დაბადების ადგილი – ასპინძა, ხიზავავრა

ბუნების კანონი

ახლა ქარები აშლილან,
მტვრიან გზა-შარას ხვეტავენ,
წვიმა და ქარი ერთურთის
სიმართლის თქმას ვერ ბედავენ.

ვინ უფრო ძლიერ სუფთა და
ვინ უფრო არის წკრიალა
მოკვდავს ვინ უფრო სჭირდება
წვიმა თუ ქარი ღრიალა.

ბუნების კანონი არის,
ერთად ცალ-ცალკე კი არა,
ისევე, როგორც ედემი,
ეკალ-ბარდი და ხვიარა.

აქ, ცის ქვეშეთში მოსულნო,
ზეცის და მიწის ზიარად,
ვინც მას აუგი შეჰბედა,
დარჩა ოხრად და ტიალად.

ამ კანონს ნუ გაექცევი,
სულს ნუ დაამჩნევ იარას,
ბუნების კანონი არის,
ერთად ცალ-ცალკე კი არა.

ათენი თეთრი ქალაქი

თეთრი ქალაქი თეთრ ფიქრებს მახვევს,
ეს მოლანდებაც თოვლის ფერია,
ზღვამ გამოდევნა ტალღების რემა,
ჭრელ ნაპირს ქაფი შემოერია.

მთვარეულივით ვაწვალებ ფიქრებს,
მთვარე ალავერდს გადმოდის ჩემთან,
ქარმა სასმისი გამომიცალა,
არც კი მაცალა, სათქმელი მეთქვა.

თეთრი ქალაქი თეთრ ფიქრებს მახვევს,
ეს მოლანდებაც თოვლის ფერია,
გულზე მაჩნია ეს სისადავე,
თეთრზე შავით რომ დამიწერია.

ზღვა, უნაპირო კიდით-კიდემდე
თოლიებს თეთრად დაუფერიათ,
მე კი მაჩნია ქართული დამღა,
თეთრზე შავით რომ დამიწერია.

მოჭრილი მარჯვენა

დგახარ საქართველოვ ცრემლების მდელოზე,
დედათა გოდება კაწრავს ცის კაბადონს,
ვაი რომ გაბნეულ ალმასის თვლებივით,
ბრწყინავენ ცრემლები ბალახის ღეროზე.
და ჰა... ჩაცურდა მიწაში ცვარ-ნამი,
ნაცრემლი, ნაწვიმი დედათა გოდება,
დაფლეთილ მამულში გუგუნებს სამრეკლო,
მეც ვყვირი ჩემია და აღარ მეთმობა.
ტაძარი რომელიც გუშინწინ წამართვი,
მოგძახი,ჩემია! ვგოდებ და მადარდებს,
არა ვთმობ თქვენც იცით ჩემია რადგანაც,
ხვალ ვიცი ჩავლეწავ ჩაკეტილ დარაბებს.
საძირკველს ახლა ჭრი ჩემ ფუძე-კერაზე,
სახლს მინგრევ აშენებ თავლას და ნალიას,
შენ ახლა დაიწყე ათვლა ისტორიის,
მე,ჩემი გადავწერე უკვე რა ხანია.
ცას კიბე მივადგი სუფთა გზა-სავალი,
ავყვები სამართალს ვიპოვი უცილოდ,
ოღონდაც შეაშრეს ჩემ მამულს ცრემლები,
დედათა ნაწვიმი სუთა და უბიწო.
მოჭრილი მარჯვენა ოსტატთა ხვედრია,
დიდების საშენად ქმნილ-გამოძერწილი,
ეგ წართმეული მიწები ჩემია,
მეც ჩემი მარჯვენა მაქვს შესაწირელი.

შენი გოლგოთა

გადაამტვრიე ყველა მახვილი,
შენმა მოყვასმა შენ რომ გესროლა,
განა ოდესმე იყო ადვილი,
შენი გზები და შენი გოლგოთა.
ახლაც იგივე გმართებს მამულო,
სიმართლის გზები გასავლელია,
შიგნიდან იწვის შენი საუფლო,
შენზე დღეს ლოცვა აღსავლენია.
ახლა ვემთხვევი ცრემლიან ბალახს,
კრძალვით ვეხები ვით ჩვილი ძუძუს,
შენს გულზე მცოცავ მატლსა და მახრას,
მავანნი ისევ უკმევენ გუნდრუკს.
შენ ერო ჩემო გმართებს იფხიზლო,
დროშა ასწიო ქართველთ დიდების,
დღეს ყველა ტვირთი უნდა იტვირთო,
დასრულდეს ჟამი ბორკილ– ხუნდების.
სიმართლის დროა და დროა სიბრძნის,
მომსვლელმა წასვლის გზებიც იციან,
რა უსაშველოდ გიჭირს და გიმძიმს,
კაცურად წასვლა განა ხინჯია.
გადაამტვრიე ყველა მახვილი,
შენმა მოყვასმა შენ რომ გესროლა,
განა ოდესმე იყო ადვილი,
შენი გზები და შენი გოლგოთა.

ქვაბული

კეთროვანივით შევაფარე თავი ქვაბულებს,
დრო უნდობარი მიდის უკან აღარ ბრუნდება,
,,ცაზე მუხუდო ვერ დავთესე'' შენთვის მამულო,
ვერც შენთან ერთად ვიზეიმე სულის პურობა.

ახლა უცხოა ყველაფერი და ყოველივე,
მეზობელივით გამემიჯნა დედა-ბუნება,
,,აკროპოლისი'' გადმომცქერის სევდამორეულს,
მზეს ვხედავ ზღვაში როგორ ჩადის,როგორ ხუნდება.

,,ცაზე მუხუდო ვერ დავთესე ''შენთვის მამულო,
ვერც შენთან ერთად ვიზეიმე სულის პურობა.

მტკვარი – მირონი

მწყემსთან ვიხილე წმინდა ნინო ტბა-ფარავანთან,
ვიწამე, მადლი ვაზის ჯვრის და თოვლიან მთების,
მერე წყლის ძალით, მოთმინებით და ნინოს გზებით
სამასი წელი ურდოს უღელს ვზიდავდი მხრებით.
ასპინძის ომში გავიმარჯვე და ვიხდი ნადიმს,
ხიზაბავრის ოჩხის თევზით და სამასი ხარით,
მე მწყურვალმა დავიჩოქე და ღმერთს ავხედე,
წყლულზე ისევ დამეწამლა მტკვრის ანკარა წყალი.
ტატოს მუზაა,,მოდუდუნე მტკვარი ანკარა''
სად,,ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე
ცრემლით''
ასევე ჩემიც, ამღვრეული თუ სუფთა წვეთით,
დიდმა მგოსნებმა რომ უმღერეს საამო ლექსით.
მხატვრების მუზა როდი დარჩა დაუხატავი,
მეტივე ტივით-ტივზე ტიკით დაცურავს დღესაც
ძერწეს, მოხატეს, დაამშვენეს ზურმუხტის ფერით
მტკვარი, ლიახვი, ალაზანი, ვანი თუ მცხეთა.
ღვთის ნაჩუქარის ვერ დანახვა ცოდვაა დიდი,
ღმერთო, მიცოცხლე პატრიარქი და სამწყმსო მისი,
კურთხეულ ჰყავი მთა და ბარი მამული ჩემი,
მტკვარი მირონი, მტკვარი– შვილი, დედა, და ჩემი.
ახლა ვასრულებ რმერთო ჩემო შენს კეთილ ნებას,
ჩემს ძე-მომავალს შუბლს ვუნამავ მტკვრის
წყლით ვცხებ მირონს
აქაც ამ წუთში მოკამკამე მტკვრის წყალს ვსვამ პეშვით
ისევე როგორც წითლად დაფერილ ტრაპეზის ღვინოს.

ვინ იქნება გმირი ჩვენში

ვაჰმე, ისევ არ გამოცხვა
ობლად შთენილ ბალღის კვერი,
დედა სარჩოს გარეთ ეძებს,
ბალღებს უდგათ თვალში ცრემლი.
ვაჰმე... მწარედ დამიობლდა
ზარზმა, ვარძია და თმოგვი,
მეჩქარება, გზა კი არ სჩანს,
ვეღარ უძლებს გული ლოდინს.
არ ყოფილა შესარგები,
გზა-ლოდინი დამქანცველი,
ვინ თქვა, გვიან გამოცხვაო,
ობლად შთენილ ბალღის კვერი.
როგორც უწინ, ახლაც ისე,
შინ მოიწევს ურდო-მტერი,
დღეს მსოფლიო რუკაზეა
ქართველების ბრძოლის ველი.
ერთ დროს შეკრულ ისრის კონას
შეხსნილი აქვს სარტყელ-ღვედი,
სულ მაწვალებს ერთი კითხვა-
ვინ იქნება გმირი ჩვენში.
დღეს მსოფლიო რუკაზეა
ქართველების ბრძოლის ველი,
ვინ თქვა, გვიან გამოცხვაო
წლების რბოლით ობლის კვერი.

ახალს რას მპირდები რას?

გელოდი ჩაიარა დრომ,
ახალს რას მპირდები, რას?
თმებში ვერცხლია შეპარული,
მოდენის დალალებს შავს.
ვერც შენმა ნუგეშმა ჩაიტია,
დრო და ავბედითი გზა,
წახვედი ხელში შემატოვე
წმინდანთა ნაკურთხი ბზა.
და ჰა მობრუნდა წელიწადი,
ძველს შეცვლის ახალი ბზა,
მე ისევ ტაძართან გელოდები,
ახალს რას მპირდები, რას?

სეკუნდანტის განაჩენი

ახლა საათი გდია ქვიშაზე,
თვალი ჰორიზონტს მიჰყვება სადღაც,
დრო უჩვეულოდ მიიზლაზნება,
აღარ მჭირდება ძოწი და ფარჩა.

ახლა ქარიშხალს ავყვები ცამდე
ის დამასახლებს ღრუბლებზე მაღლა,
პლანეტებს უნდა ჩავუჯდე ნავში,
რაც არი არი ცოტა დრო დამრჩა

ვნახო თუ როგორ გრგვინავენ ცაზე,
მრავალტანჯული ჩვენი სულები,
ანდა, თუ, ადგათ მწველი მზის სხივი,
თუ ამოქარეს გრძნობით გულები.

ერთი ვარ, გინდათ?!, ასი ათასი,
ან უთვალავი როგორც ზღვის ქვიშა,
მაგრამ ერთია წუთისოფელი,
ჩემთვის უძირო აკლდამად იქცა.

გაფანტულ ფიქრებს თავს ერთად ვუყრი,
თუმცა გვიანი როდია ახლა,
ეს სიმარტოვე ოხერ-ტიალი,
ყველა საწადელს თავისით გასცდა.

ომი წავაგე საკუთარ თავთან
და ბრძოლის ველზე დავრჩი მარტოკა,
ახლა დუელი თუ, გადამარჩენს,
თუ არ იქნება ისიც გართობა.

ახლა საათი გდია ქვიშაზე,
სეკუნდანტს აქაც დააგვიანდა,
ცა, დედამიწა, დრო და მანძილი,
სუყველა ერთად დადარდიანდა.

ახლა დროს უნდა ჩავუჯდე ნავში,
გზადაგზა იქნებ შტორმიც ვიგემო,
რომ აღარასდროს, რომ აღარასდროს
ამ მუხანათ დროს აღარ მივენდო.

ვრჩები მეწილე ცა დედამიწის,
ლოდინად მიღირს ახლა წამება,
მხოლოდ თქვენს გამო აღარ ვინანებ,
საკუთარ თავთან ომის წაგებას.

აჰა, მამულო...

ახლა, მამულო, შლეგ ქარებს ვებრძვი,
შტორმმა გემბანზე გადაიარა,
რით მოვიშუშო ეს ტკივილები,
ტანზე – წყლული და გულზე – იარა.

ვერც ცას მოვხსენი, ვერც დედამიწას,
უკეთურ კაცთა ბნელი ცოდვები,
ახლა ისეთი ცრემლით ვიტირებ,
მოშურნე მტერსაც შევეცოდები.

მაგრამ სიბრალულს არ ვარ ჩვეული,
ახლა ამ ჭირში მმართებს გაძლება,
ძმათა მკვლელ ომში არაკაცების,
ო... მეძნელება ცოდვის გამხელა.

ამ სამარცხვინო ძმათა შუღლისგან,
ცა, დედამიწა დარდიანია,
ვის გავუმხილო ჩემი წუხილი,
ერეკლესა და ცოტნე დადიანს?

ვინ ამარიდოს ამ მთებს, ამ ველებს,
ლეგენდად ქცეულს მითად, არაკად,
თვალი და გული მაქვს ხელისგულზე,
აჰა, მამულო, გწირავ ზვარაკად

*

ირგვლივ მთები და მინდორი,
იყო ბალახის სუნი,
მე შენი ტრფობით დამთვრალი,
შენი სული და გული.

გახსოვს ცხენების რემა,
ქალ-ვაჟთა ჟრიამული,
ლექსებით გადაძახილი
და ცეკვა მხიარული.

ეჰეე... იმ წლების წრიალში,
შემოგვეპარა რული,
ახლა ასაკიც თარეშობს,
თუმცა გულს უხმობს გული.

რადგან ეს გზები გაიყო,
მე მთაში ვირჩევ ყოფნას,
შენ წადი, ბარში დაბრუნდი,
იქ რა სჯობია მოცდას.

ბარად სხვებს გაედევნები,
თავისუფლებს და ლაღებს,
მე მზეს აქ დაველოდები,
ცისკარს შევუღებ კარებს.

ხანდახან მზეც კი დარია,
ნისლი შვება და ლხენა,
მე მთის ყვავილებს შევრჩები,
მთის ქარიშხლებს და სევდას.

მე მთის აკვანში ჩავწვები,
მთის დავიხურავ საბანს,
და ასე გავერიდები,
ჩემი აქ მოსვლის ზღაპარს.

ცხოვრება ომის კანონი

ცხოვრება ომის კანონი,
ღამის ჭიდილი ქართან,
ნაპირს მოასკდა ბორანი,
არ მსურდა მაგრამ ახდა.

ცხოვრება ომის კანონი,
მდინარე ჯებირს გასცდა,
მთვარე ნელ-ნელა ამოდის,
ტყვია მიზანს ვერ ასცდა.

ცხოვრება ომის კანონი,
სულ ჭიდილი და განცდა,
განა ყველაა ვანგოგი
ვის ხელი ტილოს წასცდა.

ცხოვრება ომის კანონი,
ბრძოლაა ხარის ხართან.
მოგორავს ბოშის ტაბორი,
მჯობნი დაკეტილ კართა.

ცხოვრება ომის კანონი,
უფლებააყრილ ხალხთა,
აღარ სამოსობს სამოსი,
შემოახიეს კალთა.

ცხოვრება ომის კანონი,
მომდევს სამარის კართან,
მე ვერა ვხედავ ვერავის,
ჩემი ბავშვობის გარდა.
ყდები პირველი და
მეორე გვერდი და ცარიელიც.
ასე გააკეთეთ ყველა გვერდი.

მგელი

უნდოს და უშიშარს, ჭკვიანს და გულბოროტს,
ძაღლივით ბატონი არასდროს ჰყოლია,
მადლიერს თავისი ცხოვრების კანონით,
ადამის მოდგმასთან წილნაყარ გოლიათს.
ის როცა წყლის პირას მიდენის პატარას,
დაზვერავს მის ყველა ნიშანს და თვისებას,
ძაღლური თუ რამე იპოვა მგლის ლეკვში,
შეჭამს და მის ჯიშთან მართალი იქნება.
ბნელში და ნათელში ერთგული გზამკვლევი,
თვალები უელავს, ცეცხლისფრად უნთია,
შეჭამს თუ შეჭამენ – დიდად არ ანაღვლებს,
ორივე სასწორის პირაზე უწყვია.
დაეცა, წაიქცა ან თუ ვერ გაექცა,
კაცისგან ქურდულად გატყორცნილ სატევარს,
სიკვდილს ძაღლივით არ გამოიტირებს,
ის მთვარეს შეჰყმუვლებს დარდსა და
სატკივარს.
ვერც თოვლი აშინებს, ვერც მზე და ავდარი,
გამჩენთან არასდროს ჰქონია სადავო,
ძლიერი თავისი წესით და ბუნებით,
მოდის და ფეხებზე ჰკიდია სამყარო.

რუსთაველი და კაცობრიობა

ბატის ფრთას კალმად შემოხვია თლილი თითები,
მერე ნელ– ნალა ჩამოწურა მუჭში შარბათი,
გაბაცდა, გაცვდა წუთისოფლის ამაოება,
სიტყვა ქართული ამობრწყინდა როგორც ბადახში.

,,ვეფხისტყაოსნით'' მიჯნურობის ფილოსოფიას
კაცობრიობა აზიარა და რაღაც ბედად,
საუკუნეებს გამოსტაცა სათქმელ– განცდილი,
მიჯნურობის და მეგობრობის იქცა ლეგენდად.

თავად მიჯნური განეფინა ფუძე-საფუძვლად,
თავად პირველმა გააოცა ხალხი მილეთის,
თავად პირველი მიეახლა წმინდა საუფლოს
და რუდინებით აიარა გზები გოლგოთის.

კაცობრიობავ, ვერ აღსდგები მკვდრეთით იცოდე,
არ წაიძღოლე თუ მეგზურად სული ქართული,
თუ არ გშვა სიტყვამ ჭეშმარიტმა, თუკი არ გახდი
თავად მიჯნური, თავად გმირი, თავად ჯვარცმული

მტკვარი მირონი...

არ ხარ პოეტი, არც მწერალი არ ხარ არავინ,
თუ კი ცდუნებას ვერ გაუძელ არ ხარ არავინ,
რადგან არა გწამს წმინდა მტკვარი დედა-ალაგი,
არც მტკვარი როგორც მოწამეთა ძვალთშესალაგი.

მწყემსთან ვიხილე წმინდა ნინო ტბა-ფარავანთან,
ვიწამე მადლი ვაზის ჯვრის და თოვლიან მთების,
მერე წყლის ძალით, მოთმინებით და ნინოს გზებით,
სამასი წელი ურდოს უღელს ვზიდავდი მხრებით.

ასპინძის ომში გავიმარჯვე და ვიხდი ნადიმს,
ხიზაბავრის ოჩხის თევზით და სამასი ხარით,
მე მწყურვალმა დავიჩოქე და ღმერთს ავხედე,
წყლულზე ისევ დამეწამლა მტკვრის ანკარა წყალი.

ტატოს მუზაა,,მოდუდუნე მტკვარი ანკარა,
სად ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით'',
ასევე ჩემიც ამღვრეული და სუფთა წვეთით,
დიდმა მგოსნებმა რომ უმღერეს საამო ლექსით.

მხატვრების მუზა როდი დარჩა დაუხატავი,
მეტივე ტივით, ტივზე ტიკით დაცურავს დღესაც,
ძერწეს, მოხატეს, დაამშვენეს ზურმუხტის ფერით,
მტკვარი, რიონი, ალაზანი ვანი თუ მცხეთა.

ღვთით კურთხეულის ვერ დანახვა ცოდვაა დიდი,
ღმერთო მიცოცხლე პატრიარქი და სამწყმსო მისი,
კურთხეულ ჰყავი მთა და ბარი მამული ჩემი,
მტკვარი– მირონი, მტკვარი– შვილი,დედა, ძმა ჩემი.

ახლა ვასრულებ ღმერთო ჩემო შენს კეთილ ნებას,
ჩემ ძე –მომავალს შუბლს ვუნამავ მტკვრის წყლით ვცხებ მირონს,
აქაც ამ წუთსი მოკამკამე მტკვრის წყალს ვსვამ პეშვით,
ისევე როგორც წითლად დაფერილ ტრაპეზის ღვინოს.

შენი გოლგოთა

გადაამტვრიე ყველა მახვილი,
შენმა მოყვასმა შენ რომ გესროლა,
განა ოდესმე იყო ადვილი,
შენი გზები და შენი გოლგოთა.

ახლაც იგივე გმართებს მამულო,
სიმართლის გზები გასავლელია,
შიგნიდან იწვის შენი საუფლო,
შენზე დღეს ლოცვა აღსავლენია.

ახლა ვემთხვევი ცრემლიან ბალახს,
კრძალვით ვეხები ვით ჩვილი ძუძუს,
შენს გულზე მცოცავ მატლსა და მახრას,
მავანნი ისევ უკმევენ გუნდრუკს.

შენ ერო ჩემო გმართებს იფხიზლო,
დროშა ასწიო ქართველთ დიდების,
დღეს ყველა ტვირთი უნდა იტვირთო,
დასრულდეს ჟამი ბორკილ-ხუნდების.

სიმართლის დროა და დროა სიბრძნის,
მომსვლელმა წასვლის გზებიც იციან,
რა უსაშველოდ გიჭირს და გიმძიმს,
კაცურად წასვლა განა ხინჯია.

გადაამტვრიე ყველა მახვილი,
შენმა მოყვასმა შენ რომ გესროლა,
განა ოდესმე იყო ადვილი,
შენი გზები და შენი გოლგოთა.

06.11.2020 წ
ათენი

ეკატერინე ბუღაძე – ისტორიის პედაგოგი
დაბ.ადგილი – ხარაგაულის რაიონი, სოფ. ციცქიური

იესოს დაბადება

რა მადლმოსილი იყო ის ღამე,
იმ ღამით ცაზე კრთოდნენ ვარსკვლავნი.
და აბიჯებდა მთვარეც მეფურად,
თვის სამეფოში, მეტად ლამაზი.

მაგრამ უეცრად გაქრა წყვდიადი
და გამობრწყინდა ცისკრის ვარსკვლავი.
იქ დაილოცა ქვეყნის განგება,
ჩვილს დაუფინეს ბზა და ნაბაგი.

მსწრაფლ მოფრენილა ცით ანგელოზი,
მწყემსებს ახარა იესოს მოსვლა.
მათ კი დალოცეს ღვთისა საუფლო
და მიეგებნენ ისინი ღმერთკაცს.

ღამეს არ სურდა ამ ამბის თმობა,
დღე კი ჯიუტად ეცილებოდა.
ღამე ტოვებდა თავის სამეფოს,
მზის სხივი ოქროდ ეფინებოდა.

* * *

გოგოვ, ასეთი ლამაზი, ნეტავ ვინ გაგაჩინაო?!
ეს ნატვრა ასრულდებოდეს, შენს გულში მომცა ბინაო.
დიდრონი, ლურჯი თვალები, ცისფერ ჩანჩქერთა ჩქერია.
ქალაუ შენად მიგულვე, ნუ გეგონები მტერია.

ამ გულს ძალიან უყვარხარ, ვეღარა ვბედავ თქმასაო.
ისეთი მშვენიერი ხარ ქარი რომ გიშლის თმასაო.
არ მინდა სხვას ეკუთვნოდე, ვეღარ გარიდებ თვალსაო.
მსურს, შემოგწირო სიცოცხლე, განაცვალებდე თავსაო.

ყოველ დღე ლექსებს მოგიძღვნი, თავსა დაგიდებ კალთაზე.
შენ ვინ დაგარქვა დიაცი, შენ უნდა გერქვას ქალთა მზე.

*****

ა-რასდროს დაგვავიწყდება, სამშობლოვ შენი წარსული.
ბ-ასიანი და შამქორი და ბრძოლა ზღვარ გადასული.
გ-ვახსოვდეს ყოველი წვეთი, დაღვრილი ჩვენი სისხლიო,
დ-იდგორი და დავით მეფე და გმირობები მისიო.

ე-რთობა შენი მამულო, დღესაც კი განსაცდელშია,
ვ-ინაც აქამდე გვებრძოდა,დღესაც ჩვენივე მტერია.
ზ-ოგჯერ სიკეთის კეთება, ბევრი სიავის მქნელია,
თ-ვალზედ გადგვეკრა ბინდი და ვერ შევიცანით მტერია.

ი-დღეგრძელე და იხარე, სამშობლო ჩემი გულია,
კ-ლდეზე მიჯაჭვულ ამირანს, კვლავ გამარჯვება სწყურია.
ლ-ომ-გულიანი ვაჟები კვლავ იზრდებიან ალგეთსა,
მ-ინდა,პატივი მივაგო იმათ დედას და გამზრდელსა.

ნ-უ გვავიწყდება გმირობა ჩვენივე წინაპართაო,
ო-სმალოც გვმტრობდა, მონღოლიც, ვერ ვიფარებდით ფარსაო.
პ-აპისა მიერ ნაქონი,ხმალი ეჭირა შვილსაო,
ჟ-ღარუნი ყურსა სწვდებოდა,ფარზედ ნაცემი ხმლისაო.

რ-ამდენი სისხლი დაღვრილა, მამულო შენი გულისთვის,
ს-აქართველოში მარადჟამ იბრძოდნენ ქრისტეს სჯულისთვის.
ტ-არტაროზები ცდილობდნენ, ჩვენთვის წართმევას ენისას,
უ-რჯულოთ რჯულზე მოქცევას, გადაგვარებას ერისას.

ფ-არით ვიცავდით მამულსა, დიდძალი სისხლის ფასადო,
ქ-რიტიანებად დავრჩით და ენაც ჩვენივე დაგვრჩაო.
ღ-მერთი არასდროს გასწირავს ღვთისმშობლის წილხვედრ ერსა,
ყ-ველასგან განსხვავებულს და ყველაზე საყვარელსა.

შ-ენ ჩემო ტკბილო სამშობლო, უფალმა დაგიფაროსო,
ჩ-ემს გულში შენი ადგილი, ვერვინ ვერ დაიკავოსო.
ც-ა გქონებოდეს მზიანი,უღრუბლო, მოწმენდილი,
ძ-ალზედ ძლიერად მიყვარხარ, ვერ მიადგება ჩრდილი.

წ-ამლადაც თუკი დაგჭირდა, სამშობლოვ ჩემი სიცოცხლე,
ჭ-ირშიდაც გამოგადგები, თავს არ დავზოგავ იცოდე,
ხ-მალსაც ავიღებ დიაცი, შენ ხელი გამომიწოდე.
ჯ-იხვის რქის სასმისს შევავსებ და გადღეგრძელებ მამულო,
ჰ-არი ჰარალეს გიმღერებ, შენ ცრემლით გადანამულო.

დაბრუნდი

ღადარი სანამ ანთია,
ცეცხლი კიაფობს ბუხარში.
დაბრუნდი შვილო სოფელში,
ხარი შეაბი გუთანში.

მე აღარ ძალმიძს, ხვნა-თესვა,
მკლავს ძალა გამომელია.
დაბრუნდი! მამა-პაპის სახლს,
აქ სიყვარულით გელიან.

დაბრუნდი შვილო შენს ოდას,
მგონი სჭირდება ბიჯგიო.
როდესაც შენ დაიბადე,
ვთქვი მეც მეზრდება შვილიო.

არ დაივიწყო ის სახლი,
სადაც რომ ფეხი აიდგი.
ხეს არ მამსგავსო მოკვეთილს,
ფესვები ისე გაიდგი.

დაბრუნდი, სანამ ჯერ კიდევ,
თვალში სინათლე მიდგია.
სანამ ეს გული ხმაურობს,
და სიყვარული მიგვრძვნია.

რა ვქნა რომ თუკი ეს გული,
შენს მოლოდინში დაბერდა.
დაბრუნდი შვილო,დაბრუნდი!
თორემ ეს წლებიც გაბევრდა.

ვაჟას

ვაჟავ, შენ მთების არწივო,
შენც უმღერდი მთებსაო.
მართლაც და გული ამ მთებში,
რაღაც სხვაგვარად ძგერსაო.

ყველაფერს სული შთაბერე,
ხმელ წიფელსა თუ ნიავსა.
როდესაც გულმოკლულ იყავ,
მაშინ უმღერდი იასა.

მატირა შენმა შვლის ნუკრმა,
სტუმარ-მასპინძლის ენამა.
მართლაც დაღალა ეს მთები
ამდენმა ცრემლის დენამა.

ვენაცვლე შენსა საჭრეთელს,
სიტყვებს რა რიგად ქარგავდი.
სიღარიბეში მდიდრობდი,
მართლაც არავის არ ჰგავდი.

* * *

მზე ჩუმად თურმე მკაცრ შავ ზღვას ეტრფის,
საღამოობით ის მიდის მასთან.
და განშორება გაუძნელდება,
თავის დედასთან,მშობლიურ ცასთან.

ზღვიდან წამოვა აშარი ქარი,
მათზე მოჰყვება უამრავ ჭორებს.
თუ როგორ ჩადის მზე ურცხვად ზღვაში.
და დანებდება თვის ნებით მორევს.

ეფერებიან დიდხანს ერთმანეთს,
ამის სამზერლად ჩვენ ვართ მოსულნი.
ისე ჩაგორდა მზე შუა ზღვაში.
თითქოს მისაგან იყოს ორსული.

კვლავ დაბნელდება და მოვა ბინდი,
დაიკარგება ზღვაცა და მზეცა.
კვლავ სიყვარულით დავუწყებთ ლოდინს,
მზის ჩასვლას ერთად,შენცა და მეცა.

თოვა

მიყვარს ციდან თეთრი ფიფქის
წინ და უკან ტრიალი.
თოვლის პაპა, გუნდაობა,
ციგურებით სრიალი.

ნაძვებს როგორ დაათოვა,
კალთა დააწევინა.
ჩიორებიც ჟღურტულებენ,
სიხარული სწვევიათ.

გულს გაგითბობს პატარების
ყიჟინა და ცელქობა.

ისიც მიყვარს, ვინც ამ თოვლში
გულიანად ერთობა.

თოვლმა უნდა გადაფაროს,
მინდვრად შავი ხნულები.
მე კი კვლავაც უნდა ვხატო,
თოვლზე ბევრი გულები.

ვინა თქვა რომ გავიზარდე?!
არა, არ დაიჯეროთ.
სრიალით და გუნდაობით,
გული უნდა ვიჯერო.

* * *

გადი, გამოდი გუთანო,
გამოიტანე ხნულიო.
დღე და ღამ ერთად ვშრომობთ და
უნდა დავთესოთ პურიო.

ჯალაბი უნდა ვარჩინოთ,
აქეთ ლომა და მურია.
გლახაკსაც უნდა ვარგუნოთ,
გადავირჩინოთ სულია.

ვაზსაც შევუგოთ ჭიგონი.
რქები მივუბათ თოკითა.
ყურძენი ქვევრში ჩავწუროთ,
ღვინო დავიდგათ დოქითა.

სუფრა გავშალოთ ზღაპრული,
ბატონისასა ჰგავდესო.
შენდობა ვუთხრათ მათ სულებს,
ვინც კი ჩვენამდე ხნავდნენო.

შენ მარჩენალო ოჯახის,
ჩემო ლაბავ და ნიკორავ.
განვლიეთ წუთისოფელი,
იყო და არა იყო რა.

* * *

მინდა, სიყვარულს ვუძღვნიდე ლექსებს,
სხვა ყველაფერი იყოს ზმანება.
მინდა, ქუჩაში კვლავ შემხვდეს გოგო,
ჩითის კაბაში, ცისფერთვალება.

და სისპეტაკის მბზინავი შუქი,
დასთამაშებდეს ლამაზ თვალებზე.
და ოჯახისა ტვირთი, სიმძიმე,
არ იხატვოდეს, მხოლოდ ქალებზე.

მინდა, კვლავ იდგნენ, მთანი მაღალნი,
მტკვარი ისევე მდორედ დიოდეს.
ჩემს ქვეყანაში არვის უჭირდეს,
არვის სწყუროდეს, არვის შიოდეს.

მინდა, ტაძარში ენთოს სანთელი,
და რწმენა უფრო ძლიერ ღვიოდეს.
იმ ქვეყნად წასულთ ჰქონდეთ ნათელი,
აქ სული წმინდა გადმოდიოდეს.

მინდა,დავხატო ბევრი გულები
ყველა ნათელი, არც ერთი მუქი.
აქ სიძულვილის არ არს ადგილი,
ყველას სიკეთე მსურს ედოს გულში.

ჩემი ძველი ოდა

წუხელ, სიზმარში სოფლად ვიყავი,
ვნახე მწვანეში ჩაფლული ოდა
და ნაღვლიანსა უმალ შევსძახე,
აჰა, დავბრუნდი, მოვედი ჰოდა!

ვიძახდი, ვინმემ გახსენთ ჭიშკარი,
ჩემი ძახილი არვის არ გესმით?!
მაგრამ, ჩემივე ამოძახილი,
შორიდან, თითქოს ექოდ ჩამესმის.

მიტოვებული და უდაბური,
ქარი დიდრონ ხეებს არხევდა.
სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ,
აქ მორაკრაკე წყარო არღვევდა.

და გულში მწარე ტკივილი ვიგრძენ,
მყისვე ამევსო ცრემლით თვალები.
ჟანგმოდებული, დახავსებული,
ძლივს გამოვაღე ეზოს კარები.

და გამახსენდა აქ რომ ვცხოვრობდი,
ბედნიერების ყოველი წამი.
მოგონებებმა ისე წამიღო,
და გადმომცვივდა თვალთაგან ნამი.

ქვაზე ჩამოვჯექ, ჩუმად ვტიროდი,
არვის ესმოდა ჩემი გულისტკენა.
მხოლოდ მე ვიცოდი, თუ რას განვიცდიდი,
ასე რომ ვიხილე ჩემი სახლის კერა.

ისევ თებერვალი

ისევ თებერვალი,ისევ ქარი,წვიმა,
ისევ ქარიშხალი ტყვიების.
მოდის გაზაფხული, გულში ტკივილია,
მოსვლა არ გვახარებს იების.

ტყვია გავარდნილა, სისხლი დაღვრილია,
ცრემლი ყოველივეს წალეკავს.
ღმერთო! გამიმძაფრდა იმის მოლოდინი,
ზარი მშვიდობის რომ დარეკავს.

გულში ძარღვი ჩაწყდა, მკლავში ძალა გაქრა,
თვალში დაუბნელდათ საბრალოთ.
გულზედ ააგლიჯეთ დედებს შვილები და
ნუთუ ამ ტკივილს არ ნანობთ?!

თუკი საგულეში ისევ ქვა გიფეთქავს,
სულს არ გტკენს სხვისი ტკივილი.
ღმერთამდე მიატანს, შავოსან დედების
მოთქმა, გოდება და ტირილი.

უფალი მოგკითხავს, ყოველ წვეთ ცრემლს,
და ყოველ გაჩენილ იარებს.
არ დაივიწყო მინდა, გახსოვდეს
ერთ დღეს შენს თავზეც იავდრებს.

ისევ თებერვალი,ისევ ქარი, წვიმა,
და ცრემლს შერეული სისხლია.
ქარმა დაუბეროს და შორს გადაფანტოს,
ღმერთო, ცაზე ომის ნისლია.

სურამის ციხე

სურამის ციხეს მივედი,
ვნახე და ეს რა ვნახეო.
კედელს აშენეს ჭაბუკი,
მზეს ჰგავდა მისი სახეო.

ამ დედისერთა ჭაბუკსა,
სახელად ერქვა ზურაბი.
სულ მუდამ გვემახსოვრება,
არ დაივიწყებს სურამი.

ამბობენ დედა ციხეში,
თურმე ყოველღამ ვიდოდა,
იმ ადგილს ეფერებოდა
და მერე დიდხანს სტიროდა.

თურმე იმდენი იტირა,
კედელი ახლაც სველია.
აქ დედა– შვილის საუბარს,
ყოველღამ ისევ ელიან.

და ქარი როცა დაქროლავს,
ქარი ძლიერი, ფრთამალი.
ქარს მოაქვს დედის კივილი,
შვილო! ზურაბი სადამდის?!

ნატვრა

ოჰ,როგორ მინდა გიხილო,
ვრცელი და უკიდეგანო.
სადაც რომ თვალი მისწვდება,
გლეხი სახლობდეს ყველგანო.

კვლავ გაისმოდეს ურმული,
და დედის თქმული ნანაო.
კვლავაც ღელავდეს შავი ზღვა,
ღელავდეს პურის ყანაო.

ეს ჩემი ერთი ნატვრაა,
ღმერთო მივიდეთ მადამდე.
საქართველო რომ მანახა
ნიკოფსით დარუბანდამდე.

გამრავლდეს ქართველი ერი,
გახდეს მედგარი ძლიერი.
ქართველ კაცს არ დაეკარგოს,
ქართველი კაცის იერი.

წინაპართ შენდობა ვუთხრათ,
მათაც უყვარდათ მამული.
მათი სისხლითვე ყოფილა
ეს მიწა გადანამული.

მომავალი კი გავზარდოთ,
სამშობლოს მოყვარულები.
საუკეთესო ვაჟკაცნი,
მტერს რომ დაუსკდეთ გულები.

ისევ აღვზარდოთ თამარი,
ვაჟა, აკაკი,ილია.
სამშობლოსათვის გავზარდოთ,
კიდევ მრავალი გმირია.

ღმერთო! ისეთნი გვიმრავლე,
როგორიც იყო ექვთიმე.
სამშობლოს თუ დასჭირდება,
სიცოცხლეს დავთმობ ერთი მე.

ჰყვაოდეს ჩემი სამშობლო,
როგორც სამოთხე, ბაღნარი.
სხვაგან ასეთი ქვეყანა,
აბა მითხარით, სად არის?!

*****

გავიდა დრო და გამოვიცვალე,
ის აღარა ვარ, ვინც უწინ ვიყავ.
ჩემი თავისთვის ვერ მოვიცალე,
ბევრჯერ ცხოვრების დამატყდა რისხვა.

და ახლა, ყველა ნაბიჯს დავითვლი,
ან სად მიმიყვანს მე ბედისწერა?!
ვის გავუწოდო ხელი არ ვიცი,
რადგანაც უკვე არავის მჯერა.

და რა აზრი აქვს ახლა ლაპარაკს?!
თუ ყველაფერი დავმარხე გულში.
იმ დროს ხომ მაინც ვერ დავიბრუნებ?!
სჯობს დავივიწყო, რაც იყო გუშინ.

თუკი ცხოვრება კვლავ მესვრის ტალახს,
მასაც ავიტან,როგორც მესია.
რადგან ვიცი, რომ ამ ქვეყანაზე,
მხოლოდ სიკეთე დამითესია.

მინდა ისევე იმის მჯეროდეს,
რომ დღე ხვალისა უკეთესია.
ყველა სიკეთე მოვიმკა იქნებ,
რაც რომ ამქვეყნად დამითესია.

*****

დღეს განთიადზე ვილოცე შენთვის,
შვილო, იმედო გულის.
არ დაიშურა ღმერთმა წყალობა,
საჩუქარი ხარ უფლის.

დედა ღვთისმშობელს შევთხოვე შვილო,
მე შენი მფარველობა.
და ანგელოსთა დასიც თან გახლდეს,
მათიც გავბედე ხმობა.

ვთხოვ დაგიფაროს განსაცდელისგან
და ყველა ბოროტისგან.
ამოვარდნილი ქარიშხლისაგან,
და მოვარდნილი წყლისგან.

სხვას არას ვითხოვ, შვილო მე ჩემთვის,
მხოლოდ თქვენ კარგად მყავდეთ.
მაშინ იოლად შევძლებ ყველაფერს,
თუნდაც,რომ აღმართს ვხნავდე.

გადაგაფაროს უფალმა კალთა,
იმედო დედის გულის.
და დედის ლოცვა ყველგან თან გაგყვეს,
შენ მალამო ხარ სულის.

დედა

ეხლა გულში, თითქოს რაღაც შეირხა და
ჩემო დედა,უსაშველოდ მომენატრე.
ბედნიერი ვიქნებოდი მე ამ ქვეყნად,
ჩემო დედა, ერთხელ წუთით რომ მენახე.

როგორ მინდა, გულში ისევ ჩამიხუტო,
და შევიგრძნო შენი თმების სურნელება.

ეგ ხელები მენატრება, მოფუსფუსე,
შენი ხმა და შენი ტკბილი მოფერება.

მენატრები, ტკივილამდე მენატრები,
უშენობას განვიცდი, ვერ ვეგუები.
ჩემო დედა, ვერასოდეს დაგივიწყებ,
იმ სითბოს და შენს სიყვარულს გეფიცები

*****

ნეტავ, კიდევ ოდესმე,
დავიბრუნებთ ჩვენს მიწას?!
დანაკარგი მაწუხებს,
გულსა მტკენს და ვერ ვიტან.

ნეტავ,ქართულ სიმღერას
კვლავ იმღერებს არღანი?!
ნეტავ, მეგობრობისა
დაირწევა აკვანი?!

ნეტავ, მალე აღსდგება,
ხიდი ერთურთ ნდობისა?!
ქართველთა და აფხაზთა,
მეგობრობის, ძმობისა.

კვლავ თუ ვნახე ეს მხარე,
მსურს,რომ იყოს ლამაზი.
კვლავაც ერთად ცხოვრობდეს,
ქართველი და აფხაზი.

მამუკა ონაშვილის ხსოვნას

შენ ღმერთთან წახვედი, ზეცაში გაფრინდი,
ეხლა იქ იმღერებ ტკბილხმოვან სიმღერებს.
წახვედი, დაგვტოვე ჩვენ ცრემლთა ნადენი,
შენს წასვლას ბულბულო რა ვქნა, ვერ ვიჯერებ.

შენსავით ვინ შესძლებს,უმღეროს ალიონს,
და მოეფეროს თბილისის დაისებს.
ვაი რომ უშენოდ კვლავ გაზაფხულდება,
თბილისი უშენოდ შეხვდება მაისებს.

მაგრამ ის გრძნობა რომელიც დათესე,
არასდროს გაქრება ქართველთა გულებში.
შენ არ მომკვდარხარ, გარდაიცვალე,
კვლავ გაგიხსენებენ თბილისის ქუჩებში.

ახლა ზემოდან დაგვცქერი მოკვდავებს,
ვარსკვლავებს ზეცაში ჰქონიათ ადგილი.
იცხოვრო კაცურად, სულ ყველას უყვარდე,
მართლაც და არ არის, ეს ასე ადვილი.

*****

შენახარ ჩემი სამშობლო,
ლამაზი, მთაგორიანი.
მინდა, გიხილო ისევე
ერთიანი და მთლიანი.

იდღეგრძელე და იხარე,
ქართველთა გულის ფეთქვაო.
ოჰ,როგორ ძლიერ მიყვარხარ,
მსურდა მრავალჯერ მეთქვაო.

უკვდავი იყოს ის ენა,
რომელზეც წერდა რუსთველი.
რამდენი ლექსი მოგიძღვნეს,
ჯერაც რამდენი უთქმელი.

რამდენჯერ შემოგაქსოვეს,
გალავნად ჯაჭვის პერანგი.
მაინც გებრძოდა მომხვდური
მტერი, ავი და ვერაგი.

ვერ შეგიბღალეს ღირსება,
და ვერ წაგართვეს წარსული.

ჩაქსოვილია ჩუქურთმად,
ეს ჩვენი ენა,ქართული.

და შენდებოდა ტაძრები
დიდი და გუმბათოვანი.
დღესაც მრავალი ფეხზე დგას,
უკვე ხნიერი, მხცოვანი.

რამდენი ვინმე იბრძოდა,
რომ უკვდავ ყოფილიყავი.
შენ მარტო ჩემი კიარა,
მათი სამშობლოც იყავი.

ბევრმა გასწირა სიცოცხლე,
ბევრ დედამ შვილი შეგწირა.
თვალს გადავავლებ შენს წარსულს
და მახსენდება ერთი რამ.

თურმე იმიტომ კვდებოდნენ,
და გევლებოდნენ თავზედა.
''სამშობლო, როგორც უფალი
ერთია ქვეყანაზედა.''

*****

მინდა ათასჯერ გითხრა,მიყვარხარ!
ათი ათასი მოგიძღვნა ვარდი.
და რავქნა,თუკი უშენოდ ვერ ვძლებ,
და ასე ძლიერ შენ შემიყვარდი.

დაგეძებ ყველგან, უკიდეგანოდ,
თავს მახვევია მე გრძნობა მწველი.
მინდა, რომ ჩემად გიგულო ჩემო,
და შენ მოგიძღვნა სიცოცხლე მთელი.

ამ გულს უშენოდ არ შეუძლია,
მე კი მჭირდები, როგორც მთის წყარო.

და მაგ მშვენების წინაშე ბევრჯერ,
მე ქედს მოვიხრი, ლამაზო ქალო.

ისევ და ისევ გეტყვი, მიყვარხარ!
და ათასობით მოგიძღვნი ამბორს.
ეს ჩემი გული ვერ დავაოკე,
და ყოველ ჯერზე თავისას ამბობს.

ყველგან შენა ხარ, მხოლოდ შენ ერთი,
თავს მახვევია ფიქრთა მანტია.
და სიყვარული ჩემი შენდამი,
როგორც კოცონი გულში ანთია.

*****

იცი, ფიქრმა გამიტაცა,
ცხრა მთა შემომატარა.
გამახსენა განვლილი დრო,
რომ ვიყავი პატარა.

მაშინ გულიც სხვარიგ ცემდა,
ოცნებებში დავქროდი.
ყველაფერი იყო ტკბილი,
არაფერზე ვდარდობდი.

მაგრამ მალე გაქრა ყრმობის
ის ლამაზი ფერები.
ეხლა კი მაქვს შრომისაგან,
დაღარული ხელები.

ახლა მიკვირს, ნეტავ მაშინ,
გაზრდას რატომ ვნატრობდი?!
იმ დროში რომ დამაბრუნა,
ბავშვობას არ დავთმობდი.

*****

აქ რუსთაველზე, იყო ზღვა ხალხი,
იყო გალობა, იყო სიმღერა.
თავისუფლების მოყვარე ერსა,
აქ უსინათლო ლელამ უმღერა.

აქ ღამის შუქზე, კრთოდა სანთელი,
სინათლე იყო მაშინ იმდენად.
ბრმასაც შეეძლო რომ გაერჩია,
თავისულების ლაღი სიმღერა.

და აჰა,მორჩა,დაეშვა ფარდა
და სიბნელისა ჩამოწვა ნისლი.
კვნესა, გოდება,ხმა სიკვდილისა,
და დაიღვარა, უმანკო სისხლი.

მორჩა, გათენდა,წყვდიადი გაქრა,
სინათლე გაჩნდა ცის კაბადონზე.
სამარისებრი სიჩუმე იდგა,
სიტყვა უტყვია, ამ სასტიკ ომზე.

იყო გვამები და იყო სისხლი,
წვიმასთან ერთად აპრილის თვეში.
იყო ტკივილი, დიდი ტკივილი,
და მომდინარე თვალთაგან თქეში.

უსიტყვო გლოვა, ენთო სანთლები,
ყვავილთ გროვაში მეტობს ტიტები.
და ჩექმის კვალში ჩამდგარი სისხლი,
ისევე არის ჯერაც წითელი.

ბზეწვია

განთიადს მინდოდა მზეს შევგებებოდი,
რომელსაც უმღერდნენ, პატარა ჩიტები.
გულში სიყვარულის ძალა შევიგრძენი,
მყისვე დამეუფლა მე მასზე ფიქრები.

სამყაროს უმღერდა, ჭიკჭიკით ამცნობდა,
სულ ერთი ციცქნა, პატარა ბზეწვია.

უზიარებდა იმ დიდ სიყვარულს,
პატარა გულში მასაც რომ ეწვია.

იძახდა, გიყვარდეს, იზრუნეთ იმაზე
ვინც თავზე მეტად,ძლიერად გიყვართო.
დღედაღამ ილოცეთ, ეს გრძნობა იწამეთ,
უმისოდ არავინ, არაფრად ვღირვართო.

იასამანი

რატომ გავიმეტეთ დედა ღვთისმშობელი,
დიდი ტკივილისთვის ნეტავ?!
შვილი მოვუკალით, გული გავუგლიჯეთ,
და არ შევიბრალეთ დედა.

ჩვენს შვილებს ვავედრებთ,ვითხოვთ დაიფაროს,
ჩვენ კი რად გავწირეთ მისა.
ვაწამეთ, მოვკალით, სისხლი დავანთხიეთ,
დედა ღვთისმშობლის ძისა.

ტკივილისაგან გულდამძიმებული,
ბუჩქნარს მიყვებოდა ქალი.
გული შეუქანდა, იქვე ჩამოჯდა და
მყისვე მიელულა თვალი.

ეს რა მოსვლიაო, ძლიერ შეებრალა,
იმ ხის ბუჩქს პატიოსანს.
უმალ განიძარცვა თვისი ფოთლები და
დედა ღვთისმშობელს მოსავს.

როცა გაიღვიძა ძლიერ გაუკვირდა,
ნეტავ რას ვხედავო ამას?!
ეს რამოდენა გული ჰქონია,
პატარა იასამანს.

კაცთაგან იყო გულმოკლული და
სიკეთე იხილა ხისა.
ცას ახედა და უმალვე იგრძნო,
მზერა საკუთარ ძისა.

დედა ღვთისმშობელი, ცრემლებს იმშრალებს და
გადაიხდის ფოთლის საბანს.
პირჯვარს გადასახავს და ისე დალოცავს,
პატარა იასამანს.

გაზაფხულობით უნდა ჰყვაოდე,
სწორედ აპრილის თვეში.
სურნელი შენი უნდა მეფობდეს,
განირჩეოდეს სხვებში.

ჩემი სამშობლო

ქართლ –კახეთი, იმერეთი,
სამეგრელო, გურია.
ყველა კუთხის ნახვა და
მოფერება მწყურია.

ქართლში მივალთ, დავინახავთ,
დიდ ველ-მინდვრებს, გადაშლილს.
მტკვარსაც ვნახავთ მოდუდუნეს,
ბობოქარს და ხანაც მშვიდს.

მერე კახეთს ვესტუმრებით,
ქარვისფერს და დახუნძლულს.
ვნახავთ კახელ გლეხის მარანს,
მისი შრომის საფასურს.

მიყვარს თბილი იმერეთი,
ჩემში იწვევს სულ სხვა გრძნობას.
გაუმარჯოს იმერეთს და
იმის სტუმარ-მასპინძლობას.

ვესტუმრებით სამეგრელოს,
შემდეგ კიდევ გურიას.
სადაც მუდამ სიყვარული
და სიცოცხლე სწყურიათ.

ზღვისპირეთს არ დავივიწყებთ,
თავის თეთრი ტალღებით.
იმის მზიან სანაპიროს,
მწვანე დიდი პალმებით.

ზღვას მაღლიდან გადაუფრენს,
ფრთაფარფატა თოლია.
აბა კარგად დააკვირდით,
რა სამშობლო მქონია.

*****

უკუნმა თითქოს შთანთქა სინათლე,
ცეცხლის ენები სწვდებიან ზეცას.
და სადღა არის ეხლა სიმართლე?!
დამსგავსებია ის უკვე მეძავს.

ქარი ბობოქრობს და ძვლამდე ატანს,
მიმოაბნია მან თავის გესლი.
რამდენი მნათი თვალები ჩაქრა,
ნუთუ არ გესმათ ხმა მათი კვნესის?!

სისხლით მორწყულა ირგვლივ ყოველი,
ცრემლის მდინარე მოაპობს საზღვრებს.
სამარისებურ სიჩუმეს ახლა,
დრო და დრო ქალის კივილი არღვევს.

დაძრწის და დაქრის აქ ბოროტება,
სურს, თავის ძალა ყველას აჩვენოს.
ყოველ სულდგმულის გულისა ფეთქვა,
სურს,რომ შეწყვიტოს და გააჩეროს.

უმანკო სულთა დადის ლანდები,
დრო და დრო ისმის მათი ხმებია.
ერთდროს სიცოცხლით სავსე ქალაქი,
აქ მოჩვენებებს დამსგავსებია.

მდინარედ მოდის სისხლი და ცრემლი,
და ყოველივეს წალეკავს ერთობ.
იქნებ აღკვეთო მკვლელის პარპაში,
აქ რას სჩადიან, სადახარ ღმერთო?!

შვილებო

შვილებო დედის გული ხართ,
დედის სუნთქვა ხართ იცოდეთ.
ყველაზე ბედნიერი ვარ,
როდესაც დედას მიწოდებთ.

თქვენს გამო ყველაფერს შევძლებ,
დევს შევემბევი გოლიათს.
თქვენ მაძლევთ სიცოცხლის ხალისს,
რავქნა, მე ასე მგონია.

ქალი ვარ ყველაზე სუსტი,
მაგრამ დედა ვარ ძლიერი.
თქვენთვის ვიქნები მლოცველი,
თუნდაც რომ ვიყო ხნიერი.

თქვენ თუ დაგჭირდათ,იცოდეთ,
გულს ამოვიგლეჯ მკერდიდან.
სულ მუდამ დალოცვილები,
მყავდეთ მაღალი ღმერთისგან.

ოდესმე თუკი დაგჭირდეთ,
შვილებო ჩემი ნუგეში.
არ მოგერიდოთ მოდით და
თავი ჩამიდეთ უბეში.

მინდა რომ არ დაივიწყოთ,
სულ მუდამ გემახსოვრებათ.
აქ ვიქნები თუ იმ ქვეყნად,
თქვენთვის ვიქნები მლოცველად.

ნინო ქანთარია – ფილოლოგი
საცხოვრებელი ადგილი – წალენჯიხა, ჯვარი

დაბრუნება

წუხელის ღამით
გაიგო ზეცამ,
რომ ფიროსმანი
სულდგმულობს დღესაც.
ვაგრძელებ ფიქრებს,
აზრი გაიყო,
დაბრუნდეს, იქნებ,
რაც ადრე იყო.
ღმერთი სამობით
დაითვლის ცოდვას,
ადრეც ვამბობდი,
არ გვყოფნის ცოდნა.
შესწირეთ ცხვარი
უსისხლო ზეცას,
ჭარბობს მზაკვარი
და სადღაც მეც ვარ.
დღეს მარგარიტა
იწუნებს ვარდებს,
ვის ვისი მართებს,
ნუ ვითვლით დარდებს.
ტკივილი კაცთა
ეწვია ტაძარს,
უცნობი განცდა
ზეციერს ჰბაძავს.
მიბოძეთ ნება,
ვიტყოდი ისე,
დღეს დაბრუნება
გვჭირდება ისევ.

***

არ შეიცვლება არასდროს იგი,
ვინაც შეაყარა თვალს ნაცარი
და ეფიქრობ ახლა, იქნება იქით
სხეა სიყვარულის დიდი მარცეალი.

***

სადილად ვყლაპავ ჰაერის ლუკმებს,
რომ არ დაიხრჩო, ვაყოლებ წვიმას.

***

ყელში გამეჩხირა სული,
ირგვლივ ქაოსია სრული.

***

სამყარომ დაკარგა სახე,
ცოტაც და ცოდვაში ვამხელ.

***

დავიბადე ისეთ დროში,
სადაც სული უღირთ გროში.

***

ენა სიბილწეს ისვრის,
ბევრიც მოუკლავს ისრით.

* * *

ჩუმად ვსაუბრობ, მისმენს რიონი
და ტკივილია ჩვენი საერთო,
ერთი არ გვეყო გალაკტიონი,
კალმით ხელში ხომ ბევრი გაერთო.

***

გაიგოს, მინდა,
მადლობა გამჩენს,
დაბადებიდან
ტკივილს რომ მაჩვევს.

***

ყელში ისევ გამეჩხირა სული,
ვერ ვიმორჩილებ მიწიერ სურვილს.

***

ცხოვრება მოწყობილია ასე,
უნდა გეტკინოს, რომ გახდე უკეთ,
დოქი არასდროს იქნება სავსე,
სანამ დაითვლი სხვის თეფშზე ლუკმებს.

***

რა ურცხვად ტრიალებს დედამიწა,
ბედს არაერთი მოუკლავს ისრით,
ზოგს გულზე აყრია შავი მიწა,
ზოგი არცაა ამ მიწის ღირსი.

რეალობა

სულს არაფერი ეცვა,
მაგრამ ვერ იგრძნო კაცმა,
რომ ისევ გაქრა ზეცა.
ისევ არგუნეს ჯვარცმა.
ზღვაში ობოლი იწვა,
ტალღა ეფარა ღამე,
გვიკვდება დედამიწა,
დროა, ვუშველოთ რამე.
მგლები გავიგე უკვე
ლომებს, აჭრიან მკლავებს,
ღმერთო, რა გამხდის უკეთ,
როცა სიმართლეს კლავენ.

ქაოსი დროთა

მზაკვრები სწუხან,
ღელავს საუფლო,
როცა ხანდახან
ცრემლით ვსაუბრობთ.
სულთა ნაზავი,
ქაოსი დროთა,
ცოდვა ტბასავით
ასცდა გოლგოთას.
ვინც დაიმონა
ვერცხლის სინათლემ,
ის დემონებმა
ეშმად მონათლეს.
დარდს გულს არ ვაჩვევ,
ცრემლს თასში ვისხამ,
მე ვეღარ ვარჩევ
თეთრ ფერს შავისგან.

დედას

რა დამავიწყებს შენს ტკბილ ნანინას
და ზღაპრებს მოყოლილს ყოველ ღამით,
მინდა,რომ ისევ ბავშვი ვიყო და
დაგიბრუნო სიყვარული რამით.

შენი ყველა ნაოჭი საუბრობს
და ყველა ნაოჭში სითბოს ვხედავ,
არ დამიბერდე,ჩემო იმედო,
შენ ხომ, ჩემი სიცხოცხლე ხარ,დედა.

***

ნეტა რა მომიმზადა განგებამ?
ხელში მიჭირავს, ლურჯი სანთელი,
ვიცი, რომ სიმართლის დროც დადგება,
დამიგროვდება ისევ სათქმელი,
არ დაუკარგავს ღირსებას ფასი,
ჩემი გულია ჯერ ხელუხლები,
შემივსეთ მარადისობის თასი,
მხოლოდ ტაძრის წინ ჩავიმუხლები.

***

არ ვიცი, რატომ,
სხვა სითბოს ვნატრობ.
წვიმაში მარტო
ღიმილიც მათბობს.
გულს უხარია.
ნატვრაა ჩემი,
მხოლოდ სიკეთე
იყოს ნაგემი.
წრფელი ღიმილი
რომ გაქრეს ჯავრიც,
თუნდაც ტკივილით
ვატაროთ ჯვარი.

ღიმილი ცოტა

ხავსით გაკრული,
ეული სახლი.
ცხოვრება რთული,
წასული ხალხი.
ურჯულო, მტერი,
ქაოსი დროთა,
ცრემლი ბევრი,
ღიმილი ცოტა.

მაფიქრებს მუზა

მაქციეს ზურგი,
მესროლეს ტყვია,
ახლა კი უკვირთ,
არაფრად თვლიან.
სულ არ მატყვია
ჭრილობა სულზე,
ახლა ნატყვიარს
შორიდან ვუმზერ.
ზღვა ისევ ღელავს,
დავუშვი ღუზა,
ვერ ვუგებ ყველას,
მაფიქრებს მუზა.
დუმილი ამხელს,
სული კვლავ გოდებს,
ქარი კი არხევს
ნელ-ნელა ფოთლებს.
არ მიკვირს,რატომ?
ტვირთი აქვს პოეტს,
დარდი მას მარტო
არასდროს ტოვებს.

გეცვლება სახე

მიდიხარ? წადი
კარგად მეყოლე
და შენი ლანდიც
თან გაიყოლე.
თუნდაც ლირივით
სულ მარტო დავრჩე,
არ მსურს ტირილი,
ვუმადლი გამჩენს.
სიზმარში თითქოს
მე ჩემი მზე მაქვს,
არ მტოვებს სითბო,
ფიქრების მძევალს.
ერთს ვიტყვი მხოლოდ,
გეცვლება სახე,
მოგიღებს ბოლოს
შენივე მახე.
მიდიხარ? წადი,
ისევ ნუ მაცდენ,
დავმარხე დარდი,
დავმარხავ განცდებს.

* * *

ღამეს ყელში გაეჩხირა სული,
ატირდა თვალცრემლიანი სევდა,
დაკარგა რწმენა და სიყვარული,
ისევ განთიადს დაეძებს დედა.
სამყაროს მიღმა განიცდის ქარი,
დაკარგა ყველა და ყველაფერი,
აღარ აქვს არსად თავშესაფარი,
აღარ ეტყობა ძველი იერი.
დრო ისევ უდროობამ გათელა,
დაკარგული შეძლო და როგორღაც
ფიქრებში ფიქრებად გაამთელა,
სადღაც სამყარო სულის ბაღს ჰგავდა.

***

სადღაც ტირის ცრემლის ასული და
სულს დაეტყო უცნაური დაღლა,
არავინ იცის, ზღვას რა აწუხებს,
ან ტკივილს როგორ ინახავს ტალღა.
ძლიერსაც უნდა მოფერება და
ზოგჯერ ჩუმად, უაზროდ ტირილი,
ვინ იცის, გულში რა უტრიალებს,
ან როგორი აქვს ჩუმი ტკივილი.

ომგამოვლილ მხატვარს

ომზე საუბრობს
ქუჩაში მუნჯი,
ღელავს საუფლო,
არ დადოთ ფუნჯი.
რთულია ისე,
თხოვნა მაქვს დიდი,
დახატეთ ისევ
მშვიდობის ხიდი.
გაწურეთ სული,
მოცილდეს ჯავრი
ნუ იკლავთ სურვილს,
ატარეთ ჯვარი.
იყო ვაება
და სწუხდა ღმერთი,
ნეტა რა ხდება?!
რამდენი ვერ ვთქვი.
დახატეთ ომი,
უსახო ხალხით
და დიდი გრძნობით,
ეული სახლი.
თენდება გვიან
ატირდა რიწა,
გულს უკორტნიან,
მშობლიურ მიწას.
უცნაურ დროში,
დახატეთ ყოფა,
სადაც სულს გროშიც
ქვეყნად ეყოფა.
დღეს აფხაზეთი
ამშვენებს ტილოს,
რა ხარ ასეთი
ქვეყნად ტკივილო?!
ცრემლებს ვღვრი ბედად
ნუ მკითხავთ რატომ,
დახატეთ სევდა
არ დარჩეთ მარტო.

***

ნეტა იცოდე,ამ სულისთვის
რას ნიშნავს გნიასი,
ცრემლებით სავსე,დღესაც
დავმარხე,ცოდვილი თასი,
არ მსურს ვიცოდე,რომ
შენმა სულმა დაკარგა ფასი
და გამიღიმო,თუ ეს ღიმილი იქნება ფარსი.

***

იცი,ალბათ, ყველაფერი ნება არის ცის,
მიმძიმს ვიყო ჩუმად,
მონატრება ცრემლებს ცრის,
გამაღვიძე,სიზმრად სულში
უსასრულოდ წვიმს,
არ დამტოვო,გამიღიმე,
ერთი სიტყვაც მცვლის.

ბოროტი არევს,
კლავიშებს სულში,
გაპატარავებს,
გიძვრება გულში.
ფერთა სინაზე,
ისმის ბღავილი,
სუფთა მიწაზე,
ხარობს ყვავილი.
ძველ კიდობნიდან,
სულის გოდება,
ისევ თავიდან,
მომაგონდება.
უცვლელი ვრჩები,
ვუამბობ ნიავს,
ვიცი,რომ ჩემი,
დარდიც თან მიაქვს.

რა დამემართა

რა დამემართა,
ვისაც ვუცინი,
იმან მომნათლა,
როგორც გულცივი.
მიკლავდა სურვილს,
მესროდა ტალახს,
როცა ჯერ სულიც
არ დაუნახავს.
მოხრილა მთვარე,
რა გახდის უკეთ,
უძირო თვალებს
ვერ ახელს უკვე.

რთულია ერთობ

რთულია ერთობ
რჩეულთა ხვედრი,
ამიტომ ვერ ვთმობთ,
ამიტომ ვეტრფით.
მუქი კამარა
ერჩოდა წარსულს,
ქედს ვუხრით მარად
გულმოკლულ მამულს.
სულ ერთი სიტყვით,
ვინ ხარ, ვლინდება
და მხოლოდ ვიტყვი,
გმირებს დიდება!

აბობოქრდა უკვე რიწაც

აბობოქრდა უკვე რიწაც,
გული მტკივა, ერო, ვფიცავ,
ნუ გაყიდით ქართულ მიწას,
მტერს ურჯულოს ნუ დაიცავთ!
აფხაზეთიც ტირის უკვე,
ყოველი დღე გახდა უქმე
და რა გაგვხდის ნეტა უკეთ,
გვაყვედრიან როცა ლუკმებს.
ცოცხლობს ძალა ჩვენში ჯერაც,
გული დარდით ძლიერ ღელავს,
თუმცა მაინც ისევ მჯერა,
გაფრინდება მალე ძერა.

არაფერი მსურს

არაფერი მსურს,
ჩამოვხსნი ძაფებს,
ხალხში დაღლილ სულს
მე აღარ ვაფენ.
ადრეც ხოცავდნენ,
უშლიდნენ სუნთქვას
სულით ხორცამდე,
მართალს და სუფთას.
ხშირად მტკიოდა,
დღეს ისევ ვნანობ,
გული ტიროდა
უღირსთა გამო.
შიში სიშორის,
ფიქრებში ვქრები,
ცოცხალთა შორის
არიან მკვდრებიც.
მესმის ერთგულის
და მჯერა მგოსნის,
მართალი გულის,
მეორედ მოსვლის.
როცა ერჩოდნენ
როცა ერჩოდნენ,
ღმერთი უთვლიდა,
რამდენს ესროდნენ
ჩუმად ზურგიდან.
ვერ ვგრძნობდი ხელებს,
წვიმის წვეთებში
საკუთარ ცრემლებს
ჩუმად ვეძებდი.
ვაცილებ ფოთლებს
და დარდმაც მძლია,
იმედი მოკლეს,
ესროლეს ტყვია.
ზოგს ეშმა მართავს
დედამიწაზე,
უფალთან მართალს
აღარ იცავენ.
მართლაც ასეა,
როგორც პოეტი,
დარდით სავსეა
ზეცა ყოველთვის.
აჭრიან მკლავებს
მებრძოლებს მუდამ,
უსიტყვოდ კლავენ,
ღალატით თუნდაც.

* * *

მინდა დაიბადოს სამართალი
და ისევ შენთან, მოვდივარ ღმერთო,
რთული ყოფილა ეს გზა, მართალი,
ეკლებით სავსე, დამღლელი ერთობ.
წიგნი, სიჩუმე და გარეთ წვიმა,
თურმე ვიღაც მოიხიბლა ფრესკით,
მე კი არაფერი აღარ მინდა,
რატომღაც სავსე ვარ დოსტოევსკით.

***

დღეს ნაპირზე, უშენოდ ვდგავარ და
ვგრძნობ გეხსომება ის ძველი ქუჩა,
მე რომ მიყვარდა,შენც რომ გიყვარდა,
ბოლო წუთამდე უთქმელად,ურჩად.

მე ბედს საერთოდ არ ვერჩი ახლა

მე ბედს საერთოდ არ ვერჩი ახლა,
თუმც, არ ვიცი, რა იქნება მერე,
სანამ დღეს წუხილი აღარ მახლავს,
მოდი, მაკოცე და მომეფერე.
სიყვარული გაიმარჯვებს, მჯერა,
დღეიდან დუმილი აღარ მთხოვო,
გულის სიღრმეში რატომღაც ჯერაც
მინდა მეძებდე, მინდა, მიპოვო.

***

მე სევდა მახლავს,
იმედი კვლავ მაქვს.
როგორღაც ახლა
არ დავყრი ფარ-ხმალს.
არავის არ ვნებს
სულში ცვლის გამებს,
დაკარგულ წამებს
დაღლილი ღამე.
ასველებს მინას
წვეთებით თუნდაც.
ოთახში წვიმას
შემოსვლა უნდა.
მესიზმრა თითქოს,
მზე უბეს მითბობს,
არაფერს ითხოვს,
არიგებს სითბოს.
მთვარე ანათებს,
სიბნელეს აქრობს,
ტოვებს ბარათებს,
არაფერს ამბობს.

ამოუცნობი

ბალახზე ცვარით
მორთული ველი,
ბობოქრობს ქარი,
ქრება ღრუბელი.
ლურსმნით დავკიდე
კედელზე სევდა
და ახლა კიდევ
უფრო მეტს ვხედავ.
ხანდახან ვგრძნობდი,
რომ სხვა ვარ სხვებთან,
ამოუცნობი,
სულ მახლდა სევდა.
არ ვიცი, ახლა
რა არის შიში,
გადაწყდა მაღლა,
ლექსებში ვიშვი.

ორსული მთვარე

ჩამოვარდება
ორსული მთვარე,
ტანჯვით ღამდება,
ვერ ახელს თვალებს.
ახრჩობს წყურვილი,
თან ცოტას ითხოვს,
ლუკმაპურივით
პატარა სითბოს.
ტკივილი ავსებს,
რთულია მეტად,
იარო ასე,
სულ მარტო,კენტად.
ახლა კი ნანობს,
მოტყუვდა ასჯერ,
სიწრფელის გამო
სულ იხდის სასჯელს.

***

შენს გულში ვრჩები
და ვიცი, გესმის,
რომ ხსნაა ჩემი
უბრალო ლექსი.
ფიქრნი მარტივნი
ჩემთან მოდიან,
წერა მარტივი
ნეტა როდია.
საზიდი ჯვარი
თვითონ წერაა
და გულში ჯავრი
ბედისწერაა.
ვამბობ, არ მტკივა,
რაღაცას ვბოდავ,
იქცა არქივად
სტროფებში ცოდვა.

გაწყვეტილი სიმი

ჰო, დროა ლექსის,
მითხარი რამე,
ნუთუ არ გესმის?
საუბრობს ღამე.
რა გინდა მაღლა?
გაჩერდი ისე,
თითქოს და ახლა
გიყვარდე ისევ.
ჰთ, მოვიცილე,
დარდი და სევდა,
რაა სიცივე?
მხოლოდ მზეს ვხედავ.
შენ არ საუბრობ,
უთქმელად მიმზერ,
რაღაცას ფიქრობ,
გაწყვეტილ სიმზე.

***

ღამეა ბნელი,
ქვეყნად მოსულმა
ზეცამ ღრუბელი
დააორსულა.
განუდგა ღმერთი,
მზე ჰყავდა ხარჭად
თუმცა იმ ერთის
ერთგული დარჩა.
ხვდებიან გვიან
სიკეთის გმობით,
ვერ მოუგია
აქ, ცოდვილს ომი.
აქამდე ვერ ვთქვი,
მთავრდება სუფრა,
ათიდან ერთი
აღმოჩნდა სუფთა.

მინდება ფრენა

გაეხა ფარჩა,
სიგიჟე სრული,
ორსულად დარჩა
ფიქრებით სული.
დაჭრილი მტრედი,
სევდას ვილოკავ,
არ მწყალობს ბედი,
მეწვის ჭრილობა.
მაჩუქეს რწმენა
ისევ ლექსებმა,

მინდება ფრენა,
სული მევსება.
ცოტა სიმართლე,
ტყუილი მეტი,
თავს არ ვიმართლებ,
არ ვარ პოეტი.
ცამ ძალა მომცა,
ვწერ ახლა ჩემთვის,
დაღლილი,როცა
სული სულს ერთვის.

გამიგებთ, მჯერა,
მსურს,წავიდე შორს,
მოვშორდე ყველა
ამქვეყნიურ ჭორს.
სიმართლეს ვამბობ,
კარგია სოფლად,
წვიმაში მარტო,
წიგნებთან ყოფნა.

***

ლოცვის გარეშე,დღე დაკარგული,
არ დაანგრიოთ სულში ტაძარი,
სული შიშველი,შიშველი სული,
ხოლო სხეული – თავშესაფარი.

***

აქ-სულის ბაღში საუბრის ნაცვლად
იდუმალ ხმაზე, ჩუმად გალობენ,
ჩემი სათქმელი გამოჩნდა ნათლად,
ვაი, სიმართლეს, რომ არ სწყალობენ.

ცოდვებს ეტრფიან

ვით ზღვაში დიდი ტალღა,
დამღუპველია ვნება,
როცა გრძნობაზე მაღლა
დგება სხეულის ნება.
ბევრია ირგვლივ დანტე,
სულს გაყიდიან ძვირად,
ვიცი, ტანში არ ამტვრევთ,
ტოდვებს ეტრფიან ხშირად.
გულში გესლი ეზრდებათ,
მიკვირს ისევ სრულებით,
როგორ არ უმძიმდებათ
ცრუ ორპირებს სულები.
თუმცა,ვინ იცის, ღმერთო,
ვინაც იშოვა ვერცხლი,
როგორ სულდგმულობს ერთობ,
როცა გულში აქვს ცეცხლი.

***

ო,მივუძღვები ფიქრების ფარას
და უეცრად თავის შეცვლა ვცადე,
სულის სილამაზე სხეულს ფარავს,
მინდა მხოლოდ სულს ეტრფოდნენ ცამდე.

ფიქრი უკერავს განთიადს კაბას,
ახლა ღრუბლებს, გავაყოლე მზერა,
უსიყვარულოდ, სული სულს ღაფავს,
თუმცა იმედი არსებობს ჯერაც.

ხელში პატარა, ლურჯი იებით
სულს შეუხორცდა ყველა იარა,
მეგონა, რომ ვერ ვაპატიებდი,
მაგრამ სული, სულს შეეზიარა.

***

ზოგჯერ მზესაც ეკარგება ფერი,
ეს გული, დარდით ხშირად ივსება,
ქვეყნად, რომ ბევრია ლუციფერი,
ვერ დაინახა ბევრში ღირსება.

სულის საკანი

ტვირთია მძიმე,
ატარო ჯვარი,
ვიტოვებ იმედს,
გაქრება ჯავრი,
სულს ფიქრი უშლის,
აშინებს თითქოს,
სითბოა გულში,
არაფერს ითხოვს.
სუფთა რვეული,
ძველი აკვანი,
იქვე სხეული
სულის საკანი.

***

გრძნობა იცოცხლებს,
მოდის ზამთარი,
ვიცავ სიცოცხლეს,
როგორც აფთარი.
სხვაა გარედან
ყველას სხეული,
ხმაა კარებთან,
შემოდის სული
და სხეულს უმხელს
ჩადენილ ცოდვას,
სხვა იყო წუხელ,
ეტყობა, ბოდავს.

***

უბრალოდ ისე,
ვუცდი განაჩენს,

მაწუხებს ლექსი

არ მითხრა ახლა,
რომ ჩემი გესმის,
მე სევდა მახლავს,
მაწუხებს ლექსი,
არ მითხრა ახლა,
რომ ჩემი გჯერა,
შეხედე, მაღლა
მომრავლდა ძერა,
არ მითხრა ახლა,
რომ გეცნო გემი
და ზღვაში – ტალღა,
ვით სული ჩემი.

***

მე ამოვედი
სხვების ჩარჩოდან,
მეგონა ბედი,
ღამე მახრჩობდა.
რაღაც მთავრდება,
გაიგოთ იქნებ,
სევდაც ბარდება
წარსულის ფიქრებს.
მქონდა მსჯელობა,
ვგრძნობდი ადრიან,
რომ უთქმელობა
მეტი დარდია.

***

გრძნობას ვერ აღვწერ,
თითქოს წლებია,
სევდით რატომ წერ?
მეკითხებიან.
არაფერს ველი,
გადაწყდა მაღლა,
მახრჩობს სათქმელი,
ვით გრძნობის ტალღა.
რთულია, ისე
მაჭერენ ქუსლზე,
მე მაინც ისევ
გულის ხმას ვუსმენ.

რატომღაც მტკივა

გრანელი კვნესის,
მოცარტი ტირის,
სურნელი ლექსის
განკურნავს ტკივილს.
ვერ ჩადგა ქარი,
თურმე იუდას
გაუმაძღარი
სულსაც მიუტანს.
გაყიდის რწმენას,
საკუთარ მამულს,
შეიცვლის ენას,
გადაცვლის ნამუსს.

რატომღაც შეშლილს
მაქვს უკვე ჩვევად,
მახსოვდეს ჩემში
მცხოვრები ევა.
მაწუხებს ხშირად
ვიცი კი როცა
ყიდიან ძვირად
ტაძარში ლოცვას.
არაფერს ვითხოვ,
ავავსებ ხურჯინს,
ახლა დრო ითხოვს,
რომ ვიყო მუნჯი.

სულის განცდა

მე ვამბობ ურჩად,
უკვე აღარ მწყინს,
სველდება ქუჩა
და სულსაც აწვიმს.
მშველის ტირილი,
სიტყვას ვასრულებ,
ვებრძვი ღიმილით
ირგვლივ ავსულებს.
იურჩა ბედმა,
მე არ დავნებდი,
მომნახა სევდამ,
ვერას ვავნებდი.
მთლად გავითიშე.
უკრავს გიტარა,
სულმა სიგიჟე
გადაიტანა.
ცოცხლობს სიმართლე
არ ქრება კვალი,
მუდამ მინათებს
შარას უფალი.

მაფიქრებს სუსხი

დარდი ბეჭებით
სულ დამაქვს ეულს,
მკლავენ ეჭვები,
ვერ ვუგებ სხეულს.
სულს ვეუბნები,
ნუ გიყვარს მეტად
და შენი ნებით
ნუ აქცევ ღმერთად.
ბევრ რამეს ვამჩნევ,
ბევრი რამ მესმის,
მადლობა გამჩენს,
მაცოცხლებს ლექსი.
მინდოდა ფრენა,
სულ მკლავდნენ ისრით,
ღალატით ენა
სიბილწეს ისვრის.
მაფიქრებს ლექსი,
მაფიქრებს სუსხი,
ვისაც არ ესმის,
არაფერს ვუხსნი
ბევრი მომჩივის,
თუმცა არ ვდარდობ,
ისევ მორჩილი
სიმართლეს ვამბობ.
თავს ძალას ვატან,
ვუღიმი ბოროტს,
სიყვარულს ვხატავ
სიკეთით მხოლოდ.

***

მინდა დახატო ჩემი სული, სული დახატო...
რომ არ დაეტყოს სხეულისგან ნარჩენი მანტია,
ჩემო სულიერა და ჩემო ფიქრების მარტო,
ჩვენი სულის ბაღი სულიერების ხატია.

***

სულის ბოლო ქუჩაზე მესმის ჩუმი გოდება
და წამიერი ხილვა გახდა ცხადი სიზმარი,
გადაკარგული ფიქრების სკივრი მაგონდება,
ქარის მოტანილს ახლა წაიღებს ისევ ქარი.

***

ამაღამ ფიქრებს ვერ შევიკავებ,
სევდამ შემოსა დაღლილი ღამე,
ვერ მოვიქცევი სურვილისამებრ,
რჩება უთქმელი რამდენი რამე.

***

სუფთა სულს ვერ იყიდი,
და ვერ იყიდი გრძნობას,
სადღაც ჩატყდება ხიდი,
სადღაც კარგავენ ნდობას.

***

ზოგჯერ ჯიუტი ვარ, ზოგჯერ – ფიცხი,
ვერ გეტყვით, ჩემზე ვერაფერს ახლა,
ჰო, ყველასნაირი არ ვარ, ვიცი
და ვისაც უნდა, ლექსებში მნახავს.

მიყვარხარ ჩემო

შენი ნუგეში,
ჩემთვის ხიდია,
გულის უბეში,
სითბო დიდია.
გიპოვე თითქოს,
მიყვარხარ, ჩემო,
არაფერს ვითხოვ,
შენს სითბოს ვჩემთბ.
კეთილი სული,
იმედით სავსე...
ზღვა სიყვარული
შენით შევივსე.
ვიგრძენი სითბო,
გულის იარებს
შენივით თითქოს
სულ იზიარებ.
მკერდში მაქვს წყლული,
მიყვარხარ, ჩემო,
ბევრს იტევს გული,
შენობას ვჩემობ.

სიმშვიდე მინდა

მესმის გალობა,
დამაწვა გულზე
ის რეალობა,
რასაც დღეს ვუმზერ.
ფიქრებში ცა ვარ,
უღრუბლო თითქოს,
მაცალეთ, წავალ,
არაფერს ვითხოვ.

ღამეა მაცნე.
ღრუბელი მოდის,
მზეს კაბას ვაცმევ,
ვერ ვიტან ლოდინს.
დასვრილი ქოში,
სული კი წმინდა,
ამ სამყართში,
სიმშვიდე მინდა.

აყვავებული,
იქნება ვარდი,
გათბება გული,
გაქრება დარდი.
წვიმაში მარტო
ვაგრთვებ სითბთს,
მიეცეს,ვნატრობ,
იმას,ვინც ითხოვს

***

მინდა დახატო ჩემი სული, სული დახატო...
რომ არ დაეტყოს სხეულისგან ნარჩენი მანტია,
ჩემო სულიერა და ჩემო ფიქრების მარტო,
ჩვენი სულის ბაღი სულიერების ხატია.

***

სულის ბოლო ქუჩაზე მესმის ჩუმი გოდება
და წამიერი ხილვა გახდა ცხადი სიზმარი,
გადაკარგული ფიქრების სკივრი მაგონდება,
ქარის მოტანილს ახლა წაიღებს ისევ ქარი.

***

ამაღამ ფიქრებს ვერ შევიკავებ,
სევდამ შემოსა დაღლილი ღამე,
ვერ მოვიქცევი სურვილისამებრ,
რჩება უთქმელი რამდენი რამე.

***

ზოგჯერ ჯიუტი ვარ, ზოგჯერ – ფიცხი,
ვერ გეტყვით, ჩემზე ვერაფერს ახლა,
ჰო, ყველასნაირი არ ვარ, ვიცი
და ვისაც უნდა, ლექსებში მნახავს.

***

სუფთა სულს ვერ იყიდი,
და ვერ იყიდი გრძნობას,
სადღაც ჩატყდება ხიდი,
სადღაც კარგავენ ნდობას.

***

ახლა და ამ წამს
ვხედავ ყალბ მარცვალს,
მე შენი არ მწამს,
თვალს აყრი ნაცარს.
ამ სულს ნუ მაცლი,
იქ წადი,მარცხნივ,
იგრძენი მარცხი,
ცხოვრება – მკაცრი.
სასოწარკვეთა
მეტია ჩემში,
ჩრდილი სარკეთა
ვიცი,რომ შემშლის.
სიგიჟის ზღვარზე
რაღაცას დავწერ,
რომ მოვალ აზრზე,
სულ დავხევ ნაწერს.

* * *

გუშინ წარსულს ისე ვიგონებდი,
მეგონა საუკუნე გავიდა,
სული შევინახე სტრიქონებში
და ცხოვრება დავიწყე თავიდან.

***

ვიცხოვრებ ქოხში,
იქნება რთული,
მექნება გროში,
მექნება სული.
სურვილმა მძლია,
ვეძახი ნიავს,
ფიქრები მღლიან,
ქარს დარდი მიაქვს.

* * *

გულში – წუხილი,
იცვლება ყველა
ჭექა-ქუხილი
და ცისარტყელა.
ერთხელ დაეცი?

არ გინდა დარდი,
მადლი გაეცი,
გაზარდე ვარდი.
გულში მზეს ვუხმობ,
არავის ვუშლი,
დავდივარ უხმოდ,
გიხუტებთ გულში.

შენ

შენ, სულ სხვა ხარ,
ლამაზი თვალები, ლამაზი გული,
შენ, სულ სხვა ხარ,
ჩემი გულღია, ჩემი მართალი
შენ, სულ სხვა ხარ,
ჩემი სიტყვები უთქმელად გესმის,
შენ, სულ სხვა ხარ,
დრო იცვლება, ჩვენი გრძნობები?
გრძნობები – არა!
შენ, სულ სხვა ხარ,
ისევ ჩემებურად გეტყვი,
იცი? მე შენ მიყვარხარ!

ლექსით ვარ ავად

ცრემლების გუბეს
ვერაფერს ვუგებ,
ვასველებ გუგებს,
არ თბება უბე.
რა მინდა მაღლა?
გავგიჟდი ვითომ?
რა მეთქმის ახლა?

არ ვიცი თვითონ.
ველური ვარდი
ლექსით ვარ ავად,
მიზეზი დარდის
ზოგჯერ ვარ თავად.
გავაღებ კარებს
გულში ღიმილით
შემოდის მთვარე,
ქრება ტკივილი.
ვიტყოდი რამეს,
აზრი რომ ჰქონდეს,
ვაცილებ ღამეს,
ნეტა მოთოვდეს.

***

სულ სხვანირად ვღელავ,
ყალბი გრძნობების არ მწამს,
ვიცი, რომ ჩემი ეს სიჯიუტე,
ადრე თუ გვიან დამწვავს.
სულს ათბობს ლექსით თრობა,
სხვა სამყაროს ხედავს,
სულ სხვანაირად ერთობა,
სიყვარულს ვქარგავ და
მხოლოდ ერთი არ მესმის,
სადაც სიყვარული იბადება,
რატომ იზრდება გესლი?!

გიორგი ზუბიტაშვილი – ფილოლოგი.
დაბადების ადგილი – ყვარელი – შილდა.

"სატრფიალო პოეზიიდან"

* * *

ცაზე ბურ-ღრუბელი შეიყარა,
თითქოს მომიტანეს სამძიმარი –
ვისიც გათრობდაო სხვას ეამა
ყელი საბროლგიშრე-სამძივარი.
შენი სატკივარი სხვის სალბუნად
გადაქცეულაო, უბედურო...

ვდგავარ ტრამალზე და სივრცეს ვუმზერ,
ირგვლივ მიდამოა უქედური.
ვამჩნევ გაზაფხულის მზისნავლობას,
ვდუმვარ, ვით იუდას ვერცხლის ხურდა...
აბა, როგორ გინდა წუფისოფელს
იგი დააყვედრო, რაც არ სურდა.

უკანასკნელი ხმა ლირიკისა

ჩვენ ერთად ყოფნით დაბერება არ გვიწერია,
მოწყდები ჩემ გზას, როგორც ზეცას ცისკრის ვარსკვლავი,
დრო გადაგმალავს ჩემგან, ვითა სივრცე თოლიას,
ჩემთან დარჩება შენი ლანდი გულმოსაკლავი.

სხვა გაზაფხული სევდის ყვავილს ააყვავილებს,
იჭიკჭიკებენ ლურჯ ზეცაზე მარტის მერცხლები,
ჩემ დაბერებას შენ ვერ ნახავ, თეთრო ასულო,
შენ კი სხვა მხარეს ზამთრის თოვლით დაივერცხლები.

მაგრამ, ვაი რომ სხვის საკუთნოდ არ მემეტები,
თუმც ვერ გაკავებ, მე არა მაქვს ამის უფლება...
ჩემ დაბერებას შენ ვერ ნახავ, თეთრო ასულო,
ვერც ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი რომ დაეუფლება.

რადგან ჩვენ ერთი შემოდგომა არ დაგვაბერებს,
ბედის მწერალი როგორც ვატყობ ჩემი მტერია...
შენ შენი გზა გაქვს, ისიც ვიცი, უნდა წახვიდე,
ჩვენ ერთად ყოფნით დაბერება არ გვიწერია.

***

ეჰე, ქარო, ტკივილების დასტაქარო,
მაკოცე და დამიამე ჭრილობანი,
ვითა ქალო, შემოდგომის კართან მდგარო,
განა ვინ მყავს შენისთანა მოუბარი...

მომეხვევი? – გულს გაჩუქებ დარდიანსა,
ჩამჩურჩულე, რაი გტკივა, ბროლისთვალო,
შენ შენი თქვი, მე კი ჩემსას მოგიყვები,
დარდ-დავთარი შენთან მინდა გადავშალო!

მერე წადი, სადაც გინდა იქ იქროლე,
გზას დაადექ, ვით საყდრის გზას მახვეწარი,
გზად გვირილის ველ-მინდვრები დაიფინე,
ვით ხალიჩა, ატლას-ფარჩა ან ზეწარი.

თუ ვინ შეგხვდეს, არა რა თქვა ჩემს შესახებ,
ნუ დამძრახავ დაძრახულსა, ბროლისთვალო,
ჩემ მკვლელს ნახავ? – თვალზე ცრემლი შეუმშრალე,
ეჰე, ქარო, ტკივილების დასტაქარო!

***

მდინარის პირას ჰყვავის კრაზანა,
თავშავა, ძირა, ძირწითელანი...
ივლისის გვირგვინს გაქცეულები
ნაგუბარს წვანან პირტიტველანი,

არ უგემიათ რომელთაც ტანჯვა,
არ დადაგულან ტრფიალის ალში,
ჯერ მათ თვალებში ბავშვობის მზე დგას
და დამაჭრული სილაღე ხმაში...

იმათ სველ სხეულს ქარი ათრთოლებს,
უცხოა მათთვის თრთოლვა მიჯნურის,
იმ ქვეყნიური როგორც სამოთხე
ან ჯოჯოხეთი ამ ქვეყნიური.

ლაღ-კისკისობენ, ხან-ხან გინებით
ერთურთს ებრძვიან ბავშვური ჟივით...
და მახსენდება ჩემი წარსული,
მინავლებული გაზაფხულივით.

***

სერს ნისლი გადავერცხლილი
მკერდზე აწევს და ადნება,
ნისლიც ლამაზი ქალივით
მალ-მალე დაიქადნება...
გაქრება, სინანულს მომგვრის,
იმასაც ზნე აქვს ქალისა –
იცის რომ ლამაზი არის,
სადარი ბროლის, ლალისა!
მერე მაცდურის თვალებით
კვლავ გამოჩნდება გზაზედა,
შემხედავს, დამაიმედებს
ამა ცრუ ქვეყანაზედა.
მომკლავს იმისი ღიმილი,
ჩაკისკის-ჩახარხარება,
შორიდან დამწვავს წყეული,
ახლო არ გამეკარება.
სერს ნისლი გადავერცხლილი
მკერდზე აწევს და ადნება!

****

ეს წუთისოფლის გზა-შარა,
რამდენმა ქარმა გაშარა,
რამდენმა თოვლმა და ნისლმა,
ჩემი ნავალი წაშალა.
ნარეკლისფერი გზა-შარა,
თითქოს იყო და თან არა,
სად ქალმა უხმო ქილიკი,
ქარცეცხლად შემომახარა.
მაინც მხნე ვარ და მაინცა –
ვაშლმა ყვავილი დახარა...
განა ქვეყანა დაიქცა,
რომ დრომ დროება გახანა.
გახანა, გამაკაჟა და
ვერ მომერია, დამღალა,
„ვჭიდაობთ მე და სოფელი“
ვერცა ვერავინ გაგვყარა.

შემოდგომის სიმღერა

ო, ეს სიმღერა შენს ხმას მაგონებს
და სიმძიმილი ცხრება წამიერ,
ქარი მეხვევა, წყეული ქარი,
წყეული ქარი შენსა მაგიერ!
ტირის ტირიფი – არ ვიცი რატომ,
ჩამოუშლია გლოვით დალალი,
ქუჩიდან უცხო სიმღერა ისმის,
მე ვთრთი, ეს თრთოლვაც არის ალალი.
ო, ეს სიმღერა არ ჰგავს გაზაფხულს,
ის შემოდგომის სიმღერა არის,
ნეტავ ვინ მღერის ასე საამოდ,
ხმას რომ მაგონებს ნანატრი ქალის!
ხმა იდუმალი სცდება ჰორიზონტს,
მარჯნისფერ ყვავილს იხდენს ბუნება,
ქარი მეხვევა, წყეული ქარი
და შენს მაგივრად მესალბუნება!
მესალბუნება, როგორც ხმა შენი
და სიმძიმილი ცხრება წამიერ,
ქარი მეხვევა, წყეული ქარი,
წყეული ქარი შენსა მაგიერ!

ლირიკა

აღარ ვწერ ლექსებს, მაგრამ იმგვარად,
ისევე მიპყრობს სურვილი დიდი,
რომ შენს სურათთან ვათიო ღამე
და კვლავ შენდამი მახრჩობდეს რიდი!
აღარ ვწერ ლექსებს, ლექსი ვერ შველის
პოეტის სულის ამოძახებას,
ტკივილით სავსეს, იმედმინავლულს
და ყოველივეს გაპარტახებას!
დღეს კი უცხო ხარ ჩემთვის სრულიად,
მე იმ ბავშვობის ყვავილს დავტირი,
წელს სხვანაირი გაზაფხულია – ზამთრის ნაირი!
დღეს კი უცხო ხარ ჩემთვის სრულიად,
ოდეს ძვირფასი – ოქროს საწმისი...
ეს ყველაფერი დასასრულია ან დასაწყისი.

პეიზაჟი 10

მე რა ხანია
სხვა ბილიკს მოვდევ,
ვხედავ ყაყაჩოს,
ნისლსა და კურატს...
შენი დაკარგვა
დუნიას მოვდე
და შემოვაკვდი
წუხელ შენ სურათს.
თავი ვაფარე
ამ წალკოტს
ბოლოს,
წალკოტს –
იიან, დეკიან
სოფელს,
აქ, შენი სახე
მაკლია მხოლოდ,
როგორც გვირგვინი
ყოველთა
მპყრობელს.
შენ თუ არა ხარ
ამ სავანეში,
მე აქ რა მინდა,
მარტოს და ეულს...
ვდგავარ მთაბერთა
სიმწუხარეში
და ქარს გავცქერი
ყანას შეჩვეულს.
მე რა ხანია
სხვა ბილიკს მოვდევ,
ვხედავ ყაყაჩოს,
ნისლსა და კურატს...
შენი დაკარგვა
დუნიას მოვდე
და შემოვაკვდი
წუხელ შენ სურათს.

სატრფიალო

ვაჰ!.. ღმერთმა იცის
ვის მკლავქვეშ
ცვდება,
შენი სხეული,
თეთრი, ნატიფი...
ჩემს ბედზე, ვეჭვობ,
ძლიერ ხარხარებს
ჩემი მკვლელი და
ჩემი რაყიფი!

ხარხარებს,
როგორც მშიერი მგელი,
როცა სხვის
ნადავლს დაეტანება...
ვაჰ, რა ტყუილი
იმედით გელი,
გულიც ტყუილად
მექაქანება.

მეც სხვა მიკოცნის
სახეს დაზამთრულს,
სხვისი ალერსი,
ვით მზე მადნება,
მაგრამ არა ჰგავს
იგი გაზაფხულს,
რომელიც ოდეს
მომენატრება!

თეთრო ყვავილო

თეთრო ყვავილო, სადარო არც რის,
ჩემი ბილიკი სხვის გზით გაცვალე,
ძნელია, ძნელი ატანა მარცხის –
სათქმელად არც ღირს, შენ გენაცვალე!

ახლა ჩემს ბილიკს ყინულღორღიანს,
მზე თავზე ადგას. ცხრება მოცხარი.
ჩემი ბილიკი – უწინ სამოთხე
ჯოჯოხეთია – ნასამოთხარი.

შენი სურნელით ახლა ვინ ხარობს,
ვინ დაგღიღინებს სევდიან ხმაზე?
ღმერთმა დალახვროს, ვინაც დააჭკნოს,
შენი მშვენება და სილამაზე!

***

ცისპირტეხისას მინდორზე ვიწექ,
ვით დაცემული ველად ჩქერალი,
ვნატრობდი შენს ხმას, თაფლისფერ თვალებს
და იცინოდა ბედის მწერალი!

ამოდიოდა მზე კორტოხებზე,
ხევ-ორწოხებზე – სურათი წედის...
მე-კი ვფიქრობდი, ვფიქრობდი შენზე
და დამცინოდა მწერალი ბედის.

აბა, მაგას ვინ გაამტყუნებდა,
ვინ დაუშლიდა სურვილს და წადილს?! –
ამიტომ ახლა მზე კორტოხებზე
არარაისფრად ადის და ჩადის!

***

გადაიარეს ურჩმა ქარებმა
დაშროშნებული მთათა კორდები
და ახლა ვხვდები, ჩვენს ნაბილიკარს
რა არეული გზებით ვშორდები!

ვღონდები, ირგვლივ მზეა და სიო,
სიო ათრთოლებს ველად ტყემლოვანს,
ვამბობ, სიკვდილი არ მაპატიო!...
და ჩავკირკიტებ მირზა გელოვანს.

ნისლები მთიდან მოდიან ბარად,
მარად საამო ლექსად ვიცლები
და სანამ შენი ღიმილი მკმარა,
იქამდე აღარ გარდავიცვლები.

***

ღამეა ისე ჩვეულებრივი,
ისე უსიტყვო –
მთქმელი არაფრის,
რომ დასასრული
ჩემი ცხოვრების
ამ ღამეს,
ასე მართლა არა ღირს!
არც ფოთოლცვენა,
არც ვარსკვლავთცვენა,
არც სიო დაქრის –
გზათა ყარიბი,
რომ აღესრულოს
ამაღამ კაცი,
ღიმილუხვი
და სიტყვაღარიბი!
არც მთვარე ანთებს
ზენაურ მთისწვერთ,
არც თოვლი ბურავს
ბილიკს განაპირს
და შენც არა ხარ
ახლა ჩემს გვერდით,
ჩემი დაღუპვა ახლა არა ღირს!
არც გაზაფხულის
წვიმა არაა,
არც ატმის ტოტი
ყვავილს არა ხრის,
რომ აღესრულოს ამაღამ
კაცი...
ასე უბრალოდ?! –
არა, არა ღირს!

***

მომიტანეს ქარებმა შენი თმების სურნელი,
როგორც განუკურნელი ავადობის წამალი,
რა არის დასამალი, რა არის დასამალი;
კლდე ვარ და შენს გარეშე უშენობით ამალი!..

მაინც მოაქვთ ამ ქარებს შენი თმების სურნელი,
რაც სიყვარულს ამყარებს, რა დროც არ უნდ გავიდეს...
წინ კი ვრცელი გზა არის – დეკიანი ტრამალი
და მეც ამ გზას გავყვები... სადაც უნდა წავიდეს!

თუ ამ გზამ გადაკვეთა ჩვენი გზათა სამანი,
თუ კვლავ გადამეყარე და არ დამედარდება,
იქნებიან ვარდები... თუ ერთხელაც გიხილავ,
როგორ გამეხარდები, როგორ გამიხარდება!

***

ნეტავი რიყის ქვა ვიყო,
ჟამო, ვერ მომერეოდი,
ვერ მამწუხრებდი, ქალღმერთო,
რარიგად ავმღერდებოდი.

გულზე ცვარ-ნამი მედინოს,
ნუკრისთვის დავპურდებოდი,
თუ ქვადაც ვერა ვივარგო,
შავ მიწად გადვიქცეოდი.

სამოსად ხავსი მეფინოს,
იმითაც დავმშვენდებოდი,
მნახავდი, მწყემსო კეთილო,
საყდრადაც აგეგებოდი.

***

დილობას ნისლი ჩაუყვა ფერდობს,
ჩაჰყვა და ხევში ჩაადნა თელებს,
აქ შენთვის ვკრეფდი ყვავილებს ერთ დროს,
მიწადასაყრელს ვცოდავდი ხელებს!

აქ, სადაც ციხე-კოშკები დგანან,
სადაც ისმოდა ყიჟინა ომის,
მე შენთვის ვკრეფდი ყვავილებს ერთ დროს,
მაშინ შორს იყო "მზე შემოდგომის".

და ახლა ირგვლივ ჭინჭარი ყვავის,
წარუტაცია მინდორი ენდროს,
სადაც გათავდა ტკბილი ზღაპარი,
სადაც ყვავილებს გიკრეფდი ერთ დროს.

მაჭარქალი

დადიხარ, ქარი ფეხდაფეხ დაგდევს,
ვით დედაბერი და მაჭანკალი,
იხსენებ ქალღმერთს – ცრემლების დამდენს.
სად არის ახლა ის მაჭარქალი,

რომ შემოგიჩნდა მწუხრად და დარდად,
საით კრეფს ახლა იელ-იანებს,
სიმღერით, ჩქარა, ჩქარა და მარდად,
შენთან შეხვედრას რომ აგვიანებს.

რად აგვიანებს?! – ნუთუ არ მოვა,
ვით გონჯას შემდეგ წვიმა-მანანა,
იგი წავიდა და მიგატოვა
და სხვა რამდენი რამე განანა.

სად არის ახლა ის მაჭარქალი –
იხსენებ ქალღმერთს – ცრემლების დამდენს...
ვით დედაბერი და მაჭანკალი,
დადიხარ, ქარი ფეხდაფეხ დაგდევს.

მაჭარქალი (ავტორისეული კომპოზიტი) –
მაჭარივით ტკბილი, მათრობელა,
დაუღვინებელი ასული.

სად მიხვალ

სად მიხვალ, სად მიიჩქარი,
ქალო, სწორსახო იელთა,
თან მოგდევს ნიავთ ამქარი –
მშვენება დასალიერთა.
ხევებს მიჰყვები ნისლივით,
თვალნი ცრემლ-ბურმა დანამა,
მტერმა დამინდო სისხლის-წილ,
შენ რისთვის არა, ქალამა?!
ა, ვხედავ თვალს მიეფარე,
ქალღამევ, ღამე ავდება...
როს გამკრთალდება სიცოცხლე,
გინატრო რა დაშავდება?!

***

მთვარე ჩადის მთათა მხარით...
ნუღა მკითხავ თუ რას ვფიქრობ,
ჩემი უღვთო სიმწუხარით,
თვალებს მაინც არ ჩაგიქრობ.

ნუღა მკითხავ, რა მაწუხებს,
გულით სევდა რისთვის დამაქვს,
ჩემ თვალთ შეხე... გიპასუხებს,
სხვა პასუხი მაინც არ მაქვს.

ჰკითხე თვალებს დაღლილს განცდით,
ჰკითხე თვალებს, რის თქმაც გინდა,
გიპასუხებს, რომ გზად ავცდით,
ან რაღაცის შეგვეშინდა.

სულერთია... ჩადის მთვარე,
მზეც ამოვა მთათა მხარით...
თვალებს მაინც არ ჩაგიქრობ,
ჩემი უღვთო სიმწუხარით.

არ მოდის არავინ

რამდენი ხანია შარა-გზას გავყურებ,
არ მოდის არავინ, ქარის და მზის გარდა,
დავხურე ფანჯრები, კარებიც დავხურე,
არ მოდის არავინ, ვინც ოდეს მიყვარდა.
წალეკა გრიგალმა ნარი და ეკალი,
ნისლმა უეცარმა იერი იცვალა,
ცუდად ვარ, ვერ მშველის,
ვერ მშველის ვერავინ,
უფალო, მითხარი, რა შეიცვალა?!
რისთვის არ დამინდო ამ ცივმა ამინდმა,
ან ქალმა, ან ქარმა, მტერმა ან მოყვარემ?!
არ ვიცი რად ვტირი, არ ვიცი რა მინდა,
არ ვიცი რისი ან ვისი ვარ მოვალე.
დავხურე ფანჯრები, კარებიც დავხურე,
არ მოდის არავინ, ვინც ოდეს მიყვარდა,
რამდენი ხანია შარა-გზას გავყურებ,
არ მოდის არავინ, უფალო, შენ გარდა.

დედი...

სიტყვაცივი ვარ, თოვლივით ცივი,
ვერ გესანთლები ბავშვივით, დედი,
ჩემი ბრალია... ჩვენს ქვეყანაში,
თურმე პოეტებს არ სწყალობთ ბედი!

შენს შვილსაც ბევრი დაატყდა მეხი,
დრომ მის თავზედაც ეკალი ლეწა,
თუ გემართლები, გამიწყრეს ღმერთი!
ფეხთ გამეცალოს მშობელი მიწა!

ეჰ... გულცივიც ვარ, ყინულზე ცივი,
თვალს ამჩნევია ყველა იარა,
უნდა შემინდო სიცივე, დედი,
დრომ შეუმჩნევლად გადამიარა!

გავკაჟდი, ვეღარ ვიფერებ ალერსს,
სულის ყვავილი დრომ გამითელა,
ახია ჩემზე, გამიწყრეს ღმერთი,
მოკვდეს იმედი ნაპერწკლის-ხელა!

დ ა ი ს ი

მზე ჩაიწურა თიხისფერ მთებში,
უფსკრულისფერი გახდა კამარა,
შევხვდი მზის ჩასვლას სიმწუხარეთი,
ამ შემოზამთრულ დღეთა ამარა...

ძვირფასო, შენ გგავს მზე ჩამავალი,
ამომავალიც – მნათობი გზათა,
რომელიც გამვლელს მიენდო ქარებს
და ჩემთან ვეღარ გამოანათა!

მზე მოწყდა ისე, ვით ცრემლი თვალებს,
დანამულ წამწამს, დანამულ ბაგეს...
ჩემთან დაღამდა უკუნი ღამით,
დაე, შენს ბილიკს ნათელი ადგეს!

ბებერი კოშკი

ბებერი კოშკი – მაცნე წარსულის,
დგას ვით ჭაღარა კაცი – ბერმუხა,
უბრია, მაგრამ ისედაც ვხვდები,
მის თავს რა მეხმაც გადაიქუხა!

ბებერი კოშკი ნაგები სიპის
ქართველთა გმირულ წარსულზე უბნობს,
მრავალ დრო-ჟამთა გადამბრუნები,
კვლავ საქართველოს დიდებას უხმობს!

ბებერი კოშკი ცას აწვდენილი
ჯერ მუხლს არ იდრეკს, დროს არა მონობს,
რომ ალგეთელთა შთამომავლობას
დავითის სიტყვა კვლავ გააგონოს!

ბებერი კოშკი ქონგურ ჩაშლილი,
მაინც არ დრკება იმერ-ამიერ,
ერთი იმედით, რომ საქართველო
ლილეოს იტყვის მრავალჟამიერ!

***

მღერის ფანდური საამო სამღერს,
მე კიდევ ვჯავრობ დარდსა და ვარამს...
ის ალბათ უმღერს დაცვენილ ნამქერს,
მე-კი დავითის აღმართულ ალამს!

მღერის ფანდური უამეს ჰანგით
და მე დაჭრილი ვეფხვივით ვბორგავ –
ვაჰმე, ფარ-ხმალო, მოსილო ჟანგით,
ვაჰმე, პაპათა ნაქონო გორდავ!

მღერის ფანდური, დაე, გაჩუმდეს,
თუ საქართველო ვერ ამიმღერა,
თუ კი ჩამიქრა სადიდხნოდ მნათი,
რუსთაველის და ლუკაჯს კერა!

პეიზაჟი 6

ქალო, მდინარეს მოუყვებოდი,
ვით ზენა ქარი ბილიკს ქვენაურს,
ვაჰ, რამდენ ამბავს მოუყვებოდი,
რამდენ საცრემლოს, რამდენს უცნაურს.

ეტყოდი ალბათ თუ ვინ გეტრფოდა,
ან ვის ეტრფოდი ქალური ძალით,
ვინ ჭრელ ხალიჩად დაგეგებოდა,
ვის შემოსავდი ვნებისფერ ალით.

იდგა მდინარე ჩამომდინარი,
გისმენდა, როგორც ვაჟი გზნებითა,
მის ნაპირებზე მზე, ყვავილნარი
ტკბებოდა შენი არაკებითა.

მე მაყვლიანში შეხიზნებული,
დიდხანს გიცქერდი, როგორც ყაჩაღი,
ეგ სახე, სახე შეფითრებული,
ხან სევდიანი, ხან და ხან ლაღი,

როგორც სანთელი ისე დნებოდა,
ჩემს თვალწინ იდექ, ვით სასწაული
და სუსტი სიო მეარღნებოდა,
შენს უკან იდგა თქვენი აული.

პეიზაჟი 9

მზეაგორებულ გოროზ გორაზე,
ცხენი ბალახობს ლაფშა-თეთრონი,
ცელქი ნიავი ფაფარს უწეწავს,
ცაზე მიდიან წყებად წერონი.

მოჰქრიან ჯანხით, მოდუდუნებენ,
მდინარეები კვნესამღერითა,
ჩამორაკრაკებს კლდეზე ჩანჩქერი,
მთა მთას ამუნჯებს უტყვი ჟღერითა.

ჭრიჭინით მჭვალავს ჭრიჭინობელა,
ნარის ყვავილი იხდენს ნამმძივებს,
ბური ჩამოჰყეფს ბილიკს დიდოთა,
მზე ჩალისფერი ანთებს ქვა-ძივებს.

ვისია ნეტავ ლაფშა-თეთრონი,
კაზმული ატლას-ოქრო-ვერცხლითა,
იქნებ იმ ქალის გულმკვლელს ეკუთნის
გორას რომ მოდის ნელა ველითა,

მოდის ნარნარით, თან მოიმღერის,
რაღაცის, დიდის სევდა-წყენითა,
ისიც ნანდაურს მისტირის ალბათ,
სევდანარევი ტკბილი ენითა.

მზეაგორებულ გოროზ გორაზე,
მზე ჩადის ძალით, განა ნებითა...
მეც მას ჩავყვები, დავემგზავრები,
იმ თეთრაქალის დანანებითა.

მთვარე მოსული მზეს ჩაანაცვლებს,
ოქროცვარული დალალებითა.

***

მზერა ალმაცერი... დაღმა-სერი,
სერი დამარტული, ნაწვიმარი...
გვერდით მომყვები და გეღიმება,
განა რაჲ დარჩა საღიმარი.
დავალთ, წინ მიწა-ცის სამანია,
ტყეებს ეფინება ყვავილთ ბური...
გზის გაღმა იასამანია,
გამოღმა მთებია უდაბური.

მთებზე თოვლია, სანისლეთიც
და შენ უჩვეულოდ გეღიმება...
დაე, დამიდგეს, მზეო, თვალი,
არ ვნახო შენი შეღამება.
თუკი, სიყვარული ვეღარ ვიგრძნო,
თუკი, გაფერმკრთალდეს ჩემი სული,
მაშინ ამ ტრამალებს დავეხიზნო,
მაშინ დამიბნელდეს გაზაფხული.

კავკასიური მოტივები

არ გავუზრდივარ მე მხოლოდ დედას,
მთიდან მოსულმა წყალმაც გამზარდა,
მე დამამსგავსა არწივს და ქედანს,
ცხოვრებად თქმულმა ძველმა ზღაპარმა...

ცვარ-ნამი იყო ჩემი სამოსი,
პური კი მადლი ქრისტე ღმერთისა,
წინაპრად მყავდა ვინმე ქართლოსი,
მამა, პატარა-დიდი ერისა.

მე სალოცავი მქონდა გლეხური,
ხავსმოდებული ნიში – ქვა რიყის,
ის სანთლის სუნით გამეფებული,
და დაცვარული, როგორც ნარიყი...

კრამიტიან და აგურიან სახლს,
შემორჩა ჩემი წრფელი ბავშვობა,
და დაიბადა სადღაც გრიგალი,
სადღაც პოეტიც ხომ დაიბადა.

დრო კვლავ მიდის

მზე – მზეობდა, თოვლი – თოვდა,
დრო მიჰქროდა – არ მოჰქროდა,
ყველაფერი, არაფერი
ქარს მიჰქონდა!
გრძელი, ბნელი ღამეები,
სულ არაფერს არ ამბობდა...
მიხაროდა, მიხაროდა,
ძლიერ თოვდა.
გაცვეთილი ფანქრის რითმებს,
სული სულად დაჰყვებოდა,
ღამით ცაზე სავსე მთვარე,
არ ქრებოდა.
ფიქრით სავსე ლაგამები,
გულის ფიცარს აწყდებოდა,
გული ძგერდა გამალებით,
არ კვდებოდა.
მახსოვს ქალი, სევდისფერი,
ის ნამდვილად არსებობდა,
მე მიყვარდა, გეფიცებით!
არ სჯეროდა...
იყო გზები, ბილიკები,
გზებზეც ბევრი დამყვებოდა,
თმას იშლიდნენ ტირიფები,
მათი სუნთქვა დამმღეროდა.
მთაზე იდგა თეთრი ნისლი,
ჩემი ცქერით მაღლდებოდა,
დრო კვლავ მიდის, როგორც მიდის,
მაინც ჯობდა, მყვარებოდა!

* * *

პოეტი ვარ, ამის თქმაც მაქვს აკრძალული,
ლექსის მეტი არაფერი გამაჩნია,
გზა არ მერგო ადვილი და გაკვალული,
გზად ეკალმა იარები დამაჩნია.

მაინც მიყვარს სამზეო და საუფალო,
გული არ მაქვს საქვავე და ეშმაკური,
შენ კი იცი, შენ კი იცი, შენ უფალო,
არასოდეს დამიდია ქვას აგური,

რომ ამეგო ეშმაკისთვის ციხე-სახლი,
საცეცხლე და უკუღმართი სამლოცველო,
მხოლოდ გულში სიყვარულის მედგა დახლი,
გულში, სადაც ეტეოდა საქართველო!

პეიზაჟი 10

მე რა ხანია სხვა ბილიკს მოვდევ,
ვხედავ ყაყაჩოს, ნისლსა და კურატს...
შენი დაკარგვა დუნიას მოვდე
და შემოვაკვდი წუხელ შენ სურათს.

თავი ვაფარე ამ წალკოტს ბოლოს,
წალკოტს – იიან, დეკიან სოფელს,
აქ, შენი სახე მაკლია მხოლოდ,
როგორც გვირგვინი ყოველთა მპყრობელს.

შენ თუ არა ხარ ამ სავანეში,
მე აქ რა მინდა, მარტოს და ეულს...
ვდგავარ მთაბერთა სიმწუხარეში
და ქარს გავცქერი ყანას შეჩვეულს.

ეჰ, რა ხანია სხვა ბილიკს მოვდევ,
ვხედავ ყაყაჩოს, ნისლსა და კურატს...
შენი დაკარგვა დუნიას მოვდე
და შემოვაკვდი წუხელ შენ სურათს.

* * *

აცივდა ძლიერ, სუსხია სულშიც,
ჭკნება გვირილა – დეკემბრისკარა...
ვდგავარ უბრი და ვიღაცას ვუცდი,
ის კი არ მოდის, არ მოდის, არა!
სუსხი მაწამებს, გაშლეგდა იგი,
არ იცის სუსხმა ტკივილის ფასი,
ფოთოლს იცილებს ალვათა რიგი,
მუხათა გუნდი, ვერხვებთა დასი.
მზე ვეღარ მზეობს, ვით უქმი კაცი,
მდინარე მოჰყეფს, წაიღო ხიდი,
მთების გადაღმა ხმაური სუფევს,
მთების გადმოღმა – დუმილი დიდი!
ბურუსდაყრილი დგანან გორები,
გრიგალი დაძრწის შარაზე ჩქარა,
მე ასე უბრი ვიღაცას ვუცდი,
ის კი არ მოდის, არ მოდის, არა!

***

გავცქერი ცაში შეხიზნულ გორ-მთებს,
დაფერილ კორდებს წყალჩამომავალს,
გავცქერი ბილიკს, რომლითაც მოველ
და ვით ყოველი, რომლითაც წავალ!
გავცქერი გორ-მთებს და მეც ვმაღლდები,
ვით თეთრი ნისლი მთებს რომ აკვრია,
უკან ოცნების კოშკი დავტოვე
აწ, სიმძიმილი ოხრად მაყრია.
ტყეში ასკილის ყვავილობაა,
მეც უცნაური გრძნობით ვირთვები,
სულში ტკივილის თავყრილობაა
და მკერდს აწყდება ბორგვის ზვირთები.

უწინდებურად ვსვამ ჩელთის ნაჟურს,
ვით ფიქრთა მწყემსი მაშვრალ–
მწყურვალი,
მივდევ ნიავ-ქარს საითაც წასვლა,
კაცისთვის არის გარდაუვალი.
გავცქერ მდინარეს, რომლის ნაპირას
მიოცნებია მრავალი რამე,
მრავალი დარდი სიმღერად მითქვამს,
ბევრიც უარვყავ, ბევრიც ვიწამე!
ამ ჩემს ოცნებებს, ციხე-ტკივილებს,
ერთი გზა აქვთ და ერთი საგანი,
რომ ჩემთან ერთად დაასაფლავებს
ძოწისფერული მიწის საბანი.

პეიზაჟი 8

მზისფერი ველი, ხოდაბუნები...
ჩემთვის ვჩურჩულებ, ხო დაბრუნდები?..
ველზე ხორბალი დამწიფებულა,
ქარს მიჰყვებიან ღრუბელთ გუნდები.

მიდიან, მიაქვთ ეშხი-მშვენება..
ჩემთვის ვჩურჩულებ, რა მეშველება...
რა მეშველება, როდესაც მოთოვს
და თოვა ტანჯვად მომეჩვენება,

მაშინ, როდესაც შენ არ იქნები
ჩემ გვერდით... ცივად გავირინდები,
მე დამიმონებს ზამთრის ზმანება,
როს მერცხალივით გამიფრინდები.

მზის ჩასვლა აღარ დამენანება,
არც გაფრენილი ღრუბელთ გუნდები,
დრო დღეთა მიღმა ჩაიმალება
ჰო, ჩვენ აღარსად არ დავბრუნდებით!

და იყვავილებს იასამანი,
როგორც არასდროს უყვავილია!

გოდება ღამით...

იყო სამყარო მოვერცხლილი, მოოქროვილი,
სანამ მზისფერი ამინდები წაიშლებოდნენ,
სანამ გულიდან შავზე შავი სევდის ჩიტები,
ვითა ყორნები აკლდამიდან აიშლებოდნენ.

ჰა, ეს საწუთრო კაცისათვის მძიმე ყოფილა,
ათას ქარცეცხლში გამოვლილი ვის რად ვჭირდები,
ქვა და რკინა ვარ, კლდე ვარ, მაგრამ დედა-მარიამ,
ვითა მდინარე მეაც ისე აგიტირდები!

შუა ღამეა, თვალებს ნამავს სევდის მანანი,
თანა ვმღერი და გულის ტკივილს გადმოვცემ ლექსად,
ცაზე მთვარეა, სიმწუხარის თანაზიარი...
შვება მინდა და ვაი, დედი, ვპოულობ ვერსად.

იყო სამყარო ყვავილებით მირთულ-მორთული,
სამოთხე მქონდა აისობით და დაისობით,
წარსულს ჩაბარდა კისკისობა ლაღურ-ბალღური,
რაღაც უცნაურ გულისწყრომის გამოისობით.

ამ ლექსსაც ალბათ დასრულება არ უწერია,
გმინვა აყოლილ სულის ძახილს რა დაასრულებს,
მით ახლა ვმღერი, რაც აქამდე არ მიმღერია,
ჩემი ცრემლები, ღმერთო, ამას დაგიდასტურებს.

დედაენა

მე ამ ჰანგზე, ამ ენაზე მიმღეროდა დედა ნანას,
მასზე ტკბილი არც რა მახსოვს, ვერ ვიხსენებ იმისთანას.
თითქოს ჯანხთა ჰანგი არის, თან – ყვავილი სამარისა –
შოთას ენა, ვაჟას ენა – დავითის და თამარისა!
ენა ჩემი დამტირებლის, მორთულია მრავალ ფერთა,
მასში არის შენახული უკვდავება კოლხ-იბერთა.
აწ, ლაზარე დამარხული არ დაშრთება სხვათ ქშენითა,
მოვა ოდეს ღმერთი ჩვენი, განგვიკითხავს ამ ენითა!

სატრფიალო

შინდის ყვავილებს შემოგაბნევ, ქალო, მაგ თმებზე
და, მომცინარო, ნეკრესის გზებს გადაგატარებ,
არაფერს მეტყვი საპასუხოდ, ქალო, ამ ლექსზე,
თავჩახრით ივლი, რადგან იცი თავს შემაყვარებ.
ძვირფასო, წინწინ შემოგვხვდება ია ლურჯთვალა,
შენ სილამაზის საუწყებლად აანთებს სურნელს,
მე კი დაგიკრეფ ყოჩივარდებს ფერდზე უთვალავს,
ხიბლსაც წაართმევ არ დადგომილ ჯერ გაზაფხულებს.
უცხო ყვავილო, დედოფალო ლამაზ ქალებთა,
იმედს ვიტოვებ, რომ ამ ლექსსაც ვარდად ჩამითვლი,
არ დაწვა ლექსი, არ უჩვენო გემო ალებთა,
თორემ არ დაგთმობ, სათითაო ღიმილს დაგითვლი.
არ ჰქნა, ლურჯთვალავ, არ გაცვალო ასკილიანი
გზები ჩვენი და არ დამყარო ცრემლი ბაგეზე,
ვიცი უჩემოდ ცხოვრება რომ ადვილი არი,
მაგრამ შენც ღიმი გაწერია თეთრა სახეზე.
მაინც ყვავილებს შემოგაბნევ ქალო, მაგ თმებზე,
და, მომცინარო, ნეკრესის გზებს გადაგატარებ,
არაფერს მეტყვი საპასუხოდ, ქალო, ამ ლექსზე,
თავჩახრით ივლი, რადგან იცი თავს შემაყვარებ.

გიორგი აღნიაშვილი – მშენებელი ინჟინერი
დაბადების ადგილი – ქ. თბილისი

* * *

"მესაფლავეს" როცა წერდა გალაქტონი,
საფლავთა მიღმა სამყაროს რომ აზანზარებდა,
ზარების რეკვით ბანს აძლევდა ალბათ სიონი
და მისი ლექსი ღვთის საუფლის ოპიზარობდა.
მიწამ მიიღო მიწისაგან შობილი მეფე
და მეუფება "სხვა სამყარომ" მადლით შერაცხა
და მისი ლექსი, ფეხადგმული მუზის მეუფე
ლექსში ჩაწნულ უკვდავებად გარდაისახა.
ბევრმა "ისესხა" მისი სიტყვა უკვდავყოფილი,
მისი სტრიქონიც უცხოს სიტყვას მეფურ ამკობდა,
გალაქტიონი მუზა იყო მხოლოდშობილი
და თვით უფალი გალას ენით ლექსად ამბობდა.
უკვდავებისთვის " განწირული" შენი ლექსები,
"სიცოცხლე მისჯილის" კვლავ აკურთხებს ტაძარში მუზა,
საუკუნეებს დაჩრდილავენ როგორც სფინქსები,
გალაქტიონის სიდიადე... და ლექსად სუნთქვა.

ქართველ პოეტებს

სულია შენი ლექსის მშობელი,
შენი გულის თქმა ლექსის რითმები,
განცდების დრდტვინვა დაუნდომელი
და შენი ფიქრის ბრძენი სიტყვები.

პოეზიაა სულის ფერწერა,
ვნების მუსიკა ბგერებად გვესმის
და სტრიქონები ვით ბედისწერა
ნისლიან ცაზე ვარსკვლავი მერმის.

თეთრი ფურცელი, ხელში კალამი,
სიშმაგის გრგვინვა, აზრთა თარეში,
სიტყვის პალიტრა, როგორც ყალამი
ლექსის მქსოველი განცდების თქეშში.

პოეტის საძმო, მადამ დე მუზა,
თუნგი ღვინო და თეთრი ფურცელი,
სიცოცხლის ხანის მცირე პაუზა,
პოეტის ლექსი გარდაუცვლელი.

სიცარიელეს ნუ მიაჩვევ ქალის ოცნებას

სიცარიელეს ნუ მიაჩვევ
ქალის ოცნებას,
ტურფობის საწყაულს
მგზნებარებას ნუ გადააჩვევ,
როგორც გვირილას
მას ნუ ჰკითხავ
ტრფობის ქარაგმას,
ნურც ფურცელ– ფურცელ
განიკითხავ
ქალი სულის თქმას,
ის ალერს თუ გთხოვს,
და თაიგულს,
გთხოვ და მერწმუნე,
ქალის ნაზ ვნებას,
გულის რითმას,
გთხოვ ნუ დაუთვლი,
და შენს წიაღში,
დედოფლობა
თუ მას დაუთმე
ვალს ნუ დაადებ,
და შენს მკერდში
გაანავარდე
და თუ შენ გინდა
რომ ეს ქალი
დაჰყვეს შენს ნებას
სიცარიელეს ნუ მიაჩვევ
ქალის ოცნებას....

* * *

შვილმა გულში გაიარა,
შვილიშვილმა გულისგულში,
წლებმა თვალწინ ჩამიარა,
მათი სიტკბო ჩამრჩა სულში.
ბერიკაცის ნატვრა გულში,
მონატრება დუღს უბეში,
"აბა შვილი როგორ არის,
ჩემი პირმშო, ბავშვი გუშინ"
დღეს შენი შვილი მახსენებს
შენს ნაფეხურებს შვილო,
ძილშიაც აღარ მასვენებს
ბავშვის ჭიკჭიკა კილო.
მისი პირველი "აღუუ"
და მისი პირველი კიჭი,
თურმე რამხელა გაზრდილა
შენი ბუთხუზა ბიჭი.
ღმერთო, მიცოცხლე მოყვასი,
ღმერთო, მიჰმადლე ნიჭი,
ღმერთო, ქვეყნისთვის დახარჯე
დღეს პირმცინარე ბიჭი.
იქნებ გამოვწრთო ქართველად,
ვით ხმალი გრდემლის გულზე,
ჩვენს ერს ეფაროს მფარველად,
ძარღვი არ შესწყდეს შუბლზე.
მე ჩემი ნაცადკაცობით
გვერდში დავუდგე მოყვასს,
რომ ყმაწვილ კაცურ ანცობით
არ აჰყვეს "უცხოს" როკვას.
იქნებ ბილიკად ვივარგო,
იქნებ ფონს ვიყო ხიდი,
იქნებ სიავე ავრაგო
და გაუფანტო ბინდი.
ვიდრე ფეხზე ვარ, ვარგივარ,
გონებაც ძალუმ მიჭრის,
გამომიყენე ვიდრე ვარ
თუ ცოდნა სადმე გიჭირს.
შვილი თურმე თაფლ კვერია,
ოქრო ყულაბაო,
შვილიშვილი ოქრო ხონჩით
კაკლის მურაბაო.

ნუ ამადლით საკუთარ ხალხს თქვენ თავს...

მე „ემიგრანტს“
ნუ მიწოდებ მეგობარო.
ნუ იმეტებ
მწარე სიტყვას ჩემთვის,
„უცხოეთში საცხოვრებლად წასულაო“
გაიმეტებ?
მე ნუ ჩამთვლი ნებიერსა ბედის.
გეტყვი გულით,
სიტყვას ცრემლში ნაზავებს,
სიტყვას გეტყვი
გულით სამართლიანს,
ნუ გგონია თუ დავტოვე სამშობლო,
დამავიწყდა ჩვენი მიწის მადლი,
მენატრება მობიბინე მთა – ველი,
მენატრება მიწა ერთი ადლი,
ნუ შეჰნატრი
მეგობარო ჩემს ყოფას,
შემომხედე,
უფესვებო მუხა ვარ
და სურნელით
გადამჭკნარი თაიგულის ეშხი.
ნუ დამარქმევ
მე „ემიგრანტს“ ძმობილო,
თუ ვერ მნახე წელსაც ჩვენს უბანში,
იქნებ მოსულს „გაგასწარი“ სახლიდან,
იქნებ სადმე ამიქციე გვერდი.
მოვა დრო და ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით,
„სად ხარ ძმაო? დამეკარგე თვალში“
მერე იქვე ბუნებაში „ჩავსხდებით“
მონატრებას ჭიქა ღვინით დავცლით...
ნუ მიწოდებ მე „ემიგრანტს“ ძმობილო,
თუ ვერ მნახე,
თუ არ დაგხვდი სახლში,
„უცხოეთში წავიდაო“ თუ კი თქვეს,
„უცხო მიწას შეავედრა თავი“....
ჯვარცმულ მიწას
იცი, ვერ მივატოვებთ,
ყველა ერთად დავბრუნდებით სახლში...

შეგონება:

უძლურის მცველი უფალი არის,
ძლევამოსილის კი წარმატება,
ყველა საუნჯე ღმერთიდან მოდის
ფრთხილად იყავი, რომ არ დაჰკარგო
ზეცის წყალობა და წარმატება...

ლომიც რომ ვიყო მე ვერ შევწვდები
ცაში არწივის დიდებულებას
და მოწიწებით თაყვანს მივაგებ
დიდ ერისკაცთა დიდსულოვნებას.

როცა ბაადურ ღმერთების შვილი
ხმალ შემართული როკაპს ებრძოდა
საქართველოში, ქართველის შვილი
თვისტომისაგან შველას ითხოვდა.

"ქვათა ღაღადი" ისევ ღაღადებს,
ისტორა ჰკრეფს ქართულ ბაღდადებს,
დედა ენისთვის გოგებაშვილი
ლამის ხალხის მტრად გამოაცხადეს.

თავლაში ბორგავს ტატოს მერანი
ძლივს მოსჩანს ლანდად ორბელიანი
და აღარსად ისმის ასათიანი
გადაგვავიწყდა სიმონ ქვარიანი.

ხანდახან გვახსოვს დიდი მუხრანი
და ნონეშვილიც ლექსად ჩამქრალა
გადაგვავიწყდა დიდი სულხანი
და ჩიქოვანის წყაროც დამშრალა

კიდევ რამდენი...
იცით რამდენი?
უთვალავი და
კიდევ ამდენი...
გრიგოლ ხანძთელი
სარგის თმოგველი
სერგი მესხი და ჭალადიდელი...
კიდევ რამდენი...

ისევ რად მიტევთ ხილვებო?

თვალო რად დამისველდები?
იქნება ხსოვნის ალვებო
სულში კველავ დამესეტყვები.
„მე ხომ არ გაწუხებთ შვილებო?“
კდემით თრთის მოხუცის თვალები,
სიბერე ისეთი ძნელია,
სიბერე ჭირთა მთმენია,
„მე ხომ არ გაწუხებთ შვილებო?“
მოხუც ფიქრს დასთენებია,
სიბერე ისეთი ძნელია,
ძნელია ელოდო უცილოს,
სიცოცხლე თურმე წამია,
თითქოს ცად ელვას გაევლოს...
„შვილო მე ხომ არ გაწუხებთ?“
მოვხუცდი, ჯანი გამვარდა,
სიბერით მიწას ვაწუხებ,
სხვის ჰაერს ვსუნთქავ...
არადა,
გულს ისევ თქვნთვის ვაქუხებ,
თქვენ შემოხარით თავადა.
სულსა ვთხოვ გულის ბინადარს,
არ მიატოვოს სამყოფი,
დრო წვიმად აქრობს ჩემს ღადარს
მზის და ბნელეთის გამოყოფი...
დრომ თავისი ჰქნა სადარი,
დააშთო სუსტი ღადარი,
მე აღარ შეგაწუხებთ შვილებო...
ეს სთქვა,
გაცივდა,
და ჩაქრა,
მოშობელის მოსიყვარულე თვალები.
ცრემლნარევი მირონი ზდით ხატებს,
მეფეთ მეფეთ დაჰღარვიათ სახე,
დედოფლებიც შეეხიზვნენ ძაძებს
და სიმართლისთვის დაგებულა მახე.

ჯალათი წვავს საქართველოს ისტორიას,
ქართველი კი ხსნას ჯალათთან ეძებს,
სხვისი "ყალბის" გაღმერთების მისტერიას
ვწირავთ ქართულს...
და სიმართლე ჭეშმარიტ გზას ეძებს.

ტაშს ნუ დაუკრავთ ქართულ წიაღში
უცხო "საუნჯის" გაბატონებას,
თორემ დაჯდება " ყრუ" " პიტიახში"
თბილისს...
შეეგუება აქ "ვლადიკას" გაბატონებას.

ჭეშმარიტებას არ სჭირდება ცხარე კამათი,
ცრუდ ბედნიერ ნუ გახდები სიცრუის ნებით,
ყოველი ყალბის "გვირგვინია" ბედთან შამათი,
პატივ აყრილი დაეცემი სიცრუის ქებით.

* * *

ნახე როგორ მონარნარებს
ეს ქალწული სიო ფრენით,
ფოთლებს ნაზად აფარფატებს
ცასა სწვდება აღმაფრენით.
მერე ქუჩებს შეუყვება,
აშრიალებს ჭადრებს კრძალვით,
სიყვარულის ზღაპარს ჰყვება
სიხარულით განა მალვით.
აგერ სკვერში ჟღურტულებენ
ანცი ბიჭი, ნაზი გოგო,
მტრედებივით ღუღუნებენ
ჩუმად, ვინმემ არ გაიგოს.
ნაზი სიო, ფრთა გაშლილი
გოგოს სახეს ეფინება
ვაჟის ბაგე გულგაშლილი
„მიყვარხარო“ ეუბნება.

დედა

სანთლის ნათელი,
ნათელსანთლად
ჩუმად ანთია,
არა ტაძარში,
სარკმლის მიღმა,
მოლოდინის ალბათ მნათეა.
ოთახში ბნელა,
სახლშიც ბნელა,
შუა ღამეა...
შინ მელოდება
ერთადერთი...
დედა...
მომლოდინე
ფიქრად ანთია.
არ გაგეღიმოს მეგობარო,
და მაინც ღიმით
ჩაიკთხავ ალბათ
სტრიქონებს...
სანამ დედა გყავს
საფიცარი,
ცოცხალი ხატი,
შენს ნათელ ღამეს
ღამეს უთევს
არ დაიღლება.
დედა დაგიცდის,
სარკმლის მიღმა,
სანთელით ხელში,
არ იძინებს,
არ ისვენებს,
დაგელოდება,
და გელოდება... დედა.

* * *

სიცოცხლევ მზის სხივის ნათლულო,
სიკვდილო მთვარის
ფერმკრთალო სინათლე,
სიცოცხლის წლების სანთელო,
სულის სადგომის სასანთლე,
ძნელი ჰყოფილა ჟამთასვლა,
ცხოვრების ვიწრო ბილიკი,
ფიქრებით ცისკენ აღმასვლა,
ბედის ჩუმჩუმა ქილიკი,
ნუ დაიშურებ ნათელო,
ღამე დღედ გადამიქციე,
ხატთან დანთილო სანთელო
ვარამი გარს ამიქციე,
უფალო გეტყვი სათხოვნად,
ხანი გამივრცე სიცოცხლის,
ვიცი, ვალი მაქვს აქ ჰყოფნის
სიკვდილით გადასახადი.
ვინათელსანთლეთ,
ვიბრძოლეთ,
შვილნი გავზარდეთ ღვთის რწმენით,
ეხლა კი ღმერთო გავედრებ
დამატკბე ტკბილი სიბერით...

* * *

თბილისის ქუჩებში ისე დავდივარ,
ისევ ნატვრის და ოცნების ამარა,
ფიქრებში მტკვარზეც კი ფეხით გავდივარ,
დავდივარ ცრემლის და ნამუსის ამარა.
თბილისში, თბილისელს, თბილისი მენატრება,
არ მინდა,
არ მინდა წარსულის გატირება,
თბილისში თბილისური ღირსების დატირება.
თუ გახსოვთ სუფრაზე იყო წესი,
კანონი ურყევი, ნაკურთხი ადათ-წესი,
სუფრაზე თუ იყო
გოგონა,
ქალი,
თუ დედაკაცი
სიტყვას უწმაწურს ან ქცევას საჩოთიროს
ვერ გაბედავდა ვერც ერთი კაცი.
თბილისელობის ნამუსის კოდექსი,
დაუწერელი კანონთა კრებული,
არავითარი ზნეობის მიქსი,
იყო ღირსება გამეფებული.
როგორც ბინდში და როგორც ნისლში,
ისევე როგორც ყველა, დავდივარ თბილისში,
თურმე დრომ წაიღო დიდი ნეტარება,
თბილისში, თბილისელებს, თბილისი გვენატრება.

ღამეც მოსულა...

იდუმალ ფიქრთა
თავშესაფარი,
ჩემი ოცნების
და ჩუმი ფიქრის,
უხილავ ნატვრის
თავშესაყარი.
ამ ჭიქით
ალავერდს ისევ
შენთან გადმოვალ,
მიუჭახუნებ
მე შენს მკრთალ სხივებს
ციდან არეკლილს,
და სადღეგრძელო
მონატრების
ცრემლებით სავსე,
ჩემი გულისთქმა,
ღვინისფერი გრძნობებით
სავსე.
შენ გაგიმარჯოს
ცის ნათელო
უტყვო გულისთქმავ,
მესაიდუმლევ იდუმალო,
ღამის ნათელო,
მე ჩემს სიმთვრალეს
მომიტევე,
შენ დაგაბრალებ
რომ სულჩარღვეულს
ამდენი ნატვრით,
არ შემიბრალებ.
თქვენ ვარსკვლავებო,
მოკიაფნო
ცის კაბადონზე,
ალავერდი თქვენთანაც ვარ
ყური დამიგდეთ,
მე ამ სასმისით
ყველა მიჯნურს
მზეს დაულოცავ,
ბედნიერება ფიანდაზად
გზად დაჰფენოდეთ...
ისევე ღვინო
და ისევ ჭიქა,
მთვარის სხივები
ტოლიბაშები,
სიმთვრალე ჩემი ნანატრი
გრძნობა,
„თქვენ გაგიმარჯოთ“
ამას ვიტყვი
და ისევ თქვენთვის
ჯიგრიანად გულით
დავთვრები.

* * *

სასაფლაო იყიდეთ ბატონო,
მიწა, სამუდამოდ განსასვენებელი?
აკლდამაც მოირგეთ ბატონებო,
ადგილი ვერასდროს დასასვენებელი?
იქნება ვენახში, ყანაში, ხეხილში,
მიწა იგუმანოთ ძნელსახსენებელი,
რომ ვერ გაჰყიდონ,
ვერ აჩუქონ,
ვერ აქირაონ,
მიწა ქართული, ჯვარცმულად ხსენებული.
სოფელში სახლი არ გაჰყიდოთ,
წინაპართ საყდარი, მამულად წოდებული,
მიწა არ გაჰყიდო,
ძმაო, მეგობარო, მოყვარევ, უცნობო,
შვილებს შეუნახე ეს ქრისტეს ადგილი
შთამომავლობის დიადი საუფლო,
წინაპართ სისხლით ნაპოხი მარგილი.
რომ იყო ქართველი არ არის ადვილი,
რომ იყო კაცი, ეს უფრო ძნელია,
და რომ მამა ხარ, შვილების პატრონი,
მოყვასის წინაშე ეს შენი ვალია.
სოფელში სახლი არ გაყიდოთ,
წინაპართ საყდარი, მამულად წოდებული

* * *

ქართული ქორონიკონი...სისხლში ნაწრთობი კალამი,
აბჯარის დარად ნაქსოვი ქართული ასომთავრული,
ყოველთა ერთა წინ მდგომი ივერიელთა ალამი
და კაცთა მოდგმის ენა არს ღვთით კურთხეული ქართული.
რად გვიკვირს ივერთ დიდება და "დამარხულ არს" ენად თქმა?
განა ქართველზე არ იდგა
ათენის
რომის
ეგვიპტის
აწ გარდასული დიდება?
იბერიელებს და კელტებს ერთი ჰქონიათ სამეფო,
ვიდრე დიდება რომისა ცნობა გამხდარა საქვეყნო,
იბერიელთა კუნძულებს, დღეს ისტორიის ნასამხრალს,
ბრიტანეთს რომ უწოდებენ იბერიელთა ნასახლარს.
ქართველი ქალის ნებაა სიმრავლე ჩვენი ერისა,
ქართველი ვაჟი, დუღაბი კერიის ანგელოზისა
და დედაბოძის სიმყარე შვილები მათმიერისა,
ქართული არსის ზეობა ოჯახი ღვთისნიერისა.
"თურაშაულის პატრონი
ტყეში ეძებდა პანტასა"
ალბათ ჩვენზეა ნათქვამი
ვქექავთ " უცხოსა" ნაცარსა,
ამ ისტორიის პატრონნი
ვაციებთ თვისსა ღადარსა

* * *

ჭაღარა კულულები შუბლზე დაგფენია,
ნაოჭებს დაუფარავს ყელი ბროლისფერი,
შენს თვალებს ტრფობა ისევ აფენია,
ტუჩებიც ანდამატი, ისევ ძოწისფერი.
რა დრო გასულა, ჩუმად გაპარულა,
ეპოქა სიყვარულის, სავსე, თვალნათელი,
გულში მონატრება ისევ შეპარულა,
როგორც კანდელის წმინდა ათინათი.
გახსოვს? გკითხავენ თვალები
თაფლისფერი,
ის დრო, ის კოცნა, გრძნობა სანატრელი,
ტუჩები მთრთოლვარე, ღაწვი ვარდისფერი,
თვალები მოციმციმე, მზერა თვალნათელი...
დღეს შემთხვევით შევხვდით,
დრომ ისევ ამიწვა ტრფობის იარა,
სიყვარულისთვის ისევ ღალას ვიხდით,
.. და გაგვახსენდა...დრომ კი გაიარა.
დრომ უშენობა კრძალვით მაპატია,
გულში კი იარა, ტკივილი, აპათია,
და როცა შეგხვდები
თავს ისევ დაგიხრი,
რითაც დრომ დამსაჯა ასაკმა მაპატია.

სიყვარული

მითხარით, სიყვარული როგორია?
როგორია მისი გულის ხვაშიადი?
იქნებ სულის უწმინდესი თაბორია,
ანდა იქნებ ჯერ უცნობი კაეშანი.
შენ მითხარი, მისი მზერა როგორია?
მწყაზარ თვალნი წყლიანი და ვნებიანი?
გონებაში ყველაფერი ამერია,
გულში მიკრავს ნეტარება სევდიანი.
იცი, ერთი გოგო შემიყვარდა...
გულზე მადევს ბედისწერის ამულეტი,
სიყვარული იქნებ მართლა ლამაპარია,
მზის სხივებში არეკლილი სილუეტი.
მენატრება მისი ხმა და მისი სახე,
მისი ტანი და ტუჩები ძოწისფერი,
სულში მიმზერს მისი მზერა თაფლისფერი,
აი ეხლაც მე ჩემს ნატვრას შეგიციცინებ
მავიწყდება,
მავიწყდება ყველაფერი...

მაშ მითხარით სიყვარული როგორია?
იქნებ მზეა თუ უცნობი კაეშანი.

დედის მკერდში შეყუჟული სავანე
და სიცოცხლის კურთხეული მანა,
უკვდავების თვალხილული ზღაპარი,
სიყვარულის ღვთაებრივი ხანა.

ანგელოსი ბავშვის ხმაში ღუღუნებს,
პაწაწინა ხელი დედას ისევ ეძებს,
დედის მკერდში ეძებს ჩვილი ხსნას,
იავნანას დედა ჩუმათ დუდუნებს,
აკვანს არწევს, შვილს ევლება თავს...
„დედა“
„აღუუ“
და კისკისი
ცის გახსნასა ჰგავს.

(თეთრი ლექსი)

ნეტავ რად ირჩევს
სულით სავსე ადამიანი,
გონება დაცლილს,
ნამუს გაცლილს,
რომ მიანდოს
თვისი ზნეობა?
და სიდუხჭირე გონებრივი
არა ალაგმოს...
თვითონ გახდეს
სიცარიელის ვნებით სავსე
ფუჭი ჭურჭელი?
სასწორის პინზე
მედიდურდ დგას დღეს უმეცრება,
გონიერება ვერა სწონის
მის სიდიადეს,
ყოველი ფასით იყიდება დღეს
მრუშის დამღა
ფასი არა აქვს
ფასი არა აქვს
დღეს სიდიადეს,
გამკვირვებია,
შენგან ძმაო,
გამკვირვებია,
მდაბალ თაყვანს რომ
მიაგებ სულცარიელ ამაოებას,
თავაწეული
სხვისი სიტყვის ხელის შემყურე
ცარიელ ტრიუმფს
ღირსეულად რომ ეგებები.
ჰეი დახლიდარო ნამუსი იყიდება?
დახლს ქვევით სინდისი კვნესის,
ფასი? გაჰყიდე რამდენად გეკიდება...
ფეხებზე კაცობის წესი.

დედებს

ქართველ ქალზე ლეგენდად თქმულს
მუხლმოდრეკით თაყვანს ვცემდი,
დედას იგავ მიუწვდომელს,
შვილის პირველ ფიცს და ზენას,
საქართველოს ჭირისუფალს,
შევავედრებ უფლის ნებას.
ალავერდის მადლი მირონს,
სულს წიაღში ჩაუწვნია,
იავნანა იგალობა,
შვილს აკვანი დაურწია,
განა ვინმეს ჭორად უთქვამს,
კაფიად ან სიტყვა ქორად,
სამშობლოსთვის ვინც ჯვარს ეცვა,
დედის ლოცვა ომში წასულს
ქართველ ვაჟკაცს აბჯრად ეცვა,
და დღეს როცა ჭილ-ყვავები,
ქართველების გულებს ფხრეწენ,
ისევ დედის დავანებით
იქ ედემში ჩვენს ბედს წერენ
...
აგერ პატარა გოგნამ,
თოჯინა დაარწიაო,
დედად მიცნიხარ ასულო
მზემ კოცნა დაგაწიაო.

* * *

დედის მკერდში შეყუჟული სავანე
და სიცოცხლის კურთხეული მანა,
უკვდავების თვალხილული ზღაპარი,
სიყვარულის ღვთაებრივი ხანა.
ანგელოსი ბავშვის ხმაში ღუღუნებს,
პაწაწინა ხელი დედას ისევ ეძებს,
დედის მკერდში ეძებს ჩვილი ხსნას,
იავნანას დედა ჩუმათ დუდუნებს,
აკვანს არწევს, შვილს ევლება თავს...
„დედა“
„აღუუ“
და კისკისი
ცის გახსნასა ჰგავს.

* * *

ჭაბუკის საფლავს თავს ევლება დედა მშობელი,
მამას ცრემლი სდის, მიწას აწვიმს შეუშრობელი.
უშთამომავლოდ დაცემული ვაჟის საფლავთან
როგორც გულის თქმა სევდა ენთო ჩაუქრობელი.
„შვილი მაინც დაგრჩენოდა აწმყოს მშობელი,
შენი გულისთქმა, ნერგი ნორჩი სწორუპოვარი“
ფიქრობდა მამა,
 არც ვინმე ჩანდა მუხლმოყრილის შვების მომგვრელი.
გვეყო მამებო, იარაღი ჯერ ჩვენ ავიღოთ,
გულისა ბოღმა დავანთხიოთ მტერზე, მომხდურზე,
ჯერ ჩვენ ვიომოთ, გულის ჯავრით სისხლი ავიღოთ
და თუ დავეცეთ აქ შევხვდებით სასფლაოზე,
შთამომავლობას ხომ დავტოვებთ ღმერთია მოწმე,
ვალმოხდილები მაინც წავალთ იმ ქვეყანაზე.

* * *

იცი, რაღაც უცნაურად შემიყვარდი,
მონატრებაც უთავბოლოდ მტანჯავს,
შენზე ფიქრი, ჩემი ტკბილი დარდი,
შენი სახე ოცნებებად მხარჯავს.
მე არ ვიცი თუ რა მიყვარს შენში,
არც ის ვიცი როგორ მომენატრო,
ორჯერ შევხვდით თავაწყვეტილ ლხინში,
ქალი გნახე, ქალი სანეტარო...
იცი, ფიქრში ჩემს მკლავზედა წევხარ,
შენი თმები მკერდზე მაფენია,
გიყურებ და ანგელოზსა ჰგევხარ,
შენი მკერდი ვნებად ანმთებია.
ეს რა უცნაურად შემიყვარდი...
ფიქრად ფიქრი შენით დანმთებია,
დღეს შენა ხარ ჩემი ტკბილი დარდი,
სიყვარულის ეს ნათელი ალი,
შენზე ნატვრით გულში ამთებია...
ეს რა უცნაურად შემიყვარდი ქალო...

მშვენიერ ქალს

მთვარიან ღამეს,
მთვარის ტახტზე,
სუფრას გაგიშლი,
ღვინოს დაგისხავ,
ლოთიანად
გულს გადაგიშლი,
მკერდში ჩაგიკრავ,
გაკოცებ და
ნერვებს ავიშლი,
დალალს დაგიშლი,
ამბორს ჩაგიწნავ
და ვნებებს ავიშლი,
აღარ დავიშლი...
ბედნიერების აგიგებ ოდას
მინდვრის ყვავილებს ფეხქვეშ გაგიფენ
გულის სიმებით გიმღერებ ოდას
და ჩემს სიყვარულს გულზე დაგიფენ...
მთვარიან ღამეს,
მთვარის ტახტზე
სუფრას გაგიშლი,
ღვინოს დაგისხავ,
გაკოცებ და
გულს გადაგიშლი.

დრომ დროში იდროვა დროება,
საათიც წუთებში გაწამდა,
სიცოცხლე– დღეების ღრეობა,
" ყოფნაც" თავის დროს ივლიდა.

როგორც მირაჟები,წარსულის ხილვები,
ფიქრში ფორიაქობს ჩემი ნაფიქრალი,
დამთავრდა ზმანების წარსული დღეები
ვინა ვარ? რა მინდა? ჩემი საფიქრალი.

არც წიქარა ვარ ბჭეებს შევერკინო,
არც გმირი ვინმე დევებთან მებრძოლი,
დონკი ხოტივით ვებრძოდი წისქვილებს,
"მიწაზე" მელოდა მე ბედთან ჭიდილი.

სიცოცხლის სცენაზე " დრო" დგავს პიესას,
სხვაგვარად ანთია რამპის ჩირაღდნები,
"სპექტაკლს" ვუმზერ და გულში იმედს თესავს,
ახლიდან იბადება ცხოვრების ქარაგმები.

დრომ დროში იდროვა დროება,
საათიც წუთებში გაწამდა,
ვიდრე " ვართ" არ გვინდა მოთქმა და გოდება,
გვწამდეს უფალის ისე როგორც გვწამდა,
ჩვენ ერს დაუბრუნოთ მადლი და დიდება.

* * *

გულს არ ვაკარებ ასაკის ჭმუნვას,
ვმხნეობ და ვხარობ როგორც ჯეელი,
ყურსაც კი უგდებ დიაცის სუნთქვას,
და ისევ ვღელავ როგორც ჯეჯილი.
მაგრამ მახსენებს დრო სათაყვანო,
ჩემი დროშები ფრიალში გაცვდა,
ალბათ აჯობებს დროს ვეთაყვანო
კრძალვით მივიღო მომავლის განცდა.

სულით მხნედა ვარ და თვალიც მიჭრის,
გულსაც შევძახებ „არ მეშინია“
ყოველი დღე ხომ სიცოცხლეს მაჭრის
სიკვდილის არა ...
მარტოობის კი...
ქვეყნად არ ყოფნის მეც მეშინია.

* * *

აგრე უკვე ორმოცდა ათს გადავცდი,
ცხოვრების გზა მაღლა უკვე ავლიე,
ჩემი დარდი და ოცნება გულში მაქვს,
იმედი კი გულში ვერ გამოვლიე,
ბევრი შხამი და სამსალა დავლიე,
ბევრი წყენა სულში დაღად მაჩნია,
რა ვქნა ძმაო მტრობა ვეღარ ვიკადრე,
არც ვინმესი შური არ გამაჩნია,
ჩემი მქონდა,
რაცა მქონდა,
თავი იმით გამქონდა,
ბედთან ჩივილს არ ვიკადრებ ოდესმე.
სადაც ვიყავ კახეთში თუ რაჭაში,
შოვის ტყეში, შაორზე თუ რიონზე,
ბარაკონის ხატთან გულით ვილოცე,
ნიკორმინდას დავიფიცე მირონზე,
იქ კახეთში გულის ძალამ იმატა,
ალაზანში ცოდვა ჩამოვიბანე,
ნინოს ჯვარი ბოდბეს მირონს აფრქვევდა,
აქ ნეკრესი უფლის თანამესაყდრე,
ალავერდში ღვინით სავსე ფიალა,
იყალთოში ცოდნა უფლის ზიარად,
გრემის გრგვინვა იმედად და ფხიანდ...
ასე ვცხოვობ, ძმებო ასე ვიცხოვრე,
ბოღმა, შური არ მქონია ულუფად,
არც ვინმესი ვერცხლი არ მინატრია,
არც ოქროზე თვალი არ დამრჩენია,
აგერ უკვე შუა ასაკს გადავცდი,
იქნებ ხვალე მომიკითხოს სიკვდილმა,
მაგრამ მთვრალი აბა სად წამსვლელი ვარ?
სიკვდილისთვის მე ჯერ არ მცალია,
იქ ლომებთან ვტოლიბაშობ, ვთამამობ.
არწივებთან ვახტანგურად დავთვრები,
აგერ ქედნბს დავერევი...და
ვნების ცეცხლში გავთბები,
ასე ვცხოვრობ,
ასე ვხარჯავ სიცოცხლეს,
ალბათ ვიღაც დამიწუნებს საქციელს...
მერე რა თუ ნატვრის თვალი არა მაქვს?
კაცი ვარ და ჩემი ლელოც მე გამაქვს...
„ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე
ნახევარი კიდევ გასავლელი მაქვს“

* * *

იცი როგორ მხიბლავს,
როცა ბრაზობს ქალი,
როცა შეჰყრის კოპებს,
თვალს უღვივის ალი,
გეჩხუბება, მოიოხებს გულს
და გაბუტული აგიბრუცავს ტუჩებს,
მისი ცრემლიც დაგისველებს სულს
და სიბრაზეს უცბათ გაგიყუჩებს,
შერიგებაც ისევ შენგან უნდა,
დამნაშავე იყოს რაც არ უნდა,
ჩემი გულის ეს უმანკო გუნდა,
რა ჰქნას? ქალია და სიამაყე უნდა.
მერე გიმზერს მგზენებარებით ქალი,
აზეიმე გამარჯვების წამი
და დამარცხების დაიტოვე ჩქამი,
გიმზერს თმენით, გიმზერს გამომცდელად,
ტუჩის ბოლოს უთამშებს ხალი,
თვალინი კრთიან ვენბადაუცლელად,
გულში ბორგავს მგზნებარების ალი,
ტუჩის კუთხეს თუ ჩაუწნავ ბაგეს,
წელწვრილ წელზე თუ მოჰხვიე ხელი,
უცბათ იგრძნობ მის მხურვალე კოცნას
და სიყვარულს, ნეტავ სხვას რას ელი?

იცი, როგორ მხიბლავს
როცა ბრაზობს ქალი?
ვიცი რომ ახლოა ნეტარების წამი...

ლექსის მდუმარება

აკორდში იმალება,
სიმებიც ცოცხლდებიან თანდათან,
თითები გრძნობის სიმებს
სათუთად ეხებიან,
ცრებლებიც ასველებენ ხანდახან,
როცა ქალი მღერის
მუზებიც დუმდებიან,
ვნებები შლეგდებიან,
ბგერები იბნევიან ქარდაქარ,
მუსიკის ხვაშიადი
ზევსაც დააჩოქებს,
ამურსაც არონიებს კარდაკარ,
მე მიყვარს ეს სიმღერა,
მე მიყვარს ის ლექსიც,
და თქვენი მუსიკის ჰარმონია,
კაშკაშებს ამონია,
სულიც გითრდოლდება თანდათან,
კედლებს ეხეთქება
გრძნობების სურნელი,
ქალის სურნელის აპოგეა,
მე მიყვარს თქვენი ლექსი...
და თქვენი სიმღერა...
და თქვენც მესიზმრებით ხანდახან.

* * *

ვინმეს უნახავს წყევლა უვნებელი?
და თუ გიხილავთ ლოცვა ურგებელი?
უთქვამს წინაპარს:
ხმა, შეძახილმა ხე გაახმოსო...
ისიცა თქმულა: დედამ დამლოცა გზად
მიმავალი,
ზეციდან კიდევ ღმერთი მფარავსო...
არ მეცინება, უბრალოდ ვფიქრობ,
ნუთუ ძნელია რომ ჰქნა სიკეთე?
მხოლოდ მარტივად,
სულ ერთი წამით,
სხვას რომ პირჯვარი თავს გადასახო,
და ნურც დაწყევლი, ავს ნუ უსურებ,
ბუმერანგივით ბრუნდება ავი.
ლოცვისას როცა ხატებს უყურებ,
ფიქრობ, აუგთან დაგიდევს ზავი?
არა ძმობილო, თავს ნუ იტყუებ,
ეკლესიაში მორჩილად მდგარი,
თუ კი გონება და ფიქრი შენი
სხვისი მხილების გზაზე დამდგარი,
სათნოს ვერ ხედავს,
და ვერც სიმართლეს,
რისთვის დაღალე აქ მოსვლით თავი?
იქნებ აჯობოს, იქნებ ვაჯობოთ,
ჯერ საკუთარ თავს და მერე ვნებას,
ჯერ სხვა დალოცე,
ავს ნუ უსურვებ,
და შენი ყოფაც სათნო გახდება.

მირზა ვარძუკაშვილი – მშენებელი
დაბადების ადგილი – დაბა სტეფანწმინდა

* * *

ეხ კაცო ქვეყნად მოსულო,
იხილე ცაზე მზის ფერი.
რაც დედამიწას წონა აქვს,
საფიქრალი გაქვს იმდენი.

სიყვარულია ამ ქვეყნად
მხოლოდა სწორი გზის მკვლევი.
უღმერთო კაცი ეშმაკთან,
რჩება სულ ხორცით შიშველი.

შექმნილხარ თიხის გულისგან,
იცხოვრე უფლის იმედით.
დაცემულს თუ მხარს შეუდგამ,
ადამიანი იქნები.

ტანჯვაა სწორი ცხოვრება,
ამას გზა და გზა მიხვდები.
გოლგოთას ვერვინ გაივლის,
სულში მზაკვრული მიზნებით.

ხომ ხედავ რამდენი რამ გაქვს,
გასააზრები წინსწრებით.
ადამიანად იცხოვრე,
ბოლოს ღმერთთან ვართ მიმსვლელი.

* * *

ისეთ ხალხს უნდა ერიდო მუდამ,
ვისაც სულისთვის არ მოაქვს საზრდო.
ასეთი ხალხი ისეა როგორც,
გახრწნილი ვაშლი საღ ვაშლს რომ ალპობს.

უნდა გასცილდე სწორ თუ გსურს ყოფა,
ასეთთან კაცი მართალიც წვალობს.
ისე არიან როგორც მაჭარი,
დადუღებამდეც შესვამ და გათრობს.

ასეთას ხალხში ყოფნას სჯობია,
იცხოვრო სადმე ჯურღმულში მარტომ.
ეცადე ისეთს არ გაეკარო,
ვინაც ჭეშმარიტ სიყვარულს არ ცნობს.

წადი ილოცე იშრომე გაეც,
თუ გინდა ღმერთთან რომ იყო ახლოს.
სულის მტანჯველი წაგიყვანს იქეთ,
ქვესკნელში სადაც ეშმაკი სახლობს..

მლიქვნელ კაცს უნდა ერიდო მუდამ,
არცა სთქვა სიტყვა ისეთი აქო.
გაშორდი ასეთს ვერ გაასწორებ,
მითხარით ვინმემ თუ ტყუილს ვამბობ.

* * *

ამპარტავნება რას გავს თუ იცი?
ძმაო ვიცი და გეტყვი მადროვე.
ხეს ჰგავს თებერვლის აყვავილებულს,
მიმზიდველობით სულ რომ გაოცებს.

სულ რომ ყვავილობს ყოველ გაზაფხულს,
მაგრამ ნაყოფს კი არას გამოსცემს.
აი ასეა ამპარტავნება,
ცოდვისას აჩენს სულში ნაოჭებს.

* * *

ეხ თავო ჩემო სად არ ნამყოფო,
რა არ გინახავს რა არ გსმენია.
რამდენჯერ ღამე განაწამებო,
თვალზე ცრემლები ჩამაგდენია.

რამდენ უღმერთოს შეხვდი საწყალო,
წინ წამსვლელს უკან დაგიხევია.
რამდენი სხვისი ტანჯვის მტვირთველო,
დარდით რა ღამე გაგითევია.

თავად ცხოვრება გაწამებულო,
სხვისთვის სიკეთით გაგიკვლევია.
რამდენ გზად დაღლილს მხარში შეუდექ,
თავად არცერთხელ დაგისვენია.

რამდენ ურწმუნოს არწმუნე ღმერთი,
შენ ხარ ვენახი წაგიმღერია.
დაუძლურებულს ლექსები პურად,
გზად მშიერიერისთვის შეგიჭმევია.

ეხ თავო ჩემო რა არ გინახავს,
ღალატით კვდომა სხვა რამ სენია.
არ დავარდნილხარ მაინც ხომ გიყვარს,
სიყვარული კი თავად ღმერთია.

* * *

მე ერთი იფქლის ჩენჩოთაგანი,
მივსდევარ სიტყვის მარცვალთ საფქვავზე.
მე ფქვილს თუ გავჰყევ საცერზე აცრილს,
ალბათ ლექსების პურად ვივარგებ.

ჯერეთ შორია ჩემ პოეტობა,
მძლივს ვაბავ ქართულს სიტყვას სიტყვაზე.
ჯერთ ბეღელში ვარ დასაკვირვებლად,
თუ გამოვდგები სტროფთა რითმვაზე.

თუ შევეჩვიე სიცხეს ლექსების,
ძირს მგონებ ალბათ მეც გამიმარგლვენ.
თუ მოვიწიე საპურედ ლექსთა,
მადლობა ღმერთო ეს შენ მიმმადლე.

მე ლექსთა იფქლის მარცვალთაგანი,
პოეზიისთვის თუ კი ვიხარებ.
მადლობა ყველას უმცირესთაგანს,
სტროფთა ყანებში მეც თუ მიმაბნევთ.

* * *

თუ მწვერვალისკენ მიმავალს,
სიმდაბლე მეტად არ გხიბლავს.
ფუჭია ის გზა სავალი,
რა რჩეულ გზითაც ასდიხარ.

თუ იმ ადგილმა დაგთრგუნა,
სადაც იყავი წასვლის ჟამს.
რაღა აზრი აქვს მითხარით,
მწვერვალზე ყოფნას კაცისა?

ზემოთ მიმავალს გახსოვდეს,
რომ მსახურიხარ ხალხისა.
ეს თუ არ იცი გესმოდეს,
ვერ ჰპოვებ იქ შენ ადგილსა.

წვერსაც სწყდებიან ლოდები,
ჩადიან ხევის ნაპირსა.
ეს პროცესია ბუნების,
ტრიალი ცოდვა მადლისა.

* * *

ისე ვარ როგორც გამაგრებულ საზღვართან მდგარი,
ერთი დევნილი გადამრჩალი ომის ქარიშხლებს.
თავშესაფრისთვის გასვლას ვლამობ ცოდვის ხლართებში,
მაგრამ ვერ ვსცდები უტანჯველად საზღვრის ნაპირებს.

მივდივარ ისიც კი არ ვიცი იქ რა დამხვდება,
მივიწევ მაინც გზის რჩევასაც არას დაგიდევ.
ბევრად სჯობია წუთისოფლის ლტოლვილად ყოფნას,
იქ სადაც მივალ სხვა თუ ვერვინ ღმერთი გამიგებს.

მივალ მივიწევ გადალახვა მინდა საზღვარის,
ფიქრთა ჯარებმა გზა სავალი თუ კი დამითმეს.
მაგრამ დღეს თუ არ ხვალე მაინც იქ უნდა ვიყო,
ლოცვით და შრომით სადაც სული ტაძარს აიგებს.

აზრთა ხუნდები მამძიმებენ მიჭირს სავალი,
გული გონება ვიცი მაინც არ დაისვენებს.
გადასალახავს გადავლახავ ვიცი შორია,
მაგრამ გზის ბოლოს სავანეა ეს მაიმედებს.

* * *

ძმობის ღალატმა ჩემში მყოფი პატარა ღმერთი,
კინაღამ გარეთ გულის გარეთ გამომისახლა.
წლები დამჭირდა უფლის უკან დასაბრუნებლად,
დამიბრუნდა და სულის წვიმამ გამოიდარა.

ახლა არავის თითქმის არვის ვახედებ სულში,
მაშინებს უკვე უცებ ისევ დაზამთრებისა.
მივერეკები ჩემს ფიქრებს და გონებას ღვთისკენ,
რომ განსაცდელი ღირსეულად დამაძლევინას.

სულ მთლად დამბრმალმა მოვიხედე გულის თვალებით,
აღარ მსურს ნათლის უცაბედად ჩამოღამება.
ფხიზელი ლოცვით მივუყვები აღმართს ნელი სვლით,
სიცოცხლის ბოლოს ღვთის წინაშე გამომადგება.

ძმობით ღალატმა ჩემში მყოფი იმედის სხივი,
კინაღამ თავის ზნედაცემით დამაკარგვინა.
ღმერთმა უკანვე დამაბრუნა უძღებ შვილივით,
და სალაფავის მირთმევისგან გადამარჩინა.

* * *

როდის სტუმრობენ ადამიანს ლექსთა მუზები?
მაშინ როდესაც იგი არის ფიქრებთან კენტად.
სულიერების უმაღლესი ეღვრება მადლი,
ცა იხსნება და ის საუბრობს სტროფებით ღმერთთან

მაშინ გამოდის პოეტები ყოფილან ხალხი,
ზეცით მონაბერს ავრცელებენ სიბრძნეებს ლექსად.
ასეა ასე მეგობარო მაგათი ბედი,
ღმერთი სამშობლო პოეტები გალობენ ერთხმად.

* * *

გულზე რამდენი მწოლია,
მე სულ გზად ვეძებ სიმართლეს.
რამდენ თავს ძალა დამადგა,
სულ ჩემებიდან ვიტანჯე.

დავსწერო რაღა დავსწერო,
რა იყო გუშინ წინა დღეს.
ყოველდღე სიკვდილს ვეყრები,
სიკვდილს ჩემ სულს რომ მინათებს.

გადავეყრები ერთ დღესაც,
სიკვდილს სამწყემსოს მივართმევ.
ვაი ჩემებს ვინაც ვერ იცნო,
ამ ჩემი სიტყვის სიმართლე.

* * *

სიხარულისთვის ამ ქვეყნად,
ზოგს ჰკმაობს ძაან მცირედი.
ბევრს სიცოცხლეც რომ შესწირო,
დარჩება განაწბილები.

რა არის კაცის ბუნება,
სულ ტირის ხვალის იმედით.
დღევანდელისთვის მადლობის,
არაა ღვთისთვის მწირველი.

მადლიერების შეგრძნება,
გამომხატველი ხვთის ნების.
ეს სულის მარგალიტია,
ბრმისთვის მნახველი მზის თვლების.

* * *

მთვარე ანთია მყინვართან,
როგრც ტაძარში სანთელი.
მყინვარი უფალს ავედრებს,
ქართველს არ ჰყავდეს მტანჯველი.

სამშობლოს მთაველთა გუნდის,
ისმის გალობის ჰანგები.
ცაზე ღრუბლებიც მოქუჩდნენ,
ბერი კლდის ნაქადაგებით.

ზეცა საღამოს მწუხრისა,
ბუნების ლოცვის თანმხლები.
ღამის მნათობნი ვარსკვლავნი,
მსმენელნი ვითარცა მრევლი.

ხვთიური ლოცვა ვედრება,
სავედრებელი ქართველი.
ცდილობენ მწუხრის ლოცვითა,
წყვდიადს მოჰფინონ ნათელი.

* * *

მთვარეს ხომ ხედავ შუქჩრდილები ტანს რომ უმშვენებს?
ეს სამოსია სამორჩილე ცისთვის მთვარისა.
ცა მოძღვარია მთვარე მონა ერთი ცოდვილი,
კურთხევად ერგო სალოცავი მწუხრი ღამისა.

ასე ჰმორჩილებს მერამდენე საუკუნეა,
არ გადასულა ცის კურთხევას ჯერაც არც ერთხელ.
სააღმსარებლოდ ცისკარს ელის მზით ზიარებას,
მერე კი შედის კელიაში ნაშენებს კლდეზე.

მთვარის შუქჩრდილებს ტანზე რომ აქვს ხომ ხედავ ძმაო,
ეს ჭილოფი აქ სამორჩილე მოსხმული მხრებზე.
ხომ ხედავ სიბრძნეს თავმდაბლობას ღამის მნათობის,
ისიც კი ზრუნავს სულისათვის სასუფეველზე.

* * *

წუთისოფლიდან იმ ქვეყნამდე რაა მანძილი,
არც ისე შორი მე თუ მკითხავ ასე მგონია.
სულით ისედაც ღმერთს ეკუთვნი თუ მას განიცდი,
ლეში კი რაა სიცოცხლეშიც ლეში მძორია.

მუდამ გახსოვდეს იმიერი ცოცხალს ამ ქვეყნად,
მანძილი არის დაღამებით გათენებამდე.
როგორაც მიწა ცისას შესცქერს მადლმოსილებას,
ასეა კაცთა სული ღვთისა ხორცის სამარე,

აი მანძილი წუთის სოფლად წამია კაცის,
ხორცი ისედაც სიცოცხლეში ცოდვის გვამია.
გარდაცვალება სულ გახსოვდეს ადამიანო,
რომ იგალობოს სულმა ღმერთთან ავე მარია.

* * *

ნეტა ღმერთო რა ცხოვრება გავიარე,
ეს რა იყო სიზმარი თუ ცხადი ნეტავ.
უიღბლობა თან რად სდევდა ჩემს ნაკვალევს,
ან სიყვარულს რას ერჩოდა ვინმე ჩემსას?

განა ზეცას თუ ვეწვიე უგრძნობელი,
ალალად ხომ ვიარსებე გრძნობით კენტად.
მე ვარ ერთი საოცრება ქვეყანაზე,
ვინც ჭეშმარიტ სიყვარულით უმზერს ზეცას.

ასე ვიყავ დღესაც ჩემთვის ასე ვფიქრობ,
რომ ახლოს ვარ ასე მგონებ უფრო ბრძენთან.
მიყვარხარო მე რა გითხრათ ამის მეტი,
ჩემსას გეტყვი ჩემ სიყვარულს ნათქვამს ღმერთთან.

* * *

ნუთუ ისე ვერ ვიცხოვრე ღმერთო,
რომ არ გავხდი სიყვარულის ღირსი.
ნება შენი აღესრულოს მუდამ,
შენ ხარ ყოვლის შემოქმედი ვიცი.

არა ვჯავრობ ამ ქვეყნიურს არას,
მხოლოდ ჩემი ცოდვებისთვის ვტირი.
ბოროტება არ მდებია გულად,
მარტო სიყვარულისათვის ვიღწვი.

ღმერთო იქნებ მეც შემინდო ქვეყნად,
ყველა ცოდვა ჩემი შენ ხომ იცი.
არაფერი არ მდომია გარდა,
ეცნოთ ჩემი სიყვარულის ნიჭი.

არაფერი აღარ მიკვირს ახლა,
ვერაფერი ვერ გავიგე სხვისი.
ახლა მარტოს გავუყვები სავალს,
უფლისაკენ ლოცვით ვიწრო ბილიკს.

* * *

აქ ვინც დიდებას ეძიებს,
დიდება მათზე დიდია.
ვინც ხალხს კეთილად მსახურობს,
ის ღმერის მარგალიტია.

ვისაც პატივში ყოფნა სურს,
ის ორპირი და ფლიდია.
ვინც იცის სიჩუმის ფასი,
მან იცის ეს რომ ნიჭია.

ჭეშმარიტებას ვინაც სცნობს,
ის მართლა უფლის შვილია.
მან იცის რისთვის შეიქმნა,
და ხატად სულით ვისია.

* * *

გული რომელიც ლოცვებად თვლის
ფსკვნილივით რითმებს,
სადაცა ცოცხლობს საქართველო როგორც მშობელი.
ის უკვდავია ასე ვფიქრობ დედამიწაზე,
იგია საღვთო მარგალიტის სულით მფლობელი.

მას არცრა უნდა თუნდა იყოს ქვეყნად ჩვარ ძონძში,
მხოლოდ სამშობლომ იყვავილოს როგორც ედემმა.
თავსაც შესწირავს მისი მშობლის უკვდავებისთვის,
იხაროს მხოლოდ საქართველომ ჯანით ბებერმა.

* * *

ოხ რა ძნელია რომ გიხდება პაპისეულის,
სახლის და ეზოს დახავსება გაყამირება.
წასვლა იქიდან სადაც ენა ფეხი აიდგი,
და ემიგრანტად სხვისი დარდის გათავისება.

ძნელია ძნელი ძალზე რთული ატანა ღამის,
იმ ღამის სადაც თვალებს რული არ ეკიდება.
შემოგიკეთებს მონატრება იმ ეზო კარის,
და უძილობით გადაღლილ თვალს შაეტირება.

დილა თენდება პაპისეულ ეზოში ისე,
აღარც ბავშვის ხმა ქვევრში ღვინოც აღარ ისხმება.
სხვის სატკივართან შეგუებულს სხვა ქვეყანაში,
შენი სულ ბოლო დაბრუნების იმედიც კვდება.

ოხ რა ძნელია დატოვება პაპის სახლ კარის,
სხვაგან დარჩენილს მონატრებით ძვლებიც კი დნება.
ნუ მიატოვებთ უმეტყველოდ იმ კარმიდამოს,
სადაც ბავშვობის ზრდასრულობის ზეცა გიმზერდა.

არაფერია ასატანად ამაზე მძიმე,
იცი რომ შენი იქ არ ყოფნით წარსული ქრება.
სხვის სატკივართან გინდა არა ძალით შეჩვეულს,
მონატრებისგან ყელს მხოლოდღა ყვირილი ხდება.

* * *

თუ რამ სიკეთე მომმადლე ღმერთო,
ყველაფრისათვის ვარ მადლობელი.
რაც განსაცდელი ვერ გადვიტანე,
ვარ უღირსთაგან აქ მახლობელი.

მადლობა ღმერთო სიყვარულისთვის,
რაც რომა გულის გამათბობელი.
თიხის ტაძარში სანთლად ამინთე,
სული უკვდავად მანათობელი.

თუ რამ მაქვს ქვეყნად სიკეთე ღმერთო,
შენით ვარ რაც ვარ აქა მყოფელი.
წუთის სოფლისგან მარიდე ღმერთო,
საქმე სულისა დამამხობელი.

* * *

წვიმს ეს სექტემბერი გადირია,
ელვა მგზავრს უნათებს გზას მიმავალს.
მგზავრიც მიაბიჯებს დაბნეული,
არც გრძნობს სიყვარულით
გულის დაღლას.

ან კი საკვირველი აქ რა არის,
წვიმა სექტემბერს ხომ სულ თან ახლავს.
წვიმა ცრემლებია სექტემბერის,
ოქტომბრის რომ ნატრობს გულით ნახვას.

როგორ იცრემლება სექტემბერი,
ნეტა შევსძლებ აიმ მთის გადავლას.
ქალავ უშენობით დავიღალე,
შენზე ფიქრით სევდამ გადამღალა.

წვიმს ცაც ჩამოიქცა ამ სექტემბრის
ღრუბელთაც კი იგრძნეს ნისლთა ძალა.
ნეტა ჩემო ტურფა ქალბატონო,
რამ გაფიქრებინა ჩემგან წასვლა.

* * *

მადლობა ღმერთო დღევანდელი მზის სხივებისთვის,
ისევ რომ გვათბობ იმედით და აისის მოსვლით.
ვინც ვერ მოესწრო დღეს მზის მოსვლას ნათელი ყველას,
და დამკვიდრება სასუფევლის მათ სულებს ლოცვით.

გმადლობ უფალო დღევანდელი საქართველოსთვის,
კიდევ რომ გვაძლევ შვილთა მისთა შანსს დედის მოვლის.
მადლობა ღმერთო დღევანდელს რომ მოგვასწარ დილას,
და შენი მადლით ისევ თუ ვართ სიკეთის მდომნი.

გმადლობ უფალო რომ დღეს მქვია თავად ქართველი,
და ის რომ ვიცი შენივ ნებით მე ფასი მშობლის.
შენ დაგვიფარე კაცთა მოდგმა ბოროტისაგან,
და მოგვეც ძალა სიყვარულის ჭეშმარიტ ცნობის.

გმადლობ უფალო ტკივილისთვის გამოსაცდელად,
სული იწრთობა განსაცდელში ადამის მოდგმის.
მადლობა ღმერთო ქვეყანაზე ყველაფრისათვის,
ღმერთო გვილხინე უგნურება ყველას ჩვენ ცოდვილთ.

სიკეთის ხელი გამოწვდილი არ გაგვემეტოს,
ჯვარზე საცმელად სიყვარული ჩვენივე მოძმის.
მოგვმადლე ღმერთო სულ წრფელობა გულ კეთილობა,
მადლიერება ყველაფრისთვის შენდამი გრძნობით.

* * *

ვინ ვარ მე ქალო უშენოდ,
უჩემოდ ან შენ რას იზამ?
სიცოცხლე უსიყვარულოდ,
არ იცხოვრება მარტივად.

ვერც შენ იხილავ ცის კიდეს,
ღმერთმადე მარტო რას მიხვალ?
მაგ შენი თვალთა ფერებით,
ძარღვებში სისხლად დასდიხარ.

შენ არ ჰგრძნობ გულის ტაძარში,
საღმრთო სანთელად ანთიხარ.
მოდი შენ ჩემო სიცოცხლევ,
სულით ღმერთამდე აგიყვან.

ვინა ვართ უერთმანერთოდ,
შექმნილი თიხა და მიწა.
სულით თუ ჩემო არას ჰგრძნობ,
გულ სისხლს მოგართმევ ბარძიმად

* * *

ღამე გატეხა მგლისფრად ცისკარმა,
შემოდგომისფრად ქარი ნავარდობს.
გადუღეღიათ გულმკერდი კლდეთა,
როგორც ბრძოლაში დაჭრილ ავადმყოფს.

აჭრელებულან ტყეთა ფოთოლნი,
ჭალის ნიავი მათთან ნავარდობს.
წყარო კლდის ძირში ამღერებული,
ყვავილთ სიყვარულს გულით არა სთმობს.

ნისლთა ქულები აქა იქ წვანან,
ცისკრის ვარსკვლავთან მთვარე თამადობს.
იწევს ნელ ნელა მთას ალიონი,
კალმახი თერგის ჩქერში თამაშობს.

მყინვარს სამების ზარის ხმა ესმის,
ახსენებს ცისკრის ჟამს საარაკოს.
უკან გაბრუნდა ხევიდან ნისლი,
ცავ ლურჯო დასჩნდი ქართველთ ზღაპარო.

მიწავ ცოდვებით დახავსებულო...

მიწავ ცოდვებით დახავსებილო
მდუმარებაში ნათევო ღამევ.
შენ უკვდავებავ დავანებულო,
თიხის ტაძარში სულო ვით მნათე.

შენ კი დრო ჟამო გაავებულო,
ვნებათ ამშლელო ფიქრებო მწარევ.
ჭეშმარიტების შემცნობო გულო,
და სიყვარულის დამტევო ცამდე.

გონებავ ფიქრთა დამმოძღვრებელო,
ღამეებს მუდამ ბრძოლაში ათევ.
გამჩენო ღმერთო შენ აგვარიდე,
ამ წუთის სოფლის ბოროტ სატანჯველს.

მიწავ ცოდვებით დამძიმებულო,
ცაზე ნამგალა ნალევო მთვარევ.
შენ უმეგზურე სულს თიხაში მყოფს,
უკვდავებისკენ მოცისკრულ გზაზე.

* * *

ღამე გატეხა მგლისფრად ცისკარმა,
შემოდგომისფრად ქარი ნავარდობს.
გადუღეღიათ გულმკერდი კლდეთა,
როგორც ბრძოლაში დაჭრილ ავადმყოფს.

აჭრელებულან ტყეთა ფოთოლნი,
ჭალის ნიავი მათთან ნავარდობს.
წყარო კლდის ძირში ამღერებული,
ყვავილთ სიყვარულს გულით არა სთმობს.

ნისლთა ქულები აქა იქ წვანან,
ცისკრის ვარსკვლავთან მთვარე თამადობს.
იწევს ნელ ნელა მთას ალიონი,
კალმახი თერგის ჩქერში თამაშობს.

მყინვარს სამების ზარის ხმა ესმის,
ახსენებს ცისკრის ჟამს საარაკოს.
უკან გაბრუნდა ხევიდან ნისლი,
ცავ ლურჯო დასჩნდი ქართველთ ზღაპარო.

ხატთან უპყრიათ ხელში სანთელი...

ცრემლში ჩამხრჩვალი თვალებით მზერა,
ოხ რა მძიმეა მშობელი ქვეყნის.
ო რა ძნელია გათავისება,
კერას მომწყდარი შვილთ თვალზე ცრემლის.

გაუსაძლისად უფრო რთულია,
მონატრებისგან ჩავლილი დღენი.
ღამე ნათევი ოთახში კენტად,
განშორებისგან ჩამქრალი მზენი.

რთულია ძალზედ ემიგრანტობა,
გულზე მარწუხი მუდმივად მწველი.
ღმერთო დალოცე გასული ყველა,
ყველგან ამ ქვეყნის შვილი ქართველი.

ცრემლში ნაწური თვალებით დღესაც,
ხატთან უპყრიათ ხელში სანთელი.
და ავედრებენ ღმერთს საქართველოს,
დღე გაუთენოს ნატანჯს ნათელი.

* * *

საჩუქარია ეს სტროფები ხვთისაგან როგორც,
დედ მამისათვის ნიჭიერი გამრჯე შვილები.
ამ წყალობისა ღმერთო ჩემო მადლიერი ვარ,
და ლოცვით ლექსებს ბავშვებივით გზაზე მივყვები.

უნდა ისწავლონ სიკეთე და დღე და ღამ შრომა,
სამშობლოსათვის უნდა იყვნენ როგორც გმირები.
არ უნდა გატყდნენ დაიშალონ მარცვალ და მარცვალ,
ერთობაშია ელვარება მარგალიტების.

ვასწავლი პატივს უფროსის და უმცროსის მშობლის,
არც მას ვავიწყებ წინაპართა ხსოვნას დიდებით.
თავმდაბლობა და მოთბენა რომ დიდი ნიჭია,
მასაც ვასწავლი დააფასონ სხვათა რითმები.

დრო მოვა გახვალთ ასპარეზზე ამა სოფლისა,
მგონი მკითხველთან თავ საღუნვად არ გამიხდებით.
თქვენი მომავლის ისე მჯერა როგორაც მშობელს,
აქვს თავის შვილთა გულწრფელობის ღმერთის იმედი.

საჩუქარია ეს ლექსები ხვთისაგან როგორც,
მადლი წყალობა უშვილოთთვის შვილიერების,
მადლობა ღმერთო შეეწიე ჩემს უღირსებას,
სიტყვა მომმადლე სადიდებლად რწმენით ქვეყნისთვის.

* * *

ღამე გაწყვდიადდა ღამე სათენები,
ცისკარს ველოდები ნეტა გათენდება?
უნდა გავათენო ლოცვით საწვალები,
ლოცვით ნაწამები სული ამღერდება.

მიდი სატანჯველო სული დამიტანჯე,
მადლიერებაში სული აღელვდება.

შენ ხომ გააღმერთე ღმერთო სიყვარული,
ე მაგ სიყვარულით სული დამმშვენდება.

ღამე გაწყვდიადდა ღამე სამწუხარო,
სიკვდილ საბრძოლველში სული არ ჩერდება.
იცი ჩემო ღმერთო შენი სიყვარული,
შენი სიყვარული გულში არ ბერდება.

* * *

მადლობა ღმერთო დღევანდელი მზის სხივებისთვის,
ისევ რომ გვათბობ იმედით და აისის მოსვლით.
ვინც ვერ მოესწრო დღეს მზის მოსვლას ნათელი ყველას,
და დამკვიდრება სასუფევლის მათ სულებს ლოცვით.

გმადლობ უფალო დღევანდელი საქართველოსთვის,
კიდევ რომ გვაძლევ შვილთა მისთა შანსს დედის მოვლის.
მადლობა ღმერთო დღევანდელს რომ მოგვასწარ დილას,
და შენი მადლით ისევ თუ ვართ სიკეთის მდომნი.

გმადლობ უფალო რომ დღეს მქვია თავად ქართველი,
და ის რომ ვიცი შენივ ნებით მე ფასი მშობლის.
შენ დაგვიფარე კაცთა მოდგმა ბოროტისაგან,
და მოგვეც ძალა სიყვარულის ჭეშმარიტ ცნობის.

გმადლობ უფალო ტკივილისთვის გამოსაცდელად,
სული იწრთობა განსაცდელში ადამის მოდგმის.
მადლობა ღმერთო ქვეყანაზე ყველაფრისათვის,
ღმერთო გვილხინე უგნურება ყველას ჩვენ ცოდვილთ.

სიკეთის ხელი გამოწვდილი არ გაგვემეტოს,
ჯვარზე საცმელად სიყვარული ჩვენივე მოძმის.
მოგვმადლე ღმერთო სულ წრფელობა გულ კეთილობა,
მადლიერება ყველაფრისთვის შენდამი გრძნობით.

* * *

ცრემლში ჩამხრჩვალი თვალებით მზერა,
ოხ რა მძიმეა მშობელი ქვეყნის.
ო რა ძნელია გათავისება,
კერას მომწყდარი შვილთ თვალზე ცრემლის.

გაუსაძლისად უფრო რთულია,
მონატრებისგან ჩავლილი დღენი.
ღამე ნათევი ოთახში კენტად,
განშორებისგან ჩამქრალი მზენი.

რთულია ძალზედ ემიგრანტობა,
გულზე მარწუხი მუდმივად მწველი.
ღმერთო დალოცე გასული ყველა,
ყველგან ამ ქვეყნის შვილი ქართველი.

ცრემლში ნაწური თვალებით დღესაც,
ხატთან უპყრიათ ხელში სანთელი.
და ავედრებენ ღმერთს საქართველოს,
დღე გაუთენოს ნატანჯს ნათელი.

* * *

დღეს მერამდენედ ავღნიშნავთ ერი,
თავისუფლებას ქვეყნის და ხალხის.
შინაგანი ხმა სულ მეკითხება,
თავისუფალი ვართ ან კი არის?

შვილნი რომელნიც სხვათა ჰბაძვიან,
რიდი და ხათრი არა აქვს მამის.
ოჯახის უფროსს არად აგდებენ,
დაკარგულია ამ მცნების არსი.

რა არის იგი თავისუფლება,
თუ დაემსგავსე სხვა ჯოგის ნახირს.
ოჯახის უფროსს ამ საქართველოს,
ჩვენივე ქცევით თუ ავჰყრით პატივს.

ენას მამულს და სარწმუნოებას,
მადლიან წარსულს ვერცხლში
თუ გავცვლით.
თავისუფალი არ არის ის ვინც,
თავის მშობელის არა აქვს ხათრი.

საკათარზისეს თუ გავხდით მშობელს,
ამდენ ომებს და ჭირ ვარამ გავლილს.
მაშ ვერ გვიცვნია თავისუფლება,
დაკარგული აქვს ხალხს მაგის აზრი.

თავისუფლება სიყვარულშია,
ჭეშმარიტების ძიების ცდაში.
თავისუფალნი მაშინ ვიქნებით,
თუ კი ვიწამეთ ღმერთის და ხატის.

* * *

ღამე გაწყვდიადდა ღამე სათენები,
ცისკარს ველოდები ნეტა გათენდება?
უნდა გავათენო ლოცვით საწვალები,
ლოცვით ნაწამები სული ამღერდება.

მიდი სატანჯველო სული დამიტანჯე,
მადლიერებაში სული აღელვდება.
შენ ხომ გააღმერთე ღმერთო სიყვარული,
ე მაგ სიყვარულით სული დამმშვენდება.

ღამე გაწყვდიადდა ღამე სამწუხარო,
სიკვდილ საბრძოლველში სული არ ჩერდება.
იცი ჩემო ღმერთო შენი სიყვარული,
შენი სიყვარული გულში არ ბერდება.

* * *

ვერ შეველიე იმ დღეებს,
იმ წარსულს უკვე ჩანაცრულს.
თავს მახსენებენ ფიქრები,
ვახმე იმ დროის გაზაფხულს.

მაშინ რომ ვიყავ მყვირალი,
ტყეს ხარი ირემივითა.
თამამად დავაბიჯებდი,
სანამ მთოფავდი ისრითა.

ვერ შეველიე ლამაზო,
შენ სამზეოდან სიკვდილსა.
კი გამიმზადე სამარე,
არც მრცხვენის მე იქ მისვლისა.

ფიალა სიყვარულის ვსვი,
არა ვსტოვებდი მიძღვნილსა.
შენ სიყვარულის სიკვდილო,
ჩემი ლეში გგვრის ღიმილსა.

* * *

ადამიანის საქციელს,
ამართლებს უფრო რომელი?
ძმის სასიკვდილოდ გაწირვა,
სიყვარულის, თუ მეგობრის.

მე დიდი ცოდვა მგონია,
ხომ ასე ჰფიქრობთ ყოველი.
რად უღირს ეს საქციელი,
ადამიანად მოვლენილს.

ღმერთმა შეუნდოს სულყველას,
საქმე სულისა მგმობელი.
დაუნდობელი ვინმეა,
ტიალი წუთისსოფელი.

თავის გზას გადის ამ ქვეყნად,
ქალი კაცი თუ ცხოველი.
ამ სოფლის მე აღარა მწამს,
უფლის წყალობას მოველი.

* * *

"მზე შებრაწული ლოყებ"პირსავსე,
ცაზე ისწორებს დალალებს სხივთა.
გოროზი მთების ფერდები სავსე,
გაპაექრება ყვავილებს წყვილთა.

ფრინველთ ჟღურტული ცის კაბადონზე,
ტბაზე ღიღინით გედების წინსვლა.
ეს საოცრება თვალს სიხარულს ჰგვრის,
ცა სარკე არის მიწის და მზისა.

კლდენი დამცველნი ამ სილამაზის,
წყარო კეკლუცი შვილია მთისა.
მზე გარუჯული პირმოცინარი,
სიცოცხლესა ჰგვრის ბუნების ქმნილთა.

* * *

დღეს მერამდენედ ავღნიშნავთ ერი,
თავისუფლებას ქვეყნის და ხალხის.
შინაგანი ხმა სულ მეკითხება,
თავისუფალი ვართ ან კი არის?

შვილნი რომელნიც სხვათა ჰბაძვიან,
რიდი და ხათრი არა აქვს მამის.
ოჯახის უფროსს არად აგდებენ,
დაკარგულია ამ მცნების არსი.

რა არის იგი თავისუფლება,
თუ დაემსგავსე სხვა ჯოგის ნახირს.
ოჯახის უფროსს ამ საქართველოს,
ჩვენივე ქცევით თუ ავჰყრით პატივს.

ენას მამულს და სარწმუნოებას,
მადლიან წარსულს ვერცხლში თუ გავცვლით.
თავისუფალი არ არის ის ვინც,
თავის მშობელის არა აქვს ხათრი.

საკათარზისეს თუ გავხდით მშობელს,
ამდენ ომებს და ჭირ ვარამ გავლილს.
მაშ ვერ გვიცვნია თავისუფლება,
დაკარგული აქვს ხალხს მაგის აზრი.

თავისუფლება სიყვარულშია,
ჭეშმარიტების ძიების ცდაში.
თავისუფალნი მაშინ ვიქნებით,
თუ კი ვიწამეთ ღმერთის და ხატის.

ლილი გულბათაშვილი – პროგრამისტი
დაბადების ადგილი – დუშეთი

წყარო და ფერდა

წვიმდა და წყარომ რაკრაკამ,
შამაუმღერა ფერდასა,
კაცის გულივით ჭრელი ხარ,
მე მღერით ვმალავ სევდასა.

რაიც შენ ტურფა პალიტრას,
სიტურფე ასხავ ღვთიური,
თვალწარმტაცი ხარ მთის ფერდავ,
ნამი პირსა გბანს ციური.

მე გამჭვირვალე, უფერო,
რაისად დაგედარები,
შენ გულს მაჰგევხარ – მე სინდისს,
თუ დავშრი... რჩება ღარები.

მიწის გულს ღრმა კვალს დავაჩნევ,
არ შაუხორცებ იარას,
უჩემოდ მთელი სამყარო,
მოჰგავ უტყვიო იარაღს.

უნაყოფოა ის მიწა,
სადაც არ მივედინები,
ასრე არიან ადამის
ნამუსგამწყდარი შვილებიც.

ვისთანაც გამაქვ ჩუხჩუხი,
იქ კი ხასხასა ფერია,
ასე რომ ყოფნა უჩემოდ,
აღიარე რომ ძნელია,

ჩაიღიმილა ფერდამა,
წყაროს თვალებში ჩაჰხედა,
მე რომ კაცის გულს მადარებ,
ეს სიბრიყვეა რამხელა...

უწყინარია უგნურო,
ემ ჩემთა ფერთა ხასხასი,
თუ კი ნაირფრად ვყვავივარ,
შენ მეხმარები ამაში.

გულ-ჭრელა ნამუსიანი,
მე მეგულება არცაო,
თუ კი შენ ასრე გგონია
ჰკითხოდე მიხოლ საცაო.

შენ თავს ედავე მაშინა
ჩემთან თუ რამ გაქვ სადაო,
სანამ ჩემს ცუდას იმღერებ,
შენსას არ იტყვი რადაო?

დადუმდა წყარო ჩუხჩუხა,
მდორედ დაიწყო დინება,
ჩავარდა სინანულშია,
იგრძნო თავისა მხილება.

წვიმისგან მაფხიზლებულმა
მაუბოდიშა ფერდასა,
გულს ჩაკვრით ერთურთს მას მერე,
უადვილებენ სევდასა.

ნასახლარი

მთისაკენ ავყევ ბილიკსა,
ბუნებით ტკბობა მეწადა,
მწყუროდა ტყის ბინადრებდან
დამეგობრება მეცადა.

ავლივე ჩემი სოფელი
მინდორიც მის თავთ მდებარე,
პირ გავისველე წინ შამხვდა,
ნაკადულ ქვებზედ მჩქეფარე.

ავე ძველ სოფლის მიდამოს,
ნასახლარების სავანე,
გულმა ვერ გასძლო ტიალმა
ცრემლებსაც აღარ ვმალავ მე,

ერთ ნასახლარის ჟანგიანს,
დავეჯაჯგურე ჭიშკარსა,
ურდულ ჟანგისგან შაჭმული
ჩატყდის გაიდენს ცივ ხმასა.

შავე ჭინჭრიან შამბნარში,
ეზოს რომ გულზე ეფინა,
მზად იყო ჩაშლილი ჭერი
რო სიხარულით ეტირა.

კარი შავაღე ფუტურო
ფიცარ ჭიისგან ნაფქვავი
ბედიმწერელი ნეტარა
ასეთ ულმობელ რად არი.

ბუხრის თავ ჯიხვის რქებ ვნახე,
ჩაჟანგებულის ჯაჭვითა,
მოგონებები განათდა
ტაბლაზე მდგარი ლაპითა.

ტახტზე წავაწყდი საგანძურს,
ჩონგურს დამწყდარი სიმითა,
თვალებში ცრემლის კურცხალი
გათბა ღიმილის სხივითა.

ემ ნასახლარებს იმდენი
სითბო ატყვია დიდების,
გულგრილად როგორ ავუვლი,
ახალზედ გავიყიდები.

მტვერიც კი წარსულით სუნთქავს,
მზეც კრძალვით ათბობს დარაბებს,
ნიავი ესალმუნება,
კედლებს დარდების სავანეს.

ეზოში თონე შავნიშნე,
ვერ დაუშლია ჟამს ტიალს,
ღმერთო არც რაი მირჩევნის,
ემ სამოთხეში ხეტიალს.

რამდენი რამე მამიყვა,
ამ ნასახლარის ფუძემა,
ჩაშლილმა ტალავერმა და
ძირ ამამხმარმა ყურძენმა.

რამდენი არის ასეთი
მიტოვებული საყდარი,
კერა ჩამქრალი... დედაბოძ,
უპატრონობით ჩამტყდარი.

ღმერთო მტერს რა უნდა ვუთხრათ,
რა პირით შავებრძოლებით?,
თავად დავშალეთ სახლები,
ვამტვრიეთ სამრეკლოები.

გული გვდებია ქვა-კლდისა,
ამტანი ბევრი რამისა,
ყველა ნასახლარს უკურთხე,
დრო ახალ დასაბამისა.

თორემ ის ხანა დაგვიდგა,
უფალო ჰხედავ თავადა
საკუთარ სუფრას წიხლსა ვკრავთ,
სხოგან გავრბივართ თამადად

პოეტის ბედი

წავლენ წამოვლენ ფიქრები,
გადაივლიან წლებსაო,
გაიყოლებენ გონებას,
დამიტოვებენ ცრემლსაო.

რას გვერჩის ტიალ-განგება,
ცხოვრებას გვიწერს ძნელსაო,
არვის სურს ჩვენი გაგება,
ვაჰმე პოეტის ბედსაო.

ცხოვრება ხშირად გვთავაზობს,
ნარ-ეკლით სავსე გზებსაო,
ასრე რად ვძულვართ ნეტარა – რა?
იქნება ვკითხოთ სხვებსაო.

ქარი რო ფოთლებს ჩამაჰყრის,
და გამასძარცვავს ხესაო,
როგორ გავჩუმდეთ არ ვთქოთ,
იმ ნაძარცვი ხის კვნესაო?

ღრუბელ რო გაგვიწვიმდების,
მიწად მააბნევს წვეთსაო,
სახში გავჩერდე როგორა?
და არ ვეწვიო მთებსაო?

თოვლს რო მაჰფიფქვენ ნისლები,
ზოვ რო ჩაივლის ხევსაო,
როგორ არცაით ვიკითხო?
იქნებ დაეცა მგელსაო?

როგორ არ უნდა ვდარდობდე?
საჭმელ რაი აქვ შველსაო,
ან რა აზრ ექნას სიცოცხლეს,
კალამ არ მქონდეს ხელსაო?

ავაჰმე წუთისოფელო,
ჩვენი გაჩენის დღესაო,
რად დაგვაყოლებ ყველგანა,
განწყობას სევდისფერსაო?

აღარ გიხსენებ

აღარ გიხსენებ...იქნებ კიდეც გადაგივიწყო,
არაგვს გავატან მაგ თოლების ღვინისფერ ციალს,
მაგრამ ვერასდროს ვერ დაგშორდი იმ სამყაროში,
რასაც ძვირფასო სიზმრეული ცხოვრება ჰქვია.

თოლს დავხუჭავ და აცეკვება წამწამზე ცრემლი,
მემრე ემ ცრემლში შემოსცურავს შენი ხატება,
რა აღარ ვცადე და ვიწვალე ძალიან ბევრი,
ვერ მაგიშორე,ვერ გამიგავ რა მემართება.

დღები მიდის თავს ვერევი აღარ გიხსენებ,
მაგრამ ოხერ ძილს მოვუხერხე ვეღარც-რა შველა,
დავდივარ... ვსუნთქავ, ვცხოვრობ, ვცოცხლობ ჩცეულებრივად,
თუმცა ასეთი სიცოცხლის კი აღარც-რამ მჯერა.

მოლოდინი

ჩირაღდანივით იწვება?
მთის კალთას თეთრი ღამეო,
 გორაკის თავზედ ჰკიდია,
პირბადრი სავსე მთვარეო.

გელი იქნება გამასჩნდე,
იქნება მითხარა რამეო,
როდამდე უნდა იარო,
ნეტაი გარე-გარეო.

თუმცა ამაო ლოდინით,
ცხოვრება გავიმწარეო,
მაინც გული ვერ ვაცდინე,
შენზედა მგლოვიარეო.

ხევიდან წყლის ხმა მაისმის,
გონება დავინამეო,
სადღაცა ჭოტმაც იკივლა,
აქა ვარ წამიყვანეო.

სიო არ იძვრის არცაით,
გარინდულია არეო,
ვზივარ და შავთხოვ უფალსა,
უკეთეს იყოს ხვალეო.

საცა კი დაწანწალებდეს,
დაიცავ დაიფარეო,
მთვარე ჩავალის თენდება,
არყისფრობს არე-მარეო.

მთას ვსაყვედურობ ნისლები,
რაისთვი აიყარეო?
გავეკიდები ნისლებსა
შავთხოვ თან წამიყვანეო.

მდუმარედ მიირწევიან,
განა თუ მითხრან რამეო,
სიცოცხლის ხიდან რიჟრაჟმა,
მაგლიჯა ერთი ღამეო.

არავინ იცის იმ ხეზე
დარჩა კი ნეტავ რამეო?
იქნება ბოლო ღამეა,
ლოდინით დამნაშავეო?

გაზაფხული მთაში

არყისფერ ზეცას სთქორავენ,
ღრუბლის რძისფერი ფარები,
მაყრად მაჰყვების ალიონს,
ნისლების ქარავანები.

აწკრიალდება წვეთები,
ვით ქვაზე ლურჯას ნალები,
მთის ფერდზე ფერად ყოილებს,
აეხილებათ თვალები.

მააძრიალებს არაგვსა,
წვიმების ნიაღვარები,
დიდგულად გამაიქუხებს,
ციდან სტიქიის ზარები.

იელვებს...თითქო ზეცაზე,
განგებ აანთეს ფარები,
რო კარგად ჩანდეს სადა ხარ,
სხვის ზურგს ვერ მაეფარები.

მეხ გავარდების მუხ-ნარში,
გაჩნდება ცეცხლის ალები,
თოლ – დახუჭულნი ყურებსა
სწრაფად დაიცმენ ქალები.

იგრგვინებს ცა და ბუნება,
მთა-ხევებმ მისცან ბანები,
გაზაფხულს ჭექა – ქუხილსა,
ვერ ასცდებ-დაემალები.

გამააფხიზლებს სამყაროს,
მთიდან მასული ქარები,
ამ დროს რო მარჩე სიცოცხლევ,
მაშინ კი დამენანები.

* * *

მაგისურვილე--მაგისურვილე,
მაგძებნე, გიპოვე, აღარ მინდიხარ,
ხან არაგვივით ვბობოქრობ
ხანაც მტკვარივით მშვიდი ვარ,
ვეღარ გავიგე რა მინდა,
ვინა ვარ და საით მივდივარ,
ხან თოვლის ფიფქად გადნები
ხან წვიმასავით გიჟი ვარ,
ხან ისრე დავიკარგები
თითქო.ემ მთების ფიქრი ვარ,
ჩამიფიქრ-ჩამიხუტებენ,
მათივ გონების რითმი ვარ,
ხან ქარიშხალთა მუზა ვარ,
ხანაც მშვიდობის ჰიმნი ვარ
ვერც ის გავიგე შენ ვინ ხარ
თვალზე ცრემლად რომ მკიდიხარ,
მოხოლ ღამეულ ზმანებად,
იარყისფრებს და მიდიხარ,
ვაჟავ გულ-სალი-კლდიანო,
ჩემი გრძნობების გიდი ხარ,
თავ რო შეუცვლელ გგონია,
თანაც ასეთი მშვიდი ხარ,
ისრე დაგკარგავ იცოდე
თითქო საღამოს ბინდი ხარ,
ჩემ კვალს ვერცაით იპოვი,
შენ სხოზე მეტი რითი ხარ?
იფრთხილე ჩემი მათმენაც
ილევა...მგონავ სხვისი ხარ,
გადაგცვლი შავსა ღრუბლებში,
ისედაც სევდის ნისლი ხარ.

ღალატი

მე მთაში ყოფნა მირჩევნის,
შენ კი არჩიევე ბარია,
ვერცით შავთანხმდით სიყრმიდან,
ვერ შადგა საუბარია.

სწორფერად ღამე ვირჩიე,
მაყრად ღრუბელი შავია,
მზითვად საავდრო ნისლები,
წაწლად კი დილის ცვარია.

ბარიდან ნიავს ამააქვ,
ეგ შენი ნაუბარია,
ჩქარ მაგიტანოს პასუხი,
მე ქარებს დაუბარია.

ჩამოა, ჩამაგიქროლებს,
სიტყო აქვ მასატანია,
დაჯე და ყური დაუდგე,
თუმც მძიმედ ასატანია.

მაგ ღვინისფერა თოლებში,
იბწკინებს ცრემლის ნამია,
ნეტარ კი ახლოდ მაჩვენა,
ეგ დიდებული წამია.

წახვე გზას თავქვე დაჰყევი,
იქით იფასე თავია,
მე კი ემ ცეტმა დიაცმა,
გული თან გაგატანია.

ახლა ვისწავლე ღალატი,
მთაში აღარ ვარ ცალია,
სწორფერად ღამე დავისვი,
წაწლად არაგვის წყალია.

ჯანღები

მთაზე შაყრილი ჯანღები,
განა ნისლია უბრალო,
ეს მთიელთ გულის ჯავრია,
დაქუჩებული უფალო.

გულში რომ აღარ ეტევა,
ვერც საით ქრება უკვალოდ,
ვერცა გულს ვერ მაერევა,
ემ სატიალეს უთხარო.

მაცდენილ იალაღებსა,
საძოვრებს დამრჩალს უცხვაროდ,
რა გულმა უნდა გაუძლოს,
სოფლებს დარჩენილს უხალხოდ.

ჩამაშლილ ქვითკირის კედლებს,
ნიშებს დაეჩენილს უსანთლოდ,
ხევს ხევისბერის გარეშე,
ცაც ვერ დასცქერის უავდრდოდ.

სახურავ მაცლილ სახლიდან,
სივრცე რამ მასჩანს უსახოდ,
გვერდ ჩამაშლილი კედელი,
სოფელ დამრჩალი უსახლოდ.

ატკვებულსა წარსულსა,
მთა ვერ დაიტევს უჯანღოდ,
მთიელთა ტკივილს ჯანღად შლის,
რო შვილნ დასტოვოს უჯავროდ.

ჯიხვის ფიქრები

მზემ საჯიხვეებს დაჰხედა,
სხივი ჩაჰკიდა ხევშია,
ჯიხვი კლდის ქიმზედ შამდგარი,
წამაიმართა წელშია.

თვალი მაავლო მიდამოს,
ქუჩი შანიშნა გვერდშია,
ემ პაწაწინა ყვავილით,
გულ აუძგერდა მკერდშია.

კლდის ძირ რამმ შამაუყმუვლა,
მგელი შაიცნო ლეკვშია,
მწვერვალიდანაც კი ჩნანდა,
მის თოლში მგლური კვესია.

ჩაიღიმილა დაცინვით
კლდის გაღიმების ფერშია,
სთქო-ასაკი რას დააკლებს,
ვისაც რა უძევ გენშია.

შაჰხედეთ მიწას ძლივს აჩნავს,
და კი არის რა დღეშია,
რაით არ ვიგრძნო პატივი,
ემსსა გამზრდელ მგელშია.

თავად მგლობს ლეკვსაც მგლურად ზრდის,
გან თუ მიართოს ლეშია,
ასწავლის ნადირობასა
თან აგდებს განსაცდელშია.

რაით არ ვაქო ბუნების,
კანონი...ადათ-წესია,
ის რაც კაცთ გადაივიწყეს,
კვლავ ცოცხლობს ცხოველებშია.

თეთრი ღამე

არ დამაძინა მუზამა
ემ სიყმე-ჩამასაშლელმა,
ბალიშზე დასკუპებულმა,
ათასი ფიქრის ამშლელმა.

წავე-წამოვე ფიქრაით,
გზებ გავიარე რამდენა,
სუყელგან წინ-წინ დამიხვდა,
ქვესკნელაიდან-ცამდენა

ისრე მიცქერის თოლებში,
რითმი ცრემლებად დამდენავ,
კალამ რო არ მივაშველო,
ალბათ სამარეს ჩამდენავ.

ვკითხე რას მერჩი მზე-ბნელავ,
რად არ მასვენებ ტიალო,
ორიოდ საათ დამრჩენავ
ისაც გსურს გამიტიალო.

შამამადნება ეს ღამეც,
ძილნი არ მეკარვიანო,
ე შენი თოლთა სხივები,
ჭკო-გონში მეპარვიანო.

ბოროტად ჩაიხითხითა,
თოლნი დახარა კი არა,
ნარნარად გადმამაწოდა,
რითმებით სავსე ფიალა.

მამიგო გცნობო კარგადა,
მა შენი წყევლებიანა,
ერთი დღე რო არ გამოვჩნდე,
ზდარდობ რად დაიგვიანა.

ამიტო შენმა წყევლამა,
განა რამ დამიზიანა,
მე სუ ჩემ დროით მოვდივარ,
და არასოდეს გვიანა.

ბევრას ნუ მეკამათები,
მე მეწყინება კი – არა,
გადამწერ გადამაქცივე,
ლექსებად სიტყვა ფრთიანად.

წუხელ წვიმამ

წუხელ წვიმამ, წვრილი წვეთით,
მწყობრად მწუხარება მწერა,
მწყრალად მწყრობდა მწყალობელი,
მწყურვალ მწყერს წააგავს წერა.

სწერდი, სწერ და საწერ-კალამს,
სულის ''სერი,,სევდა სერავს,
სუნთქვა სხვისთვის სადარდელი,
საუფლოდან, სიოდ ჰბერავს.

გოლგოთაზე, გრძნობა გოდებს,
გული გონებაზე გიდობს,
გარიჟრაჟზე, გორის გაღმა,
გრძნობა გიტევს, განა გინდობს.

დღეებს, დროთა დინებისგან,
დაიცავდეს, დარდი დიდი,
დაისვენებს, დიდებისგან,
დრო დადგება... მოვა ბინდი.

ლოცვა, ლოდინს ლიდერობს და
ლოდებს, ლომთა ლელო ლეწავს,
ლელიანში ლმობიერად...
სიო არხევს ლექსთა ლერწამს.

* * *

ღამეს ვესესხე წუთბი,
დღე არ მყოფნიდა ტიალი,
ბედის ბორბალმა დაცინვით,
უკუღმა იწყო ტრიალი

გზას მივყვებოდი საურმეს,
ურმს გაჰქონდა ჭრიალი,
ცრემლით სველ მოგონებებსა,
ქარში გაჰქონდათ ფრიალი.

გავცდი ქედს გადმოსახედსა,
ხევს მივადექი კლდიანსა,
დაიჭიხვინა ლურჯამა,
თითქო მამცნობდა ზიანსა.

აქ საცალფეხო ბილიკი,
მისდევდა სივრცეს ქვიანსა,
ძირს მკრთალად ჩანდა მდინარე,
ძლივს რომ მაწვდენდა ჩხრიალსა.

ცა ისრე ახლოს მასჩანდა,
ხელით დაჰკრეფდი მზის სხივსა,
თუმცა კი სხივთა კონები,
აბა...მინდოდა რისთვისა?

შენ აღარ სჩანსი ემ გზაზე,
შენ სხვა გზა-შარა გეპოვა,
სატირა იყო ცხოვრება,
მე რომ ზღაპარი მეგონა.

შავრჩი ემ საცალფოხოებს,
ემ ჭიუხვებს და ქარაფსა,
აქ უშენობას ვიწაწლებ,
დეკიანს დავცემ კარავსა.

მოგონებებსაც ნისლივით,
ქარიშხლის კალთებს გავატან,
აღარც ვიკითხავ როგორ ხარ,
აღარც მადარდებს სადა ხარ.

მიდედინაცვლა ცხოვრებამ

ტყუპისცალი ვარ სევდისა,
ნაშობი დარდის თვეშია,
სხოს თუ ხალიჩას უფენენ,
მე ფეხთ მიყრია ხრეშია.
არ მამიშალა სანაღვლო,
საწუთრომ თავის დღეშია.
სულ ამამართო ოხერმა
დავალ ცარიალ ლეშია,
მიდედინაცვლა ცხოვრებამ,
გერი ისედაც ტიალი.
ნარის ბილიკით მატარებს,
გრძნობა არ შამრჩა მთლიანი.
მილეწ-მალეწა ემ გულში,
თუ რამ მებადა წმინდაო,
ცრემლ არ შამაშრო თოლზედა,
სული არ დამიწმინდაო.
სხვის ფეხთ-საწმენდად გულ მამცა,
სულს კი სთქორავენ ნისლები,
ტანითაც ვით ნასახლარი,
ვგრძნობ ჩქარად ჩამავიშლები.
აზრი გაფანტა გრიგალმა,
ვერ კი განდევნა რითმები,
კვლავ მთებზე ნამად დაყარა,
ჩემში მბორგავი ფიქრები.
მაინც მადლობა უფალსა,
მისი წყალობით ვივსები,
ხალხს რას დავეძებ მაინცა,
მათივ სიყალბთ ვიწვები.
დრო მოვა ალბათ ჩქარადვე,
სულით ცად ღრუბელთ მივწვდები
და ისევ დარდის ღრუბლიდან,
ჩემს მთებზე ჩამავწვიმდები.

წუთისოფელი –-

გადაიარეს ავდრებმა,
გზები მთის ცაზედ მავალი,
დარდებმა როგორც აფთრებმა,
გზა ჩამიკეტეს სავალი.

საჯიხვეებში ქარი სტვენს,
გულში მძვინვარებს გრიგალი,
გორებს ვეწვევი საირმეს,
ჭალას დავყვები მდინარის.

მაყვლებში შაშვი ჭახჭახებს,
მისი გამგები ვინ არის,
რამდენ ფათერაკს ვიგონებ
რამდენი კიდე წინ არის.

რას გვერჩის წუთისოფელი?
ან მე ან სხოსა ნეტარა?
ერთ დღე თუ მზე გაგვიბრწყინა
ერთ წელ ღრუბლები შეჰყარა.

დაგვსეტყვა დარდის ნამსხვრევნი,
სულში ხრეშივით ეყარა,
რახირუხობდა ჭკოშია
გონთ მავდიოდით ვეღარა.

ბევრაი ვიცი ჩემფერა,
ცრემლი მდინარედ ეღვარა,
წისქვილის ქვას დააბრუნებს,
რაც თოლთ ცრემლ ჩამოგვეყარა.

კიდენ რამდენას ავიტანთ,
ჭიდილს ავსა და ბნელთანა,
მე ის მადარდებს უფალო,
მოალთ კი...ემ გზით შენთანა?

მთებო!

ემ ნისლიანი მთების მემრე რაღამ მამხიბლოს?
რაის სიტურფეს დაემონოს გული ტიალი,
აღარა მგონავ გონმა სხვისა ნატვრას მამხილოს,
ღალატი შავძლო ემ ქარაფთა დიად ტრფიალის.

ერთი სიცოცხლე მაუცია ჩვენთვი განგებას,
ერთი სამშობლო უდიადეს მთიან-კლდიანი,
და როცა მასთან განშორების ჟამი დადგება,
ქართულ ზეცისკენ გავიჭრები...ბზრიალ-ტრიალით

ასე მგონია უფალს ფრანგად რომ გავეჩინე,
სიზმარდ ფანდურის ჩამესმოდა მაინც წკრიალი,
გამოჰყვებოდა ქარსა და ნისლს სული ქართლისკენ,
და ეს გაქცევა იქნებოდა სამართლიანი.

რაღა სამოთხე უნდა ნახოს ქვეყანად თოლებმა,
რომ შენ სიყვარულს მაუტანოს მთებო ზიანი,
რა ედემს ძალუძს თქვენი შეცვლა ან რა ქონებას?
უთქვენოდ სული ვერ იქნება ვერსად მზიანი.

კავკასიელნო

სადაც არწივნი, ლაჟვარდებს
როგორც ცას მთვარე ჰკიდიან,
იქ სადაც სიტყვას გულიდან
იღებენ ისრე იტყვიან.

იქ სადაც სამშობლოს მიწას,
თავს სწირვენ, არა ჰყიდიან,
იქ სადაც ერთგულება და
გვერდში დადგომა იციან.

სიკვდილს არა-რად აგდებენ,
მლიქვნელად არა ჰფიციან,
იქ სადაც უფლის რწმენა და
ერთურთის ნდობა დიდია.

იქ, თუ სამშობლოს დასჭირდა....
კაცურ სიკვდილზე მიდიან,
ვერას გახდება მტრის ძალა,
ტყუილადა აქვ ფიქრია.

აროდეს ჩამაიშლება
ძმის ხელით ძმობის ხიდია,
სამარადჟამო სიცოცხლე,
ვინაც გულმართლად იბრძვიან.

კავკასიის მთათ ლომებო,
თქვენ სადიდებელს იტყვიან,
ერთობა ბრძოლა მხარდამხარ,
სუ იყო თქვენი ხიბლია.

ახლაც ერთობით დავძლიოთ,
მტერ ჩვენს ძლევას რომ ილტვიან,
გფარავდეთ წმინდა გიორგი,
გლოცავდეთ დიდი ილია.

მივდივარ

მივდივარ, მიმაქვს განცდების
ხურჯინ მაკიდულ მხრებზედა,
სანამ დეკიანს ავცდები,
სანამდე ავალ მთებზედა.

გაავდარდება თოლებში,
ცა მხვდება უცხო ფერზედა,
მარტო მე არ მეფიქრება
როგორცა ვხედავ შენზედა.

ნისლსაც ახვევავ ფიქრები,
ბურუსად მწოლი სერზედა,
მზე ვეღარ ატანს მიწამდე,
შემდგარი სხივთა ცერზედა.

გადმოსახედზე დავლანდე,
შენი აჩრდილი მდგარია,
მინდოდა გადმამეძახა,
ვერ მაგაწვდინე ხმანია.

გიცქერდი...გული ჩიოდა,
თან-თან ჩნდებოდა ბზარია,
გონება მენისლებოდა
ცრემლით ამევსო თვალია.

შენ ისევ სდგახარ მდუმარედ
თავისთან მიხმობს მთანია,
მივდივარ ბილიკს მივყვები,
თმებში ნავარდობს ქარია.

თან-თან გცილდები გზას მივდევ
გულშიც ავდრდება დარია,
თუმც გლოვით ვერც-რას გიშველი,
არ გასცოცხლდები მკვდარია.

მენატრება

ახლა ისრე ვარ თითქოს ვიყო არაგვის თევზი,
ბედის დაცინვით მახვედრილი რიონის წყალში,
ან ძაღლი ვიყო ქუჩის კუთხეს შეტოვებული,
პატრონს რომ ეძებს შეშფოთებით უამრავ ხალხში.

ან კენჭი ვიყო ხმალას მთიდან დაგორებული,
უკან ასვლა რომ არ ძალუძს და დუმილით კვნესის,
ანდა ბუხარში შეგდებული, დანაცრებული,
ავტორისაგან დანაწუნი ერთ-ერთი ლექსი

ახლა ისრე ვარ თითქოს გული მამგილჯეს მკერდთან,
ყრუ ტკივილებს ვგრძნობ და სხეულში ბატონობს დარდი,
სისხლი კი არა თითქოს ცრემლი დამდის ძარღვებში,
კამათელი ვარ, ცხოვრებამ კი დაიწყო ნარდი.

ბილიკიცა ვარ, უფრო სწორად ნაბილიკარი,
წარსული მავსებს მომავალს კი სულ არ ვადარდებ,
საცა კი ვისმე დავინახავ თოლზე ცრემლ-მამდგარს,
ტკივილი მავსებს და საკუთარ ტკივილს ვადარებ.

ვიცი უშენოდ გათეული ღამეთ სიმწარე,
ვიცი შენს მკერდზე გადავლილი წუთების ფასიც,
უფრო მეტია უშენობის ახლა სიმწვავე,
და ჩემს სიმშვიდეს გადაესვა ბოლომდე ხაზი.

არ შავიმჩნიე თორო განა მართლა ვერ მივხვდი,
რომ უშენფიქროდ გაზაფხული გლოვის ფერია,
მაგრამ ძვირფასო მთებო თქვენი გულის გარეშე
თვითონ ცხოვრებაც გეფიცებით არაფერია.

''განდეგილი,,

საღამო იდგა ისეთა,
გეგონებოდათ ზღაპარი,
სამყაროს ცენტრში დაენთოთ,
მშვენიერების ლამპარი.

სიოს მაჰქონდა ემ ლამპრის,
კვამლი სითბო და სინაზე,
ანაწილებდა თანაბრად,
ბოროტ,ავსულთა ჯინაზე

ენ სამოთხის დარ მიწაზედ,
კაცი რამ დარჩენილიყო,
სითბოსთვი ვეღარ მიესწრო,
ქარს გზაში აცდენილიყო.

დარჩენილ ლამპრის გარეშე,
არყით სამ გალეშილიყო,
ქუჩას ბანცალით მასდევდა,
აღარც ახსოვდა ვინ იყო.

მიაცილებდა თოლები,
გაკვირვებული ხალხისა,
ზიზღიან მზერას ვერ უძლებს,
თოლებს მიწისკენ დაჰხრისა.

აღარც სიძველე აწუხებს,
არც რამ ლოდინი ახლისა,
წლებია შამღებ არ არი,-
ის კარებისა სახლისა.

სკვერში სამა აქვ საწოლი,
სეზონ ზაფხულის ზამთრისა,
გარიყულს ხალხისაგანა,
სითბო აქვ ქუჩის ძაღლისა.

უმუხთლა წუთისოფელმა,
ერთ დროს მთის ამაყ არწივსა,
იმედი არ შაარჩინა,
მოყვასისგან განაწირსა.

ტიალმა ბედისმწერალმა,
ნდობა არ იცის კაცისა,
დღეს სასახლეში მცხოვრებსა,
ზოგჯერ ხვალ თავზე აწვიმსა.

აღავღავდება ხალხი...ბრბო,
რაკი ნახავენ დაჭრილსა,
არვინ იკითხავს ვინ იყო,
რა დაემართა რა სჭირსა.

წყლულზე მარილ-წყალს მიასხმენ,
დამნდობ ვინ არი საწყლისა,
თუმცა კი არ უნდა ენდო,
ცხოვრების გზასა საწყისსა.

ნანა ქიბროწაშვილი – მხატვარი
დაიბადა – ქალაქ ახმეტაში

ქართველო შეჩერდი!

ქართველო შეჩერდი!...
ნუ მისდევ სატანას!...
შენი წინაპარი ქრისტეს ადიდებდა.
შეუძლებელია ამდენის ატანა
ბავშვობის ძმა მოკლა მართლმადიდებელმა.
ჩვენი ისტორია სისხლით დაიწერა,
ერში ბევრი გვყავდა წმინდა და სულმნათი,
ახლა კი დემონი ისე მოგვერია
ნაგავში ჩავაგდეთ ილიას სურათი.
ერო გამოფხიზლდი!...
ხომ ხედავ ომია,
ჩოხით გაგვითხოვდა ვაჟი მამაკაცზე,
ვინ იცის რამდენ სულს წარწყმენდს და მოგვიკლავს
დემონი დროულად თუ არ დავამარცხეთ.
ბევრი უცნაური დადის დღეს ქალაქში–
ზეიმობს, იღიმის, ხარობს ლუციფერი,
დამცველი ბევრი ჰყავს ერში სატანს და
ევა რომ აცდუნა გამეფდა ის გველი.
არ მინდა რამე ვთქვა, დუმილს ვამჯობინებ,
ფიქრში დავალაგებ ჩემს სათქმელს რითმებად,
რადგან სამართალი ჭაობში გდია და
ჭუჭყი გადმოჰყურებს ქვეყანას ნისლებად.
ქართველო შეჩერდი!...
ნუ ასდევ სატანას!...
მერე არ ვინანოთ ჩვენი საქციელი,
არ შეგვეფერება ეშმაკის ატანა,
რადგან ერს ჯიში გვაქვს ძალიან ძლიერი.

წუმპის ანარეკლი

არ ვიცი რატომ ჩავყურებდი
წუმპეში ჩემს თავს,
იქ ანარეკლი ვერ ვიპოვე
ტალახის ფონზე.
მაინც ვეძებდი, თუმცა ვიცი
ვერ ვიპოვიდი,
მოულოდნელად გამოვფხიხლდი,
მოვედი გონზე.
ჩვენი შეხვედრა იყო
ცუდი ფილმის კადრები,
არა ხარ ჩემთვის მოვლენილი,
არ მეკადრები.
დრო გაათენებს ალბათ ისევ
მზით გამთბარ დილას
და უფლისაგან მომეცემა
ძალა შენდობის,
ხვალ ჩემი თავის დასანახად
სარკესთან მივალ,
წუმპის ანარეკლს არასოდეს
აღარ ვენდობი.

* * *

ქუჩა-ქუჩა დავეძებდი სიყვარულს,
მუჭა-მუჭა ვკონე ლურჯი იები,
ღრუბელ-ღრუბელ მიმაფრენდა ოცნება
ჩემს თავს სევდას ვეღარ ვაპატიებდი.
ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებოდი ბილიკებს,
მზის სხივები გაყინულ გულს ათბობდა
ღობე-ღობე თეთრი იასამანი,
ჯადოსნური სურნელებით მათრობდა.
წლიდან წლამდე გაზაფხულის ლოდინში,
ბევრი მქონდა დარდი სატარებელი,
ილეოდა ბავშვობა და აპრილი,
შორს მიჰქროდა ჩემი მატარებელი.

* * *

ძნელია გაუგო დღეს ადამიანებს,
სადღაც გაგვიფრინდა ურთიერთგაგება,
მოსმენის კულტურა დაკარგა სუყველამ
ოცნების კოშკების აღარ გვსურს აგება.
სახეზე სიყალბეს არ მალავს არავინ,
ღიმილმა დაკარგა თავისი ფუნქცია,
სიყვარულს ვინ ჩივის, დავთმეთ და დავკარგეთ,
ბავშვობის მეგობარს ძმა ვეღარ უცვნია.
არ ისმის მუსიკა არც ერთი ფანჯრიდან,
გიტარის თანხლებით ნათქვამი ლექსები.
აქ უკვე სტუმარიც არავის არ სურს და
წარსულმა დაკარგა თავისი წესები.
ნუთუ აღარავის აღარ ენატრება,
ის ტრადიციები ასე რომ გვიყვარდა,
გოგონას სინაზე ვაჟს რომ აგიჟებდა
და გადარეული ხელში რომ იყვანდა.
მერე კი ლოყებზე სირცხვილის ალმური...
ახლა კი სირცხვილი რა მოსატანია,
ველურმა ვნებებმა შეცვალა ყოველი,
დღეს ზოგჯერ კაცებიც ქალივით არიან.
იცით, სისასტიკე ყოველ ჩვენგანშია,
ძნელია იყიდო სიმართლე ფულით,
შავი დემონია მთავარი მტერი და ცდილობს
სხეულიდან გაგვტაცოს სული.

მე უბრალოდ ერთი ლექსი გითხარი

მოდი იქნებ ერთად ყოფნა გვეცადა,
ოცნებებით გადავფრინდეთ ღრუბლებში,
დამეთანხმე, ხელზე ხელი ჩამავლე,
ნუ ჩამაგდებ ტალახიან გუბეში.
თორემ მალე გაგვიფუჭებს ხასიათს,
სიბერე და გაყინული ზამთარი,
ჩემი ხელი გელოდება გაწვდილი,
შენთან ხელის ჩასავლებად მზად არის.
მარტოობამ ბევრი გამაბედინა,
ჩემს ასაკში შეცდომას არ უსვებენ,
მარტოობა შენთვისაც ხომ ძნელია?
ამ სიძნელეს ჩემთან ერთად უშველე!...
მოდი იქნებ ერთად გამოგვივიდეს,
რომ სიბერეს დავანახოთ ერთობა,
და ზეცაში იქნებ ღმერთმაც დალოცოს
უცნაური ჩვენი ურთიერთობა.
მე დღეს შენთვის სხვა ნიღაბი მოვირგე,
მომიწია სულ სხვა როლის თამაში.
ალბათ მალე მოგინდები ძალიან,
ჩემი ლექსი მეხმარება ამაში.
შენ თუ გინდა ნუ მოუსმენ ჩემს ბოდვას,
რეაქცია ნუ გექნება ამაზე,
მე უბრალოდ ერთი ლექსი გითხარი,
თავი ძალად კი არ შემოგთავაზე.
მერე ძლიერ არ ვინანოთ წარსულში –
ცალ-ცალკე რომ გავატარეთ ზამთარი,
ჩემი ხელი უკან უნდა გავწიო,
შენ თუ სწორად ვერ გამიგე ნათქვამი.

ახმეტას

რა ლამაზი ხარ დალოცვილო ჩემო ახმეტავ,
როგორ გამშვენებს ''ხეივანი სიყვარულისა.''
თვით თამარ მეფემ შეგირჩია თურმე სახელი,
შენ ხარ ქალაქი – ოცნების და სიხარულისა.
აქ სამუდამო ძმობის ფიცი დადეს ქისტებმა,
პანკისი უფალს დაუხატავს როგორც სურათი.
გალავანივით შემოგრტყმია თუშეთის მთები,
ლამის ცას მისწვდეს ალავერდის ტაძრის გუმბათი.
რამდენი ჭირის მნახველია კვეტერის ციხე,
ფირუზის ფერით ეხამება ტაძარი ზეცას
და ბახტრიონი დასტურია შენი გმირობის,
თუშ-ფშავ-ხევსურთა სიმამაცით ვამაყოფთ დღესაც.
აქ დაიბადა თვით ბიძინა ჩოლოყაშვილი,
წმინდანთა შორის უწმინდესი ქართველი გმირი,
მან ჩვენი მოდგმის გამარჯვებას შესწირა თავი
და ამ სიკვდილით დაამარცხა თავად სიკვდილი.
მრავალი გმირი გაიზარდა ამ მიწ-წყალზე,
სწორედ ამიტომ მტერი უკვე ვეღარ მტერობდა!
ჩვენ დიდი ბრძოლით მოვიპოვეთ ჩვენი ქალაქი,
ასე ადვილი არ ყოფილა ახმეტელობა.
აქ სხვანაირი სურნელი აქვს – პურსაც, ღვინოსაც,
და მასპინძლობა დაილოცა უფლისგან ცაში.
რა ლამაზია გათენება კოცონის პირას,
ფანდურის ჰანგზე გაჯიბრება ლექსების თქმაში.
ასეთი დიდი სიყვარული არსად არ არის,
აქ რომ ვრცელდება თითოეულ შვილზე დედიდან,
და როცა ვიღაც მეკითხება – საიდან ხარო?
მე სიამაყით ვეუბნები, რომ – ახმეტიდან!...

მსურს სიყვარულით დავბერდე შენთან

გრძნობა რომელიც გონებას გვირევს
მოდი ამაღამ დავწეროთ ლექსად,
ერთად დავხატოთ დღის პეიზაჟი,
ძველ როიალთან მუსიკა შევქმნათ.
ღამით, მთვარის შუქს მივუძღვნათ ცეკვა,
გაუჩერებლად ვიცეკვოთ ვალსი,
მერე წამოვწვეთ ცვრიან ბალახზე,
და ვარსკვლავები დავთვალოთ ცაში.

დილით მზის სხივებს გავყვეთ ბილიკზე,
ყაყაჩოები მოვძებნოთ მინდვრად,
მერე ჩამოვსხდეთ სადმე ხის ჩრდილში
და მომავალზე ვიფიქროთ მშვიდად.
ზედმეტი ხომ არ მომითხოვია,
ხომ არ შევცოდე ნეტავი ღმერთთან,
მხოლოდ ის მინდა, ხელი ჩამკიდო
და სიყვარულით დავბერდე შენთან.

სიყვარულს უფრთხილდი

სიყვარულს უფრთხილდი, არ არის ადვილი,
თუ წინ გადაგიდგა ყველაფერს წაგართმევს,
ცაში ატყორცნილი ვნება და წადილი,
მიწას გამოგაცლის, უფსკრულში ჩაგაგდებს.
არ ვიცი რა უფრო მეტად გამიჭირდა
სატრფოს ღალატი თუ გაგება ამბისა,
რომ მისი თვალები დემონმა წამართვა
და ჩემი დანახვის უფლება არ მისცა.
ისე გულუბრყვილოდ მივენდე ოცნებას,
არც კი მიფიქრია გონება ჩამერთა,
მიზეზი არ მქონდა ისე ავიჩემე
და ეს აჩემება უეცრად წამერთვა.
მინდა დავივიწყო დროებით წარსული,
თუმცა დავიწყება არ არის ადვილი,
გარეთ გაზაფხული მიწვევს საბრძოლველად,
გულში ტყვიასავით მესროლა აპრილი.

თოვლიანი დილა

წუხელ თოვდა, ჩემს სარკმელთან ფარდა
ჩამოუშვეს ფანტელებმა დილით.
პირველ თოვლზე ნაფეხური ჩანდა,
ვიღაც ლოთი მიყვებოდა ბილიკს.
ანგელოზი ცაში ღრუბელს ბერტყდა
და ფიფქები იყრებოდა მსხვილად,
სახურავებს ასდიოდა კვამლი,
ზღაპარს ჰგავდა თოვლიანი დილა.
დამეუფლა საოცარი გრძნობა,
უცებ წარსულს გადავავლე თვალი,
თეთრი თოვლი ჩემს ოცნებას ჰგავდა,
დნებოდა და იშლებოდა კვალი.

ქალებს

'' სუსტი სქესიო '', ამბობენ ჩვენზე,
ვინ შეამჩნია სისუსტე ნეტავ?
ძლიერი ქალი თუ შესძლებს ამდენს,
რომ იყოს ცოლი, რომ იყოს დედა.
ხომ დაამტკიცეს თანასწორობა
ჩვენი სამყაროს ყველა სფეროში,
ჯერ კიდევ გვახსოვს ქალების როლი,–
''ვეფხისტყაოსნის'' საქართველოში;
– განა დედაა, განა ცოლია,
აქ ''ლეკვი ლომის თანასწორია''.
როცა ომია გაცოფებული,
ისე ფრინავენ როგორც ჩიტები,
ქვეყნის ღირსებას კაცის სამოსში
დღესაც იცავენ – ''მათე ბიჭები''.
ამაზე უფრო საინტერესო,
ჯერ არაფერი გამიგონია,
– კაცი ძალაა, კაცი ღონეა,
მძიმე უღელი მაშ რად გაუყო
თუ ქალი მისთვის სუსტი დონეა?!...

* * *

ისევ თოვს და ისევ ცუდი ამინდია,
ყინვამ აზრი ამირია თავში
კიდევ კარგი თებერვალი მოკლე თვეა,
მზეს და სითბოს ველოდები მარტში,
რა ცუდია როცა ძალა აღარ გყოფნის,
რომ როგორმე გაუმკლავდე ზამთარს,
მარტოობა ახლა მძიმე სასჯელია,
თუმცა მეტი არჩევანი არც მაქვს.
როცა თოვს და როცა ცუდი ამინდია,
მხოლოდ მაშინ გვახსენდება შეცდომები.
თუმც, ყველაფრის პატიება ადვილია
თუ კი უფალს უყვარხარ და ეცოდები.

ემიგრანტებს

ემიგრანტი ცხოვრობს ფიქრის ტყვეობაში,
ნოსტალგია შემოჰყრია სენად,
თითქოს ღმერთმა ძლიერები აარჩია,
გაჭირვებულ საქართველოს მხსნელად.
უცხო ქალის ნაოჭიან ხელს რომ ხედავს,
ოცნებაში დაეღალა სული,
ენატრება სახლის კართან მდგარი დედა
და ეზოში შემოდგომის სუნი.
წუთისოფელს დიდი ბრძოლით მიუყვება,
ბედისწერამ ცხრა მთა გადაატარა,
ემიგრანტი სამშობლოსთვის არის დიდი,
სადღაც უცხო ქვეყნისათვის – პატარა.

მეგობარს

რამდენჯერ მინდა მოვიდე და გიამბო ჩემზე,
თუმცა ისედაც უკვე იცი რა მსურს, რა მიჭირს.
ძნელია როცა მარტოობა გონებას გირევს
და ყველა იმედს ერთი ხელის მოსმით წაგიშლის.
ვერ მოვახერხე საჩუქარი მეყიდა შენთვის
და მეგობრობა საუკუნო ვალად ავიღე.
მე არაფერი გამაჩნია ოცნების გარდა
და ეს ოცნება შენი იყოს გჩუქნი, წაიღე.

ქალი ვარ!...

უბრალოდ ქალი ვარ, ვარ ადამიანი,
არ მადგას გვირგვინი ''ხმაურის დედოფალს'',
რამდენი რამე მაქვს მე თქვენთვის სათქმელი,
არავინ არ უსმენს ჩემს ტყუილ ყბედობას.
ქალი ვარ!...
დუმილი ჩემთვის სასჯელია,
გული ვერ გამიძლებს, რომ არ დავიჩივლო,
სათქმელი ჯერ კიდევ ბევრი რამ არ მითქვამს,
ამაღამ უთქმელად როგორ დავიძინო.
გაყინულ სიჩუმეს ვერ უძლებს საღამო,
მინდა ლაპარაკით ბოლომდე დაგღალო.
გადაღლილი ცრემლებს უკვე ვეღარ მალავს,
დილით როცა მიუჯდება საუზმეს,
ტკივილამდე ენატრება საქართველო,
აბა სუსტი ამდენს როგორ გაუძლებს.
თითქოს მხრებზე შემოიდგეს დედამიწა,
გაუმკლავდნენ, მტერი არ გააცინეს,
ღვთის ანაბრად დარჩენილი ქართველები,
დაქცევას და შიმშილს გადაარჩინეს.
ემიგრანტთა როლი უზარმაზარია,
მათ საქციელს არ სჭირდება განსჯა,
თავად უცხო ქვეყანაში წავიდნენ და
მათი გული სამშობლოში დარჩა.

ხელი რად გამიშვი

უცებ აგამაღლე, აფრინდი ზეცამდე
იმას მოვითხოვდი რაც შენში არ იყო,
როცა ვეღარ შეგწვდი, გავაცნობიერე,
რომ ჩემი გრძნობები მცდარი და ბრმა იყო.
როგორ ვიფიქრებდი, რომ ხელს გამიშვებდი,
ჩემს ნდობას შენდამი ძლიერად ვკონავდი,
ისე დავიმდაბლე თავი რომ ვერც მივხვდი,
ჩემს შესაძლებლობებს საიდან ზომავდი.
როგორ გამიჭირდა ძალების მოკრება,
უნდა მოვახერხო გზის გავლა მარტოკამ.
ბევრჯერ გათენდება უნიჭო დღეები,
ბევრჯერ კი ჭორების ჭაობში გავტოპავ.
უნდა ჩავამტვრიო ჩემ წინ სარკის მინა,
რომ არ აირეკლოს შეშლილი მიმიკა,
უნდა მოვახერხო ნაზი გაღიმება,
აღარ გამიკვირდეს რაც ადრე მიკვირდა.
ხელი რად გამიშვი, ხომ ხედავ დავეცი,
ფიქრის ლაბირინთში ამხლართა გონებამ.
აზრებს ვერ ვალაგებ, შიშმა ამიტანა,
უშენოდ სხვა ვინმე დამეპატრონება.

ხედავ?!...

ხედავ?!... როგორ მომერია დრო,
ხედავ?!... როგორ გამითეთრა თმები.
ხედავ?!... როგორ გაიტაცა შორს,
უნაზესი ჩემი ოცნებები.
ხედავ?!... როგორ შეჰპარვია თვალებს,
სინანულის ცრემლნარევი სევდა,
ხედავ?!... როგორ აღარა ვარ ის,
ბილიკზე რომ ქარიშხალი სდევდა.
მოდი ნახე როგორ მებრძვის დრო,
თვალზე უცებ გადამეკრა ბინდი,
დღეს კომპლიმენტს ნუღარ მეტყვი გთხოვ,
გამიბედე სიმართლის თქმა მიდი!...
ხედავ?!... როგორ ვერ შესძელი შენც,
რომ სიმართლეს გაუსწორო თვალი.
ხედავ?!... როგორ შეუძლია დროს,
ცოცხლად მოკლას მშვენიერი ქალი.
იცი?!... როგორ არ მეთმობა მაინც,
წლები ნელა სულს რომ სტაცებს სხეულს.
ხედავ?!... ასაკს გააფთრებით ვებრძვი,
ხედავ?!... როგორ არ ვნებდები წყეულს.

წვიმა

აღარ ჩერდება ღრუბლიდან წვიმა,
თითქოს ჯავრს იყრის ჭექა-ქუხილი.
ალბათ ღრუბელსაც ჩემსავით სტკივა
და არ ასვენებს გულის წუხილი.
თითქოს მიპოვა თანამოაზრე,
თითქოს თავისი დარდი მანახა,
ხვალ კი ამ წვიმის ყოველი წვეთი
გადაიქცევა გუბედ, ტალახად.
დილით არავის ემახსოვრება,
ცისარტყელები ზღაპრულ ფერებში,
და ჩამეღვრება სველი ფოთლისგან
ჩამოვარდნილი წვეთი ხელებში.

სიკვდილზე უფრო მეტად სიცოცხლის მეშინია

საოცარ უხილავ ომში ვარ ჩართული,
ახლა დედამიწა ჩემზე შეშლილია,
პირი აკრული მაქვს, დავდივარ დუმილით
სიკვდილზე მეტად სიცოცხლის მეშინია.
ჰაერი დამძიმდა, ირევა ღრუბლები,
გამუქდა სამყარო, დაკარგა ფერები,
წვეთებით რიგდება შხამი ლუციფერის,
შავმა დემონებმა ალესეს ცელები.
ღმერთო დამიფარე ამ ორომტრიალში,
დავყრუვდი არ მესმის ტაძრებში გალობა.
ამ აგონიაში რად მინდა სიცოცხლე
თუ ვერ შევიგრძენი უფლისგან წყალობა.
იქნებ ძილში ვარ და სიზმრად ვმოგზაურობ
თუ მძინავს რატომ ვერ დავხუჭე თვალები?,
ეს ბრძოლა როგორმე მე უნდა მოვიგო
თორემ ჩემს მომავალს აღარ ვეყვარები.
თუ ძალა დავკარგე ახლა სიყვარულის,
თუ კი სიმართლის თქმის წამართვეს უფლება,
თუ წრფელი გრძნობები მომტაცა სატანამ, –
რაღაა სიცოცხლე ან თავისუფლება.
და თუ შემოდგომის გაცრეცილ ფოთლებში
ვეღარ გავარჩიე ოქტომბრის ფერები,
ჩემი მომავალი წვეთ შხამს თუ მივანდე
როგორ შემოვხვიო სამყაროს ხელები?,
ღმერთო მომიტევე ყველა შეცოდება,
ახლა დედამიწა ჩემზე შეშლილია,
ყოველ წუთს ვჩურჩულებ, – შემინდე უფალო,
სიკვდილზე მეტად სიცოცხლის მეშინია.

მინდა გაჩვენო რა ლამაზად აყვავდა ნუში

მინდა გაჩვენო რა ლამაზად აყვავდა ნუში,
რა ძლიერ მინდა შენთვის ახლა იმის გამხელა,
რომ შენი ფოტო ჩავიხუტე წუხელ ჩემს გულში
და ვერ გავიგე დილა როგორ შემომათენდა.
– მერე დუმილი, მოლოდინი, ეიფორია,
და ისევ ეჭვი, რომ ეს გრძნობა იქნებ და ცრუა,
ღალატზე ფიქრით მოძალადე იღვიძებს ჩემში,
ვგრძნობ, რომ სატანამ ჯოჯოხეთში შემომიტყუა.
– ისევ ლოცვებში გათენება უძილო ღამის,
დახმარებისთვის მუხლმოყრილი ხვეწნა უფალთან,
ეჭვებით დაღლილს მეზიზღება ყოველი წამი,
როცა ვფიქრობ, რომ მე მიყვარს და მას
არ ვუყვარვარ.
შემომათენდა გაზაფხულის ლამაზი დილა,
მინდა გაჩვენო სილამაზე ჩემი თვალებით,
მე ნუშის ხესთან დღესაც ისევ სულ მარტო მივალ,
ამ უშენობას უკვე ვეღარ დავემალები.

სარკეში არეკლილი ასაკი

ახლა ასაკს მხოლოდ სარკე მახსენებს,
ვუყურებ და თავი აღარ მეცნობა,
ირონიით მეუბნება სიბერე,-
''ანარეკლმა დაუშვაო შეცდომა''.
თუმცა,მაინც სხვანაირად განვიცდი,
სახე დღესაც მაკიაჟით დავმალე,
საკუთარ თავს დავაშტერდი სარკეში
და თვალები სულ ტყუილად დავღალე.
დავბერდი და ჭაღარამაც გამყიდა,
ასაკს უკვე ვეღარ ვმალავ ვერაფრით,
ჩემი წლები უცნაურად გაფრინდა,
ამიტომაც დავიღალე ყველაფრით.
ნეტავ მართლა სარკის ბრალი აღმოჩნდეს,
ნაოჭებში ჩამალული თვალები,
ან იქნება ჯობია რომ გამოჩნდეს,
ასაკს მაინც ვერსად დავემალები.

* * *

გიყურებ და მეღიმება ჩუმად,
ვერაფერი დავინახე შენში.
თუმცა ისე მომერია ვნება
ამერიე მთვარესა და მზეში,
მზე რომ იყო გამათბობდი ალბათ,
მთვარე, ღამით გამინათებ ქუჩას,
რა ცუდია რომ არცერთი არ ხარ,
ჩემს მცდარ აზრებს ბოლო აღარ უჩანს.
ახლა დროა გაგერიდო თორემ,
ბევრი აზრი მიტრიალებს თავში,
ვიზეც ვფიქრობ ის მეგონე უცებ.
ცუდია რომ ამერიე სხვაში.

* * *

ახლა ყველას,
ძლიერსაც და სუსტსაც
მთელი ძალით სულში უტევს მხეცი,
ნუ იქნები იუდა და უფალს,
ნუღარ გაცვლი, ძველებურად ვერცხლში.
ჩვენ მრავალჯერ მოგვიგია ომი,
თუმც ეს ბრძოლა ახლა
სულ მთლად სხვაა,
ჩვენი სული ეომება ეშმაკს,
იარაღი ლოცვის წარმოთქმაა.
სინანული ვერ გვიშველის მერე,
თუ ჩავუგდეთ თავი დემონს ხელში,
ხომ იცით რომ მოღალატე უფლის,
დაიწვება ჯოჯოხეთის ცეცხლში.

* * *

მე ქართველი ვარ!
ბედისწერის არ მეშინია,
ჩვენ ბრძოლის ველზე ვიზრდებოდით
და ვიბრძვით მუდამ.
ქალების სისხლით შეიღება
ომში აპრილი,
რომ ვერ მიეღო ვერასოდეს
ის რაც მტერს სურდა.
ახლაც, ამ დროშიც მუჭა-მუჭა
გვპარავენ მიწას
და არ იციან, რომ სასჯელი ექნებათ დიდი,
რადგან ჩვენს მოდგმას
ღვთისმშობელი მარადის იცავს,
წმინდა გიორგი მახვილით დგას
ბრძენი და მშვიდი.
ჯერ კიდევ გვახსოვს როგორ გაქრნენ
დიდი ქვეყნები,
ღმერთის ნებაა რომ არ მოვხვდით
ჩვენც მათ სიაში,
სანამ ჩვენს მოდგმას დედაღვთისას
კალთა იფარავს,
მანამ იბრწყინებს საქართველო
კავკასიაში.

მენატრები

წუხელ შენი ნაბიჯის ხმა შემომესმა,
უცებ ტანში ჟრუანტელმა დამიარა.
ჩემს სარკმელთან ჩაგისაფრდი,
მთვარის შუქზე,
შემეშალა, ვიღაც უცხომ გაიარა.
არც კი ვიცი რატომ ვუცდი შენს ნაბიჯებს,
– არც ის ვიცი ღამით რატომ მელანდები.
ახლა ალბათ უშენობა გამაგიჟებს,
მენატრები!... მენატრები!... მენატრები!...

* * *

– რაღაც მთავრდება, რაღაც იწყება,
დასასრულს კარგი დასაწყისი აქვს.
– სადაც ლხინია, იქვე ჭირია,
მდიდრის მეზობლად გასაჭირია.
რაც იყო შენი, ახლა სხვისია,
ეს უდიდესი დანაკლისია.
უცებ მდიდარი იქცა მათხოვრად,
ვერ შეასრულა თავის მისია.
დაკარგულს უკან ვერა დაიბრუნებ,
უნდა ეძებო რაღაც ახალი.
ის რაც დაკარგე ნაგავზე გდია,
ფორმა შეცვლილი, სხვისი ნახმარი.
სამყაროს მკვეთრი კონტრასტები აქვს.
ცრემლებს ყოველთვის მოსდევს სიცილი,
რომ იბადები, გაზრდას ვერ ასწრებ,
ჩასაფრებული გიცდის სიკვდილი.

* * *

მე არც დედა ვარ და აღრც შვილი,
უიღბლო წარსულს ვუმზერ შორიდან.
ყოველ დღე უფალს ვაწუხებ ლოცვით,
ეს დასასრულიც აღარ მოვიდა.
არ მინდა ვინმე მამჩნევდეს ტკივილს,
ცრემლებს საზარელ ხარხარში ვმალავ.
ჩემს უიღბლობას შევებრძოლები,
მანამდე სანამ უფალთან წავალ.
მე არც დედა ვარ და აღარც შვილი,
რადგან ჩამოვრჩი არსებულ წესებს.
ისე მივდივარ, როგორც აჩრდილი
და ჩემს მემკვიდრედ გიტოვებთ ლექსებს.

აღარ მახსოვს რა დღეა და რა რიცხვი

აღარ მახსოვს რა დღეა და რა რიცხვი,
დღესაც ისევ ჩვეულებრივ გათენდა.
თუმც ამ ჯერად აღარაფერს განვიცდი,
დრო საკმაოდ მომერია, გამთელა.
მინდა ვიყო სხვისგან განსხვავებული,
ტატუებით დავიფარე სხეული,
თითქოს ტვინში ჩამისახლდა სატანა,
თავს არაფრით არ მანებებს წყეული.
აღარ მახსოვს მერამდენედ შევცოდე,
პატიებას ვეღარ ვკადრებ ზეციერს,
დამძიმებულ სულს სჭირდება შენდობა,
თორემ რა აქვს შესანდობი წესიერს.
ღმერთო, როგორ ამერია ფიქრები,
აღარ ველი ახლა სულის ცხონებას,
ალბათ მალე ისე გადავირევი,
თვითმკვლელობით დავამთავრებ ცხოვრებას.
აღარ მახსოვს, რა დღეა და რა რიცხვი,
თითქოს კართან ჩამისაფრდა სიკვდილი,
თუმც ამჯერად აღარაფერს განვიცდი,
აღარ შემრჩა არც შიში, არც სირცხვილი.
დამიჯერე, აღარაფერს განვიცდი,
მინდა კოსმოსს შევუერთდე, არ ვიცდი.
მე არ ვგავარ მოკრძალებულ ქალბატონს,
ჩემი სული გავაშიშვლე ლექსებში,
როცა მნახავ, დარწმუნდები, მიხვდები
ვერ ვერკვევი ტრადიცია-წესებში.
როცა მნახავ, როცა ახლოს გამიცნობ,
გაიფიქრებ, ''ეს ხომ ავადმყოფია''.
შენთვის ალბათ ცოტა ძნელი იქნება
მოსასმენად ჩემი ფილოსოფია.
მთავარია გაბედულად მოხვიდე,
და გადმოდგა ჩემკენ მყარი ნაბიჯი,
წაიკითხე ჩემი ლექსის სტრიქონი
და შენც მისი რითმებივით გაგიჟდი.
ან იქნება ჩემი ნახვა არც ღირდეს,
რადგან აღარ მოგასვენებს ფიქრები.
თუ შესძელი ჩემი სულის დანახვა
სამუდამო ტყვეობაში იქნები.
იქნებ მითხრა, როგორ გადავაქციო,
ჩემი მწარე ჯოჯოხეთი სამოთხედ.
წაქცეული, მტრისგან დამარცხებული,
საბრძოლველად ფეხზე როგორ წამოვდგე.
იქნებ მითხრა, სატრფოს რა მოვუხერხო
აგერ უკვე მერამდენედ მღალატობს.
სულში ბოღმის ბობოქარი მდინარე
რანაირად დავუბრუნო კალაპოტს.
იქნებ მითხრა, როგორ გამოვარჩიო,
ცაზე ჩემი ბედისწერის ვარსკვლავი,
სიკეთის და ბოროტების შუაში
რა მანძილზე გავატარო საზღვარი.
ერთხელ მაინც რატომ არ გამაფრთხილე,
როცა სევდას ღიმილითა ვმალავდი,
შენ რომ გეთქვა რა რთულია სიცოცხლე,
ჩემს თავს სადღაც მთებში გადავმალავდი.
იქნებ მითხრა, სიყვარულის პასუხად
სიძულვილი რა მიზეზით მივიღე,
დამეხმარე, მაპოვნინე სიმშვიდე,
რომ უფალთან პირნათელი მივიდე.
ეს ცხოვრება ერთი ბეწვის ხიდია,
მე ამ ხიდზე სეირნობა დამჩემდა,
თუმცა თითქოს არც კი გამომივლია,
მოვდივარ და ნაკვალევი არ რჩება
დავიკარგე უსასრულო ქაოსში,
შევებრძოლე, ვერაფერი ვიღონე,
ან იქნება სულაც არ ვარსებობ და
ჩემი თავი თვითონ გამოვიგონე.

ნიღაბი

რას არ ამბობენ ჩემზე, მაგრამ აღარ ვბრაზდები,
აღარც კი ვუსმენ გამოგონილ ახალ ვერსიას.
არ ვუშინდები სიმართლის თქმას, უცნაური ვარ,
არსად გავურბი მოზღვავებულ დიდ აგრესიას.
ვერ ამიტანეს მე ისეთი როგორიც მნახეს,
რომ დავიმალო აბა ამით რა შეიცვლება?
რა გვიან მივხვდი რომ დამალვა სჭირდება სახეს,
ნიღბის გარეშე გარეთ გასვლა არ შეიძლება.
ვეღარ მოვარგე ემოცია ქცევის სტანდარტებს,
ყოველ დღე ვისმენ ვიღაცისგან სასტიკ მუქარას,
მე ჩემს ხასიათს შევადარებ ჭაობის თავზე
თვალის მომჭრელად მოლივლივე გაშლილ დუმფარას.

მარტოხელა ქალის მელანქოლია

დრო გადის და ყველა ჩემი მოგონება,
შევკონე და დროსთან ერთად დავტოვე.
მიმატოვა ყველამ ვისაც ვენდობოდი,
გევედრები ღმერთო შენ ნუ დამტოვებ.
უკან ბევრი ლამაზი დღე გავაცილე,
მოკაშკაშე მხიარული ფერებით.
თავხედურად მოვიჩქარი ზეციერო,
შენთან ასე ცარიელი ხელებით.
ისევ დრო და ისევ სივრცე ოცნებების,
მარტოხელა ქალის მელანქოლია.
რომ მეგონა ბევრი მყავდა ახლობელი,
ღმერთის გარდა თურმე არვინ მყოლია.

თანადგომა

მოდით ერთად გავაკეთოთ სიკეთე,
თანადგომის ხელი მაგრად ჩავჭიდოთ,
არ დავტოვოთ მარტო გაჭირვებული,
მივიდეთ და ერთად გადავარჩინოთ.
მოდით ძმებო არ გავუშვათ არავინ,
თანადგომის ხელი მაგრად ჩავჭიდოთ,
სიკვდილს ერთად ავუბნიოთ გზა-კვალი,
წუთისოფელს წუთი გავუხანგრძლივოთ.
კეთილ საქმეს ცაში ღმერთი დალოცავს,
ყველასა აქვს კარგად ყოფნის უფლება,
თანადგომის ხელი მაგრად ჩავჭიდოთ
და სიკეთე ასგზის დაგვიბრუნდება.

გამიფრინდა გაზაფხული

ისე გამიფრინდა გაზაფხული,
ვერც კი შევიგრძენი მაისი.
ხელებში ჩამაჭკნა ''ლურჯთვალა იები'',
დღეებმა დაკარგა ხალისი.
წვიმა მომენატრა ჩემს ეზოში,
ლეღვის მსხვილ ტოტებს რომ ასველებს,
ჭიამაიები ხელის გულზე
მიმართულებას რომ მაჩვენებს.
მინდვრად ჭორიკანა გვირილები,
გიყვარს თუ უყვარხარ არ იცი,
ნეტავ რატომ გაქრნენ ციცინათელები,
ახლა მარტოობას განვიცდი.
ღმერთო, გევედრები დაუბრუნე.
დღეებს დაკარგული ხალისი.

ვერ შევძელი შენი შენარჩუნება

მე დაგკარგე, მე გაგიშვი ხელები,
სხვამ კი უცებ შეძლო შენი ცდუნება,
ჯოჯოხეთად გადამექცა დღეები,
ვერ შევძელი შენი შენარჩუნება.
გამიძნელდა შენთან ერთად გზის გავლა
და ეჭვებით თავი გავინადგურე,
ამიტომაც დაგთმე, ჩემგან გაგიშვი,
მაპატიე, რომ ვერ შეგინარჩუნე.
დავმარცხდი და ვაღიარე სისუსტე,
ასეთია ალბათ ქალის ბუნება.
უცხო ქარმა გაგაქროლა ნისლებში,
ვერ შევძელი შენი შენარჩუნება

როგორ უხდება მეგობრების საუბარს ღვინო

როგორ უხდება მეგობრების საუბარს ღვინო,
– ტკბობა, უსიტყვო სიყვარული ნაფიც ძმებისა.
ძველი სიმღერის ხმებში გაშლა და პიანინო,
ლექსად ნათქვამი სადღეგრძელო,
'' განვლილ წლებისა''.
ბახუსს მოჰყვება გაბრუება და მერე თრობა,
ფეხის არევის გეშინია, თუმცა არ იმჩნევ,
თქმა აღარც გინდა, მაგრამ უცებ საუბარს მოჰყვა,
რომ ''დედმამიშვილს ღმერთი გვაძლევს,
მეგობარს,– ირჩევ''.
მერე ლექსების ჯერიც დგება,
უცბად, ექსპრომტად,
თემებიც თითქოს არ ილევა სალაპარაკო,
როგორ უხდება მეგობრების საუბარს ღვინო,
რომ ნაფიცი ძმა სიყვარულზე ალაპარაკო.

რატომღაც გძულვარ

რატომღაც გძულვარ,
არც კი ვიცი, რისთვის ან რატომ?
ეგ სიძულვილი აგრესიას არც იწვევს ჩემში.
იქნებ გიყვარვარ და არ გინდა ვინმემ გაიგოს,
რათა ის ვინმე არ ჩავარდეს უაზრო ეჭვში.
ხანდახან ვუშვებ შეცდომებსაც ბუნებრივია,
ხანდახან უცებ მეკარგება სირცხვილის განცდა.
ვერ მომერევი სიძულვილით, მაინც მოგიგებ,
ჭკვიანი ქალი არასოდეს მარცხდება კაცთან.

* * *

ყოველ წუთს დამდევს დარდი და სევდა,
როგორ დავუთმო?
როგორ დავჯერდე?
გაქცევას ვიცი აზრი არა აქვს,
მის წინ გმირულად უნდა გავჩერდე.
ვერ მომერიე სევდავ და დარდო,
შენს წინ ვიდექი, ვერ წამაქციე,
ჩემი ცხოვრება ტრაგედიაა,
მე კომედიად გადავაქციე.

მეგობრებს

არასოდეს არ ვყოფილვარ მარტო,
არასოდეს არ ვყოფილვარ ერთი.
გვერდით მყავდა ჩემი მეგობრები
და ზეცაში მწყალობელი ღმერთი.
სიკვდილის წინ ჩემს თავს როცა ვკითხავ:
ეს სამყარო ასე რად მიყვარდა?
იმ წუთშივე გამიელვებს აზრი –
რომ ერთგული მეგობრები მყავდა.

ამ შემოდგომას კიდევ ერთხელ დავიბადები

ჩემთვის უფლისგან ჯილდო ალბათ ''წერია ნიჭია''
მუზას ვერაფრით შემოვავლე,–ზღვარი სამანი.
მგონია თითქოს იმ საოცარ პეიზაჟს ვგავარ,
ძველ ნანგრევზე რომ ამოსულა იასამანი.
არ შეიძლება ვინც მე მიცნობს ყველას ვუყვარდე,
თავში კითხვები მიტრიალებს უკვე წლებია.
მე რომ მეგონა ამ ეპოქამ გრძნობები მოკლა,
ერს ჩემი ლექსის სტრიქონები შეჰყვარებია.
და რა თქმა უნდა მოკვდავი ვარ, ამიტომ ვიცი,
ბნელი სიკვდილი უეჭველად დამაზიანებს,
თუმც ჩემი ლექსი უკვდავია სამარადჟამოდ,
ერი მომავალ ეპოქაშიც გააზიარებს.
ახლა რომც მომკლან, გამიმეტონ, მესროლონ ტყვია,
რომ დამიფინონ სავალ გზებზე ეკალ–ბარდები,
ჩემს ქვეყანაში ოქროსფერი ოქტომბერია,
ამ შემოდგომას კიდევ ერთხელ დავიბადები.

გაზაფხულის სურნელი

როგორ მიყვარს გაზაფხულის სურნელებით თრობა,
თითქოს უცებ სიყვარულმა დაამარცხა მტრობა.
ოქროსფერი მზის სხივი რომ გაანათებს დილას
და თოვლის ქვეშ გააღვიძებს ლურჯთვალება იას.
როცა ისმის ფრინველების ტკბილი ხმები ცაში,
ამ დროს თითქოს სიცოცხლისთვის ღმერთმა მომცა შანსი.
ამიტომაც მსურს ჩამოვჯდე ატმის ხის ქვეშ მარტო,
სხვა ამაზე უკეთესი აბა რა ვინატრო?...
გაზაფხულის სურნელებით გავაგრძელო თრობა
და ჩემს გუში სიყვარულმა დაამარცხოს მტრობა.

ნანა ჩარკვიანი – ბუღალტერი
დაიბადა თწერჯოლაში

მზეწვია

ერთი პატარა ბეღურა,
ჩემს ბაღებს შემოეჩვია.
ვიკითხე მისი სახელი
მითხრეს,რომ ჰქვია მზეწვია.

ნეტავ საიდან მოფრინდა,
ან აქ საიდან მეწვია.
ისე დაფრინავს ვარდებში,
როგორც ღრუბლები მზეშია.

მისი სტვენა და გალობა
სიხარულს იწვევს ჩემშია,
ჩემს სანახავად მოსული,
საქართველოდან მეწვია.

ვინ იცის რა გზით იარა,
ან გზად რა წამოეწია,
მაგრამ ყველაფერს გაუძლო
ჩემამდე, რომ მოეღწია.

ცდილობდა მისი გალობით,
ჩემს გულში შემოეღწია,
არწივს დაუსხლტა მთებიდან,
ჩემს ბაღებს შემოეჩვია.

ყოველი დილის განთიადს
ნამი, რომ ბრწყინავს მზეშია,
სიმღერით სალამს მომძახებს,
პატარა ჩიტი,მზეწვია.

მე ჩემს სამშობლოს მახსენებს
ამ გადმოკარგულ მთებშია,
მისი გალობა სულს მითბობს,
სიხარულს იწვევს ჩემშია.

რა გამაკვირვებს

მიუყვებოდი უცხო
მიწის უცხო ნაპირებს,
ჩემი სამშობლოს
შემხედვარეს,
რა გამაკვირვებს.

თეთრი ჟასმინი,მოსდებია
ღობეს და ყორეს,
როცა ჩაუვლი, გასაოცარ
სურნელს მაყოლებს.

მთით მონაბერი,
დანავარდობს
ქარი მუქარით,
მე მეხვეოდა ფიქრები
და, ჟასმინს ფუტკარი.

დაკიდებული, ცის კალთაზე
მზე მიძღვნის სითბოს,
შეციებულ სულს
სხვის მიწაზე,
მაინც ვერ მითბობს.

მივყვები ქუჩას,
თან სურნელი
მომდევს ჟასმინის.

ემიგრანტი ვარ,
გადაღლილი,
ძალა დაცლილი.

ისევ დავყევი მოწყენილი
უცხო ნაპირებს,
ეს სილამაზეც,
ვეღარ მხიბლავს,
ვეღარ მანცვიფრებს,
ისეთი ქვეყნის
შვილი ვარ, რომ
რა გამაკვირვებს.

საქართველო წერია ჩემი გულის ფიცარზე

საქართველო წერია
ჩემი გულის ფიცარზე.
მინდა დავაბიჯებდე,
ჩემი ქვეყნის მიწაზე.

მინდა ვწერდე,ქართველის
წარმატება,მიზანზე.
ქვეყნის აღმშენებლობის
ჩვენის, არა სხვისაზე.

ერთმანეთის ნდობაზე,
სიყვარულზე ღვთისაზე,
მზე,მთვარე,ვარსკვლავებზე
ჩემს ცასა და მიწაზე.

ქორწილებს და ძეობებს,
რითმას,ვწნავდე რითმაზე.
ბავშვის სიცილს უმანკოს,
მამლის ყივილს სისხამზე.

დალოცვილი ვაზი კი,
ქარვის მტევნებს ისხამდეს,
ვაჟი, გოგოს ხელს
სთხოვდეს,
ერთგულებას ჰფიცავდეს.

იგუგუნოს ქარხნებმა,
ინდუსტრიაც ჰყვაოდეს.
საცოდავი ქართველი
სხვაგან,რომ არ გარბოდეს.

გვყავდეს ხელისუფალი,
ხალხზე ოდნავ დარდობდეს.
კაცს ღიმილი ამკობდეს,
გაჩენას არ ნანობდეს.

ციდან ბედნიერება,
და იღბალი ათოვდეს,
ემიგრანტი შინისკენ
თავის ფეხით გარბოდეს.

დანარჩენი მსოფლიო
ქართველობას ნატრობდეს.
დაკარგულს ვიბრუნებდეთ,
ერთ გოჯსაც
არ,დავთმობდეთ.

მოდი აქ დავამთავროთ
ლექსის მიეთ– მოეთი,
აღარ მინდა,რომ მერქვას
სევდიანი პოეტი.

დაიცალა საქართველო

დაიცალა,საქართველო,
როგორც სავსე ღვინის თასი.
ვისაც ცოტა შეუძლია
ყველა გარბის,ქალი კაცი.

ამოხადეს,ქართველს სული
ვეღარ ამოვიდნენ ვალში.
აქეთ,სახლებს უყიდიან
იქეთ რაც კი ჩადეს ბანკში.

სამსახური არსად არის
სად გადახტნენ,რომელ წყალში.
კარგი ცხოვრება,თუ გინდათ
მოიკითხეთ მთავრობაში.

მოხუცს პენსია არ ჰყოფნის,
პურსაც ნატრობს ბევრი ბავშვი.
ღიმილები წაიშალა,
ხალხს ბოღმა აქვს ხასიათში.

ამას ისიც დაემატა
არ გვიღებენ ევროპაში.
კომპანიებს უხარიათ
ტევა არ აქვთ თვითმფრინავში.

ყველა გარბის,ქალი, კაცი,
ვინღა რჩება ნეტავ სახლში.

ვისი მთავრობა იქნებით,
მაგ ცარიელ ქვეყანაში?!

თუ სამშობლოს ვერ პატრონობთ
ადექით და,წადით სახლში.
ჩემი ტურფა საქართველო,
ხომ არ მოგიგიათ ნარდში.

თქვენ,რომ გკითხოთ დუღს ქვეყანა,
აღარ გძინავთ ხალხის დარდში.
ისე,მართლა როგორ გძინავთ,
საქართველოს კვნესის ხმაში.

საქართველო კრუხს მაგონებს,
დაეფანტა შვილნი ქარში.
ქართველი კი,წიწილივით,
გალუმპულა ცრემლის ღვარში.

სხვის მიწაზე,მოჭიდებულს,
ხელში შერჩა მხოლოდ ხავსი,
ატრიალებს ნიაღვარი
მოყოლილა ქარიშხალში.

ღმერთო მხოლოდ შენი მჯერა,
არ გაგვაქრობ და არ წაგვშლი.
ნიკოფსით– დარუბანდამდე,
რომ ძველ საზღვრებს ისევ გაშლი.

წყარო

სკოლის მახლობლად სოფელში
წყარო,რომ იყო ანკარა,
გამახსენდა და ვიკითხე,
ნეტავი ხომ არ დამშრალა.

არაო,მითხრეს თუმცაღა
ეკალ– ბარდებმა დაჰფარა.
რამდენჯერ დავწყურებულვარ,
როცა ვიყავი პატარა.

იქვე,მახლობლად ტყეც იყო
სულ ყვავილები ჰყვაოდნენ.
ია და ფურუსულები,
ყოჩივარდებიც ხარობდნენ.

ღიღილოც,ყვითელგულებიც
ლამაზად ყელყელაობდნენ.
ვინ უფრო ლამაზიაო,
ხეები მუდამ დაობდნენ.

ნიავი,ფოთლებს არხევდა
ჩურჩულით,თან ჭორაობდნენ.
ღელეც ღიღინით ვიდოდა,
იხვები ჭყუმპალაობდნენ.

წყაროსთან ახლოს მინდორში,
პეპლებთან მითამაშნია,
და გვირილების გვირგვინიც
ჩამიბნევია თმაშია.

ზარის ხმის გაგონებაზე
მომიკურცხლია კლასშია.
ის წყარო,მაინც სხვაგვარად
ჩამჯდარა გონებაშია.

აკაციების სურნელიც
სულს რა ფაქიზად აჩნია,
ის გრძნობაც,ძალზე ფაქიზი
ბილიკებს ჯერ არ წაშლია.

საით წავიდნენ ბავშვები
ერთად,რომ გვითამაშნია.
ცხოვრებამ მიგვფანტ– მოგვფანტა,
ზოგიც გაფრინდა ცაშია.

წყაროს,ტყეს,მინდორს,ბილიკებს
ბევრი რამ შეუნახიათ.
იმ ცელქი გოგო-ბიჭების
კვლავ მონატრება ატყვიათ.

მათი,სიცილი,კისკისი
და სიყვარული აკლიათ.
მათ შეუნახავთ წარსულიც
მოგონებებიც აშლიათ.

სკოლის მახლობლად,სოფელში
წყარო,რომ იყო ანკარა,
გამახსენდა და ვიკითხე
ნეტავი,ხომ არ დამშრალა.

უძილო ღამე

დილამდე ვკეცე ღამე
მატყლივით,
სევდა დავართე ფიქრში.
მუზამ სასთუმალს მოიკალათა
რითმა დავწანი რითმში.
ვქექე და,ვქექე ჩემი ცხოვრება
მოგონებების სკივრში.
არ მასვენებენ შენზე ფიქრები
სიფხიზლესა,თუ ძილში.
ნეტავ სხვა თუა შენი სადარი
ამ დუნიაზე სადმე,
ჩემო სამშობლოვ!.
როგორც თოთო ბავშვს,
დღესაც გითიე ღამე.
ნეტავ,მომასწრო,შენს
გაბრწყინებას
გვეშველებოდეს რამე.
ჩამომჯდარიყო
ჩემს ფანჯარასთან,
იმედს მაძლევდა მთვარე.
მიიპარება,სადღაც ქურდივით,
ზაფხულის ცხელი ღამე.
და სიჩუმეში მესმის წიკწიკი,
საათი ითვლის წამებს.
ეს კოკასავით გამტყდარი ძილი,
ისევ იფშვნიტავს თვალებს.
დღე შრომა, ღამე დარდი და ფიქრი,
თან სდევს, ემიგრანტ ქალებს.

სექტემბერმაც შემოგვიღო კარი

დრო უხედნი მერანივით მიჰქრის
და,სისწრაფით წლებს მისდევენ წლები
ეს ზაფხულიც მიიწურა უკვე,
თაკარა მზეც აღარ არის მწველი.

მიდის უკვე მოგონების სკივრში,
ქარიც ახლავს,სიცხისაგან მცველი.
შედგა ზღურბლთან,მიეგება სტუმარს
შემოდგომას,ჩამოართვა ხელი.

შემოდგომა ძლივს მოათრევს ხურჯინს
მხრებზე აწევს ბარაქა და,,რთველი"
გლეხის გული გაახაროს უნდა,
სიხარული მოაქვს,ბევრზე ბევრი.

ულვაშებში ეღიმება სიმინდს,
ხელგაშლილი ეგებება ვაზი.
ბრონეულებს,შეუხსნიათ უბე,
ლეღვს ბაგეზე ღიმილი აქვს ნაზი.

ვაშლს,სიწითლე შეჰპარვია მორცხვი
გულაბს სიტკბო ჩასდგომია თვალში.
ატამს ისევ გახლეჩია გული,
ბოღმა აღრჩობს,კომშსაც ხასიათში.

უნაბს სიტკბო შეჰპარვია უკვე,
ძირსაც სცვივა,რომ უბერავს ზენა.
დაბრაწული თხილი ძირსაც ჰყრია
და,კაკალსაც დაუწყია ცვენა.

შემოდგომის მობრძანებას მოსდევს
ქერის,პურის და ყანების ლეწვა,
გლეხსაც საქმე გამოუჩნდა უკვე
ქვევრების და საწნახლების რეცხვა.

დასაკრეფად შეღერებულ ყურძენს,
შეეჩვია ფრინველების ჯარი,
თუ აიშვა ბაღში საფრთხობელამ,
ჩიტუნებო,ვაი თქვენი ბრალი.

მე კი,მუზა შემომიჩნდა ისევ,
ლექსებს ვწერ და ვერ მოვხუჭე თვალი
შუაღამეც მომპარვია უკვე,
სექტემბერმაც შემოგვიღო კარი.

ზეცას გავჰყურებ იმედით

ზოგს ზღვა უყვარს და,
ზოგსაც მთა,
კაცი არის და გუნება.
მე კი,ბავშვივით მახარებს
ცაში ღრუბლების ყურება.

ზღვაც მიყვარს,მთაც
და ხმელეთიც
ნურავინ დამემდურება.
ცას ხშირად მიტომ გავსცქერი
უფალი იქ მეგულვება.

უფალს ცაში აქვს სასახლე
და ტახტრევანი გაშლილი.
ეტლებში არის შებმული
რაშები ფაფარაშლილი.

სჩანს დედამიწა ზეციდან
ხელისგულივით გაშლილი.
უფლის თვალს გამოეპაროს
არ არის მცირე ადგილიც.

მან ყველას იცის ნაბიჯი
და ყველას გულისწადილი.
ბიბლია ქრისტიანისთვის
ცხოვრების წესი ნამდვილი.

ბოლოს ფასდება ზეცაში,
სიცოცხლე ჩვენგან განვლილი.
მიცვალებულებს გვიცხონებს
თავთან წადგმული წანდილი.

ცხოვრება ქრისტიანისა
მაინც არ არის ადვილი.

უფალი შეგვაძლებინებს
გულს,თუ გვაქვს მისი ადგილი.

ცოდვა და მადლი ოდითგან
დედამიწაზე ტრიალებს,
თუ შენს ყანას არ დასთესავ
ნურც სხვისას დააზიანებ.

როცა მოიმკის მოსავალს
კეთილი გაგიზიარებს.
შეცდომებს მაინც გვპატიობს
უფალი ადამიანებს.

თუ სხეულს მარხვით განვწმინდავთ
სულს მოგვიშუშებს იარებს.
მოვინანიებთ ცოდვრბს და,
მამაოც თუ გვაზიარებს.

ლოცვით დანთილი სანთელი
უფლის კარამდე მიაღწევს.
ყველას აკურთხებს ზეციდან
ბავშვს,მოხუცს, კაცს,თუ დიაცებს.

ზეცას გავჰყურებ იმედით,
კაცი არის და გუნება.
ღრუბლებში ტახტრევანზე ზის,
უფალი,იქ მეგულება.

თქვენ თუნდაც გიჟად ჩამთვალეთ
ზეციდან მებუბუნება.
მისი ლოცვა და კურთხევა,
გულს ისე ესალმუნება.
გინდ დაიჯერეთ,გინდ არა
რითმებით მესაუბრება.

უერთმანეთოდ

ღამე მახურავს ნატვრების საბანს
ცხოვრების ბილიკს მივსდევ დარდიანს
დილის ცისკარი მაბნევს იმედებს,
ლექსებს ვწერ შენზე,ცოტა ნაღვლიანს.

როგორ გავძელი,ნეტავ უშენოდ
სულ შენზე ფიქრობს ჩემი გონება,
პატარა გულში ეს დიდი გრძნობა
სასწორზეც კი არ აიწონება.

ადიდებული მდინარესავით
რომ გაგვიტაცა ცხოვრების ტალღამ.
შენ ჩემზე ფიქრში გაჭაღარავდი,
მეც დამაბერა ფიქრმა და ნატვრამ.

მე შენი გულის დედოფალი ვარ
და ამ ჩემსგულშიც მარტო შენ მეფობ.
და მაინც მიკვირს,როგორ გავძელით
ამდენი წლები უერთმანეთოდ.

შენი ხატება დამდევდა ყველგან
სიყვარული კი სანთლებად მენთო.
რა გავიარეთ უერთმანეთოდ
მხოლოდ შენი იცი,მაღალო ღმერთო.

ათი წლის შემდეგ

დრო იწელება,ტაატით მიდის,
გულს შემომიჩნდა,დარდი ფარული
ათი წლის შემდეგ,რომ დავბრუნდები
მიცნობს, თუ არა ჩემი მამული.

ათი წლის შემდეგ,რომ დავბრუნდები
ისევ ის ქალი ვიქნები ქმრისთვის.?!
გულს მიღრღნის ეჭვი,რომ სიყვარული
ხომ არ გაუყოფს,ვიღაცა სხვისთვის.

ათი წლის შემდეგ,რას ვეტყვი შვილებს,
უჩემოდ ყოფნას რომ მიეჩვიენ,
სულს ფორიაქი ეტყობა მაინც
ნეტავი,ხომ არ გადამეჩვიენ.

ჩემი პატარა შვილისშვილები,
სიმაღლეში,რომ მეჯიბრებიან,
თან ისე გაჩნდა ორი მათგანი,
მათ გაჩენასაც არ დავსწრებივარ.

აქამდე დრო ხომ რაშით მიჰქროდა,
ეხლა კუსავით ითვლის ნაბიჯებს,
მეც დღეებს ვითვლი, ჩემი რეისი
ჩემს ქუთაისში რომ გადაფრინდეს.

ნეტავ თუ მიცნობს,ჩემი სამშობლო
ნეტავ,თუ მიცნობს ჩემი მამული.
ეს ათი წელი მისი ხატება,
სულ გულში მქონდა გადამალული.

მე მაინც მჯერა,გულში ჩამიკრავს
სამშობლო, ქმარი,ჩემი შვილები.
და ჩემს ცხოვრებას გამილამაზებს,
უკვე დაზრდილი შვილისშვილები.

გულო არ მიღალატო

გულო რამდენ სევდას უძლებ,
გულო,როგორ მტკივდები.
რამდენ უთქმელ ნაღველს იტევს,
ემიგრანტის ფიქრები.

ოღონდ შენ არ მიღალატო
ცოტა კიდევ მაცალე.
სიტკბოსა და სიმწრის თასი
ორნივ ერთად დავცალეთ.

გულო,ცოტაც მოითმინე,
ღალატი არ იფიქრო.
რატომ შფოთავ,რა გაწუხებს
მინდა მშვიდად იძინო.

ვეღარ უძლებ მონატრებას
მესმის შენი ტკივილი.
სულაც რომ არ გეღიმება,
მაგრამ მაინც იღიმი.

ზოგჯერ სულ არ გემღერება,
გულში მაინც ღიღინებ,
გულღია და გულწრფელი ხარ
ამას ვერ დაგივიწყებ.

სხვისი დარდიც გწყინს და გტკივა
სიხარული გახარებს,
ორპირობას,შურს და ღალატს
ახლოს არ აჭაჭანებ.

სიყვარულის ნიაღვარი
გულში აღარ გეტევა,
ვულკანივით აფრქვევ ირგვლივ
ვერ აჩერეს კედლებმა.

ყველას გინდა უწილადო
შენი სითბო პირიმზე,
მე ვამაყობ ჩემს სხეულში
შენნაირი გული ძგერს.

ოღონდ აქ არ მიღალატო
მე ხომ ჩემად გიწამე.
ოღონდ ერთად დავდგათ ფეხი
საქართველოს მიწაზე,

მერე იქ მე რაღა მომკლავს
საქართველოს ცისკარზე,
სიყვარულით მზეს მოვხატავ
ჩემი გულის ფიცარზე.

წლები მიჰქრიან

წლები მიჰქრიან
შემეპარა თმაში ჭაღარა.
გული კი,ურჩობს თითქოს
არის ისევ პატარა.
თუმცა ცხოვრების
ბილიკებმა სად
არ მატარა.
ხან გამაცინა,
ხან მატირა
ხან გამახარა.

წლები მიჰქრიან,
გული ისევ ძგერს
სიყვარულით.
ყელზე,შევნიშნე
ღარები მაქვს
შემოპარული.
ვკეკლუცობ ისევ
და ლოყებზეც
ამდის ალმური.
გულში კვლავ სახლობს
ის გოგონა გადამალული.

წლები მიჰქრიან
მე,ვჯიუტობ და ვეურჩები.
კვლავ ასკინკილით
მოვირბინო მინდა ქუჩები.
კვლავ,ვნებიანი კოცნით
დათვრეს ისევ ტუჩები.
მოდის სიბერე,
მე არ ვიღებ და ვებუტები.

მთვრალი მთვარე

შემოდომის სურნელი
გაიფანტა მთებში,
აჩუხჩუხდა მაჭარი
პაპისეულ ქვევრში.

აფუსფუსდა სოფელი
ყანებსა და ზვრებში.
საჩურჩხელე თხილ– კაკალს
ბებო აფენს მზეში.

ქრიზანთემებს ფარდაგი
გაუშლიათ სკვერში,
გზად რომ ჩამოუქროლებთ
ქარი წიწკნით თმებში.

შრომისაგან დაღლილი
დღე გადაწყდა წელში.
თვალებს იფშვნეტს მთვარე,
ღამეს გაცვლის დღეში.

მაჭრის სუნი ეცა და
თავი ჩაყო ქვევრში,
შავი ალადასტური
გადაუშვა ყელში.

არეული ნაბიჯით
დაცურავდა გზებში,
ცა კანკალით დაჰყურებს
არ ჩავარდეს ხევში.

როგორც იქნა დამშვიდდა
მიწვა საწნახელში.
ვარსკვლავების საბანი,
ამოიგო მხრებში.

აბა, პოეტის სიკვდილი ვინ სთქვა

ვუძღვნი გარდაცვლილ პოეტებს

აბა,პოეტის სიკვდილი ვინ სთქვა,
ვინ სთქვა, პოეტი სხვებივით კვდება.
გარდაცვალების დიდ საიდუმლოს,
იგიც გედივით,,რითმებით" ხვდება.
სხეული მიწას მიებარება,
მისი სული კი,ლექსებში რჩება.
და აუხდენელ ოცნებებს შორის
აუტანელი,წყვდიადი ქრება.
მაინც მიჰყვება საიქიოში
დაუწერელი ლექსების სევდა.
ზოგჯერ,ცის თაღზე დაიდებს ბინას
და მოკაშკაშე ვარსკვლავად ჩნდება.
ზოგჯერ,სიოა მთით მონაბერი,
ზოგჯერ წვიმების წვეთად გვეცემა.
ზოგჯერ ყვავილად მოეფინება
მდელოებს,ბაღებს,სკვერებს ედება.
ზოგჯერ ფიფქია ნაზი,უბიწო
ზოგჯერ, გადაშლის დილას ედემად.
ზოგჯერ, ჭიკჭიკით გიამბობს სათქმელს,
გულის სიმებზე,ნაზად გეხება.
ზოგჯერ,ქუხს კიდეც,მოდის გრიგალით,
ზოგჯერ გიჟია,მოდის ავდრებად.
მერე,ინათებს ნაწვიმარ ცაზე და,
ცისარტყელად მოიქარგება.
ვინ სთქვა პოეტის სიკვდილი,ვინ სთქვა
ის მზის სხივებში დაიბადება
და იქედანაც,გაგითბობთ გულებს
ხალხში ლექსებად გაიფანტება.

მოგონება

ოქროსფერი ფოთლები,
მოჰფენია ბილიკებს,
ქარი მეჩურჩულება
მოგონებებს მიღვიძებს.

დახუნძლული აკიდო,
დედის გამრჯე ხელები,
აივანს ამშვენებდნენ
ლამაზი ჩურჩხელები.

მოფუსფუსე მშობლები,
მოღიღინე ქვევრები.
თბილი გადაძახილი,
ამაყი იმერლების.

მოიწიე აქეთ და,
გამისინჯე მაჭარი.
უკვე დაღვინებულა
მაგარია,მაგარი.

ჯერ ძმაო,არ მომსწრია
მოსავალი ამ გვარი.
ღვინოების სინჯვაში
მეზობლები დამთვრალი.

ჭურისთავზე გაშლილი
სუფრა სახელდახელო.
ხვალე,ჩემთან გადმოდი
ჩემი ღვინოც გაჩვენო.

ქმრის საძებრად მომდგარი
დედაკაცი წინსაფრით,
დედის მოპატიჟება,
ვერ გაგიშობ ვერაფრით.

მოდი,აქეთ,,კუხნაში"
ფელამუში გასინჯე,
ლიქიორიც დალიე
მასე ხომ არ გაგიშვებ.

შემო, ნაუცფათევად
ხაჭაპურსაც მივაცხობ,
არ გაგიშვებ იცოდე
დავსხდეთ
ერთად ვივახშმოდ.

მერე ღიღინ ღიღინით
შარას მიუყვებოდნენ.
ნეტავ,იმ დროს მშობლები
შინ, რომ მეგულებოდნენ.

მალამოდ მეწამლე

(სიმღერა)

შროშანებს მაგონებ სინაზით,
თავდახრილს, ქარისგან ნაკოცნებს.
მეც მინდა, რომ დავწვდე მაგ ბაგეს
და შენი სუნთქვა, რომ მათბობდეს.

შენ ჩემი სულის ხარ ნაწილი,
ამ გულის,ნატვრა და სამოთხე,
სიზმარშიც შენს თვალებს დავეძებ
სიზმარშიც,შენს სახელს მაბოდებს

გრძნობების მორევში ვიხრჩობი,
აწეწილ სულს ვეღარ ვაოკებ.
რადა ხარ ესეთი უგულო,
ეგ შენი სიდინჯე მაოცებს.

სიცოცხლე უშენოდ არ მინდა,
სიმღერებს გიმღერებ საოცრებს.
მინდა რომ ჩაგისვა უბეში,
გრძნობები, ორივეს გვათრობდეს.

მისამღერი

მორცხვობ,თუ ჯიუტობ არ ვიცი
მოდი და,მალამოდ მეწამლე,
რამდენი ლამაზი ქალია და,
რა ბედად შენ გადაგეყარე.

გულო არ მიღალატო

გულო რამდენ სევდას უძლებ,
გულო,როგორ მტკივდები.
რამდენ უთქმელ ნაღველს იტევს,
ემიგრანტის ფიქრები.

ოღონდ შენ არ მიღალატო
ცოტა კიდევ მაცალე.
სიტკბოსა და სიმწრის თასი
ორნივ ერთად დავცალეთ.

გულო,ცოტაც მოითმინე,
ღალატი არ იფიქრო.
რატომ შფოთავ,რა გაწუხებს
მინდა მშვიდად იძინო.

ვეღარ უძლებ მონატრებას
მესმის შენი ტკივილი.
სულაც რომ არ გეღიმება,
მაგრამ მაინც იღიმი.

ზოგჯერ სულ არ გემღერება,
გულში მაინც ღიღინებ,
გულღია და გულწრფელი ხარ
ამას ვერ დაგივიწყებ.

სხვისი დარდიც გწყინს და გტკივა
სიხარული გახარებს,
ორპირობას,შურს და ღალატს
ახლოს არ აჭაჭანებ.

სიყვარულის ნიაღვარი
გულში აღარ გეტევა,
ვულკანივით აფრქვევ ირგვლივ
ვერ აჩერეს კედლებმა.

ყველას გინდა უწილადო
შენი სითბო პირიმზე,
მე ვამაყობ ჩემს სხეულში
შენნაირი გული ძგერს.

ოღონდ აქ არ მიღალატო
მე ხომ ჩემად გიწამე.
ოღონდ ერთად დავდგათ ფეხი
საქართველოს მიწაზე,

მერე იქ მე რაღა მომკლავს
საქართველოს ცისკარზე,
სიყვარულით მზეს მოვხატავ
ჩემი გულის ფიცარზე.

ვარდისფრად თოვდა

ქარს გაემართა
მეჯლისი ბაღში,
ჩიტს ნუშის ტოტზე
ჩასძინებოდა.
თითქოს ურწევსო
აკვანს პატარას
მზეს კი,ფოთლებში
ეღიმებოდა.
ვარდისფრად თოვდა
ფიფქი ყვავილის,
ფიანდაზებად
მეფინებოდა.
სურნელი იდგა
გაზაფხულისა
მათრობდა
ყელზე მეკიდებოდა.
სადღაც შორიდან
შენი ხატება,
თუ გიყვარვარო
მეკითხებოდა.
სიმორცხვისაგან
მწვანე თვალები,
წამწამთა ჩრდილში
იმალებოდა.
თუმც, არ ვამხელდი
გულის კუნჭულში
რატომღაც,
შენზე მეფიქრებოდა.
ქარი კოცნიდა
ყვავილებს ურცხვად
ქარს, არაფერი
ეკითხებოდა.

სიყვარულის გადარჩენა

მზემ წამოკრიფა სხივების კონა,
გასაგრილებლად ჩაუშვა ზღვაში.
ჰორიზონტს მიღმა,მოსჩანდა ლანდად
გოგო და ბიჭი რომ ისხდნენ ნავში.

ნიავი,ტალღებს გაეთამაშა და
გადაცვალა სიმშვიდე ქარში.
მოულოდნელად,ცამ შეჰკრა კოპი
წამოიშალა ღრუბელი ცაში.

საბედისწერო დამდგარა ღამე,
სანაპიროზე სიკვდილი დაძრწის,
ჭექაქუხილის და ელვის შუქზე,
მოსჩანს,ფიცრებად დაშლილი ნავი.

ისმოდა როგორ ღელავდა ზღვა და,
როგორ გმინავდა,ქალი და ვაჟი.
იკარგებოდა,განწირული ხმა,
თოლიების და ტალღების ხმაში.

ბიჭებთან ერთად სვამდა ყმაწვილი,
სანაპიროსთან მახლობლად ბარში.
უშველეთ ვინმემ იხრჩობიანო,
როცა შევარდა ყვირილით ბავშვი.

გზადაგზა,ყრიდა პერანგს და შორტებს
დაუფიქრებლად შეიჭრა წყალში.
მერე არ ახსოვს, რა როგორ მოხდა,
გადაარჩინა...ისმოდა ტაში.

ახსოვს,სირენის ხმაც და ექიმიც
რომ უსინჯავდა პულსს,მაჯის ცემას.
სიკვდილი ადგა თავზე მეხივით,
ვინ გკითხავდაო,იმ ორის შველას.

ბიჭმა ჩახედა სიკვდილს თვალებში,
თქვა,სიყვარული გადავარჩინე,
მარტო ამისთვის მიღირდა ღმერთო,
ამ ქვეყანაზე რომ გამაჩინე.

სიკვდილს კურცხალი მოადგა თვალზე,
უთხრა,ღირსი ხარ გჩუქნი სიცოცხლეს.
რა ვქნა მეც ჩემი მაქვს სამსახური
მაგრამ დაგითმეთ სამი სიცოცხლე.

ბიჭის პალატის კარი გაიღო,
ხელს უმშვენებდათ თაიგულები,
იდგნენ წყვილები მადლიერებით
და სიყვარულით სავსე გულებით.

ცაგო აბაშმაძე
პროფესიით ბუღალტრი.
დაბადების ადგილი – ოზურგეთი.

* * *

თუ არ დაჰყევ ქარის ნებას,
თუ არ იგრძენ ფეხქვეშ ზენა,
როგორ უნდა განიცადო
პოეტური აღმაფრენა.

თუ არ იქეც გაზაფხულად,
არ მოედე მინდვრებს სიოდ,
ლექსი, როგორც თოთო ბავშვი,
როგორ უნდა დაარწიო.

უნდა იქცე დილის სხივად,
კუთხე კუნჭულს გაუნათო,
ერთი კალმის მოსმად ღირდე,
დრო შებოჭო უნიათო.

საუკუნეს შემოავლო
სიტყვა, სხმული მარგალიტად,
უნდა იქცე ჭირის ჩრჩილად,
სხვებისათვის მაგალითად.

კიდეც უნდა იქარიშხლო,
მტერს ეკვეთო ელვის ხმალით,
უკუნეთშიც ანათებდეს
შენი გამჭრიახი თვალი..

ხელისგულზე გედოს გული,
სამშობლოსთვის საფეშქაშოდ,
ტრიალებდეს ორლესული
მტერს ჰკაფავდეს უქარქაშო.

შენი სიტყვის სამჭედლოში,
იწვრთნებოდე, ვით ფოლადი,
თვითონ იყო სიტყვაც, მთქმელიც
და ქარივით ცით ქროლვადი.

თუ არ დაჰყევ ქარის ნებას,
თუ არ იგრძენ ფეხქვეშ ზენა,
როგორ უნდა განიცადო,
პოეტური აღმაფრენა...

* * *

ზეცას შეუხსნა გულისპირი
ცელქმა ღრუბელმა,
გადაეხვია სატრფიალოდ
და ააცრემლა..

ისეთი წვიმა წამოვიდა,
ისეთი თქეში,
რომ ამნაირი არ მინახავს
აპრილის თვეში..

ტიროდა ზეცა...
თვალს სწყდებოდა
მდუღარე ცრემლი,
ეს მერამდენედ ატყუებდა
ღრუბელი ცელქი..

* * *

,,ლამპიონების ბაცი ნათება "...
,,shtrausi"-ს ვალსით თრთოლვა ხეების..
ქარს ეცეკვება სურვილი ორთა,
სხივით ივსება თვალთა შრეები..

ფრიალებს კაბა მირაჟულ ნისლში,
ვერცხლისფერ ჩქერთა არს მდინარება,
– მე შენ მიყვარხარ– ჩურჩულებს ვაჟი...
ბაგეს ადნება მზის ელვარება..

კოცნის ალმური ვნებად ინთება
და გულის ცემა ანგრევს ჯებირებს...
-სულ გეყვარები?– ციმციმებს გოგო
და ცაში ადგამს ახლა ნაბიჯებს..

* * *

კარგი ხარ მზეო, კარგი ხარ,
როგორა შვენი მთებსაო,
აგწითლებია ლოყები,
ღილი შეგხსნია მკერდსაო.

შენი სიტურფით შეშლილი,
ადიდებულა მტკვარიო,
აუდ-ჩაუდის გულმკერდი,
ტკბილად აკვნესა ქნარიო.

შენც როგორ გაცელქებულხარ,
დალალებს აფენ მხრებზეო,
გული უჩქარის ვნებისგან,
ნატრობს გაკოცოს ყელზეო.

მიედინება ხმაურით,
გულს უწვავს შენი მზერაო,
ჩაგსაფრებია იცოდე,
როგორც წიწილას ძერაო.

საღამოსპირზე მოილხენს,
დაგეწაფება მკერდზეო,
შენც ჩაეკვრები სიამით,
აღარ იქნები ქედზეო.

* * *

ეს ღამეც უთუოდ გატყდება წელში და
მაჯაზე გადიმსხვრევს ოცნების ნარჩენებს,
შეშლილი პოეტის ბინდისფერ ნისლიდან
ვიღაცა ლექსების სტროფს შემომაჩეჩებს.....

და ვივლი უმთვარო ღამეში ლანდივით,
ხანდახან ყმუილიც მგელივით დამცდება..
გულისპირს შევიხსნი და ჩემი ფიქრები
გაწვება სილაში ნაცრისფერ ნამცვრევად...

პატარძლის კაბაში მორთული ოცნება
ჯვარს იწერს დაბნეულ ჭაღარა მთვარეზე,
იშლება ოცნების ახალი გრაგნილი
თვალს ხუჭავს იმედში გაჩენილ ბზარებზე.

* * *

ჩემი სულის ნაპირებს
ოქროსფერი მარმაშით,
ზეცას შემოვაქარგავ
კისკისით და თამაშით.

ზეცა ჩემი სულია...
ფრენა სულის თარეში,
ყოველ ღამით მსტუმრობენ
ამ საოცარ მხარეში...

აქ ღრუბლების თივთიკებს,
ნისლის ქობა არტყიათ,
მთვარის მკერდზე უსტარს ვწერ,
ჯერ სულ თოთო ბარტყია.

მზე უბოძებს ბუმბულებს,
სულს ჩაუდგამს უფალი,
მერე ფრენას ვასწავლი,
გახდეს თავისუფალი.

ემსახუროს სამშობლოს,
სიტყვით, საქმით, უფლებით,
დატკბეს მისი დიდებით,
მისი თავისუფლებით.

* * *

ზამთრის ცივი ქარია,
ცა მოვისხი ლაბადად,
მივალ, მიმიხარია,
ფიქრი მიტევს ანაზდად.

ნეტავ სად გეჩქარება,
ნეტავ რა გიხარია,
დეკემბერის ქარებმა
ამრია და დამრია.

ფეხქვეშ მეშრაშუნება,
გარდაცვლილი ფოთლები,
გამიფუჭდა გუნება,
როდის შევიფოთლები??

წლები მცვივა სისწრაფით,
ვგევარ შიშველ ვაშლის ხეს,
მაინც წინ, წინ ვისწრაფვი,
ვფიქრობ: ქარი წამიღებს...

წლებო, უნდა დამცვივდეთ,
ეს ბუნების წესია,
მაგრამ, ცოტა დამინდეთ,
ბევრჯერ დამიკვნესია.

ჩემი წილი საწუთრო,
,,იწილო და ბიწილო,"
სუსტი იყო და უფრთო,
მინდა დიდხანს ვიწივლო.

ზამთრის ცივი ქარია,
ცა მოვისხი ლაბადად,
ნეტავ, რა გიხარია,
ქარმა მკითხა ანაზდად.

* * *

იცი? რამდენი დარდი მაქვს?
გითხრა, რომელი ერთი,
მხოლოდ შენ მყავხარ უფალო,
ჩემი სული და ღმერთი.

რამდენი სევდის მოწილევ,
ჩემთვის ცრემლები ღვარე,
მე როცა ვმარტოსულობდი,
შენ გვერდი გამიმაგრე.

შენით ვიარე აქამდე,
შენით ვსულდგმულობ ახლაც,
ხან ლოცვა მავიწყდებოდა,
ვიმიზეზებდი დაღლას.

ბევრს დავაკელი ღიმილი,
ამპარტავნობამ მძლია,
ბევრს ლუკმა არ გავუწოდე,
იქნება ახლაც შიათ...

ჩემი ტკივილი მტკიოდა,
მხრავდა დარდი და ელდა,
მარტოხელობა მასწავლე,
სათქმელს ამიტომ ვბედავ.

დარდმა ცხოვრება მასწავლა,
გაძლება მომცა ჭირში,
ერთი თხოვნა მაქვს უფალო,
მაგრამ ამოთქმა მიჭირს.

ზურგით მეც ჯვარზე გამაკრეს,
ძნელი ყოფილა ერთობ,
ჩემს გოლგოთაზე ატანა
შემაძლებინე ღმერთო!...

* * *

თუმცა ახლა რეალობა ძალზედ მაბნევს,
ვერ ვუცქერი საქართველოს
მხრებში გაშლილს,
მაინც მჯერა, სასწაული აგვიხდება,
წამოდგება... არწივივით მზერას აშლის...

დაჭრილია ახლა ვაჟას საქართველო,
მხრებჩამოყრილს ხშირად სუნთქვა ეძნელება,
ჭრილობები მოგირჩება ჩემო ერო,
ასე მამცნეს ჩემი ეზოს ენძელებმა.

სულში გვაწვიმს, ცა ღრუბლებმა დაგვისერა,
მუმლებივით გვახვევია ირგვლივ მტერი,
მაინც ვმაგრობთ, ვეჭიდებით უფლის იმედს,
გადარჩება, გადარჩება ჩვენი ერი.

შენსკენ ისწრაფვის

შენსკენ ისწრაფვის ჩემი სულის ლაღი ქარები,
შენს ველმინდვრებში ვიფანტები ნატვრის მარცვლებად,
პურის ყანაში ბუღრაობენ ნიშა ხარები,
მე გაზაფხულის სუნთქვა მომაქვს,
მისი მაცნე ვარ...

მოვილტვი შენსკენ....
ვით ზღაპრიდან....მფრენი
ფასკუნჯით
და ჩემი ხორცით ვასაზრდოებ ოცნების ფრინველს....
არას დავეძებ, თუ მხოლოდღა სული დავრჩები,
მხოლოდ ერთს ვნატრობ...
შემეგებო სამშობლოვ, პირველს...

* * *

ჩვენი პირველი ცეკვა..
ღამე, მთვარე და ვალსი...
ქარში ფრიალებს კაბა,
მთვარემ გატეხა ნავსი....

გვთანგავს,,shtrausi''--ს ვალსი,
რიტმს აყოლილი რხევა,
ჩემი ოცნების ქალი,
პირველყოფილი ევა...

უცებ...მოგპარე კოცნა,
მთვარემ დახუჭა თვალი,
ქარი ერთმანეთს გვაკრავს,
აქეთ დაგვადო ვალი...

შენი თვალების შუქი,
ჭაობისფერი სიღრმე,
მიზიდავს, მითრევს, ვატყობ,
ალბათ სიკვდილი ვიძმე..

მე ვერ გავუძლებ ვიცი..
შენი სიტურფე შემშლის..
ხარ წყაროსავით სუფთა,
ჩემი ნაკრძალის შველი.

ჩვენი პირველი ცეკვა,
ღამე, მთვარე და ვალსი,
ქარში ფრიალებს კაბა,
მთვარემ გატეხა ნავსი....

ღაწვებს ფრთხილად

ღაწვებს ფრთხილად ჩააყოლა ცხელი ცრემლი...
თუმც არ უნდა....მაგრამ მაინც ეტირება,
ეს ბოლოა...არ ვიტირებ არასოდეს,
თქვა და...ფიქრებს გაუკეთა ციტირება...

მერამდენედ მიილია გაზაფხული,
მერამდენედ მოისმინა დაპირება,
ახლა დგას და გზისაყარზე ელოდება,
თუმც არ უნდა, მაგრამ მაინც ეტირება.

* * *

აკაკის

ჰე!, ბუმბერაზო პოეტო!
ხმას ვერ მოგაწვდენ აქედან,
თან მიკვირს, როგორ გავბედე,
სიტყვა შეგკადრე საქებრად.

ტკბილო მოხუცო,შენს სიტყვას,
სურნელი ასდის სიმართლის,
მაგრამ, ვაი რომ ყურები
დახშული არის ყველასთვის.

არავინ ვჯავრობთ სამშობლოს,
ერი, ბერი და მთავრობა,
თითქოს შეგვიკრავს პირი და
გვინებებია დათრობა.

,,ის აღარა ვართ, ვინც ვიყავთ",
გადაიბარა წარსულმა,
სამშობლოს გვეცილებიან,
დაგვინაწევრა ავსულმა.

,,ამევსო გული წვეთწვეთად",
მომავალს შიშით ვუცქერი,
მეც ერთი იმათგანი ვარ,
შვილი, უფხო და უძღები.

,,მაშ, რაღად გვინდა სიცოცხლე",
თუ ვერას ვარგებთ მამულსა,
გულო დადუმდი, დანაცრდი,
მოკვდი, ვიქნები ყაბულსა.

,,მაგრამ იმედი, ცის ნიჭი",
კიაფობს გულის კუნჭულში,
იქნება გამოგვეღვიძოს,
ჩაძინებულებს მიწურში.

დრო გავა...

დრო გავა... დღეებს გაიყოლებს მიმწუხრის გლოვა...
აცდენილ დროში ფერშეცვლილნი დაყრიან ფარხმალს,
ჩამოიხოკავს სახეს ბრმა და უძლური ღამე
და ნირწამხდარი სტრიქონები იწყებენ ღავღავს...

შემოეცლება საბურველი ყველა დაფარულს,
სული შიშველი, მობუზული
იქცევა ნისლად,
ვერ გაექცევი, რაც არ უნდა ეცადო მაინც,
კარგიც და ავიც გამოჩნდება,
ნაძერწი ფიქრად...

ვერშეცნობილი სამყაროდან მოიწევს შუქი..
მაგრამ ვერ ვამჩნევთ..საამისოდ არ გვყოფნის ძალა,
ჩამოიქროლებს ერთ დილასაც ამონაშუქი...
სხეულს დავტოვებთ...
თუმც იოლი არაა გაცლა...

ამ სამყაროში უნდა შეძლო დატოვო კვალი,
კვალი სიკეთის, სიყვარულის
და ერთგულების,
უნდა გიყვარდეს! სიცოცხლეზე მეტად გიყვარდეს!
სხვა, ამ გრძნობაზე უკეთესი
არ მეგულების.

დავდივარ

დავდივარ მშობლიურ ქალაქის ქუჩებში,
ნაცნობი სევდაა სულში რომ ფათურობს,
კენჭებიც დაზრდილან, ჰო,რა დრო გასულა,
ეს გულიც დღეს მგონი, საოცრად ხმაურობს.

ნაცნობი ტირიფიც ხელს მიქნევს შორიდან,
მიცნო და წარსულის ლანდებში ვეხვევი...
მოწამე ტრფობის და ზეციურ შეგრძნების,
ტირიფი,ჭადარი და თეთრი ვერხვები.

გახსოვს პირველი შეხვედრის წამი?

– გახსოვს პირველი შეხვედრის წამი?
– რა დამავიწყებს ჩემო,
იმ დღის შემდეგ ხომ საუკუნეა,
კვლავ ძველებურად გჩემობ.

დღემდე მინათებს შენი თვალები,
შენი წამწამთა ჩერო,
– გაჩერდი ერთი,ნუ გამაცინე,
ძლივსღა დადიხარ ბერო.

– გახსოვს?პირველად როგორ გაკოცე?
– უი,მომიკვდეს თავი,
ასე მგონია ზღვაში შევცურე,
გადამიბრუნდა ნავი.

და ტალღებივით მეჯახებოდა,
გრძნობის ცუნამი,წმინდა,
ცეცხლმოდებული,ტკბილი ტუჩები,
უცხო ჟრუანტელს მგვრიდა.

– მე ახლაც მათრობს შენი ტუჩები,
– ჩუ, არ გაიგოს ვინმემ,
– გაიგოს მერე, არ მერიდება,
მხოლოდ ცუგრია გვისმენს.

– ნელა იარე, ფეხი ამტკივდა,
სად გეჩქარება ნეტავ,
სადმე ჩამოვსხდეთ, მუხლი გავმართოდ,
კოცნასაც გაგიბედავ.

მიტუსტუსებდნენ ორნი ქუჩაში,
ტკბილი სიბერის ჟამს,
ბებოს ფიქრებში პატარა
გოგო
ენაზებოდა ვაჟს...

სანამ ვსუნთქავ

სანამ ვსუნთქავ და ვარსებობ,
სანამ მათოვს და მაწვიმს,
არ მსურს ვემსგავსო მარტოსულ,
ფრთაჩამოტეხილ არწივს.

მინდა კვლავ ვგაზაფხულობდე,
განა სხეულით? სულით...
სიკეთის მადლით ბრწყინავდეს,
ჩემი დაღლილი გული.

თუ ფეხი გადამიბრუნდა,
ქვამ წამაქცია უბრალომ,
შენი იმედით ვიქნები,
წამომაყენებ უფალო.!

უფალო ვკვდები

უფალო!
ვკვდები სულის სიმცირით!
აფორაჯებულს ვებრძვი ტკივილებს,
გზა დამეკარგა ლაბირინთებში
და სადაცაა ამოვიკივლებ...

ნაკვერცხლებივით მწვავენ ფიქრები,
სულო სადამდე! სულო სადამდე!
ქარო დაჰქროლე და გამიტაცე,
ფრთები გავშალო ზეცის თაღამდე!

იქნება მივწვდე უფლის ჩანაფიქრს,
თორემ დამღალა უაზრო ყოფამ,
სული ტკივილებს ამოვაყოლე,
ახლა ძნელია,,ყოფნაც,არყოფნაც".....

მიდიხარ... მიგყვება

მიდიხარ...მიგყვება გზადაგზა
ურიცხვი მზერა და ვნებები...
ზეციდან ეშვები თითქოსდა
გაგიჟებს ამური..ხელდები...

ნედლდები...მკერდიდან აფრინდნენ
ლიფში ჩამწყვდეული ხოხბები...
იღიმი...ყურს ამოდ ედება
შეშლილი მამრების ოხვრები...

ცახცახებ...გეშლება ნაბიჯი,
აბა რა, ძნელია დაოკდე,
ძნელია გქვიოდეს ქალი და
საკუთარ გრძნობებთან დაობდე.

მუხლს ასცდა ნისლივით ფრიალა
ქსოვილი, მიიწევს ზეცისკენ..
ეს ქარიც, თავხედი, შეშლილი,
გეხვევა ვნებით და გაგიჟებს...

გველივით სრიალებს გიშერი,
გიშრები... უწყლობით დავიშვრე...
ამიშვებ?...გავები მახეში,
მაგიჟებ...ამაოდ?????

სიმი დასწყვეტია

სიმი დასწყვეტია ძველ გიტარას,
ქარმა შეულეწა თეძოები,
ღობეს მისწოლია მრუშ ქალივით,
თვლემენ სევდიანი ეზოები.

კვალში ჩამომდგარა დრო, მომკელი,
ქარი აფრიალებს ცელს ჟანგიანს,
აღარ ითიბება ბალახები,
ახლა ბოროტებას გამარგლიან.

მზერა დაენისლა ბებერ ჭადარს,
მთვარის ამბორალი ბეჭი ეწვის,
მინდა მივიდე და ჩავეხუტო,
მენატრებოდიო, ვიცი მეტყვის.

გვერდებშემომპალი სახლის უკან,
სულს ებრძვის ჩაშლილი საძირკველი,
ადრე აქ სიცოცხლე ზეიმობდა,
ახლა დასრიალებს ჭრელი გველი.

მესმის გიტარის ხმა შორეთიდან,
კვნესის სიმჩამწყდარი ბედის რვალი,
ვაი, საცოდავო ჩემო თავო!
ჯობდა დამვსებოდა ორთავ თვალი.

ჩემი სამშობლო

ჩემი სამშობლო ნაკურთხია თვით უფლისაგან,
ეს მზე, ეს მთვარე, ვარსკვლავების იაგუნდები,
ათინათებენ ჩემს ფიქრები
ისე საოცრად,
ეს მერამდენედ დაგიფიცეთ,
დაგიბრუნდებით.

დაგიბრუნდებით.....
შეცვლილი და ცოტა სხვაგვარი...
ალბათ ცხოვრება მეც დამამჩნევს გულზე იარას,
მონანიებით გადმომხედავს
ლურჯი ცარგვალი,
შიშველ ტერფებზე მომეხვევა მინდვრის ხვიარა.

გავეკიდები ჭალიანში მქროლავ შოშიებს
და ფეხშიშველი ვიტანტალებ ორღობეებში,
ცელქი ბავშვივით შემოვირბენ უბნის წყაროსთავს
და სარკესავით ჩავიხედავ წვიმის გუბეში...

ეს, მერამდენე თეთრი ღამე უნდა ვათიო,
ეს მერამდენე ჯვარცმა უნდა ავზიდო მხრებით,
იმედებს ვამყნი, გაიშლება როცა ვარდივით,
დავბრუნდები და მშობლებივით შემომეხვევით.

ეჰეი, ნიკორა ხარებო

ეჰეი! ნიკორა ხარებო!
ეჰეი! წაბლავ და შვინდიავ,
პატრონი სადა გყავთ ბიჭებო!
სად არის ქოჩორა მინდია!

იქნება, ისვენებს ჩეროში,
ეხვევა მეუღლეს ხალიანს,
ბურჯგნაობს ბროლისებრ მკლავებში,
უკოცნის ძუძუმკერდს მადლიანს.

დაცურავს ლილისფერ ტალღებში,
წამწამთა ჩეროში ნამია,
სხმარტალებს ვაჟკაცის მკლავებში,
გამოუცდელი და ხამია.

ეჰეი! სადა ხართ ბიჭებო!
ჩემო ნიკორა და წაბლია,
დღეები უთქვენოდ მიდიან,
თქვენამდე სულ ერთი ადლია.

სიცოცხლე

სიცოცხლე სულ ერთი წამია,
წამიდან წამამდე საფრენი,
ეწვიე ჭიუხებს ლექსებით,
შავ ზღვაში აუშვი აფრები.

არიგე საგზალი აბგიდან,
რაც ღმერთმა სიკეთედ გარგუნა,
იცოდე,ეკლებიც შეგხვდება,
ქვეყნად რაც ვარდები დარგულა.
ნუ განსჯი უვიცს და ურწმუნოს,
ეს მხოლოდ უფალის ვალია,
გახსოვდეს! შენიდან ღმერთამდე
აღდგომის ბრწყინვალე ჟამია.

არ მსურს მქონდეს

არ მსურს მქონდეს ატლასი და ფარჩა,
არ ვსურვილობ მქონდეს ოქრო-ვერცხლი,
ოცნებიდან ისლის ქოხი დამრჩა
და ამ ქოხში მე მომავალს შევცვლი..

მოვამრავლებ შვლის ნუკრების ფარას
და ღრუბლების ცხვარბატკანში ავრევ,
ვიტრიალებ ქოხში,როგორც ჯარა
და სიცოცხლეს შენს მკლავებში დავლევ.

გვეყოლება უთვალავი შვილი,
ვარსკვლავებით აივსება ეზო,
მე ვიქნები ლამაზი და მშვიდი,
შენ იქნები ბედნიერი ეგზომ..

არ მსურს მქონდეს ატლასი და ფარჩა,
ისლის ქოხში მირჩევნია გარჯა,
სხვა სურვილი,სხვა ოცნება არ მაქვს,
ერთადერთი,ისლის ქოხი დამრჩა...

* * *

უპასუხოა,ვიცი,
გრძნობა წრფელი და წმინდა,
მე ავფრინდები ცაში,
მოგეფერები ციდან.

სულის ყვავილთა ფარდაგს,
ფეხქვეშ გაგიფენ ნაზად,
რომ არ დაგიფრთხო სული,
ფრთები გაშალო ლაღად.

ცეცხლმოკიდებულ გრძნობას,
ფიქრში ჩავაქრობ კოცნით,
შევეგებები დილას,
შენზე ნატვრით და ლოცვით.

ვითვლი წუთებს

ვითვლი წამებს,წუთებს,დღეებს....
ჩემს ფიქრებს რომ ნებდებიან
და მივყავარ სასულეთში
იქ, სადაც არ ბერდებიან...

იქ, სადაც არ სტკივათ გული,
სად ედემის ბაღებია,
სადაც ზეთისხილის ჩრდილში
პოეტების ნაღებია.

სადაც სული შვებას იგრძნობს,
დაიღვრება დითირამბად,
სადაც ფრთებს შლის ოცნებები...
ჰო, სიკვდილი მიღირს ამად.

,,ყორანივით თუ დამჩხავის "
ჩემი ყოფის ბედისწერა....
იქ, ზეციურ საუფლოში
გავაგრძელებ მშვიდად წერას...

ჩემი სულის გაზაფხული,
აკვირტდება უფრო ლაღად,
ხან ქარიშხლად ვიგუგუნებ,
ხან გეწვევით ნაკადულად.

ვითვლი წამებს...წუთებს...
დღეებს...
ჩემს ფიქრებს რომ ნებდებიან....
და მივყავარ სასულეთში
იქ, სადაც არ ბერდებიან...

გარდასულ დღეებს

გარდასულ დღეებს ეფერება ფიქრთა ლაციცი,
მდუმარებაში ჩაძირულა ღამის ზმანება...
ამეკვიატა წარსული და რატომ, არ ვიცი....
განთიადისას რა მაცნობეს ცისკრის ზარებმა...

ყელყელაობენ ფიქრები და იწევენ ცისკენ...
ჩემი ბოდვები მარცვალივით მოებნა ფურცელს,
გამიდიდგულდა ოცნება და მიილტვის რისკენ...
იფრინე სულო! არ დაუშვა აფრები უცებ....

იფრინე!...ვიდრე დასწყვეტია
ძაფები აფრებს...
ვიდრე სამყარო შენეული ხედვიდან ქრება...
შენ ხომ სულ სხვა ხარ, სხვა ოცნების, სხვა აღმაფრენის!
და მიწიერი სიძულვილი შენ არ გეხება!

* * *

ბუხარი....ტაბლა....
ტაბლაზე ღვინო,
ვწრუპავ სასმელს და
კვლავ შენზე ვფიქრობ...

ფიქრი მექცევა...
სად გამექცევა,
მაკვირვებს შენი
მზერა და ქცევა...
ტკაცუნობს შეშა...
ამურის მზერა..

იმ მზერის მიღმა
შენ ხარ და მზეა.
ვაბოლებ,,ვინსტონს"
და ისევ გნატრობ...
აღარასოდეს
დამტოვო მარტო..

წინ, გადაშლილი

წინ, გადაშლილი თეთრი ყამირი...
გაუკვალავი ჯერაც ბილიკი,
გავცქერი გზას და მემარტოვება
სული, დაღლილი უცხო ქილიკით.

ვესაუბრები საკუთარ
,,მეებს ",
ლაბირინთებში გზააბნეულებს,
ვინ მეტყვის ახლა, სადა ვარ,
ვით ვარ,
ვინ გამომიშლის სულის ხვეულებს.

მარტოობაა ახლა სიმშვიდე,
თუმცა, არ ვიცი რა დამამშვიდებს,
ვეპაექრები მოვარდნილ მეწყერს,
ტალღებს აქოჩრილს და ხანაც მშვიდებს.

ისევ,,ყამირზე" უნდა დავბრუნდე,
ხნული გავავლო ცრემლით დამბალი,
გულო იყუჩე, გთხოვ გამიყუჩდე,
დამაცა, სიტყვა ვწერო მართალი.

იქნებ ერთხელაც

იქნებ, ერთხელაც გამითენდეს დილა მზიანი,
საკუთარ სახლის ფანჯარასთან ნაწვევმა მუზამ
ამიფრიალოს სულის ყველა მზის იალქანი,
შეძრას სამყარო!
არ ჩაუშვას არასდროს ღუზა!

დე,იფრიალოს ოცნებების ცისფერ მირაჟში,
თოლიასავით ტალღებს აჰყვეს ზეცის თაღამდე,
ცაში აიჭრას! როგორც ტატოს,,ლურჯი მერანი!",
ფრთები გაშალოს უკვდავებამ, ცაში გალაღდეს!

დე,ილივლივოს ოკეანის მრუმე ტალღებში,
ზურგის ქარებად დაფერილმა გრძნობის სიუხვემ,
დაე, დამნაცროს! მომაბნიოს მუქლურჯ ნისლებში,
ან მიმანარცხოს თვალშეუდგამ, ამაყ ჭიუხებს!....

იქნებ,ერთხელაც გამითენდეს ისეთი დილა!
საკუთარ სახლის ფანჯარასთან ნაწვევმა მუზამ,
ობლის კვერივით გამომიცხოს მცირე საგზალი...
მერე თუ მეტყვის...
მოწიწებით ჩავუშვებ ღუზას....

როგორც კვირტები

როგორც კვირტები დაიკოცნება,
როცა მზე ახვევს ტრფობის ალებში,
ისე ფეთქდება ჩემში ოცნება
და გაზაფხული მიწვევს ჭალებში.

და ქალწულივით თრთიან ფიქრები..
ტუჩზე მადნება მზის ელვარება...
ახლა ნისლებში ჩავიკარგები,
ლურჯი ღრუბლები ამეფარება.

შემომეხვევა ყელზე ნიავი,
თავბრუს დამახვევს საამო ქროლვა,
ამიმზიანებს სულის დარაბებს
და მომერევა უცნობი თრთოლვა.

როგორც კვირტები დაიკოცნება,
როცა მზე ახვევს ტრფობის ალებში,
ისე ფეთქდება ჩემში ოცნება
და გაზაფხული მიწვევს ჭალებში.

არ მეძინა

არ მეძინა.ჯვარნაწერი ვიყავ დარდთან,
ზურმუხტისფერ ფარდაგებზე სევდა თრთოდა,
არ შემდგარი პაემანი,,ცისფერ ლანდთან,"
ყაისნაღით ახალ ახალ ფიქრებს ქსოვდა.

ცელქი სიო,მაცდური და საამური
გვირილების ტახტრევანში ნანაობდა,
თავთით მედგა კუბიდონი და ამური,
ვარსკვლავები ლურჯ მთვარესთან ბაასობდა.

ქარს მიჰქონდა სიყვარულის ტკბილი ექო,
რაც გავეცი,უკან აღარ მიბრუნებდა,
სევდანარევ ოცნებებში ჩემი ეგო,
ღრუბლებიდან ალმაცერად მიყურებდა.

ამოთქვი გულო

ამოთქვი გულო, რაც გაშფოთებს,გაწუხებს რაიც,
თქვი, რომ უსიზმრო ღამეებმა ფერი იცვალა,
რომ დახეთქილი ძარღვებიდან თქრიალებს სისხლი
და მერამდენე თალხი კაბა შემოიძარცვა.

თქვი,რომ დაწურე მტევანივით შენი სხეული,
ალმოდებული ფიქრებიდან სცადე გაქცევა,
რომ შეერიე ზღვის ტალღებს და გრძნობადაცლილი,
დაელოდები უსასრულოდ უკუმოქცევას...

არ დანებდები...თუნდაც სისხლის ბოლო წვეთამდე,
შეებრძოლები, არ აპირებ უკან დახევას,
ღმრთისგან ნაბოძებ სიყვარულზე არ თქვა უარი!
არ გეკადრება სამყაროდან
უბრად გაქცევა.

ახლა სიჩუმე ტოლფასია გარდაცვალების,
ამოიტირე! იქნებ შვება იპოვოს გულმა!
თეთრი ტრამალი...გადაშლილი უსასრულობა...
სიტყვამ გაცვითა, ნაფიქრალმა, მარადიულმა!

* * *

ქარი სამიჯნუროდ ხეებს დაერია,
კოცნის,ეფერება,თავბრუ დაახვია,
ნეტავ მაცოდინა,ამდენ ლამაზმანში,
ქარის არჩეული ქალი,რომელია.

თრთიან,ირხევიან ეჭვებს აყოლილნი,
გული საალერსოდ მაინც გაუღიათ,
მე კი არ მასვენებს ფიქრი,ეშმაკური,
ქარის არჩეული,ნეტავ რომელია?

თითქოს საპასუხოდ ჩემი განაფიქრის,
ქარმა ვაჟკაცურად მხრები შეარხია,
– მე,შენ მიყვარხარო–ყურში მიჩურჩულა,
წვიმის ყელსაბამი ყელზე შემაბნია

* * *

მოდი, ამანთე ცეცხლის ენებად,
დე, დაიკლაკნოს სხეული ალში,
გულიდან ლავა მოედინება
და ტალღებივით იშლება ქარში.

მეხები.. და ვგრძნობ
                  როგორ ვმჩატდები,
რაღაც საოცარს მივყავარ ცისკენ...
სულში იჭრება უცხო ჰანგები
და მიისწრაფვის არ ვიცი რისკენ...

მოდი, შევშალოთ ჩვენი სამყარო,
ნუ შეგაშინებს წლების სიდინჯე,
ბედნიერების შემოვხსნათ ბჭენი,
ყოველი წამი ჰგავდეს სიგიჟეს...

მოდი,ამანთე ცეცხლის ენებად,
დე,დაიკლაკნოს სხეული ალში...
ფიქრი იშლება ცისარტყელებად
და ტალღებივით ნანაობს ქარში.

ბარბარეს

ჩემი მზე ხარ, ჩემი მთვარე,
ჩემი დილის გაბრწყინება,
შენზე ფიქრში მითენდება,
შენზე ლოცვა არ მწყინდება.

ოცნებებში მელანდება,
შენი ანცი გაღიმება,
ჩემი სულის გაზაფხულო,
სიჭაბუკის გაღვივება.

ჯერჯერობით ერთი მყავხარ,
ერთადერთო საფიცარო,
ჭკვიანიც ხარ, დახატულიც
და სამშობლოც შეიცანო.

სწავლაც გიყვარს, ცეკვაც გიყვარს,
ჭადრაკშიც ხარ დედოფალი,
ღმერთმა ჩემთვის გაიმეტა
ერთადერთი ნატვრისთვალი.

გაიზარდე, გამილაღდი,
ბედნიერი მომავალით,
სამშობლო რომ ასახელო
და იხარო მისი,,ხვალით"

შენც ეცადე ჩემო ტკბილო,
გაისარჯე სამშობლოსთვის,
ყოველი დღე ფიქრად გქონდეს,
ირჯებოდე მომავლისთვის...

ჩემს ქალაქში

ჩემს ქალაქში ალბათ ახლა ზეიმია,
ღიმილს სტაცებს ქუთათურებს მზის ციალი,
აქ სულ სხვაა გაზაფხულის ელვარება,
აქ სულ სხვაა გაზაფხულის ცის ტრფიალი...

თვალს ვხუჭავ და ვირინდები ოცნებებში....
მინდა ახლა ხეტიალით დავიღალო,
გამიტაცეთ! მომატარეთ მზის საუფლო!
ცაო წმინდავ და ღმერთივით
ზემაღალო!

ჰე! ღრუბლებო!
დამეფინეთ ფიანდაზად,
გამიტაცეთ!
მომაბნიეთ მზის ბილიკებს,
ერთხელ მაინც გამაგონეთ
თუნდაც ჭორად,
ჩემი სოფლის ნაკადული
რას ლიკლიკებს.

სხვა ხიბლი აქვს ქუთათურებს,
სხვა ღიმილი,
იუმორში ატარებენ
ჭირს და ვარამს,
უშურველად არიგებენ
მზისფერ ღიმილს
და ღიღინით მიჰყვებიან
სოფლის შარას.

ქუთაისო!
ჩემთა შვილთა დიდო დედავ!
შენს გულმკერდში დავავანო მინდა სული!
ჩემს სიზმრებში მოშრიალე სიცოცხლე ხარ!
ჩემი ფიქრის,ოცნებების გაზაფხული!

ეთერი ისაკაძე – პედაგოგი
დაბადების ადგილი – ლანჩხუთი – ნიგოითი
საცხოვრებელი – ადგილი თბილისი.

საწუთროს ხვედრი

ატმის ფოთოლი განწირული
გდია მიწაზე,
გაკვირვებული ცას შეჰყურებს
მაღლაა ღმერთი,
ერთდროს ფუტკართა მთელი გუნდი
გულს უმშვენებდა,
მახსოვს პეპელაც ფრთაფარფატა
და არაერთი!
უსაზღვრო იყო სიხარული
ატმის ყვავილის,
თვალს ვერ მოსწყვეტდი
სილამაზეს, საოცარ ხედით,
იდგა გარგარი, კომში,
ვაშლი და სხვათა მწკრივი,
თავს იწონებდნენ თითეული,
ატმების გვერდით!...
გავდა ყვავილებს ატმებისას
ჩვენი სიცოცხლე,
ჩვენც ვიკეკლუცეთ, ვინაწილეთ
რჩეულთა ბედი,
არც ჩვენ დავრჩებით
სამუდამოდ ამ ქვეყანაზე,
ასე ყოფილა ოდითგანვე
საწუთროს ხვედრი!

სვანეთი

ნონა ფალიანს

საგვარეულო კოშკი ხარ
მთელი ჯალაბის დამტევი,
ხან მოვარდნილი ენგური,
სალი კლდის გვერდზე გამწევი.
ხანაც ხარი ხარ გუთანში
ხნულის ბოლომდე გამტანი,
ხან თეთნულდი ხარ, ხან უშბა
ზამთარ-ზაფხულის ამტანი!
ხან ნისლიანი მთის ძირი,
ხანაც კაშკაშა ვარსკვლავი,
მოყვასის ჩამხუტებელი,
მტერის ნაჯახით დამკლავი!
შხარა ხარ თეთრი მანდილით,
ლამარია ხარ უშგულში,
ბროლი ხარ სიყვარულის კოშკს,
ოქრო – ზურულდის მთის გულში!
ყველას უყვარხარ სვანათში,
ფალიანი ხარ გვარადა,
ლატალის ჯვარი გწყალობდეს,
კვირიკე გედგას ფარადა!

ვეფერები ჩემს გურიას!

ჩემს საქართველოს ამშვენებს,
ლამაზი მხარე გურია,
რომელ ჭიშკარსაც შეაღებ,
მზად აქვთ ყველი და პურია!
დღეს ვეფერები ჩემს კუთხეს,
თქვენი სიკეთე მწყურია,
აივსოს ეზო – შუკები,
შემომეგებოს მურია!
ჩვენ არ ვივიწყებთ წარსულს და,
აწმყოსაც არვის დავუთმობთ,
ყველაზე ნამდვილ ლანჩხუთლებს,
გულს სიყვარულით გავუთბობ!
,,თავდადებული გურული"
მფარველობს დღესაც გურიას,
მისი კაცური კაცობა,
ამშვენებს მთელსა დუნიას!
არ გვასვენებდა თურქი და,
გვაწიოკებდა ოსმალო,
გატაცებული ქალ-ვაჟნი...
დღესაც ტრიალებ ბორბალო!
,,თვალ – მარგალიტის სადარი,
სხვა საქართველო სად არის?!"
ყველა კუთხეა სამოთხე,
ყველა სოფელი ზღაპარი!
ლიხს იქით საქართველოა,
ოოო, საოცარი ფერები?!
რომელ მხატვარმა მოხატა,
დაგკოცნი, მოგეფერები!
შენ, საქართველო არ იცი,
თუ არ გინახავს თვალითა,
უცხოელები გიჟდება,
დატყვევებული წამითა!...
სადა გვცალია ვიხილოთ,
ჩვენ, ჩვენი ქვეყნის ქედები,...
ჭამენ, კორტნიან, ლანძღავენ,
მსგავსი არ ვიცი, ვბერდები!
გვიქცევენ, ეკრანს მიჯაჭვულთ,
გვატეხენ თავზე მუზარადს,
მტერს კისერს მოუგრიხავდი,
დაამიწებდი მუხანათს!
შენი გაგიხდა მტერად და,
შენმა მოგგლიჯა კიდურნი,
დარჩა ლტოლვილი ქართველნი,
ქვეყანას გამოკიდულნი!...
ღმერთი აროდეს გასწირავს,
ერს, უხსოვარი დროისას,
მუხა ძლიერი ფესვებით,
უამრავ ფოთოლს მოისხამს!
ღვთისმშობლის წილხვედრ
რჩეულ ხალხს,
გაქრობა არ უწერია,
მართალ ილია მფარველობს,
დიდ შოთას აქ უმღერია!...
დღესაც ამშვენებს ლანჩხუთს და,
დღესაც დაიცავს გმირები,
კიდევაც დაიზრდებიან
ქვეყნის ერთგული შვილები!

ტკივილი ჩემი

მე მოწყვეტილი ყვავილი მტკივა,
ავბრიალდები მინდვრის ყაყაჩოდ,
ვერწართმეული გარეჯი მზარავს,
აღვიმართები ხანძთას ხარაჩოდ.
გულს მადევს ხლართი, მცოცავი რკინის,
მე ტყვია მომხვდა ძმისგან ნასროლი,
წევს შინდისელი გმირები ცხინვალს,
საქართველოსთვის ნატანჯ – ნაბრძოლი!
ოო, როგორ მინდა გაგითბო გული,
ვნახო ქვეყანა წაღმა მართული,
დე, საქართველოს აძლიერებდეს,
დემეტრე, ლილე, თამთა, გაბული...
ძმას ვუძმოთ ხალხნო,
მტერს რისხვა ღვთისა,
დრო საშურია, გარბის ტიალი,
დღეიდან უნდა გამოვიღვიძოთ,
დავიწყოთ ქვეყნის წაღმა ტრიალი!

ჩვენ პოეზიამ დაგვაკავშირა

ჩვენ პოეზიამ დაგვაკავშირა
სხვადასხვა კუთხის
შვილნი მზისანი,
ერთი ღმერთი გვყავს
ყველას საფიცრად,
ბილიკებიც გვაქვს
მაღლა ცისანი!
დროს გამოვტაცოთ
ბედნიერება,
თორემ ეს დღეც ხომ
წარსულს ჩაბარდა,
არც ჩვენ დავრჩებით
ამ საწუთროში,
დავიკრეფთ ხელებს და...
მიდი ხაბარდაა...

ფოლადის ღვედი

შენ, რად იშენებ სასახლეებს
სტუმარო სოფლის,
ანწლიკას ღობემ დაიჭიროს
სიმდიდრე შენი,
როცა ხალხს სტკივა, დედა ეძებს
შვილების საზრდოს,
გაოცებული შემოგვყურებს
უფალი ზენით!
დღეს რა ვიფიქროთ,
რატომ ხოცავთ სკამისთვის
ერთურთს,
რომელ სახელზე მაღლა არის
ღირსება ჩვენი,
რას ეუბნებით, როცა მიხვალთ
იმქვეყნად წასულთ,
ეს ის ხალხია, ოდითგანვე
სიბრძნისა მჩენი?!...
კმარა სიხარბე,
ორთავე ფრთის ურცხვი გნიასი,
ჭკუას მოუხმეთ, არ გასწიროთ
ქვეყნისა ბედი,
დროა მოთოკოთ ცხარე ვნება,
ბოღმა ტიალი,
შემოუჭირეთ სადავეებს
ფოლადის ღვედი!

ტირის პატრიარქი

ტირის პატრიარქი
ჩვენი ცოდვებისთვის,
დარდობს რით გვიშველოს,
როგორ დაგვეხმაროს,
ჩვენ კი – გავურბივართ
ურჩი ციკნებივით,
ის კი...ის კი ცდილობს
ოლარს შეგვაფაროს!

,,პოეტი ხარო"

განაჩენ გამოტანილი,
კედელს ავეკარ ირიბად,
ნატიფად ამოტვიფრული,
წოდება დამრჩა სვირინგად!

დე ღირსეულად ვატარო,
ფეხი ავუწყო მათ რიგსა,
წმინდა გიორგი დამიცავს,
ქურმუხისა და სარკისა!

ძე ღმერთი ყველას გულშია,
არავის ტოვებს ნაწყენსა,
მადლობელი ვარ უფალო
რომ მომასწარი ამ დღესა!

ჰერეთის კარი

შემორჩენია ჟამთა სვლას აბრა-
,,ჰერეთის კარი“,
მაგრამ სადღაა ნეტა ჰერეთი?!
მიტაცებული მუსლიმთა მიერ,
მიწა იბერთა, გაპოხებული
წინაპართ ძვლებით,
ირგვლივ – ოაზის
თვალწარმტაც მთებით!
კაკლის ხეივანს მიყვები უბრად,
არ არის სიტყვა უფრო ქართული,
რა ვუთხრა იმას, რა ვუთხრა იმას,
ვინაც არა ჰქმნა საქმე კაცური
და, დაუტოვა შთამომავლობას,
ინგილოები ამოშანთული!
მამულიშვილნი ცრემლშეუშრობნი,
საქართველოსთვის ნაცემ-ნაგვემნი,
რომელი მცნებით შესცოდეს უფალს,
რად გაიწირნენ ნაღდი ქართველნი?!
...,,არსაიდან ხმა, არსით ძახილი,
მშობელი შობილს არრას ეტყოდა,“
ნეტავ სად არის უნეტარესი,
ან ქართლის დედა
მტერს რომ ებრძოდა?!
თავჩაჩეჩქვილი ვნახე ქურმუხი,
ალაზნის ველი ბორგავს მდუმარედ,
თავს წამომდგარი ვეება ლოდი,
გაშტერებული, მდგომი მწუხარედ!
...დგას მოლოდინში დიდი ტაძარი,
გასცქერის მომსვლელს:
მტერს და მოყვარეს,
ვინ რუდუნებით აუნთებს სანთელს,
ვინ ამოჩიჩქნის კედლებს და კანდელს!
გაუფატრიათ, ამოუცლიათ
თუ სასიცოცხლო
რაც რამ ებადა,
ამას ცხოველიც არ ჩაიდენდა,
ადამიანმა როგორ იკადრა?!
ვუვლით გარშემო,
ვავედრებთ ჩვენს სულს,
ვგრძნობთ ანგელოზთა დასი გრიალებს,
რამდენს გაუძლო წმინდა გიორგიმ,
რამდენ ქარტეხილს, შტორმს და
გრიგალებს!
კვლავ ვანთებთ სანთელს,
უძველეს ქვაზე,
ჩვენს წინაპართა კვალი ატყვია,
ვტოვებ სალოცავს უსიერ ტყეში,
ტაძრის გუმბათზე მერცხლის ბარტყია!
გვიმზერს ტაძარი, გული მიკვდება,
ვტოვებ მრევლის და, მამის გარეშე,
მივიხედე და, ოო საოცრებავ, მთა მოეფარა
დროა დავეშვე!
...ჩვენ ყველას ვუღებთ გულს და უბის კარს,
რამდენი რჯული შეგვიფარია,
შენ დაიფარე საინგილოში,
ყველა ქართველი – მზეო მარიამ!

უნმინდესს

როგორც, აროდეს არ დაილევა
ღრიალი თერგის,
როგორც, აროდეს გამოილევა
ნისლები მთების,
როგორც, აროდეს არ გაქრება
ალპებში – ყვავილების ზღვა,
ასევე იყოს თქვენი
სიცოცხლე კვლავ!
ახლიდან შეუსხამთ
კლდეებს ფიჭვები,
თქვენ არ გასვენებთ
ჩვენზე ფიქრები –
რას მოვიმოქმედებთ,
როგორ ვიქნებით ხვალ!
ყოველი დღე,
ჩვენ გვიხარია თქვენით,
იმედი ხვალის,
თქვენი ხილვაა ამბიონზე,
ღმერთმა ძალა მოგცეთ,
კვლავ, ყველას დაასწარით,
ლოცვა ალიონზე!
ჩვენ, თქვენთან ერთად
გვინდა ვიხილოთ,
გაბრწყინება საქართველოის,
თქვენი ქადაგება
გვიკვალავს გზას,
უფალს მივეგებებით,
რიდით და კრძალვით,
დავუფენთ, პალმის
რტოებს და ბზას!
დედა ღვთისმშობელი მოგვანიჭებს
გატანის მადლს,
ყოვლისშემძლე უფალი მოგვიხსნის
გულიდან დარდს,
თქვენი წინამძღოლობა,
მოეშალოს სამართლმადიდებლოს,
ჩვენ, წინ დაგიფენთ
უდიდესი კრძალვით –
იას და ვარდს!

იმერეთი

საპოვნელას არ ვეძებდით იმერეთში,
კაცხის სვეტის მოსალოცად წასულები,
გავეცალეთ ქალაქის თქორს, ბუღს და ქაოსს,
სად ბევრია ბოროტი და ავსულები!
ხელგაშლილი, გულგაშლილი შეგვეგება,
ქუჩის პირას ხელებს გვართმევს ვაშლის რიგი,
აქეთ ტყემლებს დაუხრიათ მორცხვად თავი,
გვეხვეწება – დამკრიფეთო ჩქარა, მიდი,
პეპლებივით ირევიან ფერთა გამა,
ზოგი წითლად, ზოგიც შავად დარახტულა,
შორს კორომი ბროწეულის ალნადები,
აბრეშუმის სინაზეში აფაკლულა!
ეს რა თავბრუ დაგვახვია ღმერთო ჩემო,
არ გვეთმობა, აღარ გვინდა წასვლა არსით,
არ მოგაკლოთ ღვთის წყალობა მაღალ ღმერთმა,
ღვთისმშობელმა დაგიფაროთ თავის კალთით!

მლეთა

შემომეფეთა ალპებში,
ულამაზესი ასული,
იქით ლომისა მოსჩანდა,
გადაგვეშალა წარსული!
ზღვა იყო – უკიდეგანო,
ჰყვაოდა ირგვლივ ყოილი,
ხევის შვილების მომრთველი,
ბარის არ იყო დობილი!
ვეროდეს წარმოვიდგენდი,
გავშრი, გავშეშდი წამიერ,
,,არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს,“
მის დამწერს, მრავალჟამიერ!
სალი კლდეები მეფურად,
დგანან არწივის ბუდედა,
იქით გერგეტი მფარველობს,
ვერვინ გახედავს მრუდედა!
აქეთ, ლომისას სალოცავს,
აუუ, რა მადლი ჰქონია,
ამგვარი ძალის მოცემა,
მე არსად გამიგონია!
...გოგო ვიხილე წერწეტი,
კისერზე ჯაჭვი ეხვია,
ღვარად გადმოსდის ცრემლები,
თავადის ქალის სეხნია!
ზოგისთვის მძიმე საოცრად,
ზოგსაც გიშერი ებნია,
იწონებაო ცოდვები,
აქ, არა სჭრიდა ხერხია!
რკინის ქალამნებს შევეხე,
ნეტავ, რა ხელმა აკეთა,
დრომ ვერაფერი დააკლო,
დარჩა წარსულის სარკეთა!
...გახსენი პირი მიწისა,
იქ წვანან გმირი მამები,
ბორგავენ, ვერ ისვენებენ,
იქაც გვერდით აქვთ აბჯრები!
მათ გულზე ხარობს გვირილა,
ულამაზესი, სპეტაკი,
ვინაც ღალატი გაივლოს,
ეხუროს ქალის ლეჩაქი!
წმინდა მამები დღედაღამ,
დარიანში თუ ავდარში,
ახლოს არიან უფალთან,
ათენ-აღამებს საყდარში!
აი, რამ გადაგვარჩინა,
ვინ მოგვიყვანა აქამდის,
ხევის შვილები მტერს ხმალით,
ფეხით მისდევდა სახლამდის!
... ისმის გალობა მთის წვერზე,
ხან წვიმს, ხან მზე და ნისლია,
ამ საოცრების მხილველი,
გაგვხადოს ღმერთმა ღირსია!

ტაო –კლარჯეთი

ჩვენს მიწას უცხოდ ვეწვიეთ,
თვალი ვერ აღწერს რაც ვნახეთ,
ირგვლივ წალკოტი ჰყვაოდა,
ყველაფერშია ღვთის სახე.
დასრიალებდა კალმახი,
წკრიალა მდინარეშია,
დილით ისმოდა კივილი,
არ სძინავთ მინარეთშია!
თვალუწვდენელი კლდეები,
ქიმზე – ოშკი და ხახული,
პარხალი, ბანა, ოპიზა,
გადაგვეშალა წარსული.
..ხანძთას ენძელა ხარობდა,
წყარო დიოდა ველადა,
აი, გაცოცხლდა წარსული,
ლამის დავეშვი მღერადა!
წირავს მამაო,,ოთხთაში,''
მახარებლები ხარობენ,
დამეწყრილია ტაძარი,
დაყრილი ქვები დარობენ!
აგეტირება კი არა,
გინდა იბღავლო დილამდის,
რჩება ტაძარი უმრევლოდ,
კიდევ როდისღა წირვამდის?!
ტებეთი დანგრეულია,
ოპიზა გაგლეჯილია,
შატბერდი უგუმბათოა
კედლები მარტოსულია!...
ჩვენ მივუყვებით აღმართებს,
კლდეებს ძლივს უჩანს წვერები,
გულდამდუღრულნი მივდივართ,
იქ არ დაგვხვდება ბერები!
დაგვაძრობინეს ფაჩუჩი,
მოლამ გაგვიღო კარები,
მიმოვატარეთ წამიერ
ცრემლებით სავსე თვალები!
ძაძით მოსილი იშხანი,
მიმოფანტული ქვები,
არ გააჩერეს საფლავში
დედა-შვილი თუ ძმები!
ოქროს ეძებდა მტარვალი,
გადააბრუნეს მთები,
იქ მეფეები სახლობდნენ
ეგულებოდათ თვლები!
ვიხილე გროვად დაყრილი
დაუმარხავი ძვლები,
კლდეებზე ირმის ჯოგია
არ შეგვხვედრია მგლები!...
თურმე, რა დიდი ყოფილა
ჩვენი ქვეყანა ოდით,
ღმერთო, ჰქმენ სასწაული და,
შემოგვატარე ჩოქვით!
მართლაც ღვთისმშობლის სადარი,
აყვავებული მთა-ბარი;
ტაო, კლარჯეთი, შავშეთი,
გასხვისებული ჰერეთი,
ჩასაფრებული ოსმალო,
არაბეთი თუ სპარსეთი,
გვძლიეს ურიცხვი ამალით
გადმოიტანეს საზღვარი!
...საინგილოში მერცხლები
დაგვტრიალებდნენ თავზე,
ტაო-კლარჯეთში მტრედები
ჩამომსხდარიყვნენ ქვაზე,
ჩვენ წამოვედით– ისინი
ისრიალებენ ცაზე,
ჩვენზე ერთგულნი ყოფილან
არ გაუცვლიათ სხვაზე!

კაბადოკია

იღვენთებოდა სანთლები კლდეში,
ქვიშას ერწყმოდა ცრემლთა ნაჟური,
ფრინველს დაედო ბუდე გუმბათზე,
მერცხლის ბარტყია ღვთისგან ნაპკური!
ვიდექი ქვაბულს, პარაკლისს აღვლენს,
ჩვენი მამაო, უფლის ჯვრით ხელში,
ვინ იცის ბოლოს ვინ იდგა ტაძარს,
იქნებ გიორგიც იყო იმ მრევლში?!
დიდ წმინდანების სოფელს ვეწვიეთ,
გულანთებული მრევლი ნინოსი,
ხეობას კლდეში დედა ვიხილეთ,
ყრმა ჰყავდა ხელში, კაბით ტილოსი!
მადლიან მიწას, ნანატრ ოცნებებს,
ფრთები შეესხა, შევახეთ ხელი,
ეს არ ითქმება, არც იწერება,
ამბავი არის საოცრად გრძელი!
გორემეს გულში ქალაქი ვნახეთ,
მიწას ეჭამა ხორცი მავანის,
აქეთ და იქით ჩონჩხიღა დაგვხვდა,
იდუმალება ქვეშეთს სავანის!
წმინდა გიორგის საგმირო საქმე,
ცაში აზიდულ კლდეებს ამჩნია,
ჩვენცა გვაქვს კლდეში ნაკვეთი სული,
ჩვენი თამარი, ჩვენი ვარძია!
მესვეტის ღაღადს ისმენს უფალი,
აქვეა ვაზი მტევნებდასხმული,
გადაფოფრვია, ჩაკვრია ფესვებს,
სულ დაბლნარია, მიწას განრთხმული!
იდუმალებით სავსე ქვეყანა,
მიზიდულობის ძალა ართქმული,
მხურვალე ბერთა ცრემლთა დინებით,
ქვიშად ქცეულა მიწა ტანჯული!

პრომეთეს მღვიმისა და ბაგრატის მოლოცვის შემდეგ

აი თურმე,
რად,,ბლატაობს''
იმერელი,
,,სიმონ, სიმონ''
გაიძახის
დღე და ღამე,
დგას ბაგრატი,
გელათი და
მოწამეთა,
იაკობო,
რად გაყუჩდი
მითხარ რამე?!
მიწის ზევით
თვალდანახულს
სად წაუხვალ,
მიწის ქვევით
რა ჰქონიათ
შენც ხომ ნახე,
აი, წყვილებს
ელოდება
იმ მთის
ქიმზე,
ნაზიბროლას,
ამირანის,
,,მოდი ნახე''!
აქ სხვა მადლი,
სხვა ეშხია
იმერული,
საოცრებებს
ღმერთი
გვჩუქნის
ყოველ წუთში,
სათაფლია,
დინოზავრის
ნაკვალევი,
საოცრების
საოცრება,
მიწის
გულში!
წყალტუბოში
მიწის ქვეშეთს
დავიშოკეთ,
იმ მღვიმეში
გავათიო
მინდა ღამე,
აქ პრომეთე
არაფერ არ
შუაშია,
სასწაულებს
ღმერთი
გვჩუქნის
ყოველ
ღამე!
გაზაფხულზე
გულს გადაშლის
საპოვნელა,
საწერეთლოს
დაუდგება
წინა რამე?!
ამ მხარეში
არხევს სიო
იასამანს,
გალაკტიონს
უწერია
,,მე და ღამე''.

ტკივილი ჩემი

მე მოწყვეტილი ყვავილი მტკივა,
ავბრიალდები მინდვრის ყაყაჩოდ,
ვერწართმეული გარეჯი მზარავს,
აღვიმართები ხანძთას ხარაჩოდ.
გულს მადევს ხლართი, მცოცავი რკინის,
მე ტყვია მომხვდა ძმისგან ნასროლი,
წევს შინდისელი გმირები ცხინვალს,
საქართველოსთვის ნატანჯ – ნაბრძოლი!
ოო, როგორ მინდა გაგითბო გული,
ვნახო ქვეყანა წაღმა მართული,
დე, საქართველოს აძლიერებდეს,
დემეტრე, ლილე, თამთა, გაბული...
ძმას ვუძმოთ ხალხნო,
მტერს რისხვა ღვთისა,
დრო საშურია, გარბის ტიალი,
დღეიდან უნდა გამოვიღვიძოთ,
დავიწყოთ ქვეყნის წაღმა ტრიალი!

სამების მთებში დაჭროდა სიო

მე შევიმოსე
ნეტარი სხივით
და უთეთრესმა
ნისლმა დამფარა,
მე არ ვიდექი...
ჰაერში თითქოს
ანგელოზებმა
ხელით მატარა!
მამაო პეტრე
ამბობს კომპლიმენტს,
მაყენებს მაღლა
დიდ კორიფეზე,
მე არც კი ვიცი
რა ჰქვია ამას,
დავფრინავ სადღაც
ცის ჰორიზონტზე!
ჩემი ბაგენი
მე არ მეკუთვნის,
თითქოს– უფალი ამბობს
ჩემს სათქმელს,
აქ აფასებენ
მშობლიურ კუთხეს,
ჩემს ნამოღვაწარს,
ნაწერს, ჩემს საქმეს!
დიდი პოეტის
მუზეუმს ათბობს,
ტკბილი სიტყვები
გმირ პოეტების,
ქალბატონები
გულში მიკრავენ,
მუზას შერწყმია
ხმა,,სონეტების''!
ჩოხოსან ვაჟკაცს
უჭრის სიტყვა და
სულხანის სისხლი
ძარღვებს ამჩნია,
გაშალეთ დროშა
მეფე თამარის,
კვლავ იტყვის სათქმელს
დიდი ვარძია!
,,ოჰოი ნანა''
ბიჭმა იკითხა...
უთამაშებდა –
ძარღვები სხეულს,
ისე იკითხა,
ისე იკითხა,
შესძრავდა –
ცხრა მთას
ბუმბერაზს,
გრძნეულს!
ისმოდა
ხვეწნა – მუდარა კაცის,
ოთხმოცი წელი
მოაქვს ბეჭებით,
გემუდარებით
შეუნდეთ ერთურთს,
თავს ნუ გაუტეხთ
ქვებით, კეტებით!...
სამების მთებში
დაჰქროდა სიო
და, შრიალებდა
გაღმა ვერხვები,
ასეთ საღამოს
გამართვის შემდეგ
ხალხნო –
აროდეს
არ დავბერდები!

* * *

მე არ მოგახვევთ ტკივილებს,
გულს არ განახვებთ დარდიანს,
გავამზიანებ სიხარულს
ღიმილიანს და ვარდიანს!
კარგი დღეები ჭარბობენ,
საყვედურ არა დამცდება,
არ განვრისხდები არვისზე,
თორემ რისხვა არ ამცდება!
არა... ღირს ქვეყნად სიცოცხლე,
სამყაროს ხილვა თვალითა,
გაგაძლიეროთ უფალმა,
დედაღვთისმშობლის ძალითა!
უფლის რწმენით და იმედით,
აგევსოთ გული მარადის,
მიყვარდით, ახლაც მიყვარხართ
არ დაგთმობთ სიკვდილთ კარამდის!

საინგილოს ქართველობას

თქვენ არა ხართ ლტოლვილი,
თქვენ არა ხართ ხიზანი,
საქართველოს შვილობა
არის თქვენი მიზანი!
ერთადერთი იმედი
მაღლა ღმერთი ცაშია,
გავეჯიბროთ ჰერელებს
სიყვარულის მკაშია!
ფეხი არ მოუცვლიათ
წინაპართა მიწიდან,
კესანები ამოდის
იქ ჩაღვრილი სისხლიდან!
საინგილოს მშვენება
თამარ მეფის ხიდია,
საქართველოს ერთობა
არის მისი მისია!

იქ, ქურმუხი ძლიერი
გიორგობას მოელის,
აივსება ტაძარი
წირვა დგება იბერის!
შენახული ადათი,
შენივთული ქართული,
ყველა კილო – კავი და,
გვერდით დგომა ართქმული!
მყარად დგანან მიწაზე
გოჯსაც არვის უთმობენ,
თათრებს მიუერთეს და,
რა ქნან, მათაც უძმობენ!
დღეს იქ მყოფნი ქართველნი
ყველა წმინდანს უხმობენ,

კიდობანი, ფსალმუნნი
აზერებს არ უთმობენ!
ალავერდი ჩარაზეს,
ბოქლომია კარზედა,
საფლავის ქვებს მოკაწრეს,
წმინდანები ჯვარზედა!
როგორ უნდათ წაშალონ
კვალი ქრისტიანული,
ამ შაითნებს არა სწამთ
არც თათრული, სპარსული?!
ვინ უშველის ჰერელებს?!
კახეთს იქით – კ ა ხ ი ა...
იქ თამარის ხიდია,
აქეთ კიდევ ვ ა რ ძ ი ა!

დავით გარეჯი

ნუში ჰყვაოდა საოცარ ფერებში,
რა ნახა თვალმა,
ის ერთი იყო იმ უდაბნოში
დედოფლის დარად,
და მას გარს ერტყა
კლდეში ნაკვეთი დავითის ლავრა,
მე გამაოცა სიჩუმემ მკვიდრმა,
ირმების კვალმა...
ვნახე ადგილი სად ფერფლად იქცა
ბოროტი ძალა,
დგას მოწამეთ სად ცალ –ცალკეა
ტანი და ქალა...
მე გამაოცა წმინდა მამების
შრომამ და ძალამ,
ოდეს იდინა კლდეთა ღარებში
ნაჟურმა წყალმა...
დღესაც დგას ქიმზე
დოდოს ნაკვეთი სენაკთა რიგი,
მათ ვერაფერი ვერა დააკლო
უდაბნოს ქარმა...

მდუმარე ფრესკებს შევავედრებ
ჩემს მიწას, ალაგს,
მაღალ ღმერთს შევთხოვ
მათ სიახლოვეს
ლოცვითა გავლას...
ვნახე ადგილი
სად განისვენა
ნეტარმა მამამ,
ვინც მას შეეხოს
ყველა განკურნოს
ღვთიურმა ძალამ.
ჰყვაოდა ნუში
და მას ფუტკარი
ეკვროდა სულში,
თავდავიწყებით
ეტრფოდა დიადს,
ეს ის ძალაა
რომ გაანათებს
უკუნეთ წყვდიადს!

* * *

ძმა ალექსანდრეს დაჟინებული მოთხოვნით
ვაჟა-ფშაველას იუბილესთან დაკავშირებით

შენ ვის შეგადრი ფშაველო,
ბადალ არა გყავს ცაზედა,
ვინ დაგანათლა ეგ ნიჭი,
შეყვარებულო მთაზედა!
მე ჩემი გამკვირვებია,
სიტყვა როგორ ვთქვა ფხიანი,
განა სუყველა ვინც გაჩნდა
კაცია – ადამიანი?!
ვიღას ადარდებს შვლის ნუკრი,
ხმელი წიფელის ფოთოლი,
იას ნეტარი სილურჯე,
ბალახით სავსე გოდორი!...
შენ – ქვის, კლდის, ხევის გესმოდა,
ბუნების დიდო მგოსანო,
გაყიდულია ქვეყანა,
ვაჰ, ჩემო თავო ჩობანო!...
ქედს ვიხრით შენსა წინაშე,
შენ, ფშავის დიდო ძალაო,
ჩვენ მოგვიძღვენი სიცოცხლე,
მთაწმინდას – თავის ქალაო!

* * *

მე სიმაღლეებს ველტვოდი,
სანთელს ვანთებდი კლდის ქიმზე,
არ დამიკარგავს იმედი,
ახლაც ვიღიმი მტრის ჯინზე!
ყველგან სიკეთეს ვტოვებდი,
ყვავილს ვკოცნიდი ველადა,
მიყვარხართ, გეტყვით ათასგზის,
თქვენით გავმხდარვარ ხელადა!
კაცი ვერ ვნახე ყოფაში,
შარბათი ესვას უშურვლად,
არც მე ვარ გამონაკლისი,
მეც დავითმინე გურულად!
დავრწმუნდი – ვევნე, ვეწამე,
არავინ არის მშველელი,
მხოლოდ ღმერთია უფალი,
სასუფევლისკენ მკვლეველი.

მონატრება

დედები შვილებს არადეს ტოვებენ,
არც მაშინ როცა, მიწა აყრია,
ჩემო დედიკო ყოველთვის მშველი,
მაღალ გორაკზე დედა მარხია!
მე შენში ვიყავ, ახლა ხარ ჩემში,
და მონატრება, ცრემლის კასრია,
მოსვლას ვაპირებ, ჩემო ლამაზო,
არ მომანათებ სახლის კარშია!
ცრემლები ღვარად მოედინება,
გარეთაც წვიმის, თქეშის მარშია,
შენ ჩემს ცხოვრებას გასდევ მარადჟამს,
ვით აბრეშუმის თეთრი არშია!

მამუკა ოჩიაური – ძალოვანი სტრუქტურების მესაზღვრე
დაბადების ადგილი – დუშეთი, ახიელი

ჩემი ქალთამზე

ცხენებმა დატორეს ქვიშიან ბილიკი,
მათრახმა იწივლა, გაფრინდა ქურანი,
მთა გიყვარს, გეტყობა ღიმით და მიმიკით,
დღეს შენ ხარ არხოტში მოსული სტუმარი.

ყურებთან მოშხუის ქარულად ნიავი,
მთებზე წევს ნისლები წვეთებით ნამძივი,
ცხენი ცხენს მიჰყვება სიშმაგით, სიავით
მცირდება სოფლისკენ სავალი მანძილი.

გამოჩნდა სოფელი ციხე და სახლები,
სხივს, ციხის ქონგურზე გულდაგულ ართავს მზე
და თითქოს გაცოცხლდა ლამაზი ზღაპრები,
მე მზეჭაბუკი ვარ, შენ ჩემი ქალთამზე.

მომენდე, ეს გულიც შენია ამ დღიდან
მსურს თმებში ჩავწურო ზაფხულის მზეები,
სხივები ძვრებიან ნისლების თავშლიდან,
სად არის ასეთი სხვა სამოთხეები.

წკრიალებს ქვიშაზე ნალები ცხენების,
იორღას არ წყვეტენ, მიჰქრიან ქარულად
დრო დადგა მთის წესით მხედრობის, ჭენების,
მსურს ასე გვერდს მყავდე, შენ მარადჟამულად.

მთა გიყვარს, გეტყობა ღიმით და მიმიკით,
სხივს, ციხის ქონგურზე გულდაგულ ართავს მზე,
სოფლამდე მივყავართ, თავდება ბილიკი,
მე შენი მიჯნური, შენ ჩემი ქალთამზე.

გაგიშვებდი

გაგიშვებდი, მაგრამ გული უარზეა,
უშენობით ფიქრებიც კი ავდებიან,
შენი ხილვით, დამიჯერე სულში მზეა
შენი წასვლით, მოსაწყენი ავდრებია.

გაგიშვებდი, დაგტოვებდი ცათა ველზე,
როგორც ქარმა მიატოვა ნისლეული,
მე არასდროს მიგიკრავდი მფეთქავ მკერდზე
და გაგვყოფდა ერთურთისგან დასასრული.

მაგრამ ვერა, ვერ შევძელი ყოველივე
აღარ მინდა გულიდან რომ მოგიცილო,
როცა ღამე ცაზე გაშლის ოქროს მძივებს,
მინდა სიზმრად მოგეფერო, მოგისმინო.

და მინავლულ სიზმარეულ მინარეთებს,
როცა ძილის შეასკდება ათინათი,
მინდა მაშინ მიმზერდეს და მინათებდეს
ეგ თვალები ჩაუქრობი, მზეზე მნათი.

შენი ხილვით დამიჯერე მუდამ მზეა,
უშენობით ფიქრებიც კი ავდებიან,
გაგიშვებდი, მაგრამ გული უარზეა
შენი წასვლით მოსაწყენი ავდრებია.

გარსია პაპა

(ვუძღვნი ცნობილ პიროვნებას
გარსია ოჩიაურს, რომელსაც
გოდერძი ჩოხელმა ნაწარმოები უძღვნა)

არ უნდა მოხუცს გასახლდეს ბარად,
გარსია პაპას არხოტი სწყურის
უნდა მთებს შერჩეს მარად და მარად
პაპა ბანს ცეკვით ქარულად უვლის .

ღამდება, მთვარე ქარაფზე ანთებს,
სხივებს ქათქათას, სხივებს უცნაურს
ნისლები არ შლის აკეცილ ფარდებს,
მდინარე არ წყვეტს დაუღლელ ხმაურს.

ხვალე ყოფილა დღე განშორების,
ხვალ დაიხშობა სახლის კარები
და იცის პაპამ, მოვა დროება
სახლებს ერქმევა ნასახლარები.

გარსია პაპა ბანს ცეკვით უვლის,
ზანზარებს ყორე, კარი და ერდო
ღმერთს ჩუმად შესთხოვს მოხუცი სურვილს,
ბარი არ მინდა აქ მომკალ ღმერთო.

ვერავინ ბედავს სიტყვის თქმას ვერა,
ქალამნები და წინდები გაცვდა
ცეკვავს და გულით გარსიას სჯერა,
რომ უფალს ესმის მუდარა კაცთა.

შორს მტრედიფერად შეთეთრდა ზეცა,
ფეხებზე სისხლმა დაიწყო დენა
უფერო ფრთები სიომ დაკეცა,
გულში დარდია მთებისოდენა.

ცეკვავს გარსია არხოტში ბანზე,
სადაც გაჩინდა, აიდგა ფეხი
ლამაზად მოყვნენ ცხოვრებას ბარზე,
მას კი მთა უყვარს მდინარე, ეხი.

უყვარს მყინვარზე სხივის დაცემა,
როცა ამოდის მზე თვალწარმტაცი
სურს გაჩერება,დროის დაჭერა
დროს ვერ აჩერებს ჭარმაგი კაცი.

მოხუცი თითქოს წამით გაჩერდა,
მთებს შეეყინა გარსიას მზერა
უმზერდა კლდეებს, ვერას არჩევდა
გულს შეეწყვიტა მის მკერდში ძგერა.

ჩამოიმუხლა და დარდით ძლეულს,
შავეთს მიჰყვება მზის სხივი შუქად
სულ მოკლე ხანში უსულო სხეულს,
ყიოშ კალთაში გახვევს "ბარუქა".

საფლავის მკვიდრად არხოტში დარჩა,
ცეკვით შეაღო კარი სამარის
წლებს შეაღამდა შრომა და ტანჯვა,
არ უმასპინძლებს ბარი, ტრამალი.

არ სურდა მოხუცს ცხოვრება ბარად,
გაჰყვა იმ ქვეყნად მზის სხივი შუქად
ის მთებში დარჩა, მარად და მარად
გულში ჩაიკრავს მოხუცს "ბარუქა"!

ცეკვა მთაში

ჩამოჰკრეს ფანდურს, გააჟრჟოლა სხეულს სრულიად
ფანდურის ჰანგებს ტაშიც აჰყვა გაუჩერები,
გადმოხტა ვაჟი, ეს მოწყენის დასასრულია
ცეკვავს და უვლის მცირე წრეზე მოქნილ ცერებით.
    გრიგალად მოდის, მის მკლავებში ქარიშხალია
    წელზე ირხევა სატევარი პაპისეული,
    წინწანაქარი, ჯიხვის დიდი ყანწით დალია,
    ზორბა მთას მოჰგავს ჩამოქნილი მისი სხეული.
არწივის თვალი გადაავლო ტაბლათა რიგებს,
ყვითელთმიანი, შავთმიანი ქალთა ჯარია
მამაკაცებთან სინით ხორცი ჩამოარიგეს,
ლამის დალეწოს ვაჟის გულმა მკერდის გალია.
    ფანდურის ჰანგი – შეურყვნელი ჰანგი ნამდვილი,
    აქ დაიბადა და ნარნარით ჭიუხებს აჰყვა,
    ერთერთმა გოგომ შეისწორა თავზე მანდილი
    და გრიგალებად მოსულ მოყმეს ცეკვით თან გაჰყვა.
ელვარებს შიბი* გოგოს მკერდზე დავანებული,
გოგმანობს ნაზად, როგორც ნორჩი მფრთხალი ქედანი,
ბიჭი გულადი, გაუტეხი, დიდი, მთებური
გოგოსთან გახდა გრძნობის ტყვე და გაუბედავი.
    ჩერდება წამი, იისფერი ნისლია თვალთან
    ვერ ეხეთქება სინარნარეს გრიგალის ძალა,
    ვაჟი მკაცრია, მოძალებულ ფიქრებსაც მართავს,
    დღემდე ასეა თბილმა გრძნობამ ვეროს დაძალა.
ცეკვავენ ორნი, ფანდურის ხმა მალამოს ადებს
გულს, რომელიც დღეს ამ გრძნობებით გაკლდევებულა,
ვაჟი უტყვია, ებრძვის ებრძვის იმ გულის ნადებს,
რომელიც გულში გამთბარა და გამზევებულა.
    ჯერ საღამომდე დიდი დროა სავალი დაღმა,
    ო, როგორ უნდა გოგოს უთხრას გულის წადილი,
    ცეკვავს გულდაგულ, არ ეტყობა ვაჟს ჯერაც დაღლა,
    ნელა ირხევა გოგოს ტანი, ბოლო მანდილის.
უკრავენ ფანდურს, გაიჟღინთა სივრცე სრულიად,
გული ხალისობს, სილამაზეს აღიქვამს თოლნი,
მიდის ქეიფი, ეს მოწყენის დასასრულია,
მიდის ქეიფი და კვლავ ბანზე ცეკვავენ ორნი.

_____

შიბი* (ხევს.) – ვერცხლის მონეტებით და ჯვრებით მორთული ყელსაბამი

მიყვარხარ

სინაზით, მთებზე ნისლს მიჰგავხარ
ამ გულში ქარულად მოვარდი,
მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ
წვიმამდის, ქარამდის, თოვამდის.

გავენდე, სიზმრებსაც გავენდე
უშენოდ ვერ გავძლებ ვერა და
მიყვარხარ მზემდე და მთვარემდე,
ჩემში ხარ ამ გულის ძგერადა.

დაგიცდი, უზომოდ დაგიცდი,
შეხვედრის იმედი დიდია,
ლოდინში, უსაზღვრო ლოდინში,
შავ – თეთრი დღეებიც მიდიან.

შენამდე ფიქრით გზას ვზომავდი,
მთებზე ნისლს რარიგად მიჰგავხარ,
წვიმამდის, ქარამდის, თოვამდის
მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!

მებრძოლი მედიკოსი

(ექსპრომტად)

გრიალებს ზეცა, ნაღმები ცვივა
ჰაერში წივის ტყვიები ცივი,
ხოხვით საცეცხლე ზონაში მივალ,
სანგრების ორი დავლახე მწკრივი.

გადამწვარია ირგვლივ ველი და
სანგართან ხეზე ქანაობს ფითრი,
ვხედავ სისხლი სდის მებრძოლს ვენიდან,
მასთან მისასვლელ დროს წამად ვითვლი.

ვეხმიანები, მაგრამ ვაი რომ,
მებრძოლი მხვდება, მკლავგაგლეჯილი,
ცაში ღრუბლები ათასნაირობს
და ღელავს, ღელავს, როგორც ჯეჯილი.

მოღუშულია ცა, ველის თავზე
სხივებმა „ფარდა “ჯერ ვერ დახიეს,
ხოხვით მისულმა გაგლეჯილ მკლავზე
მჭიდრო სახვევი გადავახვიე.

გადავახოხე სანგარში მერე,
გადავუხვიე სხვა იარებიც
რად ხარ სიცოცხლევ ასე ტანჯული,
რომ ბეწვის ხიდზე დაიარები.

საკაცე მოაქვთ, ეშველა მებრძოლს
გადავახვიე მისი სხეული,
ჯერ გაუსაძლის ტკივილებს ვერ გრძნობს,
ომის ქარცეცხლში გამოხვეული.

ის გაარიდეს ცეცხლის ხაზს მალე,
მე კი სხვას ვეძებ დაჭრილი თუა
დღეს სამართალი რად ხუჭავს თვალებს,
იქნებ დაბრმავდა, ან იქნებ ყრუა.

და დასწოლია საამო ტვირთად
სიცოცხლის დაცვა მედიკოსს მოძმის,
ასე მისდევენ ომის გზას ერთად
გაუტეხელნი, ქართველთა მოდგმის.

ნაღმები ცვივა, გრიალებს ზეცა
ჰაერში წივის ტყვიები ავი,
დღეს რომ მებრძოლთა სიცოცხლეს იცავს
მედიკოსია უტეხი ფარი.

დავდუმდით!!!

დრო იყო, მტერს მტრობით ვამჩნევდით,
ხმალ – ხანჯალს ყოველ ჟამს ვხმარობდით
დღეს ყველა დავდუმდით, გავჩერდით
სულს ვყიდით, სხეულით დავვობდით.

მტერია ჩვენ სახლის კარადა,
უცვალეს გმირობას სახელი
ჩვენ გუშინ ვიბრძოდით, არადა
დღეს ვდუმვართ სიბილწის მნახველნი.

ცხენი დგას, არაა მხედარი,
ხეც ხმება უგულოდ დარგული
რა მწარედ ტირიან დედანი,
სხვა ქვეყნის გზით გადაკარგულნი.

კაცი ხომ ოჯახის ბურჯია,
სიმტკიცეც ნელ – ნელა იშლება
ლურჯია, ცა თითქმის ლურჯია,
ცვედნობა გმირობად ითვლება.

ეს ყოფა სულ გაგვატიალებს,
ვერ ვხვდებით მტერს ფარი ვუფაროთ
ჩვენ თავზე რა ცეცხლი ტრიალებს,
ეშმასგან გვიხსენი უფალო.

ისევ ჩვენ დავამხეთ ყოველი,
დავლეწეთ ციხე და გოდოლი
ან რა ვთქვა, გამოვყო რომელი
ვცახცახებთ, ვით ქარში ფოთოლი.

მუხაზე დასახლდა მუმლი და,
ველ – მინდორს მოედო კალია
ამ მიწას პაპა ხომ უვლიდა,
დღეს რა გვჭირს, დღეს რისი ბრალია?!

ერთ მხარეს მტერია ცბიერი,
სხვა მხარეს ლესავენ მახვილებს
დავკარგეთ ზნეობა, იერი
მტერს ვუსმენთ, რაც მართლა მაკვირვებს.

ადათ-წესს სადამდე გავიტანთ,
უფალს ვთხოვ ნუ გავიწირებით
გავზარდოთ ცოტნედ და დავითად
ქართველნო, ნაშობი შვილები.

რაღა ვთქვა, გზა გავიიოლეთ,
სად გაქრა, კაცი რომ შრომობდა
ნეტავი ისე თუ ვიომებთ,
უწინ რომ ქართველი ომობდა.

ჩვენ,ყველამ გავწიოთ ჭაპანი
იქნება გამოჩნდეს მესია
რა გზითაც ვიდოდნენ პაპანი,
მას მივყვეთ, – ეს სწორი წესია.

დრო იყო, მტერს მტრობით ვამჩნევდით
დღეს გვინდა ერთობა და ძალა,
რომ ყველა დავდუმდით, გავჩერდით
იქნება მომხდურმა დაგვძალა.

იმედი ხვალისა არ ქრება,
დაგვფარე ღვთისმშობლის ნათელო
სანამდე მამული ჩაქრება
სამშობლოს უწამლე ქართველო!

ვნებიანი ღამე

ნარნარით ირხევა საწოლი,
იისფერ ნისლებში ვირწევით,
იმ გრძნობას ვერასდროს ავწონით,
ორივე უცეცხლოდ ვიწვებით.

ცხელია სუნთქვა და ტუჩები,
რატომღაც კერტებიც მკვრივია,
ვნების ცეცხლს, ვერ გადავურჩებით
გულები მკერდიდან კივიან.

დაცურავს სხეულზე თითები,
დრო დადგა, შეგუბდა მორევად,
კვირტივით ენთები, ირთვები
ამ ყოფას არ უჩანს მოლევა.

გახშირდა სუნთქვა და ჩურჩული
გადავცდით ამ განზომილებას,
რიჟრაჟი – უგულო ურჩხული,
რად ცდილობს ჩვენ ორთა მხილებას.

სასთუმალს თმა ტევრად ედება,
ვცახცახებთ ვნებებით ძლეულნი
მკერდს უნდა თითების შეხება,
ერთია დღეს ორი სხეული.

ერთია გულღიად ნაფიქრი,
ვნებების ბილიკიც ერთია,
ბილიკი, კოცნებით ნაფიფქი
იისფერ ნისლეულს შერთვია.

დამშვიდდა მშფოთვარე საწოლი
და აღარც ნისლებში ვირწევით,
ამ გრძნობას ვერასდროს ავწონით,
ორივე ამ ცეცხლით ვიწვებით.

მომწონხარ რაივქნა

ძალიან მომწონხარ რაივქნა,
შენ შორს ხარ და ამას განვიცდი
ლაღი დღე ღამეში ჩაინთქა,
გიცდიდი,გიცდი და დაგიცდი.

ნუ მკითხავ რა მტანჯავს ამ დრომდე,
ვაწყდები დარდების მარწუხებს
გულით მსურს ნაფიქრალს მანდობდე,
სიშორით მტანჯავ და მაწუხებ.

დღე – ამ წლის ნათელი საფქავი,
დროების ჩამოფქა წისქვილმა
გულიდან მოსული სათქვამი,
ლექსებმა რითმებად იწივლა.

და ფურცლის თათქათა ხნულებზე,
მელანის ატყვია კვალი და
გრძნობებზე, ფერდაზაფრულებზე
მე აღარ ვიფიქრებ ხვალიდან.

ეს შენ ხარ უქრობი ხანძარი,
უცეცხლოდ დამწვი და დამდაგე
დამემსხვრა იმედის ტაძარი,
რაც გულში წლების წინ ავაგე.

მომწონხარ, მომწონხარ რაივქნა
შენ შორს ხარ და ამას განვიცდი,
ლაღი დღე ღამეში ჩაინთქა,
გიცდიდი, გიცდი და დაგიცდი.

ქალო არაგველო

ჯობდა არაგვზე რომ არ აგევლო,
ქალო თვალციმციმა არაგველო,
ჯობდა არ მენახე მანდლიანი,
მზერაც არ გესროლა მადლიანი,
ჯობდა ყოფილიყავ გულისსწორი,
ფიქრიც გამქრალიყო გრძნობის მზომი,
ჯობდა, მართლა ჯობდა ბევრი რამე,
წახველ და წარსულში დაივანე,
გულში დაივანე მუდამ ისევ,
სულ არ გებრალები, დარდებს მისევ,
ჯობდა არაგვზე რომ არ აგევლო,
ქალო თვალციმციმა არაგველო.

დღეს მწერ

დღეს მწერ, ხვალ იქნებ მომწერო აღარ,
ხვალემ ხვალისა მუდამჟამს იცის,
მე მივაქროლებ ფიქრების "საღარს",
ვგრძნობ, წარსულიდან მიგზავნი სიცილს.

დღეს მწერ, ხვალიდან იქნებ დამნაცროს
ამ წუთისოფლის დრომ უნდობელმა,
მოკლედ დაგიწერ, აღარ განვავრცობ,
რომ გზამ დამტანჯა სავალად ძნელმა.

რომ იქნებ ხვალაც მომწერო აღარ,
რომ წარსულიდან მიგზავნი სიცილს,
კვლავ მივაქროლებ ფიქრების "საღარს,"
ხვალემ ხვალისა მუდამჟამს იცის.

ვინ ხარ

ნეტავი ვინ ხარ, მოხვედი სიდან,
მოხვედი მოსვლით გაჩერდა წამი,
იქნებ სხივი ხარ მოსული ციდან,
ანდა ღრუბელთა ობოლი ნამი,
თუ ასე მწირობ მოსდევ ალალად
და ქარაშოტის კალთას ეკვრები,
რატომ ჩამდგარა ურყევ სამანად
ღონემოსული რითმის ეჟვნები,
რატომ დაფლითა ნისლის აფრები
ქარმა ძლიერმა, ქარმა მავანმა
ალბათ შენც რითმებს ისევ ადნები,
აროს გიცდია მათგან დამალვა.

ღრუბლებო გზატიალებო

ნეტავ საითკენ იჩქარით
ღრუბლებო გზატიალებო,
ქარო ასეთი სიჩქარით
აბრუნებ, ატრიალებო.

დაწალიკებულ თეთრ ფთილებს,
რატომ და რისთვის მიდენი
ხან გულცივებს,ხან გულთბილებს
სევდა აქვთ გულში იმდენი

რომ ღრუბლებს სევდის სიმძიმე,
მუდამ აჩრდილად დაჰყვება
ცხარე ცრემლებად იწვიმებს,
სევდა რომ დაუამდება.

და გაუმხელელ გულისთქმას,
ნისლად ქარაფებს მიაფენს
ქარო გულქვავ და გულცივო,
ღრუბლებს საითკენ მიაფრენ.

მუადმჟამს დაუნანებო,
მუდამ ავო და აშარო
რად გინდა ისევ აწეწო,
ცის კალთებს რომ მიაშალო.

ეყოფა გზები სავალად,
რაც გაუვლია ამ დრომდე,
ჯობია ღრუბელთ წამალად
ამშვიდებდე და ალღობდე.

ნეტავ საითკენ მიდენი
გადაზაფრულებს ქროლვით,
გათეთრდა მთათა კიდენი,
შეციებული თოვლით.

დღე სიცივისგან დამზრალი,
ქარს შეუსწორებს მანდილს
მთებზე სიმწვანე გამქრალი
ზამთარს მიენდო ნამდვილს.

ნეტავ საითკენ იჩქარით
ღრუბლებო გზატიალებო,
ქარო ასეთი სიჩქარით
აბრუნებ, ატრიალებო.

აკაცია

კაცმა მოჭრა მოშრიალე აკაცია,
კენტად მდგარი, ველ-მინდორთა მოდარაჯე,
ყველა ხვდება ეს არსება რა კაცია,
დაუნდობი, ავსული და მოძალადე.

მესმის ცივა, მისი სახლიც გათოშილა
და მის სულსაც მოსდებია მწვანე ობი,
ტყესთან ცხოვრობს, მაგრამ ცულით როცა მივა
მინდვრად ხესთან, მაშინ არის დაუნდობი.

დაეზარა ტყეში შესვლა, გამოხშირვა
უნდობია, ავსულია, ზარმაცია
ცას შეასკდა ცულდაკრულის უტყვი გმინვა,
როცა მიწას დაენარცხა აკაცია.

ჩვენ დავბერდებით

შენც დაბერდები,მეც ვბერდები დაბერდა ისაც,
ამ სიბერისგან ეს სამზეო ვერავის იცავს,
მაგრამ გულია უდარდელი,უბერებელი
ხან გაუტეხი,დაბზარული ხანაც კედელი,
ასეა თურმე ეს სხეული ნათხოვარია,
უფალთანაა, ეს გზა ლოცვით ვინაც გალია.
თუმცა არ მაწევს მე ცოდვები ბევრი მრავალი,
მძიმე ცოდვები, – ჯოჯოხეთით ამომავალი
შენც დაიხსომე,ავი საქმე მოგსრავს გაგწირავს,
ნამდვილად არის ცის სამეფო მენდე ასწილად,
ამ სამზეოში მამა უფალს ნუ დაშორდები,
თორემ მოკვდები, საიქიოს აღარ ცხონდები,
ჩვენ დავბერდებით, ეს ცხოვრება ასე დაწერეს,
რომ სიბერეში თეთრი ჯაბნის კაცის თმა – წვერებს,
დაბერდა ისაც,მეც ვბერდები,შენც დაბერდები
თავს დავიმშვიდებთ ჭაღარა თმით
როგორ ვმშვენდებით,
ვიწამოთ ღმერთი, მამა უფალს ნუ დავშორდებით
ცის სამეფოში, როგორც სული ვიცი ვცხონდებით.

ნაოჭები

შევხვდით,
    მატყვევებდი, მაოცებდი
(გულში შენი ტრფობა დამრჩენია)
ჩუმად ჩურჩულებდი: – ნაოჭები,
თვალთან ნაოჭები გამჩენია.

თმებიც გათხელდაო ტევრად მდგარი,
ქრება თვალში სხივი, ტანში ძალა
შენთვის საოცნებო,ტურფა ქალი
თურმე, როგორ უცებ შეიცვალა.

წლებმა მოიპარეს ნაფერები
იმ ძველ დროებათა ხავერდები,
ფიქრით გეხვევი და გეფერები
ვამბობ: – არასოდეს დაბერდები

ბედი უნდობი და ცბიერია,
გული მოლოდინით არ იცლება
შენში შეუცვლელი იერია,
რაც რომ ამ წუთამდე არ იცვლება.

შენ კი სახე დაგრჩა ნაოცები
წუთი რომ დაგვიდგა ვადამდელი,
თურმე როგორ გახდა ნაოჭები
შენი ერთადერთი სადარდელი.

ვერა ვერ გავხსენი გულის კლიტე,
ახლოს არ მიშვებ და არც მშორდები,
მინდა გიყვარდე და შენად მთვლიდე
თუკი არასოდეს დამშორდები.

შევხვდით,
    მატყვევებდი, მაოცებდი
(გულში შენი ტრფობა დამრჩენია)
შენ კი ჩურჩულებდი: – ნაოჭები,
თვალთან ნაოჭები გამჩენია.

ათენგენობა

კოდში ჩაუსხამთ ლუდი ანკარა
დადუღებული და მინავლული
სოფლის თავშია სახლი პატარა
ხოგაის მინდის იქ სახლობს სული.

ნელა ბუბუნებს ხუცესი ლოცვას
ირგვლივ არტყია მეზღვნეთა ჯარი
რვა ათეული მას წლები მოსავს
დღესაც მან უნდა ადიდოს ჯვარი.

აახმიანოს ხატის ზარები
დროშის ტარს ყოჩის სისხლი აპკუროს
ძველი დარბაზის შეხსნას კარები
და გაიტანოს უფროსის ულო.

დალოცოს თემი და მოწიწებით
აიღოს დროშა სვე – მადლიანი
ხატს მიაბაროს თემის ბავშვები
ანგელოზები ოქროსთმიანნი.

ვერცხლის თასებში ლუდის ლაციცი
ჭიუხში მზის სხივს ჰგავს ალიონზე
სითხეში ცურავს სვიას ნამცეცი
როგორც ფოთოლი მტკვარზე, იორზე.

შხეფები ცვივა ვერცხლის თასიდან
ნაზად წკარუნობს მის ტანზე შიბი
სულმოუთქმელად დაცალო გინდა,
ტაბლაზე მდგარი თასების რიგი.

გვერდით ტყავდება დიდი კურატი
ზეობს რწმენა და სულის სიწმინდე
მამაკაცებით აივსო ხატი,
მანდილოსნებით გალავნის კიდე.

ქადებზე დაკრულ სანთლების ალში
იწვება,ქრება აზრი აშარი
ყიჟინით დარბის ურიცხვი ბავშვი,
როცა დაშალეს მათთვის აშალი*

პატარა კვერებს ხალისით კრეფენ,
სილაღის,ლხინის დგება საათი
იყოჩაღებენ?! – გაიმარჯვებენ
და გამოჩნდება სიმარდე მათი.

დაკაფულ საკლავს ქვაბებში ყრიან,
სპილენძის ქვაბთა დგას ოხშივარი
გავსებულ ჩხუტებს ლუდისგან ცლიან
მასპინძლობს თემი, სტუმრობს სტუმარი.

ნიავზე ზარი გაიხმიანებს,
ნიავი მთათა უბელო რაში
და შეახსენებს ადამიანებს,
რა ძალა არის უფლის რწმენაში.

ხარობ,სიამით გევსება გული,
გინდა მყინვარებს დაუთქვა ძმობა,
არხოტული და გულით ამღური
დგება ხატობა – ათენგენობა.

აშალი* – აშლის დაშლა (ხევს.) პატარა, თხელი სარიტუალო პურები, რომელსაც აცხობდნენ ხევსურეთში ბავშვის ავადმყოფობისაგან განკურნების მიზნით.

ხომ მომწერ...

ხომ მომწერ,
გულზე შენც რომ გაქვს ლოდი,
რომ უცხოეთის ცივია კერა
რომ იმ წარსულში შენაც გინდოდი,
მაგრამ გაგვწირა ჩვენ ბედისწერამ.

რომ გენატრება წამი გასული,
და არ შესრულდა იმ ტრფობის ნება
რად გახდა ბედი ჩვენთვის ავსული,
გულიც შენზე ფიქრს ვერ ეთხოვება.

ხომ მომწერ,
ბავშვურ დღეთა ნათელი,
რომ შორეთიდან აგზავნის სითბოს
გული კი იწვის, როგორც სანთელი
და სანთელივით ილევა თითქოს

ხომ მომწერ,
სიზმრად მე რომ გესტუმრე,
ფერადი ნისლის, შემოვხსენ კარი
ვერც შენ ბედავდი გიყვარდი თურმე,
და ვერაფერი ვეღარ მითხარი.

ასე ლოდინში დაოსდნენ თოლნი,
უიმედობამ მოთოვა დარდი
სხვადასხვა მხარეს მივდივართ ორნი,
რად შემიყვარდი, რად შემიყვარდი!

ადამს

შენ გამოგძერწეს მიწისგან თურმე
და მოგცეს ბაღში თავშესაფარი,
რადგან დარდისგან ვერ განიკურნე,
შენი ნეკნისგან გიბოძეს ქალი.

და რამდენიმე დღე რომ გავიდა,
მოგბეზრდა მასთან გქონოდა ბინა,
უფალს შესთხოვე – მომწყდეს თავიდან
და მანაც ქალი ჩამოგაცილა.

სულ მოკლე ხანში მიხვდი ისევე,
გულს მონატრების გიწვავდა ალი
უმისოდ ბაღში ვერ მოისვენე,
უფალმაც ისევ გიბოძა ქალი.

შემდეგ მისგამო დაკარგეთ ბაღი,
გაგიჩნდათ ლტოლვა, გაგიჩნდათ ვნება
რადგანაც გაქრა ის ყოფა ლაღი,
ალბათ ცხოვრებამ ასე ინება.

შემდეგ ოჯახი,ბევრი შვილები
ხან ლხინი, ხანაც ჭირთა თარეში
გამრავლებული შთამომავლები
გაფანტულები უცხო მხარეში.

კაცობრიობის უწყვეტი ზოლი,
ქალი და კაცი, სიძე და რძალი
უფლისგან ქალი ვიღაცის ცოლი,
უფლისგან კაცი ვიღაცის ქმარი.

* * *

შენ ლექსი მითხარ,ლექსის სული...
თორემ რას დაეძებ ურითმობას,
ზოგი ისეთია, აივსები –
ზოგიც კარგია...და ურიგობაც.
ვინმეს ტირილიც თუ აღმოხდება,
ვიღაც სიცილებში დაოსდება,
შენ კი წამკითხველო, რას დაეძებ,
გული თუკი ერჩის, რა მოხდება...
ასე არეული იარება,
სიტყვა ურგებია ბევრჯერ თქმული,
რითმას რას დაეძებ საყვარელო,
ბევრჯერ მთავარია მისი სული...

უშენობა – მძიმე განაჩენი

მოგვითოვა,
    თოვლი დადო მტკაველამდე,
გადაფარა მთის სიმწვანე დანაფენი
მსურს არასდროს
დაგავიწყდე, მუდამ გწამდე
დამიჯერე სხვა არ მინდა არაფერი.

სიყვარული უთქმელი და გაუნდობი,
არ მარგუნე, შუაზე არ გამიყავი
რად იყავი უგულო და დაუნდობი,
ჩემი გულის მომკვლელი და გამრიყავი.

ახლა სტრიქონს გავუმხილე ნაფიქრალი,
ფეთქავ, გულზე იარებად აჩენილო,
ქალი არა, შენ ყოფილხარ ქვა – ფიქალი,
ჩემს ყოფაში სამუდამოდ დარჩენილო.

მოგვითოვა,
    თოვლი დადო მტკაველამდე
უშენობა არის მძიმე განაჩენი,
მსურს არასდროს დამივიწყო, მუდამ გწამდე
რაღა გითხრა აღარ ვიცი დანარჩენი.

ფიქრები ქალის

მე ვიტყვი იმას რაც მართლა არის,
ქარი მთებს უშლის ნისლის სახვიელს
მე მიხარია რომ ლამაზ ქალის,
ფიქრები სწვდება ამღას*, ახიელს*!

რომ შორეული საქართველოდან
მთებს ეფერება გული დაღლილი
ცარიელია თითქოს დღეს ოდა
სიცარიელით ტყვია დახლილი

ოდაში დღემდე არ აქრობს კოცონს
ქალი მთებიდან მზეჭაბუკს უხმობს
რომ ბიჭის გამო ის მთები მოსწონს
ამიტომ იტანს ლოდინსაც უხმოდ

და მოგონება სიზმარეული
ყველა მოწყენას გადააბიჯებს
დღეს ქალი ტრფობით ჟინმორეული
ფიქრით ვაჟისკენ ითვლის ნაბიჯებს

მაგრამ დღეები უფეროდ მიდის
წვეთებად მიაქვს ლოდინის გარჯა
გამაგრება სურს იმ ბეწვის ხიდის
რაც ბიჭთან მისვლის იმედად დარჩა

არ გააცია თავისი ოდა
ფიქრს უვლის, ჩაფლულს მომავლის გზებში
ვისაც ეს წლები ელოდებოდა,
ის კვლავ ჯიუტად დამკვიდრდა მთებში

ქარი ჩამკეტი მთის ვიწრო კარის
უგულოდ წეწავს ნისლის სახვიელს
შორს, იმიერში ფიქრები ქალის
ვეღარ ივიწყებს ამღას, ახიელს.

———————————————————————

ამღა*, ახიელი* – სოფლები არხოტის თემში (პირიქითა ხევსურეთი)

მე ვარ ქართველი

მე ვარ ქართველი საქართველოდან,
არც ევროპელი, არც აზიელი
მოვდივარ ბებერ ფესვის ღეროდან,
რომელსაც ჰქვია კავკასიელი.

არ მესწავლება პატივისცემა,
დედის და მამის,ცოლის და შვილის
ველს ავსებს ჩემი ცხენების რემა,
შრიალებს ყანა ხორბლის თუ სვილის.

ძველზე ძველია ჩემი ანბანი,
მაცხოვარია ჩემი მესია,
გული სილაღით მუდამ გამთბარი
მამული მუდამ უმთავრესია.

ჩემი სისხლია მიწა ქართული,
ჩემი სულია ზეცა კრიალა,
საამოდ გენში მაქვს ჩახლართული
მტერთან მახვილი,ძმასთან ფიალა.

და არასოდეს არ მესწავლება,
თავს უპატრონონ დაე საკუთარს,
ყველას მოუწევს იმ ჯვრის ტარება,
უფალმა ღმერთმა რაიც აკუთვნა.

შემეშვი, წადი ნუ მინგრევ იმას,
რაც წინაპარმა მე დამიტოვა
გულს ნუ ამომგლეჯ მბორგავს და მტკივანს,
ხომ ხედავ ჩემში დარდმა ითოვა.

წაულეკავი შემომრჩა დღემდე,
ჯერ შეურყვნელი მე ქართველობა,
როდემდე უნდა გულმშვიდად ვთვლემდეთ,
არ უნდა მოვსპოთ მტერთა მცდელობა?!

რატომ წარმტაცე ქართული მიწა,
რად დამიხოცე ურიცხვი ხალხი,
რად გაიკვირვე მამულს თუ ვიცავ,
ცა შემინისლე შავბნელი თალხით.

მოვა დრო ვიცი დაუვიწყარი,
ღვთისმშობლისა და გიორგის მხარეს,
აროს გასწირავს მჯერა უფალი,
მტერს არ დაუთმობს ამ არემარეს.

მე ვარ ქართველი საქართველოდან,
არც აზიელი,არც ევროპელი
მოვდივარ ბებერ ფესვის ღეროდან
და ბრძოლის ველზეც საამოდ ვმღერი.

შემეშვი, წადი, ამ ღვთის ჩეროდან
ჩემი მიწიდან აიღე ხელი,
მოვდივარ ბებერ ფესვის ღეროდან,
მე ქართველი ვარ – კავკასიელი!!

ზაზა მედულაშვილი – სამართალმცოდნე
დაბადების ადგილი – გურჯაანი – არაშენდა

საქართველოს კუთხეებს

ვენაცვალე ქართლელებსა,
აზროვნებით ნათელებსა.
ვენაცვალე კახელებსა,
მრავალ ჭირის მნახველებსა.
ვენაცვალე იმერლებსა,
ხვალინდელ დღის იმედებსა.
ვენაცვალე რაჭველებსა,
გულში გრძნობით ნაჭდევებსა.
ვენაცვალე მეგრელებსა,
თვალითა და გულით მგლებსა.
ვენაცვალე გურულებსა,
ვაჟკაცობით დიდგულებსა.
ვენაცვალე სამცხელებსა,
მიაწვდენენ ცას ხელებსა.
ვენაცვალე ჩემს სვანებსა,
ციხე კოშკით კლდე სალებსა.
ვენაცვალე აჭარლებსა,
ზღვა რომ ხმელეთს აჭარბებსა.
ვენაცვალე ფშავ-ხევსურებს,
მთების შვილთა ამაყ სულებს.
ვენაცვალე აფხაზეთსა,
მოხატული ტილო ზეთსა.
ვენაცვალე სამაჩაბლოს,
არავინ არ დამიჩაგროს.
ვენაცვალე ყველა ქართველს,
სულითა და გულით ნამთევს.
ვენაცვალე ჩემს სამშობლოს,
ღმერთმა ცუდი სულ აშოროს...

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს...

სიყვარულია სნეულება ჩვენ კაცთა მოდგმის,
თვით სიყვარული წამალია ბევრთა სნეულთა.
სიყვარულია უკვდავება გულის და სულის,
სიყვარულია განუყოფელი ორთა სხეულთა.

სიყვარულია წარსულისკენ უკან მოხედვა,
სიყვარულია მომავალი აწმყოთ სავალი.
სიყვარულია ჩვენი სიცოცხლის უწყვეტი ძაფი,
მთელი ცხოვრება ია ვარდის გზებით მავალი...

მ ე ა მ ა ყ ე ბ ა

მეამაყება რომ ვარ გლეხი, ვცხოვრობ გლეხურად,
გლეხის ოჯახში გამოზრდილი, გლეხური ყოფით.
ჩემი სიმდიდრე ეს ხალხია, ეს მიწა-წყალი
და ამ მიწასაც ვალამაზებ ჩემი აქ ყოფნით.

ვცდილიბ ლექსებით ჩემი ქვეყნის ვიყო მეხოტბე,
ვიცი სიმღერა, ცეკვაც ვიცი მხოლოდ ცერული.
გლეხურად მინდა გავაგრძელო ჩემი ცხოვრება,
მამა-პაპათგან ნასწავლი და გადმოცემული.

ამ მიწას ვეტრფი სადაც ვაზი უდგას მამაჩემს,
რომელ მიწაზეც ჩემს წინაპარს სისხლი უღვრია.
ამ ვაზის ძირას დღესაც ვხედავ ჭარმაგ პაპაჩემს,
ყველა მათგანთან სათითაოდ ჩოქვით უვლია.

გლეხურ ცხოვრებას არ ვთაკილობ, არ ვემდურები,
მაგრამ მდიდრული ოცნებებით ღმერთთან ავდივარ.
ალალი შრომით ოფლნადენი ვათენ-ვაღამებ
და ლაღად ვსუნთქავ ჩემს მიწაზე როცა დავდივარ...

გ უ ლ ი ს თ ქ მ ა.

ლამაზად ვძერწე სიტყვა,
ვაშალაშინე რითმა.
ერთი პატარა ლექსი,
მსურდა რომ გამერითმა.

მოვიდა მუზა ჩემთან,
ყურში რაღაცა მითხრა.
ქვეცნობიერმა კრძალვით,
რა უნდოდაო მკითხა.

ფეხზე ვიდექი მყარად,
გულში კი ჭია მღრღნიდა.
ვის მოუვიდა აზრად,
რომ ეს სიცოცხლე მღლიდა.

პაპის ნაჭამი ოდეს,
შვილიშვილს კბილსა
სჭრიდა.
მაგრამ ამგვარი რაღაც,
მე არასოდეს მჭირდა.

ცხოვრების მრუდე გზებზე,
ბედი დროდადრო მსჯიდა.
რა ვქნა ვერ ვიტან ბოროტს,
მუდამ სიკეთე მრჯიდა.

ხან მიხაროდა რაღაც,
მაგრამ ხანდახან მწყინდა.

ვფიქრობ რა არის ცოდვა,
ან თუ რა არის წმინდა.

პოეტის მსგავსად სიტყვა,
სასიყვარულოდ ვინ თქვა.
გრძნობა ვაფრქვიე
ირგვლივ,
სათქმელიც უკვე ითქვა.

ოდესღაც უფლის ძალა,
ლამაზ სამყაროს ქმნიდა.
ღმერთო გვამრავლე, ამინ,
სხვა არაფერი მინდა...

ჩ ე მ ო კ ა ხ ე თ ო

კახეთო, ჩემო კახეთო,
ვაზიან მტევნებიანო.
რიგორ გიხდება სახელი,
კახელნიც შეგშვენიანო.

როგორ გიხდება იორი,
ალაზნის ველი მწვანეო.
ქვეყნად რა აღარ გინახავს,
ტკბილი და ბევრიც მწარეო.

როგორ გიხდება გომბორი,
ცივ მთაზე თეთრი ჭაღარა.
როგორ გიყვარდა ადრევე,
გლეხის დაფი და ნაღარა.

როგორ გიხდება მაღალი,
ალავერდისა გუმბათი.
როგორ გიხდება ერეკლეს,
ძეგლი დიადი სულმნათი.

როგორ გიხდება ურემში,
ხარ-კამეჩები შებმული.
როგორ გიხდება ურმული,
მეურმე კაცად ქებული.

როგორ გიხდება ჩაკრულო,
მრავალჟამიერ კახეთო.
არწივის თვალით ნანახი,
მთებიდან გადმოსახედო.

როგორ გიხდება ვენახი,
რქაწითელისა ნაფერი.
ვაზი ცრემლებად დაღვრილი,
ღვინო არაყი ნაქები.

როგორ გიხდება ჰაერში,
მწვადების სუნის ტრიალი
და ნაკვერჩხალზე შემწვარი,
ღვიძლი ნაცრიან მტვრიანი.

შემოდგომაზე გიხდება,
ფოთლების ჩამოდინება
და გაზაფხულზე ბუნების,
ადრევე გამოღვიძება.

ზამთარში თოვლი გიხდება,
თეთრი ქათქათა საბანი.
ზაფხულში გრილი ნიავი,
კლდეები წვიმით ნაბანი.

როგორ გიხდება სიდინჯე,
ჩემო ლამაზო კახეთო.
ვისაც გსურთ მისით
დატკბობა,
აქ არის მოდით ნახეთო...

ვარ ჩემი ქვეყნის მეხოტბე.

ვარ ჩემი ქვეყნის მეხოტბე,
ლამაზი მთის და ბარისა.
თუ ვუღალატო როდისმე,
უმალ სიკვდილი მაღირსა.

სასიქადულო შვილი ვარ,
მშობელ დედის და მამისა.
მათი მომავლის იმედი,
სხივი მზისა და მთვარისა.

ხალხში ამაყად დავდივარ,
სახელით დიდი პაპისა.

გვარიშვილიბით ქართველი,
სისხლით კახური ძარღვისა.

ხანდახან დიდი მუზა ვარ,
მამაჩემისა კალმისა.
მეც მიყვარს ლექსი, სიმღერა,
არ ჩამოვრჩები არვისა.

ხანდახან შევარდენი ვარ,
დაცემა მტრისა კარვისა.
სული მაქვს ფოლადნარევი,
ქართული ხმლის და ფარისა.

ამ ქვეყნის ჯარისკაცი ვარ,
დარაჯი დროშა ალმისა.
მორწმუნე ქრისტიანი ვარ,
მატარებელი ჯვარისა.

ვარ ბრძოლის ჟინით გამტანი,
წინაპრის სწორი კვალისა.
ნუთუ არ გესმით ქართველის,
ძგერა ამ გულის კარისა.

ვარ ჩემი ჯიშის, ჯილაგის,
სინათლე ორთავ თვალისა.
ჰქონდეს იმედი სამშობლოს,
ბევრისა ჩემისთანისა...

ვ ა რ

გოლგოთაზე ასატანი ჯვარი ვარ,
ჩემი ქვეყნის უიღბლობის ჯავრი ვარ.
ღვინით სავსე თიხის დიდი ჯამი ვარ,
საქართველოს მტრების გულის ქვალი ვარ.

მამა-პაპის წალკოტი და ზვარი ვარ,
ამ მიწა-წყლის ბარაქა და ხვავი ვარ.
ხან უდაბნო, ხანაც თოვლის ზვავი ვარ,
სისხლიანი უქარქაშო ხმალი ვარ.

წინაპართა ნაკვალევის მტვერი ვარ,
შემოდგომას კარს მომდგარი რთველი ვარ.
სინდის-ნამუს გარეცხილის მტერი ვარ,
უტეხი და ჯერჯერობით მთელი ვარ.

კახურ მრავალჟამიერის ბანი ვარ,
დიდი შოთა რუსთაველის ფანი ვარ.
სიკეთის და კარგი კაცის ფარი ვარ,
სიყალბის და ბოროტების ფანდი ვარ.

მამაჩემის ზუსტი ალიკვალი ვარ,
ესეიგი რაღაცაში კარგი ვარ.
მტრებისათვის თუ უცეცხლო კვამლი ვარ,
მოყვრისათვის გაღებული კარი ვარ.

მთის ანკარა მოჩუხჩუხე წყალი ვარ,
ამაყიც ვარ, მაგრამ მეტად წყნარი ვარ.
წარსულ დროში მოგზაური წამი ვარ,
კაცთმოყვარე თუმცა არსაწყალი ვარ.

ჯერ პატარა გაუშლელი ვარდი ვარ,
მაინც წელში გამართული დავდივარ.
ამა სოფლის წამიერი ბარგი ვარ,
აწმყოს ვტირი და მომავლის დარდი ვარ...

კ ა ლ ა მ ი.

კალამი მიტომ არსებობს,
რომ მაწერინოს ლექსები.
ქართული სული ჩავაწნა,
თან ჩავატანო ფესვები.

გულო იჯექი საგულეს,
თანაც ამოთქვი სათქმელი.
მინდა ყოველთვის ვაკეთო,
სულ მადლიანი საქმენი.

თვალებო ისევ გენახოთ,
სამთვარეო და სამზეო.
ხშირად მეწვიეთ მუზებო,
სტროფებად გამოგამზეოთ.

სიცოცხლესავით მახარებს,
მინდორში მდგარი მუხები.
კიდევ მიიკვლევს საკვალავს,
მგლის მადევარი მუხლები.

პირქართან ვდგავარ პირისპირ,
ჯერ ვერ მაჩერებს ტკივილი.
ძარღვებში მუდამ ჩამესმის,
წინაპრის სისხლის ყივილი.

სიკვდილო შორს არ წახვიდე,
მე შენი ვარ და შენ ჩემი.
ჭკუა გონებავ მადლია,
თუ სიბერემდე შემრჩები.

ერთი ხელი ჰბანს მეორეს,
ორივე ერთად პირსაო.
ღმერთო ნუ მომკლავ მომასწარ,
შვილსა და შვილიშვილსაო.

კალამი მიტომ არსებობს
და ორთავ თვალის სინათლე.
რომ მაწერინოს ლექსებით,
მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე...

მ ი ყ ვ ა რ ს

მიყვარს მამა, მიყვარს დედა,
მათგან გრძნობა მებადება.
მიყვარს ცოლი, მიყვარს შვილი,
ორი ვარდი ნაზად შლილი.

მიყვარს პაპა, მიყვარს ბებო,
ვიცი მათი სიტკბოს გემო.
მიყვარს ძმა და ძმის შვილები,
სისხლით ჩემად ნაშვილები.

მიყვარს ზღვა და მიყვარს ბარი,
გვერდით კარგი მეგობარი.
მიყვარს ყველი, მიყვარს პური
და სიკეთით სავსე გული.

მიყვარს სუფრა, მიყვარს ღვინო,
გრძნობები რომ გავაღვივო.
მიყვარს ძმობა, მიყვარს დობა,
მათთან ერთად თამადობა.

მიყვარს ტრფობა, მიყვარს ქალი,
გადაქანცულს ზურგის ქარი.
მიყვარს მიწა, მიყვარს ზეცა,
სიტყვა საქმედ გადამექცა.

მიყვარს გარჯა, მიყვარს შრომა,
ღმერთმა კაცი ამად შობა.

მიყვარს თოვლი, მიყვარს ფიფქი
და ხვალინდელ დღეზე ფიქრი.

მიყვარს ხმალი, მიყვარს ფარი,
სიმრერაზე კარგი ბანი.
მიყვარს ლექსი, მიყვარს ცეკვა,
შორეული ზარის რეკვა.

მიყვარს წვიმა, მიყვარს თქეში
და წანწალი უღრან ტყეში.
მიყვარს დღე და მიყვარს ღამე,
მაგრამ ცოტა დავიღალე.

მიყვარს მზე და მიყვარს მთვარე,
ირგვლივ მშვიდი არემარე.
მიყვარს ყველა, მიყვარს თავი,
სიმართლე და სამართალი.

მიყვარს ვაზი, მიყვარს ყანა,
დალოცვილი ეს ქვეყანა.
მიყვარს ხატი, მიყვარს ლოცვა,
ეკლესიის კარზე კოცნა.

მიყვარს ჯვარი, მიყვარს ერთი,
საფიცარი ქრისტე ღმერთი.
მიყვარს მთა და მიყვარს მდელო,
ჩემი ტურფა საქართველო...

რ თ ვ ე ლ ი

დაშემოდგოვდა ოქტომბერი,დაიწყო რთველი,
როგორც არასდროს აი ამ დროს ხარობს ქართველი.
სიზარმაცის და სიყოჩაღის გაიყო გზები,
მშრომელი კაცის სახეებით აივსო ზვრები.

დღევანდელი დღის ეს სიკეთე გროვდება წლებით,
იქნებ სიკეთეს ვუგალობებთ,ან იქნებ ვცდებით.
ხანდახან გმობით,ჩვენს ბუნებას შევყურებთ წყენით,
მაგრამ განგება კვლავ გვაღვიძებს მომავლის რწმენით.

მ წ ა მ ს

როცა კაცი ცხოვრებაში,
გადასცდება რაღაც დონეს.
აღარ ახსოვს მეგობარი,
თავის დარი საპირწონე.

მე არა მწამს დიდკაცობის
და ყურება დაბლა მაღლით.
მე მწამს მხოლოდ თანასწორი,
კაცი კაცთან მხოლოდ მადლით.

მე არა მწამს უცხოობა,
უცნობივით განზე დგომის.
მე მწამს მხოლოდ დაფასება,
ახლობელთა დიდი ნდობის.

მე არა მწამს ზურგშექცევის,
გაჭირვების ჟამთან ახლოს.
მე მწამს ხელის გამოწვდენა,
წაქცეული ძმამ რომ მნახოს.

მე არა მწამს შეფარული,
ღრუბლიანი დღის სინათლის.
მე მწამს მხოლოდ ერთგულების,
სიალალის და სიმართლის.

მე არა მწამს ქარის ქროლვის,
ზამთრის სუსხის ან სიცივის.
მე მწამს მხოლოდ გულიანი,
გაღიმების და სიცილის.

მე არა მწამს იმ გრძნობების,
სადაც ბუდობს ეჭვის ჭია.
მე მწამს მხოლოდ სიყვარულით,
გული გახსნილი და ღია.

მე არა მწამს უზნეობის,
ან სინდისის გაქრობისა.
მე მწამს მხოლოდ სიცოცხლისთვის,
ძველზე ახლის დამყნობისა.

მე არა მწამს შურიანთა,
ბოღმის ნთხევა გესლიანად.
მე მწამს მხოლოდ სარეველის,
ხელით გლეჯა ფესვიანად.

მე არა მწამს იმ სიცრუის,
რომელიც რომ მართალს გვანობს.
მე მწამს მხოლოდ იმ თქმულების,
როს მოყვასი მოყვასს ჰყვარობს.

მე არა მწამს უცხო სიტყვის,
როგორ დავდო ყველას ცოდვა.
მე მწამს მხოლოდ პირველ რიგში,
საკუთარი ენის ცოდნა.

მე არა მწამს ჯერ მრუშობის,
მემრე ყალბი აღსარების.
მე მწამს მხოლოდ პატიოსნად,
ნაბიჯები აღმსარებლის.

მე არა მწამს ბნელი აზრის,
სულს ჩამძვრალი შავი მახრა.
მე მწამს მხოლოდ სინანულით,
მოწიწებით თავის დახრა.

მე არა მწამს მჩხიბავების,
ჯადოქრობა,,საოცარი,,
მე მწამს მხლოდ ქრისტე ღმერთი,
სანთელი და სალოცავი...

საით წახვედით მუზებო

საით წახვედით მუზებო,
აღარ მწვავთ ცეცხლის ალადა.
უთქვენოდ მოწყენილი ვარ,
თითქოს დავდივარ ცალადა.

არსაით აღარ გამოჩნდით,
გული გამიხდა ავადა.
თუ ვერსად გადაგეყრებით,
საქმე წამივა შავადა.

მინდა სიკეთეს ვთესავდე,
სიმართლეს ვედგე ფარადა.
სუყველგან ლაბირინთია,
ფეხი ვერ დავდგი მყარადა.

დროდადრო ჯავრი მერევა
და სევდა ხანდისხანადა.
მაგრამ საკუთარ სინდისთან,
არ დავრჩენილვარ ვალადა.

ხან ზეცას დავიარები,
ფიქრებით მთად და ბარადა.
ხან ჩიტად გადავიქცევი,
ხანდახან ბებერ ხარადა.

ჯვარს სუფთა გულით ვატარებ,
ვლოცულობ საყდრის კარადა.
ღმერთს მოწიწებით შევყურებ,
პირჯვარს კი ვიწერ სამადა.

მოდით მეწვიეთ მუზებო,
დამდაგეთ ცეცხლის ალადა.
უთქვენოდ მოწყენილი ვარ,
აღარ მატაროთ ცალადა...

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
[8 აგვისტო]

ბედნიერი ხარ შენ საქართველო,
ვერ მოგერია ვერა სიკვდილი.
თუმცა მრავალჯერ დაჭრილ დაკოდილს.
დღეს ისევ გძალუძს მტერთან ჭიდილი.

უცხო თესლთა და ურჯულო ტომთა,
ცხენთა ფლოქვებით გადინეს მტვერი.
საუკუნეთა მანზილზე დღემდე,
გყავდა მრავალი ვერაგი მტერი.

რამდენი შვილი წაგართვეს ცოცხლად,
რა არ გადაგხდა ამ მცირე დროში.
რამდენი შვილი მოგიკლეს უბრად,
უცხო მიწაზე ქართული დროშით.

ბევრი ყოფილა შენთან მოსული,
მოსაჩვენებლად მშვიდობის ალმით.
ვითომ რუსებიც გიძმობდნენ ერთ დროს,
მაგრამ გუშინწინ მოგადგა ტანკით.

ვერ დაგამონეს,ვერ დაგაჩოქეს,
ვერ ამოგგლიჯეს მკერდიდან გული.
მიწა მამულის გადასარჩენად,
კვლავაც ბობოქრობს ქართული სული.

და შენ კი მტერო გახსოვდეს მუდამ,
რომ ვერ გახდები აწი ვეღარას.
წმინდა გიორგი უდგას დარაჯად,
ღვთისმშობლის წილხვედრ ლამაზ ქვეყანას...

რა გითხრათ

რა გითხრათ ანდა ამ ხელით,
რა ვათქმევინო კალამსა.
გამკვირვებია ეს გული,
ვით უძლებს ამდენ ვარამსა.

ცას მზე არ მოსწყინდებოდეს,
ნამი მიწას და ბალახსა.
თავთავისი დრო ჰქონოდეს,
სოფლად მტვერსა და ტალახსა.

ცაში ვარსკვლავი მრავლობდეს,
წყალი მიჰქონდეს კალმახსა.
ეზო-ყურეში ემღეროს,
ქართველი კაცის ნამრავლსა.

ორმო ბეღელი გაევსოს,
ქერსა და პურის ყანასა.
მგელს მგლობა დაერქმეოდეს,
მწყემსი უცოცხლოს ფარასა.

ვცდილობთ ერთურთი დავჭამოთ,
ვასიამოვნოთ მავანსა.
შინაურს მივფერებოდეთ,
უცხოს ვეტყოდეთ არასა.

დროულად გადავჩვეოდეთ,
თავით ქვიშაში მალვასა.

კარში ტრიალი გვერჩიოს,
წანწალს გზასა და შარასა.

სხვისი ხმა გადაეფაროს,
მშობლების სიტყვის ძალასა.
სახლი არ დამსგავსებოდეს,
ციგნის არეულ კარავსა.

ერთგულებაში ვბაძავდეთ,
არაგველებსა სამასსა.
ხავსი არ მოჰკიდებოდეს,
ქვებს, წინაპართა სამარხსა.

მოგვესპოს გაუმაძღრობა,
დრო არ მიჰქონდეს ჭამასა.
ემრავლოს ფლორა-ფაუნას,
ჩვენს მდინარეთა ჭალასა.

სიზმარშიაც კი ვხედავდეთ,
ამ ქვეყნის ლამაზ მთა-ბარსა.
ღვინის სამშობლო უცოცხლოს,
მეფეს, გლეხსა და მთავარსა.

გითხარით, კიდევ ბევრს გეტყვით,
არ დავასვენებ კალამსა.
ვუძლებდით, კვლავაც გავუძლებთ,
მრავალ ჭირსა და ვარამსა...

დროის ათვლა...

გაიარეს წლებმა ისე არც თუ ბევრმა,
დროის ათვლა დამთავრდება არვინ იცის.
ბევრ სიკეთეს შევხვედრივარ სიცოცხლეში,
მომსწრეცა ვარ უამრავი ყალბი ფიცის.

ბევრ უტიფარ ადამიანს დღესაც ვხედავ,
არ ემჩნევა თეთრ კბილებზე შავი გული.

ნუთუ ისე გაიაფდა ეს ცხოვრება,
ბოროტებამ რომ შეცვალა სიყვარული.

მაგრამ ბევრიც კარგი ვიცი კაი კაცი,
უკარგკაცოდ ეს ქვეყანა დაიქცევა.
ასე იყო ოდითგან და ახლაც მჯერა,
რომ სიკეთე სიკეთის წილ გაიცემა...

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა...

მენატრება ძველი ღვინო,
რესტორანი კაფე ბარი.
მენატრება ის ძველი დრო,
გვერდით მდგარი მეგობარი.

მენატრება ძველი ცეკვა,
სიმღერებიც უძველესი.
მენატრება ის ძველი დრო,
სანდო ხალხი უკარგესი.

მენატრება ძველი წიგნი,
ლექსები და პოემები.
მენატრება ის ძველი დრო,
ძველთაძველი პოეტები.

მენატრება ძველი სახლის,
ჭიშკარი და შუშაბანდი.
მენატრება ის ძველი დრო,
ბაღში კოხტა ია ვარდი.

მენატრება ძველი ეზო,
სუსტი ღობე ჩაჭეჭყილი.
მენატრება ის ძველი დრო,
მოპარული ბევრი ხილი.

მენატრება ძველი უბნის,
ბავშვობა და სიყმაწვილე.
მენატრება ის ძველი დრო,
სიხარული არცთუ მწირე.

მენატრება ძველი სკოლა,
კლასელები,ჩვენი მერხი.
მენატრება ის ძველი დრო,
როს დავადგი მე იქ ფეხი.

მენატრება ძველი კოცნა,
მხოლოდ სიზმრად შეცნობილი.
მენატრება ის ძველი დრო,
გულში ცეცხლად შეგრძნობილი.

მენატრება ძველი ზღაპრის,
დევგმირებზე მონაჭორი.

მენატრება ის ძველი დრო,
დიდი პაპის მონაყოლი.

მენატრება ძველი სიტყვა,
ადვილი და არა რთული.
მენატრება ის ძველი დრო,
გულიანი,ლაღად თქმული.

მენატრება ძველი გზები,
საცალფეხოდ მონადენი.
მენატრება ის ძველი დრო,
წარსულიდან მონაბერი.

მენატრბა ძველი ტყის გზა,
საურმეზედ განაჭრელი.
მენატრება ის ძველი დრო,
ერთ ფერებში,განა ჭრელი.

მენატრება ძველი ზეცა,
დღისით მზე და ღამით მთვარე.
მენატრება ის ძველი დრო,
ვარსკვლავები როცა ვთვალე.

მენატრება ძველი ვაზი,
რომ სჭირდება გლეხის ხელი.
მენატრება ის ძველი დრო,
ქვევრები და საწნახელი.

მენატრება ძველი აბგა,
სანოვაგით მუდამ სავსე.
მენატრება ის ძველი დრო,
დოქი ღვინით რომ გავავსე.

მენატრება ძველი ჯოხი,
კომბალი და ნაბდის ქუდი.
მენატრება ის ძველი დრო,
ოცნებების ვიყავ ქურდი.

მენატრება იმ ძველ დროში,
აწმყო თვალით დანახული.
მენატრება ის ძველი დრო,
ლამაზი და არნახული.

მენატრება ძველი თოფი,
საფანტი და საპირწამლე.
მენატრება ის ძველი დრო,
ამ სენით რომ მოვიწამლე.

მენატრება ძველი ქვაბი,
სამფეხაზე დარჩენილი.
მენატრება ის ძველი დრო,
ხახალს თევზი გაჩენილი.

მენატრება ძველი თონე,
გამომცხვარი პურის სუნი.
მენატრება ის ძველი დრო,
იქ ტრიალებს ჩემი სული.

მენატრება ძველ ფიცრულზე,
ამოყრილი ცხელი შოთი.
მენატრება ის ძველი დრო,
ცოტა წყენა,ბევრი შფოთი.

მენატრება ძველი პური,
არცთუ ხმელი ცოტა რბილი.
მენატრება ის ძველი დრო,
ბნელი, მაგრამ მუდამ თბილი.

მენატრება ძველი ყოფა,
იყო წყალი,გაზი,დენი.
მენატრება ის ძველი დრო
და ცხოვრება უდარდელი.

მენატრება ძველი ხევი,
სოფლის ცივზე ცივი წყარო.
მენატრება ის ძველი დრო,
გული რომ არ გავაწყალო.

მენატრება ძველი ყანწი,
ფიალა და სადღეგრძელო.
მენატრება ის ძველი დრო,
ბევრი რომ არ გავაგრძელო.

მენატრება ძველი ღვინო,
რესტორანი,კაფე ბარი.
მენატრება ძველი დრო და
ბევრი კარგი მეგობარი...

გ უ რ ჯ ი ვ ა რ

ირგვლივ ღრუბელთა ჯარია,
ჩემთვის ყველა დღე მზიანობს.
მეამაყება გურჯობა,
ქართული სისხლით ვსვიანობ.

ლხინში სამოყვროდ მისული,
კახური ღვინით ვსმიანობ.
ჭირში ვარ დაღონებული,
ვტირი და თვალვცრემლიანობ.

გასაკეთებელს არ ვზარობ,
ნიადაგ ხელვსაქმიანობ.
არცა მწვადს დავწვამ, არც შამფურს,
ვცდილობ და მუდამ ვჭკვიანობ.

ხანდახან როცა ვიღლები,
მეც ჩემებურად ვჭიანობ.
იხტიბარს მაინც არ ვიტეხ,
სულ წინ და უკან ვყიალობ.

ცუდს დავინახავ, მოვიწყენ,
მაშინვე ვგულდარდიანობ.
კარგს გავიგებ და ვზეიმობ,
სულიდან აღმავფრთიანობ.

ხანდახან დამესიზმრება,
ვითომ ცხენდაცხენ ვხმლიანობ.
ტყე-ყტე დავდივარ ძაღლებით,
თოფ იარაღით ვხმიანობ.

თუ რამე ცუდი გავიგე,
ვბრაზობ და ცოტა ვფხიანობ.
გულზე მედება ალივით,
საკუთარ თავსა ვზიანობ.

გოროზ მთებს როცა შევხედავ,
მეც მათთან ერთად ვმთიანობ.
ბარში ვარ ბარად მცხოვრები,
თან მთად და ბარად ვმთლიანობ.

ვფიქრობ არა ვარ მედროვე,
ერთი დღით არა ვდღიანობ.
მწამს მამა ღმერთი, ჯვარი და
მთელი ცხოვრება ვჯვრიანობ.

არა ვჩერდები დავდივარ,
სულ აღმა-დაღმა ვსვლიანობ.
გურჯი ვარ, გურჯად მოვკვდები,
ქართული სისხლით ვსვიანობ...

ქ ა რ ი...

ქარო რა ქროლვა აგიტყდა,
სულს რატომ მიშრობ ღმუილით.
გსურს რომ შენსავით მატარო,
მთელი ცხოვრება ტყუილით.

ვფიქრობ გინდა რომ დაგნებდე,
შენს დანაბერზე ვიარო.
ძვლებში შამყარო სიცივე
და სუსხი გამიზიარო.

ვდგავარ ბერმუხა ხესავით,
ვერც ვერასოდეს წამაქცევ.
ჯერ ფესვი არ მომლპობია,
კაცს არაკაცად ვერ მაქცევ.

წადი შენს გზაზე იარე,
გამოგიჩნდება ამყოლი.
დროებით შენი მეგზური,
ან ცხრა მთას იქით გამყოლი.

ქარო რა ქროლვა აგიტყდა,
სულს რატომ მიშრობ გაჩერდი.
როცა ჯერ ნორჩი ვიყავი,
ალბათ მაშინ ვერ მამჩნევდი...

ს ო ფ ე ლ ო...

შენ ჩემო თვალის სინათლევ,
წუთისოფელო ტიალო.
ცოტა ხანს კიდევ მაცადე,
ქართულ მიწაზე ვიარო.

დილით ბალახის ცვარნამო,
საღამოს გრილო ნიავო.
სოფელო ჩემო სიცოცხლევ,
სულის და გულის ზიარო.

ღამით ვარსკვლავთა
სიმრავლევ,
მთვარევ შენ მკრთალ-შუქიანო.
ხანდახან თქვენი შემყურე,
თვალთაგან ცრემლი მდიანო.

დეკემბრის მწარე ყინვებო,
თებერვლის ქარის გრიალო.
მინდვრის ყვავილთა
სურნელო,
ტყეში ნადირთა ღრიალო.

გაზაფხულს მწვანე ჯეჯილო,
შენ მარტო თოვლჭყაპიანო.
მაისო სიყვარულის თვევ,
ხანდახან გულშხამიანო.

შენ შემოდგომავ დამტკბარო,
ბარაქით ხილშაქრიანო.
ბარში შაშვები გალობენ,
მთაში არწივნი ქრიანო.

ზაფხულის ცხელო თვეებო,
დღეებო ცხარე მზიანო.
ვფიცავარ გულით მიყვარხარ,
ჩემო ქვეყანავ სვიანო.

ეს სიყვარული ფურცელზე,
მინდა რომ გავაზიარო.
სოფელო ჩემო სიცოცხლევ,
სულის და გულის ზიარო...

რ ა ნ ი ვ ი ყ ა ვ ი თ...

მეამაყება მამა-პაპათა ქართული სისხლი,
ეამაყებათ ჩემს მშობლებსაც ჩემი შვილობა.
სამშობლოს თუ არ შესწირე რაც გაგაჩნია,
არაფერს გარგებს თუნდაც კარგი გვარიშვილობა.
მეამაყება კარგად აღზრდილი ჩემი შვილები,
ალბათ შვილებიც იამაყებენ თავის მშობლებით.
ისე მომავლის ბილიკებზე ვერასდროს გავალთ,
თუ წინაპრების და წარსულის კვალს დავშორდებით.
უზენაესმა თუ ცოტახანს კიდევ მაცოცხლა,
არ დამაყვედრა ცხელი სისხლის ძარღვებში დენა.
ცოტა ხანს კიდევ შემოვრჩები ცოდვილ მიწაზე,
გამიხარდება შვილიშვილების ქართული ენა.
შვილთაშვილებს კი ზუსტად ვიცი ვერ მოვესწრები,
მაგრამ მჯერა რომ წინაპრების გენით ივლიან.
და თუ ხანდახან დამინთებენ სანთელს საფლავზე,
მაშინ ვიტყვი რომ იმ ქვეყნადაც კარგად მივლიან.
ყველა ჩვენგანი მეტნაკლებად ადრე თუ გვიან,
მარადისობის გზას გავუყვებით თვით ღმერთის ნებით.
ამიტომ სანამ ცოცხლები ვართ მუდამ გვახსოვდეს,
რანი ვიყავით,რანი ვართ და რანი ვიქნებით...

წ ე ლ ი წ ა დ ი ს დ რ ო ე ბ ი...

ქედს მოვიხრი ძლიერ მიყვარს ჩვენში,
ოთხივე დრო სილამაზე წლისა.
თითო დროში ოთხივე დროს ნახავ,
საოცრებას ბარისას და მთისას.

ძილის შემდეგ გაღვიძება გვმართებს,
მაგალითად მომყავს გაზაფხული.
სილამაზით განაცვიფრებს ყველას,
სიცივისგან უწინ დაზაფრული.

გულშიც უფრო მეტი სითბო მოდის,
ტყემლები რომ დაიბერავს კვირტებს.
გაზაფხული სიმბოლოა გრძნობის,
მოახეთქებს სიყვარულის ზვირთებს.

გაზაფხულის შემდეგ ძლიერ ცხება,
ზაფხულს მოაქვს მისებური ხიბლი.
ქალაქიდან ყველა სადღაც გარბის,
ამ დროს სოფლად იფერება ხილი.

შემოდგომაც მოგვადგება კარზე,
სიხარულით მოგვატარებს ცხრა მთას.
რა სჯობია ყველა გლეხის კარზე,
ბარაქით რომ დაიფერთხავს კალთას.

ამ დროს მზესაც ეკარგება ძალა,
ვაგლახ,ვეღარ დააპურებს ბალახს.

აბა რთველი,დაიძახებს კაცი,
მარნის კარზე დააყენებს ტალახს.

ღვინობისთვის ჰაერს ხარბად ვსუნთქავ,
მაჭარი კი სუნით ბურნას ახრჩობს.
გადაივსო თაროები ხილით,
აგერ გოგრაც მიემატა სარჩოს.

ვხედავ ბებო როგორ აბნევს ნიგოზს,
ამ საქმისთვის სულ სცალია მუდამ.
თათარისთვის ფქვილს მოაყრის ბადაგს,
პატარები გაახაროს უნდა.

შემოდგომაც გაილევა რიხით,
მოიხადა მან თავისი ვალი.
გაიღვიძებ ერთ სუსხიან დილას,
დაგიხვდება თოვლის თეთრი კვალი.

ამ დროს გულში სულ სხვა რაღაც ხდება,
ბავშვობაში გადაგვაგდებს ფიქრი.
ახალი წლის მოლოდინით ვტკბებით,
ციდან მოდის უთვალავი ფიფქი.

აი ასე თითო დროში ყოფნით,
ვმოგზაურობთ ყველა დროში ერთად.
კიდევ ვნახავთ კარგს უამრავს ასეთს,
თუ სამშობლო გავიხადეთ კერპად...

იზა კაციაშვილი – ბიბლიოთეკარი
დაბადების ადგილი – გორი

* * *

ფეხი ფეხზე მაქვს ქალბატონო გადადებული,
ვზივარ და ვუსმენ პატეფონში ვერდის არიას,
ქარია ხანაც, აირევა ფოთლების ჯარი,
ვარ მოწყენილიც და ხანდახან გულს უხარია....
რა გითხრა აბა, კითხვა-პასუხს კი არ გავურბი,
სათქმელი რა მაქვს, ამ ცხოვრებას ვუზოგავ წამებს,
მითხარი შენსკენ ახლა ალბათ კარგი დარია
და მერე ერთად მოვიწვიოთ მოლხენა ხემსზე,
მასაც ხომ ჩვენთან ჭორაობა ძალზე სწადია...
რა გითხრა აბა, აქაც ისე თენდება როგორც,
იალნოს ცაზე რომ ბაცდება ვარსკვლავთ ფერები,
დაღამებისას იკრიბება მერცხალთა გუნდი,
რომ მერე ერთად გავიხსენოთ ჩვენი დღეები
იქ, სამშობლოში – სხვანაირად თენდება, მახსოვს,
ვარდის ტოტიდან უჩინარი გალობს ჩიტუნა,
წავედი, მაგრამ დავიტოვე სადღაც იმედი,
და დავბრუნდები მისთვის, ვინაც ჩემი ირწმუნა...
ფეხი ფეხზე მაქვს ქალბატონო გადადებული,
რა საქმე, ახლა წყვეტილ-წყვეტილ პასუხს გთავაზობ,
და პატეფონის ხრინწიანი ხმების ჯინაზე
ოცნებას ჩემსას მარადიულ ცეცხლზე გავათბობ.....

* * *

ვაი, რა ხშირად ვემდურით,
ბედს – როცა ძაან გვიანობს;
იმედს სულ ველაციცებით,
ვარსკვლავიც რომ არ კიალობს.
შენ რას მიკეთებ სხვისთვისა,
იქნებ როგორმე მიამბო,
სანამ სხვას განსჯი, თავს ჰკითხე
– რა გინდა
ა დ ა მ ი ა ნ ო!..

* * *

შავი ღამის მოტივებზე,
ტივი მიდის თავქვე განა,
არც მეტივე უზის საჭეს,
არც მგზავრი ჰყავს თურმე თანა.
აცა-ბაცა ტალღის ქიმზე
– მთვარემ თვალი მიატანა,
თეთრ მანდილს ალივლივებდა
მერე – თავქვე ჩაიტანა...
რაღაც ურჩი ღამე არი,
არ ყოფილა მაგისთანა,
აღარც ქალი იყო სადმე,
ქალი ერთი სიფრიფანა...

* * *

როცა სიხარულით აგავსებენ,
სტროფებად მოდიან ასოები,
უფალო დამილოცე ყველა ვინც მყავს,
ამას გევედრები სასოებით.

* * *

რა გამაჩნია მაგ ცისა და მაგ მიწის მეტი,
ჰოდა დამაშვრალს გულის კარი ფართოდ გამიღე,
ვერ გისალბუნე სიცოცხლეში ამაზე მეტად
მოდი ახლა და ჩემი სული მზისკენ წაიღე.
ახლა წეროებს თბილ ქვეყნებში ვეღარ ვაოკებ,
მოაქვთ ზრიალით დედამიწის სუნთქვა გრძნეული,
შენს გაზაფხულზე მაბოდებს და ვერც კი მივმხვდარვარ
სული მანდაა,აქ კი მხოლოდ ჩემი სხეული.
მზეო აპრილის სილაჟვარდე წუთით მანახე,
მერე თავნება იასამანს ვეტყვი დითირამბს;
კავკასიონის ქედებიდან გადამახედე
და ჩამაწყდება გულის კოვზზე ისევ ერთი რამ:
უშენოდ ჩემთვის ყველა მიწა, მხოლოდ მიწაა,
და ყველა ზეცა ლურჯი არის მხოლოდ ფერებით,
და ახლა ისევ მონატრებამ რომ გამახელა,
ამ სიშორიდან აი, ასე მოგეფერები.

* * *

ვემახსოვრები იმ აღმართებს ალბათ ისევე,
აიტკივებენ მოგონებებს ალბათ თელებიც,
მზეო, დახედე ბილიკიდან აყრილ შარაგზას,
უცრემლოდ მტირალს მოაგვანან უკვე დღეებიც.
მომისაკლისე უსაქმური ყვავილო ნუშის,
შვინდის ხეებზე პეპლებთანაც შედგეს ბაასი,
ისევ წავედი, გავიყოლე სიჩუმე ურჩი
და დაბრუნების როდის დაჰკრავს ნეტავ საათი.
ვემახსოვრები იმ აღმართებს ალბათ ისევე
დავბრუნდები და ავუყვები ვიცი, ტაატით...

* * *

ლოცვა რომ უხდება გათენებას,
სალოცავს ფეხით წავალთ მახარია,
პეშვით წყაროს წყალი მომიტანე,
შენგან ერთი წვეთიც ნახარია.
მზეზე თოლიები ირაობენ,
ზღვამაც ტალღა-ტალღა ითავცემა,
ალბათ რამე ახალს მიამბობენ,
გულზე წამალივით მისაღებად...
დილას ხომ უხდება ჩუმი ლოცვა,
მერე მთაში წავალთ მახარია,
იქნებ გამაგონო ერთი სიტყვა
ჩემთვის ყველაფერი ახალია....

* * *

ხმაური ახშობს
ყურის ბარაბანს,
ხმაა წვიმის,
თუ ხმა ქარების,
ისევ შევუნდეთ
მზაკვარ ბარაბას,
თან უფლის გზაზე
დაგვრჩა თვალები...
მივდივართ, მოგვაქვს
ცოდვის ხურჯინი,
მძიმეა,
მაინც არც კი
ვთაკილობთ,
და ვცდილობთ ისევ
ყრუთა დუმილით,
ჩვენი მოყვასი
ჩვენვე ჩავკიროთ...
ყორანს თუ ესმის
თავისვე გუნდში,
არ გამოურევს
ძერას ლეშიანს,
ან რაღა ვთხოვოთ
ბედის გამრიგეს,
თუ ყველა ცოდვა
ისევ ჩვენშია...
ხმაური ახშობს ყურის
ბარაბანს,
ხმაა წვიმის, თუ ქართა
ხმაური...
გულს მახრასავით
მედება ფიქრი,
ისე ცხადი და თან
უცნაური...
წვიმაა, ქართა
მაკრთობს
ხმაური...

* * *

რაო ბატონო?
რას ინებებთ –
ღვინით დავიწყოთ?!
თუ არყის ჭიქა ეცოტავა,
ტუჩებს თავნებას...
ვინ ხართ ბატონო,
ერთი ჭიქა
ორად გავიყოთ,
იქნება რამე
ერთმანეთზე
უკეთ გავიგოთ...
არა ბატონო,
ოქროს კოშკი
აღარ ამიგოთ,
ურწმუნოს ბუდის
ნაშალიდან შემრჩა
ბუმბული;
სხვების ფანჯრებთან
ვარდი ყვავის
ფერი ათასი,
ჩემს კარებთან კი,
ქარებს გააქვთ
მარტო გუგუნი...
ახლა ბატონო,
ჭიქა ღვინით
გეტყვით მადლობას,
ყალბი პათოსით
მოვაყოლებ ალბათ
ღიმილსაც,
და შერეული სასმლისა
და პომადის ფერში,
ნუ დამაბრალებთ
ბედნიერი ქალის
მიმიკას...

* * *

იცი როგორ წვიმს?
აი, ისე... ცა ფეხად
მოდის,
მოდის და მოაქვს
გაზაფხულის ნაზი
ფერები,
ჩამკიდე ხელი,
არ გამიშვა,
არ დაგისველდე,
სველი ტუჩებით ისე
ვეღარ მოგეფერები...
მიჩრდილე მხარი,
შემომხვიე სურვილი
ტანზე,
დე, ამ წვიმაშიც
გამახელოს შენმა
წყურვილმა,
რას ვდარდობ
ახლა, ვიღაცისთვის
თუ ვარ მეტოქე...
ან ცა გახიოს
ნაავდრალი
ღრუბლის ქუხილმა...
მომეცი ხელი,
მეც შეგიშრო
ნამი ლოყაზე,
ყურის კუთხესთან
მოპარული კოცნით
გავხელდე,
რას ვჩივი ახლა,
ვისას ვჩივი,
ვინ მედარდება,
თუნდაც სამყარო
სიყვარულში
რისხვით მამხელდეს!..
მოვდივარ... მოდი...
დამავიწყდა ყველა
აკრძალვა,
დრო რჩება ცოტა,
ბოლო წამიც
გამოვიზოგო...
იცი? ისე წვიმს,
ჩამოვიდა ცა მიწის
პირზე...
და რომ გავუძლო,
ყველა ღონე,
უნდა ვიპოვო...

* * *

ტუჩები? ტუჩები წითელი,
გგონია პომადის ბრალია?
ო, არა! რას ბრძანებ, უბრალოდ
ალეწილ სურვილის ფერია.
წუთებო, დღეებო, სწრაფებო,
ხანდახან ჩამორჩით საათებს,
ცრემლები მლაშე და უფერო
– გამორჩათ მაგ თვალებს,
უჯეროთ ყვავიან, გზის პირზე
ლილიებს ფერი აქვთ გამკრთალი;
მერე რაა, ხანდახან სურვილად,
თუ შემრჩი სხეულში გამჯდარი....

* * *

აი, იმ ქსანზე რომ
აყვავილდნენ,
დედას მაფიცებენ
თავთუხები,
სადაც უნდა ვიყო,
სადაც არა,
მაინც მოგივალ
და დავბრუნდები...
აგე, ეს დიდგორის
შროშანია,
მძივად შენაფერი
ტყის ნაპირას,
მაინც ფეხი იქით
მეჩქარება,
სიტყვა რომ არ
დამრჩეს შენაპირად...
ესეც ქვათახევის
ზურმუხტები,
აქეთ გზა- წვრილია
პარეტისის,
თითქოს ამეთვისტოს
თვლებად მოჩანს
კავთა-კავთურ
ხევის სამშვენისი...
ზეცას სიზმარ-ფრთებით
დავუარე,
მიწას გაოცებით
დავცქეროდი,
ასე ერთად ამდენ
სალოცავებს,
თითქოს მე თვითონაც
არ ველოდი...
ღმერთო,
ჩემი მიწა დამილოცე,
მიწა სევდის ჯანღით
შეფერილი,
გული გაუმრთელე
ყველა ქართველს,
დიდი ტკივილებით
შეცდენილი...
ღმერთო, საქართველო
დამილოცე
შენს ხელისგულზე
შეფენილი....

* * *

უპატიებელს პატიობენ,
მოგიკლავენ... და ვერ უკვდები;
ისე ლამაზად გაგწირავენ,
არც კი გჯერა და გაოცდები.
-- ჯვარზე ადვილად გაგაკრავენ,
უსამჭვალოდ და გვირგვინითა,
თუკი საყვედური წამოგცდება,
აქეთ გიჩივლებენ დიდ დრტვინვითა...
ვეღარ გავიგე და შემაშფოთა,
მავანთ უსულგულო გაორებამ,
ა დ ა მ ი ა ნ ო –- რას სჩადიხარ,
ღმერთის შექმნილო საოცრებავ!..

* * *

უფალო მარტო შენ იცი,
მგონი გავდივარ... ყუასა,
არა, ვერაფრით მოვეგე,
გონებასა და ჭკუასა,
ვპატიობ, მაინც ვმარცხდები,
გულსაც ვერ ვეტყვი უარსა,
არც იქითა ვარ, არც აქეთ,
დამაგდეს სადღაც შუასა...
ხანდახან ასე მგონია,
ვგავარ ავსა და ბუასა,
არ მემატება, მაკლდება,
ვაჰმე, რა ვუთხარ ჭკუასა,
უფალო, შენ მაპატიე,
შენ ხომ არ მეტყვი უარსა....

* * *

გადავითვალე
ხელისგულზე
ყველა ნახაზი,
ზოგი წყვეტილი,
ზოგი მოკლე,
ზოგიც გრძელია,
გაღიმებულმა
შევაპარე
სარკეს ანფასი,
შემებრალა და
ახლა ვხვდები,
როგორ ძნელია,
საკუთარ თავსაც
გაუმხილო ბევრჯერ
სიმართლე,
რაღაცის ლოდინს
ცარიელი გულით
ვწადინობ,
ხმა – კანკალებდა,
დარჩენაზე კი
ვერ გითხარი,
უბრალოდ,
სიტყვა დავასველე
მიდი, წადიო...
ტყუილი გითხარ,
მაპატიე,
არ წასვლას
გთხოვდი...
უბრალოდ გულში
ვერ ვიტევდი
წყენის ბაცილებს,
ვერ ვიმამაცე,
ვერ გავბედე,
ვ ე რ გეთავხედე,
და სინანული
შენს ბილიკებს
უფრო მაცილებს...
პროფილს თუ ანფასს,
სულ ერთია,
სარკე აიტანს;
შენ მზერა მითხარ,
დაღეჭილი მუჭის
ტკივილით...
ფარფატით დამაქვს
სტრიქონები
აღმა და დაღმა,
მგონია ესეც შევაწუხე
ჩემი ჩივილით...

* * *

ქარია გარეთ,
ქარია სულშიც,
არეულ რითმში
უკრავს კანტატას,
გაატანს მერე
წვიმები გულში
წავა გახურავს
კარებს ამაყად
--- ქალი, რომელიც,
--- ქალი, რომელიც
იყო მშვიდი და
ისე მორჩილი,
რომ ჰგავდა ზღვასაც,
რომ ჰგავდა მიწას,
ჰგავდა ავდარში
ჩეროს ჩრდილისას,
წავა, გახურავს კარებს
სიმშვიდით
დახრილი მზერით,
არ უნდა შერცხვეს
იმ სიშიშვლისაც,
რასაც სურვილი
დაარქვი შენში...
არ გინახია
მის თვალებიდან
სიყვარულებად
დაღვრილი თქეში...
წავა, გახურავს
კარებს უჩუმრად,
რომ მისი ჩქამიც
ქარს დააბრალოს,
რომ სიყვარული
არ არის წესი,
რადგან ტკივილი
მართავს სამყაროს...
წავა, წაიღებს
ყველაფერს ალალს,
სუსტი მაჯებით
აგხსნის ბორკილსაც,
ის არ შეიმჩნევს
არეულ ნაბიჯს,
ღიმილით თავად
გეტყვის ბოდიშსაც,
ქალი, რომელიც,
ქალი, რომელსაც...

* * *

მიყვარს მზით გამთბარი ლექსები,
ღიღინს ავაყოლებ ხანაც,
თითქოს არაფერი – ვბერდები
წლები მიდიან და თანაც,
როგორ მენანება უშენოდ,
თუნდაც გაფრენილი წამი.
ქოჩორს ივარცხნიან ვერხვები,
ღამე ჭრიჭინების ჭრია,
სიზმარს ინახავენ ლექსები,
ჭრიან, კერავენ და ჭრიან...
უკვე მივიწყებულ სურნელსც
გაჰკრავს ცრემლის მლაშე გემო,
საით მიფრინავენ მერცხლები
სხვაგან გაიკეთეს ჩერო...
უკვე მართლა ვეღარ გავძელი,
მართლა მონატრებამ მძლია,
სიზმარს ინახავენ ვერხვები,
მერე ძირს ფოთლებად ყრიან...
ისე შორია და უძღები
ნატვრის ეს ველური გრძნობა,
ჰაი, მერე რაა, ვბერდები
უკვე დაბრუნების დროა...
უნდა ავისრულო წადილი,
მზემდე უნდა გავყვე ქარებს,
წირთხლში ჩადექი და დამაშვრალს
შენც ნუ მომიხურავ კარებს.
იქნებ შეფერილი მაყვალი
გზაზე გველოდება ერთად,
კატრებს თეთრი გზიდან ავყვებით
ფეხად გადაგვასწროს წვიმამ,
იქ ხომ დიდი პაპას წყაროსთან
ლანდებს უხმაუროდ სძინავთ –
უნდა შევაღვიძოთ წარსული,
ღობეს შემოვავლოთ ფიჩხი,
ქსილისს შევხედე და თურმე რა
უკვე გადუყრია ნისლი...
დაბლა საჩვენოში ყვავილებს,
ცელმა შემოსხიპა წელი,
მაღლა საბეროში იღვიძებს
თეთრი გვირილების ველი...
ორბის ჩრდილი გაკრთა მიწაზე,
მისდევს შიშით დამფრთხალ ქედანს
მაღლა პარეტისის ნიშასთან
ჩვენი მომავლები სხედან
უნდა მოილოცონ თავკავთა,
ცამდე აწვდენილი მზერით,
მერე მამა-პაპის საძვალეს
სანთელს აუნთებენ მღერით
– იცი? მართლა როგორ ვბევრდებით,
იცი? – რამდენი ვართ ახლა,
თუკი მხარდამხარ ვერ ვბერდებით
მაინც ჩვენთან ხარ და აქ ხარ!..
მიყვარს მზით გამთბარი ლექსები,
ღიღინს ავაყოლებ ხანაც,
სიზმრად მოხვედი და ვნებდები
შენთან აღმართებზე სავალს...

* * *

რატომ არის ეს ცხოვრება
მუდამ იწილო-ბიწილო,
გამატარეთ, მაღალი ხმით
უნდა ვიცინ-ვიტირო,
გავშლი მკლავებს,
ჩავიხუტებ მაგ ცასა
– და მაგ მიწას,
უშენფეროდ, უშენწყალოდ
არაფერი არ მინდა...
მერე რაა, დღეს სხვა ზეცის
თვალდახრილი ხიზანი,
საქართველოვ, შენ ხარ ჩემი
სიცოცხლეც და მიზანიც!...

ეჭვი

ჭრი და კერავ,
კერავ და ჭრი,
არღვევ ძაფად
სულის ჩრდილში,
გკლავს და
არც გკლავს
ხარ და არც ხარ,
ჰეი, მიდი,
გადაფრინდი...
ნანობ, ხან არც,
დარდობ მერე,
ღიმილებით
ცდილობ რაღაც,
შეცვალო და
შეიცვალო,
ეს ცხოვრება
გადის ისე,
ვიღაცის და
ვინმეს ჭრილში...
ეს რას იტყვის,
იმან რა თქვა,
შიში შურად
შარიშურობს,
ეჭვის ჭიას,
შემძვრალს
გულში,
ცდილობ კარი
მოუხურო...
გკლავს და
არც გკლავს,
ხარ და არც ხარ,
მზე კი ცაზე
არხეინი...
შენს თავს
თუ ვერ მოერიე,
ვერ ივარგე,
ვერ იმზევე,
აბა მითხარ,
მითხრა იქნებ
რა ხათრი და
რა ხეირი....

* * *

წავედი სად არ...
ფეხით ვიარე,
ცვეთდა ქალამანს
მიწა არჩივი,
ქარიან დღეებს
ვუყოფდი ამბორს,
ვეშარებოდი
ცეტი მარტივით.
ვიარე სად არ,
ზღვაც ვათარეშე,
გულზე ტალღები
ზათქით ვატარე,
ვემალებოდი მზეზე
თოლიებს,
მარტო უჩუმრად
თვალი ვაპარე.
მოვედე სად არ,
ნახევარ მთვარის,
ჩიბუხს ვარსკვლავის
ცეცხლი ეკიდა,
ჯამეს ჩრდილებქვეშ
მიმალულ ღამეს,
ნატვრა უწყალოდ
სადღაც დევნიდა....
ბარბაცით ბოლო
კიბეს ავყევი,
თვალები გზაზე
შერჩათ შროშანებს,
ხუნდივით მადევს
სულზე ტკივილი,
დრომ და წარსულმა
რომ ვერ მოშალეს.
დავეცი, ფეხქვეშ
შემერყა მიწა,
ავდექი, მხარი
შემრჩა მოხრილი,
რამდენჯერ მჯიღით
ვავსე სამარე,
ზურგსუკან ისევ
უფრო მოთხრილი...
წავედი სად არ!..
ვიარე სად არ!..
დავალ ბარბაცით
მიწაც დამიზრა,
უვადო ვალი
დამაქვს ურჩივით,
როდემდე უნდა
ვემალო ჩემს თავს,
ჩრდილისგან
დამფრთხალ
მხდალი ქურდივით...
ვიარე სად არ...
ვეღარ ვიარე...
ქარმაც უპიროდ
ზურგი მაქცია
და გაცვეთილი
ქალამნის ტყავი
უმისამართო
ფეხზე მაცვია...

* * *

– სად მიდიხარ?
ალბათ იქით,
სადაც უნდა მივდიოდე,
სადაც ყორის გაყოლებას,
ვარდებს ცრემლი არ სცვიოდეს.
– სად მიდიხარ?
გზაწვრილს სადაც,
არ სჭირდება მისამართი
და ალუბლის დახრილ ტოტზე
,,ცეკვავს მზის ცხრა ათინათი."
– სად მიდიხარ?
კარებს, სადაც არ სჭირდება
ცხრაკლიტური,
სადაც, გლეხის ბაღ- ბოსტანი,
გარჯით არის დატვირთული.
– სად მიდიხარ?
სადაც მერცხლებს, ბუდე
ციხედ არ უგიათ,
სადაც შვილებს დედისათვის,
ავი სიტყვა არ უთქვიათ.

– სად მიდიხარ?
იმ სალოცავს, ცის თაღი რომ
ადევს ქუდად,
და მდინარის თავთხელიდან
კალმახს წინწკლი წითლად უჩანს...
– სად მიდიხარ!!!
მერამდენედ ჩამაცივდი უჩინარო,
ან რა რიხით მეკითხები,
რის უფლება მოგცა ენამ,
ჩემი მიწა მომენატრა,
ძლევის ქედის ქარი ზენა,
ლეზგის წყაროს ხევის მაღლა,
ლოდი დარდით ჩემზე ღელავს...
იქ მივდივარ, სად საჩემო
მელოდება მიწა არჩივს...
სად მივდივარ, აღარ მკითხო,
განა სადმე დავკარგულვარ?!...
ეს ოცნება კი არ არის,
მე ხომ არსად არ წავსულვარ!..

* * *

შემრცხვა დილას,
ყვავილებზე
ნამი იჯდა
– ვერც შევეხე,
ვერსად, ვერსად
მოვისვენე,
ვერც გულს,
ვერც დარდს
შევეხიდე...
ავყე, ჩავყე,
წამიერი
გულგრილობის

თავად შემრცხვა,
გავიღიმე,
გ ა ვ ი ც ი ნ ე,
ხელში ანცი
ქალი შემრჩა...
სარკეს გვერდი
ავუარე,
მინას თვალიც
არ წავკარი,
ნეტა ერთიი,
ამ ტკივილებს,
ამ დარდს

მაგრად
არ ,,გავკარიი..."
ან როდემდე,
ან სადამდე,
მაინც ჩემი,
ჩემთან რჩება...
ვისაუბროთ
სიყვარულზე,
და სამყარო
გ ა დ ა რ ჩ ე ბ ა!

* * *

ისევ წერს? –
ვეღარ გადაეჩვია,
სულ აბდა-უბდა
რითმებით თამაშს,
ხან წვიმა წყვილში
გამოიწვია,
ხან მიამსგავსა
ნაცრისფერ მარმაშს...
ისევ წერს? –
როგორ დაღალა დარდმა,
რომ მონატრება
უჩენს იარებს,
მერე ადგნენ და,
ქალმა და ქარმა
მთა დერვიშივით
გადაიარეს...
ცხრაპირტყავგამძვრალ
ფეხზე ნაცვამი,
ქალამნის ტყავის
შერჩა თასმები,
ცოდვილობს, თუმც
ვერ გამოუვიდა,
ვერც პოეტური ვერსად
გასმები...
მაინც ვერაფრით
ვერ შეიშნოვა,
უცხო ცისა და მიწის
ალმური,
ღიმილით უსმენს
ყველა ,,მისიანს"
გულში კი დარდი
უვლის დავლურით...
ისევ წერს? –
ნეტა არ დაიღალა,
რა უცნაურად
თურმე ჯიუტი...
ნათქვამი აღარ
გადაიქრა,
თუმც ბრალი ისევ
თავად მიუძღვის...
ისევ წერს? –
რა ქნას, ამოსათქვამი
უნდა ამოთქვას,
რა ქნას ენამაც...
,,ვერც გველი
ხვრელით ამოყვანა"
აუტანია ალბათ
წერასაც...
– ისევ წერს?
ალბათ...

* * *

ყვაოდნენ ბროწეულები,
ღობის პირს მოწვეულები...
ისე ლამაზად ყვაოდნენ
გული სისხლისგან გაცალეს,
მერე, ფერ-ხორცი შეისხეს
სულ აუწითლდათ ლოყები,
ათასი დარდი იგროვეს,
გარეთ არ გამოიგლოვეს...
რაღაცნაირი ატლასი,
აბჯარ-ფარივით მოიცვეს,
მეც აღარ ვიცი, რა ვუთხრა,
ვურჩიო, როგორ მოიქცეს...
გახლეჩილ ტუჩის წიბოდან,
ვითომ ღიმილად დნებიან,
ათასი დარდი იგროვეს,
მაინც ვერ სააშკარაო,
ცრემლის ბუსუსა მძივები,
ტანს მძიმედ დაეყარაო...
ყვაოდნენ ბროწეულები,
გულზე დარდ მოწეულები,
უნდა, არ უნდათ მაინცა
გაზაფხულს მოწვეულები,
ყვაოდნენ ბროწეულები...

მემორი

არაფერს დავწერ, ახლა
მართლა არაფერს დავწერ...
სულ აღარ მინდა გაზაფხულის
ტაში-ფანდური,
დავდივარ ჩემთვის
უჩვეულო იჭვებით სავსე,
მცივა და ვერსად ვერ ვიპოვე
ჩემი სადგური.
ცალმხარეს კოკის გატეხილი
ყელი ლიკლიკებს,
მერე კვალდაკვალ მოფერადო
მისდევს ბილიკი,
მეორე მხარე პილთუმია,
იჭვებით სავსე
და თუ ქალი ვარ,
ნუ დამცდება ახლა ქილიკი.
ღირსი ვარ ალბათ,
თავი რატომ უნდა ვიმართლო,
რა განაჩენი... საჩივარი...
ახლა გიჟი ვარ...
მერე რა თუკი ამ გაზაფხულს
ვუთხარ უარი,
მე შემოდგომას ალბათ
უფრო მეტად მინდიხარ ...
რა მიხაროდეს,
ვძლიე შიშის დიდი თვალები,
დამუნათება არ გაბედო,
მართლა გიჟი ვარ,
თუ გაზაფხულზე ვერ
გაგიხსენ გულის კარები,
შემოდგომაზე საიქიოს
ფეხით მივდივარ...

* * *

ფერნაცვალი დარდიც იცის შემოდგომამ,
და ხან მზეებს გულში ისე მოგიტანს,
გაგაღვიძებს ალიონზე შემართებით
გაგაღიმებს, როგორც მაშინ, კოცნითა...
წააყარე ხან ნაცარი სევდის კალოს,
წამოდექი, ნუღარ დგეხარ ჩოქვითა,
თუ გაზაფხულს ვერ მიატან, მერე რაა
შემოდგომა შეირიგე ლოცვითა!..

* * *

,,ეჰ, რამდენ სათქმელს იგროვებს,
დღე, ღამით ანატირები..."
ვინა ვართ, ნეტა ვიცოდე,
ცოდვიანნი, თუ გმირები,
ამ მთას, თუ იმ ბალთასა,
მოდებულ, გზათა გზირები,
ხან ხელგაშლილი,ხანაცა
უქონელნი და მწირები.
მაინც გულითა ვსაზრდოობთ,
ყველასგან განაწირები,
სამშობლოს მიწა-პირიდან,
გაშლილი, ანაწკირები...
დავბრუნდებით და მიგვიღე,
შენი უძღები შვილები,
ვინძლო, მაგ ზეცამ გაგვათბოს,
სხვა ზეცისაგან მცივნები.
ღრუბელმა ცრემლი მოგვწმინდოს,
ნატვრისგან ანატირებსა,
და დამცდეს, აი მოვედი,
ნეტაი, რა მატირებსა.....

ოცნება წავუღიღინე,
,,ხან თქმა სჯობია, არ თქმასა....."

* * *

მოხველ ტირილით დაბადებისას,
გემჩნევა ღაწვზე ისევ სისველე,
თუ ბრძოლას აგებ, ომი შენია,
უნდა შეგძინოს წლებმა სიქველე...
ისწავლე თმენა! – ირყევა მიწა?
ბარბაცით კიდევ ერთხელ ადექი,
ნატკენი სული მიმართე ზეცად,
მერე რა თუკი ისე ნათექი,
რომ ვერ გაატანს უკუღმა პირზე,
შენი დარდის და ტკივილის წვეთიც,
ადექი, კი არ დაგჯაბნოს ნატვრამ
– ესეც განცდილის ერთი სიბეცე,
ქარს გაატანე ყოყმანა ფიქრი
და მერე გულში თესე სიკეთე...
ადექი!.

* * *

არ იქნა, ჩადგომა არ ეღირსა,
ამ ქარებს, ყროლსა და სატიალეს,
არ მინდა იქ მისვლა, სადაც არ ღირს,
ვიკითხავ? – პასუხი მატიალებს...
შევეშვი ღრუბლებში ნავარდობას,
ცა რუხიც არ მიშვებდა საალერსოდ,
ის ფიქრიც ტყუილა ვაწიალე,
გულო არ ისვენებ გასახეთქო...
მოვეშვი ოცნებებით გაღვიძებას,
ძილო, სიკვდილფერს მინამგვანო,
მოვალ და სიზმრებში ხეტიალი
იქნება ნამდვილს მივამგვანო....

* * *

უნდა გავიცინო,
სხვა გზა არ მაქვს,
სიცილი უებარი
წამალია
გაფრინდე?
– ფრთები
გინდა უეჭველი,
დარჩე და
რაიც გიჭირს
– ალალია.
ინანებ, არ ინანებ,
ვის რა ჭირი,
ღობეზე ჩხირი
ჩხირად თურმე
წესი,
შენ ცდილობ
გაფრინდე და..
ვინმე თურმე,
ასე არააო
განაწესი...
იცი? – თავსაც კი
ვერ გაუტყდები,
სამგზის პირჯვრის
მადლმა,
თუმცა ცდილობ,
თუ გჭირს ერთგულება,
მოთმინება,
თურმე რანაირად
სასაცილო...
ფრთები, ფრთები
გინდა ასაფრენი,
თურმე ლოდინია
საჩოთირო,
თუ ხარ ცოტა
რთულად გასაგები,
იქვე უცნაურად
სასაცილო....

* * *

ჩემო პატარა კესანე,
მინდვრის ლურჯთვალა ყვავილო,
ერთსა გთხოვ, სანამ არ მოვალ,
მანამ არ დაიყვავილო.

* * *

თუ მწამს უფალო, შენით მწამს,
თუ მჯერა, ისევ შენითა,
გამაძლებინე, მაცოცხლე
სიკეთითა და რწმენითა...

* * *

დრო არ ინდობს არც ერთ დილას,
,,წამზომია მეხრედ ღამის,"
ხან სულ მესიზმრება შენსას,
ხან სიშორე დამღლის ლამის...
ყველა წუთი მენანება,
ყველა წამი უქმად ყოფნის,
მარტო ერთი სიტყვა მსურდა,
ერთი გაღიმება მყოფნის...
რისი ავი, რაის შავი,
რა ფერადი, ანდა რუხი,
სარკმელი რომ დამრჩა ღია გულის –
მოვუსმენდეთ ერთად წუხილს...
შენ სამზეოს, მე საავდრო
ღრუბლებს დავდევ აცა-ბაცა,
ხელი გვიან გაგიწოდე,
სადღაც გზა-გზა, დროში ამცდა...
ავითვალე, გაითვალე
,,ესა, მესა, გადის... ესა..."
– მჯიღი მკერდზე, მწარე ბიძგი...
ვიწყინე თუ გაგიხარდა...
ერთად დილა გაგვითენდეს,
დაღამება ჰგავდეს ზღაპარს,
რა იქნება, რა გვიშავდა...

* * *

კედელს ასხლეტილი ,,რეკოშეტით"
ტყვია მსროლელისკენ მორიალობს;
სიტყვა გაიჭედა სასულეში,
რითმა მოუსვლელში ბორიალობს,
მაინც არ ვეშვები, ვეხანჯლები
იქნებ შენი გული მოვიარო...

* * *

გემო შერევია მაჭრის,
დღეებს – მერე ისევ აჭრის...
ქარი დარაბებსაც შეხსნის,
წვიმა შემოალტობს ქობას,
სიზმარ-ცხადეული დარდის
მომთხოვს უცილობელ ხსოვნას
– განა დამავიწყდა რამე,
განა დრომ წაიღო ხათრით,
აი, მაბედინებს წერას,
თუმცა არეული რითმით,
განა რაიმეა მართლა,
ისე, გულს დარდისგან იხსნის...
,,ვითომ," ,,მერე რა" და ,,განა,"
სიტყვის მარაგია სტროფში,
მოჰგავს ყოველი დღის ბოლო
ტყვიებს ჩალაგებულს თოფში...
გემო შერევია მაჭრის,
დღეებს ისევ ისე აჭრის....

* * *

აგერ, აიმ მთაზე ამიყვანა,
ღრუბლებს დამახედა, საოცრები,
მერე იის ძირი მაკოცნინა,
ისე მენატრება, გაოცდები.
მერე ხევ-ხუვები მომატარა,
ქარში მაფრიალა მანდილივით,
ყელში რაღაც ბურთი მომეჩარა,
გაუმხელელი წადილივით..
მესურვილა და ტუჩებს ასცდა,
აუსრულებელი ქადილივით...

ხათუნა ელიაშვილი – დიასახლისი
დაბადების ადგილი – მცხეთა, მისაქციელი.

* * *

მარტი მგონია მზეჭაბუკია,
გამოიწვია ქვეყნად ასულნი,
სილამაზეს რომ თვალი დაუდგეს,
მან გადარია ეს გაზაფხული!

დავით აღმაშენებელი!

და – ვით ღმერთი დიდებული,
ზეცას სწვდება მესია,
იყო კაცი ჩინებული
მეფედ ყოფნით გვეწვია,
მეფობს დავით მშენებელი,
საქართველო ფეხზეა,
ზეცას სული უტოლდება
ეს ქართველთა წესია!

კოსმიური ლოცვა!

სამყაროს მანათობელი
დედის მზის სხივით დინდება,
მზეთამზე უსასრულობის
ოქროს ვარსკვლავად ბრწყინდება,
ძველს ახლით შეცვლის ცხოვრება,
კურთხევა ღმერთში ვლინდება,
მნიშვნელოვანი ძალაა და დედამიწა
მშვიდდება!

* * *

და ცისარტყელა ფერების მოცარტი,
ცის კიდეს ხილული ამბორად კიდია,
ხასხასა ბალახი მადლით გავსებული,
მიწის წიაღიდან ზღაპრების ხიდია!

* * *

მე დავიბადე აგვისტოს რვაში,
სრულყოფილების უდიდეს ზღვაში,
იონთა ბუდე მოვწანი ცაში,
ცნობიერების მოლურჯო ზღვაში.

უძირო ფიქრით შევავსე ზეცა,
მწიფე თავთავი სამყაროს ესხა,
აზრთა ფორმებით გარკვევა ვცადე,
კოლხეთთა რკინით შევივსე წამსვე.

მე დავიბადე აგვისტოს რვაში,
სრულყოფილების უდიდეს ზღვაში,
აქ დაბადება მთავარი შემხვდა
მთვარემ ამივსო სიცოცხლის ხედვა!

მე და შენ!

მე და შენ
სიყვარული გვაერთიანებს,
შენ ქრისტე გგქვია
მე კი უკვე ცნობიერება,
ჭეშმარიტება შევიცანი, შენში ავმაღლდი,
ახლა კი უკვე მზის სხივები მესაუბრება!

* * *

ზებუნებრივი პროცესი
საკუთარ ძალთა ძიება,
ტანჯვა კი წმენდის ფორმაა
მუდმივი თავისუფლება.
ღვთიურ სამყაროს მოდელი
უსიტყვო რღვევით იწყება,
სიცოცხლე უზენაესი,
საკუთარ თავთა ღირს ება!

ე მ ბ რ ი ო ნი!

ემბრიონია დეკალიონი,
სავსე იონი გულიდან,
ჩანასახია საწყისი,
წერტილი მყარი სულისა.
ყალიონიდან სურვილში,
ილარიონის ფუძიდან,
გახსნილა თამარიონი
იბერიონის ბუდიდან.
ჯვარი დიდება ჩვენშია,
ჩვენში სიცოცხლის მანდილი,
კავკასიონის ფესვიდან
ამოფრქვეული საწყისი.
ცნობიერებავ შენ გეტრფი
უკვდავი ძარღვი გახსენი,
მიწას და ზეცას შევეხოთ
და დავიბადოთ ქართველნი!

ა კ ა დ ე მ ი ა!

გულნაზი ხარაიშვილი!

აქ ხომ მზე ზეცის გულია
გულნაზის გადარგულია,
მთვარეც ბატონობს პატრონობს,
ღამის მზე ზეცის სულია,
ისევ ატეხეს განგაში
გზა ახალი და სრულია,
ამ ჩვენს ნარნარა ბაღნარში,
პოეტთა გაზაფხულია!

და "მე" პატარა!

სიცოცხლის არსი, სრულყოფილება,
უმეცრებაში არ იბადება,
დიდი "მე" მუდამ მსახურებაა,
პატარა "მე" კი უბედურება.
დასანანია ასე ცხოვრება,
სიბრძნის კარიბჭე იხსნება მათთვის,
ვინც სინამდვილე გაითავისა
ვნების ამყოლი არა ხარ მაშინ.
დედამიწაზე დაბადებული
სიტყვა, აზრი და "მე" პატარა,
სულ არაფერი არა ყოფილა,
გინდა ყოფილხარ,
გინდაც აღარა!

ქართველობას!

ახლა დროა შერიგების,
ერთი აზრის ქონის,
ახლა დროა ქართველებო
სიყვარულის პოვნის,
ვინ ვისია, რა ჯიშია,
არ გვჭირდება მგონი,
დიდი ცოდნის ზიარებას
ღმერთი გვაძლევს ყოვლის.
ახლა დროა ერთმანეთი
ერთგულებით ვავსოთ,
წინაპართა ისტორია,
გულით გავიაზროთ,
სიყვარულზე შევაჩეროთ
სიძულვილის აზრი,
რადგან არის ქართველობა,
საქართველოს განძი!

ფიფქებად აღთქმული სამყარო.

თან ფიქრია მგოსნის, თან სინაზე ქალის,
ჩემს წინაშე რომ ჩანს, მოვიპარე ძალით,
შევიგრძენი ყნოსვად, შევიგრძენი თვალით,
საიდუმლოდ რომ ჩანს, ამ ფიფქების კვალი.

სიცოცხლისთვის არის,ერთი წამის მოდგმა,
მგრძნობელობით ნაზი, ზეციური ხოტბა,
მოისწრაფის მაშინ, მრავალმხრივი ყოფით
როცა მიწა ითხოვს, თეთრი კაბით ქორწილს.

შესწვდები და ქრება, დნება სამუდამოდ,
შორეული ახლოს წამს ივიწყებს სამოსს,
სიყვარულსაც რათა შეუცვალალოს ფორმა,
გვაგრძნობინოს გულით, სულის სითბოს პოვნა.

ირეკლება ფიქრში, იშვიათი სიბრძნე,
აქვს უცნობი ძალა, უმაღლესი სივრცე,
განცვიფრებას ახდენს, ირჩევს კლდეთა ქიმებს,
ოცნებაა მხოლოდ თოვლის ფიფქთა სიგრძე.

განუყრელო ზამთრის სულიერსს და ფაქიზს,
უძვირფასეს განცდას, რომ ასხივებ კრძალვით,
დრო და ჟამი შენთვის, შენს შინაგანს მორთავს
და გვადნება გულზე თეთრი ფიფქთა მოდგმა.

საიდუმლოდ რჩები მყინვარებში რომ ხარ,
ეს მიხატავს სურათს, ჯვარზე გაკრულ მგოსანს,
სულის მნათობს თოვლშიც მოვუძებნოთ ბუდე,
სანამ ყინულს ლოდად გადაქცევს ისევ.

შესწვდები და ქრება ცისარტყელას ირჩევს,
სამყაროა მისთვის მხოლოდ დიდი სიბრძნე,
ხან ფიქრია მგოსნის, ხან სინაზის თოვა,
საიდუმლო დიდი რჩეულებთან მოვა!

გ რ ა ნ ე ლ ი!

ვდგევარ მდელოზე როგორც გუშაგი,
თმაგაშლილ ქალის მე დამდევს ლანდი,
ვხედავ ღამის ცას, როგორც ნახატი,
ამოდის მთვარე და ცაზე დადის.

აქ მთები ისევ დგანან მეფურად,
ღამეც თანდათან შუქს პარავს მიზანს,
თუ პოეზია მოიკრებს ძალებს,
სილამაზეში გავტყორცნი ისარს.

მესმის ქალის ხმა, სიცოცხლის ძალის,
ოცნებამ ცაში გადაინაცვლა,
მარგალიტისფერს შევავლე თვალი,
დუმილმაც უცებ გამოიზამთრა.

ირგვლივ სივრცეა უზომოდ მშვიდი,
სხივების ნარნარს შეერწყა გრძნობა,
სიმარტოვეში ფრთებს ავშლი ისევ,
ზეციურ სარკეც სულ ახლოს მოვა.

გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ი!

აქ არარის საჭირო ფიქრი,
მაგრამ ფიქრის დროს ვლინდება მუზა!
კავშირი დიდი, სულიერი, ყველაფრის მთქმელი,
გალაქტიონი! – აზრისა და ხმის ჟღერადობა!

პოეზიაა სინამდვილის ფარული ვნება,
უცნაურ გრძნობად რომ ავსებდა
ყვავილთა ფერი, მძლავრი, მგზნებარე,
მაგრამ ნაზი მძვინვარე ტალღა,
დაუცხრომელი უმღეროდა ბობოქარ წლებში.

ეს იყო მისი უდიდესი გამოვლინება,
ანკარა წყარო, მოჩქეფარე, დაბურულ ტყეში,,
მისი სიცოცხლე, ძალთაძალა და საზრდოობა,
ცაში მზის სხივი, მთის ჰაერი და ვარდის ფერი.

ამაყი ქედი პოეზიამ არ მოიხარა,
ის აქ მიჰქროდა ვით მერანი ფრთებგადაშლილი,
ხმა სიყვარულის, ძალა მტკიცე, უკვდავებისა,
გულწრფელი გრძნობით იზიდავდა ყაყაჩოს ველი.

ატმის ყვავილებს, ლურჯა ცხენებს, მთაწმინდის მთვარე,
თვალწინ დაღვრილი ხელოვნების მონუმენტია,
ბუნებრივობა, სისპეტაკე, სტრიქონი მერის,
ბედით დაწყევლილ სიკვდილის ლანდს ვერ უკრეფია.

ამაღლდი სულო თეთრ აკლდამაზე მშვენიერებით,
დღეს ყველგან მზეა, იგია ფონი სიყვარულისა,
გადაშლილია მეტად დიდი ეს ასპარეზი,
მოეფინება ვით მუსიკა ბედისწერისა.

ოცნების წყურვილს კეთილშობილს, ამაღლებულსა,
ახალ რითმში წერს მოძრაობა, სიტყვას კალმისას,
ამქვეყნიური სიდიადის გრძნობის მეუფეს,
ფერიცვალების ზეიმი ააქვს პოეზიისა!

და იანვარში თუ აცვია თეთრი სატინა,
მას დაინახავს ბადრი მთვარე, როგორ დაფრინავს,
თუმც მის ასაკში სულ სხვა იყო ზღაპარი მგოსნის,
მისი სამყარო უმაღლესი, ალაზანს კოცნის.

ჩვეულებრივი მოკვდავივით აფასებს ყველა,
უცნაურ ვარსკვლავს დაბადებულს, ვერა ვცნობთ, ვერა,
თქვენ რომ გგონიათ, ის არა ვარო, იმეორებდა,
გალაქტიონი, როგორც ლექსი, როგორც პოემა!

აქ არის ძნელი, საიდუმლო ციური რიდე,
იდუმალ სივრცის გასაღები, გრძნობების კიბე,
არის სიჩუმე აპოკალიფსის მძლავრი მხედარი,
ვინც ქაოსებში შემოჭენა ლურჯა მერანი!

გული – ღმერთია!

პირველსაწყისებს გულიდან გავშლით
და სიყვარულში შევავსებთ ზეცას,
სიტყვებში მარად ვიპოვით ნამდვილს,
სულიერ მარცვალს ავტყორცნით მზესაც.
საწყისის ხედვით მიზანთან ვხვდებით,
ღირებულება ჩვენში ბევრია, უკვდავი ნება
სიყვარულს გზავნის, ის ერთადერთი სული ჩვენშია.
აღმოცენება მიწის გულიდან,
აყვავილება დროის ხვედრია,
ჩვენში ნამდვილი, და ერთადერთი,
ის ერთადერთი გული – ღმერთია!

* * *

სიჩუმეს მოსწონს თავისი თავი,
სიჩუმე ფიქრობს, – არავარ მთვრალი,
მდუმარებისთვის მერგო ეს ძალა,
აზროვნებისთვის გონების თვალი.
დროის დინებას მივანდოთ ყველა,
რაც იყო ცუდი, რაცაა კარგი,
სიჩუმე რჩება სიმართლის ხმალი
და ამით მოსწონს თავისი თავი.
ხდება ამაყი, კლდესავით მყარი,
გარშემო უცებ გამეფდა აზრი,
სიჩუმე ფიქრობს: – არავარ მთვრალი,
დუმილის ფასი ოქროში გადის!

გარდასახვა!

ალბათ ყველაზე ამოუცნობი
ჯერ დაბადება კვირტთა,
შემდეგ სამყაროს გამონათება
ფიქრთა ჭიდილში იშვა.
აზრთა ტრიალი არსებობაში,
სული სხეულის მიზნად,
ცნობიერება სინამდვილეში
უკვდავებისთვის იშვა.
ალბათ ყველაზე ამოუცნობი
გრძნობა მზის სხივებს მისწვდა,
მუდმივი აზრი განახლებისა
სიყვარულისგან იშვა.
სიტყვას შემორჩა ზუსტი გაგება
მარადისობა ღვთისა,
არსებობისთვის ადამიანი
ღმერთის გზავნილად იქცა!

მარგალიტები!

სული ზეცამდის აზიდავს მარგალიტს,
ყელზე შემოიბნევს უკვდავი სიმაღლე,
მარადისობად ჩასახულ საწადელს,
უსასრულობით მიაღწევს სინათლე.

ამბობენ ზეცაში მზეთამზის ბუნება,
სურვილთა უბეში კავშირით იზრდება,
ხან წვიმის, ხან ქარის ცხოვრების საგზური,
ცხრა მთაზე, ცხრა ზღვაზე, მუდმივად იქმნება.

ერთი პაწაწინა სხეულის სიმები,
სინათლის უდიდეს სხივებზე ეშვება,
თურმე ყველაფერი გულია ფიქრების,
აზრია სურვილის უკვდავი სიმღერა.

პირველი მზის სხივი მიზანთან მისული,
ორსამყაროსთან არსებას განაგებს,
მეც ჩემი სიცოცხლის უკვდავი სურვილი,
ზეცაში აზიდულ მარგალიტს გავანდე.

სულის განზომილება!

დრო აღარ იცდის განვითარების,
საფეხურებზე გრძნობა შენდება,
ზევრცელი აზრი განზომილების
ძლევამოსილად გადაიქცევა.

გულს საკუთარი გრძნობები ავსებს,
წვდომის უნარი რჩეულთ ხვედრია,
სიტყვა გულიდან წარმოშობილი,
კუთვნილ ადგილას ადის, – ღმერთია!

სულის გაწმენდა აზრის ბედია,
სიტყვა კურნებით გადამდებია,
დროში მავალი ძალა ღირსების,
ელვისებურად გარდამტეხია!

ყაზბეგის მისტერია!

ციალის მოლურჯო ექო
თოვლიან ბილიკებს აწევს,
თვალწარმტაც მთათა მწვერვალს
მზის სხივი კოცნით ავსებს.

ყოფა იშლება თვალწინ,
მთათა ზვიადი სახის,
მარად დათოვლილ მხრებზე
მზის სხივის ბაგეს აწვიმს.

საკუთარ თავთან ფიქრში
სიბრძნე სიმართლეს ამხელს,
არამიწიერი გრძნობა
ზეციურ სარკეს ავსებს.

სულის შორეთში ყოფნით,
განწყობა გრძნობით ცაზე,
უსასრულობის განცდა
ზებუნებრივად დასვეს.

გულის ფრიალთა ექო,
ხის ფოთლებს ეფერება,
მიუწვდომელი აზრი
სისხლძარღვებს ეხეთქება.

უფრსკულში მოღიღინებს
თერგვი, არაგვი მთვრალი,
უზარმაზარი გრძნობა,
კლდე, კლდესთან გაუმდნარი.

განცდა უსაზღვრო ცისა
რძეთეთრი ნისლის დროში,
მარადისობა ღვთისა,
განმეორება ხოტბის.

სულის სიღრმეში ვპოვე
ლამაზ ყვავილთა სახე,
ტრფობის ნაკადად ავსებს
გვირილებს სიამაყე.

ბაგე გახსნილი კლდენი,
ღრმად შეღწეული დროში,
სათქმელს უთქმელად ამბობს
თვალუწვდენელი დროშით.

ეს უსასრულო სივრცე
შეწყვილებულა ფსკერზე,
შეჩერებულა მზერა
შთაბეჭდილების მეფე!

შავ-თეთრი გედი!

საოცრებათა ფერების ეშხში
ერთურთს შეერწყა შავ-თეთრი გედი,
ტალღის დინება ირწევა აკვნად და
კოცნის სხივებს წვეთებში აწნავს.
ძლიერი გრძნობა სიყვარულს ეტრფის
ფრთებაღმართული გედების ეშხში,
მთვარემ სხივების ტალღა გაშალა,
გულში ჩაიკრა ამ გრძნობის ღმერთი.
განცდილი აზრით შეივსო ზეცა
და დადნა მკერდში ფიქრებად ლექსის,
სიჩუმემ რიჟრაჟს დაუწყო კოცნა,
მზე მომავალი ყველაფერს ეტრფის.
ტურფა გრძნობებმა სიცოცხლის ძალას,
სინათლის ძალა გადაყარა,
დღისა და ღამის ლამაზი გედი,
უთქმელი გრძნობით გადაატარა.
უმაღლეს მიზანს, აზრებით გზავნილს,
ღამემ უბოძა უკვდავი სული,
გრძნობის ქარცეცხლში ჩასახლდა მარად,
მარტო სიყვარულს ეკუთვნის გული!

* * *

ჩემი ლურჯი ფერია!
ცაზე ლურჯი ფერია!
ვამაყობდი რომ ყველგან
ზღაპრულ ფერში მღერიან.
მისი ლურჯი სამოსი
სივრცეს მოუხვევია,
ხატავდა და ბრწყინავდა
ყველგან ლურჯი ფერია,
ანგელოზად მოჩანდა
ცად ასული გენია,
სუფთა სულის ნაყოფი
აქაც შეუმჩნევიათ!

სიცოცხლის არსი!

ვარდყვავილობის დღე დადგა ისევ,
სამყარო ცისა გაზაფხულს უმზერს,
დედამიწაზე სუნთქვა გახშირდა,
სიცოცხლე იქცა ცხოვრების სიბრძნედ.

განცვიფრებულა დრო ისევ თვალწინ,
მშვენიერებამ მოსტაცა თვალი,
მოღიმარ კვირტებს, ლოყებს უკოცნის,
სიცოცხლე იყო ამ წამში მთვრალი.

მზისმეტყველება მიწასაც ეტრფის,
მიწა კი მისი დიდებით დადის,
რალამაზია ვარდობის თვე და
კოკრები, მზე და ცრემლები ნამის.

ამომზეურდა გრძნეული ძალა,
სახე იცვალა კვლავ ძალის ძალად
და სამყაროში კვლავ იფურჩქნება,
კოკორში ვარდი, ვარდში ღვთის ძალა!

ქალი ღვთისა!

ცას მზე თვალებში ერწყმის,
სხივებში ეხვევა გზნება,
ცისა და მიწის ღმერთი
მზემ სხივით შეაერთა.
შიგ იკვეთება ქალი,
ქალი ღმერთების დედა,

სამყარო როგორც ვარდში,
ქალშიც სიცოცხლეს ხედავს.
გულში შეიჭრა ფიქრი,
გონების თვალზეც დღეა,
მეტს ვეღარაფერს ვიტყვი,
ქალი! – ღმერთია, მზეა!

მდუმარების ხმა!

სიტყვები ჩუმი ფოთლების, –
თებერვალს დაველოდებით!
ირგვლივ მიდამოს აოცებს,
რას ჩურჩულებენ მორცხვები?!
ფერები, ათასფერები,
სხივების ძაფით მოსილნი,
ოცნების ბადე ახურავთ
თვალის და გულის მპყრობლები.
ემშვიდობება ცას მიწა,
ლოცვით იძინებს ყოველი,
მადლობის მთქმელი სიტყვებით,
ფოთლებით დავილოცებით.
დაგვეფინება ხალიჩად,
ბოლოს და ბოლოს მივხვდებით,
რომ წელიწადი წავიდა,
მსხვერპლად კი ჩუმი ფოთლები!

თებერვლის სული!

ჩუმი თოვლი, მდუმარების თეთრი მოლი,
დედამიწას დაფენილი ერთობა,
გრძნობისა და სიყვარულის შემომქმედი,
მონარნარე, მოალერსე ზეცნობა.
უმთავრესის დანახვაა უნაზესი,
არსებობის დედააზრში ზეწვდომა,
ბუნებასთან სიახლოვე სინამდვილით,
უხილავი სიყვარულის შეცნობა.
ადნებიან ფანტელები ხელისგულებს,
დედის გულთან უნდათ სწრაფად შეწვდომა,
უხილავად დედააზრში გარდასახვა,
გარდასახვა და სიცოცხლის შემკობა.
ჩანაფიქრთა სიწმინდეში მოფარფატებს,
როგორც აზრი, როგორც სულის ეპოქა,
თებერვალის მონარნარე ფანტელები,
ზეცნობიერს უსასრულოდ ეყოფა!

მარადისობა სუნთქავს!

გულმა სუნთქვაში ჰპოვა ძალები,
მერე სიცოცხლეს შესწვდა თვალებით,
აზრთა სიწმინდეს გაუღო კარი
და სიყვარულმაც ჩამოკრა ზარი.

სუნთქავს ფიქრები, სუნთქავს აზრები,
დავდივართ სუნთქვით, სუნთქვით ვივსებით.
გულის თვისება სუნთქვის ფერია,
მარადისობას შემორჩენია!

რითმები!

ვარდის რტოები ლაჟვარდებს
აზრთა ბადეში იზიდავს,
სხივშეპარული ოცნება
გულის ბაგესაც იხილავს,
მიწას კვლავ უნდა სიცოცხლე,
ფესვები მისი განძია,
მკერდიდან ამოიყლორტა
იდუმალების ნათლია.
დედაო მიწავ იკურთხე,
მზევ შეიმოსე ნათელში,
სულის და გულის მეუფევ,
ვარდო შენს ძალას დავნებდი.

ჰერმონის მწვერვალი!

(მისტიკური ადგილი ლიბაანში.)

ნარგიზი შროშანების
ღელეთა ნაშობი,
ველის ალბიონი
სიცოცხლის ნაყოფი.
ირმებს გააცოცხლებს,
ხმა ისმის მეტრფესი,
სარკმელი მოციმციმე
სხივს ეძებს მეფესი.

სულია სიყვარული,
ყვავილთ ღრმა ელფერი,
ფშვინავს კმაყოფილი
სუნთქვაში მეტყველი,
მწყემსი შროშანების,
ტრფობის ეპოპეა,
ჰპოვა სიყვარულმა
გრძნობის მეხოტბეა.

ძალა ააქვს უმაღლესი,
აღწევს კლდეთა ქიმებს,
ურყევ სინამდვილეს
შევრჩით ჩვენ და სივრცე,
ჩვენი ნარდიონი ოქროს საყურეა,
ვერცხლით დაწინწკლული
გულთა საკურთხია.

ბაღშია დახშული,
ნერგები რჩეულთა,
სურნელი სამოსელის
ენის ქვეშ შევუშვათ,
ჰერმონის მწვერვალი
მთები და მითებია,
რეკავენ ზარები
ტალღებად იფრქვევიან.

გახდილი პერანგი
მზეს ტანზე ემოსა,
გავაღოთ კარები
შიგა სურს შემოსვლა,
ჭაა დაგმანული,
წყაროა ნაბეჭდი,
რჩეულთა ნაყოფსაც
ღრმა სულით დავნებდი!

* * *

მზით ავსებაა
გულის სითბო,
სულის ალერსი.
ვერ დაასრულებ,
მუდმივია
დროის ფარეხში.
სტროფებს, სტრიქონებს
გული დაწერს
ტრფობის ბაგეში,
სიცოცხლე არის
მოაზროვნე,
სხივთა ბადეში.

ვთესოთ ვარდები!

მეამბორეა ბაგეთა გული,
ღვინოზე ტკბილი სიყვარულს მალავს,
სურნელოვანი დაღვრილი სული,
მშვენიერი და აღმასვლის ძალა.
მზისგან შევსილი შემოქმედება,
ვამსგავსე ვარდს და ვამსგავსე მარადს,
ვიდრემდის ფეთქავს დიდი მანძილი,
ნაპრალი მთათა შეივსებს კალთას.
სულს შეყვარებულს დაეძებს ირგვლივ,
ტახტრევანია სამყაროს ხმათა,
სვეტები ვერცხლში გაუბანია,
ოქროს საყდარი სიყვარულს დარჩა.
მშვენიერი ხარ – შენ, ტურფა ქალო,
წავიდეთ სერზე, ვარდები ვყაროთ,
დატყვევებული გულის ამბორი,
სივრცეს უზომოდ გადავაყაროთ.

* * *

სივრცეს შეპარული გრძნობა,
მთებზე გაწოლილა ქალი,
სწრაფად შემოიკრებს ვნებას,
ციდან ჩამოშლილი ძალით.
გული გრძნობის ველზე ფეთქავს,
კლდიდან იმზირება თვალი,
შერწყმა ფრებშია სულის,
ბაგეს მორბენალი ცვარით.
ცისკარს გაეღეღა მკერდი,
ფიქრებს აყოლია სუნთქვა,
ნეტავ რაღა უნდა დუმილს,
უკვდავებაშია სუმთლად.
სიოს გაეპარა აზრი,
აზრმა სიყვარული თესა,
მთებზე გაწოლილი ქალი
დროში მოგზაურსაც ერქვა!

ბაღების წყაროვ, ჩრდილების მოდგმავ,
სურნელებაში ჩასახულს გიმზერ,
გული მღვიძარე, კალთა გახსნილი,
სულს შეყვარებულს გამოიძახებს.
ველნიამორებს ამოხდა ვნება,
ამომავალი სვეტი მადლისა
და სარეცელი მწვანე მდელოსი
აღდგენილ სულში გამოაფხიზლა.
საამურია შენი გრძნობები,
აგებულება ფერთა ხვედრია,
ძლევამოსილი გრძნობა ულევი,
ღმერთს სამყაროში ბდაუთესია.
ცვარმა ამივსო თმები, თვალები,
ტრფობა სიყვარულს დაულევია,
გახსნილი სული, გულის არეში,
სხვა ცნობიერის განმსაზღვრელია!

სოლომონის სიბრძნე!

ბაღში შესულა ტრფობის ფერია,
სურნელოვანი აქა– იქ დადის,
მწყემსი შროშანებს დაურქმევიათ
ბაირაღებით მორთულა სახით.
პირბადის ქვეშით უბიწო ძალა,
ცისკრის პირიმზეს მოუქარგია,
მზის ფერ ნათელში ველად გაჭრილა,
მძინარე ბაგეც მოუნახია.
სულს შეყვარებულს დაეძებს ყველგან,
გული მღვიძარე ტრფობის ღირსია,
ველად გაჭრილა ღამე ნათევი,
სიყვარულს ცეცხლში გაუღვიძია.
მდინარედ იქცა გრძნობის მეუფე,
წყალი მრავალი დაულევია,
სურნელოვანი დოვლათის პატრონს,
ირგვლივ ბუნება გაულექსია!

ბ ი ბ ლ ი ა!

ბაღში ხარ მოსული, ნერგებად ჩარგულო,
წყარო ხარ ნაბეჭდი, ფესვებში ჩაწნულო,
პირბადე დაფენილს, მზის სხივი დაგნათის,
სიბნელით გამოგყავს ყვავილთა ნათელი.
ბროწეულ ღაწვებზე გამოჩნდნენ ფიფქები,
გარშემო დაგნატრის ტყუპ-ტყუპი ფიქრები.
აქ ორი მტრედია მიწას რომ აღვიძებს
და ძოწის პერანგი სისხლძარღვებს აგიჟებს.
საამო ალერსი რაოდენ ტკბილია,
თაფლი და სანთელი ენის ქვეშ მივლიან.
რჩეული ნაყოფი ქორფა და დიდრონი,
ლერწამით დაწნულა სხეულის სინოდი.
გახსნილი პერანგი ხელებში მადნება,
თავს ოქროს მძივების სხივები მასკდება.
ცისკარი მჭვრეტელი მზისაბერ თბილია,
მორთული ბანაკი ზეპურთა ბიბლია!

* * *

თესლი და ნაყოფი, სამყაროს გამყოფი,
სიცოცხლის აზრია
სამოთხის სამყოფი!

* * *

ახალი ეპოქა აზრებით იწყება,
არჩევანს აკეთებს ის, ვინც განირჩევა!

* * *

ცეცხლი ეკიდა ცას,
გუბე ვერ იქცა ზღვად,
საოცარია გზა,
გამოვიგონე ვრცლად!

ერო! ბერო! წერო!

ერო! ბერო! წერო!
უკვდავების მდელო,
მიუწვდომელ აზრთა
ჩამოქმნილო, მთელო,
გარდასულო დღენო,
დღეს მოსულო ყანავ,
გაზაფხულის დროსთან
ხეში გამოცანავ.
ისევ შენში ვხვდები,
ისევ შენში გეძებ,
ფერთა სულის ცეკვით
დახუნძლული შევძლებ.
აქ სფეროა დიდი,
განსაზღვრული ალის,
ერთმანეთის ხიდი,
ერთმანეთის ძალის.
ცის ზოლია სივრცე,
ოქროს ხაზის სიგრძე,
სამგზის ფესვის ღერო
ამოსულა სიბრძნედ.
ერო! ბერო! წერო!
საუკუნის ფერო,
საიდუმლო დიდი
ნაირნაირ ღეროს.
გარღვეულო ძალავ,
სიყვარულზე მეტო,
ცაზე ლურჯის ხატვა
იბადება დღესო.
ჩემო გულის ფეთქვავ,
ჩემო მშვენიერო,
ვარსკვლავების ფრთებზე
გადმოღვრილო გენო.
სამი სიტყვა ღმერთის,
სამი, – ერთადერთი,
მზის სხივებში გადის,
სიყვარულში შედის.
მინდა ვნახო მეტი,
მინდა შევსვა წყარო,
ერო! ბერო! წეროვ
შეგიცანი, ვხვდები!

მზია ელიაძე – პედაგოგი
დაბადების ადგილი – დედოფლის წყარო

სვეტიცხოვლის აღმშენებელ-უტას

კაცის გულიო პატარაა! – გამიგონია,
მაგრამ ეტევა შიგ ულევი, ზღვა სიყვარული...
თუ არ მიმიღებთ, არ შემიცნობთ თქვენს სისხლად, ხორცად,
რა დამრჩენია, ღმერთის მეტი არ მყავს პატრონი!..
არ მავიწყდება, კარგად მახსოვს, რომ ცოდვილი ვარ,
მაგრამ თქვენ ცოდვებს მცირედ ცოდვებს – ჩემსას ვერ ვადრი...
თქვენი დუმილი, ზურგშექცევა არ მიკვირს, არა
სიჩუმე მზარავს, – უფრო მეტად – ღმერთის დუმილი!..
უნდა ვიჩქარო და წავიდე, სადაც მიდიან
არ ბრუნდებიან, იქ რჩებიან უფლის შვილები...
"სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო" – გამიგონია,
მეც განზე ვდგები ამქვეყნიურ ყოფა-ცხოვრების!..
ვერ დაინახეთ სიკეთე და დიდ ქართველობა
სიყვარულისთვის გამწირეთ და მომკვეთეთ მკლავი...
კარგი ავაგე, რომ სამშობლო მდგარი ამაყად
თავაწეული ყოფილიყო მარად უფალში!..
...ცუდი და კარგი აგრევიათ საბრალო მოდგმას,
კარგის სახელი უკვდავია მოკვდავთა გულში!
არ იმსახურებთ, რომ განვიცდი იმ დიად გრძნობას,
ცუდი კი არვის აღარ ახსოვს სულ ცოტა ხანში!..
აზრი არა აქვს, რომ გიმტკიცოთ უმადურ მოდგმას: –
უცოდველი ვარ, ნუ მაწამებთ სიყვარულისთვის!
ეშმას ვფიქრობდი, – საზარელი იქნება მეთქი,
მაგრამ მერწმუნეთ, არ ყოფილა თქვენზე საშიში!..

"ი"მზე არის "ა"კი მთვარე

"ი" მზე არის, "ა" კი – მთვარე
გაბნეული ვარსკვლავთ შორის.
ასოთ ვადრი ცად ვარსკვლავებს
მყოფებს მზეს და მთვარეს შორის...
დიდ საჩუქარს – ღვთის საუნჯეს
ასო-ბგერებს, გზავნილს ციდან,
სად იუნჯებს, დაივანებს?
– რა თქმა უნდა, ქართველთ მიწად!..
თოთხმეტ ანბანთ შორის მეფე!
იბერთ გულის გასახარად...
თავს იწონებს, ღმერთს ადიდებს
დიდ სიხარულს ვეღარ მალავს.
ფარნავაზი – ერის მეფე
სპეტაკი და წმინდათწმინდა
ჭედდა ბგერებს და ასოებს
აგვირისტ-აჩუქურთმებდა...
ოქროს ჩაქუჩს ვერცხლის ქვაზე
როგორ ნაზად იყენებდა!
სილამაზეს, სინატიფეს
ასო-ბგერებს არ აკლებდა!
შემწეობას სთხოვდა ჩვენს ღმერთს,
ფრთხილად, ნაზად ჭრიდა, კვეთდა,
წიგნად შეკრა და ქართველებს
გვისახსოვრა, გვიანდერძა!..

ანბანს

ჰეი, შემომხედეთ, ანბანი ვარ!
იქნებ ვერც კი მამჩნევთ, პატარა ვარ?!
ნუთუ არ ამაყობთ, მე რომ გყავართ
და გვერდს ვუმშვენებ ბუმბერაზ ანბანთ!...
გაქვთ საამაყო თქვენ, კოლხ-იბერთა,
გაქვთ სათაყვანო ტკბილი დედაენა!
გუნდი გენიოსთა, ბუმბერაზთა
მიწა დიდ შოთათა, დიდ ვაჟათა!..
ვის ჰყავს დიდებული გენი გმირთა
ფარნავაზ-დავით–თამარიანთა?!
ვინ დამაფასა, რომელმა ერმა?
მხოლოდ ღვთისმშობლის წილხვედრმა ერმა!..
ჰოდა, ამაყი ვარ, ქედმაღალი,
თოთხმეტ ანბანთ შორის ბედნიერი!
ძეგლი ვის დაუდგეს რუდუნებით,
რომელი მედრება სიყვარულში?!.

დედაენა

დედაენა საუნჯეა, სამაგიდო წიგნი,
აი ია, აი თითი განძი დიდზე დიდი.
დედაენა მზე, მთვარეა, თოთო ბავშვი, ჩვილი
რძის სუნი სდის საამური, დედის ტკბილი სუნი...
დედაენა სამშობლოა, წინაპართა სული
მათი ღვაწლი და ამაგი მძივად აკინძული...
დედაენა მამულია სისხლით მოტანილი.
ვაჟა, ილია, აკაკის დედულეთი ტკბილი...
დედაენა სიმდიდრეა, ქართველთ წმინდა განძი.
თოთხმეტ ანბანთ შორის მდგარი, ვით უფალი ცაში!
დედაენა, იბერია-ფარნავაზის სული,
იაკობის მარგალიტი, შოთას საგანძური!..

ოცდაცამეტი ანბანი

ოცდაცამეტი ანბანი სულ დარჩეული ცალად,
ხუთი გოგონა ლამაზი ანბანს ჩაწნული ქალად.
მღერალ-ხმოვანნი ფერთ ძაფში, ნაგვირისტები ჯარად*
ოცდარვა მხედარ-ვაჟკაცნი ერს ჩაკირული ფარად!..
მზეში ჩაწნული ღიმილით იესოს ტოლა, ბევრნი
ხატავ-ლამბავენ რიგ-მწკრივით ცამეტ ანბანში ერს, ღვთის!..

_____

*ჯარა-ძაფის სართავი მოწყობილობა

კოწახური

ათქვირებულხარ, კოწახურო ვნებით ვარჯ-ტოტზე
იწვი და დნები სიყვარულით, ნდომას ვერ მალავ.
ზეციურ ხილვას ეზმანები, ოცნებით დაჰფრენ
გრძნობის მორევში ღრმად ეფლობი, ლაბირინთს რომ ჰგავს!..
თუ ტორღიალი მოგწონს სუროს, ან უსურვაზის,
ნება შენია, არვინ გიშლის, ვერც დაგიშლიან...
ეს უსურვაზიც იკაზმება და თავს გაწონებს
ალისფერ კაბას ტანზე ირგებს, ხე-კლდეთ ეხვევა!..
ბწკართ ურცხვად, უშნოდ გიფათურებს შიშველ სხეულზე;
ო, მწარედ გბოჭავს, გეჭიდება, გისპობს სიცოცხლეს...
შენ, კოწახურო, აქოჩრილო, ათქვირებულო
უსურვაზს უმზერ, ვნების ცეცხლი გიწვავს ნაზ სამოსს!..
ათქვირებულხარ, აგზნებულხარ ვნებით ვარჯ-ტოტზე
იწვი და დნები, ნელ-ნელ ქრები ღრმა ლაბირინთში;
დროზე მოეგე გონს, ძვირფასო, სანამ დრო არის,
თორემ მის უგვან ბრჭყალ-საცეცებს თავს ვერ დააღწევ!..

სიღნაღს

ნეტარ სიღნაღ ქალაქი რძისფერ ნისლში ირთვება
მხნე, მედგადი, ამაყი უფლის მადლით ივსება...
მზეც მყარ გულში, ტანადში ოქროს თმებით იღვრება
და ერეკლეს ქალაქში ლოცვა პეშვით იკმევა!..
მდუმარე გალავანნი ურიცხვ მტერთა მნახველნი
მედგარნი, ფალავანნი ერის, ქვეყნის მფარველნი;
ახოვანნი ტანადნი, კლდე-ქვა ციხე-ქალაქის
დღემდე დგანან ამაყნი, მხარბეჭიან, მამაცნი!..

* * *

შეხეთ, შეხეთ ქარტეხილი როგორ არის ატეხილი!
მთაგრეხილი დაგრეხილი, დანისლული, დასერილი,
დასევდილი, დასეტყვილი ატეხილა ქარტეხილით
და გამხდარა მთაგრეხილი ქვაცვენილი, ქვატეხილი...

* * *

ვალდებულებას ღვთისგან აღებულს მზეო, ვარსკვლავო,
როგორ პირნათლად და ერთგულად ემსახურები!..

* * *

წინაპართ ძვლებზე ამოსულო შრიალა ხეო
ფესვით ამოგაქვს სათქმელი და ნიავით გვამცნობ!..

ფირუზისფერ გადაკალმულ ცაზე

ფირუზისფერ, გადაკალმულ ცაზე
სავსე მთვარე ცურვით აპობს სივრცეს
და დიდებულ, მაცოცხლებელ სხივებს
შავ-შავ მიწას გულისპირზე აფენს!..

აფრთხიალდა ვნებით ჩიტიც ტოტზე
ღრმად მიეკრო მუხას დიდრონ მკერდზე
და პირსავსე გიგანტს, მჯდომარს ცაზე
იმედებით სავსე გრძნობით უმღერს!..

ზღვაც ბობოქრობს, ებრძვის კლდის ნაპირებს
ფაფარაშლილ რაშს ჰგავს, მონავარდეს.
აფრააშლილ ხომალდს ისე არყევს,
თითქოს ყვავილთ ჯარი ღელავს ველზე!..

ფირუზისფერ, გადაკალმულ ცაზე
სავსე მთვარე ცურვით აპობს სივრცეს.
მზის ნათელი დაჰფენია მკერდზე
ფართო, დიდრონ გაშლილ მხარს და ბეჭზე!..

* * *

ინანიშვილი – სულის უფალი!
და ნონეშვილი – ღვთის მაქებარი!
ოთარ ჭილაძე – სიტყვის მკაზმავი!
დოჩანაშვილი – ერის მწერალი!...
გოგლა – ლეგენდა ძარღვიან ლექსის!
ლადო – მეხოტბე დედულ-მამულის!
ბარათაშვილი – გენია დიდი!
და ბესიკი კი – სიტყვის მქარგავი!..

შოთა – მჭედელი წმინდა ქართულის!
ილია – მამა, ერის ქომაგი!
აკაკი – ქნარზე მარად მღერალი!
ვაჟა – მგოსანი მთისა და ბარის!..
იაკობი კი – მამა ანბანის!
ჭაბუა – განძი საუკუნისა!
ოტია – ენის ძარღვი მაგარი!
ყველა ერთად კი – სიწმინდე ღვთისა!!!

ანბანს

ოცდაცამეტი ნაქარგი ნალოლ-ნაფერი, ღმერთით.
გამორჩეული, ნარახტი ღვთიური მადლის მფენი!..
ყველასგან განსხვავებული თოთხმეტ გვირგვინში მყოფი,
ოქროში გალაღებული ზურმუხტ-ლალ-ალმასს მჯდომი!..
ქარტეხილებში ნაწრთობი ურიცხვ მტარვალში მყოფნი.
დღემდე მოსული ნამ-ცვრობით ურდოთ ავ ქცევის მგმობნი!..

* * *

კავკასიონის უკუდეგანო, უვრცელეს მწვერვალთ
შემოსხდომია ვარსკვლავთა ჯოგი ფერთა ლიცლიცით...
ნაზ ფიფქთა ფთილათ, წრფელთ, უნეტარესთ
გრძნობით და მედგრად მიმოუქარგავს
მთა-კლდე-ტყე-კორდი ნარ-ნარ მზის ღილით...

* * *

აბულის* მთაო,საიდუმლო გულ-მკერდს ნაჟღენთო
არ გსურს გაგვანდო ნაგროვები საუკუნეთა?!.

---

*აბულის მთა-მდებარეობს ჯავახეთში

თანხმოვანთ კორიანტელში

ბან-ოვან ქალებს რა გამოლევს ნეტარ მამულში
"**გან**-დაგანას"და "სამაიას", "ქართულის" მროკავთ!
დონ-ე-გონებით ნუ გვედრებით! ხმამაღლა ვიტყვი.
ვინ-თუ არა ჩვენ, ვინ გაგზავნა კოსმოსს სიმღერა?
ზენ-ა სამყაროს საამო ჰანგით განადიდებს ვინ?
თან-აც, უფლის კვართს ვინ ეხება კრძალვით მარადის?
კან-დელს ვინ ანთებს მარადიულ სამყოფელისთვის?
ლას-ლას, კვნეს-კვნესით არ გვჩვევია უფლის დიდება!!!
მან-ძილი მეტად შორი არის ცა-მიწას შორის,
ნარ-ნარ სიკეთით და სილაღით მივიწევთ ზეცად.
პარ-მაღზე დგომა არ გვჩვევია ღვთისმშობლის რჩეულთ,
ჟან-დარმად გვადგას უწმინდური, აუგით ღვთისა!!!
...**რაე**-რთგულება, თავდადება და სიყვარული!!!
სან-იმუშოდ და კრძალვა-რიდით ჯვრის წინ დადრეკა...
ტარ-იელ-ფრიდონ-ავთანდილისმოდგმა გენ-ჯიში
ფარ-ხმალ-სატევრით მზად ხვდებოდა მომხვდურს მარადჟამს!..
ქან-ცგაწყვეტილი, გადაღლილი ბრძოლა-ომებით
ღან-ღან, გან-განზე არ გვჩვევია თავის დაძვრენა!
ყარ-ს-ლაზეთ-შავშეთ-ერუშეთი, იქ იმერხევი
შინ, – შიგნით მეტად ღრმად მოჰკვეთეს მკერდიდან დედას!!!
ჩინ-ებულია ქართველთ თმენა, კვლავ რწმენა უფლის.
"**ცან**-გალ-გოგონას" მხიარული თამაში, ცეკვა...
"**ძილ**-ისპირულის", "კრიმანჭულის" პატრონს, "ურმულის"
ჭარ-ბი, ჭარმაგი წინაპარი გვერდს გვედგა მუდამ!..
ხან-გრძლივ ომებით, შემოსევით ყვავ-სვავ-ყორნების
ჯან-ზე მოსვლა და ფეხზე დგომა შევძელით კვლავაც!..
ჰაე, – ჰაე, რომ ეს ყველაფერი შევძელით ღმერთით!..

ილიას

აგვისტო არის და წიწამურთან გველის ილია,
მუხლდაჩოქილი, ლოცვით დამდგარი შუბლგახსნილია...
მისი გულ-გონი და საღი ტვინი გადახსნილია
ეჰ, წიწამურთან დიდი ილია გარდაცვლილია!..
ვინ ვართ ქართველნი, კაცთმოყვარენი? ეს ტყუილია!
კაცი მოვკალით, ერის ქომაგი, ბრძენი ილია!..

შოთას

ზეაღმატებულს, სულიერების წმინდა მეხოტბეს
ზეციურ ბწკართა საიდუმლოს გაშიფვრა გერგო...
რითმათა მკინძავს, მუზის მოყვარულს, თანამედროვეს
სიცოცხლის წლები, უფლის შეწევნით რაც გქონდა, გეყო
შეგექმნა განძი – არაფრის დარი, ერის მედროშეს!..
...საუკუნეთაც ხიბლი შეგმატეს, მსოფლიო გჩემობს!..

ვჩუქნით "უშობელას"

სად მიხვალ, ჭაბუკო; კოლხთ გენში ნაჟურო?
სად მიგყავს ჯიშ-გენი; ღვთით ნალოლ-ნაფერი?
სად მიგაქვს სიწმინდე; ღვთით თავს რომ იტვირთე?!.

სად მიხვალ ასულო; დედის მკერდს ჩასმულო?
ღვთისმშობლის რჩეულო, დიდ დედით გრძნეულო...
იცი კი რა გელის? ხვალ ტკბილ შვილთ რას ეტყვი?..

სანთელო უფლისა, გამწევო უღლისა;
კაცის ხელს მომკიდე; ჭაპანის უტყვ მზიდევ!
მამული ერთია! მამული ღმერთია!..

დედაა, შვილია, ტკბილია, ძვირია!
ფუძეა, კერაა; ძვირფასი ენაა!..
მთა-მდელო, ტყე-ველი ციცქნაა, თან ვრცელი!..

კოლხობა შვებაა! კოლხობა რწმენაა!
ღვთის ხელით საწყაო, ნეტარი სამყარო
შენ მოგცა, მოგიძღვნა; შენ, წასვლა მოგინდა?!.

...უცხოთ უბრძოლველად ვჩუქნით "უშობელას"?!.
ეს ხომ დედისაა, ღვთისმშობლის ჩვენისა!
ჩვენ განძი გვეღირსა; ეს უნდა გვეკისრა?

დაფიქრდი, ძვირფასო; ნეტარო, ღვთის განძო,
მამული ერთია! მამული ღმერთია!
ქვეყანა ირჩიე! ცუდიც ხომ იწვნიე?!.

---

*"უშობელა" – აქ: ღვთის განძი – მიწა ჩვენთვის ბოძებული

სულს-უფლის სამყოფს
(ნინოობას)

ცნობიერების უზენაეს ცათა საუფლოს
ნუ შეეხები,ისეც მარად ღმერთთან საუბრობ!..
მიწით შექმნილი ვალს აბრუნებ დროებით საზრდოს
სულს კი იტოვებ სპეტაკს,სათნოს უფლისა სამყოფს!..

* * *

იესოს ასაკს ედრება ქართველთ ანბანის რიცხვი
მადლი უფლისგან ეღვრება ჯარ-რიგში მიმსხდართ მიჯრით...
ანბანთა სამბუნოვნებაც სამების შესადარი
იბერთ მამულში მზეობა ანბანის – მზის სადარის!..

როგორ უცაბედად გაპარულა

როგორ უცაბედად გაპარულა
თოვლი ფერდობებს ჩაკიდული!
გზა-გზა ენძელები გალამბულა
ყინვის საბანში ჩაძირული...
პირისფერ ტუჩებით გაბადრულა
სიცოცხლის მადლით ათქვირული,
გათოშილ მიწაზე დახატულა
გუნდ-გუნდად მორთულ-გაკირჩხლული...
მწველი მზეც ცის თაღზე გასაპნულა,
სხეულს ასვენებს გარინდული;
სარკეში კეკლუცით გაბადრულა
თმებს იწნავს სხივებით გაცისკრულით...
ყინვა ბრაზისგან გალაყულა
გესლს ანთხევს, ბობოქრობს გარიყული;
ქარიც გაგიჟდა და გადიდგულდა
მზე კი წუხს, კვნესის გარინდული...
ხევ-ხუვში ნისლი ჩაკარგულა
დარდ-ტკივილ-სევდით დაზაფრული;
ღრუბელთ ჯოგიც ნისლში გაბარჯღულა
მთათ ფერდში ურცხვად ჩანისლული...
კლდეც სიპი ყინულით გასარკულა
ჩაიცქერს ღრმა ხევს ჩაკირული.
თოვლი ნეტავ, საით გაპარულა
თვალსევდიანი, დანისლული?
აგერ, ალაგ-ალაგ დაწინწკლულა,
კვდება, დღეებს ითვლის დასიცხული*...
როგორ უცაბედად გაპარულა
თოვლი ფერდობებს ჩაკიდული!
ბუჩქდაბუჩქ იები გაბადრულა,
გაზაფხულს ზეიმობს, თვალხილული...
კართან მღერით მოდგა გაზაფხული;
ყვავილთა ეტლით მოჩითული...
თოვლი არა, არსად გაპარულა
დედის მკერდშია ჩაღილული...
ზვავ-შვავად ჩაშლილ-ჩალაყულა
ხევს არის ნამქერად ჩაზიდული!..

დასიცხული* – აქ: მიწაში წვეთ-წვეთ ნაღვენთი, ნადნობი

ხელ-ჩუქურთმა, დიდგენია

მსგავსი არსად შემხვედრია, არ მინახავს სხვაგან
ხელ-ჩუქურთმა, დიდგენია, ასო-ბგერათ ლამბვა!
ეს კოლხ-იბერთ შედევრია, ღვთივკურთხეულ ხალხთა
ღვთისმშობელიც ხომ ჩვენია განძი, ჯილდო კაცთა!..

კოჯრის ციხეს თუ ეწვევი...

კოჯრის ციხეს თუ ეწვევი და დალაშქრავ მის საუფლოს,
დაინახავ თმათეთრ, ბებერ, ბეჭდაგრეხილ კავკასიონს...
აქეთ – თბილისს, ბადახში ბმულს იქ – მარაბდას, კიდევ დიდგორს,
ბეთანიის მონასტერში თამარის ხატს ემთხვიე, გთხოვ...

ქართველთ ენამზეობაში შეედრება ნეტავ ვინმე?
თანადგომა-მხნეობაში ერთმანეთს გვერდს უმყარებენ...
აქ, ყოველი პოეტია, მამულს უძღვნის ძვირფას სიტყვებს,
ჰანგნაფენი პოეზია ირგვლივ აფენს ნეტარ რითმებს!..

დააკვირდი და შეამჩნევ თამარ-დავითის ნაბიჯებს
თუ ცოტასაც მოინდომებ, წაიკითხავ მათ ნაფიქრებს...
სათნოება და სიკეთე, მოყვასისთვის გვერდში დგომა
მიზნად ჰქონდა ჩვენს წინაპრებს ერთმუშტად შეკვრა, ერთობა!..

თუკი ცოტა მადლს ვაჭარბებთ, ქართველები ყველას ვეტრფით;
ღვთის წყალობას – მტერს ვახარბებთ, ბოღმა მოიშოროს! – ვეტყვი...
მტრულად მოსულს ვერ ვახარებთ; ქართლის დედა დგას ხმლით ხელში!
მოყვრად მოსულს ძმად მივიღებთ, ღმერთს ვადარებთ ქართველთ ერში!..

კოჯრის ციხეს თუ ეწვევი და დალაშქრავ მის საუფლოს,
დაინახავ თმათეთრ, ბებერ, ბეჭდაგრეხილ კავკასიონს...
მერე, ქართლში, სამადლოზე* მზის ჩასვლას თვალს გააყოლებ
შესანდობარ-სამადლობელს საფლავში მყოფთ გააგონებ!..

---

*სამადლო – აქ: ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში

ვაზი

როგორ მჭიდროდ ჩახვევია ჭიგოს ჩვენი ვაზი!
შიშველ, ხმელ ტანს ისე ურთავს ფოთოლ-მტევან ქარვით;
გეგონება, კაბა მოსავს კოხტა ხავერდ-ძაფის,
ჰოდა, ჭიგოც თავს იწონებს მტევან-ფოთოლ-კაბით!..

უფლის ჯილდო, მისი სულის ზიარო!..

2020წ.

მინდორ-ველში მოქარგულო თაველო*,
ზეცის ბროშო*, ყანაში ჩამცვრეულო...
იაკობის დედაენით კაზმულო,
თორმეტ უძილო წელს ნაძებნ-ნატრულო!..

მიწად მფენო, ცვარო, ალმასიანო
ზღვა-ტბა-წყარო-რუ-მდინარით შობილო
ცად ასულო,ღრუბელ-ღრუბელ შეკრულო
წყალო, ღვთისა ცა-მიწად მოარულო!..

ხშირო ტევრო, შველ-ირემთა ალაგო,
ვარსკვლავთ ჯარო, რიგ-მწკრივად გაბნეულო.
ღამის მთვარევ, ზეცის პირს მოხატულო
ნამგალავ და ბადროც, ჯიხვ-არჩვრქიანო!..

წინაპართა ოფლით, სისხლით მორწყულო
მიწა-დედავ, ღვთისმშობელით მოძღვნილო...
წინაპარნო, მარად ჩვენს წინ მყოფელნო
დაგვილოცეთ: ერი, ბერი, სამშობლო!..

შოთას მუზავ, ვეფხის ტყავზე წერილო
დედოფალო, თამარ მეფევ, სვიანო...
შენი ჯვარით დალოცვილ-მადლიანო
მვედრებელო უფალს, მარად მზიანო!..

დავით მეფევ, ქვეყნის აღმასვლიანო
პირტიტველო, ჭაბუკ-ვაჟკაც-ღვთიანო...
შენ, სამშობლოს სიყვარულით აღვსილო,
აღმშენებელი ხომ ხალხით გქვიაო!..

აკაკივით ქნარზე მღერო ბულბულო,
დიდ ილიას "ლელთ ღუნიავ", ღვთიანო..
ჭიუხ-ჭაუხ, ზვავ-შვავ-ჩანჩქერ ხმიანო
შენ, სამშობლო, კოლხ-იბერთ ქრისტიანო!..

მყინვარწვერო, ხევის, პატარძლიანო...
უშბა-შხარა-თეთნულდ თეთრნაბდიანო...
არწივ-ორბთა ყორყოტ-ყიოტ-ირაო
ნანად გესმის, ვით აკვანში ჩვილ თოთოს!..

შენ, მამულო, ჯიშ-გენ-ჯილაგიანო;
იოთამ-ცოტნე-თევდორე მღვდლიანო...
ცხრა ძმა, გმირო, სამას ვაჟკაც სვიანო
შეწირულო მამულს სულ-ხორციანო!..

საქართველო, მზის სადარო, ფხიანო,
ცისარტყელის ფერით კალთა ცვრიანო...
მთვარის პირო, გულო, ბადრსახიანო
უფლის ჯილდო, მისი სულის ზიარო!..

———————————————

*თაველი – აქ: თავთავი
*ბროში – აქ: მზე

ცნობიერების უხილავი ზენიტი

მარადიული ყოფიერების არსთა გამრიგე
ზეცით დაგყურებს, მადლს გაპკურებს, გიცავს, გარიგებს...
ვერ დაგამონებს, დაგაჩლუნგებს, ხაფანგს დაგიგებს,
მაცდურ საბრალო, უგვან ეშმას ფეხქვეშ გაგიგებს!..

სულიერება განფენილა ცა-მიწას შორის,
უხილავი და უსასრული, კავშირი ორის...
მზე სავარძელში-ო, სამეუფოს, მზირალი გრძნობით
ზუსტად ასრულებს არსთ გამრიგის სურვილებს ტრფობით!..

ვაჟას

2011წ.

ნეტავ რარიგად გიხდება თოლები ნაღველიანი!
როგორ გგავს შენი ალუდა, ვაჟკაცი ქორებიანი...
ფშავის გაჭედილ მთებშია დაბადებულო ვაჟაო,
იმიტომა ხარ კარგაი, რომ დაიბადე მთასაო?!.

გესმოდა ირმის მყვირლობა, წელიწად თორმეტ თვესაო,
მგელთ ხროვა, წიფლის ჩივილი და ნარჩიტაის ზრახვაო.
ჩემო ნეტარო მგოსანო, ულამაზესო ვაჟკაცო,
შენით ამაყობს ყოველთვის ტკბილი სამშობლო მთასაო!..

არაგვის დაჭრილსა ტანზე გამოზრდილი ხარ, ნეტარო
ერი ამაყობს-ჯალაბი სრულიად ქართველთასაო!
ვამაყობთ, რომ ვართ ნაწილი ამ შენი ჯალაბისაო,
ამაყიც დავიარები, როცა ვარ შენსას, მთასაო.

პირჩაშავებულ ხეობას ვუმზერ და გული სკდებაო.
ნეტავ, რარიგად მზიანობს ხშირს ტყესა მზე ცალთვალაო!
ჩემთ წინაპართ ვლოც დღენიად, რომ ვარ იმათი მოდგმაო,
ვაჟაო, ჩემო ნეტარო,ძლიერ მწამს შენი ლოცვაო!..

შენ რომ დაგცლოდა სიცოცხლე, ვინ იქნებოდი ნეტაი?
არ ჰყოფილიყავ ღარიბი, უქონელ-უპოვარაი;
ან რომ გქონოდა ცხოვრება, კარგაი, მოსაწონარი,
ვინ იქნებოდი ნეტარა, ლუკაი? მაინც ვაჟაი?!.

გალაკტიონს

2012წ.

იმ ნაცარშეყრილ, გაცამტვერებულ კაცობას ვფიცავ,
რომ მე აუგი არ დამცდენია ქვეყნის საავოდ...
ჩემი ოცნება,სხეულ-გულ-სული და ვაჟკაცობა
მხოლოდ და მხოლოდ მამულისათვის ძგერდა საამოდ!..

თოვლ-დედამიწის ტანდემი

2011წ.

მკერდს დაეფინე ნაზი ტაატით,
ფარფატ-ფარფალით,ცეკვა-თამაშით
და სიღრმისეულ გაყინულ ბეჭებს
იდუმალ ფიფქთა ხვედრი აგემე.
შენ სიმარტოვით ჭკუაშეშლილი
ბობოქრობდი და გულ-მკერდს იმღვრევდი
და ვისჯებოდით კვლავ,ჩვენ მოკვდავნი
შენს დიდ სხეულზე ტანჯვით მცხოვრებნი!..
ალბათ,ფიქრები გნუსხავს, გაგიჟებს
ვერ აკონტროლებ თავს, რისხვას გვატეხ;
ნუთუ არ ელი სამოსს ფარჩის ფერს,
გრძნებით აენთო, სიცოცხლით დატკბე!..
ყინულ-ხორკლიან მთის ღრმა კალაპოტს
წყალთა ხავილი გიმღერს საამოდ;
მითხარ, რა გინდა! ვნების ჟრუანტელს
ვეღარ შეიგრძნობ,ასე გგონია?!.
მკერდზე დაედე ნაზი ტაატით,
ფარფატ-ფარფალით, ცეკვა-თამაშით,
მოდი, მოურთე ფართო ბეჭები
და იმედები გაუცისკროვნე!..

* * *

ა,ბ,გ,დ,ე,ვ,ზ,თ ანბანია ღვთიური
ი,კ,ლ,მ,ნ,ო,პ,ჟ ჩაბნეულა ვარსკვლავში.
რ,ს ტ,უ,ფ,ქ,ღ,ყ ჰა, ჩაბმულა ფერხულში
შ,ჩ,ც,ძ,წ,ჭ,ხ,ჯ-ს უკერავენ ნაზ ქსოვილს...
ჰაე ყველას ეფერება სიყვარულით
დამთვრალი!..

* * *

ა-კვანში ჩაკრულ ქორფა პაწიას
ე-სათუთება დედა რა გრძნობით!
ი-მედითა ზრდის, რომ მამულს ნეტარს
ო-ქროს ქოჩორას აჩუქებს კრძალვით...
...**უ**-ნდა გაუძლოს დედამ, ამ ტკივილს!..

ᲘᲔᲑᲘ

2022წ.

მიმობნეულა მინდვრად **იები**,
ყოჩივარდები და ბა**იები**.
ფერად-ფერადნი, მუქნი ღ**იები**
მშვენიერნი და თვალებღ**იები**...
ხარობ-ლაღობენ კორდნი, მთ**იები***
გვამშვენებენო ენძელ**იები**!..

_____

მთიები* – აქ: მთები

ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲘᲬᲝᲓᲔᲑᲗ!

როგორ გულუხვი ხარ, სანატრელო
სიტყვაფხიანო, ნაპერწკლიანო!
ოცდაცამეტო, შვილო, ამაყო
სიტყვაქარგულო, ასოკაზმულო!..

რა გინდა არ თქვა, არ იჟღურტულო
ბულბულ-იადონთ ჰანგით იმღერო...
დედას გადარებთ, ტკბილ დედას, სათნოს
დედაენასაც გიწოდებთ კარგო!..

ჩვენია მხოლოდ ჩვენია განძი!

2022წ.

ეს სანეტარო ღვთიური განძი
ენა ქართული, ქარგულ-მრგვლოვანი.
უფლის წყალობით, მცვრეული მადლით
თოთხმეტ შანდალში გრძნეულ-მხცოვანი!..

კაცობრიობის გენია დიდი
ჭეშმარიტ რწმენის გულით მზომავი...
ცით მონაბერ სულს კრძალვით და რიდით
უვლის სათუთად ნაზად მქროლავი!..

საუკუნენი ქარცეცხლნაწრთობნი
გამობრძმედილნი ხალიბ-მჭოლავნი,
სამარადჟამოდ ღვთით ხელდასხმულნი
ერის და ქვეყნის მარად მლოცავნი!..

ღვთისმშობლის წილხვედრ მამულის
მცველნი
გოჯ-მტკველობით მიწის მზომავნი...
ნუსხა-ხუცური, მხედრულ-მრგვლოვანი
ჩვენია მხოლოდ, ჩვენია, განძი!..

* * *

პურის მარცვალო, ერთო,
მხოლოდ თუნდ ერთადერთო
იცი, რომ დიდი იმედი ხარ გამრავლებისა?..

* * *

მზე, ამ სამყაროს დედამზე რომ ჩაქრეს წუთითაც,
რა გველოდება, გვიფიქრია მოდგმას უფლისას?!.

* * *

ცვრიან ბალახს რომ მადიანად შეექცევი ჩემო ბეკეკა,
შეწირულ ცხვართა დაკლულ სისხლით არს
ნაჯერი და არ გეძნელა?!.

* * *

ბებერო ტყეო, ტოტებხმელო, ჯმუხო, ეულო
იცი იმედი რომ დიდი ხარ ციცქნა ყლორტისა!..

რაჭას

დანისლულ თვალებში ჩახედე შაორს და
წმინდა ნიკორწმინდას ჩუქურთმას ემთხვიე...
იარე, იხილე კი გყოფნის გზა ორს და
მცირე ხნით მოკაზმულ, ტკბილ რაჭას ეწვიე!..
ითვალე ფერები ტევრთა საუფლოს და
ცისტოლა ფიჭვ-ნაძვებს უმზირე, ეფერე.
მჟავე, სამკურნალო წყალი იგემე და
მზის ცეკვა ადრიან მთის წვერზე იხილე!..
ბარაკონს – ნათალ ქვებს ჩაითვლი უმალ და
მშვენებას იხილავ – არნახულს, არს დღემდე...
მერე, დაისსაც შეხვდები მწუხრის ჟამს და
საღამოს ბუხართან გათბობას ინატრებ!..

* * *

ზვავო, უგულო მთიდან ნავარდნო
შენს გულში რა დევს,მდინარე ხედავს...
ნატკეპნ ქვა-გულს რომ წვეთ-წვეთ გაგიდნობს,
მზის გარდა ეგეც გაშინებს, გაკრთობს!..

* * *

მზის ფერს, მზის სხივს, მზის გულს და
მზის ფორმას
რატომ ედრები, შენ, მზესუმზირა?!.

* * *

ხეს შერჩენილო ეულ ფოთოლო,
დიდი იმედი ხარ დედა ხისა!..

სარჩევი

მამა ამირან ამირანაშვილი 4
დეკანოზი ილია (ნუგზარ) ჩიკვაიძე 8
არქიმანდრიტი სერაფიმე (გოგი) ფილია 20
მაყვალა გონაშვილი 32
გულნაზი ხარაიშვილი 42
ბაღათერ არაბული 54
თემურ ჩალაბაშვილი 62
დავით ახლოური 74
ერეკლე საღლიანი 86
ნანა მომცელიძე 92
ბელა ალანია 104
ირაკლი ნადარეიშვილი 116
მარინე ცხვედიაშვილი 128
ეთერ ჭელიძე 134
ნანა ცინცაძე 146
ნინო უძილაური 154
სალომეა ლომინაძე 164
ვაჩე რაინდელი (ილია ჭკადუა) 170
თენგიზ ხუციშვილი (ქრისტეს მხედარი) 182
ხათუნა მითაგვარია 188
დოროთეა 194
მარი ჟღენტი 202
ჯუბა ღებელი 214
მანანა სამყურაშვილი 220
ნელი საგინაძე 232
თენგიზ ფანცულაია 244
დავით ძნელაძე 256
თამარ ფიცხელაური 268
ლალი ორმოცაძე 280
სულიკო ჯამალაშვილი 292
ნიკოლოზ ჭიკაიძე 304
დავით ლომიძე 316
გურამ სახვაძე 328
მარი კუბლაშვილი 340
გიორგი კუბლაშვილი 352
ვერიკო პარწიკანაშვილი 364
ეთერ ბერიშვილი 376
ნიკოლოზ ღვინიანიძე 388
კახა გორგაძე 398
ზაირა კეღოშვილი 410
ეკატერინე ბუღაძე 418
ნინო ქანთარია 430
გიორგი ზუბიტაშვილი 442
გიორგი აღნიაშვილი 454
მირზა ვარძუკაშვილი 466
ლილი გულბათაშვილი 478
ნანა ქიბროწაშვილი 490
ნანა ჩარკვიანი 502
ცაგო აბაშმაძე 514
ეთერ ისაკაძე 526
მამუკა ოჩიაური 538
ზაზა მედულაშვილი 550
იზა კაციაშვილი 562
ხათუნა ელიაშვილი 574
მზია ელიაძე 586

დამკაბადონებელი
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com